1942 N 3-4

საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი

514
1942/7

ლიტერატურის მატიანე

პ/მგ. რედაქტორი

გიორგი ლეონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
B 154

წიგნი
3—4

თბილისი 1942

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Отв. редактор Георгий Леонидзе

„ЛИТЕРАТУРИС МАТИАНЕ“
(Летопись литературы)
Книга 3—4
Государственный литературный музей Грузии
Тбилиси—1942 г.

შეკვეთის № 1721 ხელმოწ. დასაბეჭდ. 20/XII-42 წ. უე11871 ტირაჟი 1500
სტამბა საქ. სსრ ადგ. მრეწვ. კომისარიატისა, ფურცელაძის ქ. № 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აკაკი წერეთელი

ნახ. უჩა ჯაფარიძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

1. რედაქციისაგან 5
2. აკაკის მშობლიურ კუთხეში (საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის ექსპედიციის მასალებიდან) 7

მოგონებანი აკაკიზე

3. ანასტასია ერისთავ-ხოშტარია—დაუვიწყარი შეხვედრები აკაკისთან . . 61
4. დომენტი თომაშვილი—აკაკის შესახებ 65
5. ილია ზურაბიშვილი—მოგონებანი აკაკიზე 70
6. რუსუდან ნიკოლაძე—რიონის პირას 101
7. იაკობ ფანცხავა—ჩემი მოგონება 117
8. მოსე თოიძე—როგორ დავხატე აკაკი წერეთელი 120
9. არტემ ახნაზაროვი—ერთი ეპიზოდი აკაკის ცხოვრებიდან. 123
10. ნ. აზიანი—რამდენიმე შეხვედრა აკაკისთან 125
11. ნიცა ბაგრატიონი-წერეთლისა—აკაკი 132
12. თამარ წერეთელი—აკაკი წერეთელი ჩემს ხსოვნაში 136
13. ვასილ წერეთელი—ძია აკაკი 138
14. პაპუნა წერეთელი—პოეტის სამშობლო სოფელში 143
15. კონსტანტინე ნიკოლაძე—მოგონებანი აკაკიზე 148
16. ვარინკა წერეთელი—„სულიკოს“ ავტორი ჩემს ხსოვნაში 150
17. ნინო ელიაშვილი—აკაკი და ბავშვები 153
18. ნიკო გვარაძე—აკაკი ქართულ თეატრში 155
19. ვასილ ალდადანოვი—მომჯადოებელი მოსაუბრე 160
20. ზაქარია ფორაქიშვილი—აკაკი ქართული ლექსიკონის შესახებ 164
21. ილარიონ ყლენტი—აკაკი და ახალგაზრდობა 169
22. პოლინა მამინაიშვილი—ჩემი ძველი დღიურიდან 172
23. იონა მეუნარგია—აკაკის ცხოვრებიდან (პუბლიკაცია სოლ. ცაიშვილისა) 179
24. ვსევოლოდ ჩაგოვეცი—სამი შეხვედრა პოეტთან 186
25. ნ. ლენდერი—მამა-პაპათა ბუდეში (პუბლიკაცია თამარ ოქროშიძისა) . . 191

დღიურები და მემუარები

26. იონა მეუნარგიას დღიურები (პუბლიკაცია ს. ცაიშვილისა) 195
27. ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) დღიურები (პუბლიკაცია გ. ნათაძისა) 231
28. ზაქარია ჭიჭინაძე—ალექსანდრე ყაზბეგი—(პუბლიკაცია გიორგი ლეონიძისა) 289
29. შიო არაგვისპირელის ავტობიოგრაფიული ნაწყვეტი 308
30. მარიამ შარვაშიძე—ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრებიდან 314

გამოკვლევები

31. აკად. კ. კეკელიძე—მცხეთის დოკუმენტი მე-11 საუკუნისა და მისი ცნობები ქართული მწერლობის შესახებ 321
32. სოლ. იორდანიშვილი—რუსთველის ჩვენამდე არმოღწეული პოემა-რომანის შესახებ 333
33. გიორგი ლეონიძე—ბესიკი (მონოგრაფია) 341

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

„ლიტერატურის მატიანეს“ მორიგი ტომი, რედაქციის თავდაპირველი გეგმით, მთლიანად აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი უნდა ყოფილიყო მიძღვნილი, პოეტის დაბადებიდან ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით. ტექნიკური მიზეზებით გამოწვეულ შეგვიანების გამო, რედაქციამ თავისი განზრახვა მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელა. ზოგი შესაფერი მასალა (აკაკის პოეტური ტექსტები, აკაკის კერძო მიმოწერა, ნარკვევები აკაკის შემოქმედებისა და ბიოგრაფიული საკითხების შესახებ) შემდეგ დროისათვის გადასდო და ამ ხანად, მხოლოდ საბიოგრაფიო მასალების გამოქვეყნებით დაკმაყოფილდა.

პირველ რიგში, რედაქცია ჰბეჭდავს საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის ექსპედიციის მასალებს, რომელიც შეგროვილ იქნა 1939 წლის ზაფხულში აკაკის სამშობლო კუთხეში, ადგილობრივ კოლმეურნე გლეხობაში და პოეტის ნათესავებსა და მეზობლებს შორის.

აკაკი უპირველესად ხალხის ყოველდღიურობის ცხოვრების პოეტი იყო, მისი ცხოვრების მონაწილე. აქედან, გასაგებია — „ხალხში ჩამდგარი“ აკაკის პოპულარობა და ის დიდი სიყვარული, რომლითაც ხალხი ისე უხვად აჯილდოებდა თავის პოეტს. ბუნებრივია, რომ აკაკის მრავალი ნაცნობი და მეგობარი ჰყავდა, განსაკუთრებით დემოკრატიულ ფენებში, რომელთაც კარგად იცოდნენ პოეტის ცხოვრების ასავალ-დასავალი. კერძოდ, ეს უნდა ითქვას მისს მეზობელ გლეხობაზე, რომელთა შორის არიან პოეტის ბავშვობისა და ყრმობის მომსწრენი და ამხანაგებიც.

საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, რომლის ორგანოა ჟურნ. „ლიტერატურის მატიანე“, შეეცადა დროზე შეეკრიბა, ჩაეწერა და დავიწყებისაგან გადაერჩინა ბიოგრაფიული ცნობები და მოგონებანი აკაკი წერეთლის შესახებ პოეტის მცნობთა შორის, რომელთა რიცხვი მათი ხანდაზმულობის გამო დღითი-დღე მცირდება.

ეს ძვირფასი მასალა შევსებული ჩვენი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა მოგონებებით, რაც წინამდებარე ტომში ასევე უხვად არის წარმოდგენილი, ვიმედოვნებთ, საკმაოდ შეავსებს აკაკის ბიოგრაფიის თვალსაჩინო ხარვეზს (უნდა დავსძინოთ, რომ ერთი მოგონება აკაკის უკრაინელი მეგობრის ვ. ჩაგოვეცისა ჩვენ მივიღეთ 1941 წ. ქ. კიევიდან).

გარდა აკაკი წერეთელზე გამოქვეყნებულ მასალებისა, კრებულში დაბეჭდილია დღიურები ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა ს ი და ალ. ფ რ ო ნ ე ლ ი ს ა (ყიფშიძის), სადაც ყოველდღიურობით აწერილია 1870-იან და 1880-იანი წლების ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის ყოფაცხოვრება და სულისკვეთება მაშინდელ სასულიერო სემინარიის რეჟიმის ფონზე. ორივე დღიური მნიშვნელოვანი ლიტერატუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რულ-ისტორიული დოკუმენტია, მით უმეტეს, ჩვენი მწერლობა მეტად ღარიბია ასეთი მასალით.

ახალ, საინტერესო ცნობებს იძლევა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ შედგენილი ალექსანდრე ყაზბეგის დღემდე უცნობი ბიოგრაფია.

შიო არაგვისპირელის ავტობიოგრაფიული ნაწყვეტი და მოგონება ალექსანდრე ორბელიანზედ უსათუოდ ერთგვარი შენამატია ჩვენი მწერლობისათვის საბიოგრაფიო-კვლევითი მუშაობის დარგში.

კრებულში მოთავსებული აკად. კ. კეკელიძის საყურადღებო ნაშრომი ეხება ძველ-ქართულ სასულიერო მწერლობის საკითხებს.

დასასრულ, გამოქვეყნებულია ს. იორდანიშვილის ნარკვევი რუსთველის ჩვენამდე არმოღწეულ პოემა-რომანის შესახებ და გიორგი ლეონიძის მონოგრაფია „ბესიკი".

კრებულში მოთავსებული ილუსტრაციები პირველად ქვეყნდება.

**

დღეს, სამამულო ომის დღეებში, როდესაც ჩვენი სოციალისტური სამშობლო უმაგალითო გმირულ ბრძოლას აწარმოებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობელებთან, თავისი სუვერენობისა, ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად, არაჩვეულებრივ მტკიცეა და ერთობილი საბჭოთა ფრონტი და საბჭოთა ზურგი. ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ საბჭოთა ხალხი არა მარტო ვაჟკაცურად ებრძვის ბარბაროსულ-ფაშისტურ ურდოებს, არამედ შეუპოვრად განაგრძობს კულტურულ მშენებლობას ყველა უბნებზე.

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების შვილებთან ერთად, სტალინგრადთან, რჟევთან, ლენინგრადთან, კავკასიის მთებთან, შეუდრეკელი გმირობით და თავდადებით იცავენ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებასთან ერთად, თავის კერას, თავის საამაყო კულტურას, თავის მწერლობას, რომელიც ყოველთვის იყო გამომავლინებელი ქართველი ხალხის გმირული ტრადიციებისა. არა ერთი, ბრძოლის ცეცხლში მყოფი ქართველი მებრძოლი სიყვარულით იგონებს თავის საყვარელ მწერლებს, არა ერთს აფრთოვანებს მათი პოეტური სიტყვა მამულის სიყვარულზე, სამშობლოსათვის თავდადებაზე.

ჩვენი ვაჟკაცური წითელი არმია დიდი მხედართმთავრისა და ბელადის სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით დღითი-დღე სჭედავს გამარჯვებას ფაშისტ ავაზაკებზე და დიდი ხანი არ დარჩენილა იმ დრომდე, როდესაც გამარჯვებული საბჭოთა ხალხი თავის სოციალისტურ სამშობლოში, მთელი თავისი ენერგიით და მხარგაშლილობით შეუდგება მისთვის ჩვეულ-კულტურის დიად მშენებლობას უფრო მეტი გაორკეცებით, ვიდრე დღემდის იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკის მშობლიურ კუთხეში

(საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმის ექსპედიციის მასალებიდან)

1939 წ. აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულების წინ, საქ. სახ. ლიტერატურულმა მუზეუმმა (დირექტორი გიორგი ლეონიძე) აკაკის სამშობლოში, საჩხერესა, სხვიტორში და მათ ახლო-მახლო მდებარე სოფლებში მიავლინა მუზეუმის მეცნიერ-მუშაკებისაგან შემდგარი ლიტერატურულ-სამეცნიერო ექსპედიცია: თამარ ოქროშიძის, თინათინ ქავთარაძის, დავით შულიაშვილის, გრიგოლ ინასარიძის შემადგენლობით. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა მუზეუმის სწავლული მდივანი გიორგი აბზიანიძე. ექსპედიციამ ადგილობრივ დაჰყო ერთი თვე და შეაგროვა მნიშვნელოვანი მასალა აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად. ექსპედიციის მიერ შეგროვილ მასალის ნაწილი ქვეყნდება წინამდებარე კრებულში. **რედაქცია**

მარიამ მიხეილის ასული ციციშვილი-წერეთლისა — (ს. სხვიტორის მცხოვრები, 84 წლის, აკაკის ძმის დავით წერეთლის მეუღლე)

ჩასწერა გ. აბზიანიძემ.

წერეთლები ქართლში ხშირად გადმოდიოდნენ და იქაურ ოჯახებს ემოყვრებოდნენ. აკაკის ძმა დავითიც,—ჩემი მეუღლე,—ქართლში წამოსულიყო ახალგაზრდობისას საცოლეს მოსაძებნად. დავითს პირველად უნდა შეერთო ციციშვილის ქალი, ნინო. ერთხელ ქართლში ვიყავით დაპატიჟებული იასონ ციციშვილთან. იქ გავარდა ხმა: ამა და ამ ქალს წერეთელი ირთავსო. ის ქალი—ნინო, დავითს არ მოსწონებია. შემდეგ იასონ ციციშვილმა მოიპატიჟა დავითი. ის იქ გავიცანი პირველად; იმ დროს მე გათხოვება ფიქრადაც არ მქონდა. საზღვარგარეთ მინდოდა წასვლა. ეს იყო 1877 წელს. მაშინ დაბრუნდნენ საზღვარგარეთიდან მაშიკო წერეთელი, ოლიმპიადა წერეთელი, ოლგა გურამიშვილი, კატო ნიკოლაძე, ბოცია ზემიანსკაია და სხვები. მეც იმათი გავლენით მინდოდა წასვლა საზღვარგარეთ. იქ, ქართლში, დავითის მეგობარი იყო ბარონ კლეისტი, მისი ამხანაგი პოლკიდან. იქ გადაწყდა ჩემი გათხოვება და მეორე დღეს დამწერეს ჯვარი, ჩემი სურვილის წინააღმდეგ. მაშინ ხომ გათხოვების საქმეს მშობლები წყვეტდნენ. ჩვენ ხმა არა გვქონდა.

გათხოვების შემდეგ, სხვიტორში წამომიყვანეს, აქ დამხვდა ჩემი დედამთილი ეკა, ანა ჩემი მული და ანეტა—აკაკის დისწული. მაშინ აკაკი არ მინახავს. აკაკი მგონი იმ დროს რუსეთში იყო. ვცხოვრობდით როსტომ წერეთლის სასახლეში. როსტომი ერთი წლის მკვდარი იქნებოდა, მე როცა მოვედი, მგლოვიარედ იყვნენ, მაშინ მოურავად ჰყავდათ სასახლეში გომართელი, მაგრამ დავითმა დაითხოვა,—„შეუფერებელი ქალის თხოვა მირჩიე ქართლშიო“. ამის შემდეგ მოურავად იყო წერეთელი (ექვთიმე წერეთლის ნათესავი).

ჩემ დროს, მთელი სასახლე ანა იყო—აკაკის უფროსი და. მას ძალიან უყვარდა წამლობა. ჩემმა დედამთილმა ასწავლა. დედამთილისათვის პატრებს ესწავლებინათ. სულ უფასოდ ექიმობდა. როდესაც გაიგებდა ჩემი დედამთილი, რომ სადმე მძიმე ავადმყოფი იყო, ჯორზე შეჯდებოდა და ავადმყოფთან მივიდოდა. კარგად გამოკითხავდა და უწამლებდა. მერე ანაც დადიოდა; ის კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენზე ჯდებოდა. ისე მძიმე იყო ჯორი ვერ ზიდავდა. ანა ძალიან ლამაზი იყო, დიდტანოვანი, ახოვანი, მშვენიერი სახისა, ქერა იყო, თვალები ლურჯი ჰქონდა, თმები ღია წაბლისფერი. დიდი ოხუნჯი იყო, მოსწრებული სიტყვის პატრონი; მის გვერდით სულ უნდა გეცინა. ანა, აკაკი და ჩემი ქმარი რომ დაჯდებოდნენ და ხუმრობას მოჰყვებოდნენ, სიცილი და კისკისი გაუთავებელი იყო. ერთხელ, ვზივართ აივანზე აკაკისთან ერთად. იქ იყვნენ აგრეთვე გიორგი წერეთელი, ნიცა წერეთელი, ტასო მაჩაბელი და ჩემი მეუღლე. რაღაც სერიოზული საუბარი იყო. მაგრამ შიგადაშიგ ოხუნჯობდნენ. საღამო ხანი იყო. ჩვენს ეზოში უამრავი ვარდი იყო და ამიტომ ბულბულებიც ხშირი სტუმრები იყვნენ. ამ სიცილს აჰყვნენ ბულბულები. აკაკის ისე უყვარდა ბულბულის ხმა, რომ პირდაპირ გადაირეოდა ხოლმე, როცა გაიგონებდა. მაშინ ვეღარც ხმას ამოიღებდა და ვერც ხმას გასცემდი. აკაკიმ ინატრა, ნეტა ერთი ეს ბულბული დამანახაო. ამის თქმა იყო და ერთი ბულბული შემთხვევით შემოფრთხიალდა და აკაკის ხუჭუჭ თმებში დააჯდა. აკაკის ხელის წატანება უნდოდა, მაგრამ მერე გაჩერდა, განძრევის შეეშინდა, არ გაფრინდესო. ჩვენ ყველანი გაოცებულნი შევყურებდით. აი, აკაკი ნატვრა აგისრულდათქო. ყველანი გავოცდით და გავირინდეთ, ბულბულმა ერთი დაიჭახჭახა, დაიფრთხიალა და გაფრინდა. აკაკი სიხარულით ცას ეწია, აღარ იცოდა რა ექნა: ვინატრე და აკი ვნახეო, მაგრამ როგორ ვნახე ზედ თავზე დამაჯდაო. გიორგი წერეთელმა უთხრა, ნამდვილად ჰიპნოზი ჩიტებზედაც მოქმედებსო.

ახლა დაუბრუნდეთ აკაკის დედას. აკაკის დედა ძალიან ჭკვიანი იყო. ადვილად ვერ ააჩქარებდით იმას ვერც სიტყვაში, ვერც პასუხში, მხნე და ღვთის მოყვარე იყო. როსტომს მე არ მოვსწრებივარ და ვერაფერს ვიტყვი, აკაკის ცხოვრებამ კი სხვიტორში ჩემ წინ გაიარა. ბევრი რამ მახსოვს მისი ცხოვრებიდან, ბევრი რამ წვრილმანიც.

აკაკის პოეტობა და სახელი ჩვენ გვაამაყებდა. მისი ნაწერი არასოდეს არ გამიშვია წაუკითხავი. უმეტესად სხვიტორში უყვარდა წერა.

როდესაც აკაკი მუზაზე იყო—უცნაური სახე დაედებოდა, თმა აებურძგნებოდა, თვალები უბრწყინავდა ცეცხლივით, გეგონებოდა, მზე ადგიაო, რაღაც აღელვებული იყო, მიდიოდა და მოდიოდა, ის არასოდეს არ დაჯდებოდა, როცა „თორნიკე ერისთავს“ წერდა მაშინ შეუსწარი. სამი თვე წერდა ამ პოემას. ნახევარი რომ დასწერა, დაგვიძახა ჩემს ქმარსა და მე, სხვები აქ არ იყვნენ (ეს ზამთარში მოხდა) და წაგვიკითხა. ჩვენ ძალიან გაგვიხარდა, მოვუწონეთ.

ერთ ნაწარმოებში ისე ჰქონდა გამოყვანილი აკაკის, რომ გიორგობისთვეში ჰქუხდა, მე ვუთხარი, გიორგობისთვეში როდის იცის ქუხილი-მეთქი. კი, იცისო, და მართლაც იმ წამში დაიქუხა.

როცა ჩვენ „თორნიკე“ წაგვიკითხა, აღტაცებაში მოვედით. შევაქეთ თვითონ კვეხნა არ იცოდა, ვერც შეატყობდით, რომ რაღაც შესანიშნავი რამ დაუწერიაო, ძალიან მორცხვი იყო თავის ქებაში. დედამ ჩამინერგაო, რომ დიდი წარმოდგენის არ იყო შენს თავზეო, დედის შთაგონებით კუზიანიც კი მეგონა ჩემი თავიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაზე აკაკი დიდი წარმოდგენისა იყო. რაც კი ჩვენს მახლობლად ხეხილია და ბალი, სულ აკაკის დედის გაკეთებული იყო. თევზების აუზები ჰქონდა, მშვენიერება რამ იყო. კალმახებისა ცალკე იყო—ტრიალა წყალში, ქაშაპებისა და ბოლოწითლებისა—ცალკე. ერთხელ წყალი მოვარდა და ეს თევზები სულ გაიტაცა, მაგრამ ბევრი დაიჭირეს და უკანვე მოუყვანეს, აკაკის ძალიან უყვარდა თევზაობა. როცა მაისის პირველ ქუხილზე ტობი შემოვიდოდა და ფართქალს დაიწყებდა, მაშინ აკაკის ჩასვლა უყვარდა წყალში.

აკაკი რომ მოვიდოდა სოფელში, გლეხებს რამე საჩუქარს მოუტანდა ხოლმე. შეუთვლიდა მნახეთო. ძალიან უყვარდა კიკოლა კალმახელიძე, ბერია ჭილაძე, ივანიკა კალმახელიძე, გიგო და ციცაკო კალმახელიძეები, ფასია შავაძე, დათია ბოჭოიძე, სპირიდონა ზაბახიძე, გლახუკი აბრამიშვილი. მახსოვს გლახუკი ქვეყნის ამბავს მოიტანდა ხოლმე, ზოგს მართალს ზოგს ტყუილს, სიცილით ვკვდებოდით.

სპირიდონა ზაბახიძე სხვებზე ახალგაზრდაა. ახლაც ცოცხალია, მას ხშირად გადააწერინებდა ხოლმე თავის ნაწერებს. კიკოლა კალმახელიძეზე პოემა დასწერა „კიკოლას ნაამბობი". კიკოლა მაშინ ძალიან მოხუცი იყო. ძალიან უყვარდა აკაკის. მისი ნაამბობი აკაკიმ ხსენებულ პოემაში აღწერა; კიკოლას დარჩა შვილები ივანე, გიგო და სისიკო—ახლა ისინიც აღარ არიან.

მახსოვს ერთი გლეხი თევდორე სისვაძე, რომელიც აკაკის ძალიან უყვარდა. აკაკი ხშირად აამბობინებდა მას ლექსებს და შაირებს.

აკაკი ძალიან კარგი ხასიათისა იყო. როცა გული მოუვიდოდა რაღაც თავისებურად გადიხითხითებდა ხოლმე.

საჭმელებიდან აკაკის უყვარდა: ჭინჭარი, ცხრაფეხა და კიბო. ჩამოვიდოდა დიდმარხვაში და ნატალია მაჭარაშვილს ეტყოდა: ჭინჭარი გამიკეთეო, იგი სხვა ფხალსაც ჩაურევდა და ამაზე ჯავროობდა აკაკი და ეტყოდა, აკი გითხარი, მარტო ჭინჭარი გამიკეთე-თქო.

აკაკის, მეგობარ ქალებიდან ყველაზე უფრო უყვარდა ნიცა წერეთელი, ტასო მაჩაბელი და ანიჩკა ნიკოლაძე. ანიჩკა ნიკოლაძე იყო აკაკის პირველი სიყვარული. ტასო უყვარდა ძლიერ, მაგრამ ისიც პოეტურად. ნიცა წერეთლის ოჯახში ხშირად იყო. ძალიან აფასებდა.

აკაკი სულ ახალგაზრდა იყო. როცა ერთ კახელ აბელოვის ქალზე მიამბო, რომ მე ძალიან ვუყვარვარო, მაგრამ ოჯახს არ მოუშლი მე იმასო, არაფერს ვიკადრებო, მე ვუთხარი: რატომ ხარ ასე დიდი წარმოდგენისა-მეთქი, ქალს ქმარი უყვარს, შვილი და თქვენზე რატომ გადაირევა-თქო. ძალიან ეწყინა და სულ აპილპილდა.

აკაკის ცოლი უყვარდა. 1893 წელს ჩვენ თბილისში ათაბეგოვის სახლებში ვიდექით. ქვედა სართულში იდგა აკაკი. ჩვენ ზევით ვიდექით. მოვარდა აკაკი ჩემთან. ნატაშა მოკვდაო, ცრემლებსა ღვრიდა. ჩავედი დაბლა, ქალს ძლიერ ეძინა და გავაღვიძე. აკაკიმ გალანძღვა ძალიან იცოდა, მაგრამ გალანძღულს მეორე დღეს აქებდა. ხანდახან კარგად გამოგლანძღავდა და მერე გაიხითხითებდა. მე „ჟულიკს" მეძახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალების ერთმანეთზე გადაკიდება იცოდა ხუმრობით, მერე სიცილით კვდებოდა.

აკაკი გატაცებული იყო ბანქოს თამაშით. ხანდახან გული მოუვიდოდა ბანქოს თამაშის დროს. რომ წააგებდა ვერ შეამჩნევდით. ერთხელ ჩხუბი მოუვიდა გიგო წერეთელთან (გიგო კუტთან). აკაკი მას ნაღდად აძლევდა ფულს, გიგო წერეთელი კი სულ მომავლისათვის უდებდა, აკაკი გაფიცხდა და მიატოვა თამაში.

სიმღერა არ იცოდა. ეჯავრებოდა მრავალჟამიერი. ისე კი ძალიან უყვარდა მუსიკა. აღტაცებული იყო, როცა ჩონგურზე დაამღერებდნენ ხოლმე.

ერთხელ, ავად გახდა აქ (სხვიტორში) ზამთარში. სანახავად ამოვიდნენ: ექიმი ელიაშვილი, ბეგთაბეგოვი, ტასო და ვანო მაჩაბელი, გიგო დიასამიძე და სხვები, ამ დროს დაესწრო ვარინკა წერეთელი. სტუმრები ღამე სხვიტორში დარჩნენ. ზოგი ნიცამ წაიყვანა, ზოგი ჩვენ, ზოგი იქ დარჩა. ვარინკამ მაშინ უმღერა აკაკის „სულიკო“, ეს იყო მგონი 1896 წელს.

მწერლებიდან რაფიელ ერისთავი უყვარდა განსაკუთრებით.

სპირიდონ ივანეს-ძე ზაბახიძე—(48 წლის, სხვიტორის მცხოვრები, მიღებული აქვს შინაური სწავლა, სხვიტორის კოლმეურნეობის აღმრიცხველი—ბრიგადირი).

ჩასწერა გ. აბზიანიძემ

აკაკისთან მე ექვსი წლის განმავლობაში ხელზე მოსამსახურედ ვიდექი, 1909-დან 1915 წლამდე, ე. ი. აკაკის სიკვდილამდე. იგი ჩემს ხელზე მოკვდა. აკაკისთან მე მომიყვანა გიორგი ზაბახიძემ—ჩემმა ბიძაშვილმა, ის აკაკისთან დაახლოვებული იყო. მაშინ მე ვიყავი ასე 20 წლისა. აკაკიმ კარგად მიმიღო. ვთხოვე მოვეწყვე რომელიმე სასწავლებელში. მან თავისთან დამტოვა და დამპირდა მოწყობას, მაგრამ ომმა ხელი შემიშალა. მე დაინტერესებული ვიყავი აკაკის ნაწერებით და სიამოვნებად მიმაჩნდა მასთან ყოფნა და მერე აღარ მოვიწადინე წასვლა.

აკაკის არა მარტო სახლში ვემსახურებოდი, არამედ დავყვებოდი კიდეც სხვადასხვა ადგილებში: ქუთაისში, ხშირად თბილისში, ბათუმში, ფოთში.

აკაკი ხშირად განიცდიდა უსახსრობას; სხვიტორში უფრო მაშინ ჩამოვიდოდა, როცა ფული შემოაკლდებოდა, ჩაიკეტებოდა თავის ოთახში და თავისუფლად წერდა. ხშირად სადილსაც არ სჭამდა. თავისი უმთავრესი ნაწერები აქა აქვს დაწერილი. აკაკის 90 წლის და ჰყავდა—ანნა. როცა ის უშოვნიდა ფულს, აკაკი წავიდოდა საჩხერიდან ქუთაისში. საჩხერიდან სხვიტორში უფრო ხშირად ურმით ამოვიდოდა, ხან ეტლით. ძალიან ეშინოდა ეტლის. მაშინ ცუდი გზები იყო. ერთხელ მეეტლეს სადავე დაუსხლტა და აკაკიმ შეჰყვირა, მეც შემეშინდა.

აკაკის გლეხობა ძალიან უყვარდა, როცა თავდახსნაზე იყო საქმე, ჭილაძეები—ვალდებული გლეხები—მოვიდნენ მასთან და სთხოვეს თავი დაგვახსნევინეო. მან უპასუხა ჩემთვის ყველა თავდახსნილია, არავის არაფერს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთხოვო. გლეხებმა უთხრეს: ჩვენ ეგ არ გვჭირიაო, ჩვენ გვინდა საბუთები, რომ ამით დამშვიდებული ვიყოთ, ან რაც გნებავთ გადაგვახდევინეთო. აკაკიმ უთხრა, თქვენ მხოლოდ საბუთის შედგენის საფასური მიეცით და თავისუფალი ხართო და მართლაც გაანთავისუფლა.

მეტად უყვარდა გლეხებთან საუბარი, განსაკუთრებით აფასებდა ძველ გლეხებს, მოლექსეებს, ძველი ამბების მომსწრეებს. იმას უფრო აინტერესებდა ზღაპარი და ძველი ლექსები. მოიყვანდა გლეხებს და აამბობინებდა ხოლმე. მთელი მისი ნაწერი გლეხების ნაამბობზე არის აშენებული. მე მახსოვს, იყო ერთი გლეხი კიკოლა ტალახაძე და მისი ნაამბობის მიხედვით დასწერა კიკოლას ნაამბობი. მახსოვს, „კიკოლას ნაამბობი" რომ დაიწერა, კიკოლა ცოცხალი იყო. ეს ტალახაძე ძველი კაცი იყო და ლექსებს გამოთქვამდა ხოლმე. ძველი ამბები იცოდა.

აკაკის გატაცებით უყვარდა ბავშვები. ბავშვს რომ დაინახავდა, სიხარულით აღარ იყო. გლეხებს ყოველთვის რაიმე დახმარებას აღმოუჩენდა. იყო შემთხვევა, აკაკიმ არ მიიღო ჯრუჭის ეპისკოპოსი გაბრიელ აბაშიძე (აკაკის არ მოსწონდა იგი), და იმავე წუთში კი გლეხი არჩვაძე მიიღო.

აკაკი ოჯახში მშვიდი კაცი იყო, ოღონდ ძალიან აწუხებდა ცოლ-შვილის დიდი მოთხოვნილებები. აკაკის არ შეეძლო მათი დაკმაყოფილება. ცოლ-შვილი ზაფხულობით ჩამოდიოდა სხვიტორში. ორჯერ მოვიდნენ ჩემსას. ერთხელ შვილს ჩამოჰყვა ამხანაგი, მგონი ვასკრესენსკი. აკაკის არაფერი საშუალება არ ჰქონდა, აქ ღარიბად ცხოვრობდა. მაშინ სათავად-აზნაურო ბანკმა დაგირავებული მამული სხვიტორში სახლიანად უკანვე დაუბრუნა, მაგრამ აკაკიმ მეორეჯერაც და მესამეჯერაც დააგირავა. მისი ცოლი მიჩვეული იყო ფუფუნებას. მოსამსახურეებიც რუსეთიდან მოიყვანა. რის გამო აკაკი უკმაყოფილო იყო. ცოლი ყოველდღე ბანაობდა, მოსამსახურე ქალები წელში წყდებოდნენ წყლის ზიდვით და უკმაყოფილება განაცხადეს. ეს აკაკის ყურამდე მივიდა. აკაკიმ ამაზე ცოლს უსაყვედურა: რატომ აწუხებ ხალხს ამდენი წყლის ზიდვითაო? ცოლმა უპასუხა: ეს სისუფთავეაო. აკაკიმ ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: თუ ეს სისუფთავეს წარმოადგენს, მაშინ ბაყაყები უფრო სუფთა იქნებიანო. ქალს ეწყინა და ხელი ჩააქნია. მას შემდეგ ამ ქალს არ უცხოვრია სამ დღეს, უკანვე წავიდა. ცოლმა ქართული არ იცოდა. არც შვილმა. შვილი სადა და გულკეთილი კაცი იყო.

აკაკის ქალებთან მეგობრობა უყვარდა. მეგობრობდა ნიცა წერეთელს და ნანო წერეთელს (ბაგრატიონის ქალს). ძალიან გატაცებით უყვარდა ტასო მაჩაბელი. თბილისში, როცა მე მას ვახლდი, ალექსანდროვის ბაღის წინ რომ სასტუმრო იყო (მაჭავარიანს ეკავა), იქ ჩამოვხტით იქ მოვიდა ტასო. ჩანდა რომ აკაკის და ტასოს სატრფიალო განწყობილება ჰქონდათ.

აკაკის თავისი მოგვარე წერეთლები არ მოსწონდა. არ უყვარდა ბეჟან წერეთელი (ტასოს სიძე). მისი მეუღლე—ნიცა წერეთელი ძალიან სწამდა.

აკაკი პატივისცემით უყურებდა ფრიდონ და ამირიდონ წერეთლების ოჯახს. გლეხები, საერთოდ ყველა უყვარდა, გლეხებიდან აკაკისთან დაახლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებული იყო იოსებ გოშაძე, ხოჯანა სალარიძე, ბესარიონ არჩვაძე, პეტრე მაჭარაშვილი, ბერია ჭილაძე (ჩიხელი).

ქუთაისში აკაკი ძალიან ღარიბულად ცხოვრობდა. განსაკუთრებით მეგობრობდა მხოლოდ ზოგიერთ ოჯახებს. ასეთი იყო ხელთუფლიშვილების და და ნიკოლაძეების ოჯახი, ძალიან უყვარდა სერგო ბახტაძესთან სიარული. თბილისში—მაკო საფაროვასთან, ნინო ორბელიანთან, სოსიკო მერკვილაძესთანაც ჰქონდა მსვლელობა, მაგრამ აკაკის სოსიკო არ უყვარდა. ატყუებდა ხოლმე აკაკის.

აკაკი ჩაცმულობას ყურადღებას არ აქცევდა, რაც უნდა მიგეტანათ, ჩაიცვამდა.

როცა აკაკი საჩხერეში ჩამოვიდოდა, სრულიად დამშვიდებულად გრძნობდა თავს. ჰყავდა მოურავი დათია ბოჭოიძე. ერთხელ ამ მოურავმა სადილობის დროს კურდღელი მოუყვანა. აკაკიმ სთქვა, ახლავე გაუშვითო. დათიამ დაატყუილა, გაუშვიო და თვითონ კი დაკლა, სადილად მოუტანა. ეს მოურავი ეშმაკი კაცი იყო.

1906 წელს, როცა სახელმწ. სათათბირო გაიხსნა, საგუბერნიო მასშტაბით იყო წამოყენებული ვარლამ გელოვანი (ფედერალისტი). აკაკისთან ინტელიგენცია მოვიდა ქუთაისიდან (კიტა აბაშიძე, დავით აბდუშელიშვილი), აკაკიმ დაიდგა ყუთი. კიტამ გააფრთხილა: გაშავდებიო. აკაკიმ არა ქნა.—უნდა გავიგო წერეთლებს რამდენად უყვარვარო. საწერეთლოში გლეხებს უყვარდათ აკაკი, მაგრამ თავად-აზნაურობას არ უყვარდა. ამ არჩევნებზე გამოვიდნენ ძმები ფრიდონ და ამირიდონ წერეთლები. ჩვენს მეგვარეს აკაკი წერეთელს ახდილად ვაძლევთ ხმასო. დანარჩენი შავი მიიღო. აკაკის ეწყინა,

აკაკი გარეგნობით იშვიათი სილამაზის კაცი იყო. შუადღისას ადგებოდა, ღამე ხშირად თამაშობდა ბანქოს. თმა აბურძგნული გამოვიდოდა. ყველას გადმოხედავდა ღიმილით. პირველად კბილს გამოირეცხდა ჩოთქით, გადასარევი კბილები ჰქონდა, მერე პირს დაიბანდა ნელ-ნელა, მერე თმას, ხანგრძლივად უყურებდა სარკეში, ძალიან უყვარდა სილამაზე. ხელები ჰქონდა გასაგიჟებელი, გრძელი, ლამაზი თითები. თვალები თაფლის ფერი, ჟუჟუნა თვალები, გამომეტყველი და ნათელი სახე. იშვიათად იცოდა განრისხება. ერთი შემთხვევა მახსოვს, დასთან მოუვიდა ლაპარაკი და გაბრაზდა. თუ გაჯავრდებოდა ძალიან მწარე ენა ჰქონდა. შინაურებში ლექსის წაკითხვა არ უყვარდა.

აკაკის ლექსები ბევრი გადამიწერია. პოემა „ომი“ მთლიანად მე გადავწერე.

„ომი“ დასწერა დეკემბერში, სიკვდილის წინ. ის ამბობდა—მეფის რუსეთის ბედი ახლა წყდება და აუცილებლად დაინგრევაო და ახლა ქართველი ერი განთავისუფლდებაო. ჩემის ფიქრით „ომში“ ზოგიერთი ადგილი ცენზურის მოსატყუებლად არის შეტანილი.

ეს პოემა წაუკითხა აკაკიმ ვარლამ რუხაძეს და სხვა მწერლებს. მახსოვს ვარლამ რუხაძე პოემის დედა აზრს არ დაეთანხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკიმ ავადმყოფობა დაიწყო 1914 წ. დეკემბერში. მაშინ მე მასთან ვიყავი. იმ ხანად, როგორც მახსოვს, საქართველოსაც მოელოდა უშუალოდ ომის საფრთხე. მაშინ შეშინდა აკაკი და, როგორც გაიგო ეს ამბავი, იმ წუთში ენა ჩაუვარდა. მხოლოდ ესა თქვა: დამშვიდდით, ნუ შეშინდებითო (დეკემბრიდან ვიდრე—1915 წლის იანვრამდე—სიკვდილამდე აკაკი სხვიტორში იყო). აქ როცა მოვიდა, ავად არ ყოფილა, ოღონდ, როგორც ვთქვი, ენვერ-ფაშას ამბის გამო დამბლა დაეცა და ენა ჩაუვარდა. სიკვდილის წინ ნატრობდა, სხვიტორის სახლის ეზოში, ხეხილში დამასაფლავეთო. მაშინ ენა აღარ ჰქონდა, მაგრამ ხელით მანიშნა აქ დამასაფლავეთო. დამბლის დაცემის შემდეგ ცოტა ხანს იცოცხლა. ერთი კვირის შემდეგ მოუბრუნდა ენა და კიდეც წამოდგა და ქაღალდის თამაში დაიწყო, მაგრამ ვერ შესძლო და ისევ დაწვა. მერე აღარ ამდგარა. მალე ისევ დაება ენა და განუტევა სული.

გიორგი მაქსიმეს-ძე ზაბახიძე (65 წლის, სხვიტორის მცხოვრები უკანასკნელად ცხოვრობს სოფ. სპეცში).

ჩასწერა გ. აბზიანიძემ.

მე გახლდით აკაკის დის ანას ნათლული. ერთხელ ანასთან მივედი და სწორედ იმ დროს შემობრძანდა აკაკიც. პირველი ნახვა იყო ჩემი აკაკისა. ანა იყო ძველი სამღვთო წერილის მცოდნე ქალი. აკაკის შემოსვლისას ანამ ერთერთი მისგან ნასწავლი წიგნი გადმომცა. ეს იყო „დავითნი". აკაკიმ მოისმინა ჩემი წაკითხვა და შემეკითხა: „ნუ თუ მაგის აზრი გესმისო"? აზრის რა მოგახსენოთ—მივუგე მე—და წაკითხვა კი ასე ვიცი-მეთქი და წავუკითხე. ძალიან მოიწონა. აკაკის რჩევით მე ანამ გამგზავნა მონასტერში. ბავშვი ცოდვა არისო, აკაკიმ უთხრა, უსწავლელად ნუ დავტოვებთო, რადგან ასეთი ნიჭი აქვს, იქ გავგზავნოთ, სადაც კარგ ქართულს ასწავლიანო. ეს იყო 1889 წ. ანამ გამგზავნა ჯრუჭის მონასტერში. მე დავბრუნდი იქიდან სრული ქართულის ცოდნით 1897 წელს.

როგორც კარგი წამკითხველი, მე მოვხვდი საჩხერის მედავითნედ. ამგვარად, აკაკისთან დაახლოვება მარგუნა ბედმა. ამ წელს, 1897 წ., გამოიცა კანონი, რომლის მიხედვით მღვდლად ვერ ეკურთხებოდა კაცი, თუ რუსულად არ იყო აღზრდილი. აკაკიმ ამაში ქართული ენის დაჩაგვრა დაინახა და ძალიან აღშფოთდა, თორემ ხუცობა სრულიად არ აინტერესებდა. ქართული ენის დაჩაგვრის გამო უსაყვედურა ეპისკოპოზებს—ლეონიდეს და ბესარიონ დადიანს, რატომ თავს არ დებთ ქართულის გულისთვისო. მენდლების მიღებისათვის ზრუნავთ, სინოდს კი არ ებრძვითო. დიდი უკმაყოფილება შეიქნა. ლეონიდეს სთხოვა ჩემზედ, გამოვეცადე მღვდლობაში. ლეონიდემ უთხრა, მაგითი მე ეგ მღვდლობას წამგლეჯს და მრევლს მომთხოვს მერეო. აკაკიმ უპასუხა: მე წარმოვადგენ ნოტარიალურ ხელწერილს, რომ მრევლში არ გავუშვაო. ჩემთან ვიყოლიებო. ამის ხელწერილი დადვა აკაკიმ. ეს ხელწერილი ეხლა ჩემთან ინახება. ამის შემდეგ მე დავინიშნე მღვდლად აკაკის სასახლის კარის ეკლესიაში. ჩემს განკარგულებაში იყო აგრეთვე პატარა-კვერეთი—სამამაპაპეულო სამარხი აკაკისა. აკაკის შემოსავლიდან (სასახლეში) მე ვიღებდი ათის თავს, ამავე დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის მთელი სასახლის საქმეები და შემოსავალი ჩემს გამგებლობაში იყო, გარდა ნაწერებისა, რომელსაც იოსებ მერკვილაძე ეპატრონებოდა, თვითონ აკაკის არ ჰქონდა უნარი, რომ ასეთ ამბებს გამოჰკიდებოდა.

აკაკისთან გახლდით 1897-დან 1912 წ-დე. მღვდლობა იმდენად არ მტვირთავდა, რადგანაც მრევლი არ მყავდა. აკაკის ოჯახის საქმეებით კი ვიყავი დატვირთული. მაგალითად, მე მებარა ტყეები, რაც მას ეკუთვნოდა და ტყეებში ახოები—საყანეები. აკაკის ჰყავდა ნაყმევი გლეხებიც. მაგრამ არასოდეს მათთვის აკაკის არაფერი არ გადაუხდევინებია. აკაკის ჰქონდა ერთი პატარა აბანო—ჩიხაში. ორმოცი მანეთი წლიური შემოსავალი შემოჰქონდა. იჯარით იყო გაცემული სავანელ გრიგოლ აბაშიძეზე. სასახლე და ადგილმამული, რაც აკაკის ცხოვრებას შეადგენდა, მისი დის ანას სახელზე ითვლებოდა, რადგან აკაკის სიტყვით რომ ვთქვათ, ის ყოველდღე გადასახლებას მოელოდა რუსეთის მთავრობისაგან, რის შემდეგ მის ადგილ-მამულს კონფისკაცია მოელოდა. კაკალი მოდიოდა კვერეთიდან 60—კოდამდე. სიმინდი მოდიოდა გაბვეთში და გონჯიხევში. სიმინდი თითქმის 300—ფუთამდე მოგვდიოდა. ეს ყველაფერი ძლივს ყოფნიდა ამ სასახლეს. აქვე ტყე ჰქონდა გონჯიხევში, რომელიც იჭრებოდა და იყიდებოდა. წლიური შემოსავალი აქედან 500 მანეთი შემოსდიოდა. სასახლეს ჰყავდა ტყის მცველი, მაგრამ აკაკის არასოდეს არ დაუშლია რომელიმე გლეხისათვის ხის მოჭრა.

სასახლეში მოსამსახურედ იყო--დათია ბოჭოიძე—(ეთოში მცხოვრები). ხანგამოშვებით გვყავდა ტყის ყარაულად სანდრო ზაბახიძე, მოსამსახურედ—ნატალია მაჭარაშვილი. დათიამ არ გაუმართლა იმედი აკაკის, მარა სასახლიდან მაინც არ გაუშვა. ბევრი ცუდი საქმე ქნა, მაგრამ მაინც დატოვა—მაგაზე ნუ აწყენინებთო, ნუ გააგდებო მითხრა აკაკიმ.

ჩემს მეტი ტყის პატრონი არავინ ყოფილა. ექვს თვეს ქობულეთელი თათარი ჩამოვიყვანე ტყის დასაცავად, რადგან ძალიან ანადგურებდნენ, მაგრამ აკაკი ჩამოვიდა და გამაშვებინა. ზაფხულობით ჩამოდიოდნენ სხვიტორში ლოლიას (აკაკის შვილის—ალექსის) მეგობარი,—ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გრეკოვები. რუსები იყვნენ. ქალი კარგი ლამაზი იყო. ეს ქალი ლოლიას სატრფო იყო და ქმარმაც კარგად იცოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. აკაკიმ მითხრა, დღიურად აძლიე ხორცის და შაქრის ფასიო. სხვა ყველაფერი სასახლეში იყო. ისინი თვისად ცხოვრობდნენ, ჩვენთან არ სადილობდნენ. ლოლია მათ დროს არ ჩამოდიოდა. ისინი სამ ზაფხულს ჰყავდა აქ. ეს იყო, როგორც მახსოვს, 1908—9 წლებში. ლოლია სხვიტორში საერთოდ იშვიათად ჩამოდიოდა. იგი კარგი ცხოვრების მოყვარული კაცი იყო, არაფერს არ იკითხავდა, ხდებოდა თუ კეთდებოდა და არაფერი აქაური არ აინტერესებდა. მამას ხშირად აწუხებდა ფულზე. ქართული სრულიად არ იცოდა. ჩემი შეხედულებით აკაკის ვერაფერი წარმოდგენა ჰქონდა შვილზე. სიყვარულით კი უყვარდა. მისი ამბავი აინტერესებდა და სიყვარულობდა. შვილი მამის სიყვარულით რამდენად იყო აღფურვილი არ ვიცი, ოღონდ, როცა აკაკი გარდაიცვალა, გულით ტიროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის ცოლი, ჩემი შეხედულებით, პატიოსანი ქალი იყო. აკაკის ოჯახისა კი იმას არაფერი არ სწამდა, არაფერი არ აინტერესებდა. ქართული არც იმან იცოდა სრულიად. დიდკაცურად აღზრდილი იყო. ტანად მოსული ქალი გახლდათ, როგორც აკაკის ცოლს, ღმერთივით უყურებდა სუყველა. მაგრამ ქართული რომ არ იცოდა, არ მოსწონდათ და გულს არ იკარებდნენ, ანასთან მუსაიფიც კი არ შეეძლოთ. ანამ ერთი სიტყვა არ იცოდა რუსული. ნატალია პეტროვნა იწვა გვერდის ოთახში (ეხლა რომ ანიკო აბდუშელიშვილი დგას), დედა-შვილი ძალიან ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს, უერთმანეთოდ პურს არ სჭამდნენ. დედა ლოლიას მზეს იფიცავდა. ჩხუბი არასოდეს არ მოსდიოდათ ცოლ-ქმარს. ცოლი და შვილი ზაფხულობით მოდიოდნენ. ჩემს ხელში ორჯერ მეტად არ ყოფილან.

როსტომი არ მახსოვს. გაგონებით კი როსტომზე მხოლოდ ცუდი გამიგონია თვითონ აკაკისაგან. აკაკი ასე იტყოდა: ჩვენს შთამომავლობაში კარგი არავინ შეგვრჩებაო, სულ გაწყდება მამაჩემის ცოდვითო. იაპონიის ომის დროს 1904 წ. აკაკის ძმისწულს ოტო წერეთელს პარაკლისი გადუხადეთ, დავლოცეთ და ომში გავისტუმრეთ. დავბრუნდით იქიდან აკაკი, მე და ანა. ცოტა რომ გამოვიარეთ, აკაკიმ უთხრა ანას, ხომ მოგეწონა პარაკლისი, როგორ დალოცე შენი ძმისწულიო. ათასი რომ დალოცო არც ეგ, არც თათკა და არც საშა არ გადარჩებიანო (აკაკის დისწულები) ანამ უპასუხა: რატომ გაქვს აკაკი ასეთი მწარე ენაო? აკაკიმ უთხრა: მამაშენს იმდენი დანაშაული მიუძღვის, რომ მისი ცოდვა უწევთო. ამ სიტყვებზე ანა დაფიქრდა. მართლა ოტო მოკვდა, მეორე თვეზე მკვდარი მოვიტანეთ, ეს ორი ძმა დადეშქელიანები 1914-ში გერმანიის ფრონტზე დაიღუპნენ.

აკაკის დედა ეკატერინე აბაშიძის ქალი იყო. სახლში კნეინა ეკატერინეს ეძახოდნენ. ჩემს სასახლეში ყოფნისას ეკატერინე აღარ იყო ცოცხალი, მარა იქამდე ვიცნობდი. ეკატერინე თურმე ხალხს ეხმარებოდა ექიმობით, იმავე დროს იყო სოფლის დიდი მეურნე. დღესაც მოიპოება კვერეთში და გაბვეთში მისგან გაშენებული ას ძირამდე კაკალი, თავის ხელით დარგული. ჯორზე იჯდა, ისე დადიოდა და ბაღს აკეთებდა. ერთი საინტერესო ბაღია კიდევ მისი ხელით გაკეთებული,—კოტე წერეთლის ბაღად წოდებული. ექიმობა ნასწავლი ჰქონდა ფრანგი პატრებისგან, რომლებიც დიდ ოჯახებში ძველად განგებ იკალათებდნენ, გლეხობას წამლებს აძლევდა, მისგან ისწავლა ექიმობა მისმა ქალიშვილმა ანამ.

ანა თვითონ ხალისიანი ქალი იყო. თავის სიცოცხლე ქალწულობაში გაატარა. იყო დილა-საღამოს მლოცველი. ამავე დროს ასრულებდა ექიმობას. ხალხის ძალიან მოყვარული იყო და მიმღები.

აკაკი მე გავიცანი, როგორც ვთქვი, ჯერ კიდევ ჩემი ბავშობისას, 1889 წელს. 1897 წლიდან კი, როცა სასულიერო სწავლა დავამთავრე ჯრუჭის მონასტერში და სხვიტორში ჩამოვედი, უფრო დავუახლოვდი აკაკის. ამავე წლიდან მისი სასახლის გამგებელი ვიყავი; მოძღვარი 1904-დან შევიქენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის ამბების აღწერას დიდი ძალა უნდა. აკაკი ძალიან თავმდაბალი იყო, მასთან გულჩვილი. ჩემი მასთან სამსახურის დროს თითქმის ამ 15—წლის განმავლობაში მე არ შემხვედრია, რომ აკაკის გული მოსვლოდეს, ბევრი შეხვედრია ძალიან გულდამწყვეტი საქმე, მაგრამ ხელს ჩაიქნევდა და ის იყო მისი პასუხი, სიტყვით არაფერს არ იტყოდა. მაღალ წოდებაში მეზობლებს აკაკი არ უყვარდათ. ხშირი იყო შემთხვევა, რომ მეუბნებოდნენ: ნეტა ჩვენთან არ ჩამოხტებოდესო. ჩემი შეხედულებით, თავადებს იმიტომ არ უყვარდათ აკაკი, რომ მათზე მათრახულ ნაწერებს წერდა. გლეხობა აკაკის მოსვლას რომ გაიგებდა, გაბამდა აქ სიარულს. აკაკი თვითეულად ისე ეკითხებოდა მათ, თითქოს მოწაფე ეკითხება მასწავლებელსო. ბევრს სწავლობდა მათგან, ეკითხებოდა როგორ ცხოვრობთო, უეჭველად გვერდში მოისვამდა; თუ კი გლეხებში იყო რამე ზღაპარი, ლექსები და სხვა, ყველაფერს იწერდა. თავის დათიასაც ხშირად მოაყოლებინებდა. ტანს რომ დაიბანდა, გული ჰქონდა სუსტი, და მე იქ უნდა ვყოფილიყავი. დათია ზღაპარს მოუყვებოდა ხოლმე აკაკის. 1905 წელს ალიხანოვმა რომ საჩხერე დაარბია, განკარგულება იყო, ყოველ გლეხს მებატონისათვის უნდა გადაეხადა ორი წლის ნადელი ფულად. აკაკიმ კი ქვითრებზე წინ და წინ მომიწერა ხელი, ვითომ მიიღო ფული და კაპიკი კი არ მოატანია გლეხებს. აკაკი შვილივით ეექცეოდა გლეხს. აკაკის ჰყავდა ყოფილი ნაყმევი გლეხები: ეთოში, ორღულში, კორბოულში, და მერჯევში. იყო შემთხვევა, რომ აკაკის ტყეში გლეხმა ყარამან მაჭარაშვილმა დახერხა ფიცარი გასასყიდად; ჩვენ ჩამოვართვით, მაგრამ აკაკიმ უკანვე დაუბრუნა.

სხვიტორში აკაკი ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა. უფრო ივლისში და რჩებოდა სექტემბრამდე. მაგრამ ხშირად მიდიოდა ხოლმე უკანვე ხან ქუთაისში, ხან თბილისში.

აკაკი გარეგნულად ძალიან სასიამოვნო შესახედავი იყო. რაც უნდა ცუდ გუნებაზე ყოფილიყო, მაინც მცინარი სახე ჰქონდა. თვალები სანდომიანი, თაფლისფერი ჰქონდა; სიბერე რომ ეტყობოდა, იმდენი ხნის არ იყო. კბილები ჰქონდა უნაკლულო, გაღიმება უხდებოდა ძალიან; ბოლო დროს ცოტათი თვალის ქუთუთოები დაუზიანდა, მაგრამ არ აუშნოებდა. კაი შესახედავი კაცი იყო. სავსე მთვარეს ჰგავდა.

აკაკიმ ძილი იცოდა მაშინ, როცა მას დაღალავდა კითხვა და წერა. როცა აკაკი წერდა, უყვარდა რამდენიმე ხანს ფეხზე სიარული და ფიქრი, იცოდა ამ დროს ბუტბუტი. ხშირად თავის დაწერილ ლექსს იმეორებდა ზეზე მოსიარულე. მარტო უყვარდა წერა. უფრო თავის ოთახში. ხშირად აივანზედაც სთხზავდა. ქაღალდს მოითხოვდა, წერის გუნება რომ მოუვიდოდა. ერთხელ თავის სახლის წინ ხალიჩა ეგო; მე ბავშვი ვიყავი; ბნელი ღამე იყო; ამ დროს ამოატანა მთვარემ სერზე და გაანათა მიდამოები. აკაკიმ მოითხოვა საწერ-კალამი და ლექსად აღწერა ეს მიდამო:

ბნელით მოსილი საჩხერის არე
განისვენებდა ტკბილისა ძილით,
როს მთის წვერიდან გამოჩნდა მთვარე
და გადმოხედა კორდსა სიცილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხედა ცასა მან მყუდროებით,
რა ვერ შენიშნა მასზედ ღრუბელი,
მოსცურდა ნაზად, თავმოწონებით
და გადაკარგა მთებს იქით ბნელი.

მეტი აღარ მახსოვს.

ჩემთან აქვს მას დაწერილი „მამლის ყივილი“ (ეგ უნდა ყოფილიყო 1905—ან უფრო 1906 წ.). სხვიტორში დასწერა, თავის ოთახში, ჩემი იქ ყოფნისას. 1906, 1907-ში მე სულ მის ოთახში მეძინა. გულსუსტი კაცი იყო და არეულობა რომ დაიწყო, ცოტათი ეშინოდა. იყო შემთხვევა, რომ არეულობის დროს ახალთაობის სახელით ზოგიერთი გარეწარი ავკაცობდა. აკაკი ასე იტყოდა: მე გლეხებს ძალიან ვუყვარვარ და არაფერს მავნებენ, მაგრამ სხვები ისარგებლებენ და გლეხებს დააბრალებენო. ამ ლექსის წერას ბარე ოთხი დღე მოუნდა. 'მიგ ათას ცხრაას ხუთი წლის რევოლუციაა გამოყვანილი. 1905 წლის რევოლუცია ახარებდა, მაგრამ ამბობდა: „არ უნდა ავჩქარდეთ და ძალიან წინდახედულად უნდა ვიბრძოლოთო“. რევოლუციის დიდი იმედი ჰქონდა: საქართველო განთავისუფლდებაო, როცა 1905 წელს შეეხებოდა, აკაკი ყოველთვის ამბობდა:—მე ვერ ვიღებ სათანადო მონაწილეობასო, და ამაზე სწუხდა. „მამლის ყივილში“ თავის-თავი ჰყავს გამოყვანილი აკაკის. ნაძალადევში ეთქვა ერთ ყმაწვილს მისთვის შეუფერებელი სიტყვა: „ჰკუას ნუ გვასწავლი მოხუცოო“, და ეს ყმაწვილი გამოიყვანა „გადაპრეხილ“ ახალგაზრდად თავის ლექსში („წინ წამოდგა ახალგაზრდა, ულვაშები გადიპრიხა“...).

ბევრი ლექსი გადამიწერია აკაკისათვის. ლექსებს იშვიათად გადაშლ-გადმოშლიდა.

აკაკი ქალის დიდი პატივისმცემელი იყო საერთოდ. უყვარდა მათთან საუბარი, ქალალდის თამაში. ტასო მაჩაბლის სახლში ხშირად ცხოვრობდა და იმ ქალსაც უყვარდა აკაკისთან მოსვლა სხვიტორში. აკაკი ეტრფოდა ტასოს. ეს უეჭველია. თუ მაჩაბლისას არ გაჩერდებოდა აკაკი, მაშინ სასტუმრო „ფრანციაში“ ჩამოხტებოდა (ძველად რომ სემინარია იყო). იქ ტასო მოდიოდა ხშირად და მარტო რჩებოდხენ.

ერთხელ, სხვიტორში მოვიდა ტასო თავისი ამალით—კნეინებით. აკაკის არ ჰქონდა შესაძლებლობა ტასოსთან საუბრისა. აკაკიმ მოიწყინა და დაიწყო აივანზე სიარული. ტასო მშვენიერი ქალი იყო, ძალიან სანდომიანი სახისა. ტკბილი მოსაუბრე. აკაკის იმასთან ყოფნა ერთი საუკუნე არ მოწყინდებოდა. პატივისცემით ახსენებდა ხოლმე.

სხვათა შორის, აკაკი ეტრფოდა ერთს, ძალიან ლამაზ სოფლელ ქალს. ახალგაზრდა ქალი იყო. სახლშიც იდგა ჩვენთან სხვიტორში თითქოს მოახლედ. შემდეგში იმ ქალს ვიღაცის ტრფიალი შევნიშნეთ და სასახლეს მოვაცილეთ. ეს იქნებოდა ოთხმოცდაათიან წლებში.

აკაკი გულით უსაზღვრო კაცთმოყვარე იყო. ჩიტის გული ჰქონდა. ყოველი დაჩაგრული ეცოდებოდა. გაგიჟებით უყვარდა ბავშვები. ბავშვებში მთელი საათობით თამაშობდა და ალერსობდა, თვითონაც გაბავშვდებოდა სულ პირი ულიმოდა.

B-154 6565

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბელ სადუნიშვილი (104 წლისა, სოფ. ტყემლოვანის მცხოვრები, გარდაიცვალა 1940 წ. დეკემბერში). ჩასწერა თ. ოქროშიძემ.

მე და აკაკი ერთად გავიზარდეთ სოფელ სავანეში. მე აკაკიზე უფროსი ვიყავი ოთხი წლით. მე და აკაკი მისი ძიძის მანო სადუნიშვილის სახლში ვიზრდებოდით. მანოს სახლი ედგა სავანის ეკლესიის გვერდით, აკაკის განსხვავება სოფლის ბიჭებისაგან არ შეიძლებოდა, ჩვენთან ერთად დარბოდა და თამაშობდა, ერთად დავდიოდით სათევზაოდ. თამაშის თავი იყო, ძალიან ცქვიტი და ცოცხალი ბავშვი იყო, თავისი ძიძა მანო გიჟდებოდა აკაკიზე. მახსოვს ერთხელ, როცა აკაკის იუბილე იყო 1908 წელს თბილისში, აკაკიმ გამახსენა ჩვენი ბავშვობის ამბები.—„გახსოვსო მითხრა, ჩოტი რომ ჩამარტყი თავშიო“. მართლაც მეც გავიხსენე, რომ აკაკის ჩოტი ჩავარტყი თავში ხუთი-ექვსი წლის იქნებოდა ის, მე ცხრა-ათი წლისა. სადუნიშვილები ღარიბად ცხოვრობდნენ, პატარა ღარიბული ქოხი ჰქონდათ, მაგრამ აკაკის არაფერს არ აკლებდნენ, თავზე ევლებოდნენ. მახსოვს რამდენჯერმე საჩხერიდან ჩამოვიდნენ აკაკის მშობლები დიდის ამალით. ჩვენ ბავშვები ჩირგვებში ვიმალებოდით და იქედან ვიყურებოდით. მშობლებს საჩუქრები ჩამოჰქონდათ აკაკისთვის, როცა ისინი უკან გაბრუნდებოდნენ, აკაკი ყველაფერს ჩვენ დაგვირიგებდა— სოფლის ბავშვებს.

ხშირად გვიყვარდა თამაშობა სავანეს ეკლესიის ეზოში. „ხშირად ვთამაშობდით „ქორაობას“, „დანა-სობიას“ თამაშში აკაკის არავინ სჯობდა, ძალიან ფეხმარდი იყო. აკაკი პატარ-პატარა ლექსებს ამბობდა ხოლმე, ყველას რამე საკვიმატო სახელს შეგვარქმევდა. მე მასზე უფროსი ვიყავი და ისე გაფრინდებოდა, რომ ვერ ვეწეოდი.

აკაკის ბავშვობის მეგობრები იყვნენ აგრეთვე მისი ძიძის შვილები: ამბაკო და გაიანე. ამბაკო სულ მისი კბილა იყო, ერთ ძუძუს სწოვდნენ, ძალიან უყვარდა აკაკის. გაიანე კი ცოტა უფროსი იყო. გაიანე აკვანს ურწევდა ამბაკოს და აკაკის ხელითაც კი ატარებდა.. აკაკიმ ძალიან შეინახა მათი სიყვარული. ხშირად მოიგონებდა ხოლმე, ძღვენსაც გამოუგზავნიდა. გაიანეც ხშირად ჩადიოდა საჩხერეში აკაკისთან.

თავისი ძიძა მანო აკაკის დედაზე ნაკლებ არ უყვარდა. როცა წამოიზარდა ნახულობდა ხოლმე. გულში ჩაიკრავდა. დაასაჩუქრებდა. თავისი ბავშვობის ამბებს ათასჯერ გაამეორებინებდა.

როცა აკაკის იუბილე იყო 1908 წელს, აკაკისთან თბილისში ჩავიდა გაიანე და სხვასთან ერთად მისი აკვანი ჩაუტანა.

ამბაკო სადუნიშვილი უდროოდ დაიკარგა. მღვდლის ცოლს ჰყვარობდა და ამისათვის გადაასახლეს. ახალგაზრდა ვაჟკაცი მოკვდა გადასახლებაში. სავანე მერე მოშენდა, აკაკის დროს არ იყო ასე დასახლებული.

ხოჯანა სალარიძე (85 წლისა, სოფ. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი). ჩასწერა თ. ოქროშიძემ

16—17 წლის ვიყავი როცა როსტომთან დავიწყე სამსახური. როსტომი ავი კაცი იყო, რამდენი კაცი დაუგლახაკებია იმას. ბატონ-ყმობა რომ გაყრილა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ დავბადებულვარ. მანამდე როზგს ურტყამდა თურმე გლეხებს, ბოქაულს ან „სტრაჟს“ აცემინებდა.

აკაკის დედა კიდევ მეტი ავი იყო როსტომზე. მოსამსახურეებს ხშირად ლახავდა, ასე ეუბნებოდა თავის ქმარს: „შენ აშვებული გყავს ხალხი, მაგრე არ უნდაო, მაღლა უნდა ჩამოკიდოო, ტყავი უნდა გააძროო“

ვიმსახურე 11 წელიწადი. მოსამსახურედ, ლაქიად. უბრალო მოახლეები როსტომის სახლში ვერ შემოვიდოდნენ. ჩემს მახსოვრობაში ორი მოურავი იყო: საჩინო ცქიტიშვილი, თომა წერეთელი. თომა რადგანაც თავადი არ იყო წერეთელას ვეტყოდით. ისინი უბრალოდ ვერ შემოვიდოდნენ. იკითხავდნენ, ბატონს დრო აქვს თუ არაო?

როცა ძღვენს მოუტანდა გლეხი, მოშორებით გაჩერდებოდა სახლიდან; მე გავიდოდი, ან მოახლე გავიდოდა ფოდნოსით, ზედ დავალაგებდით ძღვენს და ისე შემოუტანდით ბატონს. როსტომი ერთს აწევდა თავს, არც მადლობას იტყოდა და არც არაფერს.

ძღვნად მოიტანდნენ ცხრა ხაჭაპურს; ქვევით ფიცარი ჰქონდა და ზევით ფიცარი და ზედ შემოკრული იყო თოკი. დიდი ხაჭაპურები იყო და უფიცროდ დატყდებოდა. ხაჭაპურებს გარდა იყო ცხრა გომიჯი (ხმიადად გაკეთებული), ბუმბულივით თეთრი იყო, რგვალები, ძალიან სქელი და პატარა, ერთ კვირას არ გახმებოდა. ძღვენში კიდევ უნდა ყოფილიყო ან ცხვარი, ან ინდოური. ხილი არ მოჰქონდათ.

აკაკი ეჩხუბებოდა მამას: „მამა, ნუ აწვალებ ამ ხალხსაო, ეს ხუთი სასიმინდე სიმინდი რად გინდაო, ამ მეოთხედებს რატომ იღებ ხალხისაგანო, შენ ორი პური გეყოფა დღეშიო, მე გარჩენო“.

მამა ეტყოდა: „რავა გეკადრება, შენ, ყმაწვილო მაგისთანა ლაპარაკი, ჩემს საქმეებში ნუ ერევიო“. აკაკი სულ მაგას ჩხუბობდა. სხვას არაფერს.

ძალიან ავი კაცი იყო როსტომი, ქვეყანას ეშინოდა მისი. დიდი მამული რომ ჰქონდა, ქვეყანა დაკრეფილი ჰყავდა, დაპყრობილი. როსტომზე მდიდარი თავადიშვილი არ ყოფილა აქ. სამი თავადი იყო მაგის მენახევრე: ნიკო, ასლან და გიორგი წერეთლები. იმ სამს რომ ბევრი ჰქონდა, იმ სამთავეს ნახევარი ჰქონდა როსტომს. აბა იფიქრეთ, რამდენი ექნებოდა? თერთმეტ სოფელში ჰყავდა ყმები: სხვიტორში, ეთოში, ეხვევში, მერჯევში, საირხეში, ორღულში, ბჟინევში, ღუნდეეთში, ქორეთში, წირქვალში და თავასაში. თავასა ქუთაისთან ახლო არი და მეოთხედი იქვე მიჰქონდათ და ჰყიდდენ ბაზარში.

ჩვენს დროს მეოთხედები მოჰქონდათ ნადელებიდან. თუ დააგვიანდებოდათ, ან დააკლდებოდათ მოურავი ბოქაულს გაუგზავნიდა და გლეხს ტყავს აძრობდნენ.

სუდი კი ვერ შეეხებოდა ბატონის და გლეხის უთანხმოებას.

„მიროვოი პოსრედნიკად“ ჩემს დროს იყო რაჭველი იარაპოტიმე მაჩაბელი. ბოლო დროს ილარიონ გამყრელიძემ წამიყვანა ყმასავით. როსტომს მისი ვალი ემართა და იმას გადამცა როსტომმა. ავი კაცი იყო ის გამყრელიძე,—სამი თათარი ჰყავდა მცველებად. 1905 წლის შემდეგ ამ თავადებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აზნაურებს, მემამულე ვინც იყო, მცველებად ჰყავდათ 4—5 კაცი, ზოგს 3—ქობულეთელი თათარი.

ჩემმა ახალმა ბატონმა, პირველად შარი. მომდვა, მეოთხედი ყურძნად მომიტანეო. „მიროვოი პოსრედნიკს“ ეწერა კანონში, რომ ეს არ შეიძლებოდა. უნდა მიგვეტანა ტკბილი. მე ყურძნით არ მიუტანე, მერე თათრები შემომისია და გალახვას მიპირებდნენ, იმათ გავექეცი, „მიროვოი პოსრედნიკთან“ ვუჩივლე და აღარაფერი არ მისცა იმ მამულიდან, სულ მე დამრჩა. ეს სანადელო მამული იყო. სანადელო მამული ისე გამოდიოდა, რომ თავადისაც იყო და გლეხისაც, თავადი ვერ გაყიდდა და გლეხს კი შეეძლო შეესყიდა თავადისაგან. ამას ეტყოდნენ თავდახსნას, „დოლოვორს“ მიროვოი პოსრედნიკი გააკეთებდა. ამ ნადელიდან მეოთხედს აძლევდნენ თავადს ან აზნაურს. ჩამონაჭერი ეკუთვნოდა მარტო ბატონს, მარა ხანდახან ნადელში მოაქცევდა. ზამთრობით როსტომი ქუთაისში ცხოვრობდა, იქ სხვის სახლებში იდგა. ზაფხულში რა დააყენებდა! როსტომი გლეხის ქალს, არც თავადისას სხვანაირად არ შეხედავდა; თუ ვინმეს რამეს ამისთანას გაუგებდნენ, სულ დაკარგავდნენ. ის რომ მოკვდა მას უკან კი ხდებოდა ხოლმე გოგობიჭების ეშმაკობა.

ბატონ-ყმობის დროს მოახლე ყოლოდათ ერთი, თამარა. როცა როსტომი ქუთაისში წასულა, მაშინ მოურავს თომა სადუნიშვილს შეუცდენია თამარა. მაშინ ლექსი გამოუთქვამთ.

რომ შეწყრა ბატონი თომა გაიქცა, დასაჭირავად დაადევნა ბოქაული, მერე მიიმწყვდიეს სახლში და დაიჭირეს. დაიწყო ტირილი, ძმებს შეეცოდათ და კეტებით გამოიჭრენ (ორმა ძმამ ნიკომ და გიორგიმ), ბოქაულები დალახეს. მაშინ სამივე ძმა დაიჭირა „ნაჩალნიკმა“. სამივე ისე დალახეს, რომ მორჩენა გაუჭირდათ. აყარა თავის ცოლშვილით სამივე და მთის ადგილს დაასახლა—მერჯევიდან კორბოულის ტყეში.

როსტომი არ იყო ცუდი შესახედავი, მაღალი ტანის იყო და დიდი სახე ჰქონდა (აქ, ვასიკო აკაკის ძმისწული იმას ჰგავს სულ). როსტომს სამი ვაჟი ჰყავდა: დავითი, ილიკო, აკაკი. ილიკო ადრე მოკვდა, მაგაზე უკეთესი კაცი წერეთლებში არ იყო. ილიკო აკაკიზე უფრო ლამაზი და უფრო ნასწავლი იყო, ჩერქეზულად იცვამდა. როსტომიც ჩერქეზულად იცვამდა. სწავლა არ ჰქონდა, ძიგძიგით მოაწერდა ხელს. ეხლა რომ კანტორაა, იქ ბაღი ჰქონდა, შუაში აუზი იყო თევზებით სავსე, იქ ზარს რომ დაკრავდენ თევზები შემოიკრიბებოდა მაშინვე, ძალიან მოწყობილი იყო, ყველას უკვირდა მისი თევზები.

წირქვალურ პურს სახლში არ შემოატანინებდა, იქაე ხსნიდა (ჰყიდდა), უგემური იყო, სხვა ადგილებიდან ბევრი პური მოსდიოდა. ბიჭებს როსტომი ჭადს აჭმევდა, ამაზე მოდიოდა გული აკაკის: „ამდენი პური გაქვს, პური აჭამე ბიჭებსო“. ერთხელ როსტომს ფეხი ეტკინა, ქუთაისიდან ექიმი მოიყვანეს, მაგრამ არაფერმა უშველა, მოკვდა.

აკაკი სტუმრად მოდიოდა მამასთან, მე ვემსახურებოდი, ლოგინს დაუგებდი, ჩაის მივართმევდი. სულ ყოველ მეხუთე დღეს ვბანდი ტანს, მისთანა იყო აკაკი ტანზე, როგორც რომ თეთრი თოვლი. მსუქანი იყო. ღამეს აკაკის ვუთევდი ოთახში, ცეცხლი უნდა მენთო. იგი სულ წერდა გათენებამდე. ადგებოდა, მიიღლიდა, მოიღლიდა, ცეცხლთან მივიდოდა და წერდა ისევე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაიანე ყანჩაველი. აკაკი წერეთლის ძიძის შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენებისას დაწვებოდა და იღვიძებდა გვიან, გლეხიკაცის სადილობას რომ ვიტყვით ჩვენ,—მაშინ გაიღვიძებდა. მაგისთანა კაცი არ დაიბადება, ოქროსავით კაცი იყო, აცხონოს ღმერთმა.

დაილაპარაკებდა ნელა, სიტყვას იტყოდა ღრმას, ხშირად ხუმრობდა. რომ გაიცინებდა, წარბებს გაშლიდა—დიდი სანახავი იყო, თავი მაღლა ეჭირა, გაწყრომა იმან არ იცოდა.

აკაკის დიდი სიყვარულით ჰხვდებოდნენ გლეხები, მიდიოდნენ მასთან, ელაპარაკებოდნენ; რჩევას ეკითხებოდნენ. დიდ პატივს სცემდა, სადილზე მიიპატიჟებდა, არ შეიძლებოდა უსადილოდ გაეშვა. პატარა ბავშვსაც ამხანაგურად ელაპარაკებოდა, შაირები უყვარდა.

აკაკი თავადიშვილებს ყველას სძულდა, რომ გლეხის მხარეზე იყო, გლეხი ებრალებოდა, იმას დაადგეს ნათელი.

აკაკი სათევზაოდ ხშირად დადიოდა, დაჰკირავდა წყალს, ჩიხურას ზემოთ აჰყვებოდა ხოლმე. წერის დროს ადგებოდა, ბაღში ჩავიდოდა, მერე დაჯდებოდა და დაწერდა. ჭიათურის მადანი აკაკიმ აღმოაჩინა: სამი დღის მოსული იყო რუსეთიდან სხვიტორში. ჭიათურას თავზე ერთი თავადი ესახლა, დავითიშვილს ეძახდნენ, თავადიშვილები დაჰპატიჟა, მათთან აკაკიც. იქაურ გაფრინდაშვილებს შავი ქვის პლასტები გაეკეთებიათ ყორედ. აკაკიმ რომ დაინახა, მივიდა, მოტეხა. მოტეხილი მზეზე ბრჭყვინავდა. აკაკი გადაირია: რა ვნახე და რა ვნახეო! თავადებმა თქვეს:—ნამდვილად ჭკუაზე შეიშალაო, ერთი სადილი მაინც მოგვესწროო! აკაკიმ ისადილა, მასპინძელს ცხენი გამოართვა და ქალაქში წაიღოს შავი ქვა. მერე იტალიანები ჩამოიყვანა. ფრანცუზებიც ჩამოვიდნენ, გზები გაიყვანეს და წარმოება დაიწყო.

აკაკიმ ერთი გლეხის შვილი აკურთხებინა მღვდლად, მასთან ბაზრელი მღვდელი დადიოდა ხშირად; იმან უთხრა ერთხელ: მადლობასა გწირავთ, ბატონო, რომ გლეხის შვილი მღვდლად აკურთხეთო.—გაგეხარდათ, ერთი „მაშენიკი“, შემოგემატათო—უთხრა აკაკიმ („მაშენიკებად“ მონათლა მღვდლები).

ერთი იოსებ მოსიაშვილი იყო, როსტომის ყმა, ხშირად აბრაზებდა ბატონს. დაწერა როსტომმა ქაღალდი და ამ მოსიაშვილის ხელით გაუგზანა ნაჩალნიკს —ეს ყმა მაწვალებსო! ჰო და მიუტანა ნაჩალნიკს. წაიკითხა და უთხრა; გაგიწვალებია ბატონიო. გადმოაბრუნეს ეს კაცი და სცემეს და სცემეს. თავისი გასალახი ქაღალდი თითონ მიიტანა.

ნატალია მაჭარაშვილი (120 წლისა, ს. სხვიტორის მცხოვ. წერა-კითხვის უცოდინარი). ჩასწერა თ. ოქროშიძემ.

მე აბრამიშვილის ქალი ვარ სოფ. სარეკიდან. სამი დღის მოყვანილი ვიყავი რძლად, როცა აკაკის სახლში წამიყვანეს. აკაკი ჩემი დედამთილის ძუძუს ნაწოვარი იყო, იმიტომ მიმსახურეს მე.

აკაკი ახლად დაბადებული სავანეში გავაბარეთ, სოფელში უნდოდათ რომ გაეზარდათ, ამიტომაც იყო რომ აკაკის სოფელი საოცრად უყვარდა.

აკაკის მშობლები მდიდარი მებატონეები იყვნენ: ბევრი მამულები ჰქონდათ, ბევრი ყმა ჰყავდათ ღუდეეთში, წირქვალში და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვერეთის სასაფლაოზე სამოცი ძირი კაკალი იყო მისთანა, რომ იტყოდი, რა ამბავია ესო. ავიდოდით, მუშას წავიყვანდით: მომრეკებს, მბოჭებს, დავბერტყდით კაკლებს. ერთხელ სამოცი კოდი კაკალი ჩამოვიტანეთ, ურმებით ჩამოვზიდეთ.

ერთხელ ეკამ ცხრა ქალი დაგვპატიჟა, ერთი ბელელი პური გამოყარა. ეს პური დავცხრილეთ, ერთი ძროხა დაგვიკლეს და ბოლოს ნაცხრილავი პური ქათმისათვის გამოგვატანა შინ. ვისაც პურის ნაკლებობა გვქონდა იმას თითო კოდი პური დაგვირიგა.

კოლექტივის სახლი რო დგას ახლა, იქ აუზი ჰქონდათ, ოთხნაირი თევზი იყო შიგ. რო დაკლავდნენ ცხვარს, შიგნეულს თევზებს ჩაუყრიდნენ, კარგი სანახავი იყო. მერე წყალმა მორეშა აქაურობა. ეკას აუზის გვერდით წამლის ბალახები ჰქონდა დათესილი. კაი ექიმობა იცოდა.

მოტყიერობას მთელი თავადების ჯალაბობას ხორაგი უნდა მოეტანათ საყდარზე. გლეხები მოვიდოდნენ სვამდნენ და სჭამდნენ, ღვინო გობიდან უნდა დაელიათ. ერთი კირვალიძე იყო, ფქვილი მოქონდა გუდით; გუდიანად დაეყუდა ღვინით სავსე გობს, გუდიდან ფქვილი გადმოიყარა და გობი აივსო. აკაკი ხშირად დადიოდა მოტყიერობაზე.

როსტომი არ დაიარებოდა თავადებში, ეზარებოდა სიარული. კაკლის ქვეშ ერთი ბრტყელი ქვა იდგა, იქ ჩავიდოდა. წიგნის კითხვა უყვარდა. დაიდებდა წიგნს და კითხულობდა.

ეკა დიდი მორწმუნე ქალი იყო. სულ ლოცულობდა. ანა კარგი მკითხველი იყო, სამღთო წერილი იცოდა კაოგად. დიაკონი როცა არ იყო, ის კითხულობდა წიგნს ეკლესიაში. ქალაქიდან რომ მოვიდოდა აკაკი სასახლეში—ნაცარდაყრილი მჭადი გამომიცხვეთო—მეტყოდა. ძალიან მხიარული ბავშვი იყო, თან ნიჭიერი, სწავლისაკენ ჰქონდა გულისყური. თევზაობა უყვარდა. ჩიხურა ახლოს ჰქონდა, როცა ჩავიდოდა წყლიდან აღარ ამოვიდოდა. აკაკი ზამთრობით ამოდიოდა სხვიტორში, გაატანდა ასე ორ კვირას, სამ კვირას.

აკაკიმ სტუმრიანობა იცოდა მალმალე. ქალაქიდან მოდიოდა ხალხი, წერეთლობაც ხშირად დადიოდა, სულ ქალალდს და ნარდს თამაშობდნენ.

აკაკის ლობიოსავით არაფერი უყვარდა,—რაც გინდა გაეკეთებინათ სხვა, ლობიოს ამჯობინებდა! ლობიოს პარკი რომ შეჭკნებოდა, მიმაყენებდა, გამარჩევიებდა. ფხალეულობაც ძალიან უყვარდა. ხილიდან ვაშლი, მსხალი, ბია და ყურძენი ერჩივნა.

დილით ან რძეს მიირთმევდა, ან ჭიქა ჩაის, ყველს კაკალი ერჩია, გამარჩევინებდა, მომახარშვინებდა და იმას მიირთმევდა. ღვინოს ბევრს არ დალევდა, ერთი სამი ჭიქა იქნებოდა თუ ოთხი. არაყს სულ არ მიიკარებდა. მთვრალს როგორ ნახავდით!

კამპანია რომ ჰქონდათ სხვაგან, იქ არ მიდიოდა. ელისაბედ წერეთელი და აკაკი კარგად იყვნენ ერთმანეთში, ხანდახან მასთან წავიდოდა.

ერთხელ ელისაბედმა დაჰპატიჟა. გუბერნატორი ჰყავდა სტუმრად და თავადები. მივიდა აკაკი, ცოტახანს იჯდა, არც პური ჭამა, ლანძღვის წერილი დატოვა, თითონ წამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტასო მაჩაბელი ხშირად დადიოდა სტუმრად, ბიჭს წამოყვებოდა, დიდხანს საუბრობდნენ ის და აკაკი. ერთხელ ბეჟან წერეთელი ადგილს ყიდულობდა. აკაკიმ უთხრა: რათ გინდა ადგილს რო ყიდულობო, მიწა ვინც მუშაობს იმისიაო. მე და შენ სათოხნად ხომ ვერ წავალთ, პირის გემოს მიყევი, ისა სჯობიაო.

კოტე წერეთელმა გააფრთხილა:—„აკაკი, აქ გლეხები ყიდულობენ ალაგს და რად გინდა შენს ახლოს გლეხები დასახლდნენო“.

— მე და შენ კოტე რო დავბერდით, ჭკუა გამოგველიაო, შენ რა გენაღვლება, ხალხი მომრავლდესო, უწინ 9 მილიონი ვყოფილვართ ქართველები, ეხლა სამიც არა ვართო.

კორბოულიდან ერთხელ ალექსი ბასილიძე მოვიდა, სამი ბათმანი პური მოეკიდა ზურგზე და მოიტანა.

— შე დალოცვილოო!—უთხრა,—წისქვილები აღარ იყო თქვენშიო, ვერ დაფქვი და ბავშვებს ვერ აჭამეო? მერე დამიძახა:—ნატალია, პატივი ეცი ამას, სადილი აჭამეო! მერე ის პური მოჭკიდა ზურგზე და უკანვე გაატანა.

ერთხელ, მელა შესულიყო საქათმეში, დავიჭირეთ ჩვენ და ოთახში დავამწყვდიეთ. აკაკიმ გაიგო:—რა ჭქენი, დათია, მოჭკალი ის მელაო?

— არა, არ მომიკლავს ჯერ ბატონო!

— თუ კაცი ხარ გაუშვიო!—შემოგვეხვეწა ძალიან.

— როგორ გაუშვა ბატონო, ქვეყანა ამოაგდო ქათმები გამიწყვიტაო!—უარობდა დათია, მარა აკაკი იმდენი ეხვეწა, რომ ბოლოს გააშვებინა მელა.

სააღდგომო ღორი გვყავდა დასაკლავი:—ერთი მაჩვენეთ ის ღორი.—საღორეში ჩამოვიდა, დასაკლავმა ღორმა თავი ასწია და შეღრუტუნა.

— უიმე! ეს ღორი არ დაკლათო! რა ქნა თუ იცით ახლა მაგანო. შემომეხვეწა, არ დამკლათო!—აღარც დაგვიკლავს ის ღორი.

როცა ჩამოვიდოდა, სულ წერდა, მისი ხელი არ გაჩერდებოდა. დაჯდებოდა, მეც დამსვამდა, მკითხავდა: რა მცენარეს რა სახელი ჭქვიაო, რა სოკოს რა სახელი ჭქვიაო, დაწერდა ყველაფერს.

აკაკის დაი ანა ღვინის მოყვარული იყო ძლიერ. იმან ითავა: ცხრა კაცი მოაყვანინა და ვენახი გადააბრუნეს, იმათ სადილს სულ მე ვამზადებდი.

ანას თუ მე არ მოვკიდებდი ხელს, ისე ვერ გაივლიდა, ეკლესიაზე ურმით მიგვყავდა, მერე ქუთაისში წავიდა, წელის და მუხლის აპარატი გაუკეთეს და იმითი ნელნელა დადიოდა, სახლში გაივლიდა.

ანა ლექსებს წერდა, აკაკის მოეწონებოდა ხოლმე. ანას უმცროს დას მატა ერქვა, ის უფრო მელექსე იყო. მატა გათხოვილი იყო სამეგრელოში, დადიანზე, ერთი შვილი დარჩა.

აკაკი მეტად ჯავრობდა იმის სიკვდილს. სამეგრელოში წავედით ყველანი; აკაკიც იყო, როსტომიც და ეკაც, იქიდან წამოვასვენეთ საწყალი.

ჩვენ კორკოტობა ვიცოდით, რო გავაკეთეთ, აკაკის მიუტანე ერთხელ ერთი თეფში. მითხრა: ჩაი რომ დალიონ, მერე მომიტანე, თორემ არ მაჭმევენ, გაწყენსო. მეც, რო დაღამდა, ჩაის მერე, მოვრეცხე ტაფა, კორკოტი გავათბე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მივართვი. ჭამა, ძალიან ეამა. იმ ღამეს დამბლა დაეცა. მაინც იმედი ჰქონდა რომ ადგებოდა, მითხრა: მღვდელმა უჩემოდ არ სწიროსო. მორწმუნე იყო.

როგორც მამის შვილი ისე მითვისებული ვყავდი. ექვსი კვირა სკამზე ვიჯექი, ტანისამოსი არ გამიხდია. ექიმები რომ მოვიდნენ და ბჭობა ჰქმნეს: ვინ დავიჯინოთ ახლა აქაო,—

— ჩემი ნატალია მომიყვანეთო—სთქვა აკაკიმ.

წურბლები მოკიდეთო—თქვეს. შემეხვეწა:—არ მომკიდო შენ გენაცვალე, იმ წამსვე მოვკვდებიო.

გვეხვეწებოდა სიკვდილის წინ: ჩემი საყდრის წინ დამმარხეთო, ჩემს ეზოშიო,—ხალხმა არ დაგვანება.

ამ დროს მონატრული იყო. იტყოდა თავისუფლების დრო მოვაო. კაცი თავისუფლებისთვის არის გაჩენილიო.

ზაქარია იაკობაშვილი (80 წლის, ს. ჩიხაში მცხოვრები, წერა-კითხვის მცირე მცოდნე)
ჩასწერა თ. ოქროშიძემ.

როსტომ წერეთელი ძალიან მაგარი კაცი იყო, ყმებს მკაცრად ექცეოდა.

ყმებს ზოგს ხელზე მოსამსახურეობა ემართა, ზოგს ღვინო, ზოგს პური, ზოგს ფული, ზოგს გზის კეთება და სხვ. ყველა ამ თავის ბეგარას იხდიდა და ასრულებდა, არც მეტს გააკეთებდნენ და არც ნაკლებს.

ერთხელ, როსტომმა ერთ ყმას ჭურის გარეცხვა უბრძანა, ყმამ უთხრა: არ მმართებს ვალადაო და არც გავრეცხავო. როსტომი ძალიან გაბრაზდა: ჩააგდეთ ჭურშიო—ბრძანა. ჩააგდეს ყმა ჭურში და თავი მოგლისეს, კინალამ ჩაიღრჩო შიგ. მერე მოხადეს ჭურს თავი, ნახეს, ყმა გაშეშებულა, ამოიყვანეს და როსტომმა როზგი დაარტყმევინა.

მდიდარი თავადი იყო როსტომი, კარგად ცხოვრობდა. აუზი ჰქონდათ ერთი, ისეთი სანახავი იყო, რომ ქალაქშიაც ვერ ნახავდით იმისთანა სანახავს. თევზებს ხან დაჩეხილ თხას უყრიდნენ, ხან ძროხას. ჩიხურას დააშრობდნენ სათევზაოდ, თევზს ხელით იჭერდნენ, ზოგს ბადით, თუნგში ჩაჰყრიდნენ და იმით მოიტანდნენ და აუზში გაუშვებდნენ, თანდათან უმატებდნენ. მებაღე იქვე ცხოვრობდა, პატარა სახლი ედგა ეზოში. ის რომ ზარს დაკრავდა, თევზები ზევით ამოხტებოდნენ. კურდღელიც ჰყავდათ იმ ეზოში, ფარშავანგებიც, ციცრებიც. როსტომს თავის სახლობით ძალიან უყვარდა იმ აუზის დათვალიერება და ხშირად ჩამოვიდოდნენ ხოლმე. აკაკის კარგად ვიცნობდი. ისე მიმიღებდა, როცა მივიდოდი, როგორც კაი საყვარელი მამა მიიღებს შვილს. დაჯდებოდა, დამიწყებდა საუბარს. აკაკი იყო გაჭირვებული ხალხის მოჭირნახულე. მამას ეჩხუბებოდა: გლეხებს ნუ აწუხებო. ბავშვებს სულ ეუბნებოდა: ისწავლეთ, შვილო, ისწავლეთ, კარგი დრო დაგიდგებათო, მუდამ არიგებდა.

აკაკის ერთი ყმა ჰყავდა ორღულში, კიკოლა კალმახელიძე. დაიბარა თურმე სხვიტორში: მოვიდეს კიკოლა ჩემთანო. კიკოლა მივიდა, დაუკრა თავი ბატონს.

— დაბრძანდი კიკოლაო,—დაჯდა.

— რამდენი წლის ბრძანდებიო?—

— 100 წლის მეტის ვიქნებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიკოლა კალმახელიძემ უამბო თურმე აკაკის ამბავი და ეს ამბავი გალექსა აკაკიმ შემდეგში,

აკაკის ერთმა ბიძაშვილმა გრიგოლ წერეთელმა საირხელი გლეხის იაკობიძის ქალი შეირთო ცოლად. ნათესავები გაურისხდნენ და აღარ მიიღეს სახლში, რათ შეირთე გლეხკაცის ქალიო? გრიგოლმა აკაკისთან იჩივლა: მიშველე, ბიძია, აღარ მიმიღეს ნათესავებმა, რატო შეირთე გლეხის ქალიო?

— წამოდიო—უთხრა აკაკიმ, მიიყვანა ნათესავებთან.

— ისეთი დრო მოვაო, რომ გლეხს იქით შეეხვეწებით, ჩემი შვილი შეირთე და შეინახე, პური აჭამეო.—ასე შეარიგა ნათესავებს. აკაკი თავის სახლში ღარიბად ცხოვრობდა. აკაკი ავად რომ იყო, ვნახე. მითხრა: სიკვდილს არ ვწუხვარ, არც მეშინიაო. მე რომ ვნახე, ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა,

ხალარიძე იოსებ (37 წლისა, სოფ. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის მცირე მცოდნე).
ჩასწერა თ. ოქროშიძემ.

აკაკის ერთი გლეხი ჰყავდა, იაკობაშვილი. ერთხელ საღამოს იმ იაკობაშვილს უთხრა თურმე: ხვალ დილით ძალიან ადრე ჭიათურაში უნდა გამეგზავნოო. დილას უთენია ამდგარა ეს კაცი და წასულა ჭიათურაში. აკაკის უცდია, უცდია და რომ არ მისულა იაკობაშვილი, ბიჭი გაუგზავნია, ჩემთან ამოვიდესო. შუადღისას დაბრუნებულა ჭიათურიდან იაკობაშვილი და მისულა აკაკისთან.

— სად იყავი აქამდეო?—უკითხავს აკაკის.

— ჭიათურას ვიყავი, თქვენ არ გამაგზავნეთო!

— კი გაგგზავნე, მაგრამ რა საქმეზე გგზავნიდი, არ უნდა გეკითხაო? გზაზედ არავინ შეგხვედრიაო?—ჰკითხა თურმე აკაკიმ.

— როგორ არა, სამი ღორი ბალახს სძოვდნენო.

— მერეო, იმათ მაინც არ გკითხეს, რა საქმეზე მიდიხარო?

აკაკის სასწავლებელში გაგზავნის გამო როსტომმა მთა დაუგირავა ელისაბედ წერეთლის ქმარს. როცა რუსეთიდან დაბრუნდა აკაკი, როსტომმა აიღო ფული და მისცა აკაკის, ელისაბედს მიუტანეო, აკაკიმ ეს ფული შეჭამა. როსტომმა გაიგო და შვილს უსაყვედურა თურმე.

— რატომ არ მიუტანე ფულიო?

— რად გინდა მამა ის მთა? თუ ასე გიყვარს, შენთან უფრო ახლოს არ არის? მიაჩერდი და უყურე რამდენიც გინდა. აქედან შენ უყურე, იქიდან ელისაბედმა, სარგებლობა მაინც არაფერი გაქვთ მაგ მთისგანო!

დეხპინე მაჭარაშვილი (58 წლისა, ს. სხვიტორის მცხოვრ. წერა-კითხვის უცოდინარი).
ჩასწერა თ. ოქროშიძემ.

დედაჩემი 25 წელს ემსახურებოდა აკაკის. მისგან ხშირად გამიგონია აკაკის ბავშობისას თევზაობა უყვარდა ნამეტანიო, ბავშვებში თამაშიო, ურემზე ჯდომაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ა ბ ე ლ ს ა დ უ ნ ი შ ვ ი ლ ი. აკაკი წერეთლის ძიძის ძმისწული, რომელთან ერთად იზრდებოდა პოეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს მახსოვრობაში აკაკი უკვე მოხუცი იყო. მე ხშირად დავდიოდი მასთან. შემომითვლიდა;—ჭინჭრის ფხალი მომიკრიფეო, —მოუკრეფდი და ჩამოუტანდი.

ერთხელ, თურმე ანას ჰკითხა დედაჩემზე, ნატალია რატომ არ არის აქაო?

— რათი იქნება აქა, დღეს იმას, ნათვლა აქვს დესპინეს ბავშვისო.

— დამიძახეთ დათიკოსო—(ხელზე მოსამსახურე ბიჭი ;იყო) და იმას უთხრა: —უნდა გაგგზავნო დესპინესთან და მეც უნდა მონაწილეობა მივიღო ნათვლაშიო.

მერე კიდევ ისიც შემოეთვალა: თუ თავადი არავინ იქნება, გლეხი ათიც რო იყოს, მაინც მოვნათლავ იმათთან ბავშვსაო.

შემოღმართზე ამოსვლა ვერ შესძლო. ურემი შემოუთვალე, მარა უარი თქვა. მერე აგერ, მაცხოვრის ეკლესიაზე ჩამობრძანდა. ბავშვიც იქ ჩამოვიყვანეთ და აკაკიმ და ერთმა გლეხმა მონათლეს ჩემი ბავშვი. იმ გლეხს არ უნდოდა მონათვლა, ეხათრებოდა აკაკისა, მარა აკაკიმ უთხრა: მე და შენ ძმები ვართო, რას გერიდებაო.

აკაკის უნდოდა თავისი სახელი დაერქვა ბავშვისთვის, მაგრამ მერე თქვა: გიორგი სჯობიაო. იქიდან აკაკი თავის სახლში წავიდა. მე სადილი იქ მივართვი.

როცა მოვიდოდა ქალაქიდან და შემომითვლიდა ნახვას, მე ხელცარიელი ვერ ჩამოვიდოდი იმისთანა დიდებულ ადამიანთან. ცხრა ვომიჯსა და ცხრა ხაჭაპურს ჩამოუტანდი. მადლობას მეტყოდა, მარა სწყინდა: ამას რატომ შვები ჩემო ნათლიდედაო, ისე ვერ ჩამოხვალ, რატო ისე არ უნდა ვნახოთ ჩვენ ერთმანეთიო?

ჩემ ბავშვს დათიკოს დააჯენდა და ჭიაკოკონას ამბებს ეკითხებოდა: —რა ლექსებს ამბობთ თამაშის დროსაო?

ერთხელ დედაჩემი წავიდა ტყეში ქალაკოდასთვის (ფხალია); იქ შვლის ნუკრს წააწყდა, გაიხადა ქვედა ტანი, გადააფარა თავზე, დაიჭირა და სახლში მოიყვანა.

ეს ამბავი დავით წერეთელმა გაიგო, გამოეგზავნა კაცი: ვინ მოგცა შენ უფლება, რომ ჩემს ადგილში შველი დაიჭირეო? დედაჩემმა უთხრა:—მობრძანდი ჩემთან და იარაღი მიირთვი, რითაც მე ის შველი ვინადირე, ნუკრს კი ვერ დაგანებებო.

დავითმა მაინც თავისი იძალა და წაიყვანეს. აკაკი რომ მოვიდა და გაიგო შვლის ამბავი, ძალიან გაეხარდა, ზარები, ეკვნები შეაბმევინა და ამოაყვანინა აქ. მოეხალისებინა, ერთი დღე და ღამე ყოლებოდა, მერე დაებრუნებია უკან. დავითისთვის უთქვამს: კარგად მოუარეთ ამ შველს, როცა გაიზრდება, ეზო შემოუღობეო, თავისთვის ითამაშოსო. მერე ის შველი აივნიდან გადაუვარდათ და მოკვდა.

აკაკის დათია ბოჭოიძე ჰყავდა მოურავად. იმას ხშირად ეჩხუბებოდა: შენ ისე ხარ შემოჩენილი, რო ჩემს სამშობლოს შემაძულებო. ნადელებს იღებდა დათია და აკაკი იმაზე უჯავრდებოდა,

— მუშა თავისთვის უნდა მუშაობდესო, ოროველათი რომ სამჯერ ძირს შემოუთოხნის სიმინდს, ის იმას უნდა ჰქონდესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ მაჭავარიანი (90 წლის, ს. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის მცირე-მცოდნე)
ჩასწერა თ. ოქროშიძემ.

ჩვენში სანამ რკინიგზას გაიყვანდნენ, ცხენებით მიდიოდნენ სადგურამდე. თბილისში როცა დააპირებდა აკაკი წასვლას, შემომითვლიდა: კაი მარჯვე ბიჭი ხარ და დოღლაურში (ხაშურისკენ) წამიყვანეო.—მამაჩემს ორი ცხენი ჰყავდა, ერთ ცხენზე მე შევჯდებოდი, მეორეზე აკაკი და წავიდოდით.

მოწყენას რომ შემატყობდა, დამიწყებდა ლაპარაკს: ეს მდინარე საიდან მოდის, ან რატომ ეძახიან ყვირილასო?

— ეს მდინარე ჭალის მთიდან მოდის, კლდეებზე გადმოდის დიდი ხმაურით და იმიტომ დაერქვა ყვირილა-მეთქი—ვუპასუხე.

— ჩვენში რო პატარა ღელე ჩამოდის იმას კვერეთულას რად ეძახიანო?

— კვერეთი რო გაქვთ თქვენ ადგილი, იქიდან გამოდის და მიტომ ჰქვია კვერეთულა-მეთქი.

მერე შემოჰყვა ამ ჩიხურას.

— აბა, ჩიხურა საიდან მოდის, რატომ ჰქვიან ჩიხურა?

— ჩიხურა ჩიხის მთიდან მოდის, თან ჩხრიალი გააქვს და იმიტომ ეძახიან-თქო.

გაიცინებდა ხოლმე ასე რო ვუპასუხებდი.

მერე გონჯურაზე მკითხავდა:

— ესეც თქვენი მთიდან გონჯიხევიდან მოდისთქვა.

იმას კითხვა რათ უნდოდა, ქე იცოდა თითონ, მარა, მე რომ არ მომწყენოდა.

მაშინ 20 წლის ვიქნებოდი.

დოღლაურამდე კაი ცხენით ერთი დღის სასიარულოა, როგორც აქედან შორაპანი ესეა. გზაში დავისვენებდით, გადმოვხტებოდით ჩეროში. საჭმელი აქედანა მიგვქონდა და გზებშიაც იყო დუქნები. მიესალმებოდა მედუქნეებს, ხელს ჩამოართმევდა, სადილს შეუკვეთავდა.

თბილისიდან როცა დაბრუნებას დააპირებდა, შემოთვლიდა, ცხენები დამახვედრეთო. თუ სოფელში ვიყავი, მე დავახვედრებდი ცხენებს, თუ არა და-სხვა ვინმე, ან იქვე დოღლაურში იქირავებდა.

მარიამ აბაშიძე (77 წლისა, ს. სავანეს მცხოვრები, წერა-კითხვის მცოდნე).
ჩასწერა თ. ოქროშიძემ.

აკაკი ჩემი გულითადი და საყვარელი ძმა და მეგობარი იყო. აქ გაზრდილია სავანეში. იმასთან ლაპარაკი ძალიან საინტერესო იყო.

მე უსწავლელი ქალი ვიყავი, მაგრამ ყველაფერი მაინტერესებდა. ხშირად მესაუბრებოდა აკაკი ცოდნაზე, სწავლაზე, სამშობლოზე, ქართველ ქალებზე, ევროპაზე.

აკაკი ახალი აზრის კაცი იყო, ამიტომ წერეთლები ცივად უყურებდნენ. ერთმა გერმანელმა, გიორგი სტენკოვმა საჩუქრად გამომიგზავნა ალბომი, ზედ წარწერად ჰქონდა ოთხსტრიქონიანი ლექსი. აკაკიმ ეს ლექსი ქართულად მითარგმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვიტორიდან ჩამოდიოდა სავანეში და თითო კვირაობით რჩებოდა ჩემთან. მისგან მონაწერი წერილები სულ დავკარგე. ზოგიერთის შინაარსი მახსოვს, მწერდა: მოვდივარ შენთან, ბანქო დამახვედრე, ლობიო დამახვედრე. ერთი კვირა დავრჩებიო.

იუბილეს დროს სადუნიშვილების ოჯახში ვიყავი, აკვანი ვნახე. ბიცოლა-ჩემი მაკრინე ჟღენტის ქალი, ხნიერი იყო; შეეკითხე და იმან მითხრა: ამ აკვანში იზრდებოდა აკაკიო. გაიანე ყანჩაველიც ამასვე ამტკიცებდა: ამ აკვანში იწვაო. მე და ჩემმა ძმამ წამოვიღეთ ეს აკვანი. სოფლები დავიარეთ, თითო კაპეიკი შევაგროვეთ, ჩვენც ჩვენი წვლილი დავადეთ და ამ ფულით გავაკეთებინეთ საჩუქრად ჯოხი და აკვანზე მიკრული ფირფიტა წარწერით.

აკაკის ისე გაეხარდა, რომ კინაღამ შეიშალა: ამაზე უკეთესი საჩუქარი არ მომივაო! შორაპნის საზოგადოება დამეჯიბრა, აკვნის წართმევას მიპირებდნენ, მაგრამ მე არავის დავანებე.

ანიკო (ანა) გიორგის ასული თარხნიშვილი-აბდუშელიშვილი (70 წ. ს. სხვიტორის მცხოვრები, აკაკის სახლის გამგე. წერა-კითხვის მცოდნე) ჩასწერა თ. ქავთარაძემ.

მე გაზრდილი ვარ ნინო ორბელიანთან. იქ ხშირად დადიოდა აკაკი. ერთხელ, მოხსოვს, ჩვენთან მოვიდა აკაკი. მე პატარა ვიყავი. იმ დღეს ლიზა თულაშვილიც იყო ჩვენთან. ოთახში რომ შემოვიდა, გახსნა საფულე და მსახურს მისცა ფული, ეტლი რომ გაესტუმრებინა. ამ დროს საფულედან აბაზი დაუვარდა იატაკზე,—„აბა ანეტო, იპოვეთ ეგ აბაზიანი და მერე მე ვიციო".— ჩვენ დავიწყეთ ძებნა, აქეთ ვეცით, იქით ვეცით, გვეგონა, ეს აბაზიანი ჩვენი იქნებოდა. აკაკი და ნინო კი ჩუმად გვიყურებდნენ და იცინოდნენ. ჩვენ საშინელი შეწუხებულები ვიყავით, ფული რომ ვერ ვიპოვეთ. აკაკიმ გვითხრა, გულს ნუ გაიტეხთო, და ექვსი შაური მე მაჩუქა და ექვსი შაური ლიზას. ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ამის შემდეგ დიდი ხანი გავიდა და აკაკის შევხვდი, როცა კოტე აბდუშელიშვილის მეუღლე გავხდი. ეს იყო 1912 წელს.

კოტეს და აკაკის მშობლები დაახლოებულები ყოფილან ერთი მეორესთან. პირადად ჩემი მეუღლეც ძალიან კარგად იყო აკაკისთან. აკაკისაც იგი ძალიან უყვარდა.

აკაკი სხვიტორში უმეტესად ზაფხულობით და უქმეებზე ჩამოდიოდა. დიდხანს გაჩერება არ უყვარდა. მე აქ ვდიასახლისობდი, რადგან ანა (აკაკის და) უკვე მწოლიარე იყო. ბავშვობის დროს თურმე ანა ხშირად ყურს მიუგდებდა, როცა მოსამსახურეები ლაპარაკობდნენ, მერე ამოვიდოდა და დედას ეტყოდა შებრუნებულად. შეიქნებოდა დიდი ალიაქოთი. ამის გამო აკაკი ჯავრობდა თურმე. სხვათა შორის, აკაკის ცოლს ნატალიას სიყვარულით არ ეპყრობოდა ანა. ნატალია რომ მოვიდოდა, ანა ქვემო სართულში ჩავიდოდა ხოლმე.

აკაკი გლეხების დიდი თანამგრძნობი იყო.

სასახლეში მიამბეს ერთხელ: ერთ გლეხს ფული უნდა მოეტანა. არ ვიცი, შეწერილი ჰქონდა, თუ ვალი იყო, გლეხს ფული ვერ ეშოვნა და მას მაგივრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი კალათი ატამი მოეტანა. ამის გამო გლეხისათვის ჩხუბი დაუწყიათ მოჯამაგირეებს. აკაკი თურმე თავის ოთახში მუშაობდა. ეს ალიაქოთი შემოსმენია და გარეთ გამოსულა. როცა გაუგია საქმის მდგომარეობა, გლეხისთვის ეს ატამიც დაუბრუნებია და სამი მანეთიც უჩუქებია. მოჯამაგირეები კი ძალიან დაუტუქსავს.

სულ სხვა ყოფილა აკაკის მამა—როსტომ წერეთელი. ერთმა გლეხმა მითხრა შარშან: ერთხელ როსტომ წერეთელს უნატრია—ნეტა ბევრი სიმინდი მომივიდოდეს და მერე შიმშილობა დაიწყებოდესო.

აკაკის ჩვეულება ჰქონდა, ნასადილევს აუცილებლად უნდა წამოწოლილიყო. გაიხდიდა მხოლოდ პიჯაკს. გაღვიძების შემდეგ კი დაიწყებდა მუშაობას. მუშაობა უყვარდა უფრო ღამით. ხშირად გამოვიდოდა დიდ აივანზე, გაივლ-გამოივლიდა; ხელები უკან ჰქონდა დაწყობილი; ვინმე რომ ყოფილიყო აივანზე, ხშირად ხმასაც არ გასცემდა, და ისევ შებრუნდებოდა თავის ოთახში. რომ გათენდებოდა, მერე დაწვებოდა და მხოლოდ სადილობის დროს გამოიღვიძებდა.

აკაკის არც თუთუნი უყვარდა, არც ღვინო, მხოლოდ ბანქოს თამაშს ვერ ელეოდა. არ მახსოვს კი, რომ აკაკის ოდესმე მოეგოს ქალალდში. მაგრამ რაც უნდა ბევრი წაეგო, სახეზე ვერაფერს ვერ შეატყობდით. ძალიან ხშირად ღამეც გაუთენებია ბანქოს თამაშში.

ხილში აკაკის განსაკუთრებით ყურძენი უყვარდა. საჭმელებში კი,—გუფთა ლობიო, ღომი, საცივი. სხვათა შორის საჭმელს ყოველთვის ხელით სჭამდა. თევზეულიდან ირჩევდა დოშსა და ზუთხს. ძალიან უყვარდა აგრეთვე ხაპიწკინა, გომიჯი და კვახიანი (კვახიანი-პურის ცომში გახვეული დანაყული კვახის მარცვალია) და სხვ.

აკაკის ექიმებისაგან ნათქვამი ჰქონდა, რომ ყოველ-დღე უნდა გაეკეთებინა 500-ნაბიჯი. მართლაც, ამას აკაკი ყოველთვის ასრულებდა. კარგი ამინდი რომ იყო, სახლის წინ მოლზე დაიწყებდა სიარულს; მერე წამოწვებოდა ნოხზე; ჩვენ ყველა დაუსხდებოდით ახლო; თუ ვინმე გლეხი გაივლიდა, იმასაც დაუძახებდა და დაიწყებოდა აკაკის ხუმრობა და სხვადასხვა ამბების მოყოლა. როდესაც ცუდი ამინდი იყო, აკაკი ამ 500-ნაბიჯს აივანზე გააკეთებდა.

შინაურებთან აკაკი სიამოვნებით ლაპარაკობდა. ერთხელ ნატალია მაჭარაშვილისათვის ეთქვა აკაკის ხუმრობით:—ნატალია, რას იტყვი შენ ამ პარტიების ბრძოლაზეო—რას ვიტყვი, ბატონო, და საით უკეთესი იქნება, იქით გადავალო. ამაზე აკაკიმ ბევრი თურმე იცინა.

ერთ ზაფხულს აკაკის სანახავად მოულოდნელად მოვიდა 25 სტუდენტი. მთელი ღამის მუშაობით დაღლილს აკაკის ეძინა. გაღვიძებაც ვერავინ ვერ გაბედა. სტუდენტები იძულებული გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ.

ათი წუთი არ იქნებოდა გასული, აკაკის რომ გამოეღვიძა. კოტე შევიდა აკაკისთან და უთხრა:— ნეტა ცოტა ადრე გამოგღვიძებოდათ, თქვენთან სტუდენტები იყვნენო.—აკაკიმ დიდი საყვედური უთხრა კოტეს,—როგორ არ გამაღვიძეთო.—აკაკის ბრძანებით მაშინვე აფრინეს კაცი და სტუმრები დააბრუნეს. აკაკიმ თავის ოთახში მიიღო ყველა, ძალიან თავაზიანად და გულთბილი საუბარი გაუმართა. საუბრის შემდეგ სტუმრებმა მოინდომეს წასვლა, მაგრამ აკაკიმ არ გაუშვა და გაუმასპინძლდა. სტუმრები აღტაცებული იყვნენ. აკაკის გაბრწყინვებული სახით შეჰყურებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ აკაკი და კოტე მოემზადნენ ბორჯომში წასასვლელად. აკაკის ეხურა თეთრი პანამა, რომელიც ერთ ადგილას აბაზიანის ოდენად გახეული იყო. მე ძალიან შევწუხდი და კოტეს ვუთხარი,—ხომ იცი აკაკის თავის თავზე ზრუნვა არ უყვარს, აუცილებლად ახალი ქუდი უყიდე-მეთქი. აკაკიმ სთქვა:—ის კი არ იცის ხალხმა ამ ქუდ ქვეშ როგორი თავი არისო. მერე მომიბრუნდა და მითხრა:—Попа и в рогоже узнают!—

აკაკის ცოლი და შვილი ზაფხულობით ჩამოდიოდნენ ხოლმე სხვიტორში. მე არ ვიცნობდი აკაკის მეუღლე ნატალიას. ისინი რომ ჩამოდიოდხენ, მე ყოველთვის სოფელში წავიდოდი. ნატალიას უნდოდა ჩემი გაცნობა და სთხოვა კოტეს, რომ ჩამოვსულიყავი. მართლაც, ჩამოვედი სხვიტორში, მივედი ბაგრატიონის ქალთან, კოტე წერეთლის ცოლთან, იქიდან კი სუყველანი ერთად ამოვედით აკაკის სახლში. აკაკიმ თავის ოთახში მიგვიღო, შემდეგ გამოვედით აივანზე და იქ გავიცანი კნეინა ნატალია და მისი ვაჟი.

გაგონილი მქონდა, რომ კნეინა ნატალიას სძულდა ქართველი ქალები, მაგრამ მე ძალიან კარგად მიმიღო და დიდი მადლობა გადამიხადა, სახლი რომ ასე კარგად და სუფთად დავახვედრე.

აკაკის მეუღლეს ძალიან უყვარდა ცივი წყლის ვანების მიღება. ყოველ დღე უნდა ებანავნა ჩიხურის წყლით. ამისათვის უნდა მოეტანათ 15—16 ჩაფი წყალი, რითაც ძალიან შეწუხებული იყვნენ მოსამსახურეები, რადგან 15—16 ჩაფის მოტანა სახუმრო საქმე არ იყო, მით უმეტეს, რომ ჩიხურა საკმაოდ შორს იყო. მოსამსახურეებმა სთხოვეს კოტეს, ეს საქმე მოეგვარებინა. კოტე დაჰპირდა. კოტესათვის უხერხული იყო, პირდაპირ ნატალიასთან ეშუამდგომლა; ამისათვის გადაწყვიტა, ჯერ აკაკისათვის ეთქვა:—ეგება ბატონო, თქვენ მოახსენოთ კნეინა ნატალიას, მოსამსახურეების თხოვნა, რომ კვირაში სამჯერ მოატანიოს წყალი და არა ყოველ დღეო. აკაკი შეწუხდა:—როგორ შეიძლება ყოველ-დღე წყლის ზიდვაო,—და დაჰპირდა კოტეს ამ საქმის მოგვარება. ვახშმის დროს, სუყველა რომ მაგიდასთან, ვისხედით აკაკიმ უთხრა თავის ცოლს:—Дорогая Наталья, не надо каждый день купаться, людям трудно носить 15—16 кувшинов воды, — Акаша дорогой,—უპასუხა ცოლმა—это и ты знаешь, чистота, чистота! —ამაზე დიდებულმა მგოსანმა უთხრა ნატალიას: —Милая Наталья, значит все лягушки чистые?—ყველას სიცილი წასკდა აკაკის მოსწრებულ პასუხზე. ნატალიამაც ბევრი იცინა და შემდეგში მართლაც თავი დაანება ყოველდღე ვანების მიღებას.

აკაკის ეჯავრებოდა თავად-აზნაურობა. თავად-აზნაურობას უყურებდა, როგორც ხალხის მჩაგვრელს, ცხოვრების ზედმეტ ბარგად მიაჩნდა.

აკაკის ხშირად ჰქონდა ჩხუბი სოსიკო მერკვილაძესთან.

ერთხელ აკაკი სოსიკო მერკვილაძეს ისე გამოუყვანია მოთმინებიდან, რომ აკაკის იგი სახლიდან გაუგდია. აკაკი საშინლად აღელვებული მიწოლილა ლოგინზე. სოსიკო პირდაპირ წასულა ექიმთან და ეთქვამს, აკაკი შეიშალაო. ექიმი მაშინვე გამოქცეულა, რომ დაუნახავს პირმოიმარი აკაკი, მიმხვდარა რაშიც იყო საქმე, მერე კი ჩემის ქმრისათვის უამბნია სუყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი რომ ჩამოვიდოდა, ყველა ეპატიჟებოდა, მაგრამ არავისთან არ მიდიოდა. ელისაბედ წერეთელმა დიდი წვეულება იცოდა. გუბერნატორსაც კი მოიპატიჟებდა ხოლმე, მაგრამ იქაც აკაკი ძალიან ეშვიათად წავიდოდა.

აკაკი ხშირად დადიოდა ბეჟან წერეთელთან, ხშირად თბილისიდან პირდაპირ იქ ჩამოხტებოდა, ასე რომ აქაც არ ამოვიდოდა. განსაკუთრებით უყვარდა ნიცა წერეთელთან ყოფნა და საუბარი.

აკაკი ქალების დიდი პატივისმცემელი იყო. მე სანამ აქ მოვიდოდი გაგონილი მქონდა ტასოს და აკაკის რომანი.

ერთხელ მახსოვს ქუთაისიდან ერთად მოვდიოდით. კოტე, მე, აკაკი, ტასო და სხვები. მაშინ შევამჩნიე, რომ აკაკი ტასოზე ეჭვიანობდა. ტასო გავიდა ვაგონიდან. აკაკიმ ეჭვიანად გააყოლა თვალი, მერე კი კოტეს ჰკითხა:

— ტასო, იმ ვაჟს ხომ არ გაჰყოლიაო?—

ერთხელ თბილისის თეატრში ვსხედვართ: ნინო ორბელიანი, მე და კოტე. მიდის პიესა „ღალატი". კოტე გარეთ გავიდა. ამ დროს შემოვიდა ჩვენს ლოჟაში აკაკი. ნინო ორბელიანი მიუბრუნდა აკაკის და უთხრა:—შენ გენაცვალე ჩემო აკაკი, ერთი მითხარი ეს „ღალატი" აქ პირველად იდგმებაო?—

— აბა, რას ამბობ ქალო, პირველად კი არა, ყოველ ღამეს არის ღალატიო!.

— როგორ ყოველ ღამეს?—

— როგორ და ქალები ყოველ ღამეს ღალატობენ თავიანთ ქმრებსო.

როცა აკაკი ქუთაისში ჩამოვიდოდა, აუცილებლად მივიდოდა ნიკოლაძეების ოჯახში, ნიკო ნიკოლაძის დებთან—ანიკოსა და კატოსთან. ერთ დღეს ჩვეულებრივად მივიდა თურმე აკაკი. ჩაი, რომ გააწყეს, აკაკიმ შაქარი ხელით ჩააგდო თავის ჭიქაში. ნიკოლაძის ქალმა ეს რომ დაინახა, აიღო და მთელი შაქარი გადაყარა ფანჯრიდან. აკაკიმ არაფერი არა სთქვა. ჩაი რომ გაათავეს, აკაკი ადგა და თავის სკამი გადაისროლა ფანჯრიდან. ყველას გაუკვირდა. ამაზე აკაკიმ სთქვა:—თუ ერთი შაქრის აღებით, მთელი შაქარი შეიბილწა, მითუმეტეს ჩემ ნაჯდომ სკამზე არავინ არ დაჯდებოდაო.

აკაკის მიართვეს ირმის ტყავის ქუდი საჩუქრად.

ერთხელ, ამ ქუდით აკაკი გოლოვინის პროსპექტზე მიდიოდა. გზაზე ნაცნობები შეხვდნენ:—„აკაკი, ირმის თავი გამოგბმიაო."

— თქვე ოჯახ-ქორებო, უპასუხა აკაკიმ,—მე ირმის თავი გამომბმია, მაგრამ თქვენ რომ ვირის თავები გაბიათ—მე ხომ არაფერი არა მითქვამსო.

1915 წლის გაზაფხულზე აკაკი თავის ცოლშვილით ჩამოვიდა აქ, სხვიტორში. აკაკის ვაჟმა მოიხმო კოტე და უთხრა:—Коте дорогой, мы должны поехать в Тифлис и нанять квартиру, и папочку туда отвезем, он будет зимовать у нас.—მართლაც, კოტე და ლოლია წავიდნენ. იქირავეს მშვენიერი სახლი და სუყველანი ერთად გაემგზავრნენ თბილისში. მთელი ბარგიც წაიღეს.

გავიდა რამდენიმე ხანი და კოტემ გაიგო, რომ აკაკი ქუთაისშია. ეს იყო 22 დეკემბერს. კოტე მაშინვე წავიდა სასტუმროში და ნახა აკაკი იწვა ავადმყოფი. კოტემ იმ საღამოსვე აქ წამოიყვანა. მაშინვე დავიბარეთ ექიმები. თბილისში დეპეშები გავგზავნეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24 დეკემბერს რომ დაწვა აკაკი, ამის შემდეგ არ ამდგარა. ძალიან მალე წაერთვა ხელი და ფეხი. ექიმებმა გადასწყვიტეს, თუ უკეთესობა დაეტყობოდა, აკაკი თბილისში უნდა წაეყვანათ, მაგრამ ავადმყოფობა თანდათან ძლიერდებოდა. მალე ენაც წაერთვა. ექიმებმა გადასწყვიტეს, ყურის უკან წურბლები დაესვათ. მაგრამ, ამის შესრულება რომ მოვინდომე წურბელებმა არ მოიკიდეს პირი. მაშინ გადავწყვიტეთ, რომ აკაკი უკვე არ მორჩებოდა.

უკანასკნელ ხანებში, აკაკის ექიმი სეევერიან ჭოღოშვილი მკურნალობდა. აკაკი ძალიან ენდობოდა მას.

აკაკი რომ ავად გახდა, მითხრა:—ანიკო, დამიჯერე, ჩემი მორჩენა არ შეიძლებაო. იძალეთ, რომ აქ დამასაფლაონ, ჩემს სამშობლო სხვიტორს უკეთესი სახელი ექნება და ჩემს საფლავზე ბავშვები მოვლენ და ითამაშებენო.

როცა ენა წაერთვა, ხელით მანიშნებდა ეზოსაკენ:

— იქ დამასაფლავეთო!—

მთელი გლეხობა უზომოდ შეაწუხა აკაკის სიკვდილმა. ყველას ცრემლით ჰქონდა თვალი სავსე,

ბაგრატ ზაბახიძე—(60 წლისა, ს. სხვიტორში მცხოვრები. წერა-კითხვის მცოდნე).

ჩასწერა თ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე მ.

ერთხელ, მახსოვს აკაკი მიდიოდა თბილისში და მეც ვაცილებდი სადგურამდე.

აკაკი არასდროს ეტლში არ ჩაჯდებოდა. ძალიან უყვარდა ქართული ურემი. გზაში რომ მივდიოდით, აკაკიმ ხეზე ჩიტის ბუდე შენიშნა. მკითხა—რისი ბუდეაო,—მე უთხარი ქორის არის-მეთქი,—არა, ქორისა არ არის,—მითხრა აკაკიმ,—ეგ ურწყული ფრინველია, წიფობელას რომ ეძახიან, იმისაო. ეს ჩიტი ორ თვეს წყალს არა სვამსო,—თან ლაპარაკობდა, თან ქაღალდში რაღაცას იწერდა. ამ დროს დაგვეწია გლეხი გიგო გოგიტაშვილი, აკაკის დაუკრა თავი, მერე კი პურები მიაწოდა და თან უთხრა: ეგ მეოთხედი არისო. აკაკის ძალიან გაუკვირდა და მაშინვე ჰკითხა:—ანა, ხომ არ გავალებთ ამ მეოთხედების გამოგზავნასო?

გლეხი წახდა და უარის თქმა ვერ მოახერხა: აკაკიმ ათი მანეთი აჩუქა. პურებიც დაუბრუნა და უთხრა, რომ მეორეჯერ არ გაებედნა ეს საქმე.

1905 წელს, აკაკი ჩამოვიდა, შეგვყარა ყველანი და გვითხრა:—მეზობლებო, მეგობრებო, შვილებო: ნიკოლოზმა პირი იბრუნა, რეაქციამ გაიმარჯვა, მეფე აღარ დაგვზოგავს, მაგრამ არ შეშინდეთო, ჯერჯერობით ფრთხილად იყავით, ერთმანეთი შეინახეთ, ერთმანეთი გაიტანეთ და მტერი ვერაფერს გიზამთო. ძალიან დაარიგა ხალხი და იმედი მისცა. მონობას ადრე თუ გვიან ბოლო მოეღებაო. დიდხანს ელაპარაკა გლეხებს.

ერთხელ ჩემმა ძმამ სთხოვა აკაკის, რომ შვილი მოენათლა. იმ დღეს ძალიან გაავდარდა. რომ გათენდა, მე მივედი აკაკისთან და ვთხოვე გამოსულიყო. აკაკიმ მითხრა:—ეხლა გზები ატალახიანებულია, წამოსვლა არა ღირს, უკეთესი იქნება ჩემს სახლში გავმართოთ ნათლობა, ოღონდ გლეხები დამიპატიჟეთო.

მართლაც ერთი ძროხა დავკალით და ბევრი კაი ხალხი დავპატიჟეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკიმ ტოლუმბაშად მე დამნიშნა. ხალხი დავათვრე, აკაკის კი ერთი ჩაის სტაქანი ღვინის მეტი არ დაულევია, სულ წყალს სვამდა.

როცა აკაკის ძმა დავითი გარდაიცვალა, აკაკიმ მე გამგზავნა კვერეთში სასაფლაოს გასათხრელად. ორ მეტრზე რომ მივედი, ვნახე საფლავი და ზედ ქვა წარწერით. საღამოს რომ ჩამოვედი, აკაკის მოვახსენე ეს ამბავი, მეორე დღეს აკაკიც წამოვიდა კვერეთში და თავის ხელით დააწყო ძვლები და სთქვა:—ეგ არის დავით როსტომის-ძე—როსტომ წერეთლის ძმაო.

აკაკის ძმა დავითი ამ დავითს დავადევით. აკაკიმ საფლავის ქვას ასეთი წარწერა გაუკეთა:

—ორი დავით როსტომის-ძე
ერთი ბიძა და ძმის წული,
ერთ საფლავში მოვიქეცით
წერეთლები დამარხული.
ალბათ თურმე ეგ ყოფილა
ცა და ქვეყნის ღვთის განგება,
და ორივეს ერთად გვითხრან
საუკუნო განსვენება.

საჩხერეში ცხოვრობდა გრიგოლ წერეთელი, რომელსაც მოუკვდა ვაჟიშვილი. დასაფლავებას ბევრი ხალხი დაესწრო, მათ შორის აკაკიც იყო. გრიგოლმა სთხოვა აკაკის, სიტყვა ეთქვა. აკაკიმ უარი განაცხადა და სთქვა:

— გრიგოლ წერეთელს ხალხისათვის არაფერი არ გაუკეთებია და რა უნდა ვთქვა მის ბავშვზეო. ამის შემდეგ კიდევ სთხოვეს აკაკის სიტყვის თქმა, აკაკი მაინც უარზე იყო. ბოლოს თხოვნით რომ შეაწუხეს, აკაკიმ სთქვა:—თუ გადასდებთ 100 მანეთს ოქროთი, სკოლების ასაშენებლად მაშინ ვიტყვი სიტყვასო.—

მართლაც ფული გადაიდო, აკაკიმ კარგი სიტყვა უთხრა გრიგოლის ბავშვს და მის საფლავზე ეპიტაფიად ასეთი ლექსი დაუწერა:

— გარეშეთაც სატრფიალი
მახლობელთან საყვარელი,
განისვენებს აქ ილია
გრიგოლის-ძე წერეთელი.

—

სიჭაბუკით თვით შემკულსა
უდროოდ მხვდა ეს შემკობა,
მკითხველო, ღმერთს შემავედრეთ
შემითვალეთ მე შენდობა.—

როცა აკაკის იუბილე გაუმართეს, აქედან ბევრნი წავედით. ჩვენს შორის იყო ზაქარია იაკობაშვილი. სუყველანი სცენაზე ვართ. ამ დროს სცენაზე შემოვიდა ვაჟა-ფშაველა, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და დაჯდა ზაქარია იაკობაშვილის გვერდით. ზაქარიამ ვერ იცნო ვაჟა და ეუბნება: ადექი შე კაცო, აქ მიხაკო მაჭავარიანი უნდა დავაჯინოო;—ვაჟამ უპასუხა:—მაცალე ცოტა ხანი, ორ სიტყვას ვეტყვი აკაკის და ავდგებიო. ჩვენ სუყველამ წაუჩურჩულეთ ზაქარიას, რომ ეს კაცი ვაჟა-ფშაველაა. საწყალი ზაქარია ამის გაგონებაზე ისე წახდა, რომ არ იცოდა რა ექნა და თავი სად წაეღო.

აკაკი რომ გარდაიცვალა, მე ჩემი ხელით უბიდან მოვაცალე დავითნი. დასაფლავებაზე ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო. ყოველ ფეხის გადადგმაზე სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათს იღებდნენ. საჩხერეს სადგურზე რომ ჩავედით, ჩვენ არ ვკადრეთ აკაკის რომ კუბოზე თავი დაგვეხურა და ისე შეგვესვენებინა ვაგონში. მაგრამ ერთი ჟანდარმი წინ შემოგვეღობა და ამის უფლება არ მოგვცა. ამ დროს გამოვარდა რომელიღაც წერეთელი და სილა გაარტყა ჟანდარმს. ატყდა აურ-ზაური. მოვიდა პოლიცია, როცა გაიგეს ვისი დასაფლავებაც იყო, არაფერი არა სთქვეს და ბოდიშიც მოიხადეს.

ეკატერინე წერეთელი (53 წლისა, მცხოვრები საჩხერეში).

ჩასწერა თ. ქავთარაძემ.

აკაკი პირველად ელისაბედისას ვნახე. მაშინ ელისაბედს დიდი წვეულება ჰქონდა. ვიქნებოდი 21 წლისა.

ჩვენ სახლის წინ დიდი ნალია გვქონდა. ბავშვებმა გამართეს წარმოდგენა. აკაკი ამ დღეს ჩვენთან იყო. დიდი ინტერესით უსმენდა წარმოდგენას. როდესაც ბავშვებმა ლექსების კითხვა დაიწყეს, აკაკი სცენაზე ავიდა. წარმოდგენა რომ დამთავრდა, ყველა ბავშვი გადაჰკოცნა.

ჩემი ქმარი ამირიდონ წერეთელი ძალიან უყვარდა აკაკის. აკაკი ხშირად დადიოდა ჩვენთან ქაღალდის სათამაშოდ.

ერთხელ, აკაკი ღამით დარჩა ჩვენთან. მე ცალკე ოთახში დავაწვინე, რომ არ შეწუხებულიყო და ბავშვებს აუკრძალე იმ ოთახში შესვლა.

მაგრამ ჩემი ერთი ბიჭი შეპარულიყო. აკაკიმ მიუალერსა და მისცა ერთი ნაჭერი ხაჭაპური. ოთახიდან რომ გამოვიდა, ახლა მეორე ძმა შეიყვანა, აკაკიმ თავზე ხელი გადაუსვა და იმასაც მისცა ხაჭაპური. ცოტა ხნის შემდეგ ამ ჩემმა ბიჭმა მესამე ძმა შეიყვანა და უთხრა აკაკის:—ბიძია, მე კიდო ერთი ძმა მყავს,—აკაკი მაშინვე წამოდგა და ჩვენ გვიამბო, რაც მოხდა. მერე სამივე ბავშვი ერთად ჩაიხუტა და ისე იცინოდა.

საჩინო კირვალიძე (87 წ. სოფ. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი)

ჩასწერა თ. ქავთარაძემ.

ჩემი ბატონი იყო ნიკო წერეთელი. მე როსტომთან ახლო ვიდექი და ვმეზობლობდით ერთმანეთში. როსტომი კარგი კაცი იყო. როდესაც გააბრაზებდნენ, მაშინ კი ძალიან გაავდებოდა. სანამ ბატონ-ყმობა გაიყრებოდა, როსტომი გლეხებს სცემდა, ხოლო ბატონ-ყმობის გაყრის შემდეგ ცემა მიატოვა.

როსტომის ცოლი ეკაც ავი იყო, მაგრამ ამასთან გულკეთილიც.

როსტომს ძალიან უყვარდა თევზი. ჩიხურას პირას გააშენებინა დიდი აუზი, რომელსაც თავში და ბოლოში ჰქონდა ბადეები. მოიტანდნენ თუნგებით თევზებს და შიგ ჩაუშვებდნენ. იმდენი თევზი გაშენდა, რომ სვეტის ოდენა ქაშაპებსაც ნახავდით. ბიჭები ნახევარ ძროხას დაჩეხდნენ და შიგ ჩაუშვებდნენ. როცა ძროხას ვერ იშოვიდნენ, მაშინ ქათმებს დაკეპავდნენ და ჩაუყრიდნენ თევზებს. ამ აუზის სანახავად საიდან არ მოდიოდა ხალხი! კარგი რამე იყო.

როცა როსტომი გარდაიცვალა, აკაკი სულ ფეხით მიყვებოდა მამას კვერეთის სასაფლაომდე. დასაფლავებას არავინ არ დაჰკლებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ძალიან კარგი კაცი იყო. ის ხშირად იყო აქ სანამ აკაკი პატარა იყო, დედ-მამა ასწავლიდა წერა-კითხვას. მერე წავიდა სასწავლებლად. სანამ დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა, ჩამოვიდოდა, მიიხედავდა-მოიხედავდა და ისევ წავიდოდა. დედ-მამა რო მოუკვდა, მერე ისე ხშირად აღარ ჩამოდიოდა.

აკაკი რომ ქალაქიდან მოვიდოდა, ეტლით ზედ კარებამდე ამოვიდოდა. სხვა თავადებთან სტუმრად იშვიათად დადიოდა, თავადებს სძულდათ, რადგან გლეხებისაკენ იყო. როცა ჩამოვიდოდა, მაინც ჰპატიჟობდნენ, ქალალდს მოწერდნენ, მაგრამ აკაკი არ მიდიოდა.

ყველაზე უფრო ბეჟან წერეთელთან უყვარდა სიარული. ხშირად ქალაქიდან პირდაპირ იქ მივიდოდა. ბეჟანის ცოლი ნიცა, ნათლიდედა იყო აკაკისა. აკაკი დიდად პატივს სცემდა ნიცას, ხშირად მინახავს აკაკი და ნიცა ბაღში, მარტო დიდხანს ლაპარაკობდნენ.

აკაკი ხშირად მოაყვანინებდა კორბოულელ მელექსე ტალახაძეს და ათქმევინებდა ლექსებს. ბევრსაც ჩაიწერდა.

ერთხელ, მახსოვს, აკაკი მარტო ავიდა მოდინახეზე და იქიდან დიდხანს არ ჩამოსულა. კოტე წერეთელი იყო ასლანის შვილი, როსტომის ბიძაშვილი. ერთხელ კოტემ სთხოვა აკაკის სამოსახლოდ ნახევარი იმ ადგილისა, სადაც წინეთ აუზები ჰქონდათ და ფული შესთავაზა, მაგრამ აკაკიმ ფული არ გამოართვა და ისე მისცა ნახევარი ადგილი.

რამდენიმე ხნის შემდეგ აკაკიმ მეორე ნახევარიც გადასცა კოტეს. ამაში კი მიიღო ფული.

როცა აკაკი ავად გახდა, ჩვენ, გლეხებმა, სუყველამ ვინახულეთ. აკაკიმ ასე გვითხრა:

— ამისთანა ავადმყოფობა ჯერ არ გამომივლიაო.

აკაკის უნდოდა, რომ აქ სხვიტორში, მის ეზოში დაემარხათ. ჩვენც ყველას გვინდოდა, მაგრამ საზოგადოებამ არ დაგვანება.

ანტონ მაჭარაშვილი (64 წლისა, ს. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი)
ჩასწერა თ. ქავთარაძემ.

აკაკი ჩემზე უფროსი იყო. მე აკაკის მეზობელი ვარ. ჩემი სახლი აკაკისგან ასი მეტრით არ იქნება დაშორებული.

აკაკი დიდი, ძვირფასი კაცი იყო. პატარა ბავშვს რომ შეხვდებოდა, როგორც მთავარს—ისე დაუწყებდა ლაპარაკს. ერთი პატარა ძმისწული მყავდა, სულ ტოლივით ელაპარაკებოდა და ეთამაშებოდა.

გლეხებს ხშირად დაიბარებდა ხოლმე თავისთან, ესაუბრებოდა. ვინც წიგნი იცოდა, თავის ლექსებსაც აჩუქებდა.

სიკო წერეთელთან იყო ერთ დღეს და მთელი ღამე გაათენა ბანქოს თამაშით. ვისაც ცხენით უნდა წამოეყვანა, იმ კაცმა ჰკითხა:

— კნიაზო, წააგე თუ მოიგეო.—შე კაცო, რომ მომეგო, ხომ ჯავრით დაწყდებოდნენ თავადებიო, მე წაგება არაფრად მიმაჩნია, სულ ვაგებო.

გლეხებისათვის აკაკი დაუფასებელი იყო. რამე გაუჭირდებოდათ, იმასთან მიდიოდნენ, რჩევა-დარიგებას მისგან იღებდნენ. აკაკი გლეხის იმედი იყო. თავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დები არ უყვარდა. გლეხებს ეტყოდა:—ადგილის საყიდლად როცა მიდიხართ თავადთან, ვაჭრობას კი ნუ დაუწყებთ, ფული დაანახეთ და დარდისაგან არ დაეძინებათო.

აკაკის ცოლი და შვილი ჩამოდიოდნენ საჩხერეში, არც ერთმა ქართული არ იცოდა.

რაც შორაპნიდან ჭიათურაში პირველი მატარებელი მოვიდა, აკაკი ამოვიდა სხვიტორში და დიდხანს გველაპარაკა ჩვენს გასაჭირზე.

აკაკი საჩხერიდან თავის სახლში ხან ურმით, ხან ცხენით ამოდიოდა. მისი მოსვლა ყველას გულს გვინათებდა ხოლმე.

მარიამ წერეთელი (65 წლის, ს. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის მცოდნე)
ჩასწერა თ. ქავთარაძემ

აკაკის სახელი ისე იყო გავრცელებული ჩვენს მხარეში, რომ ბავშვსაც კი, ენა თუ ჰქონდა ამოდგმული, არ შეიძლებოდა მისი სახელი არ სცოდნოდა. დედები სულ ცდილობდნენ, მათ ბავშვს აკაკი ენახა. ბავშვების ოცნებაც ხომ ეს იყო და ეს.

ჩემ ქალიშვილს არასდროს არ ენახა აკაკი. მისი გაცნობა ნატვრად ჰქონდა გადაქცეული.

იმ ხანად ჩვენ ქუთაისში ვცხოვრობდით.

ერთხელ, მივდივართ მე და ჩემი ქალიშვილი. მე თვალი მოვკარი აკაკის, დიდებული შესახედავი იყო, მაღალი, მხარბეჭიანი, თეთრი თმით, თავი მაღლა ჰქონდა აწეული. ყველა ჩურჩულობდა ქუჩაში: აკაკი, აკაკიო.

ჩემ ქალს ვუთხარი, ეს აკაკი იყო-მეთქი. ჩემი ქალი კინაღამ გადაირია სიხარულით. მთხოვა, რომ დავწეოდით. რომ მიუახლოვდით, მე უთხარი აკაკის, ჩემს ქალს ნატვრად აქვს გადაქცეული შენი გაცნობა-თქო. აკაკიმ, როცა გაიგო რომ ეს ჩემი ქალი იყო, ტკბილად გაუღიმა და შუბლზე აკოცა. საღამოს კი გვთხოვა, მასთან სასტუმროში მივსულიყავით.

მაროლაც, საღამოს მივედით. აკაკიმ დაგვახვედრა გაწყობილი მაგიდა ტკბილეულობით. ძალიან კარგი დრო გავატარეთ, ბევრი ვიცინეთ. ჩემმა ქალმა იცოდა სიმღერა და აკაკიმ დაუწერა ლექსი გიტარაზე სამღერლად.

საუბედუროდ, ის ლექსი უკვე აღარ მახსოვს. ჩემი ქალიც გარდამეცვალა.

შემდეგ აკაკის რამდენიმეჯერ შევხვედრივარ. ყოველ შეხვედრაზე გამომკითხავდა ამბებს, არაფერი არ დაავიწყდებოდა.

ივანე ცქიტიშვილი (98 წლისა, სოფ. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის მცოდნე)
ჩასწერა გრ. ინასარიძემ

ძველად ვინც კი ითვლებოდა შეძლებულ თავადად, ყველას უნდა ჰყოლოდა მოურავი; ერთგული უნდა ყოფილიყო ბატონისა; სხვები დაეჩაგრა, თვარა ისე არ გააჩერებდა იმას ბატონი. გლეხი ამას ვერ შესძლებდა და ამიტომაც იყო, მაშინ მოურავებად უფრო აზნაურები იყვნენ. იმ ძველ დროს ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა გამიყვანა მამაჩემმა როსტომის ოჯახში. პირველად შინაურ საქმეებს უკეთებდი, სანამ წამოვიზრდებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომს იმ დროს ორი ქალიშვილი ჰყავდა: ერთი იყო უფროსი, რომელსაც ანას ეძახდნენ, მეორეს კი მატას, რომელიც ანაზე უმალ გაათხოვეს, დადიანზე.

პირველად წერა-კითხვა ქართულად მასწავლა მატამ. ქართული წერა-კითხვა ისე არ გამჭირვებია, როგორც რუსული წერა-კითხვა, რომ დაიღლებოდა მატა ჩემი ჩიჩინით, მეტყოდა ხმა მაღლა: ეს ოხერი რუსული ჟ-ს წერა და ცნობა სულ ვერ გავიგეო, ამითი მაინც დაიმახსოვრე—ბაყაყსა გავს ეს რუსული ჟ-ო. და თუ ვინმე გაიგონებდა ამ სიტყვას, აუტყდებოდათ სიცილი და მეძახდნენ: ივანიკა, ბაყაყს რომელი ასო გავსო. მეც თუ ველარ მომაგონდებოდა ეს ოხერი ჟ, თავს არ დამანებებდნენ სანამ არ მათქმევინებდნენ. ბოლოს როგორც იქნა, შევისწავლე.

ერთხელ, ანამ გვერდით მომისვა და მასწავლა ხუცური კითხვა, რასაც ორი კვირა მოუნდით. დამიდებდა ანა ერთ წიგნს, „სამოციქულოს“ ეძახდნენ, და, რახან შევისწავლე კითხვა, მაკითხებდა და მაკითხებდა ყოველდღე სადილის შემდეგ. მათის აზრით, მე უნდა გამოვსულიყავი მღვდელი და შობას ხალხშიც უნდა წამეკითხა ეს სამოციქულო, რომლის აწევაც კი არ შემეძლო, ისე მძიმე და დიდი იყო.

რაც შეეხება როსტომს და მის სიმდიდრეს, ამ ძველ თავადიშვილებს ჭამისა და დროსტარების მეტი ხო არა ახსოვდათ რა. ან სმა უნდა ჰქონებოდათ, ან არა და ბანქოს თამაში. ბანქო აკაკისაც ძალიან უყვარდა.

როსტომი გაგზავნიდა ქუთაისში (ძველად მატარებელი არ იყო) ათ კაცს. ჩავიდოდნენ, იყიდდნენ შაქარს თითო კაცზე ორი ფუთის ანგარიშით, დაბრუნდებოდნენ მეორე დღეს, ამოუტანდნენ როსტომს ამ ოც ფუთ შაქარს, შეინახავდა იქამდე, სანამ ძალიან არ მოიმატებდა ფასს. როგორც კი გაძვირდებოდა, ისევე იმ კაცებს გაატანდა და ისევ გააყიდვინებდა. ასევე ლობიო, პური, სიმინდი და სხვ. ნამუშევარი რომ ყოველ წელიწადს მოსულიყოს უხვად, თურმე ძალიან ეწყინებოდა, რომ არ მოვა ნამუშევარიო, გაუჭირდება ხალხსო და მაშინ მოვლენ თავიანთი ფეხით ჩემთან საყიდლათო,—იტყოდა როსტომი.

მე თითონ პატარაობიდან როსტომის ოჯახში გავიზარდე. ცოლიც იმ ოჯახში შევირთე, თითქმის ჭაღარაც მათთან გამომერია. მე, მოურავი ვიყავ და მეძახდნენ ზედმეტ სახელს: „სვეტლეიჩი კნიაზს“. ამ სახელით, არ ვიცი, დადიანებს მადარებდნენ თუ შერვაშიძეებს. აკაკი მეტყოდა ხოლმე:—შენ ისეთი თვალების პატრონი ხარ, აუცილებლად კაცი შემოგაკვდებაო. მართლაც, დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, ეს სიტყვა რომ მითხრა ცხონებულმა, შემომაკვდა ერთი კაცი. მაშინ კი მითხრა აკაკიმ:—შენი ცოლშვილი რომ არ მებრალებოდეს, შენზე ახია, რომ გაგაციმბირონო!

გაზაფხულია, ყველა ყმა თავიანთ საქმეს აკეთებდა, როსტომს ჰყავდა ორი ყმა—ისინი ძმები იყვნენ. ერთი ხარებს უძღვა, მეორე, რომელიც უფროსი იყო, სახვნელს მისდევდა, ხნავდნენ. როსტომი ჩამოვიდა იმათ სანახავად. რომ დაინახეს ამ ყმებმა, ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნათ. უფროსმა ძმამ ვერ გაატარა კვალი სწორად, წინ რომ მიუძღოდა, ცალი თვალი როსტომისკენ ჰქონდა თურმე. უფროსმა ძმამ იფიქრა, ამ კვალის გამრუდებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომი მე არ შემაწევსო. აიღო წკნელი დიდმა ძმამ და უთაქა და უთაქა წინამძღოლს. როსტომი უყურებდა ამ ამბავს. სწორედ აღდგომის შაბათი იყო იმ დღეს. მეორე დღეს აღდგომა გათენდა და როსტომიც მობრძანდა საყდარზე, დაუძახა ყმებს: გააძვრეთ ამ უფროს ძმას ტანისამოსიო. გააძვრეს ტანისამოსი.—მოიტანეთ როზგი და ტიტველ ტანზე მაგრათ ურტყითო! მართლაც, ისე ურტყეს, ისე, რომ ძლივსღა სუნთქავდა.—ააყენეთ ეხლა და მიაკარით ცაცხვზეო.—მიაკრეს ეს დალურჯებული კაცი. ქვეყანა მისჩერებოდა, მარა გლეხკაცი იმას ვერ ახსნიდა როსტომის შიშით. ბოლოს, დიდი თხოვნით, ზოგიერთი თავადიშვილიც ჩაერია ამ თხოვნაში, და ცოცხალმკვდარი, ტიტველ-შიშველი აიყვანეს გლეხებმა და წაიყვანეს სხვის ოჯახში. სიკვდილით კი არ მომკვდარა, მარა აღარც ცოცხლებში ეწერა. ის იყო და ის, აღარც მისულა როსტომის სახლში საწყალი, სადღაც გადიკარგა.

როსტომს ბევრი ყმა ჰყავდა. თითონ შინაყმებს, როგორც მოურავი, მე ვანაწილებდი სხვადასხვა საქმეზე. შვიდი კაცი განუწყვეტლივ შეშაზე დადიოდა. გათენდებოდა დილა თუ არა, ადგებოდნენ, ცოტა რამეს შეჭამდნენ და გაუდგებოდნენ გზას. იმ მთას ეძახდნენ „გონჯიხევს“. ავიდოდნენ, შეჰკრავდნენ შვიდ კონა ფირჩხს და ჩამოიტანდნენ. სადილს რომ ჭამდნენ, კიდევ წავიდოდნენ, ესე იგი ორჯერ მაინც აუცილებელი იყო თოთხმეტი კონის ჩამოტანა. ერთხელ, ჩამოიტანეს ერთი გზობა, წავიდნენ კიდევ და მეორეთ რომ ჩამოიტანეს, ექვსი კონა იყო, ამ შვიდ კაცში ერია ერთი კაცი, გვარად კენჭოშვილი, ამ კაცმა ფირჩხი ვერ იშოვნა, თუ იშოვნა და დაეზარა კონის წამოღება, აღარ მახსოვს, მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ ჩამოვიდნენ და ექვსი კონა ჩამოიტანეს, ე. ი. თითოთითო კონა კაცის თავზე, ხოლო ამ კენჭოშვილს ორი მსხვილი მუხის მოგრძოლაპრები ეჭირა აქეთ-იქით იღლიის ქვეშ და მოიტანა. ეს დაინახა როსტომის წყეულმა ქალიშვილმა ანამ, მივიდა როსტომთან და უთხრა: ამ კენჭოშვილმა რაღაცა ცულლუტობა დაიწყოვო, სხვებმა კონები ჩამოიტანესო და მაგან ორი ღერი მუხა ჩამოათრიაო. როსტომი, როგორც მოგახსენეთ, ისედაც არ იყო კაცის შემბრალე და, თუ კი რაიმე მიზეზს იშოვნიდა, მაშინ ხომ კაცს სიკვდილის პირს მიაყენებდა. ადგა როსტომი, ერთი დიდი საბიჯგი ჯოხი ჰქონდა, თავზე კომბალი ჰქონდა ამ ჯოხს (ასეთ ჯოხს ხშირად მეცხვარეები ატარებენ ცხვარში); ხოლო როსტომის ჯოხი უფრო დიდი იყო. მიეპარა ნელა ამ კენჭოშვილს, დამჯდარს ამ დროს, და ზეიდან დაჰკრა თავში. როგორც კი დაჰკრა, გაუსკდა თავი საწყალს და გადმოეშვა სისხლი ხალათზე და, როგორც გარეტიანებული ქათამი, ისე აქნევდა თავს მიწაზე; მაგრამ ეს მოუნათლავი როსტომი მაინც ურტყამდა სადაც კი მოხვდებოდა. წამოხტნენ ყმები და დიდი ხვეწნით და ვაი უბედურებით გამოვაშორეთ საწყალი კაცი. იმდენად ავი იყო როსტომი, არა მგონია ამ წერეთლებში იმაზე უფრო ავი და ურწმუნო კაცი ყოფილიყოს ვინმე. არც ეყოლებოდა იმას ათას კაცში ერთი მაქებარი. არა მგონია, თორემ სხვიდანაც გაგონილი გექნებათ მისი კაი კაცობა. ეხლა ანას ამბავს თუ იკითხავთ: ანა შესანიშნავი თვალად-ტანადი ქალი იყო; ცალი კარი რომ გაგეღო, თუ მეორესაც არ გააღებდი, ვერ შემოეტეოდა სახლში, ისე მსუქანი ქალი იყო. უყვარდა სამღვთო სჯულის კითხვა, დღე და ღამე სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმასა კითხულობდა, ეკლესიაშიაც ყოველ კვირას დადიოდა. მთხოვნელი ბევრი ჰყავდა, მაგრამ არა შვებოდა გათხოვებას. მაზე უმცროსი და მატაც ძალიან ლამაზი ქალი იყო, ანაზე ბევრად კაი ზნის ქალი და მალეც გათხოვდა დადიანზე. ანას ჰქონდა საშინელი ჩვეულება: რომ დაინახავდა ყმებს, ცალკე სადმე რომ ყოფილიყვნენ საწყლები, მიეპარებოდა ფეხაკრეფით და უგდებდა ყურს, თუ რამეს გაიგონებდა, მაშინ ხომ იმ ყმებს აღარავინა ჰყავდა მშველელი, მიუტანდა როსტომს ამ ამბავს და ვაი მათ დღეს, მაშინ ისინი რომ ჩაცვივდებოდნენ. ერთი სიტყვით, უყვარდა ენის ტანტალი, თვითონ კი როგორც ამბობდნენ სატრფოდ ჰყავდა დათია ბოჭოიძე. ძალით უნდოდა რაიმე გაეგო თავის თავზე და ამაზე გადაჰკიდებდა ხალხს ერთმანეთს.

როსტომს ჰყავდა ერთი მეტად შესანიშნავი, ძალზე კარგი, თვალად-ტანადი შვილი, ილიკო. არა მგონია რომ იმისთანა კარგი კაცი თუ სადმე იქნებოდა. მე ხომ ყველა წერეთლებს ვიცნობ, როგორები იყვნენ და როგორები დარჩნენ. არავინ არ იყო იმისთანა, ის რომ იყო, მხოლოდ ქაღალდის თამაში უყვარდა.

როსტომს, აკაკის გარდა, ჰყავდა შვილი დავითიც, მარა არაფრით არა ჰგავდა ილიკოს. ილიკო აკაკისთანა ჭკუიანი არ იყო, მარა ისე თვალს მოგჭრიდა, რო გენახა.

ვინ არ იცნობდა აკაკის?! თვითონ როსტომის შვილებსაც ძალიან უკვირდათ აკაკის მჭევრმეტყველება. როცა როსტომ წერეთელს სტუმრები ეწვეოდნენ, თუ აკაკი შინ დაუხვდებოდათ, შეატყობდით სახეზე მათ, რომ არ ესიამოვნებოდათ აკაკის შინ დახვედრა. ესენი გახლდათ თავადები. გლეხები რომ ყოფილიყვნენ, მათ ძალიან გაეხარდებოდათ კიდევაც, მარა გლეხებს როსტომისობას ვინ დაიპატიჟებდა. იმიტომა სწყინდათ თავადებს აკაკის შინ დახვედრა, რომ იცოდნენ მისი გესლიანი სიტყვა. მათ არ გაუშვებდა ისე, თუ კარგად არ შეახურებდა.

ერთხელ, მე და აკაკი ვიჯექით აივანზე და ეკლესიისაკენ ვიცქირებოდით. აკაკიმ მითხრა:—ჩემო ივანე, მე ყველას ამას ვეუბნები და შენც ამას გეტყვი, ძალიან ვთხოვ ყველას, აქედან მკვდარს ნურსად წამიღებენო, აგერ იმ ტყემლის ძირში დამასაფლავეთო. მერე მე ვუთხარი: ჩემო აკაკი, დასაფლავება ადვილია, მარა მღვდელი აქ არ მოვა და ვინ გაკურთხებს მეთქი. მობრუნდა ჩემსკენ და მითხრა:—მაგაზე მეტი ჭკუა არა გაქვს. მღვდელიც მოვა და დიაკონიცო.

აკაკიმ მითხრა: ეს ტყეები ბევრი გვაქვს და ადი, ზოგს, ვისაც ფული არ ექნეს, უფულოდ მიეცი და ზოგსაც ცოტაოდენი სახარჯო გამოართვიო. არა მაქვს კარგად საქმეო, ე. ი. ფული არა მაქვსო, თვარა არც ის სახარჯო მინდაო. ზოგს სულ არა აქვს ტყე და ჩვენ ველარ გაგვიგია, რომელი რა ადგილას არისო,—იტყოდა ხოლმე აკაკი. ხშირად გამიგონია აკაკისაგან როსტომთან საუბრის დროს:—მამაჩემო, გეყო რაცა ჭამე, და ეხლა დროა სხვამაც ისარგებლოს ამ ტყითა და ველითო.

როსტომმა იცოდა, ჭურების სარეცხად თავის შინაყმას მოაყვანინებდა კაცებს და რომ ჩავიდოდენ ეს გლეხები ჭურებში, არა ნაკლებ სამი დღე მაინც უნდა ერეცხათ; დღეში სამ აბაზად მუშაობდნენ ეს კაცები. ერთხელ გამოვიდა აკაკი და ჩააჩერდა ერთ დიდ ჭურს ზევიდან და ჩასძახა ჭურის მრეცხავს: გამარჯობა შენიო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოხედა მრეცხავმა ზევით აკაკის და ამოსძახა: გაგიმარჯოს, ჩემო აკაკიო.—რას გაძლევთ მამაჩემი ამ ჭურების დასარეცხსო?—ააშენოს ღმერთმა მაგის ოჯახი, სამ დღეს მოუნდებითო და ოროლ მანეთს მაინც მოგვცემსო! მერე ცოტა არ არისო?—არა, ბატონო, ბევრიცაა. როცა გაათავოთ, ჩემი უნახავი არ წახვიდეთო. მართლაც, რომ მორჩნენ, მივიდნენ აკაკისთან, კარგი პატივიცა სცა, თითოს ხუთ-ხუთი მანეთიც მისცა და ისე გაისტუმრა, თანაც ასე უთხრა: მამაჩემს არაფერი არ უთხრათო, იმისგანაც მიიღეთ, რაც გეკუთვნითო. ასეთი კაცი განა იქნებოდა მთელ საწერეთლოში? არა, არა მგონია.

აღდგომისათვის ყველამ იცოდა წითელი კვერცხი და ჩვენც ჩვეულების მიხედვით, ბევრი კვერცხი შევაღებინეთ ჩვენს ყმებს. ეს კვერცხები დალაგებული ჰქონდათ ორ დიდ ფიცარზე. ჩამოვიდა აკაკი პალატში; რომ დაინახა ხვავად ეს კვერცხები, მიუბრუნდა იმას, ვინც შეღება და უთხრა: ეს შეღებილი კვერცხი რათ გინდათ, შეუღებავი არ შეიჭმება? ეს საღებავი უნდა მოისპოს, როგორც დრომოჭმული ჩვეულებაო. როგორც ჭირი, ისე ეჯავრებოდა აკაკის წითელი კვერცხი. თითო მოჯამაგირეს ხუთ-ხუთი მანეთი მისცა, რახან აღდგომა იყო მეორე დღეს, ხოლოდ მე კი მაჩუქა ოქროს თუმნიანი.

როსტომი ეტყოდა აკაკის: დღეს მობრძანებულხარ და ხვალ ისევ წაბრძანდებიო, ორ დღეში გინდა შენ კვერცხის შეღება გადააგდოვო? აკაკი სიტყვას აღარ შეუბრუნებდა, იცოდა როსტომის სიკერპე.

მე თითქმის 40 წლისა ვიქნებოდი იმ დროს, როცა აკაკის ოჯახში მოურავად ვიყავი. შემოგვეჩვია ერთი მელა და ყოველ სამ დღეში ერთხელ ოროლ-სამ-სამი დედალი მიჰყავდა. ხანდახან ჩაუსაფრდებოდით, მაგრამ ვერას ვხვდებოდით მე და ჩემი მეგობარი ბოჭოიძე. ამ ბოჭოიძემ მითხრა: ეგება ახლოს არის ისეთი ადამიანი, რომელიც გვპარავს დედლებსო; ერთხელ დაბინდებაზე ეს ჩემი მეგობარი საქათმესთან იდგა მოშორებით. მოსულა თურმე ერთი დედა-მელა, შესულა ამ საქათმეში და რომ ჩაუვლია პირი დედლისათვის, ატკრციალებულან ქათმები; ეს გაუგია ბოჭოიძეს, მივარდნილა და დაუკეტნია საქათმის კარი. არიქა, ივანე, მელა დავამწყვდიე საქათმეშიო. დამიძახა მე. მივვარდი მეც. რა თქმა უნდა, მელა დავიჭირეთ. გამოვიყვანეთ საქათმიდან და ჩვენა ვთქვით, აკაკისაც ვაჩვენოთ ეს ჩვენი ქათმებით გასუქებული ქურდი-თქვა. მიუყვანეთ აკაკის, დაინახა თუ არა მომაძახა: რა უნდა უყოთ მაგასო? რა და უნდა მოვკლათ, ბატონო-მეთქი. აკაკიმ გვითხრა: თუ გიყვარდეთ, არ მოკლათ, გაუშვითო. რავა შეიძლება, აკაკი, ამის გაშვება, სულ გაგვცალა ქათმებიდანო,—უთხრა ბოჭოიძემ.—თქვენ გააკეთეთ კარგად ეგ საქათმე და თუ კიდე წაიღოს ქათმები, მაშინ კი ნულარ გაუშვებთ ცოცხალსო.—რაღას ვიზამდით?! სანამ არ გაუშვით, არ მოგვეშვა. ამ ამბის შემდეგ გაიარა ორმა კვირამ და გზაში წამოვეწიე მონადირეებს, რომლებიც გაფაციცებული ელოდებოდნენ რაღაცას; თურმე ძაღლები ჰყავდათ ტყეში გაშვებული, შველი უნდა გამოეგდოთ ამ გზისკენ და სწორედ იმას უყურებდნენ. მე წამოვედი ჩემთვის. ცოტა ხნის შემდეგ ატყდა ყეფა ძაღლებისა. მივიხედე უკან და ვხედავ, მშვენიერი მშველი მორბის ჩემსკენ, უკან ძაღლები მოსდევენ. მე ვიფიქრე, ჩემთვის გავიწევ გზის ნაპირზე და ჩაუსაფრდები, იქნება ან დავარტყა რამე ან და ეგება დავიჭირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდეც-მეთქი. უცებ ჩავიმალე გზის პირზე თუ არა, მოაწია ჩემამდის. თვითონ ვერ დამინახა. ცოტა გაწყდა, კინაღამ ძაღლებმაც მოავლეს პირი. ამ დროს უცბად უკანა ფეხებში მოვატანე ხელი და დავიჭირე. მოცვინდნენ მონადირეები, შეგვექნა ერთი ამბავი, მარა მაინც ვეღარ წამართვეს. წამოვიყვანე ეს მშველი და მოუყვანე აკაკის. გაეხარდა, დიდხანს უსვა თავზე ხელი. ეხლა რა უნდა უყოთო ივანე ამ შველსო,—შემეკითხა აკაკი. მე უპასუხე: თქვენთვის მომიყვანია და რაცა გნებავთ ის უქენით მეთქი. გადამეკიდა—გაუშვი და გაუშვიო. ამ დროს ამ ლაპარაკზე აკაკის და ანა გვესწრებოდა, იმან თვალით მანიშნა, მოდი რა უნდა გითხრაო.—ჩემ ძმას უთხარი, გაუშვებ მაგ შველსათქო, მხოლოდ მართლა კი არ გაუშვა, ჩაიყვანე ბოსელში, დაამწყვდიე და ამაღამ დავკლათო. საღამოზე დავკალით ეს შველი და მშვენიერი ხორცი ჰქონდა, მაგრამ აკაკის ვინ გაუბედავდა იმ ხორცის მიტანას. ისე შეიჭამა ეს ვეებერთელა შველი, რომ აკაკის არც გაუგია.

აკაკი რომ გულკეთილი ადამიანი იყო, ეს გამოიხატებოდა იმის საქციელში, თუ როგორ ეპყრობოდა ყმას. აკაკის სოფელ ორღულში ჰყავდა ნაყმევი ბერია ჭიღლაძე. ამ ბერიასათვის აკაკის გამოერთმია ოთხასი მანეთი იმ პირობით, რომ აკაკის ამ ფულში ადგილი უნდა მიეცა. მაგრამ რატომღაც აკაკის ხელი შეეშალა და ვეღარც ფული გაისტუმრა და ვეღარც ადგილი მისცა. ბეროს წაერთმია აკაკისთვის რაც საუკეთესო ადგილები იყო, რომელშიაც მოდიოდა ასი ურემი სიმინდი და სხვ. თანაც მთავრობაში გამოეცხადებია, აკაკი წერეთელმა ოთხასი მანეთი გამომართვა და აღარ დამიბრუნაო. ერთ მშვენიერ დღეს გაუგზავნია კაცი ბეროსათვის აკაკის და დაუბარებია, აუცილებლად ამოდი ჩემთანო. მართლაც, მისულა ეს გაგზავნილი კაცი ჭიღლაძესთან, მაგრამ იგი არ ასულა აკაკისთან. შეშინებული ყოფილა: მას ჰგონებია, რადგან მე აკაკის ადგილი წავართვი, აუცილებლად დამატუსაღებსო. კიდევ გაუგზავნია კაცი აკაკის ბეროსთან. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და მივიდა ცახცახით აკაკისთან ბერო. შეუყვანია სახლში, დაუჯენია სკამზე, გაუშლიათ სადილი და გხლებიან საჭმელს. სწორედ ამ დროს შევედი მეც სახლში. დამინახა თუ არა აკაკიმ, დამიძახა: ივანე, გადი ჩემს ოთახში და ჩემი პალტო გამომიტანე ამ წუთშიო. სიმართლე მოგახსენოთ, კი გამიკვირდა, რათ უნდა ამ შუასადილის ჭამაზე ეს პალტო-მეთქი. მივუტანე და მივაწოდე აკაკის.—მოახურე ბეჭებზე ბეროსო. აი, ეს შენი ოთხასი მანეთი, რომელიც სესხადა მქონდა აღებულიო. ის ადგილებიც შენაო და ეგ პალტოც შენი ფეშქაში იყოსო. ეს კაცი ბერო კინაღამ ჭკუაზე შეიშალა მეტი სიხარულით: კაცი დატუსაღებას ელოდა და იმის მაგიერ დასაჩუქრებული გაისტუმრა.

აკაკის ძალიან კარგი ხასიათი ჰქონდა. ვინც უნდა ყოფილიყო, ბავშვი იქნებოდა თუ დიდი, თუ კი შევიდოდა იმის ოთახში, იმ წუთში წამოდგებოდა აკაკი ფეხზე და თავისი ხელით მიუტანდა სკამს. გარდა ამისა, არ შეიძლებოდა იმას ცალკე პური ეჭამა, თუ კი გლეხი იქნებოდა მათ ოჯახში, ან მუშა თუ ეყოლებოდათ, ეტყოდა ხოლმე ანას აკაკი,—ცალკე არ დააჯინო მუშებიო, ეგენიც ისეთივე ადამიანებია, როგორიც ჩვენა ვართო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი საწყალი კაცი იყო მაშინ ჩვენს სოფელში, ფილიას ეძახდნენ. შინ იმას არავინა ჰყავდა საჭმლის გამკეთებელი და გარედან იმას არაფერი მოსდიოდა. დაუძახებდა აკაკი, როცა კი შინ იყო,—მოდი ყოველთვის, ჩემო ფილია, და აქა ჭამე ხოლმე სადილი; ეს ხომ ვიცი, რომ არც არაფერი გაგაჩნია და კიდეც რომ გქონდეს რამე; გამკეთებელი არავინა გყავსო. მართლაც, აკაკისობას ფილია სულ ჩვენთან სადილობდა ხოლმე.

მე ხშირად მინახავს აკაკი თავის ოთახში. საწოლზე გულაღმა იწვა ხოლმე და მაღლა ჭერს მისჩერებოდა, უცქეროდა კარგა ხანს, წამოდგებოდა, გაივლიდა და გამოივლიდა ოთახში. ამ დროს რომ შევსულიყავი, გააქნევდა ხელს ულაპარაკოდ, ე. ი. მანიშნებდა გარეთ გადიო. მერე დაჯდებოდა. საწერი სტოლი და კალამი იქავე ედგა, ლოგინთან ახლოს. დაიწყებდა წერას, კარგა ხანს წერდა, შემდეგ კიდევ წამოწვებოდა, კიდევ ადგებოდა და ისევ დაიწყებდა წერას:

„არ მინდა დიდი ქურქია,
ზამთარს ტყაპუჭიც თბილია.
არ მინდა დიდი სიმდიდრე,
დღიური ლუკმაც ტკბილია.
ვისაც რომ ბევრი ფული აქვს—
ტიკვით გაბერილია,
ღამე აქვს მოუსვენარი
მისი მკბენარი რწყილია—
ეს უნდა იყოს ილია.

სხვათა შორის, ეს ლექსი გამოუთქვა აკაკიმ ილია გამყრელიძეს, რომელმაც ბევრი რამ წააგლიჯა აკაკის: წისქვილი, აბანო და სხვა.

აკაკიმ იცოდა მოხერხებული სიტყვა. ერთხელ მე შემეკითხა: ივანე ხე არ გადაგიჭრია?—კი მეთქი—ვუპასუხე მე,—რათა, რისთვის?—უკეთეს შტოებს გაისხამს, უფრო კარგა გაუმსხვილდება ფესვები-მეთქი.—ოო, ყოჩაღ ივანე, სწორედ აგრე დაემართება ჩვენს თავადებს, მათ ადგილებს გლეხები უფრო გამოიყენებენო, ისინი გადაშენდებიან და გლეხები დაიკავებენ იმით ადგილ-მამულს ხელშიო.

ხშირად მეტყოდა აკაკი: შენ იქნება მოესწრო იმ დროს, როგორც ჯანსაღი ადამიანი, რომ ამ წერეთლების ოჯახებს სხვები დაეპატრონონო.

აკაკის ავადმყოფობის დროს მოსულან ექიმები საჩხერეში. უკითხავთ აკაკის სახლი. იქ ყოფილა საქონლის ექიმი ფარქოსაძე, მას წამოუყვანია ექიმები აკაკისთან, ოთახში რომ შესულან და აკაკის მისალმებიან, ფარქოსაძის დანახვაზე აკაკის უთქვამს ამ ექიმებისათვის: თქვენ მოდიოდით ჩემთან, მაგრამ ეგ ვირის ექიმი რაღათ მომიყვანეთო,—გააცინა თურმე ყველანი.

ერთხელ აკაკის შეხვდა ბეჟან წერეთელი, მიესალმენ ერთმანეთს, როგორც დიდიხნის უნახავები. აკაკიმ უთხრა ბეჟანს: სად არის შენი შვილი, რა ამბავი მოგდისო, ან რასა სწავლობსო? ბეჟანმა უთხრა: ჩემი შვილი პარიზში სწავლობს სამეურნეო დარგს, როცა დაამთავრებს, ჩამოვა და აქ იქნებაო.—ეხ, ჩემო ბეჟან, შენს შვილს ურჩევნია, სწავლას რომ გაათავებს, აქ არ ჩამოვიდესო. აქ რომ ჩამოვიდეს, შინ დახვდება მარტო ის ერთი ვირი რო გყავს და უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიდოს იმ ვირით წყალიო.—ეს სიტყვა ძალიან სწყენია ბეჟანს:—ჩემმა შვილმა რათ უნდა ზიდოს ვირით წყალი, მე მოჯამაგირეებს ვერ დავახვედრებ სახლშიო?—ისეთი დრო დგება, ჩემო ბეჟან,მოჯამაგირეები კი არა, ის ვირიც აღარ ეყოლება და თითონაც კარგად მოიტანს წყალსო.

აკაკის რგანში ჰყავდა ნაყმევები სამყურაშვილები. დაიბარა ისინი და უთხრა: ერთი საპალნე კარგი პლასტის ქვა აიღეთ და ცხენებით ჩაიტანეთ ზესტაფონში ბლალოჩინ ღამბაშიძისასო. ამ ერთი საპალნის ჩატანა დაუჯდათ თორმეტი აბაზი. ზესტაფონში რომ ენახათ ეს ქვა, მოსწონებოდათ.

მეორედ რომ წაეღოთ, თითონ აკაკიც თან გაჰყოლოდა. ამ ქვის ნაწილი წაეღოთ მარსელში. იქ ეთქვათ, ამ ქვის ღირსება დიდიაო. მარსელში გაუტყდნენ აკაკის და უთხრეს: ამაში გამოდის ოქრო, ვერცხლი, საღებავი, სპილენძი და სხვაო. თითქმის რვა თავიო.

მე დიდხანს ვიყავი აკაკის ოჯახში და არასდროს აკაკი ისე გაჯავრებული არ მინახავს, როგორც ერთ დღეს იყო გაჯავრებული. აი რაზე გაჯავრდა აკაკი:

ძველად თავადებს კანონად მიაჩნდათ, რომ საწყავი თვითონ უნდა გაეგზავნათ ყმებისათვის ნამუშევრის აღებაზე. აგრეთვე ღვინისათვის ტიკებს თითონ გაუგზავნიდნენ და ისინი ამ საწყავით მიუწყამდნენ ნამუშევარს, ამავე ტიკებით ღვინოს მოუტანდნენ ბატონებს. ერთ ასეთ შემთხვევას მეც დავესწარი როსტომის სიცოცხლეში: თვით როსტომის შინაყმებს გაეგზავნათ ტიკი ერთი ყმისათვის. გაუვსია ეს ტიკი ამ ყმას და სიმინდთან და პურთან ერთად მიუტანია ერთ საღამოს. იმ დროს იქ სხვა ყმებსაც მოუტანიათ გადასახადი. ამ საწყალი ყმის ტიკი თურმე დაზიანებული გაუგზავნიათ როსტომის სახლიდან და რომ შეუნახავთ როსტომის სახლში, ღამე სულ გასვლია ღვინო. ეს ყმებიც იქ დარჩენილან როსტომის ოჯახში იმ ღამეს. ამდგარა დილაზე როსტომის წყეული ქალიშვილი ანა, და უნახავს რომ ეს ტიკი სულ დაცლილია, გამოსულა და მიუტანია ენა როსტომისათვის: დახეულ ტიკში ჩაუსხამს ღვინო და სულ დაცლილაო. როსტომს უთქვამს: მოიყვანეთ აქ საჩქაროდ ის კაციო. როსტომს უბრძანებია: წადი ეხლავე და მოიტანე იმ ღვინოს სამაგიეროო, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო! დაიჩოქა ღვინის მომტანმა და უთხრა: ბატონო, საიდან მოვიტანო სამაგიერო ღვინო, რომ წვეთი აღარ გამაჩნია, რაცა მქონდა სულ მოგართვით თქვენი გამოგზავნილი ტიკითო. ტიროდა ეს ყმა და ევედრებოდა როსტომს, მაგრამ როსტომი იმის ტირილს ყურადღებას არ აქცევდა. ამ დროს აკაკიც იქ იყო. უყურა მამის ასეთ საქციელს აკაკიმ, რომ არ ეზოგებოდა ადამიანის შვილი მამამისს, ვეღარ მოითმინა და მივიდა როსტომთან ახლოს, დაუდგა წინ და უთხრა: მამაჩემო, რას ერჩი ამ საწყალ ადამიანს? შენი ტიკი დაზიანებული ყოფილა, ამ საწყალ კაცს რაც ღვინო ჰქონია სულ შენთვის წამოუღია და ეხლა კიდევ მეორეთა სთხოვ? საიდან მოგიტანოს, არ ფიქრობ ამასო? როსტომმა ყურადღება არ მიაქცია აკაკის სრულიად. მაშინ აკაკიმ დაუძახა მზარეულს, რომელიც როსტომის ოჯახში მსახურობდა დიდხანს.—გლახუკა, გლახუკა, მოდი და დაკალი ეს ყმა, მოხარშე ამის ხორცი და სადილად მამაჩემს მიართვი საკუთრივ, იქნება გაძღეს მაგის გულიო!—ეს სიტყვა თქვა და კიდეც გავიდა გარეთ და წავიდა თბილისში ძალიან გაჯავრებული. ასეთ ცუდ ხასიათზე აკაკი მე არასოდეს არ მინახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრია კირვალიძე (55 წლისა, სოფ. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი).
ჩასწერა გრ. ინასარიძემ.

მამაჩემი მსახურობდა აკაკის ოჯახში. იმ დროს მე პატარა ბავშვი ვიყავი, მხოლოდ აკაკის, როგორც ბავშვების მოყვარულს, ხშირად უხდებოდა საუბარი ჩვენთან. მე მკითხავდა, მამაშენს რა ჰქვია, დედაშენს რა ჰქვიაო. რომ ვუპასუხებდი მერე გადამისვამდა თავზედ ხელს და მეტყოდა „როგორ გეკიდებიან ბატონებიო?"

აკაკი ძალიან უყვარდა ახალგაზრდობას. ის, ანდერძით, აქედან არ უნდა წაეღოთ. მე აქ უნდა დამმარხონო და ჩემს საფლავზე აქაურმა ბავშვებმა უნდა ითამაშონო.

აკაკი გლეხ ქალს არასოდეს არ გაარშიყებია; სხვა თავადები კი: ალექსანდრე წერეთელი, დიმიტრის შვილი, ასლანის შვილისშვილი, ქალებს არ უშვებდნენ, ძიძებს დაერეოდნენ. ვინ ეტყოდა უარს?! ბატონ-ყმობა ხომ მოგეხსენებათ რაც იყო?

აკაკის მსგავსი იყო მისი ძმა დავითი, არავის აწყენინებდა. დავითის ცოლი მარიამი, რომელიც დღესაც ცოცხალი არის, ავი იყო. მარიამზე უფრო ავი სანდრო წერეთლის ცოლი ელისაბედი იყო. თვით სანდრო წერეთელი, მამაჩემის გადმოცემით, ელისაბედივით ავი არა ყოფილა.

მამაჩემის ბატონი სვიმონ წერეთლის მამა—გიორგი წერეთელი ყოფილა. მამაჩემის გადმოცემით, არც გიორგი და არც სვიმონი ისეთი ავები არ იყვნენ, როგორც როსტომ წერეთელი. როსტომ წერეთლის შესახებ გამიგონია მამიჩემისაგან და ჩემი ძველებისაგან, რომ ის ყოფილა ძალიან ავი, მყვირალა კაცი, სტანჯავდა ყმებსო. როსტომ წერეთელს თავის სამოსახლოს ბოლოზე ჰქოხია მიჩნეული ერთი ადგილი, რომელსაც ეძახდნენ „საროზგავს". ამ ადგილზე როსტომ წერეთელი თავის შინაყმებს მოაყვანინებდა დამნაშავე ყმას. ამ ადგილზე ჰქონდათ ხუთიდან შვიდ ღერამდე ბჟოლის წკნელები შეკრული თავსა და ბოლოში. ამას ეძახდნენ როზგს. დააწვენდნენ მიწაზე ამ ყმას ტანზე გატიტვლებულს და დაუწყებდნენ დარტყმას ტიტველა ტანზე. ისე მწარედ ურტყამდნენ, რომ მისი ყვირილი გალმა კირვალიძეებს ეყურებოდათო. თუ რომელიმე ყმა ამ როზგის დარტყმაზე უარს იტყოდა, მაშინ იმ ყმას გაატიტვლებდნენ და დაუწყებდნენ ცემას, რადგან ბატონის სიტყვას გასტეხდა. მე გამიგონია თქმულება ჩვენი ძველებისაგან როსტომ წერეთელზე: ერთხელ როსტომ წერეთლის ნაყმევს ბერდელიძეს დაჰკარგოდა ერთი თხა. ამ ბერდელიძეს თხის მოპარვა დაუბრალებია როსტომ წერეთლის ნაყმევისათვის, გოგია ზაბახიძისათვის. აღდგომის შაბათს მისულა ბერდელიძე როსტომ წერეთელთან და უთქვამს:—მე მყავდა თქვენთვის ერთი კარგი თხა, რომელიც გოგია ზაბახიძემ მომპარაო. მეორე დილას გათენდა აღდგომა და ხალხი, ჩვეულებისდა მიხედვით, ყველა—ბატონები, ყმები, დიდი და პატარა, როსტომ წერეთელიც მისულან საყდარზე. როსტომ წერეთელს მოუკრავს თვალი გოგია ზაბახიძისათვის. დაუძახნია თავის მოურავისათვის და უთქვამს მიაკარით ცაცხვზეო. მართლაც, აღდგომა დილას მიუკრავთ გოგია ზაბახიძე ცაცხვზე. ეს დაუნახავს გიორგი წერეთელს, შესულა საყდარში, მოუსმენია წირვა და როსტომ წერეთელთან ერთად გამოსულან გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაკანში. წირვის დამთავრების შემდეგ როსტომ წერეთელს გიორგი წერეთლისათვის მიუწოდებია წითელი კვერცხი—ქრისტე აღდგა გიორგიო. გიორგი წერეთელს უთქვამს—გადი, გადი! შენ რომ კარგი კაცი იყო ამ კაცს ცაცხვზე არ ააკრავდიო, ეგეც ადამიანიაო! დაუძახნია თავის ყმებისათკის გიორგი წერეთელს—მოხსენით გოგია ზაბახიძე ცაცხვიდანო, ნუ გეშინიათ როსტომ წერეთლისა, მე გავცემ თქვენს სამაგიერო პასუხსო, მართლაც, მოუხსნიათ ცაცხვიდან გოგია ზაბახიძე.



აკაკი წერეთელი და მისი დისწული ანეტა დადეშქელიანი.

შენ ძალიან ცუდად ეკიდები ყმებსო, ეგენიც ხომ ადამიანები არიანო. შენ ისეთი ცუდი საქმე გაქვს დათესილი ყმებში, ჩვენ რომ დავიხოცებით ჩვენს მომავალ შვილებს და შვილიშვილებს ჩვენი ყმები ტანზე ხორცს აათლიანო,—უთხრა გიორგი წელეთელმა.

ისეთივე მკაცრი იყო აკაკის დედა ეკა, როგორც როსტომი. ეკა ეტყოდა როსტომს: მამაჩემი ქუთაისში რომ გაგზავნიდა ყმას, ფეხის გულებს დაუსერავდა და შიგ მარილს ჩააყრიდა, შენც ისე უნდა მოიქცეო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარსია კირვალიძე (98 წ., სოფ. კვერეთში მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი).
ჩასწერა გრ. ინასარიძემ

აკაკის მამა როსტომი მამაჩემის ბატონი იყო. მამაჩემს ერქვა ბერია. როსტომმა დაიბარა მამაჩემი და უთხრა: შენ, როგორც ჩემი ყმა, შენი ცოლშვილით უნდა ჩამოხვიდე ჩემთან სხვიტორში და მემსახურო. ეს მამაჩემმა არა ჰქნა, მე მთელი ოჯახით ვერჩამოვალ და ვერ გემსახურებიო, რადგან მე თავიდან კვერეთის მცხოვრები ვარო. ამ დროს მე ვიქნებოდი თხუთმეტი წლისა. ჩავედი როსტომთან და დავიწყე ხელზე სამსახური. ვემსახურე სამი წელიწადი. ჩემს მახსოვრობაში არავინ გაუროზგავს და მანამდის რას უშვრებოდა ყმებს არ ვიცი. როსტომს ხშირად მოსდიოდნენ სტუმრები, თითონ როსტომი წირვაზე კი დადიოდა, ხოლო გარდა წირვისა, სულ შინ იჯდა. სხვაგან სიარული არ უყვარდა. საკმაოდ მოხუცებული იყო, მე რომ იმას ვემსახურებოდი. როსტომს ხელპირს ვაბანინებდი და წყალს უზიდავდი. სანამ მზე დიდზე არ ამოვიდოდა, არ ადგებოდა ლოგინიდან. სადილს რომ მიირთმევდა, ისე ძალიან უყვარდა ძილი, კიდევ წამოწვებოდა ტახტზე და დაიძინებდა. როსტომის ცოლი ეკაც მოხუცებული იყო ჩემსობას, ისიც სულ შინ იყო. მეზობლებში სიარული არც იმას უყვარდა. როსტომს, ჩემს გარდა, სხვებიც ბევრი ჰყავდა ოჯახში, თვრამეტ სულამდე: ხაბაზები, ხელოსნები, მეჯინიბეები, ფარეშები მაგრამ როსტომი მაინც არ იყო კმაყოფილი. ერთხელ, მამაჩემს ძღვენი ‘ბიჰქონდა სოფ. გუნთაში მოყვარესთან. როსტომს რომ დაენახა ჩამოვლილი, დახვედროდა წინ, წაერთმია ძღვენი და ღელეში გადაეყარა, — რატომ შენი ცოლშვილით არ მემსახურებიო? მაგრამ მამაჩემი მაინც არა შვებოდა მთელი ოჯახით სამსახურს. გაუგზავნა როსტომმა მამაჩემს კაცები. მიჰპაროდნენ ჩუმად, თავში დაეკრათ და წაექციათ და ისე წაეყვანათ ქუთაისის ციხეში, სადაც, აღარ მახსოვს, რამდენ ხანს იჯდა.

სოფ. სხვიტორში იცოდნენ დღესასწაული „მოტყიერობა“. ამ დღეს თავადობა დიდ დროს ატარებდა. მოიტანდნენ ქეიფობაზე პურის გობებს, გაავსებდნენ ღვინით, დაემხობოდნენ ამ გობებს ზევიდან და ისე სვამდნენ. ბოლოს ეს დღესასწაული გადააგდეს, რადგან ხალხი გააღარიბა ხარჯმა.

სანდრო არჩვაძე (62 წლისა, სოფ. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი)
ჩასწერა გრ. ინასარიძემ

აკაკის ვიცნობდი როგორც კარგ მეზობელს. მასთან ხშირად მისაუბრია და ამავე დროს ხშირადაც მოვხმარებივარ ოჯახის საქმეებზედაც. აკაკი ჩემი ბატონი არა ყოფილა და არც სხვა წერეთლები. ჩემი ბატონი იყო ქავთარაძე. აკაკის უყვარდა გლეხობა და გლეხებსაც უყვარდა ის.

პატარა ბავშვი რომ შესულიყო აკაკის სახლში, სკამს თვითონ მოუტანდა, ისე თავდაბალი იყო. დაისვამდა გვერდით და ალაპარაკებდა, თვითონ კი იწერდა ბავშვის ნალაპარაკევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი თავადებთან არ დადიოდა, არ უყვარდა ისინი. გლეხსა და თავადიშვილს შორის რომ საჩივარი ყოფილიყო ადგილმამულზე ან სხვა რამეზე, თვითონ წავიდოდა სამართალში და მოსპობდა ამ საჩივარს.

ერთხელ, მე კარგად მახსოვს, ნიკო წერეთელი ჰყიდდა ადგილს. ყმები იმას აღარ ჰყავდა და თვითონ მუშაობა არ ემარჯვებოდა. ეს ადგილი გვინდოდა გლეხობას, რადგან მიწის ნაკლებობას განვიცდიდით, მაგრამ არ გვანებებდნენ წერეთლები, კერძოდ კოტე წერეთელი. ამ ადგილების შესახებ კოტე შეეკითხა აკაკის:—ნიკო წერეთლის ადგილში გლეხებს უნდათ შემოძვრენო, მაგრამ მე არ ვაძლევ უფლებასო.—აკაკიმ უთხრა კოტე წერეთელს:—ჩვენ რომ მოვხუცდით, თმაში თეთრი გამოგვერიაო, ცოტა ხანს უკან თავში ჭკუაც გამოგველევაო; ხომ ხედავ, ჩემო კოტე, ეს გლეხები როგორ მრავლდებიანო, სად უნდა წავიდნენ, ეგენი ხალხი არ არიანო?! ჩვენს სათქმელ სიტყვებს თვითონ, აკაკი ეუბნებოდა წერეთლებს.

ერთხელ, მე და ჩემმა მეზობლებმა ტყეში შემთხვევით დავიჭირეთ ძალიან ლამაზი არჩვი. გადავწყვიტეთ საჩუქრად მიგვერთმია აკაკისათვის. ნასადილევს აკაკი გამოსულიყო თავის სახლის წინ და დასეირნობდა. შევედით ეზოში, მივესალმეთ და ვუთხარით აკაკის: ეს არჩვი თქვენთვის მოგვირთმევია ჩემო ბატონოთქო. აკაკიმ დიდი მადლობა გადაგვიხადა მე და ჩემს ამხანაგებს. კარგა ხანმა გაიარა აკაკისთან საუბრის დროს. წამოვდექით ამხანაგები წამოსასვლელად. ამ დროს აკაკიმ გვითხრა, გაუშვით ეგ არჩვი ამ ეზოში. თუ სამჯერ მოიხედა უკან, მაშინ აღარსად წავაო და თუ ერთხელ-მეტად არ მოიხედა უკან, მაშინ კი აღარ დაბრუნდება და გაიქცევა ნამდვილადო. ჩვენ რასაკვირველია, ვიცოდით აკაკის კეთილი გულის ამბავი, იმას ყველა სულდგმული ეცოდებოდა ისე, როგორც ადამიანი; ისიც ვიცოდით, თუ არჩვს გაუშვებდით ხელიდან, ის უკან აღარ დაბრუნდებოდა და იმ წუთშივე გადაიმალებოდა. გაუშვით არჩვი,—ერთი კი მოიხედა უკან და ისე მოჰკურცხლა, რომ მისი ასავალ-დასავალი ვეღარ გავიგეთ.

მე ვიცნობდი აკაკის დედას ეკას, დას ანას. ეკა იმ დროს საკმაოდ მოხუცებული იყო. ანას კი სულ ერთავად ეჭირა ხელში საღვთო სჯულის წიგნი და ლოცულობდა. აკაკი ბევრჯერ გამასხარავებია ანას, გათხოვდიო, თუ შენ ვერ მონახე საქმრო მე მაინც მოგიძებნიო. მაგრამ ანა მაინც გაუთხოვარი მოკვდა.

მე გამიგონია, რომ კვერეთში უცხოვრიათ წინათ ბერებს, შემდეგ, როცა ბერები დახოცილან, როსტომსა და ეკას კვერეთის ეკლესიის გალავანში ორმოცდა-ხუთი ძირი ნიგოზი დაურგავთ. ეკა ძალიან მოყვარული იყო ხეხილისა და სასაფლაო წინასწარ ჰქონდათ სხვადასხვა ხილებით ავსებული.

ვანო გელბახიანი (95 წ., სოფ. კალვათის მცხოვრები, წერა-კითხვის მცირე-მცოდნე).
ჩასწერა გრ. ინასარიძემ

მე ვიცნობდი აკაკის, როგორც ერთ ჭკუიანს და ნასწავლს, ადგილისა და მთების პატრონს. აკაკი თავადებს ეუბნებოდა, გაანთავისუფლეთ გლეხები; ამიტომ თავადებს სძულდათ ის. ვიცნობდი არა მარტო აკაკის, არამედ მის ძმას დავითსა და მის დას ანას. იმ დროს მე ხელობით ვიყავი მჭედელი. აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომიგზავნიდა თავისი მოსამსახურის ხელით წალდსა და ნაჯახს, გავუკეთებდი, როგორც საჭირო იყო, და გაუგზავნიდი ისევ. აკაკი ჯერ წავიდოდა ქუთაისში და იქიდან როცა დაბრუნდებოდა, ეტლით გამოივლიდა ჩემი სამჭედლოს წინ. ამოიღებდა ჯიბიდან ფულს გადმომიგდებდა და დამიძახებდა:—იქეიფე ჩემი ბოცემული ფულითო!

აკაკი, ყველა შეუძლებელი, საწყალი ხალხისათვის კარგი კაცი იყო. ერთი სიტყვით, იმაზე უკეთესი აქ არავინ დაბადებულა, მასზე ცუდს ვერავინ იტყვის, აკაკიმ ძალიან ღრმა სიტყვების თქმა იცოდა.

აკაკი თავადებს რომ ეტყოდა, გლეხებს ნუ აწვალებთ, გაანთავისუფლეთ, გეყოთ რაც აწვალეთო, მაშინ თავადები უპასუხებდნენ—გლეხები ხორციანად რომ შევჭამოთ, ჩვენ ამის ნება გვაქვსო.

სოფელ კორბოულში როსტომს ჰყავდა ყმები, რომელთაც მოჰქონდათ ნამუშევრის მეოთხედი ნაწილი, შემდეგ კი აკაკის დარჩნენ ეს ყმები, მარა როგორც როსტომი სტანჯავდა იმათ ისე არ ექცეოდა აკაკი, თითქმის სულ უბატონოდ, თავისუფლად გრძნობდნენ ეს ყმები თავს. რამდენიც უნდა მოეტანა აკაკისათვის კორბოულელ ყმას ნამუშევარი, ის არაფერს ცუდს არ ეტყოდა, გინდა ბევრი გინდა ცოტა.

ანტონ კირვალიძე (83 წლისა, ს. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი)
ჩასწერა გრ. ინასარიძემ

კაი და კაი მიეცეს აკაკის სულსა და ხორცს, რომ აკაკი ყველასათვის ძალიან კაი კაცი იყო. ის ისეთი კაცი იყო, რომ ბრალიანსა და უბრალოს არ გამოარჩევდა ერთმანეთში, ესე იგი—გლეხები იმის მეტს არავის უყვარდა და სხვა თავადები კი გლეხების სისხლსა სვამდნენ. რაჭა შორს წავიდეთ თვითონ როსტომი შხამიანი კაცი იყო, მარა აკაკი კი არა გავდა იმას, სულ სხვა იყო. აკაკი გადახვევდა გლეხებს კისერზე ხელებს, დაუწყებდა მათ გემრიელად საუბარსა, თქვენ ნუ გაიტეხავთ გულსაო. ეს ადგილ-მამული, რომელიც წერეთლების ხელშია, მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე ამათ ეს ჩამოვართვათ და სულ გლეხების ხელში გადავიდესო.

მამაჩემი, კიკო, დიმიტრი და აკაკი ერთი კბილები იყვენ, ჩამოჯდებოდნენ ჩიხურას პირზე და შუალამემდის ლაპარაკობდნენ. აკაკი ეტყოდა: ეს ქვეყანა, ეს ეს მთები, ეს ვენახები, სუყველა გაერთიანდებაო. ამოვიდოდა მამაჩემი და გვეტყოდა ჩვენ სახლში: აკაკის სიტყვა-პასუხი საწყალ კაცს პირდაპირ გულში შეუვაო. სულ გლეხების კეთილდღეობაზე ლაპარაკობსო.

შავი ქვა აკაკიმ აღმოაჩინა პირველად. აკაკი ხუმრობდა: ჩემი გლეხი ჩემზე უფრო მდიდარიაო. ჩემს სამოსახლოს უბრალო ქვის ყორე აქვსო და გლეხებს კი სულ ძვირფასი ქვებით აქვთ ყორე აშენებულიო. ეს ქვა რომ თავის ადგილზე მიიტანოს ვინმემო, მგონი მილიონი ეღიროსო.

აკაკის ჰყავდა ნაყმევი გლეხები წირქვალში და ჭიათურის თავზე. იქაურმა გლეხებმა ჩამოუტანეს აკაკის შავი ქვის ნამტვრევები. წაიღო საზღვარზე. გამოირკვა, რომ ეს ნამტვრევი ქვები უბრალოდ გადასაყრელი არ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროს მატარებელი არ იყო. მამაჩემს ჰყავდა გასაქირავებელი ცხენი. შემოუთვლიდა აკაკი მამაჩემს, აბა ჩემო კიკო, ხვალ თბილისში მივდივარო და შენი ცხენით გომამდის გამაცილეო, მართლაც შეკაზმავდა ცხენს და გააცილებდა გომამდის, კარგ პატივს სცემდა მამაჩემს, ფულსაც მისცემდა. მამაჩემი გახარებული ბრუნდებოდა შინ.

მე კარგად მახსოვს, როსტომი იმ დროს ბებერი იყო, როცა მე მითხრა— ბეჭზე გადაგდებ ხელს და ამ ჩემი ეზოს ბოლოზე ჩამატარეო. მართლაც გადამდვა ხელი და ჩამოვიყვანე ეზოს ბოლოზე, დავაჯინე. მაშინ როსტომმა თქვა— მეც და სხვა თავადები რომ მკაცრად არ მოვექცეთ ყმებს, არა ვცემოთ, პირდაპირ თავზე დაგვაჯდებიანო, ველარ მოვიხმარ ვერავისო, ამისათვის არის, რომ ვტანჯავთო. მე ისიც ვიცი, იტყოდა როსტომი, ჩემი შვილები ველარც იყიდიან რამეს და ველარც გაჰყიდიან, ისეთი დრო დადგებაო.

გარსევან კირვალიძე (80 წლისა, ს. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი)
ჩასწერა გრ. ინასარიძემ.

აკაკის კარგად ვიცნობდი, როგორც კარგ მეზობელს. ნეტავი ეხლაც ცოცხალი იყოს, ისეთი კარგი სახელიანი კაცი იყო. ჩემს მახსოვრობაში აკაკი ხშირად არ მოდიოდა შინ. როცა კი მოვიდოდა, ყველა ვნახულობდით, ყველას ძალიან გვიყვარდა. ის ისეთი თავმდაბალი იყო, რომ პატარასაც კი გამარჯობას ეტყოდა ხოლმე.

აკაკი ძალიან ებრძოდა თავადიშვილებს ჩვენისთანა გლეხების წვალებისათვის.—ნუ აწვალებთ გლეხებს, ეგენიც ღვთისაგან გაჩენილი არიანო და ჩვენცაო. იმ დროს წერეთლებმა იცოდნენ „მეოთხედობა“, აუცილებლად ყმებს უნდა ეძლიათ ბატონებისათვის მეოთხედი,—ღვინო იქნებოდა, პური თუ სიმინდი, სულ ერთი იყო.

ერთხელ, სოფელ კორბოულიდან ყმებმა მოუტანეს ნამუშევრის „მეოთხედი“ ბეჟან წერეთელს. სწორედ ამ დროს აკაკი შინ გახლდათ, გამოსული იყო თავის ეზოდან და გარეთ გლეხებს ესაუბრებოდა ჩვეულებრივ, როგორც იცოდა.—მალე სულ თქვენი იქნება ეს ადგილებიო, აღარც „მეოთხედობა“ იქნება და აღარც „მესამედობაო“. სწორედ ამ დროს იყო, რომ მოაყენეს ბეჟანს სავსე ურმები და მაშინ უთხარი მე აკაკის: როდის უნდა მოისპოს, ბატონო, ბეჟანმა ახლა დაიწყო „მეოთხედი“ ნამუშავრის მიღება-მეთქი. მიუბრუნდა ბეჟანს აკაკი და უთხრა: ბეჟან, ხომ გაიგე რომ „მეოთხედობა“ მოისპო, ყმები შენ აღარ გეკუთვნის. რათ ართმევ მაგ საწყალ ხალხს ნამუშევარსო, ველარ გაიგო შენმა ყურებმა ნამუშევარი ხან ცოტა მოდის ხან ბევრიო. დაანებე თავი მაგ ჩვეულებასო, თორემ შენს სეირსაც მალე ვნახამო. ამ სიტყვებმა ძალიან გააბრაზა ბეჟანი და ერთი მაგრად შემოჰკრა ხელი აკაკის, „როგორ მარცხვენ შენ ყველგანო, ამ ხალხს მეტი კი არ უნდა, ხელად დაიჯერებენო“.

ოქრუა ზაბახიძე (99 წ., ს. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი)
ჩასწერა გრ. ინასარიძემ.

აკაკისათვის დედაჩემს ბევრჯელ უწოვებია ჩემი წილი ძუძუ. რახან ჩემი კბილა იყო აკაკი, მისი დედა ხშირად იწვევდა ხოლმე დედაჩემს ძუძუს გულის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის. ეს—ჯერ სანამ სავანეში წაიყვანდნენ. იქიდან რომ მოიყვანა როსტომმა აკაკი, დედაჩემი მეტყოდა: აი ამ თავადიშვილს ბევრჯელ წაურთმევია შენი წილი რძეო. მართლაც, აკაკი გლეხის ოჯახში რომ იზრდებოდა პირველად, ამიტომ თავადიშვილებს კი არ ეკარებოდა, სულ ჩვენთან იყო ხოლმე.

აკაკი რომ წამოიზარდა და სწავლა დაიწყო, იშვიათად მოდიოდა სხვიტორში. იმან კარგად იცოდა, რომ როსტომი ძალიან აწვალებდა თავის შინაყმებს. ერთი სიტყვით, მათი ყვირილი, როსტომი რომ დაუწყებდათ ლახვას, მაღლა ღმერთს ეყურებოდა. მე თვითონ ვიყავი სიმონ წერეთლის ნაყმევის შვილი, მარა ისე კი არ გვექცეოდა სვიმონ წერეთელი, როგორც როსტომი თავის ყმებს. როსტომს სულ არ ებრალებოდა საწყალი კაცი, ისე კერპი იყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ აკაკი სოფელში ძვირად დადიოდა. რცხვენოდა, როგორც ნასწავლ კაცს მამის ასეთი საქციელი. ხოლო, როცა მოხუცდა აკაკი, მაშინ კი მოშინაურდა, იჯდა თავის ოთახში და წერდა თავის ლექსებს სულ წერეთლების საწინააღმდეგოდ და ამიტომ იყო, რომ აკაკი ძალიან სძულდათ თავადიშვილებს. ისაო, იტყოდნენ თავადიშვილები, ჩვენდა საუბედუროდ დაიბადა აქაო.

ალექსანდრე ხაბულიანი (63 წლისა, ქ. ჭიათურის მცხოვრები, წერა-კითხვის მცოდნე

ჩასწერა დ. შ უ ღ ლ ი ა შ ვ ი ლ მ ა.

მე შევხვდი პირველად აკაკი წერეთელს სოფ. ჭალაში (საჩხერის რაიონი) პავლე აბაშიძისას. აკაკი, ვარდენ ღვანკითელი და ორი ქალი მოვიდნენ ურმით სატირალში.

აკაკის ხელში ეკავა თავმოხრილი მსხვილი ჯოხი,—აკაკისთან დასახმარებლად მივიდნენ ურმიდან გადმოსაყვანად. აკაკიმ ფიცხლად უთხრა: მართალია მოხუცებული ვარ, მაგრამ თქვენისთანა ახალგაზრდებს კიდევ ვაჯობებო, და თამამად გადმოვიდა ურმიდან.

აკაკი მივიდა მიცვალებულთან, რამდენიმე გრძნობიერი სიტყვა უთხრა. შემდეგ გამოვიდა ეზოში და ხის ქვეშ ჩამოჯდა სკამზე, თავზე საზაფხულო ცილინდრი ეხურა, ჟილეტი გახსნილი ჰქონდა.

ჭიათურაში შავი ქვის აღმოჩენის შესახებ ასე გამიგონია: აკაკი ეტლით მოდიოდა ზესტაფონიდან საჩხერეში. აკაკიმ ეტლი შეაჩერა ჭიათურაში ერთ-ერთ წყალვარდნილ ღელესთან; აიღო ნაყარი ქვის ნატეხები და უჩვენა მის თანამგზავრ უცხოელს: აი, ასეთი ძვირფასი განძი მოიპოება დიდი რაოდენობით, მაგრამ ჩვენთვის გამოუსადეგარიაო.—უცხოელი დაინტერესდა და უკან დაბრუნების დროს რამდენიმე გირვანქა წაიღო უცხოეთში გამოსარკვევად. შემდეგ მოვიდა ცნობა აკაკისთან, რომ ეს მადანი რამდენიმე ასეული ფუთობით გაეგზავნათ ზესტაფონში. ეს იყო დაახლოებით 1876—78 წლებში .ამის შემდეგ მიიღო მადნებმა ფართო წარმოების ხასიათი, მაგრამ აკაკის კი იქიდან არაფერი უსარგებლია.

აკაკი რომ გარდაიცვალა, მე დამკრძალავ კომისიაში გამომყვეს ჭიათურიდან, მაგრამ, რადგან მე დრო არა მქონდა თბილისში წასაყოლად, სხვას დავავალეთ თბილისში გაყოლა და დასაფლავებაზე სიტყვის თქმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე საჩხერიდან გამოვაცილე ცხედარი ჭიათურამდე. ჭიათურის საზოგადოება ღირსეულად შეხვდა. წარმოითქვა მრავალი სიტყვა და მათ შორის ჩემი ლექსი საზოგადოებას წაუკითხა ჩემმა ქალიშვილმა წელს ჭიათურის სადგურზე.

სარდიონ ზაბახიძე (65 წლისა, სოფ. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის მცირე-მცოდნე)
ჩასწერა დ. შ უ ღ ლ ი ა შ ვ ი ლ მ ა

აკაკის დედა ეკა კარგად მახსოვს. იგი რომ მოკვდა, ასე ათი წლის ბავშვი ვიქნებოდი. აკაკის დედას ერთი ჭრელი ფარშავანგი ჰყავდა. ბავშვები რომ გავიდოდით ბჟოლაზე,—ეკა ეტყოდა თავის მზარეულს: აბა, გლახუნა, ფარშავანგი აუშვი ბავშვები არიან ბჟოლაზეო.—ჩვენ შეგვეშინდებოდა და გამოვიქცეოდით. აკაკის ოჯახს თავიანთი სახლის გასწვრივ ჩიხურას პირად მშვენიერი ბაღი ჰქონდა. მამაჩემი მებაღედ ჰყავდათ. ამ ბაღში აუზები იყო. აუზებში თევზები ჰყავდათ თითქმის ორმოც ფუთამდე. ამ აუზებში ჩიხურის წყალი შედიოდა, ყველა აუზში ნაწილდებოდა, შემდეგ ერთად იყრიდა თავსა და ფაცერში გამოდიოდა, რომ თევზი არ წასულიყო.

ერთხელ, ბაღში მებადური შემოპარულა, დიდ აუზში დაუკრავს სასროლი ბადე და თევზი მოუპარია. მამაჩემს შეუმჩნევია, ეკასათვის მოუხსენებია. ეკას ძალიან სწყენია და მამაჩემისათვის უთქვამს: ყველა აუზში ჩანგლები ჩაარჭეთ, რომ ბადე დაებას, როცა ესვრისო. ეს მებადური თევზის მოსაპარად რო მოვიდა და ბადე დაჰკრა,—ბადე ჩანგლებმა დაიჭირა. მებადურმა ბადე იქ დასტოვა და თვითონ გაიპარა.

აკაკის დას ანას ერთი კვინტიანი ცხენი ჰყავდა, თავს თუ არ ჩამოუკრავდით, ისე, ვერ შევკაზმავდით. ამ ცხენით უყვარდა სიარული. ნადიმზე წერეთლებისას თუ წავიდოდა, თორემ ისე არსად არ დადიოდა.

აკაკი ხუმრობით ეტყოდა ხოლმე ანას: რო ბუტუნობ და ლოცულობ,—გათხოვდი, ერთი კაცი მოიმადლიერე, თორემ მაგისთანა ლოცვებით სულს ვერ იცხონებო.

აკაკის ბავშვობიდან ვიცნობდი. მამაჩემი მათთან იყო და მეც მათ ოჯახში ხშირად ვიყავი. აკაკი დამიძახებდა თავისთან და ლექსებს მათქმევინებდა.

ერთი საჩხერელი ებრაელი კოკოზაშვილი შეხედვით სულ აკაკის ჰგავდა. მე მივდიოდი ცხენით საჩხერეში, იქიდან აკაკი მოდიოდა ცხენით. შემომხვდა მაცხოვრის ეკლესიასთან. მე „ის“ ებრაელი მეგონა და სალამი არ მივეცი. აკაკიმ შემაჩერა და დამიძახა:—ვისი ხარო?—კაციასი ვარ-მეთქი.—რომელ კაციასიო—მკითხა.—ზაბახიძისა ბატონო-მეთქი.—მერე ვერ მიცანი, მე აკაკი ვარო.—მე ბოდიში მოვიხადე: ვერ გიცანი, ბატონო, აკაკი-მეთქი და ცხენიდან გადმოხტომას ვაპირებდი. აკაკიმ არ გამიშვა, ხოლო მითხრა: საღამოზე რომ ამოხვიდე ჩემთან მოდიო, რომ მივედი აკაკისთან,—აკაკიმ ლექსები მათქმევინა და ჩაიწერა.

როცა აკაკი საჩხერეში მოვიდოდა,—დარჩებოდა ასე ორ სამ თვეს.

ილია ომიაძე (75 წლისა, სოფ. სხვიტორის მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი)
ჩასწერა დ. შ უ ღ ლ ი ა შ ვ ი ლ მ ა

აკაკი სულ ახალგაზრდა მახსოვს.

აკაკი მამას ეუბნებოდა: მამა, ისეთი საქმე მოიქმედე, რომ ამ ქვეყნად როცა აღარ ვიყოთ, თქვენი ხსენება დიდხანს დარჩესო. აკაკის მამა როსტომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი თავის ყმებს სცემდა როზგით, გულს რომ მოაყვანინებდნენ. როზგი ბეოლის წნელისა იყო, კონად შეკრული.

მამა აკაკის უჯავრდებოდა, რაკი ყმების გალახვას უშლიდა.

შემდეგ აკაკი გავიდა და გავიდა რუსეთში და დაიწყო თავისი საქმე. პოეტობას და ახალთაობის საქმეს დიდად მისდევდა. მისთანა ლექსებს გამოიყვანდა, რომ უყუფზე მოგიყვანდა კაცს.

მე რომ იმათთან ორი წელი ვმსახურობდი, აკაკის სწავლა დათავებული ჰქონდა, მაგრამ ასე ერთი-ორი კვირით ჩამოვიდოდა და ისევ მალე წავიდოდა. აკაკი ძალზე თავმდაბალი და კეთილი იყო. ერთი არ გამოვა რომ მაზე ცუდი თქვას.

აკაკის უყვარდა გლეხებთან ლაპარაკი, მათ ლექსებსაც ეტყოდა ხოლმე.

ეს ლექსი მახსოვს გლეხებთან რომ უთქვამს:

ქრისტეს იქით ხურო ვიყავ,
მშენებელი კიდობნისა;
აკვნის მარწებელი ვიყავ
ილიას და ენუქისა;
ნატუსალას მეძახოდნენ
წვერი მქონდა განა ხისა.

აკაკი ძალიან ხუმარა იყო. ლაპარაკს რომ დაიწყებდა, თუ არ გაეცინებინე, ისე არ გაგიშვებდა.

ბატონყმობის შემდეგ აკაკის მამა როსტომი კიდევ დიდხანს ცხოვრობდა და ყმებს მკაცრად ეკიდებოდა.

ასე რომ, ყმებს არ უყვარდათ როსტომი.

სამი ძმანი იყვნენ: აკაკი, დავითი და ილიკო. ერთი და ჰყავდათ სახელად ანა. დავითი პირ-ბავშვი კაცი იყო. ილიკო ადრე მოკვდა აკაკიზე და დიდი ნასწავლი კაციც იყო. მეტად ლამაზი იყო და არც აკაკიზე ნაკლები ყოფილა განათლებით.

აკაკის სიკვდილსა და გასვენებასაც დავესწარი. დარია ბოჭოიძისა და გიორგი მღვდლისაგან შევიტყეთ აკაკის მძიმე ავადმყოფობა, მივედით სანახავად, აკაკიმ გადმოგვხედა და სთქვა: ოხ, მეზობლებო, მოხვედითო.

ბესარიონ არჩვაძემ ჰკითხა: რას შვრები, აკაკი, როგორა ხარო. აკაკიმ უპასუხა: გულზე სინედლე აღარ არი და, ალბათ, მალე მოვკვდებიო, ერთი ჩემი ცოლის სახე დამანახვა მაინცო.

მეორე დილას რომ ჩამოვედით, აკაკი მკვდარი დაგვხვდა. მთელი სოფელი გამოვედით, აქ უნდა დაგვემარხა. აკაკის აქ სურდა დამარხვა თავის ანდერძით. მაგრამ მოთავე კაცებმა არა ქნეს: ეგა და ილია ჭავჭავაძე ერთად უნდა დავასაფლავოთო.

საჩინო გოშაძე (75 წლისა, ს. სხვიტორის მცხოვრები წერა-კითხვის მცირე-მცოდნე)
ჩასწერა დ. შ უ ღ ლ ი ა შ ვ ი ლ მ ა.

მე ვემსახურებოდი აკაკის ძმას დავითს. დავითი და აკაკი ახლო-ახლო ცხოვრობდნენ ერთმანეთთან. როცა აკაკი მობრძანდებოდა ხოლმე, თავისთან დაგვიბარებდა მე, ხოჯია სალარიძეს და იოსებ გოშაძეს, რიგ-რიგობით მოგვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი ნათესავებში (ს. სხვიტორი). პოეტის და ანა წერეთელი, დისწული ანეტა დადეშკელიანი
და მისი მეუღლე (მარჯანივ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოლებდა ზღაპრებს. ჩვენს ნათქვამ ზღაპრებს ლექსად აკეთებდა, წერდა და წერდა. ის ზღაპრები ახლა აღარ მახსოვს.

როცა ამისთანა რამეს ვეტყოდით: „კაი პატარძლის პატრონსა ძაღლი უნდა ჰყავდეს ფრთხილი; ან ძაღლი უნდა ფრთხილობდეს, ანდა მისი დედამთილი“-ო—აკაკი გულიანად გაიცინებდა ხოლმე.

მე და აკაკის ბევრჯერ გვიმოგზაურია ერთად. ერთხელ მე და აკაკიმ ერთად ვიმგზავრეთ მატარებლით: მე შორაპანში მივდიოდი, იგი ქალაქში. აკაკი ფანჯარაში იყურებოდა; ამ დროს ქარმა ჩალის ქუდი მოსტაცა; მე ძალიან შევწუხდი, იმან კი არაფრად ჩააგდო. აკაკი სხვიტორში ხშირად არ მოდიოდა როცა მოვიდოდა ხან ერთ თვეს, ხან ორ თვეს რჩებოდა.

როდესაც აგრილდებოდა, აკაკი გამოვიდოდა ეზოში, ხალიჩაზე წამოწვებოდა და წიგნებს კითხულობდა, ხან ლექსებსაც წერდა.

აკაკის მამას, როსტომ წერეთელს, სახლში ბევრი მოსამსახურე ჰყავდა. ბიჭები ხშირად აცდენდნენ ხოლმე მოსამსახურე ქალებს. როსტომის შინამოსამსახურე თომა სადუნიშვილი აღარ მოეშვა მოსამსახურე ქალს, თამარს. ამაზე მახსოვს ლექსი:

თამარმა უთხრა თომასა:
დეეხსენ ჩემთან წოლასა,
ამას ბატონი გაგვიგებს
არ გამოგვილევს წყრომასა.
მე „კახპას“ დამიძახებენ
შენ ფულს დაგიწყებს თხოვასა.
თომამ უთხრა თამარასა:
საკუთრივ გეტყვი აღთქმასა:
ორას თუმნად დაგაფასოს,—
მაინც შევიძლებ დახსნასა“... და სხვა.

ეს ლექსი აკაკიმ გამოთქვა და სამასხროდ ჩვენ გვეტყოდა ხოლმე. თამარის შეცდენისათვის როსტომმა თომა ეთოში გადაასახლა, აღარ მისცა თავის სოფელში, კორბოულოში, ცხოვრების ნება. თამარი კი ისევ თავისთან დასტოვა. აკაკი ღვინით არასდროს არ დათვრებოდა და არც მისი წალაპარაკება და ჩხუბი მინახავს ვისთანმე. მასაც ყველა პატივისცემით ეპყრობოდა. იმისთანა გლეხი არ გამოვა, რომ აკაკისაგან ნაწყენობა ახსოვდეს რამე.

მთავრობამ თავი რომ დაახსნევია გლეხებს,—აკაკიმ სულ იოლად გაუშვა ყმები. სხვა თავადებსაც დაუწყებდა ხოლმე ლაპარაკს რათ გინდათ ამდენი მიწაწყალი, დაურიგეთ გლეხებს იაფფასადო, ამიტომ თავადებს აკაკი არ უყვარდათ.

აკაკის დედა ეკა როსტომზე მკაცრი იყო. აკაკი ხშირად ეტყოდა დედამამას: „ყმებს ნუ აწვალებთო“.

ერთხელ აკაკის დედამ თავიანთ მებაღესთან, გვარად ქამუშაძესთან, სადილი გაატანა ხელზე მოსამსახურე ბიჭს,—ბიჭს გზაზე შეეჭამა ერთი ცალი ლობიოს გუფთა[1]. როცა მებაღისაგან შეიტყვეს, რომ ბიჭს საჭმელი სრულად არ

[1] ლობიოს გუფთა—მოხარშული ლობიო გახვეული პურის ცომში.

ჩამწერის შენიშვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუტანია, ეკას ბრძანებით ამ ბიჭს გამომცხვარ პურში ღველფი გაუხვიეს და ძალით შეაჭამეს,—საწყალ ბიჭს პირი სულ გამოუწვეს.

როსტომი შედარებით უფრო ლმობიერი იყო ეკაზე. მახსოვს, ერთხელ ეკამ როსტომს უთხრა: მამაჩემს გული რომ მოუვიდოდა შინამოსამსახურე ბიჭებზე, ფეხის გულებს გაუჭრიდა და მარილს დააყრიდა ხოლმეო,—შენ კი ლმობიერად ეპყრობი შენს შინაყმებსო.

ბოლო დროს აკაკის დედას ენა დაეკარგა. წელიწადზე მეტი მუნჯად იარა გარდაცვალებამდე, მაგრამ თავის სიმკაცრეს მაინც არ იშლიდა.

როსტომს ხშირად წითელი ფოსტლები ეცვა ფეხზე, ტანზე ჩოხას იცვამდა და ხელში კი ჯოხი ეკავა ხოლმე.—როცა გული მოუვიდოდა,—ისიც ძალზე ავი იყო—ამ ჯოხს მოუქნევდა კაცს. როსტომმა მამაჩემი იმსახურა უჯამაგიროდ 25 წელიწადს. ერთხელ მამაჩემს ჩამოევლო და დაენახა, რომ სათევზაოდ წყალი დაეკირა ასლანიშვილსა და შიუკა გოჩაშვილს. ეს ამბავი შეუტყობინებია როსტომისათვის. როსტომი გაჯავრებულა და უბრძანებია თავის ბიჭებისათვის, რომლებთან ბაბუაჩემიც ყოფილა,—წადით ახლავე და შიუკა გოჩაშვილს, რომელიც კარგი ხარი ჰყავს, ის ჩამოიყვანეთო. ბიჭებმა მართლაც ჩამოუყვანეს ხარი, მაგრამ როსტომს არ მოსწონებია, გაბოროტებულა და ბიჭებისათვის ერთი ამბავი დაუწევია: „ამაზე კარგი ხარი არ ჰყავსო?!" ბიჭებს უკანვე წაუყვანიათ ეს ხარი და მართლაც ყველაზე უკეთესი ხარი მოუყვანიათ როსტომისათვის. როსტომს ეს კარგი ხარი სამ თუმნათ მიეყიდა თავასელ კაცისათვის. აკაკის დიდი საყვედური უთქვამს ამაზე მამისათვის.

როსტომის გარდაცვალების შემდეგ მოხდა დავითისა და აკაკის გაყოფა, ილიკო კი ადრე გარდაიცვალა. ილიკო კარგი, ლამაზი ვაჟკაცი იყო, ქაღალდის თამაში უყვარდა და ხშირად იგებდა, აკაკი კი უფრო აგებდა.

აკაკის ჰყავდა აგრეთვე და ანა,—გაუთხოვრად დაბერდა. აკაკი რომ ჩამოვიდოდა, მას ემსახურებოდა ხოლმე. ამ დას ჰყავდა ხელზე მოსამსახურე კაცი,—დათია ბოჭოიძე და ქალი—ნატალია აბრამიშვილი, კიდევ ჰყავდათ ერთი მოსამსახურე ბიჭი იოსებ გოშაძე.

ერთხელ, აკაკი რომ მოვიდა, ამ იოსებმა უთხრა: ერთი სიტყვა უნდა მოგახსენოვო. სთქვიო,—უთხრა აკაკიმ—სახლში უნდა წავიდეო, ისინი, დათია და ნატალია, ისეთ საქმეს ჩადიან, რომ მათი ყურება აღარ შემიძლია, ბატონოო. აკაკიმ სრულიად არ მიაქცია ყურადღება, თავისთვის ჩაიცინა. ამის შემდეგ იწუხა იოსებმა, ნეტა არ მეთქვა ეს ამბავიო და დარჩა ისევ აკაკისთან.

აკაკის ცოლი ძვირად მოდიოდა ოჯახში, სუფრაზე ღვინოს არ სვამდა,—ფეხით დაწურულიაო, მაგრამ ატყუებდნენ ხოლმე ცალკე ჭურჭლით მიტანილი ღვინით, ვითომ იგი ხელით დაწურული იყო და ისიც სვამდა.

იოსებ ლილუაშვილი (97 წლისა, სოფ. ქორეთის მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი)
ჩასწერა დ. შ უ ღ ლ ი ა შ ვ ი ლ მ ა.

მე საჩხერეში ვმსახურობდი თუთხმეტ წელიწადს გიგო წერეთელთან. გიგო წერეთელი კუტი იყო და ზემდეტ სახელს გიგო კუტს ეძახდენ. გიგო წერეთლის ოჯახში აკაკი წერეთელი მოდიოდა ყოველ საღამოს და ქაღალდს თამაშობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გიგოსთან, თუ საჩხერეში ვიყავით. ზამთრობით ჩემი ბატონი გიგო ქუთაისში ცხოვრობდა და აკაკი იქაც ხშირად მოდიოდა და ქალალდის თამაში გაჩალდებოდა ხოლმე. იქ იყვნენ მოთამაშეები: ანაპოდისტე მაჩაბელი, სვიმონ წერეთელი, მისი ძმა გიორგი და დანარჩენი კიდევ სხვები. გიგო წერეთლისას აკაკი და სხვები ქალალდის თამაშს რომ დაამთავრებდნენ, წაივახშმებდნენ და შემდეგ თავთავიანთი ბიჭები ფანრებით წაუძღვებოდნენ წინ ბატონებს. აკაკისთან ხშირად მივსულვარ ოჯახში ჩემი საქმის საკითხავად და ისიც კარგ დარიგებას მაძლევდა. ერთხელ მივედით დარიგებისათვის ჩვენი სოფლის ამორჩეული კაცები. ჩვენი სოფლის ქორეთის წისქვილს ბერები ფლობდნენ, სოფელი უწისქვილოდ რჩებოდა. ჩვენ ვუჩივლეთ სამართალში, პირველად ჩვენ მოვიგეთ, მაგრამ ბერებმა ქალაქში „ოკრუჟნოი სუდში" გადაიტანეს საჩივარი, საქმე მოიგეს და სამოც თუმანს ფულს გვახდევინებდნენ. ამისათვის მივედით აკაკისთან, რომ ერჩია როგორ მოვქცეულიყავით. აკაკი ძალიან შეაწუხა ჩვენმა საქმემ, მაგრამ გვიან რო მივედით, მისმა დახმარებამ ველარ გვიშველა. წამოსვლის დროს გვითხრა: ისეთი დრო დადგება, ეს წისქვილი თქვენ დაგრჩებათო.

აკაკი სანდომიანი სახისა იყო. რომ არ გდომებოდა გაცინება, მოხდენილად ისეთ რამეს იტყოდა, რომ გაგაცინებდა.

აკაკის შვილს წიგნის კითხვა დაბლა არ შეეძლო, თუ მაღლა არ დაიჭერდა, ისე ვერ წაიკითხავდა.

საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის ექსპედიცია ს. სხვიტორში. ექსპედიციის მონაწილეთა საუბარი აკაკი წერეთლის თანამედროვე გლეხებთან გ. ზაბახიძესთან და ფ. ხვედელიძესთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონებანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია

დაუვიწყარი შეხვედრები აკაკისთან

გორის საქალაქო პროგიმნაზიის დასრულების შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ სწავლის გასაგრძელებლად თბილისს წავსულიყავი, მომიხდა ჩემს აღმზრდელ სნეულ მოხუცებულებთან სოფელში დაბრუნება... ერთად ერთ ნუგეშად, სულის მასაზრდოებელ, დაუშრეტელ წყაროდ გადამექცა მოგონებანი სასწავლებელში განვლილ დროიდან ძვირფასი მასწავლებლების მიხეილ ყიფიანისა და ნიკო ლომოურის დაუვიწყარი გაკვეთილები, მათ მიერ ჩანერგილი სიყვარული როგორც ქართული, ისე რუსული და უცხო ქვეყნის ლიტერატურისადმი.

ვასწავლიდი საყვარელ მგოსნის ლექსებს ღარიბ გლეხის შვილებს და ვივსებოდი კმაყოფილების გრძნობით, როდესაც ვხედავდი, ჩემი ამაგი უქმად არ იკარგებოდა, თვალებ-გაბრწყინვებული ბეჯითი მოწაფის წკრიალა ხმით გამეორებული სიტყვები:

„ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენ ხედვე მგლოვიარეო“...

ერთი-ორად თვალწარმტაცად მეჩვენებოდა, რადგანაც დიდებული მგოსნის აზრები და ლექსების კეთილხმოვანება ჩემის დახმარებით მისაწვდომი გამხდარიყო დაჩაგრულ ბავშვებისათვის. თვითონაც დასჯილი სწავლის გაგრძელების ამაო წყურვილით სულიერ სიმშვიდეს დახშული გონების განვითარებაში ვპოვებდი.

ჩემს სოფლურ კარჩაკეტილ ცხოვრებას შუქსა ჰფენდა თბილისში ჩასვლის იშვიათი შემთხვევა.

განსაკუთრებულად ჩამრჩა გულში თბილისში გამგზავრება 1887 წელს... მახსოვს ახალ შთაბეჭდილებებს დახარბებულმა, დაუნანებლად მივატოვე საგაზაფხულო დღესასწაულისათვის კეკლუცად აფერადებული სოფლის ბუნება და გავჩნდი თბილისში. რაღაც უჩვეულო ამბის მოლოდინში შევაღე ძალუა—ამატა ბაზილევსკაიას (ბიძაჩემის ელიზბარ ერისთავის ცოლის) სახლის კარი და, მართლაც, იმედებმა არამცთუ არ მიღალატეს, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. ამატას ისეც მომხიბვლელი სათნო სახე, დღეს ბედნიერ ღიმილს უზომოდ დაემშვენებინა.

— Душечка Таco!—შენ ნამდვილად ბედის ვარსკვლავს ჩამოუყვანიხარ ჩემთან—შეჰყვირა აღტაცებულმა ამატამ და საჩქაროდ შემიყვანა სასტუმრო ოთახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აკაკი, იცნობდე ჩემს მაზლის წულს. ეს არის ეხლა ჩამოვიდა სოფლიდან. მხოლოდ შენს ნახვაზე ოცნებობდა, შენი ლექსები კი თითქმის ყველა ზეპირად იცის.

აკაკიმ ალერსიანი ღიმილით გამომიწოდა ხელი... „მოკვდავსა სიტყვას არ ძალუძს უკვდავზე ქების გამოთქმა“—ვიგრძენი სიდიადე წამისა. მოწიწებით შევყურებდი საყვარელ მგოსანს, რომელიც განაგრძობდა ჩემს პატარა ბიძაშვილებთან გართობას. როგორ თავისუფლად ნებივრობდა ხუთი წლის ბიჭი მის მუხლებზე, რა სიამოვნებით ეჟღურტულებოდა მგოსანს მისი ალერსით გათამამებული სამი წლის გოგონა. განა ძალუა ამატას განმარტება საჭირო იყო? განა საკმაო არ იყო ერთი შეხედვა, რომ მეცნო მასში უდიდესი მგოსანი, საზოგადოების გამომაცოცხლებელი, ქართველი ხალხის სიამაყე?!

დრომ განვლო... ჩემს ირგვლივ ისევ სოფლის მოწყენილობა, გლეხკაცობის გაჭირვებული ცხოვრება.

მივყვები საკუთარ ფიქრთა დენას და ხშირად ვემორჩილები სურვილს, გავანდო ქაღალდს ჩემი აზრები.

აკაკის სახე წარუშლელად აღბეჭდილია ჩემს გონებაში და თითქოს მამხნევებს, მომიწოდებს ავყვე გულის თქმას, გაბედულად მოვკიდო ხელი კალამს, და მეც ვუჯერებ ამ იდუმალ ხმას: ბავშვებთან მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს ვანდომებ კითხვას და წერას.

ერთხელ სამწერლო მაგიდასთან გართულს თავს წამომადგა ჩემი სიყრმის მეგობარი და მეზობელი დათა ბაგრატიონი.

— ტასო! მიანებე ყველაფერს თავი და წამოდი, აკაკი ჩამოვიდა, ჩვენთან არის, ვიცი შენზე ძალიან არავის გაეხარდება მისი ნახვა,—აღტაცებული ამბობდა ის და სულს ძლივს ითქვამდა. მე უცბად ავენთე და დათაზე არა ნაკლებად აღფრთოვანებული, გავყევი გარეთ, მაგრამ რაღაც მომაგონდა.

— დათა! მე ნახევარ საათში მოვალ, მინდა ჩემი მოწაფეებიც მოვიყვანო.— დათამ მომიწონა აზრი.

ჩემს მისასვლელად უკეთეს საათს განგებ ვერ შევარჩევდი, საზოგადოება, ის იყო მოხერხებულად მოეწყო საუზმის შემდეგ დროს გასატარებლად. აკაკი, როგორც ყოველთვის, ბავშვებშემოხვეული ყველაზე მეტად მხიარულობდა, თავისებურად ხუმრობდა.

ჩემმა რაზმმა საერთო ყურადღება მიიპყრო, სუფთად, თითქო სადღესასწაულოდ გამოწყობილი გლეხების ბავშვები მორცხვად თავდახრილები ჩამომწკრივდნენ მგოსნის წინ. მათთან ერთად განვიცადე მოკრძალებული თაყვანისცემის ნეტარება, გამოწვეული დიდი პიროვნების საზოგადოებაში ყოფნით.

პირველი წუთების უხერხულობა ჩემს ბავშვებში მალე წრფელი მხიარულებით შეიცვალა და, თითქოს ერთმანეთთან შეჯიბრებულები, ცდილობდნენ ეთქვათ რაც შეიძლება მეტი ლექსები და რაც შეიძლება უკეთესად. ბავშვების სიმღერით და ლექსებით აკაკი ძალიან კმაყოფილი დარჩა.

ყოჩაღ ტასო!—მეგობრულად გამომიწოდა ხელი აკაკიმ, როდესაც უკანასკნელ ბავშვს ალერსიანად გამოეთხოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემს პატივცემულ ცოლის-დას—შენს საყვარელ ძალუა ამატას არაერთხელ ჩამოუგდია ჩემთან ლაპარაკი შენს შესახებ, მაგრამ დღევანდლამდე არ მეგონა, შენი წრის ახალგაზრდა ქალი ასე გულდადებით მოეკიდებოდა ამ საქმეს და ბრწყინვალედ დააგვირგვინებდა.

უსაზღვრო იყო ჩემი აღტაცება, მაგრამ არა ნაკლებად გახარებულმა დათამ მოინდომა ჩემი კიდევ უფრო მეტად ამაღლება აკაკის თვალში და გამოაცხადა: ტასო ლექსებსაც მშვენივრად წერსო. ხმის ამოღება ვერ მოვასწარი, რომ უკვე გადასცა აკაკის ჩემი ორი ლექსი. აკაკიმ ლექსი იქვე გადაიკითხა და მხიარულად მომმართა:

— არ გირჩევ ლექსების წერას, ისევ სოფლის ბავშვებთან მუშაობას დაუდე გული. დღევანდელმა მათმა გამოსვლამ თვალსაჩინო გახადა ყველასთვის, რამდენი გამოუმჟღავნებელი ნიჭი იკარგება ჩვენს ხალხში.—უხერხულობა ვიგრძენი. ვწუხდი, რომ დათამ ჩემივე უხეირო ლექსებით გამიფუჭა ასეთი ბედნიერი დღე. დათამ კიდევ ვერ მოისვენა.

— აკაკი, ტასო მოთხრობებსაცა წერს, დარწმუნებული ვარ, მოგეწონება—აკაკის გაეღიმა და რომ შემატყო დაჯავრიანება გულის გასაკეთებლად მითხრა:

შესაძლებელია მოთხრობა უკეთესად დასწერო და თუ მართლაც ასეა, მე პირველი მოგიმართავ ხელს გზის გაკვალვაში.

ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობების განცდამ დამიკარგეს საღი აზროვნების უნარი. აღელვებული გამოვემშვიდობე აკაკის. საღამოს ჩემი მოთხრობა „ბატონებმა არ დაიწუნეს“ დათამ აკაკის წაუღო. მთელი ღამე არ დამძინებია. სწყდებოდა ჩემი სიცოცხლის ბედი. რას მომიტანს მზის ამოსვლა. ნათელ დღეს თუ სამუდამოდ მომიკლავს გულს და სათაყვანებელ ადამიანს ათქმევინებს: განა აუცილებლად ყველა მწერალი უნდა გახდეს? დრო ბევრი იკარგება უქმად, საქმე კი მოუვლელი რჩება.

დაუსრულებლად გაგრძელდა ღამე. რამდენი მუდარა, რამდენი ღელვა გავუზიარე მას. როგორ მენატრებოდა მზის სხივის დანახვა და ამავე დროს მეშინოდა მისი...

— რამ მოიყვანა ასე ადრიანად დათა? ან კი რა უხარია? მისი თვალების ელვარება არ ეწყობა ნაძალადევად გულგრილად წარმოთქმულ სიტყვებს:

— აკაკი გიბარებს საჩქაროდ! ნუ თუ?! იმედმა ელვასავით დამიარა მთელ სხეულში. აკაკიმ აივანზე მიმიღო. ეტყობოდა მზის ამოსვლას აქვე შეხვედროდა სავარძელში მჯდარი.

— ტასო, შენი მიზეზით წუხელის მთელი ღამე ვერ დავიძინე! კარებშივე შემომაგება სიტყვა აკაკიმ,

— ძილი თავიდანვე გამიტყდა. ამ დროს გამახსენდა შეპირება და დავიწყე შენი მოთხრობის კითხვა. სანამ არ გავათავე ვეღარ შევწყვიტე. ძალიან მომეწონა, გადავწყვიტე წავიღო თან და თბილისში ჩასვლისთანავე „კვალში“ დავაბეჭდვინო ანასტასია თუმანიშვილს. ვიდექი და უსიტყვოდ შევყურებდი აკაკის, თვალწინ მედგა მზის სხივებით გაბრწყინვებული სახე თმის შეეერცხლილი ხვეულებით მოვარაყებული. გადაშლილი შუბლი, აწეულ წარბებ ქვეშიდან მუდამ ალერსიანად გადმომყურე თვალები. განვიცდიდი ჩემი ცხოვრების უბედნიერეს წუთებს. ჩემი „ბატონებმა არ დაიწუნეს“ არც დიდებულმა და ყველასათვის საყვარელმა აკაკიმ დაიწუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ შეხვედრაზე აკაკიმ მიამბო, შენი მოთხრობა ანასტასიასაც მოეწონა, მაგრამ დაბეჭდვაზე უარი მითხრა: „ცუდად გამოყვანილი დედინაცვალი ჩემს გერებს, ჩემს თავსაც შეაძულებსო“. ბოლოს მაინც დავითანხმე, რადგანაც დავექადნე, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ ავიღებ ხელს „კვალში“ თანამშრომლობაზეო. ასე დაიბეჭდა ჩემი პირველი მოთხრობა „კვალში“. გავიდა რამდენიმე წელიწადი. აკაკი გადაიქცა ჩემთვის მახლობელ ადამიანად.

1897 წ. სოფელ მეჯვრისხევში მოხდა ჩემი და დუტუ მეგრელის ჯვარისწერა, რომელსაც დაესწრნენ ჩვენი დიდებული მწერლები აკაკი და გიორგი წერეთელი. აკაკი—მამად დუტუ მეგრელის მხრიდან, ხოლო გიორგი წერეთელი ჩემის მხრიდან. მამაჩემი, იმ ჟამად ავადმყოფი, რაღაც თილისმით თითქო გაჯანსაღდა, ის აღტაცებული იყო, რომ მისი თანამედროვე მწერლები აკაკი, გიორგი და დუტუ, მანამდე მხოლოდ შორეული მოკეთეები, ოჯახის წევრთა და მახლობელთა სიას შეემატნენ. საგანგებოდ გაწყობილმა სუფრამ შემოიკრიბა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული თანამედროვე მოღვაწეები. მამაჩემი, სუფრის ღირსეული თამადა, უსაზღვროდ კმაყოფილი იყო და თავის სტიქიაში გრძნობდა თავს; მისმა ‘ჭერმეტყველებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მას უკან არა რჩებოდა დუტუ მეგრელის ბიძა—ბლაღოჩინი თედორე ხოშტარია, რომელიც სხვებთან ერთად ჩამოვიდა სამეგრელოდან, რათა დასწრებოდა ამ ქორწილს. ჩვენი დამლოცველნი აკაკი და გიორგი წერეთელი სიტყვა მოსწრებულობით და სულის სიღრმემდე ჩამწვდენ გრძნობიერი სიტყვებით მთელ სუფრას ამხიარულებდნენ.

აკაკის თანდასწრებით ქართული სიტყვის და ქართული სუფრის ზეიმი თბილისშიაც გაგრძელდა. გიორგი და ანასტასია წერეთლების მიერ ჩვენთვის საგანგებოდ გამართულ ვახშამზე, რომლის შემდეგ გაგვაცილეს და გამოვემშვიდობე ყველა მახლობელსა და საყვარელ მეგობარ მასწავლებლებს. არ მეგონა, რომ სამუდამოდ ვემშვიდობებოდი ჩემს ძვირფას მოამაგეს, ცხოვრების ჩირაღდნად მოვლენილ აკაკის, რომელიც ამ სამახსოვრო საღამოს შემდეგ ცოცხალი აღარ მინახავს, რადგანაც იძულებული გავხდი დუტუ მეგრელთან ერთად გავმგზავრებულიყავი გადაკარგულ ქვეყანაში, სადაც ის ლუკმა პურისათვის მსახურობდა. როდესაც ჩემი სათაყვანებელი მგოსანი გარდაიცვალა, ‘მვილებით ახალ გადმოსული ვიყავი ქ. გორში. თავზარდაცემულმა სხვებთან ერთად მივაშურე სადგურს იმ მატარებლის შესახვედრად, რომელიც აკაკის ცხედარს მოასვენებდა. ქალაქ გორის და მისი მიდამოების მცხოვრებნი, როგორც ერთი ადამიანი, გამოსულიყვნენ ბაქანზე დიდებულ მგოსნის ცხედრისათვის უკანასკნელი სალამის მისაძღვნად.

აგერ გამოჩნდა ყვავილებით, შავი ძაძებით და გვირგვინებით შემკული მატარებელი. ყველას ჟრუანტელმა დაუარა ტანში, ბევრი ტიროდა. მატარებელი გაჩერდა. მეც ნიკო ლომოურთან, ნიკო შიუკაშვილთან და სხვა ადგილობრივ მოღვაწეებთან ერთად ავედი მატარებელში. დავაჩერდი აკაკის ძვირფას სახეს, ვიგრძენი უზომო მწუხარება, აუნაზღაურებელი საუნჯის დაკარგვის გამო. სამუდამოდ გამოვეთხოვეთ ზეგარდმო მადლით გასხივოსნებულ სახეს და მივეცით გზა მატარებელს, რათა მიეტანა ძვირფასი ცხედარი საქართველოს დედა ქალაქისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დომენტი თოდუაშვილი

აკაკის შესახებ

აკაკის დავლილი ჰქონდა მთელი თავისი სამშობლო. იგი ახლო იცნობდა ხალხის ცხოვრებას. პოეტს მუდმივი ბინაც კი არ ჰქონია, თუ სხვიტორს არ ჩავთვლით. სხვიტორის სახლიც აკაკის მისმა მეგვარეებმა ვალებში არა ერთხელ დაუგირავეს.

ქუთაისში აკაკი ხშირად იყო ბეჟან წერეთლისას, ანასტასია და კატო ნიკოლაძეების ოჯახში, ექ. გ. გოკიელისას, სერგო ბახტაძისას და ცნობილი პედაგოგის ალექსი ჭიჭინაძის ბინაზე. ხონში აკაკი ბინავდებოდა ადგილობრივი საზოგადო მოღვაწის ივანე შარაშიძისას და უფრო ხშირად, იმავე სერგო ბახტაძის ოჯახში. თბილისში პოეტი უმეტესად სასტუმროში იდგა.

მუდამ მოძრავსა და ერთფეროვნებას შეუგუებელ, პოეტს ერთ ადგილას გაჩერება ხანდაზმით არ შეეძლო, ეს მისთვის ჯოჯოხეთი იყო, ამიტომ დღეს რომ თბილისში იყო, ხვალ—თელავში, შემდეგ ქუთაისში, კიდევ ქუთაისში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ამ დროს სხვიტორშიაც შეიხედავდა, და ასე... კაბინეთში ჯდომა აკაკისთვის სასჯელი იყო.

აკაკის მეტყველებასა და გრძნეულ საუბარს რაღაც ჯადოსნური ზედმოქმედება ჰქონდა მსმენელზე. ტკბილი, ხავერდოვანი და მეტად მოქნილი კილო მეტყველებისა, რომელსაც ერთი ბეწვის ოდენა წაბორძიკებაც არსად შეემჩნეოდა, საოცრად იზიდავდა ადამიანს—და, როცა პოეტი საუბარს დაასრულებდა, გული დაგწყდებოდათ; ნეტავ ერთხანს კიდევ ესაუბრაო.

აკაკი ტანად საკმაოდ ახოვანი კაცი იყო. ამშვენებდა შავი, დიდრონი, ნაპერწკლის მტყორცნელი თვალები, ოდნავ მოხრილი ქართული ცხვირი; კლასიკური შუბლი; მაღალი აქოჩრილი თმა; ზომიერად განფენილი წვერულვაში; გაბადრულ სახეზე დასთამაშებდა ღიმილი, რომელიც ხშირად ნაღვლისა და ვარამის ნიშანი იყო. ხან—ულმობელი დაცინვის გამომეტყველი, ხან კიდევ—მაღალი, პოეტური ზეშთაგონებისა და აღმაფრენის ანარეკლი. ამ დროს პოეტი ცისკენ მიპყრობილი თვალებით ხან საყვედურს გამოხატავდა, რომელიც მხოლოდ აკაკის პოეტურ კუთვნილებას შეადგენდა; ხან კიდევ—მგზნებარე სურვილს,—სწვდომოდა იმავე ცას, რომ რაც სიკეთე გააჩნდა, მოეტაცნა და, ქვეყნისათვის გადაეცა.

საოცარი იყო ამ დროს ეს თვალები; მიმზიდველი ცეცხლით სავსენი.

აკაკის პირადი ნაცნობობა მე მქონდა 1898 წლიდან. ამ წლის „კვალის“ საახალწლო №-ში დაიბეჭდა ჩემი ლექსი „განთიადი“. ახლა არაფრად მომწონს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მაშინ უყურადღებოდ არ დარჩენილა და აკაკისაც რედაქციაში ეთქვა, ამ ყმაწვილს ყურადღება მიაქციეთო. ასე იყო თუ ისე, „კვალის“ რედაქციის—მიერ უყურადღებოდ არ ვყოფილვარ და ჩემ მიერ მიწოდებული მასალა, რაც გარეშე ძალას გადაურჩა, თითქმის უკლებლად იბეჭდებოდა.

1897 წელს აკაკიმ თავის „კრებულის“ გამოცემა დაიწყო. პირველ წლებში „კრებულში“ მხოლოდ აკაკის ნაწერები იბეჭდებოდა ხალხური შემოქმედების დართვით, რომელსაც ჟურნალში ცალკე განყოფილება ჰქონდა განკუთვნილი.

„კრებულის“ რედაქცია და სტამბა ზესტაფონში იყო; რედაქციის გამგედ მოწვეული ჰყავდა თედო კიკვაძე. თვითონ აკაკი რედაქციისა და გამომცემლობის საქმეების გამო ხშირად მოგზაურობდა.

ერთი ასეთი მუშაობის დროს პოეტი მძიმე ავად შეიქმნა ქუთაისში. გამოჩენილი სამსონ თოფურია მკურნალობდა თავისსავე საავადმყოფოში. პოეტი ისე იყო დაავადებული, რომ მნახველებს არ უშვებდნენ. საქართველოს ყოველ კუთხიდან მოდიოდა დეპეშები: „პარაკლისი გადვიხადეთო“—და პოეტს მალე განკურნებას უსურვებდნენ. აკაკი შემდეგ იტყოდა ხოლმე, პარაკლისებისა რა მოგახსენო და, ალბათ, ხალხის სიყვარულმა კი იმოქმედაო,

მთელმა „დიდმარხვამ“ განვლო. აღდგომის წინადღეებში მიტროფანე ლალიძემ მომწერა (სოფლად ვიყავი)—აკაკის შენი ნახვა უნდა და ჩამოდიო. ერთი კი გავოცდი, უცნაურად ავტოკდი... არ ვიცი, რა დავარქვა ასეთ მდგომარეობას... მეორე დღესვე წავედი აკაკისთან.

ძნელია გადმოვცე ის ანგარიშმიუწვდომელი მღელვარება, რომელსაც იმ წუთებში განვიცდიდი.—თრთოლვა და აღტაცება, კაღნიერება და მოკრძალება ყოველივე ერთმანეთს შეექსოვა...

— ნაბრძანები მაქვს, ავადმყოფთან არავინ შევუშვა ექიმის უკითხავად,—გვითხრა მე და მიტროფანეს მეკარემ,

— ჩვენ კი თვით ავადმყოფმა გვიბრძანა, შემოდითო, როგორ მოვიქცეთ?

მცირე ხნის შემდეგ აკაკის წინ ვიდექი. პოეტს სასთუმალზე თავი მაღლა ეჭირა. პირველი, რაც მე აკაკის სახეზე დავინახე, ეს იყო მისი უკვდავი ღიმილი.

— დაბრძანდი ყმაწვილო!—მითხრა პოეტმა და თვალი გადმომავლო. რაზე მუშაობ, სწერ რასმე?—მე პასუხი ვერ მოვასწარი, პოეტმა განაგრძო—იკითხე ბევრი იკითხე... სწერე ყველაფერზე, რაც გულმა გიჩურჩულოს და გონებამაც გირჩიოს. სწერე უბრალოდ, სადად, ნაძალადეობა მაშინვე დაეტყობა ნაწერს და აღარ ივარგებს. კალამი მომარჯვებული გაქვს, ლექსსაც არა უშავს, გემარჯვება, მომავალში კიდევ უფრო გააუმჯობესებ. ქართული ლექსის წერა ადვილია, მაგრამ იმდენადვე ძნელი, თუ აზრის უბრალოდ გამოთქმა გინდა და არა მისი გაბუნდოვანება... სწერე, სწერე, როცა ხალისი გექნეს. აი, ევდოშვილი: ის სახელმოხვეჭილი მწერალია, მაგრამ მის ლექსებს ზოგჯერ ნაძალადეობა ნიშანდობლივად ეტყობა. ალბათ, შეკვეთით ბევრი რამ დაუწერია. აი, ყველაფერი ეს რომ ჩამოვაშოროთ, შესაძლოა ბევრი აღარა დარჩეს რა, მაგრამ მოიგებს, როგორც პოეტი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფი ამას რომ ამბობდა, თანდათან მხნევდებოდა, თვალები და სახე თანდათან უბრწყინდებოდა და კვლავ საოცარი ღიმი ბაგეზე დასთამაშებდა.

— მსახურობ?

— არა, ბატონო, მაგრამ ვაპირებ...

შევატყე, არ იამა...

— რა ვქნა ბატონო, ღარიბი კაცის შვილი ვარ და სხვა გზა არა მაქვს,..

— მთავრობის სამსახურში მაინც არ შეხვიდე, სადმე კერძოდ მოეწყე, თუ მოვჯობინდი, მოგეხმარები, მაგრამ სამსახური საზოგადოდ ღუპავს კალმის მუშაკს. ეგაა ჩვენი უბედურება, რომ უსახსრონი ვართ და ბევრი საიმედო ახალგაზრდა იღუპება სამსახურის ჭაობში. კალმის მუშაკისათვის სამსახური ნამდვილი ტყვეობაა იმ განსხვავებით, რომ ტყვეს შეიძლება ექნეს მოცალეობა კალამს ემსახუროს და დღიურად უკეთესი წუთები ამ საქმეს მოახმაროს; სამსახური კი ამის ნებას არავის მისცემს. აი, ცახელი მეტად ნაზი და გრძნობიერი პოეტია, მისგან ბევრი რამ კარგი იყო მოსალოდნელი და კიდევაც მოგვცა, სანამ არ ჩაება; მაგრამ რაღაი წყალწითელას ჭალა გაუჩნდა საჭირ-ბოროტოდ, კიდევაც დაიღუპა, როგორც მწერალი.[1] შენ მაინც გულს ნუ გაიტეხ, დადგება დრო და თავს იხსნი მაგ „ტყვეობიდან"...

— აბა ახლა ცოტა წავიმუშაოთ. „კრებულისთვის" მასალა უნდა დავამზადო...

კედელთან მიდგმული პატარა მაგიდა პოეტის საწოლთან მივწიე. ფანქრით მოვემზადე.

აკაკი კარნახობდა. ვწერდი გამალებული. თაბახი რომ აივსებოდა მკითხავდა, აბა რომელ ფრაზაზე შევჩერდი და უმალ განაგრძობდა. სიტყვა სიტყვას მისდევდა, ფრაზა ფრაზას და სჩქეფდა საოცარი შადრევანი.

ეს დღე „დიდი ოთხშაბათი" იყო.

პოეტი დაიღალა, სამუშაო მეორე დღისთვის გადავდეთ და მეც გამოვეთხოვე.

მეორე დღეს—ხუთშაბათს, ამგვარადვე გაგრძელდა მუშაობა. პარასკევს („წითელი პარასკევი") სამუშაო დასრულდა, წამაკითხვინა, აქა-იქ შესწორება შეიტანა და მთხოვა, ვისმე გადამიწერინეო, ესეც მე ვიკისრე.

ამ დღეებში დაიწერა: „წმინდა გიორგის რაზმი"—იმერეთის მეფის სოლომონ 1-ის ძმის „არჩილ გიჟად" წოდებულის—მიერ მოწყობილი რაზმების თავდასხმები ოსმალთა მომხრეების ოჯახებზე იმერეთში; „მოტყუებული ტერტერა" და ზოგი რამ სხვა.

ამ დღეს, ექ. თოფურიას განკარგულებით, აკაკის საუზმედ შემწვარი ბატკნის ხორცი და ნახევარი ჭიქა „ხვანჭკარა" მოართვეს. პოეტმა გადახედა საუზმეს, თეთრი პურის ნაჭერი აიღო და ორიოდე ლუკმა შეჭამა, ღვინოსა და ხორცს კი ხელი არ ახლო და უკანვე გააბრუნა.

— რატომ არ მიირთვით, ბატონო, იქნებ კაი გაკეთებული არ იყო?

---

[1] პ. ცახელი სწორედ ამ მამულის მსხვერპლი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს ხორცს როგორა ვჭამ და ღვინოს როგორ დავლევ? რასაკვირველია, ეგ სისულელეა, მაგრამ მშობლებმა ასე ჩამინერგეს გულში და მეც არ მინდა მათთან სულიერი კავშირი გავწყვიტო...

პოეტი მალე მომჯობინდა და მნახველებისაგან მოსვენებაც აღარ ჰქონდა. მეორეჯერაც ვესტუმრეთ აკაკის მე და ჩემი ერთი მეგობარი, იქ ხუთი თუ ექვსი ქალი და კაცი დაგვხვდა მნახველები. მათ შორის იყო ნიკო ნიკოლაძეც. ჩვენი მისვლა პოეტს იამა და საუბარი განაგრძო. უცბად ანტონ ჭყონდიდელზე ჩამოაგდო ლაპარაკი; დიდი ორატორი და მოქართულე იყოო. ერთხელ ჰკითხეს: ბატონო, სამოთხეზე და ჯოჯოხეთზე რომ ხშირად გვესაუბრები, ნეტავი რა უნდა იყოს ან ერთი, ან მეორეო?

— იქიდან დაბრუნებული არავის უნახავს.—უპასუხა მიტროპოლიტმა,— ჩემი წარმოდგენით კი სამოთხე არის სურათის სურათზე ცვლა განუწყვეტელად და შეუჩერებლად; თუ სურათს დაუგვიანდა, ჯოჯოხეთიც ეგ იქნებაო.

ეს რომ თქვა აკაკიმ, ნიკო ფეხზე წამოიჭრა და მიმართა:

— შენი ჭირიმე, აკაკი, მაგ შენს ნათქვამს მე განვმარტავ და არ უარჰყო, თუ სწორი იქნესო.

— ეს ბატონებო,—მიუბრუნდა ნიკო მასთან ერთად მისულებს,—აკაკიმ ჩვენ დაგვითხოვა, წაბრძანდით და თქვენს აქ ყოფნას ჯოჯოხეთად ნუ გადამიქცევთო...

ამ განმარტებაზე პოეტმა გადიხარხარა და პირი კედლისაკენ მიიბრუნა.

1899 წლიდან აკაკის „კრებულის“ პროგრამა გაფართოვდა და მეც რამდენიმე ლექსი და ფოლკლორული მასალა დავბეჭდე იქ. ხოლო ქუთაისის თეატრში სალიტერატურო საღამოებზე მეც რამდენჯერმე მხვდა წილად სცენაზე გამოვსულიყავი, როდესაც აკაკიც იქ ბრძანდებოდა და მონაწილეობდა.

1905 წელს გაზ. „ივერიაში“ ვმუშაობდი რედაქტორის მიწვევით. აკაკი რედაქციაში ხშირად შემოდიოდა და, უნდა ვთქვა, რედაქციაში მომუშავეთა შორის რაღაც თავისიანსავით მიყურებდა, იმედნეულად დამებჯინებოდა ცალი ხელით და ასე რედაქტორის კაბინეთამდი მივაცილებდი.

კოტე მესხმა „პატარა გაზეთი“ რომ გამოსცა, რედაქცია სათავადაზნაურო ქარვასლის ერთ-ერთ ოთახში ჰქონდა მოთავსებული. აკაკი შემოვიდა და კოტე მესხი რომ რედაქტორის სავარძელში დაინახა ერთი თავისებურად გადაიხარხარა: საქართველოში ამდენხანს რედაქტორის სახელი ილიას ჰქონდაო...

სომეხ-თათართა შეტაკების დროს აკაკი სასახლის ქუჩაზე ცხოვრობდა სასტუმროში. პროვოკაცია ისე გაძლიერდა, რომ შესაძლო იყო მოჩხუბართა ერთ-ერთ მხარეს აკაკის ბინაზე მიეტანა იერიში, მით უმეტეს, რომ სროლა უკვე ყოფ. ერევნის მოედნიდან „გოლოვინსკზე“ (რუსთაველის პრ.) გადმოვიდა და ამით ქართველობაც ჩაეთრიათ ძმათა სისხლის ღვრაში.

აკაკი სასტუმროს მოვაშორეთ. პოეტი დაბინავდა ქალაქის ერთ-ერთ დაწყებითი სკოლის დარბაზში ელისაბედის ქუჩის შესახვევში. სწორედ ამ დარბაზში ვინახულეთ პოეტი სოსიკო მერკვილაძემ და მე 1906 წლის 1 იანვარს, ახალწელიწადს. თბილისში საშინლად ჰყინავდა. დარბაზის ერთ კუთხეში პოეტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეხურა თავისი ციმბირული ქურქი და ლექსსა წერდა. ახალი წელიწადი მივულოცეთ, ვაშლები მივართვით და ვთხოვეთ ჩვენთან გადმოსულიყო ბთაწმინდაში.—მოყინულზე იქ ამოსვლას ვერ შეეძლებ, ეტლი კი არ იმუშავებს და როგორ წამოვიდეო. ჩვენც ველარაფერი ვთქვით. დარჩა იქვე.

1907 წლ. 30 აგვისტოს ტრაგედიამ აკაკი მწარედ შეაძრწუნა.

ილიას დაკრძალვის დღეს აკაკი შეუძლოდ იყო, მაინც გამოვიდა სასახლის ქუჩაზე და ქვითინით გამოეთხოვა ძვირფას ცხედარს.

ილიას ვერაგული მკვლელობით შეურაცხყოფილმა ქართველმა ერმა 1908 წ. მხურვალე სიყვარულით აღსავსე იუბილე გადაუხადა თავის დიდ პოეტს, თავის ბირისა და ვარამის მღერალს. ეს იყო რაღაც არაჩვეულებრივი აღფრთოვანება მთელი ერისა, ანგარიშმიუწვდომელი, გაუზომელი და აუწონელი.

მაშინ ძველი სენაკის ქართულ სკოლაში ვმუშაობდი. წ. კ. საზოგადოების დავალებით აკაკის იუბილე მოვაწყეთ ჯერ ძველ სენაკში, შემდეგ ახალ სენაკში უფრო ფართოდ და ვრცლად. სკოლის მასწავლებლები ნიკო ჯანაშია, პოლ. ლორთქიფანიძე და ანდ. შუბლაძე აქტიურად ჩაებნენ ამ სასიქადულო საქმიანობაში და აკაკის შემოქმედება და დიდი მნიშვნელობის მოღვაწეობა ფართოდ გავაცანით საზოგადოებას.

იმავე წლის 14 დეკემბერს ქუთაისში გაიმართა გრანდიოზული საიუბილეო ზეიმი, რაც ვრცლად არის აწერილი იმ დროინდელ პრესაში.

მე აქაც წილად მხვდა აკაკისთვის მიმელოცა შესაფერი ლექსით.

1910 წლებში ქუთაისში გამოდიოდა ყოველდღიური, უპარტიო-პროგრესული გაზეთი „კოლხიდა". რედაქციაში მუშაობდნენ: სილოვანი, ვას. წერეთელი, დავით მესხი, გრიგოლ გველესიანი და სხვანი. ვთანამშრომლობდი მეც. ერთ საღამოს, გვიან, გრიგოლთან შევიკრიბეთ რედაქციის საქმეების გამო. გავიდა ხანი და ვიღაცამ დარეკა. აკაკი შემოვიდა. მივესალმეთ. სილოვანი აიმრიზა და სალამი თავის დაკვრით მისცა. პოეტი ცოტა ხანს ჩვენთან დაჯდა, შემდეგ გრიგოლი ოთახში გაიწვია. იქიდანაც მალე გამოვიდა და გამოგვემშვიდობა.—კიბეზე ჩაგაცილებ, ბატონო, უთხრა გრიგოლმა, ბნელა და სახიფათოაო—არა მიშავსო,—მიუგო პოეტმა,—ნუ შეწუხდებით, უთქვენოდაც ჩავივლიო,—ჩვენ აივანზე გადმოვდექით და თვალს ვადევნებდით, აკაკი ქვაფენილზე გავიდა და დაიძახა:

— მშვიდობით!

— მშვიდობით, მშვიდობით!—უპასუხა გრიგოლმა ზევიდან. პოეტი მაშინვე შეეკითხა, მე მემშვიდობები, თუ იმასო?

— როგორც გნებავთო—მიუგო გრიგოლმა.

— მაშ, ერთი მე, ერთიც იმასო.—გადიხარხარა თავისებურად და წავიდა. გრიგოლს შემოვესიეთ შეკითხვებით. მაგრამ მისი ღიმილი უსიტყვოდაც გვიპასუხებდა, რაშიც იყო საქმე.

ორიოდე სიტყვა იმაზედაც მინდა ვთქვა, თუ როგორ კითხულობდა აკაკი. ჯერ იყო და აკაკის საუბარი ყოველთვის მოსჩქეფდა სადად, უბრალოდ, ყოველგვარი ძალდატანებისა და შერჩეული სიტყვების გარეშე. მაგრამ ყოველ ხალხურ ფრაზას თუ სიტყვას პოეტი შესაფერი ლიტერატურული სამოსლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკაზმავდა და ისე გადმოგვცემდა. ზედვე ეტყობოდა, რომ სიტყვის მარაგის ზღვა იყო. ხალხური მეტყველებით დაგანძულს უცხო და, მით უმეტეს, მიუღებელი სიტყვების ხმარება ეჯავრებოდა. ასეთი სიტყვებით დატვირთული საუბარი ჭირის ოფლს მოაწურვინებს მთქმელსაც და გამგონესაც. და პოეტისთვის ეს ნაკლია და არა ღირსებაო. პოეტს ფართო გასაქანი აქვს შექმნას ახალი შესიტყვება, ახალი სიტყვებიც, მაგრამ უთუოდ დედა-ენის საფუძველზეო.

„დიდსა, მაღალსა, ბრწყინვალე მზესა,
მცირე ღრუბელი შეუცვლის ზნესა“

და ეს უადგილოდ და ნაძალადევად ჩაჩხირული ფრაზა თუ სიტყვა იგივე ღრუბელია, რომელიც ბრწყინვალე მეტყველებას ჩრდილს მიაყენებსო.

ლექსს აკაკი კითხულობდა სადად, თითქო გვესაუბრებაო. მსახიობურ კითხვას გაურბოდა: სახიობა ლექსსაც და თხრობასაც დამაჯერებლობას უკარგავსო. გადაჭარბება არ ვარგაო, მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მხატვრული ნაწარმოების მხატვრულად წაკითხვა საჭირო არ იყოსო.

ილია ზურაბიშვილი

მოგონებანი აკაკიზე

აკაკის იმდენად კარგად ვიცნობდი, რომ, თუ ჟან ბრუსონს მივბაძავ, რომელიც ანატოლ ფრანსს „დილის ხალათში“ აგვიწერს, ე. ი. შინაურ ცხოვრებაში, თამამად შემიძლიან ვთქვა, აკაკის პერანგას ვიცნობდი-მეთქი.

მართალია, თვით მე ვერ გავბედავდი ასევე ხალვათად ვჩვენებოდი, ვინაიდან ყოველთვის მახსოვდა, რომ ჩემწინ დიდი აკაკია.

* * *

ჩემს თვალში აკაკი მზესავით მანათობელი ადამიანი იყო. ამიტომ ძალიან გულთ დამწყდებოდა, ვინიცობაა ამ მანათობელში ისეთ ლაქებს შევნიშნავდი, რასაც შეეძლო ჩრდილი მიეყენებინა მისი ელვარებისათვის, ჩემს თვალში მაინც.

მე რასაკვირველია, ვცდილობდი ჩვენი ურთიერთობა იმ ფარგალს არ გადასცილებოდა, სადაც ერთის მხრით უნდა ყოფილიყო თაყვანისცემა უდიდესი მგოსნისადმი და უღრმესი პატივისცემა მხცოვანი ადამიანისა და დიდად დამსახურებული საზოგადო მოღვაწისადმი, მაგრამ მეორეს მხრით—მხოლოდ იმის რწმენა, რომ ყოველივე ეს სრულიად გულწრფელია, უანგარო და ბუნებრივი. მაგრამ აკაკისთან ასეთი მოკრძალებული მანძილის შენარჩუნება ძნელი საქმე იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტისმეტი გულხალვათობა სჭირდა დალოცვილს და, თუ გინდათ, სწორედ ეს იყო მისი დიდი ნაკლი. იგი ძალიან ადვილად გადადიოდა მეგობრობის პოზიციაზე იმათთანაც, ვინც არც თუ ისე დაახლოვებული უნდა ყოფილიყო მასთან.

ვგრძნობდი, რომ პოეტი, სიმპათიით ნიყურებდა, გულახდილი იყო ჩემთან, „შენობით" მომმართავდა, მთელი საათობით შაშს მეთამაშებოდა (მანვე მასწავლა ეს თამაშობა), ერთი—სიტყვით, მიყურებდა როგორც მახლობელ ადამიანს.

სხვანაირადაც, მგონია, არ შეიძლებოდა: ჯერ კიდევ სულ პატარას მიცნობდა, ხშირად მხედავდა თეატრში, რომლის ავან-ჩავანიც მე ვიყავი. ჩვენს ოჯახშიაც დაიარებოდა და შემდეგ ხშირად ვხვდებოდი საზოგადოებაშიაც. და, ბოლოს, წელიწად-ნახევარი ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით მარიამ საფაროვ-აბაშიძის სახლში, სადაც, როდესაც აკაკი შინ იყო ხოლმე, სადილ-ჩაიზე ერთად ვიყავით. საღამოობით კი იშვიათად იყო შინ, კლუბში თითქმის რეგულარულად დაიარებოდა. ხოლო, როცა შინა რჩებოდა, რაც იშვიათი ამბავი იყო, მაშინ ვიცოდით, რომ აკაკი უფულოდაა, ან შეუძლოდ გრძნობს თავს. აკაკის მეუღლეს და შვილსაც კარგად ვიცნობდი და, როდესაც ისინი თბილისში იყვნენ, აკაკის ოჯახშიაც საკმაოდ ხშირად ვყოფილვარ. მაშინ იგი სხვა ბინაში იდგა.

ერთი სიტყვით, აკაკისა და ჩემი ურთიერთობა სრულ საშუალებას მაძლევდა, თვალყური მედევნებინა მისთვის, ასე ვთქვათ, ცხოვრების მუდამდღიურობაში და შემენიშნა „მზის ის ლაქები"—ე. ი. მისი ადამიანური ხასიათის ის უსწორმასწორობა, რაზედაც ბევრნი აშკარად ლაპარაკობდნენ.

I

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ვითომ აკაკის ავი ენა ჰქონდა, არავის დაინდობდა, არავიზე კეთილ სიტყვას არ იტყოდა, პირში ქება იცოდა, ზურგს უკან კი—კილვა.

განსაკუთრებით კი იმას აღნიშნავდნენ ქარაგმულად, რომ აკაკის ილია არ უყვარდა, მძულვარება რომ არა ვთქვა, და ყოველთვის ავად იხსენიებდა მას, როგორც პოეტს და როგორც საზოგადო მოღვაწეს.

იმას, რასაც მკითხველი ქვევით წაიკითხავს, დამტკიცებაზე თუ მიდგა საქმე, რასაკვირველია, დოკუმენტებით ვერ დავამტკიცებ, რადგანაც საამისო დოკუმენტების ქონა შეუძლებელია, გარდა ზოგიერთი ციტატისა წიგნებიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან. ამიტომ, აქ წაკითხული ცნობების სინამდვილე ჩემს კეთილსინდისიერებასა და მეხსიერებაზე უნდა მიაგდოს მკითხველმა. პირველზე რა მეთქმის? ხოლო მეხსიერება ჯერჯერობით არა მღალატობს.

სხვებზე არას ვიტყვი, ვინაიდან არავისი კილვა აკაკისაგან არასოდეს არ გამიგია, და პირდაპირ ილიაზე გადავალ, რადგანაც ეს უფრო საგულისხმიეროა და დამახასიათებელი.

იმის მტკიცებას არ მოვყვები, აკაკის ილია თვალისჩინად მიაჩნდა და გაგიჟებით უყვარდა-მეთქი. ამას ვერც მოსთხოვდნენ აკაკის, ისე როგორც ილიას აკაკის მიმართ. ქვეყნის საქმეში თანამოსაგრის სიყვარული არავისათვის საკალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულო არ არის, განსაკუთრებით, როდესაც ეს თანამოსაგრენი ძირითადად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ადამიანური ბუნებით.

საქმე ის არის, აფასებდა თუ არა აკაკი ილიას მოღვაწეობას, როგორც დიდ ადამიანსა და მართლა ჰქირდავდა და ჰკილავდა მას თუ არა?.

სხვებისა არ ვიცი და ჩემდათავად, სიმართლის წინაშე სრული პასუხისმგებლობის შეგნებით ვიტყვი, არასოდეს აკაკისაგან ძვირი სიტყვა ილიაზე არ გამიგია, თუმცა საკმაოდ ხშირად მქონია მასთან საუბარი საერთოდ ქართულ ლიტერატურაზე და, რასაკვირველია, ილიაზედაც—კერძოდ.

რაც უნდა უარყოფითი აზრისა ყოფილიყო, საერთოდ, აკაკი ილიაზე, ისეთი დიდი პოეტური ალღოს ადამიანს, როგორც აკაკი იყო არ შეიძლებოდა ილია დიდ ქართველ მწერლად და დიდ საზოგადო მოღვაწედ არ ეცნო.

და თუ იყო რამე აკაკის გამოთქმაში ამ საერთო დებულების საწინააღმდეგო, უეჭველია, ყოველივე ეს კერძოობითი შენიშვნის ხასიათს ატარებდა და სრულიადაც არ აროყევდა მის ზოგად წარმოდგენას ილიაზე, როგორც დიდ შემოქმედზე და დიდ ქართველ ადამიანზე.

აი, ამ „კერძოობითი შენიშვნების“ სათანადოდ აწონ-დაწონას და შეფასებას თვით მსმენელისაგან, ჩემის აზრით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რათა მას წარმოედგინა, თუ რა აზრისა იყო აკაკი ილიაზე ს ა ე რ თ ო დ, პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ.

მოგეხსენებათ,—კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა,—და ვეჭვობ, რომ აკაკის ამ მხრივ ხშირად ხვდებოდა კარგი გამგონი; ან იმიტომ, რომ ამ გამგონს განგებ უნდოდა მოესმინა აკაკისაგან უარყოფითი რამ ილიაზე—და ასეთები, მგონია, უმრავლესობას შეადგენდნენ—ან კიდევ იმიტომ, რომ-იგი ჯეროვანად ვერ აფასებდა აკაკის ნათქვამს, ვერ განსაზღვრავდა კერძოობითს მთავარისაგან და, თავისდა უნებურად, ზეზეურ დასკვნას ადგენდა აკაკის ნალაპარაკევზე.

აი, ამ მოკლედ გამოთქმული „საეგებისო“ მოსაზრების საილუსტრაციოდ შემიძლიან მოვიყვანო ერთი ჩემი საუბარი აკაკისთან ილიას „განდეგილზე“. ეს საუბარი ძალიან კარგად დამმახსოვრდა და შემიძლიან თითქმის სიტყვა-სიტყვით აღვადგინო.

აკაკი იმ აზრისა იყო, რომ „განდეგილი“ ილიას საუკეთესო ნაწარმოებია და თავისთავადაც შესანიშნავი. მხოლოდ—ამბობდა აკაკი—ადგილ-ადგილ იგი გაზვიადებულიაო. ავიღოთ თუნდაც შესავალი ნაწილიო „სადაც დიდებულ მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან—გამოუქვაბავთ მუნ მონასტერიო“. ვინ დაიჯერებს ამასაო?

როდესაც მე ვუპასუხე ეს პოეტური ჰიპერბოლაა, როგორც, მაგალითად, თქვენა გაქვთ „თორნიკე ერისთავში—ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“—მეთქი,—აკაკიმ სამართლიანად მიპასუხა—ნახტომი შეგეშალა, ყმაწვილო, მე სწორედ უარვყოფ იმას, რასაც ილია ამტკიცებს: ისე, როგორც ზღვაში ქვიშა და ცაზედ ვარსკვლავები არ დაითვლება, იმგვარადვე—საცა ორბი და არწივი ვერ მისწვდება, იქ მონასტერი ვერ გამოიქვაბებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიგრძენი, აკაკი მართალი იყო მხოლოდ ჩემ მიერ მოყვანილი უსაბუთობის გამო. მაგრამ მართალი არ იყო, როდესაც ილიას მყინვარის მშვენიერ აწერილობას იწუნებდა. მე კვლავ განვიმეორე ჩემი მოსაზრება „პოეტურ ჰიპერბოლაზე", რაზედაც აკაკიმ მიპასუხა—ჰიპერბოლა-სინამდვილის გაზვიადებაა, გადაჭარბება, მაგრამ იქ, სადაც სინამდვილე არ არის, იმის გადაჭარბებაც არ შეიძლებაო. ყოველ შემთხვევაში მე ასე არ დავწერდიო.

რასაკვირველია, არ დასწერდა... არ დასწერდა იმიტომ, რომ მისი მხატვრული წარმოდგენა თვით ბუნების ძალთა ბუმბერაზობაზე სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე ილიასი. მის პოეტურ ხილვას ესა თუ ის მოვლენა იტაცებდა მეტისმეტად „მსუბუქ ფრთითა" და ამიტომ ამ ხილვის ნაყოფი ყოველთვის უფრო ჰაეროვანი იყო, უფრო რეალური.

მაშინდელი ჩვენი საუბარი ამით არ გათავებულა. მე ვცადე დამემტკიცებინა აკაკისათვის, რომ ილიას, ზავთიანობასთან ერთად „განდეგილში" ულამაზესი და უნაზესი ხილვაც მდიდარი აქვს და მაგალითისათვის მოვიყვანე შემდეგი სტრიქონები:

„...არავინ იყო...ხოლო ცეცხლა-პირს
ქალს დალალულსა მისძინებოდა„ და სხვ.

მშვენიერიაო—სთქვა აკაკიმ.—განა მე კი არ ვიცი, როცა ილიკო მოინდომებს, ყველაფერს ლამაზად იტყვისო. მაგრამ დამეთანხმე, აქაც, ცოტა არ იყოს, ჭკუით დამძიმებული სინაზეაო.

რასაკვირველია, არ დავეთანხმე აკაკის და არც ახლა ვეთანხმები, რომ აქ „ჭკუით დამძიმებული სინაზე" იყოს, მაგრამ ის კი შემიძლიან აშკარად ვთქვა, რომ იგი მაშინ სრულიად გულწრფელი იყო და თავის აზრს გამოსთქვამდა, თავისი საკუთარი პოეტური ბუნების მიდრეკილებით და გამოთქმის უნარის თვალსაზრისით. მის ჰაეროვან მუსიკალურ სმენას, რაღა თქმა უნდა, ემძიმებოდა „იგი სიტურფე, იგი შვენება", იგი სულ სხვა კილოკავს იყო ჩვეული და თვით ულრმეს აზრსაც ხშირად მსუბუქი მეტაფორული გამოთქმით იძლეოდა.

* * *

იმას ვერ დავიქადებ, ამრიგობაზე აკაკის „კარგი გამგონი" ჰყავდა-მეთქი, მაგრამ არც მის მიერ გამოთქმულ აზრებში, არც კილოში, როგორითაც ეს აზრები იყო გამოთქმული, მე არ შემინიშნავს არავითარი გულძვირობა და უარყოფითი დამოკიდებულება ილიასადმი. პირიქით, ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ აკაკიმ უნებურად ილიას „ილიკო" უწოდა, რაც არც მისგან სხვა დროს, არც სხვა ვისგანმე არასოდეს არ გამიგია. რაღაც სათუთი რამ, რაღაც ინტიმური გრძნობა გამოისმოდა ამ „ილიკოში" და თითქო ამჟღავნებდა, რომ ახლა თუ არა, ოდესღაც მისთვის ილია მართლაც „ილიკო" ყოფილა.

ახლა წარმოვიდგინოთ ისეთი „გამგონი", რომელიც ამათუიმ მიზეზის გამო წინასწარ განწყობილი იყო, სიამოვნებით თუ არა, არც თუ გულისტკივილით მოესმინა აკაკისაგან ილიას ძაგება, ან ისეთი „გამგონი", რომელსაც წინასწარ აკვიატებული ჰქონდა ის აზრი, რომ აკაკი ილიაზე თავის დღეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგს არას იტყოდა,—და ვის არა ჰქონდა მაშინდელ საზოგადოებაში ეს აზრი აკვიატებული?

დარწმუნებული ვარ, პირველი მათგანი კმაყოფილებით ჩაიკენჭავდა ყველაფერს, რაც აკაკიმ ვითომ „უარყოფითი" წარმოსთქვა ილიას „განდეგილზე", მისცემდა ამ „უარყოფითს" „თავისებურ განმარტებას", ბევრს თავისასაც წაუმატებდა და თუ ილიამდე პირველად ვერ მიიტანდა აკაკისაგან გამოთქმულ „კილვას", გავრცელებით ხომ ისე გაავრცელებდა, რომ უეჭველად ილიას ყურამდე მიეღწია.

და თუ იმასაც ვივარაუდებთ, რომ აკაკი ჩვეულებრივ ცხოვრებაში ილიასავით პირმოკუმული კაცი არ იყო, თანაც „ორლესული" სიტყვის დიდი მწყალობელიც გახლდათ, რომ ეს „ორლესული", თავისი მხრით, დიდად სწყალობდა მას, რომ იმას არ დაგიდევდათ, ვინ რა მიზნით ელაპარაკებოდა, ვის რა გუმანი ჰქონდა გულში, ერთი სიტყვით, გულღიად და, თუ გინდათ, „პოეტურად" საკმაო პირღიაც იყო. ადვილად წარმოიდგენთ, რა ილად იქმნებოდა ის ლეგენდა, რომ აკაკი ძირიანფესვიანად სთხრის ილიასო.

* * *

ყველამ ვიცოდით, რომ საადგილმამულო ბანკის გარშემო გაჩაღებულ ბრძოლაში აკაკი ივანე მაჩაბლის მხარეზე იყო, თუმცა კრებებში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, როგორც ბანკის არა წევრი.

ამიტომ ყველას გვეგონა, აკაკი მაჩაბლის მხარეს იმიტომ იჭერს, რომ ილია სძულსო. ის კი გვავიწყდებოდა, რომ მაჩაბლის ბევრი მომხრე იმავე დროს ილიას თაყვანისმცემელიც იყო, როგორც დიდი მწერლისა და დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა. ხოლო ამ შემთხვევაში, ე. ი. ბანკის საქმეში არ იზიარებდა ილიას პოზიციას.

მაშინ მე ჯარის კაცი ვიყავი, მაშასადამე, სულ ახალგაზრდა, 22 წლისა; თბილისში ვმსახურობდი და ქურდულად ბანკის წევრთა საერთო კრებებზე დავიარებოდი, რასაკვირველია გალერეაზე.

კრებებზე აკაკი ყოველთვის ლოჟაში იჯდა ხოლმე, უმეტეს შემთხვევაში ნიკო დიასამიძის სახლობასთან ან ივანე მაჩაბლის მახლობლებთან. მე გალერეაზე ვიყავი და ამიტომ კრების დარბაზში მას არასდროს არ შევხვედრივარ.

ერთ საღამოს (ალბათ, როდესაც კრება არ იყო დანიშნული) აკაკის მაკო საფაროვი-აბაშიძისას შევხვდი. იქვე იყო ჩემი დაც (ქეთევან ანდრონიკაშვილისა). ლაპარაკი, რაღა თქმა უნდა, ბანკის ბრძოლასაც შეეხო. ლაპარაკობდნენ უფრო ქალები. აკაკი თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა და მხოლოდ ღიმილით ყურს უგდებდა ბანკის „საქმეებით დაინტერესებულ" ქალებს. საკითხი შეეხო, სხვათა შორის იმას, თუ რომელ პარტიას („მაჩაბლისტებს" თუ „ჭავჭავაძისტებს") მეტი შანსი ჰქონდა გამარჯვებისა არჩევნებში.

მე რატომღაც წამომცდა—რა გასაკვირველია „მაჩაბლისტებმა" გაიმარჯვონ, იმოდენა ამომრჩევლები სულ ტივებით ჩამოუზიდნიათ-მეთქი ქართლიდან.

აკაკიმ გულიანად გაიცინა.

სამაგიეროდ, ჩემი და გამომეხმაურა. მისი სიმპათიები, ცოტა არ იყოს, მაჩაბლისაკენ იხრებოდა. მე კი პირწმინდად „ილიელი" ვიყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა რაო! — სთქვა ჩემმა დამ. — კახელებმა კიდევ ამომრჩეველები დილიჟანებით ჩამოზიდეს!

აკაკიმ უფრო გულიანად გაიცინა და ამ სიცილითვე მომმართა.

— ხომ ხედავ, ალაზანი რომ მტკვარივით თბილისში მოდიოდეს ალბათ, ტივს არც კახელები დაიწუნებდით...

ეს იყო და ეს, მთელი საღამოს განმავლობაში აკაკის კრინტი არ დაუძრავს არც ბანკზე, არც ილიაზე, არც მის მომხრეებზე თუ მოწინააღმდეგეებზე.

აკაკის ეს სრულიად უმანკო შენიშვნა მე, წინასწარ „აზრაკვიატებულს", იმის ნიშანდობლივ საბუთად მეჩვენა, რომ აკაკი მართლა მტრულად იყო განწყობილი ილიასადმი და, აკაკი რომ წავიდა, ჩემს დას წავეჩხუბე, რად მიეცი აკაკის საბაბი მთელ ქვეყანას მოსდოს ვითომ ილიას მომხრეები საგანგებოდ დილიჟანებით ჩამოჰყავთ-მეთქი.

ეს უმნიშვნელო ეპიზოდი აქ ამიტომ მომყავს, რომ, ჯერ ერთი, დავადასტურო: აკაკის სიტყვაც არ უთქვამს ილიაზე და ბანკზე, იმ უეჭველად სამართლიანი რეპლიკის გარდა, თუმცა ამის საბაბი სრული ჰქონდა და თუ გულში ღარღლი უტრიალებდა ილიას წინააღმდეგ, რაღა თქმა უნდა, თავის წამახვილ ენას ისეთ-ისეთ „კვიმატ" და „ორლესულ" აზრებსა და სიტყვებს წარმოათქმევინებდა, რომ თქვენი მოწონებული.

მეორე: მე რომ მე ვიყავი, ე. ი. გუშინდელი ღლაპი, რომელსაც საზოგადო საქმეებისა არა გამეგებოდა რა, მით უფრო ბანკისა, მეც კი აკაკის ისე ვუყურებდი, როგორც ილიას ნამდვილ მტერს და მის წინაშე ილიას პარტიის საიდუმლოების (თუ კი იყო ასეთი საიდუმლოება) გამჟღავნება დიდ დანაშაულად მიმაჩნდა ჩემი დისგან. აი, რამდენად იყო მოწამლული მაშინდელი საზოგადოების აზრი და საერთო ატმოსფერო ამ საზიზღარი ლეგენდით აკაკისა და ილიას მტრულ ურთიერთობაზე.

* * *

ბოლოს და ბოლოს, საიდან წარმოიშვა ეს საზიზღარი ლეგენდა, რომლის კუდიც იმდენად გრძელია, რომ ხანდახან ჩვენ დრომდეც აღწევს, რა რეალური საფუძველი აქვს ამ ლეგენდას?

მე მგონია, არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს! იგი მოგონილია ბუნებით მახინჯი, მეჭორე ადამიანებისაგან. იგი ემყარება პირად მძულვარებას აკაკისადმი და არც თუ დიდ სიყვარულს ილიასადმი.

მართლაც და... რა ჰქონდათ სადავო და საცილო ილიას და აკაკის? სად და რაში გადაჯვარედინებულა მათი გზები?

მხოლოდ ერთში. სამშობლო ქვეყნის სიყვარულში, მისთვის მტლედ დადებაში! გარნა, ამას თუ მჭიდრო შეკავშირება არ შეეძლო სხვადასხვა ბუნების ადამიანებისა, იქამდე ხომ არ განათვითებდა მათ, რომ ერთიერთისადმი პატივისცემა დაეკარგათ?!

არასოდეს ილია აკაკის და აკაკი ილიას არ შესცილებია საპირადო საქმეში. არსად ისინი ერთმანეთის მოწინააღმდეგედ არ გამოსულან არც პირად არც საზოგადოებრივ საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველამ ვიცით, ილია ჯერო ფართო მასშტაბის საზოგადო მოღვაწე იყო, ვიდრე აკაკი: მწერალი, რედაქტორი, გამომცემელი, ბანკირი და თითქმის ყველა ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულების თავმჯდომარე—აი, ილიას საერთო საზოგადოებრივი ფიგურა, მეტად საჯაროზე გამომდგარი.

მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ აკაკი არც ერთ ამა „დიდებას" არ ეტანებოდა, გარდა მწერლობისა, დაიწყო თავისი საზოგადო მოღვაწეობა მწერლობით და დარჩა იგი მარტოოდენ მწერლად. ამავე ხარისხით ჩავიდა საფლავში. აკაკი ხომ ერთად-ერთი ნამდვილი პროფესიონალი მწერალი იყო მაშინ.

ხოლო თუ მწერლობას ავიღებთ, იმას ხომ ვერავინ ვერ უარჰყოფს, რომ აკაკი ილიაზე თუ უფრო პოპულარული და საყვარელი პოეტი არ იყო საქართველოში, ნაკლები მაინც არ ყოფილა.

მართალია, ისინი სხვადასხვა ჯურის შემოქმედნი იყვნენ. ერთი თუ ვიოლინოსავით გამჭვირვალედ წკრიალებდა, მეორე ვიოლონჩელოსავით მდორედ ყლერდა. ერთი თუ წუხილით ოხრავდა, მეორე ღრმად შფოთავდა. მაგრამ ერთის საოხრავიც და მეორის საშფოთველიც ერთიდაიმავე მაღალი გრძნობიდან მომდინარეობდა—სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულიდან. და ეს ორივე შესანიშნავი ხმა, სხვადასხვა ტემბრისა, კეთილხმოვანად და ძლიერად გაისმოდა მათ ქვეყანაში, ვით სხვადასხვა დროის და სხვადასხვა ხასიათის დიდებული მუსიკა მოცარტისა და ბეთჰოვენისა მთელ მსოფლიოში.

და ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა ისე უყურებდა ილიას და აკაკის, როგორც საქვეყნო საქმეში თანამებრძოლთა სინონიმებს, თითქო მათ შორის არავითარი განსხვავება არა ყოფილიყოს, მის თვალში ილია და აკაკი თითქო განუყოფელი ტყუპი ძმა იყო, ერთი დედის მუცლით ნაშობი. სადაც ილია იტყოდნენ, უეჭველად ზედ აკაკიც უნდა დაეყოლებინათ და პირიქით.

ვთქვათ, რაიმე საღამო იყო გამართული საქველმოქმედო მიზნით. თუ ვინმე იტყოდა—ილიამ ესა და ეს ლექსი წაიკითხაო, მსმენელი უეჭველად შეეკითხებოდა—აკაკიმ რაღა წაიკითხაო, იმის მიუხედავად, იღებდა აკაკი ამ საღამოში მონაწილეობას თუ არა. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ იქ, სადაც ილია იყო, შეიძლება აკაკი არა ყოფილიყო.

გულმართალ ხალხს სურდა, რომ ილია და აკაკი ყველაფერში თანამდგომელნი და თანამყოფელნი ყოფილიყვნენ და მის წარმოდგენაში ეს სურვილი თითქო განხორციელებულიც იყო. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა იმას, რომ ამათუიმ საზოგადოებრივ მოვლენას, შეიძლება, ილია და აკაკი სულ სხვადასხვა საზომით უდგებოდნენ. მისთვის ერთი რამ იყო ნიშანდობლივი, —რომ საერთო წუხილი თუ სიხარული თანაბარ გაშოძახილს ჰპოებდა ორივე მგოსნის გულში, ხოლო რა სახით აირეკლებოდა ეს მათ შემოქმედებაში—თითეოულის ნიჭისა და უნარის საქმე იყო. თანაც ისიც სწამდა ხალხს, რომ რა სახისაც უნდა ყოფილიყო იგი,—ორივე ტურფა და მომხიბლავი იქნებოდა, ხალხისათვის თანასწორად სანუკვარი და სასარგებლო.

ვეჭვობ, სხვა მაგალითი კიდევ მოიპოვებოდეს არამც თუ ჩვენში, არამედ სხვაგანაც, რომ ორი თანამედროვე მგოსანი, ესოდენ თავისთავადი და თავისებური ადამიანური ბუნებითაც და პოეტური მეტყველებითაც, ასე გაერთიანებული ყოფილიყოს ხალხის წარმოდგენაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მაგრამ იყვნენ ადამიანები... არა, ადამიანები კი არა, კაცუნები, ადამიანის ანაფხეკები,—ზოგი აკაკისაგან ნაწკიპურტევი, ზოგი ილიასაგან ნაქიმუნჯევი, ზოგიც ბუნებით „მაამებლად" და „ენატანიად" დაბადებული და ამით მღვრიე წყალში თევზის მეერავი,—რომელთაც არაფერი დაზოგეს, რათა ცხოვრებაში მაინც განეთვითებინათ ეს ორი დიდი მესაიდუმლე ჩვენი ქვეყნისა და თუმცა ხალხის წარმოდგენა მათზე ვერ შესცვალეს, მაგრამ თვით ილიას და აკაკის თავზე მოახვიეს ის აზრი, რომ ისინი მტრები არიან ერთმანეთისა.

იმას ვერავინ ვერ უარჰყოფს, რომ ილიასაგან ძვირი სიტყვა აკაკიზე ვისმე გაეგონოს, გარდა ეროი მოსწრებული თქმისა, რომელშიაც გულისტკივილი უფრო გაისმის, ვიდრე სარკაზმი.

აკაკის ძმა დავითი

როგორღაც ერთხელ, თუ არა ვცდებ, ანტონ ფურცელაძეს უთქვამს ილიასათვის,—რა არის, კაცო, შენ სულ აკაკის ქებაში ხარ, ის კი ზეზეურად გთხრისო, ან რაღაც ამის მსგავსი. ამაზე ვითომ ილიას უპასუხნია — შეიძლება ორივენი ვცდებითო.

დარწმუნებული ვარ, ეს მახვილი სიტყვა აკაკიმდე რომ უმანკო სახით მისულიყო და მზითვად ბევრი ნართაული რამ არ მიჰყოლოდა, სულ სხვა გვარისა და სხვა მნიშვნელობისა, აკაკის ძალიან მოეწონებოდა, როგორც მოსწრებული თქმის ფასის მცოდნე ადამიანს.

აკაკი სიცილით თვითვე გიამბობდათ, ილიას ჩემზე ასე უთქვამსო, ისე როგორც თავისი კუჭკუჭა სიცილით სიამოვნებით გვიამბობდა ხოლმე ერთი მისი ნათესავი ქალის უნებურ, მაგრამ მეტად ორლესულ პასუხს.

ამისთანებში, რაღა თქმა უნდა, აკაკი უფრო მოურიდებელი იყო და, ალბათ, საოხუნჯოს ილიაზე არაერთხელ იტყოდა რასმე, რასაკვირველია, არა მტრობით და არა ძულვით, არამედ იმიტომ, რომ როგორც ბედოვლათი კაცი ფულს, იგი ბზესავით აბნევდა თავის მახვილ სიტყვას, რომელშიაც ხშირად ალბათ, ოხუნჯობის მარგალიტების გვერდით, კვიმატი და მკენწლავი ბევრი რამ იყო. ყველას თუ არა, ბევრს ეხსომება ილიას შესანიშნავი წერილი აკაკისადმი.

ხსენებულ წერილს, მგონია, განმარტება არ ესაჭიროება და არც საგულისხმიერო გამოთქმების კურსივით აწყობა, ვინაიდან იქ ყველაფერი საგულისხმიეროა.

ვინც ილია ჭავჭავაძეს იცნობს, იცის მისი მტკიცე ხასიათი და პრინციპულობა საქმეში, განსაკუთრებით კერძო ხასიათის მიწერმოწერაში (ეს მე საათანადო ეპიზოდით დავასურათე ჩემს მოგონებაში ილიაზე), ის უეჭველად და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთანხმება, რომ ამისთანა წერილს იგი არავის არ მიაწერდა, მით უფრო აკაკის, თუ კი მისდამი იმ გრძნობას არ განიცდიდა, რაც ამ წერილში ნათლად ღაღადებს.

მოვუსმინოთ ახლა აკაკის.

ჰუმორულ ამბავში „სიკვდილი"—აკაკი აგვიწერს თავის სიკვდილს, სიზმარში ნახულს და გვიხატავს საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენელთა გამოხმაურებას ამ სიკვდილის გამო. მისი სული ჯერ საიქიოს არ გადასახლებულა და უჩინარი ამ ქვეყნად დაძრწის. ბევრ სასაცილო და სავალალო გარემოებას წააწყდება იგი, ბევრ ნაღველმწარ სიტყვას მოისმენს თავისთავზე. მიჯნურის ღაღატი თვით მასზე ვაების მომენტში, მეგობრების მიერ ვითომ დანანება და ამავე დროს თავისმოკატუნებით მისი ქირდვა და კილვა, მიცვალებულის გარშემო გამეფებული ტყუილი და ცილისწამება, ერთი სიტყვით გაუტანლობისა და „საზოგადოების" ზნეობრივი გახრწნის მწვავე სურათია მოცემული.

სხვათა შორის, აკაკის სული თავისი მოწინააღმდეგე რედაქტორის ოთახშიაც ამოჰყოფს თავს. აქ აშკარად აკაკი ილიას გულისხმობს.

„მომწყინდა მათი ყურისგდება (თანამშრომლების კამათი—ი. ზ.) და შევძვერი რედაქტორის ოთახში. რედაქტორი მოწყენილი მარტოდმარტო თავის თავს ესაუბრებოდა: რამდენი ხანი ვიცნობდი და ჩემს დღეში მისგან პირადი წყენა არ მახსოვს. საზოგადოდაც, მართალია, ერთი მიზანი გვქონდა, მაგრამ ის სულ სხვა გზით მიდიოდა და მე სხვით. ჩემი გზა იმას არც ერთხელ არ დაუქოლავს, და მაშ რათ მძულდა, რათ მეჯავრებოდა. მაგრამ ენის მიტანმოტანა რა საძაგლობა რამ არის. მუშას რომ გადაატანინო რამე ერთი სახლიდან მეორემდის, განა იმას გზაში მტვერი არ ეყრება და არ ჩირქიანდება? ასეთივეა გადატანილი სიტყვა: სულ სხვა ფერად გადადის და სხვა ხორცად. მოგონებამ ეს ყველაფერი იცის, მაგრამ გული კი უსამართლო ენის ამყოლია. ეჰ, ვინ დაიჯერებს, რომ მისმა სიკვდილმა მე ასე გული მატკინა?..."

აკაკიმ ამ მოკლე მხატვრული ეპიზოდით ნათლად გვიჩვენა, რომ სიძულვილისათვის მას და ილიას შორის არავითარი საბაბი არ იყო და არც თვით სიძულვილი არსებობდა, არამედ იგი არსებობდა ვიღაცეების წარმოდგენაში.

და, თუ მხედველობაში იმ გარემოებას მივიღებთ, რომ „სიკვდილი" დაწერილია 1894—1895 წლებში, ე. ი. იმ დროს, როდესაც ქართველი საზოგადოება ორ მებრძოლ ბანაკად იყო გაყოფილი „ბანკობანას" გამო, როდესაც ერთმანეთის დანდობა და განკითხვა აღარ იყო, ხოლო აკაკი ერთ ბანაკს ეკუთვნოდა თავისი სიმპათიებით, ილია კი სათავეში ედგა მეორე ბანაკს,—ასეთი დახასიათება ილიასი იმის მაჩვენებელია, რომ აკაკის არა სწამდა თვისდამი მტრობა და სიძულვილი ილიას მხრით, თუმცა, ალბათ, ბევრი უჩიჩინებდა ამაზე.

ღირსშესანიშნავია აგრეთვე აკაკის სიტყვა, წარმოთქმული თელავში 1897 წელს, რომელშიაც, სხვათა შორის, ილიაზე შემდეგს ამბობს:

„... საკვირველია, მესამოცე წლებშიაც, როდესაც მამათა სქესის ახალთაობა გამოფხიზლებას აპირებდა, ის პატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ის ღრუბლის ნაგლეჯიც აქეთ დავინახეთ. რასაკვირველია, მიხვდებით, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბ-ნი ილია ჭავჭავაძე... სჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტად წამებული კახეთი ჩვენთვის ბეთლემად დაუნიშნავს განგებას"...

აღარას ვამბობ აკაკის ლექსზე ილიას გარდაცვალების გამო, მაგრამ არ შემიძლიან არ მოვიყვანო აქ ერთი ადგილი, ილიას დაკრძალვის დღეს წარმოთქმული აკაკის სიტყვიდან:

„...თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ!"

აღსანიშნავია, რომ იმ სამგლოვიარო დღეებში და ადრედაც აკაკი მძიმე ავადმყოფი იყო, ლოგინად მიქცეული. არც გვეგონა თუ ადგომას შესძლებდა. მაგრამ მან დასძლია თავისი ავადმყოფობა და მოისურვა სიტყვის თქმა. ხოლო, რადგანაც სიარული არ შეეძლო, სამგლოვიარო პროცესია სპეციალურად სასახლის ქუჩის შუაგულს გაჩერდა და აკაკი ჩამოიყვანეს იქვე სასტუმროდან, სადაც იგი იდგა „წერაკითხვის" საზოგადოების სადგომის პირდაპირ. აქ წარმოსთქვა მან სიტყვა, რომელსაც თანა სდევდა გულისგამსჭვალავი საერთო ქვითინი.

შეიძლება, ამ ორი დიდი ადამიანის ხანგრძლივ სიცოცხლეში ეს ერთადერთი წამი იყო, ნამდვილი ტრაგიზმით აღსავსე, როდესაც ავი გესლით გაჟღენთილი ენაც კი ვერა ბედავდა შეებღალა რაიმე ეჭვით ეს უკანასკნელი შეხვედრა მათი სიკვდილ-სიცოცხლის გზაჯვარედინზე.

* * *

საყურადღებოა კიდევ ის, რომ არსად აკაკისა და ილიას პოლემიკაში ფარგალი ლიტერატურული კილოს ზომიერებისა და ურთიერთისადმი თავაზიანობისა გადაცილებული არ შემხვედრია. მაშინ, როდესაც ერთიც და მეორეც სხვებისადმი ხშირად მიმართავდა მოწინააღმდეგის გამაწბილებელ სიტყვა-პასუხს.

ამ მხრივ განსაკუთრებით მაჩვენებელია მათი პოლემიკა აკაკის ლექციებზე „ვეფხის ტყაოსნის" გამო,

როგორც ვიცით, ილია ამ ლექციებს დიდის უარყოფით შეხვდა, მაგრამ მის წერილში ვერსად ნახავთ, ვერც დაცინვას, ვერც აგდებას და რაიმე ორლესულ გამოთქმას. ყველაფერში აქ დაცულია პრინციპულობა და თავაზიანი კილო.

აკაკიზე იმასაც ამბობდნენ, ფულის სესხებაში დაუზარელია და ჩასესხებაში კი ზარმაცია. ამასთანავე, არ დაგიდევთ, ვის ესესხება და რამდენსაო, ე. ი. ათასობითაც შეუძლიან სესხება, ასობითაც და მანეთობითაცაო.

ჩემი პირადი დაკვირვებით, ამგვარ ჭორებს ავრცელებდნენ სწორედ ისეთები, აკაკის რომ თავის „სიკვდილში" ჰყავს აწერილი: „ერთმა მათგანმა აავსო ჭიქა, წაუქცია თავი და თქვა: „ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს... სამასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთი კი გაჰყვა ჩემი საიქიოს, მაგრამ შენდობილი იყოს!“ შევხედე თვალებში ურცხვად მოტრაბახეს, მაგრამ რაღას ვიტყოდი? ღმერთმა ხომ იცოდა, თვითონ გამომართვა ერთხელ სამი მანეთი და აღარ დაუბრუნებია“.

იმას როგორ დავიფიცავ, ვითომ აკაკი ფულს არა სესხულობდა ვისგანმე, მაგრამ იმაზე კი დარწმუნებული ვარ, თუ სესხულობდა, თვითონაც ასესხებდა ხოლმე და უფრო ხშირადაც, ვიდრე თვითონ სესხულობდა.

პირადად ჩემგან, ჩვენი კარგი დამოკიდებულების მიუხედავად, აკაკის კაპიკი რა არის? ერთი კაპიკი არ უსესხნია არასდროს. ეს პირდაპირ გასაკვირველი ამბავია, თუ მართლა აკაკი ისე იოლად მიმართავდა სესხს.

რად არის გასაკვირველი?

აი, მოგახსენებთ, როდესაც მე და აკაკი ერთ სახლში ვიდექით და ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, საკმაოდ კარგი ჯამაგირი მქონდა, ასე რომ სულ ადვილად შემეძლო მისთვის ხელი გამემართა ჟამსა გაჭირვებისასა. და ასეთი ჟამი მის ყოფა-ცხოვრებაში ძალიან ხშირი იყო, როგორც ქალალდის და ნარდის თამაშობის მოყვარული ადამიანისა. ზევით უკვე აღვნიშნე, აკაკი რომ საღამოობით კლუბში არ მიდიოდა, შინაურობაში ვიცოდით, აკაკი უფულოდ იყო-მეთქი.

მაშასადამე, აკაკი თუ მართლა ის აკაკი იყო, რომლისთვისაც, როგორც ბევრი ლაყბობდა, ვალის აღება, ვისგანაც უნდა ყოფილიყო, ჩვეულებრივ რამეს შეადგენდა, ჩემთან რა მორიდება სჭირდა? ისიც ხომ კარგად იცოდა, რომ დიდი სიამოვნებით გავუმართავდი, შეძლებისადაგვარად ხელს, დარწმუნებული, რომ პირველსავე შემთხვევაში უკანვე მივიღებდი ვალს. და თუნდაც არ მიმეღო, გული არ დამწყდებოდა, ვინაიდან აკაკის დახმარება საპატიო მოვალეობად მიმაჩნდა. ჩემდათავად კი ვერ ვუბედავდი სესხის შეძლევას, მეშინოდა რა, სითამამედ არ ჩამომართვას-მეთქი.

ამიტომ, სრული დაბეჯითებით შემიძლიან ვთქვა: აკაკი თუ ვისმე მიმართავდა, ალბათ, იმისთანას, ვინც თვით დავალებული ჰყავდა, ან ვისთანაც რაიმე სააღებმიცემო ანგარიში ჰქონდა, მისი ნაწერების გამოცემა იქნებოდა, თუ ქალალდის თამაშის დროს დარჩენილი ვალი, ან და სხვა ამისთანა რამ.

აკაკიმ რომ ვალის დაბრუნება იცოდა და დიდრონი ვალისაც, მაგალითად რამდენიმე ათასისა, ამისთანა შემთხვევა სხვებმაც იციან. მე მხოლოდ ერთ ეპიზოდს აღვნიშნავ, რომლის პირდაპირი მოწმეც მე ვიყავი.

1900 წელს თბილისში მყოფი აკაკი დიდ გასაჭირში ჩავარდნილიყო: ქუთაისიდან დეპეშა მიეღო—სახლ-კარი ბანკში გეყიდებაო. საჭირო იყო სამასი მანეთი. თანხა თუ დიდი არ იყო, მაინც იმ დროისათვის საკმაო ფულად ჩაითვლებოდა. ბევრ თავის ნაცნობისათვის მიემართნა, მაგრამ უნაყოფოდ. ბოლოს, მაკოსათვის ეთხოვნა—შენს მახლობლებში მიშოვნე სადმეო. მაკომ თავის ძმას შაქრო საფაროვს (თეატრის მოღვაწეს) მიმართა, რადგანაც იცოდა, რომ იმ რიგობაზე მას ფული ჰქონდა. შაქრო იოლად დათანხმდა.

როდესაც აკაკიმ თამასუქი შეაძლია, შაქრომ ეს ძალიან შორს დაიჭირა და იწყინა კიდეც, თქვენ თამასუქს როგორ ჩამოგართმევთო. აკაკი მაინც არ მოეშვა, უამისოდ სესხის აღებაზე უარს ამბობდა. შაქრო იძულებული გახდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათანხმებულიყო, თანაც ამბობდა—რა მნიშვნელობა აქვს თამასუქს, სასამართლოში ხომ არ წარვადგენ, თუნდა ვალი სულაც არ დამიბრუნოთო. ხოლო აკაკი უპასუხებდა,—ცალი ფეხი სამარეში მიდგას, ვინ იცის დღეს რა მოაქვს, ღამეს რა მოაქვს, რაზე უნდა დაგეკარგოს ეს ფული, რა მდიდარი შენა ხარო.

აღარ მახსოვს, ეს ვალი აკაკიმ ვადაზე დაუბრუნა შაქროს, თუ დაგვიანებით ან ვადაზე უფრო ადრე. დაბრუნებით კი დაუბრუნა და სარგებლითაც. აქაც შაქრო დიდ უარზე იყო, მაგრამ აკაკიმ თავისი გაიტანა და სარგებელი მიაღებინა.

ეს ამბავი აკაკის აწერილი აქვს თამასუქის მეორე გვერდზე. აი, როგორ ათავებს აკაკი თავის გაჭირვებისა და ფულის ძებნის ამბავს:

„... ეს ამბავი გაეგო როგორღაც საფაროვის ქალს. დაეგირავებინა რაც რამ გააჩნდა, ზოგიც ძმისაგან ესესხნა და მომიტანა სამასი მან. თქვენგან ბევრი შემწეობა მახსოვს და ახლა ჩემგანაც მიიღეთ სამაგიეროო. გამიკვირდა, მაგრამ ბოლოს გამახსენდა, რომ ის თანამედროვე ქართველი არ არის“.

ძალიან საყურადღებო წარწერა აქვს ამ თამასუქს შაქრო საფაროვისა: „სრულად მივიღე, რისთვისაც დიდად ვმადლობ კნ. აკაკი წერეთელს“.

თამასუქი სალიტერატურო მუზეუმში ინახება.

აკაკის აწერილობიდან გამოდის, ვითომ ფული მისთვის მაკოს ესესხებინოს. ეს სწორე არ არის. მე ავწერე ისე, როგორც ფაქტი მოხდა. მაკო ცოცხალია და შეუძლია დაამოწმოს ჩემი სიტყვები. აკაკი, ალბათ, ერთმანეთში ურევს ამ ფაქტსა და სხვა შემთხვევას. როდესაც როგორც მისგანაც და მაკოსაგანაც გამიგონია, მაკოს, რათა აკაკისათვის ფული ეშოვნა, თავისი საკუთარი ნივთები დაეგირავებინა. მაგრამ ეს აწერილ შემთხვევაზე კარგა ხნით ადრე მომხდარა, ამრიგობაზედ აკაკის პირნათლად დაუბრუნებია ვალი. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში არავითარ თამასუქზე და სარგებელზე კრინტის დაძვრაც არ შეიძლებოდა.

ყოველივე ამის შემდეგ მაქვს თუ არა უფლება არ დავიჯერო, რასაც აკაკის უპირობაზე ლაპარაკობდნენ ფულის საქმეში?

სრულიად დარწმუნებული ვარ, ყოველ ამგვარ თქმას მარტო საპირე კი არა, სარჩულიც რომ გაესინჯოს, უეჭველად აღმოჩნდება, რომ სიმართლე იქ კი არა ძევს, რასაც მთქმელი ამბობს, არამედ იქ, რასაც იგი არ ამბობს ამათუიმ მიზეზის გამო. თორემ რომელი კაცური კაცობის ღირსების მქონე ადამიანი, თუ არა ზნე-ხასიათით ნამდვილი კაცუნა, დაიტრაბახებდა აკაკის ფული ვასესხე და არ დამიბრუნაო?!.

თვით აკაკი რომ ამხრივ ხელგაშლილი იყო და გაჭირვებულს უარს არ ეტყოდა, თუ კი იმ წამს დახმარება შეეძლო, ამას ამოწმებს მაკოს მიერ არა ერთხელ ნათქვამი სიტყვები: რამდენი გაჭირვებული ხალხი დადის აკაკისთან, ან როგორ აუდის ამოდენა მთხოვნელებსაო? და როდესაც იგი შეეკითხა აკაკის ამის თაობაზე, აკაკიმ ღიმილით თურმე უპასუხა—შე ქალო, აბა ჩემთან ვინ მოვა, თუ არა გაჭირვებულიო. ის მაწუხებს მხოლოდ, რომ თვით ხელმოკლე ვის რა იარას გავუმთელებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკოს ეთქვა, ბიჭს ვუბრძანებ—აღარ მიიღოს თქვენი შემწუხებლებიო—არა, ღვთის გულისათვის, ეგ არა ქნა... აბა, რა საკადრისია, კარზე გაჭირვებული მოგადგეს და იმის ნაცვლად, რომ დაეხმარო, შენ არც კი გინდა მიიღო და თანაგრძნობის სიტყვა მაინც უთხრა.—უპასუხა თურმე აკაკიმ.

ეს მაკოსაგან წინადაც გამიგია და ამ დღეებშიაც განიმეორა აკაკიზე რომ ვლაპარაკობდით. მაკოს აზრით, აკაკი იშვიათი კეთილი გულის პატრონი იყო და არასოდეს გაჭირვებულს დახმარებაზე უარს არ ეტყოდა, თუ კი გარემოება ხელს უწყობდა. თითონ გაიჭირვებდა და სხვას განიკითხავდა.

ძალიან საგულისხმოა აგრეთვე მაკოს ცნობა აკაკის განსაკუთრებულ დელიკატობაზე მის მიმართ.

ქართული თეატრის აღორძინებისას, პირველ წლებში, დიდ გაჭირვებაში ვიყავით მე და ჩემი ქმარიო. აკაკიმ, რასაკვირველია, ეს კარგად იცოდა, რადგანაც თეატრთან ახლო იდგაო. რადგანაც პირდაპირ დახმარების გაწევას ვერ გამიბედავდა, ხშირად შემოვიდოდა ჩვენსა და ღიმილით მეტყოდა—აბა, ქალო, რა იქნება, დღეს რომ შენებური გემრიელი სადილი ვჭამოო. მე ვგრძნობდი, რასაც ნიშნავდა ეს გემრიელი სადილი, როდესაც აკაკი გადმომცემდა 15—25 მანეთს სადილისათვის, მაგრამ იმდენად გულწრფელი იყო და თავაზიანი მისი საქციელი, რომ არ მეთაკილებოდა მიმეღო სასადილოდ შემოძღეული ფულიო. „ჩემებური გემრიელი სადილი“ ბევრი-ბევრი 2—3 მან. მიჯდებოდა და დანარჩენზე ხომ ანგარიშის წარდგენას ვერ გავბედავდი, რაკი ვიცოდი ამ „დანარჩენის“ პირდაპირი დანიშნულება, ე. ი. რამდენიმე დღით ხელი მოეცალებინა ჩვენს პატარა ოჯახსაო. ასეთი მცირე, მაგრამ მოკრძალების საბურავში გახვეული დახმარება უფრო ძვირფასი იყო ჩემთვის, ვიდრე ის, აკაკის რომ ჩემთვის განძი მოეტანაო.

რაღა აკაკიზე იყო ასეთი მითქმა-მოთქმა, რატომ სხვებზე არა ლაპარაკობდნენო ასე?—იკითხავს ვინმე.

იმიტომ რომ, ზევითაც აღვნიშნე, აკაკი მეტისმეტად ადვილად მისადგომი იყო, ადვილად უახლოვდებოდა ადამიანს, სწორე და მრუდე ადვილად იგნებდა გზას მისკენ და ხშირად მისი კეთილი გულისაკენაც. და ამოდენა გარემოცულობაში ისეთებიც იქნებოდნენ, ვის თვალშიაც აკაკის სახელსა და ღირსებას არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ან სწორედ ამ სახელის გასატეხად და ღირსების დასამცირებლად განგებ თხზავდნენ უხამს ამბებს,

ალბათ, სხვებზედაც ლაპარაკობდნენ, მაგრამ თუ სხვაზე ნათქვამს თოფის ჭახანის ხმაც ძლივსა ჰქონდა, სამაგიეროდ აკაკიზე ნათქვამი ზარბაზნის ბათქივით გაისმოდა, ვინაიდან სხვები სხვანი იყვნენ და აკაკი—ერთადერთი აკაკი იყო.

3.

აკაკის სახელი განსაკუთრებით ქალებმა გაუტეხეს.

აკაკის არაფერი დაეჯერება—არც ქება ქალისა, არც ძაგება. პირში ქათინაურებს გეუბნება, სიტურფის სარკეც შენა ხარ, გონების საწყაულიც შენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ, ერთი სიტყვით, ცამდე აჰყევხარ, ხოლო გაგეცლება თუ არა, ისეთ რამეს იტყვის შენზე, რომ ან თავი მოგეჭრება საქვეყნოდ, ან სასაცილო გახდებიო დროებით მაინც.

ასე გამიგონია არა თვით ქალებისაგან, არამედ მამაკაცებისაგან, ვითომ ქალების ნალაპარაკევი, თორემ მე პირადად აკაკისაგან არცერთ ქალზე არავითარი კილვა და დაცინვა არა მსმენია. ქება კი მრავალი,

ამავე დროს მე ის მაკვირებდა, რომ თუმცა ქალები ასეთი უარყოფითი აზრისანი იყვნენ აკაკიზე, მაინც ჩვენს საზოგადო მოღვაწეთა შორის არავის ჰყოლია ქალებში იმდენი თაყვანისმცემელი და მეგობარი, როგორც აკაკის.

თაყვანისცემა—ეს ადვილი გასაგებია,—მისი პოეტური ნიჭი, მისი მახვილი სიტყვა, მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა ვის არ მოხიბლავდა? მათ უფრო ქალებს, თუ მათ განსაკუთრებულ ექსპანსიობას მივიღებთ მხედველობაში.

აკაკის ზოგჯერ ქალების საზოგადოებაში—ჩვეულებრივი საუბრის დროს, რასაკვირველია—სიყვარულზე ორაზროვნად, აგდებით უყვარდა ლაპარაკი. ამისთანა დროს მან მორიდება არ იცოდა, ხუმრობაში. ამათუიმ სიტყვაზე კილოს გამობმა, მოსწრებული, მაგრამ ცოტა არ იყოს, იკლიკანტური ზმის თქმა ხომ მისი სტიქიონი იყო. ეს საყოველთაოდ ცნობილია და აკაკის ბევრი ამგვარი ორლესული თქმა გამოქვეყნებულიც არის სამემუარო ლიტერატურაში.

* * *

ერთერთ ჩემს ახლო ნათესავ ქალს ვკითხე: გულახდილად მითხარ, აკაკი გეარშიყებოდა თუ არა-მეთქი.

მეარშიყებოდაო—მიპასუხა მან ღიმილით და გამომწვევი კილოთი.

— მერე და... რითი გათავდა თქვენი ფლირტი?

— არაფრით.

— ვითომ დავიჯერო, რომ არაფრით?

— დასაფიცარი რა მაქვს? შენ ჩემი ცხოვრება კარგად იცი... ისიც იცი, რომანები მქონია... რაღა აკაკიზე გადავთქვამდი? ისიც შენთან...

— ხომ მოგწონდა?

— აკაკი ვის არ მოსწონდა? როგორც აკაკი...

— არა, მე პოეტობაზე არ გეუბნები... ისე,.. როგორც სამიჯნურო მამაკაცი?

— ჯერ ერთი აკაკი ოცდახუთი წლით ჩემზე უფროსი იყო (აქ მე ანგარიში გავუსწორე—ოცდაორი წლით-მეთქი)... თუნდაც აგრე იყოს... მაგრამ ხანს დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა: აკაკი იმ ხანში ჩემზე ახალგაზრდებსაც მოსწონდათ... შენ რომ მეკითხები—სამიჯნუროდო, აი, ასე აკაკი არ მომწონდა. ვერც კი წარმომედგინა იგი ჩემ მიჯნურად... მეტისმეტად დიდი ვინმე იყო ჩემს თვალში.

— შე დალოცვილო, შენი რომანის გმირებს ხომ სჯობდა? ყველაფრით...

— ახლა რა ვუყოთ? განა იმიტომ გვიყვარს ვინმე, რომ დიდი ვინმეა?! საქმე ის არის, რომ არა მწამდა მისი გულწრფელობა... ვგრძნობდი, უბრალო ენი იყო,—იმ დროს, როდესაც სიყვარულს მეფიცებოდა, მძლავრი იერიშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს მეგობარ ქალებზედაც მიჰქონდა, ხოლო უნაყოფოდ. შენ იცი, ვისზედაც-აკაკი მარწმუნებდა, ვითომ ჩემი მეგობარი მას მოსვენებას არ აძლევდა თავისი სიყვარულით. მე კი შენ მიყვარხარო...

— მერე, რა იცოდი რომ აკაკი მართალს არ ამბობდა შენს მეგობარზე?

— მე და... არ ვიცოდი?! ერთმანეთის საიდუმლოება განდობილი გვქონდა. მაშ, რის მეგობრები ვიყავით? ამასთანავე, ქალს სხვა უყვარდა გაგიჟებით...

— ჰო და... როგორ დაუსხლტი ხელიდან?

ჩემმა ნათესავმა გულიანად გაიცინა.

— ქალი ყოველთვის მოახერხებს დასხლტომას, თუ გულს არ ერჩის... ისეთი რამ ვუთხარი, რომ...

— რა, რა?

— ბატონო აკაკი, მე ყოველთვის ისე გიყურებდით, როგორც ღვიძლ მამას-მეთქი. არ ეჯაშნიკა. მაგრამ აბრუ არ გაიტეხა... გადაიკასკასა თავისებურად და სიცილითვე მიპასუხა—მაგისთვისაც გმადლობო.

— მერე?

— ეს იყო და ეს... აკაკის იერიშები აღარ მოუტანია ჩემზე... კეკემალულობია რომ გამემართა, დარწმუნებული ვარ, ველარ მოვიშორებდი.

— ცუდი არა უთქვამსრა შენზე?

— არ ვიცი... არა მგონია... შეიძლება რაიმე წაიმახვილა.

— ბოლოს ხომ აკაკი დიდი მეგობარი გახდა შენი ამხანაგი ქალისა?

— დიდი... წინადაც მეგობრულად იყო. აკაკი ხომ ყოველთვის დიდი პატივისმცემელი იყო მისი ნიჭისა და ჭკუისა.

* * *

აი, კიდევ საუბარი ერთ ჩემ კარგ ნაცნობ, უფრო მეტიც, მეგობარ ქალთან. იგი მუდამ დიდი მეგობარი იყო აკაკისა. ხოლო ეს ის ქალი არ არის, ჩემი ნათესავი რომ გულისხმობდა ჩვენს დიალოგში.

ხშირად გვქონია მე და იმ ქალს ლაპარაკი აკაკიზე.

ერთხელ გავბედე და ვკითხე შორიდან მოვლით.

— მითხარით, შეეძლო თუ არა აკაკის, თქვენის დაკვირვებით, სერიოზული ხანგრძლივი სიყვარული?

ქალმა გაიღიმა მნიშვნელობით. იგი მიმიხვდა ხვაშიადს.

— კეკემალულობიას რას მეთამაშებით... პირდაპირ მკითხეთ, ვუყვარდი მე აკაკის და მიყვარდა მე აკაკი თუ არა? ჩვენზე განა ცოტანი ლაპარაკობდნენ? ამას ისე მივეჩვიე, რომ ლამის თვით მე დავიჯერო ის, რაც არ ყოფილა...

— მე ზოგადად გკითხეთ... თქვენი ურთიერთობა არა მქონია მხედველობაში. გკითხეთ იმიტომ, რომ დიდი მეგობარი იყავით აკაკისა... კარგად იცოდით მისი ხასიათი.

— ღობე-ყორეს ნუ ედებით... ზოგადი შეხედულება ხომ კონკრეტული ფაქტების ჯამია. არა, თქვენ გაინტერესებთ სწორედ ჩემი და აკაკის ურთიერთობა და მორიდებით პირდაპირობას გაურბით... მე კი სრულიადაც არ მეხამუშება საკითხის პირდაპირ დაყენება. მე თქვენ კარგად მიცნობთ, იცით თით-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქმის ჩემი ცხოვრებისა და ხასიათის წვრილმანი. იცით ისიც, რომ თუ მრავალი არა, ბევრი უგულითადესი მეგობარი მყავს, უპირატესად მამაკაცთა შორის, აკაკი მათ შორის. მაგრამ, თუ ჩემსა და სხვა მამაკაცთა მეგობრობაზე ცუდი არა თქმულა რა ჩვენს საზოგადოებაში სამაგიეროდ, ჩემი და აკაკის ურთიერთობა თითქმის ყბადასაღები გახდა.—რატომაო-იკითხავთ თქვენ. იმიტომ, რომ აქ აკაკი ერია, ე. ი. კაცი, რომელსაც ვითომ უანგარო მეგობრობა არ შეეძლო. იმას არ დავფარავ, ჩემთვის საწყენი არ იყო მეთქი ეს ღავღავი, მაგრამ ნუთუ იმის გულისათვის, თუ რას ამბობდნენ თავადები პეტრე და ივანე, ან კნეინები ბარბარე და სოფიო, მე მეგობრული კავშირი უნდა გამეწყვიტა იმისთანა კაცთან, როგორიც აკაკი იყო?! მით უფრო, რომ ამით საქმეს არა ეშველებოდა რა. ხომ მოგეხსენებათ, ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო.

ვიმეორებ, თქვენ მიცნობთ და იცით რომ, ცოტად თუ ბევრად, თავისუფალი ვარ ბევრ რამეში, რასაც საზოგადოებრივი ცრურწმენა ეწოდება. მერე, ესეც ვიცოდი, ბოლოს, გულს რომ მოიჯერებდნენ, მოსწყინდებოდათ ჩვენზე ლაპარაკი და იოლად შეურიგდებოდნენ ამ ფაქტს, როგორც უცილობელ რამეს.

ახლა მეკითხებით, მიყვარდა თუ არა აკაკი?.. ჰო, კარგი... თქვენ არ მეკითხებით... მე ვეკითხები ჩემს თავს თქვენი თანდასწრებით.—გაიცინა ქალმა, როდესაც შევნიშნე—ასეთი კითხვის უფლება არა მაქვს-მეთქი.

მიყვარდა!.. მიყვარდა ისე, როგორც ყველა ჭეშმარიტ ქართველს, ქალი იქნებოდა იგი თუ კაცი. მთლად მისი ნაკლით და ღირსებით... როგორც მაგალითად, გიყვარდათ თქვენ... გახსოვთ, რა მწარედ ქვითინებდით ჩვენთან ერთად ამას წინეთ, აკაკის დასაფლავების მეოთხე დღეს, როდესაც გრამაფონით ვისმენდით აკაკის ხმას, ლექსს რომ კითხულობს და ბავშვებს სიტყვით მიმართავს. რათა ქვითინებდით? რა იყო თქვენთვის აკაკი? თქვენ მიპასუხებთ—საქართველოს დიდი პოეტი, მისი დიდებაო... ეს ხომ თავისთავად იგულისხმება, მაგრამ ეს არ იყო მიზეზი თქვენი ცრემლებისა. არამედ ის, რომ თქვენი მახლობელი იყო სულიერად, პირადი მეგობარი, თქვენი გულშემატკივარი, თქვენი ავისა და კარგის თანამოზიარე ნათესაურად და არა მარტო პოეტურად. ჩემთვისაც ეგ იყო. ნუთუ მარტო მამაკაცების ხვედრია ასეთი მახლობლობა!

მაგრამ თქვენ ეს არ გაინტერესებთ. თქვენ გაინტერესებთ, მიყვარდა თუ არა აკაკი ქალურად? თუ ამას ისე გავიგებთ, რომ ჩვენს ურთიერთობაში უფრო მეტი ეგზალტაცია იყო, ვიდრე მამაკაცთა მეგობრობაშია, ჰო, შეიძლება, ასე იყოს... ხოლო, თუ უფრო შორს წახვალთ და მკითხავთ, მიყვარდა მე აკაკი ინტიმური ქალური გრძნობით, რომელშიაც ურევია გულის ჩქროლვა და ბუნების აღძვრა,—აი, ამაზე გადაჭრით გიპასუხებთ—არა-მეთქი. თქვენ არ დაიჯერებთ და... არასდროს ამაზე არც კი დავფიქრებულვარ... მაშინაც კი, როდესაც ჩემს ყურამდე აღწევდა მითქმა-მოთქმა ჩვენს ურთიერთობაზე. ეს არც შემეძლო, არ შემეძლო იმიტომ, რომ თავიდანვე ჩვენს შორის ისეთი დამოკიდებულება დამყარდა, რომ მისი ინტიმურ სიახლოვედ გარდაქმნა წარმოუდგენელი იყო.

აკაკი ჯერ იმ დროს გავიცანი, როდესაც მოკლე კაბა მეცვა და ინსტიტუტს ის იყო ვამთავრებდი. აკაკი ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო. ჩვენს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდაათი წლის მანძილი იდვა. აკაკისა და მისი მეგობრების გავლენით, ჩვენს ოჯახში რომ დაიარებოდნენ, მე ვიგრძენი, თუ რა მახინჯად მზრდიდა ჩვენი სასწავლებელი. აი, ამ სიმახინჯის კვალი ახლაც კი თავს იჩენს ხოლმე. აი, მე ნამდვილი ქართველი დედ-მამის შვილი, ქართველი საზოგადო მოღვაწის ქვრივი, ქართველი დიდი პოეტის გულითადი მეგობარი, ქართული ლიტერატურის ცოტად თუ ბევრად მცოდნე, გელაპარაკებით თქვენ, ქართველ მწერალს, რუსულად. ინსტიტუტს ამის მეტი და, აგრეთვე ფრანგულად ლაპარაკისა, არა მოუცია რა ჩემთვის. აკაკისა და მისი მეგობრების გავლენით დავიწყე ამ სიმახინჯის გამოსწორება, იმიტომ კი არა, რომ ისინი ლექციებს მიკითხავდნენ, მესაუბრებოდნენ, სწორ გზაზე მაყენებდნენ, ჭკუას მასწავლიდნენ... სრულიადაც არა. მე ჩემდათავად სირცხვილი ამიტანდა ხოლმე იმის გამო, რომ ხეირიანადაც კი არ მესმოდა მათი ნაუბარი. მე თქვენ გეკითხებით, რა გრძნობით უნდა გამსჭვალულიყავ აკაკისადმი, თუ არა თაყვანისცემით და მოკრძალებით, როგორც დიდი პოეტისა და დიდი საზოგადო მოღვაწისადმი?!

მალე გავთხოვდი. აკაკი დიდი მეგობარი იყო ჩემი ქმრისა, მისი თანამოაზრე და თანამდგომელი საზოგადო საქმეებში. თქვენ დამეთანხმებით, რომ აქაც არავითარი საბაბი არ იყო, რათა ჩემი თაყვანისცემა და მეგობრული განწყობილება აკაკისადმი სხვა გრძნობად გარდაქმნილიყო, ვინაიდან ღირსეულ ადამიანს მივთხოვდი სიყვარულით და სიყვარულითვე შემირთო მან... მით უფრო, რომ მალე დავშვილიანდი, შვიდი წლის შემდეგ დავქვრივდი. აკაკი კვლავ განაგრძობდა, როგორც ქმრის დროს, ჩემი ოჯახის მეგობრობას და პირად ჩემს მეგობრობას. იგი გაგრძელდა მის სიკვდილამდე. ჩემი ქვრივობის პირველ წლებში ისე უბედურად ვგრძნობდი თავს, რომ მეტისმეტად თავზე ხელაღებული ადამიანიც კი ვერ გაივლებდა აზრად ჩემი გულის მონადირებას, მით უფრო აკაკი, რომელიც აშკარად ხედავდა ჩემს სასოწარკვეთილებას, და არ იკისრებდა ჩემს შეურაცხყოფას, თუნდაც იმ ზნისა და იმ თვისების ადამიანი ყოფილიყო, როგორც ზოგიერთებს ჰქონდათ წარმოდგენილი.

შემდეგშიო — იკითხავთ თქვენ. ყველაფერი შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა, მაგრამ როგორ დავწამო ან ჩემს თავს, ან აკაკის ის, რაც არ ყოფილა?! ჩვენი მახლობლობა მეგობრობის კავშირს არ გასცილებია.

თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ, რაში გამოიხატებოდა ეს მეგობრობა. იმაში, რასაც თქვენი თვალითა ხედავთ. აკაკი ჩემი ოჯახის შინაური იყო და ნათესაურად გრძნობდა თავს ჯერ კიდევ ჩემი ქმრის დროს. თქვენ იცით აკაკის ბოჰემური ცხოვრება. მას ოჯახური მყუდროება არ ჰქონდა, რადგანაც მისი ოჯახი რუსეთში ცხოვრობდა. ჩემსას და აგრეთვე ზოგიერთ სხვა ოჯახში (აქ ჩემმა მოსაუბრემ დაასახელა რამდენიმე ოჯახი და სხვათა შორის, ჩემი ნათესავი ქალის მეგობარი) იგი ჰპოვებდა იმ მყუდროებას, უანგარო ზრუნვასა და ნათესაურ სიყვარულს, მით უფრო ჩემი შვილები ძალიან უყვარდა. ჩემთვის კი აკაკი სასურველი ადამიანი იყო, რომელიც უფერულ მუდამდღიურობას აცხოველებდა აზრიანობით, საზოგადოებრივი ინტერესით. მასთან საუბარში ყოველთვის თითქო რაღაც ახალს იძენდი, რასაკვირველია, ახალს ჩვენისთანა ჩვეულებრივი ადამიანისათვის. იმაზე აღარას ვიტყვი, რომ საქართველოს სასიქადუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო შვილზე მზრუნველობა, მოქალაქობრივი მოვალეობის აღსრულების გარდა, პირად მორალურ კმაყოფილებასაც გვაგრძნობინებდა მის გულითად მეგობრებს.

თუ დაიჯერებთ—ეს არის სიმართლე, თუ არა და... თქვენი ნებაა. იფიქრეთ ისე, როგორც მრავალი ფიქრობდა და ფიქრობს...

— ვსარგებლობ თქვენის გულახდილობით და ჩემდამი ნდობით და ერთ რასმე გკითხავთ, თუ მეტისმეტ გამბედაობად არ ჩამომართმევთ.

— ბრძანეთ!

— გრძნობდით თუ არა, რომ აკაკის უყვარდით უფრო ნაზი გრძნობით, ვიდრე მეგობრობაა?

— აი, მაგაზე ისე გადაჭრით ვერ გიპასუხებთ, როგორც ჩემზე გითხარით. უცნაურია, რასაც ახლა გეტყვით, მაგრამ ეს ჩემი ხანგრძლივი დაკვირვების ნაყოფია. მე მგონია, აკაკის ყოველთვის უყვარდა ვინმე, ან ეგონა, რომ უყვარს. მე არა ვგულისხმობ უბრალო მამაკაცურ ჟინს. არა, ეს სიყვარული სულ სხვანაირი იყო. ეს იყო, თუ გინდათ, მხატვრული სიყვარული, რაც თითქო მის შემოქმედებას ანაყოფიერებდა.

ვთქვათ, აკაკის მოეწონა რითიმე ესათუის ქალი. ეს მოწონება კვესივით მოხვდებოდა ხოლმე მის არსებაში, როგორც ტალში, ჩაღვეელფილ პოეტურ ცეცხლს და აანაპერწკლებდა მას. და იმ დროს აკაკი როდი დაგიდეევდათ, ნამდვილად მოიპოვებოდა თუ არა იმ ქალებში ყველა ის გარეგანი თუ შინაგანი ღირსება და თვისება, რასაც იგი მას აკუთვნებდა. მაშინ აკაკის უყვარდა ის ქალი... არა, ის ქალი კი არა, მისი ნამდვილი ხორციელი და სულიერი ავლადიდებით, არამედ თავისი მხატვრული წარმოდგენა, ვითომ იმ ქალში განსახიერებული... ხოლო, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში ნატურა და მხატვრული წარმოდგენა ერთმანეთზე შორიშორს იყვნენ, აკაკი ოოლად იცრუებდა გულს მისი შემოქმედების აღმძვრელ საგანზე და ახლა სხვისაკენ მიმართავდა თავის ოცნებას.

აკაკის მხოლოდ ერთადერთი სატრფო ჰყავდა. იგი უყვარდა წარუხოცელი და მგზნებარე სიყვარულით. ამ ტრფობის წინაშე ყველა სხვა გრძნობა, მეგობრობა იქნებოდა იგი, თუ „ბუნების თრთოლვა და მღელვარება“ ქალისადმი,—მხოლოდ ფერმკრთალი აჩრდილი იყო. ეს იყო საქართველო, ისიც წარსულში უფრო, ვიდრე აწმყოში.

მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ არც ერთ მის ეგრეთწოდებულ სატრფიალო ლექსში თქვენ ვერ ნახავთ კონკრეტულ სახეს, რომელიც სწორედ განსაზღვრულ ქალს ეკუთვნოდეს, აღნიშნავდეს მის რაიმე თავისებურებას, რაც მხოლოდ მას ახასიათებდა.

ჰო და... შეიძლება, აი, ასეთი სიყვარულის საგანი მეც ვიყავი ამათუიმ წამს, ვინაიდან მის რამდენსამე ლექსს ჩემზედ დაწერილად სთვლიან, თუმცა გულახდილად ვამბობ, ამ ლექსებში ჩემ თავს ვერა ვცნობ.

დასასრულ, აკაკის ურთიერთობაზე ქალებთან ამასაც გეტყვით: იქ, სადაც ნამდვილი ხანგრძლივი უანგარო მეგობრობის ნიშნები ჩანს, მე მგონია, იმ სიყვარულის ყვავილი არ გაშლილა, რომელსაც თქვენ გულისხმობთ. ჩემის დაკვირვებით, აკაკი ისეთი ბუნების ადამიანი იყო და ისე შთანთქმული თავის შემოქმედებაში, რომ ასეთ ყვავილებს იგი მხოლოდ გავლით სწყვეტდა და დიდისხნობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულს ვერ დაუდებდა უკვე მოწყვეტილი ყვავილის ფარეზობასა და ლოლიაობას. ახლა დასკვნები თქვენ თითონ გააკეთეთ...

არა, დასკვნები მკითხველმა გააკეთოს. მე მხოლოდ პირუთვნელად აღვნიშნე ის, რაც შემინიშნავს და გამიგონია. საჭიროა მხოლოდ დავსძინო, რომ შეიძლება ზოგჯერ სხვისაგან განაგონი სიტყვა-სიტყვით, ე. ი. მთქმელის ფორმით არ იყოს გადმოცემული. გამოთქმების აზრი კი ყველგან სწორად არის დაცული.

4

დიდ ჯარად თავმოყრილ საზოგადოებაში ილიას პოვნა თუ არც აგრერიგად ადვილი იყო, სამაგიეროდ, აკაკის მაშინვე, ერთი თვალისგადავლებით შენიშნავდით.

მეტისმეტად იმპონზანტური ფიგურა ჰქონდა, ნამდვილი სასკულპტურო.

მარტო იმიტომ კი, არა, რომ ბრგე აგებულებისა იყო. იმაზე ბუმბერაზულ ტანადობისას სხვასაც ბევრს ნახავდით, მაგრამ ისინი აკაკის შთაბეჭდილებას არ ახდენენ. არამედ იმიტომ, რომ იშვიათი ჰარმონიულობა სუფევდა მის ტანსა და თავს შორის.

დიდ ტანზე პატარა თავი და პატარა ტანზე დიდი თავი ყოველთვის თუ სიმახინჯეს არ განასახიერებს, მაინც თვალში უსიამოვნო დისპროპორციად გეჩხირებათ, თუნდაც თავისთავად, ცალ-ცალკე, სახეც ლამაზი იყოს და ტანადობაც თანაზომიერი.

აკაკი ტანსრული, იყო მხარბეჭიანი. თუ ტანწერწეტობა არ ეთქმოდა, ღიპს მაინც ვერ შენიშნავდით, როგორიც უნდა გეცქირათ პირდაპირ თუ გვერდიდან.

საკვირველი მოყვანილობის თავი ჰქონდა, რგვალი, თარაზოში გამოსული, არსად შეზნექილი ოდნავადაც, არსად ზედმეტად გამოწეული. თმაც რომ არა ჰქონოდა, მარტო ეს იშვიათად სწორე მოყვანილობა ყურადღებას მიიქცევდა.

ხშირი, მეტისმეტად გრუზა თმა. ისე ხშირი და ერთმანეთში ისე გადახლართულ-გადატმასნილი, რომ ნაპენტი მატყლი გეგონებოდათ. აკაკის თმის ფერი, თვით სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, იმ სითეთრემდე არ მისულა, რომელსაც თოვლის სისპეტაკეს უწოდებენ. იგი უფრო ჭაღარა იყო ვიდრე თეთრი, და ეს იმიტომ, როგორც მე მგონია, რომ თმის ღეროების ხვეულები ერთმანეთში გადახლართვის წერტილებში კვანძივით უფრო მუქი ფერის შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, ვიდრე სწორედ გაშლილი თმა. ასეთივე ხშირი, შუათანა სიგრძის წვერი, ხოლო ნიკაპზევითა ღარებში ოდნავ შეთხელებული. ასევე ოდნავ თხელი ულვაშები.

კიდევ კარგი, აკაკი თმასა და წვერს იკრეჭდა, თორემ ვერავითარი კბილგანიერი სავარცხელი თმაში ვერ გაატანდა.

ეს ბუნებაუხვი თმა შარავანდედივით ადგა მის საკვირველ დიად-არა მარტო მაღალ და განიერ—არამედ სწორედ დიად შუბლს, რომელიც ერთსადაიმავე დროს ბრძენისაც იყო და პოეტისაც.

ასეთ უტეხ გაბადრულობას, რასაკვირველია, დიდი ფარეზობა ეჭირვებოდა. მაგრამ აკაკი ამას არ დაგიდევდათ და ყოველთვის მის თმაწვერ-ულვაშს ეგრეთწოდებული პოეტური „ნეგლიჟე“-ს იერი სდევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვიცი, სხვებივით, ვისაც ბუნების ასეთი წყალობა ღირსებია, სარკესთან ტრიალს მოჰყვებოდა. ერთი კი გადაივარცხნიდა კბილგანიერი სავარცხლით თმას, ჩამოივარცხნიდა წვერს, ხელს გადაისვამდა ულვაშებზე და მისი „ტუალეტი“ გათავებული იყო. ზოგმა რომ იცის კიდევ ლაპარაკშიაც, საქმეშიაც ერთავად ხელით წვერს იუთოვებს ან თმას აწვალებს, კულულები არ დამეშალოსო. აკაკის ამის მსგავსი რამ არა სჭირდა რა. არც კი ამჩნევდა, რომ მის სახეს გარეშემო ასეთი სიმდიდრე ეხვია.

სახე...

მსხვილნაკვთიანი. დიდრონთვალება. მკვეთრად მოხაზული ბაგე, მაგრამ ვნებიანობის არამჩენი ტუჩები... არც ირონიისა.

რასაკვირველია, ნაკვთთა სწორე მოხაზულობით, თვალების წყლიანი მეტყველებით, სახის კანის სისუფთავით და ფერით ილია აკაკიზე გაცილებით ლამაზი იყო.

მაგრამ ამ დასკვნამდე მიხვიდოდით მხოლოდ მაშინ, თუ მათ სახეს მუშტრის თვალით ჩააკვირდებოდით.

თორემ საერთო შთაბეჭდილებას, მთლიანად აღებული მათი გარეგნობის იერს სულ სხვა დასკვნამდე მიჰყავდით.

აკაკის მთელი არსებიდან ისეთი თვალმომჭრელი, რაღაც საიდუმლო ძალით აღსავსე სხივნართი შუქი გამოკრთოდა, რომ ილიას სახის იშვიათ სინატიფეს ჩრდილს აყენებდა.

დარწმუნებული ვარ, სადმე საზოგადოებაში, სადაც აკაკიც იყო და რომელიმე ულამაზესი მზეთუნახავი ქალი, მათი ერთად მნახველი უცხო ვინმე უეჭველად ჯერ აკაკის ვინაობას იკითხავდა და მხოლოდ შემდეგ ამ ქალისას, რადგანაც თავისდაუნებურად განცვიფრება აიტანდა—ეს მართლა ადამიანია, თუ ოლიმპიდან ჩამოსული ღმერთ-კაციო.

ნიშანდობლივი კიდევ ის იყო, რომ მუდამ ხუმრობისა და სიტყვა-მახვილობის სტიქიონში იოლად მცურავ აკაკის, თითქო თავისი ბუნების უნებურად, მართლა ოლიმპიური სიდინჯე და მონუმენტალობა ახასიათებდა: წყნარი მიხვრა-მოხვრა, მძიმე ნაბიჯი, თითქმის სრულიად შეზღუდული ჟესტიკულაცია და თითქო რაღაც ზევსურ გარინდებაში ყოფნა სიჩუმის დროს.

საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ რაც უფრო ხანში შედიოდა აკაკი და რაც უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა თავის გარეგნობას, მაგალითად, ტანისამოსის მოხდენილად ტარებას (მეტწილად სერთუკს იცვამდა), მით უფრო მისი გარეგნობა მეტის სილამაზით იმოსებოდა.

თვით პირველად წვეთის დაცემის შემდეგაც კი, როდესაც ცალი თვალის ქუთუთოების მოძრაობა დაუმძიმდა და ცალ ფეხსაც ოდნავი გაქლასუნებით სდგამდა, მის გარეგნობას თითქო ახალი რამ გამომეტყველება შეეძინა მეტად ლამაზი მხცოვანობისა. გეგონებოდათ, სადღაც შორს გაიცქირება და სულ სხვა მსოფლიოს ხილვას ლამობსო.

აი, ასე ვთქვათ, ეს ზექვეყნიერი ჭვრეტა დიდი ოსტატობით აქვს იაკობ ნიკოლაძეს გადმოცემული აკაკის ბიუსტში, ოპერის თეატრის ბალნარს რომ ამშვენებს. ჩემი აზრით, იგი საუკეთესო ნაწარმოებია ამ მოქანდაკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა აკაკის პატარობიდანვე ვიცნობდი, მაგრამ მისმა უკანასკნელი ოცი წლის გარეგნობამ ისე გამოდევნა ჩემი მეხსიერებიდან იმდროინდელი წარმოდგენა, რომ ვერ მოვახერხებდი მისი მაშინდელი პორტრეტის მოცემას.

ერთი რამ კი ჩემთვის უეჭველია: ახალგაზრდა და შუახნის აკაკი ისე ლამაზი და მომხიბლავი არ უნდა ყოფილიყო, როგორიც მოხუცებულობაში იყო. ამას მისი ფოტოგრაფიული სურათებიც ამტკიცებს.

აკაკი ძალიან ჯანმრთელი ადამიანი იყო. ვერც მუდამ ბოჰემურმა ცხოვრებამ, თუმცა ქეიფი და ღვინის სმა არ უყვარდა, ვერც ერთთავად სასტუმროების უგემურ ვითარებაში ყოფნამ, ვერც დაუდევრობამ თავისთავზე ზრუნვისამ, ვერც რამდენჯერმე სერიოზულმა დაავადებამ ვერ გატეხა მისი ღონიერი ბუნება.

წარმოიდგინეთ, თითქმის სიკვდილამდე ისეთი მაგარი კბილები ჰქონდა, მგონია ისიც უკლებლივ, რომ კბილით კაკლის მტვრევაში მეჯიბრებოდა და... მჯობნიდა კიდეც. ნედლი კაკალი უყვარდა და არ მახსოვს, როდისმე სამტვრევისათვის მიემართოს, რაც უნდა კირკიტი ნაჭუჭი ყოფილიყო,—საკუთარი კბილით გაუტეხავ კაკალს გემო არა აქვსო. თუმცა სულ სიბერეს უჩიოდა, განსაკუთრებით სატრფიალო ლექსებში, მაგრამ, მგონია, ეს პოეტური ჩივილი უფრო იყო, ვიდრე ნამდვილი უძლურებისა. ან, იქნება, სადონჟუანო ალმაფრენის კლებას გულისხმობდა...

5.

აკაკი მომხიბლავი მოსაუბრე იყო.

მისი საუბრის ერთი უდიდესი ღირსება ის იყო, რომ თავის მსმენელს, ვინც უნდა ყოფილიყო იგი—ნასწავლი, უსწავლელი, ქალი, კაცი, დიდი თუ პატარა—ყველას თანასწოროპის თვალით უყურებდა. ამიტომ მის საუბარს დიდაქტიზმს, ჭკუისწავლებას ვერ შეამჩნევდით.

მისი თხრობა ეპიური ხასიათისა იყო. დინჯი, წყნარი კილო, ხმის სულ მცირედი აწევ-დაწევა.

და თვით საუბრობიც მეტწილად ეპიური იყო—ჩვენი ქვეყნის წარსული, რომელიც აკაკიმ ჩინებულად იცოდა.

მე მგონია, თითქმის ყველა საისტორიო წყარო აკაკის უკრიტიკოდ, ეჭვმიუტანლად ჰქონდა ათვისებული და ჭეშმარიტად მიაჩნდა ამ წყაროების მიერ გადმოცემითი ამბავი.

ზოგიერთ ქართველ მეფეს აკაკი ნამდვილად ხალხის მეფედ სთვლიდა.

როდესაც თოფისა და ზარბაზნის დროს—ამბობდა იგი—მეფე მარტო ხალხს კი არ აომებს, არამედ თითონაც ჯარის წინა რიგში ხმალამოწვდილი იბრძვის, როგორც პატარა კახი იბრძოდაო, მაშინ იგი სისხლსა ჰღვრის არა მარტო თავისი მეფობისათვის, არამედ მთელი თავისი ქვეყნისათვის, ვით ნამდვილი შვილი ხალხისა, მისი წინამძღოლიო.

საერთოდ კი აკაკი იმ აზრისა იყო, რომ არც ერთი სხვა ქვეყნის სამეფო ოჯახს იმდენი მეომარი, სარდალი, მსწავლული, პოეტი, მწიგნობარი და რჯულმდებელი არ მოუცია, როგორც ქართველ გვირგვინოსანთა ოჯახებსაო. მათ შორის, რასაკვირველია, მრავალი იყო ტირანიც, ხალხის მტანჯველიც, გარყვნი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიც და ხალხის მოძულეცაო. და სწორედ ამისათვის საჭიროა ნათლად ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის წარსული, მისი ავკარგი, რათა იგი ცოდნა მოქმედების პროგრამად გამოვიყენოთო.

აკაკი ბატონყმობის საშინელი მოწინააღმდეგე იყო და იგი დიდ უბედურებად სთვლიდა ქვეყნისთვის ფეოდალიზმს. ისე გარეშე მტრებმა არ შეუწყეს ხელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამხობას, როგორც ფეოდალებმაო. ამიტომაც დავით აღმაშენებელს აკაკი გენიოს პოლიტიკოსად აღიარებდა, ვინაიდან მან პირველმა გამოუცხადა ბრძოლა ფეოდალებს, შექმნა რა მუდმივი ჯარი და მით განამტკიცა ერთმეფობის ძალაო.

საყურადღებოა აკაკის აზრი საქართველოს რუს-მმართველებზე. ყველა მათგანს საქართველოს მტრადა სთვლიდა. მხოლოდ ერთ მ. ს. ვორონცოვი მიაჩნდა საქართველოს ჭეშმარიტ მოკეთედ. რაც ასი წლის განმავლობაში სახეირო რამ გაკეთებულა საქართველოში—სულ ვორონცოვის წყალობითაო.

როდესაც შენიშნავდნენ, ვორონცოვის პოლიტიკა ისევე გამარუსებელი იყო, როგორც სხვებისაო, მხოლოდ უფრო, რბილი და მით უფრო მიზანმისაღწევი,—ე. ი. თეთრი კბილი და შავი გულიო,—აკაკის საუბრის ჩვეულებრივი დინჯი კილო იცვლებოდა და, ცოტა არ იყოს, მღელვარებაც დაეტყობოდა ხოლმე.

— კარგი ამბავია, თქვენმა მზემ!—წამოიძახებდა აკაკი მთელი თავისი დიდი ტანის მოძრაობით, როცა ტახტზე იყო ნახევრად წამოწოლილი.—კაცმა ქართული თეატრი დაგვიარსა, ქართული ჟურნალი შეგვიქმნა ჩვენიანებისავე სურვილის წინააღმდეგ, სკოლაში ქართული ენის სწავლება შემოიღო, გადასახადები შეგვიმცირა, საერთოდ, ჩვენს კულტურულ წინსვლაზე ზრუნავდა და ამას გამარუსებელი პოლიტიკა დაერქმევა?! ნეტავი სხვებსაც მაგისთანა თეთრი კბილი და შავი გული ჰქონოდათ ქართველებისათვის და მაშინ ჩვენს ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფდა!

აკაკი ისე ჩავიდა საფლავში, რომ ეს რწმენა ვორონცოვზე არ შეუცვლია.

არ ვიცი, იცოდა თუ არა აკაკიმ ვორონცოვის „უქვეშევრდომილესი“ მოხსენება, სადაც იგი თავის ასეთ პოლიტიკას საუკეთესო და იოლ საშუალებად აღიარებდა ქართველების უფრო ადვილად გარუსებისათვის, მაგრამ, თუნდაც სცოდნოდა, დარწმუნებული ვარ, აკაკი იტყოდა, ვორონცოვი მეფეს ატყუებდა, რათა ხელი არ შეეშალა ქართველების სასიკეთოდ მიმართულ პოლიტიკისთვისაო.

იყო თუ არა აკაკი რელიგიურად მორწმუნე ადამიანი და შეადგენდა თუ არა ეს მის შინაგან სულიერ მოთხოვნილებას?

მის ნაწერებში იშვიათად არა გვხვდება, თითქო, ამის მაჩვენებელი ადგილები. ცხოვრებაში ამის დამადასტურებელი ნიშნები მე პირადად არ შემინიშნავს. ეკლესიაში იგი არ დადიოდა. არც ლოცვად დგომა ჰქონდა ჩვეულებად. მარხვას არ ინახავდა, არც წმინდა საიდუმლოს იღებდა. ერთი სიტყვით, რელიგიურ რიტუალზე ძალიან დაშორებული იყო. მხოლოდ რამდენჯერმე შევნიშნე, მთქნარების დროს მარჯვენა ხელს პირთან ისე მიიტანდა, თითქო მოკლედ პირჯვარი გადაისახაო. ეს პატარაობიდან დაყოლილი ჩვეულება თუ იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსებისაგან მექანიკურად ათვისებული. როგორც ვიცით მისივე მოთხრობილ თავგადასავალიდან, აკაკი ხომ ოჯახში რელიგიურად დიდად იყო დამწყსილი. მშვენივრად იცოდა სამღვთო წერილი, განსაკუთრებით ფსალმუნი, რომელსაც იგი დიდ პოეტურ ქმნილებად სთვლიდა.

გარნა სარწმუნოება, ე. ი. ქრისტიანობა აკაკისათვის ზნეობრივ-ფილოსოფიური სისტემა უფრო იყო, ვიდრე რელიგიური დოგმა. ხოლო ეროვნულ შემეცნებაში—აგრეთვე პოლიტიკური ფაქტორიც, ვინაიდან, როგორც აკაკი ფიქრობდა, თავისი არსებობის დაცვის ინსტიქტურ გრძნობას ქართველმა ხალხმა ქრისტიანობა იდეურ საფუძვლად დაუდვაო.

მე ასე მაქვს წარმოდგენილი მის აზროვნებასა და ცხოვრებაში სარწმუნოების მნიშვნელობა. იგი მეტისმეტი რეალისტი იყო, რათა სარწმუნოებრივ მისტიციზმს მისცემოდა.

* * *

აკაკი—ორატორი...

ამაზე ბევრს ვერას ვიტყვი.

ორატორი პაექრობაში გამოიცდება. არ ვიცი, ჰქონდა თუ არა შეხლა-შეჯახება აკაკის თავის მოწინააღმდეგე ოქროპირებთან? მე მომისმენია მხოლოდ ერთხელ-ორჯერ მისი სიტყვა, უფრო სწორედ რომ ვთქვა, ეგრეთწოდებული „სპიჩი“, საზეიმო ხასიათისა.

უნდა ითქვას, რომ აკაკის ხმა მოდულაციებით არ იყო მდიდარი. პირიქით, მის ბუმბერაზულ გარეგნობასთან შედარებით, აკაკის ხმა საკმაოდ სუსტი იყო და წვრილი.

მეორე, არც მჭევრმეტყველური პაუზები იცოდა. ისე, როგორც შინაურ საუბარში, საჯაროდ გამოსვლის დროსაც ჟესტიკულაციაზე აკაკი ძალიან ძუნწი იყო. მხოლოდ ერთი ჩვეულება ჰქონდა: გაჩერების დროს დიდი თითით და სალოკი თითით ნიკაპის ღარების ოდნავ ნერვიული ფხანვა იცოდა, თითქო ფიქრშია წასულიო, და ამ დროს იმის სახეს ისეთი მეტყველება ჰქონდა, რომ გრძნობდით, რაღაც მნიშვნელოვანი რამ უნდა ეთქვა.

და ამ მოძრაობას მოსდევდა ან ნაკვესი რამ სიტყვა, ან პოეტური მეტაფორა. ასე რომ, ერთიც და მეორეც წინასწარ ნავარაუდევი არ უნდა ჰქონოდა და იქვე, სიტყვის პროცესში იბადებოდა.

პათოსი და მგზნებარება აკაკისათვის უჩვეულო იყო. მისი სიტყვა თავისუფლად მომდინარეობდა. არ იცოდა ზოგივით აზრისა თუ სიტყვის ძებნის დროს შორისდებულ ბგერათა აზმუილება, გამოთქმა ჰქონდა მკაფიო. მის მეტყველებაში იმერული კილო გაისმოდა, ხოლო არა მკვეთრად. წერაში თუ ყოველთვის არა, ლაპარაკში მუდამ „ყოლიფეს“ ხმარობდა, „ყოველისფერის“ მაგივრად. სძაგდა საშინლად სიტყვა „ვაინაჩრობა“. ერთხელ მასთან საუბარში რომ წამომცდა, ამიჯანყდა—კახელებმა ეგ რა უშვერი სიტყვა იციოთ. რა არის „ვაინაჩრობა“-ო! როცა ვუპასუხე—შეიძლება თქვენს გამოთქმაში მართლა ულამაზო იყოს, ხოლო კახელები სწორედ წარმოვთქვამთ ორივ კომპონენტს—„ვაისა“ და „ლაჩარსა“ შეერთებულად და საუცხოო სიტყვა გამოდის-მეთქი,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამეთანხმა, ურიგო არ არისო, მაგრამ ისე მივეჩვიე მაგ სიტყვის ჩემებურად გაგებას, რომ შემდეგშიაც ვერ ვიხმარო.

მართლაც, აკაკის ნაწერებში, მგონია, ამ სიტყვას ვერსად შეხვდებით.

აკაკი დეკლამატორიც იყო და დიდადაც მიღებული. საზოგადოება ყოველთვის აღტაცებით ეგებებოდა. მაგრამ, გულახდილად უნდა ვთქვა, ამ გარეგან ტრიუმფში თვით აკაკის დეკლამატორულ უნარს, ჩემის აზრით, დიდი ხვედრითი წონა არა ჰქონდა.

საკმარისი იყო მარტოოდენ, რომ აკაკი მონაწილეობას იღებდა ამათუიმ სალიტერატურო საღამოში და კითხულობდა თავის მშვენიერ ლექსებს. ვინ და გიდევდათ იმას, თუ როგორ კითხულობდა?! მარტო მისი დიდებული ფიგურისა და ღვთაებრივი სახის გამოჩენა—ისევე, ვით ილიასი—იმგვარ ენთუზიაზმს იწვევდა დამსწრე საზოგადოებაში, რომ თვით დეკლამაციის ნამდვილი შეფასება ვისღა ახსოვდა?!

როგორც თითქმის ყოველი პოეტი, აკაკიც, რასაკვირველია, სუსტი დეკლამატორი იყო. ამისათვის მას არც ხმა გააჩნდა, არც მგზნებარე ტემპერამენტი, არც ამ ხელოვნებისათვის აუცილებელი შინაგანი მუსიკალობა.

კითხულობდა იგი ლექსს მკაფიოდ, ცოტა არ იყოს, მოსიმღერო მელოდიურობით და მნიშვნელოვანი ადგილების განსაკუთრებული ინტონაციური განფენილობით, რის გამოც მისი ხმა საკმაოდ წვრილდებოდა.

სხვებთან ერთად მეც გაგიჟებით ტაშს ვუკრავდი, ვინაიდან მოწყურებული ვიყავ, რაც შეიძლება მეტხანს ყოფილიყო სათაყვანებელი ადამიანი ესტრადაზე, რაც შეიძლება მეტხანს მეცქირნა მისი მშვენიერი სახისათვის, მომესმინა მისი „უმისოდაც“ მუსიკალური ლექსები.

რაღა თქმა უნდა, ვინმე ხელოვანი დეკლამატორი უფრო მეტის ექსპრესიით და გამომეტყველებით წაიკითხავდა მის მართლაც და სადეკლამაციო თვისებებით მდიდარ ლექსებს, მაგრამ აკაკის მაინც ვერ გააფასებდა საზოგადოების თვალში, ვინაიდან იმ წამს მსმენელზე მოქმედებდა არა წამკითხველის უნარი, არამედ სულ სხვა საიდუმლო ძალა, სულ სხვა სულთაძვრა.

ესეც არის, მაშინ ნამდვილი დეკლამატორები არც იყვნენ.

6

განსაკუთრებით საამური მოსასმენი იყო აკაკი, როდესაც, კარგ გუნებაზე მყოფი, თავის ბავშვობის თავგადასავალს მოგვითხრობდა, მეტადრე გიმნაზიაში სწავლის პერიოდისას.

ეს იყო პაწია ჰუმორული სურათები, უაღრესად მხატვრული, თანაც სასაცილო, მაგრამ ამავე დროს სკოლის რეჟიმისა და ამ რეჟიმის განმახორციელებელთა დამახასიათებელი.

არ დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში ის ერთი კვირა, რომელიც საჩხერეში გავატარე 1911 თუ 1912 წლის ზაფხულს ბეჟან წერეთლის ოჯახში.

აკაკიც საჩხერეში ბრძანდებოდა თავის სოფ. სხვიტორში და ყოველდღე ბეჟანისას ჩამოდიოდა პაწია ურმით, რომელშიაც შებმული იყო სწორედ ურმის ტოლ—სწორი, საკმაოდ მჭლე ხარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ხარები მეტად ცქვიტი იყვნენ და ისე შემოინავარდებდნენ ხოლმე ბეჟანის უშველებელ, მთლად მწვანე მოლით დაფენილ ეზოში, როგორც სწრაფი ჩორთით მსრბოლი ბედაურები.

— არ მოგწონს, კახელო, ჩემი ლანდო?—მკითხა ერთხელ სიცილით აკაკიმ.—არა ჰგავს თქვენ კახურ ხლაზნია საბარო ურემს, კუსავით რომ მიცოცავს!..

— ვერ დასცინებთ, ბატონო აკაკი, ჩვენს საბაროს... ვუპასუხე სიცილითვე.—თქვენ—მთლად თქვენი ურმით და ხარებით—თავისუფლად მოთავსდებით ჩვენს საბაროში... საძნე ურმისას ხომ არას მოგახსენებთ...

— სამაგიეროდ, სამი დღედაღამე მოვუნდები ჩემი სხვიტორის აღმართს იმ თქვენი ნაქები საბაროთი. „Время деньги!"—ჩაიკასკასა თავის კუჭკუჭა სიცილით აკაკიმ.

საარაკო სანახავი იყო ამ სოფლურ იდილიაში ჩვენი დიდებული მგოსანი, თავისი პაწია მამაპაპური ურმით და მჭლე ხარებით, არანაკლებ, ვიდრე ძევსი რაშებშებმულ ეტლში.

აი, ამ ცხენის გაჭენება ეზოში, საიდანაც თვალწინ ალაზნის ხეობის მსგავსი მშვენიერი ლანდშაფტი იშლებოდა ფართო ჰორიზონტით, სადმე ხის ქვეშ, ნოყიერი საუზმის შემდეგ, აუცილებელი პოხიერი ხაჭაპურებით და ჯუჯა გომიჯებით, და უფრო მაძღარი სადილის მოლოდინში, ხალიჩაზე ნახევრად წამოწოლილი აკაკი გრძნეული ხელით შლიდა თავისი წარსულის საოცნებო კაბადონებს. ბევრი რამ ამ ამბავთა შორის შეტანილია მის „ჩემ თავგადასავალში". ხოლო ის ორი სურათი, რაც მე მისი ნაამბობიდან დამახსოვდა, ამ „თავგადასავალში" მოთავსებული არ არის.

— ჩვენს გიმნაზიაში რუსეთის ისტორიის მასწავლებელი დიდი შოვინისტი იყო. მისი გადმოცემით, მეფის მხედრობა ყოველთვის ნაცარტუტას ადენდა შემოსეულ მტრებს. ბოლოში აუცილებლად დაურთავდა ხოლმე: „в пух и прах разбили"-ო. ძისი ნალაპარაკევიდან თითქმის ყველაფერი მესმოდა, მხოლოდ ვერ გამეგო, რას ნიშნავდა ეს „პუხ ი პრახ". არც ჩემ ქართველ ამხანაგებს ესმოდათ. რუსი ამხანაგებისათვის კი ვერ გვეკითხნა მორიდების გამო, უვიცებად არ ჩაგვთვალონო. ბევრი ფიქრისა და ვარაუდის შემდეგ გადავწყვიტე ჩემდათავად, რომ ეს „პუხი" და „პრახი" უეჭველად შემოსეული მტრის ჯარის სარდლები უნდა ყოფილიყვნენ, მით უფრო, რომ ეს სიტყვები როგორღაც რუსულ სიტყვებს არა ჰგვანდა. ასე მეგონა მაშინ. რაკი ამ დასკვნამდე მივედი, თავის გამოჩენის სურვილი აღმეძრა და გადავწყვიტე, ეს ჩემი აღმოჩენა გაკვეთილის დროს გამომეყენებინა და, როდესაც პირველსავე შემთხვევაში მასწავლებელმა გაკვეთილი მკითხა, ასე დავიწყე ჩემი ამბავი, წინადვე დარწმუნებულმა, რომ ამ რიგობაზე უეჭველად „ხუთს" გავიკრავდი: „Когда вражеские полчища, под предводительством знаменитых военоначальников Пуха и Праха, вторглись... უეცრად მასწავლებელმა გაკვირვებით შემომიყვირა:

— Каких там военочальников? Каких там Пуха и Праха?

— А вот, вы что постоянно говорите... которых разбили...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი (უკანასკნელი სურათი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

— Так, значит, я говорю, что Пуха и Праха разбили?—შემეკითხა იგი უკვე განრისხებით.—А вот я тебе такого пуха и праха поставлю... чтобы ты впредь не острил.—ამ მუქარით სტაცა ხელი ჟურნალს და, „ხუთის“ ნაცვლად, დამისვა „ნოლი“.

იმ ოჯახდაქცეულმა ჩემი გულწრფელი სურვილი თავისგამოჩენისა შეურაცხყოფად ბიღლო. მე ხომ, ღმერთია მოწამე, მისი მხედრობის სადიდებელი ამბვის თხრობას ვაპირებდი, მაგრამ არ დამაცალა.—ასე დაამთავრა აკაკიმ თავისი მარცხის ამბავი საერთო სიცილ-კისკასში.

აი, კიდევ ერთი ეპიზოდი, ზედმიყოლებით ნაამბობი აკაკის მიერ.

— ერთი ამხანაგი მყავდა გიმნაზიაში (აკაკიმ, რამდენადაც მახსოვს, მგონია ვინმე ბაქრაძე დაასახელა) მეტისმეტი „ზუბრიაკი“ იყო. ისედაც ხომ ყველაფერს გვაზეპირებდნენ წიგნებიდან. მაგრამ ის მაინც ყველასაგან განირჩეოდა. ერთი სიტყვა რა არის?—ერთ სიტყვასაც არ იტყოდა თავისას. ისტორიის მთელი სახელმძღვანელო ზეპირ ჰქონდა დასწავლილი. მასწავლებელი, რომელმაც იცოდა მისი ბეჯითობა, არასოდეს გაკვეთილს არა ჰკითხავდა. ის კი სულ იქაჩებოდა და მუდამ თითაშვერილი იჯდა. ერთხელ ისე მოაბეზრა თავი მასწავლებელს ამ გაფშეკილი თითით, რომ მოსვენება არ მისცა ლამის პარტიდან არ გადავარდა. Ну, черт с тобой, говори!—უთხრა სიცილით მასწავლებელმა. იმანაც, გახარებულმა, დააყარა და დააყარა, მოურთო და მოურთო!—სულ წიგნიდან, სიტყვა-სიტყვით... და, რა გაათავა მთლად გაკვეთილის ტექსტი, მოულოდნელად ზედ დაურთო თავმოწონებით „ზრრ, სტრრ შესტნადცატ!“—

მაშინდელ სახელმძღვანელოში ყველა ამბვის ტექსტს ბოლოში მიწერილი ჰქონდა შემდეგი ამბვის გვერდი შემოკლებით „Зр. стр.“ სათანადო ციფრით (ე. ი. „Зри страницу“ такую то). ეს „ზრრ, სტრრ“ მოსწავლეს ბოლო სიტყვები ეგონა და იმიტომაც განსაკუთრებული გამომეტყველებით წარმოსთქა, ორჯერაც ენერგიულად თავი დაიქნია და თანაც ჩექმის ქუსლები ერთმანეთს მიაბაკუნა.

მასწავლებელს, ალბათ, მოეწონა მისი ცოდნა გაკვეთილისა, რადგანაც ჟურნალში „ხუთი“ დაესვა. ასეთნი იყვნენ ჩვენს დროს მეცნიერნი და უმეცარნი.

* * *

გარეგნობით წყნარ და დინჯ აკაკის ნაშდვილად იმპულსური ხასიათი ჰქონდა და ადვილად შეეძლო ამათუიმ შემთხვევას აჩქარებით გამოხმაურებოდა. ზოგჯერ ეს გამოხმაურება სწორე შეფასება არ იყო მოვლენისა და ხანდახან მომენტის შეუსაბამოც იყო ხოლმე.

მაგრამ რაც სხვას ადვილად ეპატიებოდა და ყურადსაღებად არ იქნებოდა მიჩნეული, ის აკაკის „უარყოფითობის“ ანგარიშში ეთვლებოდა.

* * *

აი, ერთი მაგალითი აკაკის იმპულსური მოქმედებისა, რამაც იგი მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, იმდენად უხერხულ მდგომარეობაში, რომ ჩვეულებრივი ჭკუამახვილობაც კი ვერ მოიმარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. გ-ს და გ. დ-ს უსიამოვნობა მოსვლოდათ ერთმანეთთან. მეტად გულფიცხ დ-ს სილა გაერტყა გ-ვის. ეს უკანასკნელი რედაქტორი იყო ქართველთა ჯგუფის მიერ დაარსებული რუსული გაზეთისა და აკაკის კარგი ნაცნობი. სამაგიეროდ, დ-ე უგულითადესი მეგობარი იყო აკაკისა.

აკაკი ის იყო პარიზიდან დაბრუნდა, თუ არა ვცდები, ამ უსიამოვნების წინა დღეს, თუ იმავე დღეს. მეორე დღეს აკაკის რედაქციაში შეევლო. რა მიზნით, ნამდვილად დღესაც არ ვიცი. არვიციმეთქი-იმიტომ ვამბობ, რომ ეს გარემოება სულ სხვადასხვანაირად იყო განმარტებული აკაკისა და რედაქციის მიერ.

საქმე ის არის, რომ იმ საღამოს გამოსულ გაზეთის ნომერში (ერთ დროს გაზეთები საღამ-საღამოობით გამოდიოდა, მაგალითად, ხვალინდელი გაზეთი დღეს საღამოს გამოვიდოდა) ქრონიკის განყოფილებაში, სხვათა შორის, დაბეჭდილი იყო ცნობა დაახლოვებით შემდეგი შინაარსისა (სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს)—დღეს ჩვენი გაზეთის რედაქცია ინახულა მხცოვანმა პოეტმა აკაკი წერეთელმა და თავისი გულითადი აღშფოთება გამოსთქვა დ-ს უხამსი მოქმედების გამო, ხოლო ჩვენს რედაქტორს თანაგრძნობა გამოუცხადაო.

მაშასადამე, მომხდარი ინცინდენტი იმდენად გახმიანებული იყო, რომ რედაქცია უკვე სათანაგრძნობო განცხადებებს ბეჭდავდა.

ამ შენიშვნამ საშინლად განაცვიფრა და ააღელვა ის პატარა წრე ნაცნობებისა, რომელთაც თავი მოეყარათ იმ საღამოს ან. ალ. მაჩაბლის ოჯახში. მეც ვიყავი. ყველანი თითქმის ახლო მეგობრები იყვნენ გ. დ-სა და აკაკისა და იცნობდნენ აგრეთვე პ. გ-საც.

თუმცა დ-ს მოქმედება თავისთავად შეუსაბამო იყო, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, უმეტესობის თანაგრძნობა მაინც მისკენ იხრებოდა. ხოლო აკაკის ვიზიტს რედაქციაში სრულიად შეუფერებლად სთვლიდნენ, რადგანაც აკაკი მეტად ახლო მეგობარი იყო დ-სა და ასე აჩქარებულად მისი საქციელის საჯაროდ დაგმობა, როდესაც არავინ იცის უსიამოვნების მიზეზი და მით უფრო ახლად ჩამოსულმა აკაკიმ, მეგობრობის ღალატიაო.

ჩვენი წრე ჯერ არც კი დაშოშმინებულიყო, რომ გაიღო კარი და შემოვიდა აკაკი.

თუმცა არც ერთი იქ მყოფთაგანს აკაკი არ ენახა პარიზიდან დაბრუნების შემდეგ, მაგრამ ამისდამიუხედავად, თითქმის ყველა, ნამეტნავად ქალები, პირში ეცნენ აკაკის, ისე რომ მან დაჯდომაც კი ვერ მოასწრო.

გააფთრებული იერიში მიიტანეს აკაკიზე, თუმცა ყველა მოიერიშე დიდი პატივისმცემელი იყო მისი. მაგრამ დ-ს დაგმობას ისე აეღელვებინა ყველანი, რომ არ მოერიდნენ საკმაოდ მკაცრ საყვედურებს.

— რა სულწასულობა იყო თქვენგან? რა გაჩქარებდათ ასე, რაზე მირბოდით რედაქციაში თანაგრძნობის გამოსათქმელად და ჰგმობდით თქვენი გულითადი მეგობრის საქციელს, როცა, ალბათ, არც კი იცით, ვინ იყო დამნაშავე, რამ გამოიწვია მათი შეტაკება? რა პირით უნდა შეხედოთ დ-ს, რით უნდა იმართლოთ თავი? ეს არის თქვენი მეგობრობა?—მიაყვირეს და მიაყვირეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღელვებულ კილოთი აქეთიქიდან საწყალ აკაკის. თანაც გაზეთს უჩვენებდნენ —აი, რა სწერია თქვენს დიდსულოვნებაზეო—და უკითხავდნენ რედაქციის განცხადებას, ვით საბრალმდებლო ოქმს.

აკაკი მთლად დაიბნა. სახეზე მწუხარება და არეულობა დაეტყო. არამც თუ აკაკი, ჩემს დღეში არავინ მინახავს ასე გაწბილებული.

საწყალ მოხუცს კრიჭა შეეკრა. რეტდასხმულივით იდგა და არ იცოდა რა ეთქვა. ბოლოს, როგორც იყო, დამნაშავის კილოთი ძლივს წამოილუღლუღა:

— განა, მე თანაგრძნობის გამოსათქმელად ვიყავი რედაქციაში? სულაც არა. გ. დ-ს ადრესი ვიკითხე და ის იყო...

ჩემის ყურით რომ არ მომესმინა ეს სიტყვები და სხვას გადმოეცა—არ დავიჯერებდი, რაც უნდა სარწმუნო პიროვნება ყოფილიყო.

აკაკი, ალბათ, იმ დროს ისე იყო გაბრუებული ამ მედგარი შეტევით, რომ არავითარ ანგარიშს არ აძლევდა თავისთავს იმაზე, რასაც ამბობდა. სთქვა ის, რაც პირზე მოადგა ანაზდეულად, მექანიკურად რათა ეთქვა რამე და ამით სული მოეთქვა.

თორემ ეს რა პასუხი ან განმარტება იყო?

აკაკი მიდის დ-ს ადრესის გასაგებად იმ რედაქციაში, რომლის რედაქტორსაც დ-მ ის იყო სილა სტკიცა. მერე ვისი ადრესის გასაგებად? იმ კაცისა, რომლის სახლშიაც ათენებდა და აღამებდა, მთელი კვირაობით და თვეობით ცხოვრობდა.

ეს ისეთი უცნაური პასუხი იყო, რომ ერთბაშად ყველა დაშოშმინდა. იგრძნეს რომ ზრდილობის საზღვარს გადააბიჯეს და თავიანთი შეტევით კაცი თითქმის ტრანსში ჩააგდეს, თორემ უამისოდ როგორ შეიძლებოდა იმის თქმა, რაც აკაკიმ სთქვა?!

ამის შემდეგ კრიტიკა არავის დაუძრავს ინცინდენტზე. არც აკაკის დაუმატებია რამ თავისი კურიოზული სიტყვების განსამარტავად.

მოკლედ მოვჭრი.

მე ასე მაქვს წარმოდგენილი აკაკის მდგომარეობა ამ ეპიზოდში: როდესაც აკაკიმ გაიგო მომხდარი ინცინდენტი, იგი უნებლიედ რედაქციაში შევიდა, რათა შეეტყო, რა მოხდა და როგორ მოხდა. იქ. რასაკვირველია, ყველაფერი თავისებურად აუწყეს. აკაკიმ ალბათ, თანაგრძნობაც გამოუცხადა შეურაცყოფილს. ხომ ვერ ეტყოდა, ახია შენზე, რაც მოგვიდაო. ეს ვიზიტი რედაქციამ სათანადოდ გამოიყენა. შემდეგ, თავისი მეგობრებისაგან, რომ ასეთი მკაცრი პროტესტი მოისმინა, იგრძნო, მარცხი დაემართა, აჩქარებულად მოიქცა და ამოდენა მახლობლების თვალში აბრუ გაიტეხა, ნდობა დაკარგა. და, რაკი თავბრუდამხვევ იერიშზე ხელად ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, ან მოსწრებული სიტყვა, ან სერიოზული თავის გამართლება, უილაჯობით სთქვა ის, რაც პირზე მოადგა აშკარა შეუსაბამობა.

ეს ეპიზოდი აქ იმიტომ მოვიყვანე, რათა ერთხელ კიდევ მეჩვენებინა, რომ აკაკის ამათუიმ უსწორმასწორო მოქმედებაში ხშირად იყო ხოლმე პირველი იმპუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლსის გავლენის ქვეშ, რასაც მისი „კეთილისმყოფელნი“ „ავგუნებიანობით“ ხსნიდნენ.

* * *

ახლა ცოტა რამ ანეგდოტური.

ერთ საღამოს ქართულ თეატრში დანიშნული იყო ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა გამოსაცდელი წარმოდგენა. მონაწილეთა შორის ჩემი მეგობრის ალ. წუწუნავას დაც ერია. მე ძალიან მაინტერესებდა მისი სასცენო სვე-ბედი, რადგანაც გამეგო ნიჭიერიაო, თუმცა პირადად არ ვიცნობდი.

სამწუხაროდ, დამიგვიანდა და თეატრში იმ დროს მივედი, როცა პირველი მოქმედება უკვე გათავებულიყო და დარბაზიდან ხალხი გამოდიოდა.

პირველი ვინც შემხვდა, იყო აკაკი. შევეკითხე — რა შთაბეჭდილება მოახდინეს თქვენზე ახალგაზრდებმა, როგორ მოგეწონათ, მაგალითად, წუწუნავას ქალი-მეთქი.

— აბა რა გითხრა? — მიპასუხა აკაკიმ. — ჯერ კი ყველანი წ უ წ უ ნ ა ვ ე ბ ი იყვნენ და შემდეგ რა იქნება — შენ თითონ ნახავ.

* * *

ქართული პოეზია აკაკის უნდა უმადლიდეს, რომ ჩვენ პოეტთა პლეადას არ შეემატა ჩემის სახით კიდევ ერთი უნიჭო მოშაირე. თვით მე ხომ პირდაპირ უბედურებისაგან მიხსნა. უნიჭო პოეტზე უბედური რაღა და ვიღა შეიძლება იყოს?!

აი, როგორ მოხდა ეს, ჩემთვის მეტად მრავალმნიშვნელოვანი ამბავი.

თოთხმეტ-ხუთმეტის წლისა ვიქნებოდი. გამოცდებს ვაბარებდი თბილისის სარკინისგზო ტექნიკურ სასწავლებელში შესასვლელად. რუსულ ენაში გავიმარჯვე, მაგრამ წინ რუბიკონად მათემატიკა მედგა, ხოლო მისი ტოტი—გეომეტრია ყოველთვის დაღრჩობას მიპირებდა ხოლმე და ამ რიგობაზე დამაღრჩო კიდეც.

ერთი სიტყვით, ჩავიჭერ მამაპაპურად და გაცრუვდა ჩემი დიდი იმედი ზორბა ორთქლმავლის ზორბა მემანქანედ გამოსვლისა.

ამან ძალიან გამაგულისა და დავწერე... ლექსი. რამდენადაც მახსოვს, ლექსში მგზნებარე პროტესტი იყო გამოთქმული ყველას წინააღმდეგ, გარდა ჩემი საკუთარი თავისა. ნაცარტუტას ვადენდი ყველას, ვინც მე... გამოცდაში ჩამჭრა.

ერთხელ როგორღაც აკაკი დავიმარტოხელე და თუმცა მოწიწებით, მაგრამ თანაც იმედით წარვუდგინე მას ჩემი ნაღვაწ-ნაამაგარი.

ჯერ ზეპირ მომისმინა, მერე, რაკი, ალბათ, ჩემმა დეკლამაციამ არ დააკმაყოფილა (ძალიან ვღელავდი) და იფიქრა, შეიძლება დაწერილი უკეთესი იყოს, ვიდრე წაკითხულიო, გამომართვა ხელნაწერი და გადაიკითხა. ხელი ძალიან კარგი მქონდა, რაც უკვე აშკარა მაჩვენებელი იყო ჩემის უნიჭობისა, ხოლო ეს მაშინ არ ვიცოდი. ყველა ნამდვილი პოეტი ხომ საძაგელი ხელის პატრონია.

მაგრამ, როგორც ჩანს, არც ჩემს დეკლამაციას დაეკლო რამე ლექსისათვის, არც ჩემ ხელს მოემატებინა რამე.

აკაკი რომ აკაკი იყო და „ნიჭიერთა“ წახალისებას ჩვეული, იმანაც კი ამ რიგობაზე ვერა მოახერხე რა იმის მეტი, რომ განტევების ღიმილით მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ამ ლექსზე გატყობ, უკეთესის დაწერა შეგიძლიან...

ეს იყო და ეს!.. ამით გათავდა ჩემი და პოეზიის მოყვრობა. ბავშვი ვიყავ, მაგრამ თავდაცვის ინსტიქტმა მიხსნა განსაცდელისაგან... ვიგრძენ, რომ ლექსის წერა ჩემი მოწოდება არ იყო.

* * *

დამწყები მწერალი ვიყავ, აკაკი რომ ერთხელ „ივერიის„ რედაქციაში შემხვდა კარგა ხნის უნახავი ვიყავით, მაგრამ მაშინვე მიცნო, თუმცა ჯარისკაცის ფორმა მეცვა.

— გამარჯობა შენი!—მომმართა აკაკიმ, და თან სიცილით დააყოლა—კაცო, მე მეგონა, შენ ჭკუა მარტო ფეხებში გქონდა, თურმე თავშიაც გქონია!..

ასე ორაზროვნად შეხვდა აკაკი ჩემს გამწერლებას.

დღესაც არ ვიცი, რას ნიშნავდა აკაკის სიტყვები—მოწონებას, თუ დაცინვას? „ფეხების ჭკუად“ იგი გულისხმობდა ლეკურის თამაშს, ყრმობისას რომ სცენაზე მხედავდა. რა ვქნა? მჭირდა ეს ცოდვა ასაკში შესვლამდე, რომელ კახელს ნახავთ ამ მხრივ უცოდველს?!

„თავში ჭკუა“—მე მაშინ ისე გავიგე, რომ მწერლობას გულისხმობდა. ავად თუ კარგად-არვიცი. ეს არის მხოლოდ, მიუხედავად ამ გაუგებრობისა, მაინც მწერლობისათვის თავი არ დამინებებია.

1939 წ. ნოემბერი.
თბილისი.



აკაკი კახეთში

პროფ. რუსუდან ნიკოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიონის პირას

მოგონება აკაკიზე[1]

აკაკი ყრმობიდანვე მახსოვს. მისი ნამდვილი ბუნება კი უკეთ უფრო გვიან ვიგრძენი, ქუთაისში, ჩემი მამიდების, კატო და ანიჩკა ნიკოლაძეებისას, გიმნაზიაში რომ მიმაბარეს, 1896—98 წლებში.

ოცამდე მოზარდი ვიყავით მამიდების ცნობილ „რიონის-პირა“ პანსიონში და ამ მოგონების მიზანია აკაკის სურათის აღდგენა იმ ჩვენს, აკაკის საყვარელ „მწვანე-ჯეჯილურ“ გარემოში და ამავე დროს მისი ძველი, განსაკუთრებული მეგობრის, ანასტასია ნიკოლაძის გვერდით.

რა მხიარულ, მჭიდროდ შეკავშირებულ ახალგაზრდა „კომუნას“ წარმოადგენდა კირილე ლორქიფანიძისა და აკაკის მიერ ასე მონათლული ჩვენი პანსიონი. და როგორ გვიყვარდა აკაკის ჩამოსვლა ქუთაისში. ჩვენთან ჩამოხტებოდა ხოლმე. მხიარული, ამყოლი და თითქოს ჩვენზე უფრო ახალგაზრდა ყოველგვარ ეშმაკობასა და ოინებში, იგი ყველას ფეხზე გვაყენებდა თავისი გამოჩენის პირველივე წუთებიდან.

ხან ლექსს წაგვიკითხავდა, ან ჩვენ გვათქმევინებდა; ხან სიცილით დაგვხოცავდა რისიმე მოყოლით; ხან პირიქით, დაცინვით რომელიმე ჩვენგანს კიდეც აატირებდა ხოლმე. ხან რაიმე დაუვიწყარი მოგონებით გაგვიტაცებდა და თითონაც აგვყვებოდა ამ გატაცებაში.

იმ დროიდან ყველაზე უფრო ცოცხლად ასეთი სურათი მიდგება თვალწინ: ქუთაისის თეთრი ხიდის სიახლოვეს, რიონის მაღალ ნაპირზე იდგა ბაბუა-ჩვენის ძველი, ნახევრად დანგრეული ხის სახლი, მისი მშვენიერი, წყალზე გადამყურე აივნით. ძირს კი კლდეებზე აზვირთებული რიონი ჩქეფდა, ურჩი და თეთრად აქაფებული. როგორ გვიყვარდა მასთან თამაში და მისი ტალღების „წვიმა“. მეტადრე აკაკის ჩამოსვლის დროს. როგორ ველოდით დილაობით, ნაპირზე მიმალულები, მისი კარის გაღებას, მისი ადგომის დრო რომ მოახლოვდებოდა. პირმოიმარი და თმაებურძგნული, მხიარულად გამოდიოდა იგი, მზით მოსილი, წყალზე გადაკიდებულ აივანზე. სახეს და გულმკერდს დილის სიოს შეუშვერდა, ჩვენ მხიარულად აბრწყინებულ თვალს გადმოგვავლებდა და ყველას ერთად ჩამოგვძახებდა თავისი ახალი ლექსის გადაკეთებით:

გამარჯობა, ქუთაისო,
სავარდო და სამაისო.

და მართლაც, გინდა ზაფხული ყოფილიყო, გინდა შუაზამთარი ყინვით და თოვლით, აკაკის ჩამოსვლას ყოველთვის თან თითქოს ია და ვარდი მოჰქონდა.

---

[1] 1940 წელს იანვარში პოეტმა გ. ლეონიძემ მიმართა დედაჩემს ოლგა გურამიშვილ-ნიკოლაძეს წინადადებით, მოგონება დაეწერა აკაკიზე. დედა უკვე მძიმე ავად იყო იმ დროს და ეს ვერ შეასრულა. მე მომანდო მის მაგიერ დაწერა და ბევრი რამ თითონაც მოიგონა, ჩემს მასალაში შესატანად. ყოველ თავს მას ვუკითხავდი, და მას საჭირო შესწორება შეჰქონდა, ან ჩამატება. ისე რომ ამ მოგონებაში დიდი წვლილი მას ეკუთვნის, და არა მე. მაისში დედა გარდაიცვალა და მისი მოგონებების ჩანაწერი დაუმთავრებელი დაგვრჩა.

რ. ნიკოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სულ პირველად კი, ჩემი იმდროინდელი ბავშვური წარმოდგენით, ამის საწინააღმდეგო გარემოში მახსოვს აკაკი, როგორც პოეტი. ეს იყო ბარათაშვილის თბილისში გადმოსვენების დღეს, 1893 წლის 25 აპრილს.

8 წლის ვიყავი, როდესაც ეს მოხდა. და ის დღე სასწაულივით მაქვს შეტანილი ჩემს ბავშვურ, სამხაზიან „დღიურში".

იმ ხანის საქართველოსათვის ეს გადმოსვენება იმდენად დიდ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენდა, რომ დედამ მეც თან წამიყვანა, ახალი ნაავადმყოფარი.

როგორ გამზარდა და გამამდიდრა იმ დღემ: პოეტის კუბომ და მისი „მერანის„ შეგრძნობამ.

ჩვენს ოჯახში ბარათაშვილი და ძველი მწერლობა დედის რძესთან ერთად ჰქონდა ყველას შეთვისებული. დედის დედა ქეთევანი, დედა, მამა, დეიდები და ბიძაჩვენი დავით გურამიშვილი სულ მისი ლექსებით მეტყველებდნენ, როდესაც მწერლობაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი. ეს კი მუდმივი მოვლენა იყო ჩვენს სახლში.

განსაკუთრებით აფასებდა ბარათაშვილს ილია. არ მახსოვს არც ერთი ისეთი შეხვედრა მისი ბებიაჩვენთან, რომ ცალკე შოთაზე, ცალკე ბარათაშვილზე და სხვა ძველ მწერლებზე არ ყოფილიყოს სიტყვა ჩამოგდებული, მათი ლექსების წარმოთქმით და შედარებით.

ამიტომ გასაგებია, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ილიას და მამაჩემის მიერ მოტანილმა საოცარმა ამბავმა, რომ ნახევარ-საუკუნის წინ გადაცვლილი პოეტის გვამს თბილისში მოასვენებენ შორეულ მიდამოების „ტიალ მინდვრებიდან" და დიდუბეში უმზადებენ საფლავს, „მისსა წინაპართ საფლავთა შორის".

თითქმის არა მძინებია ამ დიდი მოვლენის წინა ღამეს და გათენებისას ისე ადრე წამოვხტი, რომ მე და ბებია ქეთევანი ერთად შევხვდით მამაჩემს აივანზე[1], მზის ამოსვლისას. აპრილის მშვენიერი დილა იყო და მზე მთაწმინდას აბრწყინებდა თავისი პირველი სხივებით.

— ყოჩაღ, უკვე ამდგარხარ! მომმართა მე მამამ, რომელიც ადრე ადგომას გვაჩვევდა.—რა მშვენიერი დილაა, მიუბრუნდა იგი ბებიაჩემს და წამოიძახა სიხარულით: „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო"-ო...

სულ რამდენიმე თვე იყო, რაც აღტაცებულმა გიორგი წერეთელმა პირველად მოუტანა მამას აკაკის ეს ახალი ლექსი, დაწერილი „კვალის" პირველ, სააღლუმო ნომრისათვის (და დიმიტრი ყიფიანის საფლავისათვის). აქამდე მახსოვს, რა აღტაცებაში მოიყვანა ამ ლექსმა მთელი ჩვენი ოჯახი, აგრეთვე როგორც შემდეგ ყველა ჩვენი სტუმარიც.

სათაური „განთიადი"-ც სპეციალური მნიშვნელობით იყო შერჩეული და ლექსი ალივით მოედო მთელს იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას.

---

[1] 1892—93 წელი თბილისში გავატარეთ, ყოფ. ბაღების ქუჩაზე (Садовая, ამჟამად ენგელსის. ქ.) № 64 სახლში, მეორე სართული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროს ჩემი და ბებია ქეთევანის საყვარელი ლექსი აკაკისა იყო „სიზმარი“, ჩვენი სამი სათაყვანებელი გმირი-ქალის სურათით და ქართული ენისა და ერის დიდებით.

მე და გიორგის, ჩემს პატარა ძმას, ბებია ყოველ საღამოს გვიამბობდა რაიმე შესანიშნავს ამ ძველი ქართველი გმირობიდან,—სინამდვილიდან ან ზღაპრულიდან და შემდეგ უსათუოდ ან „ვეფხისტყაოსნიდან“ წაგვიკითხავდა რასმე შესაფერისს, ან ახალი პოეტებიდან, რომელთაც, ბებიას აზრით ბარათაშვილის თაობაც ეკუთვნოდა ილიასა და აკაკისთან ერთად, და მათ შორის ბებია ყველაზე მაღლა აკაკის აყენებდა. აკაკის „სიზმარს“ იგი „ივერიის სამებას“ უწოდებდა, რადგან ეს ლექსი აკაკის თურმე ილიასთვის ჰქონია დაწერილი, მისი გაზეთი „ივერიის“ გასაუკვდავებლად“, როგორც აკაკიმ იცოდა ხუმრობით თქმა. ბებია ქეთევანი შეყვარებული იყო ამ ლექსში, და სულ იმეორებდა მის საუკეთესო ადგილებს.

„განთიადმაც“ ასეთივე შეფასება მიიღო ბებიასაგან. მე გვერდში ვყავდი, როდესაც მან ილიას უთხრა, ამ ახალი ლექსით აღტაცებულმა:—შენი „ივერიისათვის“ შექმნილი „სიზმრის“ შემდეგ ჯერ ასეთი არა გამოუთქვამს რა მისი გულის კვნესასაო.

— დიდი პოეტია აკაკი, წამოიძახა იმ აპრილის დილას მამაჩემმა: არ მომკვდარა ბარათაშვილი; ისა სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასა...

მას აქეთ აკაკის სახელი აელვარებული, ალისფერი ასოებით აინთო ჩემს ბავშვურ წარმოსახვაში მთაწმინდის შავი სილუეტის ფონზე.

როდესაც ზღვა ხალხით ავსილ ქუჩებში და დიდუბის მინდორში დიადი კუბოს გვერდით აკაკის ლომისებური თავი და მხარბეჭი დავინახე, ქარით ანიავებული თმით, იგი კუბოდან ამდგარ ბარათაშვილად მომეჩვენა, მისი მერანის შავ ფრთებზე შემდგარი და თავისი განთიადის სხივებით კაშკაშად აბრწყინებული...

* * *

1—2 წლის შემდეგ მამა ფოთში მიიწვიეს სამუშაოდ და ჩვენც თან წავყევით. რამდენი საინტერესო რამ გავიგეთ ბავშვებმა იმ წლებში ჩვენი უფროსების კამათიდან ჯერ თბილისში, ჩვენსა და „კვალის“ რედაქციაში, 1893—94 წლებში, შემდეგ კი ფოთსა და ჯიხაიშში.

მამა ფოთის საზღვაო მომავალს აყენებდა ყველაზე წინ საქართველოსათვის რუსეთის თვითმპყრობელობის მონობიდან თავის დასაღწევად; აკაკი და გიორგი წერეთელი კი „ძველებურად“ ქუთაისის წარსულის „კვალს“ აწერდნენ ყველაზე მეტ მნიშვნელობას.

ასეთ გარემოში დაიბადა აკაკის „ქუთაისი“ და „ზღვაო, აღელდი“, ორივე ეს მისი მშვენიერი „იმერეთით ნამღერი“ და საინტერესო კამათით „ცეცხლშენთებული“ ლექსი. გიორგი წერეთელი იმ დროს უკვე თავისი „პირველი ნაბიჯის“ შესავალ თავებს ამზადებდა, რომლებიც ანარეკლი იყო ფოთის ძველი პორტის არქაიული მშენებლობის და ძარცვა-მექრთამეობისა; მამა კი ახალი მშენებლობის გეგმებს აგებდა, მაშინ, როდესაც აკაკი მას ძველად დაწერილი ლექსიდან „ფოთი“ დამცინავ ციტატებს აყრიდა სეტყვასავით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ფულით ვერ ძღება დღეს ფოთი“, და ა. შ.

მეტად დამახასიათებელია აკაკისათვის, რომ მას რაღაც ორგანიული „ოპოზიცია“ უღვივოდა გულში ფოთის მიმართ. მან ფოთის რიონიც კი აითვალწუნა ამის გამო და სპეციალურად მამასათვის შექმნა თავისი „ქუთაისის“ რიონ-ფაზისის ეს ზღვასთან შერთვის სურათი:

სადღა არის ოქროს სილა?..
შლამ-ტალახით ამოვსილა...

სულ ამას უმეორებდა აკაკი მამას ფოთის ფაზისის შესახებ, რომელსაც იგი ყოველთვის ქუთაისის ურჩ და შეუპოვარ რიონს უპირდაპირებდა. ან კიდევ ბათუმის ჭოროხს.

ფოთის პორტის გარეთ შავად განრისხებულ ზღვას კი იგი აღტაცებაში მოყავდა და მისი „ზღვაო აღელდი“ მითია ნამღერი 1894 წელს.

ზღვაო, აღელდი, აღელდი,
ქარტეხილს დაემორჩილე...

...პოეტო, ნურც შენ ეკრძალვი მრისხანე გულის ღელვასა...

ამ ლექსის წყობა დედა-ენის „მზეო ამოდი, ამოდის“-ს რიტმითაა წარმოშობილი, თვით აკაკის თქმით. დამახასიათებელია, რომ მისი ბოლო სიტყვები ნაწილობრივ მამაჩემის ახალი გატაცების საწინააღმდეგო პროტესტს შეიცავენ: მწერლის კალამი მშენებლობაზე რატომ გაცვალეო?

აკაკიმ რამდენჯერმე წაგვიკითხა ეს ლექსი ჩვენი რიონის ზედა აივნიდან, გაზაფხულის წვიმებით აზვირთებული რიონის წინ და სპეციალურად დამაბარა, მამა შენს მისწერე ამის შესახებო.

პორტის მშენებლობა მას მამაჩემის საზოგადოებრივ „ძილად“ მიაჩნდა და მწერლის მოწოდების ღალატად...

* * *

თითქმის 12 წლისა ვიყავი, ქუთაისში რომ გამისტუმრეს, მამიდებთან და იქაურ ქალთა გიმნაზიაში მიმაბარეს. იმ დროს მამიდებს ოცამდე მოწაფე ვყავდით: ორი ქალი,—მე და მათი ნათლული ელენე ჩხეიძე, დანარჩენი კი ბიჭები, ერთი მეორეზე უფრო ცოცხალი და ეშმაკი, ზოგი გიმნაზიაში მოსამზადებლად იყო მობარებული, უმრავლესობა კი უკვე სწავლობდა გიმნაზიაში, უმცროს ან უფროს კლასებში.

ერთ მთლიან, მჭიდროდ შეკავშირებულ ოჯახს წარმოადგენდა ჩვენი პანსიონი. აკაკის ძალიან უყვარდა ეს ჩვენი „ქაჯეთი“, როგორც იგი ხშირად გვიწოდებდა, როდესაც ჩვენს ეშმაკობას აჭყვებოდა ხოლმე, და მასაც ჩვენთან ერთად მოხვდებოდა მამიდა კატოსაგან. უამისოდ ვერც წარმომიდგენია აკაკი ქუთაისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რიონისპირა ქაჯეთი და მისი „ნესტანი“—მამიდა ანიჩკა ერთერთი მართლაც „სავარდო და საამისო“ ფურცელია აკაკის მდიდარ და მრავალფეროვან სიცოცხლეში.

მიყვარს ფაცხა მე მეგრული,
ზედ კორტოხზე წარმოდგმული.

ამ სიტყვებით შემოაბიჯებდა ხოლმე იგი ჩვენს ძველ სახლში და იმწამსვე ჩვენ მოგვიბრუნდებოდა და გვკითხავდა: როგორ ხართ, ქაჯებო? აბა, გამოტყდით, ვინ რა იეშმაკეთ?.. თან ისეთ „თვალს“ გვიზამდა მამიდებისაკენ, რომ მხიარული იმედებით აგვივსებდა გულს ახალი ეშმაკობის მოლოდინში...

რა დღესასწაული იყო ჩვენთვის ყოველი მისი ჩამოსვლა! სულ კუდივით უკან დავდევდით რაიმე მორიგ საინტერესო თქმას ან მხიარულ „ნომერს“ მოწყურებულნი.

არავის არ ჰგავდა ამაში აკაკი თავის თერგდალეულთა წრიდან. თბილისში მამა და ილია ჭავჭავაძე, ქუთაისში კი მამა და კირილე ლორთქიფანიძე—ყველგან მხოლოდ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ ჩვენს ბავშვურ წარმოდგენაში: „დიდები“ და ამიტომ მხოლოდ უფროსებისათვის მისაწვდომები. ჩვენ კი, უმცროსები არც კი ვახსოვდით, თუ საქმით იყვნენ გატაცებული ან ცხარე, გაუთავებელი კამათით.

ერთად ერთი მათ შორის ჩვენი, ბავშვების საყვარელი სტუმარი და მეგობარი, აკაკის გარდა, იყო აგრეთვე გიორგი წერეთელი, რომელიც საკმაოდ ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში და ჩვენთან ჩამოხტებოდა ხოლმე[1], მეტადრე მას აქეთ, რაც მეფის ცენზურამ მისი „გულქანი“ აკრძალა 1896 წელს თბილისში და იგი ახლა რაღაც საბავშვო მოთხრობებს ბეჭდავდა ქუთაისში.

გიორგი წერეთელს ძალიან უყვარდა ბავშვები და ახალგაზრდობა, მაგრამ სულ სხვანაირად, ვიდრე აკაკის: იგი ყოველ ჩვენგანს საბრძოლველად გვამზადებდა. აკაკის კი ჩვენი ცელქობა და სიცხოველე უშუალოდ იზიდავდა.

გიორგი წერეთელში ჩვენ მეგობარ-მასწავლებელს ვგრძნობდით და არა თამაშობის ტოლ-ამხანაგს. რა არ გაივლიდა ჩვენს თვალწინ ამ ყველაფრის მცოდნე, გატაცებული მოამბის ჩამოსვლისას, განსაკუთრებით ჩვენი ხან შორეული, ხან ახლო წარსულიდან, რომელიც მას ასე უყვარდა, ნამდვილიც, ლეგენდარულიც.

ზოგჯერ აკაკიც ესწრებოდა ამ „მოყოლის“ საღამოებს, და მაშინ ზღაპარი და ლეგენდა იმარჯვებდა: ამირანი და ქართლოსი; არგონავტები და ფაზისი; „აკაკის“ ნინო და თამარი; გელათის დავით აღმაშენებელი; მეორე დავითი და კონსტანტინე, ჩვენი მოწამეთის წყალწითელიდან.

შესანიშნავი საუბარი იცოდა აკაკიმ, მეტწილად იუმორნარევი. გიორგი წერეთლის გადმოცემა კი ყოველთვის „ცეცხლწაკიდებული“ იყო და „ცეცხლის მომდები“.

ასეთივე იყო მისი საუბრის თემებიც: „ულელი“ და რუსეთის „ქალთა ფერეინი“ შვეიცარიაში. რუსეთის მებრძოლები და მათი გაცნობა ან შეხვედრა

[1] გიორგი წერეთელი მამაჩემის შუათანა დის ოლიმპიადას ქმარი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერგდალეულებთან. იტალიის, საფრანგეთის, ამერიკის მებრძოლები. პარიზის კომუნა და კომუნარები. გარიბალდი და მისი რაზმი. მათი ბრძოლა და გამარჯვება... რას არ გვიამბობდა გიორგი წერეთელი თბილისიდან ჩამოსვლის დროს? სტამბაში წაგვიყვანდა თან, სადაც მისი „ჩვენი გმირები" იბეჭდებოდა ჩვენთვისვე, რაც აგრეთვე დიდი დღესასწაული იყო ჩვენთვის.

მაგრამ ყველა ამაში გიორგი წერეთელი წინა თაობიდან ჩამოსული სტუმარი იყო ჩვენი ნორჩი გულაგზნებული რიონისპირა წრისათვის. რამდენი რამ უნახავს, გამოუცდია, დაუწერია და გაუკეთებია ამ წინათაობას თვით გიორგი წერეთელთან ერთად.

აკაკი წერეთელი კი დროისა და სივრცის გარეშე იდგა ჩვენს წარმოსახვაში: იგი ხან შოთას გვერდით გვევლინებობა, როგორც ჩვენი „რჩეული ერის" „მზის ტოლი" მგოსანი, ჩვენთვის მიუწვდომელი ჩანგითა და გულის სიმებით. ხან კი, პირიქით, ჩვენ ტოლამხანაგად მიგვაჩნდა, ჩვენსავით ცელქად და ეშმაკობაში ამყოლად.

სასადილო ოთახში რომ შევიჭრებოდით საკლასო ოთახიდან, გაკვეთილებზე მუშაობის შემდეგ, დამშეულები და აკაკის ოხუნჯობისათვის „კბილებგალესილები", აკაკის თითქოს ელდენი გაუვლიდა, ისე გამოცოცხლდებოდა ხოლმე: წამოხტებოდა, 40 წელს მხრებიდან ჩამოიშორებდა და სიცილით მოგვეგებებოდა: შემოგვესივნენ ქაჯები, ხმალი ვიშიშვლოთო! და... შეჯიბრს გამოგვიცხადებდა ცელქობა-ეშმაკობაში: აბა, ბიჭებო, ვინ მაჯობებსო?

ასეთი იყო ჩვენი მხიარული „ქაჯეთის" შინაცხოვრება. ასეთი იყო თვით აკაკიც ამ „ქაჯეთში", ჩვენი ძვირფასი მამიდების სტუმართმოყვარე, ძველ სახლში. მუდამ მცინარე, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე და სულიერად ჩანგაჟღერებული.

ძნელი წარმოსადგენია ერთსადაიმავე ოჯახში მეტი ანტიპოდები, ვიდრე ნიკო ნიკოლაძის ორი და იყო: კატო და ანიჩკა (ახასტასია) ნიკოლაძეები.

მამას ხუთი დიდან მარტო ეს ორი იყო უქმარშვილო. მთელი თავიანთი სიცოცხლე მათ შესწირეს საზოგადო საქმეს, ახალგაზრდობის აღზრდას. თავის დაობლებულ დისწულებთან ერთად მათ მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა მიაჩნდათ საკუთარ ოჯახად მეტადრე თუ რომელიმე მათგანი ნიჭს გამოიჩენდა და თვითმპყრობელობის ურჩობას.

სულ სხვადასხვანაირი ბუნებისა და პიროვნების პატრონები, კატო და ანიჩკა ამავე დროს იმით იყვნენ ცნობილი, რომ უერთმანეთოდ ვერც სძლებდნენ და ვერც წარმოიდგენდით მათ ცალცალკე. თითქმის ერთ დღესაც გარდაიცვალა ორივე. დასაფლავებულიც ერთად არიან, თბილისში.

მამიდა კატოს 77 წლიანი ცხოვრება-მოღვაწეობიდან (1854—1931) მან მხოლოდ სამი წელი გაატარა უანიჩკოდ, 70-იან წლებში (1873—1976), როდესაც ძმამ იგი და შუათანა და ოლიმპიადა შვეიცარიაში წაიყვანა ქართველ სტუდენტ-ქალების პირველ რაზმთან ერთად. მამიდა ანიჩკა კი არც მაშინ მოშორებია ოჯახურ კერას, როგორც უფროსი და[1] (1846—1931).

[1] ყველაზე უფროს დას, ნატალია ქორქაშვილს (1840—1909) საკუთარი ოჯახი ჰქონდა.

ყველაფერში „არქიპოლუსები“ იყვენ კატო და ანიჩკა აკაკის მხიარული დახასიათებით. მამიდა ანიჩკას იგი ნაზ იას ადარებდა ჩვეულებრივ, მამიდა კატოს კი... ჭინჭარს, რომლისგანაც მასაც კარგად მოხვედრია არაერთხელ: ვა, ბეჩა აკაკი, ასე რამ გაგაგიჟაო...

მამიდა კატოს, ამგვარ „კომპლიმენტებს“ მეტად კარგ გუნებაზე მოჰყავდა აკაკი. იგი მხიარულად გადაიხარხარებდა ხოლმე და წამოიძახებდა, თავისივე ლექსის ოდნავი შეცვლით:

ოჰ, აკაკი... ჭინჭარში ნუ ვარდები...
ნუ გგონია იქ ია და ვარდები..

მამიდა ანიჩკასთვის კი მას პირიქით, რამდენჯერ გაუმეორებია, თავისი „გაზაფხულიდან“:

დავყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას...

რაზედაც მამიდა ანიჩკა უცვლელად უსაყვედურებდა დაბალი, ღელვით ჩაყრუებული ხმით: „კაი, აწი, აკაკი, ნუ იცი ეს“...

დაუცხრომელი ენერგიით სავსე, მოუსვენარი მუშაკი და ახალ-ახალი საქმეების წამომწყები, მამიდა კატო ბუნებით მოწოდებული საზოგადო მოღვაწე იყო და ამავე დროს თავისი ოჯახისა და პანსიონის ენთუზიასტიც.

ქუთაისში მამიდა კატო არცერთ საზოგადო საქმეს არ აკლდებოდა. თითქმის ყველგან იგი ერთერთი მთავარი ინიციატორი იყო და წამოწყების სული და გული. ქართული თეატრი, თარგმანები და გამომცემლობა, მუშებისათვის იაფფასიან წარმოდგენათა მოწყობა, სახალხო უნივერსიტეტის დაარსება და ხელმძღვანელობა, სტიპენდიები, „საიმედო“ ახალგაზრდების და დევნილების დახმარება,—სად არ შეხვდებოდით მას ქუთაისში 40—50 წლის მანძილზე, 70-იან წლებიდან 1920-დე. ყველა ეს ქუთაისის ქალთა წრის საქმე იყო, რომლის სულსა და გულს მამიდა კატო შეადგენდა რამდენიმე თავის მეგობართან ერთად, რომელთა შორის 90-იან წლებში ყველაზე უკეთ მახსოვს მელ. გველესიანი, ელ. ხელთუფლიშვილი და ნიცა წერეთელი.

ამ ქალთა წრის საუკეთესო მეგობარი და ხელისშემწყობი იყო აკაკი. ყოველი მისი ჩამოსვლა ქუთაისში ამ წრის რაიმე წამოწყებასთან იყო დაკავშირებული, ან მას იწვევდა თავის შედეგად.

სულ სხვა იყო მამიდა ანიჩკა. პატარა, წყნარი და „ზამბახივით ნაზი“. იგი მართლაც ქაჯეთში დატყვევებულ ნესტანდარეჯანს ემსგავსებოდა ჩვენს მხიარულად ახმაურებულ პანსიონში. აკაკი მას „პატარა ქალბატონს“ ეძახდა ალერსიანი ხუმრობით და ამ ეპიტეტით დაწერილმა აკაკის წერილებმა ჩვენამდეც მოაღწია. როგორც გარეგნულად, ისე მთელი თავისი ბუნებით მამიდა ანიჩკა რაღაც ნაზ გრძნობებს იწვევდა თავისადმი ყველაში, ვისაც შეხვდებოდა: მზრუნველობას, თბილ ალერსს. ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი, იგი ახლაც მშვენიერი გარეგნობის იყო, პატარა და კოხტა.

ვერავის წარმოედგინა მისი ხმის ამაღლება, ნაბიჯის აჩქარება და მოთმინებიდან გამოსვლა. მამიდა კატო კი პირიქით, ფიცხი და სწრაფი ბუნების ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანი იყო, თუმცა ყველა კარგად იცნობდა მისი ცხარე გულის საარაკო ვულკეთილობას და ავის არდახსომებას.

მამიდა ანიჩკას ყოველი განცდა, მის გულში იმარხებოდა ჩუმად და სამუდამოდ. ამიტომ მისი ღიმილის ჩაქრობა და წარბების შეკვრა მეტი სასჯელი იყო, ვიდრე მამიდა კატოს უცხარესი წუთიერი „ადუღება“ და ენამახვილი „დარტყმა“.

მამიდა ანიჩკას მიმართ აკაკის ბუნება ყოველთვის „სამაისო“ რჩებოდა მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში: მზიანი, ალერსიანი, არაჩვეულებრივ ნაზი და ახალგაზრდულად ხელუხლებელი, უშუალო. რამდენჯერ უთქვამს აკაკის ჩვენთან ჩამოსვლისას, მამიდას გვერდით რომ დაჯდებოდა ტახტზე სადილის წინ, სანამ ჩვენ საკლასო ოთახში ვჭუშაობდით ან ეზოში ვთამაშობდით:

— რა მიყვარს ქუთაისში დაბრუნება!..

გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო,
ია და ვაოდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო...

— ასეა, ჩემო ანიჩკა! აბა მითხარი ახლა თქვენი აქაური ამბავი... და დაიწყებოდა მათი ხანგრძლივი საუბარი, სანამ ჩვენ არ შემოვესეოდით.

ასეთი იყო აკაკის ეს სრულიად თავისებური მეგობრობა, რომელიც გაგრძელდა 60-იანი წლებიდან მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

მამიდა კატოს არ ეცალა ჩვენთვის, გაკვეთილების გამოკითხვის საათების გარეშე; მას ქალაქში ჰქონდა ათასი საქმე. მამიდა ანიჩკა კი ჩვენი მხიარული სკის „დედაფუტკარი“ იყო. გვესაუბრებოდა, გვიკითხავდა, გვაკითხებდა, გვიამბობდა ბევრ რამეს წარსულიდან... საშინლად გვიყვარდა უმცროსებს ეს საათები მასთან.

აკაკის ჩამოსვლისას კი ამ საათებში უსათუოდ ისიც იღებდა მონაწილეობას. სად არ გადაგვაფრენდა იგი თავისი ფრთაშესხმული ენით და წარმოსახვის უნარით.

ძალიან გვიყვარდა უმცროსებს, აკაკის ორი გუნება: „დედა-ენის“ ლექსების კითხვა-გამოკითხვის ხასიათზე რომ დადგებოდა და თავისი ბავშვობის თავგადასავლის მოგონებათა მორევში რომ გადაეშვებოდა; ჯერ სხვიტორის ხანაში, შემდეგ კი ‘ქუთაისში, „როზგის მეფობის“ დროში. იმავე გიმნაზიაში სწავლობდნენ იგი და მამაჩემი, სადაც ახლა თითქმის მთელი ჩვენი პანსიონი მიემგზავრებოდა ყოველ დილას. სულ სიცილით გვატირებდა აკაკი ამ შორეული წარსულის დაუჯერებელ ფაქტების გადმოცემით.

განსაკუთრებით კარგად ჰყვებოდა აკაკი მათი „დეკანოზის“ ცნობილ ამბავს, (რაც ასე შესანიშნავად აქვს აწერილი „ჩემს თავგადასავალში“) და აგრეთვე სკოლაში ჭადით დაჩოქილების ეპოპეიას, მახარობელა—ბუზის კლასში გაშვებას, გაწკეპლვის შემთხვევებს და თათრული ენის გაკვეთილების იმ ანეგდოტებს, რომელიც მამაჩემს და გიორგი წერეთელს მასზედ ბევრად უკეთ ახსოვდათ რატომღაც, გადმოცემას კი მათ ყოველთვის აკაკი ჩამოართმევდა და პირდაპირ სიცილით დაგვხოცავდა. მეტადრე ამ მათი მასწავლებლის... ქოშით თავში ჩარტყმის ამბით და დაღრიალებით: Даволно, садыс! Тарпэт нэ лублу!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგიკვირდა აკაკის ასეთი „მოგონებაზე დადგომა“, რასაც მასში ყოველთვის მამიდა ანიჩკა იწვევდა.—გახსოვს, ნიკო როგორი ყურებაწითლებული დაგვიბრუნდა ერთ დღეს? მიუბრუნდებოდა აკაკი მამიდას და დაიწყებოდა მათი საერთო მოგონებები: ქალებს როგორ ზრდიდნენ იმ დროს, სანამ მათ ძმებს ნიკოლოზ-პირველდროინდელ გიმნაზიაში სტანჯავდნენ, და სამარცხვინოდ როზგავდნენ კიდეც... პირველი ქალები როგორ მიაბარეს რუსულ „პროდიმნაზიაში“, და მათ შორის ორი „ალჟირკიანი“ დეიდაშვილიც: ანიჩკა ნიკოლაძე და მაშიკო ხელთუფლიშვილი.—გახსოვს ეს ფაქტი, პატარა ქალბატონო?—შეეკითხებოდა ხოლმე ალერსით აკაკი.

— ალჟირკა რა არის? იკითხავდა ვინმე ახლად მოსული ბავშვი და დაიწყებოდა ევროპის წარსულში გადაფრენა: ალჟირელების ბრძოლაში, გარიბალდის ათასეულის მოგონებაში და სხვ... რადგან „ალჟირკა“—წამოსასხმელები და მათთან ერთად უსათუოდ „გარიბალდიიკა“—ქუდები რუსეთ-საქართველოში 60-იან წლებში უტარებიათ ქალებს[1], როდესაც დედა და მამიდა კატო ჯერ მხოლოდ 6—7 წლის ბავშვები ყოფილან, მამიდა ანიჩკა კი 16—17 წლის ქალიშვილი.

— აქეთ, მოდი, აქეთ მოდი, ქალო ხაბარდიანოო, სიცილით მოიგონებდა ხშირად აკაკი იმდროინდელ ლექსსა და სიმღერას და მიუბრუნდებოდა მამიდას: გახსოვს ის დრო, ანიჩკა?—თუ მახსოვს... მიიღებდა ის მოკლე, დაბალი ხმით ჩალაპარაკებულ პასუხს.

და დაიწყებოდა ძველი დროის მოგონება, სახლის მამამთავრის, იაკობ ნიკოლაძის ხანაზე და აკაკის მიერ განსაკუთრებით შეყვარებულ 60-იან წლებზე. ხან გაიხსენებდნენ ფაქტებს, რომელიც კირილესა და მამას შეეხებოდა, ხან ქალების სამეფოს დაუბრუნდებოდნენ, როდესაც აშკარად, პირველი სიყვარული ჰქონდა განცდილი მათ ორივეს გულს...

— გახსოვს, ქალო ხაბარდიანო, ალჟირკებით რომ შემხვდით ბულვარზე, შენ და მაშიკო (ხელთუფლიშვილი) და მე თბილისიდან ახლად ჩამოტანილი სიმღერა რომ გიძღვენით:

ალჟირკა და კისტები,
შენ რომ გხედავ, ვგიჟდები...

— გახსოვს, პატარა ქალბატონო, შენ როგორ იწყინე ეს ხუმრობა, მაშიკომ კი მთელ ქუთაისს აცნობა ეს ჩემი „სერენადა“?..

* * *

ერთხელ მე და ელენე მაისის ვარდებით დატვირთულები დავბრუნდით გიმნაზიიდან. აკაკი ამან იმწამსვე გაზაფხულის გუნებაზე დააყენა და ჩვენი საყვარელი საპირველმარტო „მერცხალი“ მოაგონა: დღეს მერცხალი შემოფრინდა, ჭიკჭიკითა შემომძახა...

მამაჩემი ხშირად უმტკიცებდა აკაკის, რომ ეს მისი „გაზაფხული“ თავისთავად კი მშვენიერია, მაგრამ რევოლუციის გაზაფხულს არ წარმოადგენს, რად-

[1] ალჟირკა—ფოჩებით და კაპიუშონით მორთული წამოსასხმელი ყოფილა სხვადასხვა ფერის ან უჯრა-უჯრა მაუდისა, რომელიც თურმე დიდ მოდაში იყო ჩვენში გარიბალდის გამარჯვების შემდეგ, მისი სახელობის ქუდთან ერთად. ა ვ ტ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განაც მისი აზრით, პირველი მარტის მეფის მკვლელობა, თუ არ აგვიანებდა, არ აჩქარებდა რევოლუციის საქმეს; ილიას „გაზაფხული“ კი,—„ტყემ მოისხა ფოთოლი“, მიძღვნილი გარიბალდის ათასეულის გამარჯვებისათვის, მართლაც ნამდვილი გაზაფხული იყო მამიჩემის აზრით, თუმცა იგი პეტერბურგის თოვლსა და ყინვაში იყო თურმე შექმნილი 1861 წლის იანვარში, ნევისპირა სტუდენტობაში ნაგრძნობი, იტალიის 1859—1860 წლის „გაზაფხულით“ ნაკარნახევი.

მამასა და აკაკის ამგვარ კამათს ყოველთვის ხარბად ვუსმენდით, მაგრამ ცხადია, ჩვენი სიმპატიები ურყევად აკაკის მხარეზე იყო „გაზაფხულის“ საკითხში, მით უმეტეს, რომ აკაკის ლექსი ასეთი მშვენიერი იყო და პირდაპირ ჩვენს ბედნიერ, მართლაც „ტურფა“ ქვეყანაში გადაგვაფრენდა ხოლმე საკლასო ოთახის ცივ კედლებიდან. თვით ამ ოთახსაც კი ავსებდა მზითა და მერცხლის ჭიკჭიკით.

დავჭყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრიტ ნაზად დახრილ იას,
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად „ტია-ტიას“.

ამ უკანასკნელ მარცვლებს ბულბულის ხმაბაძვისას აკაკი პირდაპირ ოსტატურად წარმოსთქვამდა.

— კიდევ გინდათ ლექსი? შეგვეკითხა ერთხელ აკაკი, როდესაც ჩვენი აღტაცებული შეძახილები შეწყდა და სიწყნარე ჩამოვარდა.

— კი, დიახ, გვინდა, გამაყრუებლად შევძახეთ ოცეულმა ხმამ.

— აბა კარგი,—გვიპასუხა აკაკიმ, მხიარული კილოს უეცარი შეცვლით სერიოზულზე: ერთ კარგ დარიგებას წაგიკითხავთ—ბულბულის ნამღერს. კარგად დამიგდეთ ყური; ეს დარიგება უნდა შემისრულოთ.

და მან ახლად შემოსული „დილა“ წაგვიკითხა „ივერიიდან“, რომელიც ყველას ასე გვიყვარდა, მას კი განსაკუთრებით:

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უბრიდა ნიავსა...

ერთი წუთით შეჩერდა აკაკი „ბულბულის ნატვრის“ წინ და შემდეგ ლომური ძალით წაშოიძახა ლექსის ბოლო:

აყვავდი, ტურფა ქვეყანა,
ილხინე, ივერთ მხარეო!
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!

აკაკის საშინლად მოსწონდა „დილის“ ეს ბოლო—მოწოდება, რომლითაც მამიდა ანიჩკა სკოლაში გვისტუმრებდა დილაობით. და მართლაც ეს ხომ აკაკის მთელი სიცოცხლის წმინდათა წმინდა ოცნება იყო ამდენი ათწლეულის მანძილზე...

* * *

ვინ შეხვედრია გაზაფხულს უციცინათელოდ დასავლეთ საქართველოში? საშინლად გვიყვარდა ციცინათელების ხანა რიონისპირა კლდებუჩქნარის სიბნელეში. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ხშირად გაისმოდა ჩვენი ქაჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის ციხე-გალავანში აკაკის „ციცინათელას“ ის მშვენიერი ადგილები, რომლებიც ხალხის ყურსა და გულს სიმღერად აქვს ქცეული:

ჩემო ცი-ცი-ნა-თე-ლა,
რად მიჰფრენ ნე-ლა ნე-ლა...

იმ დროს განსაკუთრებით მოდაში იყო აკაკის ლექსების მღერა: სულიკოსი, თავო ჩემოს, ციცინათელასი. მამიდების ნათლულს ელენეს ძალიან სასიამოვნო ხმა ჰქონდა, გიტარაზე დაკვრაც მშვენივრად ეხერხებოდა. მეც მასწავლა თავის დასახმარებლად და ერთ დროს გაგიჟებული ვიყავით მაისის ღამეების მბჟუტავი ციცინათობით და აკაკის ლექსებს გატაცებით ვმღეროდით.

ერთ-ერთ ასეთ საღამოს მამა ჩამოვიდა და პირდაპირ გაგვაოცა დაუჯერებელი განცხადებით, რომელიც მამიდა ანიჩკამაც დაადასტურა: აკაკის „ციცინათელაც“, „თავო ჩემოც“ საფრანგეთის კომუნის დამხობის ანარეკლიაო, რადგან უშუალოდ მოსდევს იმ მომენტსო; თერგდალეულები კი და „დროების“ რედაქცია ამ დამარცხებას თითქმის თვით კომუნარებივით განიცდიდნენ მამას და კირილე ლორთქიფანიძის მტკიცებით.

ამიტომ, როდესაც „დროებამ“ ამის შემდეგ ზედიზედ ორ ნომერში გამოაქვეყნა აკაკის ეს ორი ლექსი, ყველას გადაუწყვეტია, ვისაც ნაბეჭდი სიტყვის „შუა-შუა სტრიქონებიც“ აინტერესებდა, რომ „ციცინათელა“ და „თავო ჩემო“ საფრანგეთის რევოლუციის სიმბოლოა და მის შორიდან ნათობას გვიხატავენ, როგორც ილიას „გაზაფხული“ ჩვენთვისაც სანატრელ იტალიის გაზაფხულს გულისხმობდა 10 წლით უფრო ადრე.

მამა გვარწმუნებდა, რომ ჩვენი საყვარელი „ციცინათელა“ არა მარტო სამეჯნურო მიზნებს ემსახურებოდა აკაკის იმდროინდელი გატაცების ლამაზი ლირიკული სიმბოლოთი, არამედ კომუნიზმის შორიდან გამონათებასაც გულისხმობდა ჩვენი სინამდვილის სიბნელეში.

მამა ყველაფერს ევროპის პოლიტიკას უკავშირებდა. აკაკიზე კი, როგორც პოეტზე, ძალიან მაღალი აზრისა იყო და ყოველთვის ამბობდა, აკაკი, როგორც მოწოდებით პოეტი ხშირად სრულიად შეუგნებლად ეხმაურებაო ახალგაზრდობის ყოველ ამაღელვებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენას: მეფის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლას, კომუნას, იტალიის ამბებს. მამა მაგალითად ამბობდა, აკაკის სტუდენტობის დროის „სალამური“ ილიას „გაზაფხულის“ პირდაპირი ხმის მიცემა არისო, და გარიბალდის გამარჯვების ანარეკლიო. აგრეთვე მისი „ჩანგურიც“ საფრანგეთის კომუნის გამარჯვებას უპასუხებსო.

მამა ხაზგასმით და აღტაცებით აღნიშნავდა, რომ რასაც იგი, მესხი ან გიორგი წერეთელი გრძელ-გრძელი წერილებით ძლივს გამოსთქვამდნენ, ან სულაც ვერ გამოსთქვამდნენ მკითხველისათვის იმდროინდელი ცენზურის კლანჭებში, იმას აკაკის ჩანგი „ერთი სიმის ჩამოკვრით“ ააძგერებდა და აანთებდა მთელ ხალხის გულში.

კირილეც მხურვალედ ადასტურებდა ამის სისწორეს და მამასთან ერთად ეხუმრებოდა აკაკის, რომ ერთი უცვლელი ოცნებით გატაცებული მისი ჩანგი ყველაფერს ჩვენი განთავისუფლების სიმბოლოდ აქცევს, ყუმბარიდან ციცინათელამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გამოვტყდე, რომ ამ საინტერესო საკითხებმა ბევრად უფრო გვიან მოაღწიეს ჩემს ცნობიერებამდე. იმ დროს კი მაისის მშვენიერი ციცინათელებით აციმციმებული საღამოებით ვიყავით მოჯადოებული და ყველაფერს მათ შუქში ვხედავდი. აკაკიც მათი შარავანდედით შთაიბეჭდა ჩემს იმდროინდელ მეხსიერებაში, მამიდა კატოს „ქალთა წრის“ შეკრებასთან დაკავშირებით, რომელიც ერთერთი ასეთი გამაგიჟებელი მაისის ღამეს მოხდა, აკაკის დასწრებით.

იმ შეკრების მიზანს, თუ არ ვცდები, შეადგენდა მუშებისათვის რაღაც იაფფასიანი წარმოდგენის მოწყობა მესხიშვილის თეატრში, რომელსაც აკაკიც უნდა დასწრებოდა. ხალხი ბევრი შეიკრიბა ჩვენსას იმ საღამოს. აკაკიც განსაკუთრებით კარგ გუნებაზე დადგა. ლექსებიც წაიკითხა ბლომად.

ხალხი რომ დაიშალა და მარტო დავრჩით შინაურები, მე და ელენემ ბაღის ბნელ სიღრმეში გავისეირნეთ, ციცინათელების უკეთ დასანახავად ღამის წყვდიადში. თითქოს აკაკის ლექსების მოციმციმე ნაწყვეტები დაგვტრიალებდა თავს...

— აკაკის შეხედე! წამოიძახა უეცრად ჩემმა მეგობარმა და მართლაც, რა დაუვიწყარი სურათი წარმოგვიდგა თვალწინ: ჩვენი ძველი სახლის კიბის თავზე აკაკი იდგა, კაშკაშა მთვარით განათებული და ვარსკვლავებისაკენ ამართული სახით.

შორს სიბნელეში კი რიონის ჩქეფა მოისმოდა სანაპირო კლდეებიდან. ზევით ცა ბჟუტავდა ვარსკვლავებით, ქვევით ციცინათელების მნათი გუნდი. ირეოდა ტრიალ-ციმციმით აკაკის ლომური ნაკვთის წინ, თითქოს მისი გულის სიმებიდან ამოფრქვეული ნაპერწკლები...

* * *

ძლიერ მოგვწონდა „ანზე ვისი ყმა ხარ“—თამაშის ჩატარება. აკაკისაც ძალიან იტაცებდა ეს თამაში და დიდ სიმარჯვესაც იჩენდა მის ძნელ მომენტებში.

— ანზე ვისი ყმა ხარ? იწყებოდა თამაში, თუ ეს ასო იყო არჩეული შეკითხვებისათვის.—აბაშიძის.

— სახელად რა გქვია?—ალექსანდრე.

— საიდან მოდიხარ?—ანანურიდან.

— საით მიემგზავრები?—აჭარაში.

— შვილდი რისი გაქვს?—ალუბლის.

— ისარი?—ალვის ხის.

— რას მოჰკლავ?—არწივს.

— რაში ჰკრავ?

ჩვენ ვერაფერს ვერ ვიგონებდით ამ უკანასკნელის კითხვის საპასუხოდ, აკაკის ამოუშრეტი ფანტაზია კი არც აქ შეკრთებოდა და რამეს მოასწრებდა დროზე, მაგალითად: აწეულ ხელში, აშვერილ ფრთაში, ასოში, აქოჩრილ თმაში და სხვ.

სულ სიცილით ვიხოცებოდით მისი ამგვარი მოსწრებული პასუხით, მაშინ როდესაც დანარჩენები ვერაფერს ვახერხებდით.

— ვის მიართმევ?—აკაკის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას გიბოძებს?—აბაზს (ახალუხს, ატამს, აქლემს).

— რას გაჭმევს? რას დაგალევინებს? და სხვა მისთ.

აკაკის ბავშვივით უყვარდა ეს თამაში და უსათუოდ პირველობა მასში. ისეთ აზარტში შედიოდა ხშირად და ჩვენც შევყავდით, რომ სახლი აკლებული გვქონდა ათასნაირი ერთდროული წამოძახილით და სიცილ-ხარხარით.

ხან ახალ, ჯერ არარსებულ სიტყვებს ვიგონებდით თუ სხვა არაფერი აღმოგვაჩნდებოდა არჩეულ ასოზე, მაგალითად, „საოცნებოს", ხან პირიქით, ისეთ ძველ და „ღრმა ქართულ" ფორმას გამოვძებნიდით, რომ თითონვე დიდხანს ვიცინოდით თამაშის დამთავრების შემდეგ. მთელი საბა ორბელიანის ლექსიკონი შევისწავლეთ ამ გზით...

მოულოდნელი სიტყვების გამოგონების გარდა აკაკის უყვარდა მოწინააღმდეგის „დამღუპველი" ასოების ამორჩევაც, მაგალითად: ღ, ყ, ძ, ჰ, და სხვა.

— ჰაეზე ვისი ყმა ხარ? მოგვიბრუნდებოდა უეცრად აკაკი. ჰე... ჰი... არ ვიცი!

— საიდან მოდიხარ?—ჰა... ჰაერიდან!—ბიჭოს, ყოჩაღ! გამბეტასავით! ეს კარგია, მოგვიწონებდა აკაკი და თამაშის შემდეგ პარიზის თავდაცვას აგვიწერდა 1871 წლისას.

— სად მიდიხარ?—ჰავლაბარში, ერთხელ მოვიფიქრე მე რაღაც სასწაულით, რომ კვლავ არ წამეგო აკაკისათვის.

აკაკიმ მგონი სამი დღე იხარხარა ამის შემდეგ, ეს „ჰავლაბარი" რამ გათქმევინა, ჩვენი ძველი ისნის ნაცვლად.

ამ თამაშს აკაკიმ კიდევ ერთი დამატება გამოუგონა, რომელმაც ჩვენ ძალიან დაგვაინტერესა: რაიმე შესაფერისი ლექსის თქმა არჩეულ ასოზე დასახელებული ადგილის შესახებ, მაგალითად: მორბის არაგვი, მშვენიერო ქუთაისო, წარვედ მტკვრის პირას, ფულით ვერ ძღება დღეს ფოთი და სხვ. მისთ.

დიდი ეფექტი გამოიწვია აკაკის მიერ ჩვენთვის მთლიანად წაკითხულმა მისმა „მესტვირულმა" გორის შესახებ, გან-ზე თამაშის დროს.

— საიდან მოდიხარ?—გურიიდან:

— საით?—გორში.

გორო, ქართლის შუაგულო,
მეთაურო ქართლისაო...

ასე ვსწავლობდით საქართველოს და ქართულ ენას აკაკის ყოველ ჩამოსვლაზე.

* * *

90-იან წლებში ქუთაისს ორი „მბრძანებელი" ჰყავდა: ლადო მესხიშვილი მისი თეატრით და აკაკი მისი ჩანგითა და ქამანჩით. თავის მხრივ კი მათი მბრძანებელი ქუთაისის ქალთა წრე იყო აკაკის თქმით.

მრავალი საზოგადოებრივ-კულტურული საქმე ჰქონდა ამ წრეს დაწყებული და გაკეთებული, მათ შორის ქართული თეატრის დახმარებაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წრის უფროსი წევრები 70-იან ხლებიდან ეწეოდნენ მოღვაწეობას და ამ თეატრალურ მუშაობაში პირველყოვლისა ალექსი ჭიჭინაძე [1] უნდა დავასახელოთ ლოლა და მაშო ყიფიანის შემდეგ. მან კი კატო და ანასტასია ნიკოლაძეებიც ჩააბა ამ საქმეში. ეს წრე თარგმნიდა და დგამდა კლასიკურ პიესებს. მათ სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე პირველი ქალთა წიგნის გამომცემელი საზოგადოებაც, ისინი ბევრს თარგმნიდნენ უცხოურ მხატვრულ ლიტერატურას.

ჩემ დროს, 90-იანი წლების მეორე ნახევარში, ქალთა წრე ყოველკვირეულად იკრიბებოდა ჩვენსას; დილაობით მარქსის „კაპიტალის" მკითხველთა წრე იკრიბებოდა, გიორგი ზდანოვიჩის ხელმძღვანელობით; საღამოობით კი „მომწყობი" ქალები იყრიდნენ თავს: წარმოდგენების, სხვადასხვა საღამოების, ლექციების, ლატარეების და სხვა მისთ. მოსაწყობად, რისთვისაც ხშირად ნატო გაბუნია და აკაკიც გვესტუმრებოდნენ ტფილისიდან. ამ წრეში ჩვენც გვიყენებდნენ, მე და მამიდების ნათლულს. ხან ძესხიშვილის თეატრში გაგვზავნიდნენ სასწრაფოდ რისიმე შესატყობად, ხან უფრო გვიან, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაში, სადაც მამიდა კატოც შედიოდა.

ყველაზე უკეთ მახსოვს ამ წრის ის პერიოდი, რომელშიაც, მუშებისათვის დაიწყეს იაფფასიანი წარმოდგენების მოწყობა: მამიდამ, მელ. გველესიანმა, ელ. ხელთუფლიშვილმა და სხვებმა.

აკაკის ძალიან უყვარდა ასეთი შეკრებები. ქალთა წრეს კი, რა თქმა უნდა მასზედ კიდევ უფრო უხაროდა თუ მის ჩამოსვლას დაემთხვეოდა მათი მორიგე შეკრება ჩვენსას. აკაკი ხან ლექსს წაუკითხავდა მათ, და ცოტაოდენ ყურადღებას გამოიჩენდა მათ მიმართ. ხან ოხუნჯობით გაამხიარულებდა ყველას, ხან კიდევ იმდროინდელ თავის გატაცებაზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს,—,,ვეფხისტყაოსანზე'', რომლის ირგვლივ იგი იმ დროს ლექციებსაც კითხულობდა.

* * *

ქალებისადმი ტრფიალებაში როგორც აკაკის, ისე მამაჩემს გულუმტკიცობას სწამებდნენ. მათ კი ორივეს ერთი ძალიან იშვიათი თვისება ახასიათებდა ქალთან ურთიერთობაში, რომელიც თითქმის ყველას გამორჩა ყურადღებიდან მაშინ, როდესაც ამ მხარეს დიდი ადგილი ეჭირა ძათ გულში და ცხოვრებაში: ეს იყო ,,ჩერნიშევსკისებური'' მეგობრობა რჩეული ბუნების, გულისა და გონების ქალთან, სიყვარულით სავსე პატივისცემით აღბეჭდილი.

საინტერესოა, რომ ორივე თერგდალეული მეგობარი პირველივე დაბრუნებისას ჰპოვებენ ასეთ მეგობრობას იმ დროის საუკეთესო ქალებთან: აკაკი 16 წლის ანიჩკა ნიკოლაძესთან, მამა კი ჯერ თავის დეიდაშვილთან ოლინკა ხელთუფლიშვილთან, 70-იანი წლებიდან კი ოლგა გურამიშვილთან, (შემდეგ მის მეუღლესთან.)

ანიჩკა ნიკოლაძესთან მეგობრობას, როგორც ჩანს პოეტის მიმოწერიდან ღრმა კვალი ჰქონდა გავლებული აკაკის გულში. კერძო წერილებში პოეტი მას სანუგეშო მეგობარს უწოდებს და ნაზ მოსაფერებელ სიტყვებს: „პატარა ქალ-

[1] ა. ჭიჭინაძე ნიკო ნიკოლაძის უმცროსი დის, ფროსიკოს, ქმარი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონო“ და სხვ. თავის მოგონებებშიც აკაკი არა ერთხელ იხსენიებს იმ დიდ „სულიერ თანაგრძნობას“, რომელიც მას ბაბუაჩვენის ოჯახში უპოვია.

თვით ანიჩკამ-კი, შეიძლება თამამად ითქვას, მთელი თავისი გული და პირადი ცხოვრება შესწირა ამ მეგობრობას,—აკაკის ჩანგსა და პიროვნებას. და შესწირა მისებურად: სრულად და უნაშთოდ; და ისე ჩუმად, ისე გულჩათხრობილად, რომ ეს არავის არ სცოდნია დანამდვილებით, გარდა მის და თვით აკაკისა, რომელმაც თან ჩაიტანა საფლავში ეს საიდუმლო, სრულიად არაჩვეულებრივი მისი განთქმული „მეფისტოფელური“ ხასიათისათვის და მხიარული უნდობლობისათვის ქალის გრძნობების მუდმივობის მიმართ.

საერთოდ ამ ნაზი ქალის გულში ყოველი განცდა ღრმად და სამუდამოდ იმარხებოდა, გარედან სრულიად უხილავი და მიუკარებელი. ამიტომ მის მიერ გამოწვეული გრძნობები მტკიცე და ხანგრძლივი იყო.

შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ მისი გულის პირველივე გამოღვიძებიდან იგი ორი ჩვენი პოეტის ოცნებად ქცეულა: თვით აკაკისა, 1862—63 წლიდან და გიორგი ჭალადიდელისა, 1864—1865 წლიდან. ამ უკანასკნელს თითქმის ყველა ლექსი, პირველიდან („სადაც რომ იყო, მოგძებნი“) ოსმალეთის 1878 წლის ომამდე ამ მის „ან“-სა და „ნარ“-სა აქვს მიძღვნილი. მისი „ფაცხაც“ კი, და ყველას მიერ არანაკლებ ცნობილი “მოგონება“, „მახსოვს პირველად სასწავლებელში“ (1869 წ.):

ჯერ „ანი“ მკითხეს და მერე „ნარი“
მაგრამ ყველაზე ვუთხარ უარი,..

მამაჩემსაც ძალიან მოსწონდა ანიჩკას ეს „მყუდრო“ ხასიათი და მოკრძალებითი მიდგომა ყველაფრისადმი. ამანვე დააახლოვა მამა 60-იან წლებში ანიჩკას განუყრელ მეგობართან ოლინკა ხელთუფლიშვილთან[1], რომელიც ბევრი რამით გავდა ანიჩკას ხასიათით და გულის სიანკარით. ამიტომ მამიჩემის ახალგაზრდული მეგობრობაც მათთან სრულიად განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა. მამას თქმით ამ განწყობილება-ამხანაგობის გამოუთქმელ პოეზიაში დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი მათ, ქართველ სტუდენტების, შეხვედრას ჩერნიშევსკისთან, და მეტადრე ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მის სიახლოვეს გატარებულ ზაფხულს პეტერბურგის მიდამოებში.

ეს იყო 1862 წლის ივნის-ივლისში, როდესაც ჩერნიშევსკი თავისი ცოლით და ცოლის დით (დობროლიუბოვის საცოლოთი) პავლოვსკში ატარებდა ორ თვეს, მამამ და მისმა ამხანაგებმა კი ექვს მანეთად დიდი... სათივე იქირავეს იმავე ვადით მათ ახლომახლოს და ყოველ საღამოს მათთან ერთად ატარებდნენ. იმ ზაფხულში აკაკიც სწვევიათ მათ რამდენიმე დღით...

მამას აზრით, აკაკიზედაც დიდი გავლენა მოუხდენია ჩერნიშევსკის შეხედულებას ქალებზე, როგორც მის რომანებში გამოთქმულს, ისე მისი პირადი გრძნობების მაგალითს, მის ოჯახში არსებულ მშვენიერი ამხანაგური ატმოსფეროთი და განწყობილებით იმ რჩეულ ახალგაზრდობასთან, რომელიც თავს იყრიდა ამ ოჯახში.

---

[1] ო. ხ. ჭალადიდელის ლექსში: „ან“-სა და „ნარს“, “ონ“-სა და „ხ“ანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა რამდენიმე კვირა და რუსეთიდან ახლად დაბრუნებული მეგობრები, აკაკი და ნიკო ნიკოლაძე ისევ რიონისპირას გაჩდნენ, ერთი—ნევის ნაპირებიდან გამოძევებული „ბუნტარი", მეორე კი ,,დინჯად'' სწავლა დამთავრებული ,,კანდიდატი'', როგორც აკაკიმ იცოდა ხუმრობით თავისი თავის დახასიათება იმ პერიოდში.

ჩვენებთან მისვლას ის ასე იგონებდა: სასტუმრო ოთახის კარი გაიღო და შიგ ახლად გაშლილმა ვარდმა შემოანათა,—პატარა, ხაბარდა-კაბიანმა, შავ წარბებ-შეკრულმა ქალბატონმა, რომელმაც მკაცრი, მუნჯი შეკითხვით მიაბჯინა ახლადმოსულს თავისი ვარსკვლავებივით აბრწყინვებული თვალები: აბა გვეჩვენე, რად გაქცია შენმა გასეირნებამ შორეულ პეტერბურგშიო?

ასე გვიამბო აკაკიმ თავისი პირველი შეხვედრა „ქალად ქცეულ'' 16—17 წლის ანიჩკასთან, რომელიც მან 13 წლის ბავშვად დასტოვა წასვლისას.

აქედან იწყება მათი არაჩვეულებრივ-მხურვალე და ნაზი მეგობრობა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი გრძელდება.

რაღაც გამოუთქმელ, უსიტყვოდ გამოწვეულ პატივისცემას უსახავდა გულში ამ ქალის პიროვნება და აშავე დროს განსაკუთრებული მზრუნველობის და თბილი მოპყრობის წადილს.

წინააღმდეგ მამიდა ანიჩკას სურვილისა გ. ჭალადიდელის გატაცება კი ყველასათვის აშკარა შექმნილა როდესაც ,,დროებაში'' და ,,სასოფლო გაზეთში'' დაიბეჭდა მისი ლექსები: ,,ჩემი ანა'', „ნეტარ არს კაცი", „სიზმარი", „ვუძღვნი ა. ნ.", „ვუძღვნი ნ. სკანდელს" და სხვ.

ამავე დროს რამდენიმე მისი ნაბიჯიდან და აგრეთვე ლექსიდანაც ყველასათვის აშკარა ხდება მისი და უფროსი პოეტის, აკაკის ურთიერთობა, უდავოდ გამოწვეული მათი ორივეს გრძნობით ანიჩკას მიმართ. ასეთია ჭალადიდელის „ქეიფი" და „მენავე", წარწერით: ვუძღვნი თავ ა. წ. „ელეგია", „მწერლისადმი", „არავის", „მერცხალი", „ფარვანა" და მისი ცნობილი „მიყვარს ფაცხა მე მეგრული", რომელშიაც იგი თავის თავს და თავის ნიჭს აკაკისას ადარებს.

იმავეს გვიხატავს მისი მიწერ-მოწერა ანიჩკასთან 1870—78 წლებში, რომელიც ანიჩკას გარდაცვალებამდე არავის უნახავს.

აკაკის მეგობრული დამოკიდებულებისათვის ანიჩკა ნიკოლაძესთან დამახასიათებელია პოეტის ერთი საჩუქარი, გიშრის საათი, რომელსაც მამიდა გულიდან არ იშორებდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში და რომელზედაც უკანა მხარეს ამოჭრილია ლამაზი ქართული შრიფტით:

ყრუ—სიმართლისთვის,
სიწმინდისთვის—ბრმა
წყეულიმც იყოს
მისი გულის-თქმა.

აკაკი.

გიშრის საათი სპეციალურად ანიჩკასათვის შეუკვეთია პოეტს და მიძღვნილი უნდა იყოს 70-იან წლებში. აკაკი მას „თილისმა-საათს" უწოდებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ანიჩკა ნიკოლაძე გარდაიცვალა, მის სასთუმალში იპოვეს აკაკისა და ჭალადიდელის წერილების კონა. პოეტის ნაჩუქარი გიშრის საათი კი მის გულს არ მოშორებია მის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე (1931 წ.).

1914 წელს აკაკი სურამში გვესტუმრა ქვიშხეთიდან, სწორედ ომის გამოცხადების დღეებში, და აქაც პოეზიით იყო სავსე მისი და ანიჩკას შეხვედრა,—70 და 75 წლის ორი თმასპეტაკი მოხუცისა; ანიჩკას ძველებური ზრუნვა უკვე ძალიან მოტეხილ მეგობარზე, მათი ბაასი...

ვინ იფიქრებდა, რომ ეს აკაკის უკანასკნელი ზაფხული იყო...

რუსეთში ვიყავი, აკაკი რომ გარდაიცვალა. როგორ მწარედ იფეთქა ამ ამბავმა ჩვენი მოსწავლე თაობის იქაურ კერაში... იმ კაზანის ტაძარში გადავიხადეთ მისი ხსოვნის პანაშვიდი, რომლის კოლონადასთან აინთებოდა ხოლმე რუსეთის სტუდენტობის ყოველი ბრძოლა, დაწყებული თითქმის იმ დღიდანვე, რაც აკაკი პირველად ეწვია ნევის ნაპირებს.

ღრმა თოვლი იდო და მწარედ ჰყინავდა იმ სევდით სავსე გამოთხოვების დღეს. თბილისში კი ცხარე მზე ათბობდა მთაწმინდის კალთებს, რომელსაც ქართველი ხალხი აბარებდა თავის დიდებულ პოეტს... და უკანასკნელი თერგდალეული, მამაჩემი, მას ეთხოვებოდა...

თბილისი, 1940 წელი.

იაკობ ფანცხავა

ჩემი ვოგონება

1895 წლის მაისიდან 1896 წლის თებერვლის ბოლომდე თბილისში ვცხოვრობდი.

ამ ხნის განმავლობაში „კვალის“ რედაქციაში გავიცანი აკაკი წერეთელი. აკაკი იმ ხანად 55 წლის იქნებოდა. ტანით ახოვანი იყო, საშუალოზე უფრო მაღალი, მშვენიერი, ნაკვთიანი და სათნოიანი პირისახე ჰქონდა. იმის პირისახის ნამდვილი მიმტაცებელი იერი, ღია და გახსნილი შუბლი გხიბლავდა, გიახლოვებდა. პოეტის ლაპარაკი მეტისმეტად თბილი და ტკბილი იყო, მისი კილო—საუცხოვო, განუმეორებელი. ეს კილო არც იმერული იყო, არც ქართლური. იგი სრულებით ინდივიდუალური იყო, აკაკის საკუთარი, ნიშნობლივი თვისება იყო. ხმისა, ბგერის ტემბრი მეტი არავისაგან მსმენია. მშვენიერი ქართლური კილო ჰქონდა ვაჟა-ფშაველას, მაგრამ ეს ხომ ქართლური იყო და არა საკუთარი, არა განსაკუთრებული. აკაკის ხმის ტემბრი დაცულია იმ საგრამოფონო ფირფიტაზე, რომელიც აკაკის 50 წლის იუბილეს დროს, 1908—წელში იქნა გადაღებული და რომელიც გადმოგვცემს აკაკის მ თ ა წ მ ი ნ დ ა ს, თუმცა ამ ტემბრს, მოხუცებულობის გამო, წინანდელი ანკარა წკრიალი ძალზე შელახული აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკიმ ტკბილი, მომხიბლავი ბაასი იცოდა. სმენას იგი კი არ გაიძულებდა, არამედ იგი გასმენიებდა, რადგან ყოველი შემთხვევისათვის უამრავი და ნაირნაირი მასალა ჰქონდა. აკი თითონვე ამბობს: ჩემს ქვეყანას კარგად ვიცნობ, კიდით კიდე მომივლიაო". არ შეგეძლო არ მოგესმინა ეს ბაასი, ისე ლაზათიანად, შნოიანად და ნარნარად, თითქოს მღერისო, ახმატკბილებდა აკაკი ამ თავის საუბარს.

ხშირად ბევრისაგან გამიგონია, რომ ბაასის დროს აკაკიმ სიცრუე იცისო. ეს მართალი განცხადება არ არის. რამდენიმე ისეთი შემთხვევა იყო, რომ ამა თუ იმ ფაქტის მოწმე მეც ვიყავი, ხოლო მეც დავსწრებივარ აკაკის იმ დროს, როცა იგი სხვაგან სხვებს ამ ფაქტს მოუთხრობდა. ამიტომ უნდა დავადასტურო, რომ აკაკიმ საუბრის დროს თვით ფაქტის სინამდვილე, ამბავი ცხადად და ნათლად აღნიშნა, მაგრამ ამავე დროს ეს ფაქტი, ეს ამბავი ისეთი ელფერითა და ლამაზი მოხაზულობით გამოთქვა, რომ მსმენელს ეგონებოდა, რომ ესე ყოველი აკაკის მიერ მოგონილი და შეთხზულიაო. მართლაც, ზოგმა მსმენელმა, გაგვშორდა თუ არა აკაკი, სთქვა, რომ აკაკიმ ამ ხანად ჩვეულებრივი გამოგონილი ამბავი მოგვთავაზაო, მაგრამ მე იმათ იმავე წუთში დავუდასტურე ფაქტის სინამდვილე. მათ ხმა ჩაიკმინდეს. აკაკი განგებ კი არ გამოიგონებდა ხოლმე, არამედ ლამაზი მორთულობით და კეკლუცი სამოსელით შეაფერადებდა ხოლმე ამბავს, ფაქტს. ეს კი სიცრუე არ არის. არამედ ნიჭია ყოველი კარგი მობაასისა, ყოველი სასიამოვნო მოსაუბრისა.

ოთხმოციანი წლების მიწურულში, დავით მიქელაძის (მეველე) სიტყვიერი განცხადებისა გამო, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის საზოგადო კრებას აკაკი წერეთლისათვის დაენიშნა ყოველწლიური პენსია იმ რაოდენობით, რომელი რაოდენობითაც იმ ხანად ჯამაგირი ეძლეოდა ბანკის გამგეობის წევრს, ე. ი. 1.500 მან. სწორედ ამიტომაც შემდეგ, როცა პენსიის მიცემის საქმე გამგეობამ გაუძნელა და კიდევაც შეუჩერა პენსიის მიცემა, აკაკიმ დასწერა თავისი მეტად მოსწრებული ლექსი—ინფულენცია, სადაც შემდეგსა ამბობს:

> მე კი გადავრჩი იმ ძველ სენს,
> დანიშნული მაქვს პენცია.
> მაგრამ სანამდი მომცემდენ,
> გამგუდავს უფულენცია.

მართლაც, 1912 წელს მე პირადად ვითავე და გავარკვიე, რომ აკაკის იმ თავიდანვე ამ წლამდე სულ მიეღო არა უმეტეს ხუთისა, თუ ათი ათასი მანეთისა პენსიის ანგარიშში, მიუღებელი კი ქონდა ოცდაათი-ათას მანეთამდე. 1912 წელს მე პირადად ყოველივე დაწვრილებით მოვახსენე ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრებას აკაკის პენსიის ანგარიშის შესახებ და განვაცხადე, რომ საჭიროა და სავალდებულოც, ბანკმა ასეთი პიროვნების წინაშე თავისი ვალდებულება შეასრულოს, მით უფრო რომ ამ ხანად ბანკს ეს მძიმე ტვირთად არ დააწვება, რადგან ბანკის ფინანსიური მდგომარეობა ძალზე გაუმჯობესებულია-მეთქი. საზოგადო კრებამ ჩემი განცხადება მოიწონა და აკაკი დააკმაყოფილა. კრების ამ დადგენილების თანახმად, ბანკის გამგეობამ აკაკის პენსიის ანგარიში გაუსწორა პენსიის დანიშვნის დღიდან. შემდეგ კი, სანამ აკაკი ცოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალი იყო, მას ყოველწლიურად აძლევდა პენსიას 1.500 მანეთის რაოდენობით. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ეს ჩემი განცხადება და მოხსენება მე განვიზრახე, მევე ვიკისრე სრული ჩემი ნებითა და სურვილით, რაც ჩემში გამოწვეული იყო აკაკისადმი უღრმესი პატივისცემით, ჩემთვის ამაზე პირადად არც აკაკის უთხოვნია, არც არავის სხვას.

აკაკის უსაყვედურებდნენ, ზარმაციაო. ეს ყალბი და ცრუ აზრია. ზარმაცი თუ ყოფილიყო, ამდენს, რაც მან დასწერა და ამასთანავე ასე სხვადასხვანაირს საიდან და როგორ-ღა დასწერდა?! აკაკის ყველა ნაწერი სრულად და ცალკე რომ გამოიცეს,—ათი დიდი ტომი მაინც იქნება. ამიტომ ამდენი რაᲑის დამწერი ზარმაცი არც იქნებოდა და ვერც იქნებოდა, ეს ზღაპარია. ზღაპარი კი, უეჭველია, იქიდან არის წარმოდგენილი, რომ აკაკის არც-ერთ ნაწერს ჯაფა, არ ემჩნევა. ამიტომ ეს ნაწერი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ზოგი ადვილად ფიქრობს, ყოველი ეს უშრომოდ, უფიქრებლად არის მონაბერიო. ეს ბრალი აკაკის უნდა მოეხსნას, რადგან დანაშაულობაა იმ ადამიანის წინაშე, რომლისთვისაც ერთად-ერთი ფიქრი და საქმე მთელს თავის სიცოცხლეში იყო სამშობლოსათვის ზრუნვა, თავგანწირვა და შრომა.

აკაკის ენა, აკაკის სტილი და გამოთქმა ისე მსუბუქია, ისე ადვილი და იოლია, რომ უბრალო მკითხველს ჰგონია, ამას მეც დავსწერდიო... მაგრამ ეს მართალი და სწორი აზრი არ არის. ენის ეს სიმსუბუქე და ნარნარობა მკითხველს ხიბლავს, იტაცებს და იგი როდი ამჩნევს, რომ ეს „სუბუქი ფრთით“ მოლივლივე ლექსები აზრით ღრმა და გრძნობით ფაქიზი, მისი შესანიშნავი პოემები, დრამები და პროზაული ნაწერები შექმნილია დიდი ფიქრისა და შემოქმედებითი შრომის შედეგად.

ამ ბრალს სდებდნენ და სდებენ აკაკის მხოლოდ მტრები, შურით შეპყრობილნი ან ისეთები, რომელთაც არ შეუძლიანთ აზრი, გრძნობა შეამჩნიონ ლექსს, თუ იგი გამოთქმული არ არის დიდი ჭიმვით, თუ იგი დაწერილი არ არის ანტონ კათალიკოზის მაღალი სტილით, ე. ი. მძიმე ენით. აკაკის ლექსი კი თავისი სისადავით შეუდარებელი სიტკბოების ნექტარია...

ბევრი უსაყვედურებდა აკაკის, მოჭარბებულად ხმარობს იმერულ გამოთქმებსა და სიტყვებსო. ეს გაუგებრობაა. აკაკი ხმარობს მხოლოდ იმერულ თქმას, იმერულ გამოთქმას და არა ფორმას. აკაკიმ წერის ამ მანერით ენა გაამსუბუქა, გააადვილა და ამ ენას ქართული ერის უმრავლესობა უკვდავების წყაროსავით დაეწაფა. ამ დაწაფებამ წყურვილი არა თუ მოსპო, უფროდაც გააუღრეკა, უფროც მოანატრა მკითხველს ამ ენის სიტკბოება, სინაზე და სინარნარე.

ბოლოს ერთი გარემოებაც უნდა აღვნიშნო. აკაკის თხზულებათა პირველ ტომში, რომელიც გამოცემულია 1893 წელს წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის მიერ, 117 გვერდზე დაბეჭდილია ლექსი: „ჰე, ქ ა რ თ ვ ე ლ ო ა ბ ა მ ი თ ხ ა რ ვ ი ნ ა ხ ა რ!“ ამ ლექსის მეოთხე პწკარში ასე სწერია: „ო რ თ ა შ უ ა ა გ დ ი ხ ა რ, ს ა ნ ა გ ვ ე ლ ა ს ფ ი ნ ა ხ ა რ“. ეს ლექსი ამ გვარადვე არის გადმობეჭდილი აკაკი წერეთლის რჩეულ ნაწერებში, რომელიც ერთ ტომად გამოიცა სახელგამის მიერ 1935 წელს. აქ 39 გვერდზე სწერია, ს ა ნ ა გ ვ ე ლ ა ს ფ ი ნ ა ხ ა რ-ო. ეს სამწუხარო შეცდომაა, იმ თავიდანვე მომხდარი, რადგან უნდა იყოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანაგველას პინა ხარო და არა სანაგველას ფინა ხარო, ვინაიდან ეს უკანასკნელი გამოთქმა უაზრობაა. სანაგველას პინა კი ნიშნავს პინაკს, თუნუქის თხელ, მცირე ფირფიტას, რომელიც მხოლოდ ნაგავის გასატანად, გადასაყრელად ვარგა [1].

ამავე გამოცემაში 33 გვერდზე დაბეჭდილია ლექსი—„შიქასტა" და აქასე სწერია:

„ვით სნეულსა თანაუგრძნობს
მისივე მგზავრი სნეული"

უნდა იყოს კი:

„მისივე მსგავსი სნეული".

ამ გარემოების გამო, ვისურვებ რომ მომავალში, როცა აკაკის თხზულებანი გამოიცემა, მიექცეს კორექტურას მეტი ყურადღება, რომ ასეთი შეცდომები აღარ განმეორდეს, თორემ ეს შეცდომები აზრს აუკუღმართებენ და რყვნიან, მკითხველს კი გზა-კვალს უბნევენ და აკაკის გამოთქმას უკარგავენ მახვილი მოსწრებულობისა, ან ზუსტი გამოკვეთილობის ელფერს.

5 იანვარი, 1940 წ.

პროფ. **მოსე თოდიძე**

როგორ დავხატე აკაკი წერეთელი

ჯერ კიდევ 1893 წელს, როდესაც „კვალი"-ს რედაქციაში ვმუშაობდი, როგორც თვითნასწავლი მხატვარი, ვოცნებობდი აკაკის დახატვას, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცოდი ნატურის ხატვა და ვერ ვბედავდი წინადადების მიცემას. იმ დროს მე უკვე კარგად ვიცნობდი აკაკი წერეთელს. იგი ხშირი სტუმარი იყო „კვალის" რედაქციისა. განსაკუთრებით გვხიბლავდა მისი საუბარი. მოსწრებული სიტყვისა და ხუმრობის ნიჭი ჰქონდა. იუმორით, მწვავე სიმახვილით იცოდა ადამიანის კომიკური მხარეების დახასიათება. სახეზე ნათელი ადგა, ზეშთაგონების იერი ამშვენებდა მის სპეტაკ სახეს, თვალები უციმციმებდა და წარბები რგვლად გადაშლილიყვნენ შუბლზე ისე, რომ თითქო მათ არ შეეძლოთ ერთმანეთს გადახლართოდნენ სიმკაცრის და ბრაზის მიმიკის შესაქმნელად. ტუჩები ისეთი სანდომიანი გრაციით სავსე იყო, რომ მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, არავითარი ნიშნები დაღლილი ორგანიზმისა, სახის მოშლილობისა, არ ემჩნეოდა. ანტიური უკვდავი ქანდაკების შთაბეჭდილებას იძლეოდა.

ჩემი სურვილი აკაკის დახატვისა რაც დრო გადიოდა, მით უფრო მატულობდა და ველოდი ბედნიერ შემთხვევას. 1906 წელს, როდესაც მე უკვე სამხატვრო აკადემია დამთავრებული მქონდა და შემეძლო უკვე ღირსეული პორტრეტის დახატვა, ვპოვე შესაფერი მომენტი; შევიტყე, რომ აკაკი თბილისში

---

[1] სიტყვა პინა. პინაკი ბერძნულია და იგი ნახმარია სახარებაში, ხოლო აქ აღნიშნული მნიშვნელობით იხმარება საჩხერის რაიონში.—**ავტ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ჩამომხტარიყ ერთ ნაცნობთან მთაწმინდაში და პირდაპირ გავემართე ფერადებით და ტილოთი, დილით ადრე, რომ სადმე წასვლა ვერ მოესწრო. ეზოდან ავედი მეორე სართულზე, ძალიან დიდი აივანი იყო და აქ აკაკი ბოლთასა სცემდა, თანაც ეზოს ამწვანებულ ხეებს დასცქეროდა. მაისი იყო, პოეტი ბუნებას ეზიარებოდა. მაგიდაზე ჩაი და საუზმე მოემზადებინათ მასპინძლებს, მაგრამ ის სხვა ფიქრებით იყო გართული. მე დიდი იმედით და სიხარულით ავდიოდი კიბეზე, დამინახა თუ არა, წამოვიდა ჩემსკენ;

— ოო, მოსე! მოსე! რამ მოგიყვანა?—მკითხა და როცა დახედა ჩემს მხატვრულ ხელსაწყოს. მიხვდა და მომეხმარა კიდეც დატვირთულს. მე განუცხადე:

— ასეთ მომენტს არ გავუშვებ ხელიდან. მე არ შემიძლიან აკაკის სახე არ გადავსცე შთამომავლობას! მე არ შემიძლიან ვიყო უსიტყვო, უმოქმედო მოწმე იმისა, რაც მომავალში ქართველი ერისთვის ძვირფას მოგონებად უნდა გახდეს და იმედი მაქვს უარს არ მეტყვით, რომ ერთი საათი დრო ჩემთვის გაიღოთ, მომცეთ ნება თქვენი დახატვისა.

— რა საბუთი მაქვს ასეთ ბედნიერებაზე უარი ვსთქვა?! მიპასუხა პოეტმა—და ხელი მომხვია.

მე ნეტარების ტალღებში ვცურავდი, გული მიცემდა, ხელები მიკანკალებდა, როდესაც შეუდექ ფერადების ყუთის გახსნას, ვშიშობდი რაიმე დაბრკოლებას ხელი არ შეეშალა.

— როგორ გინდა, აქვე აივანზე ხატვა, თუ ოთახში შევიდეთ?

— აქვე, აი მაგიდასთან დაბრძანდით, ისაუზმეთ, ფერიც უფრო მოგემატებათ.

დაჯდა. მე სასწრაფოდ მივსწი-მოვსწიე სკამები, მივაყუდე „პოდრამნიკი“ და შევუდექ დაკვირვებას, მაგრამ დაუძლეველ დაბრკოლებას წავაწყდი—ჰაერი, რომელიც აკაკის ერტყა, რეფლექსებით ქმნიდა კარგ სურათს, მაგრამ იგივე გარემოება ჩრდილავდა პოეტის ზენარულ გამომეტყველებას, რომელიც უფრო კონცენტრაციულ დაკვირვებას მოითხოვდა. უფრო საჭირო იყო, რომ გარემოს სისადავით ხელი შეეწყო აკაკის სახის არსის გამოვლინებისათვის.

— თუ გინდა ოთახში შევიდეთ,—მითხრა აკაკიმ.

— ძალიან კარგი იქნება, ვცადოთ.

შევედით ოთახში, მაგრამ გარედან შესულს უცბად ოთახი ბნელი მეჩვენა და არც ამით დავკმაყოფილდი.

მომივიდა უცბად კარგი აზრი, დამეხატა აკაკი აივანზე, აივნის შიდა კედლის ფონზე, მაგრამ კედელი ბაც-მწვანედ იყო შეღებილი და სრულიად მის სახეს არ შეეფერებოდა. დავიწყე ფონის ძებნა, მივვარდი პალტოს, მაგრამ არ გამოდგა. ნამეტანი მოწყენილი შავი ფერი ჰქონდა. აკაკი ღიმილით უყურებდა ჩემს ფუსფუსს და ბოლოს დარიგება მომცა—ეკითხოთ ჩვენ მასპინძლებს, შეიძლება მათ ჰქონდეთო შესაფერი რამ. დიახ, დიახ!-მეთქი. მივედი და დაუყოვნებლად კარები დაუკაკუნე, გააღეს კარები და, რა მოისმინეს ჩემი თხოვნა, დაიბნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვიცი რა გნებავთ ვერ მიმხვდარვარ,—მითხრა მასპინძლის ლამაზმა ქალიშვილმა.

— მე მინდა ფონად საშუალო, თბილი ფერის რამ მატერია.

— თბილი ფერის? როგორ თბილი ფერის?—ვერ გაიგო მხატვრის ტერმინი. მე ამ დროს დავინახე მისი პალტო, რომლის სატინის სარჩული სწორედ შესაფერი იყო და ავიღე ხელში—აი, ეს კარგი იქნება-მეთქი. ქალმა სიცილით მითხრა:

— ეგ პალტო მე უნდა ჩავიცვა. სხვაგან მივდივარ. აი, თუ შეიძლება, სხვა პალტოები ნახეთ.—გააღო შკაფი, სადაც რამდენიმე ზამთრის პალტო ეკიდა და ერთ მათგანს მშვენიერი ატლასის სარჩული ჰქონდა ყვითელი, მოწაბლისფერო. —აი, რაც მინდა-მეთქი, დავტაცე ხელი და გავიტანე აივანზე, ჩამოვკიდე კედელზე, დავსვი აკაკი, და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე აკაკის სახის გამომეტყველების ას პროცენტიანი გამოვლინება, შევუდექი მუშაობას. აკაკიმ სთხოვა მასპინძელს, არავინ არ მიეღო.

მთელი საათის განმავლობაში სიჩუმე არ დარღვეულა. აკაკის მშვიდი, ნათელი სახე, ხატივით უძრავი, წინ მედგა. მე თავდავიწყებული ვათამაშებდი ფუნჯებს, ვურევდი ერთმანეთში ნაზ ფერებს. სრულიად შეუგნებლად, ინტუიციით ვაზავებდი, უშუალო გრძნობით გატაცებული. ერთი საათის შემდეგ ძირითადად პორტრეტი მზად იყო. აკაკი ცოტა დაიღალა, შეც ფუნჯები დავაწყე და სეანსი შეწყდა. აკაკი აღტაცებაში მოვიდა.

— მე მეშინოდა, მეგონა, ისე დამხატავდი როგორც თანამედროვე მხატვრები ხატავენ, იმდენ ფერადებს აყრიან, რომ კაცი აღარ ჩანს, შენ, კი მეორედ გამაცოცხლე და ეხლა უკვე მეშინიან აღარ გააფუჭო, მითხრა აკაკიმ.

— თქვენ მაგის ფიქრი ნუ გაქვთ, რაც საჭირო და ძნელი იყო, გაკეთებულია და ახლა დამთავრებაზე ვიმუშავებ, ახლა შეგიძლიანთ ისაუბროთ კიდეც, მე აღარ მჭირდება ისეთი მკაცრი პოზიცია. შეიძლება სტუმრებიც შემოუშვათ, მათთან ლაპარაკი უფრო მეტ დამატებით ექსპრესიას მომცემს.

აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მოსულიყო აკაკის სანახავად; მათ შორის ზოგი წასულიყო, ზოგი იცდიდა. შემოვიდა მაღალი ტანის დეკანოზი დავით ღამბაშიძე, რომელიც აკაკის შიესალმა, გადაჰკოცნა და დაუწყო ლაპარაკი დიდი ენერგიით. დაავიწყდა ის, რომ აკაკის ხატავდნენ და შეუწყვეტლად უამბობდა სხვადასხვა ამბებს. ბოლოს შეეხო ვიღაც სხვა სამღვდელო პირს, შენთან ადრე მინდოდა მოსვლა, მაგრამ მომადგა და იმდენი ილაპარაკა, რომ მთელი დღე დამაკარგვინა და დამღალაო.

— ჰოო,—უთხრა აკაკიმ, მე არა მგონია, რომ შენზე მეტს ვინმე ილაპარაკებდა და, თუ შენ დაგღალა, მაშ ძალიან ბევრი ულაპარაკნია... მჯერა, მჯერა, მაგრამ შენ რომ იმან დაგღალა მე რა შუაში ვარ, რომ იმის ჯავრს ჩემზე ყრილობ!—ოანაც სიცილით აკაკი ჩემკენ მოიქცა. დეკანოზმაც გადმომხედა. ამ დროს გამოვიდა მისი შვილი ვახტანგ ღამბაშიძე.—მამა, არ დაგავიწყდეს, თორმეტ საათზე ეგზარხოსთან უნდა იყო, დაბარებული ხარო.

— ჰო, სულ დამავიწყდა! აკაკის ნახვამ გამიტაცა.

— აკაკი რა შუაშია, მე მგონია, შენ უფრო ორატორულმა ნიჭმა გაგიტაცა!—და აკაკიმ კვლავ მე გადმომხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას არ მოიგონებს ეს ნიჭით მომადლებული ადამიანიო,—სთქვა დეკანოზმა აკაკის შესახებ, რომლის ხუმრობას, როგორც ეტყობოდა, შეჩვეული ყოფილიყო და დაუწყო თავის შვილზე ლაპარაკი.

აი ესეც შენი თაყვანისმცემელია, ისეთი ყმაწვილია, როგორიც შენ მოგწონს, უწყინარი, თავაზიანი, პირდაპირ ჭკუის კოლოფია.

აკაკი მიუბრუნდა ახალგაზრდას, უყურა, უყურა და შემდეგ დარიგების კილოთი უთხრა:

სასიამოვნო ამბავია, რომ მამაშენი გაქებს, ისიც კარგია, რომ მამას შენთვის ჭკუის კოლოფიც გადმოუცია, მაგრამ ცარიელი კოლოფი არ იკმარო და ჭკუა თვითონ სხვაგან სადმე ურდა გამოძებნოო.

ყველაფერი ეს იწვევდა არა წყენას, არამედ მხიარულებას. ამ დროს მე ტანსაცმელზე ვანავარდებდი ფუნჯებს, ფონს ვუმარჯვებდი და სულიერი განწყობილება მშვენიერი იყო ჩემიც და აკაკისაც. უკანასკნელად ამოვიდა კიბეზე ერთი ჩასუქებული კაცი, აკაკის ძველი ნაცნობი რვეულით ხელში.

— მინდა ვისარგებლო მომენტით, შენი დაპირების თანახმად მოვიტანე ჩემი შვილის ლექსები და მინდა ნახო, როგორი ნიჭი ეტყობა ჩემს პატარა ბიჭს. მე რომ გადმომხედა, დაუმატა,—ხატავს კიდევაც: სახლებს, ხეებს, ცხენებს და მამლებს.

აკაკიმ რომ დაინახა საკმაოდ დიდი რვეული, ისედაც დაღლილს, შიშის ზარი ეცა, დარიგების კილოთი და ცოტა ხუმრობით უთხრა:

— მე წაკითხვა არ მჭირდება, შენი შვილის პოეტობა ისეც კარგად წარმომიდგენია; და რაც შეეხება მამლების ხატვას, ეგ ჩემი საქმე არ არის, ეგ მოსეს უჩვენე, თუ სადმე ხელში ჩაგივარდეს!

ასეთი მრავალფეროვანი იყვნენ მისი სტუმრები და, როგორც ჩანდა, აკაკიც გარემოებას შესაფერად ეგუებოდა. პორტრეტი დავუტოვე აკაკის, რომელმაც გადამკოცნა და მითხრა—შენისთანა საჩუქარი მე არავისაგან არ მიმიღიაო.

განვლო 33 წელმა და პორტრეტი, რომელიც დაკარგული იყო, წელს ვიპოვე და თვით ვიყიდე ერთი კახელი გლეხისაგან, რომელსაც არ ვიცი, როგორ ჩაუვარდა ხელში.

ARTEM ASNASHAROV

ERTI EPIZODI AKAKIS CHOVREBIDAN

ნამახსოვარი

1883—84 წლის თეატრის სეზონი დრამატიულმა დასმა ქ. თბილისში მაშინდელს, არწრუნისეულ თეატრში გაატარა (სასახლის, აწინდელ კომინტერნის ქუჩაზე). იმ თეატრში, რომელიც დაწვის შემდეგ ორჯერ იქმნა განახლებული, ვიდრე ჩვენამდე მოაღწევდა გრიბოედოვის სახელობის თეატრის სახით. ქართული წარმოდგენა კვირაში ორჯერ იმართებოდა, უმეტესად ოთხშაბათობით და კვირაობით. რადგან კვირის წარმოდგენებს უფრო მდაბიო ხალხი ეტანე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოდა. ამ დღეს წარმოდგენას ჩვეულებრივ თან დივერტისმენტი მოსდევდა ხოლმე, რომლის დროსაც მსახიობები ლექსებსა და სცენებს კითხულობდნენ. მღეროდნენ, ცეკვა იმართებოდა ხოლმე და ცეკვის დროს ზურნა უკრავდა.

ზემოაღნიშნული სეზონის მეორე ნახევარში, ე. ი. 1884 წლის პირველ იანვრიდან მარტამდი ქართული დრამატიული დასის რეჟისორად აკაკი წერეთელი იყო, ხოლო რეჟისორის თანაშემწედ ანუ მაშინდებურად რომ ვთქვათ, სცენარიუსად მე ვიყავი. ჩემს მოვალეობას შეადგენდა წარმოსადგენი პიესის ყოველი მოქმედების შინაარსის შესაფერად მომეწყო სცენა და მსახიობებისათვის სცენაზე გასვლის დრო მენიშნებინა. კვირა-დღეობით, როდესაც პიესის შემდეგ დივერტისმენტი იმართებოდა, აკაკი მონაწილეობას იღებდა და თავის საკუთარ ლექსებს კითხულობდა, რაც საზოგადოებას მოსწონდა და დიდის აღტაცებით ეგებებოდა თავის საყვარელ მგოსანს. იმ დროს აკაკი ცხოვრობდა „პარიზის ნომრებში", რომლებიც მოთავსებული იყო პატარა ორ სართულიან სახლში, ჭავჭავაძის ქუჩისა და რუსთაველის პროსპექტის მარჯვენა კუთხეში, იმ ადგილას, სადაც ამ ჟამად პროფკავშირებია მოთავსებული. ის პატარა ორ სართულიანი სახლი ვინმე ხუნდაძესა ჰქონდა იჯარით აღებული და შიგ ნომრები გამართული. აკაკის ხუნდაძისაგან ამ ნომრებში ერთი ოთახი უსასყიდლოდ ჰქონდა დათმობილი. შემდეგ ის სახლი ბაქოელმა ვაჭარმა არაფელოვმა დაანგრია და დიდი სახლი ააშენა, რომელიც ამ ჟამადაც არსებობს, რუსთაველის პროსპექტიდან იწყება და გრიბოედოვის ქუჩაზე თავდება.

აკაკი ჩვეულებრივ ფრაკით გამოდიოდა ხოლმე სცენაზე. ერთ კვირადღეს, რომდესაც დივერტისმენტში აკაკიც იღებდა მონაწილეობას, საკუთარი ფრაკი არ აღმოაჩნდა. მაშინ ქართულ დრამატიულ დასს შეპირებული ჰყავდა თერძი მარქარა, რომელსაც შეკერილი ტანისამოსის სავაჭრო ჰქონდა იარმუკაში. ეს მარქარა ვალდებული იყო ყოველი წარმოდგენის დღეს შვიდი საათისათვის თეატრში მოეტანა ევროპული ტანისამოსი, რაც კი მსახიობებს სჭირდებოდათ და რასაც შეუკვეთავდნენ რეკვიზიტორის პირით. რეკვიზიტორად იყო ადამ ჩუბინაშვილი, რომელსაც სცოდნოდა, რომ აკაკისათვის სცენაზე გამოსასვლელი ფრაკი იყო საჭირო და მარქარასათვის დაევალებინა, თეატრის ტანსაცმელს ერთი დიდი ზომის ფრაკიც გამოაყოლეო. მართლაც მარქარამ ერთი ფრაკიც მოიტანა, მაგრამ, სამწუხაროდ ახოვან და გოლიათ აკაკისათვის ეს ფრაკი იმდენად პატარა აღმოჩნდა, რომ აკაკის მკლავიც ვერ გაეტია იმის სახელოში და მარქარამაც-კი წუწუნი დაიწყო: მაგოდენა კაცის ფრაკი სად იშოვება, საგანგებოდ უნდა შეიკეროსო. ამგვარად, აკაკი უფრაკოდ დარჩა და იძულებული იყო თავისი სერთუკით გამოსულიყო სცენაზე.

ვიდრე პიესა დამთავრდებოდა, აკაკი მიჯდა იქვე საპირფარეშოში და რიღასიც წერა დაიწყო. საჭიროა გავიხსენოთ, რომ იმ დროს თბილისში ორი გამსესხებელი სალარო არსებობდა, რომელიც ნივთებს იგირავებდა: ბერუჩოვისა აწინდელ კეცხოველის ქუჩის ბოლოში, სასულიერო სემინარიის პირდაპირ, და აკიმოვისა—კუკიაში, კვირაცხოვლის ქუჩაზე.

პიესის წარმოდგენა გათავდა. დივერტისმენტში, როგორც ვთქვი აკაკი თავის შავი სერთუკით გამოვიდა და პირველად შემდეგი ახალი ლექსი წაიკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრალო ჩემი ფრაკი
აკიმოვს აქვს გირაოდ,
მიწდოდა გამომეხსნა
დღეისთვის, საკვირაოდ,
მაგრამ ვერ მოვახერხე,
ჯიბესთან ვარ მწყრალადა,
ვეროც რას შრომით ვშოულობ,
არც მაძლევენ ვალადა,
ჯავრით პირი მიშრება,
სისხლი მოძდის ყელშია,
დამირჩა ჩემი ფრაკი
იმ ურჯულოს ხელშია.
აწ-კი ჭკუას ვისწავლი,
თუ კიდევ შევიკერე,
სულ სხვაგვარად მოვიხმარ.
მიხვდით, რას ვიზამ მერე?
აკიმოვის წვეულებაზე
უთუოდ ხელს ავიღებ
და საკვირაოდ იმ ფრაკს
ბერუჩოვთან წავიღებ.

საზოგადოება ამ ლექსს დიდის აღტაცებით მიეგება და ტაშისკვრა და ვაშას ძახილი დიდხანს არ შეწყვეტილა. ეს ლექსი აკაკის დაბადებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად დაბეჭდილ მის სრულ თხზულებათა პირველ ტომში არ არის მოქცეული, ალბათ, რედაქტორებს ან გამორჩენიათ, ან უთარიღოდ მიაჩნიათ და ამიტომ პირველ ტომში არ მოუქცევიათ. ნამდვილად-კი ეს ლექსი დაწერილია 1884 წლის პირველ იანვრიდან მარტამდე, ერთ-ერთ კვირადღეს, თვე და რიცხვი არ მახსოვს.

ოქტომბერი 1940 წ.

ნ. აზიანი

რამდენიმე შეხვედრა აკაკისთან [1]

აკაკი წერეთლის ნიჭს დიდ პატივსა სცემდნენ და ათაყვანებდნენ არა თუ მარტო ქართველები, არამედ გაქართველებული სომხებიც, რომელნიც ბლომად მოსახლეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: გორსა, სიღნაღსა, თელავსა და ქუთაისში, აგრეთვე სხვაგანაც.

მეტადრე ჩემს სამშობლო გორში განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა დამსახურებული აკაკის. იქაურმა სომხობამ თავისი ენა აღარც კი იცოდა და სულ ქართულად ლაპარაკობდა. მარტო საყდარში თუ გაიგონებდით სომხურ ენას, ისიც წირვა-ლოცვას, ქადაგებით კი მღვდელი ქართულ ენაზე ჰქადაგებდა

[1] მცირე ნაწილი ამ მოგონებისა დაბეჭდილი იყო გაზ. „თემის“ 1915 წ. №206

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტევრმეტყველობით სახელგანთქმული ტერ-სტეფანა რომ საქადაგოდ გადმოდგებოდა და თავის სიტყვას ხშირად შოთას უკვდავი ნაწარმოების ციტატებითაც მოქარგავდა, მის მოსასმენად მოდიოდნენ არა თუ მარტო სომხები, არამედ ქართველებიც.

ჰო და, ამისთანა სომხებში აკაკის მუზას ისეთივე ღრმა სიყვარული და აღტაცება ჰქონდა მოპოვებული, როგორც ქართველებში. ბავშვობიდანვე მსმენია დედაჩემისაგან აკაკის დაუვიწყარი სიმღერები: „იავ-ნანა, ვარდო ნანა", „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია", „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა" და ბევრი კიდევ სხვა...

აქ არ შემიძლიან ერთი სასაცილო ამბავი არ მოუთხრო მკითხველს: დაიწყებდა თუ არა დედა-ჩემი სიმღერას „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია", მეც და ჩემ და-ძმებს თვალებზე ცრემლი მოგვადგებოდა და ბოლოს ბღავილსაც ამოვუშვებდით ხოლმე, როცა შემდეგ სტრიქონებს უსმენდით:

„დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი!
აჰა, ღმერთო, რა უდროოთ დავბერდი,
საფლავისკენ ფეხი გამიშვერია!
. . . . . .
და ღმერთს ვეედრებ: ღმერთო, მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება!"

ჩვენ, გულუბრყვილო ბავშვებმა არც კი ვიცოდით რა იყო სიტყვა „სატიფო", ჩვენ გვეგონა, რომ დედა გვიკვდებოდა და იმიტომ ახსენებდა სიტყვას საფლავს; ვეხვეოდით, ვკოცნიდით და ვეფიცებოდით: დედა, გენაცვალე, აღარ ვიგიჟებთ, ოღონდ შენ იცოცხლე, არ მოკვდე-თქო... ძლივს დაგვაჩუმებდა ხოლმე დედა, მაგრამ ამ ლექსის ფსიქიური ზეგავლენით ისარგებლა დედაჩემმა და, რაძდენიც დებსა და ძმებს ჩხუბი მოგვივიდოდა, ან ვიცელქებდით, იმავე წამს ზემოთ მოყვანილ მწარე ლექსებს იმღერდა... ჩვენ ფიცხლავ ჩავჩუმდებოდით ხოლმე და ერთი-ორი საათით მაინც ისვენებდა საბრალო დედაჩვენი... როცა წამოვიზარდენით, მაშინ შევიგნეთ ამ ლექსის მაღალი ღირსება. დედიჩემისაგან გამიგონია ნაწყვეტები „ვეფხის ტყაოსნისა", მაგრამ შოთას ისე ადვილად ვერ ვითვისებდით, როგორც აკაკის ხალხურ, გასაგებ ენას.

აკაკიმ და ილიამ შემაყვარეს ქართული ლიტერატურა. მახსოვს, გორის პროგიმნაზიაში რომ მიმაბარეს, სომეხ მოწაფეებს გამოგვიცხადეს: ვისაც გსურთ, ქართულ გაკვეთილებზედაც შეგიძლიანთ იაროთო. მე სიხარულით ჩავეწერე ნიკო ლომოურის გაკვეთილებზე და ერთი-ორი წაკითხვით ვიხსომებდი აკაკის მიერ მშვენივრად ნათარგმნ კრილოვის არაკებს.

აკაკის ლექსებს გვაზეპირებდა აგრეთვე სიმღერის მასწავლებელი ს. გოგლიჩიძე და, თუმცა არავითარი მუსიკალური სმენა არ გამაჩნდა, მაინც ჩემი ღრიანცელით—„მე ჩონგური მისთვის მინდა"—გამოყრუებული იყო მთელი ჩვენი სახლი.

წამოვიზარდე. დავიწყე ჯღაბნა. 22—23 წლისა რომ ვიყავ და უკვე ორი ჩემი პიესა „ინჯილერი ან დოხტური" და „ფული და ხარისხი" თბილისის ქართულ თეატრში იდგმოდა,—გადმოვსახლდი გორიდან თბილისში. აქ ვცხოვრობდი მხოლოდ ზამთრობით, ზაფხულობით კი ისევ მშობლებთან ვბრუნდებოდი. თბილისში ვიხილე პირველად „პატარა კახი" და „თამარ ცბიერი" და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიათკეცდა ღრმა სიყვარული და პატივისცემა აკაკისადმი, რომელიც ჯერ თვალითაც არ მენახა და რომლის გაცნობასაც ციურ მანანასებრ მოველოდი. მალე ეს ნატვრა ამისრულდა. მე ამ დროს ვცხოვრობდი ანასტასია თუმახიშვილ-წერეთლის ოჯახში, სადაც თითქმის ყოველ-დღე შემოდიოდნენ ხოლმე სხვადასხვა ქართველი საზოგადო მოღვაწენი და მწერლები. კვირაში ერთხელ ხომ „ჯეჯილი"-ს ირგვლივ მუდამ იმართებოდა საღამოები, რომელსაც ესწრებოდნენ იაკობ გოგებაშვილი, არჩილ ჯორჯაძე და სხ.

ერთ საღამოს, როცა ყველანი ჩაის შევექცეოდით სასადილოში, კარი ვიღამაც შემოაღო დერეფანში; დიასახლისმა ანასტასიამ გაიხედა და სიხარულით წამოძახა: „ო...ო! აკაკი! აკაკი! მობრძანდით! მობრძანდით!".

ისე ამიკანკალდა გული, რომ კინაღამ საბუდარიდან ამომივარდა. კარებში ნელის ნაბიჯით შემოვიდა თვალთწარმტაცი გარეგნობის მოხუცი, მაღალ-მაღალი, წარმოსადეგი ტანი, დაგვირგვინებული ძევსისებურ თავით. მაღალი შუბლი და ტკბილი, მომღიმარე სახე, თოვლივით თეთრი თმა, წვერ-ულვაშებით, ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ, თითქო ოლიმპიელი ჩამოვიდა ჩვენთან, მიწიერებთანაო.

ყველა იქ დამსწრენი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ფეხზე წამოდგნენ და მოწიწებით ეპატიჟებოდნენ: „მობრძანდით", „აი, აქეთ დაბრძანდით"-ო.

აკაკი ძალიან თავდაბალი, გულკეთილი და ზრდილი კაცი იყო, ბევრჯერ გადაჭარბებით თავდაბალი... მიუხედავად ამისა, მას მოქცევაში ემჩნეოდა არისტოკრატიული ჩვევებიც.

აკაკი, როგორც შეეფერება ყოველ დიდებულ პიროვნებას, ცდილობდა, რომ ცხოველ მზესავით, ყველა გაეთბო ირგვლივ, გაეცოცხლებინა, გაემხიარულებინა. როცა მეც გამაბედნიერეს და იმ ჩემთვის დაუვიწყარ საღამოს გამაცნეს დიდებული პოეტი და მოახსენეს — ეს აზიანიაო, — იგი ღიმილით მომიბრუნდა — „ქალო, შენ სანახავად გორში მოვდიოდიო" მითხრა მან.

მე საშინლად გავწითლდი, მთლად ავირიე სიხარულისაგან — (23 — 24 წლისა ვიყავ და დავიჯერე ეს ქათინაური) — მაინც როგორც იყო, მოვახერხე პასუხი: „თქვენ შეიძლება დამცინით, ბ-ნო აკაკი, მაგრამ მე კი მართლაც თქვენს სანახავად თბილისში გიახელით-მეთქი".

მთელი საღამო ყური და თვალი საყვარელ პოეტისკენ მქონდა მიპყრობილი და ვფიქრობდი: ბუნებამ, ალბათ, მარტო შენზე მოიცალა, რომ გონებითაც აგრე უხვად დაგაჯილდოვა-მეთქი.

მართლაც და რა მშვენიერი სანახავი იყო აკაკი, როცა თავისებურად ოხუნჯობას მოჰყვებოდა ნაცნობ-მეგობრებში! ან სავარძელში რომ გადაწვებოდა, ნიბლიასებრ ქუთუთოებს დახრიდა თვალებზე და მოგიყვებოდა უცნაურ ამბებს, რომელთა სინამდვილე არავის სჯეროდა, რადგან იქვე, მსმენელთან, სახელდახელოდ იყო შეთხზული, მაგრამ ეს ამბები ისე უხვად იყო შეზავებული მაღალი პოეზიით და ენამახვილობით, რომ ძალაუნებურად მიჰყვებოდი დიდებულ პოეტს უდაბნო ბილიკებით მის საოცნებო კოშკში.

ეს ნამდვილი პოეტური თვისება აკაკისა ერთხელ (ვგონებ, 1905 წ.) საკარიკატურო მასალად გახადეს ფედერალისტებმა და „ცნობის ფურცელი"-ს ერთერთ დამატების №-ში აკაკი დახატეს პირში სტვირით და ამ სტვირიდან გამომდინარე საპნის ბუშტები, ქვეშ კი წააწერეს: „სიბერის დროსა არ ვარგა საპნის ბუშტების სროლაო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ კარიკატურამ საშინელი გულისწყრომა გამოიწვია, როგორც აკაკისა, ისე მისი თაყვანისმცემლებისა, და ტყვიასებრ წამოვიდა პროტესტები ლექსით და პროზით ფედერალისტების მიმართ. თითონ აკაკიმ, რამდენადაც მახსოვს, ვესლიანი ლექსით უპასუხა „ცნობის ფურცლის“ ერთერთ მთავარ მესვეურს, გიორგი ლასხიშვილს, რის შემდეგ ზემოხსენებული გაზეთის უახლოეს ნომერში მობოდიშებისნაირი ახსნა-განმარტება დაიბეჭდა. თუ არა ვცდები, შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: ევროპაში მიღებულია დიდებული პირების გაკარიკატურება და ეს სულაც არ ლახავს მათ ღირსებასო; ხოლო ჩვენ ჯერ არა ვართ შეჩვეულიო... და სხვა ამისთანები.

აკაკის ქალების საზოგადოება ძალიან უყვარდა, არა თუ მარტო ლამაზი და კოხტა ქალებისა, არამედ ბევრჯერ მახინჯ და უკბილო ბებერ მანდილოსნებშიაც მშვენივრათ გრძნობდა თავს.

გარდა ამისა, ქალებსაც (ბებრებს თუ ახალგაზრდებს) ძალიან უყვარდათ აკაკი, რომელიც ხშირად არც მათ დაცინვას ერიდებოდა, მიუხედავად თავისი განთქმული ზრდილობისა.

ერთხელ, ტასო წერეთელთან რამდენიმე საზოგადო მოღვაწე ქალი შეიკრიფა, მეც იქ ვიყავი. კაცებს შორის იყო დიდებული პოეტიც.

ერთერთმა მანდილოსანმა თავზე ხელი წაივლო და სასოწარკვეთით წამოიძახა: „უ... უხ! რა თავი მტკივა, რა თავი მტკივა!“

აკაკიმ გესლიანად ჩაიცინა და უთხრა: „ნეტა ვიცოდე, რა ისეთი ძვირფასი თავი გტკივათ, რომ ეგრე კვეხულობთ?“ ყველა იქ მყოფს სიცილი აუტყდა. მანდილოსანს ძალიან ეწყინა, მაგრამ აკაკიმ მალე დააშოშმინა და აუხსნა: „რა თავი მტკივა“ კი არ უნდა გეთქვათ, არამედ—რა ძლიერ მტკივა თავიო.

აკაკის ოხუნჯობას დიდი პოპულარობა ჰქონდა ხალხში მოპოებული, ბევრჯერ ისეთ ხუმრობა-შაირების ავტორებათაც კი აცხადებდნენ მას, რაც თვითონ ხალხმა შეთხზა და აკაკის თავის დღეში არ უთქვამს.

აქ ვეცდები გადმოგცეთ ის, რაც მე თითონ მსმენია აკაკისაგან, ან გამიგონია იმ პირებისაგან, რომელნიც ახლო იდგნენ პოეტთან და ღირსნი არიან დავუჯეროთ მათ ნაამბობს. აქვე კი უნდა მოვიბოდიშო, რომ მოხუცებულობის გამო ბევრი რამ დამავიწყდა და ახლა ძალიან ვნანობ, რომ რვეულში არ ვიწერდი აკაკის მოსწრებულ სიტყვებს. მას მე ვხვდებოდი თითქმის ყოველდღე: ჯერ ანასტასია წერეთლის სახლში, სადაც მე დავყევი 3-4 წელიწადი და სადაც პოეტი კვირაში ორჯერ—სამჯერ შემოდიოდა ხან დღისით, ხან საღამოთი. საშინლად უყვარდა ლობიოს შეჭამანდი და დიასახლისს შეუკვეთავდა ხოლმე: „შენმა მზარეულმა ხვალ ლობიო დამიმზადოსო“,

ხშირად ვხვდებოდი პოეტს აგრეთვე დ. ზ. ალდადანოვის ოჯახშიც. აქ კარგა ხანს ვცხოვრობდი. ამ დასახელებულ მანდილოსანთან აკაკის მიწერ-მოწერაც ჰქონდა. ერთერთი წერილი მეც წამიკითხა დარია ზაქარიას ასულმა, როგორც ნიმუში პოეტის ოხუნჯობისა. აქაც ხშირად ჰპატიჟობდნენ პოეტს სადილად, მაგრამ უფრო ხშირად მე ვხედავდი აკაკის მაშინდელ ქართულ თეატრში (ახლა ვოროშილოვის სახელობის კლუბი), ეს იყო 1904 წ. როდესაც პოე-

ტი მიწვეული იყო რეჟისორად, ხოლო თეატრში მე მებარა ბიბლიოთეკა. თეატრს განაგებდა „ქართული დრამატიული საზოგადოება“, რომლის წევრებიდან კარგად მახსოვან: ნ. ქართველიშვილი, სვიმონ კლდიაშვილი, ვასო სულხანიშვილი და ის იყო ახლად ჩამოსული საზღვარგარეთიდან გიორგი დეკანოზიშვილი. ყველანი—განათლებულნი, ხელოვნების კარგი მცოდნენი, უანგარო მუშაკნი და იშვიათი ხასიათის ადამიანები იყვნენ. მიუხედავად ამისა, როცა გიორგი დეკანოზიშვილი—(პროფესიით სამთა-მადნო ინჟინერი)—გააცნეს აკაკის, უკანასკნელი მიუბრუნდა იქ მყოფ ზემოხსენებულ პირებს და ირონიით უთხრა—„ძვირფასი იაგუნდ—ზურმუხტები სხედხართ „დრამატიულ საზოგადოებაში“ და „გორნი“ ინჟინერიც მოგინდებათო. ეგება თქვენისთანა ბრილიანტები კიდევ აღმოაჩინოსო“... ყველას სიცილი წასკდა.

კეთილი გულისა იყო აკაკი, მაგრამ ბევრჯერ შხამიანათაც იკბინებოდა. ერთხელ, ანასტასია წერეთლისას სადილშემდეგ ჩემი სურათი უჩვენეს წიგნში აკაკის. ამ სურათში, მართლაც, ძალიან გაველამაზებინე ფოტოგრაფს. აკაკიმ დახედა სურათს, მერე მე შემომხედა, თავი გადააქნ-გადმოაქნია ეჭვიანად და წამოიძახა: „წადი და ამიერიდან ფოტოგრაფებს დაუჯერეო“. მე საშინლად მეწყინა, სხვები კი სიცილით კვდებოდნენ, რამაც უფრო გამაწიწმატა. მეორე დღეს დიდებულმა პოეტმა ისე გამაბედნიერა, რომ მთლად გამიქარწყლა ჩემი მისდამი სამდურავი. შემოვიდა თუ არა „დრამატიულ საზოგადოების“ კანტორაში, სადაც ბიბლიოთეკაც იყო მოთავსებული, თავის ლექსების კრებული გამომიშვირა და მითხრა: „ჩემ სახსოვრად გქონდეს ესაო“.

ჩემ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, მეტადრე როცა ყდა გადავშალე და აკაკის ხელით წარწერილი ლექსი წავიკითხე:

„მწერალ ქალსა აზიანსა, *)
ნიჭიერს და აზრიანსა,
თანაც დიდათ ბრაზიანსა!
თუ არ არგებს, არც რას აწყენს,
არ მოუტანს მას ზიანსა!“

ეს „აზრიანი“ და „ნიჭიერი“, ისე მიამა, რომ მაჭარივით თავში ამივარდა და „ცა ქუდათ აღარ მიმაჩნდა, დედა-მიწა ქალამნათა“, მაგრამ რაც შეეხება „თანაც დიდათ ბრაზიანსა“, სწორე მოგახსენოთ, არაფრად მეჭაშნიკა, მაგრამ მაინც დიდი მადლობა გადავუხადე.

თითონ მეც მამა-შვილურად მეპყრობოდა და მაქებებდა პიესების წერა განმეგრძო.

აკაკი ბევრჯერ თავის ცოლშვილზედაც ოხუნჯობდა. მისი მეუღლე, შთამომავლობით ბაზილევსკაია, ფაშ-ფაშა ქალი იყო. ერთხელ თურმე, როცა აკაკი თავის მეუღლით ჩასულა ქუთაისში თუ საჩხერეში, იქაურ მცხოვრებლებთ პოეტის პატივსაცემად ზეიმი გაუმართავთ. აკაკის მეუღლეს მიუმართავს ქართველი საზოგადოებისათვის: „Мой муж для вас то-же, что для русских Толстой“,—რაზედაც აკაკის უპასუხნია: „Я-то не Толстой, а вот ты—толстая, это—правда!“

*) ეს ლექსი დაბეჭდილია გაზ. „თემში“ № 206, 8 თებერვ. 1915 წ.
რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ, მახსოვს, ანასტასია წერეთლისას სადილსუკან, სასტუმროში ვისხედით და აკაკის ოხუნჯობას ყურს ვუგდებდით. ამ დროს კარები შემოიღო გარედან და ერთერთი ქართველი მსახიობის მეუღლე შემოვიდა, 7—8 წლის ბავშვით. ყველას მიესალმა და მიმართა აკაკის თხოვნით: ბ-ნო აკაკი, მითხრეს, რომ სადილად აქა ბრძანდებით და გავკადნიერდი და შეგაწუხეთო. ამ კვირია ჩემი ქმრის ბენეფისია და გთხოვთ, ერთი რამ ლექსი დაგვიწეროთ და სცენიდან წაიკითხოთო. ნება რო დაგვრთოთ და თქვენი მონაწილეობა გამოვაცხადოთ გაზეთში, აუარება ხალხი მოვა და ჩვენისთანა გაჭირვებულ არტისტებს ძალიან ეშველებაო. აკაკიმ იმწამსვე თანხმობა გამოუცხადა, პატარა ბავშვს ვერცხლის მანეთიანი აჩუქა და გამოთხოვებისას დაჰპირდა, რომ საბენეფისოდ ახალ ლექსს დაგიწერთო.

საღამოს, ჩაიზე, პოეტმა წაგვიკითხა ფანქრით დაწერილი მშვენიერი ახალი ლექსი, საბენეფისოდ გამზადებული. მთლად აღარ მახსოვს ეს ლექსი, მაგრამ რამდენადაც გონებაში ჩამრჩა, ასე იწყებოდა:

დღეს რომ მეფე ვარ, ხვალ—გმირი".

. . . . . .

და თავდებოდა ასეთი სტრიქონებით:

წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს
შევხარით, როგორც აღდგომას,
რომ მაშინ მაინც ველირსოთ
ჯერზედ ცოლ-შვილის გაძღომას!

— —

ეს სანატრელი ტკბილი დღე
სახელად „ბენეფისია".
მაგრამ ვაი, რომ ხშირათა
სახრავი მაინც სხვისია!

(ბოლო სტრიქონი გულისხმობდა თეატრის ხარჯებს).

ყველა აღტაცებაში მოგვიყვანა ამ ლექსმა. დადგა ბენეფისის დღეც. გაზეთში მოთავსებულმა ანონსმა—„აკაკი ახალ ლექსს წაიკითხავსო"—გასჭრა და იმდენი ხალხი მოიზიდა ქართულ თეატრში (რომელიც მაშინ ცარიელი იყო ხოლმე), რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. იმდენი ხალხი მხოლოდ ისეთ პირველ ხარისხოვან არტისტების ბენეფისზე გროვდებოდა, როგორიც იყვნენ ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ლიზა ჩერქეზიშვილი...

ფარდა აიხადა, გამოჩნდა აკაკი სცენაზე და გაიმართა ისეთი ოვაციები, ისეთი ტაშის ქუხილი, რომ კარგა ხანს ლექსის წაკითხვაც აღარ დააცალეს. მიუხედავად იმისა, რომ ლექსი წაიკითხა ძალიან დაბალი ხმით და ბევრს უკანა რიგებში არც კი ესმოდათ, მაინც საყვარელი პოეტი ისეთი აღტაცებით მიიღეს, გეგონებოდათ მისი ბენეფისია და არა მსახიობისაო.

მახსოვს კიდევ რომ აკაკი ხშირად ემდურებოდა მაშინდელ ცენზორს ჟურულს, რომელიც, მისი სიტყვით, მუსრს ავლებდა მის ნაწერებს.

ერთხელ, როცა დრამატიული საზოგადოების კანტორაში ვიყავი, დიდებული პოეტი შემოვიდა და იქ მყოფთ არტისტ—მწერლებს უამბო აღელვებით: დიდი ჩხუბი მომივიდა ცენზორ ჟურულთან ჩემი ლექსების დამახინჯების გამო და იცით იმან რა მიპასუხაო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა?—ვკითხეთ ჩვენ.

— წადი და საცა გინდა მიჩივლეო!

მეც მივაძახე—ჰაი, თუ გინდა უფრო წინ წაგასკუპონ და ჩინ-ორდენები მოგიმატონ, შე სიმართლის ჯალათო!

აკაკის ძალიან უხაროდა თუ მშობლიური კულტურის ცაზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა ხოლმე. სიტყვით, საქმით, დარიგება-წაქეზებით ცდილობდა პატარა ნაპერწკალიც კი ნაკვერჩხლად ექცია, მაგრამ ძალიან ხშირად ნაღვლიანად იტყოდა ხოლმე: ამა და ამ მწერალმა, ან არტისტმა დიდი იმედები აღმიძრა, ბოლოს კი მოვტყუვდიო: ფშუტყვავილასავათ ლამაზი ფოთლებით თვალი მოგვტაცა, მერე კი უნაყოფო გამოდგა და მალე დაჭკნაო.

დასასრულ აქ მინდა გიამბოთ აკაკის ერთერთი ლექსის ბედ-იღბალზე, რომელიც მან დასწერა 1905 წ.

ერთხელ, ანასტასია წერეთლისას აკაკიმ ამოიღო უბის ჯიბიდან თავისი ხელნაწერი. ზემოხსენებული, ჯერ არსად დაბეჭდილი ლექსი და დაიწყო წუწუნი—ეს დავწერე ამ დღეებში და არ ვიცი, სად დავბეჭდო, ყველანი უარს მეუბნებიანო: სოციალისტ-ფედერალისტები „სოციალ-დემოკრატს“ მეძახიან, ეს უკანასკნელნი კი—„სოციალისტ-ფედერალისტსო“. აღარავინ მწყალობს, აღარავინ მიბეჭდავს ლექსებსაო.

მე ვიცოდი, რომ ეს სიტყვები ჩვეულებრივი პოეტური გადაჭარბება იყო და მოვახსენე:—აბა, გვიბოძეთ ეგ ლექსი და ვნახოთ, როგორი სიხარულით დაბეჭდავენ-მეთქი. მართლაც, აიღო და გადმომცა. მე მაშინ უცბად გორში წასვლა მომიხდა კარგა ხნით. ეს ლექსი თან გამყვა და საწერ მაგიდის უჯრაში ჩამრჩა. მას შემდეგ გავიდა რამდენიმე წელიწადი, ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ შემხვდა უკვდავი აკაკი თბილისში ნაცნობებისას, ქუჩაშიც და მთხოვდა—„მომე ის ლექსი, გადავწერ და დედანს ისევე მოგცემ, მე აღარ მახსოვს ზეპირათო“. მაგრამ რაც ხანი გადიოდა, მე უფრო ძუნწურად ვმალავდი საყვარელ პოეტის ხელნაწერს და არ მემეტებოდა დასაბრუნებლად. ვერ წარმომედგინა, რომ მას აღარ ახსოვდა საკუთარი ლექსი და ვერ განაახლებდა. ბოლოს როგორც იქნა, დავირცხვინე და გორიდან თბილისში წამოვიღე ეს ხელნაწერი ავტორისათვის გადასაცემად. ვიმედოვნებდი: ჩემთან გადასწერს და დედანს ისევ დამიბრუნებს-მეთქი... ბაგრამ აღარ მელირსა მისი ნახვა. ვიხილე მხოლოდ მისი დიდებული დამარხვა, სადაც მთელი ერი ისე გლოვობდა, როგორც დამწვარი დედა დაკარგულ შვილისა! არა თუ მარტო ქართველი ერი, არამედ ყველანი, განურჩევლად ეროვნებისა, ვისაც კი წაუკითხავს ან გაუგონია მისი უკვდავი ნაწარმოებნი. აქ აღარ აგიწერთ, რა ღრმა მწუხარება განვიცადე და როგორ მტანჯავდა სინდისი, რომ დიდებულ პოეტს არ ავუსრულე სურვილი და დროზე არ დავუბრუნე მისი ხელნაწერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიცა ბაგრატიონი-ფერეთლისა

აკაკი

1

აკაკის საშინლად უყვარდა ბანქოს თამაში. მე სულ ვეჩხუბებოდი: რამდენ დროს ჰკარგავთ ამ თამაშში-მეთქი. მიპასუხა—არ შემიძლიან გადავეჩვიო, რადგან დაბადებიდანვე დამყვაო. როდესაც დედა ჩემი ფეხმძიმეთ იყო ჩემზედ, თურმე სულ სალოცავი ოთახის ბუხარში ჩასმულ ორ ლამბაქს უცქეროდა, რომელზედაც დახატულია ბანქოს ქაღალდებიო, ამიტომ დაბადებიდანვე დამყვა ეს სენიო.

რა დღესაც არ ითამაშებდა, ის დღე დღედ არ მიაჩნდა. როცა ჩამოვიდოდა დილა ადრიან საჩხერეში, გზიდან მოგვესალმებოდა და დაგვიძახებდა, ხვალ გნახავთ და ბანქოც დამახვედრეთო. რაღა თქმა უნდა, პარტნიორებს დავახვედრებდით. თამაშში ძალიან ცრუმორწმუნე იყო. თამაშის დროს კატა რომ შემოსულიყო, ისე ეწყინებოდა, რომ მოსაკლავად არ დაზოგავდა, თუმცა ბუნებით ძალიან გულკეთილი კაცი იყო. თუ ვინმე მოუჯდებოდა საყურებლად, მაშინვე გააგდებდა, გლახა ფეხი მომიტანეო.

2

ზაფხულობით ძალიან ხშირად დადიოდა საჩხერეში და ამბობდა: არსად ვწერ ისე სიამოვნებით, როგორც საჩხერეშიო. ერთხელ ჩემთან ჩამოვიდა ჩემი სიძე ვანო მაჩაბელი თავის ოჯახით. ალექსანდრე დიმიტრის-ძე წერეთელმა და ნინო წერეთელმა დაგვპატიჟეს საღამოზე ბაღში, რომელიც აკაკის დედისა იყო. მშვენიერი დიდი კაკლის ქვეშ, მთვარიან ღამეში ვისიამოვნეთ. სალამური დაუკრეს, ჩვენმა მომრიგებელ მოსამართლემ ანაპოდისტე მაჩაბელმა ლეკური ითამაშა სუფრაზე. დალია აკაკის სადღეგრძელო და მოახსენა: სამადლობელს ვეღლით, ექსპრომტსო. რასაკვირველია, ყველამ (140 სული ვიყავით) ტაში დაუკარით. 20 წუთის შემდეგ აკაკიმ წაგვიკითხა: „სანამ ვიყავ ახალგაზრდა". ისეთ აღტაცებაში მოგვიყვანა ყველანი, რომ სტაცეს ხელი და მაღლა აიყვანეს. მარა აკაკის გული ძალიან სუსტი ჰქონდა და ითხოვა, დამსვითო.

3

ქუთაისში რომ იუბილე გავმართეთ, იმ დღეს აკაკიმ ჩვენთან ისადილა. საღამოზე თეატრში უნდა წასულიყო. შემოვიდა ჩემი შვილი,—მისი ნათლული. შემოჰყვნენ ამხანაგები და სავარძლიანად მოიყვანეს ეტლამდე, ხოლო შემდეგ ცხენები გამოუშვეს ეტლიდან და თითონ ყმაწვილები შეებნენ. თავის ნათლულს უთხრა: ამ საფეხურზე დადექიო, ვინიცობაა გადაბრუნდეს, ხელი მტაცეო. საშინელი მშიშარა იყო. თეთრი ხიდი უნდა გაევლოთ და ეშინოდა, რიონში არ გადამჩეხონო. ნათლული ძალიან ღონიერი ყმაწვილი იყო და იმის იმედი ჰქონდა. გზაში თურმე სულ „მამაო ჩვენოს" ლოცულობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4

ერთხელ ელისაბედ წერეთელმა მოაწყო საღამო, სადაც 8 წლის ბავშვმა, ჩემმა შვილმა თამარმა, ბეჟან წერეთლის ქალმა წაიკითხა „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“. აკაკი რომ ყურს უგდებდა ბავშვს, საშინლად აღელდა და ქვითინი დაიწყო. მე ვკითხე, რამ აგაღელვათ აგრე, რომ ატირდით-მეთქი,— იმისთანა გრძნობით წაიკითხაო, რომ ბედნიერება განვიცადე, რომ ამ პატარამ ასე იგრძნო ჩემი გულის ნადებიო, დიდები ასე ვერ წაიკითხავენო. დაუძახა ბავშვს და მოუალერსა.

5

ერთხელ ქუთაისიდან მოვიდა და სიცილით გვიამბო: ლაღიძის წყალსა ვსვამდი კუთხეში და მესმისო ლაპარაკი: ვიღაც სომეხი ეუბნებოდა იმერელს, ჩვენ დიდი პოეტი მოგვიკვდა და დიდის დიდებით დავმარხეთო. იმერელი წამოხტა და უთხრაო: დაიცა აკაკი მოკვდეს, შენ ნახავ რა დიდებით დავმარხოთო. მე გავიფიქრეო, რად მინდა სიკვდილის შემდეგ დიდება-მეთქი.

გელათობის წინა დღეს შემოვიდა ჩვენთან და გვითხრა: წავიდეთ ხვალ გელათშიო, მეორე დღეს კატო ნიკოლაძე, მე ჩემი ქალით და აკაკი წავედით. საღამოზე უკან რომ მოვდიოდით დიდძალი ხალხი ბრუნდებოდა. აკაკი რომ დაინახეს, ყველამ „ვაშას“ ძახილი ასტეხა. ყვავილებს გვიყრიდნენ ფაიტონში; ზოგნი ქუდებს ისროდნენ. აკაკიც სიცილით თავს უკრავდა. ჩამოსვლისას მე უთხარი:—აი, აკაკი, როგორ უყვარხარ ხალხს და შენ კი არა გჯერა-მეთქი. მიპასუხა: თქვენ, ნათლიდედ, მოესწრებით ჩემ სიკვდილს და დაინახავთ, რომ უფრო შემიყვარებენო და მართლაც უდიდესი პატივით დამარხეს დიდებული პოეტი.

6

ერთხელ ცნობილი ოლივერ უორდროპი საჩხერეში ჩამოვიდა ჩვენთან. შევატყობინე აკაკის, როცა იგი მოვიდა ჩემმა პატარა ქალმა უთხრა: ძია, ჩვენთან მოვიდა ერთი კაცი, რომელიც „ინგლიჩურად“ ლაპარაკობსო. ჩვენ სიცილი დავიწყეთ.—ნუ იცინითო, გვითხრა, ბავშვები ყოველთვის სწორე ლაპარაკობენო. საერთოდ, ბავშვები აკაკის ძალიან უყვარდა, დაისვამდა ხოლმე მუხლებზე და ზღაპარს ათქმევინებდა.

7

საერთოდ, აკაკი ზარმაცი იყო, მარა ხანდახან ისე მოუვლიდა სურვილი წერისა, რომ ქაღალდის თამაშიც კი ავიწყდებოდა. ერთხელ ჩემს ქმარს მოუვიდა პატარა ნაფოტი, რომელზედაც ეწერა: ქაღალდი გამითავდა, თავში ბევრი რამ მომდის და მიშველე ბეჟან. მაშინვე ქაღალდი გაუგზავნეთ და მართლაც მთელი კვირა დღე-და-ღამე წერაში იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8

ერთხელ საჩხერეში მოუგვიანდა და ავად გახდა. მე და ჩემი ქმარი ყოველ დღე დავდიოდით სანახავად, ვამშვიდებდით, რომ საშიშო არაფერია. ატირდა და თქვა, მე იმას ვწუხვარო, უამხანაგებოდ ვარო. იმავე საღამოს მივწერე ჩემ სიძეს ვანო მაჩაბელს და ჩამოვიდნენ: ვანო, მიშო მაჩაბელი და გიგო დიასამიძე. დიდათ ისიამოვნა, მთელი დღე მასთან გავატარეთ და თქვა: დღეს დილით რომ გავიღვიძე, მახარობელი პეპელა შემოფრინდა და ვიფიქრე, რამე მესიამოვნება და ამაზედ მეტი სიამოვნებაც რაღა მინდოდაო. თურმე ის პეპელა აკაკის დას ანას დაეჭირა და ოთახში შეეფრინა, რაკი იცოდა, აკაკის კარგად აქვს დაცდილი პეპელას შეფრენაო.

9

თბილისში რომ იუბილე გაუმართეს, მეორე დღეს მოვიდა ჩვენთან და სიცილით გვიამბო: როცა ეტლში ჩავჯექი და შინ მოვდიოდი, მეეტლემ იკითხა, ვისთვის არის ეს დღესასწაული, ქართველები რომ დღესასწაულობენო? მე ვუპასუხე ჩემთვინა-თქო გაიცინა და მიპასუხაო—რა მასხარა ყოფილხარო!

10

ერთხელ ძალიან გვიან გაათავეს ბანქოს თამაში და აკაკი ჩვენთან დარჩა ღამე. მეორე დღეს შუადღისას წამოწოლილი იყო, კარები დახურული ჰქონდა და ღიღინებდა. მე საშინლად გამიკვირდა, რადგან არასდროს მისი სიმღერა არ გამიგონია. მერე ვკითხე რა ამბავი იყო, რომ მღეროდი-მეთქი. მითხრა, არც ერთი ლექსი არ დამიწერია ჩემ დღეში, სანამ არ ვიმღერებო. ჯერ ვიმღერებ და შემდეგ დავწერ, ამისთანა ჩვეულება მაქვსო. ძალიან გამიკვირდა.

11

სცენაზე გამოსვლის წინ, ნასადილევს ყოველთვის წამოწვებოდა, სიჩუმე იყოსო, მოხურავდა კარებს და ხმა მაღლა იმეორებდა თავის ნაწერებს, თან ასწორებდა.

12

ხშირად მაჯავრებდა: ქართლელები ტეტიები ხართ, მოხერხება არა გაქვთ ისეთი, როგორც იმერლებსო. ერთი ქართლელის ოჯახში მივიდნენ საღამოზე სტუმრებიო. მოსამსახურე შევიდა და ხმამაღლა მოახსენა, ჩაი არა გვაქვსო.

იმერლის ოჯახში კი მოსამსახურე მაშინვე მიხვდა, რომ არ ივარგებს პირდაპირ თქმა და მოახსენაო: „შაქარაანთ მაიამ ჩაიარაო“. ბატონიც მაშინვე მიხვდაო. ეს რასაკვირველია, თვით მისივე მოგონილი იყო და შემდეგ ყველგან იმეორებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13

როცა აკაკი უფულოდ იყო, მაშინვე საჩხერეს მოაშურებდა. ძალიან უყვარდა ნარდის თამაში. ისა და ჩემი სიძე ვანო მაჩაბელი ძალიან ხშირად თამაშობდნენ და თან ოხუნჯობდნენ. აკაკის არამც თუ ხანში შესულებთან უყვარდა ბაასი, ახალგაზრდებთანაც დიდი სიამოვნებით ატარებდა დროს. დიდი პურადი კაცი იყო, უსადილოდ არავის გაუშვებდა, თითონაც ძალიან უყვარდა ჭამა.

14

ცოლშვილში მეტად ტკბილი კაცი იყო, ცოლი ძალიან უყვარდა. უკანასკნელ წუთებში, რომ კვდებოდა, შვილი იქ იყო, საჩხერეში და აკაკიმ უთხრა, მას: გადაეცი ნატალიას, რომ მე ყოველთვის მიყვარდაო. ცოლსაც ძალიან უყვარდა, მარა მზრუნველობით აწუხებდა აკაკის. ზაფხულობით რომ მოვიდოდა, პაპანაქება სიცხეში კარებს ჰხურავდა, თბილ საბანში ფუფნიდა, არ გაცივდესო. გაღვიძება რომ დაუგვიანდებოდა აკაკის, ცოლი მოვიდოდა: ქუთუთოებს აუწევდა თურმე, გააღვიძებდა და ეტყოდა, აკაკი, ხომ არ მოკვდიო, სიცილით გვიამბობდა ხოლმე აკაკი თავის ცოლის ლოლიაობას მისდამი.

15

პეტერბურგიდან ჩამოსულმა ჩემმა უფროსმა შვილმა სთხოვა: აკაკის „ვეფხის ტყაოსანი“ წაგვიკითხე და აგვიხსენიო. დაუძახა ანეტა იურკევიჩს და სხვებს და მთელი ორი კვირა უხსნიდა ახალგაზრდებს. საუბედუროდ ის რვეული რევოლუციის დროს დაიკარგა. ძალიან მეგობრად იყვნენ აკაკი და ჩემი შვილები. ლექსებიც დაუწერა, მაგრამ ის ლექსებიც დაიკარგა.

16

ერთხელ აკაკის შვილი შესულიყო ლაღიძის მაღაზიაში, სადაც კედელზედ ყველა მწერლის პორტრეტი იყო გამოკიდული. ხოლო აკაკის პორტრეტი მეორე კედელზედ იყო. შვილმა დაუწყო ძებნა. ეკითხნათ, რა გინდაო.—მამაჩემის აკაკის პორტრეტს ვეძებო. არ დაეჯერებინათ, რომ შვილი იყო და გამოეგდოთო, სიცილით გვიამბო აკაკიმ.

17

თბილისის გუბერნატორად იყო ვინმე რაუში. ამ რაუშმა თურმე ცუდად მოიხსენია ქართველები. გუბერნიის მარშალმა გიორგი ბაგრატიონმა გააგდებინა აქედან. ამაზე აკაკიმ ბევრი იოხუნჯა, როგორც მთავრობაზე, ისე რაუშზე და აკაკი მეტეხის ციხეში დაიჭირეს. ტუსაღებს რომ დაენახათ აკაკი მიჰყავდათ, საშინლად აღელვებულიყვნენ, აკაკის შეპყრობა როგორ შეიძლებაო. 2 საათის შემდეგ გამოუშვეს. იქიდან პირდაპირ ჩვენთან მოვიდა და გვითხრა, ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მალე გამომიშვესო, იქაურობას მაინც გავიცნობდიო. ნასია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვნები იყო დაჭერით. მე ვუთხარი, როგორ ბავშვურად გიხარია-მეთქი.

18

ძალიან ხშირად ამბობდა, გულით მინდა მივანდო ვისმეს ჩემი ნათქვამი შეაგროვოსო. მარა სურვილი სურვილად დარჩა.

19

აკაკის დამ ანამ წამლობა იცოდა, პატრებისაგან ესწავლა. ხალხი ძალიან ბევრი დადიოდა მასთან და სწამდათ მისი მკურნალობა, უხდებოდათ. აკაკი ამაზე ბევრს ოხუნჯობდა. ერთხელ ჩემს ქმარს მოსწერა ანას წამლობაზე ძალიან უწმაწური ოხუნჯობა, ის წერილი მუზეუმს გადავეცით.

20

აკაკი დიდი მეგობარი იყო ჩვენი. თითო კვირაობით იყო ხოლმე ჩვენთან, ამასთანავე ჩემი უმცროსი ვაჟი მისი ნათლული იყო. არამც თუ მარტო საჩხერეში იყო ხოლმე ჩვენსას, ქუთაისშიც თითქმის ყოველ-დღე ჩვენთან სადილობდა. ეკატერინე იაკობის ასულ ნიკოლაძისას იყო ხოლმე ჩამომხტარი. დილით გამოივლიდა და მეტყოდა, დღეს, ნათლიდედ, საცივი მამიმზადეო ღომით. მოვიდოდა, ისადილებდა, გამოიძინებდა, დაიბანდა პირს და გასწევდა. საით აკაკი?—რომ ვკითხავდი—მიპასუხებდა: კლუბისაკენო.

21

საზღვარგარეთ რომ იყო, იქიდანაც გვწერდა. ჩემ ქმარს სწერდა, ძალიან გვიან მომიხდა აქ მოსვლაო. ამ სიბერეში არ ღირსო. პარიზიდამ მოსწერა ჩემ ქმარს საოხუნჯო წერილი.

თამარ, გეფან წერეთლის ასული

აკაკი წერეთელი ჩემს ხსოვნაში.

აკაკი იყო ჩვენი ოჯახის დიდად საყვარელი, შინაური და იმავე დროს უალრესად საპატიო მეგობარი.

ბავშვები აკაკის ძალიან უყვარდა. მე თამარ—თინას მეძახდა და ძალიან მანებივრებდა. ისე წერილს არ მოიწერდა, რომ მე არ მოვეგონებინე. ყოველ ჩამოსვლაზე უეჭველად რამეს ჩამომიტანდა. მქონდა მისგან ჩამოტანილი პატარა წიგნები და სხვა მრავალი საჩუქარი.

ჩვენთან რომ მოვიდოდა, პირველი მე მივეგებებოდი და ჩვენს ეზოზე შემოვლებულ ყორეზე გადმოსვლაში მივეშველებოდი ხოლმე. მოვკიდებდი ფეხში პატარა ხელებს, და გადმოვატანიებდი აქეთა მხარეს. აკაკი გადმოვიდოდა და დინჯად წამოვიდოდა სახლისაკენ. გზა—გზა ახალ ამბებს მოუყვებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ვიყავი, მაგრამ რომ ვხედავდი, როგორი მოწიწებით ეპყრობოდნენ მას უფროსები, მეც ასეთი გრძნობით ვიმსჭვალებოდი მისდამი. ის, რომ ჩვენთან მოვიდოდა, დედაჩემი ქაღალდსა და ფანქარს აიღებდა და ყველა მის ნათქვამს სწერდა (სამწუხაროდ ყველა ეს ჩანაწერები დაიკარგა). ერთხელ აკაკიმ კიდეც უსაყვედურა დედას: „ნათლიდედ, სანამ ქაღალდს და ფანქარს არ გადასდებ, ერთ სიტყვასაც აღარ ვიტყვი“-ო, დედამაც ძალაუნებურად შეასრულა მისი თხოვნა.

ბიძაჩემს არჩილს (ბეჟან წერეთლის ძმა)—ძალიან აწვალებდა და ეხუმრებოდა. ქუთაისში, რომ ჩამოვიდოდა, ხშირად ჩვენთან ჩამოხტებოდა. საღამოთი, თუ ფული ჰქონდა საკმაოდ, კლუბში წავიდოდა და თუ არა სახლში ფრაპს თამაშობდა. ბანქოს თამაშის დროს ძალიან ცრუმორწმუნე იყო. მაგალითად, არასოდეს ქაღალდს არ გაშლიდა, თუ გვერდზე ვინმე ედგა. თუ ჩვენთან არა ცხოვრობდა, დედას ეტყოდა, შენთან სადილად მოვალ, თუ საცივი და ღომი გექნებაო. საჩხერეში რომ უორდროპი გვეწვია, აკაკის შეუთვალეს და გადმოვიდა, პირველად, ჩვეულებისამებრ მე შევხვდი და მივახარე: „ანგლიჩნური“ მოვიდათქო. ეს სიტყვა ძია აკაკის ძალიან მოეწონა და სახლამდის სულ სიცილით მოვიდა.

ყოველ გელათობას აკაკი ჩვენთან ერთად დადიოდა გელათში, ჩაგვისვამდა ეტლში დედას, კატო ნიკოლაძეს და მე და წავიდოდით. ერთხელ დეიდა ტასოც იყო (ივ. მაჩაბლის მეუღლე), ერთ წასვლაზე აკაკის გელათის წინამძღვარმა სადილი გაუმართა. ამ სადილზე ბევრი სიტყვები ითქვა. უკან რომ მოვდიოდით, ეტლს ხალხი შემოეხვია აღტაცებული ჟივილ-ხივილით. მთელი ეტლი ყვავილებით აავსეს. ეტლმა ძლივს გამოაღწია აკაკის თაყვანისმცემელთა შორის.

აი, აკაკი,სულ რომ წუწუნებ, არ მაფასებენ, არ მაფასებენო, აბა ეს რა არის, თუ არ გაფასებენო?—უთხრა დედაჩემმა.

— დაიცა ნათლიდედ, მე რომ მოვკვდები, მაშინ ნახავ ჩემს დაფასებასო?— უპასუხა აკაკიმ.

მისი იუბილეს დროს ქუთაისში აკაკი ჩვენთან ცხოვრობდა. საღამოთი ჩვენ სახლს აუარებელი ხალხი მოაწყდა, ზოგი ჩირაღდნებით იყო მოსული. ჩემმა ძმამ და იმისმა ამხანაგებმა აკაკის ეტლიდან ცხენები გამოუშვეს და თვითონ შეებნენ. ჩემი ძმა ღონიერი ახალგაზრდა იყო და ეტლის ცალი გვერდი არავის დაანება.—ნათლია ჩემია და ამ მხარეს არავის დაუთმობო. მეორე დღეს აკაკი მოუყვა თურმე დედას. კინაღამ გული გამისკდა შიშითაო, ხიდამდე კი ჩემი ნათლულის იმედი მქონდა, მაგრამ ხიდზე რომ შევდექით, იმის იმედიც დამეკარგაო.

მე ბევრი ვიტირე, მაგრამ არა გამოვიდა რა. საიუბილეო საღამოზე არავინ წამიყვანა.

ერთხელ, ქუთაისში საბავშვო დილა იყო, რომელსაც დავით კლდიაშვილი ხელმძღვანელობდა. ლოჟაში აკაკი იჯდა. მე ვკითხულობდი „განთიადს“. შუა კითხვის დროს მომესმა ძია აკაკის ქვითინი. ლექსის კითხვა რომ გავათავე, სცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიდან ამიყვანეს და პირდაპირ აკაკის ლოჟაში გადამსვეს, სადაც გულაჩუყებულმა მოხუცმა გულში ჩამიკრა. თურმე ჩემი ბავშვური გულუბრყვილობით წაკითხულმა, მისმა მშვენიერმა ლექსმა მასზე ასე იმოქმედა. ერთხელ ჩემმა ძმამ დათიკომ და ანეტა იურკევიჩმა გადასწყვიტეს, ეთხოვათ აკაკისათვის, ჩვენთან გადმოსულიყო და აქ ახალგაზრდებთან ერთად, რომლებიც ჩვენთან იყვნენ ჩამოსულნი, წაკითხა და გაერჩია „ვეფხის ტყაოსანი". აკაკი სიამოვნებით დათანხმდა და ეს კითხვაც გაიმართა: მთელი ერთი კვირა გაგრძელდა მისი განხილვა. საუბრის დროს მივუჯდებოდი ფეხთით აკაკის და ვითომც მეც ვიღებდი მონაწილეობას.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს აკაკი ხშირად სწერდა წერილებს ჩემს დედამამას. ერთხელ რაღაც საოცარი წერილი მოუვიდა მამა-ჩემს. მთელი ჩვენი მოგვარეები მოვიდნენ იმ წერილის წასაკითხად. მე სხვა ოთახში გამაგდეს, მაგრამ იქაც კი მესმოდა დამსწრეთა გულიანი ხარხარი.

ვასილ დავითის-ძე წერეთელი

ძია აკაკი

აკაკი იყო ჩემი მკვიდრი ბიძა. მამა ჩემი დავითი—აკაკის უფროსი ძმა იყო. ძია აკაკის მე ბავშვობიდანვე ვიცნობდი. ჩემს მეხსიერებაში არ აღბეჭდილა მისი პირველი ნახვის შთაბეჭდილება, ალბათ იმიტომ, რომ ბავშვობისას მე მას ხშირად ვხედავდი, მიყვარდა მასთან ყოფნა და მისი ლაპარაკის მოსმენა იმ ხანაში, როდესაც მე ჯერ კიდევ სკოლაშიც არ ვიყავი მიბარებული და წერა-კითხვაც კი არ ვიცოდი. არ შემიძლია უარვყო, რომ ჩემზე, ჯერ კიდევ ბავშვზე, ის ახდენდა უდიდეს შთაბეჭდილებას თავისი მომხიბლავი ლაპარაკით და გარეგნობით.

მახსოვს კარგად (დაახლოებით შვიდი წლისა ვიქნებოდი), გადმოასვენეს ნეშტი საქართველოს დიდებული პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომელიც დაკრძალულ იქნა დიდუბეში. როდესაც შინ დაბრუნდნენ ჩემი დედ-მამა და მახლობელი ნათესავები, მათ დაიწყეს საუბარი ნ. ბარათაშვილის შესახებ და ამ დღეს აკაკის, ილიას და სხვა მწერლების მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე. იმ დღიდან მე უკვე ვიცოდი, რომ, აკაკი, ილია და ნ. ბარათაშვილი იყვნენ საქართველოს დიდებული პოეტები.

აკაკის თითქმის ყოველდღე ვხედავდი როგორც ჩვენსას, ისე ახლობელთა ოჯახებშიც. ერთ საღამოს ძია აკაკი იყო ჩვენსა—სხვიტორში (1900—1901 წ.) მაშინ მამაჩემი ცოცხალი იყო. აკაკი კარგ გუნებაზე იყო. დიდხანს საუბრობდნენ ორივე ძმა. საუბრის საგანი იყო გამარუსებელი პოლიტიკა და შავრაზმელი მოქმედება „პოპეჩიტელის" იანოვსკისა და მღვდლის ვოსტორგოვისა. მე გვერდით ვუჯექი და სულგანაბული ვისმენდი ამ ფრიად სერიოზულ საუბარს. აკაკი მომიბრუნდა, შემომხედა, ცხვირზე თითი წამითათუნა და ჩამაცქერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის მიზეზი ის იყო, რომ ჯერ სულ პატარა ვიყავი ასეთი სერიოზული საუბრის მოსმენისათვის, მაგრამ მე არ გამომპარვია არც ერთი სიტყვა მათი და გულში მწარედ მხვდებოდა. იმ დღეს გავიგე, თუ როგორ იდევნებოდა ქართული ენა სკოლებიდან.

მახსოვს, აკაკიმ სთქვა. რომ ქართველი საზოგადოების ერთ-ერთმა წრემ, რომელშიც თვით აკაკიც იყო მონაწილე, გადასწყვიტა დაენიშნათ იანოვსკისათვის ტერორი. ამ აქტის შესრულება მიუნდვიათ ერთი პიროვნებისათვის, მაგრამ მას ვერ განეხორციელებინა გადაწყვეტილება. მასზე აკაკიმ გულდაწყვეტით სთქვა: „იმოქმედა იანოვსკის კაკარდამ-“ო.

ერთხელ ქუთაისში, ბეჟან წერეთლისას (ეს იყო 1905 წ.) აკაკიმ მოიგონა ძველი დრო და ახსენა ერთი გუბერნატორი, ვგონებ თუ არა ვცდები კოლუბიაკინი, რომლის წინააღმდეგაც მან გაილაშქრა საზოგადოებაში. ამ გუბერნატორის წინააღმდეგ ღონისძიებაც კი იყო დასახული. ვიღაცას (დამსწრეთაგანს) მიეტანა ეს ამბავი გუბერნატორისთვის. გუბერნატორი შეხვედრია აკაკის და უთქვამს: „გეტყობა, ჯერ კიდევ გამოუცდელი და ყმაწვილი ხარო“.

ბევრჯერ გამიგონია აკაკისაგან გელათის გაძარცვაზე გუბერნ. ლევაშოვის მიერ, რომელმაც სხვა ძვირფას განძეულთა შორის, წაიღო თურმე თამარ-მეფის ჯვარი, მოჭედილი ძვირფასი თვლებით.

ცხოვრებაში აკაკი ძალიან თავდაბალი იყო. როდესაც მასთან ვინმე მივიდოდა განსაკუთრებული თავაზიანობით მიიღებდა ხოლმე. მახსოვს ერთხელ სადილის შემდეგ აკაკის გლეხი ეწვია. აკაკიმ უბრძანა მზარეულს ქათამი დაეკლა და სტუმარს კარგად გამასპინძლებოდა.

1895 წ. სოფ. კორბოულში ცოფიან ძაღლს დაეკბინა ერთი გლეხი — თევდორე სისვაძე, ძალიან დაახლოვებული ჩვენს ოჯახთან. სისვაძე წამოსულიყო კორბოულიდან სხვიტორში, მამაჩემთან (კორბოულსა და სხვიტორს შუა 17 კილ. მანძილია), მამაჩემს რაკი გაეგო სისვაძის გაჭირვება, მიეცა ფული და გამოესტუმრებინა ჩვენთან თბილისში. მე და ჩემი ძმა როსტომი მაშინ პატარები ვიყავით და თბილისში ვსწავლობდით, დედაც ჩვენთან იყო. დედაჩემს (მარიამ წერეთელს) ბინა ნაქირავები ჰქონდა ვანო მაჩაბლის სახლში. თევდორე ჩამოვიდა ჩვენთან და უამბო დედას თავისი ამბავი, თან წერილიც გადასცა, სადაც მამა სწერდა დედაჩემს, ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა ამ გლეხისათვის. იმ ღამეს ჩვენთან იყო თევდორე, უქეიფოთაც იყო, ღვინოს ველარ ეკარებოდა, ამბობდა „ტანში მაჟიჟინებს და ვაი თუ გავცოფდეო!“ დედასაც შეეშინდა, ბავშები არ დამიკბინოსო, მაგრამ გლეხისთვის კი არ შეუმჩნევინებია. მეორე დილას დედა წავიდა აკაკისთან. სულ მალე მოვიდნენ დედა და აკაკი, ჩაისვეს თევდორე ეტლში და წაიყვანეს საავადმყოფოში. უწამლეს, სანამ სრულიად არ განიკურნა, იქ იყო. შემდეგ წავიდა შინ და ღრმა მოხუცებული გარდაიცვალა კორბოულში 1922 წ.

თევდორეს ბევრჯერ უთქვამს „რა საქმე მიყავით, როგორ მომიარეთ ქალაქში, როგორ გადამარჩინეთ იმ უბედურებასო. დიდებულმა აკაკიმ მომისვა გვერდით, ჩააბარა ჩემი თავი ექიმებს და მისი წყალობით განსაკუთრებული ყურადღებით მექცეოდნენ და მივლიდნენ“-ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ საღამოს ჩვენთან (სხვიტორში) სტუმრები იყვნენ, მათ შორის ძია აკაკიც. 1905 წელი იყო. ჩამოვარდა ლაპარაკი ტერორის შესახებ. იმ დროს ქუთაისში ტერორისტებმა ვიღაც მოჰკლეს. ჩვენი სტუმრები ტერორისტული აქტის შემსრულებელს გულისწყრომით იხსენიებდნენ და ამბობდნენ: „რა მოსაკლავი კაცი ის იყო“: მხოლოდ ერთადერთი აკაკი იყო, რომელსაც არ სწყინდა ეს ამბავი. აკაკიმ აუხსნა დამსწრეებს, რომ მოკლული ღირსი იყო სიკვდილისა, რადგანაც მან მთავრობასთან რევოლუციონერები დააბეზღაო.

1909 წ. მე აკაკის უკვე პარიზში შევხვდი. აკაკი ჩამოსული იყო პარიზში, სადაც მე ვსწავლობდი და დამიბარა. მეც ვესტუმრე. პარიზში ჩემი შეხვედრა უკვე განსხვავებული იყო წინა წლებთან შედარებით. სხვიტორში თუ თბილისში აკაკი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი, მე მას ვუყვარდი როგორც ძმისწული და მექცეოდა როგორც ბავშვს, ხოლო პარიზში შეხვედრისას მე უკვე მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი. ოთხი დღე დავყავი მასთან პარიზში. მეტი დარჩენის დრო არ მქონდა, რადგანაც ინტერეგაციები დაწყებული იყო ინსტიტუტში და მეც საგნები მომზადებული მქონდა. აკაკი მომიყვა საქართველოს ამბებს, მიამბო აგრეთვე თავის დაპატიმრების ამბავი: თბილისის ვიცე-გუბერნატორად დაენიშნათ ვინმე გვარად რაუში. რაუშს ქართველები არ უყვარდა თურმე და ცუდად ახსენებდა მათ. ეს რაუში ერთერთ ლექსში აკაკის თავისებურად გაეკენწლა ორ აზროვნული გამოთქმით: „ამოუსვათ ნიშადური რა უშავს“. ამის გამო აკაკი დაეპატიმრებინათ. საპატიმროში აკაკისთვის ტუსაღებს ოვაციები მოეწყოთ.

1912 წ. ზაფხულს მე საზღვარგარეთიდან ჩამოვედი სამი თვით. აკაკი სხვიტორში დამიხვდა. ამ დღიდან იწყება ჩემი დაახლოვება მასთან, სწორედ იმ ხანად აკაკი რაჭა-ლეჩხუმში იყო მიწვეული, აკაკიმ მეც თან წამიყოლია მოგზაურობაში.

ივლისის შუა რიცხვებში გავემგზავრენით საჩხერიდან ქუთაისს, ხოლო შემდეგ ქუთაისიდან რაჭა-ლეჩხუმისაკენ. მოგზაურობა იყო გრანდიოზული. უამრავი ხალხი, სოფლის წარმომადგენელნი და ახალგაზრდობა ცხენებით ეგებებოდნენ გზა-გზა და აცილებდნენ მოსაზღვრე სოფლამდე. ტრიუმფალური კამარები, საზეიმო ფერხული, ცხენოსანთა „ესკორტები“, მიტინგები, რომელზედაც აკაკი გამოდიოდა სიტყვებით,—მეტად მომხიბლავი და ზღაპრული იყო. იმართებოდა საღამოები, ხალხური ცეკვა—ფერხულით და სიმღერებით. ეს იყო ნამდვილი სახალხო ზეიმი. საგულისხმოა, რომ სწორედ იმ დროს რეაქცია მძვინვარებდა, მაგრამ ხალხი ისეთი აღფრთოვანებული იყო, რომ მრავალრიცხოვანი მიტინგების გამართვას არ უფრთხოდა საყვარელ პოეტის პატივსაცემად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა ონში. ამ მოგზაურობის დროს საყურადღებო საუბრები იმართებოდა. სხვათა შორის ნიკორწმინდაში კანდელაკისას აკაკის შეეკითხნენ შ. რუსთაველზე, ალ. ყაზბეგზე.

ალ. ყაზბეგზე სთქვა: მართალია, ალ. ყაზბეგი ვერ ახდენდა დიდი ტალანტის შთაბეჭდილებას, თვით მის ქცევაში ბევრი თავისებურება იყო, თითქოს ეჭვიც ეპარებოდა ზოგიერთს მისი შესანიშნავი თხზულების ავტორობაშიც-კი, მაგრამ მე თვითონ ვარ მოწმე მისი წერისაო. ჩემი თანდასწრებითაც აქვს დაწერილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბიათურაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი თხზულებების ზოგიერთი ადგილები. წერის დროს ალექსანდრე სულ იცვლებოდა ხოლმე და მისი დაფარული ნიჭი ამ დროს იგრძნობოდაო".

აგვისტოს დასაწყისში დამთავრდა მოგზაურობა და ჩვენც ვბრუნდებოდით მარტონი. ჩამოვარდა ლაპარაკი მწერლის შემოქმედების ხასიათზე. აკაკიმ გვითხრა, რომ როდესაც მას ებადება აზრი ლექსის შექმნისა, იგი ჯერ გონებაში დაამუშავებს და შემდეგ გადაიტანს ქაღალდზე. იმ დროებთ მისი აზრი და გონება გართული იყო რაჭა-ლეჩხუმის მოგზაურობის აღწერით, მართლაც სხვიტორში დაბრუნების შემდეგ გაიარა სულ ცოტა ხანმა და მან წაგვიკითხა დედაჩემს, მე და კ. აბდუშელიშვილს თავისი პოემა „რაჭა-ლეჩხუმი".

ჩემი ზეხედულებით, აკაკი კერძო ცხოვრებაში სუსტი ნებისყოფის პატრონი იყო. პრაქტიკულად რაიმეს განხორციელება მას არ შეეძლო. აკაკი ვერ იქნებოდა მტკიცე ადმინისტრატორი, გამტარებელი და განმახორციელებელი რომელიმე საჭირო საქმისა. თავის ოჯახშიაც ის თითქო სტუმარი იყო. რამდენჯერ ჩემთან ერთად დაუვლია ხოლმე თავისი კარმიდამო. აღფრთოვანებით დაგეგმავდა თავის სამეურნეო საქმეს, მაგ. აქ საყინულე უნდა გავაკეთო, აქ ბაღიო, და სხვა ამისთანები. ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ ამას აკაკი ვერ შეასრულებდა და ეს მხოლოდ ოცნებად დარჩებოდა. პრაქტიკული უნარი არ ჰქონდა.

აკაკის მეტად უყვარდა ბანქოს თამაში და ყოველთვის წაგებული რჩებოდა. იგი ღვინოს სრულებით არ ეტანებოდა. ჩემს სიცოცხლეში მე არ მინახავს აკაკი არამც თუ მთვრალი, ცოტათი შეზარხოშებულიც კი, არც გამიგონია აკაკი ვისმე მთვრალი ენახოს.

აკაკის უანგაროდ უყვარდა თავისი ქვეყანა. საქართველოს ყოველი გასაჭირი მასში დიდ ტკივილებს იწვევდა და თუ რამ განსაცდელი დადგებოდა აკაკი ყოველთვის გაბედულად გამოდიოდა. ავიღოთ სვანების პროცესი. ბევრ სვანს სასტიკი განაჩენი მოელოდა, აკაკი არასდროს ვექილი არ ყოფილა და მას არც აინტერესებდა ვექილობა, მაგრამ მაშინ, სვანების პროცესის დროს, წარსდგა სასამართლოს წინაშე შესანიშნავად, დიდი მჭერმეტყველებით დაასურათა მთელი სვანეთის ვითარება და ის გარემოებაც, რამაც აიძულა სვანები აჯანყებულიყვნენ.

აკაკის უყვარდა ადამიანის შველა, დახმარების გაწევა და მისი კეთილ გზაზე დაყენება. მახსოვს, რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს ერთი ყმაწვილი მშვენიერი სიტყვით გამოვიდა, აკაკიმ გაიგო, რომ მას სწავლა შეწყვეტილი ჰქონდა, ამ ყმაწვილმაც სთხოვა აკაკის შეწევნა. აკაკიმ მოუხერხა და შემდეგ ეს ყმაწვილი უნივერსიტეტშიც კი შევიდა. ეხმარებოდა აკაკი გზადაბნეულებსაც. ვიცი ბევრი მაგალითი, რომ აკაკიმ იხსნა ციხე-კატორღიდან არა ერთი და ორი და შემდეგ ისინი ღირსეული წევრნი გახდნენ საზოგადოებისა.

პარიზში ყოფნის დროს ძია აკაკის ქართველი სტუდენტობა გარს ეხვია. აკაკი კმაყოფილი იყო, რომ ქართველი ახალგაზრდობა საზღვარგარეთ სწავლას ეტანებოდა, რომ ისინი ლაზღანდარობაში არ ჰკარგავდნენ დროს. ზოგი მათგანი ცნობილნიც გახდნენ მაგ. იაკობ ნიკოლაძე, მაშინ სწავლობდა სახელგანთქმულ ფრანგ მოქანდაკე როდენთან. იაკობმა მე იქ მითხრა: „ვგრძნობ, ჩემი შრომა არ დაიკარგებაო". მართლაც, მან ბრწყინვალედ გაამართლა თავისი სიტყვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპუნა ფერეთელი

პოეტის სამშობლო სოფელი

ჩვენს სახლსა და აკაკის სახლს შორის, სხვიტორში, მდინარე გონჯურა ჩამორბის. გამოღმით ჩვენი სახლი იყო, გაღმით გორაკზე კი აკაკისა, ციხის მაგვარი სახლი იდგა და ახლაც დგას. მახსოვს, ბავშვობისას ხშირად გამგზავნიდნენ ხოლმე ამ სახლში. მეც სულ ხტუნვითა და სირბილით მივიჩქაროდი. ანწლითა და ძეძვით მოდებულ ორღობეებში ცოტა არ იყოს შეშინებული მივხტოდი და თანაც გავიძახოდი—,,ქვა მოდის და თხილის ჯოხი, ქვა მოდის და თხილის ჯოხი'', მაგრამ რაკი წყაროს მივაღწევდი, შიში გამიქრებოდა და შურდულივით ავირბენდი ხოლმე აკაკის შეღმართს.

სახლის წინ მუდამ მრავლად იყვნენ ბაბუდა (პაპის და) ანას ,,კლიენტები''. ანას ჰქონდა გაბნეული ექიმის სახელი და არა თუ ახლო მახლო სოფლებიდან, შორიდანაც კი მოდიოდნენ მასთან სამკურნალოდ. აკაკი ხშირად იოხუნჯებდა თურმე ,,საოცარია ეს ჩემი და ანაო, ყველა ავადმყოფობის წამალს ერთსა და იმავე ქილიდან არიგებსო''.

დერეფანში ფუსფუსებდა ტანმორჩილი, მხრებში მოხრილი, შავებში გახვეული ნატალია, ანას მარჯვენა ხელი და მესაიდუმლე (1936 წ. ვნახე აკაკიზე ბევრად უფროსი მოხუცი და გამაოცა მისმა უცვლელობამ). წინა ოთახში კარების პირდაპირ განიერ ტახტზე იწვა ძვალმსხვილი, ლოყებ ღაჟღაჟა და დიდ ღაბაბიანი ბაბუდა ანა, იქვე მიყუდებული იყო მისი ყავარჯენი.

ოთახში უბრალო ავეჯი იდგა. რამდენადაც ჩემს მეხსიერებას შეუძლიან აღადგინოს ის ავეჯი დგას იმ ოთახში ახლაც. მე დიდის მოკრძალებით მივიდოდი, ხელზე ვეამბორებოდი და დაბარებულსაც მოვახსენებდი, თან მოუთმენლად მოველოდი გემრიელი ჩურჩხელის და ტკბილი კვერის მიღებას.

ყოველთვის მოწიწებით შევსცქეროდი ამ მოხუცს, რადგან გაგონილი მქონდა, რომ მან ასწავლა აკაკის წერა-კითხვა. ანას წამლების მარგებლობისა არა ვიცი-რა, მხოლოდ მახსოვს, რომ დიდედა-ჩემს გამოულევლად ჰქოდა მისგან გაკეთებული „ყურსი", რომელსაც ხშირად მაჭმევდა ხოლმე. მშვენიერი რამ იყო ეს „ყურსი", მეტისმეტად არომატიანი და გემრიელი.

აკაკი სოფლის ხალხის იმედი იყო. ყველას უხაროდა მასთან საუბარი და მისი მოსმენა. უფრო ხშირად ძველი გლეხები ესაუბრებოდნენ პოეტს.

აკაკი სხვიტორში ხშირად მოდიოდა, ძალიან უყვარდა თავის სამშობლო სოფელში ყოფნა. სამაგიეროდ, მისი ცოლი იშვიათად გვწყალობდა. მახსოვს ერთ ზაფხულს ჩამოვიდა, თან ჩამოიყვანა მოხდენილი რუსის გოგოები. ეს გოგოები, რომ წყაროზე ჩამოვიდოდნენ მთელი ჩვენი სოფლის ბიჭები იქ შეიყრიდნენ თავს და ულვაშების გრეხით თავს აწონებდნენ.

აკაკის მეგობრის ივანე ელიაშვილის ცოლისაგან გამიგონია:—აკაკის უყვარდა თავისი ცოლი, მაგრამ მის მეტისმეტ მზრუნველობას ვერ იტანდაო.

იმ ზაფხულს აკაკის ცოლი, რომ სოფელს ესტუმრა, კარგი ამინდი იყო. აკაკის და კოტე აბდუშელიშვილს აივანზე ჰქონდათ გაშლილი ლოგინი, ნატალია კი ოთახში იძინებდა. ერთ მშვენიერ ღამეს (მთვარიანი ღამეები ხომ საოცნებოა ამ სოფელში) ნატალიას თურმე ძილი გაუკრთა და დაუძახა აკაკის: „Акакий, Акакий меня блохи кусают!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

—„Ну что я сделаю, дорогая“,—უპასუხა აკაკიმ. ცოტა ხანს იქით კიდევ განმეორდა, კაცო რას ჩამაცივდა ეს ჩემი ცოლი—უთხრა თურმე აკაკიმ კოტეს, რომელი მწევარ-მეძებარი მე ვარ, მაგის რწყილებს დასაჭერად რომ გამოუდგეო. ცოტა ხანს იქით ისევ მოისმა ოთახიდან ძილ-გატეხილი ნატალიას ხმა:

—„Акакий, Акакий, скажи мне шараду“.

—„Что мне тебе сказать, когда ты сама шар ада!“—უპასუხა თურმე აკაკიმ. ეს ოხუნჯობა გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ აკაკის ცოლი დაბალი ტანისა და სიმსუქნისაგან დამრგვალებული იყო.

ამ ზაფხულს ქუთაისიდან ახალგაზრდები ჩამოვიდნენ და პირველ ყოვლისა აკაკის სანახავად წავიდნენ. ყვავილები მოკრიფეს და მშვენიერი თაიგული და სხვა ყვავილებით ხელდამშვენებული წარუდგნენ დიდ პოეტს. აკაკიმ ყვავილები არ მიიღო და სთქვა თურმე: არაფერი დროზე ადრე სიცოცხლე მომსპარი არ მიყვარსო, მაგრამ როდესაც ახალგაზრდობას წყენა შეატყო, მიუბრუნდა იქვე მდგომ ახალგაზრდა ქალს და სთხოვა—ყვავილები ვაზაში ჩაეწყო.

აკაკი მეტისმეტად უბრალო და გულკეთილი კაცი იყო. ძალიან უყვარდა პირუტყვები, მაგრამ ძალიან ჯავრობდა თუ ბანქოს თამაშის დროს კატა გადაურბენდა წინ. ბეჟან წერეთლის ცოლი ნიცა ამბობდა—მაკვირვებდა ასეთი გულკეთილი კაცის ასეთი გაგულისებაო.

რაღა ბანქოს თამაშზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უნდა ვსთქვა, რომ სოფელში ყოფნის დროსაც აკაკი ხშირად თამაშობდა ნარდს, ბანქოს, ლოტოს. ბანქო როგორ არ შემიყვარდებოდაო, უოხუნჯნია აკაკის, ამ ქვეყნად მოველ თუ არა, პირველად კარტი დავინახეო. და მართლაც, იმ ოთახში, სადაც აკაკი დაიბადა და გარდაიცვალა, ერთი ძველი ბუხარია, რომელშიაც ჩაკირულია ორი ფაიფურის ფინჯანი და ამ ფინჯანზე სათამაშო ქაღალდებია დახატული.

ბანქოს აკაკი ოლიმპიური სიმშვიდით თამაშობდა—აუღელვებლად და აუჩქარებლად. მოგება და წაგება მასზე არავითარ გავლენას არ ახდენდა. თვით თამაშის პროცესი კი მეტისმეტად იტაცებდა. ამიტომ იყო, რომ აზარტით გატაცებული ადამიანები გაურბოდნენ მასთან თამაშს.

ფული თუ კი ჰქონდა, არ დაიშურებდა. არასოდეს არ გამიგონია რომ აკაკის ფული ესესხოს და არ დაებრუნებინოს. ივ. ელიაშვილის ცოლმა მიამბო—ერთხელ აკაკი ბაქოში ჩამოვიდა. ფული ძალიან სჭირდებოდა, უშოვეს ეს ფული და ასესხეს, თვით ელიაშვილსაც მიუცია თავის მხრით. სწორედ დანიშნულ ვადაზე ეს ფული პოეტს გადაუხდია, მხოლოდ ელიაშვილის ვალის გადახდა ვერ მოუსწრია, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქაღალდებში ყოფილა ეს თანხა აღნიშნული, როგორც პირველ რიგში გადასახდელი.

აკაკის ერთი საინტერესო თვისება სჭირდა თურმე—ლექსის წერის დროს ხმადაბლა მღეროდა. ერთ დილას, მე და ჩემი ბიძაშვილი ტყეში სანადიროდ მივდიოდით—მიამბო ერთმა ჩემმა ნათესავმა—აკაკის სახლს რომ მივუახლოვდით, მამიდა ანა გამოგვეგება და მიგვიხმო: „ბიჭებო, ღმერთი არ გაგიწყრესთ, თოფი არ ისროლოთ, ბიძია ლექსსა წერს„—„მამიდა! ოღონდ დაგვანახე, ბიძია რომ წერს და სიტყვას გაძლევთ, არა თუ დღეს, მთელ კვირასაც აღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინადირებთო. მამიდამ შეგვიყვანა თავის ოთახში, სადაც ბევრი ფუჩეჩი ეყარა. ბიძია აკაკის ოთახის კარი გამოღებული იყო. ის თმა აბურძგვნილი, აღელვებული დადიოდა ოთახში და ღიღინებდა. ძალიან გაგვაოცა მისმა ღიღინმა, რადგან თავის დღეში მისგან სიმღერა არ გაგვიგონიაო. ჩაიღიღინებდა, შემდეგ ჩამოჯდებოდა, დასწერდა ცოტა რამეს და წაიკითხავდა, შემდეგ კიდევ დაიწყებდა სიარულს და სიმღერას და შემდეგ ისევ ჩამოჯდებოდა და ცოტას დასწერდაო. წერა რომ გაათავა, მთელი ლექსი ჩაიკითხა. ჩვენ ისე გამოვიპარენით ოთახიდან, რომ ვერც კი გაიგოო".

აკაკისთან ყოფნა ყველას უხაროდა. უღარიბესი გლეხის სუფრაზედაც ხშირად სიამოვნებით მოილხენდა ხოლმე პოეტი და თავის ჩვეულ მშვენებას და სიხარულს შეიტანდა მისი ყოველი სიტყვა, როგორც ძვირფასი თვალმარგალიტი, უხვის ხელით იბნეოდა მსმენელთათვის. ამიტომ იყო, რომ აკაკის სტუმრობა ყველასათვის დიდად სასიამოვნო, სასიხარულო და თავმოსაწონი იყო. ყველგან დიდი სიხარულით და მოწიწებით ხვდებოდნენ, თუ სახლში ბავშვები იყვნენ უეჭველად პირველ იმათ შემოაგებებდნენ. ბავშვების დიდი მოყვარული პოეტი სიამოვნებით ისმენდა მათ ტიკტიკს. ბავშვებსაც თავი მოჰქონდათ მით, რომ „ძია აკაკის" ბევრი ლექსები იცოდნენ ზეპირად და თავს იწონებდნენ მის წინაშე.

აკაკი რომ სადმე მივიდოდა, დამსწრე საზოგადოებას ყველა და ყოველი ავიწყდებოდა და ყურადღების ცენტრად, რა თქმა უნდა, აკაკი ხდებოდა. ყველა ცდილობდა მოესმინა მისი ენამზიანი საუბარი, მისი ბრძნული აზრები, მოსწრებული სიტყვა, პოეტური აღმაფრენით სავსე მეტაფორები.

აკაკისადმი თაყვანისცემა და მისი პიროვნებით აღტაცება იმდენად დიდი იყო, რომ კურიოზობამდე მიდიოდა. მახსოვს ერთი ამბავი: პატარა ბიჭი ვიყავი, როდესაც მახლობელ სოფელში წავედით გასვენებაზე. საჩხერეში ერთადერთი გასაქირავებელი ეტლი იყო „ვასილას ფაეტონი", ამ ეტლით აკაკი მიბრძანდებოდა, მე თავმომწონედ ვიყავი წამოსკუპებული მეეტლის კოფოზე. დამხდურები შორს შემოეგებენ დიდ პოეტს. შორიდანვე ისმოდა საშინელი გოდება, მაგრამ მივაღწიეთ თუ არა დიდ ეზოს, ყველაფერი შეწყდა. „აკაკი მობრძანდა, აკაკი მობრძანდა"-ო, გაისმა გარშემო. აკაკის წინ მოეგება ჭირის უფალი, რომელმაც დატირების დროს აკაკის ლექსი წაიკითხა. ეს ამბავი საოცრად ეჩვენება ადამიანს, რომელმაც არ იცის თუ რა განუსაზღვრელი ავტორიტეტი და სიყვარული ჰქონდა აკაკის ხალხში დამსახურებული. აკაკის საოცარი პოეტური ნიჭი, მისი ოლიმპიური გარეგნობა და ენაწყლიანი შთამაგონებელი საუბარი დიდ ოპტიმიზმს ნერგავდა ყოველ ადამიანში.

მაგონდება 1914 წელი. მაშინ მე ქუთაისში ვსწავლობდი. დეკემბრის ბოლოს გავიგეთ აკაკის ავადმყოფობის ამბავი. იმ ოჯახში, სადაც მე ვცხოვრობდი, ხშირად მოდიოდნენ საჩხერლები, საშიში ამბები ჯერ არავის მოჰქონდა. ერთ ხანად აკაკის გაუმჯობესების ამბავიც ჩამოიტანეს. იანვარიც მიიწურა და აი, 26-ს (ძვ. სტილით) გავიგეთ გულსაკლავი ამბავი—აკაკი გარდაიცვალაო.

ერთი თუ ორი დღის შემდეგ ჩემს დიასახლისს მოუვიდა წერილი თხოვნით, გავეგზავნეთ საჩქაროდ საჩხერეში. მეც ჩამაბარეს საჩხერეში მიმავალ ერთ ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათესავს და იმავე ღამით სხვიტორში ვიყავი. მეორე დილით ადრიანად აკაკის სახლში წამიყვანეს. მთელ სახლში და ეზოში არაჩვეულებრივი მისვლა-მოსვლა იყო. მაგრამ ამ ფუსფუსშიაც კაცი დიდ მწუხარებას იგრძნობდა, — იგრძნობდა, რომ აქ ესვენა საქართველოს საამაყო მგოსნის ცხედარი.

ამ დღიდან ყოველ დილა-ადრიან გადავიდოდი ხოლმე აკაკისას და გვიან ღამით ვბრუნდებოდი. კარგი დარები იყო.

დღემუდამ საქართველოს ყოველ კუთხიდან სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები მოდიოდნენ. მთელი ეზო სავსე იყო შორიდან მოსული გლეხობით. სხვიტორის მოსახლეობა ხომ მთლიანად აქ ტრიალებდა.

ჩვენ, პატარა ბავშვები გავრბოდით იქვე ტყეში, ვკრეფდით აქა-იქ გამოჩენილ ტყის მორცხვ ყვავილებს კორჩიოტას, იას და სხვ. და ვაბნევდით აკაკის ცხედრის გარშემო, თან გაფაციცებით ვადევნებდით თვალყურს, რაც ჩვენ გარშემო ხდებოდა, საღამოთი კი სულს ვუწუხებდით შინაურებს გამოკითხვებით.

აკაკის უკანასკნელი ავადმყოფობის ისტორია ასეთია:

აკაკი ქუთაისიდან უქეიფოდ ჩამოსულიყო. ინტენსიურად მუშაობდა თურმე თავის ახალ პოემა „ომზე", რომლის ბედი მას ძალიან აინტერესებდა. 23 დეკემბერს (ძვ. სტილით) კარგ გუნებაზე ყოფილა. თავის დის მოსამსახურე ნატალიასათვის დაუვალებია, წადი და მღვდელა მოახსენე უჩემოდ წირვად არ დადგესო. მეორე დილით დიდ ხანს რომ არ გამოსულა თავის ოთახიდან, მიუკითხავთ და მძიმე ავადმყოფი დახვედრიათ. ამის შემდეგ ის ლოგინიდან აღარ ამდგარა. თავიდანვე დაიჩემა თურმე, მე აღარ მოვრჩებიო. ყველა თავს ევლებოდა, ყველა უვლიდა და ცდილობდა შეემსუბუქებია მისი მდგომარეობა: ყოველ-დღე მოდიოდნენ ექიმები, ნათესავები, მოკეთეები და მეზობლები და ღამეებს, უთევდნენ. ერთ ხანს გაუმჯობესებაც კი დაეტყო თურმე, მაგრამ ეს გაუმჯობესება ხანმოკლე აღმოჩნდა. ჩამოვიდა მისი ვაჟი ალექსი.

ავადმყოფი პოეტი, სხვათა შორის, ინახულა მისმა საყვარელმა მომღერალმა ვარინკა წერეთელმაც (სულიკოს დამმღერებელმა), პოეტმა რამდენჯერმე უთხრა თურმე კოტე აბდუშელიშვილს, წაუკითხეთ ვარინკას ჩემი ახალი ნაწარმოებიო. მაგრამ თხოვნა არ აუსრულეს, რადგან ექიმებისაგან აკრძალული ჰქონდათ მისი აღელვება.

უკანასკნელ ღამეს აკაკის თავს ადგნენ ვაჟიშვილი ალექსი, ექიმი, ანეტა იურკევიჩი, რძალი მარიამი და დედაჩემი ვერა წერეთელი. აკაკის ენა ჩაუვარდა, რაღაცას ლუღლუღებდა, თითს ფანჯრისაკენ იშვერდა. ალექსი ტიროდა. აკაკის რაღაცა უნდოდა მისთვის ეთქვა, ვერ მოახერხა. „Что тебе папа, лампу переставить?" უარის ნიშნად აკაკიმ თავი გააქნია. სწუხდა, რომ არ ესმოდათ მისი. ცოტა ხანს იქით აკაკი მიიცვალა.

ბევრი ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, სად დაემარხათ აკაკი. სოფელი და ნათესავები მოითხოვდნენ აკაკის სურვილის შესრულებას და მის ეზოშივე დამარხვას, მაგრამ სრულიად საქართველოს სურვილმა გადასძლია და გადაწყდა მისი თბილისში დამარხვა.

აი, გათენდა აკაკის თბილისში წასვენების დღეც. რიჟრაჟზე იწყო ხალხმა დენა და ცხედრის გამოსვენებისათვის ეზო და მთელი გზა გაჭედილი იყო. საო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკის და ანა წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარი სიწყნარე და წესიერება სუფევდა. ცხედარი გამოასვენეს. დაიძრა ეს ზღვა ხალხი. წესრიგს თვით ხალხი იცავდა. პოლიციის მოხელეების ჭაჭანიც კი არ-სად იყო. პროცესიას წინ მიუძღოდნენ შავჩოხიანი ცხენოსანი ვაჟკაცები შავი დროშებით. კუბო თითქოს ზღვის ტალღებზე მისცურავდა. ყველას უნდოდა ცოტა ხანს მაინც ეტარებინა ხალხის მესაიდუმლის, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი მგოსნის კუბო. მთელი გზა სამგლოვიაროდ იყო მორთული, სახ-ლებზე სუროს გირლიანდები, ხალიჩები და ზედ შავით მორთული აკაკის პორტ-რეტები, სამგლოვიარო თაღებთან მოწყობილი ტრიბუნები. ყოველ მათგანთან პროცესია ჩერდებოდა და გაისმოდა ორატორების სამგლოვიარო სიტყვები. ორი კილომეტრის გავლას რამდენიმე საათი მოვუნდით, მივაღწიეთ სადგურს, სადაც იდგა სპეციალური მატარებელი. კუბო განსაკუთრებულ ვაგონში დაა-სვენეს. ვაგონები გაივსო გამცილებლებით. ორთქლმავლის უკანასკნელი შეკი-ვლება და აკაკი სამუდამოდ გამოეთხოვა თავის მშობელ კუთხეს.

გზაზე ყველგან სამგლოვიაროდ მორთული სახლები.. ერთი სახლის ღია აივანზე—აკაკის პორტრეტის წინ მთელი ოჯახი: დედაკაცი და მათ წინ ქართუ-ლად გამოწყობილი პატარა ქალ-ვაჟი. აი ჭიათურაც, ბაქანზე აუარებელი ხალხი. უმთავრესად შავი-ქვის მუშები. ზღვა ხალხი მუხლს იყრის ძვირფასი ცხედრის წინაშე. მცირე დაყოვნება, სიტყვები და მატარებელი განაგრძობს გზას. ყვირილის ხეობაში მივარდნილი პატარა სადგურები და ყველგან, თითქოს მწუ-ხარების ნიაღვრისაგან, თავის პატარა სახლებიდან, აქა-იქ მთის წვეროებზე რომ სჩანან, ჩამოტანილი მუხლმოყრილი აუარებელი ხალხი. ყველგან ზამთრის ყვავილები და შავი დროშები. ამ შავი დროშებით სავსეა მატარებლის ყველა ბაქანი. ისინი ქარისაგან ფრიალებენ და ტკაცა-ტკუცი გააქვთ და ეს შავი დროშებით შემკული მატარებელი კიდევ უფრო სევდის აღმძვრელ შთაბეჭდი-ლებას ახდენს. აი, პატარა სადგური ბოსლევიც. აქაც აუარებელი ხალხი. ნარ-მის ორი პატარა შავი დროშა, რომელზედაც გაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი აკაკის პორტრეტი და ქვეშ გულის სიღრმემდე ჩამწვდენი სიტყვები: „შენი სამარე ჩვენი გულია“. ჩავედით შორაპანში. ღამეა. ცხედარი გადააქვთ თბილისის მატარებლის ვაგონში. მთელი ღამე არ შემწყდარა ხალხის დენა. ყველას უნდოდა უკანასკნელი პატივი ეცა ძვირფასი ადამიანისათვის. დილით უკანას-კნელი გამოთხოვება და მატარებელმა საქართველოს გულისაკენ გააქანა იმ ადამიანის ცხედარი, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი დიდად ნაყოფიერი სიცოცხლე თავისი ხალხის სამსახურს შეალია.

კონსტანტინე ნიკოლაძე

მოგონებანი აკაკიზე

აკაკი წერეთელი ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი იყო. მას აკავშირებდა ჩვენს ოჯახთან არა მარტო სიყრმის მეგობრობა ჩემს ძმასთან ცნობილ ნიკო ნიკოლაძესთან, არამედ აგრეთვე მჭიდრო მეგობრული განწყობილება ჩემს დას-თან ანასტასია ნიკოლაძესთან. აკაკი ადრეული ბავშვობიდან მახსოვს. მისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსვლა ჩვენს ოჯახში დიდი სიხარული იყო. დედაჩემი ქართული მწერლობის კარგი მცოდნე—განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა აკაკის. ხოლო აკაკი და ნიკო ხშირად მთელი დღეები საუბრობდნენ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა აკაკის საუბარი ნიკოსთან 1871 წელს ქუთაისში—ჩვენი საზღვარგარეთ წასვლის წინ. აკაკის და ნიკოს საუბრიდან დამამახსოვრდა ერთი მომენტი:

აკაკი უჩიოდა უფულობას, რაც ხელს უშლიდა მის საზღვარგარეთ გამგზავრებას. მე გაკვირვებული დავრჩი: „ნუ თუ აკაკის სურს საზღვარგარეთ წასვლა და უფულობა უშლის ხელს?.. ეს გამოურკვეველი იყო ჩემს ბავშვურ წარმოდგენაში. საზღვარგარეთ (ჯერ ციურიხში და შემდეგ ჟენევაში) მე რამდენიმე წელი დავრჩი და იქაურ კოლეჯში ვსწავლობდი. თითქმის ჩემს თვალწინ გაიარა იმ ხანებში ჩვენი ახალგაზრდობის—„უღელის“ წევრთა ცხოვრებამ. კარგად ვამამახსოვდნენ აგრეთვე რუსი ემიგრანტები: ტკაჩოვი, ბაკუნინი, ელპიდინი, მეჩნიკოვი, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს ახალგაზრდობას. „უღელის“ სხდომებზე მე, როგორც ყველაზე პატარას, ლექსებს მაკითხებდნენ ხოლმე. აი, აქ დავიწყე პირველად აკაკის ლექსების შესწავლა. ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ჩემი დის ოლიმპიადას ქმრის მწერალ გიორგი წერეთლის ჩამოსვლამ, რომელმაც აკაკის ბევრი ლექსი ჩამოიტანა, როგორც მახსოვს, გაზეთიდან ამოჭრილები. ყველა ეს ლექსი გიორგი წერეთელმა დამასწავლა და სათითაოდ მაკითხებდა ხოლმე ხან „უღელის“ სხდომებზე, ხან კი ცალკე შეკრებებზე. როცა საზღვარგარეთიდან დავბრუნდი, აკაკი უკვე მიყვარდა შეგნებული სიყვარულით, როგორც ხალხის დიდი პოეტი. მით უმეტეს, რომ საზღვარგარეთ ჩვენი ახალგაზრდობის გავლენით ჩემში მომწიფდა პატრიოტული გრძნობა. ამიერიდან მე აკაკის ძალიან ხშირად ვხვდებოდი. აკაკი, როგორც ვთქვი, ხშირი სტუმარი იყო ჩვენი ოჯახისა. ჩვენს გარდა ქუთაისში აკაკის ჰყავდა ორი მეგობარი ოჯახი ხელთუფლიშვილებისა და სერგეი ბახტაძისა.

აკაკი გასაოცარი მოსაუბრე ადამიანი იყო. მოხუცი, ჭაბუკი თუ ბავშვი მასთან უცებ ნახულობდა საერთო ენას. ბავშვებთან მაინც აკაკი სულ იცვლებოდა. მათი ტოლი ხდებოდა, მათთან ერთად იცინოდა, დაუზარებლად უამბობდა ამბებს, ზღაპრებს, უკითხავდა და მათაც აკითხებდა ლექსებს.

ბავშვების სახელები სათითაოდ ახსოვდა, თუ გინდ ერთხელაც შეხვედროდა.

დაუვიწყარია აკაკის სახე ქუთაისის ქუჩებში,—ბრგე ტანის, ვეფხვისებური ლამაზი თავით, შეევრცხლილი თმითა და წვერით, მაღალი შუბლით, ოდნავ თავაწეული, იგი ოლიმპიური სიმშვიდით, ნელი ნაბიჯით დადიოდა. პოეტის თვალები და ტკბილი ღიმილი ალერსს აფრქვევდნენ. აკაკიმ შესანიშნავი მისალმება იცოდა, მაგრამ ეკლიან სიტყვასაც არ იშურებდა ხოლმე. აკაკიზე ამბობენ, კაცის მაგინებელი იყოო. ეს მართალი არ არის. მისი დაცინვა ან უქნარა, საზოგადოებრივად უსარგებლო ადამიანებისაკენ იყო მიმართული და მაშინ იგი ძალიან გესლიანი იყო. უმთავრესად კი უნდა ითქვას, აკაკის ლამაზი და მოსწრებული სიტყვისათვის უყვარდა დაცინვა და ამაში უკან არ დაიხევდა თუ გინდ ათასი კაცი გადაკიდებოდა. არა მგონია, რომ აკაკის ისე ძლიერ და გულწრფელად ჰყვარებოდა ვინმე თავის მეგობრებში, როგორც კირილე ლორთქიფანიძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამავე დროს აკაკის დაცინვის ისარი იმდენი არავის მოხვედრია, როგორც კირილეს. ეს უკანასკნელი სიმშვიდით ხვდებოდა აკაკის ყოველ ოხუნჯობას, თითქოს ეს მას არ ეხებოდა. არ გავიდოდა ერთი კვირა, რომ აკაკის ახალი სასაცილო რამ არ მოეგონებინა კირილესთვის. მაგალითად: კირილე აიაზმის წყლით იბანს წვერებს ყოველ დღე და იმიტომ არის ასე სპეტაკიო, კირილეს საპირფარეშოსთვის სპეციალური შარვალი შეუკერავსო. ეს ენამახვილობა გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ კირილე ლორთქიფანიძის არაჩვეულებრივ სისუფთავის მოყვარულობას.

ერთხელ, მახსოვს საღამოს გვესტუმრნენ აკაკი, კირილე და სერგეი ბახტაძე: აკაკიმ შემოსვლისთანავე მოგვაძახა: სადილად უნდა გხლებოდით დღეს, მაგრამ კირილემ სამ საათზე წვერების ბანა რომ დაიწყო, ეხლა გაათავაო. აკაკი ოხუნჯობამ საერთო სიცილი გამოიწვია.

არ იყო თემა, რომელზედაც აკაკის მომხიბვლელი და საინტერესო საუბარი არ გაება. ჩემს ძმას ნიკოს მასთან საუბარი ძალიან უყვარდა. მოიგონებდნენ ხოლმე წარსულს, სტუდენტობის დღეებს პეტერბურგში. ერთხელ მოიგონეს, თუ როგორ შეჰყარეს ღუმელში მათ, აივანზე გამოჩენილ ჟანდარმის შიშით, აკრძალული წიგნები. მათ ბედზე ჟანდარმი სხვა ბინაზე შესულიყო. როცა წიგნები უკან გამოიღეს, გამორკვეულა, რომ ღუმელში დაბნეულობით ლეგალური წიგნები შეეყარათ. მათი მეგობრული საუბარი ხშირად ცხარე კამათში გადადიოდა. უყვარდათ კამათი პოლიტიკაზე. აკაკი აუცილებლად ლექსს ან ანდაზას გამოურევდა საუბარში. ანდაზა და გამოცანა მისი საუბრის დამახასიათებელი ელემენტი იყო.

აკაკი დიდად აფასებდა ნიკოს აზრს და განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა მას, ნიკო ხომ გატაცებული თაყვანისმცემელი იყო აკაკის პოეტური ნიჭისა. მას პუშკინს ადარებდა, ილიაზე მაღლა აყენებდა, როგორც მგოსანს, მაგრამ არ მოსწონდა აკაკის ზოგიერთი პირადი თვისება, განსაკუთრებით აჩქარებულობა და ბანქოს თამაში.

ნიკო ევროპული რეჟიმის კაცი იყო და ბანქოში ამდენი დროს გაცდენა დიდ დანაშაულად მიაჩნდა. ქუთაისი აკაკის გარეშე ძნელი წარმოსადგენი იყო. როდესაც ქუთაისში აკაკი არ იყო, თითქოს ქალაქი კვდებოდა. საკმაო იყო აკაკის ჩამოსვლა და მისი ლექსები, მოსწრებული სიტყვები ახმაურებდა და ახალისებდა მთელ საზოგადოებას.

ვარინკა წერეთელი

„სულიკოს" ავტორი ჩემს ხსოვნაში

დაახლოებით 45 წლის წინათ აკაკიმ მიძღვნა ლექსი „სულიკო" და მითხრა,—შენებურად ხმა გამოუძებნე და იმღერეო. დიდი მგოსნის შეკვეთამ, რა თქმა უნდა, საგონებელში ჩამაგდო. ლექსის მომხიბლავმა სილამაზემ ჩემში ოთვალავი მუსიკალური სახეები აღძრა. ერთ მშვენიერ დღეს გეტაერს აკომპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმენტზე სრულიად მოულოდნელად ჩამოყალიბდა „სულიკოს“ მელოდია. როდესაც აკაკიმ ეს მელოდია პირველად გაიგონა, დიდად ნასიამოვნები დარჩა, მამღერა მრავალჯერ, შემდეგ თავისი პორტრეტი მაჩუქა წარწერით: „ჩემს საყვარელ ბულბულს, სულიკო-ვარინკას აკაკისაგან“.

ერთხელ სილამაზით განთქმულ ნინო წერეთლის ქალს წვეულება ჰქონდა. მეც იქ ვიყავი. წვეულების მთავარი მიზეზი იყო აკაკი და, სხვათა შორის, დაღესტნის ცნობილი მმართველი ნიკო ჭავჭავაძე. მამღერეს. მსმენელები კმაყოფილი დარჩნენ. აკაკი მიუახლოვდა ნიკო ჭავჭავაძეს და თავისებური კილოთი უთხრა: „ნიკო, ისე უყურებ ვარინკას, რომ ნამდვილად მის გადაყლაპვას აპირებ, მაგრამ ვერ მოგართვეს!—დაღესტანი გადაყლაპე, ეს კი ყელზე დაგადგებაო“.

მახსოვს ვანო მაჩაბელმა აკაკის პირით შემომითვალა,—წვეულება მაქვს და მეწვიეო. სტუმრად ჰყავდა ვიღაც გამოჩენილი რუსები. მოიტანეს ფონოგრაფი და აკაკის ლექსები ჩამამღერებინეს. ნეტავ სად არის ახლა ეს ჩანაწერები?

ქუთაისში, ერთ ჩემს ახლობელ ოჯახს წვეულება ჰქონდა. საპატიო სტუმრებს შორის აკაკიც იყო. გაისმა ზარის წკარუნი და ცოტა ხნის შემდეგ სასტუმრო დარბაზში შემოვიდა თავისი სილამაზით განთქმული ბაბალე ნაკაშიძე-კვირკველია. პოეტი ღიმილით მიეგება მშვენიერ ბაბალეს. შემდეგ მასთან ერთად, ასეთივე მომღიმარი სახით, ჩემთან მოვიდა და მთხოვა „სულიკო“ მემღერა. უარის თქმა შეუძლებელი იყო და მეც უმალ შევასრულე თხოვნა. ტაშის-ცემამ და მოწონების შეძახილებმა უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო, მაგრამ ჩემი უხერხული მდგომარეობა გაორკეცდა, როდესაც აკაკიმ ხელი მომხვია, საზოგადოებას მიმართა და სთქვა: „ბატონებო, ბაბალეს თავი რომ ვარინკას დაადგა, წარმოიდგინეთ, რამდენ ბოროტებას ჩაიდენდაო“.

—

დაიწყო მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევნები. ქიათურაში, სხვათაშორის, პოეტის მომხრეებმა წამოაყენეს აკაკის კანდიდატურა. დაუდგეს საარჩევნო ყუთი, აკაკის მოწინააღმდეგე პარტიამ აკაკი გააშავა, რამაც პოეტი მეტად შეაწუხა.

სწორედ ამ დროს აკაკის მოუვიდა ქუთაისიდან მოწვევის ბარათი, სადაც პოეტს სთხოვდნენ ჩასულიყო ქუთაისს და ენახა მისი რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის კინო-სურათი. იმ დღეს მეც ქუთაისს მივდიოდი ზესტაფონიდან და ვაგონში აკაკის შევხვდი. წინადადება მომცა მასთან ერთად წავსულიყავი კინო-სურათის სანახავად. მეც სიამოვნებით დავეთანხმე. რიონზე პოეტს დელეგაცია მიეგება. საღამოს უკვე კინო-თეატრის ლოჟაში ვისხედით. სურათმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე ჩემის თვალით ვხედავდი, თუ რა სიყვარულით ხვდებოდა ხალხი მხცოვან პოეტს, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვების ფერხულმა, თაიგულებით ხელში. მე არასოდეს არ მინახავს აკაკი ასეთი ბედნიერი სახით. ის იდგა, როგორც ერის მოძღვარი, ხალხი—მოხუცი თუ ახალგაზრდა ფიანდაზად ეფინებოდა ფეხქვეშ. ამ სურათმა უზომოდ ამაღელვა. ვხედავდი, რომ აკაკიც ღელავდა. ის უეცრად შემოტრიალდა ჩემსკენ და ღიმილით მითხრა: მოდი ახლა და ამ სოფლის გაიგე რამე! აქ ხალხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელით მატარებს, ენით გამოუთქმელ პატივსა მცემს, იქ კი, ჭიათურაში გამაშავეს! შავი ქვის ბრალი თუ არისო—განსხვავებული კილოთი დააბოლოვა აკაკიმ. სიტყვებში „შავი ქვა“ ის გულისხმობდა შავი ქვის მრეწველებს.

ერთხელ აკაკისთან ბათუმიდან სტუდენტების დელეგაცია მოვიდა, რომელიც სთხოვდა პოეტს—დასწრებოდა წმ. ნინოს ღღეობასთან დაკავშირებულ საქველმოქმედო საღამოს (წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. სასარგებლოდ). აკაკი გულითადად შეხვდა ახალგაზრდებს, ორს მათგანს მხრებზე ხელები დაადო და ღიმილით უთხრა:

— მე სიამოვნებით წამოვიდოდი, რომ ერთი გარემოება არ მაბრკოლებდეს,—სამგზავრო ფული არა მაქვსო. ასეთმა პასუხმა დელეგაციის წევრებში აღტაცების სიცილი გამოიწვია.

ფული რა თქმა უნდა მალე გამოჩნდა და პოეტი გაჰყვა გახარებულ ახალგაზრდობას.

—

ბედმა ილიასთანაც მარგუნა შეხვედრა. ეს იყო ერთ დიდ საზოგადოებაში, თბილისში. იქაც მამღერეს. ვმღეროდი უმეტესად აკაკის ლექსებს. ილია მოვიდა ჩემთან და ღიმილით მითხრა:

— ქალბატონო, სახლიკაცობა არ იყოსო.

დავპირდი, რომ მის ლექსებსაც სიამოვნებით ვიმღერებდი და მოვასმენინებდი, მაგრამ სამწუხაროდ არ დასცალდა, სულ მალე ილია მოჰკლეს.

—

ერთხელ, აკაკი საჩხერეში ავად გახდა. დიდძალი მნახველები მოდიოდნენ. თბილისიდანაც მრავალნი ჩამოვიდნენ: ექიმები, ლიტერატორები, მათ შორის, ვანო მაჩაბელიც. მე და ვანოს მეუღლე ტასო ავადმყოფთან შევედით. აკაკის სახე კედლისაკენ ჰქონდა მიქცეული. ვანომ გიტარა მომიტანა და მთხოვა, მემღერა რამე. მეც ნელის ხმით დავამღერე „შაქრის გულო“. აკაკი გადმობრუნდა და ღიმილით შემოგვხედა, ეტყობოდა დიდად ნასიამოვნები იყო. როდესაც გამოკეთდა, საჩუქრად გამომიგზავნა მშვენიერი ლექსი „რამ მომარჩინა“. პოეტმა მიძღვნა აგრეთვე ლექსი „მოხუცი და ახალგაზრდა“.

აკაკი ქუთაისის ხშირი სტუმარი იყო. სასტუმროში ერთი პატარა ნომერი ეჭირა და იქ ცხოვრობდა. ნათესავებთან გაჩერება არ უყვარდა.

ერთხელ სანახავად შევედი. მასთან სხვა მნახველებიც იყვნენ.

შემოვიდა ფოსტალიონი და წერილი შემოიტანა. აკაკიმ კონვერტს დახედა გვერდზე გადასდო.

— ხომ არ გიშლით ბატონო აკაკი,—მგონი წაკითხვას აპირებდით,—მიმართა ერთმა სტუმართაგანმა,

— არა, ბატონო, ამ წერილის შინაარსი წაუკითხავადაც კარგად ვიცი. ეს დაზღვეული ეპისტოლე ჩემი ცოლისაგან გახლავთ და ზეპირად ვიცი, რომ შიგ „პერეევედის“ მეტი არაფერი არ ეწერება. მოგეხსენებათ, ფული იშვიათად მაქვს და „პერეევოდსაც“ იშვიათად ვაკეთებ ხოლმე,—დაამშვიდა აკაკიმ თავაზიანი სტუმარი.

ერთხელ, მზე ამოსული არც კი იყო, სასტუმრო „გრანდოტელთან“ შევხვდი. სახე დაღლილი ჰქონდა. ეტყობოდა უძინარი იყო. მივესალმე და შევეკითხე:

— სად ბრძანდებოდით, ბატონო აკაკი, ასე დილა-ადრიან?

— ჩემო ვარინკა!—ღიმილით მიპასუხა აკაკიმ,—მთელი ჩემი სიცოცხლე სულიერ სიწმინდეზე ვზრუნავდი და მგონი, ამ მხრივ მიზანს მივაღწიე კიდეცეხლა, ამ ცინცხალ დილაზე, ხორციელადაც სრულიად გაწმენდილი გახლავარ: წუხელ მთელ ღამეს ბანქოს ვთამაშობდი და რაც ფული მებადა მთლად წავაგე. ასე რომ სრულიად გასუფთავებული მივდივარ ჩემს საკანში (თავის პატარა ნომერს ასე ეძახოდა).

სიკვდილის წინათ მასთან ვიყავი. ძალიან ცუდათ იყო, შფოთავდა. თავით ვუჯექი და თვალცრემლიანი შევყურებდი. აკაკი თვალდახუჭული იყო. ხშირად ვუსწორებდი ყურთბალიშს. ამ დროს შემოვიდა ნამტირალევი მისი შვილი ალექსი. აკაკიმ თვალი ცოტათი გაახილა და რაღაც ანიშნა. ალექსი საწოლთან მოვიდა და ჰკითხა რუსულად: Папа, кровать отодвинуть или лампу отставить? უარის ნიშნად აკაკიმ თავი გააქნია და თვალი დახუჭა. ალექსის ტირილი აუტყდა. მე აკაკის თავზე ხელი გადავუსვი და რამდენიმეჯერ ჩავძახე, რა სურდა, შემომხედა, მოინდომა რაღაცის თქმა, მაგრამ ვერ მოახერხა. მიცვალებული აკაკი მეტისმეტად ლამაზი იყო.

ნინო ელიაშვილი

აკაკი და ბავშვები

აკაკი მამაჩემის—ივანე ელიაშვილის დიდი მეგობარი იყო და ხშირი სტუმარი ჩვენი ოჯახისა. დღე არ გავიდოდა, რომ ჩვენ აკაკი არ გვეხსენებია, მის შესახებ ყოველთვის აღტაცებული საუბარი გვქონდა.

პირველად აკაკი ჩამოვიდა ჩვენთან ბაქოში 1910 წ., მაგრამ ბავშვები ავად ვიყავით წითელათი და მგოსანი ვერ ვინახულეთ.

მეორედ აკაკი გვეწვია ბაქოში 1912 წელს. დედაჩემმა რამდენიმე დღით ადრე გაგვაფრთხილა „აკაკი გვესტუმრა და აბა თქვენ იცით, როგორი ჭკუით იქნებით და არ შეაწუხებთ. აკაკის ძილი უყვარს და ფრთხილად უნდა იყოთო, უდროო-დროს არ გააღვიძოთო“.

აკაკი ჩამოვიდა აპრილში, აღდგომის წინა დღეს. იმ ღამეს აკაკი და ჩემი მშობლები სტუმრად იყვნენ მიპატიჟებულნი და შინ გვიან დაბრუნდნენ.

დილით რომ ავდექით, გავიგეთ, რომ აკაკი ჩამოსულიყო და სასტუმრო ოთახში ეძინა. მე და ჩემი ძმა ცნობისმოყვარეობამ აგვიტანა. მოთმინება აღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვყოფნიდა, სანამ უცხო სტუმარს ვნახავდით. დიდხანს ვითმინეთ, მაგრამ ბოლოს მოთმინების ფიალა აგვევსო, ნელა შევაღეთ სასტუმრო ოთახის კარი და ჩუმად შევიჭვრიტეთ. ოთახში ფარდები იყო ჩამოშვებული და ვერაფერი ვერ გავარჩიეთ. დავღონდით. აკაკი არ იღვიძებდა, დედა გვიჯავრდებოდა. ჩვენ ვღელავდით. ეტყობოდა აკაკის ეს გაეგო და, როცა კიდევ ერთხელ შევაღეთ ოთახის კარები, მოგვესმა აკაკის ხმა: აბა შემოდით, თქვე კუდიანებო, ერთი გადასწიეთ ფარდა და დამენახვეთ. სიხარულით შევირბინეთ ოთახში, გადავწიეთ ფარდა და დავინახეთ ლოგინში მწოლიარე მოღიმარი, ახოვანი თეთრწვერა, ლამაზი მოხუცი. გაოცებული დავდექით მოშორებით, ახლოს მისვლა ვერ გავბედეთ. „ახლოს მოდით", გვეუბნებოდა აკაკი. ჩვენ მივუახლოვდით. აკაკიმ მოგვესიყვარულა, მოგვიალერსა, დაგვკოცნა, საჩუქრები ჩაგვიდო ხელში. მე მერგო პატარა ვერცხლის ხანჯალი და ვერცხლის საფულე, ჩემ ძმას-კი ვერცხლის მომცრო ხანჯალი და საწერ-კალამი (ეს ნივთები ეხლაც ძვირფას მოგონებად გვაქვს შენახული).

აკაკი ხშირად ჩაგვისვამდა ხოლმე კალთაში და ზღაპრებით, ლექსებით და სხვადასხვა ამბებით გვართობდა, თვითონაც ძალიან ხალისობდა.

12 აპრილს შემოგვისწრო ჩვენმა ბიძაშვილმა, აკაკის კალთაში რომ დაგვიხახა, სთქვა: „ბატონო აკაკი, სწორედ დღეს ჟურნალში ვნახე ვიქტორ ჰიუგო თავის შვილიშვილებთან გამოხატული, ეს ცოცხალი სურათი საოცრად ჰგავს ჟურნალის სურათს". აკაკის თვალები გაუბრწყინდა. მამას სთხოვა, რომ ჩვენც ერთად გადაგვეღო სურათი. იმ წამსვე წავედით ბაქოს საუკეთესო ფოტოგრაფთან. აკაკიმ გადაიღო სურათი ცალკე ჩვენთან და ცალკე მამაჩემთან, აკაკიმ არავითარ შემთხვევაში ნება არ მისცა მამას, რომ სურათები გამოესყიდა. თვითონ დაუკვეთა და თვითონვე გამოისყიდა. აკაკის ძლიერ მოსწონდა ის სურათი. მართლაც, მოხუცი მგოსანი თითქოს ცოცხალი იყურება ამ სურათიდან. შემდეგში ეს პორტრეტი ძალიან გავრცელდა ბაქოში, თბილისიდანაც მოსდიოდა ფოტოგრაფს შეკვეთები.

ბაქოს ქართველობა დიდი პატივისცემით და სიყვარულით ხვდებოდა სასიქადულო პოეტს; ხშირად ჰპატიჟობდნენ თავიანთ ოჯახებში და გულუხვად უმასპინძლდებოდნენ. აკაკის უყვარდა ბანქო და მახსოვს, ჩვენთან ხშირად ეწყობოდა პრეფერანსის თამაში. აკაკი თამაშის დროს ხანდისხან დაფიქრდებოდა, აიღებდა ქაღალდს, დიდხანს აკვირდებოდა და თითებით რაღაც იეროგლიფებს ჰხატავდა.

თბილისში რომ გადმოვედით, აქ აკაკი ჩვენი ხშირი სტუმარი გახდა. მთელ დღეებს ატარებდა ჩვენთან. ნასადილევს ისვენებდა, მამის კაბინეთში იძინებდა ხოლმე.

მხოლოდ უკანასკნელად ყოფნისას (მეორე დღეს აკაკი ქუთაისში მიემგზავრებოდა), აკაკიმ რატომღაც ულალატა ამ თავის ჩვეულებას, ნასადილევს არ დაიძინა. აკაკი და მამაჩემი დიდხანს უსხდნენ მაგიდას და საუბრობდნენ. მახსოვს, აკაკი მოწყენილად გამოიყურებოდა, რომ შებინდდა, აკაკი ადგა და წასასვლელად მოემზადა. ჩვენ ჩვეულებისამებრ, გავაცილეთ. პირველად ბავშვები დაგვკოცნა, თვალებზე ცრემლი შევნიშნეთ. „რა იყო, აკაკი, რა მოგვიდა",

ჰკითხა მამამ. „ვგრძნობ ჩემო ვანიჩკა, რომ მეტს ველარ განახავ, ეს უკანასკნელი ყოფნაა თქვენთან".

დედა და მამა ჯერ აღშფოთდნენ, მაგრამ თავი შეიკავეს, დაუწყეს აკაკის დამშვიდება, ეს დაღლილობის ნიშანიაო,—ეუბნებოდნენ:—სოფელში კარგად დაისვენებთ, ჯანღონეს მოიკრებთ და კვლავაც ხალისიანად დაბრუნდებითო, მაგრამ აკაკი თავისას არ იშლიდა. ძალიან დაღონებული წავიდა.

საუბედუროდ, აკაკის წინასწარმეტყველება მართალი გამოდგა. ეს უკანასკნელი შეხვედრა იყო ჩვენს ძვირფას მგოსანთან.

ნიკო გვარაძე

აკაკი ქართულ თეატრში

ბავშვობიდან მახსოვს, რომ აკაკი ქართულ წარმოდგენებზე ძალიან ხშირად დაიარებოდა. სხვათა შორის, პირველად აკაკი ბავშვობისას ქართულ თეატრის შესასვლელთან ვნახე... მე და ჩემი მეგობარი, ორივენი მოწაფეები, ვიდექით, ქართულ თეატრის შესავალ კარებთან, თეატრში შესასვლელი ბილეთები არ გვქონდა, ამიტომ ვცდილობდით, როგორმე ხალხში ავრეულიყავით, რომ უბილეთოდ, თეატრის დარბაზში ამოგვეყო თავი... ამ დროს, უცბად, თავზე წამოგვადგა ახოვანი ვაჟკაცი, ძვირფას ქურქში გახვეული და ძვირფას ტყავისავე ქუდით... ჩვენ, ბავშვებმა მაშინვე გზა უტიეთ... ჩემმა ამხანაგმა წამჩურჩულა, ეს პოეტი აკაკიაო!.. მე ძალიან დამაინტერესა აკაკის ნახვამ, და თეატრის დერეფანში შევყევი, სადაც პალტოებს იხდიდნენ... დავდექი კუთხეში და დაუწყე ცნობისმოყვარეობით ცქერა... თეატრის მსახურმა მაშინვე პალტო ჩამოართვა... იქვე თეატრის დერეფანშივე, აუარებელი ნაცნობები და თაყვანისმცემელები აღმოუჩნდნენ, რომლებიც დიდი სიყვარულით ეგებებოდნენ და პატივისცემით სალამს აძლევდნენ პოეტს. აკაკი ლამაზი ვაჟკაცი იყო. იმ დროს ახლად ჰქონდა შეპარული ჭაღარა, რაც ძალიან უხდებოდა. ახოვანი ტანი, მაღალი კეთილშობილური შუბლი, მშვენიერი მოზრდილი ჭაღარა შერეული წვერი, მშვენიერივე გამომეტყველებით აღსავსე დიდრონი თვალები.

არც ერთ ჩვენს მწერალს ისე არ უყვარდა ქართული თეატრი და ისე არ იყო დაახლოებული ქართულ სცენასთან, როგორც აკაკი.

არა ერთხელ საკუთარი ფული დაუხარჯავს აკაკის, რომ როგორმე ქართული თეატრის სეზონი შემდგარიყო და ის ორიოდე მსახიობი, რომელიც მაშინ ჰყავდა ქართულ სცენას, არ გაფანტულიყვნენ და სამუდამოდ არ მიკეტილიყო ქართული თეატრის კარი.

როგორც დრამატურგი ხომ ძალიან ნაყოფიერი და დიდი მოამაგე იყო ქართულ თეატრისათვის. არ გავიდოდა ისე სეზონი, რომ აკაკის თეატრში ახალი პიესა არ მოეტანა დასადგმელად, ან ორიგინალური, თავისივე დაწერილი, ან კიდევ ნათარგმნი..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვს, ძალიან ხშირად, თბილისის ქართულ თეატრში საღამოს რეპეტიციებზე, როცა წარმოდგენა არ გვქონდა და ჩვენ მუშაობაში ვიყავით გართულნი, უცბად სცენაზე, როგორც შინაური და მახლობელი, შემოვიდოდა ხოლმე აკაკი.. მივართმევდით სკამს, იჯდა და რეპეტიციის მსვლელობას თვალს ადევნებდა. აკაკის იმდენად უყვარდა სცენა, კულისები და აქტიორთა წრე, რომ უთეატროდ მას ცხოვრება არ შეეძლო.

მე მგონია, მაშინდელი მოწინავე ინტელიგენცია ამას კარგად გრძნობდა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ნიკო ქართველიშვილმა, ჩვენი დრამატიული საზ. გამგეობის თავმჯდომარემ, 1903 წელს შესთავაზა აკაკის ქართული თეატრის ხელმძღვანელობა და რეჟისორობა, რაზეც აკაკი დიდი სიამოვნებით დათანხმდა და ზაფხულიდანვე შეუდგა სეზონისათვის მზადებას.

ამ სეზონის დასაწყისშივე, ვალ. გუნიას მეთაურობით, გაიმართა გამოსაცდელი წარმოდგენა, რომელსაც აკაკიც დაესწრო. სწორედ ამ წარმოდგენის შემდეგ ჩარიცხული ვიყავ დასში, როგორც ახალგაზრდა მსახიობი... ასე რომ, პირველი ჩემი რეჟისორი, რომელმაც როლი მომცა,—აკაკი იყო.

პირველი პიესა, რომელიც აკაკიმ დასდგა ამ სეზონში, იყო დავით ერისთავის „სამშობლო". რა სიყვარულით, რა გულმოდგინებით მუშაობდა აკაკი, როგორც რეჟისორი.

სრულიად ახალი დეკორაციები დაახატვინა, შეაკერინა ახალი ტანსაცმელი, ერთი სიტყვით, ყოველ წვრილმანს დიდ ყურადღებას აქცევდა, და ისე მუშაობდა, როგორც პროფესიონალი რეჟისორი. მთელი დღეები თეატრში იყო, უიმისოდ არაფერი კეთდებოდა. თეატრის მკერავები, მხატვრები, ყველანი აკაკის მითითებით და გემოვნებით მუშაობდნენ და ასეთი მუშაობა ქართულ თეატრში იმდროს სრულიად ახალი ამბავი იყო. აკაკის ყველა პატივსა სცემდა, ყველა ერიდებოდა და ამიტომ აკაკის სიტყვასაც თეატრში გასავალი ჰქონდა.

დიდი ცოდნისა და გემოვნების პატრონი იყო აკაკი, როგორც რეჟისორი და ამიტომაც იმის დადგმულ პიესებს დიდი ცოდნა და გემოვნება ემჩნეოდა...

1903 წ. 23 სექტემბერს სეზონი გაიხსნა დავით ერისთავის „სამშობლოთი".

აკაკის დადგმულ „სამშობლოს" დიდი მოწონება ჰქონდა და პრესაც დიდის ამბით შეხვდა. განსაკუთრებული ქება უძღვნა „ივერიამ".

ამ წარმოდგენაში პატარა ბიჭს ვთამაშობდი. ბევრჯერ მინახავს ბავშვობისას „სამშობლო", მაგრამ არ მახსოვს, რომ ვისმეს შეენიშნოს ეს როლი. აკაკიმ ამ ორ სიტყვიან როლს ყურადღება მიაქცია და ბევრი რეპეტიციებიც გამატარა. ამიტომ იყო, რომ პრესამ ყურადღება მომაქცია.

მეორე პიესა, რომელიც აკაკიმ დასდგა ამავე სეზონში, იყო „პატარა კახი", მისივე საკუთარი პიესა.

„პატარა კახის" დადგმამაც, როგორც „სამშობლომ", საზოგადოების დიდი აღტაცება გამოიწვია. მით უმეტეს, რომ მთელი შემადგენლობა ახალგაზრდა მსახიობებისაგან შესდგებოდა. პიესა ზეპირად ვიცოდით მთლიანად, მოკარნახე თითქმის არ გვჭირდებოდა. მახსოვს, ჩვენი მოკარნახე ბეგლარ ბეგლარიძე (პოეტი ახოსპირელი) ამბობდა: დასში რომ სულ თქვენისთანა მსახიობები იყვნენ, ჩემს ბედს „ძაღლი არ დაჰყეფსო". ბეგლარა თითქმის არ კითხულობდა პიესას და მოსვენებით იჯდა სუფლიორის „ბუდეში", მაშინ, როდესაც სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენებზე დიდი ჯაფა ადგებოდა. ამ წარმოდგენამ თუ საზოგადოების აღტაცება გამოიწვია, სამაგიეროდ დასში უკმაყოფილება შექმნა. ძველმა დამსახურებულმა მსახიობებმა საყვედურით მ. მართეს აკაკის, ახალგაზრდა მსახიობებს ათამაშებ და ჩვენ-კი ყურადღებას არ გვაქცევ!.. ამის მიზეზი უმთავრესად „ივერიის" რეცენზია იყო.

„ივერია" სწერდა: წარმოდგენაში თუმცა მონაწილეობას იღებდნენ, მომეტებულ ნაწილად, ახალი არტისტები, მაგრამ წარმოდგენამ ძალიან მწყობრად ჩაიარა. ამნაირად „პატარა კახი" დადგმული ჯერ არ გვინახავსო.

აი, ეს რეცენზია იყო მიზეზი, რომ დამსახურებულმა არტისტებმა საყვედურით მ.ამართეს აკაკის. აკაკიმაც, როგორც ფაქიზმა და ყოველგვარ სცენიურ ინტრიგებს მოკლებულმა ადამიანმა, დაუთმო და მესამე თუ მეოთხე წარმოდგენაში იმათ გაუნაწილა როლები.

რაღა თქმა უნდა, ძველმა მსახიობებმა როლები ჩვენსავით არ იცოდნენ და გამარჯვება ამიტომ ახალგაზრდებს დაგვრჩა. პატარა კახის როლს, ძველ მსახიობების შემადგენლობაშიც მე ვთამაშობდი. თუ როგორ სერიოზულად და გულმოდგინებით ამხადებდა აკაკი ამ პიესას, მოვიყვან ერთ პატარა მაგალითს:, კახს პიესაში ასეთი ფრაზა აქვს: უ ფ ლ ი ს წ უ ლ ო ბ ა. მე რაღაცნაირად, როლის სწავლის დროს, თავში ჩამრჩენოდა წ უ ლ ო ბ ა ს მაგივრად წ უ ლ ე ბ ა. გამოვიდოდი სცენაზე რეპეტიციის დროს და ვიტყოდი წ უ ლ ე ბ ა. აკაკი მაშინვე უკან დამაბრუნებდა. კიდევ დავიწყებდი როლს თავიდან და ამ სიტყვასთან რომ მივიდოდი, მაინც წ უ ლ ე ბ ა ს ვამბობდი. ასე დამაბრუნა უკან, თუ არა ვცდები, ათჯერ. მოთმინებიდან გამოსულ აკაკის გული მოუვიდა და გაჯავრდა. მე აღარ ვიცოდი რა მექნა. წამსკდა ტირილი. აკაკიმ რეპეტიცია შესწყვიტა. მთელი დასი მე შემომყურებდა. ბოლოს მოვიდა ჩემთან მსახიობი ქალი ელისაბედ ჩერქეზიშვილი, მომეფერა და მითხრა: „ნუ სწუხარ, შვილო, სცენამ როგორც სიტკბო იცის, ისევე სიმწარეცო"... ეს ეპიზოდი ჩემს ცხოვრებაში არ დამავიწყდება.

ჩვენ იმ სეზონში არაქსიანის თეატრშიც (ავლაბარში, ეხლა 26 კომისრების რაიონი) ვდგამდით ხოლმე წარმოდგენებს. რა პიესასაც ჩვენს თეატრში დავდგამდით ხოლმე, იმავე დადგმას ავლაბარშიაც გადავიტანდით. მახსოვს, ავლაბრის თეატრში რომ გადავიტანეთ „პატარა კახი", აკაკიც მოსულიყო წარმოდგენაზე. მე ეს არ ვიცოდი. მეორე მოქმედება რომ გათავდა, დავინახე, აკაკი სცენაზე ამოსულიყო. მსახიობთა საპირფარეშოში შემოვიდა და სიცილით მითხრა: ნიკო, შენ მაინც შენსას არ იშლი, დღესაც უ ფ ლ ი ს წ უ ლ ე ბ ა სთქვიო. აკაკი მართალი იყო, შემდეგშიაც ძალიან ხშირად მცდებოდა ხოლმე ეს სიტყვა. ამავე სეზონში დაიდგა აკაკის ახალი პიესა „განთიადი" სოფლის ცხოვრებიდან, რომელიც ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ ვითამაშეთ. ეს პიესაც თვითონ აკაკიმ დასდგა.

დავამთავრეთ სეზონი აკაკის ბენეფისით. დაიდგა თავისივე პიესა „თამარ ცბიერი". თამარის როლის შემსრულებლად ბაქოდან საგანგებოდ იყო მოწვეული ქეთო ანდრონიკაშვილი, რომელსაც მართლა ძალიან უხდებოდა ეს როლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის, როგორც მობენეფისეს, საზოგადოება დიდის აღტაცებით შეხვდა. ბევრჯერ გამოიწვიეს პიესის დასასრულს სცენაზე და ბევრი ძვირფასი საჩუქრებიც მიართვეს.

1912 წლის გაზაფხულს ბაქოში ვიყავ რეჟისორად მიწვეული, სადაც ვხელმძღვანელობდი იქაურ დრამატიულ დასს. სეზონის გასახსნელად, პირველ წარმოდგენისათვის მთხოვეს, აკაკის „პატარა კახი“ დამედგა. მეც სიამოვნებით დავთანხმდი გამგეობის წინადადებაზე. შევუდექი პიესის მზადებას, სეზონის გახსნის დღედ დავნიშნეთ 1 აპრილი, აღდგომის მეორე დღე, რადგან დიდმარხვის უკანასკნელ კვირას წარმოდგენების დადგმა აკრძალული იყო. პიესა კარგა ხანს ვამზადეთ. მთელი ბაქოელი ქართველი საზოგადოება დიდი ინტერესით მოელოდა სეზონის გახსნას. მოახლოვდა წარმოდგენის დღეც. ბილეთები წინდაწინვე გაიყიდა. წარმოდგენის დღეს, დილით, მოვიდა თეატრში ჩვენი დასის ერთერთი წევრი და გამოგვიცხადა, რომ დღეს დილით ექიმ ვანო ელიაშვილთან სტუმრად ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი ჩამოვიდაო. ჩვენ ყველანი სახტად დავრჩით, სრულიად არ მოველოდით აკაკის ბაქოში ჩამოსვლას. მართლაც, ვანო ელიაშვილი თბილისში ყოფილიყო, აკაკის შეხვედროდა და ეთხოვნა, სააღგომო დღესასწაულები ჩემთან გაატარეთო. აკაკიც დათანხმებულიყო. აკაკი ბაქოში სტუმრად პირველად იყო და, რაღა თქმა უნდა, მთელი ბაქოს ქართველობა დაფაცურდა, რომ აკაკისათვის როგორმე პატივი ეცა...

აკაკი ბაქოში თითქმის ორ კვირას დარჩა და ყოველი ბაქოელი ქართველი ოჯახი დიდ პატივად მიიჩნევდა, თუ აკაკი სადილად ან ვახშმად ეწვეოდა.

როგორც-კი ხმა გავარდა აკაკი ბაქოშია და ამ საღამოს წარმოდგენას დაესწრებაო, დილის რეპეტიციაზე თეატრში აუარებელმა ქართველობამ მოიყარა თავი.

ბაქოელ ახალგაზრდებს, რომელნიც ბაქოში იყვნენ დაბადებულნი და აღზრდილნი, აკაკი არ ენახათ და ამიტომ ყველანი დაინტერესებული იყვნენ, რომ თავის თვალით ენახათ საყვარელი პოეტი. წარმოდგენის ღამეს აბაზიან ბილეთში სიამოვნებით ხუთ მანეთს აძლევდნენ. ოლონდ-კი ბილეთი როგორმე ეშოვნათ. მოახლოვდა წარმოდგენის დაწყების დროც. ჩვენი თეატრის პატარა დარბაზი გაჭედილია. წარმოდგენას არ ვიწყებთ, ვუცდით აკაკის მოსვლას. არ გასულა დიდი ხანი და სცენაზე შეგვატყობინეს, რომ აკაკი სახლიდან წამოიყვანეს და პიესის დასაწყებად მზად იყავითო. ყველა გულის ფანცქალით მოველოდით აკაკის დარბაზში შემოსვლას. აი, ჩვენი გამგეობის წევრებმა შემოიყვანეს აკაკი დარბაზში... იგრიალა ტაშმა, ყველანი ფეხზე დგებიან. ტაშის ცემას და აღტაცებას დასასრული არა აქვს. წამოიყვანეს გამგეობის წევრებმა აკაკი და მისთვის საგანგებოდ გამზადებულ სავარძელზე დასვეს. დავიწყეთ წარმოდგენა. ყველანი ძალიან ვღელავთ, მაგრამ პიესა კარგადა გვაქვს მომზადებული და არ გვეშინიან. ყველას იმედი გვაქვს, რომ გავიმარჯვებთ და აკაკის წინაშე არ შევრცხვებით. გათავდა მესამე მოქმედება. სხვათა შორის, მესამე მოქმედება „პატარა კახში“ საუკეთესო მოქმედებაა და კარგათაც თავდება, გლეხების გამამხნევებელი სიმღერით. ფარდა რომ დაეშვა, შეიქნა ტაშის ცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვაშას ძახილი. ჩვენ, მონაწილენი, ყველანი სცენაზე გავედით და კიდევ დიდი ოვაციები გაუმართეს აკაკის... აკაკი მთლად ყვავილებში იყო ჩაფლული... პიესა მშვენივრად იქნა შესრულებული და საზოგადოებაც ძალიან კმაყოფილი დარჩა. პიესის დასასრულს აკაკი სცენაზე გამოვიყვანეთ. საზოგადოების თხოვნით პოეტმა რამდენიმე საკუთარი ლექსი წაიკითხა, რითაც საზოგადოების აღტაცება გამოიწვია. წარმოდგენა გათავდა, მაგრამ საზოგადოება მაინც არ იშლება. აკაკის დარბაზში ჩასვლას ელის. ჩავიდა თუ არა დარბაზში პოეტი, ახალგაზრდობამ დასტაცა ხელი და ვაშას ძახილით ქუჩაში გაიყვანეს, ჩასვეს ეტლში და დიდის ზეიმით და ტაშის კვრით გააცილეს...

მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდიც.

1908 წელს ჩასული ვიყავ დროებით პეტერბურგში, სადაც ვეცნობოდი თეატრების მუშაობას. იქაურმა ქართველმა სტუდენტებმა მთხოვეს, რაიმე პიესა დაგვიდგი ქართულადაო. აირჩიეს ალ. სუმბათაშვილის „ღალატი". პიესა დიდხანს ვამზადეთ, გვეშინოდა, არ შევრცხვენილიყავით. მით უმეტეს, რომ „ღალატი" რუსულადაც ხშირად იდგმებოდა საუკეთესო მსახიობთა შემადგენლობით. 15 იანვარს 1908 წელს პიესა დავდგით კიდეც. ის-ის იყო წარმოდგენა უნდა დაგვეწყო, რომ თეატრის დარბაზში რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა.. ჩვენ, პიესაში მონაწილეებმა, მაშინვე ვიგრძენით, რომ თეატრის დარბაზში ვიღაც არა ჩვეულებრივი მაყურებელი გვესტუმრა. ვიფიქრეთ, ალბათ ალ. სუმბათაშვილმა თუ გაიგო, რომ პეტერბურგში მისი პიესა ქართულად იდგმება, შეიძლება ამითი დაინტერესდა და მოსკოვიდან პეტერბურგში ჩამოვიდაო. არ გასულა დიდი ხანი და სცენაზე შეგვატყობინეს, სრულიად მოულოდნელად წარმოდგენაზე გვესტუმრა ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკიო. ამ ამბავმა ჩვენ ყველანი ძალიან გაგვაკვირვა კიდეც და ამავე დროს ძალიანაც გაგვახარა. რომ ჩვენს წარმოდგენას დაესწრებოდა ჩვენი საყვარელი მგოსანი. მართლაც, წარმოდგენის დაწყების წინ რამდენიმე საათით ადრე, აკაკი საქართველოდან პეტერბურგში ჩამოსულიყო სტუმრად ივანე ნაკაშიძესთან.

ვითამაშეთ ორი მოქმედება. მესამე მოქმედება რომ დავამთავრეთ, თვითონ აკაკი ამობრძანდა სცენაზე. ჩვენ ყველანი, პიესაში მონაწილენი, გარს შემოვეხვივენით, მიულოცეთ პეტერბურგში ჩამოსვლა, მოვიკითხეთ და ამასთანავე ვთხოვეთ, რომ ჩვენთვისაც გაეზიარებინა თავისი აზრი წარმოდგენის შესახებ. აკაკიმ მოგვილოცა გამარჯვება და გვითხრა: ძალიან მოხარული ვარ, რომ პეტერბურგში ქართული წარმოდგენის დადგმა განგიზრახავთო... მით უმეტეს ისეთი კარგი ქართული ორიგინალური პიესისა, როგორიც „ღალატი" არისო. ამ პიესის დადგმით რუსი ხალხი ჩვენს გმირულ წარსულს გაეცნობაო. და უნდა გითხრათ სიმართლე, თქვენი თამაშით პირდაპირ აღტაცებული ვარ და გულით მიხარის, რომ რუსი საზოგადოების წინაშე არ შეგვარცხვინეთო, პიესა მშვენივრად მოგიმზადებიათო. ახალგაზრდები ხართ, მომავალი წინ გიდევთ და აბა თქვენ იცით, როგორ სამსახურსაც გაუწევთ ჩვენ ხალხსაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ ალდადანოვი

მომჯადოებელი მოსაუბრე

ჩემი მოგონებანი ამ იშვიათ ადამიანზე ეხება შორეულ წარსულს. პირველად მე ის ვნახე ჩვენსას, როდესაც მე ვიქნებოდი დაახლოვებით რვა წლისა (1881 წ. ან 1882 წ.).

პირველ შეხვედრისთანავე მან მომხიბლა თავისი გარეგნული შესახედაობით: წარმოსადეგი, დიდებული, ლომის ფაფარივით გრუზა თმით და აზრის მეტყველი სახით.

მე პატარა ბიჭმა მაშინვე გადავსწყვიტე:—ალბათ ძია ლომ-კაცი არისთქო. მისმა ყურადღებიანმა და ალერსიანმა დამოკიდებულებამ ჩემდამი, განსაკუთრებით მოიგო ჩემი გული.

დედაჩემი ფრიად ჭკვიანი ქალი იყო. იგი უმთავრესად ტრიალებდა გამოჩენილ ადამიანთა წრეში. დედაჩემის ნაცნობთა წრიდან მე ვიგონებ ცნობილ ტრაღიკოსს პეტროს ადამიანს, ცნობილ მუსიკოსს კარა-მურზას, მსახიობ ქალს გაბუნია-ცაგარლისას, მომღერალ პაპაიანს, არქეოლოგ მურომცევს და სხვებს. მაგრამ განსაკუთრებით რელიეფურად ვიგონებ აკაკი წერეთელს. აკაკი უპირველესად მომჯადოებელი მთხრობელი იყო. მას შეეძლო საათობით ელაპარაკნა და ყველა დაუღალავად უსმენდა მის თითოეულ სიტყვას. მას გასაოცრად შეეძლო შეგუებოდა ყოველგვარ აუდიტორიას, მსმენელთა ყოველგვარ შემადგენლობას. მას შეეძლო ერთსა და იმავე დროს, თავისი სიტყვის სიძლიერით და სილამაზით მიეზიდნა ერთდროულად, როგორც ბავშვი, ისე მოზრდილი და მოხუცი. მას ჰქონდა გამოულეველი მარაგი მოგონებებისა და ანეგდოტებისა თავის ცხოვრებიდან, მის გარშემო მყოფთა ცხოვრებიდან, უამრავ გაგონილ და ნანახ სცენებიდან, ისტორიიდან.

ჩვენს ოჯახში აკაკის მოსვლა ჩემთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. იმ საღამოს მე არ ვიძინებდი დანიშნულ დროზე.

აკაკის ვხვდებოდი თითქმის 1912 წლამდე, ვიდრე პეტერბურგს გავემგზავრებოდი. როდესაც უკანვე დავბრუნდი თბილისში, აკაკის აღარ შევხვედრივარ. რვა თვის შემდეგ ომში გამიწვიეს (1914 წ. ზაფხულში) და 1915 წელს ბრძოლის ველზე, გერმანიის ფრონტზე, გავიგე, რომ აკაკი გარდაცვლილიყო.

მაგონდება, ერთხელ ჩვენთან ქართველ სტუმრებთან დავიწყე ქართულად ლაპარაკი. (მე ცუდად ვლაპარაკობდი ქართულად). ვამახინჯებდი ქართულ ენას, ზოგიერთი სტუმრის სახეზე ღიმილი შევნიშნე, შემრცხვა, გავწითლდი და სულ ჩავჩუმდი. მაშინ მე ვიყავი 15—16 წლისა. აკაკიმ გამომიყვანა უხერხულ მდგომარეობიდან: „განაგრძე ვალოდია, ნუ გრცხვენიან, გახსოვდეს, რომ საქართველოში ქართული ენის მცოდნე პირველი ილია ჭავჭავაძეა, შემდეგ შენ და ბოლოს მე“-ო. საერთო სიცილმა დაფარა მისი სათნოიანი ხუმრობა, უხერხულობა გაიფანტა, მე გაბედულად განვაგრძე ლაპარაკი.

მახსოვს, ერთხელ დედაჩემმა რაღაც შემცდარი მოქმედებისათვის, აკაკის თანდასწრებით დამტუქსა. თავისი დატუქსვა დედამ გაათავა შემდეგი სიტყვებით: „გრცხვენოდეს, შენ კბილებით უნდა გაგესინჯა ეს საქმე“. მაშინ მე ათი წლის თუ ვიქნებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა, მე ხომ ისევ ძუძუს კბილები მაქვს და როგორ გავკვნეტდი ამ საქმეს..—ვუპასუხე მე შემკრთალმა.

აკაკი ჩუმად გვიგდებდა ყურს; შემდეგ ჩუმადვე დამიძახა, მაკოცა შუბლზე, ადგა, გავიდა წინა ოთახში, დაუძახა ლაქიას, რაღაცა უთხრა და ისევ შემოვიდა სასტუმრო ოთახში. ნახევარი საათის შემდეგ ლაქიამ მომიტანა საკონდიტროდან ერთი გირვანქა კამფეტი.—აი, ეს ძვირფასო ვალოდია შენ, რომ შენი ძუძუთა კბილები არ დაიმტვრიოო. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, განსაკუთრებით ის მახარებდა, რომ ჩემი პასუხი მოეწონა თვით აკაკის. აკაკის ძალიან უყვარდა ზაფხულის სიცხეში მურაბიანი წყლის სმა. მე ვიკისრე ამ საქმის მოგვარება და როდესაც პოეტი სიცხეში ჩვენთან მოვიდოდა ხოლმე, მე იმ წამსვე დაუდგამდი ცივი წყლით სავსე გრაფინს და ალუბლის მურაბით სავსე ვაზას და თანაც ვთხოვდი ეამბნა რამე ჩემთვის. აკაკიც კმაყოფილებით დაიწყებდა ამათუიმ საინტერესო ამბის მოყოლას. მე ძალიან მიყვარდა მოთხრობები მისი ახალგაზრდობის დროიდან.

60-იან წლებში, როგორც ცნობილია, აკაკი სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. როდესაც დაბრუნდა ქუთაისში რუსული სასამართლო ახლად იყო შემოღებული. ახალ სასამართლოში ბევრი სასაცილო და თან სამწუხარო ამბავი ხდებოდა თურმე.

აკაკის მრავალრიცხოვან ნაამბობიდან სასამართლოს პრაქტიკის შესახებ, ზოგიერთი რამ მე ეხლაც მახსოვს. მან გვიამბო, თუ ქუთაისში დაბრუნების შემდეგ როგორ დაინტერესდა ის რუსული სასამართლოს მუშაობით იმერეთში. ერთხელ, გვიამბო აკაკიმ—მივედი მომრიგებელ სასამართლოში. ირჩეოდა საქმე ერთი მოხუცისა, რომელიც უჩიოდა ერთ ახალგაზრდა იმერელს 100 მან. ვალს. აღშფოთებული მოხუცი აცხადებდა, რომ მოპასუხის მამამ ისესხა მისგან 100 მან. და დაჰპირდა თავის დროზე ვალის დაბრუნება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ის—მოვალე გარდაიცვლებოდა, ვალს მისი შვილი გადაიხდიდა.

— აი, ეხლა, ფულის გადახდამდე მოხუცი გარდაიცვალა და შვილი კი არ იძლევაო.

მომრიგებელმა მოსამართლემ მიმართა წინადადებით მოპასუხეს, ახალგაზრდა განათლებულ იმერელს ეთქვა რაიმე თავის გასამართლებლად.

„მოხუცი ჭკუაზე შეიშალა“—განაცხადა ახალგაზრდამ. მე მისი არაფერი არ მმართებს და ვერც ვერაფრით დაამტკიცებს თავის საჩივარსო.

მაშინ მოსამართლე შეეკითხა მოხუცს: აქვს თუ არა მას ვექსილი ან ხელწერილი. საბრალო მოხუცი გაოცდა, როდესაც პირველად თავის ცხოვრებაში გაიგო მისთვის უცნობი სიტყვა.—არც ვექსილი, არც ხელწერილი არავითარი არა მაქვსო—უპასუხა მან.

— „აი, ხომ ხედავთ, ბატონო მოსამართლე, რომ ეს მოხუცი გატყუილებთ თქვენ“.—განაცხადა სიცილით ახალგაზრდამ. მოსამართლე აღელდა „მაშ რაღას მოდიხართ სასამართლოში—უთხრა მან მოხუცს—თქვენი საჩივრით, თუ არაფერი დამამტკიცებელი საბუთი არა გაქვთ“.

— დასამტკიცებელი საბუთი როგორ არა მაქვს—წამოიძახა მოხუცმა, ჩაიყო ხელი ჩოხის უბეში და მოსამართლეს გაუწოდა ულვაშის ღერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩემმა მოვალემ, როდესაც ჩემგან ფული ისესხა—განაცხადა მომჩივარმა—მითხრა—ჩემს ულვაშს ვფიცავ, ფულს დაგიბრუნებო—და აი მისი ულვაში“. „მე ხომ გითხარით შეშლილია-მეთქი!“—სიხარულს ეძლევა ახალგაზრდა.

გაბრაზებულმა მოსამართლემ უარი უთხრა მოხუცს საჩივარზე და წინადადება მისცა დაეტოვებინა სხდომის დარბაზი. დარბაზში ბევრი, სასამართლოს პროცესების მოყვარული იმერელი იყო. დამსწრეთა შორის, განსაკუთრებით მოხუცებულებში, გაისმა აღშფოთების გმინვა.

„ამ დროს მაყურებელთა რიგებიდან—სთქვა აკაკიმ,—წამოდგა ერთი ლამაზი მოხუცი იმერელი და აღშფოთებულმა, ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი: „ამხანაგებო, თუ რუსი მოსამართლე აფურთხებს ჩვენს დაკანონებულს წმინდა ჩვეულებებს, თუ ის არა სცნობს ულვაშით ფიცს, თუ ეს ახალგაზრდა არამზადა სარგებლობს ამით და არ სურს ვალის გადახდა, მაშინ ჩვენ შევაგროვოთ და გადავუხადოთ ვალი მოხუცს!.“ და მან ქუდით ხელში დაიარა დარბაზი. რამდენიმე წუთში შეგროვდა 100 მან. გამარჯვებულმა ლამაზმა მოხუცმა ჩააბარა ფული შეშფოთებულ მომჩივანს.

— „ჰა, აიღე! თუ რუსული სასამართლო ტალახში ჰქელავს ჩვენს ზნეჩვეულებებს, მაშინ ჩვენ დავიცავთ მას!“ აკაკი მიამბობდა, რომ ამ საოცარმა სცენამ მასზე დიდად იმოქმედა. ახალი სასამართლოს შემოღების შემდეგ სულ მალე გამრავლდნენ ცრუ მოწმეები და სხვა არამზადები. თურმე ეს ცრუ მოწმეები იმდენად ბევრი იყვნენ, რომ მათ ჯგუფობით ასამართლებდნენ. აი, ერთხელ, გვიამბო აკაკიმ—მივედი სასამართლოში, ირჩეოდა რამდენიმე ცრუ მოწმის საქმე. საქმის გარჩევა ჯერ არ იყო დაწყებული. ბრალდებულთა სკამზე იჯდა რამდენიმე ბრალდებული, მე ვათვალიერებ მათ, და მათში ერთი ლამაზი მოხუცი კაცის სახე მეჩვენება ნაცნობი.

ეს შენ არ ხარ—ამ სამი წლის წინათ ასე ლამაზად და კეთილშობილურად, რომ შეაგროვე 100 მანეთი და გადაეცი მომჩივარს?.—დიახ, ის მე ვარ—მიპასუხა გაბრწყინვებულმა.—მაშ როგორ მოხდა, რომ შენისთანა მადლიან, პატიოსან ადამიანს გასამართლებენ ცრუმოწმეობისათვის?

— ეხ, კნიაზო, შენ რომ იცოდე რა მომგებიანია ეს საქმე: საკმარისია ცოტა ტყუილი სთქვა და ფულები თავისთავად მოდის ჯიბეში. არა, პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ რუსული სასამართლო ჩვენთვის ძალიან სარფიანი შეიქმნა. ამას აკაკი წერეთელი გვიამბობდა, როგორც საშინელი ზნეჩვეულებების დამახასიათებელ მოვლენას. ვერ შევძლებ აკაკის ყველა მშვენიერი ნაამბობის მოგონებას. აკაკი ღრუბელივით ისრუტავდა ყველა საინტერესო და დამახასიათებელ თვისებებს და ჩვევებს ადამიანებისას.

ერთ დროს ჩვენთან მზარეულად მსახურობდა ერთი გონიერი, პოლონელი, ახალგაზრდობაში ოდესის ოპერის გუნდის მომღერლად ნამყოფი ქალი, რომელსაც ბრწყინვალედ გაეტარებინა ცხოვრება. ერთ დღეს აკაკიმ უთხრა დედაჩემს:

— მე ძალიან მსიამოვნებს, როცა თქვენი მზარეული მიღებს კარებსო. იგი ჯერ სასტუმრო ოთახში მთხოვს დაგიცადოთ და თქვენს მოსვლამდის თითქმის ერთი საათი მართობს საუბრითო. მე მუდამ დიდი ინტერესით ვესაუბრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას და სიამოვნებით ვითვისებ მისგან ცხოვრების გამოცდილებას და ფსიქოლოგიურ დასკვნებს ვაკეთებო.

აკაკი მოსული კაცი იყო, ბრგე. სიარული არ უყვარდა, ზოგჯერ, როდესაც დარჩებოდა ხოლმე ჩვენსას გვიანობამდე და ივახშმებდა, მოახლეს სთხოვდა ეტლის მიყვანას და როდესაც ეტლი მოვიდოდა დაიწყებდა ჯიბეში ძებნას, თუ ფული არ აღმოაჩნდებოდა, დედას ესესხებოდა ფულს ეტლისათვის.

აკაკი დაჯილდოვებული იყო იშვიათი უნარით,—გადმოეცა ყველაფერი საოცრად უბრალო, გასაგები და თან მომხიბვლელი ფორმით. ჩემი სკოლის წარსულიდან მაგონდება, რომ ბოტანიკა ჩემთვის ძალზე მოსაწყენი მეცნიერება იყო და ძალიან მაბეზრებდა თავს.

ერთხელ, ზაფხულში, როდესაც ჩვენ ვცხოვრობდით აგარაკზე, ბაბუაჩემის ბაღში სოფ. ხიდისთავში (გორის ახლოს), ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდა აკაკი ერთი დღით. სხვათა შორის, ჩემთან ბაღში გასეირნების დროს მან პოპულარულად ამიხსნა მოვლენები ბოტანიკიდან და მთელი ნაამბობი იქვე მაგალითებით დამისურათა.

მე მაგონდება, რომ ბოტანიკიდან, სკოლის წლებში დაგროვილ ცოდნის მარაგიდან დამახსოვდა მხოლოდ ის, რაც მე ავითვისე აკაკის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ნაამბობიდან ხიდისთავში ერთი დღის განმავლობაში.

აკაკი ვერ იტანდა გონება-ჩლუნგ მანდილოსანთა მოსაწყენ საზოგადოებას, როდესაც ის ჩვენსას სტუმრად მოსული ასეთ წრეს წააწყდებოდა, შეუმჩნევლად წავიდოდა ტახტისაკენ, გარს შემოილაგებდა მუთაქებს და ბალიშებს, შემოიკეცდა ფეხს. ჩუმად უგდებდა ყურს არისტოკრატი ქალების ლაყბობას. ცოტა ხნის შემდეგ, თანაბარი მძიმე სუნთქვა და ოდნავი ხვრინვა გვაცნობებდა, რომ აკაკი ძილს მისცემოდა, მაგრამ საერთო პატივისცემა აკაკისადმი არ აძლევდა არავის ნებას გაეღვიძებინათ იგი. ამ მოსაწყენ სტუმრების წასვლის შემდეგ მე ფრთხილად გავაღვიძებდი პოეტს და ის გამოცოცხლდებოდა და გადაიქცეოდა ძველ შეუდარებელ მთხრობლად.

მაგონდება კიდევ ერთი შემთხვევა: 1885 წ. ჩვენ ვცხოვრობდით აგარაკ ბორჯომში, სასტუმრო „მარსელი"-ს გვერდით. ჩამოვიდა აკაკი და გაჩერდა ამ სასტუმროში. ერთ დღეს, როდესაც აკაკი ჩვენთან იჯდა აივანზე—ქუჩის პირას, ჩვენს წინ გაიარა აბრეშუმის ქსოვილებით მოვაჭრე იმერელმა და როდესაც დაინახა აივანზე მჯდარი დიდებული მოქალაქე ძალზე გაცვეთილი ყელსახვევით (აკაკი საერთოდ არასოდეს არ აქცევდა ყურადღებას თავის მორთულობას) შესთავაზა ეყიდნა ყელსახვევი. აკაკიმ ჩუმად ჩაიხედა საფულეში, აღმოაჩინა მხოლოდ 10 შაური. ყელსახვევი ღირდა ერთი მანეთი. იმერელმა არ დაუკლო და აკაკიმ უარი სთქვა ყიდვაზე. საუბარში ამ დროს იმერელმა ყური მოჰკრა აკაკის სახელს და ჩურჩულით მკითხა მისი ვინაობა. მეც ვუპასუხე. როდესაც მეფარჩემ გაიგო, რომ მის წინ აკაკი წერეთელია, სახე გაუბრწყინდა, მოჰკიდა ხელი კალათს, დაუდგა აკაკის ფეხებთან და წამოიძახა: მაპატიე ბატონო აკაკი, რომ ვერ გიცანით! მიიღეთ რაც გნებავდეთ თქვენი აღფრთოვანებული პატივისმცემლისაგან. მაპატიეთ კადნიერება .—იმეორებდა იგი აღელვებული, მაგრამ ვერ იქნა, ვერ დაიყოლია პოეტი საჩუქარზე. შეწუხებული მეფარჩე წავიდა, მაგრამ ჩუმად გაიგო პოეტის მისამართი და საუკეთესო ყელსახვევი გაუგზავნა უსახელოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიგონებ ვიდევ ერთ შემთხვევას. ეს მოხდა 1911 წ. ქუთაისში, სადაც იმ დროს მე ვმსახურობდი. კლუბში იყო რაღაც საქველმოქმედო წარმოდგენა. მე ვიჯექი პირველი რიგის შუა ადგილას, ჩემს გვერდით იჯდა ჩემი ნაცნობი რუსი მანდილოსანი. მარჯვნივ ერთი ადგილი თავისუფალი იყო. უცებ დარბაზში გამოჩნდა დიდებული ფიგურა აკაკი წერეთლისა. დავინახეთ ერთმანეთი, მე მოვიწვიე თავისუფალ სკამზე ჩემს გვერდით. გაიმართა გაცხოველებული საუბარი. მანდილოსანმა, როდესაც გაიგო, რომ ეს აკაკი წერეთელი იყო, ჩუმად მთხოვა, გამეცნო მისთვის პოეტი. ქალმა დაიწყო შეუჩერებლად ლაპარაკი და გუნდრუკის კმევა. აკაკის არ უყვარდა, როდესაც პირში აქებდნენ და უცებ მოიწყინა. ბოლოს აკაკი გაიწვიეს კულისებში, სცენაზე გამოსასვლელად. სცენაზე ორ რიგად გამწკრივდა იმდროინდელი ქუთაისის ბრწყინვალე საზოგადოება: კლუბის ადმინისტრაცია, ცნობილი მსახიობები, ლიტერატორები, თავად-აზნაურთა წარმომადგენლები და აკაკი, რომელიც დიდებულად გამოვიდა და დადგა ავანსცენაზე. პოეტმა ათი წუთის განმავლობაში ვერ მოახერხა ხმის ამოღება, რადგან მქუხარე ტაშის ცემა არ შეჩერებულა ერთი წამითაც. ბოლოს, როგორც იყო მიეცა საშუალება წარმოეთქვა ერთი მისი უკვდავი ლექსთაგანი. ლექსის გათავებისას ისევ იგრიალა მქუხარე ტაშმა.

აკაკიმ ხუთი ლექსი წაიკითხა. სცენიდან ჩამოვიდა და დაქანცული დაჯდა ისევ ჩვენთან. მე არ მახსოვს არასოდეს, რომელიმე პოეტის გამოსვლას ისე აღფრთოვანებით შეხვედროდა ხალხი, როგორც აკაკის. საკმარისი იყო მისი ერთი გამოჩენა, რომ აუდიტორია გრგვინვად გადაქცეულიყო. ეს იყო ჩემდა საუბედუროდ, ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. მეორე წელს მე წავედი პეტერბურგს და როდესაც დავბრუნდი, თბილისში მთაწმინდაზე დამხვდა უბრალო სასაფლაოს ქვა, რომელზედაც წარწერილი იყო ჩემთვის ესოდენ საყვარელი სახელი: აკაკი.

1933 წელი, აგვისტო.

ზაქარია ფოლაქიშვილი

აკაკი ქართული ლექსიკონის შესახებ

მოგონება

დაახლოებით 1907 თუ 1908 წელს მოწვეული იყო ქ. თბილისში ქართ. შორის წერა-კითხ. გამავრც. საზ-ბის წევრთა საერთო კრება. ამ კრებას სხვათა შორის დაესწრო აკაკიც, რომელიც ამ საზოგადოების საპატიო წევრი იყო.

საერთო კრებას განსახილველი ჰქონდა: გამგეობის მუშაობის ანგარიში წარსული წლისა და სხვა საკითხები; გარდა ამისა მომავალი წლის მოქმედების ვეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

გამგეობას გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა, უმთავრესად, ახალი ლექსიკონის (ქართულ-რუსულის და რუსულ-ქართულის) გამოცემა და შედგენა ახალი მასალების შევსებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აკაკი კახეთში, ჯანდიერებთან (სოფ. ვაჩნაძიანი) 1911 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი გამოცემის საჭიროებას გამგეობა ასაბუთებდა იმით, რომ პროფ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული ლექსიკონები უკვე გამოილია, ალარ იშოვება, მოთხოვნილება კი ამაზე დიდია, ამიტომ წერა-კითხვის საზოგადოებამ თავი მოუყარა ყველა არსებულ ლექსიკონებს და სხვა გამოსადეგ მასალებს ახალი ლექსიკონის გამოსაცემად.

ამ საკითხის გარშემო გაიმართა კამათი, ბევრმა მიიღო მონაწილეობა, უმეტესობა იწონებდა გამგეობის აზრს და მოითხოვდა მის აუცილებელ განხორციელებას. აკაკიმაც მოითხოვა სიტყვა. როცა აკაკი წამოდგა სიტყვის სათქმელად, ამ კრებაზე ყველა დამსწრენი აღტაცებით უყურებდით მის გაჭაღარავებულ მადლიან სახეს; დიდი ყურადღებით ვუსმენდით, ჩვეულებრივ, ტკბილად მოუბარს.

— ზედმეტია ლაპარაკი იმაზეო,—დაიწყო მხცოვანმა პოეტმა,—რომ კარგი ლექსიკონი გვესაჭიროება, რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად, რათა არ განმეორდეს ჩვენში ისეთი შემთხვევა, როგორც დაემართა ერთ ჩვენს მწერალს, რომელიც თავის ნაწერებში ხშირად ხმარობდა სიტყვას „წყალვარდნილას“. ეს სიტყვა რუსულ „ვოდოპადიდან“ ეთარგმნაო.

ამას ყურადღება მიაქცია ყოველდღიურმა გაზეთმა „ივერიამ“ და თავის მკითხველებს სთხოვა რედაქციისათვის მიეწოდებინათ „ვოდოპადის“ ნამდვილი ქართული სახელწოდება.

— არ გასულა დიდი ხანი, რომ რედაქციას თითქმის საქართველოს ყველა კუთხიდან მოუვიდა ცნობა და გამოირკვა, რომ „ვოდოპადს“ ხალხში უწოდებენ „ჩანჩქერს“, „ჩახრიალას“ და კიდევ სხვა რამდენიმე სახელწოდებას: იყო აგრეთვე ცნობები სამეგრელოდან და სვანეთიდანაც, რომლებიც ამჟამად არ მახსოვსო.

აკაკი განაგრძობდა:

— ამრიგად, „წყალვარდნილის“ მაგიერ აღმოჩნდა რამდენიმე სიტყვა, რომელიც გაფანტული ყოფილა ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეშიო.

— რად გვინდა თარგმნა, როდესაც მოგვეპოვება საკუთარი სიტყვებიო?

კარგი ლექსიკონის შედგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქართულ ძველ მწერლობას, რაც გადაურჩა დაკარგვას ან მოსპობას. ამის დასასაბუთებლად აკაკიმ მოიყვანა მაგალითი: თუ გახსოვთ მე-19 საუკუნის ოთხმოცდა-ათიან წლებში ამიერკავკასიის რკინის გზის სამმართველომ დაიწყო სურამის ანუ ლიხის უღელტეხილზე მუშაობა „ტონელის“ გასაყვანადო. ასეთი ტონელის გაყვანა მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ მაშინდელ რუსულ გაზეთებში იბეჭდებოდა ცნობები ამ მშენებლობის შესახებ. „ტონელის“ გაყვანა დამთავრდა და მისი ზეიმით გახსნა მოხდა, მგონი, 1890 წელს. ასეთი ამბავი ეინტერესებოდათ, რასაკვირველია, ქართულ გაზეთების მკითხველებსაც, მაგრამ რედაქცია ჩავარდა ერთგვარ გასაჭირში, რადგანაც „ტონელის“ ქართულად დასახელება ვერ მოეხერხებინათ. ამის გამო რედაქციამ ერთ დანიშნულ დღეს მოიწვია ყველა თანამშრომელი სათათბიროდ, მეც დავესწარ ამ თათბირსა. თათბირის მიზანი იყო გამოენახათ „ტონელის“ სახელი ქართულადო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამსწრენი ზოგი ასახელებდა გამოქვაბულს, ზოგი—ხვრელს. ბოლოს გადაწყდა, „ტონელისათვის“ დაერქმიათ „ქვახვრიტა“, მაგრამ ასეთი სიტყვა როგორღაც არ მოგვწონდა, სმენას ეჩოთირებოდაო.

ბოლოს ერთმა დამსწრეთაგანმა შემოიტანა ასეთი წინადადება: არა მგონიაო, რომ ძველ ჩვენს მწერლობაში, თუნდაც „ვეფხისტყაოსანში“ არ იყოს შესაფერი სიტყვა—მე მგონიაო, ეხლა თავი შევიკავოთ ამ „ქვახვრიტას“ ხმარებისაგან და ამ მიზნით გადავათვალიეროთ ჩვენი ძველი მწერლებიო.

მართლაც გავინაწილეთ ასეთი ძიების მუშაობა და წავაწყდით სიტყვა „გვირაბს“, რომელიც ამას შემდეგ დაერქვა „ტონელს“.

ეს მაგალითი ცხადსჰყოფს იმ აზრს, თუ ლექსიკონისათვის რამდენად ძვირფასი მასალა მოიპოვება ჩვენს ძველ მწერლობაშიო.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ლექსიკონისათვის შეგროვილ მასალას ცოცხალ ენიდან, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხის მცხოვრებთა შორის დარჩენილია ზეპირგადმოცემის ან ზეპირსიტყვაობის სახით, ამაში დამარწმუნა შემდეგმა შემთხვევამაო.

ჩვენი მოგზაურობის დროს ერთხანად მომიხდა ქართლის ერთ-ერთ სოფელში ყოფნა, ჩამოვხტი ერთი გლეხის ოჯახში. ამ ოჯახის მეთაური აღმოჩნდა ძველი თქმულებების, ამბების და საერთოდ ზეპირსიტყვაობის დიდი მცოდნე.

ეს ოჯახი, გარდა მიწათმოქმედებისა, თურმე ხელოსნობასაც ეწეოდა. განსაკუთრებით ოჯახის მეთაური მთელ ამ მხარეს განთქმული ყოფილა, როგორც დახელოვნებული კაცი წისქვილების მოწყობის საქმეშიო. რაკი იგი მოხუცებულობაში შესულა, მოეწადინა თავისი ცოდნა გადაეცა თავის უფროს ვაჟისათვის, ამიტომ მას გზავნიდა წისქვილების გასაკეთებლად და ხელმძღვანელობას უწევდა სახლიდან. იმჟამად უფროსი ვაჟი იმავე სოფელში ამთავრებდა ახალი წისქვილის გამართვას. როცა იგი საღამოთი შინ დაბრუნდა, მამა შეეკითხა:

— რა ჰქენი შვილო, როგორაა შენი ახალი წისქვილის საქმეო?

— რაღა როგორ არის, მამაჩემო, წისქვილი მზადაა, გამართული ყოველ მხრივ, მაგრამ ერთი უბედურება დაგვატყდა თავს, როცა წყალი მიუშვით ღარში, ბორბალი არ დატრიალდა, რამდენი ვეწვალე, მაგრამ ბორბალი ვერ ავამუშავე. მთელ დღეს ვიტანჯე, დავიღალე, მაგრამ მისი ასავალ-დასავლისა ვერა გავიგე-რაო.

— კარგი, შვილო,—მიუგო მამამ,—ეხლა დაისვენე, ვივახშმოთ, ხვალ დილით გამოგყვები, გავსინჯავ და იქნება საქმე მოვაგვაროთო. მეორე დღეს მეც გავყევი მათ, მამამ ახალი წისქვილი გასინჯა და გამართულობა მოუწონა შვილს, შემდეგ წყალი მიაშვებინა ღარში, მაგრამ წისქვილის ბორბალმა მოძრაობა მაინც არ დაიწყო. მაშინ მოხუცი ხელოსანი მიაჩერდა ხის ღარს, დაიწყო მისი სიღრმისა და სიგანის ზომვა და უთხრა შვილს:

— აი, სწორედ ეს არის მიზეზი შენი წისქვილის უბედურებისა, ღარისათვის ტევა საკმარისი არ მიგიციაო, ღარი უნდა გამოსცვალოო, ახალი გაუკეთე, მეტი ტევადობა მიეცი. რადგან წისქვილის პატრონებს ძალიან ეჩქარებათ, საფქვავიც მოუტანიათ, ეხლა მომაგონდა, სახლში ერთი ღარი მაქვს წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთ დამზადებული, ჩემი ვარაუდით აქ გამოდგება თავისი ტევადობით. წადი ჩქარა სახლში, მოიშველიე სხვებიც და მოიტანე ის ხის ღარიო.

არ გასულა დიდი დრო, მოიტანეს სახლიდან ღარი, მოხუცმა ხელოსანმა ეაამართვინა როგორც რიგი იყო. მიუშვეს ღარში წყალი, ბორბალი მაშინვე ამუშავდა, საფქვავიც დააყარეს, წისქვილი წესიერად ფქვავდა. ყველანი ნასიამოვნები დარჩნენო. მამამ მიმართა შვილს:

— იცოდეო და კარგად დაიხსომეო, რომ როცა წისქვილის ღარს აკეთებ, სუყოველთვის ტევა მეტი მიეცი, რადგანაც ღარს ტევა, თუ მეტი აქვს, ამით საქმე არ დაშავდება. თუ საჭირო იქნება ტევის შემცირება, ეს ადვილად შეიძლება, ღარში წყლის ნაკადს საჭიროებისამებრ შეამცირებო.

აკაკიმ კვლავ განაგრძო:

მე იქ გაგონილმა სიტყვა „ტევა", „ტევადობამ" ძალიან დამაინტერესა, ხშირად მსმენია ხალხში ნათქვამი ფრაზა: ჩვენს დარბაზში იმოდენა სტუმრები შეიკრიბნენ, რომ ტევა არ იყო, ან ეკლესიაში იმოდენა ხალხია, რომ ტევა არ ჰყოფნისო.

ბოლოს, კარგა გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ სიტყვა ტევა ან ტევადობა იმას ნიშნავს, რასაც რუსულად об'ем-ს უწოდებენო.

ამიტომ ხალხში დარჩენილ ზეპირსიტყვაობას, როგორც წინათ, ისე ახლაც მე დიდ მნიშვნელობას ვაკუთვნებ და სწორედ ამ გარემოებამ მაფიქრებინა პერიოდული ჟურნალი „კრებული"-ს დაარსება, რომელშიც ვაქვეყნებდი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში შეგროვილ ზეპირსიტყვაობასო. „კრებულის" გამოცემა, სამწუხაროდ, იძულებული ვიყავი უსახსრობის გამო შემეწყვიტაო.

მე უკვე მოგახსენეთ,—განაგრძო კვლავ აკაკიმ,—თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს ოგრეთვე ჩვენს ძველს მწერლობას, მაგრამ ასეთი მწერლობის ნაშთები წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში ძალიან მცირეა. ის, რაც გადარჩა დაკარგვას ან მოსპობას, გაფანტულია და ჩარჩენილია როგორც ამერეთის, ისე იმერეთის მცხოვრებთა ძველ ოჯახებში. სასურველია, ასეთი მნიშვნელოვანი საუნჯეები ჩვენი მომავალი მწერლობისათვის შეკრებილი იყოს აქ, ამ საზოგადოების მუზეუმშიო: ამ საქმეში ჩვენი დაუდევრობის დასახასიათებლად ერთს მაგალითს მოგახსენებთო:

ამ ოცდახუთიოდე წლის წინათ, აქ, თბილისში გარდაიცვალა უძეოდ ერთი დიდი გვარიშვილის პიროვნება, იგი იყო ცნობილი ქართველი პოეტიც, დიდი თანამდებობა ეკავა და შეძლებული ოჯახის პატრონი იყო. მისი წინაპარნი დაახლოვებულნი იყვნენ ჩვენს მეფეებთან, ამიტომ მის ოჯახში ინახებოდა ათასნაირი უძველესი ნივთები, იარაღები, განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის ძველი ხელნაწერები. ყველა ამას უფრთხილდებოდა და ინახავდა მისი პატრონი, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ სხვა ქონებასთან ერთად ეს მნიშვნელოვანი საუნჯეც ყვავ-ყორანს გაჰქონდა ოჯახიდან, მისი გადაგვარებული და უთაოსნო მემკვიდრეობის დაუდევრობითო. (აკაკი გულისხმობდა პოეტ გრიგოლ ორბელიანს).

აქედან გატანილ ისტორიული მნიშვნელობის მქონე ზოგიერთ ფურცლებს შემთხვევით წავაწყდი თბილისის ბაზარზე ერთ მოვაჭრესთან, რომელიც უბრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო შესახვევი ქალალდის მაგივრად ხმარობდაო. ბევრი ცდისა და ძიების შემდეგ მხოლოდ რამდენიმე ფურცელი აღმოჩნდაო. ეს გადარჩენილი ფურცლები, თურმე ამოხეული იყო მეტად საინტერესო ისტორიული ძეგლიდანაო.

ასეთი სიტყვის შემდეგ აკაკიმ მოუწოდა ყველა იქ დამსწრეთ, ხელი შეეწყოთ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის ძველი მწერლობის ნაშთების შეკრების საქმეში.

ილარიონ ულენტი

აკაკი და ახალგაზრდობა

1908 წ. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ვსწავლობდი. უფროსი კლასის ქართველ მოსწავლეებში გამოითქვა სურვილი—გადაეხადათ აკაკის იუბილე კლასიკურ გიმნაზიაშიც. ამ განზრახვას უფრო მეტად მით ასაბუთებდნენ, რომ აკაკი სწორედ ამ გიმნაზიაში სწავლობდა. მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა თავისი აზრი ქართული ენის მასწავლებელს მელიტონ ჩოგოვაძესა და მაშინ გიმნაზიის ხატვის მასწავლებელს, ამჟამად დამსახურებულ არტისტს ვასო ბალანჩივაძეს გაუზიარა. ორივემ მოუწონეს მოსწავლეებს ეს აზრი და დირექტორთან შუამდგომლობის აღძვრაც იკისრეს. ამ გიმნაზიის დირექტორად მაშინ ცნობილი ჩინოვნიკი მიხეილ გლუშაკოვი იყო. გლუშაკოვი ქუთაისის რეალური სასწავლებლის დირექტორ ლეონტიევთან ერთად ცნობილი იყო როგორც გიმნაზიაში ქართველ მოსწავლეთა მიღებისა და ქართველების მიერ გიმნაზიის დამთავრების დიდი შემფერხებელი. გლუშაკოვსა და ლეონტიევს კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელ მზრუნველ რუდოლფისაგან საიდუმლო დირექტივა ჰქონდათ მიღებული, რომ გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში ნაკლებად მიეღოთ ქართველი ახალგაზრდობა და ამავე დროს მათთან უკვე მყოფი ქართველი მოსწავლეებისათვის გაეძნელებინათ სასწავლებლის დამთავრება. ორივე მოხელე ურყევად ატარებდა მეფის მთავრობის ამ დიდმპყრობელურ პოლიტიკას, რისთვისაც მათ დაწესებულ ვადაზე ადრე მიეცათ ეგრეთწოდებული „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის“ ჩინი.[1]

სწორედ ამ გლუშაკოვს მიმართეს ჩოგოვაძემ და ბალანჩივაძემ—ნება დაერთო მას გიმნაზიაში აკაკის იუბილეს ჩატარებაზე. რასაკვირველია, დირექტორმა გლუშაკოვმა ისინი ცივი უარით გამოისტუმრა. ამგვარად, 1908 წელს არ არ მოხერხდა კლასიკურ გიმნაზიაში აკაკის იუბილეს ჩატარება, მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობა თავის ცდას მაინც განაგრძობდა და 1909 წელს, როგორც იყო მიღებული იქნა გიმნაზიაში აკაკისადმი მიძღვნილი სალიტერატურო

[1] რამდენიმე წლის შემდეგ, მოსწავლეთა ორგანიზაციის დავალებით, მოსწავლე იონა ლორთქიფანიძემ ტეროორისტული აქტი განახორციელა ორივეს მიმართ რეალურ სასწავლებელში გამართულ საღამოზე, ბრაუნინგიდან შვიდი ტყვია დაახალა ორივეს და მძიმედ დასჭრა. ლორთქიფანიძე სულ მოკლე ხანში დააპატიმრეს და თბილისში ჩამოახრჩეს.

ი. ჟ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საღამოს გამართვის ნებართვა. გადასწყდა საღამო გამართულიყო იანვარში, მაგრამ, რასაკვირველია, კრინტიც არავის დაუძრავს იმაზე, რომ აგვეღო ნებართვა საღამოზე აკაკის მოწვევისათვის,—გვეშინოდა—მთლად უარი არ ეთქვათ საღამოს გამართვაზე.

ძლიერ ფრთხილად იქნა შედგენილი პროგრამა: მოხსენება აკაკის მოღვაწეობაზე რუსულსა და ქართულ ენებზე, აკაკის „პატარა კახის“ მეორე მოქმედებისა და „სცენა საპატიმროში“-ს დადგმა, აკაკის ლექსების წაკითხვა და აპოთეოზი (აკაკის სურათი საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა შორის). ნაწილი ლექსებისა რუსულ ენაზე უნდა წაკითხულიყო. დირექტორმა გლუშაკოვმა პროგრამიდან ამოგვიშალა მხოლოდ „სცენა საპატიმროში“. პროგრამის დანარჩენი ნაწილი დაამტკიცა, მაგრამ წინასწარ მოითხოვა მოხსენებები,[1] თუ მეხსიერება არ მღალატობს, აკაკის სურათი მაშინ იმავე გიმნაზიის მოსწავლემ, ამჟამად მხატვარმა პროფესორმა დავით კაკაბაძემ დახატა. „პატარა კახის“ მეორე მოქმედება ვასო ბალანჩივაძემ მოგვამზადებინა. პროგრამა უკვე მზად იყო და დღეც დაინიშნა. საღამოს დაესწრებოდნენ მხოლოდ ამავე გიმნაზიის მასწავლებელ-მოსწავლენი და გიმნაზიის ადმინისტრაცია.[2] ვასო ბალანჩივაძემ თეატრიდან მოიტანა ნაციონალური ტანსაცმელები (ქულაჯა-ჩაქურები და სხვ.), რომლებშიც გამოეწყვნენ, როგორც „პატარა კახის“ მომქმედ პირთა შემსრულებელნი ისე სხვა მოსწავლეებიც.

ყველაფერი მზად იყო, მაგრამ გვაწუხებდა ერთი გარემოება: გავიგეთ აკაკის იმ დღეს ქუთაისში ჩამოსვლა, მაგრამ მისი მოწვევის უფლება კი არა გვქონდა; გავიგეთ ისიც, რომ აკაკიმ იცოდა ჩვენი განზრახვა. რა მოგვასვენებდა, რაიმე უნდა გვეფიქრა, რომ გიმნაზიაში აკაკის მოსვლა მოხერხებულიყო. და ჩვენც ხერხს მივმართეთ. აკაკის მიუგზავნეთ მასწავლებელი მელიტონ ჩოგოვაძე. აკაკი საღამოზე უნდა მოსულიყო თავისით, ვითომც დაუპატიჟებლად; გვეშინოდა ჩვენი მონაწილეობა ამ საქმეში არ მისულიყო გლუშაკოვის ყურამდე. თანაც ეს ამბავი გავანდეთ გიმნაზიის ინსპექტორს მიხეილ საღარაძეს, რომელიც ვიცოდით, არ გაგვთქვამდა. ეს ამბავი იცოდა მხოლოდ მოსწავლეთა მცირე ჯგუფმა.

ჩვენდა სასიხარულოდ, აკაკი დათანხმდა გიმნაზიაში „დაუპატიჟებლად“ მოსვლაზე. მოსვლის საათიც გვაცნობა. წარმოდგენილი უნდა გქონდეთ ჩვენი ნერვიულობა. მოახლოვდა საღამოს 8 საათი, აკაკის მოსვლის საათი. გავაფრთხილეთ სასულე ორკესტრის ერთი მონაწილე მოსწავლე, რომ როცა დარბაზში ასასვლელ კიბეზე ტაშისცემას ავტეხდით, ორკესტრს შესახვედრი მარში დაეკრა.

ნაციონალურ ტანსაცმელებში გამოწყობილი მოსწავლეები გიმნაზიაში შემოსასვლელ მთავარ კარებთან და დარბაზში ასასვლელ კიბეზე ჩავემწკრივეთ; დანარჩენი მოსწავლეებიც იქვე იყვნენ, მაგრამ მათ არაფერი იცოდნენ. ხში-

[1] გლუშაკოვმა კარგად იცოდა ქართული ენა, ქუთათური იყო. დედა ქართველი ჰყავდა.
ი. ყ.

[2] გარეშე პირებს გიმნაზიის კედლებს შიგნით არ უშვებდნენ.
ი. ყ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ვიცქირებით ქუჩისაკენ და, აი, გიმნაზიას მოადგა ეტლი, რომელშიც აკაკი იჯდა. ჩამოხტა მოხუცი, მივიდა კარებთან. კარებთან მყოფ დარაჯს მასწავლებელმა მელიტონ ჩოგოვაძემ კარები გააღებინა და შეეგება. ავტეხეთ ტაშისცემა და ვაშას ძახილი. აგვყვა მთელი მოსწავლეობა, ორკესტრმა შესახვედრი მარში დაუკრა. იკადრა გლუშაკოვმა გამოქცევა და შეხვედრა. დირექტორი გლუშაკოვი ამოუდგა გვერდში აკაკის, მეორე მხრიდან კი საღვთისჯულის მასწავლებელი მღვდელი ე. კანდელაკი და მასწავლებელი მელიტონ ჩოგოვაძე დადგნენ და აკაკი შემოიყვანეს დარბაზში. ვიშოვეთ დრო და ვიჯერეთ გული. დიდხანს არ შეწყვეტილა ფეხზე დამდგარი ხალხის ტაშის ცემა და მუსიკა. გლუშაკოვმა აკაკი წინ წამოიყვანა და თავის გვერდით მოისვა სავარძელში.

აიხადა ფარდა. შუა სცენაზე ამართული იყო აკაკის დიდი ფერადებიანი სურათი. სცენაზე გამოვიდა მაშინ მერვე კლასის მოსწავლე, ამჟამად პროფესორი აკაკი შანიძე და რუსულ ენაზე წაიკითხა ვრცელი მოხსენება აკაკის ცხოვრებასა და სალიტერატურო მოღვაწეობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შანიძის მოხსენება გლუშაკოვს წაკითხული ჰქონდა, მაგრამ დაუკვირვებლობით იყო, თუ რაიმე სხვა მიზეზით, მაშინ ვერ მიექცია ყურადღება მოხსენების იმ ადგილებისათვის, სადაც მომხსენებელი აღნიშნავდა ქართველი ხალხის ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლის მოტივებს. და, აი, როდესაც მომხსენებელმა აკაკის მთელ რიგ ლექსებს და სხვა ნაწარმოებთა შინაარსი გადაგვიშალა, გაუკეთა ანალიზი და გახსნა ფრჩხილები, დირექტორ გლუშაკოვს ფერი ეცვალა და დაიწყო ადგილზე ტოკვა. მაგრამ რას გააწყობდა?! თვით უხერხულად სცნო ადგომა და მომხსენებლის გაფრთხილება. სამაგიეროდ, როგორც კი დაასრულა შანიძემ მოხსენება, რომელსაც ტაშისცემით შეხვდა მოსწავლეობა და თვით აკაკიც და ჩამოეშვა ფარდა, კულისებში შეიჭრა გლუშაკოვი, ჩამოართვა შანიძეს მოხსენების დედანი და გიმნაზიიდან გამორიცხვით დაემუქრა. შანიძის შემდეგ წაკითხულ იქნა მოკლე მოხსენება ქართულ ენაზე. მოხსენებებს მოჰყვა „პატარა კახის“ მეორე მოქმედება. შემდეგ განყოფილებაში მოსწავლეებმა ქართულსა და რუსულ ენაზე წავიკითხეთ აკაკის ლექსები. მე წავიკითხე აკაკის „პატრიოტი“, რომელშიც მგოსანი დასცინის თავად-აზნაურულ ცრუ პატრიოტიზმს. ეს ლექსი თავდება შემდეგი სიტყვებით: „რომ მოგწონვართ, მეც კი გატყობთ, აბა, დამიკარით ტაში!“. ჩემს სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სხვებთან ერთად აკაკიც მიკრავდა ტაშს და თან იღიმებოდა. წარმოიდგინეთ, გლუშაკოვიც მიკრავდა ტაშს. ლექსებს უნდა მოჰყოლოდა აპოთეოზი—აკაკის სურათი საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილთა შორის. ჩვენა ვთქვით, რაღა სურათი მოვათავსოთ შუაში, როცა ცოცხალი აკაკი აქა გვყავსო. გავთამამდით და ავიყვანეთ სცენაზე აკაკი და შემოვერტყით გარშემო. ამით დავამთავრეთ აკაკისადმი მიძღვნილი საღამო.

აკაკი ტაშის ცემითა და ვაშას ძახილით გავაცილეთ.

მეტად კმაყოფილი დავრჩით საღამოთი და დიდი შთაბეჭდილებით წავედით შინ. გვეგონა, რომ ყველაფერი კარგა დამთავრდა, მაგრამ შევცდით. დირექტორ გლუშაკოვს ამ საღამოდან გარკვეული გადაწყვეტილება გამოეტანა, რადაც უნდა დაჯდომოდა, აკაკი შანიძე გამოერიცხა გიმნაზიიდან. აკაკი შანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერვე კლასში იყო, მას ყველა საგანში ხუთი ჰქონდა. სულ რამდენიმე თვის შემდეგ ოქროს მედალით უნდა დაემთავრებინა გიმნაზია. როგორ მოხდა არ ვიცით, თვით აკაკის აცნობეს ეს ამბავი და პოეტის მეოხებით ა. შანიძე გიმნაზიიდან გამორიცხვას გადარჩა, მაგრამ ოქროს მედალი კი დაჰკარგა.

პოლინა მამინაიშვილი

ჩემი ძველი დღიურიდან

აკაკის თელავში ჩამოსვლისას, ოჯახში გადავწყვიტეთ დიდი სადილი გაგვემართა, მოგვეწვია აკაკი და გაგვეცნო თელავის საზოგადოებისათვის.

ჩვენს დიდ სასადილოში გაშლილია სუფრა 40 კაცისათვის. 3 საათია. აი, ჩემს საწოლ ოთახის ფანჯრებიდან დავინახე მობრძანდება აკაკი. თან მოჰყვებიან ჩემი მეუღლე და ვასილ კახიძე (რაფიელ ერისთავის სიძე). მე ჩემი ბინის შემოსასვლელ კარებში ვდგევარ, დიდი კლასის კორიდორში გამოვიდნენ. გული ლამის ამომივარდეს ბუდიდან. ბავშვობიდან აკაკი და ილია ჩემთვის რაღაც არა ხორციელი იყვნენ. რა ბრგე კაცი ყოფილა. მომიახლოვდა, ხელი გამომიწოდა, მე კინალამ მუხლებში ჩავიკეცე აღტაცებისაგან.

სადილს შემდეგ აკაკი ჩვენთან რჩება, სასტუმროში არ მოსწონს. მე ბედნიერად ვგრძნობ თავს. რა მშვენიერია აკაკი დილას, ახალ პირდაბანილი, ნაოჭები უსწორდება სახეზე, თვალები უბრწყინავს. მე მინდა დაუსრულებლად უცქირო. სასადილო ოთახის შუშაბანდიდან კარებს რომ მოადგება, ასე მგონია მნათობი გამოჩნდაო. ჟილეტით იცის შემოსვლა, ბოდიშს იხდის, გვთხოვს, პიჯაკს ნუ ჩამაცმევთო. გვიამბობს სასაცილო ამბებს.

ბანქოს თამაში უყვარს აკაკის; ყოველ საღამოს რიგ-რიგობით მოდიან ჩვენთან პარტნიორები. ჩემი მეუღლე სამსახურის გამო თბილისში გაიძახეს. დამიბარა, აკაკის ბანქოს მოთამაშეები არ მოაკლოო. სამ დღეს საღამოს აღარავინ მოვიდა ჩვენთან. აკაკი ვერ არის გუნებაზე. მეც ვღელავ. ოინს მივმართე: „ბატონო აკაკი, ხომ არ გეწყინებათ ამ საღამოს, რომ ლოტოს სათამაშოდ გიახლოთ კლუბში. აკაკის თვალები გაუბრწყინდა:—„მარტო ხომ ვერ წახვალ, მეც უნდა გაგყვე“.

მივედით თუ არა კლუბში, მაშინვე პულკა შეუდგინეს აკაკის. 12 საათამდე იქ დავრჩით. წამოსვლისას ვესტიბიულში ერთმა ვაჭარმა პალტო ჩააცვა აკაკის. აკაკი მიუბრუნდა, ეშმაკურად გადახედა და უთხრა: საკვირველია, ვაჭრისაგან მორთმევა, ჩვენ წართმევას ვართ შეჩვეულიო! დამსწრეებმა ბევრი იცინეს.

აკაკის „суп с ушками“ უყვარს. რაც ხანი აქ არის, სულ მუდამ დღე ამ სუპს ვაკეთებინებ მზარეულს. დილაობით, დილის საუზმის წინ, უსათუოდ ცივი წყალი უნდა დალიოს. მე მუდამ გამზადებული მაქვს.

დღეს სტუმრები მყავდა: შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი და სხვები. ნედლი სიმინდი ახალი შემოსულია, გადავწყვიტე დესერტად სიმინდი. გვიან მომაგონდა, რომ აკაკის სწყენს. მისთვის ცალკე კისელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი თელავში 1911 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაკეთეთ. აკაკიმ მიირთვა კისელი და გავიდა, ეშინოდა სიმინდის სიყვარულმა არ შემაცდინოსო. ერთ წუთსაც არ გაუვლია, ისევ მოადგა ჩვენი სასადილოს შუშაბანდიდან კარებს: „გაათავეთ?“ ჩვენ სიცილით უპასუხეთ, რომ ცოტა კიდევ მოუხდება მოთმენა.

— დღეს ვიღაც 120 წლის მოხუცი გლეხი მოიყვანეს ჩვენს სასწავლებლის ეზოში. აკაკიმ მოისურვა მასთან საუბარი. გამოჰკითხა ძველი დროის ამბები. ბოლოს ჰკითხა: როგორ მოგწონს ვორონცოვიო? გლეხს აკაკი ვინმე დიდი ჩინოვნიკი ეგონა და შეაქო. მაშინ აკაკიმ სამი მანეთი აჩუქა და უთხრა, „ვორონცოვი რომ არ გექო, ხუთი მანეთის ჩუქებას ვაპირებდიო“. გლეხი შეკრთა, მაგრამ გვიანღა იყო.

— ჩემი ბავშვები—დათუნა და კაკუჩა დიდ განცხრომაში არიან. აკაკის უყვარს პირაღმა წოლა ტახტზე. ერთ ფეხს მოღუნავს და დააყენებს, მეორეს ზედ დაადებს.

ჩემი დათუნა შეუძვრება ფეხებში და „ჭიტას“ იძახის. აკაკი ამ დროს ხლაპრებს მოუყვება. დათუნას „ჩიტო, ჩიტო ჩიორა“ მოსწონს, სულ იმას ალაპარაკებს. კაკუჩაზე ამბობს: „ასეთი კეკლუცი ქალი არ შემხვედრია ცხოვრებაშიო. დღეს თავისი სურათი აჩუქა წარწერით. დაპირდა, დიდ ლექსს დაგიწერო.

— რა ვქნა არ ვიცი! ვიღაცას აკაკისათვის უამბნია, რომ მე კარგად ვითამაშე „თამარ ცბიერი“ სამი წლის წინ, აკაკის იუბილეის დღეს. აკაკი არ მეშვება, გინდა თუ არა ითამაშეო. ეხლა ის აღარ ვარ, რაც სამი წლის წინათ ვიყავი, არც გარეგნულად, არც სულიერად. ორი შკილის დედა ვარ. აკაკი წამოწოლილია ტახტზე და ბუტბუტებს რაღაცას. „ერთი რეპეტიცია ჩავატაროთ და თუ კარგი არ გამოვა, ნუ ითამაშებ“. მეც ვეთანხმები. შალვა დადიანი გოჩაა. ის ხომ ნამდვილი არტისტია, მე როგორ ვბედავ მასთან თამაშს, ვღელავ.

დღეს დიდი გულის ფანცქალით რეპეტიცია ჩავატარეთ აკაკის თანდასწრებით. გულს მიკეთებს აკაკი და მეუბნება: „ნამდვილი სარა ბერნარი ყოფილხართ, წარმოდგენა უსათუოდ უნდა შესდგეს“.

წარმოდგენის დღეც დადგა. ხვალ ვთამაშობ, ღამის ავტირდე ისე ვშიშობ. მე ძალიან უკმაყოფილო დავრჩი ჩემი თამაშით. მეორე აქტის შემდეგ აკაკი ცრემლმორეული შემოვიდა კულისებში, სულ ხელები დამიკოცნა. ვინც არ ითამაშა თამარი, ყველამ მხოლოდ გარყვნილი ქალი გვიჩვენა სცენაზე, შენ კი ის თამარი გვიჩვენე, როგორიც მე მაქვს წარმოდგენილიო“. არ ვიცი მართალს ამბობს, თუ მეფერება, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ იმითი, რომ აკაკის სურვილი აუსრულე. დღეს ოცია, ივლისის—ილიაობაა. კლუბი სავსეა ხალხით, ჩვეულებრივად აკაკიც წამობრძანდა. პირველ რიგში რუსის ოფიცრებია. აკაკის სთხოვა ჩემმა მეუღლემ, რამე ეთქვა სცენიდან. დასთანხმდა, „ერთი ლექსი-ღა მახსოვს მხოლოდო“, ავიდა სცენაზე, აუდიტორიას ხიბლავს თავისი სიდიადით, ვერცხლის თმები, როგორც შარავანდედი ისე აქვს. რა მშვენიერი სანახავია. დიდხანს სდუმს. სდუმს მთელი დარბაზი. იწყებს: „მთა წმინდა ჩაფიქრებულა“... ჟრუანტელმა დამიარა, რა სიჩუმეა, რა მშვენიერია, ღვთაებრივია აკაკი. ხალხი სმენად არის გადაქცეული. რუსი ოფიცრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც სულ-განაბული შესცქერიან, თითქოს გრძნობენ, რასაც ამბობს დიდი მგოსანი „დედაშვილობამ, ბევრს, არ გთხოვ: შენს მიწას მიმაბარეო“—ისეთი სიძლიერით სთქვა ეს სტრიქონები, რომ მთელ თეატრში რაღაც კვნესა გაისმა. ყველა გაფითრებული შეჰყურებს აკაკის. დაამთავრა. თეატრი სდუმს. აკაკი სდგას, თავი ზევით აუპყრია. უეცრად აღტაცებული ტაშის კვრა დაარღვევს სიჩუმეს. ილიას საღამო აკაკის საღამოდ იქცევა. აკაკი თრთოლავს, აღტაცებულია. მორიდებით ავიდნენ სცენაზე და მოხუცი პოეტი ჩამოიყვანეს.

გუშინ დიდი სადილი გაუმართა საზოგადოებამ ჭანდრის ქვეშ. ჩვენ ბედნიერად ვგრძნობთ თავს. კახეთმა გაიცნო აკაკი, შეითვისა თავისი დიდი მომღერალი. „რამდენჯერ ათრთოლებულა, ჭანდარო, შენი ფოთლები, წარსულში მტრის შემოსევის დროს, დღეს კი დიდი სიხარულისაგან შრიალებენ ისინი დიდი მგოსნის დანახვაზე“—ამბობს ჩემი მეუღლე თავის სიტყვებში. აკაკის ქნარი მიართვეს. სურათი გადავიღეთ (აკაკის ფერხთ მე და ნადია ბერეჟიანი ვზივართ ქნარით ხელში). ამ დღეს ქალები გვასახელა ელო ანდრონიკაშვილმა: შესანიშნავი სიტყვით შეამკო პოეტი. ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს.

ხვალ გადაწყვეტილია აკაკის გამგზავრება ახლო სოფლებში. დიდი მზადება არის თურმე ყველგან. ხალხი სიხარულით ელის საყვარელი პოეტის ნახვას.

წასვლის წინ აკაკიმ აასრულა თავის დაპირება და ჩემსა და კახიძის ბავშვებს უძღვნა მშვენიერი ლექსი: „წერილი პატარა მეგობრებს“ (დაბეჭდილია „თემში“ 1911 წ.). ეს ლექსი ასე მთავრდება:

„... მაშინ, ახალგაზრდებო!
ნახეთ ჩემი საფლავი!
(მეც იქ თქვენთან გავჩნდები,
თანმგრძნობით უხილავი),

სიცილით ჩამომძახეთ:
„აგისრულდა ახლა კი,
რასაც რომ მოელოდი,
მეგობარო აკაკი!“

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტასო მაჩაბლისა (ბაგრატიონი) აკაკის მეგობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ცნობილ ბიოგრაფს იონა მეუნარგიას დიდი სურვილი ჰქონია დაეწერა ცხოვრება აკაკისა. ამ სურვილს ის ორჯერ ოფიციალურად ამჟღავნებს,—მის მიერ ილიას შესახებ დაწერილ მოგონებებში და დავით ერისთავის ბიოგრაფიაში, ხოლო არა-ოფიციალურად, ჯერ ისევ თავისთვის, უბისა და სამახსოვრო წიგნაკებში, საცა აკაკის ყოველი სიტყვა მიღებულია „ობოლ მარგალიტად", ადამიანის აზრის ძვირფას სამკაულად და დაუჟანგავ მახვილად, თვით აკაკი კი მიჩნეულია საქართველოს ჰეინედ, პუშკინად.

ი. მეუნარგიასა და აკაკის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. აკაკი თავის „შეუბრალებელი" ოხუნჯობით ხშირად ჰკენწლავდა იონას: „გენერლების ადიუტანტს" ეძახდა ხოლმე. ამის საბაბი, თვით ი. მეუნარგიას ლიტერატურული მოღვაწეობა იყო. გრიგოლ ორბელიანი, მამია გურიელი. გ. ჭალადიდელი და კოლხიდელი (გრ. დადიანი), რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა ი. მეუნარგიამ დაწერა,—სამხედრო პირებიც იყვნენ.

რა თქმა უნდა, აკაკის ეს დაცინვა მეგობრული იყო და მეუნარგიაც მეგობრული გრძნობით ღებულობდა. ის თავის თანამედროვე მწერალთა შორის აკაკის განსაკუთრებულ პატივსა სცემდა, მისი ნიჭისა და გონებამახვილობის უსაზღვრო თაყვანისმცემელი იყო, მას „არაერთხელ მოსვლია ფიქრად, დაეწერა ცხოვრება ილიასი, აკაკისა, ნიკოლაძისა, გოგებაშვილისა, ყაზბეგისა და სხვათა" (ი. მეუნარგიას სიტყვებია); რის გამოც ის, მართლა ყველას ადიუტანტივით ახლდა—„მუშტრის თვალით" უცქეროდა, მათი ცხოვრების საფეხურებს ჰნუსხავდა და ამით თავის „სამახსოვრო წიგნებს" ამდიდრებდა.

აკაკის ხომ ამ წიგნში ყველაზე მეტი და განსაკუთრებული ადგილი სჭერია, რასაც თვით ი. მეუნარგია შემდეგნაირად გამოსთქვამს: — „ჩემი სამახსოვრო წიგნი შეუბრალებელმა აკაკიმ როჭოს დაამგსავსა, ჯიხვის წყალობით სულდგმულ[ა]" (იხ. დავ. ერისთავის ბიოგრაფია, გვ.1).

ამ სიტყვების დამადასტურებელი საუკეთესო ფაქტი ი. მეუნარგიას — „სამახსოვრო წიგნებში" უამრავია. ის მოწიწებით იწერს აკაკის იმ ნაკვესებსაც კი, რომელნიც თვით ამ უბის წიგნის პატრონის დაცინვას გამოხატავენ. მაგ.:—„იონა ჩამოსულა ქალაქში,—რომელ გენერალს ჩამოყვა თუ იცით?—ჰკითხა აკაკიმ დავ. ერისთავს.

ან კიდევ: „გოგებაშვილის იონასთან ხშირი სიარული რომ შეენიშნა აკაკის, უთქვამს —„რა ვქნა, იონასთან რომ დაიარება, გოგებაშვილს გენერლობა როდის მიუღიაო".

აღნიშნულ უბის წიგნაკებს ამგვარი სტრიქონების სიმრავლე საკმაოდ აჭრელებს. ყველაფერი ეს აკაკის საბიოგრაფიო მასალად ქუჩდებოდა, რომ „შემდგომ შესანიშნავი მგოსნის სიცოცხლისა" დარჩენილიყო მისი ცხოვრების ღირსეული აღწერა. ეს განზრახვა ი. მეუნარგიამ, სამწუხაროდ, ვერ განახორციელა. სამაგიეროდ, თავის სამახსოვრო წიგნის მასალების მიხედვით 1908 წელს გამართულ აკაკის დღეებისათვის ერთი პატარა მთლიანი სახის „რეფერატი" შეუდგენია მოგონებების სტილზე აკაკის შესახებ და ფოთში (მაშინ ი. მეუნარგია იქ მოღვაწეობდა ქალაქის მოურავად) გამართულ აკაკის საიუბილეო საღამოზე წაუკითხავს, (იხ. გაზ. „ალი" № 39, 1908 წ. 7/12).

ეს მოგონებანი შემდეგში არ დაბეჭდილა. აქ მოგვყავს აღნიშნული რეფერატის ხელნაწერის გადარჩენილი გვერდები, რომლებიც ი. მეუნარგიას არქივში აღმოჩნდა. ხელნაწერი ჩვენ დავასათაურეთ:

ᲡᲝᲚ. ᲪᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ [1]

I

(გვ. 1.) თუ ხელობას არ ვუმტყუნე, მე მხოლოდ აკაკის ცხოვრებაზე შემიძლია აქ ვილაპარაკო, თუმცა არც კი ვიცი მკვდრებზე დაგეშილმა, ცოცხალზე ან რა უნდა ვთქვა მეტადრე ამ პაპანაქება იუბილეს დროს.

[1] ზუგდიდის მუზეუმში დაცულ ი. მეუნარგიას არქივის ფონდს უკვე გადავეცით ეს ფურცლები, — ს. ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის 50 წლის იუბილემ მისი 25 წლის იუბილეი მომაგონა. თვითონ მისგან განაგონად ჩამიწერია ჩემს წიგნში: „25 წლის სამწერლო მოღვაწეობისთვის საჩხერედან ერთი ქოთანი ლობიო გამომიგზავნესო". დრონი იცვალნენ. საბერძნეთი უფრო ხელუხვი თურმე იყო თავის პოეტებისათვის: სიმონიდს იუბილეიზე 56 ხარი მიართვეს მისმა თანამემამულეებმა.

კახაბერივით, აკაკიც სხვა კაცია. ამ წუთისოფელში ყველას აქვს სახლი, კარი, ოჯახი, აკაკი კი, რაც მახსოვს, სულ მუდამ მარტოხელ კაცად, ობლად გამომწყვდეულია სასტუმროს ნომრებში თბილისში და ქუთაისში—და თავის ჩემოდანს დაჰყურებს ზემოდამ, თითქოს საუკუნო სამგზავროდ განმზადებული. თვითონ მითხრა ერთხელ: „საკვირველი კაცი ვარ: ცოლი მყავს, არა მყავს,—შვილი მყავს, არა მყავს,—პენსია მაქვს, არა მაქვს". ავად რომ გახდეს აკაკი, ვერ გამიგია, ხინკალი ვინ უნდა მოუხარშოს იმას, ან სკიპიდარი ვინ უნდა წაუსვას გულმკერდზე.

და რას შვრება მერე ეს გამოულეველი სტუმარი სასტუმროსი?.

(გვ. 2)მაშინ, როდესაც ყველა, ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ან იყვნენ მასწავლებელნი, ან მოხელენი, ან სამხედრო მოსამსახურენი და თვისა და თვის თავზე ჯამაგირს იღებდნენ, აკაკი სულ მუდამ თავისუფალი კაცი იყო, იშთა-იშთა მღერალი, მწერალი, მოლაპარაკე, მოსიარულე. ერთად-ერთი თანამდებობა, რომელიც იმას ჰქონია მისს სიცოცხლეში—ქართული ტრუპპის რეჟისორობა იყო. გამბეტას იმდენ ხანს არ შერჩენია მინისტრობა, რამდენსაც იმას ეს რეჟისორობა. ამასთან... „იტყოდეს ენა ჩემი კადნიერად, ანუ მივსცნე მე იმას ქებანი სიცრუისანი"... აკაკის სულ მუდამ ჩანგი არ უჭირავს ხელში და სამშობლოსა და ერს არ უმღერის. ხანდახან და ხანდახანზე უფრო ხშირად იმას, როგორც ილიას—რამეთუ კაცნი ვართ—სათამაშო ქაღალდიც უჭირავს ხელში. თამაშის სიყვარული ადრიდგან დაჰყოლია აკაკის და ამ თამაშის შორეული შედეგია ის, რომ დღეს ასე ანახორეტად ცხოვრობს სასტუმროებში და დიდი წერეთლის ოჯახის შვილი ხშირად მჟავე კიტრით და ხაშით იკვებება, როგორც ამბობს მისი ცხოვრების მოწმე ზაქარია ჭიჭინაძე.

ამავე ვნების შედეგად უნდა დავსახოთ, რომ მისივე თქმისა არ იყოს, აკაკი არის გესლიანი, მკბენარი, მოუსვენარი და ცოტა არ იყოს ბოროტიც (ეს ჩვენში დარჩეს მკითხველო)... [1]

(გვ. 4)

პეტრე დადიანმა სათვალე შუბლზე რომ დაიდვა, აკაკის ეთქვა: ეს იმიტომ, რომ ის ჭკუითაც არის ბრმა და არა მარტო თვალებითაო.

როცა ერთს ჩვენს მწერალს [2]—სახელს არ ვიტყვი—ემუქრებოდნენ ჩიკვაიძის ამომრჩეველნი, პოლიცმეისტერს ზალიკო ჭავჭავაძეს ეთქვა აკაკისათვის: ამ კაცს ნუ მოიშორებ თავიდამ, თუ შენთან იქნება, კაცი ხელს ვერ ახლებს".

— ბიჭო, მე თვითონ ორი წელიწადია გასალახავად დავსდევ და ვერ მომიხერხებიაო, უთქვამს პასუხად აკაკის... და სხვადასხვა. არ ვიცი რომელი ერთი ვთქვა [3]...

---

[1] მესამე გვერდი აკლია ხელნაწერს—ს. ც.

[2] ნიკო ნიკოლაძეს—ს. ც.

[3] „ამოვწერო ჩემი წიგნებიდანო"—წერს და შემდეგ გადაუშლია.—ს. ც.

ჩვენი საზოგადო მოღვაწე და მწერალი იშვიათად თუ გადარჩენია მისს ბასრ კალამს და ენას. იმას რომ არ უკბენია ისეთი, მგონი მარტო ქრისტეფორე მამაცაშვილი გადარჩა და ოდნავად დიმიტრი ყიფიანი.

თანამედროვე კაცი ხან სწამს და ხან არა აკაკის. ჩემს ალბომში კითხვებზე: რომელი მწერლის პროზა უფრო მოგწონს, რომლის პოეზია,—პასუხად ჯერ დასწერა: „გოგოლის“ და „შექსპირის“. მაგრამ მერე წაშალა და ზედ დააწერა: გამოიცანით ვინ! თქვენ გგონიათ: ი. ჭავჭავაძე, ყაზბეგი, გიორგი წერეთელი, გოგებაშვილი, ორბელიანი, ბარათაშვილი და სხვა ვინმე ახალთაგანი! არა! პროზა აირჩია არდაზიანისა და პოეზია გურამიშვილისა.

(გვ. 5) აკაკისაგან განვლილი შორი გზა მწერლობისა მოფენილია მისგან დაწერილი ფერადოვნებით შეზავებული ლექსებით, მაგრამ ლექსზე უფრო შესანიშნავია და გამწე აკაკის იუმორით მჩქეფარე „ცხელ-ცხელი ამბები“, „ნადუღი“ და სხვა მსგავსი წერილები. ლექსში კიდევ ჰყავს აკაკის ბადალი, მაგრამ მახვილსიტყვაობაში, იუმორში, ან როგორც ის სთარგმნის ამ სიტყვას, ხუმრობაში, იმას სწორი არა ჰყოლია და არცა ჰყავს ქართულ მწერლობაში. ჩვენში ყოველი მახვილი სიტყვა და აკაკის სიტყვა ერთი და იგივეა. ყოველი მოსწრებული სიტყვა ჩვენში აკაკის ნათქვამია, როგორც ყოველი ძველი ციხე-კოშკი თამარის ანაგები.

აკაკის რა არ უწერია ამ ნახევარ საუკუნეში: მოთხრობები, ფელეტონები, დრამატიული და კრიტიკული ეტიუდები, მაგრამ როცა სულ ყველა ესენი ჩაიძირება დროების მორევში, მისი ლექსები და მოსწრებული სიტყვები ამოტივტივდებიან და იცოცხლებენ. სამუდამო არა არის რა ამ ქვეყანაზე, მაგრამ სანამ ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა ცოცხალი იქნება, აკაკის მახვილი სიტყვაც დავიწყებული არ იქნება. აკაკის ლექსი დარჩება სკოლაში, ქრესტომატიაში.

აკაკის მახვილსიტყვაობას, როგორც ჰეინესას, ხშირად თავისი მსხვერპლიც თან სდევს.

როგორც ჰეინე, აკაკიც მახვილსიტყვაობისათვის ხანდახან ჭეშმარიტებასაც ღალატობს [1].

თვითონ ამბობს: „ტყუილასა, ბზუილასა“... ტყუილას ხმა რომ გაუგდეს, აკაკის, იყო დრო მართალსაც არა უჯერებდნენ.

განსვენებულმა თეიმურაზ ლეჟავამ არ დაუჯერა რაღაც იყო აკაკის, დანაძლევდნენ, და რომ აკაკი მართალი გამოდგა, ლეჟავა ნახევარი საათით დააჩოქეს ნიკოლაძის სახლში.

(გვ. 6) თვითონ თითქო დასცინისო თავის-თავს.

„თამარ ცბიერი“ რომ დაიბეჭდა, აკაკიმ ერთი ცალი მომცა სახსოვრად. რომ დააწერა წიგნზე—„სახსოვრად იონა მეუნარგიას, აკაკისაგან“ მას უნდოდა რიცხვიც მიეწერა, მაგრამ რომ მოაგონდა პირველი აპრილი იყო, კალამი ხელიდამ გააგდო,—„არ დამიჯერებენო“.

---

[1] „როგორც ჰეინეს, აკაკისაც აკლია სითბო, სიყვარული, ოღონდ ვისმე ისარი გაუყაროს გულ-მკერდში“ (ეს სიტყვები შემდეგ წაუშლია ავტორს—ს. ც.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე აქ არას ვიტყვი აკაკის შემოქმედებით ძალაზე, მის პოეზიაზე. ის რომ უმაღლესი მწერალია ჩვენი თანამედროვე მწერლობისა, იმას რომ იგივე შარავანდედი ამშვენებს ჩვენს ქვეყანაში, რა შარავანდედიც გარს ეხვია საფრანგეთში მასავით მოხუც ვიქტორ-ჰიუგოს, ამის თქმა ხომ არავისთვის არ შეადგენს ახალ ამბავს.

ვინც არიან ახლა ახალგაზრდა მოლექსენი ესენი ყველა აკაკის შეგირდები არიან. ილია ჭავჭავაძის ლექსი ნაჭედია, ნაჭედია აგრეთვე ლექსები გრიგოლ ორბელიანისა, ვახტანგ ორბელიანისა, ნიკო ბარათაშვილისა, რაფიელ (გვ. 7) ერისთავისა. მსუბუქია, ნარნარია, პეპელაა, ფურჩქვნილი ვარდია, ნაზი იაა, ლექსი აკაკისა. ილიას, ორბელიანს, ბარათაშვილს, ერისთავს შეგირდები ცოტა ჰყვანან, აკაკის სკოლა კი მთელი ჩვენი თანამედროვე მწერლობაა. დღეს ვინც აკაკის ენისა და კალმის მიმდევარი არ არის, ხალხური ლექსის მიმბაძავია, რაზიკაშვილის პოეზიის მიმდევარი. ყველა ჩვენს მწერლებზე უფრო ხალხის სალაპარაკო და სადა სამწერლო ენას დაუახლოვდა აკაკი. კითხულობ მისს— „ცხელ-ცხელ ამბებს“ მისს სხვა ფელეტონებს და გრძნობ შიგ ენის მხრით არაფერი არ არის ნაძალადევი, ნათხზარი; ვის არ უნახავს თავის სოფელში ან ქალაქში უბრალო, უსწავლელი კაცი ლამაზად, ენაწყლიანად მოლაპარაკე. აკაკი იგივე ხალხში ჩამდგარი მწერალია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აკაკის ენას ამშვენებს მისი პოეტური შემოქმედება.

(გვ. 8) გრიგოლ ორბელიანი აკაკის ნაწერს ისე არ წაიკითხავდა, რომ გვერდზე კარანდაშით არ მიეწერა: „ბარაქალა აკაკიავ“, „ინშალლაჰ, აკაკი“... და მხოლოდ ერთხელ, როცა რაღაც ერთობ პროვინციული სიტყვა ეხმარა ნაწერში აკაკის, გრიგოლ ორბელიანს მიეწერა: „აი, შე ღვიტიკელა იმერელო“. თვითონ აკაკი არავის აპატიებდა ქართული ენის დამახინჯებას.

ილია ჭავჭავაძეს რომ დაეწერა თავის პოემაში „მწველელი ძროხა“, „მწველელი ძროხა კი არა მეწველი ძროხაო“—გაუსწორებია აკაკის.

ახლა, თუ გინდათ იცოდეთ აკაკის ხასიათის თვისება, მისი აზრი ჩვენს მწერლობაზე, ხელოვნებაზე, მოისმინეთ ეს პასუხები, რომელიც აკაკიმ მოაწერა ჩემგან მისდამი მიმართულ კითხვებზე:

(გვ. 9—10) მე ვკითხე აკაკის:	**იმან მიპასუხა:**
რომელი თვისება უფრო მოგწონს კაცისა?	მამაცური სულგრძელობა.
რომელი თვისება მოგწონს ქალისა?	გულწრფელი დაუდგრომლობა.
რას უფრო გინდა აკეთებდე?	მისთანა საქმეს, რომელიც თავაშვებულს ჰლაგმავდეს და გულგატეხილს ამხნევებდეს.
რითი განსხვავდება შენი ხასიათი?	საფუძვლიანში სიმტკიცით და წვრილმანში უხასიათობით.
რომელია ყველაზე დიდი ბედნიერება?	გარემოების ატანა.
რომელია ყველაზე დიდი უბედურება?	გულუმაძღრობა.
რა ფერი უფრო გიყვარს?	დროზე მოხდენილი.
რა ყვავილი?	ვარდი.
შენ რომ აკაკი არ იყო, ვინ გინდა იყო?	მაინც აკაკი.
სად უფრო გინდა ცხოვრობდე?	ყველგან და არსად.
რომელი მწერლის პროზა უფრო მოგწონს?	არდაზიანის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის პოეზია?	გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს.
ვინ უფრო მოგწონს კაცთაგან ისტორიაში?	გიორგი ბრწყინვალე.
რომანში ვინ გირჩევნია კაცთაგან?	ავთანდილი.
ქალთაგან ვინ მოგწონს რომანში?	ნესტანდარეჯანი
რა სახელები უფრო გიყვარს?	ელენე და არჩილი.
რა უფრო გძულს ქვეყანაზე?	წვრილმანობა.
რა შეცდომას უფრო აპატიებ კაცს?	ყოველგვარს, თუ კი შეინანიებს.
რა სასმელს უფრო ეწყობი?	წყალს.
ვინ არის ყველაზე ლამაზი ქალი ქუთაისში?	ის, რომელიც მე შემიყვარდება.
შენი ცხოვრების დევიზი რა არის?	შრომა და მოთმინება.
რომელი ადგილი უფრო მოგწონს „ვეფხის ტყაოსნისა?	ჩვენი კრიტიკოსებისაგან დაწუნებული.[1]

* *

ი. მეუნარგიას ცნობით, კითხვების ეს ცხრილი, რომელსაც სამოცდაათიანი წლების საფრანგეთში ყველა კულტურულ ოჯახის ალბომში იპოვიდით,—სტუმრისათვის იყო განკუთვნილი. სურდა თუ არა, მაინც უნდა ესიამოვნებინა მასპინძლისათვის ჩაწერილ კითხვების გაპასუხებით. ეს ერთგვარი თავის შექცევაც იყო და ხვაშიადის ზოგიერთი მხარის გამომჟღავნებაც.

ქართველ მწერალთ „ყოფის მკრეფს“[2] ეს წესი საქართველოშიც გადმოულია, მაგრამ არა მოწყენილობის დროს გასართობად, არამედ თავის მიზნებისათვის—მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთ „წვრილმანთა“ ასაკრეფად.

აღნიშნულ „პასუხებით შექცევიდან“, რომელსაც ფრანგულად „Jeu des réponses“ ერქვა, ამოკრეფილია მოკლე კითხვარი. ამ კითხვებისადმი გაპასუხებას ავტორი აღსარების თქმასაც კი უწოდებს მამია გურიელის ბიოგრაფიაში (იხ. გვ. 2).

ფოთში გამართულ საღამოზე ი. მეუნარგიას აკაკის შესახებ თავის მოგონებებში ეს, პოეტისაგან უკვე შევსებული „ანკეტაც“ ჩაურთავს და ბევრი მოსწრებული სიტყვებიც უამბნია მსმენელთათვის, რის შესახებ 1908 წლ. გაზეთ „ალის“ № 39-ში ვკითხულობთ: „საღამოს მეორე განყოფილებაში გამოვიდა ბ-ნი ი. მეუნარგია და წაიკითხა: „აკაკის ცხოვრება მისგანვე ნაამბობი“, ბ. ი. მეუნარგიამ მკაფიო, გასაგები ენით გააცნო დამსწრეთ აკაკის ნაამბობი და დაასრულა აკაკის ნაკვესებით. შინაარსი ი. მეუნარგიას რეფერატისა სავსებით გამოხატავდა სათაურს და ძალიან ბევრი აცინა ხალხი, რომელიც დიდად კმაყოფილი დარჩა. სხვათა შორის რეფერენტმა სთქვა: „პოეზიაში კი მოინახება აკაკის ბადალი, მაგრამ ნაკვესებში მას ტოლი არა ჰყავსო. თუ სადმე ციხეები დარჩენილა საქართველოში, ის თამარ მეფის ნაშენია, ისე, თუ კი რაიმე ნაკვესია ჩვენში, აკაკის შეთხზულიაო“.

ქვემოთ მოგვყავს ის მასალა, რომელიც სხვადასხვა დროს ი. მეუნარგიას უბის წიგნებში ჩაწერილა აკაკისთან შეხვედრების დროს. როგორც თვითონ აღნიშნავს, აკაკისთან შეხვედრა და ხანგრძლივი ბაასი მისთვის და უფრო მისს „სამახსოვრო წიგნებისათვის“ ერთი ზეიმ-ზარი და დაუვიწყარი სიხარული იყო, წიგნაკის ცარიელ კაბადონზე უმალვე გაეკვრებოდა მხიარული სტრიქონები აკაკის შესახებ, ან თვით აკაკის ნათქვამი სიტყვები, რომელიც განსაკუთრებულ მოვლასა და რუდუნებას განიცდიდა წიგნაკთა მფლობელის ხელში. დრო გავიდა. ამ წიგნაკთა უმეტესობა ულმობელმა შემთხვევამ გააქრო. უმნიშვნელო გადარჩენილიდანაც მხოლოდ ის ცნობები მოგვყავს აქ, რაც ჯერ არ დაბეჭდილა[3].

---

[1] ასეთივე კითხვები ი. მეუნარგიას აქვს მამია გურიელთანაც. მათ შორის განსხვავება შემდეგშია: იქ გამორჩენილია კითხვა „რას უფრო გინდა აკეთებდე“, სამაგიეროდ ჩამატებულია „ვინ უფრო მოგწონს ქალთაგან ისტორიაში“, რაც ამ შემთხვევაში არა გვაქვს.—ს. ც.

[2] ასე უწოდებს ნიკო დადიანი (1846—1896) იონა მეუნარგიას თავის „საამდროვო ამოცანებში“—ს. ც.

[3] ი. მეუნარგიამ („ლელო“) მრავალი ნაკვესი დაბეჭდა „ივერიაში“ აკაკის შესახებ, რომელთა ავტოგრაფები მის უბის წიგნებშია გაბნეული. ჩვენ აქედან მხოლოდ გამოუქვეყნებლები მოგვყავს, როგორც ნაკვესები ისე სხვადასხვა სახის ჩანაწერებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ერისთავის დასაფლავებაზე თქმულ სიტყვაში ნახსენები მყავდა ვახტ. და გრ. ორბელიანები. აკაკის უთქვამს:

— უგენერლოდ აქაც ვერ გაძლოო.

მე. გრიგოლ დადიანმა ექიმთან გაგზავნა კაცი კბილები რომ გაუკეთონ (მაშინ 73 წლ. იყო)[1].

აკაკი: მერე იცის კი, რომ საიქიოს საჭმელი ექნება?

კარგი არავისზე ემეტებოდა. ვაჟა-ფშაველა რა არის. მისი პოემა გადაკეთებულია ჩემი პოემიდან, რომელიც 23 წლის წინათ დავწერეო,—მითხრა აკაკიმ.

აკაკი „კოლხიდაში“[2] იდგა, შეეედი, ერთი დიდი ყუთი კუთხეში ედგა შეკრული.

— რაც რომ მიმუშავია ამ 30 წელს, ამაში არის. მთელი ჩემი ცხოვრება ჩემს დღიურებშია. რაც შიგ წერია მართალია სულ ყველაფერი. ნიკოლაძის 11-ოდე წიგნი მაქვს. დღიურის ნაკლულევანება ის არის, რომ ცოტა ირონია გადაჭკრავსო—მითხრა აკაკიმ.

აკაკი: ილია ჭავჭავაძე სოლ. ჭავჭავაძემ (ლიზა მარჯანიშვილის მამამ) გაზარდა გიმნაზიაში, რომ გაათავა უთხრა: „თუ ლიზას შეირთავ უნივერსიტეტს გაგგზავნი!

— შევირთამ.

— მაშ, პირობა დასწერე! და ილიამ დასწერა პირობა—ფიცით აღთქმა. რომ ჩამოვიდა, ოლიკო შეირთო. დიდი მამულები ჰქონდა და იმიტომ.

მე მხოლოდ ნიჭის თაყვანისმცემელი ვარ და არა მარტო კეთილმოქმედების. ვის არ შეუძლია კეთილმოქმედი იყოს, რა ვიცი, რა მიზეზით! ერთი ორბელიანი მირჩევნია ათას მამაცოვს (1881—2—9).

თუ გინდათ აკაკის ბიოგრაფია იცოდეთ, წაიკითხეთ ბაირონის და შელლის ბიოგრაფია.

ამ 15 წლის წინათ „მაიოვკა“ უნდა გაემართათ. აკაკიც დაჰპატიჟეს და ნიკოლაძეც.

— თუ მინდორში იქნება, წამოვალ, თუ ტყეში, არაო,—თქვა აკაკიმ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ნიკოლაძე იქ იქნება და იმდენს ილაპარაკებს მე... მე... მე... რომ ცხვარი ეგონება და ტყიდან მგელი გამოვარდება.

ნიკოლაძე: ჯაბადარის[3] გარშემო სტატია მინდა დავწერო, მაგრამ ვა-

[1] 1887 წ. ყოფილა ეს ნაკვესი ჩაწერილი,—ს, ც.

[2] სასტუმროს ერქვა ქუთაისში—ს. ც.

[3] ჯაბადარმა იმ ხანებში წერილები დაბეჭდა საქართველოს შესახებ.

ხუმტი არ გადამიშლია, „ქართლის ცხოვრებაში“ არ ჩამიხედნია, სპარსული ლიტერატურა არ ვიცი. შენ დასწერე აკაკი!

აკაკი: მე მხოლოდ „ვდოხნოვენიით“ ვწერ, ცოდნა არა მაქვს. შენ და ილია ჭავჭავაძემ იცით ყველაფერი. თქვენ დასწერეთ[1].

აკაკი: სად იყავით?
ბახტაძე: ხონში.
აკაკი: მოიხონეე?

ქეთევან: როგორც კი გაზაფხული დადგება, თვალებიდან ცრემლი მომდის.

აკაკი: ვაზის თვისება გქონიათ.

ბეს. გაბაშვილი: ამ პატარა კაცმა, ჩიკვაიძემ გაჯობათ...
მაგრამ ум-ით გაიტანა, „უმით“ (ჭკუით).
— უმით კი არა მოხარშულით გაიტანაო,—სთქვა აკაკიმ.

ელენე წულუკიძეზე ვთქვი: право, она славная.
აკაკიმ მიპასუხა: Да я знаю что она православная.

— ბებურა ბებურაშვილს[2] სცემა იესე გურიელმა რაღაც ლექსისათვის, რომელიც იმას იესეს შესახებ დაუწერია.

— საკვირველია, ღმერთმა იცოდეს, ეს 35 წელიწადია, რაც ლექსებსა ვწერ და ჩემთვის ხმა არავის გაუცია. ამან კი მის სიცოცხლეში ერთი ლექსი დასწერა და терновый венец დაადგესო“-ო,—სთქვა აკაკიმ,—სხვისი, ცემაც შეშურებია თურმე.

აკაკის გამოუცხადა თოფურიამ[3] расширение сердца გაქვსო.
— Я-бы желал, что-бы было расширение кармана-ო მიუგო პოეტმა.

სანდრო ყაზბეგმა სახარება ჩამოიტანა გასასყიდად.
— „ყველაფერი გაყიდა, ერთი ღმერთი დარჩენია და იმასაც ჰყიდისო“— სთქვა აკაკიმ.

მე: რას თამაშობენ დღეს კომედიას თუ ტრაგედიას?
აკაკი: წადი თეატრში, თუ ავალიშვილის ქალმა წინ დაიკრას ხელი, კომედიაა, თუ ტ....ზე დაიკრას ტრაგედია იქნება.

---

[1] აკაკი თავის თავზე არ მუშაობს, თვითგანვითარებას არ ეწევაო, ჰქონდა ნათქვამი ნიკოლაძეს. პოეტმაც ამიტომ გადაჰკრა ეს მათრახები.

[2] გურული მემამოლე იყო.—ს. ც.

[3] სამსონ თოფურია გამოჩენილი ექიმი იყო ქუთაისში—ს. ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისარლოვი: (გაჯავრებით) ბიჭო, რუსები რომ არ გიყვარს, მათი ვირის ნალები (მანათიანები) ხომ გიყვარს?

აკაკი: ვირის ნალებით შენსავით ვირებსა სჭედავენ და ბედაურებს კი დალავენო[1].

1889 წ. 23/7—ქუთაისი.

წუხელის „კოლხიდაში", გიორგი ჭელიძესთან, აკაკი წერეთელმა წაგვიკითხა მისი ახლადდაწერილი პოემა „თამარ-ცბიერი". მსმენელთა შორის იყვნენ: კირილე ლორთქიფანიძე, ვას. მაჩაბელი, კოტე მესხი, მამია გურიელი, ივანე ყაუხჩიშვილი, კოლა ბადრიძე და დავ. მახვილაძე. ამ უკანასკნელს სხვათაშორის ბევრი არა გაუგონია რა, დაიწყო თუ არა პოეტმა კითხვა, ის (მახვილაძე) გაწვა ტახტზე და ხვრინვა ამოუშვა. აკაკი ამაზე დიდად გაჯავრდა და გაჭირვეულდა კიდეც. წაკითხვის შემდეგ ვახშამი გვქონდა და ბაასი სხვადასხვა სამწერლო საკითხებზე...

ვსევოლოდ ჩაგოვეცი

სამი შეხვედრა პოეტთან

ვინ არ იცნობდა თბილისელ მცხოვრებთაგან ამ ჭაღარა მოხუცს პატრიარქის სახით, ღრმა მოალერსე თვალებით, რომლებიც ხშირი შავ წარბებქვეშიდან გულღია სალამის შუქსა ჰფენდნენ ადამიანს. მას უყვარდა გასეირნება თავის სამშობლო ქალაქის ქუჩებსა და ბულვარებში, უყვარდა უქმ-დღეს თვალის გადავლება ბაზრისა ან მეიდნისათვის, რათა დამტკბარიყო ჭრელი, კოლორიტული ხალხის ხილვით, რომლის მსგავსსაც, ალბათ, ვერსად ვერ ნახავთ მთელ დედამიწის ზურგზე. აქ აზია ხვდებოდა ევროპას არა მარტო სხვადასხვა ტომისა და ერის თვალწარმტაცი სიჭრელით და ფერადოვანი მრავალსახიერობით, არამედ აგრეთვე სავაჭრო საგანთა მრავალფეროვანებითაც, როდესაც მთელი ბაზარი თითქო ყოველგვარი სიძველეთა უძვირფასეს მუზეუმს წარმოადგენდა.

ამ ბრბოს შორის მას უყვარდა გავლა-გამოვლა, ადამიანთა და საგანთა თვალიერება. ზოგჯერ კი კარგა ხნობით იდგა და აკვირდებოდა რომელსამე მხატვრული სანახაობის განმასახიერებელ ჯგუფს, ან სინჯავდა რაიმე საგანსა თუ ნივთს, ასწლოვანსა და შეიძლება ათასწლოვანსაც.

სწორედ აქ მოხდა ჩვენი პირველი შეხვედრა, აქვე გადაინასკვა ჩვენი ნაცნობობა. იგი იდგა მთელი გროვა ძველის-ძველი იარაღის წინ, რომელიც, ვინ იცის, რა გზით გაჩენილიყო აქ, ბაზარში. მუზარადები და ოქროთი მოზარნიშებული ზუჩები, დამასკური ხმლის პირები თილისმური შელოცვებისა და გამოთქმების ხვეული წარწერებით, მოღუნული ხანჯლები ჩაშავებული სისხლის წინწკლებით... ვერცხლის აღვირის ნაწყვეტი ან მოოქროვილი უზანგი უმეორე-

[1] ალბათ, ნაწერისადმი ცენზურის დამოკიდებულებაზეა ეს სიტყვა ნათქვამი.—ს. ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალოდ... საუკუნეები და ადამიანები... ომები, ბრძოლები და თავდასხმები... აღტყინება გამარჯვებისა და სისხლი დამარცხებისა—ყოველივე ეს მეტყველებდა ამ უტყვ გროვაში, რომელიც გაშლილი იყო ასეთსავე სამუზეუმო ხალიჩის ნაგლეჯზე.

თეთრწვერა მოხუცს ხელში ეჭირა ვერცხლით ნაჭედი პატარა აზარფეშა ვერცხლისავე რგვალ ქვეშსადგმელზე. მოჭედილობა ვერცხლისა ჰქონდა, მაგრამ თითონ აზარფეშა—ადამიანის თავის ქალისაგან იყო გაკეთებული... აზარფეშა ჩაშავებულიყო, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ჩაყვითლებულიყო, თითქმის მუქ-მიხაკისფერი გამხდარიყო, მაგრამ მას დამახასიათებელი ხაზები, თავის-ქალის შესაფერი ამოზნექილ-ჩაზნექილი ადგილები ნათლად შერჩენოდა.

მხცოვანი პოეტი გულხმიერებით ათვალიერებდა ამ „გამარჯვების ნადავლს", რომელიც იტაცებდა ოცნებას თემურლენგის დროისაკენ, შეიძლება უფრო შორსაც, საუკუნეთა მიღმეულში. მეც დამაინტერესა ამ აზარფეშამ და სათანადო თავაზიანობით ვთხოვე მოხუცს ნება მოეცა—უფრო ახლოს გამესინჯა ეს იშვიათი უძველესი ნაშთი.

და ამნაირად ჩვენ გამოველაპარაკენით ერთმანეთს. მე ჩემი ვინაობა ვუთხარი, ხოლო მოსაუბრის სახელი მე უკვე ვიცოდი. პოეტი განაგრძობდა შეფრფინვით აზარფეშის თვალიერებას და თანაც ამბობდა:

— ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს აზარფეშა ხმარებაში იყო და მემკვიდრეობით გვარიდან გვარში გადადიოდა, ან მამიდან შვილზე, ან და ბელადიდან ბელადზე. ამ აზარფეშით სვამდნენ ნადიმზე, ლაშქრობის წინ „საბედნიეროდ" და ლაშქრობის შემდეგაც, გამარჯვებით დაბრუნებისას.

და მან მიჩვენა ის ადგილი, სადაც ვერცხლის მოჭედილობა, ასე ვთქვათ, დაძეძკილი არ იყო, მაგრამ იმდენად შეთხელებული იყო, რომ პაპიროსის ქაღალდის სისქეს უდრიდა და თითქო ზედ შერჩენოდა კბილების ნაკვალევი როგორც ძველ ჩიბუხზეა ხოლმე ან ძველ თიხის-ჯამზე, რომელიც დიდხანს ყოფილა ხმარებაში.

— რამდენჯერ და რამდენი საუკუნის განმავლობაში უნდა დაეცალათ ადამიანებს ეს საყოველთაოდ ჩამოსატარებელი თასი, რათა მასზე ასეთი კვალი დაეტოვებინათ.

ამ ფერად-ფერადად აჭრელებული ბაზრის ფონზე ძველი დროის ნამსხვრევი ნაშთის შესწავლაში ჩაღრმავებული, თეთრ-თმა-წვერ ულვაშით მოსილი პოეტი—ყოველივე ეს პირდაპირ სურათზე გადასატანი სანახაობა იყო.

— დღეს ჩემთვის ბედნიერი დღეა—სთქვა მოხუცმა პოეტმა, შეახვია-რა გაზეთის ნახევში იშვიათი ნავაჭრი.

— დღეს ჩემთვის ბედნიერი დღეა—გავიფიქრე მე—გავიცანი მხცოვანი პოეტი ქართველი ხალხისა. — ეს მოხდა დაახლოვებით 1912 წელს.

ამ დღიდან არაერთხელ შევხვედრივართ ერთმანეთს.

* * *

ერთხელ მე შევიძინე წიგნაკი გამაღიზიანებელი სათაურით: „Пушкин в Тифлисе".—Издательство „Луч", Тифлис".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავშალე წიგნაკი და შევძრწუნდი. ეს იყო კრებული ყოველგვარი „მოხეტიალე“ ანეგდოტებისა, რომელთაც თბილისში პუშკინის ცხოვრების ფაქტებად ასაღებდნენ. ისე გამოდიოდა, ვითომც პუშკინი სკანდალისტი იყო და უზრდელი. ავტორს რომ დაუჯეროთ პუშკინი თავაშვებულ მოსწავლესავით ჯიბეში ცარცს ატარებდა და თითქო ყოველ ღობესა და თითქმის ტროტუარზედაც კი „ლექსებს“ ჯღაბნიდა... და ისიც „პუშკინური რითმით“

„Кто писал—незнаю.
А я, дурак, читаю“.

ეს სულ მორიდებული გამოთქმა შევარჩიე თბილისელი პუშკინისა. იქ იყო უფრო „ძვირფასი“ მარგალიტები ბაზრული ლიტერატურისა.

ძალიან მეწყინა, და გავგზავნე გაზეთში შენიშვნა „თბილისელ პუშკინიანელებზე“. შენიშვნა დაიბეჭდა. აღმოჩნდა, რომ, ცოტა არ იყოს, ზედმეტად გავფიცხდი. რა შუაში იყო თბილისი, რომ ვიღაც არამზადებს, უხეირო, ბაზრულ გამომცემლობასთან მიტმასნილებს, შეეთითხნათ უხეირო წიგნაკი?!

აკაკი წერეთელმა, რომელსაც წაეკითხნა ჩემი შენიშვნა, დამტუქსა... და იმან შემაძლებინა, დავრწმუნებულიყავ, თუ როგორ უყვარდა მას ჩვენი ლიტერატურა და რა პატივისცემა ჰქონდა ჩვენი პოეტებისა, მწერლობისა და მათი ნაწარმოებებისადმი.

ჩვენი საუბარი ლიტერატურულ თემებზე მოხდა მთაწმინდაზე, გრიბოედოვის საფლავის გვერდით მერხზე რომ ვისხედით.

აკაკი წერეთელმა მიამბო თავისი შეხვედრა ნეკრასოვთან, კურორჩკინთან, ტურგენევთან, ტოლსტოისთან... ჭაბუკობისას იგი ხვდებოდა შევჩენკოსაც... ჩვენს დიდებულ უკრაინელ პოეტს, რომელსაც იმოდენა ტანჯვა გამოევლო, მაგრამ არ დაეკარგა რწმენა უკეთესი მომავლისადმი, უდიდესი შთაბეჭდილება მოეხდინა ახალგაზრდა, ცხოვრებაში ის იყო ფეხშედგმულ აკაკი წერეთელზე. შევჩენკოში აკაკიმ ჰპოვა თურმე მისაბაძი მაგალითი. მან მნიშვნელოვნად და დარწმუნებით აღნიშნა:

— მეფეებისა და პოლიციის მოხელეებისადმი მძულვარებამ არ უნდა დაჩრდილოს ხალხთა ურთიერთისადმი სიყვარულისა და მეგობრობის მისწრაფება. აი, ჩვენს წინაშეა სიმბოლო ასეთი კავშირისა!—და მან გაიწვდინა თეთრი, ნაზი ხელი გრიბოედოვის საფლავისაკენ, რომელზედაც მის ახალგაზრდა ქვრივს, ჭავჭავაძის ასულს, აღებეჭდა რამდენიმე ღრმად საგრძნობი და დასახსომი სიტყვები.

— ესენი შეაერთა სიყვარულმა... სიყვარული უდიდესი ძალაა, ადამიანთა გამაერთიანებელი. მათი ბედნიერება დღემოკლე იყო. გრიბოედოვი მოჰკლეს და მისი მეუღლე დარჩა ახალგაზრდა ქვრივი... მგონია, ჩვიდმეტ წლისაზე მეტი არ იქნებოდა. მაგრამ მისი გული უცვლელი გამოდგა პირველი სიყვარულისადმი. დიაღ... ეს არის სიამაყე და პატივი ჩვენი ქართველი ქალისა!.. იგი სწრაფად აღიგზნება, მაგრამ მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ შეიყვარებს ხოლმე. ეს თვისება მე შემინიშნავს განსაკუთრებით უბრალო ხალხში და თაყვანსა ვცემდი მას. ვერც სიღარიბე, ვერც დაშინება, ვერც ძალადობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერც სიმდიდრის აღთქმა ვერ ამოჰგლეჯს ქართველ ქალს გულიდან პირველ სიყვარულს.

მოხუც პოეტს თვალები მოენამა... იგი დაჯერებით ლაპარაკობდა სიყვარულის შეუვალ ძლიერებაზე.

— და რა ბედნიერება იქნება, როდესაც სწორედ ეს უდრეკი ძალა და არა სხვა რამ ძალა, ეტყვის ხალხთ: მოდით ხელი გაუწოდოთ ერთმანეთს და დავდვათ კავშირი ჩვენი სიყვარულისა. ეს კავშირი იქნება დღეგრძელი.

გაიხსენა რა კვლავ პუშკინი, მან სთქვა თითქმის აღტყინებით:

— იგი ცხოვრობდა ჩვენს შორის. მას ჩვენ ვუყვარდით და იგი ჩვენ გვიყვარდა. მაშასადამე, როგორ შეგვიძლიან მისი ხსოვნის შეურაცხყოფა? იგი ხომ ჩვენი „მეგობარი" იყო... ხოლო მეგობრისათვის ჩვენ თავს დავდებთ. ასეთია ჩვენი მამაპაპური ჩვეულება და კანონი!

შემდგომ შენიშვნაში ბე გამოვასწორე ჩემი შეცდომა.

* * *

ომიანობისას მე ხშირად ვიყავი ხოლმე თბილისში. კორესპონდენციებს ვგზავნიდი ფრონტიდან, — სარაყამიშიდან და ტრაპიზონიდან. თბილისში ვათვალიერებდი ლაზარეთებსა და ჰოსპიტლებს და ვესაუბრებოდი ტყვეებს და დაჭრილებს.

მე და აკაკი წერეთელი შევთანხმდით ერთად დაგვეთვალიერებინა ის ჰოსპიტალი, რომლის მზრუნველიც იგი იყო. ჰოსპიტალის შესასვლელთან აკაკი გამოელაპარაკა ვიღაც ლარიბ მოხუცს. მე მათი ლაპარაკისა არა გამეგებოდა-რა, მაგრამ მივხვდი, რომ მოხუცი-მთიელი ჰოსპიტალში მოსულიყო ომში მძიმედ დაჭრილი შვილის სანახავად. იქვე პაწია სახედარი, ნახშირის ტომრებით დატვირთული, უზრუნველად სთვლემდა და ყურებს აბარტყუნებდა. მოხუცი მთლად ამოგანგლულიყო. ჭვარტლისაგან გაშავებულ სახეზე ცრემლის ნაკადულები სველ-სველ ზოლებს სტოვებდნენ. იგი ლაპარაკობდა წიწინა ჩახლეჩილი ხმით. თვალებში ღრმა მწუხარება ეგზნებოდა. პოეტი უსმენდა საცოდავს და რაღაცას იწერდა. იგი დახმარებას დაჰპირდა მოხუცს და ბოლოს ფულიც აჩუქა. შემდეგ ორივენი ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადაჰკოცნეს ერთი-მეორე... როგორლაც უბრალოდ, მაგრამ კარგად, ძმურად მოხდა ყოველივე ეს.

ლაზარეთში ბევრი საინტერესო ადამიანი იყო, რომელთანაც შეიძლებოდა საუბრის გამართვა. ამ მხრივ აკაკი წერეთელი დაუფასებელ დახმარებას უწევდა მათ. იგი ერთი საწოლიდან მეორე საწოლთან მიდიოდა, ერთი პალატიდან მეორე პალატაში გადადიოდა, ასკერებს—თურქულად ელაპარაკებოდა, თავისიანებს—სამშობლო ენაზე, რუსებს—რუსულად. საუბარი სადად, გულხმიერად მიმდინარეობდა, თანასწორობისა და საყოველთაო თანაგრძნობის ფარგლებში,

ერთ პალატაში ტყვედ წამოყვანილი ბედუინები იწვნენ და აქ, ტყვეობაში, ხურვებით გამხდარიყვნენ ავად; მგონია, რომ ეს უფრო პარტახტიანი სახადი იყო.

— საბრალო შვილნი უდაბნოისა!.. ერთი შეხედეთ, რა მშვენიერი ეგზემპლარებია ადამიანისა! მოხდენილნი, ჭაბუკნი, სხარტნი, მშვენიერნი... რა აქვთ მათ სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამა-აკაკათა გუდეში[1]

საჩხერის მახლობლად, სადაც მე სტუმრად ვიყავი თავად წ[ერეთლებ-თან] მრავალი საგვარეულო მამული მდებარეობს სახელგანთქმულ ქართველ თავად-აზნაურებისა. იქვე არის მშვენიერი ძველი მამული ცნობილი ქართველი პოეტის თავად აკაკი წ[ერეთლისა], რომლის ნაწარმოებთა თარგმანები იბეჭდებოდა 60-იანი და 70-იან წლ. ჩვენს ყოველ თვიურ ჟურნალებში. ქართველები დიდად აფასებენ თავიანთ მწერლებსა და პოეტებს. სამშობლოს მომღერალი პოეტი არსად, მგონი, მთელს მსოფლიოში, ისეთის დიდების შარავანდედით არ არის შემოსილი, როგორც საქართველოში. სამშობლოს გაღმერთება მის მომღერალზეც გადადის. უნდა ითქვას, რომ ეს მშვენიერი სამშობლო შთააგონებდა თავის რჩეულებს, მართლაც რომ მაღალ და ჩაკვირვებულ შემოქმედებისაკენ. ქართულ ლიტერატურას ჰყავს ფრიად დიდი წარმომადგენლები. ყოველმა ჩამოსულმა, რომელსაც სურს გამოიჩინოს თავაზიანობა, პირველ მოხერხებულ შემთხვევისთანავე უნდა ინახულოს მათი საყვარელი პოეტი.

თავად წ[ერეთელებმა] ერთხელ მოაწყვეს გასეირნება თავიანთ მოგვარე პოეტთან თავად აკაკი წ[ერეთელთან]. ეს იყო მეტისმეტად სასიამოვნო გასეირნება. ჩვენ მივდიოდით ბილიკებით—ხან მთებზე, ხან მთის ძირას. აღარ ილეოდა დაბალი, მოუხეშავად მოწნული ღობეებით შემოვლებული ვენახები, ხილის ბაღები და წისქვილები.

ჩვენს წინ იშლებოდა ლამაზი, მყუდრო საქართველო თავის კულისებს იქითა სამეურნეო ცხოვრებით. ჩვენ გადავედით რომელიღაც სწრაფად მიმჩქეფარე მდინარეზე, მუხლებამდე წყალში იდგნენ მეთევზეები და გაშლილ ბადეს იკრეფდნენ. გიკვირს ნოემბერში ასეთი სურათი! საღამოვდებოდა, ყველაფერს წყნარი იდილიის ელფერი ედო. მზე ჩადიოდა, გრძელი ჩრდილები გაწვნენ გზაზე. როცა იმ სოფელს მივუახლოვდით, სადაც პოეტი ცხოვრობდა, სულ დაბინდდა. მომღიმარე 60 წლის კაცი, მაღალი, წარმოსადეგი, ახოვანი ტანის, ხანშიშესული პოეტი, თავის მამულის ჭიშკართან შემოგვეგება. მას რამდენადმე მკაცრი შესახედაობა ჰქონდა, მაგრამ მეტისმეტად სიმპატიურად იღიმებოდა. ქართველები ყველანი გულღია და სტუმართმოყვარენი არიან, განსაკუთრებით ქართველი არისტოკრატია. პატივცემულმა პოეტმა შეგვიწვია ეზოში. ჩვენ შევედით მშვენიერ ხილის ბაღში, რომელმაც ჩრდილოეთის თოვლის შემ-

---

[1] Путник (Н. Лендер)—იყო გაზ. „Новое время"-ს თანამშრომელი. სწერდა ზემოხსენებულ ფსევდონიმით Путник. გასული საუკუნის ბოლო წლებში მოგზაურობდა ამიერკავკასიაში. 1895 წელს ყოფილა დასავლეთ საქართველოში. სტუმრად სწვევია აკაკი წერეთელს და სწორედ ამ შეხვედრის შთაბეჭდილებანი აქვს აღწერილი აქ გამოქვეყნებულ მოგონებაში, რომელიც დაიბეჭდა 1900 წ. ს—პეტერბურგში ა. ს. სუვორინის მიერ გამოცემულ წიგნში: „Черное море и Кавказ. Очерк южнаго моря и юга России. Волжския картинки"...

1939 წლის ზაფხულს საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის მიერ გაგზავნილი იყო ექსპედიცია ს. სხვიტორში. აკაკისეული ბიბლიოთეკის დალაგების დროს სხვა წიგნთა შორის შეგვხვდა ზემოხსენებული ავტორის წიგნი: „Босфор" и Константинополь". С. Петербург, 1892 г.

უეჭველია აკაკი წერეთელი ადრევე იცნობდა ამ ავტორს.

თ. ოქროშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ განცვიფრებაში მომიყვანა. აქ იყო კომშისა და წაბლის უზარმაზარი ხეები, რომელთა მწვანე ტოტები ფართო ქოლგასავით იყო გადმოფენილი. ადგილ-ადგილ თითქმის გაუვლელი ტევრი იყო. მსხალი, ვაშლი, ნუში არეულიყო ერთმანეთში. ხეები ჯერ კიდევ მწვანედ გამოიყურებოდნენ, თუმცა ყვითელ ფოთლებს თხლად დაეფარა მიწა.

— თქვენ მუდამ აქ ცხოვრობთ, ამქვეყნიურ სამოთხეში?—შევეკითხე მე პოეტს.

— სამწუხაროდ არა,—მიპასუხა მან—ზამთარს ხშირად პეტერბურგში ვატარებ. აქ დროგამოშვებით ჩამოვდივარ, მომეტებულად შემოდგომაზე. მე ვტკბებოდი პოეტის მამა-პაპათა ძველი ბუდის ხილვით. წინაპართა ხელით სათუთად მოვლილი მამულით. პოეტის ბატონური სახლი იდგა წარმტაც სილამაზის ციცაბო ბორცვზე, საიდანაც მთვარის შუქზე იშლებოდა მეზობლად მდგომ წვეტიანი მთების მომაჯადოვებელი ხედი. პოეტის სახლი შესანიშნავი იყო შიგნით თავისი მორთულობით—ძველებური ძვირფასი დგამით, უზარმაზარი მაგიდებით, რბილი კავკასური ტახტებითა და კედლის კარადებით, ძველებური ჩუქურთმიანი ბუხრებით. დარბაისლურია, კარგია, მყუდრო! თითქოს მთელი ეს მორთულობა არ შერხეულა, არ გადადგმულა მამა-პაპათა დროიდან. სახლის შინაგანობა მაგონებს ჩვენი დიდი რუსეთის ძველ მემამულურ კუთხეებს.

ოთახიდან გამოვედით დიდ სვეტებიან აივანზე. საუბარი სოფლის საქმეებს შეეხებოდა. კავკასიისათვის მძიმე წელმა სოფლის მეურნეობას ლახვარი ჩასცა.

— სჭირს ეხლა,—დაახლოებით ასე ლაპარაკობდა ჩვენი თავაზიანი მასპინძელი—ყველა ჩივის... ხალხი ძველი ჩვეულებისამებრ მოდის ჩემთან თავის საქმეებზე, მეკითხებიან რჩევას, როგორ მოიქცნენ. აქ ყველაფერი ძველებურადაა... პატრიარქალური მხარეა. წაიჩხუბებიან რამეზე,—მაშინვე მირბიან მემამულესთან: უნდა დააკმაყოფილო და შეარიგო. რამდენადაც შესაძლებელია ყველას ეხმარები სიტყვითა და რჩევით.

ბრწყინავდა კავკასიის ნაზი, მდუმარე, თბილი და ბნელი ღამე. მსუბუქი, რბილი ჰაერი რაღაც სიამოვნებით გვივლიდა ფილტვებში. მაგრამ მძიმე აზრები ტრიალებდნენ გონებაში. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამ მყუდრო პატრიარქალურ ამქვეყნიურ სამოთხესაც იგივე სენი ღრღნიდა, რაც ჩვენს შორეულს თოვლში ჩაფლულ ჩრდილოეთის სოფელს... ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამქვეყნიურ სამოთხესაც დასასრული აქვს. ლამაზი ტყეები გაიხეჩება, მშვენიერი წყაროები ამოშრება. გაშიშვლდება გორაკები და ჯერ კიდევ გარდასულ წლების სიწყნარითა და კეთილშობილებით სავსე მამა-პაპეულ მყუდრო კუთხეებში გამეფდება ჩარჩი-მევახშე სრულუფლებიანი ბატონი ეხლანდელი სოფლისა, ერთნაირად ცნობილი ჩრდილოეთშიაც და სამხრეთშიც.

ნოემბერი, 1895 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღიურები და მოგონებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ცაიშვილი

სემინარიელის დღიურები

ქვემომოყვანილი დღიურები ეკუთვნის ძველს სემინარიელს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეს იონა მიხეილის-ძე მეუნარგიას.

ი. მ. დაიბადა 1852 წლის დეკემბრის 18 (30)-ს სოფელ ცაიშში (სამეგრელო), პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ჯერ მარტვილის სკოლაში, რომელიც ერთადერთი იყო მაშინდელს სამეგრელოში,—და შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის კურსის დამთავრების შემდეგ შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში; 1874 წელს გარიცხულ იქნა სემინარიის უკანასკნელი კურსიდან, როგორც აქტიური მონაწილე სემინარიელთა იმ ჯგუფისა, რომელმაც შეურაცხყო კავკასიის მთავარმართებელი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე.

იმავე წელს ი. მეუნარგია სწავლის გასაგრძელებლად შვეიცარიაში გაემგზავრა, სადაც იმ დროს ზოგი ქართველი ახალგაზრდა (ნ. ნიკოლაძე, ალ. სარაჯიშვილი, ალ. ჭყონია და სხვ.) ეგულებოდა. ორი წლის განმავლობაში სწავლობდა ჟენევის აკადემიაში, ხოლო 1876 წ. გადავიდა პარიზში, სადაც 1878 წლამდე დაჰყო. იქ მეუნარგია გაეცნო ზოგ ფრანგ მწერალს და მათ შორის ვიქტორ ჰიუგოს.

ჰიუგოსთან შეხვედრამ ახალგაზრდა ქართველ ლიტერატორზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა. როგორც ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს,—იგი პარიზის ბიბლიოთეკებში საქართველოს შესახებ თავმოყრილ ფრანგულ ლიტერატურასა და ქართულ ხელნაწერებს გაეცნო. პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მან გადმოსწერა ნანუჩა ციციშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ დამატებანი (396 სტროფი) და 1878 წ. მიწურულში დაბრუნდა საქართველოში.

ეს ის დრო იყო, როცა სერგეი მესხის გაზეთ „დროებასა“ და ილია ჭავჭავაძის ჟურნ. „ივერიას“ ქართული მწერლობის მაჯისცემა საკმაოდ მოელონიერებინა;

მეუნარგია ამ გაზეთების მუდმივი თანამშრომელი გახდა და თანარედაქტორიც („დროებისა“). იმ ხანებშივე იგი არჩეულ იქნა ახალდაარსებულ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის მდივნად. ამ დღიდან ი. მეუნარგია ენერგიულად მოღვაწეობს საზოგადო და სამწერლო ასპარეზზე. მისი ინიციატივით დაიწყო ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების შეგროვება (ამ საქმეში პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ ზაქარია ჭიჭინაძე და გრ. ჩარკვიანი), მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ პერიოდიდან ი. მეუნარგიას მოღვაწეობა „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე (1880—1888).

1880 წ. „დროების“ № 241-ში რაფ. ერისთავის, ი. გოგებაშვილისა და იონა მეუნარგიას ხელმოწერით გამოქვეყნდა მოწოდება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გადასინჯვისა და დადგენის შესახებ. მეუნარგიას ინიციატივით ამავე წელს შესდგა პოემის ტექსტის დამდგენი რედაქცია გრ. ორბელიანის თავმჯდომარეობით, რომლის ავტორიტეტისა და წ. კ. საზ-ბის მდივნის თანამდებობის გამოყენებით მეუნარგიამ შესძლო ოჯახებიდან შეეკრიბა 22 ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ ამ რედაქციაში წარსადგენად. იმ ხანებშივე (1884) ი. მეუნარგიამ თარგმნა ვ. ტყ. ფრანგულ ენაზე უცხოელი მწერლების ჟ. მურიესა და ბარონესა ბერტა ფონ-სუტნერის შემწეობით, რომელთაც თავისი დადებითი შთაბეჭდილება აღნიშნულ თარგმანზე პრესის საშუალებითაც გაუზიარეს ქართველ საზოგადოებას („Кавказ“, „დროება“, „ივერია“), ხოლო ილია ჭავჭავაძემ „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო მეუნარგიას ღვაწლს მეტად ორიგინალური შეფასება მისცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1884 წელს საქართველოში ახლადჩამოსულ საფრანგეთის ელჩსა და საქველმოქმედო კომიტეტის წევრებს „დროების“ რედაქციამ ივ. მაჩაბლის ინიციატივით შეხვედრა მოუწყო („დროება“ № 260). ამ შეხვედრაზე რუსთველის შესახებ წარმოთქმული სიტყვა ილიამ ამგვარად დაამთავრა: „დღეს როგორღაც წილად მხვდა, საცა დიდს იხსენიებენ, იქ პატარაც მოვიხსენიო. როცა პირველყოფილი კაცობრიობა, მზის ბრწყინვალებით განცვიფრებული, თაყვანს სცემდა მას ვითარცა ღმერთს, იმავე დროს პატივსა სცემდა მთვარესაც, რომელსაც მხოლოდ მზის შუქი ანათებს. რაკი სამართლიანია თაყვანისცემით მოვიხსენიოთ რუსთაველი, მაშინ უსამართლობა და უმადურობა იქნება დავივიწყოთ მისი მთარგმნელი. რუსთაველი მზეა და მთვარე მეუნარგია იქნება; რადგანაც ვითა მზის შუქით ჰნათობს მთოვარე, ისე რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენს მოღვაწეთა შორის. ღმერთმა ადღეგრძელოს მეუნარგია“.

დიდი აფრთოვანებით დაწყებული საქმე ბრწყინვალედ წარიმართა. უნგრელმა მხატვარმა ზიჩიმ მეუნარგიას თარგმანის მიხედვით შეჰქმნა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ილუსტრაციები. აღნიშნული რედაქციის მუშაობაც ბრწყინვალედ დასრულდა 1888 წ. მისი შედეგია რუსთაველის უკვდავი ქმნილების ქართველიშვილისეული მდიდარი გამოცემა.

ი. მეუნარგიას მოღვაწეობა ამით არ ამოიწურება. იგი როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი, მკვლევარი და ხალხური შემოქმედების შემკრები, 1879 წლიდან დაწყებული მონაწილეობს თითქმის ყველა ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთში („ტიფლისკი ვესტნიკ , „დროება“, „ივერია“, „კავკაზ“, „ნოვოე ობოზრენიე“, „კვალი“, „მოამბე“ და სხ.), ხოლო სერგეი მესხისა და შემდეგ ივ. მაჩაბლის დროს ხშირად ასრულებდა „დროების“ რედაქტორის მოვალეობასაც. მისი ცნობილი ფსევდონიმებია: „ი. მ.“. „ცაიშელი“. „ი. მ-ია“ „ლელო“, რომლითაც ის დიდხანს ბეჭდავდა „ივერიაში“ საქართველოს ისტორიულ პირთა მოსწრებულ სიტყვებს („ნაკვესი“), გარდა კრიტიკულ პუბლიცისტური ნარკვევებისა და საგაზეთო წერილებისა, მეუნარგიას კალამს ეკუთვნის მაღალი გემოვნებითა და იშვიათი დაკვირვებით შედგენილი „ცხოვრების აღწერები“: ალ ჭავჭავაძისა, გრ. ორბელიანისა, ნ. ბარათაშვილისა, გიორგი და დავით ერისთავებისა, მამია გურიელისა, გ. ჭალადიდელისა, დავით დადიანისა, ნიკო დადიანისა, კოლხიდელისა (ჯერ დაუბეჭდავია) და მოგონებანი ილიასა და აკაკიზე; აგრეთვე ორი არქეოლოგიური მოგზაურობის—სვანეთსა და აჭარა ქობულეთში—აღწერა (1887) და „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსის შედგენა.

ხალხოსნური იდეების გავლენაში მყოფმა ი. მეუნარგიამ სავსებით დააღწია თავი მეფის მოხელეობას და მუდამ არჩევითს თანამდებობაზე მუშაობდა, როგორც ხალხის მოსამსახურე. რევოლუციით აღფრთოვანებული მხცოვანი მოღვაწე არჩეულ იქნა სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საპატიო წევრად და ხელმძღვანელად, ხოლო უკანასკნელად სახალხო მოსამართლეთა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ. ამ მოვალეობის ასრულებისას ი. მეუნარგია გულის დამბლით უეცრივ გარდაიცვალა 1919 წ. 15 მაისს ქ. ახალსენაკში. დაკრძალულ იქნა სამშობლო სოფელ ცაიშში.

ასეთია მოკლედ ი. მეუნარგიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი მომენტები. რომლიდანაც ამ შემთხვევაში მხოლოდ სემინარიის პერიოდი გვაინტერესებს. ამ პერიოდს კი თვით ეს დღიურები * ასახავენ, საცა ავტორი სისტემატურად სწერდა ნაფიქრ-ნაგრძნობს, გადახდილ ჭირ-ვარამსა და აგვიწერს „ბურსაკულ“ ყოფას. მან უკვე იცოდა დღიურების მნიშვნელობა მემუარულ ლიტერატურაში და თავის რვეულში, რომელსაც „ფსიხატორიუმს“ ეძახდა, შეჰქონდა ყოველი განსაკუთრებული შემთხვევა და მისგან მიღებული შთაბეჭდილება.

აღსანიშნავი გარემოებაა ისიც, რომ ეს დღიურები განსაკუთრებულ და საინტერესო პირობებში იწერებოდა. 70-იანი წლების თბილისის სას. სემინარიის მწვავე რეაქციულ პერიოდ-

* დღიურები ქვეყნდება რედაქციის მიერ მნიშვნელოვანი შემცირებით, მაგრამ ავტორის სტილისა და მართლწერის დაცვით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მეუნარგიას დღიურების რამდენიმე რვეული დაკარგულად უნდა ჩაითვალოს, ჩვენ თვითონ გვინახავს, მის წიგნთსაცავში რამდენიმე ასეთი რვეული წარწერით „პატიოსანი კაცი სხვის დღიურებში არ ჩაიხედავს“. ამჟამად კი მხოლოდ ერთი (1873—74 წლებისა) მოგვეპოვება, საიდანაც ქვეყნდება ქვემომოყვანილი დღიურები—ს. ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, როცა ე. წ. კერსკის რევიზიის შედეგად, სემინარიიდან განდევნილი იყო მშობლიური ენა, საუკეთესო მასწავლებლები და მოსწავლეები; მოსწავლეს არ ჰქონდა უფლება წაეკითხა არამც თუ რაიმე სკოლისგარეშე საკითხავი წიგნი, არამედ გაზეთებიც კი; „ბერძნული ენის გაკვეთილის დროს მასწავლებელმა შეამჩნია, რომ ერთი შაგირდი ახლად გამოსულ „დროების“ ნომერს ჰკითხულობდა. მასწავლებელმა, რასაკვირველია, იმწამსვე გაზეთი გამოთხლიშა შაგირდს ხელიდამ და სემინარიის გამგეობას წარუდგინა.

„შეიქმნა „ფილოსოფოსთა“ თათბირი... გაცხარებული ბაასისა და განკითხვის შემდეგ, გადაწყვიტეს: თუმცა ღირსი არ არის შებრალებისა, მაგრამ რა გაეწყობა, მოწყალება ვუყოთ და ვუბოძანოთ, თვითონვე შემოიტანოს თხოვნა, გამოაცხადოს, რომ აღარ ჰსურს სემინარიაში სწავლა და წავიდეს. თუ თვითონვე არ შემოიტანა თხოვნა, მაშინ ჩვენ ისეთი მოწმობით გავგზავნოთ, რომ შემდეგ არც ერთ სხვა სასწავლებელში აღარ მიიღონ!..“ (იხ. სერგეი მესხის ნაწერები ტ. I გვ. 319).

„რას იტყვით ამაზე თქვენ, ჩვენო მამებო, რომელნიც მუდამ გვესაყვედურებით: ქართული ენა აღარ იცითო?—სვამს კითხვას ისევ, სერგეი მესხი, ალბათ „მამების“ და უფრო მათი მეთაურის გრ. ორბელიანის საყურადღებოდ.

უფრო ადრე, ამ „ახალ-ახალი“ ამბებით შეპყრობილი მხცოვანი პოეტი გრ. ორბელიანი—კი აღშფოთებული სწერს თავის მეგობარს ლევან მელიქიშვილს:

...„მახლაზ, დიდად დაღონებული მიველ შინ და ახლა აქ დამხვდა ერთი კარგი სხ'ეა ამბავი, ახალ-ახალი: ჩვენს სემინარიაში უნდა აღუკრძალონ სწავლა ქართულისა ენისა, რადგანაც არა აქვს ამ ენას მდიდარი ლიტერატურა, და ამის მაგიერ უნდა შემოიტანონ ბერძნული ენა. საწყალი სულხანოვი, რომელსაცა არ მოსწონებია ეს განკარგულება და უთქვამს, რომ საქართველოში მღვდლებმა უნდა იცოდნენ ქართული ენა, დაუთხოვიათ სემინარიიდამ, ვითარცა წინააღმდეგი მმართველობისა და საშიში კაცი. ამ ამბებმა ერთმანეთზე დაერთებით ამიშფოთეს გული; იმ ღამეს მომცა სიცხე და მხოლოდ დღეს შევძელ ადგომა და გწერ ჩემს დარდებსა. თათრები იტყვიან: „მან ბულარინ ჰაქსინინ დარდი ჩაქიმ?“ ესე იგი რომლის ერთისათვის ვიდარდო?—შეცთომა შეიძლება ვითარცა კაცისაგან ეგრეთვე მმართებლობისაგან, მაგრამ აკრძალვა ქართულთა ლოცვისა ქართველთ ეკლესიაში სისულელეზე უაღრესია. საქართველოში არიან მრავალნი ეკლესიანნი სხვადასხვა ენისა, სხვადასხვა სარწმუნოებისანი: თათრები, ურიები, სომხები, ლოტრანები, ფრანგები, თავისუფლად ილოცვენ თავიანთ ენაზე; ფრანგები ილოცვენ ქართულს ენაზე, და მხოლოდ ქართველებსა კი უნდა მოუსპონ ქართულად თქვან „წმიდაო ღმერთო“? განა პოლიტიკა მოითხოვს ამას? განა ეს არის განვრცელება მართლ-მადიდებლობისა აზიაში? რაღა ქართველებზე მიიტანეს ძალი ქადაგებისა გასაქრისტიანებლად?... და ანუ რა სიკეთე წარმოსდგება აქედამ? თუ გარუსებას ჰსცდილობენ ბრმანი ხომ არ არიან, რომ რუსებზე ჩვენ უფრო რუსები ვართ; თუ მართლმადიდებლობისთვის იღწვიან, აი, ურიები, თათრები, სომხები და სხვანი, მაგრამ უსამართლობა და ძალადობა მარადის ჰბადვენ უსიამოვნებასა, ყვედრებასა, წყევასა და თვით ორგულობასაცა. მიკვირს რას უჩუჩხუნებენ ამ საბრალოს, მოოჩილს, კეთილს და ერთგულსა ერსა. სამწუხაროა კნიაზო ლევან, რომელს საუკუნეში ვჰცხსოვრებთ?.

„ამ დღეებში ვეახლები ველიკი კნიაზსა განგებ ამ საქმისათვის; იმედი მაქვს, რომ არ იამება ესრეთი განკარგულება დაბრმავებულის სამღვდელოსი და მოიხმარებს ყოველსავე ღონისძიებას, რათა ჩაშალოს ეს პროექტი, რომელიც არის ცხადად ძალადობა და დაჩაგვრა ერისა, და რომელსაცა, რასაკვირველია არ მოინდომებს არც კეთილი გული მისი და არც რომელიმე მმართველობა, გონიერად მზრუნველი კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის ერისა. ასე ჩემო ბატონო“ *.

ამ ხანებში გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლეთა სხვა ადრესატებიც ** (სოფიო ორბელიანი) ხშირად ისმენენ პოეტის შფოთვასა და დრტვინვას ამ საკითხის გარშემო. ის მარტო „ველიკი კნიაზთან“ მისვლით როდი კმაყოფილდება, არამედ საზოგადოებრივ აზრსაც ეძებს, და თუმცა ამაოდ, მაგრამ საკუთარი თეორიაცა და ხერხიც გააჩნია მშობლიური ენის დასაცავად.

---

* წერილი 1872 წ. 25 ოქტ. დაცულია ზუგდიდის მუზეუმში.

** იხ. „ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა“ გვ 118.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, გრ. ორბელიანის შფოთვასა და დრტვინვას ბევრი არაფერი შეეძლო, რადგან ეს იყო „საქმიანობა“ შეხმატკბილებული ცარიზმის შავი აგენტებისა პეტერბურგიდან თბილისამდე.

სასწავლებლის მართებლობამ, რომელმაც „მავნებლურად“ შეაფასა შეგირდების საყვარელი მასწავლებლის ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს მუშაობა, რადგან მისგან „მოსწავლეებს საკითხავათ ეძლეოდა უმთავრესად საბუნებისმეტყველო დარგის წიგნები“ და რომ იგი „თავის ბინაშიაც კი უმართავდა ლიტერატურულ კითხვა—ბაასს სემინარიის დაწინაურებულსა და ნიჭიერ მოწაფეებს“, რომელთაც „გაუტკბათ გემოვნება ბოკლისა და საზოგადოდ უარყოფითი მიმართულების წიგნების კითხვისა“ (კერსკის რევიზიიდან), სემინარიელებს უფრო მწვავედ აგრძნობინა ის წნეხი, რომლის ქვეშ იყვნენ ისინი მოქცეულნი.

დღიურების ავტორს, მაშინ სემინარიის უფროსი კლასის მოსწავლეს, 21—22 წლ. ყმაწვილს, უკვე აქვს უნარი პერსპექტივის განსჭვრეტისა, ახალი მომავლის გათვალისწინებისა, როდესაც „დამხობილი იქნებიან ძველი კერპები“ და შემუსვრილნი „მატყუარა ქურუმნი“. მას უწერია უსისტემოდ, ხშირად ერთი-მეორის საწინააღმდეგო აზრებით აჭრელებული დღიურები, რათა მომავალში შეიცნონ ის დრო, ის საზოგადოება და ვითარება, როცა „აღვირასხმული მოსწავლეობა მთავრობის მათრახის ქვეშ იმყოფებოდა“. სადაც, „ვინ იცის რაზე სწავლობდნენ, საბერძნეთის რომელ მეტაფიზიკზე ლაპარაკობდნენ, ან რომელი ბერის ბიოგრაფიას ზეპირობდნენ“, მაგრამ გამოდიოდნენ რა ცხოვრებში, არა იცოდნენ რა, არ იცოდნენ რა ეკეთებიათ და ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ „ისევ თავიდამ, ანბანიდამ უნდა დაეწყოთ“ (იხ. 21 მარტის დღიური)

ეს დღიურები იწერებოდა 70-იან წლებში ისეთი მოსწავლის მიერ, რომელსაც არალეგალურად მაინც მოუხერხებია გასცნობოდა ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, დარვინის და სხვათა ნაწერებს, რომელთაც სემინარიის დახავსებულ კედლებშიც შეუნათებიათ.

რამდენადაც ტფილისის სასულიერო სემინარიამ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა, ამდენად საინტერესოა ამ სასწავლებლის ცხოვრებაც.

ჩვენი ქვეყნის მრავალ შესანიშნავ მოღვაწეთა ცხოვრება ამ სასწავლებელთანაა დაკავშირებული. მთელი რიგი ჩვენი გამოჩენილ მწერალ-მოღვაწეებისა „მეფისა და მემამულეთა“ ორგულობაში შენიშნულნი, ამ სასწავლებლიდან არიან გამორიცხულნი. თვით, ჩვენი სამშობლოს უდიდესი შვილი, ხალხთა დიდი ბელადი ი ო ს ე ბ ჯ უ ღ ა შ ვ ი ლ ი—ს ტ ა ლ ი ნ ი, ხომ ამ სემინარიიდან არის გამოძევებული 1899 წელს პოლიტიკურად არა საიმედობისათვის.

სემინარიის სულისშემხუთველი რეჟიმი მეუნარგიას შემდეგ არ შემსუბუქებულა. პირიქით, 90-იან წლებში ამ სასწავლებლის ატმოსფერო ერთი ორად მომწამვლველი იყო სასულიერო მთავრობისა და გადაცმულ პოლიციელების წყალობით, რომელნიც ამ სასწავლებლის ხელმძღვანელებად იყვნენ დანიშნულნი. ი. მეუნარგიას დღიურების დაწერიდან 25 წლის შემდეგ სემინარიელი გ. პარკაძე თავის მოგონებაში ასე გვიხატავს სემინარიის რეჟიმს:

„ვაი იმათ, ვინც გარეთ გასული დანიშნულ დროზე არ დაბრუნდებოდა. კარცერი და ყოფა-ქცევაში ნიშნის დაკლება არ ასცდებოდა მას. ერთხელ ჩაიწერებოდა ე. წ. „კონდუიტში“, ხოლო მეორედ უკვე სასწავლებლიდან გააძევებდნენ. ყველაფერში მოწაფეს თავს დასტრიალებდა ბერების მზვერავი თვალი. სემინარიელს სასტიკად ჰქონდა აკრძალული ქალაქში და ბიბლიოთეკაში სიარული, წიგნებისა და გაზეთების კითხვა, ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობას ხომ, აბა ვინ გაბედავდა? სემინარიელს აკრძალული ჰქონდა თეატრსა და წარმოდგენებზე სიარული, სამაგიეროდ, დილით, გაღვიძებისას, ჩაის და სადილობისას, სწავლის დაწყება-გათავებისას, ღამით, დაწოლის დროს, სემინარიაში მოწაფენი ლოცვაზე უნდა მდგარიყვნენ“. *

ვაქვეყნებთ მეუნარგიას დღიურებს, როგორც საინტერესო მასალას ამ სასწავლებლის წარსული ცხოვრების გაშუქებისათვის. დღიურები ქვეყნდება საგრძნობი შემოკლებით.

---

* გაზ. „კომუნისტი“ 1935 წ. № 287.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იონა მეუნარგიას დღიურიდან

15 თებერვალს 1873 წ.

ეს ჩემი „ფსიხატორიუმი“ დღიური * არ არის; მე ძვირად დავწერ ამაში იმას, რაც ყოველდღე გადამხდება. ეს ჩემის ფიქრით საჭიროც არ არის... არა. მე ამაში უნდა დავწერო სხვადასხვა წიგნებიდამ მიღებული შთაბეჭდილება, ან ის ფიქრები, რომლებიც ხშირად მეწვევიან ხოლმე... ვეცდები, რომ ხალხის ჩვეულებები ზოგიერთი მაინც ავხსნა ისტორიის შემწეობით. ხან გადავთარგმნო რუსულიდამ ლექსები, ან—აი დიდება შენ ღმერთო—თითონ ამ სიბერის დროს დავწერო ლექსი... მე, ჯერ, საუბედურროდ, არ ვარ რიგიან გზაზე დამდგარი, ნამეტურ დიდს და გამოულეველს საკაცობრიო კითხვაში; ვართ ჩვენ თავისუფლები თუ არა?. მინდა რომ კონსერვატორს არ მეძახდნენ და ახალი მეცნიერება მიყვარს, მაგრამ როგორღაც არ მინდა ძველიც დავაგდო (თუ ძველი დაეძახება თავისუფლების მოლაშქრეებს)...

მსურს შევისწავლო ჩვენი კლასიკური ლიტერატურა, ე. ი. რუსთაველის პერიოდი. განსაკუთრებით ჩვენი სიამაყე „ვეფხვის-ტყაოსანი“... (შემდეგ სამი სტრიქონი ავტორს წაშლილი აქვს ს. ც.) რომ შემეძლოს რამდენიმედ მაინც შევეწიო ჩვენს ყმაწვილს ლიტერატურას... „ყმაწვილი“.. აფსუს! მდიდარო ქართულო ენავ!.. აფსუს, რომ ვერა ხარ ისეთ კარგ გარემოებაში, რომ გაშალო შენში დამალული სიმდიდრე. მე აქ სრულებით არ ვვარდები წინააღმდეგობაში, როგორც ამას ზოგიერთები იფიქრებენ. და აი რისთვის: მე მინდა ქართულმა ენამ იხაროს არა მარტო იმიტომ, რომ მე პატრიოტი ვარ... არა! მე იმას ვფიქრობ: შეიძლება ამ ენამ ისეთი რაიმე მისცეს კაცობრიობას, როგორიც აჩუქა ინგლისის ლიტერატურამ შექსპირის, ბაირონის ქმნილებებში...

---

* **დღიურები** ყდაში ჩასმულ საერთო რვეულშია ჩაწერილი. მის პირველ გვერდზე ზემოთ წერია: **Ученика Тифлисской духовной семинарии Ионы Михайловича Меунаргия.**

ხოლო ამის ქვევით, უფრო შუა ადგილას:

Честные люди! Не раскрывайте этот мой дневник до моей смерти.

მეორე გვერდზე კიდევ სამი ასეთი მინაწერია:

მე ვარ მდიდარი გულწრფელითა სიყვარულითა,
რომელიც სიტყვით კაზმულს გრძნობას გარდემატების.

კორდელია.

ჰმ, ასე ნორჩი და ასე გულქვა!

ლირი

წელს მასხარებს ლილახანა წაუხდათ,
მასხარობას ბრძენნი გვეცილებიან,
ჰკვა რომ ძნელი მოსავლელი გაუხდათ
პამპულად და მაიმუნად ხდებიან.

(ხუმარას სიტყვები „მეფე ლირი“-დან)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ჟამად სპინოზას ვკითხულობ. ძლიერ გამიტაცა ამ გენიოსმა ურიამ... ნეტავი თქვენ ურიებო, რამდენი დიდი კაცები გყავდათ... სპინოზა, ჰეინე, ბერნე, ლასსალი... ვათავებ სოლომონის სიტყვებით: „ყოველივე ამაო არს“..

9 მარტს *

დღეს გავათავე „ფაუსტის“ კითხვა სტრუგოვშჩიკოვისა[1] და გრეკოვის[2] თარგმანით... „ფაუსტი“, გაგიგონიათ თქვენ ეს სიტყვა? თუ გაგიგონიათ, რა უნდა გითხრათ სხვა ამაზე. ჩემის ფიქრით გიოტემ აი როგორი მხარე დახატა კაცობრიობისა თავის ქმნილებაში: ყოველი ადამიანის სიცოცხლეში არის ისეთი პერიოდი, როდესაც იმას მოსწყინდება თავისი ხელობა და კითხავს თავის თავს: რას ვაკეთებ მე ჩემის ხელობით ქვეყანაზე? რა სასარგებლოა სწავლა, ხელობა, ვაჭრობა, სიყვარული და სხვა. ეს ნამეტურ მოხდება მაშინ, როდესაც კაცმა სრულიად შეიტყო თავისი ხელობის საიდუმლოება. საზოგადოდ, ასეთ შემთხვევაში ისე მოხდება ხოლმე, რომ ის ვერაფერს ჰპოვებს თავის ხელობაში და სიმდიდრეს ეძებს მხოლოდ სხვის ხელობებში... ანდაზაც ამბობს, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო...

სწორედ ისე უყურებს კაცი თავის ხელობას და როდესაც იმ ხელობაში არაფერი საიდუმლო იმას არ დარჩება, ის არ უყურებს იმნაირ კრძალულებით, როგორც წინათ. თუმცა უსრულოდ და უშინაარსოდ, მაგრამ ამგვარი სულიერი მოვლენები მეც დამმართნია... ბევრჯერ მითქვამს: რა ოხრად მინდა სწავლა, რას მიკეთებსო... გიოტემ ფაუსტში ამგვარი მდგომარეობა გამოხატა, მაგრამ ფაუსტი ერთი ხელობის კაცი კი არ არის,—ის ფილოსოფოსიც არის, ღვთისმეტყველიც, მედიცინის დოქტორიც, უსწავლია ყველანაირი მეცნიერება და გვარწმუნებს, რომ ყველა ეს სწავლა კაცს არაფერს უკეთებსო. ის ადგილი, სადაც ფაუსტი ამბობს ამ აზრებს, არის საუკეთესო ადგილი მთელს ტრაგედიაში.

ტრაგედია სავსეა ღრმა აზრებით და მშვენიერი პოეზიით. რა იყო პირველი და უკანასკნელი ფაუსტის ცხოვრებისა, იმის ალფა და ომეგა?.. რა სწადდა იმას და რასთან მივიდა? მისი სურვილი იყო ესწავლა ყველაფერი; ბევრი ისწავლა და მივიდა იქამდის, რომ არაფერი არ მოსწონს. არაფერი არ აკმაყოფილებს... უკმაყოფილება. აი, რა არის ფაუსტში დიდი და გამოსაჩენი მხარე...

11 მაისს

ეხ, უხეირო ვარ, რომ ჩემი სიტყვა ასრულებაში ვერ მომყავს. ამაში მე სხვებიც მამტყუნებენ და მართალია, ბევრჯერ სხვები მართალს ამბობენ ჩემზე, მაგრამ სპინოზასი არ იყოს, რა ჩემი ბრალია, რომ მე ასეთი ვარ? გარემოების წინააღმდეგობა არავის არ შეუძლია... ვინ ვიპოვოთ ისეთი კაცი კაცობრიობაში, რომელიც გარემოების წინააღმდეგ წასულიყოს? მგონია არავინ არ იყოს, თვითონ დიდი ენერგიული ნაპოლეონ I-ც გარემოების შვილი იყო. თვითონაც ამ-

* ამ გვერდზე ფანქრით მიწერილია: „ეს ახლა არ მომწონს“—ს. ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობდა „მე გარემოების შენობა ვარო“... აი სწორედ ყველა კაცს შეუძლია სთქვას თავის-თავზე ნაპოლეონივით „მე გარემოების ნაშენები ვარო“... ყველას, ვინც უნდა იყოს... ნეცესარიანების მოწინააღმდეგეთ ვარწმუნებ და მგონია თვითონ ისინიც დარწმუნებულნი არიან პროზაული პრაქტიკის შემწეობით, რომ კაცს პირობები და გარემოებები აკეთებენ...

იონა მეუნარგია—მოსწავლე (1868 წელს)

ამას იმიტომ ვამბობ, რომ გარემოებანი ისე დამეხლართნენ, რომ ეს ჩემი „ფსიხატორიუმი“ ხელშიაც ვერ ავიღე ამდენი ხანია... ვინ ჩამოსთვლის ყველა იმ ცუდ გარემოებას, რომელშიაც მე ვიყავი მას აქეთ, რაც მე ეს რვეული ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში არ ამიღია? მე ამას სრულებით არა ვრაცხ საჭიროდ... აი, თუ გინდა ეხლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, სამი დღის „იმერული ავადმყოფობით“ მოუძლურებული ხელის ძიგძიგითა ვწერ... რამ უნდა დაბადოს ჩემს გონებაში კარგი რაიმე აზრი? ერთი მხრით სიცხე, მეორე მხრით სისუსტე და ავადმყოფობა სისხლს მიშრობენ... ახ, გარემოებავ, გარემოებავ!.. ამ ახლო ხანში წავიკითხე „Метафизика нравов“ კანტისა კუნოფიშერით, დიდი, დაუფასებელი და წმინდა კაცის ქმნილება...

13 ივნისს 1873 წ.

რას ჰქვია ვრცელი ჭკუა და ვინ არის თანაგრძნობის ღირსი?

ჩვენს გონებას გამოვარკვევინოთ და ვათქმევინოთ, რა არის ვრცელი ჭკუა?.. ჯერ პირველი და უკანასკნელი პირობა ვრცელი გონების, უნდა იყოს ის, რომ მას არ ჰქონდეს არავითარი პირადული ელემენტი, არაფერი ემპირული... ის უნდა სჯიდეს თავისივე შინაური ცხოვრებით სხვადასხვა კითხვებს და არას დროს არ შეეხოს ამ ჩვენს—ქვეყანას. ყოველს შემთხვევაში, როდესაც ის შეხედავს ამ მაცდურ ქვეყანას, ჰკარგავს თავის სიწმინდეს და იქრთამება ბუნების ნაყოფით. წმინდად და მართლად ის მხოლოდ მაშინ არის, როდესაც ის სრულებით თავისუფალია. ამ აზრისა იყვნენ დიდი, შესანიშნავი ადამიანები კანტი, ბეკონი, დეკარტი და საზოგადოდ ყველა თეორეტიკოსები...

მაშასადამე, პირველი პირობა ვრცელი ჭკუისა არის თავისუფლება, თავისუფალი, მოქმედება და პიროვნული ელემენტის უქონლობა... მეორე პირობა, დემოსთენის არ იყოს, ისევ პიროვნული ელემენტის უქონლობაა, მესამეც და მეასეც...

ვრცელი გონება იმას აქვს, ვინც ყოველთვის თავის თავზე არ ლაყბობს, ვინც თავის ცხვირს იქით სხვა რასმე ხედავს, ვინც პირდაპირ ხედავს მთელს კაცობრიულ ინტერესს და თუ შეუძლია ჰმსახურებს მას, თუ არა და კეთილს მაინც ისურვებს.

ვინც თავის სიცოცხლეში დროს იმაში ატარებს, რომ თავის-თავი ადიდოს, რეპუტაცია იკეთოს, სჭამოს, სხვები ინტრიგებში გახვიოს, იშუროს, იშაროს—ის კაცი ყოვლად საძაგელია, იმის გონება ისეთი ვიწროა, როგორიც იმათი კაბინეტი, როგორც ბეკონმა თქვა. კაცი ის არის ვისაც შეუძლია ფაუსტივითა თქვას:

„Я вселенную мысленно об‘емлю“.

მხოლოდ ამ დროს არის კაცი მიახლოებული თავის ღირსებასთან, თავის ღვთაებრივ დანიშნულებასთან... მხოლოდ ასეთ კაცს შეიძლება თანაუგრძნოს კაცმა...

რა დიდს დროებაში ვცხოვრობთ ეხლა ჩვენ! ფრანციაში იბრძვის რესპუბლიკა და მონარქია, ისპანიაში რესპუბლიკა, ამერიკაში მოდოკებს ხოცავენ, იაპონია ნათლდება, შახი მოგზაურობს, ვენაში გამოფენაა—ესენი ვინ გაიგონა ჩვენში? ორში შეიძლება ერთმა იცის... შელლინგი, ჰეგელი, სპინოზა, კანტი, კონტი, მილლი—აი რა აინტერესებს ჩვენებს... სემინარია ძველით ცხოვრობს, მაგრამ მარტო სემინარია კი არა, სხვა სკოლებიც. ეს უხეირო მთავრობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრალია... ეხლა რაც ხდება იმას არ სწავლობენ და 10—20 წლის შემდეგ მოსწავლეებს უნდა აზეპირონ. მაშინ, როცა ისტორიის მოძრაობა სხვაგვარ სახეს მიიღებს.

30 ივლისი, 1873 წ.

ამჟამათ მოწყენილი ვარ. „დროებამ“ [3] პოლიტიკა სულ დაივიწყა. სხვა გაზეთებს მე არ ვღებულობ. უ. სკანდელი [4] თავისი მშვენიერი სტატიებით იმერეთის ბანკის საქმეს არჩევს. ეხ, სად მიუდგებიან სკანდელს ფურცელაძე [5], წყალტუბელი [6], ავალიშვილი [7], ქიქოძე [8] და სხვები თავიანთი წერილებით?... სკანდელივით წერაში დახელოვნებული, ჩემის ფიქრით, ახლა რუსეთშიაც არ არის ბევრი... Незнакомец-ი კი სჯობია მგონი, მაგრამ ბევრით არაფერი. სკანდელისთანა კაცი მე ძლიერ მომწონს. აი, კაცი, რომელიც მიყვარს. იმას მთელი ევროპა დავლილი აქვს. დიდი ნაკითხი კაცია, მეტადრე ლაბულესთან [9] და ლუი ბლანთან და სხვა მწერლებთანაც გაცნობილი, როგორც ამბობენ Современник-[10]ის თანამშრომელიც იყო. დიდი ხმა აქვს. მეტი არა უნდა კაცს... ამასთან გავლენაც დიდი აქვს... ასე რომ მე იმაზე ვიტყვი, რაც თქვა ნაპოლეონმა გიოტეზე: „Voila cet homme“. კუნოფიშერის კითხვა ძლიერ მემძიმება თანდათან იმისათვის, რომ საზოგადოდ ახალ ფილოსოფოსებს (დეკარტს, სპინოზას ლეიბნიცს, კანტს, ჰეგელს, შელლინგს) ძლიერ მოსწონთ უნაყოფო სპეკულატიური მსჯელობა... მაგალითად, ლეიბნიცი თავისი მოწოდებით... ყველა იმათგანი, ფოლოსოფოსები, თავიანთ თავს იმართლებენ და ყველა იმათში მომწონს თითო რაიმე... რასაკვირველია, სპინოზა ყველას უნდა სჯობდეს, რადგან მისი შეხედულება ბუნებაზე ეხლანდელი მეცნიერების შეხედულებას ჰგავს, მაგრამ ლეიბნიციც დიდია... მე ნამეტურ მომწონს ფილოსოფოსებიდან სპინოზა, ერთი იმისი შესანიშნავი მხარით. აი რაში მდგომარეობს ეს მხარე: ეს არის ერთობა (все единство) და ცხოვრებაში გაყვანა თავისი ფილოსოფიური აზრებისა... ლეიბნიცი მომწონს მისი უნივერსალური ხასიათით. თავის დღეში ის წინააღმდეგ მხარეს ისე არ გაამტყუნებს და ისე არარად არ გახდის, როგორც ზოგიერთებია... კანტში მომწონს მისი ზნეობითი სწავლა... როგორც ლეიბნიცს, მე არ მომწონს სხვისი ძაგება, თუმცალა სპინოზასთან თანახმა ვარ და ვფიქრობ, რომ ბუნებაში მკვდარი, მესიანიზმის მეტი არა არის რა, მაგრამ ამასთან გამომთქმელად მომწონს რადიკალურად სპინოზას წინააღმდეგი კანტის ზნეობა...

ოხ, რა მიხარია, რომ ფილოსოფიის ისტორიაში ვიპოვე ისეთი პირი, რომელსაც ერთის მხრით მაინც ვგევარ. მე ლეიბნიცზე ვამბობ და იმის უნივერსალურ ხასიათზე. რა ვქნა საშუალება ნებას არ მაძლევს, თორემ მეც ძლიერ მომწონს სხვადასხვა გვარად ახსნა... მრავალმხრიანი ახსნა... ჩემი ნიჭი და მონდომებაც იქითკენ არის მიმართული, რომ ცოტ-ცოტად სულ ყველაფერი ვიცოდე. ჩემგან თავის დღეში ვერ გამოვა კაბინეტის მსწავლული. და კაცმა რომ გამოსარჩევად მომცეს, რასაკვირველია, მე პირველს ავირჩევ. ვაი, საწყალო, ჩვენო ცვეტკ[ოვო]? და ბევრი სხვა ჩემი ამხანაგები, რომელთაც უკანასკნელი მოსწონთ. უკანასკნელად ისინი ისე ვერ გახდებიან, როგორც მე არ შემიძლია კანტი გავხდე და ვერც პირველით ისარგებლებენ ისინი. ჩემი სული მიმართუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია იმ კაცებთან, რომელნიც პირველ კატეგორიას ეკუთვნიან. ესენი არიან: ვოლტერი, ლეიბნიცი, ჰეინე, ბერნე, ბელინსკი და სხვ.

მეცნიერებაში, რასაკვირველია, მე მიზიდავს ბუნებითი საგნები, მაგრამ, რომ არც მასწავლებლები მყავს, არც წიგნები, რას ვიზამ!.. ბუნებითი საგნები მიყვარს იმდენად, რამდენად ისინი ხსნიან ისტორიულ კანონებს. ისტორია და სოციოლოგია. აი, ის ორი საგანი, რომელნიც, როგორც კონტმა თქვა, უნდა გახდნენ მეცნიერების თავად. სოციოლოგიის შესწავლა ძლიერ მსურს, ძლიერ, მაგრამ რა ვუყო, რომ ეს ჩემთვის მეტად ძნელია, რადგანაც სხვა, ელემენტარული ცნობები ცოტა მაქვს. როდესაც იქნება ამასაც მოვკიდებ ხელს!..

21 ოქტომბერს, 1873 წ.

ძლივს გამოვარჩიე წიგნებიდამ ჩემი „ფსიხატორიუმი". რამდენი ხანია აზრადაც არ მომსვლია შიგ ჩახედვა. მაგრამ ეხლაც რომ ვიღებ იმაში ახალს ვერაფერს ვპოულობ ჩასაწერად. საიდამ დავიწყო. ფურცელაძემ თავისი სიბეცე გუშინწინ დაამტკიცა, ნიკოს * რომ რევოლვერი ესროლა და ნიკომ თავისი კარგი კაცობა, რომ არ უჩივლა... ეხლა ჩვენი ლიტერატურის დედაბოძი ის არის, ჩვენს აზროვნებას ის მარტო ამოძრავებს და აღვიძებს. მეავე პატრიოტობა ჩემი მეგობარი თავის დღეში არ იყო და ეხლაც არ არის. მხოლოდ ცოტა რაღაც ვიგრძენ, ამ ახლო ხანში ჰეინე ვიკითხე... კუნოფიშერის ლეიბნიცი გავათავე. ჩვენს სემინარიაში რევიზორად მოვიდა კერსკი [11]. სჩანს სინიდისიანობა არ არის...

30 ნოემბერს, 1873 წ.

მინდა ერთი საზოგადო აზრი გამოვთქვა. ამას ბევრი ხანია ვფიქრობ და თან და თან უფრო ვრწმუნდები ამაში. აი რას ვფიქრობ: თუ საზოგადოებაში მოძრაობა არ არის ისეთი—როგორც ვხედავთ სხვა განათლებულ ქვეყნებში, მაშინ ლიტერატურასაც არა აქვს ფერი; ისიც ისეთი უშინაარსო და უფერულია, როგორც ის საზოგადოება, სადაც ლიტერატურაა. ცალკე, ეს უფრო მაშინ არის მართალი, როდესაც საქმე შეეხება პოლიტიკურ კითხვებს. აი, მაგალითად ჩვენში. რამ უნდა გააღვიძოს ჩვენი საზოგადოება, რამ უნდა შეაჟრჟოლოს იმისი ჭკუაგონება რომელიმე პოლიტიკური რეფორმის გაგონების დროს, როდის ყოფილა იმის გავლენის ქვეშ?

ჩვენში გვარიანი ხანია, რაც დაფუძნდა ერთი პოლიტიკური წესი და ეს „ღვთის მადლით" („რომელსა ესხენ ყურნი სმენად ისმინეთ") არ იცვლება. „ნანი—ნანას" უმღერის ჩვენს მძინარე საზოგადოებას. ვის რა დავა აქვს, რომ ფრანციაში რესპუბლიკა დაწესდა, გერმანია შეერთდა და იმპერია შეიქმნა? ესენი მხოლოდ მაშინ აინტერესებს ჩვენს საზოგადოებას, როდესაც თვითონ ის დაინახავს, ან იმათი გავლენის ქვეშ იქნება. ამისათვის მე სრულიად არ ვამტ-

* ნ. ნიკოლაძეს.—ს. ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუნებ ჩემს ამხანაგებს, რომ იმათ ინჩიბინჩი არა იციან თანამედროვე შემთხვევებიდამ. რასაკვირველია, განათლებულმა კაცმა ესენი რიგია იცოდეს, მაგრამ ყველაფერს უნდა მაიძულებელი მიზეზი. თუ ეს არა აქვს, მაშინ რაღას ბრძანებთ!..

ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა. სურათი გადაღებულია 1882წ.

მართალია, ხალხის საჭიროების ცოდნა დიდი რამეა, იმათზე ლაპარაკი ყველა პატიოსანი კაცის ვალია, მაგრამ თუ მე არა ვყოფილვარ ხალხში, არ ვიცი უბრალო, სახელმწიფო დებულებები, კანონები,—როგორღა შემიძლია იმათზე ვიფიქრო? მეტყვიან წიგნები იკითხეო, არა! მე, ამასთან თანახმა არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ „Я не согласен с вашим мнением“ წიგნები მარტო გამიტაცებენ. საჭიროა მე თვითონ ჩემი თვალით, ჩემი გონებით გავზომო ხალხის მწუხარება და მოთხოვნილება და მერე მე თვითონ შეუდგე ჩემებურად ლაპარაკს. თუ დობროლიუბოვს[12], ჩერნიშევსკის[13], ლასალს გამოუჩენია თავისი ნიჭი, ტალანტი პატარაობაში, ის სულ სხვაა, ვინ იტყვის რომ იმ საზოგადოებიდამ, სადაც ცხოვრობდა ლასალი, ან ბერნე არ გამოსულიყვნენ ისეთი მებრძოლები... გერმანიაში უკანასკნელ მუშას „ფაუსტი“ რამდენჯერმე აქვს წაკითხული და ჩვენში „ფაუსტის“ სახელიც კი არ იციან.

მაშასადამე, ტყუილად ნუ გვამტყუნებენ, რომ აი თქვენ უხეიროებოო— თქვენ, არსად არ ივარგებთო, სემინარიას ათავებთ და ეკონომიკის ანა-ბანა არ იციოთ.., ჩვენც მოგვივა დრო, ჩვენც ვიცხოვრებთ საზოგადოებაში და გავიცნობთ იმის მოთხოვნილებას. მაშინ ჩვენც ამოვიღებთ ხმას...

14 декабря, 1873 г.

Еще одно последнее сказанье... и может быть на долго, на веки разстанусь с этим моим дневником. Но прощаясь с другом моих юношеских размышлений, я напоследок внесу в него, подобно старому летописцу, еше одно последнее сказанье и изолью в нем всю свою душу, всю мою скорбь, все мое негодование... Может быть, если не я, то кто нибудь другой отряхнет пыля от моего дневника и вспомнит о бывших временах, о бывших людях, о бывших несчастьях...

Летом 1873-го г. после р. х. в Закавказье в городе Тифлисе, в одном из средне-учебных заведений края—в семинарии—произошло чрезвычайное событие, выходящее, из круга обыкновенного течения происшествий, событие о котором не могу вспоминать без содрогания и ужасов сердца. Событие само по себе ничтожное, но оно наделало так много шума, что семинария в настояшее время является героем дня, предметом салонного разговора посетителей и хозяйна обывателей Тифлиса...

Мальчуган, которого надо высечь, говоря языком Гоголя, мальчуган увлекшийся чтением Чернышевского, Добролюбова, Берне, Гейне послужил поводом этого необыкновенного события.

Кезели[14] написал нечто вроде воззвания, в котором, как говорят он превозносит до небес республику и осуждал империю, а особенно государя императора *...

19 დეკემბერს, 1873 წ.

Глас народа, глас божий.

ხალხიდამ რომ გამოვარჩიოთ რომელიმე ერთი ან ორი კაცი და მივცეთ იმას ცხოვრების სხვადასხვაგვარი კითხვები, რასაკვირველია, ვერ მივიღებთ ისეთ

* ამის შემდეგ დღიურის ფურცლები ამოხეულია—ს. ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხებს, როგორიც რიგია,—ეს იმიტომ რომ ხალხი გონებრივად გახსნილი არ არის. მაგრამ ესევე კითხვები რომ მივცეთ მთელ ხალხს, რიგიან პასუხებს

დავით კეზელი 90-იან წლებში

მივიღებთ. ამის მიზეზის შეტყობა ძნელი არ არის. ხალხში, ერთმა რაც არ იცის ის მეორემ იცის, მეორის უცოდინარობას მესამე ავსებს და ამგვარად, რაც უნდა კითხვები მისცე ხალხს, მიიღებთ რიგიან პასუხებს, ისეთ პასუხებს, როგორიც შეესაბამება მრთელს, ჯანსაღ გონებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, ხალხი უმეტეს ნაწილად უბრალო გულისაა (მტრედია და არა გველი) და ვერ გამოსახავს თავის პასუხებს რიგიან და ხელოვნურ ფორმებში, ისეთ ფორმებში, რომლებშიაც წარმოგვიდგენენ ნასწავლები, მეცნიერები თავის შრომებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ხალხი რასაც იტყვის, იტყვის სიმართლით... ხალხის გენია დიდია, ხალხის ხმა—ღვთის ხმაა. ეს უბრალო მოსაზრება უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ მდგომარეობს იმაში, რომ, კოლლექტიური კაცობრიობის გონება ყოველთვის უფრო დიდია ინდივიდუალურ გონებაზე... ეს მართალია, ამას ისტორია გვიმტკიცებს...

მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ისეც გამოდის, ვითომ ცალკე პირები უფრო მაღლა დგანან, ვინემ ხალხი, იმათი ნათქვამი უფრო სწორია ხალხის ნათქვამზე, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამბობენ, კაცი ყოველ შემთხვევაში რაც უნდა დიდი იყოს არის გარეშე პირობის რეზულტატი და მაშასადამე, დიდი კაცი ამბობს იმას, რაც ხალხშია, მაგრამ რაც ხალხს თავისი უხელოვნობით და უბრალო გულით ვერ გამოუთქვამს რიგიან ფორმაში. ამის მტკიცება არც არის საჭირო. ამის თანახმანი არიან ყველა განათლებული კაცები. ამის დასამტკიცებლად მილლი იმას ამბობს, რომ რაც უფრო ხალხი ნათლდება და გველივით ბოროტი ხდება, დიდი კაცები უფრო ძვირშესამჩნევნი შეიქმნებიან... ამისათვის ყველა დროებაში და ყველა ხალხში კოლლექტიურ გონებას დიდი პატივი ჰქონდა. პისარევი[15] თავისებურად ამბობს „Уважайте народные щи да кашу“.. სპენსერმა გამოიგონა მშვენიერი მეთოდი ხალხის გადმოცემების გასარჩევად.

სწავლულები და ისტორიკოსები არჩევენ ხალხის ლაპარაკს, ენას, ქცევას და ამათში კითხულობენ ისტორიას. ერთი სიტყვით, ხალხი, მისი კოლექტიური გონება ყოველთვის პატივისცემის ღირსია, იმას რიგიანი ყნოსვა აქვს და წინათგრძნობს ბევრ ისეთ რასმე, რასაც ცალკე პირები ვერ იგრძნობენ და რომლის გამო ეს უკანასკნელნი ხალხის გრძნობას ცრუმორწმუნეობას ეძახიან. თუ პრინციპში გადავწყვეტთ იმას, რომ კოლექტიური გონება მაღლა დგას ვინემ ინდივიდუალური, ისიც უნდა მივიღოთ, რომ ხალხს შეუძლია ისეთი რამე წინდაწინ იგრძნოს, რაც ცალკე პირებს არ შეუძლიათ—ამისათვის აჩქარება ძაგება იქნება იმათი, თუ ზოგიერთები ხალხის ნათქვამს არაფრად ეპყრობიან, სპენსერის მეთოდი ძლიერ მოსაწონია. ის ამბობს: რასაც ხალხი იტყვის, იმაში არ შეიძლება, რომ ცოტა მაინც მართალი არ ერიოსო... ნამდვილია, ჭკუასთან ახლოა, ვინ იცის უბრალო ხალხში რამდენი ურევია ბუნებით გენიოსები: ნიუტონები, შექსპირები, კანტები და ვინ იცის რომელი უკანასკნელი გიმნაზისტი ან ქარაფშუტა ინსტიტუტკა დასცინის ხალხს. მე ყოველთვის იმ აზრისა ვარ და ვიქნები—ხალხის ხმას დიდი მნიშვნელობა აქვს და უნდა ჰქონეს...

განა ცოტა ისეთი რამეებია, რაც წინაპირველად ხალხს გამოუცდია, ინსტიკტიურად უსარგებლნია და შემდეგ მეცნიერებას მიუჩემებია, თავის შესაფერ ხელოვნური ფორმით, ყველასათვის ცხადად დაუნახებია? ამაზე ფაქტების მოყვანა საჭიროდ არ მიმაჩნია, ამას მკითხველს ვსთხოვ თუ არ შეეზარება. ყველა ამ მოსაზრებით მე იმას ვამტკიცებ, რომ ხალხის კოლექტიური გონება სახუმრო საქმე არ არის; იმისი ხმა, როგორც რუსები იტყვიან, ღვთის ხმაა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ, სპენსერის არ იყოს, რაც კი ხალხს უთქვამს ყველაში არის ცოტა-ოდენი ჭეშმარიტება.

ხალხის ნათქვამს თავი რომ დავანებოთ და იმის მოქმედებას ხელი მივ-ყოთ, აქაც ამგვარ შემთხვევას დავინახავთ. ხალხის არც ერთი მოქმედება არ კეთდება უაზროდ. ყველას აქვს თავისი საფუძველი, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ-თვის ძნელია ამ საფუძვლების გაგება, რადგანაც დროიდამ დრომდე, თაო-ბიდამ-თაობამდე ხალხის ჩვეულებები, ქცევები სხვადასხვა სახეებს ღებულობენ. ზოგიერთი ჩვეულებები ისე შორს არიან წასული, რომ ჩვენი გონებისათვის თუ არა ისტორიის შემწეობით, ყველა გზით შეუძლებელია იმ ჩვეულების მიზეზი ვიპოვოთ, მაგრამ რაც უნდა იყოს, ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი. სამწუხა-როდ, თითქმის ყველა ეხლანდელი ჩვეულებანი ძნელი გასაგებია ჩვენთვის, რად-განაც თავის საფუძვლიდამ დროთა გავლენისა გამო შორს არიან განცალკევე-ბულნი...

აქ საჭიროა ერთი საწინააღმდეგო აზრის მოყვანა. ყველაფერი, რაც კი თქმულა, რაც კი გაუკეთებია ხალხს, წინაპირველად უთქვამს ერთს და გაუკეთე-ბია ერთს... მაშასადამე, ის რაც მიეწერება ხალხს, თავდაპირველად ეკუთვნის არა ხალხს, არამედ ცალკე პირს... ეს სწორედ საფუძვლიანი საბუთია. თუ ეს ასეა, მაშასადამე, შეიძლება, რომ ცალკე პირი შეცდა და იმან თავისი შეცდო-მით ხალხიც შეაცდინა, ხალხმა მიიღო იმისი ქცევა, დაიჯერა იმისი სიტყვა და, მაშასადამე, ხალხი, რომლის სიტყვას ვუწოდებთ ღვთის სიტყვას, სტყუის! სწორედ საფუძვლიანსა ჰგავს ეს, მაგრამ ჭეშმარიტება მაინც არ არის. შეი-ძლება მოხდეს, რომ ერთმა რაიმე ჭორი მოიგონოს და დააჯეროს ხალხი. არ შეიძლება ამდენ ჩვეულებებში, ამდენ რწმუნებებში არ იყოს ზოგიერთი ჭორები, მაგრამ ამის წინააღმდეგ ჩვენ შეგვიძლია ისა ვთქვათ, რომ არც გამოცანა, არც ანდაზა, არც რაიმე აზრი, ჩვეულება არ ეკუთვნიან ერთსა და ორს, — ისინი ყო-ველთვის მთელი ხალხის ნაღვაწევია, ერთი ან ორი დამწყები თავის დღეში სრუ-ლად ვერ იტყვის მთელ გამოცანას, ანდაზას, ჩვეულებას, ამას ხალხი ჰქმნის და ხალხის მხრით მოსალოდნელი არ არის, რომ მთელმა კოლექტივმა იცრუოს, კოლექტიური გონება ყოველთვის საღია და მართალი.

1874 წელი

დღეს 31 დეკემბერი იყო 1873 წლისა. დაღამდა. გავიდა 10—11 საათი, დაჰკრა თორმეტი და შემოდგა ფეხი ახალმა წელმა. ამგვარად, როდესაც ამ სტრიქონებსა ვწერ უკვე მე-1874 წელში ვართ... წავიდა ერთი წელიწადი, შეუე-რთდა ღრმა, უფსკრულს და გამოუთქმელ საუკუნეებს. ვინ იცის დედამიწის ზურგზე რამდენი კაცი ხარობს ამ წუთას, რანაირის მზადებით ხვდებიან ამ ახალ წელიწადს ათასი და ათი-ათასი გულები. ნეტავი იმას, ვისთვისაც არის სიხარული ამ ქვეყანაში. ვაი, შენ, ჩემო ეხლანდელო მდგომარეობავ, რომ ამ ჟა-მად მე არაფერი არ მახარებს და მამხიარულებს. ახ! სად გაჰქრნენ ის ყმაწვი-ლური ჩემი ნეტარებანი, რომლებიც მეფერებოდნენ, ის ყმაწვილური დრო, რო-დესაც მე არ ვიცოდი, რას ერქვა „წვალება“. ახ, ნეტავი თქვენ, ვისთვისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეს ცოტა მაინც მიუთბია შემდეგ იმისა, რაც გაიგო, რას ჰქვია წვალება, ‘წუხარება, უბედურება! რა სიტყვებით გამოვხატო ყველა ის მწუხარება, რაც გადაეხდა ამ უკანასკნელ ხანებში. თუ ჩემს სიცოცხლეში ორი-სამი წელი ესეთი გამერია, როგორიც იყო ჩემთვის ეს 1873 წ., მირჩევნია, სულ არ ვიყო დედამიწის ზურგზე. ვსტირი, ვწუხვარ, ზნეობითად ვწვალობ, რომ ესეთი უბედურებანი ზედი ზედ მემთხვევა.

გამოუხატავად ჩემთვის სანეტარო ყმაწვილობაში მე ვიყავ ყოვლად და ყოველითურთ ბედნიერი; არა მაწუხებდა რა. ქვეყანა ჩემი მეგონა. მეც ნაპოლეონ პირველივით მრწამდა ჩემი ვარსკვლავი, რომელიც ყოველ შემთხვევაში მინახავდა მე. მაგრამ, ეხლა, ყველაფერმა მიღალატა: ვარსკვლავმაც, ნაცნობ-ნათესავებმაც, წელმა, ბუნებამ და კანონმაც.

ამ 1873 წელმა ის ცვლილება მოახდინა ჩემში, რომ მე მტრედის მაგივრად გველი გავხდი. სხვანაირად რომ ვთქვათ, შევიძინე უმთავრესი ელემენტი, საზოგადოებრივი ცხოვრების უხილავი ნიღაბი, რომლითაც დროების მიუცილებელ მოთხოვნილებისა ყველა კაცმა თვისი სახე ცოტათი მაინც უნდა დამალოს. უამისოდ სიცოცხლე შეუძლებელია. ვინც ამის დამტკიცებას მოითხოვს, მე მას ისტორიაზე უჩვენებ, იქ უთვალავი მაგალითებია ამის დასამტკიცებლად. მთელი ეხლანდელი ევროპული სახელმწიფოების ურთიერთობა უმთავრეს ნაწილად დაფუძნებულია კაცისათვის ამ ულირსო ნიღბით დაფარულ ცხოვრებაზე. რაღაც ღვთის წყრომაა, ეხლა ძლიერ გაძვირდა ბუნებოვანი ადამიანი, ყველგან ხელოვნურ კაცს ხედავ, ყველგან მოტყუება, ორპირობა, უპირდაპირობა, გაცემა, და უნდობლობა; ყველა ამას გამოცნობა უნდა, ყველა ამას სიფრთხილე მართებს და ამისათვის კაცი დაიღუპება თუ ის მტრულად რჩება ყოველს შემთხვევაში... ახ, სად არის ის დალოცვილი ძველი დროება, როდესაც მარტო ულვაშზე ხელის დადება საკმაო იყო კაცის დასაჯერებლად და პირობის ასასრულებლად! სად წავიდა ის პატიოსანი დრო, სად არის ის პატიოსანი ხალხი. გაჰქრენ ისინი. როგორც საპნის ბუშტები ჰაერში.

მაგრამ, ჰე, სად წავედი, რა ფიქრებში გადავიკარგე. მე ახალ წელზე ვამბობდი, თოფების ხმა მესმის... დიახ, ახალი წელია. 1874 წელი.

საკვირველია კაცის საქმე! რას ჰქვიან ახალი წელი? ძველი! რა არის ამდენი სიხარული, თოფის სროლა, გოზინაყის კეთება, კამფეტები, მურაბა, ლიმონი, ვაშლი, ლიკიორი და სხვა ამდენი ტკბილეულობა? რა აზრი აქვს ყველა ამას ამ პირველ საათზე? მერე რამდენ ადგილას!.. ყველგან ჩვენს მხარეზე და ვინ იცის კიდევ სხვაგან!... რას ეძახიან ამ ახალ წელიწადს?.. ეს ისეთი სისულელეა, როგორც ის, რომ ხუთშაბათს ხორცი იქმება და პარასკევს არაო! ხვალაც ისეთივე დღე იქნება როგორიც გუშინ და დღეს. 1874 წ. ბუნება იმგვარადვე იმოქმედებს, როგორც 1873-ში. ისევე ის მწუხარება, ისევე ის ავადმყოფობა, ისევე ის ვალი, რომელიც 73-მა წელმა შეგვძინა უფრო გადიდებული და გაათასებული. მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩვენ მაინც დიდი სიხარულით ვეგებებით ახალ წელიწადს. ამაღამ 11 საათზე სხვათა შორის მიხეილთან[16] მეც გოზინაყის გაკეთება მოვინდომე, მაგრამ დასწყევლოს ღმერთმა, თაფლი დაგვეწვა და გოზინაყს დამწვრის გემო ჰქონდა. ასე, რომ ხვალ დილით ისევ უნდა გავაკეთოთ სხვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ ხვალ ქვეყანა ჩვენსას მოვა. В мире жить мирное творить—ნათქვამია, ან კიდევ ჩვენებური „მიჰყე, მიჰყე სოფელსაო, მამაძაღლის ოხერსაო“. სწორედ ასეა, აია, ძმაო, როგორც გინდა თქვი, რაც გინდა იფიქრე, სიმართლეს ვერ წაუხვალ. სიჭაბუკეს ყოველთვის კაცობა მოსდევს და სიყმაწვილეს ყმაწვილური ფიქრები! ოცნებები ჰქრებიან იმ მომენტიდამ, როგორც კი კაცი სრულწლოვანებაში შევა, რა დროსაც, კონტის ენით რომ ვსთქვათ, მეტაფიზიკი პოზიტივისტად გახდება.

8 იანვარს 1874 წ.

ახ, რა რიგ სამწუხარო და გულის მოსაკლავი ამბავი შევიტყვე ამ კვირაში... მოუტაცნიათ თამარი, ის თამარი, რომელიც ერთ დროში ჩემი ღმერთი იყო... ვის არ გამოუცდია თავის სიცოცხლეში სიყვარული, და არ იცის რას ჰქვია სიყვარული... სიყვარულის განმარტება შესაძლებელი არ არის, ის გამოუთქმელია სიტყვებით. ის მხოლოდ შეგვიძლია ვიგრძნოთ... ვინ არ მოუყვანია რალაცნაირ უცნაურ და გაუგებარ სიხარულში, ან მწუხარებაში ცამეტ-თოთხმეტი წლის თეთრ-კაბა, თვალჟუჟუნა, შავთვალწარბა, კარგი მიხვრა-მოხვრის პატრონ და ჭკვიან ქალს?.. ვის არ გამოუცდია, როგორლაც უხილავი და უნებლიე მიზიდება, მაგნიტის მსგავსი მიტაცება 16 წლის კეკლუცა გასათხოვარ ქალთან, მე არაფერს ვიტყვი, რადგანაც გრძნობის გამოთქმას შექსპირის კალამი უნდა და არა ჩემისთანა ჯაგლაგი მწერლისა. მაგრამ ვისაც გყვარებია, გაიგებ რა რიგ სამწუხარო შეიქმნა ჩემთვის იმის მოტაცება!.. ნეტავ, ვნახავდე მაინც, ნეტავ კარგმა ვინმემ თუ წაიყვანა, ნეტავ თუ კარგმა ვინმემ მოსწყვიტა ეს გაუშლელი მაისის ვარდი...

10 იანვარს 1874 წ.*

დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ღმერთს ქალები არ გაეჩინა თავმოყვარეობა თითქმის სულ არ იქნებოდა ქვეყანაზე. უქალო საზოგადოება ყოველთვის უშნო და ულაზათოა, მაგრამ სადაც ქალია, იქ ზრდილობაც არის**, შნოც და ლაზათიც. ღმერთს ქალები იმისათვის გაუჩენია, რომ კაცმა ზრდილობა ისწავლოს. სადღაც წამიკითხავს, ფრანკლინმა სთქვა, „საზოგადოება უქალოდ სწორედ ისეთია, როგორც წელიწადი უგაზაფხულოდ“. მართალია ეს აზრი აპრიორულადაც და აპოსტერიორულადაც...

9 თებერვალს 1874 წ. ქუთაისი

ხვალ შესრულდება ერთი თვე რაც ხელში არ ამიღია ჩემი დღიური. მიზეზი ის არის, რომ ამ თვეში ერთი საათიც არა მქონდა თავისუფალი, მთელი

---

* გვერდით მიწერილი აქვს (უთუოდ შემდეგ წლებში): Писал под впечатлением минуты“—ს. ც.

** როგორც სჩანს, შემდეგში ავტორს მიუწერია: ტყუილია... поповский взгляд.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი არსება ერთი აზრით იყო შეპყრობილი· ეს ერთი აზრი იყო ის, რომ ხელი შემეწყო და მომერჩინა (რამდენადაც ეს შესაძლო იყო ჩემთვის) ის, ვისიც სახეც მუდამ თვალწინ მიდგას. სულით და გულით მინდოდა მორჩენილიყო ეს პატიოსანი მაღალმგრძნობიარე, პირგაშლილი და გონიერი კაცი, მაგრამ დაიკარგა ყველაფერი; გაჰქრა სიცოცხლე, ცოცხალი, გონიერი და საზოგადოებაში გართული ადამიანი ეხლა ერთს უხეირო ცაცხვის ძირას დედამიწას ჰყავს ჩაყრდნობილი თავისი, ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი გულით.

არ არის ქვეყანაზე ეს ცოცხალი და აზროვანი თვალები, დაიკარგა ერთი ფიზიონომია სხვადასხვა ღირსეული გამოხატულებით!.. დიახ, დაიკარგა, დაიკარგა, გაჰქრა, არ არის დედამიწის ზურგზე გერასიმე კალანდარიშვილი[17]. ის პატიოსანი და შესანიშნავი ადამიანი გახდა მიწის კერძად 27 იანვარს 1874 წელს, 11 საათზე საღამოს, ის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში გახდა ავად და 14 იანვრამდის ავადმყოფობდა შინ. 14 იანვარს ჩამოვიყვანეთ გოსპიტალში. აქ ცოტა ხანს უკეთ იყო, მაგრამ თან და თან უფრო ჰკარგავდა ძალას და 27 იანვარს ამოხდა სული, შემდეგ საშინელის წვალებისა და შფოთვისა.

გერასიმესი რაღაც დარჩა ამ სოფლად. სულ არ დაკარგულა. ოხ, რამდენ რასმე მაგონებს ეს უსულო პორტრეტი... ჩემს სიცოცხლეში ეს მეორეჯერ შევწუხებულვარ სხვისი სიკვდილით. ერთი მაშინ, როცა შარშან, ნოემბრის თვეში, მ. სან*. გარდაიცვალა, ერთიც ეხლა. ეხლანდელი ჩემი მწუხარება, რასაკვირველია, არ არის იმ წინანდელის მსგავსი, იმიტომ რომ მ. ს. სხვა კაცი იყო და გ. კალანდარიშვილი კი სხვა. ამასთანავე მეც, შარშან სხვა ვიყავ და ახლა სხვა ვარ. იმათთან განწყობილებაც სხვადასხვაგვარი მქონდა, მ. ს. გარდაცვალებით შევწუხდი მე, ჩემი გრძნობით და გულით მწყენოდა, რომ მომიკვდა საყვარელი კაცი; გ. კ-ლის სიკვდილით ჯერ შევწუხდი, როგორც საზოგადოების წევრი, რომელმაც ვიცი რა დაკარგა ჩვენმა საზოგადოებამ და შემდეგ ისეთმა იმის ნაცნობმა და მეგობარმა, რომელსაც გულითად მიყვარდა და პატივს ვცემდი იმის ჭეშმარიტად საყვარელსა და მიმზიდველ თვისებებს.

პირველ ჩემს შეწუხებას უფრო პიროვნული ხასიათი აქვს, მეორეს საზოგადო, პირველი სუბიექტური იყო, მეორე ობიექტური, მაგრამ ამას ვამბობ, როგორც სტატისტიკი და არა როგორც მგრძნობიარე ადამიანი, რომელიც ყველა თავის გულის მოძრაობას თვალყურს ადევნებს. ამ უკანასკნელივით რომ ვთქვა სწორედ ბევრ ისეთს სამწუხარო წუთებს მოვიგონებ, რომ მკითხველის თვალში ცრემლები დავბადო. რამდენჯერ დავფიქრებულვარ ამ კაცის ბედზე და რამდენჯერ გულამომჯდარი მიტირნია. ახ, ნეტავი, კიდევ შემეძლოს გავიმეორო ისეთი საამური ტირილი. სხვაც რომ არ ყოფილიყო, მარტო ნინოს[18] ტირილი რას მიზამდა. ახ, საწყალო მოსიყვარულევ, ახალგაზრდა ქალო, რამდენი უბედურება გეწია შენ ამ ორ თვეში.

ჩემის აზრით, რასაკვირველია, ქვეყანაზე მექანიკური მოძრაობა მარტო არ არის. მართალია, ამ მექანიკური მოძრაობით ჩვენთვის ძნელია (შეუძლებელიც) ზოგიერთი სხვადასხვაგვარი ბუნების მოვლენები ავხსნათ, არ უნდა იყოს ქვეყა-

* მიხა სანებ ღ იძე—სემინარიის მოსწავლე—ს. ც.

ნაზე ამ მოძრაობის მეტი სხვა არაფერი. თუ გინდაც რომ იყოს, უხილავი კი არაფერია, ჩვენ მარტო კომბინაცია არ ვიცით, თორემ ძალას ვხედავთ, მაგრამ რას ვამბობ, ძალას სად ვხედავთ, ძალა ვინ ნახა? ლეიბნიცი ამ ძალის მყო-

გერასიმე კალანდარიშვილი (1836—1874 წ.)

ფობით ამტკიცებს უხილავ და უცნაურ ქვეყნის მყოფობას... მაშ, თუ ეს ასეა, თუ ყველაფერში მეხანიკური მოძრაობაა, უნდა ვთქვათ, რომ სისულელეა კაცის ძაგება, იმის ქება, და სხვ.

ყველა, ვინც კი წაიკითხავს ოდესმე ჩემს დღიურებს (თუ გადარჩა სადმე), ფიქრებს, ეხ, რანაირი უდარდელი და უსარგებლო კაცი ყოფილა ამის დამწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიო, როგორ, ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიაო? მაგრამ არა, შეცდება ის, მე უდარდელი (პრაქტიკაში მაინც) თავის დღეში არა ვყოფილვარ და არც ვიქნები. საზოგადოებრივი ინტერესები მეც მესმის რა არის. გ. კ—ლის დაკარგვა რანაირად საგრძნობია ჩვენი ახალ თაობისათვის, ჩვენი ლიტერატურისათვის, საერთოდ ამ დასავლეთ საქართველოსთვის, მე ეს კარგად მესმის და მწყენია იმის სიკვდილი. აბ, ნეტავ, ერთ-ორ წელიწადს კიდევ ეცხოვრნა, ნეტავ ერთჯერ მაინც დამალაპარაკა ჩემის ეხლამდელი ჭკუით ამ კაცისათვის. ოხ, რამდენ სიამოვნებას მომიტანდა იმასთან მუსაიფი. რასაკვირველია, გერასიმეში მე ვაფასებდი ბევრს იმის საქმეს, ღირსებებს, რომელთათვის მე ვცდილობდი მიმებაძნა...

19 თებერვალს 1874 წ. ქუთაისი

გუშინ გამოვეთხოვე ნინოს და დავპირდი, რომ დღეს წავალ-თქო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო დღეს ვერ წავედი. სურამის ქედზე ისეთი დიდი თოვლი დამდგარა, რომ მატარებელი, რომელიც გუშინ საღამოს უნდა მოსულიყო, დღესაც არა ჩანს. არ ვიცი როდის წავალ და როდის აუსრულებ ნინოს თავის თხოვნას. ვეცდები რომ, რაც შეიძლება ჩქარა გავცე პასუხი ამ ჩემს ახალ მეგობარს.

დღეს საღამოს ნ*-საგან წერილი მივიღე. ამ წერილმა გააღვიძა ჩემი მძინარე გრძნობები და რამდენიმე ხანი მაინც მამყოფა ჩემს ყმაწვილურ მდგომარეობაში. ჩემდა საუბედუროდ ამ უკანასკნელ ხანებში ნამდვილი გიოტე ვხდები ხასიათით. ჩემში სუბიექტური მხარე თითქმის გაჰქრა. მე ობიექტური კაცი ვარ, გრძნობები ფიქრებად და აზრად მიხდება, სურვილს საზღვარი ეძლევა, ყმაწვილურ ოცნებებს ბოლო ეღება. მგონი რომ, ეს კრიტიკიდამ და ფსიქოლოგიიდამ ვიცით, ყოველთვის ასე ხდება. სიყმაწვილის ოცნებებს კაცური პრაქტიკული მოსაზრებანი მოსდევს. მაგრამ ეს მე ცოტათი არ მომწონს, იმიტომ რომ მე უდროოდ ვბერდები. დეე, ცილისწამებით დამაკლდეს ის, რაც მიყვარდა; დეე მე ვიტანჯო ამ წუთი სოფელში, მე ეს არაფრად არ მიმაჩნია, მაგრამ თუ ვხედავ რომ, კაცის ღირსებას კ—სთანა მაიმუნი ფეხით ქელავს, თუ ვხედავ რომ, რაც უნდა იყოს კაცი, ესრეთ ზნეობით დაცემულია, მაშინ სწორედ სისხლი მეხუთება, გული მიწუხს და ჩემს წუხილს ათასგვარ შორისდებულებში ვხატავ... ღმერთო ჩემო, რანაირი უსინდისობაა, როგორ უბრალოდ სტანჯავენ საწყალ ჩვენს სემინარიელებს!

დავიჯერო რომ ას სემინარიელში ერთი ვინმე იყოს კ—სკისთანა[19] ბრიყვი და ხეპრე! არა, მე ამას არ დავიჯერებ. საწყალი სემინარიელები გონებრივად მაინც არ არიან ღარიბნი. იმათ უნდა ესმოდეთ რანაირ ისტორიულ პიროებებში ვართ ჩავარდნილი. ყველა ჩვენგანს კარგად ესმის, რომ რუსეთის მფარველობა ჩვენთვის ამ დროებით მეტის-მეტად საჭიროა. თუ არა რუსეთის მფარველობა, ჩვენ ამდენ ხანს ჩაგვყლაპავდა ჩვენი ძველი და შეურიგებელი მტრები—სპარსეთი და ოსმალეთი. ვამბობ, ჩვენ, სემინარიელებს ეს კარგად გვესმის და წმინდა უსინდისობაა, რომ ამ აზრის ხალხზე ითქვას, რომ ესენი რუსეთის მო-

* ნინო ქიქოძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინააღმდეგენი არიანო. ამით ყველა უსინდისო ცილისმწამებელი აღელვებს ამდენ ხალხს (სემინარიელებს) და ვინ იცის, რას აფიქრებინებს იმას. მართლა და იმდენად შეგვავიწროვა ტვინიდამ თავისუფალმა კ—სკიმ, რომ სწორედ სასოწარკვეთილებაში ვართ ჩავარდნილი. მაგრამ მეორე მხრით მადლი უნდა შევსწიროთ კ—სთანა კაცებს. იმან ჩვენს წაყრუებულ ცხოვრებას, ჩვენს ბამა-პაპური ინერციით მოძრაობას ცოტა არ იყოს სხვა მიმართულება მისცა. დეე, ჩვენ გვტანჯონ, გვაწამონ, მოგვაკლონ ყოველგვარ კმაყოფილებას, შეგვიკრან ხელები და დაგვამწყვდიონ სემინარიის ეზოში. არაფერია, ამ შევიწროებაში, ამ თავისუფლების მოკლებაში უხეირო და გამოუსადეგარი ჩვენი ამხანაგებიც იგრძნობენ, რომ იმათ უსამართლოდ ექცევიან და ერთხელ მაინც თავის სიცოცხლეში ამოიღებენ ხმას ჩვენი ტირანების წინააღმდეგ, ერთხელ მაინც წაიბუტბუტებენ თავისუფლების სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში სემინარიულ ცხოვრებას ინტერესი ეძლევა... რაც უნდა იყოს სჩანს ცოტაოდენი მოძრაობა, ცოტაოდენი სიცოცხლე.

სემინარია ცოტ-ცოტათი იღვიძებს იმ საუკუნო ძილიდამ, რომლითაც იმას ასე ტკბილად ეძინა ეხლამდის. მართალია, ამდენი შევიწროება, წიგნების კითხვის აკრძალვა და თავისუფლების მოკლება იმათ ბევრს მოაკლებს, მაგრამ სხვა კეთილი მოგვივა. ამგვარ აკრძალვებს ყოველთვის კარგი შედეგები ჰქონია, როგორც ისტორია მოგვითხრობს „Где больше строгости там греха больше".

შენიშნულია, რომ ჩვენ უფრო ის გვაინტერესებს, რაც აკრძალული გვაქვს. კაცის არსება ასეთნაირი ცნობისმოყვარეა, რომ ყველაფრიდამ ხელს აიღებს, ოღონდ კი შეიტყოს ის, რაც იმას უნდა... ამ მხრითაც კ—სკის ქცევას მართებლობისათვის ვნების მეტი არაფერი სარგებლობა არ მოაქვს. თუ ამ საცოდავ კაცს მართლა კეთილის გულით სურს ხელმწიფის სამსახური, ნუ თუ იმდენად ბრმა არის (რასაკვირველია გონებით, ფიზიკურად ხომ მაინც ბრუციანია), რომ არ ესმის ამდენ შევიწროებას რა შედეგი მოსდევს!. თავისუფალი რომ ვყოფილიყავ ამჟამად, უმეტეს ნაწილს დროისას სეირნობაში და გარედ, ნაცნობებთან გავატარებდი. მაგრამ აქ დამწყვდეული რომ ვარ რა უნდა გავაკეთო, თუ არა ვიკითხო, მუდამ არ ვიფიქრო, ან არ ვიჯავრო იმ უსამართლობაზე, რომელიც ჩვენ სულს გვიხუთავს ამ უკანასკნელ დროებში. საბრალო კ—სკი რა მცირედ გესმის შენ, შენი მოქმედების შინაარსი, რა შორს გაუხედავი რამა ხარ!..

14 მარტი

დღეს დარწმუნებით შევიტყე, რომ ჩემი საქმე გადაწყვეტილია. ვიცოდი რომ კუვშინსკი ეს სულით გლახაკი მიპირებდა მე გამორიცხვას სემინარიიდამ, მაგრამ ასე უსაფუძვლოდ და უსინდისოდ თუ ის თავისას გაიტანდა ჩვენს საცოდავ „პრავლენიეში" არ მეგონა. საწყალი ჩვენი სემინარია. ამდენი ხალხის ბედი, რა მაიმუნების ხელშია ჩავარდნილი. რა კეთილი უნდა გამოვიდეს იმ „ზავედენიიდამ", საცა ასეთი გონებით გლახაკი რექტორი და სულით ღარიბი ინსპექტორი არის. აფსუს, ნიჭიერნო ქართლის შვილებო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, დღეს მგონი, უკანასკნელი საღამოა ჩემი აქ ყოფნისა. ხვალ რომ შაბათია, ექსარხოსი, ეს უმთავრესი ქურუმი აქაურობისა, გადასცემს „პრავლენიის“ ჟურნალს ჩვენს ინსპექტორს და ეს უკანასკნელი მე გამომიცხადებს თავის ამდენი ხნის სურვილის ასრულებას. ფუ, კაცობრიობის ასეთს დამცირებას, რაგვარად უსინდისო და უშნო რამ არის ეს ყოვლად უბედური კაცი! ერთი შეხედვა იმისი იმდენად მეზიზღება, რამდენად გველის შეხედვა არ შემეზიზღებოდა, ან კიდევ ბრაზილიის მაიმუნთან დამეგობრება.

გველი, გველია და მაიმუნი, მაიმუნი, მაგრამ ეს კაცის მსგავსი არსება რომ კაცი არ არის?.. დააცქერდით ერთი იმის დაფანტულ და უაზრო პირის სახეს, შეხედეთ იმის ჩავარდნილ თვალებს, ვიწრო ნიკაპს, აბურძგნულ თმას და თქვენ თვითონ სთქვით ვისა ჰგავს ეს სულიერი... კიდევ იტყვიან დარვინი სტყუისო. რა არის კუვშინსკი თუ არა ისევ ის მაიმუნი, რომელიც კაცს უახლოვდება? თუ არ მაიმუნი კაცი ხომ არ დაეძახება. მაშ რა? ინდაური? აბა გავსინჯოთ, გავავლოთ პარალელი ინდაურსა და ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორს შუა. ავიყვანოთ ერთი ინდაური და დავსვათ ისეთ პირობებში რომელშიდაც არის თითონ კ—სკი. აი თუ გინდ ის ინდაური, რომელიც თვითონ ამ კაცსა ჰყავს. ეს ინდაური მარტოკა ინდაურია ჩვენს სემინარიის ეზოში. ის თავისი ჩვეულებრივი სისულელით, როგორღაც არეულად დადის, უმეტეს ნაწილად დაჩუმებულია, თუ დაინახა მფრინავი ბუზი გამოეკიდება და იჭერს. დააცქერდით რა მაღალი კისერი აქვს, რა მშვენიერი წითელი თავი, რა დაუდგრომელი ხასიათი. დაუძახეთ ერთი „ტუ-ლუ-ლუ-ლუ-ლუ“, ის ჯავრდება, მომართავს ორივე მხარეს, გაიბერება, რაც რამ შეუძლია და წამოიწევს ერთს დიდის ძლიერებით და იძახის „მოიცა მე შენო“... მაგრამ ეს ინდაური ამით მხოლოდ სულს მოითქვამს, ის ისევე დავარდება და მიეცემა იმავე სიჩუმეს და „სიბრძნეს“, რომელიც იმის ხასიათს შეადგენს.

აბა ახლა ჩვენი სიმდიდრე კ—სკი: ეს უბედური უმეტეს ნაწილად ისე არის გაჩუმებული, თითქოს ცოლშვილი დახოცოდეს. არის თავჩაღუნული და დაფანტული. თუ რამ უთხარი, ისე უცებ წამოვარდება, როგორც თავისი ინდაური, მაგრამ ისევ ისე დავარდება, როგორც ისევ ის ინდაური. სწორედ ეს ინდაური ინსპექტორის მეორე ეკზემპლიარია. დარწმუნებული ვარ, ინსპექტორი სადმე რომ წავიდეს, თავის თანამდებობის აღმასრულებლად, ამ ინდაურს წარუდგენს „პრავლენიეს“ დასამტკიცებლად, უმეტესი ნაწილი „პრავლენიის“ წევრებისა დამტკიცებს იმას და ექსარხოსიც დათანხმდება. ერთი სიტყვით ერთიცა და მეორეც, რომ შევაერთოთ, გამოვა ბრაზილიის მაიმუნი ინდოელი მამლის თავით...

მაგრამ ღირს კი ამდენი ვილაპარაკო ამ უბედურს, ღვთის ქმნილებაზე? არა! სწორედ არა ღირს. ჰეროსტრატემ ისეთი სისულელე ჰქნა, რომ არ შეგვიძლია იმაზე არ ვილაპარაკოთ, მაგრამ ეს ხომ იმდენად ნიჭიერი არ არის, რომ ისეთი სისულელე ჩაიდინოს, რომლის მოგონება ღირდეს!

დიახ, უნდა მოვშორდე ამ სემინარიას უკუნითი უკუნისამდე. უნდა დავანებო თავი ამდენ ტოლ-ამხანაგებს და ვინ იცის სად გადავიკარგები, რა გზას დავადგები, რა ასპარეზს ამოვირჩევ ჩემს ცხოვრებაში. თითქმის თავდება აქ ჩემს სიცოცხლეში შკოლური აღზრდა. მე ეხლა ცხოვრებაში ერთს ნაბიჯს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავდგამ, იმიტომ რომ, ასე თუ ისე მე უნდა ამოვირჩიო რაიმე პრაქტიკული საქმე ცხოვრებისაგან. ნეტავ, ვიცოდე რა ვიქნები, რა კაცი გამოვა ჩემგან? ნუ თუ ჩემგან უხეირო რამე გამოვიდეს! მაგრამ მე რომ ჩემი თავის რწმუნება მაქვს, მე რომ ვგრძნობ ჩემში რაღაც ძალას!.. ნუ თუ ამ რწმუნებამ, ამ ძალამ, ამ ძალის გრძნობამ უბრალოდ და ფუჭად ჩაიაროს?.. ნუ თუ ისე უხეიროდ და უკვალოდ გაჰქრეს ჩემი არსება უბრალო და უმნიშვნელო საზოგადოებაში!.. ახ, ნეტავ ჩვენს დროს, წინასწარმეტყველობა იყოს!..

მაგრამ არა! მე არა მგონი რომ ისე უხეიროდ, ისევ იმ მამაპაპურის გზით დავიწყო სიარული, სამწუხაროდ, რომლითაც ჩვენი სემინარიელები ახლამდისაც დასეირნობენ. არა, მე არ დავიჯერებ, რომ მე სემინარიელებსავით სადმე სასულიერო სასწავლებელში უხეირო მასწავლებელი ვიყო, იქაურ სტოლზე დავეკრა და სხვა ასპარეზი არა მქონდეს-რა. არა. მე ეს არ მინდა დავიჯერო. ჩემი ბუნება ასეთი უხეირო და დაბალი არ არის. ჩემს სისხლში ცოტა სიცოცხლის წყალიც ურევია და კარგად თუ ავად მე არ შემიძლია უბრალო, საშუალო ცხოვრებაში დავრჩე. მე ისე მინდა „большому кораблю большое плаванье“, მე არ მეყოფა მკვდარი სასწავლებლის მდგომარეობა, მე მინდა უფრო ცხოველი საზოგადოება, უფრო დიდი არენა, რომ ვიმოქმედო...

რით გავდივარ მე სემინარიიდამ, რა მომცა მე აქაურმა სწავლამ? აი რა: სემინარიამ თვალები ამიხილა და თავისთავზე დიდი აზრი შემადგენია. აი სულ ყველაფერი, რაც კი რამ მომცა სემინარიამ. თქვენ მკითხავთ, რას ჰქვია ეს თვალის ახელა, ეს აზრის შედგენაო, ეს მეტად განუსაზღვრელიაო... მე თქვენ გეტყვით, მაგრამ გეტყვით თავიდამ, დალაგებით მოგახსენებთ.

მოგეხსენებათ, სემინარია კლასიკური „ზავედენიეა“. ადამიანის სულიერი მხარე აქ იზრდება და კეთდება, გონება „იხსნება“, ზნეობა „მაღლდება“. სულ ყველაფერი ეს ხდება სემინარიის პროგრამების შემდგენლების თავში, ნამდვილად კი სემინარიელები ძლიერ შორს არიან გონებით, ზნეობით და სხვა მხრის გახსნიდამ. მეტისმეტი უშინაარსოა სემინარიის სწავლა. თითქმის არაფერი ჰყვება კაცს იქიდამ ისეთი, რომელიც ცხოვრებაში პირდაპირი გამოსადეგი და სასარგებლო იყოს. თუ კი რაიმე ჰყვება, ძლიერ იშვიათად და ძლიერ ცოტა.

21 მარტი 1874 წ. სემინ. ბურსა.

დღეს გამომიცხადა მე ინსპექტორმა, რომ სემინარიიდამ დაგითხოვეთო! იმას ეგონა, რომ მე ამ ამბით შევწუხდებოდი, მაგრამ არ მომიკვდეს იმის ინდაურის თავი, რომ მე არ შევწუხებულვიყო. რამ უნდა შემაწუხოს? მე რომ ცუდი ყოფა-ქცევის და ზნეწამხდარი ვყოფილიყავი, ან ენიჭო და უსარგებლო და ერთი რომელიმე ამ მიზეზებისა გამო. გამოვერიცხეთ ძლიერ შევწუხდებოდი, რადგანაც ეს შემთხვევა მე მაგრძნობინებდა ჩემს უვარგისობას, მაგრამ არც ერთი ამ მიზეზთაგანი არ იყო ჩემი გამორიცხვის საბაბი...

როგორიღაც უცნაურ და განუსაზღვრელ მდგომარეობაში ვარ ეხლა მე. მაგრამ, როგორც წინათ ვთქვი, მე ეს ძლიერ მიხარია. მაინც არ მინდოდა ნელნელა სიარული იმ მამაპაპური გზით, რომლითაც აღვირასხმული დაჰყავთ მოსწავლეები მთავრობის მათრახის შიშის ქვეშ. დეე, ჩავვარდე მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუკაფავ ტყეში და თითონ მაძებნინონ ცხოვრების გზა. დეე, ვეწვალო. წვალება, როგორც ბაირონმა სთქვა, უკეთესი მასწავლებელია. არც წიგნი, არც მასწავლებელი, არც მეგობარი არ გასწავლის შენ ისე მკვიდრად და ბეჯითად, როგორც ცხოვრების გამოცდილება. უმთავრესი ნაკლოვანებანი სემინარიის და საზოგადოდ სასწავლებლებისა არის ის, რომ მოსწავლეები სანამ კლასის სკამებზე სხედან, ვინ იცის რაზე სწავლობენ, საბერძნეთის რომელ მეტაფიზიკზე ლაპარაკობენ, ან რომელი ბერის ბიოგრაფიას ზეპირობენ. გამოდიან თუ არა სასწავლებლიდამ არც კი იციან როგორ იცხოვრონ, რა მიმართულება დაიჭირონ, საზოგადოებას როგორ მოეპყრან, იმათ უნდა დაიწყონ ცხოვრების ანბანიდამ და სანამ ამ ანბანს ისწავლიდნენ უმეტეს ნაწილად რაც რამ უსწავლიათ ჩვენი ახალ-თაობის ჭირის—კლასიციზმიდამ, თავიდამ გამოსცვივათ...

მაგრამ თუ სწავლა და ცხოვრება, თეორია და პრაქტიკა ხელდახელ ჰყვებიან ახალგაზრდას, მაშინ ის ახალგაზრდა ცხოვრებაში გამოსადეგი კაცი უნდა შეიქნეს. ყველა დიდ კაცს იღბალი ღალატობსო, ამბობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი კაცი, რომელიც ხედავს თავის თანამედროვეთ შორს არ კმაყოფილდება იმ პირობებში, რომლებშიც ჩავარდნილია იმის თანამედროვეები, ის გადადის საზოგადო, ფართო შარიდამ, ვარდება ტყეში და თავისი გამჭრიახი ჭკუით კაფავს ტყეს და გაიყვანს ახალ გზას. თანამედროვეები როდისმე გამოახელენ თვალს და ცოტ-ცოტათი გაჰყვებიან გენიოსისაგან ახალ გაკაფულ გზას...

ლხინი სიზარმაცის ნათესავია, სიზარმაცე კი გონებრივი სისუსტის და სიცოცხლის დაკარგვის დილაა. სიზარმაცემ შვა სისუსტე, სისუსტემ შვა სიკვდილი, სიკვდილმა შვა კუვშინსკი და ძმანი მისნი.

23 მარტი

ეს ორი დღეა თავისუფალი ვარ. როგორც იყო მოვშორდი იმ საზარელ ბურსას, რომელიც ასე უწყალოდ სტანჯავს ჩვენს ახალგაზრდობას. ღმერთო ჩემო, რა ცუდია, რომ კაცს თავისუფლება არა აქვს. შენ გინდა რაიმე წმინდა და მაღალ აზრებს მიეცე, გინდა იფიქრო კაცობრიობის ბედზე, ჩვენს დანიშნულებაზე, სიყვარულზე, სიცოცხლეზე, გინდა დასტკბე ბუნების სიმდიდრით და იგრძნო დაუსრულებელი, ბუნების ცვლილებები, შენ გინდა ყველა ეს ადამიანური დანიშნულებები აასრულო, მაგრამ, ამ დროს მოდის მეორე, შენი ტოლი, რომელიც, ვინ იცის რაზე ფიქრობს, რაზე დარდობს, მოგკიდებს ხელს და შეგანძრ-შემოგანძრევს, ან თავში ჩაგარტყამს და ვინ იცის რაზე დაგიწყებს ლაპარაკს... შენ უნდა ჩამოხვიდე შენის ფიქრების სიმაღლიდამ, უნდა დასტოვო, ის ნეტარება, რომელსაც ხედავ შენ, შენის ფიქრებითა და გრძნობით და აჰყვე იმ გალობას, რომელსაც დაგიწყებს შენ, შენი ტოლი და ამხანაგი... გინდა შენ წიგნი იკითხო, წიგნი არა გაქვს, თუ იშოვე იმასაც გართმევენ, გინდა სწერო რამეზე, გინდა შენი დარდები თეთრ ქაღალდს უამბო, ან სადილად გირეკავენ, ან ვახშმად, ან ლამპას გიქრობენ და საწოლ ოთახში გაგდებენ... შენ სრულებით არა ხარ შენი თავის პატრონი, ხელ-ფეხი შეკრული გაქვს, ტვინს მუშაობა არ შეუძლია და გულს გრძნობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარ გარემოებაში მიკვირს, როგორ უნდა ამაღლდეს ადამიანის ჭკუა, როგორ უნდა ჩაისახოს კაცში ის პატიოსნება, რომელიც უმთავრესი საგანძური და პირობაა ჩვენი აღზრდა-განათლებისა. აქ მარტო ჩხუბს და ოინობას სწავლობენ. რაც უნდა ბუნებით მდიდარი იყოს კაცი, ამ დავიდარაბაში არ შეიძლება დაიჭიროს მაგარი და კარგი ხასიათი. იტყვიან, ხასიათი მარტო ცხოვრებაში კეთდებაო. ვინ იტყვის ეს ტყუილიაო, ფრანცუზის ხასიათი კაფე-რესტორანებში და კლუბებში კეთდება, ინგლისელი თავის დამჯდარი და მკვიდრი ხასიათით მშობლიურს და საზოგადოდ ინგლისელების მიმართულებას მისდევს. ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ თუ დაუკვირდებით პატიოსან და მკვიდრ ხასიათს, თუ ავიღებთ ისტორიულ პირთა, რომელთაც გამოუჩენიათ მაგარი ენერგია და ხასიათი, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ყველა ესენი (უმეტესი ნაწილი მაინც) უმეტესად მარტო ცხოვრობდნენ და საზოგადოებაში ცოტას მონაწილეობდნენ, ვიდრე თავიანთ ხასიათს კარგად არ დაამკვიდრებდნენ. ავიღოთ მაგ. ნაპოლეონი, მაჰმადი, ქრისტე, სპინოზა, ნიუტონი, ფიხტე, კონტი, კანტი და ათასი სხვა. რას ვხედავთ ჩვენ ამათ ხასიათში. ყველა ესენი ახალგაზრდობისას მარტო იყვნენ და თავის თავზე მინებებული იმათ თავიანთი ხასიათი და ჭკუაგონება აღზარდეს ისე, როგორც თვითონ სურდათ და გამოვიდნენ მაგარისა და მკვიდრი ხასიათის კაცნი. კაცი, რომელიც მარტო ცხოვრობს უმეტეს ნაწილად ერთ-მხროვანია და ამიტომ იმისი ნებაც ერთი მხრისაკენ იზრდება, მაშასადამე, იმისი ხასიათიც რიგიანად არის გავარჯიშებული ერთი მხრისაკენ და იმის დარღვევას დიდი შრომა უნდება. ამის გამო მარტო მყოფები უფრო მკვიდრის ხასიათისანი არიან ვინემ პატარაობიდანვე საზოგადო ცხოვრებაში ჩავარდნილები, ჩვენი ბურსაკებივით. ამ უკანასკნელ კატეგორიის კაცებში ითვლებიან ისეთი დიდი გენიოსები: როგორიც გიოტე, ბეკონი, ლეიბნიცი, რისთვის? იმისთვის რომ ისინი აღიზარდნენ მრავალ-მხრიან და მოუსვენარ საზოგადოებაში. ყველა წევრი იმ საზოგადოებისა თავისაკენ იზიდავს იმ, თუ გინდა მაღალ ჭკუას. ერთი დასრულებული ხასიათი ვერასდროს ვერ შემუშავდება იმ საზოგადოების ვაი-ვაგლახში. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ამ მხრითაც ცუდია ამდენ კაცში ცხოვრება. ხასიათი—ეს ადამიანის სიმდიდრე და გამაბმშვენიერებელი მასალა აკლდება აქ კაცს. საჭიროა კაცისათვის მყუდრო და თავისუფალი ადგილი; აი ისეთი, რომელშიც ვარ ეხლა მე. ჩემს წინ დგას პატარა, კოხტა ლამპა. ზემოდამ იმისი თეთრი სახურავი როგორღაც დაფიქრებულად და აზრიანად ანათებს ამ ჩემს პატარა კაბინეტს. ღამის თერთმეტი საათია. სძინავს ყველას ამ ჩვენს უბანში. მისწყდა ეტლების ხმა. მე ფაუსტივით ვარ ჩემს პატარა კაბინეტში (იგივე საწოლი, სასტუმრო, სასადილო, საყმაწვილო, სამზარეულო, ბიბლიოთეკა და სხვა მრავალი) და ვემუსაიფები ჩემს თავს. ათასგვარი ფიქრები მომდის თავში. მინდა ყველას დაუკვირდე, მინდა რაიმე გავაკეთო, კარგ გზას დავადგე—„Чтоб от века не отстать".

საწყალი ბურსაკები... ახლა სძინავს ყველა იმათგანს და ვინ იცის რას ხედავენ სიზმარში, რომელ მასწავლებელს უგებენ გაკვეთილს, ან ეჩხუბებიან ცუდი „ბალისათვის" ..... საწყალი ბურსაკები... შეგიძლიათ იგრძნოთ, თქვენ რა რიგ სასიამოვნოა კაცისათვის თავისუფლება? ახ, რა კარგია, რომ მე ეხლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემიძლია როგორც მინდა ისე ვიფიქრო, ისე მოვიქცე. რასაკვირველია, სრულ თავისუფლებაზე მე აქ არ ვამბობ, ეს ჯერ შორსაა... ისე მაინც თავისუფალი ვარ, როგორც გალიაში ჩიტი. ბურსაკები კი შიგ გალიაშიც ხელფეხ-შეკრულები უმოწყალოდ იტანჯებიან და თავის უკეთეს დროს და სიყმაწვილეს უმიზნოდ და უაზროდ ღუპავენ ამათ ხელში... ახ, ნეტავი თქვენ თავისუფალნო ერნო, ნეტავი თქვენ ჰეინევ და ბერნევ!....

ერთის მხრით პრაქტიკამ, მაგრამ უფრო უმეტესად გერასიმე კალანდარიშვილის გავლენამ ერთი დიდი, შესანიშნავი გზა მიჩვენეს. ამ გზით უნდა იაროს ყველა ადამიანმა, თუ არ უნდა რომ კაცის, ადამიანის სახელი ტყუილად არ ერქვას იმას. ყველამ იცის ეს გზა, მაგრამ უმეტესი ნაწილი კაცობრიობისა, სამწუხაროდ, არ მისდევს იმას. მე ვამბობ „ენერგიულ და გონიერ შრომაზე, მტკიცე და პატიოსან ხასიათზე". ნამეტურ პატიოსნება... ახ, გაფიცებთ თქვენ კაცობრიობას, გაფიცებთ თქვენ კაცის გულის მეფა—ბეთხოვენის მუსიკას, თქვენ კაცური გრძნობის მექონნო: აკაკი, სკანდელო, და სხვანო მრავალნო, სთქვით მართალი, გერასიმე კალანდარიშვილს, იმის წმინდა სახელს შეიძლება ჰკადროს კაცმა პატიოსანი არ იყოო?. ოხ, მაშ, არ ვიცი რას ჰქვია პატიოსნება. ბერნეს თქმისა არ იყოს, თქვენ მხოლოდ მაშინ ხართ პატიოსნები, როდესაც კალამს აიღებთ ხელში. ამ დროს პატიოსნება ცხვირზე დაგაჯდებათ, მაგრამ, გააგდებთ თუ არა კალამს, ეს უმთავრესი ღირსება კაცისა კოღო-ბუზივით აისხამს ფრთებს და გაფრინდება სადმე შორს, ცხრა მთის გადაღმა კალანდარიშვილებთან და გოგებაშვილებთან... დიახ, მე თქვენ გარწმუნებთ, თქვენ „სიტყვების ფაბრიკანტებო", რომ გ. კალანდარიშვილი ჩვენი საუკეთესო იმედი იყო. იმან თან ჩაიტანა სამარეში ეს იმედი და ჩვენი განუსაზღვრელი სიყვარული.

რა დიდის კრძალულებით და გულითადის პატივისცემით ვკითხულობ მე ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი ს წერილს გერასიმეს გარდაცვალების შესახებ.

თანდათან ვრწმუნდები, რომ ჩემი წინანდელი შეხედულება ცხოვრებაზე ვერ არის რიგიანი. მართლა რა უხეირო დევიზია „плыви по течению", ბიჭოს, ეს იგივე აროა რაც წყალმა წაგიღოს?.. ბიჭიც ის არის და ვაჟკაცის გულიც იმასა აქვს, ვინც ამ სტიქიის წინააღმდეგ წავა! ყველა, ვინც კი გაჰყოლია მიმდინარე წყალს, გამქრალა ისტორიის გვერდებიდამ, შეეერთებია საუკუნო დავიწყებას, მაგრამ ყველა, ვისაც კი ცოტათი მაინც მოუნდომებია მდინარის წინააღმდეგ წასვლა, მისცემია საუკუნო ხსენებას. კაცობრიობა მადლობით იხსენიებს ამგვარ ადამიანებს.

მიმდინარე წყლის წამყოლს დაკარგული აქვს ყოველგვარი თავმოყვარეობა... რასაკვირველია მე ამით, იმას კი არ ვამბობ, რომ კაცმა რაც უნდა ჩაიდინოს კარგი თუ ცუდი ოღონდ კი მიმდინარეობის წინააღმდეგ წავიდეს და ასეთი კაცი დაახსომდება ისტორიას-თქო. არა, უკიდურესობა (крайность), როგორც საზოგადოდ, კარგი არასოდეს არ არის, იმასთან რაც უნდა შესანიშნავი რამე ქნას კაცმა, თუ ის ამისათვის სჩადის, რომ დაანახოს თავისთავი ქვეყანას, ის ჰკარგავს ღირსებას... რომ იტყვიან надо отличиться чем-нибудь, ამაზე უსაძაგლესი ქვეყანაზე არაფერია. ამას ისევ წყლის წაყოლა სჯობია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგარი ხასიათი და პატიოსნება, მასთან ჭკუა და გრძნობა—რას არ იზამენ ეს საღმრთო სიტყვები. ესენი კი წავლენ მიმდინარეობის წინააღმდეგ, თუ გინდ მთელი ზღვა-ოკეანე გახდეს მდინარედ. მე სულით და გულით მსურს დავადგე იმ გზა-კვალს, რომელზედაც იდგა გერასიმე კ—ლი.....—გუშინ შევიტყვე, ექსარხოსს უკითხავს ხელიძისათვის [20], კალანდარიშვილი რომ მოკვდა ძლიერ სწუხ-



ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე (სკანდელი) 70-იან წლებში

დაო? იმის ფიქრით, ის რომ კვდებოდა, ვითომ ძლიერ სწუხდა, რადგანაც ვერ მოესწრო კარგად დაემკვიდრებინა ის, ქართველების ლიბერალური საზოგადოება, რომელიც ექსარხოსის და კ—სკის თავებში არ არსებობს. ღმერთო ჩემო, საფლავშიც არ ასვენებენ ამ კაცს. სად არის ქვეყანაზე პატიოსნება, სიმართლე, მართლმსაჯულება? აფსუსი არ არის კ—სკი ფეხზე იდგეს და გერასიმე მიწაში იყოს?.. მეორე ვარიაციით ისე გამოვიდა ეს ამბავი, ვითომ ექსარხოსს ეთქვას,—კ—ლს შეეშინდა, რომ შეატყობენ იმის საზოგადოებაში მონაწილეობას და ამ შიშმა იმგვარად იმოქმედეს მასზე, რომ ის მოკვდაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწყალო ბერო, შენზე ხომ ლაპარაკი არა ღირს. შენი და კუვშინსკის პატიოსნება კონვერტში ჩაწყობილად უწმინდეს სინოდში არის გაგზავნილი ერთი კერსკის ადრესით და მეორე ობერპროკურორისა... პირველი წიგნი, რომელიც წავიკითხე მე შემდეგ ჩემის განთავისუფლებისა არის ჰეინე. საბრალო ებრაელი! როგორ იტანჯებოდი შენ ფეხით გაქელილ მდაბალ ხალხზე, როგორ გაწუხებდა შენ ქვეყნის უსამართლობა და უსწორმასწორობა. შენს მახვილ ენას ვინ იცის, რამდენი სარგებლობა მოუტანია ქვეყნისათვის. მაგრამ სადა ხარ ეხლა? ვინ იტყვის შენს მაგიერ რასმეს?

24 მარტი

დღეს გოგებაშვილთან ვიყავი, აი გერასიმეს მეორე ეკზემპლიარი. ჭკვიანი და პატიოსანი მუშაკი, საზოგადოებისათვის დიდად მზრუნავი კაცი... თუმცა ის ავად არის, ამ დროებით რაღაც ქართულ წიგნს ადგენს, მგონი ბუნებითი ისტორიიდამ. ჩემი ნახვა ძლიერ გაუხარდა და როგორც მოველოდი, ქუთაისზე ჩამომიგდო ლაპარაკი მაშინვე, თავის გერასიმეზე, უფრო ნ—ზე ვილაპარაკეთ, იმან ზოგიერთი იმისი წერილები წაიკითხა და ძლიერ ეწყინა, რომ გაიგო იმის დაუსრულებელი მწუხარება. ეწყინა რომ მე სემინარიიდამ გამრიცხეს და მირჩია, როგორმე ისევ შევიდე და არამც და არამც საზღვარგარეთ არ წავიდე, რადგანაც საზღვარგარეთ ჩვენი ახალგაზრდობა არაფერს კარგს არ აკეთებსო გარდა ზოგიერთებისა...

არ ვიცი შევალ ისევ სემინარიაში თუ არა, როგორც ეს მირჩია გოგებაშვილმა, მაგრამ ის კი ვიცი რომ გოგებაშვილი პატიოსანი და ჭკვიანი კაცია. ფურცელაძეს უთქვამს ამ დღეებში—ჩვენ, ქართველებს ორი რიგიანი კაცი გვყავდაო... ერთი მოკვდა (გერასიმე) და მეორეც დაავადმყოფდაო (იაკობი). ოხ, რას ვუმადლი ამისთვის იმ კაცს, ნეტავ იმან იცოდეს!..

ექსარხოსს უთქვამს კ—სათვის,—ქართველებს რუსების პურ-მარილი არა სწამთ, მაგრამ დახე, ერთი ქუთაისში ჩაკვდა და მეორე აქ იხრჩობაო... ღმერთი მათ კარგს არ დააყრისო... საწყალო ბერო, მე გიცნობ შენ, მაგრამ არ გამტყუნებ შენ! ვამტყუნებ ჩვენს მეცხრამეტე საუკუნეს, რომელმაც კიდევ ვერ გამოიცნო რაშია საქმე! ასე გგონია საბრალო ბერო, რომ არ ვიცოდეთ ვინ არიან ბერები. ესენი ისევ ის მატყუარა ქურუმებია, რომლებიც ერთი წინასწარმეტყველის დროს ებრაელთა ერთს მეფეს ატყუებდნენ. ასე აშკარად მოტყუებას ეხლა თქვენ ვერ გაბედავთ, იმიტომ რომ ათასი და ათიათასი მეცნიერი თვალები ზედ დაგცქერებიათ—და, იმდენივე ყურები გისმენენ... ფიქრი ნუ გაქვთ, მოვა დრო და ეს თქვენი ორგანიზული მოტყუილება ერთბაშად ჩაიფუშება. ჯერჯერობით ხომ ენა წართმეული გვაქვს. აბა დაიცადეთ, უყურეთ რა ქნას მეოცე საუკუნემ!..

ბერო, შენი იეზუიტური პატიოსნებით და იუდის გამცემლობით არც კი ხარ ღირსი ილაპარაკო გ. კალანდარიშვილზე, მაგრამ რა ვქნათ? „საცა ხმალი ტრიალებს, მართლმსაჯულება ხმა ჩაკვნეტილია“ როგორც ძველი ლათინები ამბობდნენ: inter arma silent leges.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 მარტი, თბილისი

ნეტავი ჩვენს თაობას, რამდენი სამუშაო უდევს წინ!.. იქნება დედამიწის ზურგზე ისეთი კაცი, რომელმაც დამშეულ ადამიანივით არ მიეწაფოს ამდენ ხელუხლებელ სამუშაოს და რითიმე მაინც არ ისახელოს თავისი თავი ამგვარ, კაცობრიობისათვის სამსახურში?

რა საჭიროა, რა აუცილებელია ჩვენში ხეირიანი მიმართულება და გონიერი შრომა! რამდენი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ჩვენს ქვეყანას რიგიანმა კაცმა და საფუძვლიანმა ხასიათმა! ფუ, ეხლანდელს ჩვენს ფუტურო და უშინაარსო ინტელიგენციას! „печально гляжу я на наше поколение". 25 მარტია. დღეს ახარა მთავარ ანგელოსმა ებრაელებს ქრისტეს განხორციელებაზე... როდის იქნება ჩვენც მოგვივიდეს საქართველოსთვის კეთილდღეობის წინათმაუწყებელი (ნამდვილი და არაზღაპრული) მთავარანგელოზი?..

29 მარტი 1874 წ., ახალ-სენაკი

სულიერო და უსულო ბუნებავ, რა დაუდგრომელი რამა ხარ. ვის შეუძლია შეხიშნოს შენი დაუსრულებელი სხვადასხვაგვარი მოძრაობა, შენი ცხოვრება! ვის შეუძლია ამ შენის, ბინებით სავსე ქვეყანაში თვალყური ადევნოს შენს გასაკვირველ თამაშს? მე მგონი, რომ ვიხც უნდა დიდი გენიოსი იყოს მარტო ერთს მხარეს შენიშნავს ზენში, ერთს ზენს თვალის დახამხამებას. საზოგადოდ, შენი ცხოვრება ისე დიდია და ისეთნაირად სხვადასხვაგვარი, როგორც დიდი ზღვაოკეანე და იმისი ურიცხვი მოძრაობა და ტალღები. იქ, სადაც დღეს ყველაფერი მშვიდად არის, სადაც ცხოვრება ნელ-ნელა მიდის, კაცი და ყველა სულდგმული ხარობს, ჰავა დამშვიდებულია და ცა მოწმენდილი,—იქ, ამ აუხსნელი ბუნების მოძრაობით, ხვალ იცვლება სულ ყველაფერი, რაც რამ დედამიწის ზურგზეა.

რით უნდა აიხსნას ბუნების ასეთი მოქმედება? ნუ თუ მართალია სპინოზას შეხედულება ცხოვრებაზე და კაცი მხოლოდ ტალღაა უსაზღვრო ოკეანეში; ნუ თუ ზნეობითი მხარე კაცობრიობისა არაფრის ნიშანი არ იყოს კაცში! ნუ თუ ქრისტე, სოკრატი, კანტი, და სხვა ამგვარი კაცები სულყველაფერში სტყუოდნენ?.. მაგრამ ჩემს თავში მოდიან გუნდ-გუნდად ნაირ-ნაირი ეჭვები და ვვარდები ჩემთვის სამწუხარო „სტოიკობაში". არ მინდა ვილაპარაკო ამეებზე, მაგრამ რა ვქნა, რა ვუყო უნებლიედ მომდიან ეს კითხვები თავში და ითხოვენ ჩემგან პასუხს...

Теперь я в Ново-Сенаках. Капризная и безалаберная природа, слепой случай забросили меня в уездный городишко, где для меня нет ничего дорогого и святого, кроме кружки молока. Одно только меня радует в настоящем случае, это воспоминание о некотором прошлом и надежды на будущее. Живу этими двумя вещами в природе, для меня ничего нет хорошего в настоящем...

30 მარტი. თორმეტი საათი. ცაში.

როდესაც კაცის მწუხარება მიაღწევს იმ ზომამდის, რომ თავის მწუხარებას გამოხატავს ტირილში და მწარე ცრემლებში, მაშინ ნუ ელით იმისაგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იმან რამდენადმე მაინც, დაახლოებით შეგატყობინოს თქვენ თავისი მწუხარება. არა, იმ შემთხვევაში ცრემლს გააქვს იმისაგან მწუხარება და ის რჩება უგრძნობელი, უსულო და ნაკლე-ჭკუის არსებად. ამაში მე თეორიით ვარ დარწმუნებული, მაგრამ პრაქტიკაშიც ორმა ფაქტმა დამარწმუნა. ერთი ფაქტი—გერასიმეს გარდაცვალება, მეორე, დედა-ჩემის ავადმყოფობა... მე ჯერ ტფილისშივე შევიტყვე დედის მძიმე ავადმყოფობა და მეტის-მეტად შევწუხდი.

თავის დღეში არ დამავიწყდება მე ის, როგორ შევიტყვე ჩემი ძვირფასი დედის ავადმყოფობა: ვიჯექით კლასში ფავორსკის [21] გაკვეთილზე, მოსამსახურემ შემომიტანა სწორედ შუა გაკვეთილზე ტელეგრამა. ვიცოდი რომ ის დედაჩემზე[22] იქნებოდა და სანამ გავხსნიდი, გავყვითლდი, შევშინდი და თავბრუ დამესხა. მაგრამ ტელეგრამაში ცუდი არ იყო რა გარდა იმისა, ქუთაისიდამ ეპიფანე მწერდა—დედა შენი სოფელში წაიყვანესო... პირველი წაკითხვით მე იმას ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ როდესაც დავფიქრდი, იმ აზრზე მოვედი, რომ ან მოკვდებოდა და ისე წაიღებდნენ, ან უიმედო მდგომარეობაში იყო და იმიტომ წაიყვანდნენ მეთქი და როდესაც წარმომიდგა სახეში, რომ მე უდედო ვიყავი, როდესაც წარმომიდგა, რომ ჩემი საყვარელი მშობელი თავის დღეში მე არ მნახავს, მე იმის ლაპარაკს არ გავიგონებ. იმის სახეს ვერ შევხედავ. როდესაც შევხედე ჩემს თავს, როგორც ნახევრადო ბოლს, თავი ვერ შევიკავე და ხმა მაღლა ტირილით ვღვარე მწუხარების ცრემლი. ბევრი, ბევრი ვიტირე. ვიტირე მანამდის, სანამ გული არ ამომიჯერდა...

მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ იმ დღესვე შევიტყვე, რომ დედა-ჩემი ქუთაისიდამ კარგად მყოფი წაუყვანიათ... ეხლა, მოვედი მე დღეს ჩემს სახლში და, ღმერთო ჩემო, რა ვნახე... დედა-ჩემი არა ჰგავს ჩემს კარგს, საყვარელ მშობელს, მას პირისახე დასივებია, სულ მთლად გამოცვლილა და ცნობაც გაუჭირდა თავისი საყვარელი შვილისა. ღმერთო, ვამბობდი მე ჩემს გულში, რად მომიყვანე მე ასეთი მწუხარების მოწმად, და მწარედ, მწარედ ჩემს დაუფასებელ დედის გულზე კიდევ ვიტირე. „დედა—ვამბობდი მე ჩემს გულში—შენ გენაცვალე, მე შენი შვილი, ხმა გამეც, მითხარ რაიმე, გამაბედნიერე“... და კარგა შნოიანად გამოვიჯერე თავი ტირილით კიდევ მეორეჯერ, კიდევ მესამე-ჯერ...

საწყალი მამა-ჩემი, იმას მე დიდხანს ხმა არ გავეცი... პირველი სიტყვა, რომელიც უთხარი მე იმას, იყო როგორღაც მწყრალი ტონით... ნამტირალევი თვალით ვერ ვუცქირე ჩემს მამას, რომელსაც თავისი ნახევარი ეკარგებოდა და თავისი საყვარელი შვილის დედა... ღმერთო, ღმერთო!.. რას სწუხს საწყალი დედა-ჩემი, როგორ გაუძლებს ამოდენა მწუხარებას ასეთი სუსტი აგებულების ქალი. ან მე როგორ ვიტან იმის მწუხარებას!.. ახ, რა მოუთმენელია და სამწუხარო ჩემი ეხლამდელი მდგომარეობა!

ვზივარ ოთახში დედა-ჩემის წინ და ვწერ ჩემს დღიურს. 12 საათი შესრულდა და ზარებმაც შექმნეს რაკა-რუკი. ქრისტე აღსდგაო,—გვახარებენ... ჩვენ, მწუხარე ჭირისუფლებს... მაგრამ ჩემი რა! „Звучите для души смиренной душах, способной отвечат“. (ფაუსტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკეთ ზარებო, თქვენს ხმაში მე მესმის ჩემი დაუფასებელი და მოუბრუნებელი სიყმაწვილე თავის სიხარულით და აღტაცებით, მომაგონეთ ის ნეტარი დრო, როდესაც მე ბედნიერი ვიყავი, როდესაც წითელი კვერცხი შეადგენდა იმდენ სიხარულს, რამდენსაც ეხლა ვერ შეადგენს ვინ იცის რა სიმდიდრე! ახ, რა დრო გაჰქრა, რა დროება წავიდა. სიჭაბუკე, სიყმაწვილე! რა სჯობს ამ

გრიგოლ ორბელიანი (1800—1883)

ორ ჰასაკს. აი უდარდელი ცხოვრება, აი თავისუფლება, აი მოძრაობა, სიცოცხლე... გავა სიყმაწვილე, თან გაჰყვება სიჭაბუკე და სრულ ჰასაკს მოსდევს დარდი, მწუხარება, ეჭვი, მონობა, სიკვდილი, რამდენად მიღირს რომ ეხლა ამ ზარის ხმაში შემეძლოს მე იმ სასოების პოვნა, რომელსაც ვპოულობდი წინათ, ამის ფასი გამოუთქმელია. ახ, დიდო გიოტე, რა დიდი კაცი დაგვიხატე, რა კარგად გამოათქმევინე კაცობრიობას თავისი წადილი, თავისი ნდომა, რომელსაც ის ვერ სახავდა თავისი ენით. ფაუსტი, ეს კაცობრიობის წარმომადგენელი... ახ, „Колокола в полуночный час на пасху-ль святую означают“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ხვალ აღდგომაა. ათასი და მილიონი გული ხარობს ამ წუთში. მესმის ჩვენს მინდორში თამაში, გალობა, სიმღერა, მესმის პატარების სიხარული. ნეტავ, შემეძლოს მე მათთან ხტომა, ნეტავ შემეძლოს გავცვალო ამ დროით ჩემი ჭკუა-გრძნობა სოფლელის ჭკუა-გონებაზე. ახ, რა კარგად ვიგალობებდი, რას ვიხარებდი. მე ეხლა ხომ არ შემიძლია გამოვთქვა ყველაფერი.

10 აპრილი 1874 წ. ქუთაისი

3 აპრილის შემდეგ მე კიდევ ვიყავი ჩემს მშობლებთან—ხუთ აპრილს ღამით წამლებიანად. მე და მიხეილი შინ ვიყავით და ჩემდა სასიხარულოდ დედა-ჩემი ცოტა უკეთ დამხვდა... შვიდ აპრილს მე აქ მოვედი ისევ... რვას ვნახე ნინო, რომელიც ჩემი ტელეგრამის მიხედვით ჩამოვიდა ყვირილიდამ (მე ვაგზალზე დავხვდი ამ ჩემს დაუფასებელ მეგობარს). ცხრას გამოვეთხოვე მას და დღეს რომ ათია, თეატრიდამ დაბრუნებული ორ საათზე, ღამით, ვზივარ ზაქარიას[23] ოთახში და ვაბარებ ამ თეთრ ქაღალდს ჩემს „განწირული სულის კვეთებას“.

3 აპრილსა და 9 აპრილს-შუა რაც მოხდა, მე იმას ჩემს სიცოცხლეში ვერ ვეტყვი ამ ქაღალდს. ეს ცოტა გაუტანელი საგანია, ვაი თუ სხვას უთხრას ჩემი სულის ისტორია. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ დღეებში მოხდა შესანიშნავი ცვლილება ჩემს სიცოცხლეში. ამ დღეებში მე ჩემს დღეში პირველჯერ მოვინდომე შემესრულებია ერთი რამ, რომელსაც მთელს ჩემს სიცოცხლეში დიდი მნიშვნელობა ექნებოდა... მაგრამ ჩემმა ვარსკვლავმა მიღალატა და მე უმაღლესი, ყველა ჩემი სურვილებიდამ მხოლოდ სურვილი-ღა დამრჩა...

24 აპრილი 1874 წ. ცაიში.

ამ წლის დამდეგს ვსჩიოდი, რომ წარსული წელი ჩემთვის უბედური წელიწადია-თქო, მაგრამ ეს წელი, საუბედუროდ, კიდევ უარესი შეიქმნა. ამ ოთხ თვეში ისეთი ცვლილებები მოხდა ჩემს სიცოცხლეში, რომელსაც საუკუნო გავლენა აქვს ჩემზე. დამითხოვეს სემინარიიდამ, ეს არაფერია, მომიკვდა უუპატივცემულესი და უსაყვარლესი ჩემი მეგობარი, როგორც იყო ესეც ავიტანე და ეხლა, ამ უკანასკნელ დროს, როდესაც მე უამისოდაც დალვრემით და წყრომით შევსცქეროდი ჩემს ვარსკვლავს და ჩემს სიყმაწვილეში მოწყალე იღბალს, ეხლა ამ განწყობილების ხანაში მომიკვდა ჩემი უუსაყვარლესი დედა... რა უნდა უთხრა ან ვარსკვლავს, ან იღბალს, ან ღმერთს, თუ სადმე არიან ესენი?..

მოკვდა ჩემი მშობელი დედა, რომელმაც ცხრა თვე მუცლით მატარა და ოცდაორი წელიწადი ვეცოდებოდი, ვუყვარდი და თავს მევლებოდა. მომიკვდა ჩემი საყვარელი მშობელი.

აი გაჰქრა ჩვენს თვალწინ ერთი ფრიად შესანიშნავი და სიკეთისათვის გულმტკივნავი ქალი, გაჰქრა იმიტომ, რომ იმას ყველაფერი უყვარდა, ყველაფერი ანგელოზად მიაჩნდა, მაგრამ ცრუ ანგელოზებმა და საძულელმა პირობებმა ამოართვეს იმას თვისი მოყვარე სული.

შენიშვნის ღირსია ისეთი ქალები, როგორიც დედა-ჩემი. ამას ყველაფერი უყვარდა ქვეყანაზე. ერთი ნამცეცი სიძულვილი, ერთი ნამცეცი ბოროტება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ჰქვიან, იმას თავის დღეში არა ჰქონია და არ გამოუცდია. რანაირი სული ცხოვრობდა საცოდავ დედა-ჩემში. ღარიბი, საწყალი, დაჩაგრული ყველა, ვინც კი იყო ბუნებისაგან გაუპატიოსნებული—უყვარდა და ებრალებოდა ამ ქალს.

სტეფანე ჭრელაშვილი (1859—1917), გადაღებულია 1882 წ.

მოკვდა დედა-ჩემი... თანდათან ეღება ბოლო ჩემს ბედნიერებას. იმ დროს, როდესაც მე ცოტათი ფეხი მოვიდგი და თვალები ამეხილა, იმ დროს როდესაც მინდოდა ცოტათი მაინც მესიამოვნა ჩემს ნაცნობ-ნათესავებთან, უკეთესნი ამათგანნი კვდებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ის რაღაცა, რომელსაც ღმერთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძახიან, შურიანი ყოფილა, არ ვიცი რამ გააჯავრა, მაგრამ დარწმუნებული ვარ ღმერთი ვისმესგან გაჯავრებულია ამ დროებით. ნეტავ ვიცოდე ვის უნდა გაეჯავრებია ეს „უსულთუგრძელესი“ ბებერი. ალბათ კუვშინსკი ეტყოდა რასმე ქართველებზე და სწორედ ამიტომ ამ საუკუნო ბებერმა ზურგი შემოგვაქცია და უკეთეს ჩვენგანს იტაცებს ამიერ სოფლიდამ. სწორედ ამისათვის შემემთხვა ამდენი უბედურება ამ წელიწადში. მე არ ვხუმრობ, კუვშინსკი უბრალო კაცად როდი მიმაჩნია. ის მხოლოდ კაცის მსგავსია, თორემ იმაში ან ეშმაკის სული უნდა იყოს, ან ძაღლისა (ისიც მეძებრის). ვინ იცის ეგებ მიაგნო სადმე ღმერთს და უამბო, რომ საქართველოში „ნიგილიზმი“ ჩნდებაო.

დედა დავკარგე სამუდამოდ, მისი მხოლოდ ხსოვნა დამრჩა ამიერიდან, რომელსაც ყველგან ვატარებ, მამაც უკმაყოფილოა ჩემი... სიმართლეც მის მხარეზეა... უნდა გავცილდე აქაურობას, უნდა გადვიკარგო შორს, თუმცა ჩემს ვარსკვლავსა და კუვშინსკისთან მოსაუბრე ღმერთს არ მივენდობი არასდროს. მე სხვა გზა უნდა ავირჩიო... მშობელი დედის სიყვარულიც—მეყოფა. მამა კი, შეიძლება დღეს გულგრილია, მაგრამ მაინც არ დამწყევლის და ბოლოს თუ მიზანს მივაღწიე მისს ლოცვასაც ხომ მივიღებ! მოთმინების ფარგლებში ეს დროც არც ისე შორს იქნება. დედა-ჩემს უყვარდა ხალხი და მეც უნდა შევიყვარო ივი, თუმცა სხვა გზითა და სხვა შინაარსით. ეს შინაარსი არა მგონია რომ უსარგებლო დარჩეს...

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ს ტ რ უ გ ო ვ შ ჩ ი კ ო ვ ი—რუსი მწერალი და მთარგმნელი გოეტეს და სხვა უცხო მწერალთა თხზულებებისა.

2. გ რ ე კ ო ვ ი, ნ ი კ (1810—1866) რუსი პოეტი, მთარგმნელი, განსაკუთრებით თარგმნიდა ინგლისურსა, ფრანგულსა და გერმანულ ენებიდან. აქვს ორიგინ. ლექსებიც. გამოცემულია ცალკე კრებულად (1860),

3. „დ რ ო ე ბ ა“—გამოსვლა იწყო 1866 წლ. გიორგი წერეთლის რედაქტორობით (ყოველკვირეულად). 1869 წლიდან რედაქტორობა გადაეცა სერგეი მესხის, რომლის ხელში ყოველ-დღიურ გაზეთად იქცა (1877). „დროება“ გამოდიოდა 1885 წლ. 14 სექტემბრამდე. 1883 წ. ს. მესხის გარდაცვალების შემდეგ, გაზეთის რედაქტორი იყო ივ. მაჩაბელი. „დროების“ უახლოესი თანამშრომლები იყვნენ: ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ა. ცაგარელი, ვ. პეტრიაშვილი, მოსე ჯანაშვილი, პ. უმიკაშვილი, ი. მაჩაბელი. ა. ყაზბეგი. ი. მეუნარგია და სხვ.

4. ს კ ა ნ დ ე ლ ი—ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე (1843—1928) ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. მისი რედაქტორობით პარიზში 1873 წელს გამოვიდა გაზეთი „დროშა“. 70-იან წლებში სწერდა სკანდელის ფსევდონიმით.

5. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ა ნ ტ ო ნ (1839—1913) ქართველი მწერალი, პოეტი და ბელეტრისტი; ხალხოსნური იდეების მქადაგებელი. 70-იან წლებში ანტ. ფურცელაძემ მისცა პირველი გაბედული და ღირსეული შეფასება ჟურნ. „ცისკრის“ ფურცლებზე დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს“.

6. წ ყ ა ლ ტ უ ბ ე ლ ი—გ ი ო რ გ ი ი ო ს ე ლ ი ა ნ ი (1847—1919)—პედაგოგი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, „განვითარებული პირი საზოგადო სწავლაში აგრეთვე პედაგოგიკაში და ჩვენს ლიტერატურაში“ (ი. გოგებაშვილის სიტყვებია).

7. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ნ ი კ ო (1844—1929)—სას. სემინარიის მოსწავლე. შემდეგ ჟურნ. „მნათობის“ რედაქტორ-გამომცემელი და თეატრალური მოღვაწე.

8. ქ ი ქ ო ძ ე მ ი ხ ა—იურისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ლაბულე, ედუარდ რენე (1811—1883) ფრანგი რომანისტი და საბავშვო მწერალი, სახელი გაითქვა იურიდიული დარგის გამოკვლევებით. წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. ნაპოლეონ პირველის დამარცხების შემდეგ სრულიად მიანება თავი პოლიტიკურ მოღვაწეობას. მის თხზულებათაგან აღსანიშნავია სატირული ნაწარმოები „პარიზი ამერიკაში", „თავადი—ფინია" და სხვ.

10. „სოვრემენნიკი"—ალ. პუშკინის მიერ დაარსებული ყოველდღიური სამეცნიერო, პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნ. გამოდიოდა პეტერბურგში 1836 წლ.—1866 წლ. ამ ჟურნ. ერთდროს ხელმძღვანელობდა (1856) ჩერნიშევსკი, შემდეგ დობროლიუბოვი. ჟურნალს დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოს მოწინეევ ინტელიგენციაზედაც.

11. კერსკი — სინოდის ობერ-პროკურორის რწმუნებული რევიზორი. 1873 წ. მისგან მოხდენილი რევიზიის შედეგად ტფილისის სას. სემინარიიდან გამორიცხეს მრავალი მოწაფე, ხოლო იაკ. გოგებაშვილის მუშაობა სას. სასწავლებელში მიიჩნია დაუშვებლად, მისი მიულებელი „იდეოლოგიისა გამო, რომლის გავლენა დიდი იყო მოსწავლეებზე". ამ კერსკის შესახებ პოეტი, გრ. ორბელიანი ერთ-ერთ თავის კერძო წერილში ირონიულად სწერდა: „ჩემოსაყვარელო რძალო სოფიო, იყო კაცი და სახელი მისი—არ ვიცი (კერსკი—ს. ც.)—მოვლინებული ამ ზაფხულს სინოდით რევიზორად ტფილისის სემენარიისა, რა ნახა და ანუ რა არა, რა მოგახსენო, მხოლოდ ეს კი ვიცი რომ, როდესაც ღრმასა მაღალგონიერების ქვაბში დაადნეს სემინარიის საქმენი, გამოვიდა ბოლოს ესე, რომ მმართებლობისა მოუწყვეტელმა მზრუნველობამ აღიყვანა განათლება და კეთილდღეობა საქართველოსი ისეთს მაღალს ხარისხზე, რომ ამას იქით ქართველის მღვდლისათვის საქართველოში აღარ არის საჭირო ცოდნა ქართულის ენისა, ესე იგი, აღარ უნდა ილოცონ ქართველებმა ქართულს ენაზე, რომლისა სწავლა ამას იქით იქნება მხოლოდ უსარგებლოდ დაკარგვა დროისა; მაშასადამე, სემინარიაში უნდა მოისპოს სწავლა ქართულის ენისა, რომელსა ამასთანავე არცა ქონია მდიდარი ლიტერატურა. ასე არჩიეს ამ ზაფხულსა არქიერმა, რევიზორმა და მეტადრე ერთმა ქართველმა მღვდელმა,* რომელმანცა თავგამოდებით, გულსმოდგინებით და დიდის მეევრმეტყველებით რჩევაში დაამტკიცა თუ ვითარს წარმატებაში და ბედნიერებაში შევა საქართველო, როდესაც ქვეყანაზე გაჰქრება სახსენებელი ქართულის ენისა.—ჯერაც ცოცხალია ქვეყანაზე გამცემელი და იუდა (ხაზი ჩვენია—ს. ც.). ამა გულის სალახვრო ამბავმა დაგვაწყებინა ყაყანი. საქართველოში: ურიები თათრები, სომხები, ლოტრანები, ილოცვენ თავიანთს ენაზე და არავინ არის დამშლელი მათი. თვით ფრანგებიც კი (ქართველი კათოლიკები—ს. ც.) ქართულს ენაზე ჰგალობენ და მხოლოდ ქართველებს უნდა მოესპოთ ქართულ ენაზე ლოცვა? რათა?.. ესოდენ სხვადასხვა ხალხთა შორის მარტო ქართველი ამოურჩევიათ დასაჩაგრავად! აი საქართველოს ბედი!" .ცხადია, გრ. ორბელიანის წუხილი, მარტო ეკლესიას როდი ეხება, ეს მხოლოდ საბაბია იმდროისათვის მისაღები. ნამდვილად კი, პოეტი „ენის წახდენის" წინააღმდეგ მებრძოლი, დასტირის ქართული ენის შევიწროებასა და ქართველი ერის ბედს, რომელიც კერსკებისა და კუვშინსკების საჯიჯგნი გამხდარიყო ცარიზმის წყალობით.

12. დობროლიუბოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე (1836—1861)—გამოჩენილი რუსი კრიტიკოს—პუბლიცისტი. ჩერნიშევსკისთან ერთად იყო რადიკალ-დემოკრატიული აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი.

13. ჩერნიშევსკი ნ. გ. (1828—1889) რუსი მწერალი, სამოციანი წლების გამოჩენილი კრიტიკოსი—პუბლიცისტი. დიდი რევოლუციონერი და მებრძოლი, ლენინის სიტყვით „მარქსის წინა პერიოდის უდიდესი სოციალისტი".

14. კეზელი დავით (1854—1907) ცნობილი ჟურნალისტი, 1873 წ. სემინარიის გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა კეზელის დღიურები, რომელნიც შეიცავდნენ მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდებას. სემინარიის მთავრობამ გარიცხა იგი არაკეთილსაიმედობისთვის. ამ წრეში მოჰყვა ი. მეუნარგია. სტ. ჭრელაშვილი, და სხვა მთელი ჯგუფი სემინარიელთა, რომელნიც დაისაჯნენ გარიცხვითა და პატიმრობით, ზოგიც გადასახლებით (მაგ. დავ. კეზელს მიესაჯა 8 თვით პატიმრობა). კეზელი თანამშრომლობდა რუსულ-ქართულ გაზეთებში. მისი-უსევდონიმები იყო: „დავით სოსლანი", „ზოილი", „არაგველი".

* ეს ღვდელი იყო ტურიევი (ტურიაშვილი)—ს. ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. პისარევი, დიმიტრი ივ-ძე (1840—1868) რუსეთის სახელგანთქმული პუბლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი.

16. მიხეილ მეუნარგია—ამ დღიურების ავტორის მამა, დეკანოზი ცაიშის ყოფ. საკათედრო მონასტრისა (მის შესახებ. იხ. ჟურნ. „მწყემსი" 1904 წ. № 19).

17. გერასიმე კალანდარიშვილი (1836—1874)—ქუთაისის სასულიერო სკოლის მასწავლებელი, განათლებული და იშვიათი ზნეობის ადამიანი, დიდი გავლენა ჰქონდა მოსწავლე ახალგაზრდობაზე, ამიტომაც განიცდიდა დევნას მეფის მთავრობისაგან, ავტორი ქართული სკოლებისათვის რუსული სახელმძღვანელოსი, რომელიც გამოდიოდა 1866 წლიდან. იგი ჭლექით შეპყრობილი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა ქ. ქუთაისში.

18. ნინო ათანასე ქიქოძის ასული-კალანდარიშვილისა (დ. 1855 წ.) პირველ ხანებში გათხოვილი აქვე მოხსენებულ გერასიმე კალანდარიშვილზე, მისი გარდაცვალების შემდეგ შისთხოვდა გურიაში ცნობილ სახალხო მასწავლებელს გიგო შარაშიძეს. ამჟამად ცოცხალია.

19. კუვშინსკი, ივანე—სასულიერო სემინარიის ინსპექტორი (მისი დახასიათება იხილეთ ამავე დღიურებში, 1874 წლ. 11, 14, 23 მარტისა და იაკ. გოგებაშვილის თხზულებათა კრებულის ტ. მეორე, გვ. 336).

20. ხელიძე, გიორგი—მღვდელი, რედაქტორი ჟურნ. „სასულიერო მახარობლისა.

21. ფავორსკი—სემინარიის მასწავლებელი 70-იან წლებში.

22. დედა იონა მეუნარგიასი სუსანა, ეგნატე გაწერელიას ასული, გარდაიცვალა 1874 წლის 21/IV-ს.

23. ჭ—ლი, ზაქარია—ჭეიშვილი, ქუთაისელი, სცენის მოყვარე და საზოგადო მოღვაწე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნათაძე

ალექსანდრე ყიფშიძის (ფროდელის) „დღიურებისათვის"

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ალექსანდრე ყიფშიძის არქივი, რომელშიაც აღმოჩნდა „დღიური ერთი სემენარიელისა". დღიური ალ. ყიფშიძეს უწარმოებია თბილისის სასულიერო სემინარიაში მოწაფეობის დროს 1878—1882 წწ. ეს დღიური მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-ისტორიული დოკუმენტია.

თბილისის სასულიერო სემინარიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების განვითარებაში. 1817 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ეს სასწავლებელი საშუალო დიდი სასწავლებელი იყო, სადაც ოავს იყრიდა სოფლის ახალგაზრდობა. სემინარიაში სწავლობდნენ მღვდელ-დიაკვნების შვილები, რომლებიც იზრდებოდნენ სოფლად გლეხურ გარემოცვაში. ესენი სწავლის დამთავრების შემდეგ ისევ სოფელს უბრუნდებოდნენ მღვდლებად და მასწავლებლებად.

დაარსებიდან—1817 წლიდან, მის მოსპობამდე (1917 წლამდე) სემინარიაში არსებობდა მტკიცედ დამყარებული მონასტრულ-ფისკალური აღზრდის რეჟიმი და სწავლების სისტემა სოფლებიდან ჩამოსული ჯანსაღი და გონება გაღვიძებული ახალგაზრდობა აქ ეძებდა საღ საზრდოს გონებისათვის, მას ვერ აკმაყოფილებდა სემინარიის მშრალი, უშინაარსო სქოლასტიური საგნები, მათი მოწყურებული ცნობის მოყვარეობა აქ ვერ პოულობდა საზრდოს, ამისათვის ახალგაზრდობა სემინარიის კედლების გარეშე ეძებდა სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. აქ იწყება სათავე სემინარიის მოწაფეთა და მათ აღმზრდელ მასწავლებელთა ორ მტრულ ბანაკად გაყოფისა. ამ ორ ბანაკს შორის დაუსრულებელი ბრძოლა იყო მთელი საუკუნის განმავლობაში..

ქართველ სემინარიელებს მეტი საბუთი ჰქონდათ თავიანთი უფროსების წინააღმდეგ უკმაყოფილებისა, სემინარიაში აღმზრდელ-მასწავლებლები, რექტორი, ინსპექტორი უმრავლესობა რუსი მონარქისტები იყვნენ, მეფის რუსეთში უვარგისნი, საქართველოში იგზავნებოდნენ პედაგოგებად. საქართველოს სასწავლებელში და განსაკუთრებით სემინარიაში, რუსიფიკატორული პოლიტიკა იყო გამეფებული. მოსული მასწავლებლები რუსი მონარქისტი პედაგოგები, თავისი სასტიკი მოქცევით მოწაფეებისადმი, რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებით ცდილობდნენ უმაღლესი მთავრობის ყურადღების მიპყრობას და კარიერის მოპოვებას. სემინარიაში ქართულ ენას, ლიტერატურას არ ასწავლიდნენ, ქართულ ლაპარაკს უკრძალავდნენ, ქართული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების კითხვისათვის სასტიკად სჯიდნენ.

სამშობლო ენის ასეთი დევნა და ეროვნული გრძნობის შელახვა, სემინარიის მოსწავლეებს უფრო მეტ სიყვარულს ულვიძებდა სამშობლო ლიტერატურისადმი, მეტის ხალისით კითხულობდნენ ქართულ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს, ყოველ კლასს ჰქონდა თავისი ხელნაწერი ჟურნალი მშობლიურ ენაზე, ეს ჟურნალები დიდად უწყობდა ხელს სემინარიის მოწაფეთა მასაში თავისუფალი აზროვნების დანერგვას, ეროვნული შეგნების გაღვიძებას. სემინარიის მთავრობა ამისათვის მოწაფეებს სასტიკად სდევნიდა: უჩხრეკდნენ ყუთებს, ბინებს, ლოგინებს, აწარმოებდნენ მოწაფეებზე უეცარ თავდასხმას, ქართულ ჟურნალ-გაზეთების და აკრძალული წიგნების წართმევას. მეთვალყურეები დაგეშილი მეძებრებივით ფეხდაფეხ დასდევდნენ შეგირდებს, ცდილობდნენ არ გამოპაროდათ მოწაფის არც ერთი ნაბიჯი. რასაც მეთვალყურეები ვერ მოახერხებდნენ გაეგოთ მოწაფეთა შესახებ, ამას საიდუმლოდ ავალებდნენ მოენე მოწაფეებს (რაც მოწაფეთა შორის იწვევდა საშინელ აღშფოთებას და ზიზღს მოენე სემინარიელებისადმი). დაუმატოთ ამას ხშირ წირვა-ლოცვებზე ხანგრძლივი (2—4 საათი) დგომა, რომელიც შეგირდებს გონებას უჩლუნგებდა და ფიზიკურად ასუსტებდა და ყველასათვის ცხადი იქნება ის უკმაყოფილება და ზიზღი, რომელსაც იწვევდა სემინარიის რეჟიმი მოწაფეებში. თავის აღშფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებას სემინარიის შეგირდები გამოჰხატავდნენ ხოლმე არა მარტო ინდივიდუალურ პროტესტში, არამედ საერთო გამოსვლებში, რომელსაც მთავრობა „ბუნტს“ ეძახდა. ყველა გამოსვლებში („ბუნტებში“) მოწაფეები უმთავრესად ერთსა და იმასვე მოითხოვდნენ: მასწავლებელთაგან ადამიანურ მოპყრობას, მოწინავე მოაზროვნეთა წიგნების თავისუფლად კითხვას, ქართული ენისა და ლიტერატურის საფუძვლიან სწავლებას, წირვა-ლოცვის ხანგრძლივობისა და მარხვების შემცირებას.

სემინარიის არსებობის ასი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ეღირსათ მოწაფეებს ნამდვილი მასწავლებლების ხილვა. ალ. ყიფშიძის სემინარიაში ყოფნის 15 წლის წინათ. ამ დროს, 1863 წელს თბილისის სემინარიაში განწესებულ იყვნენ მასწავლებლებად ნიკ. ცხვედაძე, გ. იოსელიანი და იაკ. გოგებაშვილი. ნ. ცხვედაძე საღმრთო სჯულის მასწავლებლად, იაკობ გოგებაშვილი მასწავლებლად და ბიბლიოთეკის გამგედ. ნ. ცხვედაძე „დაბადება“ს (ბიბლიას) მოწაფეებს კლასში რეალისტურად უხსნიდა, რელიგიის წარმოშობას და ისტორიას თავისუფალი მოაზროვნის თვალსაზრისით აშუქებდა. ი. გოგებაშვილი, თავის ბინაზე სემინარიაში, მოწაფეებს უკითხავდა და უხსნიდა იმ დროის მოწინავე მოაზროვნეთა წიგნებს. ი. გოგებაშვილმა ნ. ცხვედაძემ და მასწ. კოვროვმა შეადგინეს წიგნებისა და პროგრესული ჟურნალების სია. „Отечест. зап“., „Современник“. სიაში შეიტანეს რუსეთის მოწინავე კრიტიკოსების და პუბლიცისტების: ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის და სხვ. ნაწერები, საუკეთესო რუსული ბელეტრისტიკა; რეალისტურ-მატერიალისტური ნაწარმოებნი, მოლეშოტი, დარვინი, დრეპერი, რუსო და სხვები. ეს სია წარუდგინეს გულუბრყვილო რექტორს არქიმანდრიტ ვიქტორინს, რომელსაც არ ესმოდა ამ წიგნების შინაარსი და იგი დაარწმუნეს, რომ მოწაფეთა განვითარებისათვის ამ ლიტერატურით ბიბლიოთეკის შევსება აუცილებელია. რექტორი დაითანხმეს, გაიღო საჭირო თანხა 200 მან. და წიგნებიც გამოწერილ იქნა, კარგახანს გაგრძელდა ამ წიგნებით სარგებლობა მოწაფეთა მიერ. ბნელეთის მოციქულებმა მონარქისტმა მასწავლებლებმა, რომლებიც გოგებაშვილის დროს სემინარიაში მრავლად იყვნენ „დანოსი“ „დანოსზე“ აფრინეს მთავრობაში აღნიშნული ამბების გამო. 1871 წ. გამოიგზავნა სინოდიდან რევიზორი ზინჩენკო, მაგრამ ამან ვერ აღმოაჩინა კრამოლა. „დონოსები“ კვლავ მიფრინავდნენ სინოდში. 1873 წ. სინოდის სამოსწავლო საბჭომ კვლავ გამოგზავნა თბილისის სემინარიაში, მოხერხებული და გაქნილი რევიზორი კერსკი. კერსკიმ გადასინჯა სემინარიის მოქმედება მთელი 10 წლის განმავლობაში, შეისწავლა მოწაფეთა ამ დროს შესრულებული საკლასო თხზულებანი და თავზარი დაეცა, განგაში ასტეხა: „უშველეთ სემინარია დაღუპულა, შეგირდები გონებით გახრწნილან, მოწაფეებს თავიანთ თხზულებებში აზრის დასასაბუთებლად, ბიბლიიდან ტექსტების მაგივრად მოჰყავთ დრეპერი, დარვინი, ჩერნიშევსკი და სხვა უკეთესმართი მოაზროვნეების ციტატებიო“. კერსკის მრისხანებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა სემინარიის მოწაფის დავით კეზელის ამხანაგებთან მიწერილი წერილები ჩაუვარდა ხელში. ამ წერილებში ნათლად მეღლავნდება სემინარიის მოწაფეთა ოპოზიციური განწყობილება.

ერთ წერილში დ. კეზელი სწერს თავის ამხანაგს:

... Хочу я предаться вечним занятиям и подготовить себя к будущей предвзятой роли, но много слишком мешает обстановке, которая меня окружает, и глупость и преследование начальства, для выражения чего беден человеческий язык... Мой ненасытный ум и непреклонная энергия хотят соответственного их силам труда; но в семинарии не могут найти, потому что условия дурны. Все время, как я здесь нахожусь, считаю потерянным, и грустно и тяжело мне вспомнить о том, что такие свежие силы так даром пропадают. Я сильно склонен к самообразованию... Я хочу получить самобытне оригинальное воспитание... За классические же языки я ни зачто не возьмусь, хотя бы за это обещали мне свободу отечества, потому что изучения их я считаю за пустую трату времени и лучше было бы, как говорит Дрепер, играть в шахматы или в карты. И удивительно, как это ученые глупцы не понимают до сих пор обветшалости, пустоты и во всех отношениях бесполезности изучения классических языков. (123 стр. Керский) ამ დროს კეზელი მესამე კლასში ყოფილა. ჭრელაშვილი სტეფ. I კლ. და ი. ბანსვეტაშვილი III კლ., რომლებთანაც დ. კეზელს ჰქონია მიწერ მოწერა. ერთ წერილში სწერ.ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...Трудно изобразить то негодование, которое я испитываю, когда вспоминаю глупость, безхарактерность, минятюрное умишко, и крошечное волюшко бывших и настоящих педагогов. У некоторых животных можно заметить больше хороших качеств, чем у педагогов. Нужны целые томы, чтобы изобразить глупость и низость бывших, но не всех настоящих моих педагогов. (122 стр.). კერსკი აღშფოთებული სწერს: „Ученик Кезели был настолько испорчен умственно и нравственно,* что отважился на безумную попытку составить прокламацию собственного изделия, под названием: „К новому поколению Грузии"...

კერსკი ირონიით შენიშნავს დ. კეზელზე. „...Своими идеалами и образцами он ставит Чернышевских, Берне и Нечаевых, величая их светилами мира!".

რევიზორმა კერსკიმ დაათხოვნინა სინოდს საუკეთესო მასწავლებლები ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და სხ., აკრძალა მოწაფეთაგან ყოველგვარი წიგნების კითხვა, რასაც კავშირი არა ჰქონდა სემინარიის უშინაარსო პროგრამასთან, ისიც მხოლოდ მასწავლებელთა ნებადართვით, ამგვარად დაიხშო სემინარიაც სინათლისაგან და გამეფდა ისევ გონებითი წყვდიადი.

ალ. ყიფშიძის დღიური ცოცხალი დოკუმენტია სემინარიაში გამეფებულ უკულმართ სწავლა-აღზრდისა, ილუსტრაციაა სემინარიის მტარვალ კარიერისტ „პედაგოგებისა". ალ. ყიფშიძე ეხება 1878—1882 წლებს, მაგრამ არსებითად მისი დღიური გამომხატველია სემინარიის არსებობის მთელი პერიოდისა; იცვლებოდნენ პერსონაჟები, სახელი და გვარი მოქმედ პირებისა, მაგრამ სურათი ერთი და იგივე რჩებოდა, რაც ალ. ყიფშიძის დროს იყო, ის იყო ყიფშიძეზე 10—15 წლის წინათ, ისევე აყო 15 წლის შემდეგ—1893 წელს, როდესაც სემინარიელები გამოვიდნენ თავიანთი მოთხოვნილებით, სასტიკად დამარცხდნენ და ამ გამოსვლამ მრავალი საუკეთესო მოწაფე იმსხვერპლა კიდეც. ამ დრეს გარიცხეს სემინარიიდან შემდეგში ცნობილი რევოლუციონერი ლ ა დ ო კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი.

ალ. ყიფშიძის დღიური იშვიათი ლიტერატურული ძეგლია. სემინარიის შესახებ დასწერეს მოგონებები სოფ. მგალობლიშვილმა, ვ. ბარნოვმა, ნ. ლომოურმა, ი. მანსვეტაშვილმა, მაგრამ დიდი განსხვავებაა დღიურსა და მოგონებას შორის: მოგონებაში ყველაფერს ვერ აღადგენს ავტორი, რასაც გადმოგვცემს შორეულ წარსულიდან, ბევრს სინამდვილით ვერ მოიგონებს, დააკლებს, შესცვლის, შეალამაზებს, „დღიური" კი თითქმის ყოველდღიური უშუალო გადმოცემაა ნახულისა, განცდილისა, რაც მდიდარს, უტყუარ, ცოცხალ მასალას იძლევა ისტორიისათვის. „ჩემი დღიური ჩემი სულის სარკეაო"—სწერს ალ. ყიფშიძე ერთგან, ამ მხრივ ალ. ყიფშიძის დღიურს დიდი მნიშვნელობა ეძლევა, როგორც ლიტერატურულ-ისტორიულ ძეგლს. ის ჩვენს ლიტერატურაში ერთად-ერთია ჯერ-ჯერობით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ი. მეუნარგიას „დღიურს", რომელიც მას უწარმოებია მხოლოდ ორ წელიწადს 1873—74 წ.

დიდი სიფრთხილე და თან გამბედაობა გამოუჩენია ალ. ყიფშიძეს ამ „დღიურის" წერისას, ხან უბეში უტარებია ისე, როგორც „მტრის დანახვის დროს დედა თავის შვილს გულში მიიკრავს და მხად არის მასთან ერთად სული დალიოს"—(იხ. 5 იანვრის დღიური, გვ. 259).

„...ისევ და ისევ ჩემო დღიურო—სწერს ერთგან ალ. ყიფშიძე,—თორემ სული მიგუბდება. შენ ხარ ჩემი ნამდვილი გულითადი ძმა და მეგობარი. შენ თუ გამოგელაპარაკები გულგახსნილი, თორემ სხვასთან ვერ გავბედავ. ერთი თვის განმავლობაში სულ ტოლაღების** ქვეშ გატარებდი, ხომ იცი გიფრთხილდებოდი, ვაი თუ ან ხეპრეს ხელი მოგხვედროდა, ან თვალი გცემოდა, ან ცუდ ქარს დაეკრა, ვინ იცის, ყველას უნდა მოელოდეს კაცი. პირველ მარტიდან გულგახსნილი აღარ გამოგლაპარაკებივარ, ვაი თუ სტუმრები მეწვიოს მეთქი და უ დ რ ო ო თ მ ო გ ვ ი ღ ო ნ ბ ო ლ ო შ ე ნ ც ა და მ ე ც.*** ვინ იცის, რამდენი რამე დატრიალდა გულში გამოუთქმელი და ეგ გამოუთქმელობა მახრჩობდა, სულს მიგუბებდა" (11 აპრ. 1881 წ.)

ალ. ყიფშიძის „დღიური", ცხარე ბრძოლიდან უვნებლად გამოტანილი დროშაა.

---

*) ხაზი ჩემია გ. ნ.

** ტოლაღი—ფარჩის შეკერილი, ხშირად მოქარგულიც, ზოლია, ზონრებით წვივზე, წინ დების თავებზე შემოსაკრავ-დასამშვენებელი.—გ. ნ.

*** ხაზი ჩემია.—გ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სემინარიაში ასეთი უკეთესი პირობები იყო, მაინც ამ სემინარიამ მოგვცა მრავალი მნიშვნელოვანი მოღვაწე, ცნობილი მწერალი და გამოჩენილი რევოლუციონერი მებრძოლნი: დიმიტრი ბაქრაძე, იაკ. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, თ. ყორდანია, პლ. იოსელიანი, მოსე ჯანაშვილი, ნიკო ლომოური, სოფ. მგალობლიშვილი, ი. მეუნარგია, ძმები ყიფშიძეები, თედო სახოკია, შიო არაგვისპირელი; სემინარიელები იყვნენ რუსეთშიდობროლიუბოვი და ჩერნიშევსკი. თბილისის სემინარიაში სწავლობდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი და მისი ახალგაზრდობის თანამებრძოლი ლ ა დ ო კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი.

ორიოდე სიტყვა „დღიურის" ავტორზე. ა ლ. ყ ი ფ შ ი ძ ე საქართველოში ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწეა. ალ. ყიფშიძე (ფსევდ. „ფრონელი") დაიბადა 1862 წ. ს. წვერში გორის ახლოს. მისი მამა თევდორე, მღვდლად იყო სოფ. საღოლაშენში, (გორის მაზრა), სადაც გაიზარდა ალექსანდრე. თევდორეს მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰქონდა, ოთხი ვაჟი და ხუთი ქალი. სოფლის ღარიბი მღვდლისათვის ძნელი იყო ამოდენა ოჯახის რჩენა, მიუხედავად ამისა შვილები კარგად დაზარდა, უფროსი ვაჟის გრიგოლის გარდა, მისმა ვაჟებმა ყველამ უმაღლესი სწავლა მიიღეს. ალექსანდრე სოფლის წიაღში, გლეხურ პირობებში იზრდებოდა და ბოლომდის შერჩა სოფლის ლამაზი ბუნებისა და მშრომელ გლეხების სიყვარული, რაც მის დღიურში ნათლად გამოსჭვივის. ალექსანდრე პირველად სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში, აქედან, სწავლის დამთავრების შემდეგ, შეიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში 1878 წ. სექტემბერში. მეოთხე კლასის გათავების შემდეგ ჩააბარა გამოცდები ხარკოვის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში 1888 წ. სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო სამსახური. 1905 წ. იყო ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწედ, რევოლუციის დროებით დამარცხების დროს, რუსეთის მთავრობამ იგი დაითხოვა სამსახურიდან და მეტეხის ციხეში დაამწყვდია. გარდაიცვალა 1916 წ.

მწერლობა დაიწყო 1884 წ., მონაწილეობას იღებდა საბავშვო ჟურნ. „ნობათში", გაზეთ „ივერიაში", „კლდეში" და უკანასკნელ დროს გაზეთ „საქართველოში". მისი ნაწერებიდან შესანიშნავია მხატვრულად დაწერილი ისტორიული მონოგრაფიები: „მთიულეთი 1804 წ.", „კახეთის ამბოხება 1812 წ.", „მთის არწივი შამილი" „დიდებული მესხეთი" და სხვ.

დღიურები ერთი სემინარიელისა*

1879 წ., 8 თებერვალი.

ამ ჩვენ მასწავლებლებსაც კი უხარიანთ, როცა შეგირდებს ითხოვენ, ბოლოს დღეს სულ აღარ შემოდიან ხოლმე, თუმცა შემოდიან გათავების დროს, მაგრამ ვაი იმათ დღეს, სულ საათზე იცქირებიან. ეს იმას ამტკიცებს, რომ ისინი გულიანად არ ეკიდებიან საქმეს, დადიან შკოლებში იმისათვის კი არა, რომ თავიანთი ვალი შეასრულონ—მხოლოდ ფულისათვის.

9 თებერვალი.

წუხელის რვა საათზე ჩვენ სემენარიაში წარმოდგენა იყო „მზის დაბნელებისა", რა მშვენივრად წარმოადგინეს!! თუმცა სუყველაფერი უბრალო იყო. დეკორაცია იმათ არა ქონდათ, ფარდის მაგივრად საწყლებმა შკაფი დადგეს, ტანისამოსის ნება იმათ არ ჰქონდათ, მარეხა შემოდიოდა სერთუკით და აგრეთვე სხვა პირები შემოდიოდნენ სემინარიელი პალტოებით. მაგრამ მშვენიერი იყო იმათი ქცევა და მიხვრა-მოხვრა.

* იბეჭდება შემცირებით, ავტორის მართლწერისა და სტილის დაცვით.—რ ე დ ა ქ ც ი ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 თებერვალი.

გუშინ საღამოს მეორელებმა წარმოადგინეს „ცოლი თუ გინდათ, ეს არის", ძლიერ ცუდათ, ამის მიზეზი როლების დაუსწავლელობა და სიმთვრალე იყო ზოგიერთ მოქმედ პირთა. ნახევარწარმოდგენაზე სუფლიორათ იყო უ. დ. ლუკიანოვი, ნახევარზე კი—მე. იმის სუფლიორობაზე კიდევ როგორც იყო მიდიოდა საქმე, მაგრამ ჩემსაზე—კი ღმერთი გაუწყრათ. არ ვიცი მე უფრო ძლიერ ბრალი ვარ თუ ისინი. რაც უნდა იყოს—ეს პირველი ლაჯია ხალხში გამოსვლისა.

ამ საღამოზე წარმოვადგინეთ „ძუნწი" თ. ერისთავისა. ამ წარმოდგენაში თვითონ მივიღე მონაწილეობა, ვასრულებდი ხამფერას როლს. თუ როგორ წარმოვადგინეთ ეს შეგიძლიანთ შეიტყოთ იქიდან, რომ ზოგნი ადარებენ მზის დაბნელების წარმოდგენასთან, ზოგნი ამჯობინებენ.

12 თებერვალი.

წუხელის იყო „სკაპენის ცულლუტობის" წარმოდგენა. წარმოადგინეს მშვენივრად, მაგრამ ყველაზე უკეთ აასრულა სკაპენის როლი უ. ნ. ყიფიანმა.

დღეს დადგა დიდმარხვა. ახლა ამოგვწყვეტენ სამარხო საჭმელით და საყდარში სიარულით.

13 თებერვალი.

დღეს კუვშინსკიმ (ინსპექტორმა) შ. დავიდოვ�ანა მნახა; სახეზე შეეტყო, რომ ვერაფერი ეპაშხიკა ესა. ვნახოთ ახლა რასა იქს!

15 თებერვალი.

ეხლანდელ დროში ქრისტიანებში ისრე ყოფილა, როცა გაუპირდებათ რამე, ღმერთს მაშინ ახსენებენ, თუ არა და ფეხებზე ჰკიდიათ.

ეს ჩვენი უფროსები რამდენათ ძალას გვატანენ მარხულობითა და საყდარში სიარულითა, იმდენი უფრო ვუკულმართდებით.

17 თებერვალი.

როგორც ეტყობა ჩვენ სასულიერო წოდებას, იესო ქრისტეს სწავლა და მოქმედებანი ხელობათ გადაუკეთებიათ. დღეს გვაზიარეს. ვინ იცის რამდენი შეუვიდა მღვდელს. რამდენ ოხრულათ თხოულობენ ფულს! განზანაკით, მთავარი ცალკე, მღვდელი ცალკე და კიდევ რალაებიც. სასულიერო წოდებაშიც ფულს პირველი ალაგი სჭერია. დღეს ყველაზე პირველათ არისტოკრატები აზიარეს.

19 თებერვალი.

გუშინ დაფიქრებული დავდიოდი ოთახში და უცბათ შემდეგმა ლექსმა მომიარა თავში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრი

ახ, როდის ვნახამ საქართველოს თავისუფალს,
და სამშობლო დროშას გაშლილს;
სამშობლო ენას აყვავებულს,
და მის მოქალაქეთ განთავისუფლებულს.
ახ, მაშინ, არც მე უკან დავრჩები,
და ჩემს ხალხს ყოველ საქმეში წინ გაუძღვები;
ახ, მაშ, რათ მინდა ეს სიცოცხლე,
თუ არ შენთვის, ოხ, მამულო!
ოხ, სამშობლო, როდის გნახამ ფართოთ გაშლილს,
ვით გაზაფხულის ჟამს ამწვანებულს ხის ფოთოლს.
ოხ, სამშობლო შენი შვილნი მხოლოდ მაშინ დასტკბებიან,
რომელნიც აქამდისინ სხვის ტყვეობაში ოღვწიან, იტანჯებიან.
ოხ, სამშობლო მაშინ ის დრო თავისუფლების
იქნება ჩვენთვის დროდ სიმართლის პატიოსნების,
ვისარგებლებთ შენი შვილნი იმ თავისუფლებით,
ვით წინაპარნი ჩვენნი განთქმული იყვნენ ამით.

ა. გოდორია

უკაცრავათ, მე თუმცა ამას ლექსი დავარქვი, მაგრამ ეს ლექსი კი არ არის, უფრო პროზაა. არა, ერთი, მე ლექსს საიდან დავწერ მამა არ ყოფილა მელექსე და პაპა. პოეტური ნიჭი მე არა მაქვს.

დღეს ჩვენ ეკლესიაში ეგზარხოსი იონიკე იყო მწირველი, წირვის შემდეგ მოლებნი გადიხადეს. დედა, დედა, რამდენი ღვდლები და გენერლები იყვნენ, იმათით იყო გატენილი ეკლესია, აფიცრებს ვიღა დასთვლის, ძალლთუმრავლესნი იყვნენ. ღმერთო ჩემო, რამდენი ფული მოუნდება იმათ ჯამაგირს და პარადებს. ოი საწყალო ხალხის ნაშრომო მანათო, ვინ იცის რამდენჯერ გაწუწულო იმის ოფლითა! ღმერთო, რა უსამართლობა არის ქვეყანაზედ. თითოული გენერლის ჯამაგირით, ვინ იცის რამდენ კეთილს საქმეს იქ!!

23 თებერვალი.

ღმერთო, რამოდენა დროს გვაკარგვინებენ ამ ბერძნული და ლათინური ენების სწავლის გულისათვის, ნახევარ დრო სწავლისა ამათ უნდება. ნეტა ვსწავლობდეთ მაინც ხეირიანათა და ვინ ინალვლის, მაგრამ რო ვერა ვსწავლობთ. ეგ არის უბედურება, ეს ენები რო არ იყოს, რამოდენა დრო დაგვრჩებოდა სხვა საგნების შესწავლისათვის, ვინ დასთვლის; მაგრამ ვისაც განათლება უნდა, თითონ უნდა მიიღოს ისა, გრამატიკები ვერას მისცემენ.

5 მარტი, ორბაშათი.

გუშინ წირვაზე პირველათა სთქვეს წრეულ სემენარიელებმა ქადაგება. იყო ნათქვამი ეხლამდენ რუსების თათბირთან შერიგებაზე უ. შ. ლუკიანოვისაგან. ქადაგებას არა უჭირდარა. კარგი იყო, რაც შეფერობს ბურსაკ-სემინარიელებს, ცოტაოდენი პატრიოტული სულიც უდიოდა, კარგად ლაპარაკობდა ქობულეთელებზე, მაგრამ სამწუხაროთ ქების მაგივრად, ვაი ვაგლახი მიაყენეს ავტორს. ჯერ სანამდისინ წარმოსთქვამდა ეკლესიაში რეკტორს გაესწორებინა ბევრი აზრები და ალაგები. როცა ქართველებზე ლაპარაკობდა, სულ წაეშალა, ამის გარდა ბევრი სიტყვები გაესწორებინა, მაგალითებრ; отечество—край; кавказ-

скому победоносному войску—Русско-кавказскому победоносному войску: კიდევ ბევრი მაგისთანები, ვინ ჩამოთვლის ყველას. Что за глупость и узкость патриотизма со стороны Р?!! [Ректора]. მაგრამ ავტორმა თავისი არ დაიშალა, ეკლესიაში ისრე წაიკითხა, როგორც ეწერა. თქვენ წარმოიდგინეთ, რაგვარ

ალექსანდრე ყიფშიძე—ფრონელი (1862—1916).

გააფრდა შემოსილი ,,რექტორი" და რაგვარ დორბლები გამოსდიოდა, მაგრამ რას იქმოდა, საკურთხევლიდან ,,ხომ" არ გამოვარდებოდა. როგორც იყო პატარა შეითმინა. მაგრამ გაათავა თუ არა ,,ქადაგება" და შევიდა საკურთხეველში, მივარდა გაკაპასებული, დაუწყო ,,ლანძღვა" [საკურთხეველში]. უფრო მეტს უზამდა მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო ნებას არ აძლევდა, და რაც ღვთის სახლში დააკლო, იქ დაუსრულა. 8ბ არ დააჯერა, შეუვარდა მერმე „საკვირაო შკოლაში“ და იქ ველარ დამშვიდდა, ანთება მოსდიოდა. ნეტა რისთვის? ეშმაკმა იცის იმის თავი. უ. ლუკიანოვმა ყურიც არ გაიბერტყა, ის ასე ცივგულათ ეკიდებოდა იმის ლაპარაკს და ლანძღვას, რომ ეს უფრო ასიებდა უბედურ რეკტორს—ლუკიანოვი * ასრე იმიტომ იქცეოდა, რომ აკადემიაში არ მიდის, მას რომ იქ წასვლა ნდომოდა, აგრე ვერ მოიქცეოდა.

მარტი 6.

გუშინ წინ „დროებაში“ იყო სტატია გ. წერეთლისა სემენარიელებზე. ის პირველად ლაპარაკობს თავის სტატიაში სემენარიის მდგომარეობაზე, რეკტორზე, ისპექტორზე და იმათ საქმეებზე სემენარიაში. მერმე უბრუნდება ქართულ ინტელიგენტობას და არისტოკრატებს, თუ როგორ ცივგულიანათ ეკიდებიან საერთო საქმეს, შესახებ ქართველი ღვდლის შვილების აღზრდისა, მაგაში ეჭვი არ არის, რომ ინსპექტორიც და რექტორიც ყველა განათლებულ კაცს ეჯავრება მარტო ჩვენ ქალაქში კი არა, აგრეთვე რუსეთშიც. მაშ, რაღა აკლია, კითხულობს უ. წერეთელი, ჩვენს განათლებულ ხალხს იმათი კისრის მოტეხისათვის და გაუკეთესობისათვის მღვდლისშვილების მდგომარეობისა სემენარიაში? მოთავეობა, არის პასუხი, განა არ შეუძლიანთ ერთი ორიოდე პირთ მოილაპარაკონო უ. ორბელიანთან ** (პირველი ღენერალი) და იმან სთხოვოსო ნამესტნიკს, რომელიც უეჭველია უარს არა ჰყოფს მთელი ხალხის ინტერესსაო და გააძევებს ადმინისტრატიული წესებით? მაგრამ. იმეორებს ავტორი, მოთავეობა არ არიო.

ახლა იკითხამთ, რა არიან ეს ინსპექტორი და რეკტორი რომლებმაც ააყაყანეს მთელი საქართველო? ისინი ეკუთვნიან იმ გვართა ხალხთა, რომლების გვამშიც არ არის გრძნობა ძმათა-მოყვარეობისა, ერთობისა, პატიოსნებისა და სხვ. საჭირო არ არის ჩამოთვლა იმ საქმეებისა, რეებიც მაგათ უქნიათ სემენარიაში. ამიტომ რომ მთელმა ქვეყანამ იცის ჩვენზე უკეთ; ვიტყვი მხოლოდ მას, თუ როგორი შეხედულება აქვთ მაგათ ქართულ შეგირდებზე სემინარიაში. ისინი უცქერიან ჩვენ ახალგაზრდობას, როგორც ველურ ხალხს, რომელსაც არ გამოუვლია ჯერ არც ერთი ფაზისი კაცობრიობის განათლებისა და რომელსაც არ შეუძლიან მიიღოს ნათელი განათლებისა, ამის გამო ყოვლის გზით ისინი სცდილობენ შეამცირონ რიცხვი შეგირდებისა და აღარ დაჰკარგონ. იმათი აზრია, ტყუილი შრომა. ესეთები არიან ჩვენი პედაგოგიური გამრზდელნი! წარმოიდგინეთ ახლა თქვენ, თუ რა უნდა იყვნენ მაგათი შეგირდები?! მაგრამ ის არ ხდება რაც უნდა ყოფილიყო. ტყუილი არ არის ანდაზა „დაშლილი ნაყოფი უფრო ტკბილიაო“. სემენარიას ბევრი კარგი შეგირდი გაუზრდია და კიდევაც გაზრდის, მაგრამ სამწუხაროთ ამ ხანობაში სემინარიას სუსტი შეგირდები ჰყავს.

* ლუკიანოვი—მეექვსე კლასის მოწაფე იყო. გ. ნ.

** უ. ორბელიანი. იგულისხმება პოეტი გრ. ორბელიანი, რომელსაც იმ დროს ადმინისტრატიული ადგილი ეჭირა.—გ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ბედი დაეცემა სემენარიას ეგ ორი პარაზიტი რომ მოიშოროს. იმედია რომ ისეთი მხეცი არ მოვა სემენარიის ინსპექტორ-რეკტორათ, რომლებიც დაუშლიან შეგირდებს გარედან შემოტანილ წიგნების კითხვას, თითქოს გარეთ ცუდი აღარ არის რა! რომ არ მისცენ ცოტაოდენი თავისუფლება ან სიტყვაში, ან მოქმედებაში.

8 მარტი.

უეჭველია, ვისაც ჩემი დღიური მოხვდება ხელში იტყვის, ვინ ყოფილა ამის მბღაჯნელიო; საქმე არა ჰქონია რაო, რომ ამაზე უკარგამს დროება. ჩემო მკითხველო, საქმე მაგაში არ არის. ჩვენ შკოლებში ისეთნაირად გვასწავლიან, რომ არამც თუ დედა-ენას, არამედ მთელი მხრის ენასაც დაგვავიწყებენ[1]. მეც ერთ ამისთანა შკოლაში გახლავართ. მე ვწერ ამ დღიურში ათას რასმეს, განა იმისთვის კი არა რომ შენ გაგაკვირო ჩემის აზრებით, იმისთვის რომ შევისწავლო ენა და წერა. ამაში დარწმუნდები, როცა წაიკითხამ ჩემს დღიურს, რომელშიაც ნახამ უთავბოლო აზრებს, და წინადადებებს. მაგრამ ვგონებ, კაი მნიშვნელობა უნდა ქონდეს ჩემთვის ამ ბღაჯვნას.

10 მარტი შაბათი.

ერთი ჩემი ამხანაგი ხანდისხან მეტაფიზიკურ ფიქრებს მიეცემა ხოლმე, აი მაგალითებრ ორიდე იმის მეტაფიზიკობისა: „საქართველო განთავისუფლდება რუსების ქვეშევრდომობისაგან 1904 წელსა". თითქმის რაღა ერთი საუკუნის შემდეგ. თუმცა, ის მარწმუნებს, რომ ეს მეტაფიზიკობა არ არისო. ამას ამიტომ ვამბობ, რომ ვხედავ ევროპის და რუსეთის საქმის მდინარებასო, მაგრამ რაც უნდა მარწმუნოს, მაინც მეტაფიზიკობა არის.

ხანდისხან იმას კაი ფიქრებიც გაუვლის ხოლმე თავში შესახებ საქართველოსი: მაგ. ქართველი ახალგაზრდობა რომ რუსულ შკოლებში იღებს განათლებას რუსდებიანო და თავიანთი ენა და სამშობლო ავიწყდებათო. ეს ფრიად კარგი, ეგ ყველამ იცის რომ მაგრეა, მაგრამ აი რა მოიგონა: ქართველებს რომ ხეირი ჰქონდეთ, ქართულ სათათრეთში საშუალო ქართულ შკოლას გახსნიანო, როცა მართებლობისაგან დაშლის მიზეზი არ იქნებაო, და იქ ხეირიან განათლებას მიიღებენო ქართულ ენაზეო.

12 მარტი, ორშაბათი.

ცხრა მარტს პეტერბურგში წარმოდგენა ყოფილიყო „მზის დაბნელებისა", ქართული სტუდენტობისაგან. პუბლიკას, კარგათ მიეღოთ, თუმცა ბევრი რამე არ ეყურებოდათ-რა. მაგრამ დიდ რამედ ეჩვენებოდათ რუსებს ქართული ქცევა და მიხვრა-მოხვრა. ეს პირველი წარმოდგენაა რუსეთში ქართულ ენაზე.

ამბობენ, ვითომც რუსეთში ყველა რედაქციებს პირობა შეუკრამთ, რომ აღარც ერთს გაზეთს არ გამოვსცემთო, თუ პატარა პრივილეგიები არ მოგვანიჭესო. საქმე დაწყებაა! თორემ თუ დაიწყეს, უთუოდ საქმეს მოიგებენ, ამიტომ, რომ სიმართლესთან დიდხანს ფეხებს ვერ გასჭიმავს უსამართლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ შევიტყე, რომ ქალაქში რაღაებსაც აპარებენ სტუდენტები, ჯერ კარგათ არა ვიცირა, გავიგებ თუ არა სუყველას დავწერ.

14 მარტი, ოთხშაბათი.

ჩვენ კლასში არიან ორიოდ-სამიოდ შპიონები, რომლებსაც ისრე გვინდა მოუხერხოთ, რომ ფრთები ველარ გაშალონ. თუმცა ორი იმათთაგანი რუსები, კარგათ გვყვანან დაბოჭილნი მაგრამ ჩვენ ისე გვინდა მოვახერხოთ, რომ აღარც ერთი შეგირდი ჩვენგანი აღარ ელაპარაკებოდენ იმათ, და ყოველი იმათთაგანი გრძნობდეს, თუ რა საშიში ხალხნი არიან შპიონები.

ამისთანა ლაპარაკში რომ ვიყავით მე და ჩემი ამხანაგი, ერთი საათი ისრე გაპარულიყო, რომ ვერა გავიგეთ რა. ამოვარდა ინსპექტორი და ის დღე თქვენ მტერს დაადგეს, რაც იმან ჩვენ დაგვაყენა. ამ დღეს უკან დამიწყო ცუდათ ცქერა და დღე აღარ გავა, რომ შენიშვნა არ მომცეს.

გუშინ ეგზარხოსი ევსევი მოკვდა. ისე იმის სიკვდილი არ გამხარებია, როგორც ბერძნულ-ლათინურის მორჩენა.

15 მარტი, ხუთშაბათი.

დღეს ერთი შესანიშნავი ამბავი მოხდა ჩვენს კლასში, შევიწროებული შპიონი უ. ობოლენსკი სჩივის ინსპექტორთან, რომ მას „შპიონს" ეძახიან შეგირდები; რასაკვირველია ეს არ ესიამოვნებოდა ინსპექტორს, რადგანაც თვითონაც რუსია. შემოვარდა კლასში, ეცა ერთ ჩემს ამხანაგთაგანს, ბერძენ კატანოვს და დაუწყო კითხვა, თუ რა მიზეზით ეძახის ის ობოლენსკის შპიონს. იმან უთხრა ამისათვის და ამისათვის. ინსპეკტორმა ეს არ იკადრა და უთხრა, ვითომც ისე „კოვარნი" იყვეს, მერმე სხვა შეგირდებს ჰითხა, ისინიც უძახიან თუ არა შპიონს. ყველამ „არა" უთხრეს. გაბრაზებულმა გასწია წინ. სადილთ უკან დაიბარა ყველანი, კატანოვიც, ობოლენსკიც და ორნი კიდევ სხვანი. კატანოვმა თავი გაიმართლა, რომ ის „კოვარნი" არ არის, ობოლენსკი ისევ შპიონი დარჩა.

19 მარტი, ორშაბათი.

გაზაფხული თბილისში ისრე მშვენიერი არ არის, როგორც სოფელში, ოხ, რა მიხარიან შინ წასვლა! ვის არ უხარიან საპყრობილიდან გამოსვლა. ესრეთია ჩვენი სემინარია. გამომატვიხეს ამ უაზრო საგნებმა. დათხოვნის დრო როცა მიიწურება ხოლმე, ისრე დავსუსტდები ხოლმე, რომ თუ საავადმყოფოში არ ჩავედი, ფეხებს ველარ გადავდგამ. ოხ, როდის იქნება ჩქარა გავსწიო შინისაკენ, საცა მივიღებ სიცოცხლეს და სიმრთელეს. მამულზე უსიტკბოესი რა უნდა იყვეს. ოხ, მამულო შენთვის დავლვრი წითელს სისხლს და შენს გვამში ჩავყრი ჩემს ძვლებს.

30 მარტი, პარასკევი.

ეს ორი სამი დღე არის, ცოტა უფრო კარგი დარები დაიჭირა, მინდორი სულ ამწვანდა, მაგრამ ხეხილს ჯერ კარგად კუკური არ გამოუღია, ტყემლისა და ატმის გარდა. გუშინ გორს ვიყავი. ისეთი შესანიშნავი არა მინახავსრა, რომ ჩემს დღიურში ჩამეწერა, გარდა იმისა, რომ ჩემი ძველი, სახლის პატრონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ გაღარიბებულა. ერთი ორი კარგი მეგობარი ვნახე. დღეს დილით ერთი კორესპონდენცია დავწერე ფცის* წყლის გამო, თუმცა ძლიერ გლახა არის, მაგრამ მაინც პირველი ნაწერი არის. აღდგომაც მოდის! ვნახო როგორ მიიღებენ ჩვენი ქართველები.

31 მარტი, შაბათი.

რა ნაირათ განირჩევა სოფლის ცხოვრება ქალაქში, ბურსაში ცხოვრებიდგან! Там однообразие убивает человека, напротив здесь—жизнь полна разнообразьями. Там человек находится в сонливом положении, здесь душа бодрствует; и весело и скучно!

9 აპრილი, ორშაბათი.

ქ. თბილისში დავბრუნდი სოფლიდამ 9 აპრილს. ჯერ ისევ ვაგონში ვისხედით, რომ ათასნაირი მშვენიერი და საძაგელი ამბები შევიტყეთ. აგრე კარგია ქალაქებში ცხოვრება, თუ რომ კაცს სურს უგდოს ყური და ადევნოს თვალი ევროპულ განათლებას და მოძრაობას. იმ ორი კვირის განმავლობაში სრულებით არა შემიტყვიარა. აქ ჩამოვედი თუ არა, ათასნაირი ამბები! პირველი რომ რუსების ხელმწიფეს ხუთჯერ რევოლვერი დაახალეს ორს აპრილს და ვერ მოჰკლეს. მსროლელი იყო სოფლის მასწავლებელი უ. სოლოვიოვი. მეორე, როგორც პირველის შედეგის, დაარსება თორმეტის პოლიციის ღუბერნატორებისა და მათ მინისტრათ ლორის-მელიქოვი, როგორც ამბობენ. მესამე, სასულიერო სემენარიელებს აღუკრძალეს უნივერსიტეტებში შესვლა, რადგანაც მართებლობა მომეტებულ ნაწილად ცუდს საქმეებს (იმათი აზრით) და სოციალისტობას მათ აბრალებს. გაზეთი „საეკლესიო მახარობელი" ძლიერ ერთგულათ ამართლებს თავის შეგირდებს და მაგასთან ამ მოქმედებებს აწერდა ღემნაზიელებს, რეალისტებს და სხვა.

13 აპრილი, პარასკევი.

გარჩევა კუვშინსკის სიტყვისა, რომელიც წარმოთქვა 8 საათზე საღამოთი 12 აპრილს 1879 წ. სემენარიელების უნივერსიტეტში შესვლის აღკრძალვის თაობაზე.

ჩვენმა პატიოსანმა ინსპექტორმა საქმე იქიდან დაიწყო, რომ შეგირდებს გამოუცხადა ერთებს (1) იღებთ ძლიერაო, ზარმაცები ხართო, (ეს მართალი არის. ჩვენ კლასში მომეტებული ნაწილი ცუდათ სწავლობს), მაგრამ ცუდათ რომ სწავლობენ, ვისი ბრალია? მაგისი და ჩვენი უტვინო მასწავლებლებისა! მერმე მანდედგან ლანძღვას შეუდგა: ცუდები ხართო, შეუპოვრები, უფროსებისა არა გეყურებათ რაო, თქვენისთანა შეგირდები ჯერ პირველ კლასში არა ყოფილანო (ეგ ჯერაც არ გვითქვამს!). სჩივით რომ თავისუფლება არა გვაქვსო, თავისუფლების მოხმარება არ იცითო, გაფუჭდებითო და იმიტომ არ გაძლევ-

* ფცა—მდინარეა ქართლში.—გ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თო, მართალია, ზოგმა არ იცის, მაგრამ ერთი ორისთვის ამოდენა ხალხი მოაკლონ თავისუფლებას! უჰ, ეს მეტის მეტობა არის! გუშინ წინ ბერძნულის მასწავლებელთან ლაპარაკი გვქონდა მაზედ, თუ რა მიზეზია სემენარიელების უნივერსიტეტში შესვლის აღკრძალვა; სხვათა შორის ისიც უთხარით, რომ ჩვენ სრულებით არა გვაქვს თავისუფლება, გაზეთის კითხვასაც გვიშლიან, ქართულს არ გვასწავლიან და სხვ. მაგ მხეცს ესეები სულ ინსპექტორისთვის მიუტანია, როგორც სჩანს საქმიდან. შენშიც მოვტყუვდით უ. გრიაზნოვო! სემინარიის დანიშნულება და პირველი მიზანი ის არისო, რომ პატიოსანი, სვინდისიანი ღვდლები და მამულისშვილები დაზარდოს (შე უტვინო, აბა მაგისთანა კაცების დაზრდას უნდა თავისუფლება).

მანდედან ჩვენი ორატორი შეეხო ჩვენს მომავალს, თუ რა ნაირათ უნდა მოვემზადოთ, გავსწვრთვნათ ჩვენი თავი იმის მისაღებათ. სემენარიელებს აქამდისინ გზა გახსნილი ჰქონდა მაღალ სასწავლებლებში—უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში, ახლა მაგას მოაკლდენო. თქვენ აღარაფერი დაგრჩებათრაო, გარდა ღვდლური პროფესიისა. მეტი ჯანი არ არის, ღვდლებათ წახვალთო, ამიტომაც ერთგულათ უნდა მიჰყოთ ხელი სწავლასა, რადგანაც სოფლის გაუნათლებელი ხალხი თქვენგან მოელის განათლებასო (ამის ასრულებას ფრიად დიდი შრომა და განათლება უნდა, მერე ახლა კი ჩვენს ბედუკნებს შეგირდებს აქვთ ან განათლება, ან შრომის ძალა!?). ახლა კითხვა იმაშია; რა უნდა ვისწავლოთ? ლათინური, ბერძნული, სამღრთო წერილი!! მაგ საგნით, შე უტვინო, ხალხის განმანათლებელი უნდა გავხდეთ!? განა შენ გეყურება „ხალხის განათლება"?! ბიჭო, ხალხის განმანათლებელი როგორ უნდა გახდნენ შენი შეგირდები, როცა გაზეთის კითხვაზედაც კი რიცხამ, როცა უბრალო ქართული წიგნის კითხვას უშლი: თქვენის აზრით ამისთანა შეგირდი საშიშია, რევოლუციონერია, ბუნტოვშჩიკია და ღმერთმა იცის თქვენი თავი რანაირ სახელს არ არქმევთ საწყალ შეგირდებს, რომ უფრო შეგირდის გამორიცხვა იყოს „на основании закона". ბიჭო, თქვენის შკოლით როგორი განმანათლებელი უნდა გამოიყვანოთ ქართველის ხალხისა, როცა ერთ სიტყვას ქართულათ არ ასწავლით! კიტაიურათ თუ დაუწყებენ ლაპარაკს! მე ეს სრულებით არ მეყურება, ძლიერ გასაკვირველია!. კუდიანო, რაც გინდოდა, ის ნელ-ნელა სრულდება. ზოგი შეგირდნი თავებს იხოცავენ გაკვეთილების დაზეპირებაში, რომლებსაც აქამდისინ ცოტა სურვილი ჰქონდათ მათი სწავლისა იმ აზრით, რომ სადღა უნდა წავიდეთო თუ არ ღვდლებათო, კაი აზრია!!

25 აპრილი, ოთხშაბათი.

ეს ერთი კვირაა თითქმის, რაც აღარა მიწერიარა, თუმცა შესანიშნავი ჩასაწერი ამბები ბევრი იყო. დღიურის დარდი ვის ჰქონდა, ევროპიის გულის ძგერამ მიიტაცა ახალგაზრდები, რომლებიც მოუთმენლათ მოელიან, თუ რა გვარი იქნება შედეგი ამდენნაირ ვაი ვაგლახისა. რესპუბლიკური პარტია ყოველ დასავლეთის სახელმწიფოში გაძლიერდა, ანგლიაში და იტალიაში კი აპირებენ რევოლუციას. ამის თაობაზე გერმანიამ მოინდომა შეერთებული სახელმწიფოების ძალით ემოქმედნა რესპუბლიკების წინააღმდეგ და განეფანტა კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრესი, რომელსაც აპირებენ რესპუბლიკელები მომავალ წელს ლონდონში მაგრამ თავის საუბედუროთ ვერ მოუხდათ.

დღევანდელ გაზეთებში რუსეთს ძლიერ დასცინიან დასავლეთ-ევროპული გაზეთები. ისინი ამბობენ: „ეგ ისეთს საქმეებს სჩადის ეხლაო, რომ არცკი იყო ღირსი აღმოსავლეთის საქმეში გარევისაო. „ახალგაზრდობას ლამის ბოლო მოუღოსო, პოლიციას უმატებსო და სწავლულებს კი ამცირებსო“. ეგ სულ ამ კვირის ევროპული ამბებია.

23 მაისი, ოთხშაბათი.

21 მაისს სემენარიიდან შვიდი შეგირდი ვიყავით თავადაზნაურობის ყრილობაზე. თუმცა ლაპარაკი და პრენიები არ ყოფილა და ბევრიც არ შეგვიძენია რა მაგ წასვლით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ვიყავით, ეს როდის მომხდარა სემენარიაში კუვშინსკის ყოფნის დროს, რომ მისი შეგირდები დადიოდნენ პრენიებზე კლუბებში, თეატრებში, კაბინეტებში, ბიბლიოთეკებში და სხვ. (ეხლა ხმები დადიან, რომ ორივეს ინსპექტორსაც და რეკტორსაც ითხოვენო).

სწორეთ ახალი ერა დადგა სემენარიის ისტორიაში, აბა სემენარიელებო, თუ ხეირი გაქვთ, ახლაა თქვენი დრო.

ჩვენი საქართველოს წარმომადგენლები, ინტელიგენცია დღეს ერთ ზალაში ყველანი ვნახე, მაგრამ სასიხარულო რა იყო მაგათ ყრილობაში? ერთმა ტყუილათ კი არ შენიშნა: საფრანგეთის მარცხენა მხრის ყრილობას არ გავსო! მართლა ისე ცივად ეკიდებიან საქმეს, რომ კაცს გული აერევა. ყრილობაში ორმოცდა ათ წევრზე ნაკლები არ შეიძლება და ისინიც არ იყვნენ. უცადეთ, უცადეთ წევრებს და ბოლოს ავდექით და წავედით შინა. ყრილობა გადიდვა მეორე სამშაბათისათვის [2].

26 მაისი, შაბათი.

ბაევმა (მატემატიკის მასწავლებელი) მიბერტყა უ. კუვშინსკი. როგორია! უცხო ამბავია განა! აი როგორ იყო: ბაევი დღეს მოვიდა გაკვეთილზე (ეს პირველათ მოხდა, რაც ეგ აქ არის) ინსპექტორმა გალანძღა ბაევი [ბაიევი] და შემდეგი ეპიტეტებით შეამკო: „ლოთო, ზარმაცო“ და სხვ. იმან ეგ ვერ მოითმინა. ერთი ორი შიგ პრავლენიაში უდო, მერე სტაცა ხელი პალტოს საყელოში და რეკტორთან წაათრია მუჯლუგუნებით, აქაც ორიოდე ურტყა და გაანება თავი. ახლა მაგის დათხოვნაში ეჭვი აღარავისა აქვს და ძლიერაც უხარიანთ სემენარიელებს, მიტომ, რომ ახალი მოგვივა, იმას აღარ ეძებენ თუ როგორი იქნება კარგი თუ ცუდი!

1879 წ., 5 ენკენისთვე, ოთხშაბათი.

დღეს მე კლასში ვარ. ჩემ წინ ზის მასწავლებელი. ის მშვენივრათ და კოხტათ არის გამოჭიმული კათედრის სკამზე. იმის სიკოხტავეს უფრო მომეტებულათ ამშვენებს მშვენიერი თეთრი ფუნჩულა ხელები, ლამაზი, ვაშლივით წითელი ლოყები, კოხტათ დავარცხნილი თაფლის ფერი თმა, ჟუჟუნა თვალები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოხტად შეკვერცხლილი წვერი! წარმოიდგინეთ ახლა, რომ ამ ღვთისაგან ასე მდიდრულათ შემკულ სხეულს ამშვენებენ მშვენიერი, ძვირფასი ტანისამოსი!? არშინი რვა მანეთიანი მაუდის ფრაკი, თეთრი ანგლიური გახამებული პერანგი, მეტათ ამშვენებს იმის თეთრ ყელს. ეგ აბრეშუმის ყელსახვევი, ახალ მოდის შარვალი, ჩინურ ფეხებზე შვარცის ფეხსაცმელები. როგორია სურათი!? მიმზიდველი სახეა განა! უცქერი. საშაჯან, ამ სურათს ევროპიულათ მორთულს, მაგრამ რას ფიქრობ? შენც ხომ იმას არ ფიქრობ, რომ ჩქარა დიპლომი მიიღო, პროფესორობა და რასაკვირველია, მასთან ზემოაღწერილი სიმშვენიერეც? სრულებითაც არა. მე მაშინვე საღოლაშენისკენ გავკურცხლამ ხოლმე და აი იქ რას ხედამენ ჩემი ბედნიერი, ამ სურათის მომცქერალი თვალები. კათათვის პაპანაქებაში კევრზედ სდგა გლეხი, ეს ქვეყნის მუშაკი და ერეკება ხარებს. თავი მასაც კოხტათ აქვს მორთული, მაგრამ ევროპული შლიაპით, პარიკმახერის გაკეთებულის თმით და სუნებით კიარა, უბრალო წითელი ხელსახოცით, რომლის ტოტებსაც ქარი საყვარლათ აქანავებს. იმის წითლათ დაბეგრებულ ხელებზე, მზისაგან დამწვარ გულზე და შავ კისერზე, ვინ იცის რამდენი მტვერია?

28 ენკენისთვე.

ეხლა შენ რა წიგნები გაქვს საკითხავი, [მკითხა დღეს ერთმა] მეხუთელმა, მე მიუგე რომ პოლიტიკური ეკონომია ბლანკისა, მეორე ტომი ბაირონისა და ისტორია სტასიულევიჩისა[3]. მე უნდა გითხრა შენ, გააგრძელა იმან, რომ წიგნებს როცა კითხულობ ოროლ-თაობით ნუ კი წაიკითხავ, არამედ ეცადე სულ ერთათ წაიკითხო ხოლმე. თორემ თავში კავშირი არ დაგრჩებაო — „კაცო, ასე რო ვიკითხო, გაკვეთილები როდიღა ვისწავლო. მაგრე კითხვა მაშინ შეიძლება, როცა თავისუფალი იქნები. სტასიულევიჩის კითხვა კი აგრე უნდა, როგორც შენ მეუბნები—სტასიულევიჩი მაშინ უნდა იკითხო, როცა მასწავლებელი გაკვეთილს მოგცემთ. მეო—განაგრძელა იმან—მეორეში რომ ვიყავი, ლოკკი და ლეიბნიცი წავიკითხეო (ეს მწერლები, როგორც მახსოვან ერთი ბროშიურკიდან, დეკარტის კვალის კაცნი უნდა იყვნენ, აბა რასაკვირველია, სემენარიელი თუ წაიკითხავს ან პლატონს, ან სოკრატს, თორემ სხვა წიგნებს სად იშოვნის, სემენარიის ბიბლიოთეკაში არ არიან ახალნი, გარეთ გზა არ იცის) და ეხლა კი სტასიულევიჩს და კოსტომაროვის ისტორიებს ვკითხულობო, მე რომ მაშინ პატრონი და ხელმძღვანელი მყოლოდაო, ასე აღარ მომივიდოდაო (ხედამთ, როგორ შორე ცემს! თავის თავი ჩემს ხელმძღვანელათაც გახადა და პატრონათაც!). იმ კაცმა ახსენა, კოსტომაროვს ვკითხულობთო. რა ვქნა ეს კოსტომაროვი[4] ვინ უნდა იყვეს? ეს ის პროფესორი კოსტომაროვი ხომ არარის, რომელიც მოხსენებულია დობროლიუბოვის კრიტიკულ სტატიებში, თავის გამოკვლევით სლავიანებზე, ვარიაგებზე და სხვაზე? სწორეთ ის უნდა იყვეს. მოისმინეთ რას ამბობს ეს ყმაწვილი ამ კოსტომაროვზე. მე როცა ვკითხულობდი კოსტომაროვსო, просто я увлекся-ო, ხედამთ სემენარიაშიც ყოფილან იმისთანა გვამნი, რომელთაც შეუძლიანთ გატაცება რითიმე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა 7 ღვინობისთვე.

ამ ჟამათ ჩვენი—სემენარია წარმოადგენს იმ დროს ქუთაისის ღიმნაზიისას, როდესაც მას ასწერს გ. წერეთელი ოავის მოთხრობაში: „ჩვენი ცხოვრების ყვავილი". ჩვენი ეგ ორი მასწავლებელი იმ მასწავლებლების კოპირები იყვნენ, რომელიც სტავროპოლიდან გადმოიყვანეს ქუთაისის ღიმნაზიაში, და რომელსაც გული უკვდებოდა, რომ ხედავდა გამოყეყეჩებულ ყმაწვილებს ზეპირობისაგან.

რა ვართ, რა შედეგი ანუ რა მომავალი მოგველის ჩვენ, სემენარიელებს? ღვდლებათ უნდა წავიდეთ. მაგრამ რა არის ღვდელი ჩვენში? ის, რომელსაც არ შეუძლიან არავითარი სარგებლობა მოუტანოს ხალხს, მას არ შეუძლიან ხალხის შვილებს შკოლებში ასწავლოს, არ შეუძლიან მალ-მალ ეკლესიებში ქადაგებები სთქვას, იმიტომ რომ იმისმა ქადაგებამ ცენზორის კალმის ქვეშ, ე. ი. ეგზარხის ხელში უნდა გაიაროს, თავის ქადაგებაში ერთს იმისთანა აზრს ვერ იტყვის, რაც სამღვთო წერილს არ ეკუთვნის, თქვენც დამეთანხმებით, რომ ამისთანა ქადაგების თქმას სჯობიან სულ არაფერი სთქვა. მაშ, რის მანქანები არიან ღვდლები? მის რომ, ქელეხებში, აღაპებში თავს ისინი დასხდნენ? თქვენ დამიჯერებთ, რომ ბევრს სემენარიელს არ შეუძლიანთ ამისთანა ხელობაში შესვლა! მთელი შარშანდელი კურსიდან არც ერთი ღვლლათ არ წასულა! სამღვდელო შკოლიდან ღვდლებათ არ მიდიან, რაც გინდათ თქვით. მაგრამ ეს ძლიერ გასაკვირველია! რახან ღვდლათ ვერ წავალთ, მაშ, სად უნდა წავიდეთ? მეტყვით—სოფლის მასწავლებლათაო! მართალია, აქამდისინ სემენარიელებს ნება ჰქონდათ სოფლის მასწავლებლათ წასვლისა, მაგრამ ახლა ეგეც აღარა გვაქვს. ახლათ გამოსულმა მასწავლებლებმა, ახალი გახსნილი სამასწავლებლო შკოლებიდან, ჩამოგვართვეს ეს ნებები. რახან მასწავლებლებათაც არ შეიძლება წასვლა, მაშ, მეტყვით სამოქალაქო სამსახურში შედითო. მანდაც არ შეიძლება. აი რატომ, სამოქალაქო სამსახურში რომ შეხვიდე, რაც ექვსის წლის განმავლობაში დახარჯულა 7800, სულ ერთიანათ მოგთხოვენ. ხომ ხედავთ სიტყვით შესვლა კი შეიძლება და საქმით კი არა. რომელ სემენარიელს შეუძლიან მაგ ფულის შეტანა? პაპა ჩემის ფილიპეს ადგომას თუ მოუცდი, თორემ მე თავის დღეში მაგ ფულს ვერ მოვაქუჩებ! ხომ ხედავთ მკითხველო რა მდგომარეობაში ვართ სემენარიელები! განა ამის შემდეგ კიდევ შეიძლება რომ სემენარიელი ძლიერ ღრმათ არ დაფიქრდეს თავის ბედზე და მომავალზე? მაგრამ მომითმინეთ კიდევ გვაქ გზა—ეს გზაა მაღალი სასწავლებლები: უნივერსიტეტები და აკადემიები! მაგრამ აქვე უნდა შევნიშნო, რომ მაღალ სასწავლებლებში წასვლა ყველას არ შეუძლიან, ისინი არიან ძლიერ ცოტასთვინ, ვსთქვათ, გამოვიდა ერთი ორი ბედნიერი, რომლებსაც შეუძლიანთ წასვლა მაგ აკადემიაში, იქ რა უნდა გააკეთოთ? ხელმეორეთ ბიბლიის ზეპირობა უნდა დაიწყონ! ჰო. არც ეს არის შესაძლო ჩემისთანა კაცისთვინ. ახლა გეტყვით: თუ აკადემიაში არ მოგწონთ ღვთისმეტყველური საგნების გამო, უნივერსიტეტში არ წახვალთო? უნივერსიტეტებში! მათი კარები დიდი ხანია სემენარიელებისთვინ დაიკეტა! ეს ქნა ღვთისაგან დაწყევლილმა „მ ე ო რ ე ა პ რ ი ლ მ ა" ნეტა ვის მოუტანა ამ უბედურმა აპრილმა სარგებლობა? ჩვენ, თქვენ მკითხველო, თუ თვითონ მსრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელსა, ან ხელმწიფეს, ან კიდევ სახელმწიფოს? მე მგონი არავისთვის ზარალის მეტი არა მოუტანიარა და ეგ ზარალი პირველად ჩვენ საწყალმა სემენარიელებმა ვიგრძენით!! ესეც უნდა ვსთქვა, რომ უნივერსიტეტები სრულებით არ არიან ჩვენთვის მიუდგომელნი. ჩვენ შეგვიძლიან ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შესვლა. სახელმწიფოს თითქოს მიზნათ ის აქვსო, რომ ფილოლოგებად მარტო ღვდლის შვილები იყვნენ! აბა ერთი წარმოიდგინეთ ფილოლოგათ ვინ წავა? ეს მეექვსე წელიწადია, რაც ძველ ენებს ვსწავლობ და ვინ იცის, რამდენი დრო დავკარგე მაგაზე, რანაირათ ტვინი შემირყიეს და გამჭრიახობა დამიჩლუნგეს.

ამ დღეებში „თბილისის მოამბეში“ იყო დაბეჭდილი შემდეგი: „წელს ვორონეჟის სასულიერო სემენარია დაასრულა 50 შეგირდმა, ექვსმა ამათგანმა იშოვნა ალაგი მედავითნისა და გადამწერლისა, დანარჩომნი კი უალაგოთ დაეხეტებიანო. ეს ორმოცივე შეგირდი იზრდებოდა სახელმწიფო ხარჯზე, და მაშასადამე, სამოქალაქო სამსახურში ვერ შევლენ, სანამ არ წარუდგენენ იმ თანხას რაც იმათ აღზრდაზეა დახარჯული“. ამ ამბავს, რომ წაიკითხამდენ სემენარიელები, აბა მითხარით არ დაფიქრდებოდნენ თავის მომავალზე?

ღვინობისთვე 17.

დღეს მეორე გაკვეთილის შემდეგ ისეთი სიცილი და ხარხარი ასტყდა სიხარულისგან ჩვენს ოთახში, რომ მისი აღწერა არც კი შემიძლიან!

ამ ჩვენი სიხარულის მიზეზი გახლავთ უფ. გრიაზნოვი.

ეგ კაცი არის ერთი, რაღაც უმზგავსო, აქვს ტირანული მიხვრა მოხვრა. საშინელი თავის მოყვარე, ეგოისტი, დესპოტი, ჯოჯოხეთის აგენტი და ტარტაროზი! არც ერთი მასწავლებელი არ გვექცევა აგრე ცუდათ, გაზდილი ძველ პედაგოგიურ თეორიებზე, ბუნებით ძლიერ ბრაზიანია და თავის სიბრაზეში ხანდახან იქამდისინ მივა ხოლმე, რომ აღარ იცის რაქნას. ჩვენ არავითარ პატივს არ გვცემს, გვიცქერის ისე, როგორც ძველი პედაგოგები. მაგის აზრით ჩვენ არც ნება გვაქვს, არც სურვილი, არც თავისუფლება და არც ხმა საზოგადოებაში. როცა ჩვენ მას პროტესტს გამოუცხადებთ ხოლმე ბევრს გაკვეთილებზე, ის გაბრაზებული დაიყვირებს: „დასხედით, ჩემი ნება არის და აგრე უნდა იყვეს; მე გიბრძანებთ დაწერას და კიდევაც დასწერთო“, აი დევიზი ამ ხასიათ გაფუჭებული კაცისა! ამ კაცს, მე მგონია მიზნათ ისა აქვს, რომ ჭკუით დაცემულნი სემენარიელები თავის ბერძნულით გააცოცხლოს! აბა, ამისთანა კაცისგან, რომ ერთ საათსაც არის თავისუფლება მივიღოთ, სასიხარულო არ არის?

ველარ მოვითმინეთ ამდენი ჩვენი ღირსების შეურაცხყოფილება მისგან. შევიყარენით ჩემს მოხსენებულ სიხარულის დროს ერთათ თავი და დავიწყეთ ლაპარაკი, თუ როგორ და რა მოუხერხოთ უ. გრიაზნოის. გადავწყვიტეთ რომ ვიჩივლოთ რეკტორთან. საღამოს 7 საათზე გაგვგზავნეს რეკტორთან სამნი. ამოვიჩარე იღლიაში ოდისეი და თავჩაქინდრული წავედით რეკტორთან. მივედი კარებთან და შევჩერდით, არ ვიცოდით რა გვექნა! შევკრთით! ბოლოს როგორც იყო გავაღეთ კარები და შევედით, რადგანაც ჩემს ამხანაგებზე წინ მე ვიდექი წიგნით, ხელზე კოცნა პირველად მე მერგო. მოვახსენე მიზეზი, რისთვისაც მივედი, მერმე ჩემი ამხანაგებიც მოვიდნენ, კურთხევა აიღეს და გაჩერდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ. რეკტორმა მკითხა მერამდენე კლასელი ხართო, იმათ უთხრეს მეორეკლასელ ვართო და მაგ საქმისთვინა ვართო, რისთვინაც ყიფშიძეო, ამ საქმისთვის ესეც კმარაო, თქვენ მიბრძანდითო.

მე მოვახსენე, რომ გრიაზნოვი ჩვენ გვაწუხებს და გვავიწროვებს მეთქი. გაკვეთილებს სასტიკათ თხოულობს და ძლიერ ბევრსაც გვაძლევს, თითო გაკვეთილზე ოც ლექსზე მეტს მეთქი. ამ დიალეკტს ჯერ კარგათ არ ვიცნობთ, ცოტ-ცოტა უნდა მოგვცეს. გაკვეთილებს კიდევ გადაუწყდეს, როგორც იქნება ვისწავლით, მაგრამ საშობაოსთვის მოგვცა ასი ლექსი, რომლებიც ორნაირათ უნდა გადავთარგმნოთ, წმინდა რუსულით და სიტყვა სიტყვით სინტაქსიურათ გავარჩიოთ და გომერის საკუთრებებში (особенности) ვაჩვენოთ. მაგრამ ნათქვამია, კედელს ცერცვი შეაყარეო, მე თუმცა ბევრი ვილაპარაკე, მაგრამ მე მგონი არც კი გაუგონია. ბოლოს დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ რა მითხრა, რომ იტყვიან: „მე მაჭონს ვეუბნებოდი ის დოს მოარბეინებდაო". სწორეთ ისე მოხდა: მე გრიაზნოის უჩიოდი, ის კი მეუბნებოდა რომ ბერძნული ძლიერ უნდა ისწავლოთ; ეს ახალი წესდებით არის დადებულიო. მე მინახავს, რომ ვოლოგდის სემინარიაში უფრო ბევრიც უთარგმნიათო, მაგის გარდა ეხლა ღიმნაზიებში ძლიერ თხოულობენო. მე დავატყე, რომ ეს ჩემს სასარგებლოს არღარას იტყვის მეთქი, რადგანაც ჩემი ჩივილის საგანი ბანზე შეისროლა და სიტყვის შებრუნებაც ველარ გავბედე, ავდეგ და გავჩუმდი. იჯიჯინა და ბოლოს დამითხოვა. საჩქაროთ გამოვვარდი გარეთ. როცა ძლიერ თავისუფლათ ამოვისუნთქე, ამხანაგები კარიდორში მოცვივდნენ, გამოვყავ თავი თუ არა კარებიდან ხარხარით მომცვინდნენ, რა გითხრა, რა გითხრაო?

შემოვედი ოთახში და ერთი სიტყვით უთხარი „რეკტორზე ტყუილათ ნუ გაქვთ იმედი, ის არამც თუ გვიშველის, არამედ ცეცხლზე წყალს დაგვისხამს". ყველას შეეტყო, რომ ამ სიტყვებმა იმათ სახეზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. მაშ რა ვქნათო, დაიძახეს ყველამ ერთხმათ. ის ვქნათ უთხარი მე, რომ შევიყაროთ ერთათ, რამდენიმემ, თავი, გადავთარგმნოთ რამდენიმე ლექსი და მიუგდოთ, მერმე რაც უნდათ ის ქნან. მე შევიტყე, რომ ეს არავის არ ესიამოვნა. წამოდგა მერმე მეორე და თამამათ დაიძახა: „სულაც ნურაფერს დავწერთო". ამ სიტყვებმა ხელახლა გაამხიარულეს ჩემი ამხანაგები და ტაშიც ბევრი უკრეს. „ერთ სიტყვასაც არ დავწერთო, არ დავწერთო!" ყვიროდნენ აქეთ იქიდგან. მე რასაკვირველია თავი ჩავდუნე სირცხვილისგან, ვფიქრობდი, თუ ასე უალაგო ალაგას რათ წამოვროხე ეს უადგილო აზრი და ან რა დროს მართებლობის მხარეს დაჭერის დრო იყო? არა, ნუ იფიქრებთ, რომ მე ეს წამომეროხოს. მე ეს კარგათ მქონდა აწონილი და ვიცოდი, რომ დრო არ იყო. მაგრამ მაინც უნდა მეთქვა. მე ჩემს ამხანაგებს კარგათ ვიცნობ, რაც შვილები არიან. ეხლა თუ აგრე ცხარეთ იძახიან „არ დავწერთო". საშობაოთ, როგორ ჩუმ-ჩუმათ შეუდგენ მის წერას! აბა თუ მოიგონებთ შარშანდელ დღიურში რომ მქონდა აღწერილი, თუ როგორ შევკარით პირობა, გაკვეთილი აღარ მიგვეგო და ეგ პირობა ვერ ავასრულეთ? მაგ პირობაში დავისაჯე ყველაზე პირველათ მე და ეხლაც მე მგონი მერე დავისჯები. მე ეს კარგათ ვიცოდი და მსურდა უბედურება ამეცილებინა, როგორც ჩემი თავისა ისე ამხანაგებისაგან, მაგრამ ჩემს მოწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაალმდეგემ დამჯაბნა! მაგრამ მე ყურს დაუგდებ. ვნახოთ ბოლო რას გვიჩვენებს?

21 ღვინობისთვე

გიგას რომ პირველათ ჩემი დღიური ჩაუვარდა ხელში, ერთის მხრით ძლიერ გაუხარდა, ეგონა რომ იმის ძმა არხიმედის ურდულს იპოვიდა. მეორეს მხრით, დაფიქრდა ეგება ის აღარ დასწეროს დღიურში. გრძნობს და ერთობ ცუდი იქნებაო. ამის გამო ადგა და მითხრა: „დღეის უკანაც ისე იქონიე დღიური როგორც აქამდისინ, ვითომც მე არც კი ვიცოდეო“ (შემდეგ წავიდა და მთელი ქვეყანა შეეყარა, ჩემს ძმას დღიური აქვს! ასე გაშინჯეთ ანთიმოზსაც კი შეატყობინა!), რომ მე დღიურში ნამდვილი გულითადი გრძნობა მეწერა ამაში მით უფრო დამარწმუნა რომ ბერნეს[5] სტატია, რომელშიაც არის ახსნილი, თუ როგორ კაცი სამ დღეში გახდეს ორიგინალურ მწერლად, წამაკითხა. სწორედ ამნაირ აზრისა იყო ჩემი ძმა ჩემზე წარსულ კვირემდისინ. ეგება ის არაკი იყო მაგრამ მე კი ოდნავ ვიფიქრებდი. წარსულ კვირას წავედი ჩემ ძმასთან და წაუღე დაბროლიუბოვის წიგნი. ამ წიგნზე შენიშვნა არ დაგიწერიაო? მკითხა იმან არა მეთქი, უთხარი მე. თუ კი რადიშჩევის[6] წიგნზე დასწერეო? როგორც ეტყობა ახლა რომელ წიგნსაც იმას გამოვართმევ იმ პირობით, რომ მე მათ კრიტიკა ან შენიშვნები უყო ჩემს ღღიურში,

ორ შეგირდს ბერძნული სიტყვები აქვთ ამოწერილი ერთ რვეულში. გრიაზნოიმ უთხრა ერთს იმათგანს: „ეს რა კომუნიზმობა არისო“. ჩვენ შეგირდებმა ხვალ დაფაზე უნდა დაუწეროთ: „Класицизм да коммунизм—горшок котлу не товариш“.

6 გიორგობისთვე

პირველს ღვინობისთვეს თბილისის სასულიერო სემინარიის სასამართლოში [სამმართველოში] მოვიდა სინოდიდამ გადაწყვეტილება უ. კუვშინსკის და რეკტორ აბრამის დათხოვნაზე. ჯერ ეს ამბავი მე მგონი არც რეკტორს და არც კუვშკინსკის შეეტყოთ, რომ მთელმა სემენარიამ იცოდა ეს! ძლივს არ ელირსათ სემინარიელებს მაგის მოშორება! სინოდმაც ძლივს არ გაბედა მაგის დათხოვნა, მაგრამ მოუსვენარი გაზეთები რას არ იზამენ! (თუ მართებლობას რათ ეზარებოდა უ. კუვშინსკის დათხოვნა, ამას შემდეგ შეიტყობთ). იმ ღამეს, როცა შეგირდებმა კუვშინსკის დათხოვნის ამბავი შეიტყვეს ისეთნაირი მხიარულება იყო სემინარიაში, განსაკუთრებით მაღალ კლასებში, რომ გარდმოცემაც არ შემიძლიან.

მთელმა ქვეყანამ იცის, რა ფრინველიც არის უ. კუვშინსკი! მე კიდევ ვიტყვი ცოტას მასზედ, რაც ვერ გაბედეს გაზეთებში გამოცხადება, პირველად: ის იყო მტერი ყოველგვარი თავისუფლებისა, მეორედ: ყოველგვარი რუსული და განსაკუთრებით გარედან შემოტანილი წიგნებისა, აგრეთვე ქართულისა, ის იყო გაუკითხავი მტერი, მესამედ, რომ მაგის ხელში შეგირდები ჭკუა გონებით უკან მიდიოდნენ, სანამ წინ, ამაში ეჭვი არ არის (ეს ითქმის მხო



ანტონ ფურცელაძე (1839—1913)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ მომეტებულ ნაწილზე უფრო თხელ ხასიათებზე. ამისთანა ნატურები, რომელსაც არ ემორჩილებოდნენ მას., ირიცხებოდნენ). მეოთხე, რომ კუვშინსკის მიზნათ ჰქონდა ერეკნა თავის შკოლიდგან უფრო ნიჭიერნი, ჭკუა გახსნილნი შეგირდები, იმის მსხვერპლად განსაკუთრებით ხდებოდნენ თბილისის უჩილიშჩის შეგირდები!

ათს საათზე, როდესაც ყველა შეგირდებს ეძინათ, კუვშინსკი შევარდა პატარა სპალნიაში, მივარდა ერთ კოიკასთან და შეგირდს დაუძახა, „ეხლავე აღზდექი და ტანთ ჩაიცვიო? გულგახეთქილი შეგირდი წამოვარდა და უთხრა: რა გნებავსთო. კუვშინსკი: ეხლავ ტანთ ჩაიცვი, ჯანდრები გელიანო; საწყალი შეგირდი შეკრთა. ვერ წარმოედგინა, თუ ან რა დროს კუვშინსკი იყო, ან ჯანდრები! უბედურმა კანკალით ტანთ ჩაიცვა და გაყვა თავის ჯალათს, ძირს ჩაიყვანა თავისი მსხვერპლი და უთხრა „გატყუებო, წადი დაიძინეო და დილაზე მოგელაპარაკებიო“! ერთხელ სთქვა ერთმა მეხუთელმა: სადილის შემდეგ ჩვეულებისამებრ წამოვედი მაღლა ბალკონებზე, ამ დროს მომესმა ხმა უკნიდან: „კუვშინსკი მოდის ქართული წიგნების, დასაჩხრეკათაო!“ მე საცოდავს ერთათ ერთი ქართული წიგნი მეგდოო, იმასაც წავავლე ხელი და ზარულში ჩაუძახეო.

პირველ ღამეს, როცა კუვშინსკის დათხოვნაზე შევიტყეთ, პირისაბანს ზალაში კარგი დრო გავატარეთ. ბევრი ვილხინეთ და ვითამაშეთ.ისეთებმაც ითამაშეს, რომლებისგანაც სრულებით არ მოველოდით. რამდენიმე ხნის შემდეგ წავედით დასაძინებლათ მხიარული გულით. ეს არაფერი, დღე მშვიდობიანათ გათავდა. მეხუთელები შეუდგნენ შპიონების გამოძებნას. პირველს ორ დღეში შინაურულათ უმტკიცებდნენ შპიონებს იმ ფაკტებით, რომელიც თვითონ იცოდნენ და მესამე დღეს კი ოფიციალურათ დაუწყეს დამტკიცება. მეორე დღესვე მეხუთის ინიციატორებმა გამოსცეს საშინელი ედიქტი, რომელიც გვიცხადებდა შპიონის სანელებს და გვიკრძალავდა მათთან ლაპარაკს. ურიგო არ იქნება, რომ თქვენც იცოდეთ უპირატესი შპიონების სახელები: უ. ბერიევი, რეკტორის შპიონი, უ. ივანე ობოლენსკი, ორთავეს რეკტორისაც და ინსპეკტორისაც. პირველათ, როგორც ვთქვი შინაურულად უნდა დაემტკიცებინათ და შპიონობაში გაეტეხნათ, მეხუთელი შპიონები ვერ გასტეხეს. ამის შემდეგ იხმარეს სხვა საშუალება. მოიწვიეს მთელი სემინარიიდან ყოველი შეგირდი, რომელმაც კი იცოდა რანაირიმე ფაქტი შპიონობის დასამტკიცებლად. ამ სახით მეხუთე კლასში შევიყარენით ორმოცამდინ კაცი. თქვენ კი არ იფიქროთ, რომ აქ არეულობა ყოფილიყვეს რამე. სრულებითაც არა. პოლიციისკის როლს ასრულებს ორი სემენარიელი, რომელნიც იდგნენ ორ კართან: თავმჯდომარეთ გვყავდა უ. ტარასი ჭიჭინაძე, რომელიც იჯდა შუა ალაგას, მის წინ იჯდა ობერსეკრეტარი უ. ჯაჯანიძე, სწერდა შეგირდების ჩვენებებს. ერთს გვერდზე სეკრეტრის და თავმჯდომარისა იდგნენ ორნი ბრალმდებელნი обвинители (უკაცრავად სიტყვის უცოდინარობისგან, ჩუბინოვის ლექსიკონი ვერ ვიშოვნეთ თორემ არ შემცდებოდა, ეგ სიტყვაც ერთმა იმერელმა შეგირდმა მასწავლა). მეორეს მხარეს იდგნენ დამნაშავენი ე. ი, подсудимые.. ღმერთო რა ცეცხლი ეკიდებოდათ და ალმური ასდიოდათ საწყალ შპიონებს. უ. ობოლენსკიმ ველარ მოითმინა, წამოხტა და თავმჯდომარეს უთხრა: „Разве не достаточно, что обвинили в шпионстве в

ეროვნული ბიბლიოთეკა

виду целого класса. что еще призвали суда всех семинаристов? Ведь еще не доказали что мы шпионы? Разве возможо, чтобы ученик высшего класса судился учеником нисшего класса?„ ეს უთანხმოება რომ გამოაცხადა, თავმჯდომარემ უთხრა „დაბრძანდითო“, საცოდავი დაემორჩილა. აი, დედა, რანაირათ გამოიცვალა დრო? გუშინდელი კუვშინსკის მოენე დღეს შეუბრალებლათ გახადეს. ნათქვამია: რასაც დასთეს იმას მომკიო. დიკტატორივით სჯიდა სემენარისტებს. ესენიც მაგრად სჯიან თავის ტყვეს, მაგრამ დაუბრუნდეთ თვითონ ყრილობას. ჩვენების ჩამორთმევა დაიწყეს მეორელებიდან. სამის მეტი არ გამოჩნდა მეორეში, რომელსაც წარედგინა ყრილობისთვის რაიმე შპიონებს წინააღმდეგი ფაქტები. შეგირდი რომ გაათავებდა ლაპარაკს, პრეზიდენტი დასვამდა მას და წამოაყენებდა იმ შპიონს, რომლის წინააღმდეგაც იყო ლაპარაკი შპიონისთვის გასამართლებლად იტყოდა რასმეს და დაჯდებოდა. ობერ-სეკრეტარი ამეებს სუყველას სწერდა, მერმე ხმოვან[ნ]ი გასინჯავდნენ ფაკტს მოყვანილს, ექნება რაიმე ძალა თუ არა, შეუძლია დაუმტკიცოს შპიონს შპიონობა თუ არა, რეზოლუციასაც ობერ-სეკრეტარი შეიტანდა დოკუმენტებში.

ამგვარათ ჩამოართვეს მეორელებს ჩვენებები. შემდეგ პრეზიდენტმა მოიწვია მესამელები. მესამელებმა ყველაზე მეტი ფაქტები წარუდგინეს ყრილობას შპიონების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ორმა შეგირდმა უ. ოდიწარიამ და უ. ბორისოვმა. უ. ბორისოვმა ყრილობა აღტაცებაში მოიყვანა თავისი მშვენიერის ლაპარაკით. მეხუთელებს ყრილობაში თავიანთი ფაქტები არ წარმოუდგენიათ, რადგანაც მაგათ წინა დღეს ცალკე ჰქონდათ ლაპარაკი. მეოთხელებმა ძლიერ ცოტა ილაპარაკეს, მეექვსელებმა ხომ სულ არაფერი. ვერ გამიგია ეს რა მიზნით მოხდა, მაგათ უფრო ბევრი არ უნდა სცოდნოდათ? ეს ერთმა ჩემმა ამხანაგმა ახსნა ამ გვარათ: ეგენი იმიტომ მოღორდნენო, რომ წელს გასვლას აპირობენო და ეშინიანთ, რომ ზრდილობა [ყოფაქცევა] მთავრობამ არ გაგვიფუჭოსო. თუ ეს მართლა აგრეა, სირცხვილი მაგათ ვაჟ-კაცობას! თუ საინტერესო იქნება მოვიყვან ორიოდე ჩვენებებს, რომლებიც წარმოადგინეს მესამელებმა შპიონის წინააღმდეგ. ჩვენება ეკუთვნის უ. ფარეშიშვილს. უ. ობოლენსკი,სთქვა ფარეშიშვილმა, ამა და ამ დროს მე მქონდა შენახული წიგნი „ცისკარი„ 171 პარტაში, როდესაც შეგირდები ოთახში არ იყვნენ. თქვენ შეხვედით იქ და რაღასაც ჩხრეკდით. მეორე დღეს უ. კუვშინსკიმ დამიბარა, გამორიცხვას დამემუქრა ქართული წიგნების ქონებისათვის. ამაზე რას იტყვიო უ. ობოლენსკი, ჰკითხა თავმჯდომარემ, „Я, сказал Оболенский, не отрицаю того, что ходил тогда по комнатам. Я имею привычку ходить по комнатам во время урока грузинского языка и отыскивать книги для чтения“.—„Странная у вас привычка г. Оболенский“, ответил г. Парейшвили. Такой остроумный ответ заставил всех дружно расхохотаться. როცა ჩვენების ჩამორთმევა გათავდა, ყრილობაც დაიშალა. ეს ერთი ამბავი კარგად გვიმტკიცებს, თუ როგორ გამოიყენეს ერთი კვირის თავისუფლება სემინარიელებმა!

ამ ორ ამბავზე თუ ბევრი გელაპარაკეთ, ახლა უფრო ერთგვარი ამბები არიან და ცოტასაც ვილაპარაკებ. საქმე იმაშია, თუ ამ ანარხიის დროს შეგირდები რაგვარ ეკიდებოდნენ თავიანთ მასწავლებლებს. ეს უბრალო სიმართლე ხომ ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამ იცით, რომ ჯაჭვიდან აშვებული ძაღლი უფრო ავია, სანამ თავისუფალი. ასე იყო სემენარიაში. ჯაჭვი იყო უ. კუვშინსკი, ძაღლები სემენარიელები და მასწავლებლები კი გამვლელ გამომვლენი. თქვენც კარგათ იცით, რომ ჯაჭვი აგვაცილეს, გაექანენ მერმე, ჩემო ბატონო, ეგ გაბოროტებული ძაღლები, ანუ სემინარიელები, ეცნენ თავიანთ მასწავლებლებს და ვაი თქვენს მტერს, რაც დღე დააყენეს! ზოგს კუნთი გამოაგლიჯეს, ზოგს ფრაკი ჩამოფხრიწეს, ზოგს შლიაპა დაუჭყლიტეს და ზოგი კიდევ შიშისაგან ცხრა მთას უკან გარდილეწა. ეს ბედი ყველას არ ეწია. თქვენ ისიც კარგად იცით, რაც უნდა ავი და ბოროტი ძაღლი იყვეს, მაინც საყვარელი ჰყავს. ესე ჩვენ სემენარიაშიც იყო. იმის გამო რომ ძაღლებსაც საყვარლები ჰყავთ: ჩვენს სემენარიაში ზოგიერთს პროფესორებს არამცთუ დაახიეს ფრაკები, არამედ არც კი დაჰყეფეს.

ვათავებ ჩემო საყვარელო ძმავ უ. გოდორია*, ერთის კვირის აღწერას სემენარიის ცხოვრებიდან! იმ ჩემი ნათქვამიდან შენ შეგიძლიან გამოიყვანო ის დასკვნა, რომ კუვშინსკი საჭირო ყოფილა მართებლობისთვის, რაზედაც ცოტა ზემოთ მოგახსენეთ. აი რისთვის, კუვშინსკი რომ აქ ყოფილიყო, არამც თუ არ მოხდებოდნენ ეს ამბები, მე მგონი აზრათაც არ მოსვლოდათ ესეები სემენარიელებს. რადგანაც ამისთანა დემონსტრაციები განსაკუთრებით შკოლებში სრულებითაც არ მოსწონს მართებლობას, მაშასადამე, ის კაცი, რომელიც ძირიდან ამოფხვრიდა ამისთანა დემონსტრაციებს, უნდა ყოფილიყო საყვარელი მართებლობისა! საცინელი არ არის, რომ ის საშუალო კაცი, რომელიც არის ჩვენსა და მართებლობას შუა, რომლის ვალიც ის არის, რომ ჩვენ მართებლობა შეგვაყვაროს და მართებლობას კიდენ ჩვენი თავი, ერთს მხარეს ასე ეჯავრებოდეს და მეორეს კი უყვარდეს! აქედან ცხადათ სჩანს, რომ მართებლობას სულ სხვა უნდა და ჩვენ სულ სხვა.

13 გიორგობისთვე, სამშაბათი, აღებლამე.

ჩვენმა გამგეობამ დროებით ინსპექტორათ და რეკტორათ ამოირჩია უფ. პ. ს. პოტოცკი** და ფავორსკი—რეკტორათ. ორთავენი სამღრთო წერილის მასწავლებლები არიან. მე ამ შენიშვნაში ვილაპარაკებ მარტო პოტოცკიზედა. სრულებით არაფერს ვიტყვი რეკტორზე. მითომ რათაო, მკითხამთ ზოგიერთი. მიტომ რომ ჩვენ სემინარიებში რეკტორებს არაფერი მნიშვნელობა არა აქვთ, იმათი საქმე ლოცვაა. საქმე ინსპექტორია! თუ ინსპეკტორი კარგია, რეკტორი ფუჭ!. ერთი სიტყვით ინსპექტორზე კიდია სემენარიის ბედი და უბედურება. ამიტომაც ჩემი ლაპარაკის საგნათ იქნება პოტოცკი—ინსპექტორი და არა რეკტორი—ფავორსკი.

* გოდორია—ფსევდონიმია დღიურის ავტორის უფროსის ძმისა გრ. ყიფშიძის.—

** პ. პოტოცკი ერის კაცი იყო. ინსპექტორად დარჩა 1889 წლამდე. სემენარიელები მეტსახელად „შეხანიას“ ეძახდნენ ასო „ს“—მაგიერ „შ“-ს ამბობდა. სასტიკი და ცოფიანი ადამიანი იყო; ერთხელ, როდესაც გვიან ღამე თავისებური ფეხების ბაკუნით, შევიდა სემენარიელების გრძელ საწოლ ოთახში, მოწაფეებმა უკანა საწოლებში სინათლე ჩაუქრეს, როცა გამობრუნდა ბნელაში დარჩა, მოწაფეებმა ყვირილი მორთეს და ბალიშები დაუშინეს. რის ვაივაგლახით გულგახეთქილმა გამოაღწია აივანზე. შემდეგში ხელის ფარნით დადიოდა ხოლმე საწოლ ოთახში. გ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს დროებით ინსპექტორს ჰქვიან სახელათ პავლე სიმონიჩი, მაგრამ შეგირდები ეძახიან პავლიას, მეც მაგ სახელს უწოდებ. უნდა გითხრათ, რომ სანამ პავლიას ინსპექტორად ამოარჩევდნენ, როგორც ბიბლიის მასწავლებელს, შეგირდები ცუდათ უცქეროდნენ მაგას. შეგირდები ამბობდნენ მაგას, რომ ინსპექტორობა მისცენო, ძლიერ სასტიკათ მოგვექცევაო და შეგვაწუხებსო. ეს ჩვენი ამნაირი მაგაზე შედგენილი აზრი, კინაღამ არ გაამართლა უ. პავლიამ, ანუ პავლე სიმონიჩმა. მეორე დღეს ინსპექტორად დაყენების შემდეგ, ლოცვის შემდეგ (შაფათი იყო) შემოვიდა და გვითხრა: ეკკლესიაში ძლიერ ცუდათ დგეხართო, ხან ერთ ფეხზე გადაწვებით, ხან მეორეზეო და წამდაუწუმ გამორბიხართ გარეთო, სხვა ზავედენიებში, მაგ. კლასიკურში, მე ეს არ მინახავსო. გთხოვთ რომ აღარც სემენარიაში იყოს ესო. ამ სიტყვებმა სულ ერთიანათ დააფრთხო სემენარიელები.

რასაც ვფიქრობდით გვიმართლდებაო, იძახდენ სემენარიელები. ამნაირათ დაიწყო უ. პავლე სიმონიჩმა ინსპექტორობის მოვალეობის ასრულება და ამ ნაირად მიიღეს შეგირდებმა.

როგორც ზემოთ ვთქვი ჩვენს სემენარიაში დიდი არეულობა და მღელვარება იყო შეგირდებში შპიონების გამო. ამ საქმის გამოსაძიებლათ პრავლენიემ დანიშნა უ. პოტოცკი. ერთ კვირა დღეს მაგან შეკრიბა მთელი სემენარიელები (პირველ კლასელების გარდა) ერთს დიდს ზალაში, სადაც გამოძიება იყო დანიშნული. პოტოცკი შეუდგა გამოძიებას. შეგირდები ფაქტებს ადგენდნენ, შპიონები თავს იმართლებდენ. უ. პოტოცკიც თავის მხრით რაც შეეძლო ამართლებდა შპიონებს. ეს რასაკვირველია, შეგირდებმა კარგად შენიშნეს. პოტოცკი თხოულობდა ნამდვილს ფაკტებს, შეგირდებმა ის ვერ წარუდგინეს და ამის გამო ჩვენი საქმე ცუდათ მიდიოდა. ბოლოს ერთმა შეგირდმა ვეღარ მოითმინა და უთხრა პავლესა,—ნამდვილს ფაკტს რას ეძახითო? ნამდვილ ფაქტს იმას ვეძახიო, მიუგო გამოძიებელმა, რომ ვისმეს ყური მოეკრას, როცა შპიონი ამბავს უზიდავდაო. ჩემის აზრით ამ სიტყვებს სულელიც არ იტყოდა, არამც თუ განათლებული კაცი. არა. ისეთი ოხერი ვინ იქნება, რომ სეკრეტი რამე სალაპარაკო ჰქონდეს, სხვა კაცი დაინახოს და არ გაჩუმდეს! მაგის გარდა: რა არის შპიონობა? ის არის დაფარული საქმე. მაშ, თუ აგრეა, შპიონს ისეთს ფაკტებს და დამტკიცებას წარუდგენენ, რომ თავი არ გაიმართლოს? აი მაგალითებრ: ერთი ფაქტი, თუ შპიონმა როგორ გაიმართლა თავი. თუმცა ძლიერ გაგრძელდება უიმისოთაც გძელი ბაასი. მაგრამ მოვიყვან სიტყვა-სიტყვით. ფაქტი ეკუთნის, უ. ბორისოვს, „ამა და ამ დროსო სთქვა ბორისოვმა—მე და სიმონ შანშიევი წაველით ფერშალთან ქეიფის გასატარებლად, სადაც ფერშლის გარდა იყვნენ კიდევ ორნი ეკონომნი, ახალი და ძველი. ამ დროს წმინდათ ღამის თორმეტ საათი იყო. (ეს აზრი არ შეიძლება რომ ტყუილი იყვეს, მიტომ, რომ ამაზე ადრე კუვშინსკის გამო ქეიფებს ვერ გაბედავდნენ. ეს თორმეტი საათი კიდენ მითია შესანიშნავი, რომ ამ დროს სემენარიაში ყოველს სულგმულს სძინავს. სემენარიაში იძინებენ ათს საათზე და თუ რომელიც შეგირდი არ დაიძინებს ამ დროს, თუ კუვშინსკი

* ბორისოვი და შანშიევი უფროსი კლასის მოწაფენი იყვნენ—გ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუტყობდა და ანგელოზებს დაუფთხობდა ცოტაოდენი,რომ გადავსვით—განაგრძელა ორატორმა სიმღერებიც შემოვძახეთ. ამ დროს შევნიშნეთ რომ ერთი ვიღაც პირი ნელ-ნელა ხან ერთ კარებიდან მოვა და დაგვიგდებს ყურს, ხან მეორე კარებიდან (ის ოთახი, რომელშიაც სვამდნენ არის საავადმყოფოს გვერდზე და აქვს ორ მხრივ კარები). ჩვენ შეგვეშინდა, გვეგონა რომ რეკტორია, რადგანაც იმას ჰქონია ჩვეულებათ პირველ საათზე საწოლებში და საავათმყოფოში სიარული შეგირდების დასახედათ. ადგა კამპანიიდან ძველი ეკონომი და გამოიხედა გარეთ, იქ იმან ნახა კოიკაზე უ. ივ. ობოლენსკი. იმავ მინუტში დაბრუნდა და გვითხრა ჩუმათ იყავითო, გარეთ ერთი ვიღაცა ზისო. მეორე დღეს, სთქვა ბორისოვმა, დამიბარა კუვშინსკიმ და გამლანძღა, გამორიცხვასაც დამპირდა. ეს ამბავი ვინ შეატყობინა უ. კუვშინსკის თუ არ ობოლენსკიმ, ჰკითხა გამომძიებელს უ. ბორისოვმა. ახლა შენი რიგია, უთხრა გამომძიებელმა ობოლენსკის. იმანაც დაიწყო: „ყველამ იცით კუვშინსკი გაზეთების კითხვას გვიშლიდა, მაგრამ მაინც ვკითხულობდით. გაზეთი დღისით მე არ მერგო, ის მომცეს ვახშამთ უკან. წასაკითხათ სპალნიაში ვერ წაველი, რადგანაც შეგირდებს დაუშლიდიო, ავდექ საავათმყოფოში წაველი. საავათმყოფოში, რომ შეველი, ყველას ეძინა და ლამპა ჩაშვებული იყო. ლამპა ვერ ამოუწიე, რადგანაც მეშინოდა, რომ შეგირდები არ გავაღვიძო მეთქი. იქიდან გავედი კარრიდორში, დავჯექ კოიკაზე და დავიწყე კითხვა, სადაც მერმე მნახეს". აი ჩემო—მკითხველო ფაკტები, ახლა აქედან შენ დაუმტკიცე, რომ ობოლენსკი* შპიონია. მე ახლა მოგაგონებ, რომ იმ თორმეტს საათზე ზემოთ ტყუილათ არ გელაპარაკე. მე კი ჩემის აზრით, ვიტყვი, რომ ობოლენსკის არ შეეძლო თორმეტ ანუ პირველ საათზე კითხვა გაზეთისა საავათმყოფოში. თუ იმას გაზეთი მისცეს ვახშამს უკან, მაშასადამე, გაზეთის კითხვა მოხდებოდა ათიდან თერთმეტ საათამდინ და არა თორმეტს და პირველს საათს შუა. გაცხარებული პოტოცკი ამ ფაკტს, რომ არჩევდა, ამართლებდა შპიონს. შეგირდებმა ეს ველარ მოითმინეს და პირდაპირ დაუწყეს ჩხუბი. ნილომ უთხრა: შენი ვალი ის არისო რაც გითხარით ჩასწეროთ და გამგეობას წარმოუდგინოთ, არა ისა, რომ აქ ჩვენ გვეჩხუბო—ეს ჩემი ნებაა—უთხრა პაველ სიმონიჩმა, ჩავრიცხამ საჭიროთ, წარვუდგენ პრავლენიეს. არ ჩავრაცხ საჭიროდ, არ წარვუდგენ. რახან აქ ერთის კაცის ნება ყოფილა და არა მთელი გამგეობისა. ჩვენ ბევრიც, რომ ვიჩხავლოთ, ველარას გავარიგებთო. ამ დროს ერთი შეგირდი ადგა გამოვიდა გარეთ, იმას უკან სხვები დაედევნენ, დარჩა მარტოკა ერთი პოტოცკი კათედრაზე! თუ რაგვარ ან გაყვითლდა და ან გაწითლდა, ეგ თქვენ წარმოიდგინეთ! საცოდავი პოტოცკი არ იტყოდა თავის გულში ეს რა ჯოჯოხეთში ჩამაგდესო! ერთი ორიოდე შეგირდი დარჩა იქ და იმათ აუხსნეს, რომ შეგირდები კმაყოფილნი არ არიან თქვენის გამოძიებითაო. ეს კიდენ არაფერი, ცეცხლი ის არის, რომ შეგირდები როცა ზალიდან მიდიოდნენ, ყვიროდენ: „Подкуплен, пристрастно судит!" ასეთ ნაირათ

* ამ ობოლენსკის ძმა—ალიოშა ობოლენსკი ათი წლის შემდეგ სწავლობდა თბილისის სემინარიაში და დაუნდობელ შპიონად იყო ცნობილი მოწაფეთა შორის. იგი მასწავლებლად იყო შემდეგში.—გ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღეს სემენარიელებმა თავიანთი დროებითი ინსპექტორი, რომელმაც პირველ თავის მოქმედებაში ნამდვილი ფიასკო მიიღო! პოტოცკის პირველი მოქმედებები სემენარიაში ამით არ გათავებულა, მომსხო ქვემოთ არის!

4 ქრისტიშობისთვე, სამშაბათი.

ამ ორი კვირის განმავლობაში სემენარიის მართებლობამ გამორიცხა ოთხი შეგირდი. ამ ამბავს შეგირდები რასაკვირველია სუყველანი ერთნაირათ არ უცქერიან. ერთნი კუვშინსკის მომხრენი იძახიან: „არ ვამბობდით; რომ კუვშინსკის შემდეგ უფრო ცუდი დრო დაგვიდგებაო! ერთის სიტყვით ეს პარტია ამ საცოდავების გამორიცხვას აწერს უ. პოტოცკის, მეორენი ამბობენ, რომ ეს ანარხიის და ინტრიგანობის ნაყოფიაო, მესამენი კიდენ—რომ ეგენი ღირსნი არიან გამორიცხვისაო. მე კი არც ერთი პარტიის აზრს არ ვეთანხმები. მე ჩემის მხრით ვიტყვი, რომ სემენარიაში სულ სხვა ჯიშის ხალხია, ესენი სრულებით არ გვანან სხვა ზავედენიის შეგირდებს. რაც აქ ამბები ხდება, ამათ მე მგონი სხვა შკოლებში ალაგი არა აქვთ. აი მაგალითებრ: მესამელები რაპორტით რექტორთან სჩივიან ერთის მასწავლებლის დათხოვნაზე. ეგეთ მასალები თხოულობენ ერთის მასწავლებლის დათხოვნას, რადგანაც, ვითომ მას გაელანძღოს. ერთი შეგირდი ეუბნება მასწავლებელს: „Г. Вы надуетесь отсутствием властей, я сам вас вздую“, ე. ი. მიგბერტყამო (ეგ შეგირდი არ გამოურიცხამთ).

ერთმა შეგირდმა სადილზე ინსპექტორის წინ სცემა მეორეს. არც ეგ შეგირდი გამორიცხეს. ერთი მასწავლებელი იძახის, რომ ვისაც სასჯელის მიღება უნდაო, პირველს და მესამეში შევიდესო. ერთი შეგირდი ზედამხედველს ეუბნება: „ჩქარა შენ გაგაძევებენ აქედან—სანამ მეო“. ეგ შეგირდი საეკლესიო ხარჯის დათხოვნით დასაჯეს. ამისთანა მაგალითები სემენარიაში მუდამ ბევრი ხდება, მაგრამ სუყველას მოყვანა საჭირო არ არის. ეს ფაკტები ცხადათ გვიმტკიცებენ სემენარიის შეგირდები იმ დონეზედ არ არიან, როგორც სხვა ზავედენიებში. თუ ეს ღრმა არის, ჩემო მკითხველო, მდაბიურათ გეტყვი. ის, რაც სემენარიაში ადვილათ ხდება, სხვა ზავედენიებში ძვირათ ხდება. მე ამითი ჩვენ დანჯღრეულ სემენარიას საფრანგეთის ინსტიტუტებთან (მაგ. როგორც ნანტისა, რომლის სტუდენტებმაც ერთის პროფესორი ისტორიკოსის ლექციის შემდეგ, ზავედენიეს თავი დაანებეს და წავიდნენ მტერთან საომრათ) კი არ მინდა შევადარო, არა, მხოლოდ თბილისის გიმნაზია ინსტიტუტებთან. მკითხამს გაჯავრებული მკითხველი: რა შედარება, რა გადადარებაო! შენ იქნება გგონია, რომ ჩამოთვლილი ფაკტებით სემენარიელებს სახელს გაუკეთებ და ღირსებას დაუმცირებ! დაუმცირებ თუ წაუმატებ, ფაკტები მაინც თავისას იტყვიან, რომ სემენარიის შეგირდები განსხვავდებიან გიმნაზიელებიდან და მათთან ვერ ერთდებიან—ეს ადვილი ასახსნელია. პირველი, რომ სემენარიელები ცხოვრობენ ბურსაში და მაშასადამე, მისი ხასიათი უნდა ჰქონდეს. მეორე, მთლად სემენარიელები არიან სოფლელები, გიმნაზიელები კი, როგორც იცით ძნელად თავსდებიან ერთათ, მაგრამ კითხვა იმაშია, რატომ სემენარიას ახვევია იმისთანა მოუდრეკელი ხალხი და გიმნაზიას კი ელასტიკური! მიტომ რომ არისტოკრატია ზრდის თხელი ხასიათის შვილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ამ პარალელის გავლებაში ბევრად ვსცდები, მეპატიება მიტომ რომ გიმნაზიელებს ძლიერ სუსტათ ვიცნობ.

26 დეკემბერი.

ჩემო ძმავ, კი არ იფიქრო, ვითომ ყველა სემენარიელები ჩემნაირად მიეგებნენ შობას, სრულებითაც არა; ზოგი იქვე დილითვე ეტყობოდა, რომ რაღაც შეწუხებულის სახით ხან ერთთან მივიდოდა და ხან მეორესთან. ზოგს ყელსახვევი აკლდა და მას თხოულობდა, ზოგს შარვალი, ზოგს ქუდი და ზოგს კიდევ წაღები; ხომ იცი შეგირდი ისე ვერ მოეწყობა, რომ არაფერი აკლდეს, ერთი კიდენ გაცხარებული ნემსს და ძაფს დაეძებდა პალტოს დასაკერებლად და მეაშინ ფეჩთან სკამზედ ვიჯექი და ჟურნალში ვკითხულობდი ერთ სტატიას: „პასუხის გება ეკონომიურ სწავლაზე დ. ს. მილლერისა". ნემსი და ძაფი რომ იპოვნა, მოვიდა ჩემთან და მითხრა: „რას იტყვი საშა, ცოდვა არ არის, რომ უქმე გავტეხეო?" მე გამეცინა და თავი ჩავღუნე. იმან იგრძნო ამ სიტყვის ძალა და ფიცხლავ გაკურცხლა. მერმე ველარ მოვკარ თვალი, არ ვიცი დააკერა პალტო თუ არა.

* * *

რელიგია, რელიგია! განა კიდევ აქვს რამე ამას მნიშვნელობა განათლებული კაცისათვის? აი თუნდ ჩვენი ქრისტიანული რელიგია. პირველს საუკუნოებშიაც ძალით ავრცელებდნენ და ეხლაც ძალით უჭირავთ. ჩვენს შეგირდებში, გარწმუნებთ, ძლიერ ცოტა მოიპოვება იმისთანა, რომელიც სიხარულით მიდიოდეს ეკლესიაში, დანარჩენი, როგორც ჭირი ისე ეჯავრებოდათ. ძალათ რომ არ შეგვრეკამდნენ ხოლმე, განა კი ვინმე შევა! ზოგჯერ ჩვენი ეკლესია გაიმსება ხოლმე ხალხით, მაშ ეს რას ამტკიცებს, თუ არ ხალხის სიყვარულს რელიგიისადმი? სრულებითაც არა. იქ სულ მოდისტკები და მოფრანტები არიან, რომელნიც მოსულან სალოცავათ კი არა, უფრო ტანისამოსის საჩვენებლად და გულის გასართობათ.

რელიგიაზე შემდეგ.

იმ დღეს მე და ჩემს ძმას მოგვივიდა შემდეგი ლაპარაკი. ზაქარია ჭიჭინაძე რა ტიპს ეკუთვნის? შემდეგ მე ვიფიქრე: ნეტა კი ვიცოდე, ჩემი ძმა რაღა ტიპს ეკუთვნის? ნატვრის მაგიერ სჯობს ცხოვრებას დავაკვირდე, მასში სუყველას ამოვიკითხავ.

1880 წელი, 6 იანვარი.

ყველა გაზეთებმა მოგვილოცეს ახალი წელი და ძველს „მშვიდობა" გაუგზავნეს. უკაცრავათ, მე მოლოცვა არ ვიცი და ნურც დამემდურებით! ოროლ საათიანი წირვა-ლოცვა რომ არ იყვეს, არცკი მომაგონდებოდა თქვენი „ახალი წელიწადი" და „ნათლისღება", თუ რაღაც კვერცხის ღება! ოჰ, ეს წირვები, ჯოჯოხეთივით შემძულდა! ამ ორ კვირას თბილისში დავრჩი და საქმის გასაკეთებლად და საქმის მაგიერათ ეს ძვირფასი დრო წირვებს შევწირე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი მაგალ. როგორ გავატარე ეს დღე. რვის ნახევარზე ავდექი. სანამ პირს დავიბანდი და ტანთ ჩავიცვამდი 10 შესრულდა. დილის ლოცვას და ჩაის მოუნდა ერთი საათი. ჩაის შემდეგ ნახევარ საათი ლაპარაკს მოუნდა, საათ-ნახევარიც ვიმეცადინე. ეგეც 11 საათი. დარეკეს შუა დღის ლოცვა, რომელმაც მოითხოვა 2 ნახევარი (რადგანაც წყლის კურთხევა იყო). წირვის შემდეგ სა-

დავით კეზელი (1861—1907) გადასახლებული ციმბირში 1905 წ.

დილი. ეგეც სრული ორი საათი. სადილის შემდეგ ერთი საათი კიდენ ლაზღანდარობას მოუნდა. საათი კიდენ ვიმეცადინე. მერმე ნამესტნიკი მოვიდა. ერთი საათი იმის ცქერაში და იმაზე ლაპარაკში გავიდა, ეგეც ხუთი საათი. მერმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს ჩაი, რომელსაც მოუნდა ნახევარ საათი. მერმე საღამოს ლოცვა დარეკეს. ზარის წკარუნს მოუნდა ნახევარ საათი, ეგეც სრული ექვსი. საღამოს ლოცვას მოუნდა საათნახევარი. ეგეც რვის ნახევარი. რვა საათზე ვახშმისას რეკამენ, მაშასადამე, ვახშმობიდან დარჩა თავისუფალი დრო, სულ ნახევარ საათის მაგ ნახევარ საათი დარჩა ვახშმობამდინ, რაღას წავიკითხამთო და ლაზღანდარობდნენ. იმ დროს, როდესაც ნამდვილი პედაგოგების აზრით, ბევრი შეუძლიან შეგირდს, ვსწავლობ მხოლოდ ორს საათნახევარს დღეღამეში. ერთმა სწავლულმა გამოიანგარიშა, რომ ბეჯითი კაცი წელიწადში წაიკითხამს 240 ტომსაო. თუ ასე ვიმეცადინე, მე მგონი ორი მაგდენიც წავიკითხო.

აი მიზეზი ჩემო ძმავ, თუ რისთვის ვინატრე ერთს ღამეს რუსის მონარხობა, რომ сразу одним взмахом уничтожить людския глупости! ეს რუსული სიტყვები დავწერე თუ არა, საათი ვნახე და ცხრას ხუთი მინუტი აკლდა. ჩვენი ინსპექტორიც შემოვიდა და დღიური მივჩქმალე. იმან გვითხრა, ხვალ შვიდ საათზე უნდა ადგეო, რადგანაც წირვა დაიწყობა რვა საათზეო. ერთის სიტყვით счастье!!

5 იანვარი.

გასაკვირველია, რომ მე როდესაც რასმე დღიურში ვწერ, იმას მოვიფიქრებ ხოლმე ეკლესიაში, როცა იქ შეგვრეკამენ, ეხლაც სწორეთ აგრეა. იქ დავფიქრდი, თუ რას უნდა ნიშნავდეს მეთქი ჩემი წუხანდელი სიზმარი. იტყვიან, რომ რაც კაცს მოელანდება, ალბათ იმას გრძნობსო, რომ მერამდენიმე ნაწილი მისი მაინც აუსრულდებაო. ეგ თუ აგრეა, ვინ იცის რა არ მომელანდება ხოლმე. ხან ალექსანდრე დიდი ვარ, ხან ნაპოლეონი, ხან მთელი ევროპის რეფორმატორი, ხან ქართლის განმანთავისუფლებელი, ხან კიდევ უდიდესი პოეტი და ხან უბრალო ლიტერატორი და სხვა ამგვარი. წუხელის სიზმარში ვიტანჯებოდი და დღესაც ორი დიდი განსაცდელი გამოვიარე. პირველი, რადგანაც წირვაზე ჯერ პოტოცკი არ იყო, მე მეგონა სულ აღარ იქნება მეთქი და გამოვიპარე. შევედი ოთახში და დავიწყე „სლოვოს“ კითხვა. ამ დროს შემოგვივარდა ინსპექტორი, დახედა წიგნს და მითხრა: „თქვენ უნდა იცოდეთო, რომ ეხლა ლოცვა არისო“ და წავიდა. მე უკან მივჩხავლე, პაველ სიმონიჩ, ფეხზე მაზოლი მაქვს-მეთქი, მაგრამ არ გასჭრა ჩემმა სიტყვამ. „მაგითი ფონს ვერ გახვალო“ და გაჰქრა. იტყვის ვინმე, დიდი განსაცდელიაო!

საქმე იმაშია, რომ ჩვენს ინსპექტორს ვეგონე, რომ ჭიასაც ვერ გავაღვიძებდი და ახლა კი ნახა რომ არამცთუ ჭიას „სლოვოს“-აც კი ვჯიჯგნიდი, პოტოცკი იტყოდა თავის გულში: „აქამდინ მე ამას ვერ ვიცნობდიო, ესეც უთუოთ თავის ძმის ფეხი უნდა იყვესო“.

მეორე განსაცდელი უფრო ცხარე იყო. საღამოს 4 საათზე, როდესაც უფრო ცოტა შეგირდები იყო სემენარიაში, დაიყვირეს: „ველიკი კნიაზი მოდისო!“ მეორე კლასის ოთახში სულ სამი შეგირდი ვიყავით. ყველანი დაფაცურდნენ და კლასებს დაუწყეს დალაგება. ზოგი ძველ პალტოებს ეცა, ზოგი აქა-იქა გაფანტულ წიგნებს და მე კიდევ ჩემს „ბედკრულს დღიურს“. რათ შემეშინდა ისე ძლიერ! განა „დღიურს“ არ ერჩივნა პარტაში ყოფნა, სანამ უბეში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მტრის დანახვის დროს დედა თავის შვილს კუთხეში არ მიჩქმალავს, მხოლოდ გულში მიიკრავს, და მზათ არის მასთან სული დალიოს. აბა სწორეთ მეც ისე მომივიდა. პატიოსანი კაცი, რომელმაც ცოტათი იცის სემენარიის ისტორია იტყვის: დღიურის ქონა განა საშიშო არისო? განა ის შეგირდი ყველასაგან საყვარელი არ უნდა იყვეს? ჩვენს სემენარიაში სრულებითაც არ არის ეგრე. აქ ყოველის მხრით სდევნიან მას, რომელიც გაბედავს მაგეების ქონას. განა კეზელის უბრალო ნაწერებმა, რომლებიც ისე გააზვიადეს, უბრალო ნაწერზე ისე ცხარი იყო რომ ასე სასტიკად დასაჯეს? არა მჯერა და! აი მიზეზი თუ რისთვის, ერთის სახელის გაგონებაზე დღიურს თბილი უბე ვანახე. ზემო აღწერილი შიში არაფერი, მომსხო ქვემოთ იყო. ნამესტნიკი ჩვენს ოთახში რომ შემოვიდა წინდაწინ დასალაპარაკებლათ ჩემთან უნდა მოსულიყო, რადგანაც სხვები ამისთანა ალაგას იდგნენ, რომ იქ ვერ მოჰხვდებოდა და ძალით ხომ არ მიუქცევდა! გამარჯობა-გაგიმარჯოს! კი არ გაგეცინოთ ამაზე, ხომ იცით სემინარიელები უბრალო ხალხი ვართ. რაღაც Здравия желаем ваше императорское высочество! ვერ მოვიგონეთ. როცა წავიდა მაშინ მოვედით გონს. გამარჯობის შემდეგ მე სახელი და გვარი მკითხა. მის შემდეგ ჩემი პალტოს ბიოგრაფია იკითხა, მერე ბლუზის ისტორიაც მოინდომა! მაშინ კი გულმა დაიწყო ცახცახი! აბა ბიჭო, ახლა მოგადგა დიდი განსაცდელის დღე! რო გინახოს და პანღური გიჭიროს, ვისთან წახვალ? შენ ძმასთან? იმასაც არა აქვს პური და შენ რა გაჭამოს? Великий день великих испытаний!! ჩემი დღიური ხომ არაფერია, მაგრამ ნამესტნიკი სემენარიელებს სხვა თვალებით უცქერის, მათი ფერიც კი ეჯავრება! (ჩვენც მას უძღვნით!) იტყვიან გოსუდარი—მამაო და მოყმე—შვილიო. აქ როგორი მამაშვილობაა?! შინ მამაჩემს ასეცა დაუჭყივლებ ხოლმე, რომ სირცხვილით ვერცკი შემომხედამს. ისიც თავისი მხრით აგრე მექცევა, როცა საჭიროა. ველიკი კნიაზს მესამეში ერთისთვინ ეკითხნა: შენ ვინ ხარო? სვანიო. ოჰ, შენც ბუნტოვჩიკი იქნებიო! მიუბრუნდა რეკტორს და უთხრა: „Обратите на него серьезное внимание. Они у меня бунтовщики!“ ეგეც შენი მამა-შვილობა!

14 იანვარი.

სტამბოლის აღება რუსებს ისე არ გაეხარდებოდათ, რომ ევროპიელებისთვინ ეთქვათ თქვენის კავშირებით ფეხებსაც ვერ ძომჭამთო და ვერც თქვენი დაუცხრომელი ბისმარკ-ბიკონსფილდი-ონდრაში მიზამენო და ისე მეჩტატელ-პატრიოტებს არ გაუხარდებოდათ საქართველოს თავისუფლება, როგორც დღეს სემენარიელებს უხაროდათ! დღეს წმინდა ნინოს დღესასწაული იყო. იქნება იფიქროთ, რომ ნინოს უქმე, გაუხარდათ? სრულებითაც არა. გაუხარდათ ის, რომ წირვა ქართულს ენაზედ იყო ჩვენს ეკლესიაში. ზემოთ მოგახსენეთ, თუ რა ნაირათ სემენარიელებს ეზარებათ ეკლესიაში სიარული, მაგრამ დღეს სუყველანი იქ გახდნენ! რანაირი ფაცა-ფუცი შეუდგათ! ზოგი ჟამს არჩევდა, ზოგი სამოციქულოს და ზოგნი კიდენ საგალობელის გიმნებს. სწორეთ გითხრათ, წირვა სრულებითაც არ იყო ტკბილი გასაგონი! ყველას ეტყობოდა, ღვდლიდან დაწყობილი შეგირდებამდინ, რომ თავის სამშობლოს ენაზედ ღვთის დიდება არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლიანთ, მღვდელმა ნახევარზე კი ქართულათ იცოდა და მერმე გადურუსულა. მთავარი სულ რუსულათ ჩხაოდა, მხოლოდ ორიოდე სიტყვა კი ქართულად სთქვა, რამაც უფრო ძლიერ ააჭრელა წირვა. ისევ შეგირდებმა აჯობეს მღვდელსა და მთავარს. ამათ რაც წასაკითხები იყო სულ მშვენივრათ წაიკითხეს, მაგრამ გალობა კი!.. როდესაც „აკურთხე სული ჩემი უფალო“ გააფუჭეს, ზედამხედველს და ინსპექტორს შევხედე, რომლების სახეზედაც დაცინვა ამოვიკითხე, მაშინ ტანმა დამიჟრიალა და ჭირის ოფლმა დამასხა! ღმერთო ჩემო, ეს რომ აღკრძალული ნაყოფი არ იყვეს, ასე ხომ არ წავეტანებოდი და ესეც აღარ შემრცხვებოდა, ვიღაც რუსისა! ოხ სამშობლო, რა ტკბილი ხარ, მაგრამ უფრო უუტკბილესი ხარ ამ მდგომარეობაში! რომ წირვა-ლოცვა სემენარიაში ქართულს ენაზე აღკრძალული არ იყვეს, ხომ ახლაც ისე ზარმაცულათ შემოვიდოდი, როგორც აქამდისინ დავდიოდი! ლამის იქამდისინ მიგვიყვანონ, რომ ყოველი სამშობლური ცუდია თუ კარგია, ღმერთათ მიგვაღებინონ! Tope vencto, sed rope victori! „ვაი დამარცხებულს, უფრო კი ვაი დამმარცხებელს!“

7 თებერვალი

დღეს გაზეთებმა ამბავი მოგვიტანეს, რომ ხელმწიფე იმპერატორის საზამთრო სახლში ნაღმი აუფეთქებიათ და მასთან რვა კაცი მოუკლამს და ორმოცდა ხუთიც დაუჭრიათ.

ღმერთო, რანაირათ გამრავლდნენ ეს სოციალისტები! საწყალი ხელმწიფე რა მდგომარეობაში უნდა იყვეს! აღარც სახლში აქვს მოსვენება, აღარც მგზავრობაში, აღარც სამზღვარს გარეთ და აღარც ღვთის სახლში!

ერთი პოლიციელისკი მყავს ნაცნობი და იმან მითხრა, რომ ეხლა სოციალისტები ძლიერათ გამრავლდნენ და ძლიერად ძლიერი არიანო. რამდენი უბაშპორტონი მოდიან აქ პეტერბურღიდან, დარჩებიან ერთს, ორს კვირას და მერმე გაჰქრებიან. სოციალისტები ამბობენ, რომ წარმომადგენლები სენატშიაც კი გვყავსო. ეს აზრი ეგები ძლიერაც არის გაზვიადებული, მაგრამ პეტერბურღში სოციალისტების მოქმედება ამტკიცებს, რომ ისინი იქ, არც ცოტანი არიან და არც უძლურნი. ეხლანდელი რუსეთის მდგომარეობა სრულებით ემზგავსება რომის მდგომარეობას კონსტანტინე დიდის დროს. როგორც მაშინ დაბერებულ იმპერიას მოედო ქრისტიანობა, ისე ახლა რუსეთს ედება სოციალური ამბები, ვინც აჯობებს უწყის მომავალმა.

24 თებერვალი

კლასიკების მომხრენი ამტკიცებენ, რომ კლასიკური მწერლები ყოველ ახალგაზრდისთვინ სამაგალითო არიანო, იმათ უნდა ჰბაძონო და იმათგან უნდა მიიღონ ჭკუა და გამჭრიახობაო. ამის გამო არამც თუ ევროპაში, არამედ რუსეთშიც კი თითქმის ყოველგვარ შკოლებში პირველადი ადგილი დაიჭირეს, მართალია, ერთ დროს საჭირონი იყვნენ, მაგრამ ახლა ვადა გაუვიდათ. მაგათი ავტორიტეტი დაეცა. რა საბუთებს გვიდგენენ კლასიკების მომხრენი? ისეთებს, რომ ავტორიტეტიც დაცემული ენები, კიდენ უპირატესობენ ჩვენ შკოლებში. ამათ საბუთებში პირველი ალაგი უჭირავს ენის სიმშვენიერეს და განსაკუთრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეგან ფორმას. მეც, როგორც შეგირდი ვსწავლობ ორთავე კლასიკურ ენებს, მაგრამ იმათ მწერლებში ვერც მშვენიერ ენას ვხედავ და ვერც კარგ ფორმას. ეგ იმიტომ, მეტყვიან კლასიკოსის მომხრენი, რომ ჯერ კარგათ არ იციო (შვიდი წელიწადი კია რაც ვსწავლობ და რამდენი ურროკებით!) და გეთანხმებით. ამ დღეებში წავიკითხე შესანიშნავი რომაელი პოეტის თხზულება რუსულ თარგმანში. მანდაც ხომ ვერ ვიტყვით, რომ ვერ გაიგეო. თუ არ მომეწონა სხვა მიმიზეზი მოძებნოთ, რისთვის? წავიკითხე, მაგრამ ვერც ენის სიმშვენიერე, ვერც პოეტური აღტაცება, ვერაფერი ვნახე. თუ არ მოგეწონა, მისთვის რომ რუსულათ ისე არ არის გადმოლებული, როგორც დედანშიო, მეტყვით. მაგაებით ფონს ვერ ვახვალთ. ბაირონი ნამდვილში არ მიკითხავს, მაშ არ მომწონს რაღა! მაშ გორაცი, მეტყვით კიდენ, ისრე დაეცაო, რომ ჩანჩურა სემინარიელსაც აღარ მოსწონსო! (ვაი ჩემი ბრალი კატკოვმა[8] და K° რომ შემიტყოს, მგონი სემინარიაში კი არა სათათრეთშიც აღარ დამაყენოს!) სრულებითაც არა. ის ისევ დიდი გორაცი იყვეს, მე რა დავა მაქვს კაცთან, რომელიც ორი ათასი წლის წინათ ცხოვრობდა! მე მხოლოდ მინდა ჩამოერთვათ იმათ ის უპირატესობა, რომელიც ჩვენს სკოლებში უჭირავთ და მათი ალაგი მიეცეთ რეალურ საგნებს. ამ წინაზე „სლოვო"-ში წავიკითხე სტატია: „Земская медицына". ავტორი იხილამს იმ სტატიაში, თუ რამდენს ხარჯამს მოსკოვის ზემსტვო ამ კეთილ საქმეზე და ბოლოს იმ დასკვნასთან მიდის, რომ ამოდენა ხარჯს არაფერი სარგებლობა არ მოაქვსო ზარალის მეტიო, ამის გამოც გირჩევთო რომ, მაგ უბრალო ხარჯს სჯობს თავი დაანებოთო. მეც სწორეთ ამას ურჩევ ჩემს უფროსებს (თუ კი შეიწყნარეს), რომ კლასიკურ ენებზე ტყუილ უბრალოთ ფულს ნუ ხარჯამენ. აი გამოვიანგარიშოთ თუნდ ჩვენ სემინარიაში, თუ რა უჯდება მართებლობას თითო წრე კლასიკური თხზულებისა: ლათინურის მასწავლებელს აქვს თვეში 12 თუმანი, ასწავლის ოთხ კლასში, მაშასადამე, თითოს შეხვდება სამ-სამი თუმანი. მეორელებმა ამ 1880 წლის იანვარში გადავთარგმნეთ სალლიუსტიდან სამოცდა ათი სტრიქონი. ეგ სამი თუმანი, რომ გავყოთ 70 წრეზე თითო წრე დაჯდება თითქმის ცხრა შაური. აბა ამაზედ რას იტყვით! პეტერბურგში სტუდენტი თავის ფორტუნას მადლობას შესწირავს, თუ საათნახევრიან ურროკში ცხრა შაურს მისცემენ. მაშასადამე, პეტერბურღის სტუდენტის საათ ნახევარი შრომა, ჩვენში ერთ კლასიკურ სტრიქონათ ღირს.

5 მარტი

გუშინდელ „თბილისის მოამბის" ნომერში ეწერა: თ. ორბელიანის წერილი გ. ლ. მელიქოვთან „გ ო ლ ო ს ი დ ა ნ"[9] გადმობეჭდილი. წერილში ეწერა: „**Иди твердо на смерть, защищая овятое для всей России дело!**" ოჰ საცოდავო გაზეთო, რა ძლიერა სცდები, თუ ფიქრობ, რომ იმ ბოროტებას (როგორც თქვენ ეძახით), რომელიც მოედო მთელ რუსეთს აღმოფხვრის ძირეულად ერთის ან ორის კაცის სიმამაცე და ენერგია (ეგება აგრეც არა ფიქრობ, მაგრამ სხვანაირათ თქმის ნებას, რომ არ მოგცემენ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 მარტი, დუელი.

ქართველების დუელებზე მე არსად გამიგონია. ეგება ეს ჩემი უცოდინაროობის ბრალია, მაგრამ კი ვიტყვი, რომ მაგათ დუელს შნო არც ექნებოდათ და არც აქვთ: აგერ კვირა ნახევარია, რაც ჩვენში დუელი მოხდა, მაგრამ დღიურში არაფერი ჩავწერე. ახლა კი დღეს ერთს ჩემს ყმაწვილობის დროიდან შემთხვევა მომაგონდა. რომ არ ჩაურთო მაგ ამბავს სწორეთ საპატიებელი არ იქნება. აი საქმე რაში იყო: ამ ორის წლის წინათ გაზაფხულის ერთ კვირა დღეს ქ. გორში მე და სანდრო ნათაძემ * „ივერიის“ ერთი ნომერი საიდანაც ვიშოვეთ და გავწიეთ გორიჯვარზე. მაშინ „ივერია“ ცნობილი გაზეთი იყო. ეხლანდელივით ჟურნალ-კრებული არ ყოფილა. გორისჯვარის მთა სიმაღლით თითქმის ერთი ვერსი იქნება და ამპარტავნულათ დასცქერის პატარა გორს. ამ მთის წვერზე ერთი ერთმანეთის ახლოს მდებარეობს ორი ეკლესია, ერთი იმათგანი მეტად ძლიერია და მეორე კი უფრო ნაკლები. ორთავ ეკლესიებს აქვთ მშვენიერი წყაროები. მე და სანდრომ გავწიეთ უფრო ნაკლებ ცხოველ ეკლესიასთან, რომელიც იმ ჟამათ ტყემლის ფოთლით იყო მოფერფლილი, მეტად მშვენიერი პოეტური მდებარეობა აქვს ამ ალაგს, სადაც ეს პატარა ეკლესიაა აშენებული. ეს პატარა მინდორი კი შემოზღუდულია ტყიანი მთით, საყვარლათ იყო შემოსილი მწვანე ბალახით, სურნელოვან ყვავილებით და მღელვარე ყანებით. აქედან კაცი თავისუფლად ხედავს მშვენიერს ლიახვის ხეობას, მტკვარს, ამფითეატრულათ აშენებულს გორს, იმ დროს ამწვანებულს კვერნაკს ** და ხიდისთავს, წითლად გაბიბინებულს ყვავილიან ატმებისგან. ჯერ ვიყბედეთ თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს გამორეკილ სემინარიელებს საქართველოსთვინ და მერძე იმ მწერლებზე, რომლებიც ასე მშვენივრად სწერენ. მწერლებიდან და სემინარიელებიდან გადავედით საქართველოზე და გავმართეთ ბაასი მაზედ თუ რა ბედნიერები ვიქნებოდით, რომ საქართველო რესპუბლიკა ყოფილიყო. ერთმა ჩვენთაგანმა წამოიძახა: ეს რესპუბლიკა კარგიაო, მაგრამ პრეზიდენტათ ვის დავსვამთ? შე ოხერო, მაგას რაღა ლაპარაკი უნდა, მანდე და, ილია ჭავჭავაძე!! სად ჭავჭავაძის და ნიკოლაძის [10] დუელი, სად თქვენი ოცნებები საქართველოს რესპუბლიკაზე და მის პრეზიდენტზეო?

22 მარტი. წუხანდელი სიზმარი.

ამ სათაურს რომ წაიკითხამს ჩემი ძმა ჩუმჩუმათ ულვაშებში ჩაიცინებს: ეს ჩაჩულია აქოდა ჩერნიშევსკის რომანი წავიკითხეო, სულ ვერა პავლოვნასაებრ სიზმრები ელანდებაო. მართლაც რომ დღიურში აგერ ეს მესამეთა ვსწერ ჩემს სიზმრებს, მაგრამ რა დასაძრახისია, რასაც დღისითა ვფიქრობ, ღამეც ის მელანდება. წაბაძვაც რომ იყოს, არც მაშინ არის სათაკილო!! ჩვენი ლიტერატურის კურსში აი რა სწერია: „ყოველი ახალგაზრდა მწერალი წაბაძვით დაიწყებს თავის მოქმედებასაო (თუ კი მწერალი გამოვედით!). მოგიტევებ, ჩემო გო-

* ალ. ნათაძე—სათავად-აზნ. გიმნაზიის მასწავლებელი, ცნობილი პედაგოგი იყო.

** კვერნაკი—მთა, გორის ახლოს, აღმოსავლეთით—გ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორიავ მაგ ჩაცინებას, ვითარცა დიდ ცოდვილსა: აი სიზმარიც: ვითომც კლასში ვარ მათემატიკის გაკვეთილზე. ხომ იცი, გიგო, რა ნაირათ მიყვარს მე მათემატიკა. ისე, როგორც შენ, როცა მესამეში იყავი. ხსნიდა საწყალი პროფესორი და ისე ერთგულათ, რომ ხმა გაუხრინწიანდა. Между плоскостними углами, говорит, существует такое же отношение, как между линейными და ამასთან ისეთს ფიგურებს ხატამდა, რომ გორდიის ნასკვზე ძნელი გასაგები იყო. მე რაღა ბევრი გავაჭრელო, ძილმა დამძლია და თვლემა დავიწყე, ბოლოს კიდეც დავხუჭე. ეს რომ მასწავლებელმა შენიშნა, მოვიდა და გამაღვიძა, „არა გრცხვენიან, რომ გძინავსო!“ მეც თავის გასამართლებლად უთხარი: თუ ღმერთი გწამთ, მითხარით უ. მასწავლებელო, როცა თქვენ გაკვეთილს გვიხსნით, რატომ მე მათემატიკაზე არ ვფიქრობ, თუ ვინ მოიგონა გეომეტრია, პირველად ვინ დაწერა ეს ამდენი ფიგურები და ამდენი ხაზები, რათ უნდოდა ევკლიდს ან არხიმედს ურდული? როცა შენ გახურებულ თეორემებს ამტკიცებ, მე მაშინ ვფიქრობ, თუ რა არის პოლიტიკური ეკონომია, თუ როგორ წარმოსდგა კაპიტალი, რომელიც მთელი ევროპის წარმოების ხელში ჩაგდებას აპირებს; დედამიწის და კაცის წარმოებაზე. ესტესტვენურ ისტორიაზე, სოციალიზმზე და სხვა იმისთანა ბევრზე, რასაც მუდამ ყურში არ ჩამოგვძახიან, როგორც გეომეტრიას. ეგ იმიტომ რომ არ გიყვარსო, აბა ყური კარგათ დაუგდეო და დაუწყო ხელმეორედ ახსნა. მაგრამ ისევ ძილმა დამძლია და ხვრინვა ამოუშვი. მოვიდა მერმე გაჯავრებული და ისეთი წამომკრა მუჯლუგუნი, რომ თვალები გამოვაჭყიტე და კინაღამ კოიკიდან გადმოვვარდი.

გახსოვს გიგა * (თუ არ გახსოვს, მოიგონე) შენ რას მეუბნებოდი ამ სამი-ოთხის წლის წინათ? პისარევს[15] დიდი გავლენა ჰქონდა თანამედროვე ახალგაზრდებზეო. შენც ჩემსეებ გატაცებული იყავ პისარევისგან, ნუ იტყუებ და როცა ჩახვედი იმ ადგილამდინ, თუ როგორ პოლიციამ დაახრჩო, სახე შეგეცვალა. ჩემზე რაღა თქმა უნდა, ჩემთვის კი მაშინ სულერთი იყო პისარევი იყო თუ სხვა მაგრამ, რომ თქვი კარგი მწერალი იყოვო, ახალგაზრდა დაახრჩესო, სულ ძირეულად აღმაშფოთა. არ დაიჯერებ, ამირანობა ვინატრე, რომ ერთის ლახტის შემოქნევით შემემუსრა რაღაც პოლიცია იყო. ჰო, ჩემო ბატონო, რაც ჩემთვის ყმაწვილობაში გითქვამს, მუქთათ არ ჩაუვლია, თუმცა მაშინ დოლმატივით ვიღებდი მაგრამ განხილვას რამდენიმე წლის შემდეგ შეუდექი: ჰო, იმას გეუბნებოდი, რომ პისარევს დიდი გავლენა ჰქონდაო, სრულებით მართალი, აქსიომა გითქვამს ჩემო გოდორ! არა თუ კი მე ამოდენა ქოქორს თითქმის 20 წლის შემდეგ მახტუნავებს, მაშინდელ სამეფოს შვილებს რაღას უზამდა?

1 აპრილი.

დასწყევლა ღმერთმა ეს რა ჩვეულება ჰქონიათ ამ ჩვენს ქართველ მწერლებს, რომ თავიანთ სტატიებს თავზე სხვას აწერენ და შიგ სულ სხვას ლაპარაკობენ! სწორეთ ერთი ანდაზისა არ იყოს „მე დოს ვეუბნებოდი, ის მაწონს

* გიგა—ალ. ფრონელის ძმა—გრიგოლ ყიფშიძე, შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი, ილია ჭავჭავაძის უახლოესი თანამშრომელი იყო „ივერიაში“.

გ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოარბეინებდაო". თავზე სწორეთ მაწონს მოგართმევთო, ის კი არა თუ ცარიელი დომხალია. რამდენჯერ გვიცინია ამაზე, გიგა, როცა ზოგიერთს ფურცელაძის სტატიებს ვკითხულობდით; ახლაც სწორეთ ეგ სიცილი მომდის, როცა გორისელის * „გვართა ბრძოლა საქართველოში"-ს ვკითხულობ. ბიჭო, გვართა ბრძოლა კი არა და საქართველოს გეოგრაფიული აღწერაა! ეჰ, ეგ რა გასაკვირველია, ჩვენი ზღაპრებისა არ იყოს, საკვირველი ჩვენი სწავლულების მოქმედებაა. ბიჭო, რას არ იქმოდნენ ის ოჯახდაქცეულები, რას არ იტყვიან, ყურებში ბამბა უნდა დაიცო მე და ჩემმა ღმერთმა! აი რა ამოვიკითხე უ. ფრონელო (თუმცა ეგ ახალი სახელი კარგი სტატიით კი ვერ დაიმსახურე, უ. გოდორო!) ამ ბოლო კვირაში ერთი წიგნიდან სახელათ: „Первобытный мир"—Д-ра Циттеля, უ. გოდორო, ცოტა, მომითმინეთ და ეხლავე მოისმენთ! მაგ საუბარს.

მე ვარ პატრიოტი. რა გვარიც უნდა იყვეს ჩემი მოქმედება მომავალში, საქართველოს კეთილდღეობისთვის იქნებიან ისინი. ბრუდეთ წავალ თუ სწორე გზაზე, მართალს ვიტყვი თუ ტყუილს, კალამს ავიღებ, თუ ჩინოვნიკი გავხდები, სახეში მექნება ჩემი დაცემული სამშობლო. ძლიერ რომ გაგეცინოს ამ სიტყვებზე, გიგა, ეგ მე არ შემეხება. ერთხელ შენც ეგრე ფიქრობდი, მე დიდ სამწუხაროთ მაქვს, რომ შენს კოპიას ვგევარ და თითქოს შენზედ მოქმედების ქვეშ გავზრდილვარ. თუ ამაზე რათა ვწუხვარ, ამას შენ კარგათ გაიგებ, იმიტომ რომ მე ძლიერ მემძიმება სხვის აზრების ჩემათ გამოთქმა, აბა ახლა კი დაუგდე ყური ჩემს ოცნებას. აბა რათ მინდა, რომ გამოვიდედ იდი ფილოსოფოსი? არაფრისთვინ. ეგ ჩემთვის სრულებით არ არის საჭირო. დიდი ნატურალისტი, ვსთქვათ დარვინზე დიდიც გავხდე, დავამტკიცო, რომ ადამიანი წარმოსდგა მაიმუნისგან კი არა, ქვისგან, ამაში ყველა დავაჯერო, ამითი კოკოზაანთ ბეროს რას ვარგებ? ხომ იმას ვერც მატერიალურათ, ვერც ჭკუა-გონებით წინ ვერ წავსწევ? ვერა. ღვთის მეტყველებას მივყო ხელი და დავამტკიცო, რომ ჩვენი სარწმუნოება და დოგმატები სულ მოტყუილება და კუკლებია. ამითი ვის რა სარგებლობას მოუტან? საღოლაშნელებს ღვთისმშობელი სწამთ, ბრეთელებს წ. გიორგი. მათემატიკოსი გამოვიდე? ან ეგ რაო ახლა! ვსთქვათ ნიუტონზე მეტი ვარ და დავამტკიცე, რომ დედამიწა სდგას. ამითი დემეტრეს კარგი ყანა მოუვა თუ სიმინდი!? არცერთი. ფილოლოგი? ეს რაღა სისულელეა? ზუბაანთ ნიკასთვინ რა საჭიროა, თუ ღმერთი გწამთ, ქართული ენა ინდოევროპიულის თუ თურანულის ენებიდან წარმოსდგა?! ექიმი გავხდე, გაჭრილ კანჭს მოვარჩენ, მაგრამ ტვინსა? არც ეს არის საზოგადო საქმე, ისტორიკოსობა? ეგ ცოტა მომწონს, მაგრამ მომეტებული სპეციალისტობა არც მაგაში მომწონს (სახეში იქონიე, რომ როცა ვამბობ, არ მინდა ესა და ესა მეფქი, ნიშნავს მხოლოდ სპეციალისტობას არამედ იმათ სრულებით არ შეუსწავლელობას). ათასი ბევრი განმარტება რომ უყო ჩემს აზრებს, მაინც ჩემი ძმა ბევრს ხრიკებს მომიდებს და კაი ნაკლოვანებასაც იპოვნის. მე სრულად დავეთანხმები. განა მე დარწმუნებული არა ვარ რომ უბუნებისმეტყველოთ, უმე-

* „გორისელი"—ეკვთიმე წერეთელის, გიორგი წერეთელის მამის სამწერლო ფსევდონიმი.
ვ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიცინოთ, უფილოსოფიოთ და სხვა საგნებით მე კაცი არ ვიქნები, მაგრამ ვიმეორებ, სპეციალისტობა ჩემი საქმე არ არის. თითქმის ყველა უპირატესი საგნები გადავათვალიერე და არც ერთი არ გახდა ღირსი ჩემი ყურადღებისა. მაშ, რას ველტვი?

1880 წ. 12 გიორგობისთვე

კაცი რომ დააკვირდება თავის ცხოვრებას და თავის მოქმედებებს ანალიზს უზამს, ათას იმისთანა რასმეს ნახამს, რასაც სრულებით არ მოელოდა. მე ეხლა ჩემს თავს ვატყობ, რომ რაღაც ცვლილება მოხდა ამ სამი დღის წინად. მეგონა, რომ დღიურის გაგრძელება შემეძლო. ეხლა ვხედავ რომ ძლიერ კარგად ვერ წავა საქმე. აი რათა! ჩემი მღელვარება და გულის თქმა, კმაყოფილება და უკმაყოფილება აღარა მსურს, რომ მარტო ჩემები იყვეს და ჩაიწეროს დღიურში. მე მინდა, რომ ქვეყანამაც შეიტყოს ისინი, გამოცხადდენ გაზეთში. პირველი საგანი, რაზედაც მე. ვილაპარაკებ ხოლმე, ან ვაქო ან ვკიცხო, არის სემინარია თავის მცხოვრებლებით. აგერ რაც შინიდან ჩამოვედი ჯერ ორჯერ დამიწერია „დროებაში“ და კიდევაც მინდა რომ სულ იქა ვწერო, მაგრამ უბედურება აი რაშია: ძლიერ მეშინიან გაზეთში წერისა. მართებლობამ (რომელსაც ვკიცხამ), რომ გამიგოს, დამითხოვს და მერმე რაღა ვქნა, მე მგონი ხვალ გამოვალ და გულიც მიცქრიალებს. ვნახოთ რა გამოვა!

15 გიორგობისთვე 1880 წ.

სემინარიაში, ეს ხუთი ექვსი წელიწადია რაც დაუარსებიათ შეგირდების კასსა, მაგრამ ამ დიდი ხნის განმავლობაში ექვსი შვიდი თუმნის მეტი კი ვერ შეუგროვებიათ. მიზეზი ამისა ის არის, რომ ვისაც ფული მართებთ შეგირდებთაგანს, ზოგი ირიცხება და ზოგი თვითონ გამოდიან და ვალს კასსას აღარ უბრუნებენ.

17 გიორგობისთვე.

ნამდვილი პედაგოგი

ერთი ბათუმელი კორესპონდენტის ბეგისა არ იყვეს, როცა გაგიჭირებენ მაშ რასა იქ, რომ უწესობას არ მოახდენ? სწორედ ჩვენც ისე მოგვივიდა დღესა. სამხვთო წერილის მასწავლებელმა დიდი ურროკების ძლევით ისე გაგვიჭირა, რომ დღეს ერთხმად ყველამ უარი უთხარით. ცეცხლი მოიკიდა, როგორ თუ ჩემს ნებაზე არ მიდიხართო. ადგა და სულ ედინიცები დაგვისხა! პრავლენიეში რაპორტით წაგადგენთო და ნახამთ, რაც მოგივათო. აი ნამდვილი პედაგოგი, ღირსი წაბაძვისა და პატივისცემისა! იმის მაგივრად, რომ გამოეკვლია ის მიზეზი, რომელმაც აიძულა შეგირდები ამ უკანონო საქმეზე, იმან ცეცხლის ყრით ედინიცები დაგვისხა. წარმოიდგინეთ ახლა თქვენ ვისაც ცოტაოდენიც არის გესმით რამე პედაგოგისა. რა რწმენა უნდა ჰქონდეს იმისთანა პედაგოგისადმი ახალგაზრდობას, რა გავლენა უნდა ჰქონდეს ახლა ჩვენზე იმის ნათქვამ აზრს? არაფერი. ჩვენ ის გვეჯავრება ჭირივით. საცა სიყვარული არარის, იქ არაფერიც გაკეთდება. თუ პრავლენიე რას გვიზამს, ეგ ღმერთმა იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგობისთვე, 18 დღესა, სამშაფათი

ახ, რა ცუდია როცა კაცი თავის თავს ძალას ატანს,—გინდა თუ არა ნურაფერს ნუ გააკეთებო. სწორეთ ეხლა მეც ისე მომდის: საქმე მინდა და ვზონზილაობ. თავს ძალას ვატან, რომ არ გავაკეთო-რა: ეს მიტომ, რომ მეორედ მომივიდა დღეს გულიდან ცოტაოდენი სისხლის ამოღება. არ ვიცი რა მიზეზია. ცუდი ჰაერის, ცუდი საჭმლის, გაციების თუ ბევრი საგნების კითხვისგან. ბევრნი მეუბნებიან რომ უჯიათო კითხვა კაცს ხეირს არ დააყრისო. მართლაც და როცა ჩქარა ვკითხულობ მაშინ სამყოფს წმინდა ჰაერს ვერა ვყლაპავ, მაშასადამე, ფილტვი ზარალშია, და თუ ისეთ ჰაერშიაც ხარ, როგორც სემინარიისა, მაშინ ხომ უარესობაა. უბედურებაა ღმერთმანი! მაშ რა ვქნა რომ არ ვიკითხო ბევრი და მომეტებული! ეს ამოდენი გაკვეთილებია, ლათინურმა და ბერძნულმა თავის ტვინი წაიღო. ან კი რას ფიქრობენ ჩვენი უმფროსები, ეგ უღმერთოები სულს რაზე გვართმევენ! არ ვისწავლო, მაშ რა ვქნა, თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევს. ვსწავლობ მაგათ და ვჩქარობ, რომ საყვარელი წიგნის საკითხავათაც ცოტაოდენი დრო დამრჩეს, მათაც ვკითხულობ ჩქარა, რომ გაკვეთილებს დაუბრუნდე. სისხლის ამოღებამ ძლიერ დამაღონა, ვაი თუ რამე იყვეს. თავი ძლიერ მენანება, ახალგაზრდა ვარ. ფუ, შენ წუთისოფელო!!

28 გიორგობისთვე, პარასკევი

შეგირდის გულის ფეთქვას—შეგირდივე შეიტყობს. გარწმუნებთ ყველას, ვისაც კი შეგხვდებათ ეს ნაწერი, რომ თქვენ შეგირდის ღელვას ვერ გაიგებთ. თუ გაიგებს ისევ შეგირდი, თორემ სხვა ვერავინა, რას ფიქრობს, რა აქვს იდეალათ, რას ელტვის, რა სძულს და რას ჰკიცხავს,—რაც უნდა დახელოვნებულნი იყვნეთ პედაგოგიაში, სრულებით ვერ იგრძნობთ. გვასწავლიან ათას რასმეს, მართებლობა ფიქრობს, რომ დიდს სარგებლობას უტანენ ესენი შეგირდებსო, ჩვენ კი დავცინით მართებლობასაც და იმ საგნებსაც, რომლებიც არ მოგვწონან. კლასიკური ენები რაღა თქმა უნდა მიღებულია მთელს ევროპაში და დიდის გულმოდგინებით ასწავლიან მაგ საგნებს. თქვენც შეგირდები უნდა იყვნეთ, რომ იგრძნოთ, თუ რანაირად გვძულს ეს საგნები. თუ არა და ვერ მიხვდებით, რომ შემოგჩივლო, ზარმაცებს დაგვიძახებთ. აი ერთი მაგალითი. გუშინწინ პირველ გაკვეთილზე ბერძნულის მასწავლებელი არა გვყავდა, უნდა გეყურებინათ, როცა ურროკი გათავდა რა სიხარულით და აღტაცებით ერეკებოდნენ პირველი კლასის შეგირდები: გარტინსკი* არ არის? რა უხაროდათ ეგრე ძლიერ მასწავლებლის არ ყოფნა. მაგ სიხარულს იგრძნობს მხოლოდ ის ვინც მაგისებ უტანჯია.

---

* გარტინსკი ივანე მათეს ძე თითქმის ნახევარ საუკუნე იყო თბილისის სასულიერო სემინარიაში ბერძნული ენის მასწავლებლად. ახირებული ხასიათისა იყო: ვისაც ამოიღებდა თვალში, სულ იმას ჰკითხავდა გაკვეთილს და არ ახეირებდა.—გ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ქრისტიშობისთვე. ორშაბათი

დღეს, ე. ი. გუშინ ოცდა-ათს წარსულ თვისას გაიხსნა საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთა შესაწევნელად, ბევრს გაეხარდა ამ საზოგადოების გახსნა, ვითომც და ბევრს ღარიბს უშველიანო. მაგრამ მე როგორღაც ეჭვში ვარ. ბე-



ზაქარია ჭიჭინაძე (1854—1933)

რებისგან კეთილი არ იქნება. ტენისა არ იყვეს, მთელი ინგლისი სავსეა ყოველგვარი საზოგადოებით ღარიბების საშველებლად. ერთი რაღაც საზიზღარია მაგ საზოგადოებებში. მილიონობით ტყავს აძრობენ ხალხს და კაპეიკობით მას შველიან. ეს რასა ჰგავს? თუ ნამდვილად ხალხი გიყვართ, ბოროტება მასში უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოისპოს, ერთს მილიონი უნდა ქონდეს შემოსავალი და მეორეს ორი გროში. ეს საზოგადოება უნდა დაეხმაროს სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა. ამისთვინაცა ვუქმობთ და ვმხიარულობთ შეგირდები. ვართ შეკრეფილი ზალაში, ხან ლეკურს ვთამაშობთ და ხან ვმღერით. მე არც ერთში არ ვიღებ მონაწილეობას, მხოლოდ ჩუმათ მომღერლებს და მოთამაშეებს ვუცქერი. ვაცქერდები, ვხედამ, რომ არც მომღერლები, არც მოთამაშეები თავისუფლები არ არიან, თითქმის ყველა ფიქრობს: ვაი თუ ეხლა კარგა ვითამაშო, ხვალ რომ გაკვეთილი კარგათ ვერ მიუგო, მასწავლებელმა ედინიცა მომაკრას ჯიბრით. სულ სხვაა მხიარულება ამ გაუთლელი ბურსაკებისა სოფლებში, და სხვა თავისუფალ ადგილებში.

8 ქრისტიშობისთვე, ოთხშაფათი

გუშინ წინ ოპერა „Жизнь за царя"-ში ვიყავი. ბევრჯერ ტანმა დამაჟრიალა და ბევრმა შავმა აზრებმა გამიარეს ჩემის ქვეყნის მდგომარეობაზე; ყველა ცდილობს თავის გვარ-ტომების აღდგენას. მაგ. თუნდ რუსეთი, ლიტერატურა ენას ამშვენიერებს, ისტორიკოსნი იკვლევენ, დრამა კიდევ პატრიოტულ გოძნობას აღვიძებს ხალხში და სხ.

გუშინ ცირკში ვიყავი. ბევრმა გამაკვირვა და ბევრმა ზიზღი მომგვარა. ლუკმა პურის შოვნა რამდენ სისაძაგლეს არ აქნევინებს კაცს, მოთამაშეების სიცოცხლე ბეწვზე კიდია: En effet „Дарвиновская борьба за существование",

როგორც მედღიურე, სხვის დღიურებსაც დიდის გულმოდგინებით ვკითხულობ ხოლმე. ბაირონის, გ ე ი ნ ე ს და ნემეცური სოფლის მასწავლებელთა დღიურთა, ბევრჯერ მოუყვანივარ აღტაცებაში. ი. ტ ურ გ ე ნ ე ვ ს ა ც აქვს ერთი სტატია სახელად „დღიური მეტი კაცისა", დავჯექ გუშინ და გადავიკითხე ხელმეორეთ. (პირველათ შვიდივე ტომი ამ ხუთი წლის წინათ წავიკათხე), ოხ, რა დიდი განსხვავებაა მაშინდელს და ეხლანდელს წაკითხვაში! რამდენი ობოლი ცრემლი მე გადმომვარდნია თვალიდან! ლიზას, ასიას და ელენეს სურათები თვალითგან არ მშორდებოდნენ.

1881 წ. 23 იანვარი

ერთხელ ჩემს ძმას დავცინოდი მაზედ, რომ იმან უალაგო ლაპარაკი იცოდა, რომ ესა და ეს დავწერეთ და ჯერ კი არაფერი დაუწერია. ეს ცუდი ჩვეულება კინაღამ, რომ მეც შემომეჩვია, მაგრამ მე კაცის მაგივრად გამოველაპარაკები დღიურს. ჩემი სარკე დღიურია. პირველად, როცა სემენარიაში მიმიღეს, ე. ი. ორი წლინახევარის წინად, მაშინათვე განვიზრახე სემენარიის ოჩერკის დაწერა, ამისათვინ ვაკვირდებოდი აქაური ცხოვრების და ჩემის ამხანაგების ყოფა-ქცევას. ერთხელ მომხვდა ხელში ბიბლიოთეკაში პამიალოვსკის „ბურსის ოჩერკები" და აღტაცებით კითხვა დაუწყე, ვფიქრობდი, თუ მეც ამის წახედვით დავწერ ჩემს ოჩერკებს (ქართულად არ ვიცი ეს სიტყვა). მაშინ ერთის ოჩერკის წაკითხვის მეტი ვერ მოვასწარ. მაგრამ მაგანაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ. მასუკან ველარსად ვიშოვნე ეგ წიგნი. გუშინ წინ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხთავ ოჩერკები წავიკითხე. საუბედუროთ, სულ ვერ შეუსრულებია თავისი ოჩერკები პამიალოვსკის და მიტომაც მთლათ ვერ არის აწერილი ბურსის ცხოვრება.

ღმერთო, რა საშინელებასა წერს, კაცი ვერ წარმოიდგენს! აზრათაც ვერ მოუვა ეხლა კაცს თუ შეუძლიანთ იმ ნაირათ ცხოვრება, როგორც არის აწერილი იმ ოჩერკებში! ტყუილი იმედი მქონდა მესარგებლა იმის ოჩერკებით. რაც უნდა უბედური იყვეს ჩვენს სემინარიაში ცხოვრება, მაინც იქაურს გაშორებით სჯობიან. ერთს ალაგსაც ვერ შეედრებიან ეხლანდელი ბურსები მაშინდელებს. რა იყო მაშინდელ ბურსაში, სრულებით არ იყო სწავლა; აფუჭებდნენ ყმაწვილების ხასიათებს, ღვთისნიერი ღვდლების მაგივრათ ზრდიდენ ქურდებს და ავაზაკებს. ვინც კი არ ეძლეოდა იმათს გავლენას, როზგებით ტვინს უთხელებდნენ. ერთის სიტყვით, რაც ქვეყანაზე სიბილწე მოიპოვება, პომიალოვსკის ბურსაშია. განათლებამ ჩვენი ბურსებიც შესცვალა. ბევრი გახლამთ კიდევ ძველი, მაგრამ ეხლა სულ სხვაა. სწავლა ძლიერ უკან არ არის დაყენებული. ეხლანდელი ბურსა ზრდის ათეისტებს, პატიოსან შეგირდებს, იდიოტებს, კარგ ჩინოვნიკებს და ცოტა ნაწილს ღვთის მოყვარეებს. მაგრამ დაწვრილებით შემდეგში,

27 იანვარი.

დიდი ხანია მსურდა ჩვენი მასწავლებლების კოლექცია წარმომედგინა, მაგრამ არ ხერხდებოდა. ეხლა დროება ნებას მაძლევს და ერთ იმათგანზე ცოტას რასმეს ვიტყვი. იმედი მაქვს წლის დამდეგამდინ სულ შევასრულო. ეს ორი კვირა რაღაზედაც ბურსაკები აღელვებულები არიან, რომელ ჯგუფსაც უნდა მიუახლოვდე ბალკონზე, სუყველას ერთი და იგივე საგანი აქვთ სალაპარაკო. ეს საგანი გახლამთ ქართული ენის მასწავლებელ ბ. ნ. გ. ტატიევი*. საქმე იმაშია, რომ მაგას „დროებაში“ ცოტა არ იყოს მიჰკრეს, ე. ი. ჰკიცხავდენ მაგის პედაგოგიურ მოქმედებას. ზოგი, როგორც ყველგან ხდება ამტყუნებდა ჩვენს მასწავლებელს, ზოგი კი ამართლებდა. ქართული ენა სემენარიაში ისე ცუდათ არის დაყენებული, რომ ლაპარაკიც კი მეტია. საკვირველია ღმერთმანი, რა მომავალს გვიმზადებენ ჩვენ არ ვიცით? გვეუბნებიან ღვდლათ წადითო. თუ ჩვენგანი ვინმე ღვდლათ წავა უსათუოთ—ქართველებში, თორემ რუსეთში რა წაიყვანს. იქ თავისებიც ბევრნი არიან, მაშ თუ ასეა, რატომ ქართულს არ გვასწავლიან!? სლავიანურში, ბერძნულში, ლათინურში და განსაკუთრებით მარტო რუსულში რათა გვბერამენ?! ან მითხარით, რა ვიფიქროთ მის მეტი, რომ რუსებს სხვა მიზანი აქვთ? პოლიტიკით შეთითხნილ პედაგოგიას აბა რა ხეირი უნდა ჰქონდეს? რა ნაყოფს მოიტანს, თუ არ უმწიფარს და მწარეს. თითქოს დაგვცინიან კიდეც.

ბოლო ოთხ კლასში კვირაში თითო გაკვეთილი დანიშნეს. ტატიევი კი არა, გენიოსიც რომ მოგგვარონ, ერთი გაკვეთილით ვერას გახდება. ხან მაგ

* ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ტატიევი—შემდეგში იყო ეპარქიალურ მეთვალყურედ 1893 წ. უნიჭო, მთავრობის ყურმოჭრილი ჩინოვნიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილსაც უქმე შეხვდება ხოლმე და დავრჩებით ცარიელი. ზოგი იტყვის, რომ ერთი გაკვეთილითაც კარგი მასწავლებელი ბევრს იზამსო. თუ მაგაზე მივარდება, მე უფრო ბევრსაც ვიტყვი: არამც თუ ერთი გაკვეთილით, არამედ ერთი საუბრითაც ნამდვილი განათლებული კაცი შეუცვლის აზრებს, მიმართულებას ახალგაზრდას. ეგ სულ სხვა იქნება.

ჩემის ნათქვამით არც იმის თქმა მინდა, ვითომც რუსული მეჯავრებოდეს, არც იმისი, რომ ტატიევი კარგი მასწავლებელია-მეთქი.მაგისთანა უხეირო მასწავლებელი ძნელათ თუ მოიპოვება. შუბლი და თვალები წმინდა იდიოტური აქვს. თავში ნამცეცი ტვინი არა აქვს. არც ქართული ლაპარაკი იცის, არც რუსული. როცა ის ქართულად დაიწყებს ლაპარაკსა, ტანში ჟრუანტელი დამივლის ხოლმე, და სახეზე მწარე დაცინვა გამომესახება; რომ ეს ქართულს ვერ გვასწავლის ცხადია, მაგრამ კარგიც რომ იყვეს მაგ გაკვეთილებით ვერას მოასწრებს. მერმე ან კი ვინ დააყენებს კარგს? მაშინვე პანჩურს უპერენ და მაგის მაგივრად ვისმე ღ. ელიოზოვს მოითხოვენ. „დროების“ ავტორი ტყუილად ცხაროობს, იმან ბოროტება საზოგადოდ უნდა გაჭკიცხოს, თორემ არაფერი გამოვა. მე ხომ ჩემს სიცოცხლეში ტატიევს არ ვაქებ, მაგრამ მაგის გაკიცხვა „დროების“ ავტორისგან იმასა გავს, ვსთქვათ, რომ მოინდომოს სილარიბის მოსპობა, წაართვან მირზოევს და როტშილდს ფულები და ღარიბებს დაურიგონ!

30 იანვარი, პარასკევი, მეოთხე გაკვეთილი.

ესე ამბავი ამ დღიურში ჩაიწერა ორი დღის შემდეგ.

ჩვენს წინ ზის ბერძნულის მასწავლებელი. ყველას სახეზე რაღაც დაღვრემილება იხატება. ყველა საშინლათ ზარის წკარუნს მოელის. ყველას სურს ჩქარა გასწიოს სტალოვიასკენ. ყველას ჰირივით სძულთ მასწავლებელი, რომელსაც სწავლის მაგივრად საშინელი სევდა და ზიზღი მოაქვს. ვინ წარმოიდგენს ჩვენს მწუხარებას, რა საშინელებაა იჯდე მესამე საათის ნახევრიდან და უცქეროდე ამისთანა საზიზღარ ქმნილებას, როგორიც ჩვენი გაბრწყინვალებული სუბიექტი. გული სულ კვნესის, როდესაც ცხადათ დარწმუნებული ხარ, რომ ამათგან არაფერი ხეირი იქნება!

ან რა უნდა შეიძინო ლათინურის და ბერძნულის თარგმნით, ბიბლიის ყირაზე დაყენებით! შეისმინეთ, რომ ეს სიტყვები აღმოდიან გულისა სიღრმიდან! ბევრნი იღუპებიან ამ ცუდის სისტემით. სულ ჩემი ამხანაგები თექვსმეტამდინ არიან, ვინ იცის, რამდენი ამათგანი ჭკვიანი კაცი გამოვიდოდა, რომ ეს ვირული საქმე არ ჰქონდეთ! ეჰ, სანტიმენტალურმა გრძნობებმაც თავი მომაწყინეს. ისევ საქმეს შევუდგეთ. ეს ბოლო გაკვეთილია. მეტად უფერულად მიდის საქმე. დემოსთენსა ვთარგმნით. თუ იცით, ეს ყველაზე ძნელია. მოწყენილობა ეტყობა, თითქმის მასწავლებელიც დაღონდა, ეგეც დასძალა დემოსთენმა, ველარა გაიგორა მთელს გაკვეთილზე ერთ წინადადებას ვუნდებით. თარგმნაში შეგირდიც წვალობს, მასწავლებელიც, სხვებს ყველას ეძინებათ, კაცმა იკითხოს რაზე გვაწვალებენ? იმის მაგივრად რომ პროფესორთან სიხარულით ვსწავლობდეთ, ძილი და სიკვდილი გვინდა. პროფესორიც საშინელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვყავს, გიჟი, უტვინო, გაუწითლებელი, იპოხონდრიკი, უხასიათო, გარყვნილი და სხვა! ვაი ჩვენ დღეს, როცა ეგ მელანხოლიკი, დაცემული, შემოვარდება ხოლმე! „ნეპრავილნი ღლაღოლებსა“ და სინტაქსისს ბჟირივით დაგვაყრის ხოლმე. „Оговорка“, არ ვიცი რისთვინ და ეს მხეცი მე მწყალობს!

4 თებერვალი.

დღევანდელ „დროებაში“ ეწერა, რომ დოსტოევსკი დიდის ამბით დაასაფლავეს პიტერშიო. სიკვდილით კი სწორეთ ამ ორი დღის წინათ ჩააბარა სული უფალსა. მეც ორი დღის წინათ გავათავე მაგის რომანი „Преступление и Наказание“. თუმც რომანებზე კაი ხანია, რაც გული ავიცრუვე, მაგრამ წავიკითხე კიდენ. ეს სულ დ. პისარიევის ბრალია. საორთვეოთ * რომ პისარევის სტატიას, — მაგ რომანის გარჩევას ვკითხულობდი, მაშინ გადავწყვიტე, რომ უთუოთ მეშოვნა და წამეკითხა. საშინლად მომეწონა პისარევის სტატია, ჩემს დღეში აგრე წიგნი არ მომწონებია; ერთის სიტყვით, იმ საღამოს გიჟივით ვიყავი. ვლანძღავდი ბედს, რომ ის უდროოთ მოჰკლა, ვლანძღავდი რუსების მართველობას, რომ ის უდროოთ დამარხა და ცეცხლი მეკიდებოდა, რომ დიმიტრი ვერ ხედავდა, თუ რა ნაირად აღელვებდა ძარღვებში სისხლს მისი სიტყვები!..

აი მიზეზი, რისთვის გავბედე დოსტოევსკის რომანის წაკითხვა. რასაკვირველია, უფრო კარგი იქნებოდა ჯერ რომანი წამეკითხა, მერე პისარევის სტატია, მაგრამ რასა იქ. ჩვენისთანა ღარიბ ხალხს ვინ მისცემს შეძლებას, რომ ამორჩევით და რომელსამე სისტემით წიგნები ვიკითხოთ? ჩვენ ამ მხრივ ძაღლებსა ვგევართ, დღეს აქ შესჭამს ლუკმას, ხვალ იქ. სწორეთ ჩვენც ისე ვართ. სისტემას ვინ დაგიდევს, დღეს აქ შეგხვდა, წაიკითხე ხვალ იქ, ისიც უნდა წაიკითხო, თორემ მერმე საღლა იშოვნი. რომანზე რაღა მეთქმის პისარევის შემდეგ? რაც დოსტოევსკის გრძლათა აქვს ნათქვამი ის პისარევს აქვს მოკლედ, უფრო მკაცრად და ცხადად, ეს რომანი კი არ არის — ფსიხოლოგიური მოთხრობა არის. საშინლად აქვთ ორთავ ავტორებს დახატული სიღარიბის შედეგი საცოდავ რასკოლნიკოვზე. რომანში სხვა ტიპები მაგის მეტი ძლიერ სუსტნი არიან, მაგრამ ერთი რამ შევნიშნე. დოსტოევსკის რაზუმიხინი ჩერნიშევსკის რახმეტოვსა გავს ცოტათი. რომანში ბევრი კარგი ალაგებია, მაგ. როცა რასკოლნიკოვი გამომძიებელთან საუბრობს. დამავიწყდა: დუნიას ტიპიც კარგათ არის გამოხატული. ახალი პატიოსანი ქალია, მაგრამ ვერას ჩამოუვარდება. სონასთანა ტიპი ჯერ რომანებში არ მინახავს.

წუხელის ბინდზედ მე და ერთი ჩემი ამხანაგი ქუჩაში ვიცქირებოდით ფანჯრიდან. საშინელი სანახავი ვნახეთ: ერთი ღარიბი დედაკაცი ორი-სამი წლის ბავშვით ეგდო და რაღაც ძონძებში დამპალ ვაშლებს თუ კართოფილებს ახვევდა. ბავშვი სიცივისაგან გულში ეკვროდა. ბოლოს ადგა, წამოიკიდა ზურგზედ ბავშვი, როგორც მაიმუნი ან კენგურუ სჩადის და წავიდა. ბევრი ვილაპარაკეთ მაზედ, თუ როდის შეიცვლება ჩვენი სოციალური ცხოვრება, რომ ამისთანა საზარელი პეიზაჟები აღარ ხდებოდეს. თვალწინ წარმომიდგა ცხადად რასკოლნი-

* საორთვეო — მოწაფეთა ზაფხულის არდადეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოვის გომური, მისი ბრანძები. სიცივისაგან, შიმშილისაგან, სიღარიბისაგან მომტვრეული ახალგაზრდა სტუდენტი. შევადარე ამათი ბედი, რა გასაკვირველია, კაცმა ამ მდგომარეობაში რომ კაცის კვლა ჩაიდინოს, მერმე იმ აზრით რომ ათას კეთილს იქმოდე? ეს ასრეა, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ეგ საფუძვლიანი აზრია. ერთის წლის წინად ნილო ამბობდა: გავმართოთ ყრილობები, აღვძრათ ხოლმე კითხვები აი თუნდ პირველად ეს: უნდა მოეკლა რასკოლნიკოვს ბებერი დედაკაცი თუ არა? დარწმუნებით გეტყვი ეხლა, ჩემო მეგობარო, რომ „არა". სანამ ჩვენი ყოფა, ეკონომიური მდგომარეობა არ შეიცვლება რასკოლნიკოვები და პროცენშიცები არ დაგველევა. თუ ეგენი შეუცვლელნი დარჩებიან, მოკვლის ნების მიცემით ერთს ჭირს მეორე მიემატება.

9 თებერვალი.

მე მგონი ყოველი ჩვენგანი სიამოვნებით მოიგონებს თავის წარსულს და ათასჯერ რომ ათქმევინონ იმის ამბავი, დაუზარებლივ იტყვის. დღეს ლოლიკის გაკვეთილზე გავფრინდი ჩემ ყმაწვილობასთან და ღმერთო, რამოდენა ცვლილება მომხდარა. სადღავარ ისა, რაც ვიყავი, ათ-ცხრა წლის წინად ვიყავ უმანკო სული და ახლა კი გაფუჭებული, ცუდის განათლებით. რა მხურვალე ღვთის მოყვარე ვიყავ! მუხლებს ვიმტვრევდი მუხლის მოყრით; ზიარების დროს ჩურჩხელის ჭამასაც კი ვერა ვბედამდი წირვამდისინ, და რა ნაირად მიხაროდა ზიარების მიღება! პირველს ორს-სამს წელიწადს შკოლაში ყოფნისა ისევ ეგრეთი ვიყავი. ბრაზებით გული მევსებოდა, როდესაც ვხედამდი, რომ ის შეგირდები, რომლებსაც კატიხიზი უსწავლიათ, უწესოთ იქცეოდნენ. რამდენჯერ მინატრია, როდის იქნება მეც ვისწავლო, რომ ყველაფერი ვიცოდე, როგორ უნდა მოვიქცე. მოვესწარ იმის სწავლას და გაფრინდა ყოველი ჩემი ოცნებები და უკან გამოეკიდა რელიგიური გრძნობა.

14 თებერვალი.

ერთფეროვანი და დაურღვეველია ჩვენი ბურსაკის ცხოვრება! შეუშფოთებლად მიიზლაზნება ბურსაკის ცხოვრება. ახალი აზრები მას არ აღელვებს. ბურსა მოკლებულია ხეირიან ჟურნალ-გაზეთებს (მარტო „ივერია" და „დროება" გვაქვს) ახალ კარგს წიგნებს და ბევრს სხვა რასმეს. ჩვენს უკეთურ მასწავლებლებს მოსდით სახელმწიფო ხარჯით, თითო ოროლა რუსული ჟურნალი და მასაც არ გვაძლევენ. რა მწარეთ გამეღიმა, რომ იცოდეთ, თუ როგორ უსვინდისოთ მოგვატყუა ჩვენ დღეს ბიბლიოთეკარმა. ჟურნალების კატალოგი ვთხოვე და მოგვცა, რომელიც გინდათ ამოიწერეთ. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც მას მივეცი ბარათი, რომ მოეცა „Отечественные[11] записки за 1879г." —უარი მითხრა: მასწავლებლისაგან რეკომენდაცია მოიტანეო, განა არ იცით რა არიან ჩვენი მასწავლებლები? როდესაც ბარათს მიუტან, ხელი მომიწერეო, გეტყვის: რა დროს თქვენი ჟურნალის კითხვაა, ურეკეები ისწავლეო. საცოდავი „კრებულიც" კი არ მომცა, რეკომენდაცია მოიტანეო. ეს საწყენი არ იქნებოდა, თუ ყველაზე მოეთხოვნა რეკომენდაცია. წარსული საუკუნის დროს და 30 წლის ჟურნალები სულ ურეკომენდაციოთ დაურიგა. აბა, ამ გაიძვერას რა უთხრა! ვითომც და ნება მოგვცა რალა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 თებერვალი.

დღეს გარეთ არ წავსულვარ და მინდა ჩემს დღიურში ჩავწერო ის, რა ფიქრებიც მომივიდა წირვაზე. ჩვენი შკოლა არის „Закрытое заведение“ და მაშასადამე, შეგირდებს ისე არ შეუძლიან იტუნტულონ გარეთ საზოგადოებაში, როგორც გიმნაზისტებს. ამის გამო ბურსაკებმა ძლიერ სუსტად იციან ცხოვრება, მიხვრა-მოხვრა და საზოგადოდ ეტიკეტი. აი აქედან მომდინარეობს ამ წინადადების ჩამომავლობა: „აი შე ბურსაკოვო“. ეკლესიაში ბლომათ ქალები დაიარებიან ხოლმე და შაგირდები სულ იმათ უცქერიან, სანამ ყურს უგდებენ წირვა-ლოცვას, ხომ იცით, რასაც მოკლებული ხარ, ის უფრო ძლიერ გინდა, მე რომ ჩვენი ბერისა ვიყვე, ქალებს სულ აღარ შემოუშვებდი ეკლესიაში და შეგირდებს ცუდი აზრები აღარ ექნებათ გულში ლოცვის დროს. ერთმა ქალმა მიიქცია ჩემი ყურადღება; არ ვიცი რისთვინ გაუჩენია ეს ქმნილება ღმერთსა?. რა გამოსადეგია, რის მანქანაა? ისე ნაზად იყო ჩაცმული, ისე დადიოდა, გეგონებოდა ან ეხლა წაიქცევა, ან ეხლაო. რისთვინ მოსულა აქა, რა უნდა ეკლესიაში, მაგის იდეალი არის ბალი, ლენტები, სიმდიდრე, სილამაზე და სხვა სისაძაგლე. ბურსაკებს უნდა აუმღვროს გული! „Бурсак ей не пора“.

20 თებერვალი.

ეს არის ეხლა გავათავე „იმედი“ [12]. რა ვთქვა საზოგადოდ „იმედზე?“ ის უნდა ვთქვა, რომ დიდ იმედს გვაძლევს, სულ ახალ-ახალია, ძველი არაფერია. თითქოს მთელ ჟურნალში გარმონიაც შევნიშნე და სიმეტრიაც. ყველა სტატიების აზრი—ხალხის ცხოვრებაა, მისი გაუმჯობესება, ნამდვილი გზის ჩვენება, ბოროტების დანახვა, ცუდის გამოაშკარავება და სიმართლის აღდგენა. ერთი კიდე „ივერიის“ და „დროების“ ბრძოლა, როგორი ბრძოლაა? დაუდგრომელი. რათა? რისთვინ? მიტომ რომ დავარდნილები არიან აზრებით, ლტოლვილებით და ყველაფრით. როგორც გაზაფხულის პირზე ვარდება ფილტვგაფუჭებული ხარი. რა მეცა ყველაზე წინ კიდევ თვალში, ის რომ ჯერ-ჯერობით სულ კიცხამენ და თვითონ როგორებს მოგვცემენ, დავინახავთ! თითქოს კიდევაც როგორღაც უნდება ძალმალი „იმედის“ ხმარება პროზაში, გინდა თუ პოეზიაში, ერთი კიდევ, ეტყობა იმედისტები ძველ ქართულ სიტყვებს „კუმირებად“ არა ხდიან, როგორც ივერისტები.

23 თებერვალი.

მომილოცავს დიდი მარხვა, რა მოსალოცია. ჩვენ ბურსაკებისათვის სწორეთ რომ დიდი მარხვა არის. პირველი კვირა უფრო საშინელი იქნება ჩვენთვის. მართალია ეხლა სწავლა არ გვექნება, მაგრამ მეორე კვირისთვინ თუ სუსტათა ვარ, ძნელი იქნება. ამ კვირას გვექნება მარტო ლობიო და კომბოსტო, ხანდიხან სემინარიული ფლავი. საჭმელს გადაუწყდეს, ნეტა ბერებივით არ გვალოცვინებდნენ. დილას ხომ ვიდექით საათნახევარი, აგერ ეხლაც ემ წუთს დარეკენ, თუ ორი საათი არა საათნახევარს მაინც უნდა ვიდგეთ, უნდა გეყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებინათ ვისმეს, რას გავდა ჩვენი დილანდელი ლოცვა, ნაბახურევი ხალხის გროვას. ზოგს ამთქნარებდა, ზოგი თვალებს იწმენდდა. ზოგი თავს ქინდრავდა, ზოგი კიდევ ძალლუმადურად პირჯვარს იწერდა, აღსავლის კარიდან გაისმოდა რეკტორის ხრიპიანი ხმა, რომელსაც ეტყობოდა რომ, წუხელის ქართულად უაღგბიღამნია და მერე ცოტათი შესცივნოდა, ხორებიდან წრიპინებდნენ მგალობლები, რომლებმაც ვერც ერთი საგალობელი ვერა თქვეს ტონზე. რასაც მკითხველი კითხულობდა, არც თვითონ ეყურებოდა, არც-ჩვენ. რა მიზეზია ამ გულგრილობისა. პირველი ძალდატანება და მეორე—ათასნაირი სხვა მიზეზი, რომლების ახსნას დღიურში არა აქვთ ადგილი. ვაიმე მუხლები! ღმერთო, მიხსენ ამ სატანჯველისაგან?!

25 თებერვალი, ხუთშაბათი.

უწინდელი და აწინდელი ბურსა

კაცი ისეთს არას გააკეთებს, რომ ის არ უყვარდეს, თუმც ძალითაც ბევრი რამ შეიძლება. სემინარიაში მე დიდხანს აღარ დავრჩები, ბევრი-ბევრი წელიწად ნახევარი. მერმე წავალ სხვაგან. მეც არ ვიცი სადა. ბურსის ფერი ათასნაირად შეიცვლება და ხომ ის მაინც რასაც ვხედავ ან რაც მინახამს, ან რაც გამიგონია არ დამავიწყდეს, განვიზრახე გადავავლო თვალი უწინდელს და აწინდელი ბურსის მდგომარეობას და ჩავწერო ჩემს დღიურში. შეიძლება ათი, ოცი წლის შემდეგ, მევე წავიკითხო ჩემი ნაწერი სიამოვნებით ბურსის აღწერა და ისიც შეიძლება, რომ სხვამაც სიამოვნებით წაიკითხოს ჩვენს ბურსაზე. რუსეთის მოსვლამდინაც გვქონდა ჩვენ სემენარიები, მაგრამ ისენი სულ სხვა ხასიათისა იყვნენ და მათზე ბევრიც არა ვიცირა: მოგახსენებთ იმ სემენარიაზე, რომელიც მე მზრდის. სემენარიასა ანუ ბურსასა ამასა ბევრჯერ უცვლია ფერი ანუ გაუვლია ბევრი პერიოდები, ანუ რამდენიმე ფაზისი. ჩვენი სემენარიის არსებობა სულ ორმოცდა-თოთხმეტი წელია. პირველად როცა დააარსეს, როგორც პომიალოვსკის ბურსაში, თვითონ მართებლობა ეხვეწებოდა ღვდლებს შვილების მოსაყვანად. ისინიც ინაზებოდენ. ვინც კი გაბედავდა შვილის მიცემას, ბავშვობისას კი არ აძლევდა, წვერულვაშით რომ შეიმოსებოდა, სწორეთ მაშინ მოიყვანდნენ. რადგანაც მაგოდენა ახმახებს დედაენის მეტს ვერას ასწავლიდნენ, ამიტომაც იმ დროს სემენარიაში მეფობდა ქართული ენა, რუსული კი კუნჭულში იყო მიჩქმალული. ბევრიც რომ ეწია იქითგან ვერ გამობრძანდებოდა სულ მუშტი კრივით იფრენდნენ იქითკენ, საიდანაც მობრძანდა, მერმე ახალიც იყო. ეგ ერთი ხანა. შეგირდებზე მაგ ხანაში არას ვიტყვი. განა არ იცით, როგორიც იქნებოდნენ, მაშინდელი შეგირდები საზოგადოდ და ბურსაში ხომ გადაჭარბებული იყვნენ. ნახევარჯერ არ დადიოდნენ გაკვეთილებზე, მომეტებულ დროს ატარებდნენ კრივში და ცულლუტობაში. არავითარი სხვა განათლებისა მათ არ ეკარებოდათ. შკოლაში სწავლობდნენ დავითნს და ეკლესიურ წესებს, ისიც ბევრჯელ ერთის მაგივრათ მეორეს ეუბნებოდა გაკვეთილს. ერთის სიტყვით ბურსაკები ცხოვრობდნენ უდარდელათ. ხანდისხან არამცთუ სანათი არა ქონდათ ხოლმე, ლობიო და პურიც კი აკლდათ. მაგრამ არც მაგაზე დარდობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალლებივით ხან სად იშოვნიდნენ, ხან სად. ზაფხულობით ხომ მებაღეებს მოსვენებას არ აძლევდნენ. დადგებოდა არდადეგები, გამოიხვევდნენ თითო პურს, წაღებს მხრებზე შეიყრიდნენ, მხიარულობით, ოხუნჯობით ჯგუფჯგუფათ გასწევდნენ შინისკენ. მეორე ხანა. მაგ პერიოდში მართებლობამ ცოტა მაგრათ ჩახვია ბურსაკების საქმეს ხელი. ცოტაოდნად ალაგმა დაუდგრომელი სული ბურსაკებისა, თუმცა ძველებური, მაგ პერიოდში, ისევ ბევრი იყო. ამ პერიოდში რუსული, არამც თუ დარჩა კუნჭულში დამწყვდეული არამედ ორიოდ სამი ნაბიჯიც წინაქნა. წირვალოცვა კი კვირაში რამდენჯერმე რუსულად მიდოდა, სადაც შეგირდები ეხმარებოდნენ. ცოტაოდენი დისციპლინაც დაადგინა მართებლობამ. აღმოსავლეთის ენებიც შემოიღეს, როგორც თათრული, ოსური და კიდევ ბერძნული (ეს კი კლასიკურია). მაგათ სწავლას ბურსაკები ძაან არა ნაღვლობდნენ. პრაკტიკულად ლაზათიანათ სწავლობდნენ. აი როგორ: სემენარიაში მეექვსე ნაწილს უთუოდ ოსები შეადგენდნენ და იმათთან შეეძლოთ სწავლა- ეგეც რომ არ იყოს ვინ თხოულობდა სასტიკათ? ან კი, როგორ მოითხოვდნენ? წააქცევდნენ იმ მასწავლებელს და ტყიპს გააგდებინებდნენ ცემით. თათრულის და ბერძნულის ბედიც ეგ იყო. ზნეობით და ზრდილობით მეორე პერიოდის ბურსაკები ძლიერ არ განირჩეოდნენ პირველებიდან. მესამე ხანა. მესამე პერიოდის ბოლოდ ჩაითვლება 1867 წელი, როდესაც ახალი რეფორმები შემოდიან ჩვენშიც. ეს პერიოდი რაღაც უფერულია, ორიგინალური აღარ არის, ძალდატანებითი ხასიათი აქვს. სხვაზე ეს პერიოდი მითია შესანიშნავი, რომ ეხლა რუსული ზედ შუაგულზე დგება. ქართული თანდათან კუთხეებში იჩქმალება. ეკლესიაში სამსახური რუსულად მიდის და ქართულ ენაზე კვირაში ორჯერ მოწყალებასავით ნებას აძლევენ. სხვათაშორის ამ პერიოდში მართებლობა მღვდლებს კი აღარ ეხვეწება შვილების მოყვანას, არამედ ისინი-თვითონ. შეგირდების ზნეობაც ცოტა არ იყოს შეიცვალა. განათლების სიყვარულმა ცოტა არ იყოს ფეხი მაგრად ჩადგა. ბევრმა ნიჭიერმა ბურსაკმა შეასრულა მაღალი სასწავლებელი და შეიქმნა ხალხის მოღვაწედ. კიდევ სახარაკტერისტიკო ამ პერიოდისა ესაა, რომ მართებლობამ ძლიერ ასწია რუსული, ასე რომ გვარებსაც კი დაუწყეს გადასხვაფერება. მაგ. ნადირაძე—ნადიროვი, ედილაშვილი — ედილოვი. ეს პერიოდები წინამსვლელობისა ისე არ არიან შესანიშნავები, როგორც ბოლო ორი და მათში პირველი ანუ მეოთხე ხანა. ეს არის პერიოდი რეფორმებისა. ამ დროს შემოიღეს კლასიკური ენები. ის ადგილი კი აღარ ეჭირათ, რაც მეორე პერიოდში, არამედ უპირველესი. მეორე კიდენ, რომ რუსული გადაეფარა ყველას, ქართული კი ისე მიჭყლიტეს კუთხეში, რომ დიდხანს უნდა იხავსოს, რომ თავი დააღწიოს იქიდგან. მაგ პერიოდის ბოლოდ ჩათვლის დრო—ამ ხუთი წლის წინად, ამ პერიოდს სხვებთან აქვს ერთი რამე საერთო—ეს რომ აქაც დიდტანიანები მოყენენ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ პერიოდის შეგირდები იყვნენ გატაცებულნი მარტო პატრიოტული გრძნობებით და მაღალი ლიბერალური აზრებით კი არა, ბროშურკებსაც ქონდათ ცოტაოდენი მონაწილეობა. ეგ ბროშურკები იყვნენ საფრანგეთიდან შემოტანილი. მაგ. „Парижская Коммуна", „Хитрая механика", „История одного крестьянина" და სხ. ბროშურკები მეც ვიწვნიე და მართალი თქვას კაცმა, აგაპილპილებენ. მართალია ბოროტმოქმედებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხელენ, მაგრამ ვისაც ჭკუა და ტვინი დახშული არა აქვს, კარგად დაინახავს მაგ ბოროტმოქმედებას უბროშურკოთაც. ეგ თავის დღეში საფუძვლიან სწავლას ვერ შეგძენს. მე მაგალითებრ სრულებით არა თანაუგრძნობ ძაგათ. მე მინდა სწავლა, რომ ამამაღლოს ჭკუით, დამეხმაროს ბოროტების აღმოსაფხვრელად და იყოს ისეთი საფუძვლიანი და ძლიერი, რომ რკინას დავკრა, გააპოს. ბოროტ მოქმედებას ისეც კარგად ვხედავ. ჰო, იმას ვამბობდი, ბურსაკები აპილ-პილებული და გატაცებულნი აღარაფერს აღარ იღებენ მასწავლებლობისაგან, აღარას უგონებდნენ, თავის დამცირებად მიაჩნდათ მასწავლებლობის ძაღლებივით ლაქუცი და ყოფნა ყურმოჭრილ ყმად. შეადგინეს თავისებური შეხედულება საგანზე და აღარას სწავლობდნენ. დროს დაკარგვად მიაჩნდათ ურუკების სწავლა. მიაწვნენ წიგნების კითხვას და სემენარიის საგნები არხივში გაისტუმრეს. მეოთხე პერიოდის შეგირდებს ბაასი ჰქონდათ დარვინის ტეორიაზე, სხვადასხვა სოციალურ კითხვებზე, საფრანგეთის რესპუბლიკაზე, ლასალზე და სხ. საქმე იმაშია რომ სამოციან წლებში მთელ რუსეთში იყო მოძრაობა. დობროლიუბოვის და პისარევის იდეებმა აქამდისინაც მიაღწიეს, მაგრამ მაშინვე კი არა ცოტა დაიგვიანეს. ეს პერიოდი მითია შესანიშნავი, რომ მართებლობას შეგირდები უწევენ ოპოზიციას, ბრძოლაში იყვნენ ნაბოლარნიც, ისინიც ცდილობდნენ წაეკითხათ რამე. ზოგს კიდეც სკხვენოდა გაკვეთილების სწავლა. აი ამნაირ სურათს წარმოგვიდგენს მეოთხე პერიოდი. მაგრამ ეს ერთი მხარე. პიტერის მართებლობამ დაინახა თუ არა რომ სრული ანარხია იყო აქა, გამოგზავნა კუვშინსკი. ღვთისწყალობა გაქვს, იმან მალე ბოლო მოუღო საწყალ დაუმწიფებელ ლიბერალებს, რომლებიც იქცეოდნენ წინ დაუხედავათ და არა ცდილობენ ცოტათი მაინც მიემალ-მოემალათ თავიანთი წიგნები. ეხლაც მოიპოვება სემენარიის ბიბლიოთეკაში ხან დარვინის წართმეული თხზულება, ან სპენსერი, ან ქართული რამე, ან ინოსტრანული ლექსიკონი. მწარე ღიმილი მომივა ხოლმე, როცა მაგათ სახელებს ამოვიკითხავ კატალოგებში. ცხადად მეხატება კუვშინსკი და მისი საცოდავი მსხვერპლი! ჰო, ბატონებო, იმას გეუბნებოდით, რომ კუვშინსკიმ სამ ოთხ წელიწადში ისე მოასუფთავა ბურსა, რომ იმათი სახსენებელიც აღარ დარჩა. გამორეკილებში სხვათა შორის მოჰყვნენ ჩემი ძმა * და სტეფანეც **. რა იქნენ გამორეკილები? ვერ უღალატეს თავიანთ იდეებს და წავიდნენ პატარ-პატარა ჯამაგირებით სოფლებში. ეხლაც იქ მოქმედებენ, ზოგს კი გამონელდა და ფოშტალიონებად წავიდნენ! კუვშინსკიმ შეასრულა თავისი მისსია და გადაიყვანეს სხვაგან. ეხლანდელი მდგომარეობა შეადგენს მეხუთე პერიოდს, რომელშიაც მე მოვყევი. ამ პერიოდშიაც არიან, როგორც ტანით ბალღები, აგრეთვე ჭკუით, წიგნების კითხვა, ჭკუის გახსნა ფეხებზედ კიდიათ. მაგათი კუმირი გაკვეთილები და კარგი ბალებია. მაგეებში იკლავდენ თავებსა, აღარაფერი მაღალი აქ აღარ პოულობს ხმას. ბურსა აღტაცების შემდეგ მიეცა ძილსა. კოოპერატიული და ამხანაგური სული გაქრა სამუდამოთ. ახალი ცისკარი როდის ამოვა, ღმერთმა იცის.

---

* გრიგოლ ყიფშიძე.—რ ე დ.

** სტეფანე ჭრელაშვილი (სანო, ტატალა)—რ ე დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 მარტი

დღევანდელი დღე სწორეთ შესანიშნავი დღეა. პიტერიდან მოვიდა ტელეგრამმა რომ რევოლიუციონერებმა ხელმწიფე მოკლესო [ალექსანდრე II]. რამდენი ფიქრი, რამდენი ოცნება აღიძრა ჩემს თავში სამშობლოს ბედზე! ღმერთო, რა ხალხია ეს სოციალისტები! რა ენერგიისა, მაგარი ხასიათისა! რამდენი დატანჯეს, რამდენი აწვალეს და რანაირის თავგანწირულებით მისდევენ თავიანთ მიზანს! განუსაზღვრელად უნდა უყვარდეთ მაგათ ხალხი, რომ პირდაპირ ტანჯვასთან თავს ანებებენ! განა ესეთი ახალგაზრდობა ღირსი არ არის სიყვარულისა, თანაგრძნობისა?! მაგრამ უკუღმართობას სამართალს ვინ მოსთხოვს! დღეს ხალხი დააფიცეს ახალ ხელმწიფის ერთგულებაზე. იქ ერთ მოხუცს მიუგდე ყური და აი რა გავიგონე, Собачье отродье! Этих Коммунаров нужно перебить, сослать в Сибирь, пытать, пытать до мучения! მოდი და ახლა გულგრილად მოისმინე ეს სიტყვები! მკვლელი სემენარისტი ყოფილა! (?!!!!?..?.!?..) ჩემი ამხანაგები კიდეც იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ გემნაზისტებივით პარადში არ გაგვიყვანესო! არ გეგონოთ, რომ სულ მაგისთანები იყვნენ. ნამდვილი სემენარისტებიც არიან და რა არა ვთქვით!..

7 მარტი, შაბათი.

რაღაცნაირ სიამოვნებასა გრძნობ, როდესაც კითხულობ ისეთს წიგნს, რომელშიაც სიმართლე გადაჭარბებულია ტყუილზე, თუ ასეთს სიმართლეს და ჭეშმარიტებას შეეხება, რომლებსაც შენც კარგადა გრძნობ, მაშინ ხომ წიგნი და ავტორი ერთი ორად შეგიყვარდება. გუშინ წავიკითხე კ რ ი ვ ე ნ კ ო ს თხზულება: „Физический труд, как необходимый элемент образования". რა არის ამ წიგნში? ისეთი არაფერი რაც ჭკუით დაუმახინჯებელმა კაცმა არ იცოდეს. წიგნს რომ ვკითხულობდი მაგალითებათ ხან ჩემი თავი წამომეკვეტებოდა, ხან ჩემი ამხანაგებისა. თუ რა ნაირად შკოლა ამახინჯებს ყმაწვილებს ფინთის სწავლის სისტემით უფიზიკურო შრომით, ამას ყველა დაინახამს, ვისაც უნდა, და ვისაც არა იმას თვალებში თითიც რომ წაატაკო, მაშინაც არ დაინახავს. აი თუნდ ავიღებ ჩემ თავს და ჩემს ამხანაგებს. რასა გვძენს შკოლა? არაფერსა. ფიზიკურად დაგვამახინჯა და ის სწავლა, რომელიც მივიღეთ გასულს შკოლიდან დაგვავიწყდება. ვინც სუსტია ჩაფლულია, ვინც მაგარი ხასიათისა, ის თავს გაიტანს, მაგრამ რავაივაგლახით? ამ ორი დღის წინათ ერთი ჩემი ამხანაგი ამბობდა: „შინ რომ (შკოლიდან) წავალ, ვერ ვიმუშავებო", გაცოცხლა ღმერთმა! სხვის ოფლით ხ..? დიახაცა! აი რა ნაირ ეგზემპლიარებს ზრდის ჩვენი შკოლა!

21 მარტი.

თუმცა სასაცილოა რასაც ეხლა დავწერ, მაგრამ მაინც მინდა რომ ჩემს დღიურში იყოს, ეს სხვისთვის სრულებით არ იქნება საინტერესო, ჩემთვის კი ცოტაოდენი. პატარაობიდანვე „გოროზს" და ამპარტავანს მეძახდენ. ვისაც კი ახლოს გაუცვნივარ და ცოტა არა, რომ მართლდება. საქმე იმაშია რომ **გუშინ** წინ წავიკითხე ბერნარდე გელვიგის „ოთხი ტემპერამენტი: სანგვინიური, ხოლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკული, მელანხოლიური და ფლეგმატიკური". გელვიგი ამბობს, რომ ინდივიდუმს თვისი განცალკევებული ტემპერამენტი აქვსო, მაგრამ შეიძლება ოთხ გრუპაზე გაიყოსო. ეგ გრუპები ზემოთ ჩამოთვლილნი გახლავან. გელვიგი განიხილავს ცალ-ცალკე თითეულს ტემპერამენტს ბავშვებში. სიცილით მოვკვდი, როდესაც ხოლერიკულ ტემპერამენტზე ჩავედი. წარმოიდგინეთ, ჩემი თავი ვიცანი შიგა.

ჩემს საყვარელ ბიბლიოტეკარს ს. ზ. მგალობელოვს* უთქვამს ჩემთვის, რომ ბევრს ნუ კითხულობ თორემ ისევ მალე დაგავიწყდება და ვერც საკმარის სარგებლობას მოგიტანსო. დახსომებაზე კარგს ვერას ვიტყვი—ბევრი მავიწყდებოდა, როცა ჯეროვანის ყურადღებით ვერ წავიკითხავდი ხოლმე.

11 აპრილი.

ლოთებმა იციან „ისევ და ისევ ღვინითა, დროც გავატაროთ ლხინითა", მეც ამას ვიტყვი ისევ და ისევ შენ ჩემო დღიურო, თორემ სული მიგუბდება. შენ ხარ ჩემი ნამდვილი გულითადი ძმა და მეგობარი. შენ თუ გამოგელაპარაკები გულ გახსნილი, თორემ სხვასთან ვერ გავბედავ. ერთი თვის განმავლობაში სულ ტოლაღების ქვეშ გატარებდი. ხომ იცი გიფრთხილდებოდი, ვაი თუ ან ხეპრეს ხელი მოგხვედროდა, ან თვალი გცემოდა, ან ცუდ ქარს დაეკრა, ვინ იცის ყველას უნდა მოელოდეს კაცი! პირველ მარტიდან გულგახსნილი აღარ გამოგლაპარაკებივარ, ვაი თუ სტუმრები მეწვივნენ მეთქი და უდროოთ მოგვიღონ ბოლო შენც და მეც! ვინ იცის რამდენი რამე დატრიალდა გულში გამოუთქმელი და ეგ გამოუთქმელობა მახრჩობდა, სულს მიგუბებდა. აი თუნდ ეხლა, მარტოობამ ლამის გამაგიჟოს. არც გაზეთი, არც განათლებული ადამიანი, რა გინდა ქნა ამისთანა მიყრუებულ ალაგას.

ბევრჯერ ვაქე კიბალჩიჩი[13] და ჟელიაბოვი[14], აქა ვწერ რომ მაგათ ვაქებდი მეთქი, ეხლა რომ გაჩნდეს ერთი ჩლატიონი პოლიციელი, წამავლებს ხელს და ვინ იცის სად გადამკარგავენ და გამოშვების დროს ოდესმე უთუოთ, ძალაუნებურად სოციალისტი გავხდები. აფსუს ბიჭებო, რომ თქვენ დაიხოცენით და თქვენ მაგიერ რამდენი ძაღლი დარჩა!

19 აპრილი.

საღამოს პოეზდი ოთრქლმავლისა ჩამიტანს თბილისში. საშინლად მენანება ე ჩანჩურა საღოლაშენი, ასე მგონია ვეღარა ვნახავ მეთქი. მეზარება თბილისში ჩასვლა და სწავლის გაგრძელება. განა როგორი სწავლისა? ძალდატანებითი სწავლისა. მერმე ბურსის ჰაერის ყლაპვა?! გუშინ გლეხურ ნათვლაში ვიყავი. ნათქვამია: „მელას რაც აგონდებოდა, ის ელანდებოდაო". სწორედ ამ გლეხების საქმეც ეს არის. თემა მაგათი მუდმივი ლაპარაკისა არის ნადელები, ტყე,,კარგი ხარ-კამეჩი და ფოშტის ფული, გუშინ კი ბატონყმობაზე გახლდათ ლაპარაკი. სადილზე მომეტებულად მოხუცნი იყვნენ. სანამ დათვრებოდნენ რაღაც-რაღაცეებზე ვლაპარაკობდით, მერმე რაკი შეზარხოშდნენ, მოიგონეს მწარე, თავიანთი

* ს. ზ. მგალობლიშვილი—ცნობილი ხალხოსანი მწერალი, გ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წასული, მაგრამ არც ახლანდელს შეხარიან. მართლაც მწარე იყო ამ გმირების ბედი ამ ოცი წლის წინად, ყოველმა მათგანმა თითო დაუვიწყარი სცენა სთქვა: ჩვენისთანა ღვთისნიერი ბატონი ოც სოფელში არავის ეყოლებოდაო, ალბულალს თუ მანგლისს შვილს აგზავნიდა და მის სამგზავროდ ხუთი მანეთი შემაწერაო. თუმც სხვა ბატონები ბევრჯელ ხუთ-ექვსს თუმანსაც აწერდნენ, მაგრამ მაინც გავკადნიერდი და არ მივეცი. რაკიღა „ტრალალა და პუბლიკაცია" დაჰკრეს, რალათ ვემსახურები ბატონს მეთქი. ტრალალას და პუბლიკაციას გახსენებაზედ მე ხარხარი დავიწყე, დალაქმა ამიხსნა რომ ბატონყმობის მოსპობა პირველად სიონში (1864 წ.) რომ გამოაცხადეს, პუბლიკაცია ქნეს და დალაბანდს უკრამდენო.

25 აპრილი.

ღმერთო ჩემო, რა უბრალო გასაგებია ის სიბრძნე და ჭეშმარიტება, რომ ყოველმა ჩვენთაგანმა თვისი ნაშრომი თვითონვე უნდა მოიხმაროს, მაგრამ ისეთ ნაირად არიან დამყარებულნი გარემოებანი, რომ მომეტებულ ნაწილს კაცობრიობისას ან არ ეყურება, ან ძალად არ აგებინებენ. ამ დღეებში ჟელიაბოვის ნაწერები მომხვდა, წავიკითხე და ცხადად დავინახე ის გაუგებრობა მუშა ხალხისა, რომელზედაც გვაქვს ლაპარაკი, საწყალი წამებული რა ნაირად იბრძვის, რომ დაანახოს ხალხს, რომ ბიჭო, გაიგე შენი შრომა სად მიდისო და ანგარიში მოსთხოვე მათ, ვისაც აძლევ მაგ შავი ოფლით მოპოვებულს გროშებს, რაში გახმარებენ, მაგრამ ვერა, არამცთუ რუსულ მუშას, ვერ შეუთვისებია ეს აზრი, არამედ ევროპიულ მუშებსაც ვერ გაუხორციელებიათ ეს აზრი. მაშ რა დაგვრჩენია? „Сиди у моря и жди погоды"! ეს არც ასე იქნება, თვითონ არაფერიც არა მოვარა! ხათაბალაა, მაშ რაა ბიჭო! თქვენმა მზემ მეც არა ვიცირა, ხომ იცით ახალგაზრდას მალ-მალე ეცვლება აზრები და მე ამ დიდად ღირსოვან საგანზედ მტკიცე, საფუძვლიანი აზრი არ შემიდგენია, ეს ხუმრობაც არ არის: ჯერ ბევრი, ბევრი ვისწავლოთ და მაშინ ვიბაასოთ დღიურო!

6 მაისი.

დღეს გიმნაზიელებთან ვიყავი და სწორეთ გავიხარე იქ ყოფნით. სამი ოთხი საათი მშვენიერ საუბარში გავატარეთ, ჯერ კარგად არ ვიცნობ და ვერც არას გადაწყვეტილს ვიტყვი მათზედ: სხვადასხვა ხალხოსნობისაგან ანუ ნაციებისაგან შევდგებით, სომხებიც იყვნენ, ქართველებიც, რუსებიც, მაგრამ არა უჭირსრა, ახალგაზრდას არ ულირს ძვირად ნაციონალობა, ის ისე სასტიკად გაკიცხამს ნაკლულევანებას თვისის ვრისას, როგორც სხვა ხალხის მწერალი. სიამოვნებით და ხარხარით დავტკბით, როდესაც ძველ „სოვრემენიკში" წავიკითხეთ ნ. ჩერნიშევსკის წერილი ზორიანთან მიწერილი. რა ძალაა კალმისა, სიტყვისა, რა პატიოსნება იხატება ამ პატარა წერაში?! აფსუს პატიოსანო, თეთრო მოხუცო, ახალგაზრდობის პაპავ, რუსეთის ნათელო და კაცობრიობისათვის წმინდავ, უნდა წამებული იყოს და ბევრი შავი ძალლები კი ღვთის ნათლით სტკბებოდნენ და ქვეყანას უცქეროდნენ?. მერმე დაიწყო კითხვა ჩვენმა ლეკტორმა მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთე თავი (თუ არა ვცდები) პირველი ტომის ბოკლისა. რელიგიის გავლენა კაცობრიობაზედ.

მერმე გამართეს ატეისტური ბაასი. სემენარისტი ზორბად ამტკიცებდა, რომ ქრისტე მარტო კაცობრიობის მხრით არ უნდა განიხილოთო, რომ ის მარტო მარიამმა შობავო და სხ. გიმნაზიელები ხარხარებდნენ, ბოლოს რამდენიმეს თხოვნით შევწყვიტეთ ლაპარაკი ამ უფერულ საგანზედ. მერმე ვიბაასეთ რუსეთში გლეხების მდგომარეობაზედ, მათ თანამგრძნობთ ფლეროვსკიზედ, მორდოვცევზედ [16] და სხვ. შემდეგ პოლიტიკაზედ, სოციალისტებზედ, კიბალჩიჩზედ — და სხვა. ერთი სიტყვით სიამოვნებით გავატარე ეს საღამო და ბევრი ღვარძლიანი დიდიხნობით დაგუბებული აზრები წარმოვსთქვი. თუ დიდი ხნის გაცნობის შემდეგ ეგენი კარგი ბიჭები გამოდგნენ, უეჭველია შევკრბებით ერთად და დაუწყებთ ბრძოლას უსამართლობას [17].

წრფელის გულით მეხვეწებიან გიმნაზიაში გადმოდიო, რომ ერთად ვიყოთო მუდამ დღე და შეგვეძლოს უნივერსიტეტში შესვლა, ასე გაშინჯეთ ამ ორ თვეს მომზადებასაც მპირდებიან და უფასოთ შენახვასაც. არ ვიცი ღმერთმანი რა ვქნა?..

7 კათათვე.

შეგირდები კანიკულებს ისე მოველოდებით ხოლმე, როგორც ფოთლებგაყვითლებული და თავჩაქინდრული სიმინდი დგრიალა წვიმებს. რისთვინ? მისთვინ, რომ ეხლანდელი შკოლები უსარგებლოთ გვღალამენ ფიზიკურადაც და გონებითაც. ჩვენი ეხლანდელი შკოლები ისე უზომოდ გვღალამენ, რომ თავისუფალ სწავლის შეძენის სურვილს ზოგს სამუდამოდ უკარგავს. აი თუნდ მე აგერ ერთი თვეა, რაც ეგზამენები გავათავე და ძლივს დღეს მომივიდა სურვილი დღიურში რისიმეს ჩაწერისა. მაგრამ რა ჩავწერო? სულ უსიამოვნო და უსიამოვნო, ერთ ნამცეცს ვერას ვხედავ სასიამოვნოს ჩვენ ცხოვრებაში. სულ სისაძაგლე, სიღარიბე, უსამართლობა და გარყვნილება. ამეებისაგან თვალების მოშორება რომ გინდოდეს, ერთ მუჭა ადგილსაც ვერ იპოვნი მთელ დედამიწაზე, რომ ერთ წამს თავი შეაფარო, რუსეთში გარყვნილის უგუნურებით ღუპავენ ახალგაზრდობას, რომ პატიოსან კაცს გული დაეთუთქება, დაბალი ხალხის სისაწყლეს გულგრილათ უცქერიან და მინისტრების გადასკუპ-გადმოსკუპების მეტს არაფერს აკეთებენ, თითქოს იწილო-ბიწილოს თამაშობდენ; ჩვენი ახალგაზრდები სასწავლებლებში სლავიანოფილობის გზას დადგომიან და სხვადასხვა: რამდენ ერთს ჩამოვთვლი და ან რა საჭიროა. ვინც ბრმა არ არის, ყველა კარგად დაინახავს, რა საძაგლობით სავსეა ქვეყანა და რა უსამართლოდ, კერძოდ ჩვენ გვეჭცევიან ჩვენი მფლობელები. სჯობს დაუბრუნდეთ ისევ ჩემს შთაბეჭდილებას.

გავათავე თუ არა საზარელი ეგზამენები (12 თიბათ.), გული სიხარულით ამევსო და ვნატრობდი ჩქარა შინისკენ წამოსვლას, რომ დავმტკბარიყავ ბუნების სიმშვენიერით, დამეცვენა სულით და გულით მაგრამ რა დაგასვენებს, როდესაც სხვისი ჭირი და უბედობა პოულობენ შენს გულში ალაგს, ან რა დროს დასვენებაა თუ ღმერთი გწამს, როდესაც სხვა ოფლს იწურავს! გამოვცდი თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მტვრიან თბილისს თვალწინ წარმომიდგა საშინელი ბრძოლა ბუნებასთან, რა არის ეგები ბევრი დასტყუონ იმ საყოველთაო დედას, ჩემი და შენისთანა უსაქმოების გასაძღომათ მკითხველო! ჩვენსა რომ მოვედი, ჯერ მკა არ იყო დაწყობილი, მაგრამ ჯერ არც გუთანი გამოშვებულიყო და არც თოხნა გათავებულიყო. ღვთის მადლით ეხლა მკასაც მოვრჩით და ახლა ლეწვას შეუდგებით. მოსავალი ურიგო არ იქნება, მაგრამ ვაი შე საწყალო გლეხკაცო, რომ „შენს გაჩენაში ღმერთი არ ურევია“ და შენ ოფლით მონაგებზედ სხვებმა უნდა გაიხაროს?!! წლითიწლობამდინ წელზე ფეხს იდგამ, ლურჯი ნიფხვის და სხვილი შალის ჩოხის მეტი შენ იქიდან არა გერგებარა, წელიწადში ორჯერ-სამჯერ ვერ ჩაისველებ ყელს შენგნითვე მოყვანილ ღვინით, ვერ გაძღები შენგნითვე მოყვანილი თეთრი პურით და ვერ ჩაიტკბანურებ ყელს შენი ცოლშვილისაგანვე გაზრდილი წვრილფეხობით და სიბერეში ვერ დასტკბები შენი შვილის დიდი სწავლით, მიტომ რომ სწავლის დროს უნდა სდევნიდეს წაბლებს და ლურჯებს, ნიკორა, ლომა კამეჩს და შეღერების დროს, როდესაც მისი ტოლები—„კმაყოფილის“—შვილები ტყავებს აძრობენ იდეალისტებს და მატერიალისტებს, ის ვინ იცის სადა გდია ღამის ხარში და რომელ ცივ ქვებზე უდევს თავი, რუსის მაზარაში გახვეული ან დაგლეჯილ ჯეჯიმში! დიდსულოვანო ღამის მეხრევ და თქვენც ქვეყნის გმირებო გუთნის დედებო, რატომ ქვეყანას არა სთხოვთ ანგარიშს, თუ სად მიდის თქვენი უზომო შრომა?! რასა იქთ, ის გზა საიდანაც შეგეძლებოდათ მაგ ანგარიშის თხოვნა—განათლება, თქვენთვის არ არის და ნებითაც არც მალე ეღირსებით. მაშ, გაუმარჯოს ძალას!.. იმდენი თავისუფალი დრო არა გაქვს, რომ შენი ცოლშვილი, მოკლებული ყოველგვარ სიამოვნებას ერთხელ მაინც გაისეირნო ერთ ქართულ დღეობაში და ჩვენ კი სისხლის პურის ჭამის დროსაც ბალებსა და ვეჩერებში ვკუნტრუშებთ. გუშინ ღამ ვიყავი ბალში, მგონი ფეხები დაიგლიჯეს ქალებმა და აფიცრებმა მომეტებულის ტანცაობით. ვიენნაია მუზიკა უტკბობდა გულს მოთამაშეებს. მის ხმაზედ მოვიდნენ საცქერლად სოფლიდან რამდენიმე გლეხი და მათი ცოლები. ნეტა მაშინ იმათ გულში ვყოფილიყავ და გამეგო დაწვრილებით, თუ რას ფიქრობდნენ ჩვენზედა.

8 **კათათვე ოთხშაფათი სოფ. საღოლაშენი.** (11 ч. веч. когда все спят кроме меня.).

ლებბოკის თხზულების კითხვაში ვარ ჩაფიქრებული და წყნარ სიჩუმეს ჩემს ოთახში არაფერი არღვევს, გარედან შემოსული ძაღლის ყეფის ხმის მეტი. ფურცლის გადაშლის დროს უცბათ უნებლიეთ ხელზედ დავიხედე და მის გულზედ რაღაც წითლები გამოჩნდა, გავშინჯე კარგათ და აღმოჩნდა, რომ ბებრები გაჩენილან, ხელები ჯერ კიდენ კარგა თეთრები არიან, მაგრამ ორი საათის მუშაობას კვალი დაუდვია. იმ საცოდავებმა რაღა უნდა ქნან, რომლებსაც წლითი წლამდე ორი საათის მოსვენება არა აქვთ და რომლებთანაც მე დღეს ვიმუშავე. მე დღეს საღამოს ჟამს ჩვენს ყანაში ვფოცხამდი და ამ დროს რამდენმა მწარე ფიქრებმა არ გამიარეს თავში და გულში! სხვათა შორის მომაგონდა დ. კ ო ლ ც ო ვ ი ს ერთი სტატია: „დობროლიუბოვი მით არის საოიდებელიო ეხლა, რომ მას განუშორებლივ პირზედ ეკერა „სერი მუჟიკი“-ო. მან სთქვა. განაგრძობს კოლცოვი—„პირველი სიტყვა მომავალისაო და პ ი ს ა რ ე ვ მ ა—ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო სიტყვა თანამედროვე თაობისაო". ახლა მეც ვიტყვი: განა ღირსია კაცის სახელისა ის გარყვნილი გვამი, რომელიც ამ ჩვენში ბედშავ გლეხის დანახვაზე, პირს მოიღმეჭს და არ გაუცინებს გული?

15 იანვარი, 1882 წ.

... გაცხარებით ვემზადებოდი ამ ოთხი თვის განმავლობაში გიმნაზიაში ეგზამენების მისაცემად და სუყველამ ფუჭად ჩამიარა. ჩამჭრეს მათემატიკაში და დავრჩი რიყეზედ. რომ იცოდეთ, რა სულის კვეთა და ვაივაგლახი გამოვიარე, მაშინ შემიბრალებდით და შეგიძლიანთ თანაუგრძნოთ ჩემს ტანჯვას. ოთხი თვის განმავლობაში იძულებული ვიყავი მეზეპირებინა უხეირო უსულგულო და ერთხელ ნასწავლი საგნები. უდროობის გამო შუაღამისას ვდგებოდი და საშინელის ენერგიით ვიმეორებდი მათ, არ მენაღვლებოდა ჯან-ღონე და ჯანმრთელობის დაკარგვა, ოღონდ მიმეღწია ჩემს მიზნამდინ. ოთხი თვის განმავლობაში მოშორებული ვიყავი ყველას, რაც შეადგენს განათლებული კაცის მოთხოვნილებას; ჟურნალებს, ხეირიან გაზეთებს, წიგნებს, თეატრს, საზოგადოებას და სხვას. მქონდა მხოლოდ ქართული ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ ეგენი საკმარისნი არ არიან, იკითხავს კაცი: რა გაცხოველებდა, მაგ უნაყოფო შრომაში ან რა გაიძულებდა ანუ რა იყო მიზეზი? მაცხოველებდა და მანუგეშებდა ის აზრი, რომ ამის საშუალებით მოვყვები უნივერსიტეტში, სადაც ღვივის განათლების და მეცნიერების განუქრობელი წმინდა ლამპარი, რისკენაც ისე მიილტვის ჩემი გული, როგორც ანკარა წყაროსაკენ ხუთი დღის მწყურვალე კაცის გული. ახლა კი ჯერ ჯერობით მომეშალა იმედები. ეს დიდი უსამართლობაა ღვთის წინაშე და კაცობრიობის სინდისის წინაშეც. მე მსურს, მწყურიან სწავლა-განათლება, რად მიშლით, რად მიხლართავთ გზას, უბრალო ფორმულების წერით. რათა გვყრით ჯოჯოხეთში ამოდენა ახალგაზრდობას? იცოდეთ კარგათ, რომ გაბრაზებული, გამწარებული მტარვალების უსამართლობით ახალგაზრდობა, ამას არ მოითმენს და ერთიორად მიაგებს სულის ამომხდელებს, გვიან იქნება თუ მალე. რა არის მიზეზი ამ უგვანო საქმისა და გაბოროტებისა? საქმე იმაშია, რომ იმ რამისთვის წინად სულ წაწყმენდილმა, სახელმწიფო მუხანათმა, ბოროტმა, გამოჩურჩუტებულმა, ხალხის ჭკუა გონების დამბნელებელმა და დამამახინჯებელმა გრაფმა ტალსტოიმ, რომელსაც განათლების მინისტრს ეძახდნენ უგუნურები, აღგვიკრძალა უნივერსიტეტში შესვლა, თუ რომ ატესტატ ზრელოსტს არ მივიღებდით. რა უნდა თქვას კაცმა ამ უაზრო, უგნურ, მუხანათურს და ბოროტ განკარგულებაზე? არაფერი იმის მეტი, რომ ტოლსტოი უგნურია და თავისი სული ჩაუბარებია ეშმაკისათვის, რომელნიც თუმც ბოროტების მიმდევარნი არიან, მაგრამ ამ ბოროტებისათვინ, რომელიც თვისი საშინელებით ყველაზე უაღრესია, სწეწენ მის სულს, როგორც შიმშილისაგან გააფთრებული მგელი ღამე დარჩენილ ტყეში ხბოს ან ცხვარს. შეიძლება ბევრმა მითხრას, რა გაწიწმატებს, თუ კაი ბიჭი ხარ, ისწავლე, დაეწიე შენს საწადელს. ეს ადვილად სათქმელია, მაგრამ ასასრულებლად ძნელია. რა ქნას ახალგაზრდამ, თუ გზას არ მისცემთ, თუ მოუსპობთ საშუალებას განათლებისას: ახალგაზრდობა უსაშუალებო, უთანაგრძნობო საზოგადოებისაგან დაიღუპება შარშან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელი თოვლივით. აკი აგრეც არის! კატებსავით აღრჩობენ და ვინ არის პატრონი!

16 იანვარი.

ამ საუკუნოებში ახალი საშუალება გამოიგონეს, ეს საშუალება ჟურნალ-გაზეთების ალაგმაა. დღეს უცხუნეს „მოსკოვ. ტელეგრაფს“ [18], რადგანაც იმან თქვა, რომ ყოველ კაცს თავისუფლად შეეძლოს თავის აზრების გამოთქმაო. ვიშ, რა მოვინდომეო! არა ნაკლებად „გოლოსი“ სწუხდა გუშინ წინა: ძალიან ცუდია გაზეთის შეჩერებაო, გამომცემლებსაც და მკითხველთა საზოგადოებასაც გულს უხშამსო. დარწმუნებული გახლავარ, რომ თქვენ ბატონნო რედაქტორებო და თანამშრომლებო კარგათ იგრძნობდით მაგ გულის შეწუხებას და გულს შემოყრას, რადგანაც ექვსი თვე ლაგამი გედოთ პირში, რაზედაც უნდა მებაასნა, მას ძალიან დავშორდი. საქმე იმაშია, რომ გუშინ ერთმა შეგირდმა საიდლანაც პროგრამმა 1882 წლისა, მაშასადამე ძლიერ ახალი, მოიტანა, რომელშიაც სწერია, ვითომც სემენარისტებს უნივერსიტეტში შესვლის ნება ეძლევათ, საწყლებს სიხარულით აღარ დასძინებიათ! მე კიდენ აი რას გეტყვით ჩემო მეგობრებო, სხვა გზით ვიშრომოთ, ვისწავლოთ, სხვა ფრივ ჭკუა გონება მოვიკრიბოთ, თორემ **из Назарета ничего доброго не выйдет** და მგლიდან კრავი არ იშვის.

23 თებერვალი.

ეს ოჯახდაქცეულები ბერძნულ-ლათინურით გვხოცამენ და ცარიელ პურზედ და დაგლეჯილ ტანისამოსში ხომ სულ ამოვწყდით! საკვირველ არიან უფალო საქმენი შენნი. ერთხელ ინსპექტორმა კიდეც, გვითხრა რომ დამპალი თევზი შეგირდისთვინ მარგებელიაო. დასაჯერებლად ძნელია, მაგრამ ნამდვილი სიმართლეა. კარგი განწყობილება შეგირდებისა და უფროსს შორის მაშინ იქნება, როდესაც ერთი ერთმანეთი უყვართ. ჩვენ რეკტორს კი და საზოგადოდ სუყველა მასწავლებლებს ჭირივით ვეჯავრებით ჩვენ ქართველები, ან თუ ღმერთი გწამთ, საიდან ვეყვარებით მაგათ ცხრა მთას იქიდგან მოთრეულებს? რა კავშირი აქვთ მაგათ ჩვენთანა? არაფერი. მომეტებულად გაიძვერობაში ყველას რეკტორმა გადააჭარბა. წრევანდელ წელიწადს იმერლები აღარ გაატარა გაბრიელის სიძულვილის გამო. ეგ და ყრუ არქიელი, არა ნაკლები იეზუიტი, ისე უშლიან საწყალს მოხუცს პრელატს სემინარიის გახსნას ათას ნაირი დონოსებით, რომ ავაზაკიც და თვით წყეული იუდაც არ ჩაიდენდა მაგას: ოცამდისინ მეტი იმერელი გარეკა პირველი კლასიდან და არ მისცა ბინა და ახლა ცდილობს მაღალ კლასებშიც შეათხელოს მათი რიცხვი. ამ წინაზედ მოუდო ხრიკი ერასტის, გაკვეთილზედ იცინოდიო და საწყალი კინალამ გამორიცხეს, თუ ორიოდე არ მიშველებოდა და ეხლა ის არის „**под надзором**“. რადგანაც ჩვენ მთავრობას ასე ძლიერ ვძულვართ, ამიტომაც მას ჰყავს მთელი დასტა ჯაშუშებისა, რომელნიც უზიდავენ მათ ათასნაირ ცნობებს, თუ რას ვლაპარაკობთ და რას ვფიქრობთ. რა საზიზღარია და რა დამღუპველი ეს ჯაშუშობა შეგირდობისათვის, ამას განმარტება კი არ სჭირია, ვინუგეშებ, მითი რომ ჯაშუშებათ სულ მთლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსები და ბერძნები არიან, და ჩვენ ქართველები არ ვერევით მაგ დამპალ ძველ საქმეში. რეკტორს უნდოდა რაღაც ანტი-ქართული პარტია შეედგინა და ამ მიზნისათვის აირჩია რუსები და ბერძნები ერთს ამხანაგის ბერძნის თაოსნობით და სუყველა ჯაშუშებად კი გადააქცია. შეგირდობაც რასაკვირველია შესაფერად ექცევა უფროსებს. არაფერი გავლენა არა აქვთ მათ ჩვენზედ და ყოველი ჩვენგანი ცდილობს რითიმე აწყენიოს რომელსამე მათგანს და იმ ნაირადაც, რომ თვითონაც ძლიერ არ დაისაჯოს. მაგ. წრეულ რამდენი აღრეულობა მოხდა შეგირდებში. მესამელებმა ისე გააწიწმატეს ბერძნულის მასწავლებელი გრიაზნოვი, რომ მხეცივით თურმე ღრიალებდა. პოტოცკის, საღმთო წერილის მასწავლებელს ისე გაუხადეს საქმე, რომ ჭლექში ჩავარდა, ისტორიის მასწავლებელს სამ დაბალ კლასში იმდენი ჭყვეს დაცინვით უცოდინარობაში და გაუგონრობით, რომ კინაღამ თავი დაანება. მესამელებმა ტატიევს ქართულიდამ რუსულად თარგმნა მოაშლევინეს და სხვა ამ გვარი, ყველა რომ ჩამოვთვალო აქ არ დაეტევა. ამ ნაირმა ქცევამ ერთი შედეგი მოიტანა, ნაციონალური გაღვიძება შეგირდებში. ეს კანონიერი გაღვიძება, როგორც ანტონმა მითხრა ისეც მოხდებოდა უმაგათოთ, მაგრამ მაგათ ძალიან მოასწრაფეს. დავაარსეთ ქართული ჟურნალი, რომელშიაც სულ პატრიოტული სტატიებია და ისეთი სიძულვილი რუსებისადმი, რომ მომეტებული აღარ შეიძლება. მეც ჩემს სტატიაში არაფერი დავაკელი მაგ ვაჟბატონს. მუდამ წელიწადს ქართული წარმოდგენები გვაქს ხოლმე გამართული და ასე გაშინჯეთ, წელს ერთი ახალი ორიგინალური, შეგირდის თხზულება პიესაც გვქონდა. გუშინ რაფაელის ლექციაზე უნდა წავსულიყავით. მარტო ოცს გვქონდა ნება წასვლისა და უნდა გეყურებინათ რა ვაი ვაგლახი იყო: არა მე ჩამწერეთ, არა-მეო. თითქმის ყოველ კლასში ქართული ჟურნალი და გაზეთებიც ყველას გვაქვს, წიგნებსაც ყველა კლასი ცალ-ცალკე ყიდულობენ. სუყველა ამას კაი ევროპიული ჟურნალები და ზორბა წიგნები რომ დაუმატო, კარგი მაშინ იქნება.

4 მაისი.

ხმები არის ქალაქში, ვითომც ჩვენი ერთად-ერთი გაზეთი „დროება" უფულობის გამო უნდა დაიხუროსო. ეს ამბავი ისე მაღელვებს, მირევს გულღვიძლს, რომ სიბრაზით არ ვიცი რა ვქნა! სისხლი ყელში მეჩრება და სიბოროტე თვალებიდან ცხადად გამოსჭვივის. ან როგორ არ მოუვიდეს კაცს სიბრაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში ისე შეგვავიწროვეს, რომ ერთს ჩანჩურა გაზეთს ვერ უხეირია! შური, სისხლი და ხანჯალი მაგათ! მაგის მეტს არას ვინატრი ჩემს სიცოცხლეში მათთვის, ვინც ამ საძაგელ მდგომარეობაში ჩაგვყარა ჩვენ. ამ ფიქრებთან განუშორებლივ მდევნის მშვენიერი, წმინდა სპეტაკი და მამაცობის გამომხატველი სახე პოლიაკი ჩაიკოვსკისა[19]. იცით, ვინ არის ეს პოლიაკი? ეს გახლავს სამაგალითო პოლშელი პატრიოტი, რომელიც დაუცხრომლად სცდილობდა თავისი ქვეყნის—პოლშის აღდგენას. რამდენი ეხეტიალა, ეთრია მთელს ევროპაში, რომ მეგობრები მოეპოვნა პოლშისათვის და მტარვალის ხელიდან დაეხსნა თვისი ტურფა ქვეყანა! რამდენი სწერა სადიკ-პაშას სახელობით თვის მტრების წინააღმდეგ და ზოგჯერ ბედიც უღიმებდა, მაგრამ მუხთალმა ბედმა მიზნამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისინ ვერ მიაღწევინა! საცოდავმა ამ შრომას შეალია თავისი ფიზიკური, ზნეობითი და გონებითი ძალა და ეხლა მოხუცი ემორჩილება მუხთალ ბედს და გულის ტანჯვით უყურებს თავის მამულის აოხრებას. გაკურთხოს უფალმა ხალხის გმირო, შენი საქმენი მექმენ მე წინა-გზამავალ ვარსკვლავად, ოცნებები შორს მიტაცებენ და არ ვიცი, საბედნიეროა ეს ჩემთვის, თუ საუბედურო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთს ეპიზოდს სემინარიაში სწავლების ისტორიიდან. ოთხმოცდა-ათიან (1889—1890) წლებში თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებმა დიდი „ბუნტობით", ბრძოლით და მსხვერპლით მოიპოვეს უფლება სემინარიაში ქართული ენის სწავლების შემოღებისა, ქართული ენის კათედრის დაარსებისა. მთავრობამ აღუთქვა ქართული ენის კათედრის დაარსება, მაგრამ რუსეთის „უწმინდესმა სინოდმა" ახალგაზრდობა მოატყუა: ქართული ენის ლიტერატურის სწავლების მაგივრად შემოიღო საქართველოს საეკლესიო ისტორიის სწავლება რუსულ ენაზე მე-V და VI კლასებში, კვირაში თითო გაკვეთილი. მასწავლებლად თედო ჟორდანია იყო. ამ სტრიქონების დამწერი—მაშინ მე-V კლასში ვიყავი, საეკლესიო ისტორიის ერთ-ერთ გაკვეთილზე თედო ჟორდანია რუსულად გატაცებით გვიამბობდა ათონის მთაწმინდელ მნათობებზე: „славные святители нашего отечества"... გაიღო უეცრად კარები და დიდი „ამალით" კლასში შემოვიდა ეგზარხოსი პალადი. თედო მივიდა ხელზე ემთხვია ეგზარხოსს. პალადიმ უბრძანა „продолжайте". თედო ჟორდანია ლამაზი კაცი იყო, მაღალი ნათელი შუბლი, შავთვალებს ოქროს სათვალეები უხდებოდა. შავი, ხშირი წვერულვაში სახეს უმშვენებდა. თედო გაშრა, შიშმა აიტანა. მოუხშირა ხველებას, შუბლზე მოუსვენრად ხელის სმას მოჰყვა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა: „Наше Отечество великая Рассия"... „Наше Отечество великая Рассия" და ვეღარაფერი მოაბა ამას, სახეზე საშინელი ტანჯვა დაეტყო, ჩვენც მასთან ერთად ტანჯვას განვიცდიდით. პალადი ეგზარხოსი დიდი არისტოკრატიულ ოჯახიდან იყო, ცოტა რბილი კაცი იყო და თავი დამოუკიდებლად ეჭირა, ცოტაოდენი ადამიანობა ჰქონდა შერჩენილი, მიუბრუნდა თედოს და რბილად უთხრა: „Феодор Давидович! Вы что все про Россию, расскажите им про свое отечесто" და გავიდა.

თედო ჟორდანია ქართველი მოწინავე პიროვნება იყო, მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიული შრომები აქვს დაწერილი, დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ძველი ხელნაწერების შეკრება-დაცვაში, მისი „Описание рукописей"... დიდი განძია ქართულ ლიტერატურაში. მას ხშირად მივყავდით თავის სახლში მოწაფეები, გვაჩვენებდა სიგელ-გუჯრებით სავსე დიდ ყუთებს, დავყავდით საეკლესიო ეპარქიალურ ხელნაწერთა მუზეუმში, გვაცნობდა საუცხოოდ დაწერილ მთელ ხელნაწერებს, შესანიშნავი ხელოვნურ მინიატიურებით და ჩაგვჩიჩინებდა: აი რა ძვირფასი სულიერი სიმდიდრე დაგვრჩა წინაპართაგან, ეს დაუფასებელი საუნჯე გველუპება, თქვენ ახალგაზრდები მოვალენი ხართ სოფლად, სადაც კი შეხვდებით, შეიძინოთ და მუზეუმში ჩამოიტანოთ, ან ყოველ შემთხვევაში აღწეროთ, ან გაზეთებში დაბეჭდოთ თან ჩვენ შეგვატყობინოთო. თედო ჟორდანიაზე ეჭვს ვერავინ შეიტანს, რომ მას სამშობლო არ უყვარდა, მაგრამ იგი რუსეთის მოხელე იყო, კარგად იცოდა, რომ ჩვენ, ქართველებს,—როგორც „ინოროდცებს"—მეფის მთავრობის აზრით—სამშობლო არ უნდა გვქონოდა და აი ამ დანაშაულში თედოს ეგონა დამიჭირა ეგზარხოსმაო—რომლის ხელში იყო თედოსთანა მრავალი ათასი მოხელეების ბედ-იღბალი—და შეკრთა, როგორც გულმშიშარა კაცი.

2. ბ ა ნ კ ო ბ ი ა დ ა. ალ. ყიფშიძე თავის დღიურში იხსენიებს და დიდს ადგილს უთმობს სათავად-აზნაურო ბანკის წლიურ საანგარიშო კრებებს. რა ჰქონდა საერთო სათავადაზნაურო, წოდებრივ, კომერციულ საქმეს—ბანკს ვიწრო სასულიერო წოდების სასწავლებლის—სემინარიის მოწაფესთან, რითი იზიდავდა მოაზროვნე სემინარიელს ბანკობიადა? მართალია ბანკი ვიწრო წოდებრივი დაწესებულება იყო. მაინც იმ დროს შესაფერად საზოგადოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანკის საკითხის გარშემო ქართული ინტელიგენციის ცალკეულ ჯგუფებს შორიას ბრძოლა იყო გამართული. ამ ბრძოლაში გამოჩენილი ქართველი მწერლები იღებდენ მონაწილეობას. ბანკის მოგებიდან საგრძნობი ნაწილი ხმარდებოდა კულტურულ განმანათლებელ მიზნებს: საოთავად-აზნაურო სკოლას, სენაკის, ბათუმის, წინამძღვრიანთკარის სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ღარიბი თავად-აზნაურების შვილებისათვის სტიპენდიებს ზოგ შემთხვევაში ქართულ თეატრს და სხვა კულტურულ დაწესებულებებს. ბოლოს ეს ერთად-ერთი ადგილი იყო, სადაც სჯა-ბაასი ქართულ ენაზე სწარმოებდა, რაც ახალგაზრდა, მოსწავლე ქართველს ეროვნულ თავმოყვარეობას უკმაყოფილებდა.

3. სტასიულევიჩი, მიხ. მათეს-ძე. (1826—1911 წ.) ლიბერალი პუბლიცისტი. გაზეთ „Порядок"-ის (1871—1882 წ.) რედაკტორი. გაზეთი მქადაგებელი იყო ზომიერი დემოკრატიტიული რეფორმებისა.

4. კოსტომაროვი, ნიკ. ივ-ძე. (1817—1885 წ.) ისტორიკოსი. მთავრობის საწინააღმდეგო უკრაინული ფარული საზოგადოების: „კირილე-მეთოდის ძმობის", წევრი, რისთვისაც მთავრობის მიერ გადასახლებულ იქნა სარატოვში. კოსტომაროვი ავტორია მრავალი შესანიშნავი ისტორიული შრომისა.

5. ბერნე, ლიუდვიგ (1784—1817)გ. ერმანელი პუბლიცისტი და კრიტიკოსი რადიკალ-დემოკრატიული მიმართულებისა, ავტორი თხზულებათა „წერილები პარიზიდან".

6. რადიშჩევი, ა. ნ. (1749—1802) რუსი რევოლუციონერი მწერალი. თავის ცნობილ წიგნში „Путешествие из Петербурга в Москву" აღწერა ყმა გლეხის აუტანელი მდგომარეობა და მემამულეების თვითნებობა. მოითხოვდა გლეხების განთავისუფლებას მიწით და თვითმპყრობელობის მოსპობას, მეფის მთავრობამ ამ წიგნის კონფისკაცია მოახდინა და რადიშჩევს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, რაც შემდეგ შეცვლილ იქნა ათი წლის კატორღით.

7. ზაქარია ჭიჭინაძე (1854—1933). ზაქარია ჭიჭინაძეს კარგად იცნობს ქართველი საზოგადოება. საქართველოში საბჭოთა წყობის დამყარებამდე, დღევანდელ ძნელაძის ქუჩის, ყოფილ იარმუკის გამოსწვრივ და ყოფილ ალექსანდრეს ბაღის ჩასწვრივ იქამდის, სადაც მაშინ ხაზინა იყო, ჩამწკრივებული იყო წიგნებით მოვაჭრე ბუკინისტების პატარ-პატარა დუქნები. დუქნების წინ დაზგებზე გაფენილ სხვადასხვა წიგნებს გარს ეხვია და გაფაციცებით ათვალიერებდენ, წიგნების სათაურებს კითხულობდნენ ხელოსნები, მუშები, მედუქნეების შეგირდები, ჯარის კაცები და მოსწავლე ახალგაზრდობა, აქ მუდამ წიგნებით ვაჭრობა სწარმოებდა. აქვე ახლოს სტამბაც იყო. ზოგიერთი ბუკინისტები გამომცემლობასაც ეწეოდნენ. აქვე ახლო სტამბაში ბეჭდავდნენ სახალხო წიგნებს და ჰყიდდენ.

ზ. ჭიჭინაძესაც აქ ჰქონდა თავისი დუქანი—წიგნების სავაჭრო, ხაზინის (სახელმწიფო ბანკის განყოფ.) ზევით ეხლანდელ ძნელაძის ქუჩაზე. ზაქარია უფრო განათლებულ ვაჭრობას ეწეოდა და ფართო გამომცემლობას აწარმოებდა. მას სახეში ჰყავდა ქართველი ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა, თითონვე სწერდა პატარ-პატარა ბროშურებს. 2—8 კაპ. ღირებულს თითოს, პოპულიარულ წიგნაკებს ევროპულ მოწინავე მოაზროვნეებზე, როგორც იყო ლუი-ბლანი, პრუდონი, ჟანჟაკ რუსო, რობერტ ოუენი და სხვა.

გონება გაღვიძებული სემინარიელები, სემინარიის სულის შემხუთველ ატმოსფეროს გაურბოდნენ და აქ ბუკინისტებთან ეძებდნენ გონების საზრდოს. ბუკინისტები და განსაკუთრებით ზაქარია ჭიჭინაძის დუქანი უნივერსიტეტი იყო სემინარიელთათვის. ზაქარია უხვად აწვდიდა, საკითხავ წიგნებს ახალგაზრდობას. საზაფხულოდ სოფელში მიმავალი სემინარიელი ზაქარიასთან მიდიოდა თან წასაღებ წიგნებისათვის, ზაქარიაც ხალისიანად შეურჩევდა ოც-ოცდა-ათ წიგნს, ორ-სამ მანათად ღირებულს და ნისიად ატანდა სოფელში.

ზაქარიას დუქანში შეგხვდებოდაო ინტელიგენტები, მაგალითად ივანე კერესელიძე, სემინარიიდან გამოსული და დათხოვნილი ახალგაზრდები: გოლა ჩიტაძე, თედო სახოკია და სხვები, რომლებიც წიგნებს ეძებდნენ და სემინარიელებსაც ურჩევდნენ წასაკითხ წიგნებს. ამ პირების გვარები და ვინაობა ვიცოდით და მოწიწებით შევყურებდით. ერთხელ, როდესაც დაზგაზე გაფენილ წიგნებს ვათვალიერებდი ჩემს პირველ კლასში ყოფნის დროს, გოლა ჩიტაძე მოვიდა, გვერდზე, დამიდგა და ჩუმად მკითხა: ყმაწვილო, ჩერნიშევსკის „ჩტო დელატ" არ წაგიკითხავს? ჩემთვის ამ წიგნის სახელი სრულიად უცნობი იყო. მირჩია ზაქარიასთვის მიმემართნა თხოვნით, გამომერთვა და წამეკითხა. ეს ამბავი ჩემს ამხანაგებს შევატყობინე, ვსთხოვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარიას, გვიშოვნა და დიდის აღტაცებით კოლექტიურად წავიკითხეთ მთაწმინდის მყუდრო და მოფარებულ კალთებზე. ამ წაკითხვაში, სემინარიელების საწყალ ჯიბიდან ამოძვრენ მომჭირნეობით შენახული უზალთუნები, შევკრიბეთ 5 მანეთი და დიდის მადლობით გადავეცით წიგნთან ერთად ზაქარიას. ზაქარია ყოველთვის ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ახალგაზრდა სემინარიელები მათ არ მოატყუილებდნენ, წიგნს ანდობდა და არც სტყუვდებოდა. ამავე წესით მრავალი იშვიათი წიგნი ვიშოვეთ წასაკითხათ ზაქარიასაგან, მაგალ. ყაზბეგის „ელგუჯა", ეს წიგნი დაბეჭდისთანავე მთელი რაოდენობით გაიტაცა სტამბიდან საცენზურო კომიტეტმა და მოსპო, რაღაც სასწაულით გადარჩა ერთი წიგნი, რომელიც თბილისში ხელიდან ხელში გადადიოდა და ჩვენც სემინარიელებს ზაქარიამ გვიშოვა წასაკითხად.

8. მ. კ ა ტ კ ო ვ ი (1813—1887 წ.) რეაქციონური გაზ. „Московские Ведомости"-ს რედაქტორი.

9. „Голос"—ლიბერალური ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში (1863—1885 წ.) ნ. კარეევის რედაქტორობით.

10. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე (თავის გაზეთ „Обзор"-ში (1878—1880 წ.) შეურაცხყოფა მიაყენა ილია ჭავჭავაძეს. ილიამ ნ. ნიკოლაძე დუელში გამოიწვია და გაუგზავნა სეკუნდანტები. ნიკოლაძემ მიიღო გამოწვევა და თავის მხრივაც გაუგზავნა სეკუნდანტები. ერთი სეკუნდანტთაგანი იყო „Обзор"-ის თანამშრომელი პოეტი სიმბორსკი—მეტად სიმპატიური ადამიანი. მას ილია და ნიკო ორთავ ძალიან უყვარდა. სეკუნდანტები ბევრს ეხვეწნენ ორივე მხარეს მშვიდობიანად გაეთავებინათ საქმე. მოპირდაპირეები ჯიუტობდნენ. დადგა უკანასკნელი მომენტი, როდესაც ტყვიას უნდა ემსხვერპლა ილია ან ნიკო. სიმბორსკიმ ეს ვეღარ აიტანა, დაიწყო ტირილი. აუვარდა საშინელი ისტერიული ქვითინი, რამაც გამოაფხიზლა მოპირდაპირეები, მოლბნენ და ერთმანეთს შერიგების ხელი გაუწოდეს.

11. ჟურნ. „Отечественные записки"—(1839—1885) წ.) მოწინავე მიმართულების ჟურნალი, გამოდიოდა კრაევსკის ხელმძღვანელობით. ამ ჟურნალში თანამშრომლობდნენ: კრიტიკოსი ბელინსკი, პოეტი ნ. ნეკრასოვი, სატირიკოსი სალტიკოვ-შჩედრინი. მთავრობამ 1885 წელს დაკეტა სამუდამოდ ეს ჟურნალი.

12. ჟურ. „იმედი" (1881—1883 წ.) ქართველი ხალხოსნების ორგანო.

13. კ ი ბ ა ლ ჩ ი ჩ ი ნ. ი. (1854—1881 წ.) „ნაროდნაია ვოლიას" ორგანიზაციის აქტიური წევრი, ტეროორისტული აქტების მომწყობი; მისი ხელმძღვანელობით იყო მომზადებული ყუმბარები, რომლითაც ააფეთქეს ალექსანდრე II, (1881 წ. 1-ს მარტს). ჩამოახრჩეს 3 აპრ. 1881 წ.

14. ჟელიაბოვი (1851—1881). რევოლუციონერი. „ნაროდნაია ვოლიას" გამოჩენილი მოღვაწე. წარმოშობით გლეხი. გაათავა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტი. 1881 წ. 5 აპრილს ჩამოახრჩეს, ს. პეროვსკაიას, კიბალჩიჩთან, მიხაილოვთან და რისაკოვთან ერთად ალექსანდრე II მოკვლაში მონაწილეობის გამო.

15. ბოკლი. ვ. თ. (1821—1862) ინგლისელი ცნობილი სოციოლოგი. დაწერა „История Цивилизации Англии", რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ქართველ ახალგაზრდობაზე 70—80-იან წლებში.

16. მ ო რ დ ო ვ ც ე ვ ი, დ. ლ. (1830—1905 წ.) რუსი ისტორიკოსი და ბელეტრისტი; ცნობილია მისი მონოგრაფიები გლეხთა მოძრაობიდან: „Самозванцы", „Гайдамащина", „Политическое движение русского народа" და სხვ.

17 ალ. ყ ი ფ შ ი ძ ე თავის დღიურში იხსენიებს გიმნაზიელ მოწაფეთა და სემინარიელთა გაერთიანებას თვითგანვითარების ნიადაგზე—საიდუმლო წრეებში. დიდის აღტაცებით და სიამოვნებით იხსენიებს ამ გაერთიანებულ კრებებს. ასეთი გაერთიანების ტენდენცია თბილისის საშუალო სასწავლებლების უკანასკნელ კლასების მოწაფეთა შორის ყოველთვის იყო.

1893 წელს არსებობდა თბილისის საშუალო სასწავლებლების უკანასკნელი კლასების მოწაფეთაფართო ხასიათის წრე. ამ წრის შტაბ-კვარტირა ეგნატე ნინოშვილის ბინა იყო წრეს ხელმძღვანელობდნენ ეგნატე ნინოშვილი და მიხა ცხაკაია. აქ ხშირად ნახავდით თბილისში იმ დროს მცხოვრებ რევოლუციონერებს. სამასწავლებლო ინსტიტუტის უკანასკნელი კლასის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაფეებს სერგო რობაქიძეს, მოსე თოიძეს და სხვ. ფარული წრეების არსებობასთან დაკავშირებულია სემინარის გარეშე აკრძალული წიგნების კითხვაც.

1890 წლებში გარეშე წიგნების კითხვა ორგანიზულად იყო დაყენებული სემინარიებში. სემინარიაში არსებობდა არალეგალური სემინარია თავისი განსაკუთრებული პროგრამით. ეს პროგრამა სრულდებოდა მთელი სემინარიის კურსის განმავლობაში. სემინარიის ყველა კლასში არსებობდა პატარა წრე 10—15 რჩეული, მოაზროვნე მოწაფეთაგან. ყველა წრეს ჰყავდა ამორჩეული მაღალი კლასის განვითარებული მეგვრმეტყველი. წრეებში დაცული იყო სასტიკი დისციპლინა, სრული კონსპირაცია. წრეების მეცადინეობა ხდებოდა რომელიმე მოწაფის ბინაზე, ან მთაწმინდის მყუდრო კალთებზე, კათოლიკების სასაფლაოზე, ბოტანიკურ ბაღში. 1890 წ. და შემდეგ წლებში თბილისში არსებობდა მოწაფეთა კონსპირატიული მდიდარი ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკის არსებობა წრის ყველა წევრებმა არ იცოდნენ, ერთ ერთ, უფრო სანდო და იმედიან მოწაფეს გაანდობდნენ ბიბლიოთეკის ბინას მისცემდნენ პაროლს და იმას მოჰქონდა წრეში საკითხავი სამეცადინო წიგნი. ამ ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ სემინარიის, სამასწავლებლო ინსტიტუტის, გიმნაზიისა და სახელოსნო სასწავლებლის რჩეული მოაზროვნე მოწაფეები. ბიბლიოთეკის შესავსებად წიგნების შესაძენი თანხა სდგებოდა მოწაფეთაგან (საწევრო გადასახადებიდან).

18 „Московский телеграф"—პირველი რუსული სამეცნიერო ლიტერატურული ჟურნ. მოსკოვში (1825—1834). გამოდიოდა ნ. ა. პოლევოის ხელმძღვანელობით. ამ ჟურნალში თანამშრომლობდნენ: პუშკინი, ჟუკოვსკი, ბარიატინსკი, ვიაზემსკი. ჟურნალში იბეჭდებოდა ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევები რუსეთში და უცხოეთში.

19. ჩ ა ი კ ო ვ ს კ ი, მიხეილი (სადიკ-ფაშა) (1808—1886). პოლონელი ემიგრანტი და მწერალი. აქტიური მონაწილე 1830 წელს რუსეთის თვითმპყრობელობის წანააღმდეგ მომხდარ პოლონელთა აჯანყებისა. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ჩაიკოვსკი გაიქცა საფრანგეთში და მიიღო საფრანგეთის ქვეშევრდომობა, საფრანგეთის მთავრობამ ჩაიკოვსკი გაგზავნა თურქეთში საიდუმლო აგენტად. ჩაიკოვსკი გადავიდა თურქების მხარეს და მონაწილეობას იღებდა სადიკ-ფაშას სახელით თურქების მიერ იმ დროს წარმოებულ აღმოსავლეთის ბრძოლებში, ბოლოს დაბრუნდა რუსეთში, შეურიგდა მთავრობას და დაიწყო აქ ცხოვრება. მას საშინლად სტანჯავდა დამონებულ სამშობლოს—პოლონეთის ბედი და 1886 წელს თავი მოიკლა. ცნობილია მისი ლიტერატურული შრომები „Украйнские повести Чайковского".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. ყაზბეგის უცნობი ბიოგრაფიის შესახებ

ზ. ჭიჭინაძის მიერ დაწერილი ალ. ყაზბეგის ბიოგრაფია პირველად ქვეყნდება. იგი დაწერილია ყაზბეგის გარდაცვალების ორი წლის შემდეგ—1895 წელს.

რამდენადაც ალ. ყაზბეგის ცხოვრების შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება და რამდენადაც იყო ცდა პრობლემატიურად გადაექციათ მისი სამწერლო მოღვაწეობა—ზ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილ ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიას გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა.

ბიოგრაფიაში აღწერილ ამბებისა და მოვლენების დიდი ნაწილი სრულად ემთხვევა სხვა სარწმუნო წყაროებით ცნობილ ფაქტებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ალ. ყაზბეგის მიერ ზ. ჭიჭინაძისათვის პირადად გადმონაცემი თვისი ყრმობის ამბები და მისი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის თავგადასავალი.

ზ. ჭიჭინაძის ხსენებული მასალების გამოქვეყნებით დღემდე ცნობილ ორ ბიოგრაფიულ ნაშრომს ალ. ყაზბეგის შესახებ,—დ. კარიჭაშვილისას და გ. ნათაძისას (ორივე დაიბეჭდა 1904 წ.) ემატება კიდევ ახალი მესამე თხზულება შემცველი არა ერთი საინტერესო მასალისა გამოჩენილი რომანისტის შესახებ.

აღვნიშნავთ, რომ დღემდე ალ. ყაზბეგის გამოქვეყნებული ბიოგრაფიის შემდგენელნი ემყარებიან წერილობით საბუთებს, ალ. ყაზბეგის მიწერ-მოწერას (დ. კარიჭაშვილი) და აგრეთვე ალ. ყაზბეგის დაბადების და აღზრდის ადგილზე (მთაში) შეკრებილ ცნობებს (გ. ნათაძე); ზ. ჭიჭინაძე კი თავის მიერ შედგენილ-წინამდებარე ბიოგრაფიის შედგენაში ხელმძღვანელობს პირადად, თვით ალ. ყაზბეგისაგან გაგონილი ცნობებით, რაც უფრო სარწმუნოდ ხდის მის მასალებს. ზ. ჭიჭინაძის ზოგი ცნობა, მაგ. ყაზბეგის დედმამის ცხოვრების შესახებ, გაზვიადებულია, რაც სრულიად ეთანხმება იმ დროს—1890—1892 წლებში ქართველ საზოგადოებაში, ალ. ყაზბეგის შესახებ მოარულ ლეგენდებს, რაც აგრეთვე საჭიროაიქნას აღნიშნული.

ზ. ჭიჭინაძის ხელნაწერი მნიშვნელოვნად შევამოკლეთ, ამოვიღეთ ის ადგილები, რაც არსებითად არ ეხებოდა ალ. ყაზბეგის ცხოვრებას. აგრეთვე სტილსაც ცოტაოდენი შალაშინი მოხვდა. ზ. ჭიჭინაძის ავტოგრაფი დაცულია საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში № 3045. ხელნაწერი აღმოჩნდა დავით კარიჭაშვილის არქივში. სჩანს იგი კარიჭაშვილის დაკვეთით არის დაწერილი.

გიორგი ლეონიძე

ზაქარია ჭიჭინაძე

ალექსანდრე ყაზბეგი

ყაზბეგის გვარი მთიელთ მოდგმას ეკუთვნის. თვით ყაზბეგის წინაპარნი მთიელთ მოწინავე პირებად ირიცხებოდნენ, ესენი დამსახურებულნი და დაწინაურებულნი იყვნენ ქართველთ მეფეების წინაშე, ნამეტურ პატივს სცემდა მათ მეფე ერეკლე, გიორგი მეფემ აზნაურობის მიცემაც დაჰპირდა მათ, მაგრამ ამას მეფე ვეღარ მოესწრო, მალე გარდაიცვალა და საქართველოც რუსეთს დაუკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირდა. ყაზბეგის გვარის წევრთ რუსეთიდგანაც პატივს სცემდნენ, რადგანაც ესენი საქართველოს და რუსეთის კარის ბჭის უფროსათაც ითვლებოდნენ. ამათ სახლში გამართული იყო ორსავ სახელმწიფო საზღვართა კარები, ანუ ფოსტა.

სამეფო კარის ბჭეთა და ფოსტის პატრონობის გარდა, ყაზბეგებს ებარათ მთელი იმ კუთხის ერის გამგეობა და მართვა.

ამავე გვარის წევრთ ებარათ ზედამხედველობა საქართველოდამ რუსეთში მიმავალ მგზავრებისა და ვაჭრების. ვაჭრებს ესენი დანიშნულს მიჯნამდის გზის მცველებს გაატანდნენ, გზის მცველთა გარდა მათ ლამის გუშაგებიც ჰყავდათ. ვაჭრების საქონლებს ესენი მფარველობდნენ, რომ გზად არავის გაეცარცვათ. თვით რუსეთის მოგზაურნიც ამათთან ჩამოხტებოდნენ, ისინი უჩვენებდნენ საქართველოს გზაკვალს.

რაც უნდა ძვირფასი ნივთები, წერილები და საქმეები ყოფილიყო რუსეთიდან, ყაზბეგიანთ ხელში უნდა გაევლო. მარიამ ყაზბეგისამ მიამბო:

იმპერატრიცა ეკატერინამ მეფე ერეკლეს ჩაის ჭურჭელი, სამოვარი და სხვა ნივთები გამოუგზავნა საჩუქრადაო. ნივთები საქართველოს მიჯნაზედ მოიტანეს და ყაზბეგიანთ გადასცესო. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველა ეს ნივთები ყაზბეგმა თბილისში მეფეს ჩაუტანა, სამეფო სახლში ყუთი გახსნეს და ნივთები ამოალაგეს, მერე მეფემ სამოვრის დადგმა ბრძანაო, მაგრამ სასახლის მოსამსახურეებმა ერთმაც ვერ დადგა სამოვარი. ბოლოს ყაზბეგიდამ ნივთების მიმტანმა მთიელმა დადგა თვითსადუღარი, აადუღა, ჩაიც გააკეთა და მეფეს მიართვა. ეს ამბავი მეფის ქალებმა ერეკლეს მოახსენესო, მეფემ გაიცინა და სთქვა: „ბარში რომ ჭკუა დაიკარგა, მთაში იპოვნესო, სირცხვილია რომ მთის კაცმა გასწავლათ. როგორ ვერ შეატყეთ თუ საიდამ წყალი უნდა ჩაგესხათ და საიდამ ნახშირი უნდა ჩაგეყაროთო“.

ყაზბეგის ოჯახის წევრნი დიდათ ემსახურებოდნენ მეფეს. მათ დიდი მონაწილეობა მიიღეს საქართველოს რუსეთთან დაკავშირების საქმეში. ესენი ორსავე მხრიდან იქმნენ დაჯილდოებულნი. ამ დაჯილდოვებულ პირთა მოდგმას ანუ ოჯახს ეკუთვნის ალ. ყაზბეგის მამა, რომელიც ცნობილი იყო მთელ საქართველოში.

ალექსანდრეს მამა თავის დროის განათლების გარეშე იყო აღზრდილი. იგი ირიცხებოდა თერგის ხეობის ოლქის უფროსათ. მაშინდელს დროში ოლქის უფროსებს მეტად დიდი ხმა და გავლენა ჰქონდათ ხალხზე, ნამეტურ, თერგის, კობის ოლქის უფროსს ჰქონდა მინიჭებული ეს ძალა და ღირსება. იმ დროებაში საქართველოდან რუსეთში მავალთ ამ გზით უნდა ევლოთ და ყოველს მგზავრს, გამვლელს თუ გამომვლელს, უეჭველად ამ უფროსის ნახვა მოუნდებოდა, რადგანაც ბილეთებს უშინჯავდა. ეს პირი იქამდის სახელოვანი იყო, რომ მგზავრობის დროს ამის სახლში ათევდნენ რუსეთიდან მოსული მინისტრები, სამხედრო გენერლები, მთავარ-მართებელნი და თვით ხელმწიფენიც კი. ასეთ დიდ, შეძლებულ პირების გამასპინძლების მეოხებით ყაზბეგი უფრო წინ მიდიოდა, სახელი და ორდენები ემატებოდა და ამას ზედ ერთვოდა შეძლება და სახელმწიფო პატივისცემაც; ალექსანდრეს მამამ მეუღლედ შეირთო თუმანიშვილის ნაქვრივალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ყაზბეგი ახალგაზრდობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი, თარხნიშვილის ასული, ამ ქალს გერები ჰყავდა, ქალები; 1848 წელს დაიბადა ალექსანდრე ყაზბეგი. მის მეტი შვილი ამ ქალს მეორე ქმრის ხელში არ მისცემია, პატარა სანდროს დაუწყეს შინ მეტად აზიზად აღზრდა და მოვლა; სანდროს მეტად ფუფუნებით ზრდიდნენ, მისთვის ჰყავდათ რამდენიმე გამდელი, პატარაობის დროს სანდროს ყოველი ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა შეესრულებინათ. სანდრო ამით ისე გათამამდა, ისე გამედიდურდა და გალაღდა, რომ ერთ უბრალო რამის წყენის გამო გაჯავრდებოდა და ტირილს დაიწყებდა. პატარა სანდროს აცმევდნენ მშვენიერს ტანსაცმელს და ოქრო-ვერცხლის პატარა იარაღებითაც რთავდნენ. მამა ჯიბეში ყოველთვის ოქროებს უყრიდა, რომ სანდროს გახარებოდა და არ მოეწყინა, პატარა სანდროს ხშირად აქა-იქ მეზობლის ბიჭებშიაც ატარებდნენ, რომ იგი პატარა ბავშვებთან თამაშობას შესჩვეოდა, ხშირად მისი გულისათვის გლეხის ბიჭებს სახლში დაუძახებდნენ და იქ თამაშობას გამართავდნენ, სანდროც მონაწილეობას იღებდა, მერე თავის ამხანაგებს თეთრ ფულებს ურიგებდა საჩუქრად. სანდრო გახდა თავის დედმამის მზე და მთვარე, უამისხილვოთ მამას ერთი დღეც არ შეეძლო დარჩენილიყო, ისე უყვარდა. შვილს რაც უნდა ეთხოვნა ყველაფერს აუსრულებდა. მაგალითად, იმ დროს, რუსეთიდამ მოსულა ერთი გლეხი კაცი, რომელსაც გალიებით საქართველოში „კანარეიკები“ მოჰყვანდაო, ეს კაცი სანდროს მამას გამოეცხადა, მოწმობა უჩვენაო; მას ნება მისცეს საქართველოსკენ წამოსვლისო, ამ კაცს სანდროს მამისათვის ორი კანარეიკა უფეშქაშებია უფულოდ, თავის გალიით, სანდროს როგორც დაუნახავს კანარეიკები მამისათვის დაუწყია მუდარა:

— მამა, ხუთი კანარეიკა მიყიდე, თორემ ვიტირებო!

მამას უყიდია ხუთი კანარეიკა, 25 მან. მიუცია. იმავე ღამეს სანდროს ჩიტები კატამ დაჭამა. ახლა ამაზე ატეხილა ტირილი: კატამ რათ შეჭამა ჩემი ჩიტები, მოკალით კატაო.

გავიდა ხანი. ერთ დღეს ჩამოუვლიათ აქლემებს. სანდროს დაუნახავს თუ არა აქლემი, მისულა მამასთან და დაუწყია ხვეწნა:

— მამა, აქლემი მიყიდეო!

იძულებულმა მამამ უყიდა აქლემიც, რის წვალებით, ხვეწნით და მუდარით რამდენიმე თუმანი მისცა ფასად. ეს აქლემი მოიყვანეს შინა და დააბეს, ერთი კვირა ჰყვანდათ შინა და სანდრო მათ შეეჩვეოდა, ხშირათ აწვალებდა, მოსვენებას არ აძლევდა, მეორე კვირას აქლემი კლდიდამ გადაიჩეხა, დაიმტვრა და მოკვდა.

როგორც ზემოთ ვსთქვით, მაშინდელს დროში, რუსეთიდამ საქართველოში რუსის მომავალნი დიდკაცები ყოველთვის ყაზბეგის სახლში ჩამოხდებოდნენ და ღამეს ათევდნენ. ესენი დიდსა და მშვენიერ საჩუქრებს აძლევდნენ სანდროს და უზომოთ ესიყვარულებოდნენ. სანდროს საჩუქრებით სავსე იყო თურმე რამდენიმე ოთახი და ამ საჩუქრებში ვინ იცის რა არ იყო. საქართველოს ვაჭრები რუსეთში ყოველთვის ამ გზით დადიოდნენ სავაჭროთ. როცა გაივლიდნენ თერგისკენ, უეჭველათ ყაზბეგს უნდა გამოსცხადებოდნენ და მოწმობა უნდა ეჩვენებინათ. ყაზბეგიც ხევდა მათ ქალალდებს და მერე ნებას აძლევდა წასვლისას, ზოგს კაცებსაც გაატანდა გზაში, რომ არავინ გაცარცვოსო. რუსეთში ნავაჭრი ვაჭა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი რომ დაბრუნდებოდა საქართველოში თავის საქონლით, ისევ აქეთ უნდა გამოეცვლოთ. მოვიდნენ უფროსთან და თან მოართმევდნენ ათასნაირ ახალ-ახალ ნავაჭრს ნივთეულობას და ხშირად ფულსაც.

რომ კარგად გავიცნოთ ალექსანდრე ყაზბეგის აღზრდის ვითარება,—აქ კიდევ მისი მამის ოჯახის მდგომარეობას უნდა მოუბრუნდეთ. ალექსანდრე ყაზბეგის მამას დიდათ უყვარდა მდიდრად ცხოვრება. ზამთარში თბილისში ცხოვრობდა ხოლმე და ზაფხულში—მთაში, ხშირად კი ზამთარში თითონაც იქ იყო, თბილისში მარტოდ სახლობას ინახავდა. მთაში ამას ეკავა ერთი დიდი სასახლე, სადაც ოთახები მორთული იყო ძვირფასი ხალებით. ყოველი ოთახის მოწყობილობა განირჩეოდა მეორე ოთახის მოწყობილობიდამ, ყოველს ოთახში კაცი სულ სხვა და სხვა ჯურის ნივთს და იარაღს ნახავდა, რომელიც მნახველის თვალს იტაცებდა.

სასახლის საჯინიბეში ყოველთვის 50 ცხენი ება. ასევე უხვი იყო სხვა დასხვა პირუტყვთა რიცხვი, თვით ირემ-კანჯარი, და შინაურ და გარეულ ფრინველებითაც კი სავსე იყო ამ სასახლის საქათმეები და ბოსლები. მოსამსახურეთ რიცხვი ხომ დაუთვლელი ყოფილა, სამზარეულოც დიდად იყო მოწყობილი, მარხვასა და ხსნილში ყოველდღიურად კეთდებოდა ცხრა თავი საქმელი სულ ძვირფასეული, ხშირად გარეული ნადირის ხორცი, ნამეტურ ფრინველების, თევზეულობა და ევროპიული საქმელები. დღეში კეთდებოდა 30 კაცის სადილი.

სუფრის ჭურჭელი სულ ვერცხლისა იყო. როცა ყაზბეგი თბილისში გადმოვიდა საზამთროთაო, მაშინ ეს ვერცხლის ჭურჭელი ერთი საძნე ურემი გამოვიდაო, ნუ დაივიწყებთ, რომ ყველა იარაღიდამ ოროორი ან სამსამი ცალი მთაშიაც დასტოვესო, მაგრამ მაინც იმოდენა ვერცხლის ჭურჭელი ჰქონდათო, რომ რაც თბილისში წამოიღეს ერთი ამდენი გამოვიდაო.

თბილისშიც დიდკაცურად მიეცა ცხოვრებას ალ. ყაზბეგის მამა. კუკიაში ბინა დაიჭირა, მორთული ძვირფასი ხალებით, ატლასებით და სხვადასხვა ძვირფასი სურათებით და ოქროს და ვერცხლის იარაღებით, ოთახებს ამშვენებდა სხვადასხვა ყვავილები. როგორც მთაში აქაც უხვი იყო ყველაფერი, მოსამსახურეთ რიცხვი, სადილი ისევ 30 კაცის კეთდებოდა, მოსამსახურეებს გარდა, მალე შეიძინეს ეტლი, ორი ცხენი საჯდომი და მრავალიც სხვა ცხენები სტუმართათვის, მეწველი ძროხები და სხვ. ერთი სიტყვით ეს ოჯახი სდუღდა და გადმოდუღდა. მთელს თბილისში სახელი განითქვა ყაზბეგმა, როგორც კარგმა. მეპურმარილემ.

თბილისში ალ. ყაზბეგს დაუჭირეს ორი გუვერნანტკა, ერთი რუსი და მეორე ფრანგის ქალი, მათ გარდა რამდენიმე მასწავლებელი. ქართული ენის მასწავლებლად „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე მიიწვიეს, მასწავლებლების მოსაყვანათ ხშირათ ეტლს გზავნიდნენ ხოლმე. მასწავლებლებზე დიდი ფული იხარჯებოდა, მამა არას დაგიდევდა. მ. ყაზბეგი ხშირათ მასწავლებლებსაც უმართავდა ნადიმს, ივ. კერესელიძე იტყოდა: ეტლი მომივიდა, დღეს მობძანდი სადილათაო, მეც დავჯდებოდი ეტლში და წავიდოდი დიდის გაბერვითაო, იქ კაი ქეიფს, კაი სადილს გიახლებოდი და საღამოზე ვბრუნდებოდი შინაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში ცხოვრებას დაჩვეულ სანდრო ყაზბეგს, რომ არ მოსწყენოდა ქალაქში, მას შეუკერეს ორნაირი ტანსაცმელი, ევროპიული და ქართული. ძვირფას ოქრო ვერცხლით მორთული. ამის გარდა მოუყვანეს ორი კარგი ცხენი, ერთ ცხენზედ სანდრო ჯდებოდა, მეორეზე მისი გამდელი მოსამსახურე კაცი და ქალაქის ქუჩებში დადიოდნენ სასეირნოდ, წვიმიან დღეებში სანდრო სასეირნოდ დაჰყავდათ გუვერნანტკებს ეტლით. სანდროს მამამ ეს არ აკმარა შვილსა, მან მოინდომა თავიანთი უბნის მდაბიო ოჯახთა შვილების დაახლოვება თავის შვილთან; მთელი უბნის ბიჭები იკრიბებოდნენ მათს ეზოში და სანდროსთან ერთათ თამაშობას მართავდნენ. სანდროს დედმამა აივნიდან უმზერდნენ, თამაშობის გათავების შემდეგ სანდრო აივანზე ავიდოდა, ჯიბეში ჩაიყოფდა ხელსა და რამდენიმე მუჭა ვერცხლის ფულს გადმოუყრიდა თავის ტოლამხანაგ ბიჭებს, ესენი საჩქაროდ აჰკრეფდნენ და მადლობით წავიდოდნენ. 1879 წ. თვით ალ. ყაზბეგმა მიამბო, რომ ჩემი გულისთვის მამაჩემი ჩვენი სახლის წინ, კუკიაში, ქალაქის ბიჭებს იბარებდა და კრივს ამართვინებდაო, რომ ამ კრივის ხილვით მე გამეხარნაო. კრივის გათავების შემდეგ აივნიდან თეთრ ფულს გადაუყრიდი ხოლმე მოკრივეებსაო. ეს გაახსენდა მას, როცა ჩვენ ერთ მიკიტნის დუქანში პურსა ვჭამდით და აქ ერთი კინტო ვაჭარი ნახა, კუკიელი, კავკავიდამ ახლათ მოსული, რომელიც იცნო ყაზბეგმა, მასთან ლაპარაკი გამართა და ბევრი რამ ამბებიც მოიგონეს წარსულის ცხოვრებიდამ, ნამეტურ ძველი მოკრივეების შესახებ. ხანდისხან თურმე სანდრო ყაზბეგიც იღებდა კრივში მონაწილეობას, მაგრამ კრივის დასაწყისში როცა პატარა ბიჭები დაიწყებდნენ ხოლმე, ყველა პატარა ბიჭი ერიდებოდა სანდროს დარტყმას, იგინი ნელა არტყამდნენ თურმე, ისე, რომ სანდრო არც კი გრძნობდა დარტყმასა. ბის მამას კიდევ უხაროდა უსაზღვროთ; ჩემი შვილი ჯანიანი ბიჭი გამოდის, კრივში მარჯვეთ იქნევს ხელებს და იმედი მაქვს რომ დღეგრძელი გამოვაო.

სანდრომ წერაკითხვა საკმარისად შეისწავლა და სასწავლებელში მიცემის დროც მოუვიდა, შეიყვანეს გემნაზიის პირველ კლასში. სანდრო სახლიდან სასწავლებელში ეტლით დაჰყვანდათ. გემნაზიაში ყოფნის დროს სანდროს უფრო დაუწყეს მშობლებმა პატივისცემა და სიყვარული, მათი პატივისცემა საზღვარს აღემატებოდა, ვინც კი მზერდა ამ სიყვარულს, ყველას უკვირდა და მრავალნი ამბობდნენ, რომ ასეთის გარდამეტებულის სიყვარულით ესენი ყმაწვილს გარყვნიანო, სამუდამოთ გააფუჭებენო. შინ მოსვლისას სანდრო გიმნაზიის ფორმას გამოიცვლიდა, ჩაიცვამდა ჩერქეზულს ტანსაცმელს, შეიმოსებოდა იარაღით, შეჯდებოდა ცხენზე და გააჭენებდა თბილისის ქუჩებზე, სადილობამდის ასე დასეირნობდა, ვიდრე შინ არ დაბრუნდებოდა, მანამდის სადილს არ გაშლიდნენ, მშივრებიც რომ ყოფილიყვნენ, სანდროს ეწყინებაო. სანდროს წყენა კი მისის მშობლებისათვის ძვირფასად ღირდა. საღამოთი სანდრო ევროპიულს ტანსაცმელს იცვამდა.

სახლში კარგ დროსა და ლხინების გატარებას დაჩვეული ალ. ყაზბეგი ნაცნობთა სახლებშიაც დაიარებოდა სტუმრად, ნამეტურ კვირა დღეობით, დღესასწაულებში და თავისუფალს დროს, მას მით უფრო ჰპატიჟობდნენ, რადგან იგი ადრითვე შეეჩვია ჩინებულად ლეკურის თამაშსა და უკანასკნელად ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ზომამდის მივიდა, რომ 1880 წლებში, ქართული თეატრის სცენაზე ხანჯლებითაც დაიწყო თამაში, რაც დიდად აკვირვებდა ქართველ საზოგადოებას. გემნაზიაში სწავლის დროს ალ. ყაზბეგი მდიდარმა ყოფა-ცხოვრებამ, კარგმა დროსტარებამ, ქეიფებმა, მეგობართა სტუმრობამ და წვეულებამ ისე გაიტაცეს, რომ სწავლისათვის მას დრო ერთობ ცოტა რჩებოდა.

ალ. ყაზბეგი ქალებმა ისე აიყოლიეს, რომ მან სწავლაზე გული აიყარა. თითო-კლასში ორორ წელიწადს რჩებოდა. ერთი მასწავლებელი მას ჩინებულ დარიგებას აძლევდა, მაგრამ მას ეს დარიგება არ ესმოდა, მასწავლებლებიც მობეზრდნენ და თვითონ ალ. ყაზბეგსაც მობეზრდა სასწავლებელში დიოექტორის და მასწავლებლების საყვედურები, მან განიზრახა გიმნაზიიდამ გასვლა და გამოვიდა კიდეც მეექვსე კლასიდამ, შვილის ასეთი საქციელი არ ესიამოვნა მამას. მაგრამ სიამოვნებდა მით, რომ შვილი ყოველთვის გვერდით ეყოლებოდა, აღარავინ მოაცლიდა, მისი სიყვარულით გაძღებოდა.

გიმნაზიიდამ გამოსვლის შემდეგ ალ. ყაზბეგი გაჰყვა ქეიფებს, ლხინებს, ქალების არშიყობას და ცეკვა-თამაშს. ერთი ქალი ისე მოხიბლა ფულით, რომ ბოლოს ეს ქალი ცუდ დღეში ჩავარდა, ამას ალ. ყაზბეგი ხშირად მოიგონებდა ხოლმე და თავის თავსაც სწყევლიდა და გმობდა, ყველაფერს სულ თავის მშობლებს აბრალებდა, მათგან მის გალაღებას და ცუდად აღზრდას. ამ ქალის ამბავი ალ. ყაზბეგმა გამოხატა ერთ თავის პიესაში, რომელიც 1879 წელს თბილისის სცენაზე დადგეს, ეს პიესა ბიოგრაფია არის ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა, მისი აღზრდისა და სხვადასხვა საქმეების.

ლამაზ ქალებთან საუბარსა და ხვევნა-კოცნას და ალერსსაც თურმე მობეზრება და დასასრული ჰქონია.

ალ. ყაზბეგს ბევრი ქეიფების შემდეგ თბილისის ქალებთან დროს გატარება შესძაგდა, მისუსტდა, ჯანი წაუვიდა, ამიტომ მცირე ხანს შორს გადგა, ჯანზე მოკეთდა, სხეული გაუმაგრდა, ამ დროს იგი თბილისში უკვე ცნობილი იქნა, როგორც „აფუჭებეგი“, ლაღი ახალგაზრდა, ფანტია და თავის მამის ქონების დამღუპავი. ესეთი შეხედულება მასზე უფრო გიმნაზიიდამ გასვლის შემდეგ დაიბადა. ალ. ყაზბეგის საქციელი არათ მოსწონდათ, მის ყოფაქცევას მისი მამის ცხოვრების და სახლკარის დასაღუპათ სთვლიდნენ, ეს აზრები მის ნათესავებში შემდეგ უფრო გავრცელდა და მერე მათგან ხალხშიც გადავიდა და მოიფინა, უკანასკნელ დრომდისაც კი მთიელთ ალ. ყაზბეგზე არ ჰქონდათ კარგი შეხედულება. სწორეთ ასეთივე აზრები ტრიალებდა 1870 და 1879 წლებამდის თბილისის ქართველ საზოგადოებაში და 1878 წ. მეც კი დამძრახეს ერთ დღეს ერევნის მოედანზე ჩემმა ნაცნობებმა ასე:

— კაი მოგვივა, კარგ ვისმეს შენ აჰყოლიხარ, აჰყევი მაგას და რაღაცა წიგნებს შენ გამოსცემ, იმასაც ვნახავთ!

მე მიუგე:—თქვე კაი კაცებო, მე რა მაოხრია, რომ ამას შევაჭამო, მე ამას იმიტომ ავყევი, რომ წიგნების გამოცემისაგან საქმე მიჭირდება, ხშირად ყდის ქაღალდიც არა მაქვს, დასახარჯი ფული საიდამ მეოხრება, პირიქით, საბილებს იმის ფულით ვსჭამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ხანებში მეც მეგონა, რომ ალ. ყაზბეგი რამე საქმეებში გამხვევდა, მაგრამ ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი მარტო თავისთავის უბედური იყო.

თბილისში არშიყობის და ქეიფების შემდეგ ალ. ყაზბეგმა ისურვა პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლა, მალე წავიდა პეტერბურგში და თავისუფალ მსმენელად დაიწყო სიარული უნივერსიტეტში, მაგრამ იქაც გაახსენდა თბილისის ქალები და ქეიფები, იქ უფრო დიდი თანაგრძნობა და მომხრეები ჰპოვა ამისათვის, იქ მისთვის აღარც სწავლა იყო, აღარც მეცადინეობა; ერთთავად ქეიფი, დროს გატარება, თამაში, ტანცაობა, ბალები და სხვა. პეტერბურგში ალ. ყაზბეგი ავად გახდა ისე ძლიერ, რომ კინაღამ მიიცვალა, მაგრამ მისმა დედამ იმეცადინა, საქართველოდამ კაცი გაგზავნა და ავადმყოფი ალექსანდრე თბილისში ჩამოიყვანეს 1868 წ. ამ დროს მამა უკვე მიცვალებული დახვდა.

ყაზბეგიანთ ერთმა ხნიერმა მანდილოსანმა გარდმომცა, გიმნაზიაში ყოფნის დროს, ალ. ყაზბეგი საზაფხულოთ რომ შინ მოდიოდა, მთიელ ბიჭებს მოაგროვებდა და ქართულს ანაბანასა ასწავლიდაო. შვილის ასეთი საქციელი მამას ეჯავრებოდა და სანდროს ეუბნებოდაო:

— შვილო, თავი დაანებე მაგ მთიულ ბიჭებს, მაგათთვის წიგნის ცოდნა საჭირო არ არის, მაგათვის რაც არის საჭირო იმას მათი დედმამა ასწავლიან, შენ ისწავლე გენაცვა, შენა. მაგათი გულისთვის რაზე იწუხებ თავსა, რაც გინდა ეცადო, ეგენი ვერაფერს დაისწავლიანო.

მაგრამ პატარა ალექსანდრე მაინც თავისას არ იშლიდაო.

საქართველოში დაბრუნებული ალექსანდრე ყაზბეგი ავადმყოფობისაგან მორჩა, ამ მორჩენის შემდეგ იგი თითქოს ახლათ დაიბადა ცხოვრების ასპარეზზე; ცოტა ოჯახის საქმემაც დააფიქრა, ნამეტურ მამის სიკვდილმა, საქმე სხვაფერ მოეწყო, ცხოვრებამ ფიქრი მოსთხოვა. მალე შევიდა საქმის მცნობელობაში, მაგრამ ერთობ გვიან, ისეთ დროს, როცა მისი სახლკარი და მამულების საქმე აფორიაქებული იყო, მას კაი სულის ჩამდგმელი პირი და მომვლელი სჭირდებოდა, ალ. ყაზბეგს კი ეს არ შეეძლო. მაინც ამ დღიდგან თავის ცხოვრების საქმე უკეთ წაიყვანა, წინანდელს საქმეებს თუმცა კიდევ დასდევდა, მაგრამ წყნარათ, ზომიერად, თავდაჭერით და ჩუმად, თვითონ ამ დროს ტანთსაცმელს იცვამდა ევროპიულად, ოქროს პენსნეთი დადიოდა,—შესანიშნავი ხელთათმანებით, კარგი ცილინდრითა, შესანიშნავად მორთული, უზრუნველობით. გამოუცდელობით მამულების საქმე აერდაერია და დედის წინაშეც დაკარგა ნდობა. რიგიანის ყოფაქცევის და ცხოვრების დედამ ეჭვით დაუწყო მზერა, მისი სიტყვები აღარ სწამდა, საფუძველიც ჰქონდა რადგან ალ. ყაზბეგს ხშირად მოუტყუილებია დედა. ალექსანდრეს ამაზე ჯავრი მოსდიოდა, დედაჩემი ჩემ სიტყვებს რატომ არ იგონებსო, ჩემს მეტი ვინა ჰყავსო, მაგრამ თავის გერი ქალები უყვარსო, იმათთვის ზრუნავს ჩემს დასაღუპადაო. თუმცა არ იყო მართალი, რადგანაც ალ. ყაზბეგის დედას მეტად ჩინებულს, ჭკვიან გამოცდილ დედაკაცათ აღიარებდენ. დედასა და შვილს შუა უთანხმოება ისე გამწვავდა და შვილმა დედა ისეთ დღეში ჩააგდო, რომ უკანასკნელად ერთადაც აღარ სცხოვრობდნენ, დედა ახალქალაქში ცხოვრობდა, თავის მონათესავე თარხნიანთ გვარში. მას მთავრობისაგან პენსია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ ჰქონიყო, შესაძლებელი იქნებოდა, სხვის დასამარხ ტვირთათ გამხდარიყო.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგი დროის მისი ცხოვრების შესახებ მე დაწვრილებით ვერ ვილაპარაკებ, რადგანაც მასში სახარბიელო არაფერია. როცა ალ. ყაზბეგს საფანელი შემოაკლდა და თავისი მამულების შემოსავალი აღარ ჰყოფნიდა,—იგი თავის სოფელში გადასახლდა, იქ მიეცა სოფლურს ცხოვრებასა, წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ ჩამოვიდოდა ხოლმე თბილისში, როცა მამულის ფულებს აიღებდა, ვიდრე ამ ფულებს დახარჯავდა და შემდეგ წავიდოდა შინ. სოფელში ყოფნის დროს იგი დაუახლოვდა უფრო კარგად მთის ხალხს, აქა-იქ სიარული დაიწყო, თვით მიკიტნის დუქნებშიაც კი დადიოდა დროს გასატარებლად, მწყემსებს აქა-იქ [ცხვარშიც] გაჰყვებოდა ხოლმე, რაც ერთობ აკვირვებდა სოფლის ხალხს; სანდრო მწყემსებს დასდევს თანაო, სანდრო ამადა ამ მიკიტნის დუქანში იჯდა და ჩვენ ბიჭებთან ღვინოს სომდაო, სანდრო ასე იქცევოდაო, სანდრო ისე იქცევაო! სძრახავდნენ და იტყოდნენ: „ჰაი გიდი, ვისი შვილი რაებს მისდევს და რა საქმეებს სჩადისო, განა ასე მოქმედება ეკადრება მასაო“? ასე ატარებდა დროს ალ. ყაზბეგი თავის სოფელში.

ალ. ყაზბეგი პირველად მე გავიცან 1874 წ. ამ დროს თბილისში იმყოფებოდა, იქ ცხოვრობდა. ევროპულად ჩინებულათ იცვამდა ტანთსაცმელს. ამ წელიწადს თბილისში ქართულ სცენისმოყვარეთაგან წარმოდგენები გაიმართა, წარმოადგინეს „მზის დაბნელება“, მერე სხვა პიესები, ყველა ამ წარმოდგენაში ალ. ყაზბეგი მონაწილეობას იღებდა, მას დიდი ხალისი ჰქონდა თეატრისა და თამაშობისა, მაგრამ თამაშობით კი ვერ თამაშობდა რიგიანათ, ისე ცივად ასრულებდა ხოლმე თავის როლებს სხვადასხვა პიესებში, როგორც „მზის დაბნელებაში“ კვარტალნის როლი შეასრულა. 1874 წელსაც იყო ორი სამი წარმოდგენა, ამაშიც მიიღო მონაწილეობა, იგი ხშირად დაიარებოდა მაშინდელს ცნობილ წიგნთსაცავში. 1875 წ. შემდეგ ანუ 1876 წლიდამ მე სანდრო ყაზბეგი აღარ მინახავს თბილისში. მის შესახებ ლაპარაკობდნენ, რომ იგი მთაში ცხოვრობს, მთის ხალხის ცხოვრებას ადევნებს თვალთყურსა და სხვადასხვა დრამა-კომედიებს სწერსო, ეს ამბები ზოგს მართალი ეგონა და ზოგს ტყუილი, ბევრნი ამბობდნენ, ის არაფერს დასწერსო, მამის ქონება შეჭამა, გაფლანგა და ახლა სოფელში ცხოვრობს და იმასაც ჰყიდის და სჭამს, რაც გადარჩაო.

გავიდა რამდენიმე ხანი და 1878 წ. ყაზბეგი კვლავ გაჩნდა თბილისში. ამ დროს თბილისში ქართული წიგნის მაღაზია არსებობდა, რომელსაც მე განვაგებდი. სანდრო ყაზბეგს ქართული წიგნის მაღაზიის გახსნის ამბავი შეეტყო. პირდაპირ მოვიდა ჩემთან. მაშინ ქართული წიგნის მაღაზია ქაშვეთის ეკლესიის მამულებში იყო, ბაღში. ალექსანდრე შემოვარდა მაღაზიაში და დაიძახა გახარებულმა:

შენი-კი ჭირიმე შენი, ჩემო ზაქრო, როგორა ხარ გენაცვა, ყოჩაღ ბიჭო, აი საქმე, აი მაგალითი! რა მოხარული ვარ, რომ იცოდე, დღეს მე და შენ სადილი ან ვახშამი ერთად უნდა ვჭამოთ.

— ძალიან კარგი ჩემო სანდრო, მიუგე მეცა და დავკოცნეთ ერთმანეთი.

ამ დროს აქ შეესწრნენ ზოგიერთი ქართველნი, იმათ ჩვენს ალერსს კაის თვალით არ შეხედეს, ეს მე ყველას შევატყე და ისინი ამაში გასამტყუნიც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ, რადგანაც ალ. ყაზბეგს ასე ჰქონდა დამსახურებული სახელი. ამ დღეს ჩვენ ერთად ვისადილეთ, მეორე დღეს ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა:

— კაი შვილიც გაგიცვნია ყმაწვილო, რომ აჰყოლიხარ და უკან დასდევო!

მესამე—მეოთხე დღეს მე და ალ. ყაზბეგმა საუბარი დავიწყეთ, მე მან გამოკითხა ქართული წიგნების ბეჭდვის საქმე. წიგნების გავრცელების ამბები და სხვა ცნობები. ამ დროს ჩვენთან მუდამ დღე დაიარებოდნენ დიმიტრი ბაქრაძე. ანტონ ფურცელაძე, რაფიელ ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, აკაკი, ნიკოლოზ ღოლობერიძე, რომელიც ხშირათ ღამის 11—12 საათამდე რჩებოდა და ქართული წიგნების გამოცემაზე გვესაუბრებოდა, დარიგებას გვაძლევდა, თუ როგორ უნდა დაგვეწყო ხალხში წიგნების ბეჭდვა და გავრცელება.

ალ. ყაზბეგს ჩვენი ამბები დიდად ესიამოვნა. მერე მე გამოვკითხე თავისი ცხოვრების და მოქმედების ცნობები, თუ მან სამს-ოთხს წელიწადში რა აკეთა შინ ყოფნის დროს. მან აღიარა:

— ჩემი შინ ყოფნის დროს, ერთთავათ მწყემსებთან დავიარებოდი, ვსწავლობდი მთიელ ხალხის ცხოვრებასა და თან ვსწერდი სხვადასხვა პიესებს, ეხლა შევიტყე რომ თბილისში ქართული წარმოდგენების დასი დაარსებულაო, მეც წამოველი და ყველა ჩემი პიესები წამოვიღე. იმდენია რომ ჩვენს სცენას კარგა ხანს ეყოფა მასალად. ეხლა მოთამაშეები უნდა ვნახო და მათს მოთავეებს უნდა დაუახლოვდეო. ხვალ მე მოგიტან შენ ჩემი პიესების სიას, რომ დარწმუნდეო.

მეორე დღეს ალ. ყაზბეგმა მოიტანა თავისი პიესების სია, გადმომცა და დამავალა, ეგებ „დროება"-ში დაბეჭდო, რომ საზოგადოებამ შეიტყოს, რაც დამიწერიაო. აი მაშინდელი სიაც: „დრამატიული თხზულებანი: 1. „დავითის სახლობა", დრამა 5 მოქმედებად. 2. „ცხოვრების თანამოგზაურნი", კომედია ოთხს მოქმედებად და ხუთ სურათათ. 3 „ბამის მკვლელი", დრამა 5 მოქმედებად მთის ხალხის ცხოვრებიდამ.4. „ჩემმა შვილმა ცოლი შეირთო", კომედია 3 მოქმედებად. 5. „არსენა", დრამა ხუთს მოქმედებად. 6. „განა ქალი გავათხოვე", კომედია 5 მოქმედებად. 7. „განწირული", კომედია 4 მოქმედებად, 8. „ქალს გავათხოვებ და მოვისვენებ", დრამა 5 მოქმედებად. 9. „ძმა-დის პოვერნია", კომედია 4 მოქმედებად, 10. „დედა მაჭანკალი", კომედი 5 მოქმედებად. 11. „კეთილის მყოფელი", კომედია 5 მოქმედებად.

„აი ეს თერთმეტი პიესა სრულებით გათავებულია, მაქვს კიდევ გასასწორებელი ექვსამდე. გთხოვ, თუ შევიდა ეს თხზულებანი სახელმძღვანელო განცხადებაში, მაშინ ჩემი ნამდვილი გვარი მაინც არ მოიხსენიოთ და აკაკია მოჩხუბარიძე დამიძახე".

რამდენიმე ხნის შემდეგ ეს პიესები მან წარუდგინა მაშინდელ ახალი დასის მმართველებს, მათ განიხილეს პიესები, მაგრამ სასცენოდ არც ერთი არ მოუწონეს და ხელთნაწერები უკან დაუბრუნეს, ალ. ყაზბეგს დიდათ ეწყინა, ამბობდა, აქ თუ მტერობა არ არის, ნუ თუ თერმეტ პიესაში ერთი პიესა მაინც არ აღმოჩნდა ღირებული, ეს მე არა მჯერაო. ეს ამბები მან მთელს თბილისის ქართველებში მოჰფინა. ყველას წინაშე ხმას ავრცელებდა იმ დროის ზოგიერთ ქართველს მწერლებსა და მოღვაწეებზე, რომ იგინი სამართლიანად არ მოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებენ, თავიანთ მოვალეობას რიგიანათ არ ასრულებენო, ასეთის მოქმედებით იგინი ხალხს მწერლობას კი არ შეაჩვევენ არამედ ხალისს წაუხდენენ და ბევრს დამწყებ მწერალსაც დაატოვებინებენ კალამსაო. ასეთი საყვედურების თქმამ და აშკარად ლაპარაკმა ბევრი ბჭობა და კამათი გამოიწვია, ჩვენს სამწიგნობროში.



სოფ. ყაზბეგის საერთო ხედი

ვინც კი შეიკრიბებოდა, ყველა ამაზე ლაპარაკობდა. ნამეტურ, როცა ალ. ყაზბეგიც იქ იყო ხოლმე. ცოტა არ იყოს ალ. ყაზბეგის მტერობა ამ ხანებში უფრო წინ წავიდა, რას იზამდა, დაემორჩილა ბედსა და გარემოებას, მაგრამ დიდს ჯავრს და დარდებს კი მიეცა, მისი დარდები უსაზღვრო იყო, რადგანაც კაცი მთელი თავისი შრომით, განათლებით, აზრებით და მწერლობით უსარგებლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიარეს, გამოუსადეგრად ქართველი ერისა. ალ. ყაზბეგს ერის სამსახურის ულელში შებმა უნდოდა, აქ კი იგი უნიჭოდ აღიარეს, უსარგებლოდ ქართველთათვის.

ამ დროს ალ. ყაზბეგი სასტუმრო „პეტერბურგში" იდგა, იქ ორი კაი ოთახი ეჭირა, თვეში 10 მ. ქირას აძლევდა, მე მუდამ დილით მასთან დავდიოდი ჩაიზე, ჩაის შემდეგ ხან ერთად წამოვიდოდით ჩვენს სამწიგნობროსკენ და ხან ცალ-ცალკე. ჩვენი სამწიგნობრო იყო მისი გაზეთის სამკითხველო, სალაყბოც და დროს გასატარებელიც. სხვაგან სად წავიდოდა, მაშინ, უმზერდნენ, როგორც წამხდარს, ფანტია და ოჯახის დამღუპავ ახალგაზდას, არაფერში გამოსადეგარს. მისი სადგომი ოთახები ავეჯით იყო საკმარ. ერთ ოთახში ეძინა, მეორე ოთახში სჭამდა და სვამდა. დილით 8 საათზე დგებოდა, ღამე 12 საათამდის სწერდა, ამის შემდეგ დაწვებოდა და სანთელზე ლოგინში წიგნს კითხულობდა, უმეტესად ეტანებოდა რუსის მწერლებს, დილით ჩაის სვამდა 9 საათზე, ჩაის სტოლზე განუწყვეტლივ ელაგა აპელსინები, ლეღვი, ჩაი, შაქარი, კარაქი, „პეროჟნები" და ძვირფასი კანფეტები. კამფეტები ძალიან უყვარდა, ჩაის ისე ვერ დალევდა, ყოველ დღე სულ ახალ-ახალ კამფეტებს და „პეროჟნებს" ყიდულობდა, ლეღვს, აპელსინს, ლიმონს და სხვა ხილს. მისი ნომრის კარის წინ ოთხიხუთი კინტო მოვიდოდა თაბახით. თაბახებს დააწყობდნენ კარებთან და მანამ „კნიაზი" არ გაიღვიძებდა, არ წავიდოდნენ. როცა კინტოები თაბახებით უცდიდნენ, ზოგს ნისიას მისცემდა, ზოგისგან აპელსინს იყიდდა, ზოგისგან სხვა ხილს არც ერთ კინტოს არ დასტოვებდა ისე, რომ მისგან არაფერი ეყიდნა. მე მახსოვს, გაზაფხულის პირზე, ერთს კინტოს „ფეჩის" კიტრები მუდამ დღე მოჰქონდა ალ. ყაზბეგთან, ესეც ყიდულობდა წყვილს მანეთათ და სტოლზე აწყობდა, ხშირად კიტრებს არც კი სჭამდა, კიტრები ჭკნებოდა უბრალოდ. ერთხელ საყვედური მივეცი, მან მითხრა:

— მაშ, საწყალმა კინტოებმა ზამთარში როგორ უნდა იცხოვრონ? მაქვს და ამიტომ ვყიდულობ, როცა არ მექნება, მაშინ რა შავქვას მივცემო.

ერთხელ ლაპარაკი დავიწყეთ მისი ნაწერების შესახებ და დავადგინეთ: იგი უნდა დაახლოვებოდა ქართულ მოთამაშეებს და მათის მეოხებით შეედგა ფეხი თეატრში. მართლაც, მალე დაუახლოვდა მოთამაშეებს, დაუწყო ქალ-აკიანად წვეულება, აქა-იქ ტარება, ქეიფები ნამეტურ დიდუბის ბაღებში, ალექსანდროვის ბაღის სასტუმროში, სხვა და სხვა საკანდიტეროებში. ბევრის პატივისცემის შემდეგ, როგორც იქმნა მოახერხა რომ საფაროვის ქალმა მისი პიესა ამოირჩია საბენეფისოდ, კომიტეტი მკაცრი წინააღმდეგი გახდა, არ შეიძლება მისი წარმოდგენაო. ქალი არ დაყაბულდა ამ შენიშვნაზე და გადაწყდა ალ. ყაზბეგის პიესის დადგმაც. მალე მზადებას შეუდგნენ და კიდევაც ითამაშეს. პიესამ კარგად ჩაიარა, ყველა ამბობდა, რომ ამ პიესაში თვითონ ალ. ყაზბეგი და მისი დედმამა არის გამოყვანილიო. რაც აქ საქმეებია აწერილი, სულ მაგის მოხდენილიაო, შუა მოქმედებაზე, როცა მკერავ ქალს ატყუილებენ და ნამუსს ხდიან, საზოგადოებიდან ბევრნი ვერ დადგენ საყურებლათ, ქალის საცოდავობას ვერ უმზირეს და თეატრიდან კარში გავიდნენ. პიესის წარმოდგენა, ბევრს მოეწონა, კომიტეტს კი ძლიერ ეწყინა, რომ ყაზბეგის პიესა დადგეს სცენაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყენის საფუძვლად იმასაც აღიარებდნენ, რომ საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა პიესას მთლად ვერ უყურა და შუა წარმოდგენიდან თავი დაანებეს და შინ წავიდნენო. ასე იყო თუ ისე იყო, საზოგადოებამ დამწერსაც სცა პატივი და ბოლოს ორჯერ გამოუძახეს ტაშის ცემით.

პიესის წარმოსადგენად ყაზბეგმა 100 მანეთზე მეტი დახარჯა. ასე იყო მაშინ საქმე დაყენებული, ზოგ მწერლებს ფულს აძლევდნენ, რამე ქართული პიესა დაეწერათ ან ეთარგმნათ, აქ პირიქით, ალ. ყაზბეგს ეხარჯებოდა ფული თავის პიესების დასადგმელად.

ამ პიესის წარმოდგენის შემდეგ ალ. ყაზბეგმა სამუდამოდ ფეხი ამოიკვეთა ქართული თეატრის კომიტეტთან, იქ, არამც თუ მისი პიესების დადგმას, არამედ მონაწილეობასაც კი მეტად სთვლიდნენ, უკანასკნელი პიესის მეოხებით დარწმუნდნენ, რომ მისი ნაწერები მართლაც უვარგისი იყო. ალ. ყაზბეგსაც პირში აგონებდნენ, უნიჭო მწერალი ხარ, შენი პიესები არ ვარგა, მაგალითი შენმა პიესამვე დაამტკიცაო. ჩვენ მაშინ ხშირად ვიკრიბებოდით ერთად და საუბარი გვქონდა ხოლმე სხვადასხვა მწერლების ნაწერებზე. სხვათა შორის, ერთხელ ალ. ყაზბეგს ურჩიეთ, რომ სამი თვისი პიესა მოთხრობებათ დაეწერა, ნამეტურ მთიელთ ცხოვრებიდამ, უთხარით, რაკი შენი პიესები სასცენოდ აქამდის არ გამოდგა და უქმათ დარჩა, შრომას ნუ დაჰკარგავ, ახლა მოთხრობებად გადააკეთე, იმედია რომ მოთხრობებათ გამოდგება, რადგანაც ჩვენგან მცირეთ ცნობილს მთიელთა ცხოვრებას ეხება. ყაზბეგი დასთანხმდა და დაიწყო „მამის მკვლელის“ მოთხრობათ გადაკეთება, ამ დროს ის სწერდა მოხევეების ცხოვრების მოკლე აღწერას. იმ დღეებში შეხვდა სერგეი მესხს და სთხოვა მოხევეების შესახებ წერილს ვწერ და ეგება გაზეთში დამიბეჭდოვო. სერ. მესხმა მიუგო:

— დიდის სიამოვნებით, ეთნოგრაფიულ წერილს სიხარულით დავბეჭდავ! მომიტანეთ, მადლობელი ვიქნები.

ალ. ყაზბეგს ძლიერ გაეხარდა, სიხარულმა აიტაცა და სერგეი მესხს სადილად სთხოვა. სერგეი მესხს ამ დროს დიდი გაჭირვება ადგა, გაზეთის ამწყობისა და ქალალდისაგან მოსვენება არ ჰქონდა. ალ. ყაზბეგს ხუთს თუმანს დაესესხა, მან უთქმელად მიართვა ფული, სადილის გათავების შემდეგ სერგეი სიხარულით წავიდა შინისაკენ, ყაზბეგსაც ესიამოვნა „დროების“ რედაქტორთან დაახლოვება. რამდენიმე დღის შემდეგ ყაზბეგმა მესხს მიუტანა თავისი წერილები „ჩვენ და ჩვენი მოხევეები“. რედაქტორმა აღარც კი წაიკითხა და საჩქაროთ სტამბაში გადასცა ასაწყობად. მალე „დროება“-ში ფელეტონების ბეჭდვა დაიწყეს. ალ. ყაზბეგს ძლიერ ესიამოვნა თავის ნაწერების ბეჭდვა. მით უფრო, მრავალთაგან იგი იქმნა აღიარებული. პირველი მაგალითი იყო, რომ მას თავის ნაწერებიდამ რამე დაბეჭდილი ენახოს, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და სერგეი მესხსაც დიდად პატივისცემა დაუწყო.

ალ. ყაზბეგის წერილები „ჩ ვ ე ნ დ ა ჩ ვ ე ნ ი მ ო ხ ე ვ ე ე ბ ი“ ქართველ საზოგადოების უმეტეს ნაწილს მოეწონა. ეს ხმები ს. მესხმაც შეიტყო, ამიტომ მან დაივიწყა ყაზბეგის წარსული. მოხვია ხელი და უთხრა:

— აბა სანდრო, შენ იცი, თუ როგორც მოიქცევი, შენი ნაწერები ქართველ საზოგადოებას მოსწონს, კარგსა იქმ, თუ შენს შრომას განაგრძობ და არ დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვებ. ეხლა შენს მეცადინეობაზეა დამოკიდებული, შენ თუ ეცდები, შემდეგში მწერლობის ასპარეზზე დიდს სახელს და ნიჭს მოიპოვებ. ეცადე, რომ შენი პიესებიც მოთხრობებად გადააკეთო.

— დიდის სიამოვნებით, დიდის სიხარულით ჩემო სერგეი, ვიღებ კალამს ხელში და ვიწყებ წერას შენი იმედით, რომ ჩემს შრომას შენს გაზეთის ფურცლებზე დასაბეჭდად ადგილი დაეთმობა. ამის სრული იმედი მაქვს. მეც ეს მენატრება.

სერგეი მესხისაგან დაიმედებულმა ყაზბეგმა კალამს მოჰკიდა ხელი, დაიწყო წერა. აქ კი წელში გაიმართა, სრულიად შეიცვალა, სიხარულს მიეცა. მალე მან დაიწყო „ელგუჯას“ წერა, რამდენიმე ფურცელი დაწერა და სერგეი მესხთან მიიტანა; მან გამოართვა ხელნაწერები და მაშინვე სტამბაში გაგზავნა. „დროებაში“ დაიწყეს „ელგუჯას“ ფელეტონებად ბეჭდვა. რამდენიმე ფელეტონის დაბეჭდვის შემდეგ ხალხისაგან ქება მოისმა, ეს ქება ალ. ყაზბეგმაც შეიტყო. დაიწყეს ლაპარაკი. ქართველებს ახალი მოთხრობის მწერალი გამოუვიდათო. გრიგოლ ორბელიანს წაეკითხა „ელგუჯა“ და დიდად მოსწონებოდა, ზედ ქება დაეწერა, „შაბაშ, მის დამწერსაო“. ალ. ყაზბეგს სამწერლო ფრთები შეესხა. მისი წინანდელი მეგობრები კი მაინც არ რწმუნდებოდნენ მის ნაწერთა ნიჭიერებაზე, არც კი კითხულობდნენ. გრ. ორბელიანის ქება რომ შეიტყეს, ამაზე გაკვირდნენ, ამბობდნენ:

— დაიკარგოს ყაზბეგიც და მისი ნაწერებიც, თვით რა შვილი ბრძანდება, მაგის ნაწერები რა უნდა იყოს, მესხს „დროებისთვის“ მასალა არა აქვს და ბეჭდავს მის ნაწერებს, გაზეთის გასავსებათო.

ასე მიდიოდა ალ. ყაზბეგის საქმე და ამასობაში „ელგუჯას“ ბეჭდვაც გაგათავდა „დროება“-ში. ალ. ყაზბეგის ნაწერებს ისევ მდაბიო ხალხში უფრო სცემდნენ პატივს და კითხულობდნეს, აქა-იქ ხელოსნებში, მედუქნეებში, მოსამსახურე ხალხში და გახათლებულ საზოგადოების ისეთ ნაწილში, სადაც „ელგუჯას“ დამწერის ვინაობის ცნობა არ ჰქონდათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ალ. ყაზბეგმა თავისი „მ ა მ ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი“ მოთხრობად გადააკეთა და მალე „დროებაში“ ფელეტონებად ბეჭდვა დაიწყეს, ბეჭდვამ დიდ ხანს გასტანა. „დროებას“ ქუთაისიდამ და იმერეთის ზოგი სხვა ქალაქებიდან წერილები მოსდიოდა და სთხოვდნენ: გთხოვთ დაგვანებოთ თავი. მოგვაშორეთ ვიღაცა მოჩხუბარიძეა და გაგვათავისუფლეთ მისი დაუსრულებელის „მამის მკვლელის“-გან. რედაქციამ ასეთ წერილების შესახებ გაზეთში გამოაცხადა, რომ ზოგიერთს ქალაქებიდამ ასეთი საყვედურები მოგვდის ალ. ყაზბეგის ნაწერების გამოვო. ყაზბეგმა წარბიც არ შეიხარა.

ამ დროებაში—ყაზბეგი დაუცხრომლად მოღვაწეობდა თავის ნაწერებზე, მალე დიდძალი ნაწერები შეუგროვდა, ყველა ეს გადასაწერად ჰქონდა; მე მას უშოვნე გადამწერად ერთი გურული ყმაწვილი კაცი, გვარად სურგულაძე; ზამთარი იყო, გადამწერი დადიოდა მასთან და წერდა, სხვა საქმეებშიც ეხმარებოდა. ერთ დღეს, ალ. ყაზბეგს თხუთმეტი თუმანი ფული და წერილი ჩაედო კონვერტში და ნატარიუს დავით ყიფიანთან გაეტანებინა, ფულის წამღებმა დ. ყიფიანს ცარიელი წერილი მოუტანა და ფული თვითონ აიღო, თუ დაკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა, უწყის ღმერთმან. ამაზე დიდი დავიდარაბა მოხდა, გადამწერი პოლიციაში წაიყვანანა მაგრამ არ გამოუტყდა. მე არაფერი ამომიღია, რაც გამატანა ნატარიუსთან, ის მიუტანეო. ყაზბეგი ვერას გახდა და 150 მ. ციცივად დაეკარგა. ეს დრო იყო აღდგომის წინა კვირეებში და ხსენებული ფული მეორედ გადაიხადა, რამაც ერთობ დაადარდიანა, ამბომდა საალდგომოთ გროში აღარ დამრჩაო.

ალ. ყაზბეგი მარტო მწერლობით მოღვაწეობას არ დასჯერდა, მას სურდა თბილისში ქართული სტამბის დაარსება და ქართული წიგნების ბეჭდვა. ამაზედ მე მელაპარაკებოდა. მაშინ გავაცანი ერთი ქართველი მესტამბე არსენ კალანდაძე, რომელმაც 1873 წ. პირველად გახსნა ქართული წიგნის მაღაზია თბილისში და წვრილი წიგნების ბეჭდვაც დაიწყო. კალანდაძეს და მის ამხანაგს შეუკავშირდა ალ. ყაზბეგი; ნახევარი ხარჯ-შემოსავლისა ალ. ყაზბეგის უნდა ყოფილიყო და ნახევარი ამ ორის, შრომაც ამათი უნდა ყოფილიყო. ყაზბეგმა შეიძინა 300 მ. ასოები, ეს ასოები მიანდო ერთ ამხანაგთაგანს, ვიდრე სტამბის ნებართვას აიღებდნენ და მბეჭდავ მაშინასაც გამოიწერდნენ. მთავრობისგან ნებართვა აიღეს, მაგრამ სტამბის გახსნა კი ვერ მოხერხდა, რადგანაც ალ. ყაზბეგმა ხვედრი საჭირო ფული ვერ იშოვნა, საიდანაც ელოდა, იქიდამ ვერ მიიღო, ამდროს ყაზბეგი სოფლად წავიდა, ხმა მოჰფინეს, რომ ყაზბეგი სხვა და სხვა თხზულებებს სწერს და ძალე ჩამოვაო. ამიტომ სტამბის ამხანაგები მასთან წავიდნენ ყაზბეგში, მაგრამ ვერას გახდნენ, რადგან ყაზბეგს არაფერი აღმოაჩნდა, მან ხელი აიღო იმ 300 მ. ასოებზე, რომელიც წინეთ შეიძინა. იგი მის ამხანაგებს დარჩათ, პირობის ძალით. ვინც გადადგებოდა იმას ჯარიმა ეწერა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ალ. ყაზბეგი თბილისში ჩამოვიდა და მოთავსდა „დროების“ რედაქციაში, სერგეი მესხთან. აქ იცხოვრა რამდენსამე ხანსა და ქართული მწერლობის უღელშიც შეება, გაზეთისთვის დაიწყო ყოველნაირი ამბების და უფრო კი მოთხრობების წერა „დროებაში“ ფელეტონებად, მალე თეატრშიც შედგა ფეხი და დაიწყო სცენაზე გამოსვლა და ხანჯლებით თამაში. ამ დროს მან ზოგიერთი თავისი ძველი პიესები სასცენოდ გადააკეთა და ზოგიც ახლად დასწერა, მაგ. „ქეთევან დედოფალი“. სცენაზე ალ. ყაზბეგმა მაინცა და მაინც ვერაფერი შნო გამოაჩინა, იგი ითვლებოდა მდარე აქტიორად, ზოგს პიესებში უხეიროდ თამაშობდა, მაგრამ თამაშობდა მიტომ, რომ იქიდამ ფულის აღებას ელოდა, თითქმის ცხოვრებასაც, სხვა ძალა აღარაფერი გააჩნდა და რასაც მამულებიდამ შემოსავალს იღებდა, ის კამფეტების, მწვანე კიტრების და ძვირფას „პეროჟნების“ საყიდავათაც არ ჰყოფნიდა. საქმე ისე მოეწყო, რომ ერთ დროს ეს დიდი სიამოვნების შვილი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა, კინაღამ ახლად მოპოვებულს პატივისცემასაც გამოეთხოვა. ალ. ყაზბეგი ჩავარდა ვალში. ამის ცხოვრების სახსრად ერთათ ერთი თეატრი გახდა, მწერლობიდამ ის არას ელოდა; მაშინ ქართულ დროგამოშვებით გამოცემებს იმდენი ხელის მომწერი არ ჰყავდათ, რომ თანამშრომლებისათვის ფული ეძლიათ. ს. მესხს რა ქონდა და იმას სხვისთვის რა უნდა მიეცა. ალ. ყაზბეგი მიეცა ვაი ვაგლახითა და წვალებით ცხოვრებას, იგი თავის ნაკლოვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებას არავის უმალავდა, თუ რამე ქონდა ყიდდა და მით ცხოვრობდა, ფულს თუ იშოვნიდა იმას მაშინვე გაათავებდა, ასი თუმანი რომ ჰქონიყო ამ კვირას, ერთი მანეთი აღარ ექნებოდა. საქმე ისე მოეწყო, რომ მალე მან ევროპული ტანსაცმელი გაიხადა და ჩვენებური ტანსაცმელი ჩაიცვა, ჩოხა-ახალუხი, ნაბადი და ჩუსტები, ვითომ პატრიოტობით, მაგრამ უფრო კი მიტომ, რომ ევროპულის ტანსაცმლის ძალი აღარ ჰქონდა და ქართულით—ერთი ჩოხა-ნაბადითაც ოლად წავიდოდა.

ამ დროს 1877—1883 წ. წ. მოთამაშეებმა ისურვეს საქართველოს სხვადა სხვა კუთხეებში მოგზაურობა და წარმოდგენების მართვა, ესენი არ შესცდნენ; ამათ აქა იქ წარმოდგენები გამართეს და კაი ფულებიც აიღეს. საზოგადოებისგან უზომო პატივისცემა, საჩუქრები, წვეულება, ფული და სხვანი, მაგრამ მათ მოშვებულს ცხოვრებას ვერაფერი შველოდა. ზოგიერთ ალაგას ანაღები ფული საფლანგავათაც აღარ ჰყოფნიდათ. ბათუმიდან დაბრუნების დროს ალ. ყაზბეგმა ველარ შესძლო თბილისისკენ წამოსვლა, რადგან აღარაფერი გააჩნდა, იქ დაიწყო ქართული წარმოდგენების გამართვა, რასაც დიდძალი ხალხი დაესწრო. რამდენიმე ხნის შემდეგ ივ. მაჩაბლის „დროება"-ში ამბავი დაიბეჭდა, რომ ალ. ყაზბეგმა საზოგადო საქმის სასარგებლოდ ბათუმში წარმოდგენა გამართა და ფული თითონ შეჭამაო, ამის გამო ალ. ყაზბეგმა „დროებაში" თავი იმართლა, მაგრამ ამაოთ, რედაქტორმა ამის წერილების ყოველ სტრიქონის სიტყვებს ფრჩხილებში ჩასმული გაკვირვებითი ნიშნები დაუსვა და აუწყა მკითხველს, რომ ალ. ყაზბეგი ტყუილად მართლულობს თავსაო, მისი გამართლება ჭეშმარიტებას მოკლებულიაო, გარდა ამისა კაცს ერთი წერილი ვერ დაუწერია, რომ შიგ ასი შეცდომა არ დაუშოსო და ამისთანა კაცი კიდევ ლაპარაკობსო. ამ ამბავმა ბევრს ქართველს აწყენინა, რომელნიც ალ. ყაზბეგის ნაწერებს სიამოვნებით კითხულობდნენ. ა. ყაზბეგმა პასუხი გაზეთ „შრომაში" მისცა, იქ იმართლა თავი, „დროების" საქციელი არ მოეწონა, ასეთივე შემთხვევა დაემართა ალ. ყაზბეგს ფოთში წარმოდგენის და კონცერტის გამართვის გამო,

ამასობაში მისმა ნაწერებმა საზოგადოებაში გზა გაიკვლიეს, „ელგუჯა" ცნობილ საკითხავ წიგნად შეიქნა; მალე გამოიცა კიდეც, მაგრამ არა ისე, როგორც ცენზორს დაერთო ნება, არამედ რამდენიმე ფელეტონები ყაზბეგს ჩაერთო შიგ, ჩაემატებინა. ეს ფელეტონები წინეთაც დაშლილი ყოფილიყო ცენზორისაგან. ამიტომ მთელი გამოცემა დააკავეს და რამდენიმე ხნის შემდეგ ყველა ეს წიგნები დასწვეს. ყველა ამ საქმის ბრალდება ედება ბოროტს ლუკა ისარლოვს, მაშინდელ ქართული ენის ცენზორს, მაბეზღარს. ალ. ყაზბეგი მალე სახელოვანი მწერალი გახდა. მის მოთხრობებს ჟურნალ „ივერია"-შიაც დაუწყეს ბეჭდვა. სხვათა შორის „ივერიაში" დაბეჭდილმა მოთხრობამ „მოძღვარმა" დიდი გავლენა იქონია საზოგადოებაზე, ამ მოთხრობის დაწერის საგანი მას ერთმა ქართველმა პატრმა მისცა, თვით ჩემს თვალწინ. ამ პატრმა ილაპარაკა პოლშის ერის ისტორიაზე და, სხვათა შორის, ერთ მღვდელზე, რომლის მსგავსი სურათები პრიშევსკისაც აქვს აწერილიო, ამას დაუგდო ალ. ყაზბეგმა ყური და აქედამ ჩაენერგა საგანი „მოძღვრის" დაწერისა, ეს თვით ალ. ყაზბეგმა აღიარა აშკარად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ყაზბეგი ყოველ ქართულ გამოცემის საქმე დიდის სიამოვნებით ეგებებოდა, ყველაფერს თვალ-ყურს ადევნებდა, და დიდად სურდა ქართველი ერის წარმატება და განვითარების გზაზე გამოსვლა. თვითონ იყო მეტად გულკეთილი კაცი, ისეთი საცოდავი რამ იყო, რომ ჭიასაც კი ვერ დაადგამდა ფეხს, ყველა ებრალებოდა, საწყლის სიბრალული ჰქონდა. როცა კი ჰქონდა მას რამე და მაშინ რომ მასთან მათხოვარი მისულიყო და ეთხოვნა რამე, ის არაფერს დაიშურებდა, მისცემდა რაც შეეძლო. ყველა ეცოდებოდა და ღარიბს ხალხს საკმარისად აქცევდა ყურადღებას, ეს მის მოთხრობიდანაც ჩანს. პატარა მოთხრობა „ფათიც“ ხომ ცხადათ მოწმობს ამას. მოთხრობა „ფათი“ ნამდვილი ამბავია, სინამდვილიდამ არის გადაწერილ-გადახატული. მას რომ დიდხანს ეცოცხლა მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ღარიბთა ცხოვრების შესახებ ბევრს ასმე დასწერდა.



ს. ყაზბეგი, ყაზბეგიანთ სასახლე, რომელშიც ამჟამად მოთავსებულია ალ. ყაზბეგის სახელობის მუზეუმი

ალ. ყაზბეგი ახირებული თვისების კაცი იყო, რასაც იტყოდა იმას აასრულებდა კიდევაც. მან სთქვა: მელექსეობას დიდი რამ ცოდნა და ნიჭი არ უნდაო, მე დავიწყებ ლექსების წერას და ჩვენს მწერლებს დაუმტკიცებ იმას, რომ ეს ყოველივე მართალია და მეც მართალს ვიძახიო. მან დაიწყო პატარ-პატარა ლექსების წერა და მალე დიდრონი ლექსებიც მიაყოლა. უნდა ითქვას, რომ მან ისეთი ლექსების წერა დაიწყო, რაც ქართველ საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოებას ერთობ მოსწონდა. მალე მისი ლექსთა კრების წიგნიც დაიბეჭდა წარწერით „მოხევის ლექსები". ამ დაბეჭდილს წვრილ ლექსებს გარდა რამდენიმე დიდი ლექსიც დაიბეჭდა და ერთი მათ შორის ლექსი „გუთნის დედა", გაზეთ „ივერიაში" დაიბეჭდა, რომლის მშვენიერებამაც მიიზიდა მრავალთა გული.

განსვენებული ალექსანდრე ყაზბეგი არ იყო დიდი განათლების პატრონი. მას ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო და საფილოსოფოსო საგნების ბევრი არაფერი ესმოდა, იგი გატაცებული იყო მარტო რომანტიულის სკოლით და როგორც მწერალი თავის ნაწერებითაც წმინდად რომანტიკად აღმოჩნდა. მან იცოდა კარგად ფრანგული ენა და იცნობდა საფრანგეთის ზოგიერთ მწერლების ნაწერებს და ნამეტურ ვიქტორ ჰიუგოს პოეზიას, რის გავლენაც არ შეიძლება რომ მასზე არ აღვიაროთ. რუსულს მწერლობაში განსვენებულს უფრო უყვარდა ახალი დროის მწერალთა ნაწერები და ლექსებში ნეკრასოვის ლექსები. იცნობდა საკმარისად რუსულს ჟურნალ-გაზეთობას, მათს მსვლელობას და მიმართულებას ჯეროვნად ავლებდა თვალყურს.

ქართული მწერლობით გატაცებული ალექსანდრე ყაზბეგი მეტად ცუდს მდგომარეობაში ვარდებოდა, რაც რამ ჰქონდა, ხელიდამ წაუვიდა და დარჩა ცარიელი. ამ ხანებში იგი მეტად გაზარმაცდა, ხშირათ პირსაც კი აღარ იბანდა და ხელები და ფრჩხილები ყოველთვის ჭუჭყით სავსე ჰქონდა, დაუპრეელი; საცვლებ-გაურეცხელი და ყოველთვის უსუფთაობაში მყოფი, იმ ხანად იგი უკვე მიჩვეული იყო იმას, რამაც ბოლო მოუღო.

ერთხელ, ყაზბეგთან სიტყვა ჩამოვარდა ცოლის შერთვაზე, მან სთქვა:— მთელს ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ მაგას ველოდი, მაგას ვნატრულობდი, ეგ მიმაჩნდა ჩემის ჯანის და მომავალი ცხოვრების ბედნიერებად და აკი მისგან ცარიელი არ დავრჩი, რა ვუყო ჩემს ბედს, ჩემს თავს და ჩემს მომავალს ცხოვრებას! რომ იცოდე ზაქარია, თუ რანაირად მინდოდა ცოლის შერთვა, თუ რანაირად მიყვარს ყმაწვილები და როგორ მსურდა, რომ მე ჩემი საკუთარი შვილები მყოლოდა, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, ამ ბედნიერებას მოვაკლდი. ეხლა ბევრს ვდარდობ, ბევრს ვნანობ, მაგრამ რაღა დროს? ვსწყევლი მხოლოდ იმ პირებს, ვინც ჩემს ასე დარჩენას ხელს უწყობდნენ. ღმერთმა ჰკითხოს იმათ, ისინი იყვნენ ჩემი პასუხისმგებელნი. უკანასკნელად, 1889 წ. ცხოვრების ოცნებისაგან გატაცებული ალექსანდრე ყაზბეგი სხეულისაგან დიდს უძლურებაში ჩავარდა, მას დაეკარგა გონება და მალე ჭკუაზედაც შესცდა. უცნობს და მცნობს, ვისაც კი წაეკითხათ მისი მოთხრობები, ენანებოდათ ასე საბრალოდ დაღუპვა ალ. ყაზბეგისა. ქართველმა საზოგადოებამ თავს იდვა მისი დახმარება, გამართეს ხელის მოწერა, შეაგროვეს ფული და დაუწყეს გამოზოგვით ძლევა. მალე ყაზბეგი საგიჟეში მოათავსეს, იქ იგი ჩააბარეს რიგიან მომვლელებს და ვიდრე გარდაიცვლებოდა, მინამდის ქართველ საზოგადოებისგან თვეში 25 მანეთი ეძლეოდა, ხან მეტიც. საგიჟეში ყოფნის დროს თვალთ სინათლე დააკლდა და ველარავის სცნობდა.

ალ. ყაზბეგი მოესწრო თავის ნაწერების ტომებად გამოცემას და როცა ნახა თავისი ნაწერები, ძლიერ გაეხარდა, გულში მიიკრა. საგიჟეში დარჩა თითქმის ოთხი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მასთან ბევრი მისი მცნობი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობი ქართველი მეგობრები დადიოდნენ და პატივს სცემდნენ. უნდა ითქვას, რომ ქართველობამ ამ მწერლის წინაშე საკმარისი კაცთმოყვარეობა გამოიჩინა, ყოველს კუთხიდამ ყოველი ქართველი თავის შეძლებისდაგვარად ალ. ყაზბეგს დახმარებას უგზავნიდა. ალ. ყაზბეგი საგიჟეში გარდაიცვალა 1893 წ. დეკემბერს.

იგი დაასაფლავეს დიდის დიდებით, გვირგვინებით, უხვი, კარგი და ლამაზი სიტყვების და ლექსების წარმოთქმით, მისი გვამი მთელმა თბილისის ქართველობამ ვერამდის მიაცილა. იქ გამოეთხოვნენ სამუდამოდ, გამოთხოვების შემდეგ გვამი გვირგვინებით შემკულ ბალდახინით სოფ. ყაზბეგისაკენ წაასვენეს, სადაც დაასაფლავეს. დღეს მის საფლავს მშვენიერი ძეგლი ამკობს.

1895 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიო არაგვისპირელის ავტობიოგრაფიული ნაწყვეტი

დუშეთის მაზრაში, ანანურის ახლოს ს. ქარისხევი, თავის მთიანი ადგილებით, არის ჩემი სამშობლო. მამა ჩემი იყო მაშინ მღვდლად. ღარიბი მღვდელი, რომელიც ერთი მრევლიდან მეორეში ემწესება, რასაკვირველია, განსაკუთრებით შვილებს ვერ აღზრდის. მე მეექვსე შვილი ვიყავი. მაშასადამე, ჩემზე უფროსები და მეც ისე ვიზრდებოდით, როგორც იმის მრევლის შვილები და იმათთან ერთად. ექვს წლამდის დავრჩი ამ სოფელში და მახსოვს ბევრი რამ. უპირველეს ყოვლისა პაპა-მახარე. ეს ბრგე ადამიანი, სულ გათეთრებული, უცოლშვილო, მარტოდ-მარტო თავის საფუტკრეში ეხლაც თვალწინ წარმომიდგება ხოლმე. მერე რა ტკბილად მიამბობდა ხოლმე სხვადასხვა ამბებს!.. იმის საფუტკრის თაფლის უტკბესად... მახსოვს პატარა ჩვენი ბიჭი აბელა, რომელმაც შიში ჩამინერგა. ამ დროს ჩემი მსოფლმხედველობა ძალიან მარტივი იყო... ხეს, ქვას, ბალახს, პირუტყვს, თუ მეტყველს ერთის თვალსაზრისით ვუცქერდი. იმათ, როგორც მე, ტანჯვაც შეეძლოთ და სიმხიარულეც...

მამა ს. წილკანში გაამწესეს მღვდლად და ჩვენც თან წაგვიყვანა. აქ თუმცა საკუთარი ორი ოთახი გვქონდა, მაგრამ მამამ ველარ მოასწრო რისამე შიმატება... ჩქარა გარდაიცვალა და დასტოვა რვა შვილი. უმცროსი ძუძუთა იყო.

მამამ სიცოცხლეშივე მე და ჩემზე უფროსი შვილი დუშეთში აგვიყვანა სასწავლებელში და თავის დისწულის, ხაზინის ბუღალტრის, სახლში მოგვათავსა. საშინელის სიმკაცრით გვექცეოდა მამიდაშვილი და თან მშიერ-მწყურვალს გვამყოფებდა. მამა ჩქარა გარდაიცვალა და ჩვენც სხვა ვერა ვარჩიეთ რა, რომ ერთ გაზაფხულის დღეს გამოვიპარენით. უგზო-უკვლოდ ვიარეთ და საღამოთი-ღა მივედით სახლში... დედას გაუხარდა... გაუხარდათ ჩვენ და-ძმებსაც... იმავე წლის შემოდგომას დედამ თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიგვაბარა.

ვტიროდი, როცა დედას ვშორდებოდი, მეგონა, თბილისშიაც ისეთივე სისაძაგლე მომელოდა, როგორიც დუშეთში... დუშეთში რუსული ანბანით დაგვაწყებინეს და იმისი ვერა გავიგერა... თბილისში ისეთი მასწავლებელი მხვდა, რომელმაც მშობლიურად შემაყვარა სწავლა. ეს მასწავლებელი გახლდათ ვ. ბარნოვი, შემდეგში—მოსე ჯანაშვილი, ამის შემდეგ მე სწავლაში აღარ წამიბორძიკნია...

მაშას ძალიან ვუყვარდი... ძალიან ღვთისმოყვარე იყო, და მეც გადამედო ეს თვისება... საშინელი ღვთისმოყვარე ვიყავი, ვოცნებობდი ღვდლობას...

როცა კი უსამართლობას რამეს ჩაიდენდნენ ჩემ წინააღმდეგ ამხანაგები ან მასწავლებლები, მაშინვე სადმე განმარტოვებით თვალცრემლიანი ღმერთს ვევედრებოდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულობით ყოველთვის სოფელში მივდიოდით სიხარულით. წილკნიდან ურმებით გლეხებს გასასყიდათ მუდამ დაჰქონდათ რამე და ჩვენც ამ ურმებს მივსდევდით. დედამ ამავე სასწავლებელში მესამე ჩემი მომდევნო ძმაც მოიყვანა. რაკი ორნი ვიყავით პანსიონში, ეს აღარ მიიღეს შიგ; ამის გამო ნათესავთან დააყენა და გარედგან დადიოდა.

ჯერ მამის სიცოცხლეში გაჭირვებას განვიცდიდით და, აბა, იმის შემდეგ რა იქმნებოდა... გარედ მოსიარულე ძმა (ჩემზე ორი წლით უმცროსი იყო) მოვიდოდა თუ არა, მე უკვე მზად მქონდა წინა ღამეს ჩემი ნავახშმევი პური და ხორცი. ჩემ ვახშამს შუაზე ვყოფდი და იმას ვუნახავდი. აგრეთვე ვიქცეოდი სადილის დროსაც: პური და ხორცი ჯიბით ამომქონდა და იმას ვაძლევდი. საღამომდის ერთად ვიყავით და შემდეგ კი თავის ბინაზე მიდიოდა. ძალიან მიყვარდა. ლუკმა ყელში არ ჩამდიოდა, თუ ჯერ იმისთვის ჩემი კერძიდან არ გადავდებდი...

ასე, ერთი კერძით რამდენიმე წელიწადს ორნი ვიკვებებოდით... და გავათავე კიდევაც სასულიერო სასწავლებელი და სემინარიაში გამოცდის შემდეგ მიმიღეს.

ღვთისმოყვარეობაც ამ სასწავლებლამდის მომყვა. აქ კი ძირიან-ფესვიანად იმსხვრევა... პირველ კლასში 98 მოწაფე მიგვიღეს. მთელ საქართველოდან ყველა სასულიერო სასწავლებლიდან აქ მოდიოდნენ. ყველაზე მეტი ქუთაისიდან იყო.

რაღაც ჯოჯოხეთური პირობა იყო მაშინ. მასწავლებლები მხეცებს ჰგვანდნენ. ბერძნული კვირაში ცხრა-ცხრა გაკვეთილი გვქონდა... ამ ენების მასწავლებლები ყოვლად შეუწყნარებულნი იყვნენ, ნამეტნავად ბერძნულისა[1] მტკნარი გიჟი იყო. ენები კარგად ვიცოდი, მაგრამ ბერძნული ენის მასწავლებელმა გამიხშირა ორები. ერთ დღეს დავჯექი და სულ გავიმეორე გრამატიკა და ამხანაგებს ვუთხარი, თუ ხვალ ხუთი არ მივიღე, კაცი არ ვიქნები-მეთქი. მეორე დღეს კარები შემოაღო თუ არა, მაშინვე მე გამომიძახა. რაც კი მკითხა, ყველაფერი კარგად ავუხსენი... დარწმუნებული ვიყავი, თუ ხუთი არა, ოთხს მაინც დამისომს-მეთქი. თავისებურად ჩაიცინა, აითრია თავისი დამბლა ფეხი (ცალი მხარე დამბლა ჰქონდა) და ორი დამისო... მეორე დღეს კიდევ გამომიძახა... არც ერთ კითხვაზე არ ვუპასუხე... წავიდა და ოთხი დამისვა. ისე გავათავე სემინარია, რომ ბერძნული ხელში აღარ ამიღია და ოთხზე ნაკლები ნიშანი არა მქონია. კითხვა დამავიწყდა. პროგრამა ფართო იყო, მაგრამ სწავლა ისე მახინჯურად სწარმოებდა, რომ ყოველი საგანი გძულდებოდა. ღვთისმოყვარე ვიყავი, მაგრამ სამღრთო საგნების სწავლება მახინჯად იყო დაყენებული. წირვა-ლოცვა ისე უწესო და ძალდატანებული იყო, რო თანდათან საღმრთო სჯულის, მღვდლის და საყდრის ხსენება ზიზღსა მგვრიდა.

გაჩაღებული იყო სემინარიაში ყოველი საზიზღრობა: ჯაშუშობა, ფლიდობა, ძალმომრეობა, უსამართლობა, თავხედობა და სხვა მრავალი. ამას ჰქმნიდნენ უფროსები და შიგ მოწაფეები იღრჩვებოდნენ... თითქოს გარეშე ვიჯექი. ყოველივე ამას სიმწვავით განვიცდიდი, მაგრამ მაინც არ ვცურავდი შიგ... აქაც

[1] გარტინსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომიჩნდა ისევ ის პიროვნება—ვ. ბარნოვი. ეხლა აღმზრდელის სახით. მესამე კლასში ვიყავი, ის რო აღმზრდელად მოგვივიდა. მოწაფეთა ბიბლიოთეკა ჩამაბარა და ამით ესულდგმულობდი. ვმუშაობდი. ჩუმი წრეებიც გვქონდა, სადაც ქართულ და აღკრძალულ წიგნებს ვკითხულობდი.

მესამე კლასში ვიყავ, როდესაც ჩვენმა ნაამხანაგარმა იოსებ ლაღიაშვილმა რექტორი ჩვენს თვალ-წინს გამოფაშვა... არავის დაჰნანებია. ყველას საყვარელი სოსო (ლაღიაშვილი) ებრალებოდა... ჩვენი კლასი ძალიან გაათხელეს. სულ 22 კაცი-ღა დაგვტოვეს. მე ვ. ბარნოვმა გადამარჩინა...

მაინც გამორიცხვა არ ამცდა. მეექვსე კლასში ვიყავი, რომ რექტორმა პანსიონიდან გარეთ შუა ზამთარში გამომისროლა. ეს იმას ჰნიშნავდა, რომ სულ მიმენებებინა სწავლისათვის თავი. მაგრამ მოვახერხე მაინც გათავება, გაკვეთილები ვიშოვე. თანაც სემინარიიდან თვეში ექვსი მანეთის ძლევა დამიწყეს. არ ვიცი კი რად... უთუოდ იგრძნო თავისი უსამართლობა. ვიდრე ამ ექვს მანეთს დამიწყებდნენ ძლევას, ხუთჯერ მომიგზავნა რექტორმა ხან ამხანაგები, ხან მასწავლებელი, რომ ბოდიში მომეხადნა და ისევ უკან მიღებას მპირდებოდა, მაგრამ ერთსა და იმავე პასუხს ვაძლევდი: „მითხრას, რა დავაშავე და მაშინ მოვიხდი ბოდიშს. ნუ თუ დანაშაულად მითვლის, რომ მე ამხანაგების დავალებით მოწიწებით წარვდექ წინ და საქმის გარემოება განვუმარტე...“

დიდი ვაება განვიცადე, როცა სემინარია გავათავე და ცხოვრების წინ დავდექ... არაფრისთვის მომზადებული... თითქოს მღვდლად უნდა წავსულიყავი მაგრამ როგორ, როდესაც სულიერად შიშველი მყვეს, მამის გადმონაცემიც კი წამიშალეს და ეხლა ღვდლად... შინაური გარემოება კი მიკარნახებდა ანაფორას... არას დროს...

რა ღვდელი უნდა ვყოფილიყავი, როდესაც ნატამალი რწმენისა აღარ დამრჩენიყო რა. არა, ეს უსინდისობა იქნებოდა ჩემის მხრივ. ისევ სიკვდილი მერჩივნა, ვიდრე ასეთი საზიზღრობა ჩამედინა. მეტყუებინა სხვები და ჩემი თავი. თუმცა შინაური გარემოება მიკარნახებდა, რომ უეჭველად ღვდლობა მეკისრნა.

სწავლის გაგრძელება მსურდა. ვგრძნობდი, ცხოვრებისთვის სრულებით მოუმზადებელი ვიყავი.

გაუბედავი, ბავშობიდანვე მოკრძალებული და მორიდებული რას გავხდებოდი?! ვიფიქრე, ვიშოვი რაიმე სამსახურს, ცოტაოდენ ფულს შევაგროვებ და შემდეგ კი გავუდგები გზას... ამავე ჩემმა თვისებამ ვერა მაშოვნინა რა... მასწავლებლობა მინდოდა სამრევლო სკოლაში მაინც, მაგრამ ვერას გავხდი... ჩემზე იქმნება უფრო ნაკლებად მომზადებულებმა მიიღეს... მე კი გარეშე დავრჩი... სათავად-აზნაურო სკოლაში აღმზრდელის ადგილი იყო. იქ მივმართე, მაგრამ იქაც უარი მითხრეს. მიიღეს ჩემი ამხანაგი... იმან ჩემთან ერთად გაათავა და ნიშნებით მე უკეთეს მოწაფედ ვითვლებოდი... იმან ჩემს შემდეგ ითხოვა. წერილიც მიეტანა ბიძისაგან და მიიღეს... ბოლოს ძლივას ერთი ჩემი ამხანაგის წყალობით რკინის გზის სამმართველოს კონტორაში პატარა მოხელის* თანამ-

* საპასპორტო ნაწილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებობა მომცეს. ისიც დროებით... ვმუშაობდი და ვხედავდი, რომ უეჭველად როგორმე მოვშორებულიყავი ამ ჰაერს. რკინის გზის მოხელეთა ცხოვრება სემინარიის ცხოვრებაზე უარესი ჭაობი აღმოჩნდა... უნდა მოვშორებულიყავი, მაგრამ როგორ?..

სწორედ იმ დროს შემხვდა ჩემი ამხანაგი, რომელმაც საფრანგეთი და თითქმის მთელი ევროპაც შემოიარა. იმან ისე გამიადვილა მგზავრობა, რომ მალე გადავწყვიტე გამგზავრება. ვარშავა ვარჩიე, რადგანაც იქ სემინარიელებს იღებდნენ ** და იქ კიდევ ნაცნობიცა მყვანდა სემინარიელივე—გ. მრევლიშვილი. გზის ფული, როგორც იყო, მოვახერხე და 1890 წ. ღვინობისთვის გასულს უკვე გემი ოდესისკენ მიმაქანებდა. ზღვა... ეს რაღაც ოცნება იყო ჩემთვის... დღე და ღამ გემის ბაქანს არ ვშორდებოდი. საშინელი ღელვა იყო. ბაქანზე ადამიანის მგზავსი არავინ მოჰსჩანდა. ვიდექ მარტოკა მოაჯირზე მაგრად ხელჩაჭერილი და გავყურებდი აგორებულ ტალღებს და ვისმენდი ჯოჯოხეთურ ღრიალს... ამ დროს ვიღამაც კისერში ხელი ჩამავლო და ყურში ჩამყვირა: „გაჰგიჟდი, თუ რა არისო“... მივიხედე და დავინახე: კაპიტანი სასტიკად მეწეოდა. ძალით შემიყვანა თავის ოთახში და დამჭყივლა: „ეხლავე უბრძანებ მეზღვაურებს და ზღვაში გადაგაგდებო...“—უკაცრავად, არ ვიცოდი, თუ ბაქანზე დგომა აკრძალულია, თორემ არ გავიდოდი...

— სულელო, რა აკრძალვა გინდა... თითონ ბუნება გიკრძალავს გარეთ გამოსვლას და შენ რაღაც არცოდნას მეუბნები...

— თქვენო კეთილშობილებავ, ბუნება პირიქით ნებას მაძლევს... მეუბნება: მო, მნახე, რა ძლიერი ვარ შენთან შედარებით და მეც ვეახელ...

— საიდან მოდიხარ?..—თვალებ გაშტერებით შემეკითხა კაპიტანი.

— თბილისიდან... პირველად მიხდება ზღვით მგზავრობა და მინდა ზღვის ყოველი ცვლილება ვნახო ..

— პირველად? გაკვირვებით დამეკითხა და თვალები გაუგანიერდა... დიდი მეზღვაური გამოხვალ, თუ კი ამ ხელობას დაიწყებ... პირველად და შენზე სრულებით არ მოქმედობს?...

— რას მიბრძანებთ მაგას!.. მთლად ჩემი გონება წარიტაცა ზღვამ და თქვენ მეუბნებით ზღვა არ მოქმედობსო?!..

— ჰა... ჰაჰჰა—არაა..,—კინაღამ დაიხრჩო ხარხარით კაპიტანი.—მაგას კი არ გეუბნები... არც გული გერევა, არც თავბრუ გესხმის?.

— პირიქით, ასე ჯანმრთელად არასდროს არ მიგრძვნია თავი და ასეთი მადა არასდროს არ მქონია. მართლაც ჭამად გადვიქეცი.

— მერე ეგ გაწუხებს?.

— როგორ არ მაწუხებს... ოთხი დღის საგზალი უკვე გავათავე... ძალზე მშიან...

კიდევ ხარხარი... წამს ხელი წამავლო და წავბარბაცდით... ბარბაცით ჩამიყვანა პირველი კლასის სასადილოში, სადილის დრო იყო. სასადილოში არავინ იყო. ჰკითხა, რატომ არ სადილობენო, უპასუხეს: ზარი დავრეკეთ, მაგრამ არავინ მოდისო... ღმერთი ასადილებსო.

** საბეითლო ინსტიტუტში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— როგორ თუ ღმერთი...

— აი წავიდეთ და თითონვე შენ ჰნახავ...

გავიარეთ კაიუტების გვერდით და... რა ვნახე!.. მომაკვდავებივით უსირცხვილოდ ქალი, თუ კაცი ერთმანეთს არწყევდნენ... კვნესა... გმინვა, წყევლა... ერთმანეთში ირეოდა.

— ბატონო კაპიტანო, წავიდეთ აქედან... ეს განაზებული ხალხია... პირველ-მეორე კლასით მოგზაურობენ... ეტყობათ, ბევრი ცოდვები აქვთ, რომ ამისთანა ბუხების სიდიადე ასე მოქმედობს...

— ხაა... ხაა... ხაა...—კიდევ გადიხარხარა კაპიტანმა.—გგონია, მესამე კლასში უკეთესი სურათია...

— დარწმუნებული ვარ, კაპიტანო... ჩამკიდა მკლავში ხელი და ბარბაცით ავედით... გემი საშინლად ირყეოდა... ამისთვის ძნელი იყო სიარული. ორ სართულიან ტახტებზე ისეთივე სურათი იყო. ჩემი ტახტი მოვნახე და რა ვნახე... პორუჩიკი მ—ძე, რომელიც ბათუმში ჩემთან ერთად გემში ჩაჯდა და რაკი გაიგო, რომ მე მესამე კლასით ვმოგზაურობ, აღარ მჩვენებია, ჩემ ადგილზე იწვა. გავიკვირვე და შევეკითხე,—თუ რამ აიძულა აქ მოსვლა... ძლივას მიპასუხა: მითხრეს, მესამე კლასში ნაკლებ ირყევა გემი. მეც აქით გამოვეშურე. რაკი ტახტები გაჭედილი იყო, ვეძებდი თავისუფალ ადგილს და ეს ადგილი ვიპოვე. მითხრეს: დაჭერილიაო... ბარგიც მაჩვენეს თავით... მაგრამ არ შემეძლო დროებით მაინც არ მივწოლილიყავიო...

— ეს ჩემი ადგილია, თუ აქ უკეთ ჰგრძნობ, გეთაყვა, ნუ მომერიდები... გაუხარდა. ეგონა ეხლავე ავაგდებდი და...

— გეთაყვა,—შემომეევედრა,—აი ჩემი ბილეთი... შენ ჩემ მაგივრად იქ იყავიო. წამს ავენთე. გამოწვდილი ბილეთი მინდოდა წამეგლიჯა ხელიდგან და ძირს მეტყორცნა, მაგრამ რა შევატყე შეკრთომა და საშინელი ტანის კანკალი, ალერსით ვუთხარ: ნურას იფიქრებ, იწექ აქ და ბილეთიც გამოვართვი, ჩემი კი იმას გარდავეცი... მხოლოდ ამ ჩემ ბარგს მოუარე, არავინ წაიღოს. მე კი იქ შენსას მოვუვლი.

ტყუილი გაცვლა იყო მ—ძის მხრივ, რადგანაც თანაბრივ არყევდა ღელვა სამივე კლასს, რადგანაც ტალღები გვერდიდგან მოდიოდა... ცხვირიდგან, ან კუდიდგან რომ ყოფილიყო ტალღები, მართლაც დიდი განსხვავება იქნებოდა. მესამე კლასი მოთავსებული იყო სწორედ გემის შუა გულში...

— აბა ეხლა კი ვისადილოთო, მითხრა კაპიტანმა და ისევ უკან დამაბრუნა სასადილოსკენ... ეხლა ხომ დარწმუნდი, რომ მესამე კლასის მგზავრებსაც ისეთივე ნერვები აქვთ.

— დავრწმუნდი, მაგრამ იმაშიაც დავრწმუნდი, რომ გაჭირების დროს მესამე კლასის მგზავრი უფრო მაღლა სდგას, ვიდრე პირველი და მეორისა...

— როგორ...

— ხომ ნახეთ, რო ველაპარაკებოდი... იმას ჩემი ადგილი ეჭირა. იქიდგან არის გადასული... უეჭველია, იმისთანეები ბევრი იქნებიან... ხომ ნახეთ, ტახტის გარეთ ბევრი იატაკზე ეყარა... ესენი გადმოყრილები არიან ტახტებიდგან... ტახტებზე სამხედროები გორაობდნენ. ისინი სულ აქიდგან იქნებიან გადასულები, როგორც ჩემი ნაცნობი სამხედრო ჩემ ადგილზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეჰ, ჩემო მეგობარო,—ნაღვლიანად წარმოსთქვა კაპიტანმა,—სამხედროებს ვერას მოვთხოვთ... სჯობს ვისადილოთ,—დაუმატა კაპიტანმა... და უბრძანა მოეტანათ სადილი.

სად ვნახავდი ამისთანა სადილს!. რა მოუნდებოდა სულსა და გულს, რომ იქ არ მოეტანათ!.. ირყეოდა გემი, მაგრამ ისე მოჰქონდათ, რომ არც ჰღვრიდნენ, და არც ყრიდნენ. ჩვენც ისე ვჭამდით. ბულიონი ღრმა ჯამებით ნახევრად ისე მშვენივრად მოიტანეს, რომ ერთი წვეთიც არ დაქცეულა. ჩვენც ისე დავლიეთ, რო არც ერთი წვეთი არ დაგვიგდია...

შემდეგ ოდესა... გზა... ვარშავა...

პირველმა მგზავრობამ უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება მომცა, ვიდრე სემინარიაში ექვსი წლის სწავლამ.

თ. სახოკიამ პირნათლად შეასრულა თავისი დანაპირები. პირველ თვეებში მომაწოდა თავისი წვლილი, არც შემდეგში მტოვებდა უყურადღებოდ. ვარშავაში რო მოველი, სულ ერთი თუმანი მქონდა ჯიბეში, ისაც მ—ძემ გამომართვა... დავრჩი სულ უფულოდ. აქ მრეველიშვილი დამეხმარა. მიშოვა ისეთი ბინა, სადაც წინდაწინვე არ უნდოდა გადახდა, ნდობაზე იყო დამყარებული...

ვარშავაშიაც სწავლამ კი არა, დაკვირვებამ გააფართოვა აზროვნება. სამშობლოს სიყვარული ვარშავაში სიგიჟემდის მიმივიდა... იქ შევქმენით ერთგვარი წრე ქართველებს შორის. შევიმუშავეთ „ლიგა საქართველოს თავისუფლებისა“ და შევუდექით ამის გავრცელებას. და სწორედ ამ დროს ერთი ჩვენი წრის წევრის უტაქტო მოქმედების წყალობით ჩვენ ყველანი ციხეში ამოგვამწყვდიეს. ზედ გაკრული ტუსაღების მოვალეობის ათი მუხლი მეჩხირებოდა თვალებში, ამ მცნებაში პიროვნება ნომრად იყო გარდაქცეული... მაშინ ბევრი ხელ-ნაწერი წაიღეს. აუარებელი ჩონჩხები მქონდა. ყველა დამეკარგა, 1894 წელმა ჩანთქა 1886 წლიდან განხრახული და ჩონჩხად ჩამოსხმული მოთხრობები...

წერა დავიწყე ადრე. მაგრამ მოკრძალე ვიყავი და ვერ ვამჟღავნებდი. 1889 წ. ერთ ჩემ ნაცნობს მივეცი და ვსთხოვე მიეტანა რედაქციაში და თუ სცნობდნენ ღირსად, დაებეჭდათ. ფსევდონიმიც მხოლოდ იმისათვის გამოვიგონე, რომ ვინაობის გამომჟღავნება არ მინდოდა. მარტო ჯეჯილში დაიბეჭდა თითქმის ერთი წლის შემდეგ „მოგონება“. ეს უკვე 1890 წ. ის ორი კი დაიკარგა... მქონდა კიდევ რამდენიმე ეტიუდი 1889 წ. დაწერილი და სხვისავე ხელით გადავეცი..; დაიბეჭდა მხოლოდ „ესაა ჩვენი ცხოვრება?“... „ჩემო შვინდავ“... „ჯეჯილმა“ უკან დამიბრუნა, როგორც უვარგისი. როგორც უვარგისი, რო გადაეგდოთ, ისიც დამეკარგებოდა, რადგანაც შავი არას დროს არ მქონია... ჩემი გვარის გამომჟღავნება არ მინდოდა და ისე გულუბრყვილო ვიყავი, თითქოს მუდმივ ასე დარჩებოდა... ძალიან მეწყინა, როდესაც ერთ ადგილას ჩემი გვარი არაგვისპირელს დაუკავშირეს. ვჯავრობდი იმათზე, ვისაც გული ვანდე და იმათი ხელით ვგზავნიდი ნაწერებს რედაქციაში...

ველარ ვათავებ*...

---

* შიო არაგვისპირელის ავტობიოგრაფიული ნაწყვეტი, რომელიც ავტორს ბოლომდე არ მიუყვანია, დაწერილი ყოფილა პოეტ კოტე მაყაშვილის დავალებით, რომელიც 1909—1915 წლებში ქართულ სიტყვაკაზმულ საზოგადოებას ხელმძღვანელობდა, შესაძლოა, ამ საზოგადოების კრებულის „გრდემლის“ ერთ-ერთ ნომერში დასაბეჭდად. ავტობიოგრაფია აღმოჩნდა კ. მაყაშვილის არქივში.

რედაქცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ შერვაშიძე

ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრებიდან*

ჩვენ ვიდექით თეკლე ბატონიშვილის სახლში—არქიელის მოედანზედ. პაპას და ბებიას ოთახი იყო გრძელი და სინათლიანი. მარჯვნივ ედგათ გრძელი ტახტი, ზედ ეფინა ხალიჩა და ზემოდან მშვენიერი თეთრი ქეჩა. ეს ძალიან კარგად მახსოვს, რადგანაც მიყვარდა იმ ქეჩაზედ წამოწოლა და ხანდახან გორაობა. პაპას ედგა მეორე მხარეს უფრო პატარა ტახტი, რომელზედაც ეფინა ხალიჩა უქეჩოდ. მხოლოდ ტახტზე ეფინა პატარა ლეიბის მაგვარი, იმაზედ დაჯდებოდა ხოლმე ქართულად მოკეცილი ჩემი ძვირფასი პაპა. ტახტზედ ედგა აგრეთვე სამფეხიანი მრგვალი პატარა მაგიდა. რომელზედაც თითქმის მთელი დღეები მუშაობდა და სწერდა. ტახტი სადაც იდგა, იმ კედელში იყო თახჩა, სადაც ეწყო სულ ქვევით სუფთა ქაღალდები და ფანქრები, შუაში ახალი დაწერილები და სულ ზევით უკვე სულ დამთავრებულები, მისი ნამუშევარი.—მე მიყვარდა მასთან ყოფნა და ამიტომ ჩუმად შევიპარებოდი მის ოთახში ჩემი დედოფლებით და გრძელ ტახტზე დავჯდებოდი. ჩემი კეთილი მოხუცი შემომხედავდა და გამიღიმებდა, მეტყოდა: „კუდრაჭავ, ჩიტუნავ, რწყილსავებ თუ არ იქნები წყნარად და დამიშლი მუშაობას, იცოდე, მაშინ შენს არაფინას დაუძახებ და შენი ტიკინებით გაგაცუნცულებენ“. არაფინა იყო ლეკის ქალი. როცა რუსის ჯარმა ლეკები აიკლეს, ერთ აულში ჯარის კაცებს უპოვნიათ ხუთი წლის პატარა გოგო, დანგრეულ სახლში, ბუხრის უკან მიმალული. მისი უბედური დედმამა დაუხოცნიათ და ეს როგორლაც გადარჩენილა და ჯარის კაცებს წამოუყვანიათ ყვარელში, სადაც მამაჩემი ოჯახობით ყოფილა. მამაჩემს და პაპაჩემს რომ უნახავთ იგი, უთხოვნიათ, ჩვენ მოგვეცითო, და იმათაც მიუციათ, რათქმა უნდა ფულს მისცემდნენ ჯარის კაცებს. ამისაგან გაიგეს, რომ მისი დედმამა დაუხოცნიათ რუსებს და მხოლოდ ბებია და ბიძა სადღაც უნდა ყოფილიყვნენ, და თითონ კი ბუხარში შეძვრა და ამიტომ გადარჩა. მაშინვე მამამ და პაპამ შეატყობინეს ერთერთ აულში, და მართლაც. ბებიაც და ბიძაც ჩამოვიდნენ და უნდოდათ წაეყვანათ: მაგრამ ჩემი არაფინა არ გაჰყვა: „გიაურები ისევ დაგხოცამენო“. დედა და ერთობ ყველანი ამას ანუშკას ეძახდნენ, მაგრამ პაპა კი არაფინას ეძახდა.

მეც შემეშინდებოდა, რომ მართლა ჩემმა არაფინამ არ გამაცუნცულოს-მეთქი, ამიტომ ვიყავი წყნარად და ვთამაშობდი, მაგრამ ხანდახან ჩემი დედოფლები გამაცინებდნენ და მეც ხმამაღლა გავიცინებდი. აი, მაშინ ჩემი პაპა დამიძახებდა: „კუდრაჭავ, რა გითხარი? რათ შემაწყვეტინე ჩემი აზრი! მოდი აქეთ“. მეც გავექანებოდი, შევხტებოდი მის ტახტზედ, ზურგზედ წამოვეკიდე-

* მოგონება დაწერილია რედაქციის დავალებით. მარიამ შერვაშიძე (1866—1941) იყო ალ. ორბელიანის შვილიშვილი, ასული დავით ქობულაშვილისა, რომელსაც ალ. ორბელიანის ქალი—დარია ჰყავდა მეუღლედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ორბელიანი
(უცნობი მხატვრის აკვარელი (1840-იანი წლები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდი და როცა ხელს მომბვევდა, ხელზედ ვაკოცებდი, ჩემს კეთილ მოხუცს. საკვირველი იყო, არ უყვარდა ჩემს კეთილ პაპას ლოყაზედ კოცნა (და არც არავის კოცნიდა, თავის ორ ძმას გარდა). წამომიკიდებდა ზურგზედ, წამომიყვანდა ბებიასთან, სადაც დაიძახებდა: „ვის უნდა შაქრის, ან თაფლის გუდა". თუ დედაჩემი იყო იმ ოთახში, ის ამიყვანდა და თუ არა, ჩემი არაფინა. და თუ არავინ იყო ბებიასთან, დამაგორებდა, თავზედ ხელს წამისვამდა და მეტყოდა: „შვილო, ახლა ძალიან საშუშაო და საფიქრებელი დასაწერი მაქვს, არ შემოხვიდე, მანამ არ დაგიძახებ. მე მაშინ ასე სამის, ან ოთხის წლისა ვიყავი.—პაპას ძალიან უყვარდა თავის ძეები, ნამეტნავად უმცროსი, რომელზედაც იტყოდა: „ჩემი პატარა ვახტანგი ჩემთვის და მთელი ოჯახისათვის საამაყო არის, მისი ნიჭი დაუფასებელია, ვხარობ მისთვის, რომ მისი ცოლი კატინკაც, სწორეთ მისი შესაფერია, ორივენი განათლებულნი და ევროპულად არიან გაზრდილნი, მხოლოდ ნუ ეწყინება ჩემ ძმას დიმიტრის და მის ცოლს მარიამს, ისინიც რათქმა უნდა მოიევროპიელებენ, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ აზიური სარჩული ეტყობათ. დიმიტრი ძალიან კეთილია და მხოლოდ ღმერთმან არ აღირსა ის ნიჭი, რაც ჩემ ძმას ვახტანგს აქვს". ეს ისე მახსოვს, თითქოს ეხლაც მესმის მისი ლაპარაკი. ხშირად დედას ელაპარაკებოდა და მის დეიდაშვილებს ბიძინა ერისთავს და თამარ მელიქიშვილ-ჩოლოყაშვილისას. საკვირველი ადამიანი იყო, უზომო კეთილი და ხელგაშლილი. რაც კი შეეძლო, რათქმა უნდა, თავის ცოლშვილს არ აკლებდა, მაგრამ უფრო მომეტებული ნაწილი აძლევდა გაჭირვებულებს. მას ჰქონდა თეკლე ბატონიშვილისაგან პენსია, და როცა კი აიღებდა, სამ მანეთს ცალკე უბეში ჩაიდებდა და დანარჩენს, იცოდა სადაც იყვნენ ღარიბი ოჯახები, იმათ მიუტანდა და როგორც გასწვდებოდა, დაურიგებდა და ამასთან იმდენს გადაარჩენდა, რომ მისცემდა ივანე კერესელიძეს და უმიკაშვილს და ეტყოდა: ეს გაზეთებისა და ჟურნალებისთვისო. ეს მე გავიგე, როცა ჩემი უძვირფასესი მოხუცი გარდაიცვალა, და ჩვენი ეზო გაივსო გლახებით, რომელნიც სტიროდნენ: „ვა! ჩვენ თავს, ვიღა რას მოგვცემს, ვიღა გვანუგეშებს". მახსოვს ერთ დღეს მოვიდნენ უმიკაშვილი, კერესელიძე, ბაქრაძე და ახლად მოსული აკაკი და უთხრეს: „ალექსანდრე, (მე ვიყავი სწორეთ იმ დროს მის ოთახში რწყილივით განაბული), „ცისკარი" უნდა დავხუროთ"! პაპა შეწუხდა: „რას ლაპარაკობთ, ვფიცავ დედაჩემის თეკლე ბატონიშვილის საფლავს, რაც კი შევიძლებ მოგეხმარებით, ოღონდ ნუ დახურავთ და მაგ ოხრებს ნუ გავახარებთ"· მაშინვე შევიდა და დედას უთხრა: „დარიკო, შვილო, მომეცი ჩემი და შენიც თუ რამე ვერცხლეული, ან ნივთები გვაქვს, არ დაგიკარგავთ, გამოგიხსნით, ოღონდ ახლა დაგვეხმარეთ. დედამ მაშინვე გამოუტანა, მაგრამ ბებია კი ცოტა გაწყრა და უთხრა: „ბატონო! რათ იცი ოჯახის აკლება? თუმცა რამდენიმე წელიწადი იყავი რუსეთში და იქ გასწავლიდნენ ამას? ეს პაპას ეწყინა, მაგრამ არაფერი პასუხი არ გასცა, მხოლოდ თავი გაიქნია. დედამ გამოუტანა ყოველისფერი, რაც ითხოვა პაპამ, ამანაც იმათ მისცა: „ეს იმყოფინეთ, დააგირავეთ, ან გაყიდეთ, ოღონდ მაგ ოხრებს ნუ გავახარებთ ჩვენი უძლურებით. თუ დააგირავებთ მითხარით ვისთან, და თუ გაყიდით ამაზედაც არც მე და ნურც თქვენ ნუ შეწუხდებით. ოღონდ გავიმარჯოთ, აკაკის მიუახლოვდა და უთხრა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ივანტანგ ორბელიანი
(უცნობი მხატვრის აკვარელი 1840-იანი წლები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შვილო, შენი ნიჭი დიდად მომწონს და შენი ლექსები უმშვენიერესია; თუმცა ბევრნი, ალბათ, შურის თვალით უყურებენ და ამბობენ, მესტვიერული არისო, მაგრამ გული არ წაიხდინო შვილო, ისინი ვინც მაგას ამბობენ, არ ესმით რა არის პოეზია და ამიტომ რას როშავენ თითონაც არ იციან“.

ერთ დღეს დედა და ბებია ყაფლან ორბელიანის სახლში იყვნენ დაპატიჟებულნი, პაპა დარჩა, არ წავიდა. უცბად პაპა ავად გახდა. რადგანაც ჩვენთან ყოველთვის ფელშერი თომა შებაშოვი იყო ხოლმე, ეხლაც ჩვენთან იყო და მან მაშინვე დაალევინა რალაც წამალი, მაგრამ ვერ უშველა, პაპას ეგონა ხოლერა დაემართა და მაშინვე გაგზავნეს ექიმებთან, მოვიდა მრევლოვი, ლისიცოვი, დედა და ბებია და ვინც კი იყვნენ ყაფლანის სახლში, ერთობ შეშინებულნი ყველანი მოვიდნენ, რათქმა უნდა ბიძია დიმიტრი და ვახტანგიც, მაგრამ ბიძია ვახტანგი, პაპამ არ შემოუშვა: ჩვენ არა გვაქვს ნება, რომ ვახტანგს რამე დაემართოს, ამით ჩვენ საბრალო ქვეყანას წავართმევთ საუკეთესო შვილს, მაგრამ ბიძიამ გაიგო და მოვიდა. ხოლერა არ გამოდგა და მალე მორჩა.—ბიძია ვახტანგს ჰყავდა ორი შვილი, ვაჟი კოლა და ქალი მაშო. ორივენი მშვენივრები და გონივრები. პაპას უზომოდ უყვარდა ესენი. დიმიტრის კი ჰყვანდა ერთი ქალი ლიზა, ამაზედ იტყოდა ხოლმე: „საცოდავი ჩემი ლიზიკო!“ ბებიას ძმა ზაალ ბარათაშვილი და მისი ცოლშვილიც ხშირად იყვნენ ჩვენთან და აგრეთვე მიხეილ მელიქიშვილი თავის ცოლშვილით და დით, ესენი დიდად და დიდად უყვარდა პაპას და ამათთან იგონებდა წარსულს და ელოდა რამე კარგს მომავალში. ძალუა ეფემია მაჩაბლისას ეძახოდა: „ჩვენი კეთილი მოკუნტულ ეფემიას“, რომელიც ძალიან გვეხმარებოდა ან სავაჭროთ სადმე უნდოდათ წასვლა და მაშინ სწორეთ ეფემიას წაიყვანდნენ. მახსოვს კიდევ, როცა აპრილი მიიწურებოდა, ჩვენს ორ უშველებელ ტარანტასს გამოათრევდნენ, გარეცხავდნენ, თვლებზედ ზეთს თუ ქონს წაუსვამდნენ, შიგ მაფრაშებს ჩააწყობდნენ და შეაბამდნენ ერთში ოთხ ცხენს და მეორეში სამს. მინამ ჩავსხდებოდით, ჩვენი მოძღვარი გიორგი მელითაური გადაიხდიდა პარაკლისს ჩვენს ღვთაებასთან, მერე ჩავსხდებოდით ამგვარად: პაპა, ბებია, ჩემი ძმა გენო და ამათ შუა, წინ დედა, თომა შებაშოვი, ჩემი არაფინა, კოზლაზე ორი ბიჭი და ქუჩერი, მამა ცხენით, მეორეში ჩვენი მოსამსახურეები, გოგოები, ბიჭები ბარგი-ბარხანა და ერთი ყუთი სავსე წამლებით. ძე და გენოს და არაფინას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდათ. მე ძიხაროდა კაზრეთში წასვლა (ბორჩალო), იქ მყვანდნენ მეგობრები ორი დები დემურიშვილებისა და მესწრაფებოდა მათი ნახვა. ღამე ხან პოლკონიკლოში (ბიძია დიმიტრის სოფელი) გავჩერდებოდით და ყაზარა მოურავი მიგვიღებდა ხოლმე. იქ კარგი მოწყობილი სახლი იყო, ხან ასანხოჯალოში დავდგებოდით ბიძია ვახტანგის მამულში, იქ გიორგი მოურავი მიგვიღებდა. ხან ქოთიშში გავჩერდებოდით ბიძია ზაალ ბარათაშვილის სახლში, აქ კი თვითონ ბიძია ზაალი და მისი ცოლი ანასტასია დაგვიხდებოდნენ, ღამეს გავატარებდით და მერე წავიდოდით და სადილობისას ძლივს მივიდოდით. ხრამი იყო გასასვლელი და ხშირად წყალდიდობისას, გამოვიდოდა ხალხი და მოგვეშველებოდა გასვლაში. მეორე დღეს პაპაჩემი წავიდოდა და წაიყვანდა თომა შებაშოვს, ჩამოიკლიდა მთელს სოფელს და თუ სადმე ავადმყოფი იყო, გააშინჯვინებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წამლებს მისცემდა, მასთან რაღაცეებს მიუტანდა საჩუქრად, მოხუცებულებს, ბავშვებს აგრეთვე ბებია და დედაც მოუტანდნენ საჩუქრებს. ერთობ ყველას დიდად უყვარდათ მთელი ჩვენი ოჯახი.—მახსოვს, როცა მზე ჩავიდოდა, პაპა, ბებია, დედა და მამა წავიდოდნენ სასეირნოდ, ერთი დიდი მუხის ხე იყო ბილიკების მხარეს, სწორედ იქით წავიდოდნენ ხოლმე, რადგანაც მშვენიერ პანორამას წარმოადგენდა იქიდან მეორე მხრის გადასახედი. რათქმა უნდა, მე და ჩემი ძმა გენო, და ჩემი მეგობრებიც ჩვენთან იყვნენ. პაპა ამოიღებდა ფოჩიან კამფეტებს და გვეტყოდა: აბა, ვინც უფრო მალე მიირბენს იმ მუხის ხესთან, ცალფეხით, ასკინკილით და იტყვის: „ასკინკილა-კინკილა, ხვალ შაფათი, ზეგ კვირა“ და კვირაზედ ვინც მივა იმას ორ ფოჩიან კანფეტს მივცემო“. ჩვენც ვხტოდით, მივრბოდით, მაგრამ გენო და შერა, ჩვენი მოურავის შვილი, გვჯობნიდნენ. ნუცა კარგად მირბოდა, მაგრამ ციცა, რომელიც ცოტა კოჭლი იყო და მეც ყველაზედ პატარა, ვერ ვასწრებდით, მაგრამ მაინც მივიღებდით თითო ფოჩიან კანფეტს და გვეგონა საუკეთესო ტკბილი იყო.

პაპა შეჰკრებავდა ხალხს და უამბობდა საქართველოს წარსულს, მოელოდა და მაინც მოელოდა საუკეთესო დღეებს. დედას ეტყოდა ხოლმე: „დარიკო, შვილო, მე ვიცი ვერ მოვესწრები მაგ ბედნიერებას,—მაგრამ ვინც მოესწრება ჩემი ცოდვა ჰქონდეს თუ ჩემს საფლავში არ ჩამომძახეთ ეს ბედნიერი დღე, მაშინ ჩემი ძვლები შეტოკდებიან და გაიხარებენ. ეს მე და ერთმა ჩემმა მეგობარმა ქალმა ვიცოდით და როცა საქართველოს ელირსა განთავისუფლება ჩაველით სიონის ტაძარში და ორივემ ჩავძახეთ: ძვირფასო, უძვირფასესო! გაიხარე, ჩვენი სამშობლო თავისუფალია.

მახსოვს, ბიძია ვახტანგი რომ მოვიდოდა ჩვენთან და პაპას დაუწყებდა მუსაიფს, მეც მაშინვე მათ გვერდით გავჩნდებოდი, და პაპა იტყოდა: „მიკვირს, ეს კუდრაჭა რომ სულ ჩემს ფეხებს ედება და სულ ჩემთან არის, ნუ თუ არ მოსწყინდა ჩემთან ყოფნა?“ მეც მოვეხვეოდი და ვეტყოდი, სულაც არა, ჩემო პაპა. ბიძია ვახტანგს ვკითხავდი, როგორ ბრძანდება ძალუა კატინკა, რომელიც სასოებით მიყვარდა, აგრეთვე მათი ორი შვილი მაშო და კოლა. ბიძია მიპასუხებდა ღიმილით: „ძალუაშენი, მაშო და კოლა დაღონებულნი არიან უშენობით“. მეც მაშინვე ყვედრებით ვეტყოდი ჩემს ძვირფას პაპას: აი, სულ თქვენი ბრალია, რომ გამეპარებით და არ წამიყვანთ. პაპაც ლოყაზე მომიალერსებდა, კატინკასთან საქმე მქონდა, შენ რომ წამეყვანე, დამიშლიდი. მართლაც ამათ სულ რაღაც საქმე ჰქონდათ, ვგონებ საქართველოს გამოხსნას აპირებდნენ, და ხშირად რაღაცას ჩასწერდა თავის უბის წიგნში, ძალუას ნაამბობს. იგი უამბობდა საზღვარგარეთულ ამბებს და აგრეთვე ვგონებ აწყობდნენ, როგორ გამოეხსნათ საქართველო. ერთხელ ბიძია ვახტანგი მოვიდა და უამბო პაპას: „იცი ალექსანდრე, ჩვენმა ბიძაშვილმა ირაკლიმ რა ქნა?“ პაპაც გაკვირვებით შეეკითხა, რა მოახდინა? ბორჯომში რომ წავიდა რამდენიმე დღით, და იქ ჩვენი ნამესტნიკის ძმა დიდი მთავარი ნიკოლოზი ჩამოსულა და როცა სასეირნოდ გამოსულა, ერთობ ყველანი თავს უკრავდნენ და ისიც დიდად ამაყად სამხედრო სალამს უხდიდა. თურმე ირაკლი თავის წკეპლით დასეირნობდა. ამ დროს, დიდი მთავარი მოდის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლის გაუვლია და თავი არ დაუკრავს, ეს ამას გაჭკვირვებია და უკადრისნია, მაშინვე უკითხავს, ვინ არის ეს თავხედი ყმაწვილიო და რომ გაუგია, მაშინვე უთქვამს, შეაყენეთო. შეუყენებიათ და ეს დიდი მთავარი, რუს ხელმწიფის ძმა, მისულა, მხედრული სალამი მიუცია და გასცნობია. — ერთი თუ ორი საათის შემდეგ დიდი მთავარი ირაკლისთან მისულა, და მეორე საათში ირაკლის გადაუხდია მისთვის და მისულა, მხოლოდ არ შესულა, შეუგზავნია სადარბაზო ქალალდი. ამას გამოუწვევია ბევრი მითქმა-მოთქმა, დაძრახვა ირაკლისა, მაგრამ პაპას და ბიძია ვახტანგს ეს მოეწონათ. ბიძია დიმიტრიც მოვიდა, ამასაც ეტყობოდა სიამოვნება ამ ამბავზედ, პაპა დაეკითხა: ძმაო დიმიტრი, ერთი მითხარი შენმა რუსინკა ცოლმა მარი ივანოვნამ რაღა თქვა? ბიძიამ შუბლი შეიკრა და უპასუხა: „დედიჩემის თეკლე ბატონიშვილის საფლავს ვფიცავ, ალექსანდრე, იცოდე ძალიან მწყენია, რომ ჩემ ცოლს რუსინკას ეძახი". მართალია, არ იამება ეს ამბავი, რადგანაც ეშინიან ცუდი არა დაემართოს რა ჩვენს ბიძაშვილს ირაკლის. პაპამ უპასუხა: „ჩემო ძმაო დიმიტრი, ნუ გწყინს ის, რაც მართალია, და ნუ გეშინიანთ ირაკლისათვის; ამის გულისთვის თუ რამე დაემართება, მაშინ უნდა მოვიგონოთ ჩვენი დიდი შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი".

ახლა რას იტყვი, ჩემო ძვირფასო მოხუცო, რომ ჰხედავდე ჩვენ სამშობლოს, თავისუფალს და აყვავებულს, ვიცი გაიხარებდი. დე მეც შენთან ვიხარო, ჩემო კეთილო და ტკბილო მოხუცო პაპავ! ამაზედ მეტი არაფერი შემიძლიან დავწერო, რადგანაც აღარც მახსოვს და თუ მახსოვს უკვე აქ ჩავწერე. — ერთხელ შევეკითხე პაპას, რათ მეძახი კუდრაჭას, მე ხომ მარიამი? ვარ მაშინ მომიალერსა და ღიმილით მითხრა: „შვილო მარიამი რომ დაგიძახო, ცოტა არა, შენთვის გადიდებულია. მაშა, — შაქრის და ცეცხლის მაშა მაგონდება. ჩიტუნა — ძალუა კატინკამ დაგარქო, კუდრაჭა მე დაგარქვი, რადგანაც მართლაც დიდი უდიდესი კუდრაჭა ხარ. მარო მინდოდა დამეძახნა, მაგრამ ჩვენი გამდელი გუქა ამიბუნტდა, რადგანაც დარიკოს პატარა მოახლეს ჰქვიან მარო, გუქამ ბრძანა, არ შეიძლებაო და ამიტომ კუდრაჭას — გეძახი". პაპა, რატომ მაკოს არ მეძახი? ოხო! ღმერთო ჩემო, რათ უთხარი მე ეს, ხელები აუკანკალდა, ხელი თვალებზედ მიიფარა, იმიტომ რომ დეიდას ერქო მაიკო? მაგრამ პაპას უფრო აუკანკალდა ხელები, და მაშინ მე ავცოცდი მის მუხლებზე და ორივე ხელზედ ვაკოცე, და დავეკითხე: პაპა გაწყენინე? მაპატიე ჩემო პაპა! „არა შვილო არ მაწყენინე კი, მაგრამ ჩემი გულის იარა გამეხსნა. მე მყავდა შენი დეიდა მაიკო, იგი, ჩემმა ცოდვამ იმოქმედა და ღმერთი გამიწყრა და წამართო. ჩემის თხოვნით შენ მისი სახელი დაგარქვეს, მაგრამ მე არ შემიძლიან ეგ დაგიძახო".

მაშინ მოვეხვიე ყელზედ და ვაკოცე ამ სიტყვებით: ჩემო პაპა, რაც გინდა დამიძახე, გინდ კუდრაჭა, გინდ ქალაბიჭა, რაც გინდა ჩემო პაპავ, ჩიტუნა არ მეწყინება. მაშინ თითქოს გაიღიმა და თითონაც მაკოცა შუბლში, განა ეს მე ოდესმე დამავიწყდება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკად. კორნელი კეკელიძე

მცხეთის დოკუმენტი XI საუკუნისა და მისი ცნობები ქართული მწერლობის შესახებ

მხედველობაში გვაქვს მელქისედეკ კათოლიკოზის ანდერძი, რომლის პირველს ნაწილში ჩამოთვლილია, თუ რა „მოუპოვა“ მელქისედეკმა მცხეთის ტაძარს, ხოლო მეორეში—რა გააკეთა მან თავის სულის „საოხად“. დოკუმენტი, რომელსაც ჩვენამდე ორი პირით (XII და XVII საუკ.) მოუღწევია, საყურადღებოა სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინისათვის; აქ საინტერესო მასალას ვპოულობთ საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიისათვის, ქართული დიპლომატიკის, ხელოვნებისა და ეკონომიური ისტორიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, განსაკუთრებით კი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. ჩვენ ამჟამად ის უკანასკნელი მიდგომით გვაინტერესებს. რამდენადაც დიდია მნიშვნელობა დოკუმენტისა, იმდენად არადამაკმაყოფილებელია მისი შესწავლის საქმე; ჩვენ ისიც კი არ ვიცით ჯერ კიდევ, რომელ წელსაა ის დაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ მას თითქოს თარიღიც კი აქვს დართული. არ შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დოკუმენტისათვის ყურადღება არავის მიექციოს, პირიქით, ის ოთხჯერაა გამოცემული (პროფ. დ. ჩუბინაშვილი, თ. ჟორდანია—ორჯერ, პროფ. ნ. ბერძენიშვილი [1]).

დოკუმენტის ამათუიმ მიზნითა და თვალსაზრისით გამოყენება გულისხმობს წინასწარ შემდეგი საკითხების გარკვევას:

1. დოკუმენტი მთლიანად ერთს დროსაა დაწერილი, თუ ის ორი, სხვადასხვა დროს დაწერილი, ნაწილისაგან შესდგება?
2. როდისაა ის დაწერილი?
3. ვინაა მისი დამამტკიცებელი კათოლიკოზი?

I

პირველს საკითხს ვსვამთ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ აკად. მ. ბ რ ო ს ე მ გამოთქვა შესაფერისი მოსაზრება, რომელიც შემდეგ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ ასე დაასაბუთა: პირველი მთავარი ნაწილი დოკუმენტისა, სადაც ჩამოთვლილია—თუ რა მოუპოვა მელქისედეკმა მცხეთის ტაძარს, დაწერილია 1020 წელს, ვინაიდან ამ ნაწილის ბოლოს ძეგლში ქორონიკონი **სმ** ზის, ხოლო მეორე ნაწილი მისი, სადაც მელქისედეკი მოგვითხრობს—თუ რა გააკეთა მან თავისი სულის „საოხად“, შედგენილია არაუადრეს 1031 წლისა, ვინაიდან ბაგრატ IV კურო-

---

[1] მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართ. მუზეუმის მ ო ა მ ბ ე VI; ბიბლიოგრაფიისათვის მკითხველს ამ შრომაზე მიუთითებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალატად იწოდებაო. არსებითად ასევე ფიქრობს ნ. ბერძენიშვილიც, მისი აზრით, პირველი ნაწილი დოკუმენტისა შედგენილია 1029 წელს, მეორე კი 1031—1033 წლებში.

უდავოა, რომ დოკუმენტის ნაწილები სხვადასხვა დროსაა დაწერილი. ამისი დამამტკიცებელია ის გარემოება, რომ ქორონიკონის აღმნიშვნელი ასოები ზის არა მთლიანი დოკუმენტის ბოლოში, არამედ პირველი ნაწილის დასასრულს, მაგრამ დათარიღება მათი ისე, როგორც ეს ზემოთ ვაჩვენეთ, გადასინჯვას თხოულობს.

II

როდისაა დაწერილი დოკუმენტი? ის მკვლევარნი, რომელნიც ძეგლს მთლიანად ერთსადაიმავე დროს დაწერილად სთვლიდნენ, შემდეგნაირად ათარიღებდნენ მას. მართალია, პირველი ნაწილის ბოლოს ზის ქორონიკონი **სმ** (1020), მაგრამ არ შეიძლებოდა ამ თარიღის შეუსაბამობა მკვლევარს არ სცემოდა თვალში. მართლაც, როგორ შეიძლებოდა 1020 წელს დაწერილიყო ძეგლი, რომელშიაც მოხსენებულნი არიან ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ არგვიროსი, რომელიც 1028 წლის ბოლოს გამეფდა, ბაგრატ IV კუროპალატი, რომელიც გამეფდა 1027 წელს, ხოლო კუროპალატობა 1031 წელს მიიღო? ამ შეუსაბამობამ არევ-დარევა გამოიწვია მკვლევართა შორის. პროფ. დ. ჩუბინაშვილი ანდერძის დამამტკიცებელის შემოკლებით დაწერილ სახელს **ქპ** კითხულობდა როგორც ქ [ორონიკონსა] **პ** (80), და, რადგანაც მარტო ასო **პ**, როგორც რიცხვი, ამ შემთხვევაში აბსურდადა ჩანდა, ავსებდა მას ასო **ს**—ნით; ამ გზით მან მიიღო ქორონიკონი **სპ**—280 (1060 წ.). როგორც თარიღი ძეგლის დაწერისა. დიმ. ბაქრაძე, თუმცა არავითარ საბუთს ამისათვის არ უჩვენებდა, რატომღაც **სმ**-ს კითხულობდა როგორ **სდ** და ძეგლის თარიღად 1040 წელს სთვლიდა. თ. ჟორდანია თავდაპირველად ღებულობდა **სმ** ქორონიკონს, 1020 წ., მერე დ. ბაქრაძის თარიღზე გადავიდა. პროფ. ი. ჯავახიშვილს დ. ბაქრაძის 1040 წელი უფრო შესაბამისად მიაჩნდა, მაგრამ, რადგანაც ის დასაბუთებული არ იყო, იმაზე არ ჩერდებოდა და ძეგლს 1028 წლის შემდგომი დროით ათარიღებდა. ის მკვლევარნი, რომელნიც ძეგლში ორს, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ ნაწილს ხედავდნენ, **სმ** ქორონიკონს (1020 წ.) პირველი ნაწილის თარიღად სთვლიდნენ; ასე იქცეოდნენ, მაგალითად, ს. კაკაბაძე და მ. ბროსე, თუმცა უკანასკნელი, იღებდა რა მხედველობაში, რომ ამ ნაწილში რომანოზ იმპერატორია მოხსენებული, კითხულობდა: ქორონიკონს ერთეულის აღმნიშვნელი ასო ხომ არ აკლიაო? ეს უკანასკნელი დაეჭვება გაიზიარა ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც „ერთადერთი გამოსავალი ამ თარიღის გადასარჩენად“ [1] პოვა იმაში, რომ **სმ**-ს ასო **თ** მიუმატა; ამ გზით მან პირველი ნაწილის, ან, მისი ტერმინოლოგიით, „დაწერილის“, თარიღად **სმთ** ქორონიკონი, ესე იგი—1029 წელი მიიღო. მეორე ნაწილი, ს. კაკაბაძისა და ნ. ბერძენიშვილის აზრით, დაწერილია არაუადრეს 1031 წლისა, ვინაიდან აქ აღნიშნულია ბაგრატ IV-ის კურაპალატობა, და არაუგვიანეს: ს. კაკაბაძით 1049

[1] გვ. 250.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლისა, როდესაც, მისი სიტყვით, გარდაიცვალა კახთა მეფე კვირიკე დიდი, დამამტკიცებელი ამ ნაწილისა, ნ. ბერძენიშვილით კი—1033 წლისა, როდესაც კათოლიკოსად უკვე იოანე ჩანს.

როდესაც ლაპარაკია პირველი ნაწილის დათარიღების შესახებ, საკითხი ეჭვმიუტანლად სჲ ქორონიკონის, ესე იგი—1040 წლის, სასარგებლოდ გადაწყდება, თუ მხედველობაში ერთს პალეოგრაფიულ მოვლენას მივიღებთ. სწორედ მეთერთმეტე საუკუნეში ჩვენში ყოფილა ისეთი კალიგრაფიული შკოლა, რომელიც ნუსხა-ხუცურ დამწერლობაში მ და ჲ ასოებს თითქმის ერთიდაიმავე ნიშნით ა (თავაწეული მხედრული ა-ს მსგავსი) გამოსახავდა. მაგალითად, საქართველოს მუზეუმის H ფონდის № 341, რომელიც მეთერთმეტე საუკუნის დამდეგისაა, ასეთ მოვლენას, განსაკუთრებითი თვალსაჩინოებით, შემდეგს შემთხვევებში ვხედავთ: მიმართ (469,11), პატარადმდე (469,2 ბოლოდან), ანდრომაქის (470,18), მის 471,11), მას (471,22), კითხვაჲ (472,5), მოციქულთა (477,23), მსაჯულმან (478,1), მუჰლისა (478,7 ქვევიდან), მიცემად (479,9 ქვევიდან), ცხოვრებისაჲ (477,13) და სხვ. ზოგს შემთხვევაში ეს მსგავსება იქამდე მიდის, რომ ადამიანი, რომელმაც ქართული ენა კარგად არ იცის, ერთის მაგიერ მეორესა სწერს და რაღაც დამახინჯებულ სიტყვას გვაწვდის. ასე მაგალითად, ჰარვარდის (ამერიკაში) უნივერსიტეტის პროფესორს R. Blaike-ს, თბილისში ყოფნისას, ამ ხელნაწერიდან გადმოუწერია თეოდორეს, ევბოლოს და სხვათა მარტვილობა, რომელიც გამოსაცემად გადაუცია ცნობილი ორიენტალისტის P. Peeters-ისათვის. ამ გამოცემაში ვკითხულობთ: „შეჲძლებელ“, „დაგვდგაჲს“ [1], დედანში,—თვით ხელნაწერში,-კი ვკითხულობთ: „შემძლებელ“, „დაგვდგამს“ [2]. ამ პალეოგრაფიულ მოვლენას ადგილი ჰქონია, უეჭველია, მცხეთის დოკუმენტშიაც. ამ ძეგლში არ გვხვდება არც ერთი ი-ნით დაწყებული სიტყვა, სულ ერთია-ხმოვანი მოსდევს ამ ასოს თუ თანხმოვანი,—რომ იქ ი-ნის მაგიერ ჲ არ იყოს, [3] ასე რომ ჲ-ის ხმარების შემთხვევა აქ ძალიან ხშირი ყოფილა. ანდერძის ქართველი გადამწერი ჩვეულებრივს სიტყვებში, თუ დამწერლობით ვერა, აზრით ადვილად გაარჩევდა მ და ჲ ასოებს, მაგრამ ქორონიკონის აღნიშვნის შემთხვევაში უკვე ეს შეუძლებელი იქნებოდა, ასე რომ „ქორონიკონი სჲ“ მას შეეძლო წაეკითხა როგორც სმ, ამ ნიადაგზე მოხდა დოკუმენტის წარყვნა, რამაც ამდენი გაუგებრობა დაბადა სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს მოვლენა იმასაც გვითვალისწინებს, რომ ანდერძი თავდაპირველად დაწერილი იყო ნუსხახუცურით.

ამრიგად, „ანდერძის“ პირველი ნაწილი დაწერილია ქორონიკონსა სჲ-ს, ესე იგი 1040 წელს. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ადგილი აღარ ექნება იმ გაუგებრობას, რასაც წინ გვიყენებს 1020 წლით დათარიღება მისი. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ის დაწერილია მელქისედეკის მიერ არა 1050 წელს, არამედ შემდეგ. საქმე ასე უნდა წარმოვიდგინოთ. 1040 წელს მელქისედეკმა

---

[1]. Analcta Bollandiana t. 74, fasc. 1 et 2, p. 98, 2—3.

[2]. ხელნ. 341, ფ. 477, 11—12, 13—14. ამის შესახებ იხ. ჩვენი რეცენზია, მ ი მ ო მ ხ ი ლ ვ ე ლ ი I, 283.

[3]. ნ. ბერძენიშვილი, გვ. 239.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწერა ის ნაწილი ძეგლისა, სადაც ჩამოთვლილია, თუ რა „მოუპოვა“ მან მცხეთის კათედრალს, ამის შემდეგ მას დაუმზადებია თავისთვის სასაფლაო, დაუდგენია მუდმივი მწირველი იოანე, რომლის შესანახად მას გარკვეული წყარო მიუჩენია. ეს შეიძლებოდა რამდენიმე წლის შემდეგაც მომხდარიყო, მიუხედავად ამისა, ეს მეორე ნაწილი მას გადაუბამს პირველი ნაწილისათვის, როგორც უშუალო გაგრძელება მისი. რომელ წელს მოხდა ეს, ამისი თქმა ძნელია, რადგანაც ჩვენ მელქისედეკის გარდაცვალების წელიც არ ვიცით; ერთი კია, რომ არაუგვიანეს 1048 წლისა, როდესაც მელქისედეკის მომდევნო კათოლიკოსად იოანე ოქროპირი ჩანს.

III

დოკუმენტიდან ჩანს, რომ 1040 წელს, როდესაც იწერება მისი პირველი ნაწილი, მელქისედეკი მცხეთის კათედრას განაგებს, როგორც კათოლიკოზი. ერთი უდავო დოკუმენტიდან ვიცით, რომ ის კათოლიკოზია 1030 წელსაც,[1] ამავე დროს მეორე ეჭვმიუტანელი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1033 წელს კათოლიკოზად ზის იოანე.[2] რას ნიშნავს ეს, ხომ არ დააყენებს ეს გარემოება რამენაირად ეჭვის ქვეშ ზემოთმიღებულ 1040 წელს, როგორც ძეგლის დაწერის თარიღს?

აქ საჭიროა გაირკვეს ხასიათი მელქისედეკის მოღვაწეობისა მის ეპოქასთან დაკავშირებით. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, მასალების უქონლობის გამო, როდის დაჯდა კათოლიკოსად მელქისედეკი და როდის დაასრულა მან მამათმთავრობა, ერთადერთი, რაც ვიცით, შემდეგია: ის კათოლიკოზად ზის 1030 და 1040 წელს, მაგრამ ამ წლებს შორის ყოფილა ისეთი პერიოდი, როდესაც კათოლიკოზად ის კი არაა, არამედ ვილაც იოანე.

მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევარი, როდესაც მელქისედეკი მოღვაწეობს, ძალიან რთული დროა საქართველოს ცხოვრებაში. პოლიტიკურად მის მდგომარეობას ართულებს ამ დროს ბიზანტიასთან ომები და გაუგებრობანი. ქართველ-ბიზანტიელთა პოლიტიკური ურთიერთობისათვის ხელსაყრელი არც ის ამბავი იქნებოდა, რომ 1029 წელს ქართველთა ათონის მონასტრის წინამძღვარი გიორგი I ვარაზ-ვაჩე მეთაურობს იმ საიდუმლო შეთქმულებას, რომელსაც მიზნად აქვს რომანოზ არგვიროსის ტახტიდან ჩამოგდება. გართულებულია ამ დროს ძალზე ქართველთა საეკლესიო-საერთაშორისო მდგომარეობაც. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ათონის მთაზე 1028—1040 წლებში ქართველ-ბერძენ მოღვაწეთა შორის სისხლისმღვრელი კონფლიქტები ხდება ქართველთა სამონასტრო-კოლონიური მოღვაწეობის გამო, ისეთი კონფლიქტები ხდება ქარსამონასტრო-კოლონიური მოღვაწეობის გამო, ისეთი კონფლიქტები, რომელთა მოსაგვარებლად საჭირო ხდება საქართველოსა და ბიზანტიის საეკლესიო და სახელმწიფო ხელისუფლებათა საქმეში ჩარევა. ამავე დროს აღმო-

[1]. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანის, რომელიც დავით ტბელს ეკუთვნის, გადამწერის ანდერძი, ხელნ. A 16, თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, Описание рукописей I, 169-

[2]. მესტიის სახარების ანდერძი, Материалы по Археологии Кавказа X, прилож. стр. 10—11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეკლესიოთის საპატრიარქოებში მწვავედ დაისვა საკითხი საქართველოს ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის შესახებ, რასაც ყველაზე დიდი რეზონანსი, თავისთავად იგულისხმება, მსოფლიო პატრიარქის კარზე უნდა ეპოვა კონსტანტინოპოლში. რა აურზაური უნდა გამოეწვია აღმოსავლეთში, სადაც შესისხლორცებული ჰქონდათ აზრი მხოლოდ ხუთი პატრიარქის არსებობის შესახებ, იმ გარემოებას, რომ სწორედ ამ დროს საქართველოს კათოლიკოზმა, მგონი თვით მელქისედეკის პირით [1], თავის თავი პატრიარქად გამოაცხადა? ამავე დროს არც ის გარემოება იქნებოდა უმნიშვნელო, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა გაყოფის დავაში, რომელიც ამ დროს სწარმოებდა, საქართველოს ეკლესია, როგორც ცნობილია, რომის მხარეზეა, ყოველ შემთხვევაში საეკლესიო წესებისა და რიტუალის სხვაობათა შესახებ კამათში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ გართულებულ მდგომარეობაში, როდესაც მეფისა და მისი ოჯახის წევრების (ბაგრატის დედა, მარიამი) გამგზავრებაც კი საჭირო ხდება ბიზანტიაში, უფრო მეტად საჭირო იქნებოდა კონსტანტინოპოლში მუდმივად თუ არა, შედარებით ხანგრძლივად მყოფი წარმომადგენელი. ასეთი წარმომადგენლობა უნდა დაეკისრებიათ ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც ბიზანტიის როგორც პოლიტიკურს, ისე საეკლესიო სფეროში წონა და გასავალი ექნებოდა. ამ შემთხვევაში ყველაზე შესაფერისი იქნებოდა სწორედ მელქისედეკი, რომელსაც, თანამდებობრივი მდგომარეობის (კათოლიკოზი) გარდა, ამკობდა შესაფერისი განათლება და, საფიქრებელია, დიდი გვარიშვილობა (ის დაახლოებული იყო სამეფო გვართან, ბაგრატ III-ს თავის „აღმზრდელად" სთვლის). მელქისედეკს მართლაც ხშირად უხდებოდა ყოფნა ბიზანტიაში. მისი ანდერძიდანა ჩანს, რომ ის კონსტანტინოპოლშია ბასილი კეისრის დროს (გარდაიც —1025 წ.), კონსტანტინოპოლშია ის შემდეგაც, კონსტანტი კეისრის (გარდაიც. 1028 წ.) დროს, კონსტინოპოლშია ის რომანოზ არგვიროსის დროსაც (ამ კეისრებისაგან ის საჩუქრებს ღებულობს). რომანოზს ის უნდა სწვეოდა 1031 წელს, უეჭველია იმ ამალაში, რომელიც გაყვა მარიამ დედოფალს, გამგზავრებულს კონსტანტინოპოლში „ძებნად მშჯდობისა და პატივისა კურაპალატობისა ძისა თჳსისათვის და მოყვანებისათჳს ცოლისა მისთჳს" (ქართ. ცხოვრება მარიამ დედოფლ., გვ. 256). რამდენხანს რჩებოდა ის წინათ ბიზანტიაში, არ ვიცით, 1031 წლის შემდეგ კი ის იმდენად დიდხანს დარჩენილა იქ, რომ მის იქიდან დაბრუნებას, ჩანს, აღარ ფიქრობენ საქართველოში. მის საზღვარგარეთ ყოფნისას ეკლესია უთაოდ ხომ ვერ დარჩებოდა? საჭირო გამხდარა მის მაგივრად კათოლიკოზის დადგინება. ამით აიხსნება, რომ 1033 წელს კათოლიკოზად ვიღაც იოანე ჩანს. ცხადია, მოადგილის არჩევაში გადამწყვეტი ხმა თვით მელქისედეკს უნდა ჰქონოდა, ის მისი იდეებისა და წამოწყების გამგრძელებელი უნდა ყოფილიყო კათედრაზე. ამიტომ ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ ეს იოანე არის ის ოქროპირ კათოლიკოზი, რომელიც მელქისედეკის ანდერძს ამტკიცებს და რომელიც იოანე ოქროპირის სახელით მოხსენებულია ჯავახეთში ფოკათა ეკლესიის წარწერებში. ეს ოქროპირი მელქისედეკს უწოდებს „მამას" და „გამზრ-

[1]. ქართლის ცხოვრება I, 212, 218, 220,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელს". მაშასადამე, როგორც მისგან გაზრდილი და მისი მოწაფე, ყველაზე უფრო მისაღები იქნებოდა მელქისედეკისათვისაც მცხეთის კათედრაზე. საზღვარგარეთ მყოფი მელქისედეკი ითვლებოდა, როგორც ეს საეკლესიო პრაქტიკაში იყო მიღებული, „ტიტულოსან" კათოლიკოსად, გამგე კათოლიკოსად კი იოანე-ოქროპირი იყო. რამდენხანს გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა, ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ 1040 წლის მახლობლად მელქისედეკი საზღვარგარეთიდან დაბრუნებულა, ჩანს სამუდამოდ, და ისევ დაუკავებია მცხეთის კათედრა (ასეთი შემთხვევა საეკლესიო პრაქტიკაში იშვიათი არაა). ხოლო როდესაც ის გარდაიცვალა, კათოლიკოზობა დაუწყია და გაუგრძელებია იმავე იოანე-ოქროპირს. უკანასკნელს დაუმტკიცებია მელქისედეკის ანდერძი. აი შესაფერისი ადგილი ანდერძისა: „კჳრიელეჲსონ. ესე ვითა სულდიდებულსა და სულკურთხეელსა გამზრდელსა და შემოქმედსა ჩემსა და, ვიკადრო, მამასა მელქიზედეკ, ქართლისა კათალიკოზსა, დაუწერია და გაუგია თავისა სულისათჳნ, — ადიდენ ღმერთმან, ძლიერთა მეფეთა დაუმტკიცებია,—მეცა გლახაკსა, ულირსსა, რეცა სახელით კათალიკოზსა, დამიმტკიცებია". ამას მისდევს შედარებით ბუნდოვანი და წარყვნილი სიტყვები: „ქ3: მტკიცე ჲყავნ[1] ბრძანებაჲ მათი და ვინმცა აქცია ანუ შეცვალა ბრძანებაჲ მათი ქრისტეანეთაგანმან კაცმან". ეს „ქ3 ანდერძის ერთერთ ნუსხას წაუკითხავს, როგორც „ქართლისა პატრიარქსა", პროფ. დ. ჩუბინაშვილს"—ქორონიკონსა 3". ნამდვილად აქ ჩვენ გვაქვს ქარაგმით დაწერილი და შემდეგ წარყვნილი სახელი „ოქროპირ". ამას თვით ოქროპირი ადასტურებს 5—6 სტრიქონის შემდეგ, ანდერძის იმ ნაწილში, რომელიც „მწირველს იოანეს" შეეხება; აქ ოქროპირი ამბობს: ის, რაც ზემოთ იოანესთვის მელქისედეკს დაუწერია, ძლიერთა მეფეთა დაუმტკიცებია „და მ ე ც ა გ ლ ა ხ ა კ ს ა ქ რ ი ს ტ ე ს მ ი ე რ ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ს ა ო ქ რ ო პ ი რ ს ა ჩემითა კელითა დამიწერია და მათი ბრძანებული დამიმტკიცებია", ეს „მტკიცე არის უკუნისამდე იოანესთჳსო". ოქროპირს ჯერ დაუმტკიცებია ანდერძი მთლიანად, მერე „მწირველის" იოანეს თხოვნით, საგანგებოდ ის ნაწილი მისი, რომელიც ამ იოანეს შესახებ ლაპარაკობს. ზემოამოწერილი ბუნდოვანი ბოლო ანდერძისა ასე უნდა იქნეს წაკითხული:... „მეცა გლახაკსა, ულირსსა, რეცა სახელით კათალიკოზსა, დამიმტკიცებია. ოქროპირ. მტკიცე იყავნ ბრძანებაჲ მათი[2] და ნუ[3] ვინმცა აქცია ანუ შეცვალა ბრძანებაჲ მათი ქრისტეანეთაგანმან კაცმან!"[4].

IV

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი მელქისედეკს „შეუმკვია", როგორც თვითონ ამბობს, სხვათა შორის, „საღმრთოთა წიგნთა დაწერითა", ესე იგი — შეუწირავს მისთვის წიგნებიც. სიტყვა „დაწერითა" აქ არის იურიდიული

[1] მეორე ნუსხაში—იყავნ.
[2] იგულისხმება—მელქისედეკისა და მეფეების.
[3] ეს სიტყვა ჲამოტოვებულია ტექსტში.
[4] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს წაკითხვა: „ქრისტემან პირმტკიცეჲ ყავნ" (გვ. 293) ფორმულირებით დოკუმენტებისათვის უჩვეულოა და გრამატიკულად არასწორი (უნდა ყოფილიყო „პირმტკიცე" და არა „პირმტკიცეჲ").

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერმინი, ის აღნიშნავს შეწირულების წერილობით დადასტურებას და არა იმას, თითქოს ყველა ის წიგნი, რომელიც ანდერძის სიაშია აღნიშნული, მელქისედეკს თავის ხელით დაეწეროს (ეს ფიზიკურადაც შეუძლებელი იქნებოდა); ეს იქიდანაც ჩანს, რომ ერთერთი შეწირული წიგნის შესახებ მელქისედეკი ამბობს: „დედის ძმასა ჩემსა ანტონის ებოძა" ჩემთვისო, მაშასადამე, ეს წიგნი მელქისედეკის გადაწერილი ვერ იქნებოდა.

„ესე წიგნები, რომელ მე დამიწერიან, ჯუმლად არს თავი კე"; მაშასადამე, მელქისედეკს შეუწირავს სვეტიცხოვლისათვის 25 თავი წიგნი. „თავი" უნდა გავიგოთ როგორც „სახელწოდება" და არა „ცალი": მე შევწირე 25 სახელწოდების წიგნიო, ამბობს შემწირველი. „ცალებად" რომ ვიანგარიშოთ შეწირულება, მივიღებთ არა 25, არამედ 33 წიგნს. სია ამ წიგნებისა პირვანდელი სახით არ შენახულა, გადაწერის პროცესში მას გამოკლებია ორი სახელი, ვინაიდან დღეს იმაში ჩვენ გვაქვს არა 25, არამედ 23 სახელწოდება. გარდა ამისა სია წიგნებისა ისეა წარმოდგენილი, რომ ხშირად მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა ძნელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წიგნის დასახელებას თან არ ერთვის ცალების რაოდენობის აღმნიშვნელი ასო-ციფრი; თან, ერთ შემთხვევაში გაერთიანებულია ორი სახელწოდება.

ვიდრე ამ წიგნების სიას გავითვალისწინებდეთ, უნდა განვმარტოთ ერთი ტერმინი, რომელიც იმაში გვხვდება. რამდენჯერმე ამათუიმ წიგნის დასახელებას დართული აქვს სიტყვა „სათანაოჲ". ეს ისტყვა არ არის რომელიმე საგანგებო რედაქციის აღმნიშვნელი. საეკლესიო-სამონასტრო წიგნთსაცავებში ზოგი ისეთი წიგნი იყო, რომელიც მუდამ „თან" ან „ხელში" ჰქონდათ ღვთისმსახურების შესასრულებლად, ანდა საკითხავად, ესე იგი-ყოველდღიურ ხმარებაში იყო. ასეთი ხასიათის და დანიშნულების, წიგნებს გარდა, სხვა ნივთებიც იყო ხოლმე; მაგალითად, ამავე ანდერძში დასახელებულია „ჯუარი ვეცხლისაჲ სათანაოჲ", ესე იგი, ისეთი, რომელიც ყოველდღიურ ხმარებაში იყო, გასარჩევად ისეთისაგან. რომელიც, როგორც საგანგებო ღირებულების, სკევოფილაქსიაში ინახებოდა ხოლმე.

აი სია ამ წიგნებისა, რომელსაც აქ მოვიყვანთ (დაყოფით ნაჩვენებია ანდერძის სიტყვები, ხოლო ჩვეულებრივი შრიფტით საჭირო განმარტებანი) „და წიგნნი საღმრთონი, რომელთა სახელები ესე არს", იწყებს მელქისედეკი:

1[1]. სახარებისა თარგმანი დიდი: ა: მათესი. აქ იგულისხმება მათეს სახარების თარგმანი, იოანე ოქროპირისა, მართლაც დიდი, უზარმაზარი წიგნი, რომელიც ექვთიმე ათონელმა გადმოიღო ბერძნულიდან 1002 წელს მისი მამის, იოანეს, წინადადებით. სიტყვას „მათესი" უშუალოდ მიჰყვება „მარკოზისი და ლუკაჲსი"; ამ სახელების შესახებ მეორე წიგნის დასახელებისას გვექნება ლაპარაკი.

2. და იოვანეს თავისა სახარებისა თარგმანი წიგნი: ა: აქ იგულისხმება იმავე ოქროპირის თარგმანი იოანეს სახარებისა, რომელიც ექვთიმე ათონელმა გადმოთარგმნა მეათე საუკუნის გასულს. ქართულ ლიტე-

[1] სათვალავი თხზულებებისა ჩვენ გვეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურაში მეთერთმეტე საუკუნის პირველს ნახევარში ამ ორ თხზულებათა გარდა სხვა თარგმანები სახარებისა არ ყოფილა, მით უმეტეს ოთხივე სახარებისა, რომელიც ერთ ავტორს ეკუთვნოდეს. ოთხი სახარების თარგმანება, რომელიც მე-11 საუკუნის გასულის ავტორს, თეოფილაქტე ბულღარელს ეკუთვნის და რომელიც ქართულად მეთორმეტე საუკუნის გასულს ითარგმნა, მელქისედეკის სიაში, რასაკვირველია, ვერ შევიდოდა. იოანე ოქროპირს კი მარკოზისა და ლუკას სახარების თარგმანი არ დაუწერია; ასე რომ პირველი შეწირულების დასახელებაში სიტყვები „მარკოზისა და ლუკაჲსი" გადამწერთა მიერაა ჩამატებული ანდერძში. ამ გადამწერთ საჭირო ბიბლიოგრაფიული და ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები, რასაკვირველია, არ ჰქონიათ, ამიტომ ასე უფიქრიათ: თუ მათესი და იოვანეს სახარება კია დასახელებული, რა დააშავეს მარკოზმა და ლუკამ, რატომ უნდა იქნეს გამოტოვებული მათი სახელები? ამიტომ მათ თვითონ შეუვსიათ ეს „დანაკლისი" მათი სახელის შემდეგ მარკოზისა და ლუკას სახელის ჩამატებით.

3. და სახარებანი ოთხთავნი: გ: აქ აღნიშნულია ჩვეულებრივი ტიპის ოთხთავი სახარება: მათესი, მარკოზისი, ლუკასი და იოანესი, და არა გამოკრებილი სახარება, ე. წ. აპრაკოსი. ძნელია თქმა, რა რედაქციისა იყო ეს სახარება, უფრო საფიქრებელი კია, რომ ექვთიმესი.

4. სათანაოჲ ოთხთავი სახარება: ა: გარე თუალითა და მარგალიტითა შემკობილი. ამ შემთხვევაში, წინამუხლში აღნიშნული სახარებისაგან განსხვავებით, იგულისხმება ისეთი სახარება, რომელიც ყოველდღიურ ლიტურღიკულ ხმარებაში იყო.

5. და მოწამეთა წიგნნი დიდნი: ზამთარი და ზაფხული: გარე ვეცხლითა შეკაზმული, ღილოკილოჲთა ვეცხლისაჲთა: ბ: ამ შემთხვევაში ნაგულისხმევია ჰაგიოგრაფიული შინაარსის წიგნი, რომელიც განკუთვნილი იყო ღვთისმსახურებისას სვინაქსარული საკითხავისათვის. ასეთ წიგნში წმიდათა და მარტვილთა ხსენებანი დალაგებული იყო თვეთა და რიცხვთა მიხედვით. ჩვეულებრივ ასეთი კრებული ორი ნაწილისაგან შესდგებოდა; ერთში მოთავსებული იყო საკითხავები „ზამთრის" პერიოდისა, ესე იგი, სექტემბერ-თებერვლის თვეებისა, მეორეში „ზაფხულისა", ესე იგი, გაზაფხულ-ზაფხულისა, მარტიდან სექტემბრამდე. აქედან წარმომდგარა სახელწოდება „ზამთარი და ზაფხული". ასეთი დანაწილება გამოწვეული იყო ლიტურღიკული „კანონით" რეგლამენტირებული პერიოდიზაციით. იოანე ქსიფილინოსი ამბობს, რომ სვიმეონ მეტაფრასმა იწყო „განვრცელებად ზამთრისა თუეთა შინა მოკსენებულთა წმიდათა საკსენებელთა", ხოლო მან, იოანემ, იმ წმიდანებისა, „რომელნი შჳდთა თუეთა შინა, გაზაფხულისა და ზაფხულისათა, მოიკსენებიანო"[1] ეს ჰაგიოგრაფიული კრებული წინა-ათონური პერიოდისა უნდა ყოფილიყო, მეტაფრასტული რედაქცია „ზამთრისა და ზაფხულის" თვეთა მოცულობით მელქისედეკის დროს ჯერ თარგმნილი არ იყო.

---

[1]. К. Кекелидзе Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста, Христианский Восток I, 340—341.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. და მღდელთმოძღუართა წიგნი დიდი საწელიწდოჲ. ვეცხლითა შეკაზმული: ა: აქ იგულისხმება „იერუსალიმის განჩინება“, რომელიც ჩვენ მიერაა გამოცემული.[1] მართლაც, ეს არის „დიდი“ წიგნი, თან „საწელიწდო“, ესე იგი, მთელი საეკლესიო წლის განგების შემცველი. „განჩინება“ მართლაც მღდელთმოძღურთა“ წიგნია, რადგანაც მისი სათაურია: „ესე განჩინებაჲ მღდელთმოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთაჲ“, სხვა რაიმე „მღდელთმოძღუართა წიგნი“, მთელი წლისათვის განკუთვნილი, ჩვენმა ლიტერატურამ და პრაქტიკამ, არც ბერძნულმა, არ იცის. „იერუსალიმის განჩინება“ ჩვენი ლიტურგიკული პრაქტიკის რეგულიატორად ითვლებოდა, სანამ გიორგი ათონელი კონსტანტინოპოლის ეკლესიის „დიდ სვინაქსარს“ არ გადმოიღებდა, ეს კი 1042—1044 წლებში მოხდა.

7. და მარგალიტი წინა [:ა:]. ხელნაწერში არ არის აღნიშნული რაოდენობა ცალისა, რადგანაც ძეგლის გადამწერი ვერ მიმხვდარა, რომ აქ წიგნის სახელია ნაგულისხმევი, და ეს სიტყვა [მარგალიტი] მიუღია შემდეგი წიგნის ღირებულების აღმნიშვნელად: მარგალიტი, ესე იგი, ძვირფასი, მშვენიერი წიგნიო. ნამდვილად კი აქ იგულისხმება საგანგებო, გამოკრებილი რედაქცია იოანე ოქროპირის სხვადასხვა მოკლე თხზულებებისა, რომელსაც „მარგალიტი“ ეწოდება. ასეთი წიგნი უთარგმნია ექვთიმე ათონელს შემდეგი სათაურით: „მარგალიტი, რომე არს შემოკრებული მრავალთაგან თქმულთა იოანე ოქროპირისათ“[2]; ეს წიგნი ერთ ცალად უნდა ყოფილიყო შეწირული თუ შეწირულებათა საერთო ჯამი (25) გვექნება მხედველობაში.

8. წინამძღუარი [წიგნი]: ა: ასეთი სახელი ეწოდება ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილს იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისაჲ“-ს რედაქციას, რომლის შესახებ ეფრემ მცირე ამბობს: „საცნაურ იყავნ, ვითარმედ წინამძღუარი სახელად წმიდისა ანასტასი სინელისა თქუმულთათჳს მინახავს ბერძულსა შინა, ხოლო ამის წიგნისათჳს არა სადა თჳნიერ ქართულისა, ამისთჳსცა... წინამძღუარი მასვე წმიდისა მამისა ეფთჳმეს თარგმნილსა სახელედებოდინ, რომეთუ თჳთ იგი ამისგანვე გამოკრებულ არს“[3]. ანასტასი სინელის „წინამძღუარი“ მელქისედეკის დროს ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი.

9. დევლოღონი წიგნი: ა: ეს არის რომის პაპის გრიგოლ დიდის თხზულება „დიალოღონი“, რომელიც ექვთიმე ათონელმა გადმოთარგმნა 1011 წ.

10. იოვანეს გამოცხადებაჲ წიგნი: ა: დედის ძმასა ჩემსა ანტონის ებოძა ჩემდა. იგულისხმება აპოკალისპი იოანე ღვთისმეტყველისა, რომელიც, მის განმარტებასთან ერთად, გადმოიღო ექვთიმე ათონელმა 975 წლის მახლობლად. ვინ არის ეს ანტონი, დედის ძმა ან ბიძა მელქისედეკისა, არ ვიცით.

11. ანდრია სალოსის ცხორებაჲ წიგნი: ა: აპოკრიფი, რომე-

---

[1] К. Кекелидзе. Иерусалимский Каноенарь VII б, Тифлис, 1912 г.

[2] კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, უნივერსიტეტის „მოამბე“ VIII, 161, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 632, 1941 წ.

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 178 (გამოცემა 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც ბიზანტიაში მეათე საუკუნეში წარმოიშვა, ქართულად თარგმნილი უნდა იყოს ექვთიმე ათონელის მიერ[1].

12. დავითისა თარგმანი წიგნი: ა: აქ იგულისხმება დავითნის თარგმანი ბასილი დიდისა, რომელიც ქართულად ექვთიმემ გადმოიღო[2].

13. სათანაოჲ მრავალთავი: ა: „მრავალთავი" საგანგებო შინაარსის კრებულია, რომელშიაც შედიოდა ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური თხზულებანი სხვადასხვა ავტორებისა. ეს კრებული, რომლის არაერთ ნიმუშს მოულწევია ჩვენამდე, ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ VIII—IX საუკუნ[3]. აქაც ნაგულისხმევია პრაქტიკული ხმარებისათვის განკუთვნილი ცალი „მრავალთავისა".

14. საწელიწდოჲ იადგარი ახალი: ა: „იადგარი" ნიშნავს „მოსახსენებელს"; როგორც ლიტურგიკული წიგნი, წინაათონურ პერიოდში ჩამოყალიბებული, ის შეიცავდა თვეთა და დღეთა რიგზე დალაგებულ ჰიმნებს ან საგალობლებს მთელი საეკლესიო წელიწადისას. აქ ტერმინი შერჩენილია ძველი, მაგრამ სიტყვა „ახალი" გვაჩვენებს, რომ იგულისხმება ახლად შემოღებული ტიპი „იადგარისა", სახელდობრ ექვთიმე ათონელის მიერ გადმოღებული „თთუენი"[4].

15. და კურთხევანი: რომელსა შინა სწერია ეკლესიისა კურთხევაჲ. ხუცეს-დიაკონთა კურთხევაჲ. გარე ოქროჲსა ხატითა და ცუარითა მოჭედილნი: ა: აქ იგულისხმება „არქიერატიკონის" ის ნაწილი, რომელიც ეკლესია-ოდიკის კურთხევისა და ქიროტონია-ქიროთესიის წესებს შეიცავდა. ასეთი რამ ჯერ წინაათონურ პერიოდში არსებობდა, ის შესულია, მეორე ნაწილის სახით, ჩვენ მიერ გამოცემულ „არქიერატიკონში;[3] მაგრამ ითარგმნა ის ექვთიმე ათონელის მიერაც; ძნელია თქმა, რომელი რედაქცია იყო შეწირული, უფრო დასაშვები კი ექვთიმეს რედაქციაა, როგორც თანამედროვე პრაქტიკასთან შეგუებული.

16. კურთხევანი სხუანი საწელიწდონი, სრულნი ყოვლითა ფერითა. გარე ვეცხლისა ცუარითა მოჭედილნი: ა: ნაგულისხმევია ჩვეულებრივი „ევქოლოგიონი", რომელიც ექვთიმემ გადმოთარგმნა ქართულად.

17. შჯულისკანონი ახალი: ა: მელქისედეკის ანდერძის ამ ადგილს ჩვენ წინათაც შევხებივართ: ჩვენი აზრით, აქ იგულისხმება ექვთიმეს მიერ ქართულად გადმოთარგმნილი ნაწილები შჯულის-კანონისა, სახელდობრ: მეექვსე მსოფლიო კრების აქტები და პენიტენციალური კრებული იოანე მმარხველისა[6]. ეს თარგმანი მელქისედეკის დროს, როგორც სხვა თარგმანი ექვთიმესი, ჯერ კიდევ „ახალი" იყო ქართულ მწერლობაში. ყოველ შემთხვევაში ფოტის 14—ტიტლოვანი შჯულის კანონი პირველად არსენ იყალთოელმა თარგმნა, იმას მელქისედეკი ვერ დაასახელებდა.

---

[1] კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერ. ისტორია, I, გვ. 396—397.
[2] იქვე, გვ. 175.
[1] იქვე, გვ. 462.
[2] იქვე, გვ. 185.
[3] К. Кекелидзе, Древне-грузинский Архиератикон, 1912 г.
[4] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 186—187 (2 გამ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. მარხვანი, რომელ სამეფოს იტყჳან: ა: აქ იგულისხმება არა მთელი „მარხვანი", არამედ ის ნაწილი მისი, რომელსაც ანდრია კრიტელის „დიდი კანონი" ეწოდება. ის პირველად ექვთიმე ათონელმა გადმოთარგმნა [1].

19. და სხუაჲ წიგნები. თავიᲑ. და ორად გაყოფილი. რა წიგნებია ეს წიგნები, ძნელია თქმა, რადგანაც არავითარი შინაარსობრივი ნიშანი აქ მოცემული არაა.

20. იადგარი მეხური, რომელსა შიგან განგებაჲ საწელიწდოჲ სწერია: ა: შინაარსობრივად ეს (გივე წიგნია, რაც მე-14 ნომრის ქვეშაა ნაჩვენები, ზემოთ; განსხვავდება მისგან იმით, რომ იმაში მოთავსებულია „მეხური" ჰიმნები, ესე იგი—ისეთები, რომელნიც ხმით, გალობით; უნდა ყოფილიყვნენ შესრულებულნი და არა რეჩიტატივით ან წაკითხვით ასეთი იადგრები გამომუშავებული იყო ჯერ კიდევ წინაათონურ პერიოდში, მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მიქელ მოდრეკილის იადგარი [2].

21. მატიანენი საშინაონი და სააღაპენი, ვეცხლითა' მოჭედილნი: ა:

22. და მატიანენი სათანაონი, ვეცხლითა მოცუარულნი: ა: ორ ნომერში დასახელებულია სამი ტიპის მატიანე: საშინაო, სააღაპო და სათანაო. ტერმინით „მატიანე" აქ აღინიშნება მიცვალებულთა მოსახსენებელი წიგნი, ე. წ. „დვიპტიქები". „საშინაო" მატიანე აღნიშნავს მცხეთის ტაძრის გარდაცვლილ კლირიკოსთა სახელების ჩასაწერ წიგნს; „სააღაპო" მატიანე არის წიგნი, რომელშიაც ჩაიწერებოდნენ ის შემწირველნი და კეთილისმყოფელნი მცხეთის ტაძრისა, რომელთა მოსახსენებლად ყოველწლიურად „აღაპი" იყო გაჩენილი, ხოლო „სათანაო" მატიანეში ჩაწერილნი იყვნენ ისეთი მიცვალებულნი, რომელთაც „აღაპს" არ უჩენდნენ, მაგრამ ღვთისმსახურების დროს, წირვა-ლოცვაზე, მოიხსენებდნენ ხოლმე.

23. ჟამისწირვანი სათანაონი: ა: ეს არის წირვის წესი,—ვასილის, ოქროპირის და პირველშეწირულის, რომელიც ჯერ კიდევ წინაათონურ პერიოდში იყო ქართულ ენაზე. თუ მელქისედეკის დროს ჩვენში კიდევ სრულდებოდა იაკობის ჟამის წირვა, შესაძლოა ეს უკანასკნელიც ჰქონდეს ავტორს მხედველობაში, ყოველ შემთხვევაში ერთი ცალი ამ ჟამისწირვისა, რომელიც კათოლიკოზ სვიმეონს გადაუწერია X—XI ს., მცხეთას ეკუთვნოდა [3].

ასეთია სია წიგნებისა, რომელნიც მელქისედეკს მცხეთის კათედრალისათვის შეუწირავს. მელქისედეკის ეპოქა ქართული მწერლობის ისტორიაში ის დრო იყო, როდესაც ათონის შკოლის განახლებითი მოძრაობა, დაწყებული

---

[1] იქვე, გვ. 320.

[2] ტერმინი „მეხურის"შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერ. ისტორია I, 554—555 (გამოც. 2). „მეხური" რომ მუსიკალური და არა ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინია, ჩანს მიქელ მოდრეკილის „ანდერძიდანვე": „საყუარელნო! უკუეთუ ერთსა ძლისპირსა ზედა რომელიმე კილოჲ ორგუარად იყოს აღნიშნული, ნუ უცხო გიჩნ, ნუცა ურთიერთსა წინააღმდგომ, რამეთუ რომელიმე მოავლისა ძლის პირისა კილოჲ ორგუარად არს მეხურად".

[3] გამოცემულია ჩვენ მიერ: Древне-грузинский Архиератикон.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ექვთიმე ათონელის მიერ, თავის ძალაში შედიოდა, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ კავშირი წარსულთან ვერ გაეწყვიტა. თვით ექვთიმე ათონელი თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში, როგორც ცნობილია, ერთი ფეხით წარსულში იდგა, მეორეთი ახალში. ეს ორმაგი ხასიათი ატყვია მელქისედეკის მიერ შეწირულ წიგნთა ინვენტარს.

დიდი ნაწილი აქ დასახელებული წიგნებისა ექვთიმე ათონელის მიერაა ნათარგმნი, მაშასადამე, ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში, ჩანს, ფეხს იკიდებს კონსტანტინოპოლური ახალი მიმართულება, რომლის პირველი და მსხვილი წარმომადგენელი ჩვენში ექვთიმე იყო. მელქისედეკი, ეჭვი არ არის, ბიზანტიაში მრავალგზის და ხანგრძლივად ყოფნისას, პირადად გაიცნობდა ექვთიმეს და კურსში იქნებოდა მისი ლიტერატურული მუშაობისა. ეს სია საინტერესოა, როგორც ერთერთი უძველესი წარმომადგენელი ჩვენი საეკლესიო—სამონასტრო წიგნთსაცავების კატალოგისა; ამაზე უფრო ძველი ნიმუში ასეთი სიისა ჩვენ მხოლოდ ერთი მოგვეპოვება, სახელდობრ—კატალოგი სინას მთის ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავისა, რომელიც მეათე საუკუნეს ეკუთვნის[1], ხოლო მომდევნო, XII საუკუნიდან გვაქვს ფრაგმენტი ქართველ ქალთა მონასტრის „კაპპათას“ წიგნთსაცავის კატალოგისა იერუსალიმში[2].

---

[1] Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, стр. 267—8.

[2] კ. კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, ენიმკის „მოამბე“, XIII.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულ. იორდანიშვილი

რუსთველის ჩვენამდე არმოღწეულ პოემა-რომანის შესახებ[1]

კარგა ხანია რუსთველოლოგიაში გამოთქმულია ის მოსაზრება, რომ რუსთველი მარტო „ვეფხისტყაოსნის" ავტორი კი არ ყოფილა, არამედ მას სხვა ნაწარმოებიც უნდა ჰქონოდაო.

ამ შეხედულებას დასაყრდენს უქმნიდა თვით „ვეფხისტყაოსანი". ამ აზრის ბიმდევარნი დაახლოებით ასე მსჯელობდნენ:

შოთას „ვეფხისტყაოსანი" არის უნაკლო და სწორუპოვარი შედევრი, ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ სრულქმნილ ხელოვნების ავტორს მის შექმნამდის სხვა რამ ნაწარმოები არ ჰქონოდა; ასახელებენ რამდენიმე ლექსს, იამბიკოს და დასძენენ: ალბათ, ბევრმა რამ ჩვენამდის არ მოაღწიაო.

საყურადღებოა, რომ სულ ბოლო დროს შოთას არმოღწეულ პოეტურ თხზულებათა შესახებ უკვე ერთგვარი ლიტერატურაც კი შეიქმნა.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევენ პ. ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები.

თავის წერილში „შოთა რუსთაველი და მისი პოემა", რომელიც დართული აქვს „ვ. ტ." საიუბილეო გამოცემას (თბილისი 1937 წ. სახუნტის გამომცემლობა) იგი სხვათა შორის ამ საგანზე შემდეგს წერს:

„...განთქმული რომანტიული სიუჟეტი იოსებ მშვენიერზე, როგორც ირკვევა, დაუმუშავებია შოთა რუსთაველსაც. ცნობა შოთას ამ თხზულების შესახებ დაუცავს მე-16 საუკუნის პირველი ნახევრის ერთ ქართველს პოეტს.

რადგან ეს ცნობა დღემდე არ ყოფილა განხილვის საგანი სპეციალურს ლიტერატურაში, ამის გამო ჩვენ აქ მოგვიხდება მასზე უფრო დაწვრილებით შეჩერება.

ამ ქართველ პოეტს, რომლის სახელი უცნობია და რომელიც, როგორც ირკვევა, მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა, ეკუთვნის ახალი პოემა იოსებ მშვენიერზე. ეს პოემა მოღწეულა უნიკალურს ხელნაწერში, რომელიც ამავე ეპოქაში, მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში არის გადაწერილი. (ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა *S*—1283).

მე-16 საუკუნის ამ ქართველი პოეტის ახალ პოემას იოსებ მშვენიერზე დართული აქვს შესავალი, რომელშიაც ავტორი გადმოგვცემს ბიბლიოგრაფიულ ცნობას ამავე თქმულების წინათ არსებულ ძველი ქართული ტექსტის შესახებ. ეს ძველი ტექსტი, „ამბავი ადრინდელი" მის დროს, ე. ი, მე-16 საუკუნეში უკვე დაზიანებულად ყოფილა წარმოდგენილი, მისგან მხოლოდ ნაწყვეტი ყოფილა გადარჩენილი („ცოტა იყო დანარჩომი"-ო, გადმოგვცემს ავტორი). აი ეს ძველი ტექსტი, როგორც ეს ირკვევა მე-16 საუკუნის ავტორის ჩვენე-

---

[1]) წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის საჯარო სხდომაზე 1938 წ. ოქტომბერს.

ავტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან, შოთა რუსთაველს ჰკუთვნებია, რუსთაველის „ნასაქმი“ ყოფილა. სრული ტექსტი შოთას ამ თხზულებისა, სჩანს დაღუპულა იმ „ჟამთა-სიავის საუკუნეებში. რომელიც თან მოჰყვა მონღოლთა მფლობელობის დამყარებას საქართველოში, და მე-16 საუკუნეში უკვე აღარ მოიპოვებოდა.

აი ამ გარემოებით, შოთას სრული ტექსტის დაკარგვით—ყოფილა გამოწვეული მე-16 საუკუნის პოეტის ეს ახალი შრომა. მე-16 საუკუნის პოეტს განუზრახავს იმავე სიუჟეტის ხელახლა დამუშავება, იოსებ მშვენიერის ამბვის სრულის სახით აღდგენა, რისთვისაც მას უსარგებლია ამ თქმულების მუსულმანური ვერსიით (სახელდობრ ჯამის ტექსტით). მე-16. საუკუნის პოეტი ამის გამო მოკრძალებით მოგვითხრობს პოემის შესავალში, რომ საქმე, რომელიც მან იკისრა, ძნელი გასაბედავია, რადგან მას უხდება ლექსად თქმა („დაჯრა“) იმავე ამბვისა, რომელიც ძველად დაუმუშავებია ისეთ უდიდეს ხელოვანს, როგორიც რუსთაველი იყო: ამიტომაც იგი მოკრძალებით შესთხოვს რუსთაველს, რომ მისცეს „ნება თქმისა“.

პოეტი შემდეგი სიტყვებით მიმართავს რუსთაველს:

აწ, რუსთველო გეთხოვები, რომე მომცე ნება თქმისა,
არ გასწყრე და არ ამიკლო, თხოვნა მე მაქვს ამ ჰოქმისა,
რომე გკადრე უკადრობა დ ა ჯ რ ა თ ქ ვ ე ნ ი ს ნ ა ს ა ქ მ ი ს ა,
თ ქ ვ ე ნ ვ ე ი ც ი თ, ს ხ ვ ა ვ ე ა რ გ ე ბ ს, დ ა ს ნ ე ულ დ ე ს რ ა ა ქ ი მ ს ა,

რომ თანამედროვე მკითხველისათვის სავსებით ნათელი იყვეს ამ სტროფის შინაარსი, აქ საჭირო იქნება ზოგიერთი განმარტება.

ა. „დაჯრა“ პირდაპირის მნიშვნელობით ნიშნავს მიწყობას. ხოლო პოეტიკაში „დაჯრა“ ნიშნავდა ლექსად თქმას, ე. ი. ძვირფასი თვალის დაჯრამიწყობას (ასე იხ. ვეფხის-ტყაოსანში: „მარგალიტი წყობილი“ ე. ი. ლექსი. შეადარეთ ანალოგიური თქმა: „მით მიჯრით მიწყობილისა“). ამრიგად მე-16 საუკუნის პოეტის სიტყვები „დაჯრა თქვენის ნასაქმისა“—ნიშნავს: ლექსად თქმა თქვენი (რუსთველის) ნასაქმისა“:

ბ. განმარტებას საჭიროებს აგრეთვე უკანასკნელი ტაეპი: „თქვენვე იცით, სხვავე არგებს, დასნეულდეს რა აქიმსა.“ მე-16 საუკუნის პოეტი აქ იგონებს რუსთაველის ერთს სენტენციას. რუსთაველი ვეფხის-ტყაოსანში ერთ ადგილას ამბობს:

„რა აქიმი დასნეულდეს რაზომ ჭინდა საქებარი,
მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯაშისა შემტყობარი.
მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი ცეცხლთა მომდებარი.
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.

მე-16 საუკუნის ქართველი პოეტი რუსთველს ადარებს განთქმულ აქიმს, რომელიც დასნეულებულა. რუსთაველი სნეულად იმის გამოა წარმოდგენილი, რომ მისი თხზულება, იოსებ მშვენიერის ამბავი, დაზიანებულად იყო მოღწეული, ნაწყვეტის სახით იყო გადარჩენილი. ხოლო თავის თავს მე-16 საუკუნის ეს ქართველი პოეტი ადარებს უბრალო მკურნალს, რომელსაც უხდება უწამლოს განთქმულ აქიმს რუსთაველს, ე. ი. მოახდინოს რესტავრაცია რუსთაველის დაზიანებული ნაშრომისა. აი ამიტომ არის, რომ მე-16 საუკუნის პოეტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც გამოიჩინა კადნიერება და გაჰბედა რუსთაველის ძველი „ნასაქმის“ განახლება, იმავე ძველი ამბავის ხელახლა თქმა, მოკრძალებით მიმართავს რუსთაველს და თავის გასამართლებლად მოაგონებს მას: „თქვენვე, რუსთაველო, იცით, სხვავე არგებს, რა აქიმის დასნეულდესო“ (გვ. XX—XXIII).

ასეთის კომენტარიებით ასრულებს პ. ინგოროყვა XVI საუკუნის პოეტის ზემომოყვანილი სტროფის განხილვას და დაასკვნის: „ამ რიგად ირკვევა, რომ შოთას დაწერილი ჰქონია რომანი-პოება იოსებ მშვენიერზე, რომელიც ჩვენ დრომდე არ მოღწეულა და რომლისაგან მე-16 საუკუნეში ნაწყვეტები ყოფილა გადარჩენილი“ (გვ. XXII).

განვიხილოთ ახლა რა ირკვევა ნამდვილად XVI საუკუნის პოეტის ზემომოყვანილი სტროფიდან და რამდენად მართალია, რომ შოთას დაწერილი ჰქონია რომანი-პოემა იოსებ მშვენიერზე.

ერთი რამ უდავოა. ეს ცნობა დღემდის არავის განუხილავს სპეციალურ ლიტერატურაში და ასე ვრცლად მასზე მხოლოდ ინგოროყვა შეჩერდა.

ხოლო, რაც შეეხება თვით იმ უნიკალურ ხელნაწერს, რომლის სამუზეუმო ნომერზედაც მიგვითითებს პატივცემული მკვლევარი (ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა S—1282), ის კარგა ხანია ცნობილია, სპეციალურ ლიტერატურაში საკმარისად შესწავლილი და ამ ხუთმეტი წლის წინათ გამოქვეყნებული გ. ჯაკობიას მიერ[1]. მასვე მოეპოება ყველა ის ცნობა, რაც ინგოროყვას მოთხრობილი აქვს იოსებ მშვენიერის რომანის სიუჟეტზე, მის პოპულარობაზე საშუალო საუკუნეების, როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმანურ მწერლობაში[2].

დაინტერესებული მკითხველისათვის ამ წყაროთა დასახელებას უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე ხელნაწერის ნომრისას. მაგრამ ამ ჟამად ეს არსებითი არ არის, და გადავიდეთ XVI საუკ. თვით იმ უცნობი პოეტის ცნობილი სტროფის განხილვაზე, რომელსაც პ. ინგოროყვას აზრით, შემოუნახავს ცნობა შოთას ამ, დღემდის აღმოუჩენელ „ახალ პოემა-რომანის შესახებ, და რომელსაც აქამდის არავინ არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

სტროფი ასე იკითხება:

> აწ, რუსთველო, გეთხოვები, რომე მომცე ნება თქმისა,
> **არ** გასწყრე და არ ამიკლო, თხოვნა მე მაქვს ამ ჰოქმისა.
> რომე გკადრე უკადრობა[3] **დ**ა**ჯ**რ**ა** თ**ქ**ვ**ენ**ი**ს** ნ**ა**ს**ა**ქ**მ**ი**ს**ა,
> თ**ქ**ვ**ენ**ვ**ე** ი**ც**ი**თ**, **ს**ხ**ვ**ა**ვ**ე **ა**რ**გ**ებ**ს**, **დ**ა**ს**ნ**ე**ულ**დ**ეს **რ**ა **ა**ქ**ი**მ**ს**ა.

პ. ინგოროყვა ამ სტროფის მესამე სტრიქონის მეორე ნახევარს ასეთ განმარტებას აძლევს:

---

[1] იხ. გ. ჯაკობია, იოსებ ზილიხანიანის ქართული ვერსიები (კრიტიკული ტექსტის, ლექსიკონისა და საძიებლის დართვით) პირველი ნაწილი (ტექსტები) ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. ტფილისი, 1927 წ.

[2] იხ. თეიმურაზ I. ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფ. 1934 წ. (სპეციალურად: გ. ჯაკობიას გამოკვლევა: თეიმურაზის თარგმანები, განსაკ. 221—224 გვ.).

[3] გ. ჯაკობიას დაბეჭდილი აქვს უკადრომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. „დაჯრა“ პირდაპირის მნიშვნელობით ნიშნავს მიწყობას. ხოლო პოეტიკაში „დაჯრა“ ნიშნავდა ლექსად თქმას, ე. ი. ძვირფასი თვალის დაჯრა-მიწყობას (ასე იხ. ვეფხის-ტყაოსანში: „მარგალიტი წყობილი“—ე. ი. ლექსი. შეადარეთ ანალოგიური თქმა: „მით მიჯრით მიწყობილისა“). ამრიგად მე-16 საუკუნის პოეტის სიტყვები; „დაჯრა თქვენის ნასაქმისა“—ნიშნავს „ლექსად თქმა თქვენი (რუსთველის) ნასაქმისა“ (გვ. 235).

პ. ინგოროყვას ეს განმარტება, ჩვენის აზრით, სწორი არ არის.

დავიწყოთ მისი განმარტების პირველ სტრიქონიდან. ა. „დაჯრა“ პირდაპირის მნიშვნელობით ნიშნავს მიწყობას,—გვიხსნის პ. ინგოროყვა.

სად და როდის ნიშნავდა „დაჯრა“ პირდაპირის მნიშვნელობით „მიწყობას“? რუსთაველის ენაზე დაჯრა ნიშნავს თავის მოყრას, შეყრას (დიდის სიმჭიდროვით), გახირვას. აი მაგალითები:

723_3 ახლოს სხდეს ღირსნი, მიენდეს შორს ჯარი დაიჯრებოდა.
1075_2 იქით-აქათ იჯოებოდეს: „ვუჭვრიტოთო ამას რულად“.]
101_3 ყველაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ დაჯრილი.

თვით ამ უცნობ პოეტსაც აქვს თავის პოემაში ჯრა-ზმნიდან ნაწარმოები ფორმები და აღსანიშნავია, რომ დაჯრა პირდაპირის მნიშვნელობით მიწყობას არც მის ენაზე ნიშნავს. აი მის პოემიდან ამონაწერი სტრიქონები;

276_4 ქალაქსა მოეჯრებოდენ, დალივეს შორნი გზანია.
566_4 ულმრთოთა არ ხამს ჩვენზედა ერთმანერთისა ჯრილობა [1])
711_1 მხევალს უთხრის: „ხელით შემძარ მოეჯაროს რა მეფეო.“

ვფიქრობთ, რომ აქ მოყვანილი მაგალითები ცხადად გვიმტკიცებენ, რომ დაჯრა არც უცნობი პოეტის ენაზე ნიშნავს, მიწყობას, როგორც ეს პ. ინგოროყვას ჰგონია.

მაგრამ იქნება ჯრა-შეყრას, შეჯგუფებას, შექუჩებას (დიდ სიმჭიდროვეში), გახირვას არ ნიშნავს აღორძინების ხანის სხვა მწერლების ენაზე?

გავსინჯოთ:

1. ნოდარ ციციშვილის „ბარამგურიანში“ ვკითხულობთ: [2])

1531_3 მუნ შეყარნეს ბანოანთა, ერთად იყვნეს მჭვრეტთა ჯრანი.
1589_3 ყოვლგნით მომართეს სალხინოდ, კაცთა და ქალთა ჯრანია.

2. ასეთისვე მნიშვნელობით ხმარობს ჯრასა და დაჯრას შაჰნაზარიანის ავტორი ფეშანგი: [3])

45_4 მეტის დაჯრითა მოყმეთა კალთები დაეხეოდა.
91_4 იჯრებოდიან საჭვრეტლად, იქით და აქათ რბოდიან.
მეტის დაჯრითა გვერდები დანებით დაიკოდიან.
238_2 იქით და აქათ თავადთა ჯრა არის ყმა და გერისა.
507_3 მიუყვანეს დაუყოვნლად, მისი ნაჯვით იქმენ ჯრასა.
1008_4 ქალი და კაცი დაჯრითა ერთმანეთშია ვლელია.

---

[1]) გ. ჯაკობიას დაბეჭდილი აქვს „ჭრილობა“, კორექტურული შეცდომა უნდა იყოს.

[2]) ნოდარ ციციშვილი, შვიდი მთიები (ბარამგური), პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით. „ქართული წიგნი“. 1930.

[3]) იხ. ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით. სახელგამი, ტფ. 1935.

3. ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება ჯრა „შაჰ-ნამეში“: [2])

668₃ უბან-უბანთა ქალ-ყმათა მჭვრეთელთა დიდნი ჯრანია.
3986₃ ზაულელნი ცხენოსანნი მოეხვივნეს ჯარი ჯრითა.

პ. ინგოროყვას, რომ საბას ლექსიკონისათვის მიემართა, ამოიკითხავდა, რომ: ჯრა—მრავალ კაცთ ვიწროდ ყოფასა-ნიშნავს. ამ სიტყვიდანვეა ნაწარმოები გაჯრა (გაჭედასავით), მიჯრა, მოჯრა, შეჯრა (შეტკეცა) და ჩაჯრა (ღრმაში გაჯრა). ასეთსავე განმარტებას იძლევა ლექსიკოგრაფი დ. ჩუბინოვი: დაჯრა—გავხირავ, დავსჩრი, ჯგუფად მოვაგროვებ; сват, столпить, собрать в кучу; ჯრა давка, стечение народа.

ყოველივე ამის და მიუხედავად, პ. ინგოროყვა განაგრძობს: ...პოეტიკაში „დაჯრა“ ნიშნავდა ლექსად თქმას, ე. ი. ძვირფასი თვალის დაჯრამიწყობას (ასე იხ. ვეფხის-ტყაოსანში: „მარგალიტი წყობილი“—ე. ი. ლექსი. შეადარეთ ანალოგიური თქმა: „მით მიჯრით მიწყობილისა“). ამრიგად მე-16 საუკუნის პოეტის სიტყვები: „დაჯრა თქვენის ნასაქმისა“—ნიშნავს: „ლექსად თქმა თქვეხი (რუსთველის) ნასაქმისა.“

ჩვენ კი გვგონია, რომ როგორც დაჯრა პირდაპირის მნიშვნელობით არ ნიშნავდა მიწყობას, ისე პოეტიკაში დაჯრა ლექსად თქმას არ გულისხმობდა. მაგრამ, წინა შემთხვევაში თუ პ. ინგოროყვა დაუსაბუთებლად აცხადებდა: დაჯრა პირდაპირის მნიშვნელობის მიწყობას ნიშნავსო, ახლა ცდილობს საბუთებიც მოიყვანოს და „ვეფხისტყაოსანზე“, მიგვითითებს: „მარგალიტი წყობილი“ ე. ი. ლექსიო. მართალია, აღმოსავლურ პოეტიკაში მარგალიტის სახედ ხმარება პირდაპირ ენციკლოპედიური ხასიათისაა (თუმცა ხშირად უფრო კბილების სასახავად იხმარება), მაგრამ „მარგალიტი წყობილი“ მართლაც ლექსს ნიშნავს შოთას ენაზე. მაგრამ. განა დავა ამაშია?! ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, თუ რას ნიშნავს დაჯრა. ვთქვათ: „მარგალიტი დაჯრილი“, „მარგალიტის დაჯრა“ რომ ქართულ პოეტიკაში ლექსად თქმას ნიშნავდეს, მაშინ ინგოროყვა მართალი იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ არის. თვით ჩვენი უცნობი პოეტის ენაზე „მარგალიტი წყობილი“ სწორედ კბილებს ნიშნავს და არა ლექსად თქმას. აი მაგალითები:

331₂ ლალშიგა გამოჭვირვითა მარგალიტისა წყებანი

მეორე მაგალითი უკეთესია:

423₃ შენ მარგალიტი წყობილი ლალს მიეც, მიაბარენი.

აქ, ორსავე შემთხვევაში საუბარია ლალში (ღრძილებში) მიწყობილ მარგალიტზე (ე. ი. კბილებზე).

რომ დაჯრა „მიწყობა“ არ არის და დაჯრილი—„მიწყობილი“, ეს ნათლად ჩანს თვით რუსთაველის იმ თქმიდან, რომელიც პ. ინგოროყვას „მარგალიტი წყობილის“ ანალოგიურ თქმად მიაჩნია. ეს თქმა არის: „მიჯრით

[2]) იხ. შაჰ ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ. თბილისი 1916 წ. (გვ. 202).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწყობილისა", რაც ნიშნავს მჭიდროდ მიწყობილს (მარით—плотно пригнанные... ნათქვამია კბილებზე).

ამრიგად, XVI საუკ. პოეტის სიტყვებში: „დაჯრა თქვენის ნასაქმისა"—არ ნიშნავს „ლექსად თქმას თქვენის (რუსთველის) ნასაქმისა.

„ლექსად თქმისათვის"—გალექსისათვის არც რუსთველს და არც XVI საუკ. უცნობ პოეტს სხვა სახეობითი თქმები არა აქვთ გამოყენებული.

რუსთველი პირდაპირ ამბობს.

5_1 მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა.
7_3 დავჯე რუსთველმან გავლექსე მისთვის გულლახვაო-სობილი.
9_3 ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოქმანები.
13_3 მართ აგრევე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა.

ასევე ხმარობენ აღორძინების ხანის მწერლებიც:

სულთან თანიაშვილი წერს:

რუსთველმან ამბო ლექსები, გულისა მსგავსად მოსხმული.

თეიმურაზ I-ის „იოსებ-ზილიხანიანში" ვკითხულობთ:

20_2 „ლექსად თქმა მწადსო," უბრძანა ლაღმან ბრძნად შუქთა ფენითა.

ასევე ხმარობს ნოდარ ციციშვილი „ბარამგურიანში":

3_2 ხამს დიდება ჰატრონისა, ვის აქვს ლექსთა თქმის შეძლება.
9_2 ლექსთა თქმაცა ვით გაბედა ნოდარ, ანუ შაირობა.

ფეშანგის „შაჰნავაზიანში" გვხვდება:

თქმა რუსთველს დარჩა ლექსისა, ცუდად ვიუბენ მე რასა.

თეიმურაზ II-ის „რუსთველთან გაბაასებაში" ასეთი გამოთქმები გვხვდება:

ა. ვჰკითხო, რაზედ თქვა ლექსები, ტკბილი, ღრმად მეტყველებანი.

რუსთაველის პასუხში ვკითხულობთ:

ა. ვჰპოვე ამბავი, ლექსად ვსთქვი, ვეჰვ, იყოს მოსაწონია...
ბ. რაც სიბრძნით ლექსები მითქვამს, დაგიგდებ ქართველებსაო...
გ. ვისაც შენ აქებ, მაგაზედ კარგ ლექსებს გამოვსთქმევდია.

მეტი მაგალითების დამოწმება საჭირო არ არის. „დაჯრა ნასაქმისა" არსად არ არის გამოყენებული „ლექსთა თქმის" მაგივრად, მაშასადამე, არც XVI საუკ. უცნობი პოეტის ენაზე უნდა ნიშნავდეს „ლექსთა თქმას".

საქმე რომ მართლა ისე იყოს წარმოსადგენი, როგორც პ. ინგოროყვა გვიხატავს, სახელდობრ: უცნობ ავტორს, რომ „იოსებ ზილიხანიანის" ძველი ტექსტი შოთასაგან დარჩენილი დაზიანებული ეპოვნა და მის რესტავრაციას შესდგომოდა სპარსელ პოეტის ჯამის ტექსტის მიხედვით, მაშინ რაღა ექნებოდა მას ასეთი საკრძალავი და რუსთაველი რაზედ უნდა გასწყრომოდა? ანდა განა რუსთაველის დაზიანებული ნაშრომის რესტავრაციად ჩაითვლება „იოსებ ზილიხანიანის" სპარსულიდან (დამოუკიდებლივ რუსთაველის ვითომდა არსებული ტექსტიდან) ქართულად გადმოთარგმნა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ უცნობი პოეტის სიტყვები:

9_{1-2} ეს ამბავი ადრინდელი ცოტა ვპოვე დანარჩომი,
ქართულადა გადავთარგმნე სპარსულადა მუნ ნათქომი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გულისხმობდეს სპარსული ტექსტის პოვნას, გამოყენებას და არა ძველ ქართულ ტექსტს, რუსთველის ნასაქმს, როგორც ეს პ. ინგოროყვას ჰგონია.

რუსთველს რომ იოსებ მშვენიერზე რომანი-პოემა ჰქონოდა დაწერილი ეს, საფიქრებელია, ფეოდალური დეკადანსის პოეტებს ეცოდინებოდათ. ამის კვალი კი არსადა ჩანს. პირიქით,რუსთაველს ისინი იცნობენ, როგორც „ერთი ამბის გარდამლექსავს". გავიხსენოთ არჩილ II-ის „გაბაასება მეფის პატრონის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბამის რიტორის რუსთველისა". რუსთველს იოსებ მშვენიერის რომანი რომ დაეწერა არჩილი ვერ ათქმევინებდა მას:

73₅ ვთქვი ჩემგან უწინ ართქმული, არც შემდგომთ მოსაპოვარი.

ვერც თეიმურაზი უპასუხებდა:

74₂ ერთი ამბის გარდალექსვა არ მოხდება სჯობდეს ამ ასს.

ანუ:

106₄ ერთი ამბის გარდალექსვა რა ძნელია ბევრის ენით?

ასევე „ზააქიანის" გამლექსავმა მამუკა მდივანმა მხოლოდ ის იცის, რომ

3. შოთამ გალექსა ტარიას და ავთანდილის ქებანი,
ნესტანჯარს უქო ციმციმი თინათინს მოვალებანი,
მათ მოახმარა გონება და მისნი ტკბილნი მცნებანი,
და სხვად არად სცალდა, მათ ზედა იმღერდა, ვითა ებანი.
(„შაჰნაზე" გვ. 4).

თვით XVI საუკ. ამ უცნობმა პოეტმა მხოლოდ ის იცის, რომ რუსთველი თინათინ-ნესტანის მაქებარია. აი, რას წერს იგი პირველი კარის (აქა პირველი დაწყება ისუფ-ზილიხასი) დასასრულს:

17. თუმცა ხელქმნილი რუსთველი თინათინს აქებს არ ავსა,
რესტან-დარეჯან ბროლ-ვარდსა გიშრის მანითა სარავსა:
იგინი ამას ვადაროთ, რა უთხრათ დაუფარავსა!
ხუდბა ვინებო არ ძალმიც, ქებითა მოუგვარავსა.

უცნობი პოეტი თინათინსა და ნესტანს თავის ზილიხანს ადარებს:

„იგინი (ე. ი. თინათინ და ნესტანი) ამას (ე ი. ზილიხას) ვადაროთ" წერს იგი.

საფიქრებელია, რომ უცნობ პოეტს, თუ სადმე ჰქონდა საბაბი ეთქვა რამე შოთას რომანზე და მის გმირ ქალზე—ასანეთზე,—სწორედ აქ უნდა გაეხსენებინა იგი, მაგრამ უცნობი პოეტი აქ რუსთველის ყველასათვის ცნობილ თინათინ-ნესტანს იხსენიებს, რადგან რუსთველს იოსებ და ასანეთი არასოდეს თავის რომანის პერსონაჟებად არ დაუსახავს და იოსებ მშვენიერზე რომანი-პოემა არ დაუწერია.

განვიხილოლ ახლა, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს უცნობი პოეტის კადნიერი მიმართვა რუსთველისადმი.

რომე გკადრე უკადრობა დაჯრა თქვენის ნასაქმისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოეტს აქ დაჯრა—მჭიდროდ დახურვის აზრით აქვს ნახმარი. ასეთი გაგება არ ეწინააღმდეგება ჯრა—ზმნის მნიშვნელობებს, რომელთაც იგი ღებულობს სხვადასხვა ზმნისწინების დართვით; ასე მაგალითად:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეჯრა-შეტკეცა, რაც იგივე მიჯრაა-ერთი საგნის მჭიდროდ მიტკეცა მეორეზე, შეტკეცა-საბას განმარტებით-მიეჯარას ნიშნავს.

დაჯრა მაგ. კარისა მთის კილოებში დღესაც ხმარებაშია და კარის დაჯრა ნიშნავს კარის დახურვას, დაგულვას.

აი ვაჟა-ფშაველა როგორ იყენებს ამ სიტყვას მწერლობაში:

ხეზე შემოჯდა ჩიტი პატარა
სხეულით ნაზი, ტურფა, პატარა,
მშვიდის თვალების კარი დაჯარა (III ტ. 158).

ჩვენის აზრით გაკადნიერებული პოეტი ეუბნება რუსთაველს: „დახურე შენი ნასაქმი (ე. ი. წიგნი) რადგან ახლა ჩემი დროა და ჩემის პოემისაო.“ სხვა აზრით თითქოს არ უნდა იყოს უცნობი პოეტის ზემომოყვანილ სტრიქონში. რომ წიგნის მიმართ დაჯრა-დაგულვა იხმარებოდა ამას მოწმობს თუნდაც ი. ტფილელის თქმა:

არც ის ვარგა არვინა თქვას კარგის კაცის გარჯილობა
გოდოლშიგან დაფარულსა, დაგულვას სჯობს გახსნილობა.[1])

მაგრამ ესეც რომ არ იყოს. ერთია უდავო: ის განმარტება, რომელიც მოცემული აქვს პ. ინგოროყვას სრულიადაც არ გამომდინარეობს დაჯრა—ზმნის სწორი გაგებიდან. საყურადღებოა, რომ დასახელებულ წერილის გამოქვეყნების შემდგომ, იგი, მის სხვა ვარიანტში,[1]) კიდევ დაუბრუნდა ამავე საკითხს და შეეცადა კიდევ უფრო „განემტკიცებინა ის აზრი, რომ „დაჯრა“ ნიშნავდა ლექსად თქმას და დაიმოწმა ქაიხოსროს „ომაინიანი“. იგი წერს: „იხ. აგრეთვე ქაიხოსროს „ომაინიანი“ სადაც ტერმინი „ჩამოჯრა“ (იგივე „დაჯრა“) ნიშნავს.“ ლექსად თქმას, თხზვას. „ომაინიანის“ ლექსითი ნაწილის ეპილოგში ნათქვამია:

ლექსი დადგეს და სიტყვები აწ სხვაებრ გაგრძელდებისა,
ვიცი ამბავთა ჩამოჯრა უმეცრად დამედებისა.[2])

ამაზე მეტი ძალდატანება ფაქტებზე ძნელი წარმოსადგენია! ქაიხოსრო სწორედ იმას ამბობს ზემომოყვანილი სტრიქონებით, ერთგვარის მობოდიშებით, რომ მელექსეობის ძალა გამომელია (ლექსი დადგეს), ლექსად თქმას ვაჩერებ და ახლა ამბებს მოვაყოლებ (ჩამოვჯრი), თუმცა ვიცი, რომ უმეცრებაში ჩამომერთმევა ის გარემოება, რომ ლექსად ვეღარ ვთქვი და დანარჩენი ამბები თხრობით მოვაყოლეო, პ. ინგოროყვა კი აცხადებს: ქაიხოსროს გაგებითაც ტერმინი „ჩამოჯრა“ ლექსად თქმას ნიშნავსო!

ამრიგად; პ. ინგოროყვას მიერ მოცემული განმარტება „დაჯრა“ ზმნის შესახებ არ არის სწორე და, მაშასადამე, მისი ცდა—დაამტკიცოს, რომ შოთას მიერ დაწერილი იყო რომანი-პოემა იოსებ მშვენიერზე, უშედეგოდ უნდა ჩაითვალოს.

---

[1]) იოსებ ტფილელი „დიდმოურავიანი“ გ. ლეონიძის რედაქციით. სახელგამი 1939 წ. გვ. 56, სტრ. 407.

[2]) რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა; რუსთაველის კრებული თბ. სახელგამი 1938 გვ. 15.

[3]) იხ. საქ. მუზ. ხელნაწ. № 49-8 § ფონდისა 242 მეოთხე სტროფის 3—4 სტრიქონები: ქაიხოსრო, ომაინიანი. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელება რომანი XVII საუკუნისა გ. ჯაკობიას რედაქციით გვ. 65. (პ. ინგოროყვა არც ხელნაწერსა და არც ამ გამოცემაზე არ მიუთითებს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

ბესიკი

(მონოგრაფია)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ალბომს მეგობრებს ეძღვნი ცეკვა ცეკვა

ვახტანგ ორბელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

თუმცა ბესიკის ბრწყინვალე პოეტური სიტყვა ქართული პოეზიის უძვირფასეს მემკვიდრეობას ეკუთვნის, მაინც ბესიკი ნაკლებად არის შესწავლილი. დღემდის ჩვენ არა გვაქვს ყოველმხრივ გარკვეული და დადგენილი ბესიკის პოეტური ტექსტი. ბესიკის შემოქმედებაც ჩვენამდე სრული სახით არ არის მოღწეული.

თვით ბესიკის ბიოგრაფიაში დღემდის ბევრი რამ გამოურკვეველია. ბესიკზე გავრცელებული ლეგენდები ძნელი გასარჩევია რეალურ ფაქტებისაგან, ასეთი ხვედრი დიდ პოეტებს რგებიათ. განსაკუთრებით აღმოსავლეთში, სადაც პოეტის რეალური სახე ხშირად ფანტასტიურად იცვლება ხოლმე.—ამნაირი მოვლენა ბესიკის მიმართ, ბუნებრივია. ბესიკი არაჩვეულებრივ პოპულარული პოეტი იყო. მან შეავსო მაშინდელი პოეზიის სფერო, იგი ჯერ კიდევ თავისი თანამედროვეებისგან იყო გაღმერთებული, როგორც პოეტების მეტრი, „მ ე ლ ე ქ ს ე თ ბ ა შ ი“, ანუ პოეტების მეთაური, ცნობილი „რუსთველისაებრ ხმატკბილობით“ „მსგავსი რუსთველისა“ (იოანე ბატონიშვილი) „პირველი მესტიხე“. ისიც საგულისხმოა, რომ ბესიკს, როგორც დიდ პოეტს სიცოცხლეშივე ჰყოლია პანეგირისტები.

პოეტის სიკვდილის შემდეგაც, ქართული პოეზიის მპყრობელ ხმად ისევ ბესიკის სიმღერის ხმა იყო. ბესიკის ამღერებითა და ფორმით საზრდოობდა ჩვენი ანაკრეონტული „მუხაბაზური“ პოეზია. გაიხსენეთ ამ ეპოქის მრავალი ლექსი „ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ხ მ ა ზ ე“ დაწერილი, და ცხადი გახდება, რომ ბესიკის ლექსის ბრწყინვალე არტისტიზმმა, ბესიკის ტკბილმა ხმამ დიდხანს შეუძლებელი გახადა სხვა სიმღერის გავლენა საქართველოში.

თვით ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს დროს, როდესაც მძლავრად გაისმა ახალი პოეტური სიტყვა, ქართველ რომანტიკოსების პლეადას თავისი პოეტური რეპუტაციის დამკვიდრებისათვის ჯერ ბესიკის მელოდიური ხმის, ბესიკის ფორმალისტური გენიის მპყრობელობა უნდა დაეძლია.

ამ შემთხვევაში, მეტად ნიშნეულია გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ ი ს ერთი დავიწყებული ლექსი, რომელშიც რომანტიკოსი პოეტი აღნიშნავს ბესიკის პოეტური სახელის გარდულახველობას:

„მახსოვს ერთხელა, საღამოს ჟამსა,
იყო ყრილობა სახლსა დიდებულს:
ტურფათა გვამთა შექმნეს ცილობა,
რომე აწინდელთ ჭაბუკთა, შორის
არ არს მწერალი:
ბ ე ს ი კ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ ვ ი ნ ა რ ი ს ო,
ვ ს თ ქ ვ ა თ, მ ო მ ღ ე რ ა ლ ი?

. . .

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რისთვის და ვისთვის, აწ მითხარით ვთქვა მე სიმღერა,
ვინ მოისმინოს ჩემის სულის სიმისა, ბგერა?"

ამ ლექსიდან ისიც კარგად სჩანს, რომ თვით ბარათაშვილის დროინდელი ქართული საზოგადოება ბესიკის პოეზიაში სწორედ მის მუსიკალურ ხმასა და ამღერებას აფასებდა:

ბესიკის ნაცვლად ვინ არისო, ვთქვათ მომღერალი?

მეორე რომანტიკოსი პოეტიც ვახტანგ ორბელიანი განსაკუთრებით აღნიშნავს ბესიკის მუსიკალობას:

„აქა ისმენენ ბესიკისა
ხმასა ციურსა".

საგულისხმოა ერთი ოფიციალური დოკუმენტიც, რომელშიც 1840-იან წლების ქართული საზოგადოება აღტაცებას გამოსთქვამს სწორედ ბესიკის ტკბილ ხმისადმი. 1840-იან წლების განუხორციელებელი ჟურნალის „სინათლის" გამომცემელნი, აღნიშნავდნენ რა თავისს განცხადებაში მთავრობის სახელზე სწავლისა და ხელოვნების დაცემას საქართველოში, ნაღვლიანად ჰკითხულობდნენ:

„აწ სადღა არიან ჩახრუხაძენი, გინა შავთელნი, რუსთველნი
და პეტრიწნი, სადღა ისმის ტკბილხმოვნება ბესიკისა?".

ბესიკის „ტკბილხმოვანებით" საკმაოდ დავალებულია ისეთი პოეტი, როგორიც იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბესიკის დაფნის მემკვიდრე.

დიდი შინაგანი ერთობა და ღრმა კავშირი აქვს ბესიკის პოეზიასთან თვით ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომლის პოეზიაში უსათუოდ შეიმჩნევა ბესიკის მგრძნობელობის მემკვიდრეობითობა და მისი პოეზიის ერთგვარი ზედმოქმედება.

ბესიკის ბრწყინვალე პოეტური სახელის ფუძე მუსიკალური სტიქიაა. ბესიკის პოეზია მუსიკიდან გამომდინარეობს, ბესიკი სმენის ოსტატია, მისი პოეტური პრინციპი—მუსიკაა. „მან მრავალი შაირი დასწერა სპარსთა ხმათა ზედა სამღერალი ქართულისა ენითა", „გააკეთა სხუათა და სხუათა ხმათა ზედან სიმღერისა ლექსები". ამ ნოვატორობით ბესიკს დიდი დამსახურება მიუძღვის. მან საათნავასთან ერთად გააქართულა სასახლის და თბილისის ქუჩების მუსიკალური რეპერტუარი, რომელსაც უმთავრესად ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიის ესთეტიურ ცხოვრებაში აქტიური გავლენა ჰქონდა, ვიდრე მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევრიდან.

ბესიკს ჩვენ ვკითხულობთ, ისიც ზერელედ, უცოდინარად, მაგრამ თანამედროვენი ბესიკის ლექსებს მღეროდნენ. ბესიკის ლექსების უმრავლესობა მუსიკალურ ინსტრუმენტისათვის იწერებოდა. დღეს ბესიკის ლირიკას ჭიანურის სიმები დაშორდა, ამიტომ შემცირებულია ბესიკის სრულხმოვანება.

ბესიკის პოეტური მემკვიდრეობა მდიდარია და მრავალსახოვანი. ბესიკმა შეჰქმნა სიყვარულის დიდებული სიმღერები, ელეგიური რომანსები, იგი დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნების და მღელვარების პოეტია, მის ეროტიულ ლირიკას დიდი გულწრფელობა და ძლიერი თავისებურება ახასიათებს.

თუ მძლავრია ბესიკის პოეტური პათოსი, მისი გულის ვნებანი, არა ნაკლებ მომხიბლველია ბესიკის პოეტური ფორმის ბრწყინვალება, ლექსის პოეტური სიწმინდე, პლასტიურობა, დახვეწილობა, და რაც მთავარია, მუსიკალური გამომგონებლობა. ბესიკის მაღალ სიტყვიერი ოსტატობა და ნოვატორობა, ფორმალური და ტექნიკური ძიებანი—რიტმის სიმდიდრე, ლექსის ზომის მრავალგვარობა უნიკალურად ჰხდიან ბესიკის სახელს ქართულ პოეზიაში.

ბრწყინვალე მომღერლობასთან ერთად ბესიკი შხამიანი ეპიგრამატისტი და სატირიკოსია, შეუბრალებელი პოლემისტი. მის კალამს ეკუთვნის რეალისტური სატირული პოემა „რძალ დედამთილიანი", რომელიც ბესიკის შემოქმედების პირველ პერიოდს ეკუთვნის და გურამიშვილის „ქაცვია-მწყემსზედ" ადრე არის დაწერილი. ეს პოემა მითაც არის შესანიშნავი, რომ იგი ხალხური ფოლკლორის გავლენას ატარებს არა მარტო სიუჟეტურად, არამედ ენობრივადაც. ძველი, „ღმერთების დიალექტის" ბრძანებლობის დროს, ბესიკი გურამიშვილისგან დამოუკიდებლივ გზას იკაფავს ცოცხალ სასაუბრო ენისკენ, თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხალხური ნაკადი ბესიკის პოეზიაში ვერ გაღრმავდა, პოეტი ვერ დაეუფლა საბოლოოდ ხალხურ სიტყვას და ერთგული დარჩა სქოლასტური სტილიზაციისა. ამიტომ ბესიკის პოეზიას ნაწილობრივ სიცოცხლიანობა აკლია.

ბესიკი იმავე დროს გმირული პათოსის პოეტია. მან შეჰქმნა ახალი ეპიური შედევრები—„ასპინძისათვის", „რუხის ბრძოლა". ამ ნაწარმოებებში რომელშიც ბესიკი ბატალურ სურათების ოსტატად გვევლინება,—შესამჩნევია აგრეთვე ცდა ცხოვრებასთან ახლო მისვლისა. მისი გმირები ნატურიდან არიან გადმოწერილი, მისი პოეტური სიტყვა პრაქტიკულ მიზნების მატარებელია. ყოველივე ეს ერთგვარი რეაქციაა მაშინდელ სპარსულ საზღაპრო პოეზიის წინააღმდეგ და აქაც ბესიკი ნოვატორად წარმოგვიდგება.

ბესიკმა შეჰქმნა აგრეთვე ახალი ქართული ოდა. ბესიკი დახელოვნებული ჰიმნოგრაფია. ბოლოს მან არაჩვეულებრივ გაამდიდრა ქართული პოეტური სიტყვის კულტურა. ამ შემთხვევაში დამახასიათებელია კალმასობის ცნობა ბესიკზედ: „მოუთხრობენ ამისათვის, რომელ ჰსცოდნოდეს ზეპირად მთლად ლექსიკონი ქართული". მართლაც, ბესიკი სიტყვის დიდი მეურნეა. და ბოლოს, ბესიკის ეპისტოლეებიდან და მოხსენებიდან სჩანს, რომ საქართველოს ლირიკულ პოეტს—იმპროვიზატორს ეკლესიური და პოლიტიკური მჭევრმეტყველებაც არა ჰკლებია; იგი ძლიერ დაუფლებულია სქოლასტურ რიტორიკის სტილიზაციას.

ბესიკი არ არის მხოლოდ ანაკრეონტული პოეტი, ცხოვრებისა და ბედნიერების მომღერალი, როგორც ჩვენში მიღებულია. იგი იმავე დროს ტრაგიული პოეტია, ენერგიული პესიმიზმის წარმომადგენელი. ამ მხრივ იგი ნ. ბარათაშვილის და ალექსანდრე ჭავჭავაძის უშუალო წინაპარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით უმეტეს, ბესიკი არ არის ყარაჩოღელი, როგორც ზოგიერთებმა გაუგებრობით მონათლეს. ალბად მისთვის, რომ ბესიკის სატრფიალო მუხამბაზებს აშულებიც მღეროდნენ. მაგრამ ბესიკის პოეზიაში მეტად მცირეა ხალხური დვრიტა, პირიქით, ბესიკის მწერლობის მთავარი ფუძე მწიგნობრული სიტყვაა. (საათნავას გავლენაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მისს ყრმობის ლექსებში,—„ან ალვა ხარ ტანადობით“ და სხვ.)

აღზრდით, კულტურით, მწერლობით, მას არაფერი საერთო არა აქვს ყარაჩოღულ ფენებთან. უპირველესად, იგი XVIII საუკუნის მწიგნობრული მწერლობისა და მაშინდელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელია. თანამედროვენი მას უწოდებდნენ ერუდიტს, „მეცნიერებაში გამოცდილს“, „გონება სრულს, ცოდნით შენასრულს“.

როგორც ახლა ირკვევა, ბესიკი ახლოს მდგარა იმ ქართულ საზოგადოებრივ ჯგუფთან, რომლის ინტელექტუალური გამოვლინების მომენტი იყო მეთვრამეტე საუკუნის გამანთავისუფლებელი ფილოსოფიის რაციონალიზმი, ანუ პირობითად რომ ვსთქვათ, ვოლტერიანობა, რომლის მთავარ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, ქართული მწერლობის ევროპიზაციის დაწყება, ევროპულ, თავისუფალი აზროვნების ლიტერატურის შემოტანა საქართველოში.

ბესიკის ინტელექტუალური განვითარებისათვის საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იგი ზიარებული ყოფილა თავის დროის დას. ევროპის მწერლობის ზოგ შედევრებს. მაგალითად, ბესიკის ლექსებიდან, რასაც დღემდის ყურადღებას არ აქცევდნენ, ირკვევა, რომ პოეტს ს ც ნ ობ ი ა ლ ე ს ა ჟ ი ს რ ე ა ლ ი ს ტ უ რ ი რომანი „ჟ ი ლ ბ ლ ა ზ ი“, რომელიც შესანიშნავ სოციალურ სატირას წარმოადგენს.

ბ ე ს ი კ ი ს ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი წ ი გ ნ ი ყ ო ფ ი ლ ა ა გ რ ე თ ვ ე ე ნ ც ი კ ლ ო პ ე დ ი ს ტ ი ს მ ა რ მ ო ნ ტ ე ლ ი ს „ ვ ე ლ ი ზ ა რ ი ა ნ ი “. ეს ტიპიური ნაწარმოები ზომიერი განმანათლებლობისა, რელიგიური შემწყნარებლობის და თავისუფალი აზროვნებისა. ბესიკის გატაცება „ველიზარიანით“ იმდენად დიდი ყოფილა, რომ ამ ნაწარმოების გმირის სახელი ველიზარი ანუ ველისარიანი ზოგჯერ ლიტერატურულ ფსევდონიმადაც უხმარია. ალბათ, ამ გატაცების მიზეზით პოეტის მეგობარი გარდაცვლილ ბესიკს დასატირებელ ლექსებში „ჭკუით ველისარიანს“ უწოდებს, რაც იმ ფაქტს უნდა ადასტურებდეს, რომ ბესიკი მიმდევარი უნდა ყოფილიყო მარმონტელის რომანში განთქმული იდეის—რწმენის თავისუფლებისა. მაშასადამე, ბესიკი იდეურად ქართულ ვოლტერიანებთან ახლოს უნდა მდგარიყო, რომელთა წრეში პოეტს არა ერთი პირადი მეგობარი ჰყოლია.

თავისებურია პოეტის ცხოვრებაც. იგი რომანი—თავგადასავალია, სავსე უბედობით, მოუსვენარი ხეტიალით, მწირობით, ყარიბობით. პოეტმა სიცოცხლის მეორე ნახევარი გარდახვეწილობაში გაატარა სამშობლოს გარეთ და უცხო ქვეყანაში დალია სული.

ამ რომანის გმირი ერთსა და იმავე დროს ლიტერატურული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ადამიანია. პოეტი—იმპროვიზატორი, კარისკაცი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკის პოეტური მემკვიდრეობიდან დღეს ჩვენთვის ბევრია გაუგებარი, რამდენადაც ჩვენთვის უცნობია გენეზისი მრავალი მისი ლექსის, რამდენად მისი პოეზია გამოსცილდა თავის ეპოქის საზღვრებს, ბესიკის ზოგი ლექსი გაუგებარია მისი ბიოგრაფიის გარეშე.

ჩვენ გვიყვარს ბესიკი, მაგრამ ნაკლებად ვიცნობთ მისს ცხოვრებას. ჩვენი სურვილი იყო შეძლების მიხედვით აღგვედგინა ბესიკის ძვირფასი სახე, ბესიკის საზოგადოებრივი ფრესკა, ამის მიზეზით ზოგ წვრილმანსაც გამოვეკიდეთ.

ვიორგი ლეონიძე

*
* *

P. S. ორი სიტყვა ჩვენი გამოკვლევის შესახებ: არსებითად იგი ძველი (1930—1932 წ.) ნამუშევარია. ბესიკის 1932 წ. გამოცემას („ფედერაცია") დართული აქვს გამომცემლობის შემდეგი განცხადება: „ბესიკის აკადემიურ გამოცემას თან უნდა დართვოდა გიორგი ლეონიძის მონოგრაფია „ბესიკი და მისი დრო", რომელიც სიდიდის გამო ცალკე გამოდის".

გამომცემლობა მართლაც შეუდგა ცალკე წიგნად ბეჭდვას და როდესაც ოთხი ფორმა უკვე დაიბეჭდა და ნაშრომის ნახევარი უკვე აწყობილი იყო, მისმა მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ახირებული და გაუმართლებელი მოთხოვნილება წამოაყენა,—შემემოკლებინა ნაშრომი მხოლოდ იმ საბაბით, რომ ხელშეკრულებით ნაკლები ფორმათა ოდენობა იყო გათვალისწინებული. ცხადია, წიგნის ბეჭდვის პროცესში ასეთი ოპერაცია ავტორმა მიუღებლად ჩასთვალა და ბეჭდვა შეაჩერა.

დღეს ჩვენ ძველ გამოკვლევას ვბეჭდავთ უცვლელად, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ მისს თითქმის ახალ „გადათეთრებას". გამოვტოვეთ მხოლოდ 64 გვერდიანი (უკვე 1932 წ. დაბეჭდილი ფორმებად) მიმოხილვა XVIII ს. საქართველოს პოლიტიკურ და კულტურული ვითარებისა. ამოვიღეთ აგრეთვე ბესიკის უცნობი პოეტური ტექსტები, რომელთა უმრავლესობა უკვე 1932 წლ. გამოცემაში გამოქვეყნდა. ზოგი ცვლილებები, რომელიც შემდეგში შევიტანეთ ჩვენს ნაშრომში, სქოლიოებშია აღნიშნული.

აქვე უნდა დავსძინო, რომ ჩვენი გამოკვლევა ბესიკზედ 1932—1941 წლებში რამდენჯერმე იქნა წაკითხული მოხსენებების სახით მწერალთა კავშირის საჯარო სხდომებზე.

გ. ლ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბაშვილები

პოეტი ბესიკი წარმოშობით აზნაურ გაბაშვილების ძველ შტოს ეკუთვნის.

როგორც ბესიკი, ისე მამა მისი ზაქარია ოფიციალურ საბუთებში გაბაშვილობასთან ერთად „ი ო ბ ი ა ნ ა დ“, „ი ო ბ ი ს ნ ა თ ე ს ა ვ ა დ“-აც იხსენიებიან. აქედან ჩანს, რომ ვინმე ი ო ბ ს, ისინი გვარის დამწყებად სთვლიან, ანუ საგვარეულოს სასახელო წევრად. ვინ არის ეს იობი? ხომ არ არის იგი ის „კეთილ ნაშრომი იობი“, რომელიც მოხსენებულია სწორედ გაბაშვილების საგვარეულო „ლურჯ მონასტრის“ კარიბჭის წარწერაში? ამ წარწერის მიხედვით კი იობი წარჩინებული ფეოდალია, „მამა ერისთავთ ერისთავის ქართლისა ამირასი და რუსთავისა და შვიდთა მთეულეთისა პატრონისა, აბულასანისა და ბასილ ქართლისა მთავარ ეფისკოპოს ყოფილისა“ [1].

თუ ეს ასეა, მაშინ გაბაშვილები ძველს ფეოდალურ გვარს უნდა ეკუთვნოდნენ, რომელიც შემდეგ საუკუნეებში თანდათანობით საგრძნობლად დაქვეითებულა. აღსანიშნავია, რომ ბესიკს უყვარს აღნიშნოს თავისი გვარის სიძველე. ხშირად იგი გაბაშვილობის ნაცვლად „გ ა ბ ა ო ნ ა დ“ იწერება. იმავე დროს „გაბაონი“ ქართული ჰერალდიკის განმარტებით, პალესტინის იმ გეოგრაფიულ პუნქტს ჰნიშნავს, საიდანაც თურმე გაბაშვილები გადმოსახლებულან საქართველოში „დროსა ნაბუქოდონოსორისასა“. ამ გადმოცემით, ებრაელი გაბაშვილები ჯერ მცხეთაში დასახლებულან, შემდეგ, როცა თბილისი გაშენებულა, თბილისის პირველ მკვიდრთაგანნი ყოფილან. ასეთია ჰერალდიკური ლეგენდა, რასაც ბესიკის დროს დიდი გასავალი ჰქონდა.

გაბაშვილები შემდეგ ხანებშიც ძლიერ მიწათმფლობელ და გავლენიან ფეოდალებად მოსჩანან, როგორც „დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ნ ი და თ ა ვ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი თ ა ვ ა დ ნ ი“, ერისთავებთან, ციციშვილებთან და მაჩაბლებთან ერთან, ისინი მაგ. მოხსენებულ არიან მე-XVI საუკუნეში 1536 წ. დიდი ლუარსაბის ერთ სიგელში (საისტორიო მოამბე, № 1, 1924 [2]).

მე-17—18 ს-ნეებში ეს გვარი უკვე ძალადამართებული და გაღარიბებულია. შემდეგში გაბაშვილებს ვეღარ შეურჩენიათ „თავჩინებულობა“ და „სახასო აზნაურებად“ ჩარიცხულან.

მე-XVIII — ს-ნის მიწურულამდე გაბაშვილები, როგორც კარისკაცები, დაახლოვებული ყოფილან სამეფო კართან სხვადასხვა თანამდებობით (სუფრაჯი, მზარეულთ-უხუცესი, ბაზიერთ-უხუცესი. უკანასკნელი თანამდებობა ქართლის მეფეთა სასახლეში გაბაშვილთა საგვარეულო „სახელო“ იყო).

გაბაშვილებს არა ერთხელ გამოუჩენიათ შესაფერი ერთგულება თავის პატრონისადმი. ასე, ისტორიული პოემა „შაჰნავაზიანი“ 1655 წ. ბრძოლაში მათ მიაწერს დიდს ვაჟკაცობას და ერთგულებას ვახტანგ V-ისადმი. შემდეგში, 1706 წელს, ვახტანგ VI „მამულის სითარხნის წიგნსა და ნიშანს აძლევს სწორედ ბესიკის წინაპრებს, — „ერთგულთა და წესისებრივ მრავალფერად ერთგულად და თავდადებით ნამსახურთა, ყმათა, აზნაურიშვილთ—გაბაშვილთ“. ამ წყალობის წიგნით მეფე ანიჭებს „მათი კერძის ყმის სითარხნეს“ და ათავისუფლებს „ლაშქარ ნადირობის და სათათროს საურის“ გარდა, ყოველ სახელ-

---

[1] Пл. Иоселиани, Описание Тифлиса, გვ. 34.

[2] სხვათა შორის, გაბაშვილებმა, დავით და ნიკოლოზ 1542 წ. ააშენეს თბილისში, მთაწმინდის ეკლესია (საქ. სიძველენი, II, 125).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო გადასახადისაგან (საქ. სიძვ. II, 150); ექვსი წლის შემდეგ მეფე კვლავ ასაჩუქრებს მათ ახლად მოსყიდული მამულის „ათის წლის სითარხნითა“ (იქვე, 151). ალბათ „ერთგული და მრავალგვარი ნამსახურობა“ უნდა ჰქონოდათ გაბაშვილებს ასეთი წყალობის შოვნისათვის.

უნდა აღიშინოს, რომ შედარებით სხვა სახასო აზნაურებზედ გაბაშვილები მაინც მაღლა მდგარან ქონებრივად. ამ ფაქტს გვიდასტურებს მათი მიწათმფლობელობა. XVIII საუკ. მათ ისევ ვრცელი მამულები ეჭირათ. გარდა თბილისთან ახლოს მდებარე მამულებისა (ლისი, თხილოვანი, გდელისი, წოდორეთი, ოქროყანა) თვით თბილისში, მათ საკუთრებას შეადგენდა დღევანდელი „ვერის“, „ვაკის“, და „მთაწმინდის“ ტერიტორიის შესამჩნევი ნაწილი, „ვერესგან შემდგარი დიღომამდის“. მარტო „ვაკე“-ში, ვარაზის ხევ გაღმა საგაბაშვილოს ერთ წარმომადგენელს 143 დღიური მიწა ეჭირა, „ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბაშვილების მამული განთქმული ყოფილა ადგილმდებარეობით. ერთი მსყიდველთაგანი ასე აგვიწერს მისს სიკეთეს: „კარგი მამულიც არის. გავიდოდი, შეეექცეოდი, ოჩხსა, საფიჩხულესა, ხვნასა, მკასა და სოფლობას ეგვანებოდა და მიხაროდის“ (თაკვადასავალი იესე ოსეს შვილისა, 50). საგაბაშვილო მიწების ერთ ლირსებას ისიც შეადგენდა, რომ „საწყლისპირო“ იყო და მტკვრის ნაპირები ეჭირა „საფიჩხულე“, „საოჩხეებით“ (სსტ. მმბ., II, 187) მაშასადამე, ძველად მის მეპატრონეებს თევზის შემოსავალიც ჰქონიათ და ხე-ტყის საქმეც უწარმოებიათ. ერთი ირონიული შენიშვნით „გაბაშვილები მეტივენი ყოფილან ადრიდგან“ (H, 2130), ამ ფაქტს მოუცია საბაბი ვინმე ჰასქვილიანტისთვის მიემართა რომელიმე გაბაშვილისადმი:

„სჯობს, ძველებურ გვარისებრ
ტივათა ჰკრა ხენია“. (იქვე).

მიუხედავად საკმაო მამულებისა, XVIII-ნისთვის აზნაური გაბაშვილები, ნივთიერად საკმაოდ დაქვეითებულნი ყოფილან. მუდამ „ვალში იყვნენ“. მხოლოდ მამულების დაგირავებით და გასყიდვით ირჩენდნენ თავს. „ხან იმას ავაჭრებდნენ, ხან იმას“ (იხ. თვგდ. იესე ოსესშვ., 50; ცენტრარქივის სიგ. პირები, წიგნ. №№ 23, 25): 1768 წლ. გაბაშვ. მიმული „წ ყ ლ ის პ ი რ ის მ ა ღ ლ ა ვ ერ ს ა გ ან შ ემ დ გ ა რ ი დ ი ღ მ ა მ დ ის და გ დ ე ლ ი ს ი და თ ხ ი ლ ო ვ ა ნ ი გ ი რ ა ო დ ჰ ქ ონ დ ა ი ე ს ეს შ ვ ი ლ ს. (იხ. თვგდ. იესე ოს. შვ. 66).

XVIII ს., ნატურალური მეურნეობის წყობის დარღვევამ, სავაჭრო კაპიტალის ზეგავლენამ გაბაშვილთა წვრილ ფეოდალურ გვარსაც თავისი სუსხი უჩვენა. ამ ხანებისთვის გაბაშვილების ოჯახშიც ჩამოითვლებიან „უყმო და უმამულო“-ნიც (ც. არქ. სიგ. ფ. № 847) დამახასიათებელია, რომ ერთი შტო გაბაშვილთა გვარისა მეტათ დაკნინებულა და სასულიერო უწყებაში მოჰყოლია, ისიც სხვა ფეოდალების სამსახურში. ასე, ბესიკის პაპა დმანისის დეკანოზი ნიკოლოზი და ბესიკის მამა ზაქარია მოძღვარი, ცნობილი სასულიერო პირები იყვნენ,—ორივენი ორბელიანთა კარის მოძღვრები.

მაგრამ სასახლესთან დაახლოვებულ გაბაშვილთა შორის ყველაზე გახმიანებული კარიერით ცნობილი იყო სწორედ ბესიკის მამა ზ ა ქ ა რ ი ა გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, განთქმული საეკლესიო მოღვაწე, მწიგნობარი და პოეტი. ზაქარიას პიროვნების გარშემო რამოდენიმედ ვრცლად უნდა შევჩერდეთ, გინდაც მისთვის, რომ სწორედ ზ ა ქ ა რ ი ა ს ბ ი ო გ რ ა ფ ი ა ს თ ან ა რ ი ს ს ა გ რ ძ ნ ო ბ ლ ა დ შ ე კ ა ვ შ ი რ ებ უ ლ ი ბ ე ს ი კ ი ს ც ხ ო ვ რ ებ ის გ ზ ებ ი.

ზაქარია გაბაშვილი. „თაზვებისა და კატის ომი“

ზაქარია გაბაშვილი დაბადებულა 1705 წლის ახლოს.

როგორც დმანისის დეკანოზის შვილი, 1730-იან წლებში თვითონაც დმანისის ჯერ მღვდლად და მერე დეკანოზ-მღვდლად—გამწესებულა[1]. ზაქარია ორბელიანების მოძღვარი ყოფილა. ორბელიანთა სამსახურში იგი მწერალ-მწიგნობარის როლსაც ასრულებდა[2].

---

[1] ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი—II, 389 (1736 წ. ქვეშ); 1736 წ. სექტ. 8-ს ზაქარია მღვდლად იხსენება (იქვე 385), ხოლო იმავე წლის ნოემბრის 15-ს „დეკანოზ-მღვდლათ“ (იქვე 104), ეტყობა 1736 წ. სექტემბერ-ნოემბერ შუა ზაქარიას მამა ნიკოლოზი გარდაცვლილა და მისი ადგილი ზაქარიას დაუჭერია.

[2] პლატონ იოსელიანი, „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“ ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1895, გვ. 46.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარიას შესაფერი თეოლოგიური და ფილოსოფიური განათლება მიუღია. ქართულ საზოგადოებაში ის იყო ცნობილი, როგორც კაცი „დაღალული კატეღორიითა, დიალექტიკითა, ტოპიკებითა და სილოგიზმებითა“[1] „ძველთა ფილოსოფიისა სწავლასა შინა გამოცდილი და ღვთის-მეტყველებისაცა მიწვენილი.“[2] ქათალიკოსი ანტონ I თავის კაპიტალურ ნაშრომის „მზამეტყველების“ ეპილოგში სხვა თანამედროვე მეცნიერთა შორის: („უბრძნესნი... გამოცდილნი ფილოსოფოსობითა სწავლებათა შინა“) იხსენიებს ზაქარიასაც, როგორც წარჩინებულ ფიგურას[3]. როგორც ირკვევა, ზ. საკუთარი საფილოფოსო სკოლაც ჰქონია, სადაც „ხედვითა შინა ფილოსოფოსობათა“, არა ერთი ქართველი მოღვაწე გაწვრთნილა. ასე, ანტონ I ქათალიკოზი, მზეჭაბუკ ორბელიანი—ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე XVIII საუკ. „კაცი რიტორი, მცოდნე ძველისა და ახლისა ფილოსოფიისა“, განუსწავლებია სხვებთან ერთად ზ. გაბაშვილს[4], ისაკ მცირესთან ერთად მისი მოწაფე ყოფილა, აგრეთვე ვინმე ანაქორეტი, ჰიმნოგრაფი იოანე კახი, „რომელიც სიყრმიდგან ახლდა ზაქარია მოძღვარსა და მასთან მოესმინა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება[5] და სხვ.

ზ. აგრეთვე იყო, „მღვდელობით სრული“, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე“ მისიონერი. „კალმასობის“ ავტორის სიტყვით, „ამან იღვაწა ქიზიყსა შინა ქადაგებითა, რომელთა შორის შევიდა მცირედ ლეკიანობა და მალე მოაქცივნა იგინი“[6].

ზაქარიას კარიერა ორბელიანთა მოძღვრობით არ დასრულებულა. როგორც ერთი ცნობა გვიმოწმებს, იგი შეუმჩნევია ზაქარიას მოწაფეს კათალიკოზს ანტონს და დაუწინაურებია („გააკეთა გაბაშვილი“-ო, გადმოგვცემს ზ. ერთი პოლემისტი).

1744—45 წ.წ. ნიჭიერი კარიერისტი თეიმურაზ II-ის მიერ მიწვეული იქმნა „მეფეთა მოძღვრად“[7] (თეიმურაზ II და ირაკლი II-ისა), გამჭრი-

---

[1] იქვე 385, 386; საერთოდ ზაქარია ითვლებოდა საუცხოვო „მდივანმწიგნობრად“ იხ. საქ. ცენტრ. არქივის სიგელების ფონდი № 2861, 2232: S 726, 727.

როგორც 1764 წ. „განჩინებიდან“ ირკვევა ზაქარია „ეწოდებოდა მღვდელობასა შინა“ და ერისკაცობაში სხვა სახელი ჰრქმევია.

პატრი ჯულიო ბონავენტურა ტორენტოელი თავის მოხსენებაში (1757 წ.) რომის კარდინალისადმი გადმოგვცემს ანტონ ქათალიკოზის შესახებ: „პატრიარქის ნამდვილად გაკათოლიკების გამოსარკვევად მეფემ და მისმა მოძღვარმა რაბეთიმ მოიმიზეზეს და მიაგზავნეს ერთი მონაზონი, რომელიც მივიდა პატრიარქთან ასახსნელად“.-ო (თმრშვ., ისტორია კათოლიკობისა, გვ. 374). ეჭვი არაა, ამ გადამახინჯებულ ქართულ სახელში „რაბეთი“ ზაქარია მოძღვრის საერისკაცო სახელი იგულისხმება.

[2] იხ. „კალმასობა“, II ნაწ. (დაუბეჭდავი) H 2134.

[3] „მზამეტყველება“ გვ. 604.

[4] პლ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა გვ. 241—242 (სქოლიო).

[5] იქვე, გვ. 268.

[6] H, 2134.

[7] ზაქარია „მოძღვრად“ იხსენიება 1746 წელს, როგორც გვამცნობს მისივე ხელით დაწერილ ერთი სიგელის ბოლოსიტყვაობა: „აღიწერა აღნაქვსი ესე... არარად სარაცხისა მღვდლისა მიერ, რომელსა ვიეთნიმე მამაკაცნი მოძღვარ ზაქარიად სახელსა უწოდებენ“. (იხ. საქ. ცენტრარქივის სიგელების ფონდი, № 1861.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახმა ზაქარიამ მეფეების ყურადღება და განუსაზღვრელი ნდობა დაიმსახურა, ხოლო „მეფეების, პატრიარხის და მღვდელმთავართა სულიერმა მამამ“ ხელთ იგდო საეკლესიო მმართველობის“ საქმეც მისი ავტორიტეტისათვის დამახასიათებელია გინდაც ის ცნობა, რომელიც თბილისის კათოლიკეთა მაშინდელ მისიონმა მიაწოდა რომს,—ზაქარიას ხელშია მთელი სინოდი (უმაღლესი საეკლესიო მმართველობა) და ყველას მისი რიდი აქვსო[1]. ზაქარიას ერთი მოწინააღმდეგეც გადმოგვცემს, რომ ზ. „ყველა ჭანგში დაიჭირა“, რომ ასე მტკიცედ „არც პატრიარხებს სჭერიათ საბერძნეთი“[2]-ო. ალბად ეს ჰიპერბოლა არც თუ დიდ გადაჭარბებას შეიცავდა მაშინდელ ქართულ სინამდვილისათვის. დიდ გავლენასთან ერთად, ზაქარიას რომ დამსახურებული ჰქონდა რეპუტაცია გავლენიან პიროვნებისა, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 60-ზე მეტმა ქართველმა თავადმა ცხადად ვერ მიიღო უნია მხოლოდ ზაქარიას შიშითო, ასე აცნობებენ ვატიკანს[3].

საყურადღებოა, რომ ზაქარიას თვით ერეკლე მეფეც ერიდებოდა. როცა თბილისიდან მთავრობის ბრძანებით განდევნილ კაპუცინებს ერეკლესთვის უთხოვნიათ ნება დაბრუნებისა, ერეკლეს თუმცა გულით სდომებია მათი სათხოვრის ასრულება, რადგან ევროპიელი კათოლიკე მისიონერები პოლიტიკურად და შინა-პრაქტიკულის მხრითაც საჭირონი იყვნენ მეფისათვის, მაგრამ ზაქარიას რიდით ვერ გაუბედია და უთხოვნია კაპუცინებისათვის, რუსეთის და საფრანგეთის მთავრობისაგან სარეკომენდაციო წერილი ეშოვნათ, რათა ამით მას შესძლებოდა ზაქარია მღვდლის პირი დაეხშო. ერიდებოდა, უამისოდ შეიძლება ამ მღვდელმა რამე უწესოება მოახდინოსო“. ასე გვიამბობენ თვით კაპუცინები[4]. ხოლო როდესაც განდევნილ პატრებმა ახალციხიდან მოქრთამეს დედოფალი, ტფილისში საყდრის მისაცემად, გაიგო თუ არა ეს ზაქარიამ, მივიდა მეფე თეიმურაზთან და განუცხადა: „ამ საქმეს თუ ხელს მიჰყოფ, ჩვენ კი შემოგეცლებითო“[5]. ამნაირად, ზაქარია მოძღვარი დიდგავლენიან წრეების მეთაურად გვევლინება, რომელსაც მეფეები უწევდნენ ანგარიშს. ცხადია, ასეთ მძლავრ პიროვნებას სამღვდელოებაც ხელში ეყოლებოდა მოწურული:

„სამღვდელო ასე ეგონა,
ვით ნოემბრისა ბუზი რამ“.

— მართლაც ასე სჩივის მისგან შეურაცყოფილი ერთი მღვდელთაგანი[6] ანტონ ქათალიკოზს, თავის მხრივ ზაქარია უწოდებდა „მამას“, ვით მისი „ძე და „მოწაფე“[7]. ცხადია, განდიდებული „მეფეთა› მოძღვარი“ მარტო საეკლესიო მოღვაწედ არ დარჩებოდა. ის სახელმწიფო მოსაქმეც უნდა ყოფილიყო.

---

[1] მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ გვ. 380.

[2] იხ. „ზაქარია გაბაშვილის მოძღვარზედ გიობა უფერული“ დავით მღვდელისა“. S 1512 გვ. 969–973 (დაწერილია 1763 წელს).

[3] თამარაშვილი, გვ. 380. ანტონ I-ლის უნიატობას ქართულ საზოგადოებაში ბევრი მოუმზადებია კათოლიკობის მისაღებად, მაგრამ ცხადად გადასვლა კათოლიკობაზე ვერ გაუბედიათ, რადგან ბევრს ერიდებოდა თურმე გაბაშვილ ზაქარიასი (ი ქ ვ ე).

[4] ი ქ ვ ე.

[5] თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ა ლ ი ი ე ს ე ო ს ე ს შ ვ ი ლ ი ს ა. გვ. 35.

[6] იხ. გიობა ზაქარიაზედ S 1212.

[7] ივერია, 1879 წ. № 7–9

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, ჩვენ ვხედავთ ზაქარიას სასახლის საქმიანობაში გართულს. როგორც ფავორიტი, იგი ხშირი შუამდგომელია მეფესთან სხვადასხვა პირთათვის დახმარების აღმოსაჩენად [1], მონაწილეობს სხვადასხვა სახელმწიფო საქმეებში და ბოლოს მან დიდი როლი ითამაშა თეიმურაზ მეორის ოჯახურ ცხოვრებაში. ცნობილია, რომ დედოფალ თამარის სიკვდილის შემდეგ, თეიმურაზმა, მაშინვე შეირთო ცოლი, ზაქარიას „მრავალის შრომით და ღუწით" [2]. აქედან სჩანს, ზაქარია მეფის ინტიმურ საქმეების რწმუნებულიც ყოფილა.

ცხადია, „მეფეთა მოძღვარი" ეკონომიურადაც გაძლიერებული იქნებოდა [3]. ერთი პამფლეტისტი საგანგებოდ აღნიშნავს ზაქარიას ეკონომიურ კეთილდღეობას და ზედმეტ ანგარებასაც უკიჟინებს. იგი უწოდებს ზაქარიას „ხარბს", „სულით, გულით და გონებით ანგარებას გარეულს", „ვერცხლის მხვეჭელს", რომელიც „განსუქნა, განსხვა, განზრქა" და „ვერ დაეტია ტანში". ვგონებთ, პამფლეტისტის სიტყვები არც ისე უნდა იყოს გადაჭარბებული. ზაქარია მეტად დაინტერესებული იყო თავისი პრივილეგიებით და ეს მალე დაამტკიცა იმ დიდ საეკლესიო მოძრაობაში, რომელიც მანვე ასტეხა. ეს იყო ანტონ I ქათალიკოზის დამხობის პროცესი, სადაც საბოლოოდ გამომჟღავნდა ზაქარიას გავლენიანობა.

ანტონ I-მა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ეკლესიის ორგანიზმის გათიშვას, მან გამოუცხადა ბრძოლა ეპისკოპოსების მიერ საეკლესიო მამულების თვითნებურ მმართველობას და შეუდგა თავის ხელისუფლების ცენტრალიზაციას. ალაგმა რა თანდათანობით უფლება ეპარქიალურ მმართველებისა, მონასტრების გამგეებისა, რომელნიც უკანტროლოდ განაგებდნენ საეკლესიო ქონებას და შემოსავალს, ანტონმა მალე ხელთ იგდო საეკლესიო ქონებათა მართვა გამგეობა და შეზღუდა იგი დამოუკიდებელ ხმარებისაგან. მან აგრეთვე გაბედული იერიში მიიტანა მემამულე თავადებზე, რომელნიც არ ერიდებოდნენ საეკლესიო მამულების სეკულიარიზაციას.

თავის საეკლესიო რეფორმებს ანტონი უმორჩილებდა სახელმწიფო ინტერესებს, ცენტრალურ აპარატს, რომელსაც დაუცხრომლად ებრძოდნენ ფეოდალები.

ქათალიკოზის ნაბიჯებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც ეკლესიურ ისე საერო ფეოდალურ წრეებში. ორი ენერგიული დაჯგუფება შეერთდა ოპოზიციურ პარტიად ანტონის წინააღმდეგ, ხოლო მათი ბელადობა თვით ზაქარიამ იკისრა. ამ ამბავს ერთი შემთხვევაც ზედ დაერთო. ცნობილია, რომ ანტონმა, როგორც ევროპის კულტურის ორიენტაციის მოღვაწემ, სხვა რეფორ-

[1] თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ა ლ ი ი ე ს ე ო ს ე ს შ ვ ი ლ ი ს ა. გვ. 39, 46, 47.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 14.

[3] ზ. მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი ს სიტყვით, ზაქარიას ეკონომიური გაღონიერების მიზეზი ისიც ყოფილა, რომ მას გამოუმჟღავნებია ცნობილი შეთქმულება პაატა ბატონიშვილისა ერეკლეს წინააღმდეგ (1765), რის სამადლობლად მეფეს მამულებით დაუჯილდოვებია (იხ. „ბ ე ს ი კ ი, 1886 წ. გვ. 5). მაგრამ მთაწმინდელის ცნობა სწორი არ არის, შეთქმულების გამომჟღავნებელი იყო არა ზაქარია, არამედ ვინმე მღვდელი—ქრისტესია (იხ. ა ლ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, რჩეული ნაწერები. 1879 წ. გვ. 103) ამ ხანისთვის ზაქარია უკვე ჩამოშორებული იყო სასახლეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მების შემოღებასთან ერთად გაილაშქრა ძველი აღზრდის სისტემის წინააღმდეგ. მან სცადა შემოეღო ევროპული საღვთისმეტყველო სკოლა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ბიზანტიური სკოლის მიმდევართა შორის. ევროპულ მეცნიერების ათვისების ნიადაგზე ანტონი დაუახლოვდა პაპის მისიონერებს და მათი ზეგავლენით მიიღო ეგრეთწოდებული „ფლორენციის უნია" — პაპის უპირატესობა, ანუ რომის პაპის უცოდველობა და (Filioque)[1]. ოპოზიციამ სწორედ ეს ფაქტი გამოიყენა ოფიციალურად. მხნე ზაქარიამ 1754 წ. გამოამჟღავნა ანტონის საიდუმლო უნიატობა და განგაში ასტეხა. აღშფოთებულ თეიმურაზ მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება ზაქარიას ენერგიული მონაწილეობით, კრებამ გამოტეხა ანტონი „გაფრანგებაში" და ორტოდოქსალურ ეკლესიის ღალატისთვის შესაფერად დასაჯა. ზაქარიამ არ დაინდო თავისი „კეთილმოქმედი". მისი დიდი მონაწილეობით ქათალიკოზს „ახადეს მადლი მღვდელმსახურებისა", ერთი ცნობით, განძარცვეს საბერო ტანისამოსი, მოხადეს საპატრიარქო ბარტყულა, შეკრიჭეს და თმაწვერი. მისი თანამზრახველი ზოგი დასაჯეს გაძევებით, ზოგი ქონების კონფისკაციით. თვით ანტონი გადასცეს სამოქალაქო მთავრობას საპყრობილეში ჩასასმელად. იგი 18 თვე პატიმრად იყო სოფელ კავთისხევში (S 3181). შემდეგ ანტონმა საჯაროდ მოინანია „ლათინთა წვალება" და მეორე კრების (1756 წ. 4 აპრ.) დადგენილებით გაძევებულ იქმნა რუსეთში.

ერთი სიტყვით, ზაქარიამ მოახდინა სრული გადატრიალება სასულიერო მთავრობისა, ანუ როგორც მისი ოპოზიციონერი ამბობს:

„იმ ხუცესმან, მავნებელმან,
„ვნებული ჰყო ქართლ-კახეთი"[2]

ერთი საბუთი გვიამბობს, რომ ზ. დიდი მღელვარება გამოიწვია ქართულ საზოგადოების ფართო წრეებში, „შვა უსჯულობა იგი სიძულვილისა, მოყვასთა და ძმათა თვისთა". ზაქარიამ როგორც გამოცდილმა დემაგოგმა ანტონის „გაფრანგების" საფრთხის საკითხი მასაშიც გადაიტანა. მდაბიო ფანატიკოსი ხალხი აღსდგა ზ. დაძახილზე და გაცოფებული მიესია უნიატებს. ზ. მიერ გამოყვანილმა დემონსტრანტებმა თვითგასამართლება მოუხდინეს ანტონის თანამგრძნობლებს[3]. მათ შორის ქუჩაში მოკლეს რამდენიმე ქალი, ხოლო ცილდაწამებული თვით მეფის თეიმურაზის მამიდა „ძაღლთა და მხეცთა მისაგდებლად" ქუჩა-ქუჩა ათრიეს[4]. ბრბომ უპირველესად ფრანგის მისიონერები არ დაინდო. ზაქარია ბრბოს ასე აქეზებდა: „ფრანგების დახოცვა და მათი ლუკმა-ლუკმა დაკეპვა ცოდო არ არისო".

---

[1] რომის ეკლესიის აღიარებით სულიწმინდის ძისაგანაც გამომავლობა.

[2] S 1512. გვ. 969—963; „ი ვ ე რ ი ა" 1879, № 7—8.

[3] მათ შორის ზ. დაამხო რამდენიმე გავლენიანი ეპისკოპოსი, საქვეყნოდ გაკიცხა ერეკლეს დაჲ ანა ბატონიშვილი, რომელიც სიმპატიას იჩენდა ანტონის ჯგუფისადმი. დასაჯა ანტონის მიმდევარი ი ო ა ნ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი—ცნობილი ფილოსოფოსი და სამეფოს მდივანბეგი: „სრულ ხელი ააღებინა სახლსა და არე მარეზე", დააპატიმრა და შემდეგ გააძევა საქართველოდან.

[4] „ი ვ ე რ ი ა", № 1879 № 7—8.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი ენერგიული დაკვრით ზაქარიამ გაანადგურა ანტონის პარტია და ცდა მისი რეფორმებისა. თუ რა ცხარე ბრძოლა უწარმოებია ზაქარიას და მის მიმდევართ ანტონის წინააღმდეგ მისი განდევნის შემდეგაც, ამას ჰმოწმობენ თვით რუსეთში მყოფი ანტონის სიტყვები: „მგონებელთა უკვე ქართველთა ჩემდა იონა ყოფად ჰგონეს და ცხრობა საქართველოსა ზედა აღძრულთა მათ ღელუათა და პერათა რისხვისა ღვთისათა და გამოიღეს წილი ზღვასა შინა შთაგდებად ჩემდა, გარნა შთაგდებასაცა მყის არა დაჰსცხრეს და არა დაყუდნეს ქარნი და ღელუანი განსაცდელთანი“-ო.

ანტონის დაცემის შემდეგ ზაქარიას ოფიციალური მდგომარეობა უფრო განმტკიცდა. მტრების ჩამოშორების შემდეგ დიქტატორი შეუდგა ეკლესიის „გამოჯანსაღებას“. მან შემოიყარა კონსერვატული ელემენტები სამღვდელოებისა სამოქმედოდ და ახალი ნომინალური ქათალიკოსიც თვითონ გამოარჩია:

„ქართლსა და კახეთს მოძებნა,
იპოვნა ერთი უცები,
ქათალიკოსად დაგვისვა,—
გაჰკვირდენ ბერი, ხუცები“.

როგორც გადმოგვცემს განდევნილი ოპოზიციონერი.

ამიერიდან უზრუნველყოფილი იყო ზაქარია მოძღვრის ავტორიტეტი. კარიერის განმტკიცებასთანვე, მან გახსნა საფილოსოფოსო სკოლა მეტეხში და სცადა „სიახლე“ შეეტანა საეკლესიო ლიტურგიულ გალობაში:

„მიმოშლად იწყო გალობა,
ქართულს ენაზე თქმულები.
ხმაც შეშალა და გალობაც,
ჩაურთო შიგ სპარსულები“...

ერთი სიტყვით, როგორც ზაქარიას პამფლეტისტი ამბობს: „საქმენი ჰქმნა „ცხოვრებაში“, ე. ი. ისტორიაში დასაწერი. ანტონის დამხობის აქტი მარტო საეკლესიო ამბავი როდი ყოფილა. იგი იმავე დროს ძლიერი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტიც იყო. რადგან თავისთავად ეკლესია ფეოდალური სისტემის სახელმწიფოში დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაცია იყო და თვით კათალიკოზი იერარქიულად მეფის თანატოლი პიროვნება იყო, აქედან ცხადი ხდება ზაქარია გაბაშვილის ავტორიტეტი. მაგრამ ისტორია მალე გამეორდა. მოახლოვებული იყო კრეატურის დამხობაც. იშლებოდა ახალი ეპოპეა. 1762 წ. პეტერბურგში გარდაიცვალა თეიმურაზ მეორე და ქართლკახეთის მეფედ გამოცხადდა ერეკლე მეორე. იგი არ თანაუგრძნობდა მამას ანტონის დამხობის საკითხში. როგორც შორგამჭვრეტელი და გამჭრიახი ადამიანი, იგი ცდილობდა სახელმწიფო მმართველობის ევროპიეზაციას რუსეთის გზით. ცხადია, მისი და ანტონის სიმპატიები მეტად ახლოს იყო. და ერეკლემ სამღვდელოების დაუკითხავად დაუყოვნებლივ მისწერა ანტონს, რათა იგი რუსეთიდან დაბრუნებულიყო და მასთან ერთად სახელმწიფო ტვირთი გაეინაწილებინა: „შენი ამ ქვეყნიდამ დაკარგვა ჩვენ უნდა დაგვემძიმოს, ვისაც ჭკუა აქვს. მე უშენოდ ვერ ვიქნები“—სწერდა ანტონს ჯერ კიდევ მისი ახალ განდევნის დროს. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარებული ანტონი დაბრუნდა 1763 წ., ხოლო 1764 წ. 5 მარტს ისევ აღადგინეს საქართველოს ეკლესიის მეთაურად.

დადგა რევანშის დრო. უფლება აღდგენილი პატრიარხი სასტიკად უნდა გამკლავებოდა იდეურ მტრებს და უპირველესად ზაქარიას, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ რუსეთიდან სწერდა თანამგრძნობელთ: „იმედი მაქვს, რომ დღენი თუ გაგრძელდენ, თითონ ის ჩამოეკიდება მისივე ხელით გამზადებულ სახრჩობელაზეო[1]". ამ განზრახვაში ანტონს ხელს უწყობდა თვით ერეკლე, რომელსაც ზაქარია „არა უყვარდა"[2]. ანტონის ჩამოსვლისთანავე მეფესთან შეთანხმებით, ზაქარიაზე „განუკითხველად და ულაპარაკოდ განაჩენი დაწერეს და სახლკარი წაართვეს" და მღვდელმოქმედება აღუკრძალეს. ასევე გაუსწორდნენ ზაქარიას თანამზრახველთაც, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო.

გამწარებულმა ზაქარიამ ახლა აღარც მეფე დაინდო და იგიც „მწვალებლად" და „სჯულის დამთურგვნელად" გამოაცხადა. მეფე მოერიდა განხეთქილებას. მაგრამ მოძღვარი გადავიდა იმერეთში და სასტიკი აგიტაცია დაიწყო მეფისა და ქათალიკოსის წინააღმდეგ, როგორც „მწვალებლებისა". რამდენიმე ხნის შემდეგ ერეკლემ და ანტონმა ზაქარია დააბრუნეს და შესარიგებლად მოციქულებიც მიუგზავნეს. მაგრამ ზაქარიამ სასტიკი უარი შეუთვალა. მაშინ სიონის ტაძარში შემოსილმა ქათალიკოსმა წირვის დროს დაიჩოქა და მთრთოლვარე ხმით ¡წარმოსთქვა: თუ ¡მე ვიყო მწვალებელი, აზრით და გონებით მომხრე ლათინთა სარწმუნოებისა, ვიყო წყეული, კრული, შეჩვენებული სულით, ხორცით და საფლავითო, და უკეთუ ცილისწამებით მაბრალებდეს მე ზაქარია ხუცესი,—იგი დაიწყევლოს ამ შეჩვენებითო. ამ სიტყვების შემდეგ, როგორც ერთი გადმოცემა ამბობს, ანტონმა სახალხოდ შესთხოვა ზაქარიას, რათა მას გაეფანტა უმართლო ეჭვი და ნება მიეცა შესარიგებელ ამბორისა; მაგრამ ზაქარიამ არ უპასუხა და მისგან პირიც მიიბრუნა[3]. ხოლო „განჩინება ზაქარიაზე" გადმოგვცემს, რომ ამის შემდეგ მან, „ეშმაკეულმან წარმოსთხია კვალად სიმყრალეი თვისი" და პირიქით შეაჩვენა ანტონი და მისი მომხრეებიო.

მაშინ მღვდელმთავართა კრებამ დაადგინა, რაკი „უკეთურმა ხუცესმა" არ შეიწყნარა ქათალიკოზი და მწვალებელი უწოდა თვით მეფეს, ამიტომ იგი, როგორც ცილისმწამებელი და „ქრისტეს სავენახეს გამრყვნელი", „ეკლესიის აღშფოთებისა და განხეთქილებისათვის საქართველოჲსა ეკლესიისა ზედა აღდგომისათვის და მწვალებლად წოდებისათვის მისისა და მრავალთა მათ უკეთურებათა მისთა", განკვეთილ იყოს მღვდლობისაგან, შეჩვენებულ, შეკრული და დაწყევლილიო.

ბოლოს შეიპყრეს და კრებაზე მიიყვანეს, სადაც ზაქარია „ზვაობით და დაუმდაბლებლად" უპასუხებდა თავისს მტრებს. მან კრებაზედ კიდევ განაცხადა საჯაროდ ბრალდება მეფისა და პატრიარხისადმი.

---

[1] თუმცა იმავე დროს ზაქარიასგან დაშინებული ეფიცებოდა „პირველ სიყვარულს სულიერ მამობას და ძეობას განუკვეთელს და მეგობრობას განუყრელს". იხ. 1512.

[2] იხ. S 3181. (პლატონ იოსელიანის ცნობა)

[3] А. Муравьев, Грузия и Армения, III, გვ. 18—19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია არ ცხრებოდა. მაშინ „მაგინებელი მეფისა“, „გონება იგი ასურასტნელი, ღმერთოცნებული თავისაგან თვისისა“, საბოლოოდ გაიმეტეს და განკვეთეს, შეკრიჭეს, წაგვარეს ცოლშვილი, წაართვეს ქონება, მამულები. ასევე გაუსწორდა ხელისუფლება მისს მომხრეებსაც, რომელთაც თმა და წვერი დაკრიჭეს და მონასტრებში ჩაკეტეს. ერთი სიტყვით, გამეორდა ის თეატრალური სანახაობა, რაც რამდენიმე წლის წინათ თვით ზაქარიამ მოუწყო „თავის სულიერ ძეს“. ამ რიგად ქართველი კონსერვატორების პარტია დამარცხდა და მოხდა სასტიკი გასწორება.

დამარცხებული ფავორიტი მაინც არ ღალატობს თავისს პოზიციებს. მან მოახერხა მონასტრის ვიწრო სენაკიდან თავის დაღწევა და ჩუმად გაიპარა იმერეთს „სივერაგითა“, თითქოს მეფემ მისცა ნებართვა წასვლისა. „წარვიდა სხვად სამეფოდ ამისთვის, რათა ეკლესია საქართველოისა კეთილმსახურით მეფითურთ მწვალებლად გამოაცხადოს“ (S 31721). მაშინ ქართლ-კახეთის მთავრობამ გაძევებული ზაქარია კანონს გარეშე გამოაცხადა.

იმერეთიდან ზაქარიამ რუსეთში წასვლა გადასწყვიტა და იქ ძლიერი მფარველის შოვნა სინოდის სახით. თავის განდევნას ზაქარია ასე აგვიწერს ლექსად:

„წიგნი დასდევს ქუფრი ბინდი,
მითხრეს: აღიარე ინდი.
ფრანციცულად გაღიღინდი,
თორემ გაგძრცვით, ვით სიმინდი!
პაპის სჯულზედ მე შევწყინდი,
იყო სულის წარმაწყმინდი.
მითხრეს: რადგან დაგვიყინდი,
ოვსეთის მთას გარდაფრინდი!

„მოიპარსა რა ნიკაპი,
მით უარ ვყავ ქოსა პაპი,
აღმაფრინეს, ვით რომ ლაპი,
აღმათრივეს მწვირე, ტლაპი.
რაც მებადა, უყვეს ყლაპი,
გამომაძეს შიშველ ღლაპი“.

1767 წ. ზაქარია ჩავიდა ყიზლარს, საიდანაც წინასწარ მოქმედება დაიწყო ანტონის წინააღმდეგ რუსეთის დიდგავლენიან სასულიერო წრეებში. ერეკლემ და ანტონმა გადასწყვიტეს მისთვის გზა თავშივე მოეჭრათ. მათ რუსეთში აცნობეს, რომ ზაქარია „ღირსად და სამართლად განიკვეთა, მღვდელობისაგან შეიჩვენა და ანათემა იქმნა.“ და როგორც „უკეთურს“, და „ბოროტ განმსჯელს“, ნუ მიუშვებთ სამღვდელო მოქმედებაში, ნუ შეიწყნარებთ, როგორც ქრისტიანეს“, რადგან „ყოვლისაგან ქრისტიანეთა მადლისაგან შიშველი არისო“ [1].

---

[1] მეფისა და ქათალიკოზის რისხვა ზაქარიას მიმართ იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ თვით XIX საუკ. 40-იან წლებში რუსის მწერალ-არქეოლოგ მურავიოვს შეუნიშნავს: „გაბაშვილების გვარი დღესაც არასაიმედოდ ითვლებაო“. (Грузия и Армения. III, стр. 19—26).

ამ მხრივ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ განდევნილ ზაქარიას შთამომავლობა მხოლოდ 1826 წელს დაბრუნდნენ თბილისში, როგორც ერთი წიგნის შემდეგი მინაწერი გვამცნებს: „ეს იოანე მოციქულის გამოცხადების თარგმანი მოვიყიდე მე ანტონიმ არხიდიაკონმან ურ'ის კონსტანტინე გაბაშვილისაგან 1826-სა წელსა, ივნისის 4-სა. ამ რიცხვშიდ გადაესახლნენ ესენი იმერეთიდან ტფილისშიდ“. გვ. 209.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარიამ მაინც ჩააღწია მოსკოვსა და პეტერბურგს (1768 წ.), იჩივლა სინოდის წინაშე და კიდევ ახალი საბუთი წააყენა ანტონის პაპისტურ „ბოროტმადიდებლობის“ შესახებ (ანტონის ერთი ეგზეგეტიკურ შრომის შესახებ) და ცრემლით მოითხოვდა თავის უფლებებში აღდგენას. მან სამი წელი დაჰყო რუსეთში და მიუხედავად ავადმყოფობისა და სიღარიბისა, ენერგიულად განაგრძობდა თავის რეაბილიტაციას. ამ დროს კი რუსეთს თავისი პოლიტიკური ანგარიშები ჰქონდა ერეკლესთან. ამიტომ ყურადღება არ მიაქციეს ზ. დოგმატურ დისკუსიას. სინოდმა იგი არ შეიწყნარა და 1770 წ. უბრძანა დანაშაული მოენანიებინა ანტონის წინაშე.

მაშინ იმედგაცრუებული ფანატიკოსი მოსკოვში მცირე ხნით შეეხიზნა ვახტანგს VI-ის ოჯახს, რომელსაც დინასტიური მტრობა ჰქონდა ერეკლესთან, ხოლო იქიდან 1771 წ. ჩავიდა იმერეთში სოლომონ პირველთან, რომელიც აგრეთვე უთანხმოებაში იყო ქართლ-კახეთის მფლობელთან.

რუსეთიდან დაბრუნებულ ზაქარიას შესახებ დაწვრილებით აღარა ვიცით რა, იმის გარდა, რომ ქართლ-კახეთის საერო და სასულიერო მთავრობის ეს დაუძინებელი მტერი ცხოვრობდა ქუთაისსა და გელათში, სადაც კიდეც დასაფლავდა[1].

---

[1] 1772 წ. ზაქარია უკვე ქუთაისში სჩანს. ამ წელს, 15 თიბათვის თარიღით ხოჯავაანთ მღვდელს იოვანეს თავისს დღიურში შეუტანია: „ბატონიშვილი ალექსანდრე (სოლომონ პირველის ვაჟი. გ. ლ.) და ზაქარია მოძღვარი ვნახე“, H 2782.

1780 წ. 26 მაისს ზაქარია ჯერ კიდევ ცოცხალია. ამ წელს მას დაუწერია ვანის ეკლესიის წიგნი და სიგელი (იხ. ცენტრარქივის სიგ. ფ. № 2232).

პლატონ იოსელიანის ცნობით, ზაქარია გარდაიცვალა 1780 წლ. ახლო და მარხია თბილისში, ვერის „ლურჯ-მონასტერში“ (იხ. Описание Тифлиса, გვ. 39).

იოსელიანის ცნობის თანახმად გამოდის, რომ ზაქარია დაბრუნებულა თბილისში, ე. ი. შეჰრიგებია თავისს მტრებს. მაგრამ ეს ცნობა მცდარია. სცდება ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ც, როცა ამბობს, სინოდისგან ნაპატიები ზაქარია ანტონმა აღადგინა თავისს ხარისხშიო. იხ. (Известия Моск. имп. арх. общ., III, 145. 1913. წ.) ზაქარიას შვილის ო ს ე ს წერილებიდან მტკიცდება, რომ ზაქარია აღარ დაბრუნებულა თბილისს, არამედ გარდაცვლილა იმერეთს და მარხია გელათში. „სრულად სოფელი დაუტევე და გაენათის მონასტერსა მივმართე და დავესადგურე, მუნ დამარხვა მენება მ ა მ ა ზ ა ხ ა რ ი ა ს თ ა ნ“-ო—სწერს იგი რუსეთიდან ანნა დედოფალს. „კალმასობის“ ავტორიც დასძენს, რომ „ზაქარია მოვიდა იმერეთს და მუნ განისვენა“-ო H 2134.

1888 წელს გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა:

„განსვენებულს პლატონ იოსელიანს დარჩა დიდძალი საისტორიო მასალა. ამათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავია რამდენიმე ძველი სიგელ-გუჯარი, სამეფო განჩინება, საეკლესიო გარდაწყვეტილება და სხვანი. ეს მასალები შეეხება საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების ისტორიას, ანტონ კათოლიკოზის მოქმედებას, ზ ა ქ ა რ ი ა მ ღ ვ დ ლ ი ს ა გ ა ნ შ ე დ გ ე ნ ი ლ ს დ ა ს ს, რომელიც ანტონ კათოლიკოზის წინააღმდეგ იბრძოდა და რომლის წყალობითაც ანტონ კათოლიკოზი ჯერ დააპატიმრეს და მერე რუსეთში განაძევეს. სხვათა შორის ნაამბობია, თუ რა განსაცდელი დააყენა ანტონის მიერ ნათარგმნს „ორმოცი მოწყალეს“ მ ა შ ი ნ დ ე ლ მ ა სასულიერო ცენზურამ, რომელსაც წიგნი აღუკრძალავს.

იმავე მასალებში მოხსენებულია ანტონის საქართველოში დაბრუნების ისტორია, ზ ა ქ ა რ ი ა მღვდლის განკვეთა და მღვდლობიდგან გადაყენება. იქვე მოყვანილია ზ ა ქ ა რ ი ა მღვდლის საჩივარი ანტონ კ ა თ ო ლ ი კ ო ს ს ზ ე; ეს საჩივარი გ ა ბ ა შ ვ ი ლ ს რუსეთის სინოდში გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ა ქართულად დ ა წ ე რ ი ლ ი. ყ ვ ე ლ ა ე ს ძ ვ ი რ ფ ა ს ი ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ა ს ა ლ ა ტ ფ ი ლ ი ს ი დ გ ა ნ ბ-ნს მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ს წ ა უ ღ ი ა პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ს. ეს ძ ვ ი რ ფ ა ს ი მ ა ს ა ლ ა პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს ს ი კ ვ დ ი ლ ი ს შ ე მ დ ე გ ხ ე ლ შ ი ე რ თ ს მ ე წ ვ რ ი ლ მ ა ნ ს ჩ ა ვ ა რ დ ნ ი ა, მ ე რ ე ს ა ბ ი ნ ი ნ ს შ ე უ ძ ე ნ ი ა“. (№ 138).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**

ჩვენ გავიცანით ზაქარია გაბაშვილი მძლავრი პიროვნება პატივმოყვარე და ნიჭიერი კარიერისტი, პოლიტიკანი და ცეცხლიანი დემაგოგი, მაგრამ არ გვითქვამს, რომ იგი იყო „მშვენიერი მწერალი და მთხზველი მალალსა ფრასსა ზედა, უცხო პიიტიკოსი“[1].

მართლაც ზაქარია გაბაშვილი, როგორც მე-XVIII საუკ. ნიჭიერი სატირიკოსი ყურადღების ღირსია. მან დასწერა ორიგინალური სატირა „კატისა და თაგვთა ბრძოლა“[2], რის სიუჟეტად გამოყენებულია ანტონის დამხობის ფაქტი.

„ესე ოდენ მშვენიერად უთქვამს ეს ლექსნი, რომელ ყოველთა საქართველოს პირველთა მესტიხეთა დიდად მოსწონთ და უკვირთ“-ო ასე აფასებს ამ პოემას ძველი მწერლობის დამფასებელი თეიმურაზ ბატონიშვილი.

ეს პოპულარული პოემა საყურადღებოა ჩვენს მწერლობაში, აგრეთვე როგორც ლიტერატურული გალაშქრება ევროპულ ტენდენციების წინააღმდეგ:

„ციცავ, კუდი რა გიქნია,
საფრანგეთის სწორე ფასი“.
„კატავ ფრანგულო, ომის მსწავლულო,
თაგვთაგან წყლულო...“[4]

დასცინის ბიზანტიური სკოლის ქართველი კონსერვატორი ფლორენციელ უნიატს. ეს პოემა ჯერ შესაფერად შეუსწავლელია, ვიდრე კი მის სასარგებლოდ ვიტყვით, რომ აქ ავტორი ცნობილი საეკლესიო რიტორი ღალატობს თავის სოციალურ ჟარგონს. პოემაში მას მკვდარი სქოლასტიკური მეტყველების ნაცვლად შემოაქვს ცოცხალი ენა, ანუ როგორც ერთგან აქვს ნათქვამი, იგი სწერს „მდაბიურთა ენათა ზედა“. სწორედ ამაშია ზაქარია გაბაშვილის მხატვრული მწერლობის ღირსება.

ამ შემთხვევაში ზაქარია გაბაშვილი მარტო დოგმატური მტერი არა ყოფილა ანტონ ქათალიკოზისა.

ამის შემდეგ თვალსაჩინო ხდება ჩვენთვის ბესიკის ოჯახის ლიტერატურული ტრადიციები. ბესიკთან ერთად სამწერლო სარბიელზე ზაქარიას ოჯახიდან კიდევ ცნობილი იყო:

---

[1] № 2134; ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, 1. გვ. 35.

[2] S №№ 303, 395, 1438, 1553, 3189, 3704, 3723. ზოგნი ამ სატირას ზაქარიას მოწაფეს—ისაკ მცირეს მიაწერენ, მაგ. თეიმურაზ ბატონიშვილი („სტიხნი კატისა და თაგვთა ბრძოლა თქმული ბერისა ვისგანმე ისაკ-მცირისა, რომელიც მეფის თეიმურაზის II-ს ჟამს ყოფილა“. A 1091, გვ. 100), დავით რეკტორი (S 1512) აგრეთვე ხელნაწერები: A, №№ 891, 1164; საქ. ცენტრარქივის ხელნაწ. 201, S 3723 და სხვ. ჩვენის აზრით, ისაკ მცირის ავტორობის საკითხი ლიტერატურული მისტიფიკაციის ამბავს უნდა წარმოადგენდეს. ჩვენის დაკვირვებით, ისაკ მცირეც ზაქარიას ახლობელი, გვარად გაბაშვილი უნდა ყოფილიყო.

ზ-ს პოეტური მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოღწეულია ზოგი ლექსებიც: ა) „თხოვანი ღვთისა მიმართ, ანუ განზრახვანი“—ექვს ნაწილად; ბ) „სვინდისის ლოცვა“: გ) თქმული თორმეტს ეტლზედ,—რომელი არიან ზოდიაქონი ანუ ბურჯნი“, ოთხ ტაეპოვანი; დ) „სულთ სატრფონი, სამოვნონი, საზენონი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ო ს ე ბ, ა ნ უ ო ს ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი—ავტორი პოპულარული „ანბანთ ქებისა ბატონიშვილის ელისაბედის სამქებრად[1].

თანამედროვეთა შეფასებით იგი დაწერილია სიტყვის დიდი ჟონგლიორობით ანუ „საკვირველის პიიტიკოსობით". ხსენებული ოდა თითქმის სავალდებულო ელემენტი გახდა XVIII—XIX საუკ. პირვ. ნახ. პოეტურ ანტოლოგიებისთვის (A 1091). საინტერესოა აგრეთვე ოსეს მიმოწერა იმერეთის დედოფალ ანასთან[2].

ნ ი კ ო ლ ო ზ გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი—„შესხმათა შემთხზველი", ცნობილი „მეცნიერის" სახელით (H 2134). ზაქარიას ძმისწული.

*
* *

ბესიკის დროს გაბაშვილთა გვარიდან ლიტერატურულ ასპარეზზე ცნობილ იყვნენ აგრეთვე:

მისი ბიძაშვილი, ზაზას ასული მ ა ი ა გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი,—ავტორი შაირებისა და ზმა—გამოცანებისა (S, 1582, გვ. 32—40; H 1193) და ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ცნობილი მოგზაურობის ავტორი, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, რომელმაც ანტონ ქათალიკოზს ბერად აღკვეცა შთააგონა.

---

[1] H, № 394 და სხვ. ბესიკის უფროს ძმას ი ო ა ნ ე ს (შემდეგ მიტროპოლიტი) 1779 წ. როცა იგი იერომონახი ყოფილა, დაუწერია: „ს ვ ი ნ დ ი ს ი ს ა მ ი მ ა რ თ გ ა ნ ბ ჭ ო ბ ა" (A 609).

[2] ო ს ე ს მ ი მ ო წ ე რ ა იმერეთის დედოფალ ანასთან დაცულია სამეცნიერო აკადემიის საბჭოთ მუზეუმში, საიდანაც ნაწილობრივ გადმოვწერე 1928 წელს (სრულიად გადმოღებული და დაბეჭდილი, თუმცა ჯერ გამოუცემელი, აქვს პროფ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს, რომელსაც ანაბეჭდების თხოვებისათვის დიდათ ვმადლობ).

1939 წელს ოსეს რამდენიმე წერილი თავის ასულისადმი და დედოფალ ანასადმი, შეძენილ იქმნა ჩვენს მიერ საქ. სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესიკის ყრმობა და სიჭაბუკე

* *

ბესარიონ გაბაშვილი 1751 წელს დაიბადა[1].

ბესიკი მეფის ფავორიტის კალთაში იზრდებოდა. პოეტის მამა ქართული ეკლესიის დიდგავლენიან პირად და სასახლის ახლობელ ადამიანად ითვლებოდა.

სხვა კონკრეტული ცნობები ბესიკის ბავშვობის შესახებ, არ მოგვეპოვება, მაგრამ ერთი უტყუარი უნდა იყოს, რომ ბესიკის აღზრდას თვით მისი მამა ზაქარია ხელმძღვანელობდა.

XVIII საუკუნის პირველნახევარში მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში მეტად დაბალ დონეზე იდგა. ჯერ კიდევ ბატონიშვილი ვახუშტი ნაღვლიანად შენიშნავდა: „არს ჟამი რაოდენიმე, არღარა ისახელების ცოდნა, თვინიერ წიგნის კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამხედროსაგან კიდე და ჰგონებენ დიდ მცოდინარობად" (გეოგრაფიული აღწერა, 36). მაგრამ ბესიკის ბავშვობის წლები სწორედ მით არის შესანიშნავი, რომ ამ დროისთვის სწავლა-აღზრდის საქმეში დიდი გარდატეხა ხდება და თბილისში ეწყობა ევროპული სკოლა ანტონ I ქათალიკოსისა, სადაც ღვთისმეტყველებასთან ერთად ასწავლიდნენ: გრამატიკას, ისტორიას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, მეტაფიზიკას, ლოღიკას, დიალექტიკას, არისტოტელის კატეგორიებს, ვოლფის ფიზიკას და ბაუმეისტრის ფილოსოფიას. რასაკვირველია, აქ აღზრდის ტრადიციის სისტემიდან შედიოდა: კანონები და დამწერლობა, პიიტიკა და რიტორება, მწიგნობრობა და მთარგმნელობა და შეძლებისამებრ „უცხოური ენა და წიგნი".

ვფიქრობთ, ბესიკი უნდა ასცდენოდა ანტონის სკოლას[2]. საერთოდ კი აღზრდისათვის ხელსაყრელი პირობები უნდა ჰქონოდა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ

---

[1] ბესიკის დაბადების წლის საბოლოო დადგენა შესაძლო გახდა მას შემდეგ, როცა თვით ბესიკის ავტობიოგრაფული მინაწერი აღმოჩნდა. ბესიკის ავტოგრაფის აღმოჩენა ჩვენ გვეკუთვნის (1921 წელს). ჩვენი მითითებით, 1922 წ. იგი გამოაქვეყნა სერგი გორგაძემ (ის გაზეთ „ბახტრიონი № 1). ესიყო ბესიკის ავტოგრაფის პირველი აღმოჩენა.

[2] პოეტის ბიოგრაფის ზ. მთაწმინდელის (ზაქარია ჭიჭინაძის) სიტყვით, ბესიკი აღიზარდა თავის მამასთან. მის შემდეგ თბილისის საქათალიკოზო სკოლაში სწავლობდა. სკოლაში კარგახანს დარჩენილა. აქ შეუსწავლია ქართული წერა-კითხვა, სპარსული ენა მწერლობა და სხვა საგნებიც (ბესიკი, გვ.. 1) ვფიქრობთ, ბესიკი ანტონის სკოლაში არ უნდა მოხვედრილიყო. ანტონის სკოლა გაიხსნა 1755 წელს. ჯერ ერთი, იგი მოზრდილთათვის ყოფ განკუთვნილი, მეორეც, სკოლა დაიხურა ანტონის განდევნისას (1756 წ.) მისს რუსეთიდან ჩამოსვლამდე (1765 წ.) როცა ბესიკი 5 წლ. იყო და მესამე—ბესიკი ამ სკოლაში არ იქნებოდა, რადგან მისი მამა ზაქარია გაბაშვილი ამ სკოლის პრინციპიალური მტერი უნდა ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარიას, საკუთარი ფილოსოფიური სკოლა ჰქონდა გამართული, სადაც მრავალი ქართველი სწავლობდა „წარმატებულად ხედვითთა შინა ფილოსოფოსობათა". ცხადია, ზაქარია გაბაშვილი თავის შვილების აღზრდასაც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდა. ჩვენის მხრით უნდა დავადასტუროთ, რომ მართლაც, ზაქარიას შვილები მაღალი განათლებით ყოფილან აღჭურვილნი. ბესიკთან ერთად, მეორე ძმა ოსე ცნობილია, როგორც დაუცხრომელი კალიგრაფი, მხატვარი და პიიტიკოსი.

მაშინდელი სასკოლო დისციპლინის მიხედვით, ყრმა ბესიკის გონებრივი წურთვნა უმთავრესად რელიგიური გზით უნდა წარმართულიყო. ბესიკის პოეტური ტექსტებიდანაც ჩანს, რომ მან შესანიშნავად იცოდა ბიბლია, საღვთისმეტყველო მწერლობა და სქოლასტიკის ენა. ბოლო პერიოდში ბესიკი თვით სწერდა ძველ-საეკლესიო ჰიმნოგრაფების ოსტატობით.

გავიხსენოთ, რომ ზაქარიას ოჯახი უპირველესად, „მ დ ი ვ ა ნ მ წ ი გ ნ ო ბ რ ი ს" ოჯახი იყო. მისი შვილებიც, ბესიკი და ოსე შემდეგში მეფეთა კარზე ასრულებდნენ ამ თანამდებობას. მდივან-მწიგნობრები კი სპეციალურ სამწერლო აღზრდას იღებდნენ. ეს გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, როცა ბესიკის აღზრდაზე გვიხდება ლაპარაკი.

ბესიკს შესანიშნავად სცოდნია ძველი ქართული მწერლობა. ამას თვით ბესიკის შემოქმედება გვიდასტურებს. ამიტომ დამაჯერებელი უნდა იყოს „კალმასობის" ავტორის ცნობა, რომ ბესიკს, ქართული სიტყვის მდიდარ რიტორს, თითქმის ზეპირად სცოდნია სულხან-საბა-ორბელიანის მაშინდელი ერთად-ერთი ქართული ლექსიკონი: „მოუთხრობენ ამისთვის, რ ო მ ე ლ ს ც ო დ ნ ო დ ე ს ზ ე პ ი რ ა ვ მ თ ლ ა ვ ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი ქ ა რ თ უ ლ ი"-ო[1]. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან, ბესიკი არა ერთხელ იხსენიებს ვეფხისტყაოსნის, როსტომიანის, ამირან-დარეჯანიანის და ვისრამიანის გმირებს.

რაც შეეხება ბესიკის მიერ სპარსული ენის ცოდნას, უნდა ითქვას, რომ სპარსული ენა თითქმის სავალდებულოდ ითვლებოდა მაშინდელს კარის უმაღლეს საზოგადოებაში და ამ ენის შესწავლა ბესიკს თავის ოჯახშივე შეეძლო. აკი ზაქარიას კიდევაც უსაყვედურებდნენ სპარსოფილობას, როცა ბრალს სდებდნენ, რომ იგი „სპარსულ" ჰანგებს სწყალობდა თვით ქართულ ლიტურგიულს გალობაში (იხ. ზემოდ). რაც არ უნდა გადაჭარბებული იყოს ზაქარიას პოლემისტის სიტყვები, იგი გვანიშნებს ბესიკის მამის ოჯახში დაცულს სპარსული სტილის ტენდენციებს. ამ შემთხვევაში გასახსენებელია აგრეთვე ბესიკის ელჩობაც სპარსეთში (1779 წ.), რაც იმის დამადასტურებელია, რომ ბესიკს რამდენიმედ მაინც უნდა სცოდნოდა სპარსული ენა.

ბესიკის ესთეტიური კულტურისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ძველი ფილოსოფოსების და ძველ-ბერძნული მითოლოგიის ცოდნაც. ბესიკის ლექსებში არა ერთხელ გვხვდება: არისტოტელი, პლატონი, პროკლე, დიოღენ, ისევე რო-

[1] ცნობილია, რომ ბესიკის ლექსებში ფილოლოგიური ერუდიციის ტვირთი დიდია და მისს პოეზიაში, ისევე, როგორც დავით გურამიშვილის ლექსებში, საბას ლექსიკონის სიტყვობრივი გავლენა შესამჩნევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც უმიროსი (ჰომეროსი) და მისი გმირები: ახილევი, ღეკტორი, პრიამი, ტროილი, ორესტი და სხვა.

მაგრამ რაც მთავარია, ბესიკი თავისი საუკუნის განათლების მაღალს დონეზე მდგარა. იგი გვევლინება XVIII საუკუნის ქართულ ინტელექტუალურ წრეების წარმომადგენლად, რაზედაც დაწვრილებით ვილაპარაკებთ შემდეგ, როდესაც მისი ცხოვრების მეორე ნახევარში გადავალთ. ეჭვი არაა, ნიჭი და ჭკუის სიმკვირცხლეც ხელს შეუწყობდა ბესიკს ფილოსოფიური წვრთნილების მისაღებად. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვენი მეტად მაღალის აზრისანი არიან ბესიკის კულტურაზედ. პოეტის მეგობართაგანი სულხან ორბელიანი ერთს ეპისტოლეში მას მიჰმართავს, როგორც ერუდიტს.—„სიბრძნით სრულს, ბუნებით-მეცნიერებით გონება კეთილოვანს“[1]. ანონიმი მგოსანი ბესიკს უწოდებს „გონება სრულს, ცნობით შენასრულს“[2], ხოლო იოანე ბატონიშვილიც გვიდასტურებს, რომ ბესიკი „მეცნიერებასა შინა გამოცდილი“ იყო[3].

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ზაქარია მეფეთა მოძღვარი იყო, მისს ძმას დავით გაბაშვილს სასახლის სუფრაჯის სახელო ეჭირა[4], ხოლო მისს ბიძას პაპუნას ბაზიერთ-უხუცესის თანამდებობა და ბუნებრივია, რომ სასახლესთან დაახლოვებულ ზაქარიას შვილებიც კარისკაცის კარიერისთვის ემზადებოდნენ. ბესიკის შემდეგი დროის ბიოგრაფიული ფაქტებიც გვიმოწმებენ, რომ პოეტი პრაქტიკულ ასპარეზზედაც იღვწოდა, როგორც სახელმწიფო მოღვაწე.

**

საკითხავია, ვინ უნდა ყოფილიყო ბესიკის პოეტური სიტყვის პირველი გამლვიძებელი და ხელმძღვანელი? ამ შემთხვევაში, ცხადია, ისევ მის ოჯახს უნდა მივაკითხოთ, რომელიც, საკმაო ლიტერატურული რეპუტაციით სარგებლობდა. ვიცით, რომ ზაქარიასთან ერთად ბესიკის უფროსი ძმა ოსეც პიიტიკოსი იყო, ისევე, როგორც ამ ოჯახის ახლო წევრთაგანი ისაკ მცირე (ჩემის ცნობით გაბაშვილი, ძმა ანუ ძმისწული ზაქარიასი) „მშვენიერი მესტიხე და ღრამატიკოსი“. უეჭველია, ამ სამებას უნდა შეეწყო ხელი ბესიკის პირველ პოეტურ ცდებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ისეთი ოჯახები, როგორიც ზაქარიას ოჯახი იყო, ავშვთა აღზრდაში დიდ ყურადღებას აქცევდნენ რიტორების და ღრამატიკის კლასს. ეჭვი არაა, ბესიკიც ვერ ასცდებოდა ამ გზას და პოეტური ტექნიკა მას სკოლაშივე უნდა აეთვისებინა, ხოლო მისი პირველი პოეტური ნიმუშები, უნდა წარჩინებულ პირთა „შესხმა“ და „ქებანი“ ყოფილიყო. ბესიკის ყრმობის ამხანაგი დავით ალექსი-მესხიშვილი (დავით რექტორი) გადმოგვცემს: „ჟამსა სიყრმისასა, როდესაც რიტორებას ვჰსწავლობდი, მაშინ ეგ

[1] ივერია, 1879, № 5, გვ. 205.

[2] S 1088.

[3] H 2134.

[4] ცენტრარქივის სიგელების პირების წიგნი № 24, სიგელი № 87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესხმა მეფეს ირაკლის მოვახსენე, დღესა სახელწოდებისა. მისისაო“ (S 105). „როდესაც ღრამატიკას ვჰკითხულობდი და პატარა ვიყავ, მაშინ ქათალიკოსმა მიბძანა: მეფის ირაკლის ქება იამბიკოთი ჰსთქვიო და მაშინ ვჰსთქვი“... (იქვე). ხოტბების ანუ ოდების გარდა, პოეზიის მოყვარულ ბავშვებს შეკვეთილი ექსპრომტებიც ევალებოდათ სხვადასხვა შემთხვევებზედ, როგორც იგივე დავით ალექსი-მესხიშვილი გვიამბობს, ერთი მისი ექსპრომტული ლექსის გენეზისის შესახებ: ...„ნაიბის ქალი ბეგუმ მეეედრა, როდესაც ყმაწვილი ვიყავ, მე ალექსის ძეს დავითს, რადგან მისი მონათლული ვიყავ, უარი ველარ უთხარ,—ჩემის სახლის პირდაპირ მტკვრის პირს, ქვრივ დედაკაცს ხბო ჩამოუვარდა, კლდეზედ დაეცა და მოკვდა. სასაცილო იყო დედაბრისაგან ხბოსათვის თავში ცემა და ტირილი,—ის შაირად სთქვიო და ვჰსთქვი“ (იქვე, გვ. 206).

ამრიგად, ყრმებისთვის სავალდებულო ყოფილა ვარჯიშობა და ლექსის შეკვეთის მიღება. და თუ ასეთ უიმედო პიიტიკოსს, როგორიც იყო დავითი, ლექსისთვის მიჰმართავდნენ, ცხადია, არა ერთი და ორი ასეთი „შემთხვევის“ ლექსი უნდა დაეწერა ბესიკსაც. მაგრამ ამ პირველ ცდებს ჯერჯერობით ჩვენამდის ვერ მოუღწევიათ[1].

და ბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ყრმა ბესიკის თვალწინ, ზაქარიას სახლში იწერებოდა სატირული ეპიგრამები და პოემები ანტონ ქათალიკოსზედ და მის პარტიაზედ ისევე, როგორც პასუხები უკანასკნელთა „გიობაზედ“. ალბად, ამ გარემოებას ბესიკის პოეტური განვითარებისათვის უმნიშვნელოდ არ უნდა ჩაევლო.

ზ. მთაწმინდელი გვიამბობს, რომ ბესიკს თავისს ყრმულს ლექსებში „ხშირად ბერები და მოლოზნებიც შეუმკია“, ე. ი. ულანძღიათ და ამის საილუსტრაციოდ კიდეც მოჰყავს ვითომდა შეწუხებულ ბერების ერთი საპასუხო ლექსიც, თითქოს ყრმა ბესიკზედ გამოთქმული:

„გაბაანთგან აღმობრწყინდა,
ახლად ყამად ანტექრისტე,
შე დალოცვილო უფალო,
ეს რა გამოგვიქოფიტე?
ჯოჯოხეთი აღუშენე,
ხელთა მიე მისი კლიტე,
დაგვიხსენი ამისაგან
უფალო, იესო ქრისტე!“...

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ზაქარია გაბაშვილის ეპოპეას, ცხადი უნდა გახდეს, რომ სატირა „ანტექრისტეზედ“, თქმული უნდა იყოს არა ბესიკზედ, არამედ ზაქარიაზედ, ცნობილ ბრძოლის დღეებში. ასეთია ჩვენი აზრი, თუმცა პოეტის ყველა მკვლევარი ამ ეპიგრამას სავალდებულოდ ჰხდის ახალგაზრდა ბესიკისათვის.

---

[1] ბესიკისა და სულხან ორბელიანის მიმოწერა („ივერია“, 1879, № 5. გვ. 205—206; გაზეთი „ივერია“, 1902 წ. № 116), სადაც წარმოდგენილია „პირველი დაწყება ანუ შეკვანილება“ სწორედ ასეთ სასკოლო ვარჯიშობას უნდა წარმოადგენდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკერძოებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე ბესიკის მძლავრი მუსიკალური ტალანტი, რომლითაც ის უხვად ყოფილა დაჯილდოებული იმპროვიზატორობის ნიჭთან ერთად. მისი მომღერლობა ხომ საქართველოს გარედაც იყო ცნობილი. ამიტომ, დამაჯერებელი უნდა იყოს ზ. ჭიჭინაძის ცნობა, რომ „ბესიკი ჯერეთ ახალგაზრდა ყოფილა, რომ სიმღერების წერა დაუწყვიაო“ (ბესიკი, გვ. 1). ბესიკის მუსიკალური ნიჭისთვის ხელი უნდა შეეწყო ისევ მის ოჯახს, რადგან ზაქარია მუსიკალური პიროვნება ყოფილა და ქართულ საეკლესიო გალობაში მას რაღაც ცვლილების შეტანაც კი უცდია.

გონებრივ აღზრდასთან ერთად ბესიკს აგრეთვე კარგი ფიზიკური, საერაინდო სკოლაც უნდა გამოევლო ისევე, როგორც მისი დროის არისტოკრატიული ახალგაზრდობა, იგიც „ცხენისა, იარაღისა, თოფისა, ხმლისა, ტანისამოსის მოყვარული“ უნდა ყოფილიყო. ზ. მთაწმინდელის და ალ. ხახანაშვილის მიერ ჩაწერილ გადმოცემებით, პოეტი საუცხოვო მოჯირითე ყოფილა („ჰყვარებია ნაბდის დახურვა, ცხენზედ ჯდომა, ჯირითი“)[1].

* *

ბესიკის ყრმობის და ბავშვობის წლები საქართველოს კატასტროფულ ამბებს ემთხვევა, როცა გარეშე მტრების აგრესიული მოქმედებით ქართველი ხალხი უკიდურეს მდგომარეობამდე იყო მისული.

„საბრალო, შეწუხებული, აოხრებული, უხელფეხო, გათავებული ხალხი“, —ასე სთქვა მაშინდელს ქართლ-კახეთზე ახალციხის ფაშამ და ამ მტაცებლის სიტყვები ზედმიწევნით გამოჰხატავს ქართველი ხალხის მაშინდელ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას:

— „ავი დრო იყო,—გვიამბობს თანამედროვე,—ყოველდღე აკლებას მოველოდით, საქართველოს სრულიად დაჭერასა. ყოველდღე დიდს ჯარებს გამოველოდით და საქართველოს წალეკასᲒ, დატყვევებასა და დიდი გამარჯვება იქნებოდა, თუ რუსეთს დავიკარგებოდით“ (თავგ. იესე ოსეს შვილისა, 7). „ვაᲔ, რა ბევრ უცხო შესაქცევებს ნახავთ, სწერდა ერეკლე მეორე, რუსეთში მყოფ ქათალიკოს ანტონ I-ს,—და მე ამ განსაცდელიანს ქვეყანაში რაებს ვხედავ და რაებს გავიგონებ ხოლმე. რა წაბრძანებულხარ, მასუკან ხუთჯერ თუ ექვსჯერ ლეკზე გაგვამრჯვებია და ბევრნიც იხოცებიან, მაგრამ კიდევ ჩვენზედ ხელს არ იღებენ“.[2] დატყვევებას და მახვილს გადარჩენილი მოსახლეობა გარბოდა სამკვიდროებიდან: „დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მაᲔული. და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდენ ზემო ქართლში და საერისთავოებში. აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს. მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა... იყო ცემა ლეკთაგან მარადის და ოხრება.. მთელს სომხითში ბოლნისის მეტი და სამწევრისის მეტი შენობა არ იყო. ორბელიანთა მამულიც ასე დაიცალა,

---

[1] ზ. მთაწმინდელი, „ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი“, გვ. II; А. Хаханов, История грузинской словесности, III, 220.

[2] „მოამბე“, 1894, № 4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ დმანისის და ფიტარეთის მეტი შენობა აღარ სად იყო", ამბობს მატიანე (ქ. ცხ. 238, 144). გარეშე მტრისაგან ქვეყანა „გათავებული იყო". ქართლისა და კახეთის ქვეყნები ასე აყრილიყო, რომ უსიმაგროდ და უციხოდ აღარსა-ვინ იდგა" (იქვე, 125). განსაკუთრებით თავზარდამცემი იყვნენ ლეკები, რომელნიც თვით თბილისში, მეფის სასახლიდან რამდენიმე ნაბიჯზე იტაცებდენ ხალხსა და საქონელს (გვ. 230). „მოვიდიან ბევრჯერ და ქალაქის გარემოთა ბაღებთა წისქვილებთან მოითარეშიან. უკეთუ ერთსა მხარეს გავიდის ქალაქიდან მებრძოლი და დააყრევინის და გააქცივის, მეორესა მხარესა დაჰკრიან და წავიდიან" (გვ. 227); „ამისთანა მტერობა ყიზილბაშთა არ უქნია, რაც ამათ ქნეს" (195).

ლეკის შიშით ქართველ მოქალაქეს არ შეეძლო მშვიდობიანად გადასვლა ერთი სოფლიდან მეორეში: „შავს ტყეში დიდი ლეკიანობა იყო. რაც ხე გაინძრეოდა, ლეკი მეგონის და თოფი მზად მქონდა. თუ გაჩენილიყო რამე, თოფი რას შემეწეოდა, მამკლევდენ".—ჩივის მაშინდელი მგზავრი (თავგ. იესე ოსეს შვ., 53). ასეთ პირობებში ცხადია, არც საზოგადოებრივი კულტურული მუშაობა იქნებოდა შესაძლებელი. მტრის შიშით მრავალი სასწავლებელი იკეტებოდა. მაშინდელი სამონასტრო სკოლები გაზაფხულზე იხურებოდა და იხსნებოდა, როდესაც ხეს ფურცელი გასცვიოდა და მტერი ტყეში ველარ დაიმალებოდა (..„გაზაფხულ ტყეთა ფურცლისა გამოსვლითგან ვიდრე დაცვენამდე არბევდენ... გარნა ვითარცა იწყებდის ტყე შემოსვასა ფურცელთაგან, ვითარცა მოსწავლენი მოიქცეოდიან სახლად თვისსა შიშისათვის ლეკთაგან" (რონინი" იონა ხელაშვილისა).

მშვიდობა არც მყუდრო სენაკებში იყო. მტრის მახვილი არც იქ შეხიზნულს მწერლებსა და მწიგნობრებს ასვენებდა: „ვეცადე დიდად სიმართლესა და ჯელს, მაგრამ ლეკისაგან გვეშინოდა. თუ რა უცბად მეწეროს, ნუ დამწყევლით, გეევედრებით"-ო ამბობს გადამწერელი (ძველი საქართველო, II, 113). ხოლო მეორე კალიგრაფი მტრისაგან დაჭრილი, ასევე ბოდიშობს მკითხველის წინაშე: „ავაზაკთაგან მოწყლულ ვიყავ და ბეჭნი ჩემნი წყლულ და უსჯულო აგარიანთაგან შეცულ და რაც ნაშავე ნახოთ, ნუ მწყევთ, ღვთის გულისათვის, არამედ შენდობით მომიხსენეთ"-ო (ი ქ ვ ე, გვ. 114).

ორბელიანთა წრე

ჩვენ აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ მეორე მნიშვნელოვანი წრე, რომელსაც ბესიკის გონებრივსა და ესთეტიურ ფორმაციისათვის შესაფერი როლი უნდა ეთამაშნა. მხედველობაში გვაქვს ორბელიანთა დიდი კულტურული ოჯახი, რომელთანაც ბესიკს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა უსათუოდ იმ მიზეზითაც, რომ მამა მისი ორბელიანთა პირად სამსახურში იმყოფებოდა, როგორც მათი მოძღვარი.

პოეტისათვის დიდი კულტურულ-ესთეტიურ მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო ურთიერთობა იმ ოჯახთან, რომელიც სულხან-საბას სახელით იყო განათებული და ბესიკის დროსაც ისეთ მაღალ კვალიფიკაციის ადამიანებს ითვლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, როგორიც იყვნენ: ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანის შვილი მზეჭაბუკ,—ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ფილოსოფოსი, ბასრი სატირიკოსი, ანეგდოტისტი და ეპიგრამისტი; იოანე ორბელიანი—ცნობილი ფილოსოფოსი, „რომელიც საფილოსოფოთა წესითა აღჭურვილ იყო... და ქართლშიაც უბრძნე და უმცოდნე არა-ვინ იპოებოდა" (ქცხ. 139) „სიბრძნესა შინა აღზრდილი... ზედმიწევნით ფილოსოფოსი, ვარსკვლავთა-მრიცხველი ფიზიკოსი და არიფმატიკოსი; უწყოდა ბუნების ისტორია და იყო უცხო რიტორი... ესე იყო ფრიად გონება-მახვილ ესრეთ, რომელ მხცოვანებისა გამო თვალთაგან მოკლებულ იქმნა და ვერა რაჲსა ხედვიდა, მაშინც ყოველთა წერილითა ძალ ედვა განმარტებად" (S 2134)[1].

ბესიკის შეფიცული მეგობარი დავით სარდალი, მეწინავე ლაშქრის სპასპეტი, ცნობილი მხედარი და ლიტერატორი (სპარსულიდან „ყარამანიანის" მთარგმნელი), რომლისადმი მიძღვნილია მთელი რკალი ბესიკის მიმართვებისა:

1. „დავით სარდლისადმი".
2. „მნათობთადმი".
3. „რაც მიიწერა სოფელმან".
4. „ცრემლთა მდინარე".
5. „ბედისადმი".
6. „სამძიმარი".
7. „ასპინძის ომზედ".

ორბელიანთა ოჯახიდან ბესიკის ყრმობის მეგობარი ყოფილა აგრეთვე დავით სარდლის უმცროსი ძმა სულხან ორბელიანი, რომელსაც პოეტი უწოდებს „ნათელ-მკრთოლვარე გოდოლს მეგობრობისას, იადონებრ ხმა მწვლილ მშტვენავს და ტკბილ ხმოვანებით ყურთა მიმტაცს, რიტორს უებროს"[2]. და ბოლოს უნდა გავიხსენოთ პოეტი ვახტანგ ორბელიანი,—დმანისის მეპატრონე, რომლის კარის მოძღვრად ითვლებოდა ზაქარია გაბაშვილი[3].

ამ „გამორჩენილ" პოეტის შესახებ რამდენიმე უნდა შევჩერდეთ.

---

[1] იოანე ორბელიანი-ძე ელისბარისა, (საქ. სიძ., II 384) დ. 1693 წ. გარდ. 178(-იან წლებში. მდივანბეგი, მსაჯულთუხუცესი. 1731 წ. შეუერთდა რომის ეკლესიას. (თამარშ., 349—368), რითაც დაიმსახურა სასტიკი რისხვა ქართველ სამღვდელოებისა. 1754 წ. ზაქარია გაბაშვილის თაოსნობით განდევნილი, ერეკლემ რამდენიმე წლის შემდეგ ისევ დააბრუნა. შემდეგში, უკვე სახელო ჩამორთმეული „ნამსაჯულევად" იხსენიება. იოანე ორბელიანს შეცდომით ზოგჯერ ჭაბუა ორბელიანთან აიგივებენ ხოლმე.

[3] „ივერია" № 5—6, 1879 წ.; გაზ. „ივერია", № 116, 1902 წ. ბესიკის ერთი ეპისტოლე სულხანისადმი შემდეგი პოსტსკრიპტუმით თავდება:

„მე ბესიკი—შენი მონა,
ვარ შენ შორის მდოგვის წონა;
გარნა მეგობრობის მტრფობი,—
ბესარიონ გაბაონი.

[3] 1730-ან წლებში, დმანისი, სადაც მღვდელ-დეკანოზობდა ზაქარია გაბაშვილი, ვახტანგ ორბელიანს ეკუთვნოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკი რომ განსაკუთრებით აფასებდა ვახტანგის პოეტურ ოსტატობას, იქიდანაც ჩანს, რომ უკანასკნელ პერიოდის ლექსთა კრებულში ბესიკს თავისი ხელით ჩაუწერია ვახტანგის ორი პოპულარული ანბანთქება: „ათენს ბნელ გულს“ და „ალალებს ბაგეს“, რომელთაც ჩვენი მკვლევარები შეცდომით თვითონ ბესიკს აკუთვნებენ.

ვახტანგ ორბელიანი „მშვენიერი ლექსთ-მთხზველი“, ანტონ I-ის სიტყვით თვით სულხან-საბაზედ მაღლა მდგარა შესანიშნავი ოსტატობით:

„ვახტანგ შაირთა დაღათუ ამოვნად
ჰშურებოდა, მაგრა საბას უკეთეს ჰსთქმიდა:
უცხოდ შეაწყუნის ფრასნსი, განსაკვირუოდ დალექსნის
დასატკბობელად მჰსმენელთა, გონებისა...
ჩემდაცა იქმნა მოძღუარ ჰსწავლათა რათმე.
ვახტანგ სიბრძნისა ქუე-მდებარები კაცი,
რიტორ შუენიერ, მჭევრ-მეთქვი საკვირველი,
ფილოსოფოსი, პიიტიკოსი უცხო...

ვახტანგის ასეთივე მაღალ შეფასებას იძლევა (წყსტყ., ტეპი 809—810) იონე ბატონიშვილიც; „ესე იყო საფილოსოფოსთა სამღრთოთა წერილთა შინა ზედმიწევნილი, უცხო, მესტიხე და მშვენიერი, მგზავსად ძველთა, და კარგი ანბანთ-ქებისა შემაწყობელი“ (მცირე უწყება ქართველთა მწერალოთვის“ გვ. 47). ვახტანგის შემოქმედება დაცულია საქართ. მუზეუმის S ხელნაწერებში, №№ 342, 1203, 1512, 1516, 2770. უკანასკნელ ხელნაწერში მოთავსებულია ვახტანგის მიერ რუსეთში (1738 წ.) მოგზაურობის ეპიზოდი, პეტერბურგის აღწერა: „ამბავი ხელმწიფისა სრა სასახლეთა და ბაღჩა ბაღთანი“ (იხ. აგრეთვე ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავის ხელნაწ., № 23).

ლექსის ვირტუოზობასთან ერთად, ვახტანგს დამსახურებული ჰქონია რეპუტაცია ისტორიკოსის, ფილოსოფოსის და მთარგმნელისა. ანონიმი ავტორის ერთი ბიბლიოგრაფიული მინაწერი ზედმეტად გვიდასტურებს ვახტანგის მოღვაწეობის დიდ სახელს:

„საქებრად მსურხარ შენ ბრძენო,
ვინ ამბავს გვეტყვი ტკბილადო,
ვახტანგ, თავადო ქართველთა,
არა ხარ გასაკილადო;
მწადის შეგამკო, თუ მქონდეს
სიბრძნე საწონი ქრთილადო,
ჩინებულ მცირედ ჰრჩეულნი,
აწ დაგვრჩა შენსა წილადო“.

სამწუხაროდ, ვახტანგის პოეტურ და ფილოსოფურ მემკვიდრეობიდან მცირე ნაშთი ღა დარჩენილა. ვახტანგ ორბელიანის ნაწერები მისი სიკვდილის ახლო ხანებშივე განიავებულა (იხ. იესე ოსეს შვ.)

დასასრულ დავსძენთ, რომ ვახტანგ ორბელიანი ანტონის მასწავლებელთაგანი ყოფილა, როგორც თვით ანტონი გვიდასტურებს: „ჩემდაცა იქმნა მოძღვარ, სწავლათა რათმე“-ო.

ვახტანგ ორბელიანის (1700—1752) შემოქმედებასთან ერთად ნაკლებ გამორკვეულია მისი ცხოვრებაც.

პროფ. კ. კეკელიძეს ვახტანგი სულხან-საბა ორბელიანის ძმად მიაჩნია (ლიტ. ისტ., 67), მაშინ, როდესაც ვახტანგ სულხან-საბას ძმისწულია. (ვახუშტის შვილი, რომელიც 1709 წ. ჯანანდარში მიიცვალა). სერგო გორგაძეს, იგი XIX საუკ. პირველ წლების ვახტანგ ორბელიანი ეგონა, თეკლე ბატონიშვილის მეუღლე, მამა ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა. (ჩვენი მეცნიერება, № 1, 1924), ხოლო პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი მ ა ს აიგივებს სულხან საბას მამასთან, ვახტანგთან. (წყობსიტყ., შენ. 167). მისივე სიტყვით, ვახტანგ, როგორც კათოლიკე, 1715 წ. თან წაჰყოლია საბას რომში, საიდანაც თურმე უკან აღარ დაბრუნებულა. თუმცა ჯერ კიდევ 1728 წელს, ვახტანგ „არა მიქცეულიყო ლათინთა კერძ“, როგორც მისივე ნათლული იე'ე ოსეს შვილი გადმოგვცემს (გვ 6.). ვახტანგის ევროპაში ყოფნის დამადასტურებელი საბუთი არ მოგვეპოვება. მისივე ნაწარმოებიდან ვიცით მხოლოდ, რომ 1738 წ. ის იმყოფეოდა რუსეთში „მრავალ განსაცდელ შემთხვეული“ (S 2770).

* *

ქართული აზროვნების ისტორიისათვის ვახტანგ ორბელიანი მითაც არის საინტერესო, რომ იგი ქართველ ევროპოფილების ენერგიული წარმომადგენელია, ალბად, სულხან-საბას ორიენტაციის გავლენით. 1731 წ. მან მიიღო კათოლიციზმი თავის ძმისწულ იოანე ორბელიანთან ერთად (თამარაშვილი, 353), რის გამო „განუ-ყვეტელი დევნულება“ გამოუცდია ორტოდოქსალურ წრეებისაგან (იქვე, 351). როგორც ჭეშმარიტ პატრიოტს სასტიკად ავიწროებდნენ ოსმალნი და სპარსნი, რომელთაც თურმე მთელი ქონება წაართვეს, დიდი ხარკი დაადვეს და იქამდის „უკანასკნელ“ მდგომარეობაში ჩააგდეს, რომ მზად იყო დაეტევებინა სამშობლო (350).

1741 წლიდან ვახტანგს დახმარების მოიმედეს ენერგიული მიმოწერა აქვს რომის პაპთან და კარდინალებთან, რისთვისაც საგანგებო ელჩსა ; კი ჰგზავნის რომში (იქვე). 1741—42 წ. მან მტრისაგან დევნილმა, დროებით სამეგრელოს შეაფარა თავი. გარეშე მტრებთან ერთად ვახტანგს ავიწროებდა მისივე სახლიკაცი სარდალი ქ ა ი ხ ო ს რ ო ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, რომლის ხელშიც იყო ორბელიანთა „სახლისბატონობა“ (საქ. სიძველენი, II, 535). ქაიხოსროს ინტრიგების წყალობით, ერეკლე მეფემ, რომელიც ვახტანგის ასულ ქეთევანზედ იყო დანიშნული, (1744 წ.) მოულოდნელად დაუტევა სარძლო და განდევნა. ქეთევანი მონოზნად აღიკვეცა და იმავე წელს ჯავრით მოკვდა. თვით ვახტანგ გარდაიცვალა 1752 წ. ნოემბრის დამლევს (თამარაშვილი, 351).

ასეთია ბესიკის მამის პრინციპალის თავგადასავალი.

ბესიკი ანახანუმ დედოფლის კარზე. ლევან ბატონიშვილი

უბედობა, „სოფლის ცემა“ ბესიკმა ბავშვობის დღეებიდანვე გამოსცადა. შემთხვევით არ ამბობს ერთგან:

ვიყავ ბედისა დამაბრალები,
მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრჭალები...

მხოლოდ თორმეტ-ცამეტის წლისა იყო ბესიკი, როცა დაამხეს და ააფორიაქეს მისი მშობლების ოჯახი. ბავშვის მგრძნობელი გულისთვის მძიმე დაღი უნდა დაესვა ამ გარემოებას და მისი ყრმობა მწარედ უნდა მოეშხამა.

...„რაც რაიმე მქონდა ან დედულ-მამული, ან პირადად შ ე ნ ა ძ ე ნ ი, აგრეთვე საეკლესიო ჭურჭელი, ს უ ლ წ ა მ ა რ თ ვ ე ს, ც ო ლ ი, შ ვ ი ლ ე ბ ი დ ა მ თ ე ლ ი ჯ ა ლ ა ბ ი ს ი ღ ა რ ი ბ ე ში ჩ ა ა გ დ ე ს, ა ს ე რ ო მ კ ა რ დ ა კ ა რ დ ა დ ი ო დ ნ ე ნ დ ა მ ო წ ყ ა ლ ე ბ ა ს თ ხ ო უ ლ ო ბ დ ნ ე ნ — გვიამბობს ზაქარია — თექვსმეტი თვე ვიჯექი საპყრობილეში, ბოლოს კათალიკოსმა უბრძანა ყარაულს: საპყრობილეს მოშორდით, სადაც უნდა, იქ წავიდესო. მათ შორის ჩემი შვილების და ძმების 9 ბავშვი იყო. კათალიკოსი ქადაგობდა: ვინც მათ მოწყალებას მისცემს — ეკლესიაში არ შეუშვებო. გავიდა ერთი წელიწადი და ჩვენ უარესი დაგვემართა: მოაყვანინა ჩემი უფროსი შვილი [ოსე] და ისე სასტი-

[1] იხ. ლენინგრადის საჯარო წიგნთ-საცავის ხელნაწერი, № 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კად სცემა, რომ ერთი კვირა ავადმყოფი იწვა. გამოგზავნა იასაულები, რომლებმაც რაც დარჩენილიყო: წმინდა ხატები, წიგნები და წმ. ნაწილები, ისიც წაიღეს.

„კიდევ გამომიგზავნეს კაცები, შეეერთდეთ, თორემ რუსეთში გაგყრით ყველასაო. მე არ დავთანხმდი. ივნისში, როცა მეტად ცხელოდა, უფროსი შვილები ცალცალკე საპყრობილეში ჩასვეს. მე, ჩემი ცოლი და ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი დაგვსვეს ურემზე და მთებში გაგვგზავნეს, საშინელ ადგილებში გაგვატარეს. მზრუნავი არავინ მოგვცეს, ფიქრობდენ—ამით დავიმორჩილებთო. მერე იქიდან ცოლი და ბავშვები წამართვეს, მე კი ექვს მთიელ კაცს მიმცეს, რომლებმაც ორმოცი დღე საპყრობილეში მამყოფეს, რვა შვილი წამართვეს, ორი დიაკვანი და დანარჩენი საერო პირები. ბევრი ვთხოვე, ერთი შვილი მაინც მომეცით, კაცს ამდენ ცხვარსაც არ წაართმევენ-მეთქი, მით უმეტეს, რომ ისინი თქვენი ნაჩუქარი კი არაა, ღვთისაგან მოცემულია-მეთქი, მარა არ ისმინეს.

„მოვიდა მეფე ერეკლესა და ანტონ კათალიკოსის ბრძანებანი: გახადეთ, გაჩხრიკეთ, რასაც ნახავთ—წაართვით, რომ არავითარი ნაწერი არ გაატანოთო, მეორეჯერ საზღვარზე გაჩხრიკეთო. იმავე წამს ტანისამოსი გაგვხადეს, გაგვჩხრიკეს, მაგრამ ჩვენ არაფერი აღმოგვაჩნდა. მოგვცეს ერთი გზის მაჩვენებელი ოსეთამდე, იქიდან მოვედი ყიზლარში, აქაც არ დამაყენეს“ [1]...

ასეთი მკაცრი ღონისძიებანი მთავრობის მხრივ ზაქარიას შვილებისადმი იმ გარემოებითაც იყო გამოწვეული, რომ ზაქარიას ბრძოლებში მისი ოჯახიც მონაწილეობდა. „გიობიდან“ ჩანს, რომ ზაქარიას მეუღლეც ამ საქმეში ჩაბმული უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც მისი უფროსი ვაჟი იოანე დიაკონი, რისთვისაც იგი საპყრობილეშიც ჩაუსვამთ, ხოლო რაც შეეხება ცნობილ ოსე გაბაშვილს, იგი მოწინააღმდეგე პარტიას აქტიურ-მებრძოლად ჩაუთვლია. მამასთან ერთად ოსემ არ შეიწყნარა რუსეთიდან გამოგზავნილი ანტონის ცნობილი „მიწყალეს თარგმანი“ და ხელი არ მოაწერა. როცა რუსეთიდან დაბრუნებულს და უფლებაში აღდგენილ ქათალიკოსს, ზაქარიასთან ერთად ხელშეკრული ოსეც წარუდგინეს, ქათალიკოსმა მამასთან ერთად იგიც შეაჩვენა, როგორც „მამისა თვისისა შემწე“. „ჩემს შვილს და ისააკს, არც კი ათქმევინეს რამე,—მოგვითხრობს ზაქარია, მიგვცეს საერო კაცებს, რომელთაც შეუბრალებლად გვცემეს, შეგვაჭრეს თმა და წვერი, დაგვადეს ბორკილები და ჩაგვყარეს საპყრობილეში. მრავალჯერ კაცები გამოგვიგზავნეს, რომ დავთანხმებულიყავით, მაგრამ ჩვენ უარზე ვიდექით“...[2]

ამის გამო, თუმც გადახვეწილ ზაქარია გაბაშვილს თან მრავალი მიმდევარი გადაჰყვა იმერეთში და შემდეგ რუსეთსაც, მაგრამ ცოლშვილი კი აღარ დაანებეს, როგორც ერთ ლექსში ჩივის თვით ზაქარია:

---

[1] ზაქარის მოხსენებიდან (1767 წ.) ასტრახანის ეპისკოპოსის სახელზე, იხ. ი ა ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (18 საუკ.), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. სსრკ. მეცნ. აკადემიის საქ- ფილიალის გმც., 1940, ნაკვეთი II, 23—24.

[1] იას. ლორთქიფანიძე, გვ. 22—23

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მე მტირალს ქართლი გამომაარეს,
მეუღლის წართმვას არ მიმაკმარეს,
შვილნიცა რვანი ერთ ჟამ წამგვარეს...[1]

ზაქარიას განცხადებიდანვე ირკვევა, რომ მეფისა და ქათალიკოსის დევნულობის სისასტიკე ყრმა ბესიკსაც შეჰხებია. ოჯახის აფორიაქება, გაღარიბება, სიმშილი, გააფთრებულ იასაულებისაგან მიყენებული შეურაცხყოფა, აქა-იქ საშინელ მთებში იძულებითი თრევა და განსაცდელი, მშობლების და ძმების წამება, მშობელი მამის მკერდიდან მოწყვეტის ტკივილი,—ბესიკის ყრმობის ხვედრი ყოფილა.

* * *

თუმც არავითარი ოფიციალური ცნობა არ მოგვეპოება ბესიკის შემდგომი მდგომარეობის შესახებ და ბესიკის ცხოვრების ეს ხანაც სიბნელით არის მოცული, მაგრამ ზოგი საბუთის მიხედვით შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ შეჩვენებულ ნამოძღვრალის ოჯახიდან კერძოდ ბესიკს მფარველი გამოსჩენია. ცხადია, ასეთი გაბედულება მხოლოდ სასახლის დიდგავლენიანსა და დამოუკიდებელ პიროვნებას შეეძლო. ჩვენი დაკვირვება ანხელს, რომ ეს პიროვნება ყოფილა თეიმურაზ მეორის ქვრივი დედოფალი ანახანუმ, რომელიც თავისი დედოფლობით პირადად ზაქარიასაგანაც იყო დავალებული. პატივმოყვარე, მკაცრი და ამაყი ანახანუმ თვით ერეკლესაც არ ერიდებოდა. მოხუცი თეიმურაზის რუსეთში უდროო გამგზავრებას და იქ მის სიკვდილს ერეკლეს აბრალებდა და მასთან თავის სამდურავსა და საყვედურს არა ჰმალავდა. თვით ერეკლეს „არა უყვარდა ანახანუმ, ვითარცა დედინაცვალი“ და მხოლოდ მამის ხსოვნის პატივისცემით ითმენდა. თუმცა მათ შორის უთანხმოება იმდენად ყოფილა გამწვავებული, რომ რუსეთის კარზედაც კი შეუნიშნიათ: „Ираклий с мачехою своею имеет несогласие“. თვით ქმრის სიკვდილის შემდეგაც, დედოფალს დამოუკიდებლად ეჭირა თავი და „ცხოვრობდა სიკვდილამდე პალატსა მეფისასა, ნებითა მეფისა ირაკლისათა“.

დედოფალი რომ ზაქარიას ოჯახს შემწედ უნდა გამოსჩენოდა, გასაგებია. ამ საქციელით დედოფალს სამადლობელი უნდა მიეზღო ზაქარიასთვის და მით თავისი უკმაყოფილებაც უნდა გამოეთქვა ერეკლე—ანტონისადმი, როგორც ანტონის გამდევნელ თეიმურაზის თანამეცხედრეს და ორტოდოქსიის ერთგულს. დედოფლის მიერ ზაქარიას ოჯახისათვის მფარველობის გაწევას მეფე ჩვეული თავდაჭერით უნდა შეჰხვედროდა და ძალაუნებრივ უნდა მოეთმინა.

ირკვევა, რომ ბესიკის ბედის კეთილად წარმართვას მეორე გარემოებაც ზედ დართვია: სახელდობრ ის, რომ დაახლოებით ამაზე ცოტა ადრე, ანახანუმ დედოფალმა გამოართვა ერეკლეს ძე მისი „ლეონ აღსაზრდელად სახლსა თვისსა“.[2] სწორედ ეს მომენტი უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი ყრმა ბესიკის შემდგომი ცხოვრებისათვის.

ერთი იმ საბუთთაგანი, რომლის მეოხებითაც ჩვენ ვლაპარაკობთ ანახანუმ დედოფლის ბესიკზე მფარველობისა და ბესიკის თანაშეზრდილობის შე-

[1] S 303.

[2] ქართლის ცხოვრება, ზ. ჰიჭ. გმც., II, 223

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ ლევან ბატონიშვილთან, არის პოეტის ერთი ნაწარმოები, სახელდობრ, სამგლოვიარო ოდა „სამძიმარი“ თქმული ლევანის უდროო გარდაცვალების გამო.

„სამძიმარის“ რეალიებიდან ირკვევა, რომ ბესიკი იმ-ყოფებოდა ლევან ბატონიშვილთან, რომელსაც ერეკლეს სასახლეში ზრდიდა ანახანუმ დედოფალი და ისიც, რომ ბესიკი ბატონიშვილის ამალის წევრი ყოფილა და მასთან შეზრდილი.

ამ გარემოებას „სამძიმარის“ შემდეგი ადგილები გვიდასტურებენ:

**

[მიმართვა ლეონისადმი]

. . .

..„სად გზა შენდა საწთომო,
სადა მიდამო,
სად გეახლნეთ საგნომო,
ლეონ სახსომო,
ყმათ გულებისა ხომო.

. . .

სადაით, ლეო,
სად ვპოვნეთ სიახლეო?

. . .

გეძიებს სული
შენდა ზრდილი აღკრული.

. . .

სადა ვის ვჰგულებ,
პატრონად მოვიძულებ,
სული ინაკლებს მტრულებ;
ლეონ, მით ვჰსწყლულებ,
მოვიხსენო რა თქმულებ,
შენდამი ვკრულებ,
შენადვე ვინატრულებ,
ვვლი თვალდახშულებ,
სიკვდილისადმი ვჰრულებ.

. . .

ვა დროსა ჩვენსა,
მსგავსადვე მოსაწყენსა,
ჩემსა ირემსა
ჩემათ დღედ მონაცემთა.
ჰოი, ცის ლომო,
ლეო, ცისავი ხომო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .
სადა არს სრა სახსომო.

. . .
ვაი, დუმან ხმანი
სამოვნონისა კმანი:
მუსიკთა თქმანი, -
მუტრიბთა დასწყდეს თმანი.
მეტოლნი ყმანი,

. . .
მგოსან-ნოტების თნვანი,
ჭამანი, სმანი,
ლხინნი, სრულ დასანოქმანი...

. . .
სრა ცალიერი,
უპოვარი, მშიერი,
სახლი ძლიერი

. . .
სადაღა სერი
სტუმართა განმაბევრი.
ვა, მგონე ერი,
ლეო, სად ბედნიერი.

. . .

. . .
სად პატრონისდა ყმობა,
სად ერთსულობა,
სად მოყვარულთ თხზულობა,
სად კაზმულობა,
სადღა დარბაზულობა?
ვაი სრულობა,
ვაი, დაკარგულობა,
ვა, ყმაწუილობა.
დახსნილ-დანაზრულობა!
შორს წარხდა თემად,
უცხოთა თანა გემად;
ლეონ მოცემად
ვისმცა ძალუძს საჩემად?
გარნა სად მრწემ
ვიყომცა მსახურ მგემად?
მწირობა-მსხემად,
მისდა არა მაქვს კდემად;
მას ვსდევ ირემად—
მას ნუკრად მადლის მფენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .
ვა, ჩემდა თვალნი,
მათგან მიერ დღე მკრთალნი,
ასხურებენ ცრემლთა
განხვრეტს გულისა გრდემლთა.

„სამძიმარ"-ში ბესიკი იგონებს ლევან ბატონიშვილთან „ერთსულობას", „მეგობრობას", თავის „მრწემობას", „მსახურგებობას". „პატრონის-და ყმობას". მისდა „ზრდილი აღკრული", ბატონიშვილს უწოდებს „ჩემს ირემს", „ყმათა გულების ხომს" (ხომლი) მას აგონდება სასახლე, „ძლიერი სახლი", „სრა სახსომი", „მისი კაზმულობა", „დარბაზულობა", სადაც მგოსნის უზრუნველ ცხოვრებას ახალისებდნენ „მუსიკთა თქმანი", „მუტრიბთა თქმანი", „მგოსან-ნოტების თნვანი", „ჭამანი, სმანი, ლხინნი", „სერი სტუმართა განმაბევრი", „მეტოლნი ყმანი", ბატონიშვილის ნადირობა, ასპარეზი, ბურთი, ჯირითი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო თვით ბესიკსაც, როგორც მხლებელს და მეგობარს. გარდახვეწილ მგოსანს სწვავს მოგონება სასახლისა, სადაც ვითარდებოდა მისი და ბატონიშვილის მეგობრობა და თუმცა იმ ჟამად მას სხვა, ახალი პატრონი ჰყავს, მაგრამ ის ყველას „მოიძულებს" ბატონიშვილის სიყვარულით და კვლავ „ინატრულებს" მათთან „სიახლეს". იგი ოცნებაშიც მას „სდევს ირემად" და სხვ. ასეთი ყოფილა პოეტის სიყვარული თავის პატრონისადმი და მათი პატრონ-ყმობა.

ამ რიგად, „სამძიმარი" უსათუოდ შეიცავს ბესიკის ავტობიოგრაფიულ ელემენტებს. ამ სამგლოვიარო ოდიდან ჩანს, რომ პოეტის ცხოვრების პირველი პერიოდი დაკავშირებული ყოფილა ლევან ბატონიშვილთან და მისი მეოხებით ერეკლეს სასახლესთან, სადაც ცხოვრობდა ანახანუმ დედოფალი.

ასეთივე დამადასტურებელ საბუთად, ანახანუმის კარის და ზაქარია გაბაშვილის ოჯახის სიახლოვისა, ზაქარიას განდევნის შემდეგ,—ჩვენ უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ბესიკის უფროსი ძმის ოსე გაბაშვილის ცნობილი ხოტბა ანახანუმის ასულის ელისაბედის სამქებროდ დაწერილი და კიდევ ის ფაქტი, რომ 1765 წელს გათხოვილ ელისაბედს მზითევში გააყოლეს ედიშერ გაბაშვილი,—შეიძლება ბესიკის ახლობელი ნათესავი,—როგორც ერთგული და ახლობელი კარის აზნაური. ის ცნობაც საგულისხმოა, რომ 1772 წ. რუსეთში დიპლომატიური მისიით წარგზავნილ ლევან ბატონიშვილს კამერდინერად ახლავს ბესიკის უმცროსი ძმა ზაქარია გაბაშვილი. და ბოლოს ანახანუმ-ლევანის კარის მსახურად და სამეურნეო საქმეთა რწმუნებულად მოსჩანს ბესიკის ბიძა ზაზა გაბაშვილი[3]. ყოველივე ეს ჰმოწმობს, რომ ანახანუმი და მისი ნაშვილევი ლევან ბატონიშვილი ნამდვილ მფარველად გამოსჩენიან განდევნილ ზაქარიას ოჯახის წევრებს.

---

[1] ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი.

[2] Грамоты I, 370.

[3] იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისთვის. წიგნი I (ხელფასი, ქირა ფასები) გამც. ნ. ბერძენიშვილისა. გვ. 50, 53, 60, 65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ, პოეტის მჭიდრო მეგობრულ კავშირს ბატონიშვილთან ის აკროსტიხული იამბიკოც გვიდასტურებს, რომელიც ბატონიშვილის და ბესიკის მეგობრობის აღსანიშნავად დაუწერია დავით მესხიშვილს და რომელშიც კიდურწერილობით გამოყვანილია ლეონის და ბესიკის სახელები: „ბესარიონ გაბაონს მივჰსწერე ესე იამბიკო აკროსტიხულად და ამას შინა არს: „ბ ე ს ა - რ ი ო ნ, ლ ე ო ნ, დ ა ვ ი თ“.

ბრძენი ლიმენთა ნუ ჰსდროებ მოვისად წარვედ,
ესურე, ეტრფე საზეთო სავანთა,
სულთა ოჭიმა, იაფსინდე მრავლად ჰყავ,
აცუარენ ნამნი პსიხისა მაუკვდავნი,
რიონ ნეტარძი იტრფეს თუ გულთა წყურვილით. (S 105)

ამგვარად ბესიკის ყრმობის დღეების მფარველად ჩვენ ანახანუმ დედოფალს ვგულისხმობთ. ბარათაშვილის ასული, ციციშვილის ქვრივი, დედოფლად მოწოდებული „მშვენიერებისა“ გამო, „ესე ყოველთა ბანოვანთა შორის უმეტეს აღმოცისკრებულ იყო და სხივსა მისსა მზისა შარავანდედი ბნელ-ექმნა, შვიდნივე მნათობნი ცისანი მონებად დავრდომილ-იყვნეს და სიბრძნისა მიერ გონება აღზენავ-აღებსროლ“-ო, ჩვეული პათეტიკით და მჭევრობით ლაპარაკობს კარის მეხოტბე ისტორიკოსი დედოფალ ანახანუმზე, რომლის გონიერება და სილამაზე მართლაც განთქმული ყოფილა. მას დიდი გავლენა ჰქონია მეუღლეზე და თავისი მდგომარეობით კიდეც უხვად სარგებლობდა. ამაოდ არ ამბობს თვითონვე ერთგან: რომ მას „საწუთრომა ურიცხვი ბედკეთილობა, სიმდიდრე და დიდებანი ზე გარდაამატა“. პატივმოყვარე დედოფალი მდიდრულად ცხოვრობდა და არას ჰზოგავდა თავისი კარის ბრწყინვალებისთვის.

რა მოსაქმე უნდა ყოფილიყო ჭაბუკი პოეტი მეფის სასახლეში, ანახანუმ დედოფლის სამსახურში?

შესაძლო იყო გვეფიქრნა, რომ ლევან ბატონიშვილის მხლებელი ბესიკი— პოეტი და მწიგნობარი ერეკლეს სიახლოვეს მყოფი დააწინაურეს და კარის მდივანმწიგნობრობა მისცეს, მაგრამ ჩვენამდე არ მოღწეულა ერეკლეს არც ერთი სიგელი ან ბრძანების წიგნი ბესიკის მდივნობით შესრულებული. შესაძლოა ეს იმ გარემოებით იყოს გამოწვეული, რომ პოეტი ამ სახელისთვის ჯერ კიდევ სრულჰასაკოვანი არ იყო, ან შეიძლება ზაქარიას შვილს მეფე საბოლოოდ არ ენდობოდა, რომ თავისი კარის მესაიდუმლედ გაეხადა, მაგრამ კარზე მყოფ აზნაურს ხომ თავისი „სახელო“ უნდა ჰქონოდა? ეს „სახელო“ კი ისევ ლევან ბატონიშვილის ამალის შტატში უნდა ვეძიოთ.

მაგრამ უფრო უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონიშვილის მხლებლობასთან ერთად, მდივან-მწიგნობრის ოჯახიდან გამოსული ჭაბუკი ბესიკი ჯერ თვით ანახანუმ დედოფალს ემსახურებოდა „მდივნობის რიგზე წერით, კითხვით“ [1], ისევე, როგორც ამ თანამდებობაში მისი წინამორბედი, მასავით ასალგაზდობის ასაკში მყოფი ცნობილი ირსე ოსესშვილი.

[1] ბესიკის შედგენილი ხომ არ უნდა იყოს ანახანუმ დედოფლის სამძიმრის წიგნი (1770 წ.) ელისაბედ ბატონიშვილის გარდაცვალებაზედ? (H 1455)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ბატონს დედოფალთან ვიყავ უფროსი ერთიდა იქ ვემსახურებოდი წერით, კითხვით... „ვიყავ ბატონ დედოფალთან და მდივნობის რიგზე ვემსახურებოდი... ყოველი წიგნი ჩემგან იწერებოდა მოკითხვის თუ მაგვარი დიდი სიგელი“... „შიგნით რაც საწერი და საკითხავი იყო მე აღვასრულებდი თუ რაც ან მეფეს ენებებოდა და ან დედოფალს, მე ვიყავ მწერალი“ (თავგად. იესე ოსესშვილისა, 16, 21).

როგორც მისი ეპისტოლეები გვიმოწმებენ (H 1455), იგი მხატვრული სიტყვის მოყვარულიც ყოფილა. ის ფაქტიც საგულისხმოა, რომ თვით დედოფლის დებიც ვერსიფიკაციას ეწყობოდნენ და ამ დარგში მათ სახელი ჰქონდათ მოპოებული. ასე, ანახანუმის და ანასტასია, იყო „განსწავლული სწავლათა შინა და მოლექსეობასა და მხიარულებასა“[1]. სხვათა შორის, მას ლექსად მიმოწერაც ჰქონია განთქმულს ჭაბუა ორბელიანთან, ამ პოეტურ კორესპონდენციების ნაწილს ჩვენამდეც მოუღწევია[2].

ანახანუმის მეორე დაჲც—ბარბარე ასევე მონაწილეობდა მუნასიბ-ლექსაობაში[3], და ბოლოს მესამე დაჲ—მახია, ყოფილა „გონიერი და დიდად ზრდილი“[4]. ამ რიგად, ის წრე, რომელსაც ყრმა ბესიკი შეეხიზნა, პოეტური სიტყვის მიმდევარი ყოფილა და შესაძლოა, სასახლეში დაახლოებულ ანახანუმის დები პირადი მონაწილეობითაც ახალისებდნენ ყრმა ბესიკს პოეტურ ვარჯიშობაში.

**

მაგრამ ბესიკის ნამდვილ კეთილ გენიად გვევლინება ლევან ბატონიშვილი, რომლის გავლენა სასახლეში განუსაზღვრელი იყო. ერეკლეს ყველაზე მეტად ჯყვარდა შვილებში გონივრობისა და სიმამაცის გულისთვის და ყველაზე მეტად მას ენდობოდა. ლევანის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ „მთელი საქართველოს ხალხი შეჰყურებდა ლევანს იმედათა“.

„ლეონ მშვენიერი“, „სახელოვანი ანაგებითა“, „ახოვანი“, „საქმე მაღალი“, „ძალუძლეველი“, ნამდვილი სახალხო გმირი იყო, „იგი ემსგავსა მამასა თვისსა სიმხნითა“.

ხალხმა გამოსთქვა მასზედ:

ხმალი სჭრის ბაგრატივნისა,
ნეფისა ირაკლისაო,
ნეტავი გამაცნობინა,
ლევანს უქებენ შვილსაო;
აჯობა თავის მამასა,
სანამ იცვლიდა კბილსაო,
ურჯულო გამაამტვრია,
როგორც ნაპირი ტყისაო,
თუ ლევან იქით მიბრუნდა,
საქმე სჭირს დაღისტნისაო“.

---

[1] H 2301.
[2] S 1516, გვ. 39—40; № 1012, გვ. 1052—1054.
[3] S 36-6, გვ. 66—„მზეჭაბუკ ორბელიანისაგან პასუხი ანახანუმ დედოფლის დის ბარბარესთან მიწერილი“.
[4] H 2301; იხ. მახიასადმი ლექსად მიწერილი დიმიტრი ბაგრატიონისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირობასთან ერთად, ახალგაზრდა ბატონიშვილი დიდი პოლიტიკური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. მხედარი და სახელმწიფო მოღვაწე, იგი მართლაც „ირაკლის ძალი“ იყო, როგორც მაშინ უწოდებდნენ.

ლევან მორიგე ჯარის ორგანიზატორი იყო, მისი სარდალი. პირადი მხნეობით მან გასწმინდა ქართლ-კახეთი მოთარეშე ლეკებისგან, იგი დიპლომატიური მისიით იყო წარვლენილი რუსეთს პროტექტორატის პირობების გამოსარკვევად და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა (1756—1782) ჩაბმული იყო სხვადასხვა სახელმწიფო საქმიანობაში.

საკმარისია წავიკითხოთ ანტონ I ქათალიკოსის ერთი უცნობი პირადი წერილი, რომ თვალწინ წარმოგვიდგეს ამ შესანიშნავი ჭაბუკის პიროვნება, რომელზედაც ასე დიდს იმედს ამყარებდნენ მაშინდელი ქართული პოლიტიკური წრეები.

...„ლეონ ნიადაგ განსაკუთრებულს შინა წარმატება აღემატებოდა თითოს შინა წელიწადს მტერთა ზედა მრავალჯერ ძლევით იდიდებოდა, ვგონებ, რომ ამისთანა ყმაწვილი ამ ქვეყანაში არ ნახულიყოს ცხენოსნობასა შინა, არცა სიმხნესა და მამაცობასა, არცა გონიერებასა შინა და თავისის მამის სახელისა და ქვეყნის სამჯობინაროს გამორჩევასა შინა. არა თუ ყოველს წელიწადს ოდენ ითქმის, რომ ყოველს თთვეს უკეთესობას შინა აღვიდოდა, დაღისტან შინა ერთმანეთს ეუბნებოდიან: ერეკლე აღარ დაბერდებაო, ასეთი სხვა ერეკლე გამოჩნდაო, რომ ერეკლეს წინააღმდეგობა აღარავის შეუძლიანო. აქამდის ერთი იყო და ახლა ორი ერეკლე არისო. ამაზედ დიდად განკვირვებულ ვარ, რომ ამ შვიდს, რვას წელიწადში რამდენჯერ ვნახევდი, ვხედავდი, რომ თავის მამის, სახლისა და თვისის ქვეყნის სამჯობინარი სიკეთე დღითი დღე ლეონს ემატებოდა“... [1]

თვით ერეკლეს მოსისხლე მტერმა, ახალციხის ფაშამ აღიარა, ბატონიშვილის სიკვდილის ჟამს, რომ „მოხუცების ჟამსა მეფეს ირაკლისსა ერთი ფარდა აქვნდა საქართველოს, რომელიცა ოთხ კერძოვე იგურდივ იფარებოდა და აწ დიდი შეძწე მოეშალა ირაკლი მეფესაო“ [2].

მხედარ ბატონიშვილს, რომელიც მუდმივ ლაშქრობაში და სამხედრო ვარჯიშობაში იყო გართული, ბრწყინვალე ამალა ჰყავდა. „ლევანმა ორი ათასი

---

[1] H 2510.

„მოჰსცა ღმერთმან მეფეხა ირაკლის-ძე ერთი, სახელად ლეონ, რომელიცა ემსგავსა მამასა თვისსა სიმხნითა და მრავალგზის შემუსრნა მან ლეკნი და მოსპო ამან ლეონ, ხშირად რბევა ქართლისა ლეკთაგან“ (ქ. ცხ. 271). ლევან ბატონიშვილის მხურვალე მონაწილეობით „განაწესა მეფემან ირაკლი მორიგე (ჯარი) ქართლ-კახეთით, რომლითაც დიდათ ისარგებლა და იყო მარადის სამი ათასამდის განმზადებული ჯარი, თავადნი და აზნაურნი და გლეხნი და მათთანა თვით მეფე და ძენიცა მისნი, ყოველნივე თვითოსა თვესა გარდაიხდიდნენ და სადაცა იყო ლეკთაგან საფიქრო ადგილი, მუნ მდგომარეობდნენ, რომლისა გამო დიდად შეშინდნენ ლეკნი... და ჟამსა ფრიად დაამუშავდეს ქართლ-კახეთი და იწყეს მოოხრებულთა დაბნებთა შორის საქართველოსათა შენობა და მრავალნი სოფელნი აშენდნენ“... (იქვე).

[2] ქ. ცხ. 274.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ამალა შეიკრიბა, სულერთიან თავისთავით ყმაწვილკაცობა, გამოჩენილი ვაჟკაცები, სადაც ყოველს ომში პირველი მეომრები ისინი იყვნენ და გამარჯვებულიც"[1]. ამ ამალის წევრი ყოფილა ბესიკიც,—მონაწილე ბატონიშვილის ლაშქრობისა და დროსტარებისა, როგორც მისი ოდა „სამძიმარის" რეალიები გვიმოწმებენ.

ამ შემთხვევაში საყურადღებოა აგრეთვე ერთი საბუთი, რომელიც ეხება ლევან ბატონიშვილის მიერ ფულის გაცემას ბესიკისათვის. 1777 წელს, ბატონიშვილის სახლის გამგებელი მანუჩარ მდივანი თუმანიშვილი ბატონიშვილის ფულიდან ხუთ მინალთუნს აძლევს ბესიკს:

„ღ(ითით იანვრის დამდეგს ქკ(ს უჯე ბატონიშვილის ლეონის ბრძანებით გიორგი მოძღვრისაგან მომებარა თორმეტი მინალთუნი და ეს ამისი ხარჯი არის:

ᲰᲐ (ხუთი მინალთუნი) ქ. ბესარიონ გაბაშვილს მივეც. დასხ.

ხარჯის ნუსხას აძევს რეზოლუცია თვით ბატონიშვილისა:

ქ. მანუჩარ მდივანო, ეს შენთან დაგვიხარჯავს ამ ნუსხით სულ იქნება ჯამი თოთხმეტი მინალთუნი. იანვარს: ი: ქკს: უჯე:

ბეჭედი „ლეონ"

სახარჯო ნუსხაში ბესარიონთან ერთად მოხსენებულ არიან ბატონიშვილის კარის მსახურნი ანუ მხლებლები:

1. ივანე მოლარეთ-ხუცესი
2. შანშე დავითიშვილი
3. სოლომონ მღვდელი.

ვფიქრობთ, მათ შორის ბესიკის მოხსენება კიდევ ერთ ზედმეტ საბუთს გვაძლევს იმისას, რომ პოეტიც ლევან ბატონიშვილის ამალის წევრად მივიჩნიოთ.

და ბოლოს, ამავე ხარჯის ნუსხაში სწერია;

„ჩ (ერთი მინალთუნი) ქ. სოლომონ მღვდელს,
გაბაშვილის ხელით."

თუ ამ „გაბაშვილში" ისევ ბესარიონი იხსენიება, მაშინ ჩვენ საბუთი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ პოეტი ბატონიშვილის შინაკაცი ყოფილა.

**

ამრიგად, ჭაბუკი პოეტის ცხოვრება ბატონიშვილის მეოხებით უმთავრესად სასახლესთან უნდა ყოფილიყო შეკავშირებული. სწორედ ლევანის კარზედ უნდა ჩამოყალიბებულიყო ბესიკი პოეტად; აქ უნდა გაფურჩქნულიყო მისი ლირიკული ვირტუოზობის ნიჭი. აქ, სასახლეში, ბატონიშვილის წრეში, ბატონიშვილებთან და სასახლის ბანოვანთა და შიმუნვართა შორის, ამ გაუთავებელ ზეი-

[1] S 1655/ბ.

[2] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის წიგნი I (ხელფასი, ქირა, ფასები) 1938 წ. გამოც. ნ. ბერძენიშვილისა, გვ. 57—58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მების და მეჯლისების სუფრაზე უნდა გამოეჩინა ჭაბუკ პოეტს ნიჭი მუნასიბი ლექსებისა, როგორც „ნადიმზე ზმათა მფენავს“, შესანიშნავ ექსპრომტერს, იმპროვიზატორს და ჯადოქარ დამკვრელს.

და ისიც საგულისხმოა, რომ ბესიკს ერთგვარი პოეტური ატმოსფერო ჰქონია, რადგან ანახანუმის დებთან ერთად, თვით ლევან ბატონიშვილიც არა ყოფილა მოკლებული პოეტურ ინტერესებს[1]. მას მიეწერება რამდენიმე სამეჯნურო და ეპისტოლარული ლექსი, რომელნიც გვიჩვენებენ ბატონიშვილის პოეტურ ნიჭსა და ვერსიფიკაციის ცოდნას[2]. მაგრამ თვით ბატონიშვილი, „ლეონ მზიანი“ იყო ობიექტი მგოსნური ხოტბებისა. ცხადია, ბესიკსაც არა ერთი ხოტბით უნდა ედიდებინა თავისი მეცენატი, არა ერთი ეპისტოლარული ლექსი უნდა ჰქონოდა მიძღვნილი თავის პატრონისა და მეგობრისადმი, მაგრამ ეს ნაწილი ბესიკის პოეზიისა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, ან არ მოღწეულა, იმ სამგლოვიარო ოდის („სამძიმარი“) გარდა, რომელშიც პოეტი მწარედ დასტირის ბატონიშვილის უდროო სიკვდილს:

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ ჯერ ორბელიანთა წრეს, რომელსაც უსათუოდ ჰქონდა თავისი კულტურული გავლენა ბესიკის ოჯახზედ და მაშასადამე ბესიკის ყრმობაზედ, ხოლო შემდეგ ლევან ბატონიშვილს, და საერთოდ ბესიკის მჭიდრო სიახლოვეს ერეკლეს კართან, უნდა ვიფიქროთ, რომ ბესიკის ახლობელი გარემო ყოველისმხრივ ხელისშემწყობი უნდა ყოფილიყო მისი პოეტური განვითარებისა და შემოქმედებითი ნაყოფიერებისა.

„ცოცხალი ბესიკი“

გადმოცემის მიხედვით და თანამედროვეთა დამოწმებით, ბესიკი გრაციოზული გარეგნობისა ყოფილა: „ტანადი“, „პირად თეთრი“, „სახით მშვენი“, „თმახშირი“, „კავებიანი“, „ზილფიანი“,—ფიზიკური სილამაზით დაჯილდოვებული. ცოცხალი, მოქმედი, მხიარულმცხოვრები, „ტკბილად მოუბარი“ დიდკაცურ და მოქალაქეთა ლხინების დამამშვენებელი და „აშიკთა მორთულობის“ ოსტატი.

ზეპირი გადმოცემით, ბესიკი ლურჯ ტანისამოსს ატარებდა. მეორე გადმოცემით, მწვანე ფერი ჰქონია აჩემებული. მისი კოსტიუმის ერთი სამკაულთაგანი მწვანე ქალაღაია ყოფილა. (ქალაღაია—აბრეშუმის დიდი ბაღდადი ყელზე

---

[1] S 3723, გვ. 248—249, S 1534 გვ. 46—48; S 1540 გვ. 43 სხვათა შორის, ლევანს ლექსითი მიმოწერა ჰქონია ბესიკის მეგობარ—დ ა ვ ი თ მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ თ ა ნ, როგორც გვიმოწმებს უკანასკნელი თავისი ერთი ლექსი-ეპისტოლეს შესახებ: „ლ ე ო ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს მ ო ე წ ე რ ა ჩ ე მ თ ვ ი ს და პასუხად მივჰსწერეო“ (S № 105, გვ. 153).

[2] ლეონზე შესხმა დაუწერია აგრეთვე ა მ ბ რ ო ს ი წ ი ლ კ ნ ე ლ ს, (შემდეგში ნეკრესელი, იხ. ცენტრარქივის ხელნაწ. № 201 დ ა ვ ი თ ა ლ ე ქ ს ი—მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ს (S 105 გვ. 224) „ლეონისათვის თქმულნი ათნი სიტყვანი იამბიკოდ 1781 წ. 10 აგვისტოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოსახვევი შარფი, რომლის ერთი წვერი გულზე ჰქონდათ დაშვებული ყაბალახივით)[1].

ბესიკის პოეტური დუელიანტი მზეჭაბუკ ორბელიანი ერთს ბოროტ სატირაში ბესიკზედ, ბრალს სდებს პოეტს გადამეტებულ კეკლუცობაში, გარეგნობის ბრწყინვალებით გატაცებაში. აი, ეს შემჩნეული დეტალები ჭაბუას სატირიდან, როგორც ბესიკის გარეგნობის დამახასიათებელი:

„რას ტანადობს როსკიპულად?
„ეშხიანობს, ეთერაობს, ეკაზმების ელვარებით".
„ზეუაობს, ზექალაობს, ზილფიანობს ზენანებით".
„იკეთებს ისვის იასა, იღებავს ილაფიანსა"[1].
„ფერად ფეროობს, ფაქიზაობს"...
„პატარქალობს პირად პოხით"...
„ვარდუაობს ვარდისახარ"..
„ქალუაობს, ქალთა მზეობს, ქუდქვეშ იგებს ქულავს ქალმით"..
„კრულსა, კერპულად კიცხულსა, კოცნიან კავებიანსა".
„ჭაკლობს ჭავლით"...
„ჭი, რა მარდათ იღებავს ულვაშებსა წითლად, ინით"[2]...

რაც უნდა გადაჭარბებული იყოს გაბოროტებული სატირიკოსის პორტრეტული აწერილობა, ამ სტრიქონებიდან მაინც იხედება ბესიკის სახე,—ელეგანტური, სიჭაბუკის შარავანდედით მოსილი ქართველი დენდი, გატაცებული თავისი ტუალეტით, ზომაზე მეტი კეკლუცობით, ანაკრეონტი, „ქალთა მზე".

**

ცნობილია, რომ ერეკლეს კარი განთქმული იყო აზიური სიმდიდრის ბრწყინვალებით. უპირველესად თვით მეფე იჩენდა დიდ მიდრეკილებას მდიდრულ ჩაცმულობა-მორთულობისადმი. რუსეთის რეზიდენტი იაზიკოვი სწერს ერეკლეზე: „Платье носит всегда богатое... пышность весьма любит"[3]... ხოლო გერმანელი რეინეგსი დასძენს[4]: „მეფე ყოვლის მხრიდამ სცდილობს შეიძინოს რამე მდიდრულად ცხოვრებისთვისო. რაც სჭირდება, ზოგს თავის ქვეშევრდო-

---

[1] შესაძლოა, ეს გადმოცემა ალ. ჭავჭავაძის ლექსიდანაც მომდინარეობდეს, რომელიც ბესიკის 1885 წ. გმც. გარეკანზე ეპიგრაფად მოჰყავს ზ. ჭიჭინაძეს:

მაისის ვარდმან ფურჩქვნილმან,
ბესიკმან მწვანით მკობილმან.
ალ. ჭავჭავაძე.

მაგრამ ჭიჭინაძე შემცდარია, როცა აქ „ბესიკ"-ში ჩვენი პოეტის სახელს ჰგულისხმობს. ჯერ ერთი, ჭავჭავაძის ლექსის ნუსხებში „ბესიკის" ნაცვლად „ბეზეკი" სწერია, რაც საბას განმარტებით ჰხიშავს „ელვარეს" და გინდაც იგი „ბესიკად" დამახინჯებულიყოს უვიც გადამწერთა მიერ, მაიხც კონტექსტის მიხედვით, ამ ლექსში არას გზით ბესიკ გაბაშვილი არ იგულისხმება, არამედ გარკვეული მცნება მოცემული საბა ორბელიანის განმარტებით.

ამ ლექსთან ერთად, ამავ წიგნის გარეკანზე ჭიჭინაძეს ეპიგრაფად მოჰყავს აგრეთვე ბარამ ბარათაშვილის და დიმიტრი თუმანიშვილის ლექსები, სადაც ისევე „ბეზეკის" „ბესიკად" გადამახინჯებასთან გვაქვს საქმე. ხსენებული ავტორებიც ისევე, როგორც ალ. ჭავჭავაძე ამ ლექსებში სრულიადაც ბესიკს არა ჰგულისხმობენ.

[2] ვარიანტი: „იკეთებს ირისიასა, იღებავს ილაფიანსა" H 2130.

[3] S 1612/ბ.

[4] Грамоты, I, 184.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შებს ართმევს და ზოგს იმ ვაჭრებს, რომელნიც რუსეთიდამ, სპარსეთიდამ და ოსმალეთიდამ საქართველოში სავაჭროდ მიდიანო“ [1].

ბუნებრივია, რომ დიდკაცობაც მეფეს ჰბაძავდა „რაც ბრწყინვალე ტანისამოსი მეფეს ეცვა, ისინიც იმას ნდომულობენო“. გადმოგვცემს იგივე და ჩვენ ვიცით, რომ მართლაც, თბილისის დიდგვარეულ წრეებში განვითარებული იყო დიდი მხატვრული გემოვნებით შეთანხმებული ჩაცმულობის კულტი. ტყუილად კი არ იძახის თავმომწონედ ერეკლეს ერთი კარის-კაცი: „ჩაცმა და დახურვა მიყვარს და არც მაკლია“-ო, ჩამოსთვლის რა თავის გარდერობის ვრცელსა და მდიდარ ქონებას [2].

თუ სადამდე მიდიოდა მზრუნველობა გარეგან სიკეკლუცისათვის, ამას ზედმეტად ადასტურებს თვით ბესიკის მეცენატის ბატონიშვილი ლევანის ერთი კერძო წერილი, რომელიც ქუდის შეკერვას ეხება. იგი მთელ ტრაქტატს შეიცავს ქუდის არტისტულად შეკერვისათვის [3] და ბოლოს, ბესიკის წრის გარეგან ბრწყინვალების გატაცებისთვის დამახასიათებელია მაგალითი პოეტის ახლობელი მეგობრის დავით ალექსი-მესხიშვილისა, რომელსაც სიჭაბუკეში ესევე უკიჟინებენ „კეკლუცად ჩაცმა“-ს და „საარშიყო სამოსელის“ სიყვარულს [4]. ამისთვის უწოდებდნენ „ცუკია“-ს, რაც მისი ერთი ჩამომავალის განმარტებით ჰნიშნავს კოხტად ჩაცმულს, მომხიბლავს. დავითი, როგორც ნამდვილი პეტიმეტრი, ნაცვლად პაჭიჭ-საცვლებისა ტოლაღებად აბრეშუმის ბაღდადს ხმარობდა.

ასე „ტანისამოსის მოყვარული“ იყო მაშინდელი „ოქროს ახალგაზრდობა“, რომლის რჩეული ნაწილი ბატონიშვილ ლევანს ახლდა ამალაში და რომლის წევრი თითონ ბესიკი იყო. ბატონიშვილის ამალა თავს იწონებდა „როგორც საუკეთოვო ცხენებითა, ისე იარაღითა და სრულიად ის ამალა ვერცხლის ყაწიმებში პრიალებდა თურმე, ბედაური ცხენებით, წითელი ტანისამოსით, ვერცხლის კრიალა ყაწიმებით“ [5].

ეს ახალგაზრდობა განთქმული იყო ბრძოლებში თავისი გამბედაობით, ვაჟკაცობით, შემმართებლობით, მაგრამ მშვიდობიან დღეებში მანვე იცოდა წაბმით ლხინები, „ბედაურთ ცხენთა შეკაზმვა, გამოჩენობა, ტანისამოსთა კეკლუცით შემოსვა, ტურფად ჩვენობა“ და „ყოველი განცხრომა, განსვენება, სიხარული“ ეს „გონება ქარიანი“, „არზაქარი“ „ოქროს ღილებყაწიმებიანი„ ახალგაზრდობა, ეს „განცხრომად სახიობით მოცინარე ჭაბუკნი“, იყვნენ ბესიკის ახლობელი მეგობრები და ბესიკი—მათი პოეტი იყო. სწორედ მათს წრეში მიმდინარეობდა ბესიკის უქმი, ჰედონისტური ცხოვრება, როგორც ქალაქელ პოეტისა და სასახლის მგოსნისა. ამიტომ უწოდებს ბესიკს ჭაბუა ორბელიანი „ცხოვრება ცარიელს“, „ლოთებიანს“, „წიდოვან წარმართს“, „მრუშ-მეძავს“, „საქციელ-საძაგელს“,—ჰგულისხმობს რა ბესიკის ეპიკურულ და ბოჰემურ ცხოვრებას.

სასახლეში მოალერსებული ბესიკისათვის, როგორც ამბობს გადმოცემა,

---

[1] ივერია, № 5–6, 1879

[2] იესე ოსეს შვ., 4, 11, 41.

[3] ცენტრარქივის სიგელების ფონდი, 226, № 4429; ფ. № 229, № 2135.

[4] H 3237.

[5] ალ. ორბელიანი, S 1655/ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ყოფილა თბილისის არისტოკრატიული უბნის კარებიც. სწორედ ამ უბანზედ იტყოდა გააზნაურებული მდაბიო: „დიაღ, ძნელი უბანი არის, გარშემო დიდნი კაცნი ახვევიან და ზეიდამ დაჰყურებენ“. ამ უბანში განთქმული იყო სახლების მდიდრული გაწყობილება, „მოფენილობა, ფიანდაზი, კარგათ დახვდომა, მართებული ლხინი, მგალობელი, მეჯლიში“, ბესიკიც გაუყრელი წევრი ყოფილა ამ უბნის არისტოკრატიულ ლხინების, როგორც მომღერალი და მგოსანი. ამ ნადიმებზე ითხზებოდა მისი სატრფიალო ლექსები, სიმღერები, ექსპრომტები, კალამბურები.

მაგრამ პოეტი თბილისის დემოკრატიულ ინტერესებითაც ყოფილა დაბანდებული. მუსიკალურ იმპროვიზაციების გამო ბესიკს დიდი სიყვარული ჰქონია დამსახურებული ქალაქის წვრილბურჟუაზიულ წრეებში.

მთაწმინდელის მიერ ჩაწერილი გადმოცემით,—თარისა, ჩონგურის დაკვრით, სიმღერისა და ტკბილი ხმის წყალობით, ბესიკი „განთქმული ყოფილა მთელს საქართველოში, მეტისმეტი საყვარელი ყოფილა დაბალი ხალხისა, ბაზაზების, ვაჭრების და საერთოდ ყველასი. გამიგია, რომ ბესიკის ხმა და ჩონგურის დაკვრა სულთმობრძავსაც კი მოასულიერებდაო. ბესიკი მარტო უმაღლეს პირებში არ ყოფილა სახელგანთქმული. ამისივე ერთობ დიდი პატივი ჰქონია მაშინდელს მოქეიფე ხალხს. მოქეიფე ხალხი სულში ისომდა ბესიკსაო. მისი სახელი თითოეულმა მოქალაქემ იცოდა. ყოველი კაცის სახლში ლხინი ისე არ გათავდებოდა, რომ ბესიკის სახელი არ ეხსენებინათ და მისი სადღეგრძელო არ დაელიათ“... ბაზაზები, სოვდაგრები, ხელოსნები „ყოველ წვეულებაში უსიკვდილოდ ჰპატიჟებდენ. მაგ. ამქრის დღესასწაულებში, სამღვთოებში, შეგირდების დალოცვაში, ქორწილში და სხვა სამხიარულო შემთხვევებში“ [1].

ამ გადმოცემის სიმართლე, სხვათა შორის, დადასტურებულია იმავე ჭაბუა ორბელიანის მიერაც. პირადი შურისძიებით აღძრული სატირიკოსი შეუბრალებლად ჰბასრავს პოეტს:

ჭი, ყოვლად საძაგელი,
სომხებს დაჰყავთ მუდმივ ქირით“ [2].

ე. ი. თბილისის ვაჭრებს, რომელთაც განსაკუთრებით სომხობა წარმოადგენდა, თითქოს ქირით, ჰონორარით დაჰყავდათ ლხინებში პოეტი—მომღერალი. ჭაბუას ნათქვამს რომ სატირული შხამი ჩამოვაცალოთ ქირის შესახებ, დაგვრჩება დადასტურებული ცნობა ბესიკის ხშირი სტუმრობისა თბილისის მოქალაქეთა ოჯახებში.

ამის შემდეგ დაუჯერებელი არ უნდა იყოს ზ. ჭიჭინაძის მიერ ჩაწერილი ცნობა, რომ „თბილისში, ერთს მედუქნე გადამწერს ხელობად ჰქონია ბესიკის ლექსების გადაწერაო“. მაშასადამე, იმდენად დიდი მოთხოვნილება ყოფილა მდაბიო ხალხში რომ მას, თავისი საგანგებო გადამწერელიც კი ჰყოლია ბესიკის ლექსებისა. ამ შემთხვევაშა დიდ ინტერესს იწვევს იმავე ჭიჭინაძის ერთი ცნობა: „ბესიკის ზოგი ლექსები საათნოვას გადაუთარგმნია“-ო, (გვ. 20).

[1] ბესიკი ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, გვ. 11.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტი. კარისკაცი

ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკ ბესიკს განთქმული მგოსნის სახელი ჰქონია დამკვიდრებული. ბესიკის მაშინდელ რეპუტაციის გასათვალისწინებლად, საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ მას სიცოცხლეშივე უწოდებდნენ „მ ე ლ ე ქ ს ე თ ბ ა შ ს“ და ხმატკბილობით რუსთველს ადარებდნენ:

„რუსთველისაებრ ხ მ ა ტ კ ბ ი ლ ო ბ ი თ
არ აკლებდა არც ერთ გვარებს“-ო,

ამბობს აღტაცებული მისი პანეგირიკი.

..რ ი ტ ო [რ] ნ ი ხ მ ა ნ ი,
ჩვენთვის საკმანი,
კ ე თ ი ლ კ ა ზ მ ა ნ ი.—
დასწერა იმან
ბარათ (sic) მშრომელმა.
ვიწყოთ ქებანი
მისნი მკობანი,
ჯ ე რ გ ვ ი ჩ ნ ს ხ ლ ე ბ ა ნ ი,
მოველით, ყოველნო, შემამკობელმა! (sic)

ეს ლექსი ბესიკზე, როგორც ტექსტიდან ირკვევა, დაწერილია ბესიკის სიცოცხლეშივე („ჯერ გვიჩნს ხლებანი“).

ამ შემთხვევაში საყურადღებოა აგრეთვე დავით ალექსი-მესხიშვილის აღტაცებული სიტყვები, რომლითაც მიუმართნია ბესიკისადმი: „და საოტარიდოსა ვანსა მიშქინურთა ენათა მოქმედებისა ველთა ლიკლიკებრ ხლტომანი დააწყებინე და არიულისა სამოვნოსა მოწყალებითა შეჰსძრენ და ს ი ტ კ ბ ო ს ა ხ ო რ ხ ს ა მ ო მ ტ კ ბ ა რ ნ ი ა ლ ყ ა ნ ი ა მ უ ს ი კ ე ლ ე ნ“-ო (S 105).

ბესიკის არაჩვეულებრივი პოპულარობის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის ფაქტიც, რომ იგი იყო არა მარტო „შემთხზველი პიიტიკოსი“, „რიტორი მჭევრ-მოუბარი“, ა რ ა მ ე დ „მ უ ს ი კ ო ბ ი თ ქ ე ბ უ ლ ი“-ც. მგოსანი—იმპროვიზატორი, ტკბილი ხმით მომღერალი, ჯადოქარი დამკვრელი, ასეთი შარავანდედით იყო შემოსილი ხალხის თვალში. გადმოცემით, რომელიც თავის დროს სპ. ჩიტორელიძეს ჩაუწერია, ბესიკის სიმღერით აღტაცებულმა ყაენმა ბრილიანტებით მოჭედილი საგვარეულო თარი აჩუქაო („ივერია“ 1889, № 88). ბესიკის მთავარი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი უპირველესად „სამღერალი ლექსების“ ავტორი იყო. „მან მრავალნი საამო შაირნი დასწერა ს პ ა რ ს თ ა ხ მ ა თ ა ზ ე დ ა ს ა მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ე ნ ი თ ა“, როგორც „დაუცხრომმა მთხზველმა“ „გ ა ა კ ე თ ა ს ხ უ ა თ ა დ ა ს ხ უ ა თ ა ხ მ ე ბ თ ა ზ ე დ ა ს ი მ ღ ე რ ი ს ა ლ ე ქ ს ე ბ ი“[1] „არ აკლებდა არც ერთ გვარებს“. ე. ი. სხვადა სხვა ლექსის ზომას და როგორც უსახელო მგოსანი იტყვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტურფანი ხმანი“
მრავალთ საკმანი,
აშუღთ სახმარნი,
იმანცა გვამცნო გაბაონელმა[2]

ამ ფაქტში იყო თანამედროვეთა აზრით ბესიკის პოეტური დამსახურება.

ასეთი იყო ბესიკის კარიერა ერეკლეს კარზედ, რომელსაც მგოსანთა და პიიტიკოსთა სიუხვეს უკიჟინებდა ანტონ ქათალიკოსი შორიდან:

„მანდაურთა ბრძენთა მესტიხეთა და პიიტიკოსთა რომელთამე. სიტყვითნი ქების სიტყვაობის მოხსენებანი და შაირსიტყვაობათა მუსიკთა შინა დატკბობანი გულსა შინა ჩვენთანა ყოფისაგან წარიტაცებენ“-ო.

საკითხავია, იყო თუ არა ბესიკი ერეკლეს კარის პროფესიონალი მგოსანი-მომღერალი, როგორიც იყვნენ: საათნავა, მაჩაბელი და სხვები? როდესაც ბესიკის პოეტურსა და მუსიკალურ ნიჭზე ვლაპარაკობთ, გვგონია, რომ აზნაურინტელიგენტ პოეტის მონაწილეობა სასახლის ცერემონიალებში სასხვათაშორისო თუ იქნებოდა, მაგრამ ბესიკის პოეტური და მუსიკალური ტალანტი უნდა ყოფილიყო ერთი მიზეზთაგანიც, რომ განდევნილ ზაქარია მოძღვრის შვილს ითმენდნენ სასახლეში.

**

ბესიკის დროს განსაკუთრებით ჰყვაოდა „შესაქცევარი“ პოეზია. ცხადია, იგი ბესიკის დროს არ შექმნილა—იგი წინამავალ პოეტურ სკოლების მემკვიდროებაა, მაგრამ ამ ჟანრმა ბესიკის დროს თავის ზენიტს მიაღწია.

ამ სიტყვამოკლე ჟანრში შედიოდა: „შემღერება-მუნასიბი“ ანუ ექსპრომტული ლექსები, „ანბანთქება“, „კიდურწერილობა“ ანუ აკროსტიხი (5—6 სახისა: სატირული „კიცხვითი“, „გიობითი“, „საცინელი შაირი“, „შაირი ხუმრობით“, „ლათაიური“), ეპისტოლარული შაირები, „ბეჭდის გვარი“: („ბეჭდების გვარი ლექსნი“ ანუ „ბეჭდის წარწერა“, „ბეჭდები მუნასიბიანნი“, „ბეჭდად თქმული“ ლექსები), „წარწერითი ლექსები“, (წარწერები—ციხეებზე, ტაძრებზე, ოთახის კედლებზე, სატევრებზე, ჩახსაკრავებზე, სარკეზე, საცეცხლურზე და სხვა) და ბოლოს ნამდვილი ქართული მოვლენა—„ზმა“. რამდენადაც პოეტი იყო „მჭევრ-მოუბარი“, „მშვენიერი რიტორი“—იმდენად დამსახურებული უნდა ყოფილიყო ამგვარ ლექსაობაში.

თუ სასახლეში სავალდებულო იყო „მუნასიბნი“ ანუ „სიმღერის ლექსნი“ „ზმანი ანუ იამბიკონი“ და სხვა „შესაქცევარი“ ლექსები, მათში ნამდვილ აღტაცებას იწვევდა „სახუმარი“, „ოხუნჯობითნი ლექსები“, განსაკუთრებით „ხუმრობა ზმით“, რომელშიც მგოსანს მუსიკისა და სიტყვის ნიჭთან ერთად სარკაზმის და სატირის ნიჭიც უნდა გამოეჩინა. ტყუილად კი არ ამბობს თეიმურაზ მეორე:

[1] H 2134.
[2] S. 1088.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საც გაჩნდებოდა ზნეობა,
თქმა ხუმრობისა ზმიანად,
. . .
ვის შეუძლიან ხუმრობა
სიტყვითა, თუმცა ზმენითა;
მეფეც გიბოძებს წყალობას,
საბოძვრით აივსენითა.

ბესიკს ვირტუოზის სახელი უნდა მოეხვეჭა სასახლის არისტოკრატიულ წრეებში. დიდ მეჯლისებსა და ნადიმებზე ექსპრომტერ მგოსანს ხომ დიდი გასავალი ჰქონდა. მეფეებსა და ბატონიშვილების გვერდით ხშირად ვხედავთ მათ ლაშქრობაში, შორგზასა, ლხინსა, თუ შეყრილობაში. ცხადია, სასახლის საზოგადოებაში მყოფ ბესიკსაც არა ერთხელ უნდა შეესრულებინა მეგობარ-პატრონთა პოეტური დავალებანი.

მაგ. ამნაირ დაკვეთით ყოფილა დაწერილი ბესიკის ცნობილი ლექსი „მე შენი მგონე", რომლის შემკვეთელი შესაძლოა ლევან ბატონიშვილი ყოფილიყო.

ზაქ. ჭიჭინაძე ასე გვიამბობს ამ ლექსის მიზეზს:

„ერთ დღეს მეიდნისაკენ ვიღაც ალაფის ქალი მიდენილა. მას დაჰხვედრია ქართველი ბატონიშვილი (ლევანი?—გ. ლ.) და ძალიან მოსწონებია. ბატონიშვილი შორი ახლოდამ ქალს თან გაჰყოლია და მისი სახლი უნახავს. მესამე დღეს ბატონიშვილს ქალიაანთ სახლის მახლობლივ ვახშამი გაუმართავს და მთელი ღამე უქეიფნიათ ზურნით, თარით და სიმღერებით. ბესიკიც იქა ყოფილა. ბესიკისთვის უთხოვნიათ იმ ქალზე სიმღერა გამოსთქვიო. ქალს მალალო რქმევია და ლექსი „მე შენი მგონე, ჭირთ შემკონე, მარქვი მალალო" ბესიკს მასზედ დაუწერია... ეს ლექსი მთელს ქალაქში მოეფინა" (ბესიკი, გვ. 6).

ექსპრომტული „შესაქცევარი" პოეზია, იმ დროის მოარული სენი იყო, ეპოქის ტრადიცია.[1] მას თვით სახელმწიფო მოღვაწეები, კარისკაცები მისდევდნენ. პოეტურ მახვილსიტყვაობას ისინი მეჯლიშების გარედაც იშველიებდნენ ხშირად სახელმწიფო საქმიანობაში, დიპლომატურ მიმოწერაში, დავაში, ჩხუბისა თუ ზავის დროს.

თვით ისეთი განდგომილი კასტა, როგორიც იყო სამღვდელოება, ოფიციალურად საერო პოეზიის უარმყოფელი, მხურვალედ მონაწილეობდა ამ პოე-

[1] ბესიკის მეგობარი დავით რეჭტორი დასძენს ერთი თავისი ლექსის გენეზისისთვის: „ბატონიშვილი ლევან გარდამეკიდა: ხუდიაზედ მუსტაზადი ჰსთქვიო-და მისი ვაჟკაცობა აქვო" (S 105)

აი, დამახასითებელი თემათიკა შესაქცევარი პოეზიისა დავით ალექსი მესხიშვილის ლექსებიდან:

1. ბატონიშვილმა გიორგიმ ჭადრაკი გამომართო, ცხენს დამპირდა, აღარ მომცა. ამ შაირით მოვაგონე. მაგრამ ჯერაც მოდის...
2. თოფით ქედანი მოვჰკალ და ეს შაირი იმაზედ ვჰსთქვი.
3. ფრანგის ქალი ვნახე ბალში და მაზედ ეს ლექსი ვჰსთქვი.
4. ქაიხოსრო მდივანბეგს უხუმრე ზმად.
5. ხუმრობა მივჰწერე დაბალი შაირი სხვათა.
6. სარკეზედ დავწერე ეს ლექსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტურ ტურნირში. იგი თავის წრეში ითვლიდა არა ერთს „მოშაირეს“, „აშუღს“, „ხუმარს“. ასე, ირაკლის მეფობაში მრავალთა შორის ცნობილ იყვნენ: განთქმული პიიტიკოსი ამბროსი ნეკრესელი, არქიმანდრიტი ელეფთერ ზუკაკიშვილი, ცნობილი „აშუღობით“, მთავარეპისკოპოსი კირილე ციციშვილი „მჭევრ-მეთქვი, სიტყვამარჯვე და ხუმარი“, არქიეპისკოპოსი პაფნოტი „კაცი მოხუმარი, მხიარული“, მღვდელი იოსებ თურქისტანიშვილი „მოხუმარი“, ორბელიანთა კარის მღვდელი ამირიძე („ქეშიშ დარდიმანი“) მომღერალი, მსახიობი „კომედიანჩიკი“, რომელიც, გადმოცემით, ერთნაირი სიყვარულით ემსახურებოდა ტრაპეზს და სცენას. მაშინდელ პოეტურ ანთოლოგიებში საკმაოდ შემონახულა „სამღვდელოთა“ ეპიგრამატულ შემოქმედების ფრივოლური ნიმუშებიც.

„შესაქცევარი“ პოეზიის ტონის მიმცემი თვით სასახლე იყო. ბატონიშვილები, კარისკაცები, ბანოვანნი, სწერდნენ თვით და სხვასაც აწერინებდნენ შეკვეთით.

და ბოლოს პოეტურ პაექრობაში მონაწილეობას იღებდა თვით „შუბლ-შეკრული“, „შეჭმუხვნილი“ მეფე-მხედარი ერეკლე მეორე, ისევე, როგორც ზოგი მისი წინამორბედი.

***

შეიძლება ჩვენში ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ასპინძის გმირი პოეზიის მოყვარული იყო და ზოგჯერ მონაწილეც პოეტური პაექრობისა. თვით პოეტის შვილს და თეიმურაზ პირველის ჩამომავალს, ტრადიციით მოსდგამდა პოეტური სიტყვის სიყვარული, თუმცა ლექსისთვის მას არ უნდა სცალებოდა, რადგან მეტად კატასტროფულ ხანაში უხდებოდა სამეფოს მართვა. და როგორც ერთი მისი კარის კაცი გადმოგვცემს, მას სასახლეში ხანგრძლივი ცხოვრების საშუალებაც კი არ ჰქონდა: „მეფე ერეკლე ერთ თვეს ერთ ადგილს არ დადგის. ის მტერი ჰყვანდა, ის ჟამი ჰქონდა, დავიდოდა და თავისს საბრძანებელს ისე არიგებდა“ [1]. მაგრამ ამ შესანიშნავ მხედარს, რომელსაც ხმალი და ომები უყვარდა, როგორც „მწყურვალს ღვინო“, დავით აღმაშენებელივით პოეზია და მეცნიერებაც იზიდავდა. იგი მოხუცებულობის დროსაც კი ფილოსოფიის გაკვეთილებს იღებდა [2] და საგანმანათლებლო მუშაკებს ჩვეული პათოსით მოუწოდებდა: „შრომის ყვავილი დაგვანახვეთ და თქვენდა რწმუნებული ტალანტი ააღორძინეთო“, [3] ხოლო სტამბის საქმეს, რომელიც მან საქართველოში განამტკიცა, „საქვეყნიერო და სჯულის სამსახურს“ უწოდებდა.

ნადირ-შაჰთან აღზრდილი, „კარგად ჰსწავლული თათრულისა და სპარსთა ენისა“, იმავ დროს მუსიკის დიდი ტრფიალი იყო, მცოდნე „საკრავთა და მუღამებთა ანუ კმებთა“ [4]. სწორედ მის კარზედ გაიფურჩქნა ბესიკისა და სა-

[1] იესე ოსეს შვილი, 44

[2] ისტორიებრივი აღწერა ვახტანგ ბატონიშვილისა, გვ. 24.

[3] ც. არქ. ს—გ. ფ. № 28

[4] H 2134: ერეკლეს მასწავლებელი ყრმობაში „სწავლასა და მგალობლობასა შინა“ იოანე ნინოწმინდელი (ჯანდიერი) ყოფილა (იქვე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათნავას პოეზია, იგი უალერსებდა მომღერლებს, პოეტებს და თავისს კარისკაცებს ახალისებდა მოსწრებულ სიტყვასა და პოეტურ შეჯიბრში. გრიგოლ ბატონიშვილი ერთ ასეთ შემთხვევას გვიამბობს: „ბატონი მეფე ერეკლე დღესა ერთსა მდევარზე წაბძანდა და თავის სიძე ციციშვილი სარდალი თან ახლავს. წითელი კაბა აცვია და თეთრ ტაიჭსა ზის და მეფეს წინ უძღვის. ამ დროს ხორგუაშვილი თევდორე იქ ახლავს და მეფემ უბრძანა: „ხორგუაშვილო, ლ ე ქ ს ი ო!

— „გკითხავ, ვინ არს წითლოსანი
თეთრ ტაიჭსა რომე ზისა?

და პასუხ უგო მაშინვე ხორგუაშვილმა:

— გკადრებ,—სარდალ-მოურავი,
სიძეაო სიმაღლისა [1].

ერეკლეს ეკუთვნის აგრეთვე ლექსად განმარტება ანტონ ქათალიკოსის ენიგმატიურ ლექსისა:

კათალიკოზის ბრძანებული ვარდზედ
(გამოცანა)

უგრძნო ცხოველი,
კეთილ ფშვათ მთოველი;
ვინა მშოელი,
ტკივილს ჰპოვებს ყოველი.

ბატონის მეფის ერეკლესაგან ახსნა (ზმით)

ვ ა რ დ ი დ გვარისა,
და უდარისა.
ამად არისა,
ტკივილთ მწარისა;
ადამის ცნობა
ახსნად კმარისა [2].

აი კიდევ ერთი ნიმუში მეფის გაშაირებისა:

1792 წ. ერეკლემ, ძველ-ქართულ სიმღერა-გალობის ტრფიალმა ტკბილ მგალობელს და მუსიკოსს, ამბროსი წილკნელს შეუთვალა: „ცისკრის ალილო ქართლსა და კახეთში აღარავის ახსოვსო, ქალაქს ჩამოდი, დაგვასწავლეო, პიიტიკოსმა ამბროსიმ პასუხი ლექსად მიართვა, რაზედაც მეფემ ლექსადვე უპასუხა:

ბატონის ნათქვამი:

შენ ეგ ალილო გვასწავლე,
მე ვიცი, რაც რომ გვარგეო;
ეგ ენა, პირი და გული,
აღაღე ჩვენთვის ბაგეო,

[1]. თ ე ვ დ ო რ ე ხ ო რ გ უ ა შ ვ ი ლ ი — XVIII ს. მოშაირე, მოხსენებულია „კალმასობაშიც".

[2]. S 1516, 1519.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფოფას მალ გამოგაცლი,
მისი გული დადაგეო,
ერთი კიდევ სხვა მოგვწერე
და მერმე აიბარგეო. [1]

ამ პოეტურ ექსპრომტების ნიმუშებიდან კი ჩანს, რომ თეიმურაზ მეორის შვილი არც ისე დაშორებული ყოფილა პოეტურ ტრადიციებს, როგორც ჩვენში ჰგონიათ [2] და შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ „ამის დროს კიდევ უფრო გახშირდა სპარსთა ხმებისა საკრავნი და სიმღერანი და ეცადნენ რაოდენიმე გვამნი და გააკეთეს ქართულის ლექსებით ხმასა ზედა სპარსთასა და დაუკრევდიან ჩანგურსა და სხვათა საკრავთა ზედა და დამღეროდიან“ (იოანე ბატონიშვილი). და თუ მეფეს უყვარდა მარჯვე პოეტური სიტყვა, ნიჭიერი ლექსი, ტკბილი სიმღერა, ცხადია, ერეკლეს დაინტერესებას პოეზიით უსათუოდ შესაფერი როლი უნდა ეთამაშნა ბესიკთან დამოკიდებულებაში.

„კალმასობის“ ავტორის ცნობით ვიცით, რომ კარის მგოსან საათნავას დამსახურება იმ ფაქტითაც იყო გამოწვეული, რომ მას პირველს „გაუკეთებია სპარსულ ხმებზე ქართული ლექსები“, მანამდე „ეს არ იყო შემოღებული“, გვიამბობს საათნავა კალმასობაში: „და როდესაც მეფემან ირაკლი ინება მეჯლისში და მიგვიყვანეს მოსაკრავენი, მაშინ მე სპარსულის ხმით ქართულად ვიმღერე, ბატონს დიდათ იამა და ხალათიც მიბოძა“-ო.

ბესიკიც ხომ გამაგრძელებელია საათნავას ნოვატორობისა. ბესიკიც ხომ „დაშვრა“ და „გააკეთა სხვათა და სხვათა ხმებისა ზედან სიმღერებისა ლექსები“. და თუ ლექსის მოყვარულმა ერეკლემ საათნავა ხსენებული პოეტური დამსახურებისათვის, დაასაჩუქრა, ცხადია, მას ბესიკისთვისაც უნდა მოეალერსე-

---

[1] ც. არქ. ხელნაწერი (№ 4—20). იგი დაწერილია თვით ამბროსის (ნეკრესელის) ხელით. შემდეგ ამბროსი ასე გვიამბობს მეფესთან შეხვედრას სალხინო დარბაზში, სადაც მან მეფეს საეკლესიო საგალობელი „ცისკრის ალილო“ დაასწავლა: „ქალაქს, ბატონს სალხინოში მოავალნი ახლდენ, იახლა, თაყვანისცა და ეს მოახსენა:

„კვალად ისმინე ხელმწიფევ, აღარ ვჰსდგები წილკანს მეო
ვერც უშენოდ გავსძლებ სადმე, თუ გინდ კარში გამაგდეო,
ჩემი გაძლება ჩეჰს გლახაკს,—ჩემა სახლს ახლო მიმაგდეო

„შიდ იმავ ღამეს ცხრა საათს გასულს უბძანა იჰისმა მზემა, იახლა და ხუთჯერ ბძანა თვითონ [ცისკრის ალილო]... მერმე იოთამ უცხო მგალობელი... და გიორგი ხელაშვილი დეკანოზი იქ ახლდენ და იმათ უბძანა: მე ვერ მოვიცლი და თქვენ დაისწავლეთო და იმათ ათს დღეზე დაისწავლეს... ბატონი ხშირად ათქმევინებდა...

„ბერე მიბრძანა: შენის ძმის დაწერილს ლოცვაებში ანდრიას საგალობელი ზოგი დამეწვაო და იმის ხელზე შენ უკეთ გამოსწერო. გარჯითაც გამოვსწერე და მეტიც მიბოძა“ და სხ. (იქვე)

პოეზიისა და სიმღერის მოყვარულ მეფეს საკუთარი შტატი ჰყოლია სასახლეში მწიგნობარ-მგალობლებისა, როგორც: „კირილე მთავარ-ეპისკოპოსი ციციშვილი, იოთამ მგალობელი, დიმიტრი, გარსევანიშვილი კოკია და სოლომონ, მეღვინეთხუციშვილი პაატა, ესენი საკუთრად მეფისა ირაკლისა იყვნენ მგალობელ-მწიგნობარნი“ (იხ. მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, 53).

[2] რაც შეეხება ერეკლეს შვილებს, ისინი აქტიური მონაწილენი იყვნენ მაშინდელ პოეტურ ანთოლოგიებისა და ზოგ მათგანს დღემდე პოეტის სახელიც კი აქვს დამკვიდრებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბინა. ბესიკის მგოსნობა ხომ ასე საჭირო უნდა ყოფილიყო სასახლის იმ მეჯლიშებისათვის, რომელთა „წესი და რიგი“ დიდიხნის შეცვლილი ხელახლად დადგინდა ერეკლეს დროს[1].

**

მგოსანი და მომღერალი ბესიკი მახვილი სიტყვითაც ყოფილა განთქმული და ესეც ხომ ერთგვარი სავალდებულო ელემენტი იყო მაშინდელ მგოსნისთვის. ბესიკი ხომ მიმზიდველი ცენტრი იყო იმ ეპოქის პოეზიისა, როცა მფრინავი „ლიზღური“ სიტყვის, მსუბუქი ეპიგრამების, კალამბურის და ანეგდოტების კულტი ჰყვაოდა, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ.

„კატისა და თაგვის ომის“ ავტორის—ზაქარია გაბაშვილის სატირული ტრადიცია მეტად თვალსაჩინოდ მჟღავნდება ბესიკის პოეზიაში. ბუნებრივი უნდა ყოფილიყო, თუ ცნობილი დემაგოგის და სატირიკოსის შვილს ბესიკს დამსახურებული ჰქონია შხამიანი პამფლეტისტის და ეპიგრამატისტის რეპუტაცია.

პოეტის ერთი ანტაგონისტი ასე გვიხატავს ბესიკის სატირიკულ ხასიათს:

„გ ა ბ ა ა ნ ო ბ ს, გ ე ს ლ ი ა ნ ო ბ ს, გ ვ ა რ ძ ნ ი ლ ი ა...
„ღ ვ ა რ ძ ლ ი ა ნ ო ბ ს...
„პ ი რ ა დ პ ი ლ წ ო ბ ს..
„ჭ ი ნ ჭ ყ ლ ი ა ნ ო ბ ს, ჭ ი რ ვ ე უ ლ ო ბ ს... და სხვ.

ასეთ მტრულ დახასიათებაში პასქვილიანტი ჰგულისხმობს ბესიკის შხამიან ეპიგრამატულ ლექსებს და დაცინვის პათოსს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ზ. ჭიჭინაძის მიერ ჩაწერილი ცნობაც, რომ ახალგაზრდა ბესიკმა აღარავინ გაუშვა, რომ მაზედ ლექსები არ გამოეღოო (გვ. 8).

ბესიკის ეპოქა ხომ დიდათ აფასებდა მსუბუქ პოეზიას, მახვილსიტყვაობას. „ო ხ უ ნ ჯ ო ბ ი თ ი ლ ე ქ ს ნ ი“, „შ ა ი რ ი ხ უ მ რ ო ბ ი თ ი“, „ხ უ მ რ ო ბ ა ზ მ ა დ“, „შ ე ს ა ქ ც ე ვ ა რ ი დ ა ს ა ხ უ მ ა რ ი“, „ლ ა თ ა ი უ რ ი“, „გ ი ო ბ ი თ ი ლ ე ქ ს ი“, „კ ი ც ხ ვ ი თ ი შ ე ს ხ მ ა“, „ს ა ც ი ნ ე ლ ი შ ა ი რ ი“, რაც ეპიგრამას, პასქვილსა და სატირას უდრის, მძლავრი იარაღი იყო, რომლითაც პოეტი გამოსთქვამდა თავის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ შეხედულებებს.[2]

სამწუხაროდ, ჩვენი ძველი ეპიგრამატული და სატირიკული ლიტერატურა, როგორც მაშინდელი ცხოვრების თვალსაჩინო ძეგლი, ჩვენი მწერლობის მცოდნეობაში შეუსწავლელია და უგულვებელყოფილი, თუმცა იგი ერთი თვალსაჩინო ჟანრი იყო, რამდენადაც საზოგადოების კრიტიკულ მიზნებს ემსახურებოდა.

---

[1] „წ ე ს ქ ც ე უ ლ ე ბ ა სახმარი დ ა რ ბ ა ზ ი ს ა თ ა, ვითაც დიდი ხანი იყო ქართლის ქცევა და მეფეთა რიგი გარდაცვლილ-იყო. ი ს ე ვ პ ი რ ვ ე ლ ს ა ვ ე ს ა ზ ღ ვ ა რ ს ა დ ა ა წ ე ს ნ ა, ყოველნი რ ი გ ნ ი დ ა რ ბ ა ზ ი ს ა ნ ი“ (ქ. ცხ., 123). „დიმიტრი ორბელიანი... ეგრე განაგებდა რ ი გ თ ა დ ა წ ე ს თ ა მ ე ჯ ლ ი შ ი ს ა თ ა. შეიქნა ლხინი, ვ ი თ ა ც ქ ა რ თ ლ ი ს რ ი გ ი ყ ო ფ ი ლ ი ყ ო, ცდილობდენ გამოჩენასა“ (იქვე, 114).

[2] „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი ლ ა თ ა ი უ რ ი, ესე იგი გაკიცხვითი, გინა გიობითი, უწოდებენ ევროპელნი კ რ ი ტ ი კ ა ს“... დ ა ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა (S 105)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენამდე მოღწეულ ცალკეულ ნიმუშებიდანაც ჩანს, თუ როგორ ემარჯვებოდა ბესიკს ეს ჟანრი. იგი ბესიკის პოეზიის აქტიური ელემენტი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ბესიკის სატირა არ გაჩერებულა მცირე ლიტერატურულ ფორმაზე და მან ყოველდღიური სუბიექტური წვრილმანი იუმორი აიყვანა ეპიურ ჟანრში და მოგვცა ზოგადი ხასიათის სატირული პოემა „რძალდედამთილიანი", რომელიც მხიარული ტონით და ბასრი ირონიით გადმოგვცემს მაშინდელ მდაბიურ ოჯახურ წყობილებას. ამ პოემაში ბესიკი იჩენს დიდს ნოვატორობას და სატირულ ტალანტს. საყურადღებოა, რომ „რძალდედამთილიანი" დაწერილია ბესიკის შემოქმედების პირველ პერიოდში, თბილისში ყოფნისას: „ამბავი ესე რძალ დედამთილთ ჩხუბისა, ნათქვამი ლექსად ბესარიონ გაბაშვილის მიერ ქალაქსა ტფილისს" (S 1439) და რაც მთავარია, დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსის" უწინარეს და მისგან დამოუკიდებლივ.

**

ეჭვი არაა, ბესიკის სატირული გამოსვლები ზოგიერთებში შიშსაც იწვევდა მოწონებასთან ერთად და გაბედული ეპიგრამებით პოეტს მტრებიც უნდა შეეძინა. ამიტომ ბრწყინვალე პოეტს მომხრეებთან ერთად ანტაგონისტებიც უნდა მრავლად ჰყოლოდა, რომელთაც ბესიკი არა ერთხელ იხსენიებს ლექსებში „ენით მკვლელ გველის", „მტერთ" სახელით.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა გავიხსენოთ ბესიკის ცნობილი ლიტერატურული დუელი განთქმულ მზეჭაბუკ ანუ ჭაბუა ორბელიანთან.

მზეჭაბუკ ორბელიანი მსხვილი პოლიტიკური ფიგურაა—თავის დროისა. ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, სამეფოს მდივანბეგი, განთქმული კარისკაცი, „ფილოსოფოსი", „მეცნიერი" [1], („რომელმაც სთარგმნა პერიარმენია არისტოტელისა" და ჰქონდა საკუთარი ფილოსოფიური სკოლა), „სამართლის წიგნთა მწერალი". თანამედროვენი მას „სიბრძნის ჩანგს" უწოდებდნენ. მშვენიერი მელექსე,—ეპიგრამატისტი, სატირიკოსი, მზეჭაბუკი იმავე დროს შეუდარებელი „მოხუმარე", „ანეგდოტისტი", „სიტყვამარჯვეობით ვითარცა ახალი დიოგენი იყო" (თეიმურაზ ბატონიშვილი S 3723). „იყო დიდი მოხუმარი, დიდი ოხუნჯი, დიდი სიტყვის მომსწრები". „სიტყვა მსწრაფლად და მარდად იცოდა". „იყო პაექრობასა შინა მარჯვე", „რომლისა ანეგდოტნი მისგან მრავალნი ნათქვამნი უწყიან ქართველთა". ამის გამო დიდ სახელმწიფოებრივ დამსახურებასთან ერთად მზეჭაბუკი „იყო მეფეთაგან მიჩნეული, რომელიც შეაქცევდის ხუმარ-სიტყვაობითა". განსაკუთრებით „მეფე ირაკლის დიდად უყვარდა". თვით ბე-

[1] „კალმასობაში" ასე დახასიათებულია მზეჭაბუკი: ...„ძველთა ფილოსოფიათა ზედმიწევნილი, ღ'თის-მეტყველებასა შინა გამოცდილი და პაექრობასა შინა მარჯვე, აგრეთვე ხუმარ-სიტყვაობასა შინაცა მარჯვე და პასუხისა უცხოთ მომგები. მესტიხეობისა შინაცა ქებული და მსაჯულისა საქმეთაცა შინა გამოცდილი. ამან აღზარდა რაოდენიმე მოწაფენი, ამანვე სთარგმნა ძველი საფილოსოფო წიგნი, პერიარმენიად წოდებული, სომხურისა ენისაგან. ესე იყო მეფეთაგან მიჩნეული, რომელიცა შეაქცევდის ხუმარ-სიტყვაობითა, რომლისა ანეგდოტნი, მისგან მრავალი ნათქვამნი უწყიან ქართველთა"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკი ეტყობა დიდ ანგარიშს უწევდა ჭაბუას, როდესაც კერძო ეპისტოლეში უწოდებს „სიტყვით მზეს“, „სიტყვითი სამოთხეს“.

მაგრამ ფილოსოფოსი და რიტორი არა ნაკლებ განთქმული ყოფილა ფიზიკური სიმახინჯითაც—„ცუდთვალადი, ავ-ტანადი“, „ურიგოდ აგებული“, „კუზიანი, ჩაჯაგვილი“, „სქელი, ბეჭ-მუცელ-მრუდე“, „შესახედავათ მზგავსი ეზოპესი“, „ტანად გოდორსა გვანდა“.

აი ასეთ პიროვნებას შეეჯახა პოეტი ბრეტერი.

მზეჭაბუკის ფიზიკური ნაკლი ყოფილა დაუშრეტელი წყარო სატირული ლექსებისა. სოლომონ ლეონიძე „ისეც ძალიან მეცნიერი კაცი, იყო ქიშპი ჭაბუასი და მოხუმარი და ჭაბუას ხშირათ ეხუმრებოდა“. სატირული ლექსები ჭაბუაზე დაუწერია აგრეთვე დავით რექტორს: „ბატონიშვილებმა დავით და იოანემ ილაჯი გამიწყვიტეს, მზეჭაბუკ მდივანბეგს ამგვარი იამბიკოები მისწერეო და მეც მივჰსწერე“-ო, გადმოგვცემს დავით (S 105, გვ. 118). ჭაბუაზედ ბოროტი ეპიგრამა უთქვამს აგრეთვე საათნავას.

ბესიკსა და ჭაბუას თურმე „ლაპარაკი და სამდურავი მოუხდათ ერთმანეთთან“, რის გამო ბესიკმა დასწერა კიცხვითი „ანბანთქება“:

„ათინას აღზრდილს აქებდეთ, ალვად ავნორჩად ასულსა,
ბნელ ბაიათა ბრყვილობას, ბრანგვ-ბაბაჭუად ბასრულსა.
გონჯი გუგანი გაშვენის, გახრილად გვერდზე გასრულსა.
სახე დაღრეჯით დამჩაჩულს, დედლურის დრუნგით დასმულსა.

და სხვა.

მაგრამ არც ჭაბუა-ორბელიანი, განთქმული მელექსე და გესლიანი სარკასტი, დარჩენილა ბესიკის ვალში და საპასუხო სატირა დაუწერია არა ნაკლებ შხამიანი და ცინიკურიც („ჭაბუას პასუხი ბესარიონისადმი, ისევ ანბანთქება“). ამ პოლემიკამ სასახლის საზოგადოებაშივე ჰპოვა გამოხმაურება და თვით ერეკლე მეფეც კი დააინტერესა.

ჭაბუას პამფლეტს ბესიკმა ეხლა უფრო მომკვლელი ლექსით უპასუხა რომელშიც შეუბრალებლად ასწერა მდივანბეგის ფიზიკური გარეგნობა:

„დამპალო ლეშო, თვალ-ხენეშო, გულ-ლადარაო,
ეშმაკთ ბუდეო, ბეჭ-მრუდეო, კერპთ სადარაო,
არ უზიანო, კუზიანო, მაწუნწარაო,
ხილვად საშიშო, გულ-მავიშო, გარსა-გარაო,
მე შენი ქება მომენება, არ დავფარაო!

ბეჭ-მკერდი, კუზი და კურტუმი გაქვს უკულმართი,
გვერდი, კისერი, პირის ფერი გონჯად დანართი,
უთლელის კუნძის შესაგვანი, ვერ გასამართი;
სჯობს დაიკარგო, იმალვოდე, მოგესხას ღართი.
ეს მიკვირს: სახლში რად გიშვებენ, მეტიჩარაო“!

და სხვა...

და ამ ლექსის დამატება:

ვინც რომ ვერ გიცნობს, ესრეთ იტყვის; ჰაი, ჭაბუაო,
ვინც კარგად გიცნობს, გაიღიმებს: დიდი ცრუაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკი ეტყობა დიდ ანგარიშს უწევდა ჭაბუას, როდესაც კერძო ეპისტოლეში უწოდებს „სიტყვით მზეს“, „სიტყვითი სამოთხეს“.

მაგრამ ფილოსოფოსი და რიტორი არა ნაკლებ განთქმული ყოფილა ფიზიკური სიმახინჯითაც—„ცუდთვალადი, ავ-ტანადი“, „ურიგოდ აგებული“, „კუზიანი, ჩაჯაგვილი“, „სქელი, ბეჭ-მუცელ-მრუდე“, „შესახედავათ მზგავსი ეზოპესი“, „ტანად გოდორსა გვანდა“.

აი ასეთ პიროვნებას შეეჯახა პოეტი ბრეტერი.

მზეჭაბუკის ფიზიკური ნაკლი ყოფილა დაუშრეტელი წყარო სატირული ლექსებისა. სოლომონ ლეონიძე „ისეც ძალიან მეცნიერი კაცი, იყო ქიშპი ჭაბუასი და მოხუმარი და ჭაბუას ხშირათ ეხუმრებოდა“. სატირული ლექსები ჭაბუაზე დაუწერია აგრეთვე დავით რექტორს: „ბატონიშვილებმა დავით და იოანემ ილაჯი გამიწყვიტეს, მზეჭაბუკ მდივანბეგს ამგვარი იამბიკოები მისწერეო და მეც მივჰსწერე“-ო, გადმოგვცემს დავით (S 105, გვ. 118). ჭაბუაზედ ბოროტი ეპიგრამა უთქვამს აგრეთვე საათნავას.

ბესიკსა და ჭაბუას თურმე „ლაპარაკი და სამდურავი მოუხდათ ერთმანეთთან“, რის გამო ბესიკმა დასწერა კიცხვითი „ანბანთქება“:

„ათინას აღზრდილს აქებდეთ, ალვად ავნორჩად ასულსა,
ბნელ ბაიათა ბრყვილობას, ბრანგვ-ბაბაჭუად ბასრულსა.
გონჯი გუგანი გაშვენის, გახრილად გვერდზე გასრულსა.
სახე დაღრეჯით დამჩაჩულს, დედლურის დრუნგით დასმულსა.

და სხვა.

მაგრამ არც ჭაბუა-ორბელიანი, განთქმული მელექსე და გესლიანი სარკასტი, დარჩენილა ბესიკის ვალში და საპასუხო სატირა დაუწერია არა ნაკლებ შხამიანი და ცინიკურიც („ჭაბუას პასუხი ბესარიონისადმი, ისევ ანბანთქება“). ამ პოლემიკამ სასახლის საზოგადოებაშივე ჰპოვა გამოხმაურება და თვით ერეკლე მეფეც კი დააინტერესა.

ჭაბუას პამფლეტს ბესიკმა ეხლა უფრო მომკვლელი ლექსით უპასუხა რომელშიც შეუბრალებლად ასწერა მდივანბეგის ფიზიკური გარეგნობა:

„დამპალო ლეშო, თვალ-ხენეშო, გულ-ღადარაო,
ეშმაკთ ბუდეო, ბეჭ-მრუდეო, კერპთ სადარაო,
არ უზიანო, კუზიანო, მაწუნწარაო,
ხილვად საშიშო, გულ-მავიშო, გარსა-გარაო,
მე შენი ქება მომენება, არ დავფარაო!

ბეჭ-მკერდი, კუზი და კურტუმი გაქვს უკულმართი,
გვერდი, კისერი, პირის ფერი გონჯად დანართი,
უთლელის კუნძის შესაგვანი, ვერ გასამართი;
სჯობს დაიკარგო, იმალვოდე, მოგესხას ღართი.
ეს მიკვირს: სახლში რად გიშვებენ, მეტიჩარაო“!

და სხვა...

და ამ ლექსის დამატება:

ვინც რომ ვერ გიცნობს, ესრეთ იტყვის; ჰაი, ჭაბუაო,
ვინც კარგად გიცნობს, გაიღიმებს: დიდი ცრუაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამით ეშმაკსა შეგადრიან: დღისით ბუაო,
რა კაი რამე დაბადებულხარ, მაგ წვერს ფუაო!
და სხვა...

ამ პოლემიკის გარშემო საზოგადოება ორ ბანაკად დაყოფილა. ირკვევა, ერეკლე მეფე ჭაბუას მომხრე ყოფილა.

მაგრამ ბესიკსაც თავის მხრივ ძლიერი მფარველი ჰყოლია ტახტის მემკვიდრის გიორგის სახით; როდესაც ბესიკმა პირველი პამფლეტი დასწერა ჭაბუაზედ, მაშინ „ეს ანბანთქება მეფე გიორგის მიართოო“.

გიორგი ბატონიშვილისაგან ბესიკის მფარველობა გასაგებია. იგი „**დიდად ეტ̇რფოდა მელექსეთა ძველთა და ახალთა**“[1]. და პოეტური სიტყვის კარგი დამფასებელი იყო („უყვარდა დიდად კითხვა ვეფხის-ტყაოსნისა, ზეპირად, ძველ დროთა ჩვეულებრივთა წესითა, წარმოსთქმიდა ოცდაათსა და მეტთა მუხლთა; ეტრფოდა ლექსთა წყობასა და გულმხიარულებით გასაგონად ტკბილად აბოლებდა შოთას ტკბილთა ნათქვამთა“). მეორედ,—ის, როგორც ორტოდოქსი, სჩანს უთანაგრძნობდა ბესიკის ოჯახს, რომელიც კათოლიციზმისადმი მიდრეკილ ანტონის გამო დაემხო. გიორგი ბატონიშვილი, „ქათალიკოზსა ანტონს პირველსა, არა სწყალობდა სიყრმიდანვე, ვითარცა კაცსა პაპისაგან მისისა თეიმურაზისა შეძულებულსა, მოიხსენიებდა არაკეთილად“[3], სხვათა შორის მისთვისაც, „რადგან ვერ ჰსცნო ღირსება შოთასი“ და ბოლოს,—ბესიკი გიორგის საყვარელი ძმის ლევანის მეგობარი და ახლობელი იყო. ეჭვი არაა, მომავალი მეფე გიორგი, ლევან ბატონიშვილ-

---

[1] ბატონიშვილი გიორგი ყრმობისას ვერსიფიკაციაში ვარჯიშობდა, რაზედაც მისს ალმზრდელს პავლეს დაუწერია:

„გიორგისა მეფის ძესა,
ექადის პავლე მელექსესა.

მოკრძალებულ გიორგის უპასუხნია:

„მელექსედ მე რად ვიწოდე?—
შენ იხებე, მე ვიწოდე“!

(იხ. Пл. Иоселиани, Путевыя заметки от Тифлиса до Мцхеты. გვ.).

[2] მზეჭაბუკ ორბელიანის პოეტურ მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ რამდენიმე ეპისტოლარული ლექსი:

1. „მზეჭაბუკ ორბელიანისაგან პასუხი ანახანუმის დის ბარბარესთან მიწერილი“ S 3686, გვ. 69.

2. მდივანბეგ მზეჭაბუკ ორბელიანისაგან ანასტასიასთან მიწერილი“ S 1516, გვ. 39.

3. „მზეჭაბუკისაგან თქმული ბატონიშვილი ქეთევანის ძეობაში, გიორგი რომ დაიბადა“ იქვე. გვ. 139.

4. „ნეკრესლის ქება, ნათქუამი ორბელიანის მზეჭაბუკ მდივანბეგისაგან“ S 105, გვ. 79.

პლატონ იოსელიანი მზეჭაბუკს აკუთვნებს აგრეთვე ლექსს „დომენტიზე“ (იხ. წყობილსიტყვაობა, შენიშვნა 108), მაგრამ იგი ვახტანგ VI-ეს ეკუთვნის.

[3] პლ. იოსელიანი, ცხოვ. მეფე გიორგი მეცამეტისა, გვ. 8.

[4] იქვე, 323.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ერთად ბესიკის მეცენატი უნდა ყოფილიყო[1]. ამით აიხსნება, რომ ბესიკმა ასე გაბედულად გააფრინა შხამიანი სატირა მზეჭაბუკ ორბელიანზედ.

რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ბესიკის და ჭაბუას გადაკიდებისა? ქვემოდ დავინახავთ, რომ ეს შეჯახება ბესიკის რომანულ ამბებითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ იგი მარტოოდენ კერძო დავა როდი ყოფილა. უსათუოდ, აქ პირად შეხლამ ლიტერატურული ბრძოლის ხასიათი მიიღო და ბესიკ-ჭაბუას სიტყვა-პასუხი იმ დროინდელ ლიტერატურულ-პოლიტიკურ მასალად უნდა მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში საგულისხმოა ერთი საყურადღებო ცნობა თეიმურაზ ბატონიშვილისა: „ჭაბუა იყო მეცნიერი კაცი, და კიდევ წუნობდა მისგან (ბესიკისგან გ. ლ.) თქმულთა ლექსებსა“-ო[2]. ცხადია, ლიტერატურულ გემოვნებათა და პრინციპების შეჯახებასთან გვაქვს საქმე.

ბესიკის და ჭაბუას სწორედ პრინციპულ შეჯახებას ნათელს ჰფენს გრიგოლ ბატონიშვილის ერთი ნაამბობიც, როცა ჭაბუას ბესიკმა უფრო მწარე ლექსით უპასუხა, რასაც ჭაბუას დადუმება მოჰყვა, ერეკლეს თურმე მიუმართია ჭაბუასთვის:

— ჭაბუავ, რატომ ბესარიონს მაგიერ ლექსს არას დაუწერო? და მაშინვე იმავ წამს მოახსენა [ჭაბუამ]:

— შენი ჭირიმე, ბლიაძეს რა ლექსი გაეწყობაო! იქ მყოფთ დიახ, ბევრი იცინეს“-ო (H 2130).

ბლიაძეობა მესტვირეობას ჰნიშნავს[3]. მაშასადამე, ფილოსოფოსმა და სქოლასტმა ჭაბუა ორბელიანმა ხალხური მესტვირეების გავლენა უკიჟინა და მით ერთგვარი დამცირება მიაყენა გალაღებულ ბესიკს მეფისა და კარის არისტოკრატიის წინაშე. ცხადია, ჭაბუამ ბლიაძეობით აღნიშნა ქალაქური, ხალხურ მელოდიების, ქალაქური საკრავების მოტივების გავლენა, რაც საფუძვლად დაედო ბესიკის ლირიკას. თვით ბესიკის ლირიკულ პიესებსაც ხომ დიდი სიყვარულით მღეროდნენ ქალაქის საზანდრები. და არა მარტო მუსიკალური ხაზით, სიტყვიერი ხელოვნებითაც ბესიკის პირველ, ტფილურ პერიოდის შემოქმედებაში („სევდის ბალი“-ს რკალის ლექსები, „რძალდედამთილიანი“ და სხვ.) მართლაც უფრო შესამჩნევია „ბლიაძური“ ნაკადი, ვიდრე სქოლასტური ღვლარჭნილობა, მაღალი ოდის სიტყვათ-„შეთხზულ-შექსულ-შენართულ-მომჭევრ-მეთქომ-რიტორულება“, რაც ბესიკის შემოქმედების მეორე პერიოდს საბოლოოდ დაეუფლა. ოფიციალური სტილის ოსტატი, ძველი პოეტიკის დამცველი ჭაბუა ორბელიანი, ცხადია, ტრადიციულ

---

[1] გიორგის და ლევანის მეგობრობის შესახებ გადმოგვცემს ალექსანდრე ორბელიანი: „ბატონიშვილი ლევან, სულ ერთიან თავად-აზნაურობის საყვარელი იყო და უკანასკნელად მთელის ძეფის სახელწოდებისა, ნამეტნავად ბატონიშვილის გიორგის უფრო ძალიან ჰყვარებია, ასე რომ მეტი სიყვარული აღარ იქნება, როგორც იმას უყვარდა თავისი ძმა ბატონიშვილი ლევან“ (H 1655).

[2] S 5374.

[3] ბლიაძე—მესტვირეების გვარი ქართლში. მესტვირეობა მათ მემკვიდრეობით გვარიდან მოსდგამდათ. „ბლიაძე ძველად განთქმული საზანდარი ყოფილა“. დ. წერეთლის შენიშვნა. „დროება“, № 65, 1875.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რუსთველურ“ პოეტური ფორმის და ტექნიკის ერთგული იყო. ამ შემთხვევაში კი ბესიკი ნოვატორის როლში გამოდიოდა, რამდენადაც იგი ქალაქურ მელოდიების შემოტანით ამსხვრევდა ოფიციალურ ლიტერატურულ გაყინულ ფორმებს და მით ლექსს ანთავისუფლებდა ძველ ჩარჩოებისაგან. მაგრამ ჭაბუა-ბესიკის შეტაკებაში კლასობრივი მომენტიც უნდა შევამჩნიოთ.

ეჭვი არაა, ჭაბუას ირონიას ბესიკისადმი სხვაგვარი აქცენტიც დაჰკრავდა. ლიტერატურული მტრობის გარდა, ზვიადმა ორბელიანმა ბესიკის გამოსვლაში აზნაურის თავხედობაც დაინახა.

მართალია, ჩვენი ფეოდალური არისტოკრატია თავის წრეში ზოგჯერ კიდევაც იღებდა ცოდნითა და ნიჭით განთქმულ პირებს დაბალ წრეებიდან (სოლომონ ლეონიძე, იესე ოსეს შვილი), მაგრამ მათ ყოველთვის აგრძნობინებდა თავის ადგილს და საკუთარ „დიდსქესოვანებას“ [1]. ასეთ ზვიადობას იჩენს აზნაურ ბესიკისადმიც ჭაბუა ორბელიანი, როდესაც მგოსანს „ა ლ ი ა ს ა ღ ზ რ დ ი ლ ო ბ ა ს“ უკიჟინებს:

„არის ალიას აღზრდილი აღმატების ასადაგით,
ბედით ბრუდი ბესარიონ ბარაბაობს ბილწის ბაგით“.

ამ სიტყვებში ნაგულისხმევია ბესიკის მდაბიო წარმოშობა.

* *

მაგრამ ბესიკის ცხოვრება, რასაკვირველია, მხოლოდ პოეზიის, მუსიკის და ლხინის ხაზით არ მიიმართებოდა. ერეკლეს კარს დიდი პრაქტიციზმი ახასიათებდა და პოეზიისა და მუსიკის მოყვარული ერეკლეს კარისკაცები უპირველესად საქმის ადამიანები იყვნენ.

ლევან ბატონიშვილთან ერთად, ბ ე ს ი კ ი გ ა რ ს ე ვ ა ნ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს დ ა ს ო ლ ო მ ო ნ ლ ე ო ნ ი ძ ი ს [2] თ ა ო ბ ი ს კ ა ც ი ა, მათი წრის ადამიანი. ეჭვი არაა, ბესიკსაც უნდა მიეღო სახელმწიფო წვრთნილება, რასაც ბესიკის მომავალი სახელმწიფო კარიერა გვიდასტურებს—იმერეთის კარზედ, მაგრამ სახელდობრ, რა მოხელე უნდა ყოფილიყო ლევან ბატონიშვილთან, ჯერჯერობით ძნელია დადგენა—საამისო ცნობები არ მოგვეპოვება; იმის გარდა, რომ ბესიკი ბატონიშვილის ამალის წევრი ყოფილა და მისი საყვარელი მეგობარი—მგოსანი [3].

* *

ვფიქრობთ, ბატონიშვილის მხლებელ პოეტს უნდა გაეზიარებინა თავისი პატრონის მხედრული ცხოვრებაც, განსაკუთრებით 1773 წლიდან, როდესაც არსდება „მორიგე“ ჯარი, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია ლევან ბატონიშვილი. „განწესებით“ თვით მეფეც კი მოვალე იყო, არ დაჰკლებოდა

---

[1] ერთს ბოროტ ეპიგრამაში ნიკო დადიანი „უგვარობას“ უკიჟინებს სოლომონ ლეონიძეს („გ ვ ა რ ი ა რ გ ა ქ ვ ს“-ო).

[2] ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ს ო ლ ო მ ო ნ ლ ე ო ნ ი ძ ე დაბადებულა 1754 წ., როგორც ჩანს მისივე პირადი წერილიდან (S 1631).

[3] ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ბესიკი ტფილისში ქაღალდის მაღაზიის პატრონთან, მდიდარ მოქალაქესთან კომპანიონი ყოფილა (მრეწველობა... საქართველოში, გვ. 6, 1910 წ.) ჭიჭინაძის მეორე ცნობით, ბესიკი იმერეთში ყოფნისას სამდივან-მწიგნობრო ხელსაწყო საქმის წარმოებითაც ყოფილა ცნობილი (ბესიკი, 1885 წ. გვ. 8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისს მორიგეობას. რაც შეეხება ლევან ბატონიშვილს და მის რაზმს, ის თავისი ვადის გარეშეც ხშირად მორიგეობდა ქართლ-კახეთის საზღვარზე მოთარეშე ლეკთა პირისპირ. ცხადია, „მორიგეს“ ვერც ჭაბუკი ბესიკი ასცილდებოდა და იგიც მონაწილე უნდა ყოფილიყო ბატონიშვილის ლაშქრობისა ლეკების წინააღმდეგ. უსათუოდ ამ ბრძოლების მოსაგონარი უნდა იყოს ბესიკის ნათქვამი გარდაცვალებულ ბატონიშვილზედ:

ვა, შენდა ომო,
უმისოდ მოსანდომო! (იხ. „სამძიმარი“)

19 წლის ბესიკი ასპინძის ბრძოლის დამსწრე უნდა ყოფილიყო, რასაც ჩვენის აზრით, გვიმოწმებს მისი ნაწარმოები „ასპინძისათვის“. ვფიქრობთ, ისეთი გადმოცემა ბატალურ სურათების დეტალებისა, ბრძოლის ტემპის და იერიშის რიტმისა, როგორც ხსენებულ პოემაში გვაქვს, მხოლოდ სამხედრო ამბების ცენტრში მყოფს, ბრძოლაში მონაწილე პოეტს შეეძლო[1].

როგორც ირკვევა, ჭაბუკი პოეტი პოპულარული ყოფილა ბატონიშვილის სამხედრო რაზმშიც, სადაც არა ერთი პირადი მეგობარი ჰყოლია მაშინდელ გმირთა შორის. შენახულა ერთი მოკითხვის ბარათი ბესიკისადმი—შესაძლოა ბრძოლის ველიდანაც,—ვასილ კოტეტიშვილისა[2]. ბარათში ბესიკს მოკითხვას უძღვნიან მაშინდელი განთქმული გმირები გოგია ფატრელი[3] და ქაიხოსრო მურვანიშვილი[4] ...„და შენმა გოგია ფატრელმა გამოუწერელის ერთგულებით თავი დაგიკრა, ქაიხოსრო მურვანოვმა იმავ სიყვარულით მოგიკითხა, როგორც უწინ ერთგულობდა“. ეჭვი არაა, გმირებიც საჭიროებდნენ ბესიკის პოეტურ სიტყვას

[1] საინტერესო თემაა: „ბესიკი ბატალისტი“. სამწუხაროდ, „ასპინძის ომის“ და „რუსის ბრძოლის“ ავტორი ამ მხრივ ჯერ შეუსწავლელია.

[2] ბესიკი, ჭიჭ. გძც., 1885 წ., გვ. 9; H 2690.

[3] გოგია ფატრელის ანუ გოგია ფათრელის შვილის შესახებ, იხ. ცენტრარქ. სიგელების ფონდი, №№ 206, 203, 3424.

[4] გმირის ქაიხოსრო მურვანიშვილის შესახებ საკმაო ცნობები აქვს შემონახული იოანე ბატონიშვილს (იხ. „კალმასობა“ გვ. 47—48, 1895 წ.) იოანე ხელაშვილთან დიალოგში ქაიხოსრო ასე გვიამბობს თავისს საგმიროო თავგადასავლს:

ქაიხოსრო: „მე მეფე ირაკლის ორმოცდა თუთხმეტი წელიწადი ვმსახურე... რომ ცოტა ვსთქვა მათ უმაღლესობასთან თუ სხვაგან ორმოცდა ათი ომი მეტი მიხილავს, მაგრამ სახელოვან ომებში ყოველგან ვხლებივარ მათ სიმაღლეს: ახათხანის ომში, რომ სამი ათასის ქართველით თვრამეტი-ათასი კაცი დაამარცხა უზარტაზნოთ ბატონმან, და იმისი ურდო მთლად დაგვრჩა, რომ გახვმდიდრით. ოთხი ათასი კაცით, აჯიჩალაფის შვილი თორმეტი ათასის კაცით მოსული ბოოჩალოს დაამარცხა, და მრავალი ტყვე და საქონელი ვიშოვეთ. ავარიის-ხანი რვათასის კაცით მჰადი-ჯვარს ადგა,—დავამარცხეთ და მცირეს ჯარით და მრავალი დავხოცეთ და დავატყვევეთ. დანღიზში, ქიზიყის ბოლოს ვძლიეთ ლეკთა და მრავალი აღვხოცეთ და იმ ღამეს დედოფლის წყაროზედ მდგომთა, დაგვესხა სხვა უდიდესი ჯარი თავსა მას გაქცეულს ლეკთან შეერთებული, და იგინიცა დავამარცხეთ, დავწყვიტეთ. ხერთვისი ავიღეთ და მრავალი ოსმალი დავხოცეთ. აბდულა ხანი ბაგრატიონი თორმეტი ათასის ყიზილბაშით მოვიდა, ციხეც თათრებს ეჭირა და სოლალაკზედ დავამარცხეთ და ავწყვიტეთ. ასპინძას ოსმალის და ლეკის ჯარზედ გავიმარჯვეთ, რომ რუსები დაგვიბრუნდენ, არღა გვიშველეს. და სულ ის თათრის ჯარი მთლად ფარაოსავით მტკვარში დავლუპეთ და მეფემან მოსლა თავისი ხელით კოხტა-ბელადი. ერევნის დიდ ომში იქ ვახლდი და რვა ათასი კაცი დავამარცხეთ მეფის გიორგის მიზეზით და გარჯილობით. ავარიის ხანი ოცდა ოთხი ათასის კაცით ყვაოლის ციხეს შემომდგარი იყო, სამასი კაცი წავედით დაუთალაბათ და შევედით ციხეში და გავაქციეთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და შემთხვევით როდია მძლავრი სამხედრო თემა ბესიკის ეპოსში („ასპინძისათვის", „რუხის ბრძოლა"), რომელსაც შთააგონებდნენ—დავით ორბელიანი, სოლომონ მეფე, ლევან ბატონიშვილი და სხვები. მაგრამ მისი შთამგონებლები სხვებიც უნდა ყოფილიყვნენ, უბრალო მოლაშქრეები, არა წარჩინებულის გვარისა, მაგრამ წარჩინებულნი პირადი გმირობით. მე ვფიქრობ, ერთი ასეთი გმირი მოლაშქრე მეგობართაგანი ბესიკისა, უნდა იყოს ადრესატი ლექსისა—„პირველ სიმდაბლეს აღეკარ", რომელშიც მოცემულია მხედარი რაინდის იდეალი:

„ვით საწოლს შიგან ურიდად
არ გექმნნეს ბრძოლად ტკეცანი,
არცა გულისა კბენანი.
ცხენს ნუ შეაწყუდევ რა:მს ჯარე,
გაქუნდეს ხლტომა და ფრენანი
ამპანაგთ ექმან ლხენანი.
ასი ათასთა მგონები,
გახლდეს ცხენ-თავის შვენანი,
მტერთ ზაოის გამათენანი!..

* *

არა ერთხელ უნდა გაენაწილებინოს ჭაბუკ ბესიკს თავისი პატრონის—ბატონიშვილისა და პირადი მეგობრების ხვედრი ბრძოლის ველზე თუ საომარ მდგომარეობისათვის სამზადისში ყოფნისას და ხშირად მისთვისაც, როგორც ბატონიშვილის ამალის წევრისთვის, სამძიმო უნდა ყოფილიყო მხიარული თბილისის მიტოვება და სადღაც ჩასაფრებულ მზირად ყოფნა სალეკო საზღვრებზე. თვით ბატონიშვილის წერილებშიც „მორიგეობისას" არა ერთხელ სჩანს დაუდგრომელი ლტოლვა თბილისისადმი. ერთგან ის იხვეწება თბილისს ჩამოსვლა მინდაო, მეფეს დააბარებინეთ ჩემი თავიო. „ბატონს ჩემს სიძეს სარდალს დავითს მოკითხვა მოახსენე და ასე უთხარ: ჭაბუამ არ იცის-თქო. აი მეც კაცი ვარ, სისხლი მაქუს და ხორციცაო. და მომეხმარე გასაჭირსა-თქო, თუ ჩემგანაც შველა გიკმობდეს-თქო"[1]. სამაგიეროდ, რა სიხარული უნდა ყოფილიყო ბატონიშვილისა და მისი ამალისათვის თბილისში დაბრუნება. აი ერთი წერილი ბატონიშვილისა თბილისში ჩასვლის სამზადისში:

„ბატონისშვილის ლეონის კეთილად სახსენებელო მდივანო მანუჩარ! მერმე გუშინ რომ ხუთშაბათი იყო, ღ'ის მოწყალებით პატარძეულს მივედით საღამოზე, და დღეს კიდევ ღ'თით ქალაქს შემოვალთ. რომ ინათლებს, აქედამ წამოვალ. ახლა მანდ სადილი უნდა გაგვიკეთებინო. ახალი თევზი, რაც იშოვნო, და ძველიც, კარგი სადილი გაგვიკეთებინო. ჩვენი საგარეო სახლი დააფენინე და ოცის კაცის ხარჯი დაიჭირე, მზათ იქონიე. ამ სადილის სარისტა ივანესა

ეგოდენი ჯარი. მცხეთას მიმავალს ღამე დაგვხვდა ლეკისა ჯარი, ჰსძლო მუნ ბატონმან, თავისის ხელითაც მოკლა ლეკი და ჩვენ სამთ ძმათა დავხოცევით ლეკები, სამთავ მივართვით თავები და მაშინვე მიბოძა ჯილდოდ ჯაბადართ უხუცესობა და სხვა წყალობა, ატოცის გამარჯვება ხომ შენც იცი. ქრცხინვალში, ხვითებში და სხვაგან რაღა მოგახსენო, იორზედ, ყველგან დავსწრებივარ მის სიმაღლეთან, ყოველგან სახელი მიქმნია, აგრეთვე საკუთრად ყაზახში და სხვაგან, და განჯის ომშიც და აღამამათხანის ომშიც თან ვახლდი და მთიულეთსაც განუშორებლად ვიყავ".

[1] ც. არქივის სიგელების ფონდი, № 3353.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზურაბას მოეც და შენ ხომ წინ მოგვეგებები, დიაღ, კარგი იქნება. სადილი კი მზათ უნდა იქონიოთ. რაც მოისწრათ, ისრე დაგვიხვდით"[1].

ბატონიშვილის წერილს მისი სახლის გამგებლის მანუჩარ თუმანიშვილის შემდეგი მინაწერი აქვს: „ღვინო თუნგი კე [25], თეთრი წქ. დ ა ი ხ ა რ ჯ ა".

1772 წ. 1 იანვრიდან 1774 წ. 15 აგვისტომდე ბატონიშვილი ლევან რუსეთის კარზედ იყო წარგზავნილი ერეკლეს საგანგებო რწმუნებულად და ამ ხანებში ბესიკი მოშორებული თავისი მეცენატის სიახლოვეს, შესაფერ მფარველობასაც უნდა ყოფილიყო მოკლებული. 1774 წ. ნოემბერს ბესიკს უნდა შეემკო ბატონიშვილის „უწარჩინებულესი ქორწილი". „შექცევა დიდი, შუშხუნები გასაოცრები სპარსთა. მრთელი მტკვარი მოდებული [შუშხუნების] ბატითა, იხუებითა და სხუა მოთამაშენი თოკჯედ და მართულზედ"[2].

* *

ზაქარია ჭიჭინაძე გვიამბობს, რომ ერეკლეს კარზე ყოფნისას, ბესიკს დიპლომატიურ სარბიელზედ უმოღვაწნია: „სამეფო სამსახურშიაც საკმარისად დახელოვნებულა და ერთხელ ერეკლე მეფის თხოვნით სპარსეთშიც წასულა, ყეინის წინაშე, შესახებ საქართველოს საქმეებისა. სპარსეთში ყოფნის დროს, დიდი საჩუქრები შეუძენია. შეუსწავლია აგრეთვე უფრო კარგად სპარსული ენა, მწერლობა და განსაკუთრებით სიმღერები, ზოგნი ერთნი უწყიან (sic), რომ ბესარიონისათვის ბესიკი სპარსეთში დაურქმევიათო... სპარსეთიდან დაბრუნებული ბესიკი დიდის პატივით მიუღია მეფე ირაკლის". ამის შემდეგ პოეტი მეტად გათამამებულა სასახლეშიო და სხვ. (ბესიკი, გვ. 4—5). მთაწმინდელის ცნობას ბესიკის დიპლომატიურ მინდობილობათა შესახებ ერეკლესაგან სხვებიც იმეორებენ (ხახანაშვილი გორგაძე და სხვა).

პირადად ჩვენ ეჭვის თვალით ვუყურებთ ბესიკის ელჩობას ირაკლის მეფობაში. ვფიქრობთ, ზაქარია მოძღვრის შვილს მეფე იმდენად არ უნდა ნდობოდა, რომ იგი ელჩად გაეგზავნა საპასუხისმგებლო დავალებით, ისიც სპარსეთში.

შესაძლოა მხოლოდ გვეფიქრა, რომ აღმოსავლეთის სასახლეთა ცერემონიალის ტრადიციით, ბესიკი ჩარიცხეს სპარსეთს წარგზავნილ მისიაში წევრად, როგორც მდივან-მწიგნობარი ან მგოსანი (ცნობილია, ქარიმხანს უყვარდა პოეტები და თვით სწერდა ლექსებს). მაშინ ბესიკის სპარსეთში გამგზავრება უნდა მიეკუთვნოს მხოლოდ 1772 წელს, სახელდობრ, როცა ირაკლიმ ქარიმხან-ზანდის მოსამშვიდებლად გაგზავნა დესპანები—ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო (პოეტი) და თარხნიშვილი ზაზა. ცნობილია, დელეგაციის შედეგი ბრწყინვალედ დასრულდა. ირაკლის დესპანებმა „მრავლის ლაპარაკითა და ლონისძიებითა" მოამშვიდეს ქარიმ-ხან და საქართველოზე ლაშქრით წამოსული აიძულეს თავრიზიდან უკან გაბრუნებულიყო. ამაზე ადრე ბესიკის სპარსეთში ყოფნა შეუწყნარებელია მცირე ჰასაკოვნობის გამო, ხოლო შემდეგ ხანებში როგორც ქვემოდ დაეინახავთ, ბესიკი სამუდამოდ დასტოვებს თბილისს და ერეკლეს სასახლესაც.

---

[1] იგივე ფონდი, № 3431.

[2] S 3057.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესაძლო იყო ბესიკი რეულიყო იმ ელჩობაში, რომელიც 1772 წლის 1-ლ იანვარს დიდი დავალებით გაიგზავნა რუსეთს პოეტის მეცენატის ლევან ბატონიშვილის და ანტონ კათალიკოსის შემადგენლობით. მაგრამ ბესიკი არ ჩანს ამ ელჩობის მონაწილედ. ვფიქრობთ, ანტონ კათალიკოსის მიზეზით.

თბილისის ბაღებში. ბესიკი და მოქალაქენი

გადმოცემით, ჭაბუკი ბესიკის სალხინო ასპარეზი უმთავრესად თბილისის ბაღები ყოფილა.

საქართველოს სატახტო ქალაქი უხსოვარ დროიდან მშვენიერი ბაღებით იყო განთქმული მთელს წინა აზიაში. „გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოველის ხილით და ყვავილით სავსე“ (ვახუშტი). „За городом садов плодовитых много“, გადმოგვცემს ბესიკის დროინდელ ბაღებზედ რუსეთის წარმომადგენელი[1]. ევროპელ მოგზაურ გჯულდენშტეტსაც მოხსენებული აქვს თბილისის გარშემო „ვრცელი ვენახები და ხეხილის ბაღები“[2]. ამ ბაღებში ჰყვაოდა ბესიკის ეშხი, აქ მღეროდენ ბესიკის მუხამბაზებს, აქ იფურჩქნებოდა ბესიკის „სევდის ბაღი“.

შენახულა გადმოცემა, რომ გალაღებული ჭაბუკი ბესიკი „მოქალაქეებს ერეკლე მეფესთან დაუბეზღებიათ: ბესიკმა თავისი სიმღერებით მთელი ტფილისი გარყვნაო, აღარავინ გაუშვა, რომ მათზე ლექსები არ გამოეღოვო. მთელი ტფილისის ვაჟები გალაზღანდარდნენო. ყოველ კვირაობით სოლოლაკისა და ორთაჭალის ბაღებში განუწყვეტელი ქეიფები აქვსო. მეფეს დაუბარებია ბესიკი და დამუქრებია, თუ არ დაწყნარდები, შენც მამაშენსავით გაგაძევებ ქართლიდამაო. ბესიკს პირობა მიუცია დაწყნარებაზე, მაგრამ შემდეგ ისევ მიუყვია ქეიფებისათვის ხელი. მოქალაქეთა შვილებს ხელმეორედ დაახლოებია და ამაზე მრავალნიც ისევ ატეხილან“-ო[3].

ზ. ჭიჭინაძის სიტყვითვე, როცა მოქალაქეებმა უჩივლეს ბესიკს სატრფიალო ლექსებისთვის, „ბესიკი მცირე ხანს დაუპატიმრებიათ კიდეც“[4]. მაგრამ ეს ჭიჭინაძის პირადი აზრი უნდა იყოს. ცნობისათვის პოეტის დაპატიმრების შესახებ, იგი დასძენს: „რაზედაც თვით (ბესიკი. გ. ლ.) მოწმობს თავის ლექსებშიო“. ასეთი ლექსი კი ბესიკის შემოქმედებაში ჩვენ არ გვეგულება. ეჭვი არაა, ჭიჭინაძე ჰგულისხმობს ლექსის „ცრემლთა ისარნი“-ს ბიბლიოგრაფიულ მინაწერებს, სადაც პოეტის ექსორიობაზეა ლაპარაკი.

ზემოდ (გვ. 382) ჩვენ ვლაპარაკობდით ბესიკის მჭიდრო კავშირის შესახებ ჩვენს მესამე წოდებასთან. „მოქალაქეთა შვილები“, „მდაბიო კაცნი“ ბესიკთან მეგობრობით დაახლოებულნი ყოფილან.

---

[1] Грамоты, I, 188.

[2] ეს იყო ბაღები დირსიჭალისა, ორთაჭალისა, კრწანისისა, სეიდაბადისა, გარეთუბნისა, ვერისა.

[3] ბესიკი, ზ. ჭიჭინაძის წინასიტყვაობა 1885 წ. გვ. 7; ზ. მთაწმინდელი, „ბესიკი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, გვ. 8.

[4] ბესიკი, გვ. 7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ფაქტი ჩვენთვის საკმაოდ დადასტურებულია. აზნაურ გაბაშვილისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო ეს წრე მით უფრო, როგორც მგოსნისათვის. ბესიკი ბუნებრივია, საყვარელი უნდა ყოფილიყო თბილისის ქალაქურ ელემენტებისათვის. სამართლიანად შენიშნავდა 1869 წელს ალექსანდრე ცაგარელი: „სპარსული კილო ლექსებისა იყო და დარჩა მარტო დიდკაცებისთვის, აგრეთვე მოქალაქე ვაჭრებისა და აღებ-მიცემის კაცისათვის, ნამდვილ მთელ ხალხს კი თავისი პოეზია, სიმღერის კილო და ლექსწყობა აქვს“ [1]. ბესიკი ხომ უმთავრესად „სპარსული კილოს“ პოეტი იყო.

მეორე არედ ბესიკის ბიოგრაფიისა უსათუოდ თბილური მესამე წოდება უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც სწორედ ამ დროს, თუმცა ძალიან უსუსურად, გამოდიოდა ისტორიულ არენაზე. ამ დაჯგუფების განვითარება ფეოდალურ დაქსაქსულობისა და პროვინციული განკერძოების გამო საკმაოდ იყო შებორკილი, მაინც საქალაქო ელემენტები თავის როლს თამაშობდნენ. ვაჭრები, ზარაფები, „ბაზაზიანი სომხები“ ქვეყნის ცხოვრებაში უკვე საკმაო ძალას წარმოადგენდნენ თვით სახელმწიფო საქმიანობაში. ეს „საპატიო მოქალაქენი“, „მოქალაქენი დარბაისელნი“, რომელთა სტუმარი ბესიკი ხშირად ყოფილა, გადმოცემათა მიხედვით, როგორც ფინანსიური ტუზები, თავისი ნივთიერი სახსრით მეტად საჭირონი ხდებოდენ არა მარტო ფეოდალებისათვის, თვით სასახლისთვისაც ისინი აუცილებელი კრედიტორები ხდებიან [2]. „უამათოთ არა რასა საქმესა საქვეყნოსა არა იჭერდენ მეფენი, რეცა ფეოდალთ მთავარნი“ [3].

* *

ბესიკის დროს თბილისი, როგორც საქართველოს აღებ-მიცემის რეგულატორი, საკმაოდ სტოვებდა სავაჭრო და ფინანსიურ ცენტრის შთაბეჭდილებას. მაშინდელი ტფილისის ბაზარი საკმაოდ გამომხატველი იყო ეკონომიური უნარიანობისა. მარტო დუქნების რიცხვი მაშინდელ თბილისში 700-მდე ადიოდა. თბილისის ვაჭრობის მთავარ საგანს შეადგენდა: აბრეშუმი, ღვინო, თაფლი, წმინდა სანთელი, ენდრო, კანაფი, ბამბა, მატყლი, ტყავეული, ერბო და განთქმული ხელსაქნარი (ოქრომკედი, ქსოვილები, ნივთეული) [4].

---

[1] „დროება“ 1870 წ. № 7 „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“.

[2] Крестьянск. Грамоты №№ 39, 44, 46, 49, 50, 78.

[3] პლატონ იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეტამეტისა“, გვ. 140.

[4] მეტად იშვიათად, მაგრამ თბილისში შემოდიოდა ევროპული საქონელი. „ევროპისა შაქარი შემოვიდოდა სავაჭროდ ახალციხისა გზით, ეგრეთვე ყავა და თამბაქო, თალათინისა ტყავები“ (პ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მე-13-ისა, 32). ევროპელ ვაჭრებს შემოქონდათ „სტავრა საფრანგეთის ნაქსოვი“, „ფრანგული ქამხა“, „ფრანგული ატლასი“, „ფრანგული ბარა“, „ფრანგული მაუდი“, „ფრანგული საათი“ („ფრანგული“ უდრის „ევროპულს“). გვაქვს ნიშანდობლივი ცნობა, რომ თბილისს ესტუმრნენ საქსონური ფაიფურით მოვაჭრე „საქსონური ფრანგები“. № 2510. თბილისის არისტოკრატიულ ოჯახების ინვენტარში ევროპული ნივთებიც საკმაოდ აღინიშნებოდა. ასე, ერეკლე II-ის მდივანს თუმანიშვილს 1795 წელს თბილისის აოხრების დროს, როდესაც გადუწვავთ მისი სასახლე, მას თურმე სასახლეზე მეტად „საქსონიის“ ანუ საქსონურ ჭურჭლის დაღუპვა აწუხებდა. იხ. ც. არქივის სიგელების ფონდი, № 3545.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს თბილისის იმპორტს შეადგენდა: სპარსეთიდან—ტილოები, ძვირფასი ქვები, ყავა, შაქარი, რკინეული და წვრიმალი; ოსმალეთიდან—უმთავრესად სპილენძეული; რუსეთიდან: ბეწვეული, თხელი ჩითი, რკინეული და საოჯახო სახმარი ნივთეული. განსაკუთრებით გამოცოცხლება ეტყობა თბილისის ბაზარს 1770-იან წლებიდან, როცა ახალი სავაჭრო გზა გაიხსნა რუსეთისკენ, როცა დარიალის გზით დაიწყო ქარავნების მიმოსვლა. თუმცა ეს გზა გეოგრაფიული მიზეზებით იყო გაძნელებული, მაგრამ დარიალის გზამ უფრო განამტკიცა რუსეთთან ეკონომიური კავშირი (მანამდის რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა შამახა-ბაქოს გზით და იქიდან კასპიის ზღვის სანაპიროებით სწარმოებდა). საყურადღებოა, რომ თბილისიც თავის მხრივ, მაგ. მოზდოკის ბაზარზე უშვებს საკუთარ წარმოების ჩითეულს „ქალაქის ჩითს". საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამავე ხანებში თბილისელი შეძლებული ვაჭრები ნიჟნი-ნოვგოროდის ანუ „მაკარიის იარმუკაზედაც" იღებენ მონაწილეობას. თბილისს ნახულობდნენ ევროპელი ვაჭრებიც[1]. ერთი სიტყვით, თბილისი ინტერნაციონალურსა და ეკონომიური ცენტრის როლსაც თამაშობდა ამიერ-კავკასიაში. იგი იყო მშვენიერი სავაჭრო ქალაქი შესანიშნავი ბაზრებით, ქარვასლებით, კარგად მოვლილი დუქნებით, საუცხოვო საზოგადო შენობებით, რასაც არა ერთი უცხო მოგზაური აღნიშნავს.

ერეკლე II ენერგიულად ცდილობდა ვაჭრობის მომაგრებას, ინტენსიფიკაციას. იგი ყოველმხრივ მფარველობს სავაჭრო კლასს და უქმნის საგანგებო შეღავათებს. ამ შემთხვევაში დამახასიათებელია მეფის სიტყვები: „ვაჭართა ზიანს გაუფრთხილდით, რომ ქვეყანას სავაჭრო არ მოაკლდესო" (Грамоты, II, I, 37).

როგორც შინამრეწველთ და ხელოსნებს, „აღებ-მიცემის კაცებს", „დუქნის პატრონებს" მეფე აყენებს პრივილეგიურ მდგომარეობაში, ხშირად ათავისუფლებს, „ათარხნებს" სახელმწიფო გადასახადებისაგან[2], ჯარში გაწვევისაგან „საბადლო კაცის" გამოყვანით[3] და სხ.

ასეთი ხელისშეწყობით აღორძინება დაეტყო სავაჭრო კლასს. თბილისში უკვე საკმაოდ არიან მდიდარი ვაჭრები. „В Тифлисе много есть богатых купцов", ამბობს რუსეთის წარმომადგენელი. ასევე, როგორც სავაჭრო ამხანაგობები, რომელნიც კომერციულ ურთიერთობას ახერხებდნენ დაშორებულ სავაჭრო ცენტრებთანაც კი, თუმცა, რასაკვირველია, იშვიათ, ცალკეულ შემთხვევებში.

სავაჭრო წრეებს, რომელსაც უფრო გამოჰხატავდნენ „სომეხნი და თათარნი" (იოანე ბატონიშვილი[4]), თავისი წარმომადგენლები ჰყავდათ თვით სა-

---

[1] ევროპელ ვაჭრებს მადნების გახსნის შემდეგ თბილისიდან მცირედ ოქროც გაჰქონდათ. „უფრო წმინდა კარგი ოქრო რომ იყო, ვაჭრები ძვირათ ყიდულობდნენ, ზოგს ევროპის მხარეს და ზოგს აზიის მხარეს ავაჭრებდნენ" (თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა. S 4599).

[2] საქ. სიძვ., II, 451, 491.

[3] საქ. სიძვ., I, 240.

[4] „მწყემსი" 1895 წ. № 6. ქართულ სავაჭრო კაპიტალის ფეხის ადგომასთან დაკავშირებით ხაზგასასმელია მისი სპეციფიურობაც, რომ იგი მთლიანად არ იყო ეროვნული, რაც ცენტრის ტრაგედიას შეადგენდა. ტფილისშიც და პროვინციაშიც ვაჭართა კლასს უფრო სომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლეში—სასახლის მოსაქმე პირები, სახელმწიფო შემოსავლის საგანგებო მოხელეები, რომელთაც სასახლეში და სახელმწიფო საქმიანობაში შესაფერი გავლენა ჰქონდათ.

სწორედ ბესიკის დროს თბილისში თავს იჩენს აგრეთვე მცირე კუსტარული საქმიანობაც. 1770-იან წლებიდან თბილისში ჩნდება პატარა ქარხნები მაუდისა, ჩითისა, შუშისა, ზარბაზნისა და მორტირების ჩამოსასხმელი, აგრეთვე ახალი სტამბაც. გამოცოცხლებული კუსტარული მრეწველობა აჩენს ხელოსანთა საგრძნობ რიცხვს. თვით უცხოელები შენიშნავენ თბილისში ხელოსანთა სიმრავლეს. რუსეთის წარმომადგენელი იაზიკოვი 1770 წ. დასძენს, რომ თბილისში საკმაო რიცხვია ხელოსნებისაო („Мастеровых всяких довольно и всякое мастерство имеет особой род". იხ. Грамоты, I, I, 188). იაზიკოვის ცნობას რუსეთის მეორე სამხედრო აგენტის მოურავოვის ცნობაც ეთანხმება. („Разных мастеровых людей довольное число находится". იქვე, I, I, 217). ჩვენის პირადი აღრიცხვით, იმ ხანად თბილისში 78 რიგის ანუ დარგის ხელოსანი მუშაობდა.

სავაჭრო კლასთან ერთად, თბილისის ხელოსნებს, საქალაქო წარმოების ელემენტებსაც შესაფერი მნიშვნელობა ეძლეოდათ. მათი გავლენის ზრდის მაჩვენებელია ის გარემოებაც, რომ ამქრების უსტაბაშებს ამ ხანისთვის თვითონ მეფე ამტკიცებს, რომელიც თვალყურს ადევნებს ამქრების მოქმედებას[1]. შინამრეწველნი, ხელოსნები, წვრილი მედუქნეები, თბილისის უდაბლესი ფენები: „უბრალო ბიჭები", „გადა გუდაები"[2], როგორც უწოდებს მათ სამეფო კარი (საქ. სიძვ., III, 369), შედარებით უკვე ხელმოსაცემ ძალას წარმო-

ხობა გამოჰხატავდა, რომელიც თბილისის მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდა, ეს მოვლენა შენიშნული აქვთ თვით უცხოელებს (შარდენი, გდულდენშტეტი, დე-ლა-პორტი), რომელნიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქართულ არისტოკრატიას ტრადიციული შეხედულობით სძულდა აღებ-მიცემის საქმე, „ითაკილებდენ უმეცრებითა" (იოანე ხელაშვილი). მეტად დამახასიათებელია ქართულ ფეოდალურ წრეებისთვის შემდეგი სიტყვები: „ჩვენ .დიდნი კაცნი, სომხები ხომ არა ვართ, წიგნი ვიცოდეთ და ანგარიშნი... წიგნები მხოლოდ მღვდელმა უნდა იცოდეს და სომეხთა, რომელნიც მდივნებად არიან და ვაჭრებად"-ო (S 1532). ამავე დროს კი, სომხის არისტოკრატები, მაგ. მეფის მდივნები თუმანიშვილები უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი მსხვილ ვაჭრებთან და ზოგ შემთხვევებში თავის კაპიტალითაც იღებდნენ მონაწილეობას მათ სავაჭრო საქმეებში. გულმოკლული ქართველი პატრიოტი სამაგალითოდ ჰხდიდა ასეთ მხნეობას და თანამემამულეთ მიუთითებდა: „აჰა, ესე რა სომეხთა თვისის გამოზრდა საკუთარი პირისა ოფლითა თავისა თვისისა, უცხოსა ქვეყნებსა შინა, მრავალთა ხელოვნებათა და მრავალთა ხელოსნებთა თეორეტიულთა და უფროსღა პრაკტიკულთა, გარნა ქართველთა არ ძალუძთ თვისითა ხელითა სიმდიდრისა შეძინება" (იქვე).

[1] ვაჭრებსა და ხელოსნებს საკუთარი ორგანიზაცია ანუ კავშირი ჰქონდათ, რასაც „ამქარი" ეწოდებოდა, ხოლო ძველად „ასნაფი" ანუ „თაბუნი" ერქვა. სამეურნეო დაწესებულების ანუ „ქარხნის" მოსაქმეებს, ხელოსნებს, „ქარხნის კაცებს" ეძახდნენ, ხოლო კავშირების სათავეში „უსტაბაში" იდგა (ივ. ჯავახიშვილი, „ქალაქები" ...ჟურნ. „პრომეთე", 1918 წ. № 1, 55, 58). ყველა ცალკე დარგის ხელოსნებს საკუთარი „უსტაბაში" ანუ „თავი" ჰყოლიათ. მაგ. „კალატოზების უსტაბაში"; „სირაჯბაში" (საქ. სიძვ., II, 525); „ბაჰყალბაში" (იქვე); „ყასაბ-ბაში" (საქ. სიძვ., II, 360).

[2] გადა-გუდანი, ე. ი. ნაყარი, ცუდ-მადი ხურდა ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგენენ. ისინი მეფისათვის მარტო „ქებათა შესხმით“, „ფიანდაზის გაშლით“ და „ჩირაღდნის მორთვით“ როდი კმაყოფილდებიან.[1] დაჩაგრული, ქალაქის დაბალი ფენები, მოქალაქის ოფიციალურ უფლებას მოკლებულნი, არა ერთხელ გამოსთქვამდნენ „ჯანყურად“ (საქ. სიძვ., III, 370) თავის უკმაყოფილებას ანუ „ჯანყის გაკეთებას“ (იქვე, 369), „მოქალაქეთა დავას“ (იქვე, 105), როგორც მეფის რეაქციული პოლიტიკის, ისე ფეოდალების სეპარატიზმის მიმართ. მაგ. ბესიკის თბილისში ყოფნის დროს, როდესაც გამომჟღავნდა ზაალ ორბელიან-ბაკუნინის შეთქმა ირაკლის წინააღმდეგ (1774 წ.), მოქალაქენი, წვრილი ხელოსნები შეთქმულთა სასტიკ დასჯას მოითხოვდნენ: „სომეხნი მოქალაქენი იძახდნენ, ჭონები, მკუპრავები,—მოგვეცით, მოგვეცითო! დაიწყეს ქვეყანაზედ ზახილი: „ზაალ ჩავკიროთ და იესეც იმის გვერდით ჩავკიროთო!“ (თავგ. იესე ოსეს შვ., 92).

სიმპტომატურია, რომ ამაზე ადრე მომხდარი შეთქმულება პაატა ბატონიშვილისა და თავადების ლიგისა ერეკლეს ამოსაწყვეტად, ხელოსანთა წარმომადგენელმა ფეიქარმა გასცა.

* *

„მოქალაქეთა შვილებთან“ დაახლოვებული ბესიკი, როგორც ამბობს გადმოცემა, ზოგჯერ მათთან კონფლიქტშიც ყოფილა, რასაკვირველია, სასიყვარულო ლექსებისა და ეპიგრამების გამო, რომლითაც მგზნებარე მგოსანი ამკობდა ამ წოდების მზეთუნახავებს. ეს ფაქტივე უნდა ყოფილიყო მიზეზი ბესიკის არაჩვეულებრივ პოპულარობისა თბილისის უბნებში.

ამ კონფლიქტების მიზეზითაც ხომ არ არის გამოწვეული აზნაური პოეტის სტრიქონები:

„ქურდო ვაჭარო, ერთს ყიდი სამად, არ ღირდეს დრამად,
ყანდებრ გვაგემებ, თუ გვნახე ხამად, ბოლოდ ხარ შხამად“...

ყოველ შემთხვევაში, ბესიკის დამოკიდებულება მესამე წოდებასთან კარგად სჩანს მისი პოემიდან „რძალდედამთილიანი“, რომელშიც პოეტი ირონიულად უპირისპირებს ფეოდალურ რაინდულ სიყვარულს—მეშჩანურს.

---

[1] საზეიმო შემთხვევებში, მაგ. მეფის ტრიუმფალური შემოსვლის დროს მოქალაქენი, აზიური ჩვეულების მიხედვით, ფიანდაზით, შესხმით, ჩირაღდნებით და საკრავებით ეგებებოდნენ. ასე, თეიმურაზ II-ეს „მოეგებნენ მოქალაქენი... შეასხმიდეს ქებასა... მორთეს მოქალაქეთა ბაზარნი და იყო ჩირაღდანი ქალაქსა შინა“ (ქ. ცხ., 174); „ჩირაღდნით და ფიანდაზით მორთვნეს ქალაქნი და განვიდეს შესხმად ქებისად მოქალაქენი“ (იქვე, 92); „შეასხეს ქება და შესწირნეს მადლობა“... „გაუშალეს მოქალაქეთა ფეინდაზი მძიმე ლართა“ (იქვე, 91).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესიკის რომანი. მაია ერისთვის ქალი. ბესიკის განდევნა თბილისიდან.

სასახლეში გალაღებულ ჭაბუკ პოეტს მოულოდნელად მოუხდა საყვარელი თბილისის, მისი პოეზიის და სიჭაბუკის არეოპაგის—ბრწყინვალე კარის დატოვება და იმერეთში გადახვეწა.

ბესიკი „ერეკლე მეფემ საქართველოდამ დაითხოვა", „გააგდო". პოეტის განდევნის შესახებ ზეპირგადმოცემებთან ერთად ღაღადებენ ბიბლიოგრაფიული მინაწერები ბესიკის ცნობილი ლექსის „ცრემლთა ისარნი"-სა, რომელიც სწორედ პოეტის განდევნის ხანებში არის დაწერილი:

...„ბესარიონ გაბაშვილისაგან თქმული, როდესაც კურთხეულმან მეფემ ერეკლემ საქართველოდამ დაითხოვა. იმერეთს ყოფაში მისწერა ქართველთა" [1].

...„ბესარიონის მიერ თქმული, ოდეს განიდევნა ქართლიდამ და წარვიდა იმერეთს, მუნ დასწერა სამწუხაროდ" [2].

...„ოდეს მეფის ირაკლისაგან ტფილისიო განდევნილ იქმნა იმერეთად" [3].

...„ბესარიონ რომ გააგდო ბატონმა, რუსეთს წავიდა" [4]...

...„ბესარიონისაგან ექსორიობის ჟამს მუსტაზადი" [5].

...„ბესარიონ გაბაშვილის მიწერილი საქართველოში, თავის სწორთა და ამხანაგთა თანა, ოდეს სოფლის ვითარებისაგან უცხოობა და მწიროობა შეექმნა" [6].

---

[1] S 1534, S 537, გვ. 54—55.

[2] S 5374.

[3] S 1512.

[4] H 3146.

[5] S 3686.

[6] აღსანიშნავია, რომ პატივც. პროფ. კ. კეკელიძე ეჭვის თვალით უყურებს ბესიკის განდევნის ფაქტს, როდესაც ამბობს: „ჩვენ არ ვიცით.. ვისი გულისთვის იქმნა ის გაძევებული სამშობლოდან, თუ ეს უკანასკნელი მართალია (კურსივი ჩვენია გ. ლ.),—ვამბობთ ასე იმიტომ, რომ ცნობა, ვითომც ჩვენი პოეტი „მეფის ირაკლისაგან ტფილისით განდევნილ იქმნა იმერეთად", ეკუთვნის დავით რექტორს და მის დროს, როდესაც მრავალი ლეგენდა დადიოდა ბესიკის შესახებ" (იხ. ლიტ. ისტორია, II, 476—477).

ვთქვათ, მხოლოდ დ. რექტორს ჰქონდეს შემონახული ცნობა ბესიკის განდევნის შესახებ რატომ არ უნდა მივიჩნიოთ იგი სარწმუნოდ? ამ შემთხვევაში სწორედ დავითის ცნობა უნდა იყოს, სანდო, როგორც ბესიკის „უსაკუთრესი ძმა და მეგობრის" „სატრფო ძმის" და „საყვარელის" (S 105) ბესიკს და დავითს მხურვალე მიმოწერაც ჰქონიათ ერთმანეთში, თავისს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავისი რეზინიცია პოეტმა გამოიტირა შესანიშნავ ლექსში „ცრემლთა ისარნი“:

1

ცრემლთა ისარნი მოსისხარნი ჩვენდა არენით,
ილმენით გულნი ჭირნახულნი, შეგვიწყნარენით!
უცხონი თემით, სოფლის ცემით გავიგარენით,
უჭნობნი ვარდნი, ესგვარ დარდნი, დავიბძარენით,
არ ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იკმარენით!

2

როს გვაგონდებით, შევღონდებით, ლომნო ყმა-ძმანო,
თანზრდილნო, სწორნო, განაშორნო, საყვარლად კმანო!
ვა კიდეგანთა, ესდენ თქმათა გლოვისა ხმანო,
ატადის კალოს, სავალალოს, სადა ხართ, თქმანო!
დაგვბერნა ქარმან, დაუწყნარმან, ზღვად ვიფარენით!

3

დაბერდა ყური, სევდის ჭური რა ჰპოვა სოფლით,
დაბინდნა თვალნი შეუმკრთალნი ცრემლით და ოფლით,
დადგესცა ხელნი, მარჯვედ წრფელნი შორნი საყოფლით,
ხელმწიფე, გული ცეცხლდაგული, სულით გამყოფლით,
ჭირსამცა თქვენსა, თუ გალხენსა, მოიხმარენით!

4

დღე ვნატრით მზესა, სიამესა, დილა თქვენს გარებს,
ღამე მთოვარე, ქველ მოარე, ხასიათ გვარებს,
ცისკარ-მთიები, სხვა ციები პირველ გვახარებს
და მერმე ჩრდილოს სასიკვდილოს ღრუბელს დაჰფარებს!
ამ დღე-ღამითა და ჟამითა დაემწარენით!

5

სიზმარს ვემონვით ძილშეკონვით, ნუთუმცა გნახეთ,
სახე უსახო, სავახვახო ეს განვიზრახეთ,
სხვამცა პატრონი, ანუ დრონი, ვერღა დავსახეთ,
ყარიბთა ბანი, გზის საბანი, ეკლით შევსჩმახეთ!
მოყვასთა ცრემლნი სწვიმეთ ცხელნი, მტერთ იხარენით!.

წერილებში დავითი არა ერთხელ სთხოვს ბესიკს აცნობოს მისი ამბები: „რომელმანცა ესე საბავთო წერილი მოგართვას, მასვე მიჰსცენ ჩემდა წარმოსაგზავნი შენნი ვითაობისა მშვიდობისა ეპისტოლენი“. „ვერღა ვეღირსე შენთარე განცდა—ხილვად, შენნი მასურენ მშვიდობისა ჰამბავნი“ (S 105).

ბესიკთან ასეთ მჭიდრო მეგობრობით შეკრულ დავითს, გასაგებია, ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა პოეტის ცხოვრების ყოველი ასავალ-დასავალი.

დავით რექტორსაც რომ თავი დავანებოთ, ბესიკის განდევნის ფაქტს გვიდასტურებენ საისტორიო წყაროებიც (ბატონიშვილ დავითის ისტორია) და ბოლოს, რაც მთავარია, თვით ბესიკი აღნიშნავს თავის „მწირობა“ს და განდევნის დღეებში სწერს ლექსს „ცრემლთა ისარნი“. ამ რიგად, ბესიკის განდევნა რიალური ფაქტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უნდა ყოფილიყო მიზეზი პოეტის შეუბრალებელი განდევნისა? რამ აიძულა ერეკლე თავისი კარიდან გაეგდო სახელოვანი მგოსანი, რა მოტივს უნდა ჰქონოდა ბესიკის ექსორიობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა?

ბესიკის განდევნის მიზეზად ასახელებენ პოეტის რომანს სამეფო ოჯახის ერთერთ წევრთან, რაც ერეკლესთვის შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო [1].

* *

ტრადიციული ცნობა ბესიკის რომანის შესახებ ასეთია:

„1772 წელს დაქვრივდა თეიმურაზ მეფის ასული ანა ბატონიშვილი, რომელიც დიმიტრი ორბელიანზე იყო გათხოვილი. ახალგაზრდა ქვრივი თავისი ძმის ირაკლი მეფის სასახლეში დაბინავდა. ბავშვობიდან ზაქარია მოძღვრის შვილებთან შეზრდილი, იგი სულ ადვილად დაუახლოვდა ბესარიონ გაბაშვილს და მათ შორის გაიბა საიდუმლო გრძნობის ქსელი. რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონიშვილამდე მიულწევია ხმას, ვითომც ბესიკს სხვა ქალი შეჰყვარებოდეს, ეს რომ ანა ბატონიშვილს შეუტყვია, ბესიკი სახლში აღარ მიუღია. უკანასკნელი, გრძნობით აღსავსე ლექსებში თავს იმართლებს, მოციქულებსაც ეახლებს ანა ბატონიშვილს, მაგრამ ამაოდ, ერთხელ დახშული სამოთხის კარი მას აღარ გაუღეს. ამ რომანის ამბავმა ირაკლი მეფემდინაც მიაღწია; განრისხებულმა მეფემ ქვრივი და მონასტერში გაგზავნა, ხოლო ბესიკს სასტიკად აღუკრძალა ამიერიდან ამ საგანზე ხმის ამოღება: წინააღმდეგ შემთხვევაში შენც მამაშენივით გაგაძევებ ქართლიდამაო, მაგრამ სიგიჟემდე მისული ახალგაზრდა მგოსანი არა ცხრებოდა; ამბობენ: ერთხელ ბესიკმა სასახლისკენ ჩაიარა და აივანზე ორი შავით მოსილი (სამოლოზნო ტანსაცმელი) ქალი დაინახა, რომელთაგან ერთი ანა ბატონიშვილი იყო. ამ შემთხვევის გამო მას გამოუთქვამს ახალი ლექსი „შავნი შაშვნი“, რომელიც მალე გავრცელებულა მთელ ქალაქში და მეფემდისაც მიულწევია. განრისხებულ მეფეს უბრძანებია მსაჯულებისათვის: ჩემი ოჯახის შეურაცხმყოფელი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, მეტეხის ციხიდან გადააგდეთო, მაგრამ სასახლის ერთ-ერთ წევრისაგან ბესიკს მეფის გადაწყვეტილება შეუტყვია და იმერეთში გაქცევით უშველნია თავის თავისათვის“ [1].

ამგვარად, ბესიკის მიჯნურად ჩვენს მწერლობაში დღემდის აღიარებულია ანა დედოფალი. იგი უკვე კანონიზირებულია, როგორც ბესიკის სატრფო, ერთადერთი შთამგონებელი მისი შესანიშნავი „სევდის ბაღის“ ლირიკისა და ბოლოს, როგორც მიზეზი პოეტის განდევნისა და მისი ცხოვრების ტრაგიული დასასრულისა...

---

[1] 1904 წელს, სასოებაძეს [ქათალიკოზი კირიონი] სოფ. ტირძნისში, მემამულე სულხანიშვილის ოჯახში, უნახავს ვრცელი ხელნაწერი კრებული მომღერალ-მგოსნის ასლან ხურდაყულიშვილის მიერ შედგენილი. კრებულის 158 გვერდზედ ყოფილა ნაამბობი, „თურად გაუწყრა მეფე ერეკლე ბესარიონ გაბაშვილს და რამ აიძულა იგი დაეტოვებინა სამშობლო მხარე და სხვაგან გადახვეწილიყო“. გზ. „ივერია“, № 124, 1904 წ. სამწუხაროდ, ეს ხელნაწერი დღემდე არა სჩანს.

[1] ბესიკი. გორგაძის რედ. გვ. 10—11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ანა ჩვენს მკვლევარებს ჯერ ერეკლეს დაჲ ეგონათ, მაგრამ უბრალო არითმეტიკულ მოსაზრებით (ანა დაიბადა 1722 წ., ბესიკი—1750 წელს) მისი კანდიდატურა უარყოფილ იქმნა. ბოლოს პოეტის მუზად გამოვლენილ იქმნა ანა იმერთა დედოფალი (მამუკა ორბელიანის ასული). უკანასკნელი კანდიდატურა დღეს თითქმის საყოველთაოდ გაზიარებულია (კეკელიძე, გორგაძე, ბარამიძე).

მაგრამ ჩვენ უარვყოფთ ანა დედოფალს, როგორც ბესიკის სატრფოს და პოეტის მუზას.

* *

ლექსი „ანა დედოფალზედ" შეუძლებელია დაწერილიყო 1784 წლამდე, როდესაც ანა გადედოფლდა. ამ დროისათვის კი,—ბესიკი კარგა ხნის განდევნილი იყო თბილისიდან. დედოფლობის დროს კი დავით მეფის ხელში, ჯარისკაცი ბესიკი ასეთ ფამილარულ ლექსს ანაზედ ვერ დასწერდა. სჩანს, იგი ბესიკს ანას ახალგაზრდობაში დაუწერია. მაგრამ 1772—1776 წლებში, როცა გათამაშდა ბესიკის რომანი, ანა თითქმის ბავშვი იყო (დაბადებულა 1765 წელს). მაშასადამე, თუ ერეკლეს მოხუცი დაჲ შეუფერებელი ობიექტი იყო ჭაბუკი ბესიკის რომანისთვის, ანა ორბელიანიც არა ნაკლებ მიუღებელია თავისი მცირე ჭასაკოვნობის გამო.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არავითარი სხვა ცნობა, სხვა საბუთი ბესიკის სახელის შეერთებისათვის ანასთან, არ არსებობს, გარდა ერთადერთი ლექსისა („დედოფალს ანაზედ"), რომელშიც ანას სახელი რამდენჯერმე ნახსენებია. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ხსენებული ლექსი ამოღებულია მე-19 საუკუნის ორ ხელნაწერიდან (—S 1088 „ბესარიონისაგან თქმული დედოფალს ანაზედ"; S 6367--„დედოფლის ანნასი"). არცერთი, ამ გვიანდელი ხელნაწერებისა, ცხადია, ავტოგრაფს არ წარმოადგენს, ამიტომ, ჩვენ არ ვიცით, ვის ეკუთვნის სათაური „დედოფალს ანაზედ", პოეტს თუ გადამწერლებს? ამისგამო, ჩვენ ვერ გავიზიარებთ მკვლევართა კატეგორიულ მტკიცებას, თითქოს ამ ლექსში მოხსენებული ანა უსათუოდ ორბელიანის ქალს ჰგულისხმობდეს.

მაგრამ საკითხს ანას შესახებ ქვემოდ კიდევ დავუბრუნდებით, საჲაც უფრო ნათლად გამოჩნდება ანა ორბელიანის სრული შეუსაბამობა იმ როლთან, რომელიც მას ჩვენმა მკვლევარებმა განუკითხავად მიაკუთვნეს. რაც შეეხება ანას ნამდვილ ვინაობას, საკითხს ღიად ვტოვებთ.

* *

მაშ ვინ არის ბესიკის ტრფიალების საგანი? მივმართოთ უფრო ძველ ლიტერატურულ ცნობებს, რომელთაც ბესიკის მკვლევარები შესაფერი ყურადღებას არ აქცევენ.

ყველაზე უძველესი ცნობა პოეტის ახლო მეგობრის—დავით რექტორისა, ასე გადმოგვცემს ბესიკის რომანტიულ ისტორიას, მისივე ერთი ლექსის („მე მივხვდი მაგა შენსა ბრალებსა") მინაწერში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან არის თქმული მუხამბაზი. ბესარიონს ვარდად და იად თქმული უყვარდა და იმასაც ბესარიონ უყვარდა. როდესაც ბესარიონ მოტყუვდა სხვის შეყვარებით, იამ შეუტყო და თავისთან აღარ გაატარა, მაშინ ჰსთქვა:

„სევდის ბაღს შეველ“.

შემდგომად ბესარიონ თავის დანაშაულს და იას ხადუმთაგან საყვედურს ახლა კიდევ ამ ხუთს მუხამბაზში ამბობს. მსმენელნო, თქვენ იგულისხმეთ, ია ვინ არის და ან მეორე—ბესარიონისაგან შეყვარებული. მე სახელები არ დავსწერე, არა ჰსჯობდა“ (A 1164, გვ, 194).

ამავე ცნობას იმეორებს დავითი მეორე ხელნაწერში (S 1512, გვ. 155), რომელსაც ასე ათავებს: „მსმენელნო, თქვენ იგულისხმეთ: ვარდი ვინ არის, თორემ ბესარიონ რომ ვარდს ეძახის, ის ვარდი თავის თავს იას უწოდდა. და ან მეორე—ბესარიონისაგან შეყვარებული ვინ არის. მე სახელები არ დავწერე, არა ჰსჯობდა, თქვენ გამოჰსცანით“ (S 1512 გვ. 155).

ორივე ცნობაში ხაზგასმით ნათქვამია, რომ ბესარიონს უყვარდა „ვარდად და იად თქმული“ და რომ „ბესარიონ რომ ვარდს ეძახდა, ის ვარდი თავის თავს იას უწოდდა“.

ბესიკის სიყვარულის საგანზე ლაპარაკია კიდევ ერთგან (S 1512, გვ. 127), მაგრამ მისი ვინაობა განზრახ არის დაფარული:

„ესეც ბესარიონ გაბაონისაგან არის ნათქვამი [....]აზედ სიკვდილს შემდგომად. საწყალობელი [....]თავის თავს [...]ს ეძახდა და ბესარიონ მისი მეგობარი იყო და ეს—შაირი კრემენჩუკს ეთქვა“.

და მხოლოდ ერთს ხელნაწერში (A 1164, გვ. 49) იმავე დავით რექტორის მიერ გაშიფრულია ბესიკის მიჯნურის ვინაობა:

ლექსის „ჰაერი ცივ-ნამიანი“-ს ქვეშ, გადამწერი ასეთ შენიშვნას უკეთებს:

„ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან მგონია ხათქვამად ყულარაღასის ქალს მაიაზედ, სიკვდილს შემდგომად. ჰაზრი იმას ჰგავს. და საბრალობელი თავის თავს მაია—იას ეძახდა და ბესარიონ მისი მეგობარი იყო. და ეს ერთი შაირი კრემენჩუკს ეთქვა“ [1].

---

[1] საყურადღებოა აგრეთვე ცნობა თეიმურაზ ბატონიშვილისა ბესიკის რომანის შესახებ: „ბესარიონ თავის სიჭაბუკეში ერთი მშვენიერის ქალის ტრფიალი თურმე იყო. იმ ქალმა ბესარიონს სხვის კეკლუცის მიჯნურება შესჭამა და ამისთვის განრისხებული ბესარიონ გამოსდევნა და თვისი მოწყალე გული დაუძვირა.

„მას ქალს წითელი ტანისამოსი უყვარდა და ამას ორნი ქალნი ჰყვნენ მეგობარნი: ერთი იისფერი ტანისამოსით იმოსებოდა და მეორე ნარგიზის ფერითა. ბესარიონ თავის ლექსში პირველს ვარდად უწოდებს, მეორეს—იად, მესამეს—ნარგიზად“ (S 3725). თეიმურაზის ცნობა თვით ბესიკის „სევდის ბაღის“ პერიფრაზას უნდა წარმოადგენდეს ისევე, როგორც დავით ჩუბინაშვილისა (იხ. მისი „ქართული ლრამმატიკა“, 1887 წ. გმც., გვ. XXXIX).

დაახლოებით, თეიმურაზის ცნობას იმეორებს მისი მოწაფე აკად. მარი ბროსე, ოღონდ მცირე გადასხვაფერებით: Говорят, он (ე. ი. ბესიკი. გ. ლ.) был влюблен в своей молодости в одну прекрасную девицу, которая отвергла его любовь под предлогом, что ее сердце отдано уже другому.

„Чтобы преклонить ее к себе, он обращается к двум молодым ее подругам, и вот, эти три особы, из которых одна чрезвычайно любила розовый цвет, в другия две цвет фиалки и нарцисса, так что оне пробирали под эти цветы и свою одежду,—изобретены в следующей пьесе, каждая под названием своего „любимого цвета“. (იხ. „Взгляд на историю и литературу Грузий 1836 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დავით რექტორის მეტად კომპეტენტური ცნობის გარდა, ჩვენდა სასიხარულოდ, არსებობს მეორე არა ნაკლებ ძვირფასი საბუთი, ბესიკისა და მაიას მიჯნურობის დამადასტურებელი. S 1088-ის ანონიმი პოეტი—პანეგირიკი გვიამბობს რა ბესიკის დიდ სიყვარულს, „იჯნურობით დამწვარ“ პოეტზედ და მისს „გაჭრაზედ“:

„საწყალსა ბესარიონსა,
კვლა ეთქვა სიტყვა მკვლელისა,
მიჯნურობითა დამწვარი,
ცეცხლთა გულმონავლელისა.
აშულსა მართებს ხმობანი,
ბულბულთ ყეფანი ყელისა;
რიგი აღს მიჯნურისათვის,
გაიჭრებოდეს ველისა (sic)

პირდაპირ გვისახელებს ბესიკის სიყვარულის საგანს—მაიას:

„ბესარიონ მელექსეთბაში
ქებას გვძღვნიდა [ჩვენ] იმ დარებს,
რუსთველისაებრ ხმა-ტკბილობით
არ აკლებდა არც ერთს გვარებს.
საყვარელთან მუდამ ყოფნა
კაცსა მეტად გაამწარებს.
და მაიას წერის გამო
რათ იკვირებ შენ ამ გვარებს“?[1].

ვინ არის ბესიკის „მკვლელი“ მიჯნური მაია?

როგორც ვიცით ბესიკის ლექსის („ჰაერი ციე ნამიანი“) კომენტარში, დავით რექტორი, რომელსაც მშვენივრად უნდა სცოდნოდა ბესიკის რომანტიული ისტორია, გადმოგვცემს, რომ მაია ყულარაღასის ქალი ყოფილა (იხ. ზემოდ, A 1664, 46).

ყულარაღასი ჰნიშნავდა საკელოს—მონათუხუცესის ანუ ფარეშთუხუცესი თანამდებობას. XVIII ს. დასაწყისს, ყულარაღასობა ორბელიანებიდან ქსნის ერისთავებზე გადავიდა, ხოლო ბესიკის ჭაბუკობის დროს, ყულარაღასად იწოდებოდა გიორგი ქსნის ერისთავი—ცნობილი მეფისადმი ურჩობით და ორგულობით. 1777 წელს, მან ჩაიდინა მორიგი მუხანათობა, „უკუდგა“ ერეკლეს, მოიწვია ლეკები, გაამაგრა თავისი ციხე ლიახვზედ და წინააღმდეგობა დაიწყო. ერეკლეს შემუსრა ურჩი ფეოდალი, სამუდამოდ ჩამოართვა საერისთაო, მაგრამ სიცოცხლე აპატია და „ყულარაღასი გიორგი დაშთა ტფილისსა შინა უპატიოდ, ვითარცა ტუსაღი“.

სწორედ ამ გიორგის ასული ყოფილა მაია, რომელიც თავის თავს ბეჭდის წარწერაშიც „ია“-ს ეძახდა (იხ. ქვემოდ, გვ. 415).

---

[1] S 1088 გვ. 1—2; ბესიკი, ს. გორგაძის რედ., გვ. 30—31. რადგან „მაია“ ხელნაწერში მკრთალად არის დაწერილი, გორგაძე ჰკითხულობს ასე: „მა იას (?)“. ეტყობა, ძნელი გასარჩევი სიტყვა ჰგონებია.

[1] აკად. კ. კეკელიძე ეხმაურება რა ჩემს მოხსენებას მაია-ბესიკის რომანის შესახებ, (1936 წ.) დასძენს: „გ. ლეონიძის ცნობით, ეს მაია თითქოს ერეკლეს ქვრივი რძალი—მაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიციული გადმოცემა დაჟინებით გვეუბნება, რომ ბესიკის მიჯნური სასახლის წევრი იყო, ბატონიშვილთაგანი, მაია კი მხოლოდ ერისთავის ქალია, და არა ბატონიშვილი. აქ თითქოს ერთგვარი დაბრკოლება გვეღობება წინ. მაგრამ ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ მაია ქსნის ერისთვის ასული, იმავე დროს სასახლის ახლობელი წევრია, როგორც ერეკლეს დისწული—მამუკა ორბელიანის მეუღლე.

მამუკა ძე „ქართლის ჯანიშინის", დიდად გაელენიანის და წირჩინებულის დიმიტრი ორბელიანისა და ერეკლე მეორის დის ანნასი, თვით სასახლეში შობილა და აღზრდილა: „ბატონისშვილის ანნას შვილი მამუკა, რომელიც თვით მის (ერეკლეს დედის თამარის გ. ლ.) პალატში შობილიყო და და შვილს უწოდებდა".[1] მას ანებივრებდნენ სასახლეში და განსაკუთრებული სიყვარულით ჰყვარებია ერეკლეს, როგორც დისწული. ერთს წერილში იგი მამუკას „საყვარელსა და სასურველს" უწოდებს[2].

ასეთივე ნაზი სიყვარულით ერეკლეს მხრივ, სარგებლობდა მაია, რომელიც ქმრითურთ სასახლეში ცხოვრობდა. შენახულა ერეკლეს ერთი წერილი, რომელშიც იგი გულმტკივნეულად ჰკითხულობს მაიას ავადმყოფობის ამბავს: „ჩვენის შვილის, ერისთვის ქალის მაიას ავანტყოფობა გავიგონეთ. ღვთის გულისათვის, მოგვიკითხე და ამის ამბავი შეგვატყობინე"-ო[3].

ერისთავის ასული ყოფილა. მაგრამ დავით რექტორი კატეგორიულად ამბობს, რომ ბესიკის მეორე (?) სატრფო იყო ყულარაღასის ქალი მაია". შემდეგ მოჰყავს რა ა. ბარამიძის ცნობა, „ჩვენ ვიცნობთ ერთ ყულარაღასს, რომლის სახელი ბესიკის სახოგადოებრივი პოლიტიკურ მოღვაწეობასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. ესაა ელიზბარ ქსნის ერისთავის შვილი, ქართლიდან გაძევებული და იმერეთის სამეფო კარის უპირველესი მრჩეველი ბესარიონ გაბაშვილთან ერთად"-ო. კ. კეკელიძე ასკვნის: ეს თუ ასეა, მაია ირაკლის რძალი ვერ იქნებოდა და მისი ტრფობა ბესიკის გაძევების მიზეზად ვერ გახდებოდა". (ლიტ. ისტ., II, 615) ეტყობა, პროფ. ბარამიძეს სრულიად გამორჩენია მხედველობიდან არსებობა საკმაოდ ცნობილი პიროვნების გიორგი ყულარაღასისა.

დასასრულ, გიორგი ყულარაღასი ცნობილია კიდევ მით, რომ 1767 წელს, მან საკუთარი ხელით მოჰკვეთა თავი ერეკლესგან სიკვდილმისჯილ პაატა ბატონიშვილს.

და ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ გიორგი ყულარაღასი არის მამა ელიზბარ ყულარაღასისა, რომელზედაც ლაპარაკობს პროფ. ა. ბარამიძე.

[1] თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, 12—13.

[2] Грамоты, II, I, 68; ადრე გარდაცვლილ მამუკას სიყვარული ერეკლეს, მისს ვაჟიშვილს თამაზზედ გადაუტანია. თვით თამაზი გვიამბობს ჭაპალის ციხის წარწერაში:

„შვილისა მზგავსად აღმზარდა
მეფემ ირაკლიმ"-ო. (S 1534 გვ. 106).

ალექსანდრე ორბელიანის სიტყვით, მაიას და მამუკას ერთადერთი ვაჟი თამაზი „იყო მეფის ირაკლის დიდი საყუარელი და მეფისაგან წყალობით ამსილი მისი ოჯახი. ის იყო მეტად გალაღებული და მეტი ნებიერი მეფის ირაკლისა, რომელიცა არავის არაფერში არას ეპუებოდა და თითქმის არც მეფეს ირაკლისა, ანა ბატონიშვილის გულისთვისა, რომ არ ეწყინოს. ასე ანებივრებდნენ ყველანი თამაზს" (S 1654).

ლუკა ისარლოვის სიტყვითაც, თამაზ, ერეკლესთან მეტად „თამამი და გამბედავი ყოფილა" (იხ. მისი ნაწერები, გვ. 104).

[3] „ივერია", 1890. № 235. გაზეთში „ერისთავის" ნაცვლად დაბეჭდილია „თაარის", რაც კორექტურულ შეცდომას უნდა წარმოადგენდეს. წერილი დათარიღებულია 1772 წლის 28 ნოემბრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1766 წელს, მაიას ეყოლა ანა (შემდეგში იმერთა დედოფალი), ხოლო 1768 წ. ვაჟი თამაზი.

1764 წელს გათხოვილი მაია 1770 წ. დაქვრივდა. ამ წლის ოქტომბერ-ნოემბერში გარდაიცვალა „ყმაწვილი კაცი" მამუკა ორბელიანი. 1770 წლის დეკემბრის 2-ს შეწუხებული ერეკლე ასე ატყობინებს მამუკას სიკვდილს, მის ბიძას ზაალ ორბელიანს, რუსეთში: „პირველად არ გვინდოდა ამისთანა სამწუხარო ჰამბის მოწერა და შენი შეწუხება, მაგრა სხუათა წიგნებისაგან შეიტყობდი და ჩვენც იმისთვის მოგწერეთ. ღ´თმან შენს მტერს მისცეს, რომ ჩვენ მწუხარება მოგვევლინა. ჩემი საყვარელი და ჩემი სასურველი მამუკა მიმტაცა სოფელმან და ჩემი გული უთმინოს და გამოუთქმელ მწუხარებას მისცა"[2].

დაქვრივებული მაია დარჩენილა სასახლეში...

ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს ბესიკის ერთერთი პირველად ნათქვამი მაიაზე:

„განვჰკრთი, რა ვნახე, რომელს მდიდრად ჰშვენიან თალხნი.
მისთვის შეუცავ აწ სევდასა, მაქვს სულთქმა—ახნი;
მას ვევედრები: ვებრალოდე, მცეს მუფარახნი!

ვეტრფი სურვილით, ვის შვიდნივე არა ჰყავს სწორნი—
ოდეს ვიხილე, მყის გაცუდდნეს მნათობნი ორნი!
ამად ვსტირ, მისნი ვერარა ვსცან საქმენი სწორნი!
უმისოდ მყოფსა აწ მომძულდეს მიდამო სრათნი".
(ე. ი. სასახლის გ. ლ.)

ფარული სიყვარულით არის გამოწვეული ბესიკის ნათქვამი:

„შენ-ტრფობა საიდუმლოდ მესახა".
„სიყვარულს ჰგონებ გულდანამალად,
მაგრამ ნთებულად გამოჰკრთის ალად"...

ალბად, ამ პერიოდისაა ქართული პოეზიის მომხიბლავი შედევრი, „შავნ-შაშვნი", რომელშიც ასახული უნდა იყოს ქვრივი მაიას ხილვა სამგლოვიარ შავებში:

„შავნი შაშვნი შავს გალიას შემსხდარნი,
სუფთად მხმობნი, ხმა-ყარიბად მსტვინავნი,
მრჩობლად მხედნი, მით ერთითა პირითა,
მათებურად სალ გულთ ამატკინავნი

გაზაფხულის შემოსვლისა მხმობელნი.
ია-ვარდ-ზამბახთა მახარობელნი,
სხვა ყვავილთა და სხვა ამბავთ მთხრობელნი,
შავ ხავედ მოსილნი, ქუფრად მბზინავნი.

ერთი ერთის მიმდევარნი, ერთპირნი,
ორნი ერთის შესაპყრობლად მომბირნი,
საშიშარად შარას თვალ შემაქვირნი,
ხან მომკვლელ, ხან მომწყვლელ, ხანცა მლხინავნი.

[2] Грамоты, II, I, 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოკრებით, მოდით, ვნახოთ, ვინ არნი,—
ორნი ტოლნი შავმოსვითა მჩინარნი,
არ-მოწყენით მომღერალნი, მღიმარნი,[1]
ყარიბისა ცრემლის დამადინარნი"!

გადმოცემით, „მშვენებით სავსე" ბესიკი მაიას დაახლოვებია, მიუწვდომელ ოცნებას,—მშვენიერ ქვრივს და მისთვის მრავალი ლექსი და სიმღერა მიუძღვნია, რასაც ბესიკისთვის „დიდი სახელი მოუხვეჭია". ალბათ ამ უიმედო სიყვარულის დროს ეკუთვნის:

„ტანო, ტატანო, გულწამტანო, უცხად მარებო!
ზილფო-კავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო!
წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო, შემაზარებო!
ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთ-წამარებო
პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!

„თვალთა ნარგისი, დამდაგისი, შეგშვენის მწველად,
ყელსა ბროლებსა, უტოლებსა, გველი გყვა მცველად,
გესხნეს ხალები, მაკრძალებსი, ამარტის ველად,
ნარინჯნი ორნი, ტოლნი, სწორნი, მიქმოდენ ხელად,
მიწვევდენ შენად შესამკობლად, დამამწარებო!

ალვაო, გესხნეს ორნი ნორჩნი მოსარხეველნი,
მკლავნი მომკლავნი, თითნი თლილნი მოსახვეველნი,
ზარიფსა წელსა დაეკვირვნეს ქვეყანად მვლელნი;
ოდეს გნახვიდი, შევიმატნი ათასნი წელნი.
აწ დამლევიან ყოვლნი დღენი, უცხოდ ვარებო!

ბაგე მდუმრიად გიალერსებ, ბაგეო ვარდო!
თვალთა ჰსურიან ხილვა შენი, კეკელა მარდო!
გულსა სწყურიან დამაშვრალსა: რას შეგაფარდო?
თუცა შენ დაგთმო, ვინლა ვპოვო, სად გავიზარდო?
უშენოდ ხილვა არვისი მსურს, შევიზარებო!

---

[1] პატივც. კ. კეკელიძისაზრით, ლექსი „შავნი შაშვნი" უნდა წარმოადგენდეს სიმბოლურ აღწერილობას და ქებას სატრფოს ორის („მრჩობლად მხედნი") შავის, შავის წამწამებით, შავ-ხავედით მოსილს თვალებისაა" (ლიტ. ისტ. II, 475-476).

ასე ფიქრობდა თეიმურაზ ბატონიშვილიც, რომელიც „შავნი შაშვნის" გენეზისისთვის ამბობს: „ეს სტიხი ბესარიონს, ერთის მშვენიერის თვალები მოსწონებია და იმაზე უთქვამს". (S 3723) ალბად, თეიმურაზის გავლენით, ხსენებულ ლექსს ამ კომენტარს უკეთებს დავით ჩუბინოვიც: „ბესარიონ გაბაშვილს უთქვამს ეს შაირი მშვენიერის ორს შავს თვალზედ." (იხ. „ქართული ღრამატიკა", გვ. XXXIX 1887 წ.)

ჩვენ არ ვიზიარებთ ასეთ განმარტებას. თუ „შავნი შაშვნი" მართლაც თვალების სიმბოლიური გამოხატულებაა, მაშინ ლექსში უხერხულობას ჰქმნის შემდეგი სტრიქონი: "საშიშარად შარას თვალშემაჰვირნი". ამის გარდა, თვით ლექსიც მშვენივრად ადასტურებს ზეპირგადმოცემის უპირატესობას, რომ აქ იგულისხმება ორი შაოსანი, ტრაურში გამოწყობილი ქალი („შავ-მოსვით", „შავ-ხავედ მოსილნი"), რომელნიც გაზაფხულის პირზედ მღერიან „ხმა-ყარიბად" („სუფთად მხმობნი", „მსტვინავნი", „არ მოწყენით მომღერალნი"). ამ ლექსის განმარტებაში ზეპირგადმოცემის ახსნა ჩვენ უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, ბესიკის ხსენებულს ლექსში ნაგულისხმევია შავებში ჩაცმული მაია, ქვრივობის მეორე პერიოდში, თავისს ტოლს ნათესავ ანუ მეგობარს ლამაზ ქალთან ერთად.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ ლექსში მოხსენებული „ხავედი" („შავ-ხავედით მოსილნი") ჭნიშნავს არა ხავერდს, როგორც ჩვენს, მწერლობაში მიღებულია დღემდე, არამედ ყვავილს. თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტებით „ხავედი ერთგვარი ყვავილია, გრძელი და წვრილ ფურცლებიანი, შავი და სურნელი". (S 3723)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულს მთვარეს:
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს!
მოდით, მიჯნურნო, შემიბრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს,
მკვდარი ბესიკი დამიტირეთ, დამფალთ სამარეს!
ვაჲ, სიცოცხლეო უკუღმართო, დანაცარებო!

და „მე შენმა თვალმა გარდმიბირა, რის გნახე მთვარე:
შვიდნი ციურნი მოციმციმედ არ შეგადარე.
შენის ბაგისა ორნი მეცნეს: ტკბილი და მწარე;
ორკეცად შენი სიყვარული თავს დამაფარე“!

და სხ.

შემდეგ უკვე ცნობილია მაია-ბესიკის რომანის ვითარება:

„ამაყად მწყრალი ვნახე ლამაზი;
მანცა განმაგდო „გარეგან გაზი!
შენგან გვაჩნია გულებსა ხაზი!
სიხარულიდამ დაბლა კერძ დაზი!
შენს გულსა ჰკითხე, მიაპყარ გაზი!
შენის გონებით იქნები რაზი:
ჩვენ დაგვთმეო და სხვას ემონები!

„ვარდი მით არის გულდაკლებითა,
რომ შენი იყო თავდადებითა—
შენ რისთვის დასთმე სხვისა ხლებითა?
თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა—
რად გიკვირს, გასწყრეს ცეცხლმოდებითა?
ნაცვალი მოგხვდა დანახსოვნები!“

რად მიჰყევ სხვათა ჭკუამთვრალებსა?
ნებით მოშორდი ვარდის კვალებსა!
არ შეგიბრალებ შეუბრალებსა,
თუმცა უყვარდი მისსა თვალებსა!

მაგრამ ულმობელი იყო „შემომწყრალი ია“ ანუ მაია, რომელიც ამ შემთხვევაში იცავდა თავის ქალურ ღირსებას.

„თუ სამართალი არის სადმე, გეზიანების,
ყელი გამომჭერ, პირი დამრჩა შენის დანების!.

მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრჭალები:
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები,
თავი მაქვს მისთვის შენაწონები!.

„თუცა შენ დაგთმო, ვინღა ვჰპოვო, სად გავიზარდო?
უშენოდ ხილვა არავისი მსურს, შევიზარებო!

„მე შენმა ფიქრმან მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა:
ანდამატისებრ მიმიზიდავ, ვჰგავ ნამჭირებსა.
ვარდის ბაგენი შვენიერად სხივ მამპირებსა,
ჩემებრ უწყალოდ მოაყივნებ გასაკვირებსა!
როდეს იქნება შემომხედო გულსა მწირებსა?

„ეტლ-შვენიერად მოარული გამსგავსე მთვარეს,
შენის ეშყითა მასა შევსტრფი, დამე ვვლი გარეს;
უცხო შევიქენ ცნობისაგან, ვარ ჭირსა მწარეს.
უსამართლობამ, მიკვირს, როგორ ვერ შეგადარეს
არ ვიცი, ვისსა გასწყობიხარ რჯულსა, ფირებსა?

რით უპასუხა მაიამ „გულნამტკინარე“ მგოსანს, რომელიც „შერიგებას“ სთხოვდა „შუა შემოსულ“ მოციქულების (მაიას მეგობარი ქალები) შუამდგომლობით, არა სჩანს, თუმცა ერთი ლექსიდან („მიწურვილობდა ზამთრისა ჟამი“) ირკვევა, რომ მაიას გულში რაღაც გარდატეხა უნდა მომხდარიყო ბესიკის სასარგებლოდ:

„მაშ არ ვარ სრულად ბედბმულად“

ამბობს იმედმოცემული პოეტი, როდესაც „მეწალკოტემ“ ახარა:

„ვარდისას იტყვი თავს ნამდურალად,
მისთვისავე ხარ გულშენამჭვალად.
აჰა, ეშხის ტყვევ, მჩან შესაბრალად,
მე ძალმიძს შენი სალბუნი მალად,
მაგრამ მაყენებს სხვა ვინმე გვამი!

ვინ იყო „ვინმე“, რომელმაც ხელი შეუშალა პოეტს? ვისგან იყო „ბრკმული“ ბესიკის სიყვარულის საქმე, არა სჩანს.

საყურადღებოა, რომ ლექსში „მე მივხვდი მაგა შენსა ბრალებსა“, პოეტი რაღაც ბრალსა სდებს „მანტორს“ („მენტორი„—აღმზრდელი“):

მანტორ, გაბრალებ ფესვით ბრჭალებსა!“

ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ მაიას აღმზრდელი?

ყოველ შემთხვევაში, ლექსიდან „მიწურვილობდა“ უნდა ჩანდეს, რომ მაიას წყრომა მხოლოდ დროებითი ამბავი უნდა ყოფილიყო პოეტისათვის და მათი სიყვარული ამაზე არ უნდა დასრულებულიყო.

* *

ნაკრძალი სიყვარული გამომჟღავნებულა სასახლეში.. შემდეგ ხომ ცნობილია ბესიკის სიყვარულის თავგადასავალი... აქ დაუთმოთ ადგილი ჭიჭინაძის მიერ ჩაწერილ გადმოცემას:

„ბესიკისა და მზეთახათუნის (იგულისხმე მაია. გ. ლ.) სიყვარული ბოლოს გამოჩნდა... მეფე ერეკლემ და დედოფალმა შეიტყეს და დიდათ განრისხდნენ. ბესიკი დაუბარებიათ და სამეფო დარბაზში დიდი საყვედურიც გამოუცხადებიათ, ბესიკს აღთქმა დაუდვია მეფის წინაშე და იმ დღიდამ სამეფო სახლსაც განშორებია. მზეთახათუნისთვის (sic) კი გამოუცხადებიათ, რომ მოლოზნათ უნდა წახვიდეო და ცოდვები გაირეცხოო. ქალი ჯერ უარზე მდგარა და ბოლოს კი დასთანხმებია. სამეფო სახლშივე შეუმოსავთ შავს მაზარაში და სამოლოზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოთ დაუწყვიათ მზადება. საქმე ისე დატრიალებულა, რომ ბოლოს ქალი სხვაზე გაუთხოვებიათ. ეს ამბავი რომ ბესიკს შეუტყვია, აღთქმა დაუდვია, რომ მე ჩემს სიცოცხლეში ცოლს არ შევირთამო, ასეც მოხდა თურმე".

..."ერთხელ, ბესიკს მეფის სასახლის წინ ჩაუვლია და აივანზე უნახავს რამდენიმე, შავით მოსილი მოლოზანი. იქვე ყოფილა მზეთახათუნი (sic) მოლოზნის (?) სამოსით ბესიკს მათზედ გამოუთქვამს: „შავნი შაშვნი".

„ამ ლექსის შემდეგ ისევ განახლებულა ბესიკში სიყვარული, ისევ მიუყვია ქეიფებისთვის ხელი, მოქალაქეთა შვილებს ხელმეორედ დაახლოვებია და ამაზე მრავალნიც ისევ ასტეხიან. რამდენიმე ხნის შემდეგ ლექსი „შავნი შაშვნიც" გავრცელებულა ხალხში და დაუწყვიათ მღერა.. მოქალაქენი მისულან მეფესთან და განუცხადებიათ: ახლა თქვენ ქალზე (რძალზე. გ. ლ.) დასწერა ლექსიო! მეფე დიდათ გამწყრალა, მსაჯულნი დაუბარებია და გამოუცხადებია, ბესიკი მეტეხის კლდიდამ ან ნარიყალას კლდიდამ უნდა გადააგდოთო. ეს გარდაწყვეტილება ერთს ბატონიშვილს შეუტყვია, იგი მაშინათვე მისულა ბესიკთან და ყველაფერი შეუტყობინებია. ბესიკი გაოცებულა.. იმ ღამესვე ვაქცეულა და მით გადაურჩენია თავი".

* *

თუ გავითვალისწინებთ ერეკლეს სიყვარულს მამუკასადმი, მის გულის ტკენას მამუკას უდროვო გარდაცვალებით, წარმოსადგენია, მისი აღშფოთება ბესიკის რომანით. მეფის რისხვა იმ ფაქტსაც უნდა გაემწვავებინა, რომ როგორც გადმოცემა ამბობს, ბესიკის ლექსები მაიაზედ „ხალხში გავრცელებულა". ჩვენ ვიცით, რომ ერეკლე მკაცრი ზნეობის ადამიანი იყო და სასტიკ მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა მთელი სასახლე, ოჯახთან ერთად სასახლის მსახურთა ზნეობაც, რის შესახებ არა ერთი ფაქტია ცნობილი (იხ. ალ. ორბელიანი და სხვ.). მაგრამ თავი რომ დავანებოთ მეფის ხასიათსა და შეხედულებას, თვით მაშინდელ მაღალ საზოგადოების ოფიციალურ ზნეობისთვისაც ბესიკის გაბედული გამიჯნურების კარში გამოტანა თითქმის მკრეხელობას უდრიდა. ამ შემთხვევაში, საილუსტრაციოდ გვინდა გავიხსენოთ იოანე ბატონიშვილის ერთი წერილი თავის ცოლისადმი. უგზავნის რა რუსეთიდან სატრფიალო ლექსს მეუღლეს, სთხოვს: „გარდააწერინეთ, ვინც მოინდომოს, იმღეროს"-ო. მაგრამ ითვალიწინებს რა ოჯახურ ტრადიციას, იგი ამასთანავე დასძენს; „ევროპიაში (ე. ი. რუსეთში გ. ლ.) არა არს სირცხვილი, უფრო ერთმანეთის სიყვარულს ნიშნავს"-ო (S 5367). თუ ასეთი განმარტების მოცემა უხდებოდა ბატონიშვილს საკუთარ მეუღლეზე დაწერილ ლექსისთვის, წარმოსადგენია, თუ რა წყრომა უნდა გამოეწვია მეფისა და სასახლის საზოგადოებისა ბატონის რძალ მაიაზედ საჯაროდ გამოტანილსა და ნამღერალ ბესიკის ლექსებს.

* *

ასეთი იყო მაია-ბესიკის სიყვარულის ტრაგიული ისტორია.

ახლა, როდესაც ვიცით, რომ ბესიკის სატრფო მეფის რძალი მაია ყოფილა, გასაგები ხდება პოეტის მიმართვა სატრფოსადმი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ანთებულ ცეცხლსა შესაწველად ხელი შეგახე...
„რად არ ვიცოდი, არა გყვანდი შენი საფერი...

* *

ქმრის, მამუკას სიკვდილის და ბესიკთან უბედური რომანის შემდეგ, ახალგაზრდა მაია მეორედ გათხოვილა, როგორც ამბობს ცნობა მისი ბეჭდის წარწერისათვის:

„მაია ყულარაღაზის ასულის ბეჭედზედ, კნეინა ორბელიანისა, რომ დაქვრივდა, იგი:

„სოფელმა იავრობითა,
დამცა ყვავილი ზრობითა".

და როს მეორედ გათხოვდა, დასწერა ესრეთ:

„სოფელო, შენმა იამა,
შენივე ნახვა მიამა" [1].

შემდეგ მაია იკარგება წყვდიადში. დაქვრივების შემდეგ მაიას დიდხანს აღარ უცოცხლნია და ბესიკის კრემენჩუკში ყოფნის დროს, 1787—1788 წლებში გადაცვლილა.

მაიას სიკვდილზედ ბესიკს კრემენჩუკშივე უთქვამს შაირი „ჰაერი ცივნამიანი" (A 1164. გვ. 49):

„ჰაერი ცივნამიანი,
ჩემთვის აღარა დღიანი,
მას ვშორავ გულსევდიანი,
ვის მოლოდნა მაქვს გვიანი.
ქუფრხვევით თვალცრემლიანი,—
აღარასადა ხმიანი,
თავმოხრით იყო იანი,
სხივნი ჰკლებოდეს მზიანი".

* *

ბესიკის მაიასთან რომანის პერიპეტიები მოცეუმლია „სევდის ბაღის" რკალის ლექსებში:

---

[1] „დროება", 1875 წ. № 105; S 105.

ერთ, მოგვიანდელო ხანის ხელნაწერს (S 1635/ბ) ბეჭდის პატრონი მაია შეცდომით, მუხრანის ბატონის ასულად მიუჩნევია: „მაია ერისთავი ჯერ გათხოვდა ბეგლარ ერისთავზედ, მერმე გივი ჩოლოყაშვილზედ. ყოფილა დაი ივანე მუხრანბატონისა". ცხადია, აქ ლაპარაკია სხვა მაიაზედ და არა „კნეინა ორბელიანზედ".

საყურადღებოა, რომ მაიას ბეჭდის ლექსები, სწორედ ერისთავების ოჯახში შენახულა მემკვიდრეობით. გაზეთი „დროება" აქვეყნებს რა ამ „ბეჭდის ლექსებს", დასძენს: „ეს ლექსები დ[ავით] გ[იორგის-ძე] ერისთავმა გადმოგვცა დასაბეჭდათაო" (1875 წ., № 105).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „სევდის ბაღს შეველ“
2. „ბულბულო მოდი მწუხარებით“
3. „მე მივხვდი მაგა შენსა ბრალებსა“
4. მე შენმა ფიქრმან მიმარინდა“
5. „ტანო ტატანო“.
6. „ბულბულის შურსა“
7. „მე შენი მგონე“
8. „ვარდო სასურო, მაისურო“
9. „მიწურვილობდა ზამთრისა ქამი“
10. „შავნი შაშვნი“.
11. ,,შეყრილან ერთად მკროოლვარენი.“

აქედან ხუთი ლექსი ეკუთვნის იმ მომენტს, როდესაც პოეტი „სხვის შეყვარებით“ მოტყუვდა: „იამ შეუტყო და თავისთან აღარ გაატარა, მაშინ სთქვა: „სევდის ბაღს შეველ“, შემდგომად ბესარიონ თავის დანაშაულს და იას ხადუმთაგან სიყვარულს, ახლა კიდევ ამ ხუთს მუხამბაზში ამბობსო“-ო[1]. გადმოგვცემს პოეტის მეგობარი დავით ალექსი-მესხიშვილი.

მაშასადამე, ბესიკის განთქმული „სევდის ბაღი“ შთაგონებულია მხოლოდ მაიას სიყვარულით, რომელმაც ბესიკის პოეზიას უკვდავების ბეჭედი დაასვა.

ბესიკის ლირიკის გრანდიოზული ვნება გამოწვეულია მაიას მიერ.

**

ისევ მაიაზედ და ანა დედოფალზედ.

ამიერიდან, უკვე შეუძლებელი ხდება ლაპარაკი ანას რომანზე ბესიკთან. სხვანაირად ანომალიასთან გვექნებოდა საქმე. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რომ ანა დედოფლის დედა—მაიაა. ისიც გასაგები ხდება, თუ რა მოტივით უნდა მიეძღვნა ხსენებული ლექსი ბესიკს თავის სატრფოს ქალიშვილისადმი (თუ ამ ლექსში მართლაც, ანა დედოფალი (ორბელიანის ქალი) იგულისხმება.

საყურადღებოა აგრეთვე ამ ლექსის შემდეგი ადგილი:

„შემოსა ხელი,
ითნო სახელი
მისმან გუანმან პაწაწანამან“.

შესაძლოა აქ ლაპარაკი იყოს „პაწაწა ანაზედ“ რომელიც მისი „გუანი“, ე. ი. მგვანი დედის-მაიასი თავისი მშვენიერებით. ჩვენი დაკვირვებით, ნაწარმოები „დედოფალ ანაზედ“ უნდა შესდგებოდეს ორი სხვადასხვა დროის დაწერილ ლექსისაგან. პირველი ლექსი უნდა შეიცავდეს 1—5 სტროფს და ჩვენის ფიქრით, დაწერილი უნდა იყოს ანას ახალგაზრდობაში,—სატრფოს ქალიშვილზე მეგობრულ-საალერსოდ.

[1] A 1164, გვ. 184.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსის მეორე ნაწილი,—უკეთ, მეორე ლექსი, სახელდობრ, მე-6 კვეთი. ნათქვამი უნდა იყოს ანას დედოფლობისას. ეს ლექსი უკვე მიმართვაა „ხელმწიფისადმი“ ერთგული კარისკაცისა და ჩვენ ვიცით, რომ ბესიკი დავითის და ანას კარის „მდივანთუხუცესი“ და დესპანი იყო.

ამ ლექსში უკვე აღარა სჩანს ფამილარული კილო ადრესატისადმი; აქ უკვე მოკრძალებული ქვეშევრდომი ერთგულებას ეფიცება „ხელმწიფეს“:

„ხ ე ლ მ წ ი ფ ე ვ, გული
შენთანა ბმული
წყალობიანად მომცემო შვების!
. . . .
თუცალა გცოდე,
ვიყო შემცოდე,
შენგან წყალობით ნუ მელხინების“! და სხვ.

ამნაირად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სათაურქვეშ: „დედოფალს ანაზედ“ გაერთიანებული უნდა იყოს ორი ლექსი ანუ ექსპრომტი ერთი და იგივე ადრესატისადმი.

და ბოლოს, სწორედ დედის სიყვარული უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ მაიას შვილი ანა დედოფალი, უკვე რუსეთში მყოფი „გადასახლებაში, დიდის გულმოდგინებით აგროვებს ბესიკის ლექსებს. ასე, ბესიკის ძმის ოსეს წერილებში დედოფალ ანასადმი, ხშირად შეხვდებით ლაპარაკს ბესიკის ლექსების შეგროვების შესახებ:

...„რომელიც თქვენ წიგნები ან ლ ე ქ ს ე ბ ი ძ მ ი ს ა ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ა გ ე თ ხ ო ვ ა თ, ყოველივე ერთად წარმოგიგზავნე“—სწერს ასე ანა დედოფალს. ...„გებძანათ ლ ე ქ ს ი ძ მ ი ს ა ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ა თ ქ მ უ ლ ნ ი, მაშინ საჩქაროდ ველარ მოვასწარ, არა მაქუნდა დაწერილი წ“დ ვიფიქრე დავიწყებული და გავიხსენე რომელიმე“. 1821 წელს, ბესიკის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ,—ოსე სწერს დედოფალს: „ლ ე ქ ს ე ბ ი რ ო მ გ ე ბ ძ ა ნ ა თ ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ა, აქ არ მამყოლია, და თუ რამ ზეპირ ვიცი, გავიხსენებ, დავწერ და მოგართმევ ხელმწიფეო“. და შემდეგ: „ჩ ე მ ი ს ძ მ ი ს ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს თ ქ მ უ ლ ი ლ ე ქ ს ე ბ ი, რაც გამახსენდა, დაგიწერეთ. ესენი ერთიანად დანუსხვილი, აკინძული მიახლებია“. ...„გებრძანა, გზაზე წამხდარიყო რეული ლექსთა ჩემ მიერ მორთმეული, ამისთვის ნუ შესწუხდები, უმჯობესად განგიახლებთ“ და სხვა.

* *

საკითხი გამორკვეულად მიგვაჩნია...

გადმოცემა ბესიკის რომანის შესახებ: ბესიკის მიერ სასახლის ქალის ტრფიალი, ქალის დაქვრივება, სიყვარულის გამჟღავნება სასახლეში, მეფის რისხვა პოეტზე—ემთხვევა მაია ერისთავის ქალის რეალურ ამბავს. გადმოცემას მშვენივრად მოუღწევია ჩვენამდე, მხოლოდ პოეტის სატრფოს სახელი არ შემოუნახავს და „დედოფალს ანაზედ“ დაწერილ ლექსის წყალობით, მაიას სახელი სრულ დავიწყებას მისცემია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა გასაგები ხდება, თუ რატომ იყო დღემდის ბესიკის ტრფიალის ვინაობა სასტიკ საიდუმლოების ქვეშ. ბესიკის გამიჯნურება მაიასთან, ხომ ერთგვარ კომპრომეტაციას აყენებდა, როგორც სამეფო სახლს, ისე ორბელიანთა და მათ მონათესავე დიდ ფეოდალურ ოჯახებს. ამიტომაც, გადამწერლები ვერ ჰბედავდნენ ბესიკის სატრფოს ვინაობის საჯარო გამჟღავნებას. უმთავრესად, ამის მიზეზით, ზოგ ხელნაწერში სრულიადაც ამოფხეკილია მაიას სახელი. მაგ. S 1512 ხელნაწერი ასე მუნჯურად მოგვითხრობს მაიას შესახებ:

„ესეც ბესარიონ გაბაონისგან არის ნათქვამი [ყულარაღასის ქალს მაიაზედ] სიკვდილს შემდგომად. საბრალობელი თავის თავს [მაია იას] ეძახდა და ბესარიონ მისი მეგობარი იყო". და სხ. ამიტომ იყო იძულებული დავით რექტორი, გაეფრთხილებინა მკითხველი: „მე სახელები არ დავჰსწერე, არა სჯობდა"-ო (იქვე), თუმცა ბესიკის რომანი იმდენად პოპულარული უნდა ყოფილიყო, რომ დავითის მოუხსენებლივადაც იცოდნენ პოეტის სატრფოს ვინაობა. ამიტომ მიჰმართავს დავითი მკითხველებს: „თქვენ გამოჰსცანით"-ო.

**

ამგვარად, ბესიკის ტრაგიული სიყვარულის მიზეზი ყოფილა მაია ერისთავი, რომლის ძვირფასი სახე დღემდის დავიწყების ბურუსით იყო მოცული [1]. ჩვენმა მკვლევარებმა მაიას როლი ბესიკის ცხოვრებასა და პოეზიაში, გაუგებრობით, მაიას ქალიშვილს ანას მიაკუთვნეს.

ამიერიდან, მაიას ძვირფასი აჩრდილი განუშორებლად იდგება ბესიკის გვერდით.

*

გვრჩება გამოსარკვევი ბესიკის „მეორე შეყვარებულის" ვინაობა. სამწუხაროდ, სრულიად უცნობი რჩება სახე იმ ქალისა, რომელმაც ასეთი საბედისწერო როლი ითამაშა ბესიკის ბიოგრაფიაში.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვვინდა ყურადღება მივაქციოთ ბესიკის ლექსს: „რა გული დავაგე შენად სარებლად":

„რა გული დავაგე შენად სარებლად,
მუნითგან ვარდს გიფენ მით **ამარ**ებით,
ვიცი, დღენი მისხენ შენდა მარებლად,
მისთვის თავს შეგწირავ მით **ამარ**ებით.

---

[1] მაიას სახელს, ალბათ მისი პატივისცემით, ატარებდა მისივე შვილისშვილი მაია თამაზისასული თუმანიშვილისა. ბრწყინვალე სილამაზით განთქმული, გრიგოლ ორბელიანის სიჭაბუკის მუზა, რომელსაც შემდეგში ალექსანდრე ჭავჭავაძემ უძღვნა ლექსი:

„არა ერთხელ სიჭაბუკე დაუჩაგრავს სიბერესა.
არა ერთხელ ბედის ილა დაუბინდავს შავს ღამესა" (S 1635).

მაიას ახლო ნათესავია (ბიძაშვილის ასული) ცნობილი მანანა ორბელიანი—ქართველი რომანტიკოსების უკვდავი მუზა, ხოლო მაიას პირდაპირი ჩამომავალია ნინო ორბელიანი—ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი სიყვარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს ვარდი მიშალე და მანდარია.
მით მოჰკალ ბულბული და მანდ არია;
კვლავ ჩემი სალბუნი და მან დარია,
ოუ მწყლავ, ნუ გამაგდებ მი**თა მარ**ებით.

მე იგი ვარ, ოდეს ამ არეს არა,
არ იდრიდი მთენთა ამარეს არა,
აწ არღა მომხედე ამარეს არა,
მე სხვას გიცნობ, სხვისად მი**თამარ**ებით.

აწ არ მნახო მრხეო დაიარედა,
ვინ უწყალოდ გული დაიარედა!
შენთვის მკვდარს ბესიკზედ და იარ ედა,
ნუ თუ კვლავ მაცოცხლო მი**თ ამა რ**ებით"!

ლექსის თითოეულ სტრიქონში გამომჟღავნებულია ზმით სახელი „თ ა მ ა რ". ვინ არის ამ ლექსის ადრესატი თამარ, არ ვიცით მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ ღრმა განცდის მატარებელ ლექსის შთამგონებელი ვერ იქნებოდა ის ქალი, რომელთანაც ბესიკს მსუბუქი მიჯნურობა მალე სანანურად გაუხდა.[1]

ხოლო რაც შეეხება მ ზ ე ხ ა თ უ ნ ს, მ ზ ე თ ა ხ ა თ უ ნ ს, რომელსაც ბესიკის მკვლევარები ხშირად პოეტის მუზასთან აიგივებენ ხოლმე, იგიც გაუგებრობის მსხვერპლია. მზეხათუნს არაფერი საერთო ბესიკის რომანთან არა აქვს. ეს გაუგებრობა უნდა გამოეწვია ბესიკის ორ ლექსს („ვართ კარგის მგონე"„ აღვახვამ ქებად ბაგესა"), რომელთაც ხელნაწერში სათაურად უწერიათ მეფის „ასულის მ ზ ე ხ ა თ უ ნ ი ს თ ვ ი ს თ ქ მ უ ლ ი". მზეხათუნი კი ანა დედოფლის ქალიშვილია, დავით იმერთა მეფის ასული (მზეხათუნისადმი უნდა იყოს აგრეთვე მიძღვნილი ლექსი: „მე სული ჩემი ფეშქაშად" თუ მართლა ბესიკს ეკუთვნის, როგორც გვამცნებს ზოგი ხელნაწერი). ბესიკის დროს, მზეხათუნი სულ ბავშვი იყო. იგი 1803 წელს გათხოვდა ზურაბ წერეთლის ვაჟზედ სვიმონზედ. დავით მეფის სიკვდილის შემდგომ, მზეხათუნი, სოლომონ II-ეს თავის პალატში აღუზრდევინებია, როგორც მისივე ნაწყალობევი სიგელი გვიამბობს[2].

* *

ბესიკის რომანტიული ისტორია უნდა ყოფილიყო მთავარი მიზეზი ბესიკის განდევნისა.

მაგრამ ვფიქრობთ, ბესიკის განდევნას, რომანთან ერთად სხვა ამბავიც უნდა სდებოდა სარჩულად. მაიას ტრაგიული სიყვარულის გარდა სხვა შემავალი მომენტებიც უნდა გავითვალისწინოთ.

მაგალითად, ისეთი კომპეტენტური პიროვნება,—როგორიც იყო ბესიკის თ.ითქმის თანამედროვე—დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, გარკვეულად გვეუბნება,

---

[1] თუ ამ ლექსშიც, ისე, როგორც „მზეხათუნისადმი" მიძღვნილს ლექსში „მეგობრული" სიყვარული იგულისხმება. მაშინ ამ ლექსის ადრესატად შესაძლოა მივიჩნიოთ ანა დედოფლის მეორე ასული, მზეხათუნის და ... თ ა მ ა რ, შემდეგში გურიის ერისთავზე გათხოვილი.

[2] Sd 9666.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბესიკი იყო „ექსორია ქმნილი მამითურთ თვისით იმერეთს, ანტონის გამო ქათალიკოზისა“[1]. დავითის ცნობას ისევ ზაქარიასთან მივყევართ.

1771 წელს, რუსეთიდან დაბრუნებული ზაქარია, ცხადია, არ დასცხრებოდა ერეკლესა და ანტონის წინააღმდეგ. ნამოძღვრალის ახალი ინტრიგები კი იმერეთის მეფის სოლომონის ინტერესებში შედიოდა. ცნობილია, რომ ერეკლე მეორე და სოლომონ პირველი, ერთმანეთ შორის დინასტიურ მტრობაში იყვნენ. და თუმცა 1773 წ. 23 ივნისს მათ შორის დადებულ სარაგანტიო ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო: „დღეის იქით დამნაშავე ჩვენზედ, რაც უნდა რიგი კაცი იყოს, ჩვენნი ყმანი, თავადნი თუ აზნაურნი, ერთიერთმანერთ, თვინიერ ნებით გარდასახლებული ორსავ მხრიდამ, გლეხნი ანუ სხვა, დაუყონებლივ მივსცეთ“-ო[2], მაინც, ამის მიუხედავად, სოლომონიც და ერეკლეც სისტემატურად იყვანდნენ თავისს მფარველობაში ერთიმეორის უკმაყოფილოთ, განდგომილთა და აჯანყებულთ.

ასე მიიღო ერეკლემ სოლომონის მემკვიდრე ალექსანდრე, რომელიც მამას გამოერიდა, აგრეთვე სოლომონის ძმა არჩილი და ძმისწული დავით, (შემდეგში მეფე)—სოლომონით უკმაყოფილონი. სამაგიეროდ, სოლომონმა სიამოვნებით მიიღო ერეკლესგან განდგომილი ელიზბარ ქსნის ერისთავი, შეთქმული ალექსანდრე ამილახვარი და ბოლოს ზაქარია გაბაშვილი, რომელიც ვახტანგ VI-ის მემკვიდრეების (—ქართლის ტახტის პრეტენდენტების) დავალებით, ერეკლეს საწინააღმდეგოდ უნდა ჩამოსულიყო იმერეთს.

რამდენიმე წლის უნახავობის მერე მოხუცი მამის დაბრუნება რუსეთიდან, ცხადია, ააღოკებდა ბესიკის გულს. ეჭვი არაა, ბესიკი ფარულად მაინც მოახერხებდა მშობელთან კავშირის გაბმას. ზაქარიაც ხომ შესძლებდა გაფანტული შვილების მონახვას და მართლაც, ჯერ კიდევ ბესიკის განდევნაზე უადრეს, ზაქარიას შვილებს უკვე ვხედავთ იმერეთის კარზედ. ასე, 1776 წ. ზაქარიას უფროსი შვილი-ოსე უკვე სჩანს სოლომონ I-ის სახლთუხუცესად[3], ანტონი—მდივნად. სოლომონს უხვად დაუსაჩუქრებია გაბაშვილები. მაგ. ოსესთვის უწყალობებია სოფელი კვაცხუთი[4]. ასევე ნიკოლოზს ჰქონია „პატივი მეფისაგან“[5].

ეჭვი არაა, მათი მოწყობა სოლომონის კარზედ, ზაქარიას მონაწილეობის გარეშე არ იქნებოდა. ამ შემთხვევაში, საყურადღებოა ჭაბუა ორბელიანის პასქვილის ადგილი ბესიკზედ. იქ ზაქარიაზედ ნათქვამია:

„შეჩვენებით შეჭურვილმა, შეაძულა შვილნი შურითო“-ო[6].

---

[1] მასალები... მ. ჯანაშვილის გამოც., გვ. 26.

[2] Грамоты, II, I, 68.

[3] დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, 51, კაკაბაძის გამოც.

[4] 56. ს. იქვე, ქართლის ცხოვრება, ჭიჭ. გამოც, 260. სქოლიო („შენიშნულება გაბაშვილისა“).

[5] „მცირე უწყება“. გვ. 40. ნიკოლოზ ყოფილა შვილი ზაქარიასი და არა ძმისწული, როგორც ჩვენ ზემოდ (გვ. 349, 360) შეცდომით ვახსენეთ. ჩვენ ჩაგვივარდა ხელთ ბესიკის ძმის ოსეს კერძო წერილები, სადაც ოსე ნიკოლოზს ძმობით იხსენიებს (...„და ნიკოლოზ გარდაიცვალა ჩემი ძმა დეკანოზი, ესე მეექვსე ანუ მეხუთე წელი არს“. ...„ვინაიდგან ძმისა ჩემისა ნიკოლაოსის დეკანოზის შვილთა დაუტევეს სიყვარული და სწავლა მამისა“... და სხ. (იხ. ლიტ. მუზეუმის საბუთების ფონდი № $\frac{270}{2}$).

[6] S 1612/ზ; ვარიანტი: „შეიძულა შვილნი შორით“. H 2310.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ლაპარაკი უნდა იყოს ნამოძღვრალ ზაქარიას ინტრიგებზე და მისი მეოხებით და მიზეზით ერეკლესგან ზაქარიას შვილების შეძულებაზედ. შეძულება მეფის მხრივ კი გამოიწვია ალბათ მათმა ჩაბმამ ზაქარიას მტრულ საქმიანობაში ერეკლესა და ანტონის მიმართ.

მამისა და ძმების იმერეთში ყოფნის დროს, თბილისში დარჩენილ ბესიკის მდგომარეობა საგრძნობლად უნდა შერყეულიყო. შეიძლება ამ მომენტს დაემთხვა ბესიკის რომანტიული ისტორია, რითაც ისარგებლა ანტონ ქათალიკოზმა და მოსისხლე მტრის შვილი ბესიკი, რომელიც ახლა უკვე საშიში ხდებოდა, მეფეს საბოლოოდ გააწირვინა. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეკლესიის მეთაური, ისედაც უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო ბესიკის სატრფიალო ლექსებისა და სიმღერების პოპულარობით.

რა ბრალდება შეეძლო მოეხვივნა ანტონ ქათალიკოზს ბესიკისათვის?

უპირველესად, მამასთან კავშირის გაბმა, რაიმე დავალების შესრულება ზაქარიასი.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ანტონის და ანა ბატონიშვილის (მაიას დედამთილის) შესაძლებელი ბლოკიც. უსათუოდ, ანტონთან ერთპირზე ზაქარიას და ბესიკის მიმართ იქნებოდა ბესიკის რომანით აღშფოთებული მამუკას დედა ანა—ზაქარიას ძველი მტერი და ანტონის თანამზრახველი. ცნობილია, რომ ანტონის დამხობის დროს ანა ბატონიშვილმა საკმაოდ გამოამჟღავნა ანტონის მომხრეობა, რისთვისაც იგი საჯაროდ გაკიცხა კიდეც ზაქარიამ (იხ. ზემოდ, გვ. 354)[1]. ისიც ცნობილია, რომ ანტონის რუსეთიდან დაბრუნების საქმეში ანა ბატონიშვილმა დიდი როლი ითამაშა. და თუ პლატონ იოსელიანს დავუჯერებთ, ქათალიკოზის რეაბილიტაცია და მისი რუსეთიდან გამოწვევა „ანას მიზეზით“ მოხდა (S 3181).

ზაქარიას რუსეთიდან დაბრუნებისა და ბესიკის რომანის გამო ქათალიკოზის ინტერესები უფრო მჭიდროდ იქნებოდა გადაბმული და მათ შეერთებულ ძალას არ გაუჭირდებოდა ისეთი პატარა პიროვნების მოსპობა, როგორიც იყო მათთვის აზნაური მგოსანი ბესიკი გაბაშვილი.

---

[1] ზაქარია გაბაშვილი ანტონის განდევნის შემდეგაც არ ინდობდა ანა ბატონიშვილს და თვით ექსორიაქმნილ ანტონისადმი მიმართულ წერილებშიც კი „ამუშავებდა“, რაზედაც აღშფოთებული ანტონი რუსეთიდან ასე უპასუხებდა: „ანნასთვის მეფის ასულისა... სხვა და სხვა ტიტლოები მიგეცა და ისე კარგ კმასაყოფელად გაგელანძღა. მაგათს აგრე შეურაცხად ხსენებაზედ შენს სინიდისსა ვჰკითხავ, ნამუსია ჩემგან, რომ ბევრი ვიცინო... თუ მაგ ქვეყანაში დიდნი ვინმე ხართ, მეფეთაგანნი, თუ არ ეგენი და მათგანი სხვანი, არავინა ხართ და მაგათ ჩემის დაკარგვისათვის თავიანთი თავები აგრე სალანძღავათ თქვენ და თქვენს მეგობრებს მოუყარეს და მე მაგაზედ, ნუ გეწყინება, ბევრს ვერ ვიცინებ. ეს კი ვიცი, ანნა ჩემი და არის. ისე არ არის, რომ ჩემს მეტი არა ჰყვანდეს რა, ვინც მანდ მეფობენ, იმათი ქალია და და არის... და ეს ვიცი, რომ ეგ გიჟი არ არის. და ნაცილადაც გიბრძანებიათ, ბევრნი მოვიდნენ მანდედამ და ვიკითხე და ფიცით დამარწმუნეს, რომ არ გაგიჟებულაო. და თუნდა აგრეც იყოს, სნეულებაზედ ვინ აიგდებს და აგინებს გონიერთაგანი მაგისთანა პერსონასა“. H 2510.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

ბუნებრივი იქნებოდა, დაგვესვა ერთი კითხვაც: ხომ არ დაიმსახურა ბესიკმა რაიმე სახელმწიფო დანაშაული და ნებით და უნებურად ხომ არ მიიღო მონაწილეობა ერეკლეს წინააღმდეგ რაიმე პოლიტიკურ საქმიანობაში?

ამ ეჭვს გვიძლიერებს ორი ფაქტი:

ა) ბესიკის შემდეგდროინდელი გარკვეული პოლიტიკური მუშაობა იმერეთის კარზე ერეკლეს სამტროდ და

ბ) ერეკლეს პიროვნების სრული იზოლაცია ბესიკის პოეზიაში.

*

მართლაც, განა აშკარა არაა ის ფაქტი, რომ მაშინ, როცა თვით უბრალო აშუღი სომეხი საათნავა ასე აღტაცებით უმღერის ერეკლეს და აპოთეტიურ სიმბოლოდ ჰყავს წარმოდგენილი („ნეტავი არ დაღამდე, რა კაი დღე ხარ"), სასახლესთან დაახლოვებული ბესიკი სრულიად სდუმს სახელგანთქმულ გმირ მეფეზე იქაც კი, სადაც ის, როგორც პოეტი-პატრიოტი აღტაცებით უნდა გამოჰხმაურებოდა ერეკლეს ვაჟკაცობას და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. თვით ის ერთად ერთი ლექსი ერეკლეზე, რომელიც აქამდის ბესიკისად იყო ცნობილი, ნამდვილად ეკუთვნის არა ბესიკს, არამედ მირიან ბატონიშვილს [1]. ერეკლეს პიროვნების იზოლაცია ბესიკის შემოქმედებაში განსაკუთრებით აშკარა შესამჩნევია პოემაში ასპინძის ომზედ. საყოველთაოდ ცნობილია ერეკლეს გმირული და სტრატეგიული დამსახურება ასპინძის ომში. სახელოვან მეფემ „გაჰსწირა თავი თვისი და ეკვეთა [მტერს] ფიცხელად, ვიდრე სიკვდილამდე", მან თავისი ხელით მოჰკლა ბრძოლაში „დაღისტნის წარჩინებული და მანე ბელადი კოხტა" (ქ. ცხ., 265). პოეტი კი შეგნებით ჰმალავს ერეკლეს პიროვნებას, მისს სარდლობას, გმირობას, თავგანწირვას და სამაგიეროდ, ასპინძის გმირის შარავანდედით ჰმოსავს მხოლოდ დავით სარდალს, რომლის პირად ვაჟკაცობასა და მხნეობას ხსენებულ ომში, მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ ბესიკის მიერ განზრახ ერეკლეს დამდაბლება ჩვენთვის გასაგებია. „ასპინძის" წერის დროს ბესიკი უკვე აქტიური მტერი იყო ირაკლისა (ჩემი გამორკვევით, ხსენებული ნაწარმოები დაწერილია 1780 წლების მეორე ნახევარში, როდესაც ბედმა პოეტს „უშორეს ვლა" მისცა რუსეთში). ასევე უნდა ითქვას, ლევან ბატონიშვილის სიკვდილის გამო დაწერილ „სამძიმარზე" (დაწერილი უნდა იყოს 1781 წელს). ერეკლესთან სხვაგვარ ნორმალურ დამოკიდებულებაში მყოფ ბესიკს ხომ საბაბი ეძლეოდა პირდაპირ მიემართა უბედურ მამისთვის და მიეტირნა დიდებული შვილის ასე უაზროდ დაკარგვა. „სამძიმარში" კი პოეტი, პირიქით, არა თუ გვერდს უხვევს ერეკლეს, არამედ შეგნებულადაც კი არ ასახელებს და თუ ახსენებს ორგან, ისიც სიმბოლიურად. ეს ნაწარმოებიც დაწერილია ბესიკის განდევნის შემდეგ იმერეთში და, ცხადია, ბესიკი, რომელიც ამავე წელს ერეკლეს მტრის ალექსანდრე ბაქარის ძის „ერთგულ აზნაურად" იხსენიება და რომელიც ერეკლეს მხოლოდ „კახბატონობით" [2] ახსენებს, როგორც ქართლის ტახტის უზურპატორს, სხვანაირად ვერც მოიქცეოდა.

---

[1] როგორც გამოარკვია ა. ბარამიძემ, „ბესიკი", გვ. 175.

[2] Hd აუწერელი სიგელი 1781 წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკვეული გეგმა ჰქონდა დასახული—ერეკლეს დამხობა. შეთქმულებს ყოველნაირად ხელს უწყობდა მეფე სოლომონი. ერისთავების ჯგუფს მაშინ მეთაურობდა სწორედ ბესიკის სატრფოს მაიას მამა გიორგი ყულარაღასი, რომელმაც ერეკლეს არა ერთხელ უმუხანათა. სწორედ ამ დროს, მაიაზედ შეყვარებულ ბესიკს დაახლოვება უნდა ჰქონოდა ერისთავებთან; ხომ არ ჩაითრიეს ერისთავებმა თავისს შეთქმაში მაიას მეგობარი ბესიკი, ისევე როგორც ჩათრეული ჰყავდათ თავისი სიძეები—ზაალ ორბელიანი[1] და ზაქარია ციციშვილი?[2] ხომ არ გამოიყენეს ერისთავებმა ისეთი პოპულარული პიროვნება, როგორიც იყო ბესიკი, ბრძა იარაღად თავის შეთქმულებაში?

და ბოლოს, იმ ხანაში, როდესაც კარის უმაღლესი საზოგადოება ინტრიგებისა და შეთქმულობათა ქსელში იყო გახვეული, სულ ადვილად უნდა ყოფილიყო შესაძლებელი ბესიკის მოხვედრა არა სასურველ სიტუაციაში, მით უფრო, ბესიკი „შეჩვენებულის“ და „უკეთურის“ ზაქარიას შვილი იყო და ისიც—ერეკლესადმი მტრულ განწყობილების ატმოსფერაში აღზრდილი ანახანუმის კარზედ.

მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ უნდა გავიხსენოთ თვით განდევნილი ბესიკის სიტყვებიც ერეკლესადმი მიმართული:

„ხელმწიფე, გული ცეცხლდაგული სულით გამყოფლით,
ჭირსამცა თქვენსა, თუ გალხენსა, მოიხმარენით!
. . . . . .
სხვამცა პატრონი, ანუ დრონი ვერღა დავსახეთ“...

აქედან სჩანს, რომ გულდაწყვეტილი ბესიკი უდანაშაულოდ სთვლიდა თავს. და თუ ამ სიტყვებს დავუჯერებთ,—უფლება კი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ამ მდუღარე ლექსის გრძნობაში,—საბუთი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ ბესიკი უფრო ინტრიგის და მეფის გადამეტებული წყრომის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო.

ვამბობთ ამას, თუ ეს სიტყვები მართლაც ერეკლესადმია მიმართული და თუ „ხელმწიფე“-ში უსათუოდ ერეკლე იგულისხმება (ამ ადგილის სხვანაირი წაკითხვა და სხვანაირი გაგებაც შეიძლება—„ხელმწიფე—გული“, ხოლო „პატრონად“ შეიძლება ლევან ბატონიშვილიც ვიგულისხმოთ).

* *

ბესიკის განდევნაში ალბად სასახლის კამარილიასაც უნდა შეეწყო ხელი.

ერეკლეს კარზედ, განსაკუთრებით მისი მეფობის მეორე ნახევარში, არაჩვეულებრივი ინტრიგები, „ბეზღობა“, „ენაობა“ იყო გამეფებული, რომლის მსხვერპლი არა ერთი კარისკაცი და სახელმწიფო მოღვაწე შეიქნა. ტყუილად კი არ ჩიოდა ამბროსი ნეკრესელი:

---

[1] ზაალ ორბელიანი—„ერთგული კაცი ირაკლისა, მოღალატე შეიქმნა დავით ქსნის ერისთავის მოწყალებით (იმის და ჰყავდა ზაალს ცოლად), ქართლში მეფე დასონ და ქართლი გააცალკევონ“ (ალ. ორბელიანი, S 1654).

[2] „ქსნის ერისთავის შვილებმა და ზაქარიამ [ციციშვილმა] ჩვენ გვინუხანათა, ახალციხეს გაიქცნენ და იქიდამ ლეკის და ოსმალოს ჯარი ჩამოიყვანეს და ქართლს ოხრება და ტყვეობა დაუწყეს“. ...„ციციშვილი ზაქარია ახალციხეს გარდვიდა და უარჰყო თვისი კელმწიფე მეფე ირაკლი“—გვიამბობს იულონ ბატონიშვილი (Hd 1818).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღმერთმან იცის, ბატონები კარგი გვყვანან და მარგები,
მაგრა, ზოგნი შინაყმანი, მტყუანნი, ცრუ, არ ვარგები,
ამყრელნი, სახლის დამქცევნი, ჩემნი იქმნენ დამკარგები“ [1].

სასახლის კარისკაცთა თითოეულ დაჯგუფებას თავისი ინტერესები ჰქონდა და თვით სასახლის „გამზდელთა“ შტატიც კი ერთგვარ გავლენით სარგებლობდა. ასე, სასახლის შინამოსამსახურეთაგან—„მეფისეული და დედოფლისეული სასახლისა გამზდელნი ესრეთ იყვნენ ძლიერნი, რომელ მეფესა და დედოფალსა ჰხადოდნენ ტყვედ მათ ხელთა შინა. თვით მეფის ძენი და მეფის ასულნი და მეფის რძალნი ძრწოლავდენ მათგან, მღვდელმთავართა ეშინოდათ მათი“ [2]. როდესაც ბესიკი საყვედურით მიჰმართავს „მანტორს“—აღმზრდელს („მანტორ, გაბრალებ ფესვით ბრჭალებსა“) მხედველობაში ხომ არ უნდა ვიყოლიოთ ისეთი პიროვნებანიც, როგორნიც იყვნენ „მეფისეული“ და „დედოფლისეული“?

ყოველ შემთხვევაში, ბესიკს რომ განუცდია ინტრიგის სიმწარე, ამას ადასტურებს დავით რექტორის წერილიც პოეტისადმი. მოსთქვამს რა დავითი ინტრიგების შესახებ: „ვიცი, სავსედ უხანობა მიყოლათა, უზენარობა თავთა, უსწორობა პირთა, მაცთურება სიტყვათა, გატეხა ფიცთა და მოყვრობისა მოკლეობა...—მე ოდესცა მუხთალისა კაცისა პირსაცა შევესწარ“, მიჰმართავს ბესიკს: „შენცა იყავ ოდესმე, რომელ ურვისა მიწათა გლოვისა მოლთა აღმოამწვანებდი“-ო [3].

თითონ ბესიკიც მწარედ ჩივის „ენით მკვლელ გველზე“ (მიმართვაში დავით სარდლისადმი):

„ნუ—თუმცა გველმან,
ენითა მკვლელმან,
გმირსა ქედასა
დაგდვა საცილო?
ვამე, თუ ხმითა,
შენცა ამითა
შეგრთო სევდასა,
ჰსცნა საწადილო!

...აწ გიცან, გველო,
სამოთხის განმაძეო,
გულერთ შემკვრელო,
გამყრელო, მამაძეო!

---

[1] ც. არ[1]. ხელნაწერი № 201; ასევე მოსთქვამს ბესიკის მეგობარი დავით რექტორი: „მეფე ირაკლი გამიწყრა, მტერთ უბრალოდ შემასმინეს“-ო (S. 105). „სოფელსა არ ვემდურვოდი, მარა უბრალოთ დასჯასა ჩემსა ვკვირდი“-ო („მოამბე“ , 12, 1898). სასახლის ინტრიგებმა დაამხეს თვით ისეთი გავლენიანი ადამიანი, როგორიც იყო ბესიკის მეორე გულითადი მეგობარი დავით ორბელიანი „საქართველოსა შინა წარჩინებული ამირსპასპეტი და სამეფოსა პალატის სახლთუხუცესი“. „მეფეცა ირაკლი მიიყვანეს მას მდგომარეობასა, რომელ „ჟამსა ერთსა, ბრძანებითა მეფისა ირაკლისა მიუღეს [დავითს] სარდლობა და სახლთუხუცესობა და რაოდენიმე ჟამამდე უპატიოდ იყო და განდევნილ სასახლიდამ“ (A 3057).

[2] H 1193; პლ. იოსელიანისავე სიტყვით, მათ შეაძულეს ერეკლეს ანახანუმის დები მახია და ანასტასია (იქვე).

[3] S 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსში „გამტყორცნა სოფელმა“ პოეტი ღაღადებს:

„მომესივნენ მტერნი მკვლელად და მკვლელად!

ხოლო ლექსში „ცრემლთა ისარნი“ დასძენს:

„მოყვასთა ცრემლნი, სწვიმეთ ცხელნი, მტერთ იხარენით!“

ვინ უნდა იყვნენ ბესიკის მტრები, რომელთაც მას „დასდვეს საცილო“? ჩვენ გვგონია, ისინი უმთავრესად მაიას ოჯახში უნდა მოვძებნოთ.

უპირველესად, უნდა ვახსენოთ მაიას დედამთილი (მამუკას დედა) ანა ბატონიშვილი, შეურაცხყოფილი მაიას და ბესიკის რომანით. უსათუოდ ბესიკის სასტიკ მტრად უნდა მივიჩნიოთ მზეჭაბუკი ანუ ჭაბუა ორბელიანი, როგორც მაიას მამამთილი, მამუკას ბიძა[1]. მაშასადამე, ისიც აღშფოთებული ბესიკის რომანტიულ ისტორიით.

ჭაბუას პასუხში ბესიკისადმი ნათქვამი:

„დაჭრილია დიაცურად, დასწყლულდების, დასწვავს დაგით“—ხომ არ არის გულისხმობს ბესიკის უბედურ რომანს?

ყოველ შემთხვევაში, საყურადღებოა ჭაბუას მწარე ნათქვამი ბესიკზედ, რომ ის „ოროგინობს“ (ოროგინე—ალექსანდრიელი მღვდელი, რომელმაც თავისი თავი გამოისაჭურისა), ვფიქრობთ, ჭაბუას ჩარევით ბესიკის რომანში უნდა იყოს გამოწვეული პოეტის ნათქვამი ჭაბუაზედ:

„სამართალია, არ ღირს—იყო მაგ სახელისა,
რადგან გიწვრთნია სიცრუე და ქცევა მელისა:
შენნი მიჯნურნი ველად რბიან ბროლის ყელისა!
შენმა გახეთქამ, ეშხი მოჰკლავთ შენის წელისა,
რა იქნება, რომ შენის პირით მზეს უდარაო!“

„უპირო ვინმე ჰყოფილხარ, მუხთალი, მეტად ღადარი,
სიყვარულისა მკვეხარი, მეშურნეობის სადარი.

ამ სტრიქონებს უწერს ბესიკი ჭაბუას, რომელიც პოეტს გადამეტებულ სამიჯნურო თვისებებს აბრალებდა.

მაგრამ თვით ჭაბუა ბესიკს რაღაც მძიმე ბრალდებას უყენებს, როცა მაზედ დაწერილ პასქვილში ამბობს: „ღვარძლიანობს, ღმერთს ღალატობს“-ო. და შემდეგ უფრო კონკრეტულად პოლიტიკურ საჩრულს უდებს ამ ბრალდებას: „ფიქრიანობს ფაშის ფარმნით“-ო. ეჭვი არაა, აქ ლაპარაკია ახალციხის ფაშასთან რაღაც კავშირზე. ცნობილია, რომ ახალციხის საფაშო საქართველოს მტრების ბუნაგი იყო, ხოლო ფაშა, როგორც ოსმალეთის შემოჩენილი აგენტი, ორგანიზატორი, აშკარა თავდასხმების გარდა ქართლ-კახეთსა და იმერეთზე, აგრეთვე ინტრიგებისა და შეთქმულებებისა ერეკლეს წინააღმდეგ. და აქ ამ სიტყვებში ჭაბუა პოეტს აბრალებს რაღაც საქმიანობას, კავშირს ახალციხის ფაშასთან, რომელიც ყოველთვის ალერსით ჰხვდებოდა ერეკლესგან გაქცეულ უკ-

[1] S. 1654

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყოფილო ელემენტებს. ჩვენის ფიქრით, აქ ჭაბუას გადაკვრით აქვს ნათქვამი, რომ პოეტი ოცნებობს ფაშის ფირმანის შოვნაზე, ე. ი. თბილისიდან გაქცევაზე. ეს კი ჭაბუას მართლაც შეეძლო ეთქვა სწორედ 1776 წელს, როცა ბესიკის საქმე ირჩეოდა რომანის შემდეგ.

ამ შემთხვევაში საყურადღებოა ბესიკის პასუხში ის, რომ პოეტი ხაზგასმით უკიჟინებს ჭაბუას „სიცრუეს“:

„ვინც კარგად გიცნობს, გაიღიმებს: „დ ი დ ი ც რ უ ა ო!“
...„რასაც იტყოდი, ც რ უ ი ყ ო დასაქადარი...
...„გ ი წ ვ რ თ ნ ი ა ს ი ც რ უ ე და ქცევა მელისა“...

პოეტი მას უწოდებს „შეფლიდებულს“, რომელიც „უკუღმართობს“ ... „მანკით“ ჰგავს „მელას“:

„ეშმაკსა ელაციცება,—ეს ედარების ეროდეს,
ვასილისკურად ვაგლახი“... და სხ.

და ბოლოს ჭაბუასგან მწარედ დაზარალებული ბესიკი აბრალებს „უ პ ი რ ო ბ ა ს“, „მ უ ხ თ ლ ო ბ ა ს“ და დასძენს:

. . . . . .
გ უ ლ ქ ვ ა ო, რასაც იტყოდი—ც რ უ ი ყ ო დასაქადარი!“

მაშასადამე, ჭაბუა ბესიკს ცილისმწამებლად მიაჩნია.

ყოველ შემთხვევაში, ბესიკი რომ ჭაბუასაგან მწარედ ნაწვნევია, ამას მშვენივრად ჰმოწმობს ბესიკის მეტად გამეტებული და მწარე გამოსვლები ჭაბუას წინააღმდეგ.

მაგრამ ბესიკს რომ რაღაც დანაშაული ჰქონია ჭაბუასადმი, ამას ადასტურებს მისივე 1788 წელს ჭაბუასადმი მიწერილს ეპისტოლეში გამომჟღავნებული სინანული:

„ავაზაკისა სახით მოსრული სამოთხის კარად განვიძრცვი
ბ რ ა ლ ი ს ძონძთა ნ ა ქ მ ი ს ა ს“.

და რომ ამ „ბრალს“ სხვა სარჩულიც უნდა სდებოდა, ამას უნდა გვიმტკიცებდეს ის ადგილი იმავე ეპისტოლედან, სადაც ბესიკი სთხოვს შუამდგომლობას:

„სიტყვითვე გვედრებ, სიტყვითა სამოთხეო, წ ა რ მ ი ძ ე ღ ვ
გულის ქალაქად მაშვრალსა, განმისვენე“...

და სახელდობრ, ის ადგილიც, სადაც პოეტი ამბობს:

„მიჰგვალენ, მზეო, მზისად აზიით სიმდაბლის ქვაბად
ოქროის ძღვნობით მურ-გუნდრუკების კმევად მ ე ფ ე თ - მ ე ფ ი ს ა დ“.

„მეფეთ-მეფე“-ში, ჩვენის აზრით, ერეკლე მეფე უნდა იგულისხმებოდეს.

ამგვარად, ვფიქრობთ, ჭაბუა ერთი აქტიური მონაწილეთაგანი და ხელის შემწყობი უნდა ყოფილიყო ბესიკის განდევნისა.

* *

ადვილი წარმოსადგენია ერეკლეს განრისხება ბესიკზედ.

რუსეთის წარმომადგენელი პოტიომკინი გადმოგვცემს ერეკლეზედ: „ცხარე ხასიათისაა, თვალის გამომეტყველება აქვს მკვირცხლი, არწივისებური-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ მოსაუბრეს შუბლშეკრული, შეჭმუხვნილი აცქერდება, ეს ალბად მიტომ, რომ გამოიცნოს მოსაუბრის გულის ნადები".

„ქართველი ბატონი მწყრომალე და ყოველდღე უძვირესის განსაცდელის მოლოდება, დიდი ამბავია"... „დიაღ მრისხანის სახით იყურებოდა"[1]. ...„ამრეზით დამხვდა. არც არას მეუბნება, მაგრამ წარბზედ ვატყობ. ორიოთ საათს უკან გახსნა წარბი და საქმე კარგათ მოხდა"[2]. ამბობენ ერეკლეზედ, შეშინებული კარისკაცები.

უფრო საშინელი იყო მეფის რისხვის მოლოდინი:

..„ვზივარ და მოველი მანდატურთ შესაპყრობად, გვემად, აღსაფორიაქებლად და დაშრეტად ჩემდა... თუ სამე გონებასა იპყრობთ, სცნობთ, სამს დღეს რისხვის მოლოდება მეფისა მონათათვის, ძნიად სატვირთავია,—განაგრძობს მეფის რისხვადამსახურებული კარისკაცი, აკლებისა და დაპატიმრების მოლოდინში—მოვალს ელჩი დესპანი, სრულიად აკლებასა იქმს შენსასა და მოვალს კიდევ სხვა გზირი... და აჰა, მოვლენ მანდატურნი აღფხვრად შენდა და მოვალს ყარაული შუმილავი, ისწრაფე სივლტოლად! აჰა, მწერალნი, ჯაშუში აღწერად სახლთა! და კვალად მოვალს მსტოვარი,—ჯერეთ არ მოსულანაა, იბძანა განძარცვა შენი!"[3].

განრისხებულ მეფეს ზაფრა ემართებოდა და ზოგჯერ საკუთარი ხელითაც კი ჰსჯიდა დამნაშავეს. მეფის მდივანი იესე გადმოგვცემს, რომ გაჯავრებულ ერეკლემ თავის კაბინეთში საკუთარი ხელით სცემა ორ თავადიშვილს—ძმებს აბაშიძეებს. ერთს „ჭგვემა ძლიერად", მეორეს „ყური უსერა". ცნობილი შეთქმული ამილახვარიც ჩივის, რომ შეპყრობის დროს მეფე მას სცემდა წკეპლით და ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ხელში მარწუხი აიღო და ამილახვარს სხეულის დაგლეჯასაც კი უპირებდა[4].

ჩვენ არ ვიცით, რაიმე სასჯელი მიაყენა თუ არა ბესიკს ერეკლე მეფემ. ხ. ჭიჭინაძის სიტყვით, მეფეს მსაჯულები დაუბარებია და მათთან ერთად გადუწყვეტია პოეტის „გადაჩეხა მეტეხის ნაპრალიდან ან ნარიყალის კლდიდან[5]. მაგრამ ერთერთ ბატონიშვილს დროზე უცნობებია ბესიკისთვის, რომელიც იმ ღამესვე გაქცეულა[6].

ბიბლიოგრაფიული მინაწერები კი გადმოგვცემენ, რომ ბესიკი მეფემ „საქართველოდამ „დ ა ი თ ხ ო ვ ა", „გ ა ნ დ ე ვ ნ ა", „გ ა ა გ დ ო". გაგდება კი ალბად საქმის გარჩევისა და მსჯავრის შესდეგ უნდა მომხდარიყო. საფიქრებელია, რომ ბესიკი შეიპყრეს „საიასაულო სახლში", როგორც დამნაშავე. და თუ მართალია გადმოცემა მისი თბილისიდან გაპარვის შესახებ, მაშინ ბესიკი ცი-

---

[1] თავგ. იესე ოსესშვილისა, 93, 94.

[2] ც. არქივის სიგელების ფ., № 3545.

[3] თავგ. იესე ოსესშვილისა, 102, 75, 76.

[4] История Георгианская..., 1779. გამც; მისი ქართული თარგმანი S 99.

[5] სხვა ადგილას—ავლაბრის ხიდიდან: „მელექსე ბესიკი კინაღამ ავლაბრის ხიდიდამ გადააგდებინა და მოაკვლევინა ერთი რაღაც არშიყული ლექსის დაწერისათვის". ხ. მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი, „ნიკოლოზ ბარათაშვილი", გვ. 37.

[6] „ბესიკი", ხ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიდან უნდა გაპარულიყო, შესაძლოა, ლევან ბატონიშვილის და დავით სარდლის დახმარებით (უკანასკნელს სარდლობასთან ერთად მაშინ, ქალაქის მოურავის თანამდებობაც ეპირა)[1].

* *

საყვარელი და აყვავებული თბილისის დატოვება, სადაც ბესიკს ამდენი მეგობარი, ტოლი და მოყვასი ჰყავდა, ამდენი დამფასებელი და თაყვანისმცემელი, და სამაგიეროდ მაშინდელ უდაბურ ქუთაისში დასახლება, რომელიც 1770 წ. ოსმალთა განდევნის შემდეგ ქოხებს და ნანგრევებს წარმოადგენდა, პოეტისთვის მეტად სამძიმო ხვედრი უნდა ყოფილიყო.

უფრო მტანჯველი უნდა ყოფილიყო მაიასთან სამუდამო განშორება, რაც ჩემის აზრით, პოეტს უნდა გამოეტირნოს შესანიშნავ, ბაიორონისებურ პათოსის ლექსში „გამტყორცნა სოფელმა“:

„გამტყორცნა სოფელმა, მოვშორდი მზესა,
დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად;
რაყიფად შემექმნა ბედივე ჩემი;
სიცოცხლეს ღა ვჰპოებ ძნელად და ძნელად!

ვინ ჰპოვა სოფლისგან ბედნიერება?
ვინცა სცნობს წყეულსა—დაეკრძალება,
უნუგეშოს მართებს მართლად ვაება,
სტიროდეს და რბოდეს ველად და ველად!

მ ი ჯ ნ ურ თ ა გ ა ნ რა გსურს წუთისოფელო,
ყოველთ მელექსეთა დამდუმებელო!
ჩემებრ ბედწარსულზედ გინდა ისახელო?
დამსვი გულმდუღარედ, მწველად და მწველად!

ვსტირი, მაქვს მე საესე ცრემლითა კალთა,
მე ჩემს ღონეს ვსტირი სინათლის თვალთა;

[1] საყურადღებოა, რომ Бутков-ი და Бурнашев-ი ბესიკს „გაქცეულად“ იხსენიებენ (იხ. Материалы, II, 183 და Картина Грузии“, გვ. 22). ბესიკის დაპატიმრების საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთი შემდეგდროინდელი ცნობა, რომელიც შეიძლება ერთგვარ, ეჭვით დამოწმებად გამოვიყენოთ.

1832 წ. შეთქმულობის მთავარმონაწილეთაგანი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ორ ბ ე ლ ი ა ნ ი, უკვე დაპატიმრებული, ციხიდან ორჯელ ფარულად სწერს თავის მეუღლეს:

...„ბესიკის ნათქმი „ც რ ე მ ლ თ ა ი ს ა რ ნ ი, მოსისხარნი ჩვენდა არენით“, — დ ა მ ი წ ე რ ე თ და ჩ უ მ ა თ გ ა მ ო მ ი გ ზ ა ვ ნ ე თ“.

...„ბ ე ს ი კ ი ს ლ ე ქ ს ი „ც რ ე მ ლ თ ა ი ს ა რ ნ ი“ (sic) დ ა მ ი წ ე რ ე და გ ა მ ო მ ი გ ზ ა ვ ნ ე“ იხ ლიტერატ. მუზეუმის ხელნაწერი № $\frac{270}{2}$).

როგორც ვიცით, „ცრემლთა ისარნი“ დაწერილია ბესიკის განდევნის დღეებში. იგი პოეტის ტრაგიკულ დღეების სახსოვარია. სწორედ ამ ლექსს თხოულობს ციხეში ა. ორბელიანი. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა პატიმარ რომანტიკოსისთვის ამ ლექსს? შეგვიძლიან ვიფიქროთ, მას ბესიკის დაპატიმრების ანალოგია გაახსენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, ბესიკს, მესიზმრა საწუთრო ვალთა,
მომესივნენ მტერნი მკვლელად და მკვლელად [1]!"

გარდახვეწილ ბესიკს სრული უფლება ჰქონდა, ეთქვა:

„რაც მიიწერა სოფელმან, ვეღარ დავთვალე ამრითა,
მისი სიმწარე ყოველი, გულს გარდამრთხმიან კამრითა!"

---

[1] თუმცა ეს ლექსი დღეს სადავოდ არის მიჩნეული, (ა. ბარამიძე) ალბად იმ დროამდე, ვიდრე ბესიკის ავტოგრაფი არ აღმოჩნდება.

შემთხვევით უნდა ვისარგებლოთ და ორიოდე სიტყვით ავღნიშნოთ, რომ ბესიკის ტექსტების დადგენის საქმე დღემდის ვერ არის მოწესრიგებული. რასაც კი ჩვენამდის მოუღწევია და სამუდამო დაღუპვას გადარჩენილა, ისიც ხშირად დამახინჯებულია გადამწერლებისაგან და მომღერლებისაგან. სამწუხაროდ, ვერც ბესიკის რედაქტორ-გამომცემლებმა შესძლეს ამ საქმის საბოლოო მოგვარება. მაგ., ავიღოთ ბესიკის უკანასკნელი გამოცემა (1932 წ.) ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით. მიუხედავად საკმაო შრომისა და ზოგი საყურადღებო შესწორებისა, რაც მკვლევარს შეუტანია, ეს გამოცემაც არ არის აცილებული ზოგ დეფექტებს. ასე, ბ ა რ ა მ ი ძ ე-ს ა ც, ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს ა და გ ო რ გ ა ძ ი ს მ ს გ ა ვ ს ა დ, ბესიკის თხზულებებში ზოგი ისეთი ლექსი შეუტანია, რომ ლიც ბესიკს არ ეკუთვნის. მაგ ლექსები: „ვ ნ ა ხ ე პ ი რ მ ზ ე", „ვ ა შ ა მ ა ს დ ღ ე ს", „ს ე ვ დ ი ს ლ ა შ ქ ა რ ი", რ ო მ ე ლ ი ც ბ ე ს ი კ ი ს ე პ ი გ ო ნ ი ს დ ი მ ი ტ რ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს შემოქმედებაა. როგორც თვით თუმანიშვილიც გვიდასტურებს: („რაც ჩ ე მ გ ა ნ ნ ა თ ქ ვ ა მ ი ლ ე ქ ს ე ბ ი ა, ამის ქვემოდ დაიწერება",—ამბობს იგი ხსენებულ ლექსების შესახებ (S 1534).

ბესიკის „სადავო" განყოფილებაში შეტანილი ლექსები—„ა ლ ა ლ ე ბ ს ბ ა გ ე ს" და „ა თ ე ნ ს ბ ნ ე ლ ს გ უ ლ ს ა", უდავოდ ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ეკუთვნის (იხ. ზემოთ, გვ. 368).

არა გვგონია, ბესიკს ეკუთვნოდეს გინდაც, ეჰვით ისეთი ლექსები, რომლებიც ბარამიძეს იმავე განყოფილებაში შეუტანია, მაგ. „მ ო ი თ მ ი ჯ ნ უ რ ნ ო", „რ ო ს გ ა ნ ვ ი ც ა დ ე ბ ე დ კ რ უ ლ მ ა ნ", „დ ი ლ ი ს მ თ ი ე ბ ს", „შ ე ვ ე კ რ თ ი, რ ო ს ვ ნ ა ხ ე", „უ წ ყ ლ ა ვ ს ა ჭ ი რ ს ა", „რ ხ ე ვ ი თ ნ ა ხ ო".

ყოვლად დაუშვებელია ბესიკის ნათქვამად მიიჩნიოს რედაქტორმა, მაგ. ისეთი ბანალური ლექსი, რომელიც შესანიშნავ ლექსს „გამტყორცნა სოფელმა" ხორცმეტად აქვს მიკერებული:

„მე მოხად შეექმნილვარ ერთისა მხისა,
იგი ჩემთვის კვდება და მე მისთვისა (!)
არ იქნა, არ შემხვდა ჟამი შეყრისა,
ორთავ სიცოცხლე გვჩანს მწარედ და მწარედ!
არც დღეა ჩემთვის, არც ღამე—ღამე,
მოდით, მეგობარნო, მიშველეთ რამე!
ჩემს საყვარელთან წასვლა მინდა მე(!)
მეც მას თავს ვუძღვნი მარად და მარად(!)"

ბარამიძეს კი ეს კაკაფონია შეაქვს „სადავო" განყოფილებაში, თითქოს იგი რაიმე შანსებს იძლეოდეს ბესიკის პოეზიისათვის მისაკუთვნებლად. გორგაძეს კი, ლექსი „გამტყორცა სოფელმან" სამართლიანად მიჩნეული აქვს ბესიკისად და დაბეჭდილიც აქვს უამხორცმეტოდ(გვ.27).

ლექსი „რ ა ც მ ი ი წ ე რ ა ს ო ფ ე ლ მ ა ნ", ბარამიძეს ცალკე ლექსად აქვს დაბეჭდილი მაშინ, როცა იგი წარმოადგენს პოემის „ასპინძის ომის" ორკანონულ ნაწილს.—პროლოგს, შესავალს, წინასიტყვას, რომელშიც პოეტი განმარტავს, თუ რა მიზეზით დაწერა მან პოემა და რატომ მიუძღვნა იგი დავით სარდალს. ამიტომ, შეუძლებელია ამ ლექსის ჩამოთლა ძირითად ტექსტისგან და მისი ცალკე დაბეჭდვა.

უნდა ავნიშნოთ ზოგი წვრილმანი შეცდომებიც, რომელნიც გადამწერლებს მოსვლიათ და რედაქტორებს დაუკანონებიათ. მაგ. ერთი ადგილი ლექსისა მირიან ბატონიშვილზე, დღემდის ყველა გამოცემებში და ბარამიძის გამოცემაშიც ასე იკითხება:

„გიორგი, გრიგოლ,
ერთად თ ა ვ ლ ი გ ო ლ" (გვ. 79), რაც სრული უაზრობაა.

უნდა იყოს: „გიორგი, გრიგოლ,
ერთად თ ა ფ ლ ი-გ ო ლ".

ბესიკის ეპისტოლეს ერთი ადგილი მზეჭაბუკ ორბელიანისადმი, ბარამიძეს ასე აქვს დაბეჭდილი:

...„და მქისესა მდელოსა შვენიერნი ფ ე რ ხ ნ ი დ ა ს ტ კ ბ ე ბ ი ა ნ" (გვ. 83) უნდა იყოს:
...„მდელოსა შვენიერნი ფ ე რ ხ ნ ი დ ა ს ტ კ ე ბ ნ ი ა ნ" და ა.ს.

აღნიშნული შეცდომები მომავალში თავიდან უნდა იქნას აცილებული, ისევე, როგორც სასურველია თვით ბესიკის ტექსტების უფრო შესაფერი დალაგებაც.

* *

რომელ წელში უნდა მომხდარიყო ბესიკის განდევნა?

როგორც ირკვევა, ბესიკისა და ჭაბუას ინციდენტი 1776 წელს მომხდარა[1]. ამ დროისთვის ბესიკი ისევ თბილისში ყოფილა[1].

თბილისშივე სჩანს ბესიკი თვით 1777 წლის „იანვრის დამდეგს", ლევან ბატონიშვილის კარზედ[2].

ხოლო 1778 წელს (დაახლოვებით ივლისში) სოლომონ იმერთა მეფე მას ჰგზავნის სპარსეთში ქარიმხანთან ალექსანდრე ბატონიშვილის ჩამოსაყვანად.

*

ბესიკის სპარსეთში გაგზავნას, ჩვენს ლიტერატურაში 1779 წლით ათარიღებენ (ბ რ ო ს ს ე, Histoire pe la Georgie II, წ. 2, გვ. 247; ს. გ ო რ გ ა ძ ე, „ბესიკი", XII; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ლიტ. ისტ., II, 464; ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ბესიკი, გვ. 36 და სხ.), რაც უსათუოდ შეცდომაა.

თვით ბესიკი გვიამბობს თავის დღიურში, რომ იმერეთიდან რაჭით და ოსეთით გამგზავრებულა, ის ჯერ კიდევ აგვისტოს 28-ს მოზდოკში იმყოფებოდა. იქიდან ყიზლარზე გავლით „ათცხრამეტოდე" დღე ასტარხანს გაჩერებულა. მაშასადამე, ასტრახნიდან სექტემბრის ბოლო რიცხვებში გავიდოდა ასტრახნიდან რეშტამდე ზღვით მოგზაურობას „ოცდამეათცხრამეტი" დღე მონდომნია. რეშტიდან მეექვსე დღეს ყაზმინს ჩასულა და ასე, ერანის სხვადასხვა ქალაქებზე გავლით, გაუგრძელებია გზა შირაზისაკენ. ამრიგად, ბესიკს უნდა ჩაელწია შირაზში არა უადრეს ხოემბრის მიწურულისა, ანუ დეკემბრის პირველ რიცხვებისა.

ცხადია, გინდაც მეორე დღესვე გამობრუნებულიყო შირაზიდან, ასეთი ძნელი და გრძელი გზით, ბესიკი იმავე დეკემბერში იმერეთს ვერ დაბრუნდებოდა. უსათუოდ, ბესიკი იმ ზამთარს სპარსეთში დარჩა, მოელაპარაკა ალექსანდრე ბატონიშვილს, სოლომონის დავალებით წარუდგა ქარიმხანს და 1779 წლის გაზაფხულზე (დაახლოვებით აპრილს) ალექსანდრესთან ერთად შირაზიდან წამოსული, იმავე წელს აგვისტოს მობრუნდა იმერეთს[3]. ამნაირად, 1779 წელს მობრუნებული ბესიკი, 1778 წელს გამგზავრებულა სპარსეთში[4].

---

[1] ბესიკის შესარიგებელ ეპისტოლედან მზეჭაბუკ ორბელიანისადმი (ა. ბარამიძე, გვ. 82—87). რომელიც დაწერილია 1788 წელს, ირკვევა, რომ ეს ინციდენტი, ზუსტად, 1776 წელს მომხდარა (აქვე).

[2] იმ დროს ჭაბუას მიერ ბესიკზედ დაწერილ პასქვილში ნათქვამია:

„ჩვენი ჩექმა ჩახეოდა, ჩხარს ჩავიდა, ჩავლო ჩოლით".

აქედან შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ ბესიკი 1776 წელს უკვე იმერეთს ჩასულა, მაგრამ, როგორც წინა სტრიქონიდან სჩანს, აქ ლაპარაკია ბესიკის მამის ზაქარიას რუსეთიდან იმერეთში ჩამოსვლაზედ.

[3] მასალები საქ. ისტორიისათვის, გამოც. ნ. ბერძენიშვილისა, I, გვ. 57—58.

[4] 1779 წ. 11 ენკენისთვეს, ახალციხელ მღვდელს, ხოჯავანთ იოვანეს თავის დღიურში შეუტანია: „ბაქარის შვილის ალექსანდრეს მოსვლა თქვეს იმერეთს, სპარსეთიდამ რომ გამოიპარა" (2782, გვ. 37).

„ბესიკის სპარსეთში გამგზავრების თარიღის შესწორებასთან ერთად უ ნ დ ა შ ე ს წ ო რ დ ე ს პ ო ე ტ ი ს დ ა ბ ა დ ე ბ ი ს თ ა რ ი ღ ი ც. დღიურში ბესიკი ამბობს, რომ სპარსეთში წასვლის დროს ის იყო „28 წლისა". მაშასადამე, ბესიკი დაბადებულა არა 1751 წელს, როგორც ჩვენ (იხ. ზემოდ, გვ. 361) და ბესიკის სხვა მკვლევარებიც დღემდე ვასკვნიდით, მისი სპარსეთში გაგზავნის არასწორ თარიღზე დაყრდნობით, არამედ (1778—28 წელი) 1750 წელს, რაც სრულიად ესწორება პოეტის საფლავის ქვის წარწერას.

ა მ რ ი გ ა დ, დ ღ ე ი დ ა ნ ი ს ე ვ უ ნ დ ა შ ე ს წ ო რ დ ე ს ბ ე ს ი კ ი ს დ ა ბ ა დ ე ბ ი ს თ ა რ ი ღ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

მაშასადამე, ბესიკის თბილისიდან განდევნა 1777 წლის იანვრისა და 177 წლის ივლისს შუა უნდა მომხდარიყო. მაგრამ იმერეთში ჩასულ ბესიკს ხომ უცბად არ გაგზავნიდა სოლომონ მეფე სპარსეთში, ისიც საპასუხისმგებლო დავალებით. თბილისიდან ჩასვლის დღიდან, სპარსეთში გამგზავრებამდე რაიმე დროს ხომ უნდა გაევლო. ამიტომ ბესიკის განდევნას უფრო 1777 წელს მივაკუთვნებთ (იანვრის შემდეგ). მართლაც, ამ წლიდან ბესიკი თბილისში მყოფად აღარც ერთ საბუთში აღარ იხსენიება.

**

საბოლოოდ შეიძლება ითქვას: ბესიკის რომანი, რომელიც დაახლოებით 1772—3 წელს უნდა დაწყებულიყო, გამომეღავნებულა 1776 წელს, რასაც მოჰყოლია ერეკლეს წყრომა და მამუკას ნათესაობის წარმომადგენლებთან ერთად ჭაბუა ორბელიანის გადაკიდება და მისი პასქვილი ბესიკზედ. ზედმიყოლებით, მოკლე ხანში უნდა მომხდარიყო ერეკლეს მსჯავრი ბესიკზედ, გამოწვეული „ბატონის რძლის" მაიასთან გამიჯნურებით. რომანტიულ თავგადასავალთან ერთად, აგრეთვე რაღაც პოლიტიკური, ნებითი თუ უნებური დანაშაულის გამო ბესიკი გაქცეულა, გაპარულა იმერეთს.

პოეტის განდევნა, რომანის გამომეღავნებას უნდა მოჰყოლოდა და ეს კიდევ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბესიკის მთავარი ბრალდება მაინც მაიას სიყვარული უნდა ყოფილიყო. ანონიმი პოეტიც ხომ გადმოგვცემს, რომ ბესიკი მაიას გამო „გაიჭრა?"

თუმცა ბავშვობიდანვე ერეკლეს მიერ დაჩაგრული ბესიკი, შესაძლოა მართლაც ჩარეულიყო გინდაც უნებურად, მისი ოჯახის დამამხობელ მეფისა და ქათალიკოზის საწინააღმდეგო საქმიანობაში, მით უმეტეს, იგი, როგორც პოეტი და როგორც მოქალაქე, არა ყოფილა აღტაცებული ერეკლეს პიროვნებით. ცხადია, ოჯახური მიზეზების გამო. მაგრამ თვით ბესიკი არა სთვლიდა თავს მეფესთან დამნაშავედ და შესაძლოა, ის მიზეზები, რაც „მტრებს" და ვინდ ანტონ ქათალიკოზს და ჭაბუა ორბელიანს უნდა მოეკრიფათ, რამდენიმედ ხელოვნური ყოფილიყო.

*

ოცდაშვიდი წლის ბესიკმა თბილისი დასტოვა სამუდამოდ...

(დასასრული შემდეგ წიგნში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა